

პსალმ. 68-ის. 68-ე პსალმის

ქვეყნისათვის
დასამარტოების

მსაგებობა

II ტომი

საბრძოლო 68-ე XI-XVIII ს

დასამარტოების
დასამარტოების

თბილისი

1924

პირობები ქართული საერო მწერლობის აღმოცენებისა.—დასაწყისი ქართული საერო მწერლობისა.—
 პერიოდები ძველი ქართული საერო მწერლობის ისტორიისა.—
 ურთიერთობა ძველს ქართულ საერო და ეკლესიურ მწერლობათა შორის.—ძველი ქართული საერო მწერლობის შესწავლის საქმე.—ფრაგმენტარული ხასიათი ძველი ქართული საერო მწერლობისა.

I

ქართველი ერი ეკუთვნის იმ ერთა ჯგუფს, რომელთაც თავის ენაზე შექმნეს მდიდარი ქრისტიანული კულტურა და დაამუშავეს საყურადღებო ქრისტიანული მწერლობა. ამავე დროს ის ერთგვარ გამოწვევის შეადგენს როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიან ერთა შორის: მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის ქრისტიანეები, და აზა მარტო აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთისაც, შებოქილნი იყვნენ ეკლესიურ-სქოლასტური ბორკილებით, ქართველებმა, ეკლესიურ მწერლობასთან ერთად და პარალელურად, განავითარეს მდიდარი საერო, მხატვრული მწერლობა, რომელსაც მხედველობაში ჰყავს ჩვეულებრივი ადამიანი, ამქვეყნიური ცხოვრების პირობებში, მისი არა მარტო სულიერი, არამედ ხორციელი მოთხოვნილებებითა და მისწრაფებით. ერთი სიტყვით, ჰუმანიზმი, რომელიც დასავლეთი ევროპის ისტორიაში შედარებით გვიანი მოვლენაა, ჩვენს წარსულში ყოველ შემთხვევაში XI-XII საუკუნიდან ფაქტია.

რამ შეუწყო ხელი ამ გარემოებას, რამ გამოიწვია ჩვენში ასე ადრე ჰუმანიზტური, თუ შეიძლება ითქვას, მიმართულება? რასაკვირველია, აზა მარტო ჩვენმა ეროვნულმა ტემპერამენტმა და არა ჩვენი ქვეყნის ბუნების სიკვლეუმშვენიერებამ, არა სამხრეთის მხის ცხოველმყოველმა სხივებმა,—ამ ფაქტორებს, შეიძლება, სხვაგანაც ჰქონდათ ადგილი,—არამედ უმთავრესად იმან, რომ ჩვენი ქვეყანა მდებარეობდა მსოფლიო კულტურის ორი მთავარი ნაკადის შესაკრებელში, კანქმზი-გულისხმობთ დასავლურს, ქრისტიანულ-ბიზანტიურს, და აღმოსავლურს, სპარსულ-არაბულ მუსულმანურ კულტურას. საქართველოს ტერიტორიაზე გადაეჯარჯინა ერთი შეორეს ქრისტიანული მისტიკურ-რაციონალური სულიკვეთება და აღმოსავლური ფანტაზიის აღმაფრენა მისი სადევ-გმირო, ეპიური თქმულებებითა და საგებით. ამ ორი კულტურის შეჯახება-შეხეთქებამ, რომელმაც თავი იჩინა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სპარსეთში ღაიწყო ეროვნული კულტურისა და მწერლობის აღორძინება, გამოიწვია ჩვენი ნაწილი-ლი რენესანსი და ჰუმანიზმი, რომლის გამოძახილი დასავლეთ ევროპაში რამ-

დენიმე საუკუნის შენდევ გვესმის მხოლოდ; ამან ხელი შეუწყო საერო, მხატვრული ლიტერატურის შექმნას ჩვენში, რომელიც რამდენიმე საუკუნით უსწრებს წინ დასავლეთის საერო მწერლობას.

უკვე მეთერთმეტე საუკუნისათვის ჩვენში ყველა საკირო პირობები იყო საერო მწერლობის შექმნისათვის; დაეწყოთ, პირველ ყოვლისა, ლიტერატურული ფორმიდან. ეკლესიური მწერლობის მძლავრმა განვითარებამ მეთათმეტე საუკუნისათვის მოგვცა ყოველ მხრივ დამუშავებული და ჩამოყალიბებული ქართული სამწიგნობრო ენა, რომელსაც შეძლება ჰქონდა გადმოეცა ყოველგვარი ნიუანსები ადამიანის სულისა და გონების მოძრაობისა. მწიგნობრობა XI საუკუნეში სასულიერო პირთაგან და ეკლესია-მონასტრებიდან გადავიდა შეუარებით ფართო მასაში, საერო წრეებში, ამით სალიტერატურო ენა დაუახლოვდა ხალხურ ენას. საკმაო იყო ამ ენის ცოტაოდენი შაზავება ხალხური ენის ნორმებით, მისი ლექსიკითა და ფორმებით, რომ ჩვენ წინ გადაშლილიყო ისეთი მარგალიტები ჩვენი უადრინდედესი საერო პროზისა, როგორცაა ვისრამიანი და ამირანდარეჯანიანი. მეორე მხრით, საეკლესიო პოეზიის ნიმუშებმა, ეგრეთწოდებულმა იამბიკოებმა, მათი მარცვალთა გარკვეული როდენობით, განსაზღვრული ცეზურით და მარტივი, უღარიბესი რითმის ჩანასახით, ხელი გაუწოდა ხალხური სიტყვიერების წიალიდან ამოგლეჯილ სილაბურტონურ რაფსოდისა და მოგვცა ის წარმტაცი, ნარნარი და მოპაიბლავი ლექსი, რომელიც ჩვენ გვაქვს კლასიკური პერიოდის ძეგლებში.

რაც შეეხება შინაარსს, სიუჟეტს, ამ მხრივაც დიდხანია მომზადებული იყო ნიადაგი საერო მწერლობის განვითარებისათვის ჩვენში. ჩვენ არას ვიტყვით აღმოსავლური, ირანული, სადევ-გმირო ეპოსის შესახებ, რომელიც, უიქველად, უძველესი დროიდან შემოდიოდა და ზეპირი გადმოცემის გზით მყარდებოდა და ერცელდებოდა ჩვენში, იმ ეპოსის შესახებ, რომლის ნიადაგზე აღმოცენდა ჩვენში პირველი ყლორტები საერო მწერლობისა, — არა, ჩვენში ძველიდანვე იყო ტრადიციები საერო, მხატვრული ლიტერატურისა. ასეთი ტრადიციები მომდინარეობდა როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური წყაროდან. ერთერთს ჩვენს შრომაში ჩვენ გამოვარკვეით, რომ ჯერ კიდევ VII-VIII საუკუნეში ქართულად დაუწერიათ ერთი ნახევრად ისტორიული, ნახევრად პოეტური ნაწარმოები, რომელშიაც უხეად ყოფილა ელემენტები აღმოსავლური, ირანული ეპოსისა, სომხურ პრიზმაში გადატეხილი; ¹⁾ სამწუხაროდ, ეს შრომა ჩვენამდე დამოუკიდებელი არ შენახულა, მაგრამ მისი კვალი უნდა გვქონდეს ლეონტი მროველის სახელით ცნობილს მეფეთა ცხოვრებაში (XI ს.) ²⁾ ესეც საკმარისია იმის სათქმელად, რომ ჩვენს წინაპრებს საკმაოდ ადრე მუშავნიათ თავისებური მშენება და მისაღებლობა ზღაპრულ ელფერიან ნაწარმოებთა.

¹⁾ ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილისის უნივერსიტეტი მოამბე, III, 27-36.

²⁾ ჩვენ არ გვინდა გამოვიდეთ ფაქტიურ მასალათა ჩარჩოებიდან და ამიტომ ჩვენი დებულების განსმტკიცებლად არ მივმართეთ დაუსაბუთებელ მიმოთვას, ვითომც ჯერ კიდევ 8 საუკუნეში არსებობდა ქართულ ენაზე ფალაური ხოდაი ნამე.

უფრო მეტს ელემენტებს საერო მწერლობისას იძლეოდა დასავლეთის, ბიზანტიური, წყარო. მართალია, ბიზანტიური მწერლობა, ამ სიტყვის ნაძვილი მნიშვნელობით, არ გვაძლევს ჩვენ წმიდა ნიმუშებს საერო, მხატვრული მწერლობისას, ის არ გვაერთებს ჩვენ ანტიურ, კლასიკურ ბერძნულ მწერლობასთან, ენაიდან ბიზანტიურს საბერძნეთში გამოძახილი ანტიური ლიტერატურისა საქმოდ სუსტია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას თავისი მნიშვნელობა ქონია მაინც ჩვენთვის. სპორადიულად ამათუიმ ლიტერატურულ ძეგლში, როგორც ორიგინალურს, ისე ნათარგმნში, ჩვენ ვხვდებით ხოლმე ჰომეროსის უკვდავ ქმნილებათა, ილიადა-ოდისეისის, და მათი გმირების სახელა და ხსენებას. ასე, მაგალითად, ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში ნათარგმნ ტრაქტატში ბერძნული ანბანის შესახებ, რომელიც დიომედე გრამატიკოს ეკუთვნის, ჩვენ ვკითხულობთ: „ესრცთ აღესრულა კდ იგი ასოჲ [ბერძენთაჲ]. ამისათჳსკა მიაშგავსა ოპიროს რიცხჳ იგი კბ-თაჲ მათ წიგნთაჲ ებრაელთაჲ კდ-სა მას ასო-სა გამოსახულსა და აღრაცხილსა, და მანცა თჳსი იგი კელოვნეჲჲ ოლადოჲსი, კდ-ნი დაჩიბულნი, კდ-ითა მით ასოჲთა მიაშგავსა; ეგრეთეჲ კჳალად ოდჳსეჲს⁴¹. უფრო ხშირად ამ სახელებს ჩვენ ვხვდებით XI-XII საუკუნეთა ძეგლებში, რომლებშიაც, შესაძლებელია მართლაც, ისინი გადმოარულნი არიან არა ილიადა-ოდისეისისაგან უშუალოდ, არამედ რომელიმე სკოლაში სახმარებელი Compendium-იდან.⁴² სამაგიეროდ საეკლესიო-ბიზანტიური მწერლობის საშუალებით ჩვენში შემოდირდა და ვრცელდებოდა ცნობები ძველი ბერძნული მითოლოგიიდან; ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ითამაშეს ჩვენში იმ მწერლებმა, რომელნიც ახლო იდგენ ანტიურ კულტურასთან და უფრო მწეველ განიცდიდენ მის სიდიადეს. ვკულისხმობთ იმ მწერლებს, რომელნიც პოლემიკურის თუ სხვა მოსაზრებით თავიანთ ნაწარმოებში ხშირად ეხებოდენ ანტიურ კულტურას, კერძოდ მითოლოგიას. ასეთებია ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი და განსაკუთრებით გრიგოლ ნაზიანზელი. უკანასკნელმა თითქმის ამოწერა ბერძნული მითოლოგია თავის თხზულებებში; მას საგანგებოდ ასეთი თხზულებაჲ კი დაუწერია: „ზღაპრობანი, დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი“, და „იამბიკოჲ სასწავლოჲსა წილ წარმართთაჲსა, რომლისაგან განაყენა ქრისტიანენი იელიანე განდგომილმან“⁴³. გრიგოლის თხზულებანი ქართულადაც უთარგმნიათ ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში (ექვთიმე ათონელს)⁴⁴ და, რასაკვირველია, მათი საშუალებით ქართველი მკითხველები ითვისებდენ ძველი ბერძნული მითოლოგიის ცოდნასაც. დონე და ფარგლები ამ ცოდნისა თანდათან ღრმავდებოდა და ფართოვდებოდა ჩვენში, ასე რომ XI-XII საუკუნეთა მწერალნი ხშირად თავიანთი ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებების აშიებს აკობენ ამგვარი მითოლოგიური ხასიათის სქოლიებითა და განმარტებებით: „შეისწავე, ხრემკლოათჳს იტყჳს

¹⁾ ს. ყაუხჩიშვილი, შატერდის კრებულის სასწავლო წიგნი, ტფილ. უნივერსიტეტი, III, 130, 134.

²⁾ Н. Марр, Возникновение и развитие древне-грузинской светской литературы. ЖМНПросв. 1899 г. Декабрь. стр. 225.

³⁾ ვ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 204-205.

ოდესეანი ზღაპართომობხობელობაჲ, ვითარმედ იყენეს მრავალნი მორწმუნენი. მოსრულ და დიდად მლოცველნი დიოჲს მიმართ; ხოლო სხუანი ურწმუნო, ურჩ, ულოცაენი მისა მიმართ, რომელთათჳს ერთად ითქჳნ და ხრემვლოსათჳს, ხოლო კიცხულ იქმნა რაჲ დიოს განკუთვნილი ბრძენი ვინმე, რომელი იტყოდა: ყოელისა სიზღიდრისა და განმდიდრებისა და მის მიერ ქმნასა ესევეითარ არა განამდიდრებს დიოჲს მიერ“;¹ ანადა კიდევ: „მოსაწვევართ-მეტყუებად უწოდენ ტრაგიკელთა ფილოსოფოსთა, რომელთასა იტყჳან, ვითარმედ მოიწის რაჲ მოსაწვევარი რაჲმე უწვეველიო, მანქანებით, ესე იგი არს ღონისძიებით, შთამოიყუანიან ღმერთები რაჲმე და დაქსნიან მოწვეველი, ვინაჲ იმსხვერპლოდაო რაჲ იფიგენია, მანქანებით მოყვანებულმან არტემი მისცა ირემი და ალტაცებული კლვით განირინა იფიგენია“.² ცნობები ძველი კლასიკური მითოლოგიიდან ხშირად გვხვდება აგრეთვე აპოკრიფულს ჰაგიოგრაფიულს ნაწარმოებებში, რომელთა ტიპიურ წარმომადგენელად შეიძლება დავასახელოთ ქართულ ენაზე: „წამებაჲ პანსოფი ალექსანდრიელისაჲ“,³ რომელშიაც გადაშლილია თითქმის მთელი საწარმართო თეოგონია. ამგვარი მასალები, რომელთა გამრავლებას ხელი შეუწყო ჩვენს მწერლობაში, განსაკუთრებით, ეფრემ მცირემ, აღვიძებდა ჩვენს წინაპრებში გემოს ანტიური კლასიციზმისადმი და ხელს უწყობდა საერო მწერლობის ტრადიციების განმტკიცებას.

ამას რომ თავი დავანებოთ, ჩვენს უძველეს მწერლობაში შეგვიძლია ვიპოვოთ მთლიანი ნათარგმნი ნაწარმოებნი, დიდაქტური, ზნეთმოდერებითი ხასიათისა და შინაარსისა, ეგრეთწოდებული **სახეცხმეტყველი ან ფიზიოლოგია**,⁴ რომელიც გადმოთარგმნილია სომხურიდან VIII საუკუნის გასულს. ეს თხზულება, რომელიც შეიცავს ბიბლიურ მხეცთა და ცხოველთა თვისებების შესახებ დაკვირვებას მისტიკური და ზნეობრივი ხასიათის შენიშვნათა თანდართვით, თამაშობდა ჩვენს მწერლობაში პირუტყვთა ეპოსის როლს და ხელს უწყობდა ამგვარი თემების პოპულარიზაციას.

მეორე თხზულება, რომელსაც ამგვარივე, და უმეტესიც, მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საერო მწერლობისათვის ნიადაგის მოსამზადებლად, არის **ბალაჰვარე ან სიბრძნე ბალაჰვარისა**, რომელსაც „სულთამარგებელი მოთხრობა“ ეწოდება და მწერლობის ისტორიაში „სასულიერო რომანადაა“ მიჩნეული; ის მეტად გავრცელებული იყო მთელს საქრისტიანოში და ამიტომ ყველა ენაზეა ნათარგმნი, სხვათა შორის ქართულზედაც IX-X საუკუნეებში სირიული ენიდან. ეს თხზულება შეიცავს მთელს რიგს იგავებისას, რომელთაც ყოველდღიურს, პრაქტიკულს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა და გასაველი ჰქონდათ და ამავე დროს იძლევა მდიდარს სიუჟეტს სხვადასხვაგვარი მოთხრობებისათვის. მოთხრობებისავე ხასიათი ჰქონდა მრავალს ჰაგიოგრაფიულს ნაწარმოებს, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი უძველესი მწერლობა; განსაკუთრებით ამ მხრივ საყურადღებოა მსოფლიო მწერლობის ისტორიაში, კერძოდ ქართულისაშიც.

¹) გელათის მონასტრის ხელნაწერი №1, ფურ.572.

²) გელათის მონასტრის ხელნაწერი № 2, ფურ. 174.

³) C. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica, I, p. 48 - 59.

⁴) Н. Марр, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, т. VI.

„ცხოვრებაჲ წმიდისა ალექსისაჲ“,¹ რომელმაც ყველგან, ყველა ერთა მწერლობაში მიიღო ნამდვილი მოთხრობის ან რომანის ხასიათი. ასეთივეა ეგრეთწოდებული კლემენტინები და სექტანტების მიერ პოპულარულ რომანად ქცეულნი აპოკრიფულ—ჰაგიოგრაფიული თხზულებანი. არას ვამბობთ ისეთს ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა შესახებ, რომელნიც წარმოადგენენ გადმოკეთებას კლასიკური მითოლოგიურ-თეოგონიური თქმულებებისას. ბიზანტიური მწერლობიდან ჩვენს ლიტერატურაში შედარებით ადრე, VIII—IX საუკუნეში, გადმოსულა, როგორც ესა ჩანს მოქცევაჲ ქართლისაჲს ციტატიდან, ისტორიული რომანი ალექსანდრიანი ფსევდოკალისტენისა, რომელსაც მდიდარი ლიტერატურა აქვს თითქმის ყველა კულტუროსან ერთა შორის.² აზნაირად, თუ უფრო ადრე არა, მეცხრე საუკუნიდან ნაინც. მტკიცდება ჩვენში ტრადიციებჲ: საერო, მხატვრული მწერლობისა.

ამ ტრადიციების განმტკიცებას ხელს უწყობდა აგრეთვე წმიდა ქართული, ორიგინალური ჰაგიოგრაფიული მწერლობა. ჩვენ სახეში გვაქვს იმდენად არა შუშანიკისა და ჰაბოტფილელის მარტილობანი, რომელთაც განცეიფრებაში მოუყევართ რეალური ცხოვრების მიმზიდველად აღწერილობით, რამდენად გრიგოლ მერჩულის თხზულება „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“, რომელიც 951 წელსაა დაწერილი.³ ამ წმიდა ეკლესიურ-ჰაგიოგრაფიულს ნაწარმოებში ავტორს შეუტანია ნამდვილი რომანტიული კლემენტი. ასეთია, პირველ ყოვლისა, ეპიზოდი ზენონის შესახებ. მშობლების გარდაცვალების შემდეგ ზენონი და მისი და ობლად დარჩენ; „დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჯუებითა შეაქთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველ წარვიდის შავშეთს. ხოლო ზენონ ვითარცა ცნა, აღიჭურვა საჭურველითა მარტოდ და ამკედრდა ცხენსა და დევნა უყო“. მაგრამ დევნის დროს თქვა გულში: მე მოვკლავ თუ ის მომიკლავს, ორივე უჯერო და ჩემთვის შეუფერებელი იქნება, ამიტომ დაბრუნდა უკან და ბერად აღიკვეცა.⁴ მეორე ეპიზოდი ადარნასესა და მისი ცოლის ბევრელისა: „შესმენითა მეძავისა ქალისაჲთა, რომლისათანა იმრუშებდა იგი, უსამართლოდ განიშორა სიცრუითა სიძვისაჲთა სარწმუნოჲ ცოლი თვისი და წარგზავნა ქუეყანად თვისად აფხაზეთად“. ეს მეძავე ქალი მერე მან ცოლად შეირთო, ხოლო ბევრელი მონაზვნად შედგა ფერსათს და აღესრულა იქვე. ამ უკანონო საქციელისათვის ადარნასეს და მის შვილებს საძაგვიერო მიეწყოთ საშინელი სენის სახით, რომლისაგან ისინი განთავისუფლდენ მხოლოდ გულკეთილი-სა და უხეად შემანდობელის ბევრელი-ანასტასიას ლოკით.⁵ მესამე ეპიზოდი მოტანილია აქ აშოტ კუროპალატის ცხოვრებიდან; მის მიერ აშენებულს ციხე არტანუჯში მან, კანონიერ ცოლთან ერთად, დასვა მეძავე ქალი, რომელთანაც მრუშობდა. გრიგოლმა რამდენჯერმე ამხილა ის, მაგრამ, რომ არა გაუეიდა რა,

¹) C. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica, T. I, p. 161—165.

²) ქ. კეკელიძე, ლენტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილ. უნი-ვერსიტეტი, III, 47—51.

³) ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 148—153.

⁴) ნ. მაროი, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თავი 12.

⁵) იქვე, თავი 56.

მაეიდა მოულოდნელად არტანუჯში, როდესაც აშოტი იქ არ იყო, ამხილა მე-
დავი და არწმუნა შედგომოდა მას. მართლაც, ის მან წაიყვანა მერეს, ქალთა
მონასტერში, და იქ მონაზვნად აღკვეცა. აშოტი რომ შინ დაბრუნდა და საყუ-
რელი იქ არ პოვა, გამოიკითხა ყოველივე; როდესაც გაიგო საქმის ვითარება,
წავიდა მერეს და წინამძღვარს, ფებრონიას, სთხოვა დროებით გაეტანებია
მისთვის ის ქალი, რათა მისგან ჩაებარებია მას კლიტენი და საფასენი. ფებ-
რონიამ ისე შერისხა და ამხილა მას, რომ აშოტი იძულებული იყო შექირავებო-
საგან უნებლიედ ეთქვა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო“, და
უქანვე მიიქცა.¹

ამნაირად, უკვე IX—X საუკუნეებში მომზადებული იყო ნიადაგი, რომ
ჩვენში გადაშლილიყო თაიგული საერო, მხატვრული ლიტერატურისა, რასაც
ადგილი ჰქონდა XI საუკუნეში. რითა აიხსნება, რომ სწორედ XI საუკუნეში
დაწყვებულა ჩვენში საერო ლიტერატურა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით?

პირველ ყოვლისა ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ჰქონდა პოლიტიკურსა და
კულტურულ ფაქტორებს. მეთერთმეტე საუკუნიდან ქართველთა მოდგმის ტომე-
ბი გაერთიანდნენ და მათ შექმნეს საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ერთეული
წინააზიაში, რომელსაც საქართველო ეწოდა. ამ ერთეულმა საპატიო ად-
გილი დაიკავა საერთაშორისო ოჯახში; მას უკვე ადვილად ვერაგინ სთელავს,
მას ანგარიშს უწევენ ყველანი, ის ერთერთ ფაქტორთაგანი შეიქნა აღმოსავლე-
თის საერთაშორისო პოლიტიკისა. ეს სახელმწიფო იმდენად მოძლიერდა, რომ
ადვილად ამარცხებს მახლობელ, მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებს და უამრავი
სამხედრო დოვლათით ქვეყანას ამდიდრებს. გარეშე მტრებისაგან მოსვენე-
ბული, გარედან შემოტანილი ნადავლით განლაღებული, საქართველო ეკონო-
მიურად გამაგრდა, ამან ოპტიმისტური განწყობილება დაბადა ხალხში, ამიტომ
დაიჩრდილა გაჭირვება-დაკნინებისაგან გამოწვეულ პესიმიზმთან დაკავშირებუ-
ლი ასკეტიზმი და ასკეტიკური მიმართულება ცხოვრებისა. ერმა თვალები, გუ-
ლი და სული ზეციურ სამყაროდან ქვეყნად ჩამოუშვა, შეიგნო ამქვეყნიური სი-
ცოცხლის ღირებულება და მშვენება, იმაშიაც დაინახა იდეალი, რომელიც ადა-
მიანის დანიშნულებას შეშენის, ერთი სიტყვით, შეიმუშავა ამქვეყნიური იდეა-
ლები და მისწრაფებანი, რომელთაც, რააკვირველია, გამოიწვიეს, ეკლესიური
მწერლობის გვერდით, არა ნაკლებ მძლავრი ნაკადი საერო მწერლობისა. ამას-
ვე ხელი შეუწყო აგრეთვე კულტურულმა ფაქტორებმაც. მეთერთმეტე საუკუნი-
დან საქართველო კულტურულადც საკმაოდ დაწინაურდა, ის ამიერიდან ეჯიბ-
რება თვით კულტუროსან ბიზანტიას; ჩვენში შემოდის სხვადასხვაგვარი ფი-
ლოსოფიური მიმართულებანი, როგორც ბიზანტიიდან, ისე აღმოსავლეთიდან,
რომელთაც დააჩქარეს აზროვნების და მწერლობის გაეროვნება და ხელი შეუწ-
ვეს განსაკუთრებით სიყვარულის კულტის შექმნას. ამ მხრივ, პირველ
ყოვლისა, უნდა დავასახელოთ) ნეოპლატონიზმი; ნეოპლატონიზმი, რომ-
ლის კვალს ჩვენ IX—X საუკუნეში ვამჩნევთ, განსაკუთრებით გაიფურჩქნა
ჩვენში XI საუკუნეში; იმან გაათართოვა, როგორც ამბობს ნ. მარტი, გონე-

1) ნ. მარტი, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბილ.

რივი ჰორიზონტი ქართული საზოგადოებისა, მან დაამსხვრია ქართველთა სარწმუნოებრივ-ეროვნული აზროვნების ცალმხრივობა და უკიდურესობა და გაუადვილა მათ მკიდრო ლიტერატურული კავშირის გაჩაღება სამაჰმადიანო აღმოსავლეთთან.¹ ნეოპლატონურმა შეხედულებამ სიყვარულზე ხელი შეუწყო ჩვენში არა მარტო თავისებური ფილოსოფიური იდეოლოგიის შექმნას, არამედ ქალისადმი სიყვარულის კულტსაც. ნეოპლატონიზმი ანტიპოდი იყო იმ ქრისტიანული ასკეტიზმისა, რომელიც მხოლოდ ეკლესიურ მწერლობას ჰკვებავდა, ამიტომ მან მისცა იდეალები და სიუჟეტები საერო, ამქვეყნიური მწერლობისათვისაც.

მეორე იდეური მიმართულება, რომელიც ამავე მიზანს ემსახურებოდა ჩვენში, არის სუფიზმი. სუფიზმი აღმოცენებულია მაჰმადიანობის ნიადაგზე და მის წიაღში, თუმცა ნეოპლატონიზმის თვალსაჩინო გავლენითაც, და ის ჩვენში შემოდის XI-XII საუკუნეებიდან, ფეხს იკიდებს და იფურქვება XII-XIII საუკუნეებში. სუფიზმის მოძღვრების მთავარი ძარღვი შემდეგია: ადამიანი უნდა სცილობდეს განთავისუფლდეს თავისი საკუთარი მე-სა და ყოველგვარი გრძნობა-ნებისყოფის აქტებისაგან, დაივიწყოს თავისი თავი და, ღრმა ექსტაზისა და მატერიისაგან განთავისუფლების გზით, მხოლოდდა მხოლოდ სამარადისო მშვენების ტაძრად იქცეს. ყველაფერი ეს შესაძლებელია სიმთვრალისა და სიყვარულის საშუალებით; სიმთვრალესა და სიყვარულში ადამიანი ივიწყებს თავისთავს, ის უგრძნობელი ხდება და შეეზაყვება სამარადისო არსებას. სიყვარულით აღზნება იგივე სიმთვრალეა, სუფიზმის შეხედულებით; აი როგორ ახასიათებს ის სიყვარულს: „სიყვარული არის ჩაქრობა ნებისყოფისა და დაწვა ხორციელ სურვილთა და თვისებათა. მოვიდა სიყვარული და გამანთავისუფლა მე ყოველივე დანარჩენისაგან; სანამ შენ ფიზიკური ხარ, ვერ განიცდი სიმთვრალის სიტკბობას; სანამ შენ არ გასცემ შენს სხეულს, მანამ ვერ შეიგნებ სულის კულტს; სანამ სხეისი სიყვარულით შენ არ მოსპობ შენს თავს, როგორც ცეცხლს წყლითა, მანამდი ვერ შეხვალ არსებობის სფეროში. მეორედ განკითხვის დღეს მე წარედგები სიყვარულით ხელში და ვიტყვი: მე ამის, სიყვარულის, მიხედვით უნდა გამისწორდეთო.² აი, სწორედ ამისი შედეგი უნდა იყოს უმთავრესად სქესობრივი ურთიერთობის ანორმალობა რომელმაც თავი, იჩინა, განსაკუთრებით მაღალს წრეებში, ჩვენში XII-XIII საუკუნეებში, აგრეთვე ის რინდობა, რომელმაც ფეხი მოიდგა ჩვენში იმავე საუკუნეებში. ასეთი შეხედულება, ექვი არაა, დიდად შეუწყობდა ხელს სატრეიალო სიუჟეტების დამყარებასა და განმტკიცებას ჩვენს მწერლობაში.

ამნაირად, ყველა ზემოჩამოთვლილმა მიზეზებმა და მოიღვნამ შეასუსტა ჩვენში ასკეტიკურ-ეკლესიური სულისკვება და განწყობილება, რომელიც თავს იჩენდა ყველა დარგში და სფეროში ჩვენი ცხოვრებისა და რომელიც ასაზრდოებდა მხოლოდდა მხოლოდ სასულიერო-ეკლესიურ ლიტერატურას. აღნიშნულ ფაქტორთა ზეგავლენით XI-XII საუკუნეებში ასკეტიზმა ადგილი დაუთმო ამქვეყნიურ იდეოლოგიასა და სოფლმხედველობას, სიყვარული ღვთი-

¹) Іоаннъ Петрицскій, грузинскій неоплатоникъ XI—XII в.

²) Гольцигеръ, Лекція объ исламъ, переводъ А. Черновой. стр. 111.

სადმი, განსაკუთრებით ღვთისმშობლისადმი, შეიქმნა იმ ბაზად, რომელზედაც წარმოიშვა სიყვარული ქალისადმი. თუ წინათ ასკეტიკური მიდრეკილება, ღვთისადმი სიყვარული, უდაბნოებისაკენ ერეკებოდა მორწმუნეებს და ადამიანთა საზოგადოებას აცილებდა მათ, ეხლა, მსგავსად ამისა, ქალისადმი სიყვარული, მიჯნურობა, იპურობს მის ადვილს რამოდენადმე და მიჯნუვებს ერეკება ტყედ და ველად, შორს ადამიანებისაგან. თუ წინათ უმთავრესად ცასა და ზეციურ სამშობლოზე ფიქრობდენ, ეხლა ამქვეყნიურ სამშობლოზედაც დაიწყეს ფიქრი და ხრუნვა; თუ წინათ, ასკეტიკურ-ჰაგიოგრაფიული მწერლობის ზეგავლენით, ქედს იხრიდენ და მუხლს იყრიდენ სულიერი გმირებისა და ბუმბერაზების, ესე იგი წმიდანებისა და მარტივლების, წინაშე, ეხლა მათი ადგილი დაიკავეს რამდენადმე ამქვეყნიური ცხოვრების გმირებმა და ბუმბერაზებმა, ამათუიმ რეალურად არსებულმა, სამშობლოსათვის ჰირნახულმა და თავდადებულმა, თუ ცხოველი ფინტახით შექმნილმა, პირებმა, რომელნიც იქცენ მოთხრობა-თქმულებისა და შესხმა-ხოტბის საგნად.

აი ის ფაქტორები, პირობები და ნიადაგი, რომელზედაც შესაძლებელი შეიქმნა ჩვენნი საერო, მხატვრული მწერლობის აღმოცენება და განვითარება.

II.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ საერო ლიტერატურაზე, სახეში გვაქვს არა ის ტრადიციები და ელემენტები, რომელთაც ჩვენ ვხედავთ ჩვენს კულტურულ-ლიტერატურულს წარსულში ჯერ კიდევ VIII—IX საუკუნიდან, არამედ ნამდვილი ლიტერატურა, ამ სიტყვის საკუთარი, გარკვეული მნიშვნელობით; ასეთი ლიტერატურა, როგორც ვთქვით, XI საუკუნიდან იწყება ჩვენში. ამ საკითხს სპეციალურად შეეხო პროფ. ნ. მარჩი,¹ რომლის კატეგორიული განცხადებით არ არსებობს არავითარი საბუთი იმის სათქმელად, რომ ქართული საერო მწერლობა დაწყებულია XII საუკუნის დამდეგის აღრე. აღმოცენება ქართული საერო მწერლობისა, მისი სიტყვით, არ შეიძლება დადებულ იქმნეს დავით აღმაშენებელას მეფობის უკანასკნელი წლების მოშორებით, ესე იგი მისი დაწყების დროდ უნდა ჩაითვალოს დაახლოებით XII საუკუნის პირველი მეოთხედი. არგუმენტები ნ. მარჩისა ასეთია: 1) დავით აღმაშენებელმა გარშემოიკრიბა მგონები, რომელთაც ის მფარველობას უწევდა; 2) ჩვენ ვიცით, ამბობს ის, რომ ქართველები სპარსულ ენასა და სპარსულ კულტურას შკოლებში კი არ ეცნობოდენ და სწავლობდენ, როგორც ბერძნულს ენასა და მწერლობას, ანადა წინათ, უძველეს დროში, სომხურს, არამედ სპარსელებთან ცოცხალი ურთიერთობის და მისლვა-მოსლვის საშუალებითო. როდესაც ეს ურთიერთობა ცხოველი და ინტენსიური იყო, მაშინ სპარსული ლიტერატურული გავლენა უფრო მძლავრად იხენდა ხოლმე თავს, ხოლო, როდესაც სპარსელები დაშორებულნი იყვნენ ჩვენგან, როდესაც ჩვენსა და მათ შორის რაიმე შუაგედელი აღიმართებოდა, მაშინ ეს გავლენა და მისი კვალი თითქმის ისპო-

¹) Возникновение и развитие древне--грузинской светской литературы, ЖМН-Просв. 1899 г. Декабрь, стр. 223—252.

ბოდა, როგორც ეს მოხდა, თუგნებათ, მონოლოთა ბატონობის ხანაში. ამ თვალსაზრისით სპარსული ლიტერატურული ტალღა და ტრადიციები ჩვენში პირველად უნდა შემოქრილიყო და, მაშასადამე, ქართული საერო ლიტერატურა უნდა დაწყებულიყო, პირველად მაშინ, როდესაც სპარსეთი გეოგრაფიულად საქართველოს დაუახლოვდა; ეს დაახლოება და ურთიერთობა ხდებოდა სპარსეთის ჩრდილო-დასავლეთის პროვინციების; ვერეთოდებულის შარვანისა და ადრბეიჯანის, საშუალებით, რომელნიც საქართველოს მომარჯნავე პროვინციებად ითვლებოდნენ. მაგრამ ამ პროვინციებიდან სპარსული ლიტერატურული გავლენა და ნაკადი შემოვიდოდა ჩვენში მხოლოდ მას შემდეგ, რაც აქ, ამ პროვინციებში, გაიჭურჩქნა და აყვავდა სპარსული ლიტერატურა, ამას კი ადგილი ჰქონდა მხოლოდ XII საუკუნის დამდეგიდან; მაშასადამე ამაზე ადრე ვერც ჩვენში იჩენდა თავს ნამდვილი საერო მწერლობა, რომელიც სპარსული ლიტერატურით იკვებებოდა და იზრდებოდა.

რა გვეთქმის ამ შეხედულების შესახებ?

პირველ ყოვლისა, თუ დავით აღმაშენებელს მგოსნებს მფარველობას უწევდა და, ეს კიდევ იმის ნიშანი არ არის, რომ მხოლოდ მის დროს დაიწყო ჩვენი საერო მწერლობა. საქმე ისაა, რომ დავითი არა ქართველ პოეტებს მფარველობდა მარტო, რომ გვეფიქრნა, რომ ასეთი მეცენატობა გამოწვეული იყო ჩვენში მშობლიო ლიტერატურის დანერგვის სურვილით, არამედ მაჰმადიან მგოსნებსაც: მაჰმადიანი ისტორიკოსი ალ-აინი († 1460) გვაძენებს, თუ რა მფარველობას უწევდა დავითი მათ მქადაგებლებს, სუფიებს და მგოსნებს, რომელთაც ტფილისში თავშესაფარი სახლი აუშენა და პენსიაც დაუნიშნა.¹ მეორე, ჩვენ არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში ცნობები არ შენახულა იმის საწინააღმდეგოდ, რომ მისი წინადროის მეფეები ასეთსავე მფარველობას არ უწევდნენ ჩვენს მწერლობას. მესამე, ჩვენ ისიც ვიცით, რომ დავითის შემდეგდროის მეფეები, განსაკუთრებით თამარი, თუ მეტს ანა, ყოველ შემთხვევაში ნაკლებ მფარველობას არ უწევდნენ მგოსნებს, რომ გვეფიქრნა, რომ ასეთი მფარველობა ჩვენში გამოწვეული იყო მხოლოდ ახალდაბადებული მწერლობისათვის ზრუნვით. დავითი დიდს, ყოვილ შემთხვევაში არა ნაკლებს, ვიდრე საერო მწერლობას, ყურადღებას აქცევდა აგრეთვე სასულიერო-ეკლესიურ მწერლობას, რომელსაც მის დროს შვიდი საუკუნის ისტორია ჰქონდა. ასეთი მეცენატობა და მფარველობა აიხსნება საზოგადოდ დავითის პიროვნებითა და აღმშენებლობითი მუშაობით და არა რაიმე ქრონოლოგიური ხასიათის მოსაზრებით; პირიქით, თუ ის მფარველობას უწევდა მგოსნებს და მათ გარშემოიკრებდა, ეს იმისი მომასწავებელია, რომ ასეთი მგოსნები მის დრომდეც ყოვლიან ჩვენში და, მაშასადამე, საერო მწერლობაც მხოლოდ მის დროს არ დაწყებულა.

უცილობელია, რომ ჩვენი საერო მწერლობა უმთავრესად დაიწყო და გაიჭურჩქნა სპარსული ლიტერატურის ზეგავლენით, რომელიც მას აძლევდა შინაარსს, პირველ ხანებში მაინც; მაგრამ არა გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ სპარსულ-ქართულმა კულტურულ-ლიტერატურულმა ურთიერთობამ მხოლოდ

¹ M. Brosset, Additions et Eclair. p 251.

XII საუკუნიდან იჩინა თავი. თვით ნ. მარჩის გულახდილი განცხადებით სპარსული ენისა და ლიტერატურის ცოდნას საქართველოში დავით აღმაშენებლის დრომდეც ექნებოდა ადგილი, მანემდინაც, ალბად, ეცნობოდნენ ქართველები სპარსულ სადევ-გმბრო და რომანტიულ პოემებს (გვ. 240). მართლაც, ისტორიული მოსაზრებანი სულ სხვანაირად წარმოგვიდგენენ საქმის ვითარებას. ჩვენ ვიცით, რომ სპარსეთში ეროვნული ლიტერატურული მოძრაობა დაიწყო ჯერ კიდევ IX საუკუნიდან; პირველი მგოსანი, რომელსაც ახალ სპარსულ ენაზე დაუწერია ლექსი, გარჯოკემით, იყო აბბასი (809 წ.). მართალია, პირველი ორი ეროვნული დინასტიის დროს, ტახტირდებისა და საჟარიდებისას, სპარსული ლიტერატურა ნელის ნაბიჯით მიდიოდა წინ, მაგრამ მესამე, სამანიდთა, დინასტიის, განსაკუთრებით, მისი ერთერთ წარმომადგენლის ამირა ნასრა მეორის (914—942) დროს, ის შესაძენველ დაწინაურდა; ნასრას სასახლე საევე იყო პოეტებით, რომელთაც ის მფარველობას უწევდა. ზედმეტია ლაპარაკი მეოთხე, ლაზნევიდელთა, დინასტიის შესახებ; საკმაო მოვიგონოთ წარმომადგენელი ამ დინასტიისა მაჰმუდი (993-1030), რომელიც უდიდეს მეცენატადაა ცნობილი სპარსული ლიტერატურის ისტორიაში; მის კარს ამკობდა მთელი ხომლოწესანიშნავი, გამოჩენილი მგოსნებისა, რაფელთა მეთაურად და დამამშენებლად სამართლიანად ითვლება ტუსის მგოსანი ფირდოუსი; 1041 წელს ლიტერატურულ ბრწყინვალება მაჰმუდის მეფობისა ფირდოუსმა დააგვირგვინა თავისი უკვდავი შაჰნამეთი ანუ მეფეთა წიგნით. მაჰმუდის დროიდან ჩვეულებად იქცა, რომ თვითეული დინასტიის წარმომადგენელი უაუოდ პოეტთა და მგოსანთა მჟარველი და გარშემომკრები უნდა ყოვილიყო; ამ ჩვეულებამ გზა გაიკაფა სპარსეთის ყველა პროვინციებში, კერძოდ, რასაკვირველია, შირვანსა და ადერბეიჯანშიაც. ერთი სიტყვით, X-XI საუკუნეებში სპარსული ლიტერატურა ბადრი მთვარესავით გადიშალა, ასე რომ მას სხაეებს მაშინაც შეუქლო მოეწია ჩვენამდე; საჭირო არ იყო ამისათვის უთუოდ დავით აღმაშენებლის ხანისათვის ლოდინი.

მართლაც, ახალს სპარსულ ენას ქართველები გაკილებით ადრე, ჯერ კიდევ IX—X საუკუნეში, იცნობდნენ საკმაოდ, და არა მარტო საერო წრეები, არამედ სასულიერო-საეკლესიოც, ისე იი პირებიც კი, რომელნიც ეკლესიურ ლიტერატურის წარმომადგენლად ითქვებოდნენ და რომელთაც თითქოს არაეითარი საერთო არ უნდა ჰქონოდათ სპარსულ კულტურასა და ენასთან. მაგალითად, ავტორი წმ. ნინოს შატბერდული ცხოვრებისა, რომელიც დაწერილია IX საუკუნის გასულს, თუ. უკეთ, მეათე) დამდეგს,¹ მცოდნეა ახალი სპარსული ენისა; მას თავის თხზულებაში შეუტანია მთელი წინადადება ამ ენაზე: „რასთ მეგოა ხოჯასთა ბანუ ე რასული ფსარი იზად“.² ესევე უნდა ითქვას მეთერთმეტე საუკუნის შესახებ: ეხლა კიდევ უკრო გაუართოედება წრე სპარსული ენისა და ლიტერატურის მცოდნეთა. და მართლაც, სპარსული მწერლობით სარგებლობდა

¹) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 578—9.

²) E. Такайшвили, Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинъ II, 755.

ისეთი ორთოდოქსალური წარმომადგენელი ეკლესიური მწერლობისა, როგორც იყო ეპისკოპოზი ლეონტი მროველი; ცოდნას სპარსული ენისა და ლიტერატურისას იჩენს ის თავის საისტორიო შრომაში, რომლისთვისაც მას მიუძღვნა სახელწოდება მეფეთა ცხოვრება, ვფიქრობთ, ფირდოუსის „მეფეთა წიგნის“ ანალოგიით. სპარსული ფრაზა მოჰყავს მას ვახტანგ გორგასლანის ცხოვრებაში, როდესაც აღნიშნავს, თუ რას უწოდებდნენ მას სპარსელები: „დროზანდუ-რაზგორგასარა“.¹ სკოდნია მას სპარსული ლიტერატურული ტრადიციები, რომელიც გადმოცემულია მის მიერ მოყვანილს შინაარსში ეგრეთ წოდებულის ნებროთის წიგნისა,² რომლის შესახებ ნათქვამია მის მიერ გადმოთარგმნილს აპოკრიფში: „წიგნი, რომელი ისწავა ნებროთ იანიტან გრძნეულისაგან, არა შეიწყნარეს მოძღვართა ეკლესიისათა, აზისთეს, რაჟეთუ ვარსკულაეთ რიცხუა არს, არამედ სპარსნი უწოდენ ღირსად წმიდად, ხოლო ბრძენნი უწოდენ ვარსკულაეთ რიცხუად წიგნსა მას, ხოლო მოგუნი ფედ სახესდებენ, რომელ არს წიგნი სიტყვსა; ესე არს წიგნი გრძნებისა და მოძღვრებაჲ ეშმაკთა სიბილწისაჲ, და უმეყარნი იტყვან, ყითარმედ ქეშმარიტ არსო, ხოლო არს კარი გრძნებისა“.³

არც ისაა საესებით მართალი და შესაწყნარებელი, ეითომც სპარსეთთან ურთიერთობა და მისელა-მოსელა მხოლოდ მეთორმეტე საუკუნიდან დაიწყო. ექვს გარეშტა, ასეთი ურთიერთობა და მისელა-მოსელა, პოლიტიკურ-დიპლომატიური თუ აღებ-მიცემითი ხასიათისა, წინათაც იქნებოდა. სხვა არა იყოს რა, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაშიც კი გვაქვს დარჩენილი ერთერთი ფაქტი ასეთი ურთიერთობისა. აქ ნათქვამია, რომ გიორგის მამა იაკობი „იყო ერთგულთგანი და საკუთარი ღმრთისმსახურისა მეფისა გურგენისა,“ და საქმისა რომლისათვისმე საერთგულოჲსა მოციქულად წარიელნა მეფისა მიერ სპარსეთსა, სადაც მას „ნებითა ღმრთისაჲთა კეთილად განემარჯუა და მშვიდობით მოიქცა და მეუე დიდად მოიძალდა“.⁴ ამნაირად, ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს, და უფრო ადრეც, განმტკიცებული ყოფილა ქართველი ერის და სპარსელების პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა, მასასადამე, სპარსული ლიტერატურის გავლენა ჩვენში და, აქედან კი, დასაწყისი ქართული საერო მწერლობისა შესაძლებელი იქნებოდა, თუ უფრო ადრე არა, მეთერთმეტე საუკუნის დამდეგიდანაც. მართლაც, ეს რომ ასეა, ამას ჩვენ დაინახავთ მაშინ, როდესაც ლაპარაკი გვექნება შაჰნამესა და ამირანდარეჯანიანის შესახებ, რომელნიც, ჩვენის აზრით, სწორედ მეთერთმეტე საუკუნეში გადმოუთარგმნიათ თუ გადმოუკეთებიათ ქართულად.

1) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 160. ვახტანგის ცხოვრებას ჩვენ ლეონტი მროველის მეფეთა წიგნის ნაწილადა ვსთვლით; იხ. ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი და მისი ისტორია, კრებული ჩენი მეცნერება № 4. გვ. 17-47.

2) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 86-87, 122-123.

3) სიძე. მუხ. ხელნ. № 153. გვ. 141-143. კ. ქეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილ. უნივ. მოამბე, III, 45-46.

4) ტექსტში შეცთომით სწერია გიორგისთა.

5) ათონის კრებულის, გვ. 285-286.

თავისთავად ცხადია, XII საუკუნიდან გავლენა სპარსული ლიტერატურისა ჩვენს მწერლობაზე უფრო უნდა გაძლიერებულაყო, ვინაიდან შირვანისა და ადერბეიჯანის გზით საქართველო უფრო დაუახლოვდა სპარსეთს. საქვე ისაა, რომ XII საუკუნის დამდეგს დაკით აღზაშენებელმა ერთი თავისი ქალა, თამარი, მიათხოვა შირვანის შაჰს აღსართანს; ამი შესახებ შემატიანე გადმოგვცემს: „ასული თჳსი კაჳა გავზენა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისა, რამეთუ პირველ ამისა პირქუთ ასული თჳსი თამარი გავგზაენა დედოფლად შირვანისა, რათა, ვითარცა ორნი მნათობნი, ერთი აღმოსავლეთს და ერთი დასავლეთს ციხროვან ჰყოფდენ სუეროსა, მამასაგან მიჰლუბელნი მზეუბრთა შარაყანდელთანი“.¹ ამის შემდეგ შირვანი, თითქმის ორი საუკუნე, საქართველოს ვასალურ დამოკიდებულებაში იყო; ამიტომ, რასაკვირველია, კავშირი მათ შორის უფრო განმტკიცდებოდა, ეს კავშირი იქამდე მიდიოდა, რომ ფულის მოსაპყრელად მცოდნე პირებს შირვანიდან იწერდენ ხოლქე. რაც შეეხება ადერბეიჯანს, ამასთან განწყობილება მეთერთმეტე საუკუნეში გარკვეულ ხასიათს მიიღო; განწყობილება ესე იყო ხან მეგობრული. ხან კიდევ მტრული, უფრო კი თამარ დედოფლისა და ათაბაგის ბობქარის ანუ აბუბეჟრის დროს. შირვანისა და ადერბეიჯანის შაჰები სტილობდენ გარშემოცობათ და დაემშვენებიათ თავიანთი სასახლეები საუკეთესო მგოსნებით, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას შირვანშაჰის აღსართანის შესახებ, რომელიც დიდ მჟარველობას უწევდა მგოსნებსა და მწერლებს. შირვანშაჰის კარზე იმყოფებოდა შესანიშნავი მესობტე ხაკანი († 1199) და რომანტიკოსი ნიზამი († 1233), რომელსაც აღსართანმა წინადადება მისცა დაემუშაებია ლეილა-მეჯნუნიანი. ამავე ნიზამს ეარშიებოდა აგრეთვე ადერბეიჯანის ათაბაგი აბუბეჟრი, რომელსაც უნდა გადმოუბრებია ის თავის სასახლეში და სთაოვდა მას მიეძღვნა მისთვის ის ხანდერ-ნამე. თავისთავად ცხადია, რომ შირვანისა და ადერბეიჯანიდან იქ აღზნებული ლიტერატურული ნაკადი ჩვენშიაც გადმოვიდოდა; ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ პოეტი ნიზამი იყო განჯიდან, ალბად ის საქართველოშიაც ყოფილა, მას, უფველია, იცნობდენ თანამედროვე ქართველი მგოსნები და არა მარტო მას, არამედ სხვა პოეტებსაც, ყოველ შემთხვევაში შირვანიდან შირვანშაჰები ხშირად მოდიოდენ ჩვენში თავისი ამალით, რომელშიაც. ალბად, მგოსნებიც იყვნენ. მაგალითად, თამარ დედოფლის ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ აღსართან მეორე (შვილისშვილი დავითის ასულის თამარისა), რომელიც ნიზამს აწეთს მჟარველობას უწევდა, ორჯერ მოსულა ჩვენში თამარის დროს: პირველად თამარის ხელის საქმენელად (1188 წელს), ხოლო მეორედ აფერბეიჯანიდან გამოძევებულის ათაბაგის ამირ-მირანის თანხლებით დახმარების სათხოვნელად (1193—4 წლებში); ცხლა სტუჟრებისათვის გაუპარზნიათ დიდი ნაღმი, რომლის დროს „იყო ზმა. მგოსანთა და მოშაითთა“.² უნდა ვიგულისხმეთ, მომხდარა ერთგვარი ზმობა ან შეჯიბრება ქართველ და შირვანელ მგოსანთა შორის. ექვს გარეშეა, ყველა ამას გავლენა ჰქონდა ჩვენი მწერლობას ზრდა-განვითარებასა და წარმატებაზე.

¹ ქართლის ცხოვრება მარკან დედოფლისა, გვ. 219.

² იქვე. გვ. 219.

როგორც სპარსეთსა და საქართველოს მომიჯნავე პროვინციებში მწერლობა უფრო მეტად კარზე ლევიოდა, ისე ჩვენშიაც მან მიიღო ხასიათი კარის ლიტერატურისა; როგორც იქ მეფეთა კარზე იყო თავმოყრილი ყველა ლიტერატურული ძალები, ისე აქ, ჩვენშიაც; ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ყველა, ცოტად თუ ბევრად ცნობილი; მწერალი XII—XIII საუკუნეებისა, რომლებიც, გადმოცემით, რაიმე დიდი თანამდებობის პატრონი იყვნენ მეფის კარზე, ცხოვრობდნენ სასახლეში, როგორც კარის მგოსნები. ამიტომაც ჩვენმა ლიტერატურამ აღნიშნული ხანასამ მიიღო ხასიათი კარის მწერლობისა ყოველივე მისი დამახასიათებელი თვისებებით. სპარსეთის ლიტერატურის გავლენამ განსახლურა აგრეთვე შინაარსი ზვენი საერო მწერლობისა; ზვენი მწერლობა XI—XIII საუკუნეებისა სამს უძთაფრესს ხაზს გვაძლევს: 1) სპარსულს ლიტერატურაში გამეფებული იყო სადღე გმირო ეპოსი, რომლის საუკეთესო გამოხატველია ფირდოუსის შაჰნამე და რომლის შინაარსს შეადგენდა ძველი ირანული და არაბული სადღე-გმირო ამბები, ზღაპრები და ისტორიულ პირთა შესახებ ლეგენდარული თქმულებანი. ასეთი ამბები საქართველოშიაც, უეჭველია, მოწონებული უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ისინი საუცხოოდ უღგებოდა და რამდენადმე ასურათებდა კიდევაც მის გმირულს, რაინდულს ცხოვრებას, რომელიც სავსეა ამათუიმ ნაჰდილ, ისტორიულ თუ მოგონილ პირთა სადღე-გმირო და რაინდული საქმეებით. მართლაც, ამ ნიადაგზე წარმოშობილა ჩვენში ამირან-დარეჯანიანი, როსტომიანი, დილარიანი და სხვა ამისთანა სადღე-გმირო პოემები.

2) სპარსულს ლიტერატურაში სადღე-გმირო მოთხრობებთან და პოემებთან ერთად დიდი გასავალი ჰქონდა აგრეთვე სატრფიალო და სამიჯნურო მოთხრობებსაც, რომლებშიაც გაღმერთებულია ქალ-ვაჟის სიყვარული. ასეთ ნაწარმოებს ჩვენშიაც ბევრი მკითხველი უნდა ჰქოლოდა, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, აქ უმწვერვალესად განვითარებული იყო ქალის კულტი, ქალისადმი სიყვარული, პატივისცემა და მისთვის რაინდულად თავის დადება. ამისათვის ამ ნიადაგზე აქ აღმოცენდა ისეთი ნათარგმნი ნაწარმოები, როგორიცაა ვისრამიანი და ლეილა-მეჯნუნიანი, ანა და ორიგინალური—გეფხის ტყაოსანი.

3) სპარსულს მწერლობაში მგოსნები თავისი ჩანგის საგნად იხდიდნენ ხოლმე ხშირად ამათუიმ ისტორიულ პირს, რომელსაც ხოტბას ან შესხმას უძღვნიდნენ. ასეთი შესხმა-შექების საგანი ჩვენში, ჩვენს წარსულსა თუ აწმყოში, მრავალად მოიპოვებოდა: მთელი დიდება მაშინდელი საქართველოსა შექმნილი იყო ასეთი პირების თავდადებითა და დაუღალაუი შრომით. განსაკუთრებით ამ მხრივ საერო ყურადღება დაუმსახურებია თამარის ღეთაებრივის, ცურუ სახესა და პირბრუნებას; ამ ნიადაგზე წარმოშობილა ჩვენში მთელი რიგი პოეტებისა, რომელთაც ასეთი შესხმა-ხოტბა უწერიათ და რომელთა სახელი და ნაწარმოები უმეტეს შემთხვევაში დაკარგულია, ჩვენდა სამწუხაროდ.

III.

ძველი ქართული საერო მწერლობის ისტორია სამ პერიოდად განიყოფება; ერთია ეგრეთწოდებული ოქროს ხანა, რომელიც ორს საუკუნეს შეიცავს: დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნის ნახევრიდან მეცამეტე საუკუნის

ნახერამდე; მეორე-დაცემის ან დაკნინების ხანა, მეცამეტე საუკუნის ნახერიდამ მეოთხმეტეს გასვლამდე, და მესამე—აღორძინების, სხვანაირად ვეცხლის ხანად წოდებული, მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგიდან მეცხრამეტემდე.

1) პირველი პერიოდი ცნობილია, როგორც ვთქვით, ოქროს ხანად; რასაკვირველია, ასეთი სახელი გულისხმობს არამართო საერო მწერლობას აღნიშნული დროისას, არამედ სასულიერო-ეკლესიურსაც. საზოგადოდ მთელს ჩვენს მწერლობას, როგორც საეროს, ისე სასულიეროს. სხვანაირად წარმოუდგენელია: შეუძლებელია, რომ მწერლობას, საერო იქნება ის თუ სასულიერო, დაწებებისთანავე ოქროს ხანა მოეცა, და საერო მწერლობა ხომ, როგორც უკვე ვთქვით, ამ პერიოდში დაიწყო. თუმცა, თუ ზოგადი შთაბეჭდილება გვექნება სახეზე, ეს სახელწოდება არსებითად მართალია: ამ პერიოდმა მოგვცა ჩვენ საერო მწერლობაშიც საუკეთესო, შეუდარებელი ნაწარმოებები, როგორც ფორნის მხრივ, ისე შინაარსით, ისეთი ნაწარმოებები, რომელნიც სამაგალითოდ, მისაბაძად შეიქნენ შემდეგი დროისა და პერიოდისათვის; ასე რომ ამ პერიოდის შემოქმედებას სამართლიანად კლასიკური ხანის შემოქმედება ეწოდება.

რამ შეუწყო ხელი ასეთი ეპოქის შექმნას ჩვენში, ჩვენს მწერლობაში? ორი მიზეზი იყო ამისა უმთავრესად: პოლიტიკური და კულტურული. როგორც უკვე გვქონდა ლაპარაკი, მეთერთმეტე საუკუნეში, მინემდე სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ქართველებად დანაწილებული, ქართველები გაერთიანდნენ და შექმნეს ერთი მთლიანი პოლიტიკური ორგანიზმი, ერთი ნაციონალურ-კულტურული ტერიტორია, რომელმაც საპატიო ადგილი დაიკავა წინააზიაში. პოლიტიკურმა სიძლიერებმა ყველა თავისი პოლიტიკური შედეგებით, გამოიწვია ეკონომიური აყვავება ერისა, ამან კი შექმნა საუკეთესო პირობები კულტურული აყვავებისათვისაც. ორი ძლიერი კულტურის, ირანულ-აღმოსავლურისა და დასავლურ-ბიზანტიურის, ჯვარედინში მოქცევამ ისე აამაღლა ჩვენი კულტურული დონე და კულტურულ-ეროვნული თვითშეგნება, რომ ქართველები ერთგვარ მეტოქეობასაც კი უწყევნ ისეთს ძლიერსა და განათლებულს სახელმწიფოს, როგორც იყო ბიზანტია. დამახასიათებელია ამ მხრივ მეთერთმეტე საუკუნის მოღვაწის, გიორგი ხუცეს-მონაზონის, სიტყვები წინადროის მოღვაწეთა კულტურული მუშაობის შესახებ: „ნაკლულევენებამა ენისა ჩუენისაჲ აღავსეს და რომელნი ესე ბარბაროზად წოდებულ ვიყვენით ელენთა მიერ უსწავლულობისათვის და უმეტრებისა ჩუენისა, მათთანე აღგვრაცხნეს ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა მათათაო.“¹ ამნაირად ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში სთვლიდნენ თავიანთ თავს ელენთა ან ბერძენთა სწორად კულტურის მხრივ, მაშასადამე, თქმა არ უნდა, უფრო მაღლა დააყენებდნენ ისინი თავიანთ თავს იმ მუსულმანებთან შედარებით, რომელნიც მათ მეზობლად ცხოვრობდნენ. მათ შიეთისეს ნაყოფი როგორც ბიზანტიურის, ისე აღმოსავლურ-მამაღდიანური კულტურისა, და ამ გარემოებამ მართლაც რომ კლასიკური ხანა შექმნა როგორც ეკლესიურის, ისე საერო ლიტერატურის ისტორიაში.

¹) ათონის კრებულში, გვ. 284.

კლასიკური პერიოდი ჩვენი საერო მწერლობისა თავის მხრივ ორ ნაწილად შეიძლება გაყოფილ იქნეს. პირველს ხანაში, რომელიც შეიცავს დაახლოებით ერთს საუკუნეს, მეთერთმეტე საუკუნის ნახევრიდან მეთორმეტე საუკუნის ნახევრამდე, საერო მწერლობას ჯერ თამამად და მთლიანად ვერ გაუშლია ფრთები, ვერც შინაარსის მხრივ, ვერც ფორმის. ამ ხანაში ეს მწერლობა გამოუკლებლივ სპარსულ ნაწარმოებთა თარგმანებით ამოიწურება, ორიგინალურს, ეროვნულს აქ ადგილი არ აქვს. ამავე დროს, ყველაფერს, რასაც კი სთავაზობდა, სთარგმნიან პროზით, ისეთ ნაწარმოებსაც კი, რომელიც სპარსულად ლექსად დაწერილი. რაც შეეხება ენას ამ ნათარგმნ თხზულებებისას, ის ჯერ კიდევ განიცდის მძლავრ გავლენას ძველი, ეკლესიური სამწერლო ენის ნორმატივების, როგორც ფონეტიკურად და მორფოლოგიურად, ისე სინტაქსურად და ლექსიკურად; პროცესი გაეროვნებისა აუცილებლად დაწყებულია, მაგრამ დამთავრებული ჯერ-ჯერობით არაა. ამ ხანას უნდა ეკუთვნოდეს ამირანდარეჯანიანი, კლასიკური და შანამე.

მეორე ნახევარი პერიოდისა, რომელიც ერთს საუკუნეს გრძელდება, მეთორმეტე საუკუნის ნახევრიდან მეცამეტეს ნახევრამდე, ნამდვილი კლასიკური ოქროს ხანაა; ეხლა მძლავრად გაუშლია ფრთა ქართველთა შემოქმედებითი ნქსა და ფანტაზიას და იმდენი ძალა შემოუყრება, რომ სპარსული ენიდანვე ნათარგმნ ნიმუშებთან ერთად, მოუცია ისეთი მარგალიტები ორიგინალური შემოქმედებისა, როგორცაა ვეფხისტყაოსანი თამარიანი და დავით აღმაშენებლის და თამარის ქებასთან თითქმის გაეროვნებული; შემკული და შეზავებული ცოცხალი ხალხური საღაროდან ამოღებული ლექსიკური მასალით, რომელსაც ეტყობა ტენდენცია უცხო მასალის შესუსტებისა და შემცირებისა. თხზულებები იწერება თუ ითარგმნება როგორც პროზით, ისე საუცხოვო, ნარნარი ლექსით, რომელიც გვაძლევს მდიდარ სხვადასხვაობას ქართული ეკრსიფიკაციისა, რასაც ვერცხლო, იმავე ხალხური სტიქომეტრიის ზეგავლენით.

მეორე პერიოდი ქართული საერო ლიტერატურის ისტორიისა არის დავითის, დაკნინების ხანა. მონღოლთა შემოსევით და გაბატონებით ნამდვილი კულტურული მოხდა ჩვენს კულტურულს ისტორიაში; ყოველგვარი მონაპოვარი ჩვენი კულტურული ცხოვრებისა მოისპო თითქმის, დაინგრა და გავერანდა ქალაქები, დაბები და სოფლები, შეიმუსრა განათლებისა და მწერლობის ცენტრები როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც. ეხლა ყველა იმასთვის ზრუნავს, რომ როგორმე ფიზიკურად არსებობა გადაირჩინოს და შეინარჩუნოს, ამ პირობებში კი, თავისთავად ცხადია, შეუძლებელი გახდებოდა ლიტერატურული უშაობა და შემოქმედება მონღოლთა ბატონობამ სხვაგვარადაც შეუშალა ხელი ჩვენი საერო მწერლობის განვითარებას. საქმე ისაა, რომ ისინი შეაკედლად აღეპართენ ქართველებსა და სპარსელებს შორის, იმათ გააცალკევეს ისინი. მონღოლთა ბატონობამ, რომელმაც ქართველები გამოიწვია მოქმედების ფართო ასპარეზზე და შორეულს ლაშქრობა-ომიანობაში ჩააბა, გააბატონა ჩვენში სხვა, ახალი და უცხო, მონღოლური კულტურა, შეასუსტა სპარსული გავლენა ჩვენს ცხოვრებაში და სპარსულს ენას ნიადაგი გამოაცალა. ცხადია აქედან, რომ ამასთანავე ნიადაგი უნდა გამოსცლოდა სპარსულ ლიტერატურულ გავლენ-

ნასაც ჩვენში, რომელიც, როგორც ვიცით, ასაზრდოებდა ჩვენს საერო მწერლობას. აი ყველა ამას მეოხებით მთელი სამი საუკუნის განმავლობაში ჩვენი ლიტერატურული პორიზონტი საშინელმა წყედიადმა მოიცო, და არამც თუ აზაუერ ახალს ამ ხანაში ჩვენ არ ეხედავთ, წინადროის ლიტერატურული მემკვიდრეობაც კი განიად და დაიშრიტა. დაეწყებულ იქმნა თითქმის მთლად წინადროის, კლასიკური ხანის, ლიტერატურული ტრადიციები და დაიკარგა და გაირყვნა მრავალი ლიტერატურული ძეგლი.

მესამე პერიოდი ჩვენი საერო მწერლობისა იწყება მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგიდან; ეს არის კულტურული ცხოვრების და კერძოდ მწერლობის გამოცოცხლების და გამოღვიძების ხანა. ამ პერიოდში იმდენად მოიმაგრა წელი ჩვენმა მწერლობამ, რომ შესაძლებელი შეიქნა, კლასიკური ხანის მწერლობათან შედარებით, ვერცხლის ხანა ვუწოდოთ მას. რამ შეუწყო ხელი ჩვენი კულტურისა და მწერლობის აღორძინებას ამ ხანაში?

მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს სპარსეთში გაშეფდა სეფევიდთა დინასტია, რომელიც ცნობილია მწერლობისადმი მიკენატობით, მისი მფარველობით და მისი აღორძინებისათვის ხელის შეწყობით; მართლაც, ამ დინასტიის წყალობით, სპარსული მწერლობა შესამჩნევად დაწინაურდა. ვინაიდან სეფევიდებმა საქართველოზედაც განავრცეს თავისი ხელისუფლება და ქართველები სპარსეთის პოლიტიკულსა და კულტურულს გაელენის ზონაში მოაქციეს კვლავ; ეს ორი ერი ისევ დაუახლოვდა ერთმანეთს და ამიტომ ნაცადმა სპარსულ კულტურულ-ლიტერატურულმა ნაკადმა კვლავ გააძლიერა ჩვენი ლიტერატურული ნიადაგი და მისი წიაღიდან გამოიწვია ახალი, ქორთა ლიტერატურული ჯგეფილი. ჩვენში გაცოცხლდა ძველი ლიტერატურული ტრადიციები, მათ შეეზავა ახალი, სპარსეთიდან შემოქრილი, ტალღა, და მოკლე დროში ჩვენში წარმოიშვა მთელი რიგი მგონებისა, რომელთაც შექმნეს ახალი ეპოქა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში სპარსულ კულტურულ ტალღას დაემატა კიდევ ევროპის კულტურის გაელენა, რომელმაც უფრო დააჩქარა ჩვენში კულტურული აღორძინების პროცესი, განსაკუთრებით ვახტანგ მეექვსის და ირაკლი მეორის ინიციატივის წყალობით.

ლიტერატურაში აღორძინება გამოიხატა იმაში, რომ 1) ეძებენ, გადაიწყვიტენ და ისტორიულ-ლიტერატურულად იკვლევენ ძველს, კლასიკური ხანის, ნაწარმოებთ; 2) სთარგმნიან სპარსული ენიდან (კან ჭიკუნტად სხვა ენებიდანაც) მრავალს ახალს, აქანდე უნობ თხზულებას, თუ ისეთებსაც, რომელნიც კლასიკურს ხანაში ყოფილან ნათარგმნი, და მერე, დროთა ვითარებისა და აღორძინების გამო, დაკარგულან; 3) სთხზავენ ახალახალ ორიგინალურ ნაწარმოებთ. ყველა ამას მრავალი ხელნაწერებით ავრცელებენ ხალხში და, სტამბის შემოღების შემდეგ, ზოკიერთ რამეს, საყურადღებოს, როგორც, მაგალითად, ვეფხისტყაოსანი, ბექდავენ კიდევ.

შინაარსის მხრივ ამ პერიოდში ჩვენ ორი კატეგორიის ნაწარმოებთანა გვაქვს საქმე. უმეტესი ნაწილი ამდროის ნაწარმოებებისა წარმოადგენს სპარსულ ენიდან თარგმანს და გადაკეთება-გადამუშავებას სპარსული სიუჟეტისას; სთარგმნიან, როგორც კლასიკურს პერიოდში, საღვე-გმირო მოთხრობებს, უფრო

შაჰნამეს ტიპისას, სატრფიალო-სამიჯნურო პოემებს, ზღაპრებს და ლიდაქტური ხასიათის თხზულებებს, სთარგმნიან როგორც პროზით, ისე ლექსით. მეორე კატეგორიის ნაწარმოებებია ორიგინალური თხზულებანი; ორიგინალურმა შემოქმედებამ საკმაოდ გაშალა ეხლა ფრთები, გაჩნდა მთელი რიგი მწერლებისა, რომელნიც ღრმად ჩასწვდენ გულში თანამედროვეობას და ფოტოგრაფიული სისწორით აღბეჭდეს მისი ჭირვარაში. საქართველოს თანამედროვე ვითარებამ მტკიცე, წარუშლელი ბეჭედი დაასვა ამ კატეგორიის ნაწარმოებთ. ხასიათი, ნიშანდობა და ლეიბ-მოტივი ამ ნაწარმოებებისა გამომხატველია იმ საეალალო მდგომარეობისა, რომელშიც იმყოფებოდა ამ დროს ჩვენი ქვეყანა; ამ მდგომარეობამ შემოიტანა ჩვენს მწერლობაში ახალი სიუჟეტები და ახალი კილო. ეს რომ ნათელი იყოს ჩვენთვის, უნდა თვალი მიმოვაელოთ მაშინდელი საქართველოს მდგომარეობას და გავარკვიოთ, რას წარმოადგენდა ის, ჰყოლობს თუ არა მართლა ინდროინდელი მწერლობა გამართლებას ჩვენი სამშობლოს ვითარებაში?

პოლიტიკურად საქართველოს სხეული მაშინ დაკუწმაწებული იყო რამოდენიმე ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ საჰეფოებად და სამააეროებად: მას ჩამოკრილი ჰქონდა საჰეკეთესო მხარე, აკენი ჩვენი კლასიკური კულტურისა, მესხეთი, რომელიც დენაციონალიზაციის გზაზე იყო შემდგარი სარწმუნოებრივად გადაგვარების გამო. სპარსელები, ოსმალები და ლეკები ლეკმა-ლეკა წიწკნიდენ სამშობლოს ორგანიზმს, ყოველ წელიწადს ანგრევენ მის ქალაქებს, დაბებს, სოფლებს, ეკლესია-მონასტრებს და ანიაეებდენ ყოველგვარ კულტურულ ღირებულებას. მთელ სოფლებს ასახლებდენ სპარსეთის თუ ოსმალეთის შორეულს, მივარდნილს და მიყრუებულს პროვინციებში, მათ მაგიერ კი ასახლებდენ თავიანთ ურდოებს. ვინც გადასახლებას გადაჩებოდა, იძულებული იყო ტყე-მალაროებში შეეუარებია თავი, ყოველ შემთხვევაში დამშვიდებულს მუშაობას ვერ ახერხებდა. მეფენი და მთავარნი დარწმუნებულნი არ იყვნენ ბეალინდელს დღეში: ყოველ წუთს მათ მოელოდა სპარსეთში გაძახება, სადაც მათ ყოველგვარ დამკირებას და შეურაცყოფას აყენებდენ, სარწმუნოებას და ტახტს ართმევდენ, ხშირად სიცოცხლესაც ასალმებდენ, უკეთეს შემთხვევაში მთელ მათ ძალას, ახოენებას და ენერგიას სპარსეთის ხანებისა და უზურპატორების დამშვიდება-ბრძოლაში ახარჯიენებდენ. გარეშე მტრების თარეშა და აწიოკებას თან დაერთო შინაური უთანხმოება და მეფე-მთავართა მიერ ერთიმეორის აღხრება-დაწიოკება. უმეტეს შემთხვევაში მეფე-მთავარნი იმას სცდილობდენ, რომ ერთიპურისათვის ორმო ამოეთხარათ ფეხქვეშ, რაც შეიძლებოდა მეტად ესიამოვნებიათ აღმოსავლეთის დესპოტებისათვის; პოლიტიკური პასივობა, ინტრიგანობა და დესპოტთა წინაშე ეფემერულ უფლებათა შენარჩუნებისათვის მლიქვნელობა და სამარცხეინო მუხლთდრეკა, აი დამახასიათებელი ხაზები ამ ეპოქის პოლიტიკური მეყეურების მომეტებელი ნაწილისა. ასეთს პოლიტიკურს არეე-დარეეას და უბედურებას თან დაერთო სარწმუნოებრივი შევიწროება და გადაგვარება. როგორცა ეთქვით, მესხეთი გაშაჰმადიანებულ იყო, ქობულეთი XVIII საუკუნის მოღვაწეთა თვალწინ მაჰმადიანდებოდა, თვით შიგნით, სახელმწიფოშიაც, მძლავრად იჭრებოდა მაჰმადიანობის ნაკადი და ქრი-

სტიანობას ერთიმეორეზე პოზიციებს აცლიდა ფეხქვეშ. ყველა ამას მოჰყვა შაჰ-მადიანთა ზნეჩვეულების გავრცელება და განმტკიცება ჩვენში: მლიქვნელობა, მუხანათობა, ვერაკობა, რენეგატობა, ფიცის გატეხა, მესისხლეობა-შურის ძიება, ოჯახის სიწმიდის შებლაღვა, სქესობრივი თავაშეებულობა და სხვა ამგვარი მანკიერება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა თითქმის. ხალხი გალატაკდა, ვინაიდან მშვიდობიანი სუშაობის პირობები მან არ იცოდა, თან სპარსეთის შაჰები წელში სტეხდნენ მას უზომო და შეუფერებელი გადასახადით. სამშობლოსათვის გულშენატკივარნი, თუ კი ასეთები გამოჩნდებოდნენ, როდესაც ხედავდნენ გამოუვალ მდგომარეობას, აიყრებოდნენ და შორეულს ჩრდილოეთში ეძებდნენ მყუდრო და წმკენებულს ცხოვრებას ერთმორწმუნე, მართლმადიდებელ ორთაიდან არწივის ფრთათა ქვეშ. ასეთი იყო საერთო სურათი ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობისა, რომელიც გვაძლევს გასაღებს ამ ეპოქის მწერლობის ხასიათის გასაგებად.

აღორძინების ხანის მწერლობას ახასიათებს შემდეგი მოვლენა:

1) ეროვნულ-ნაციონალური ტენდენციის. ამ ეპოქის დასაწყისში, XVI საუკუნეში, ჩვენ არ მოგვეპოვება არც ერთი თხზულება, რომლის წინაარსი მშობლიური, ეროვნული ნიადაგიდან იყოს ამოღებული; XVII საუკუნეიდან კი ჩნდება მთელი რიგი პოეტებისა, რომელთაც მშობლიურ სიუჟეტებს მიჰპართეს და საგნად თავიანთი თხზულებებისა აიღეს სამშობლოს წარსულიდან ესათვის ეპოქა, ანბავი და პირნი. ისინი ჰგომბენ სპარსულიდან ნაქორ ამბებს, გაკვირვებულნი არიან, რომ გამოჩენილი მწერლები დროსა და ენერგიას ხარჯავდნენ ისეთ პირთა და ამბავთა შესაქებად, რომელნიც არ ყოფილან და არ მომხდარან ნამდვილად. მათი თხზულებები განმსჯეალულია ეროვნული თვითშეგნებით, მათნი ავტორები ცრემლებსა ღვრიან სამშობლოს საეალალო მდგომარეობის გამო, წყევაკრულვას უთვლიან ყველა იმ პირობებს, რომელთაც ასეთი აუტანელი მდგომარეობა შექმნეს. ამ ნიადაგზე წარმოიშვა საისტორიო ეპოსი, რომლის წარმომადგენელია: „წამება ქეთევან დედოფლისა“ თეიმურაზისა, შაჰნავაზიანი ფეშანგი ფაშვიბერტყაძისა, თეიმურაზიანი არჩილ მეფისა, დიდმოურავიანი იოსებ ტფილელისა, დავითიანი გურამიშვილისა, რომლის ჩანგი ცხარე ცრემლებით დასტირისა არა მარტო პოეტის პირად უბედურებას, არამედ სამშობლოს ბედის უკულმართუბასაც. თუ კლასიკურ ეპოქაში ორგინალური შემოქმედება აღტაცებული ოპტიმიზმითაა შეზავებული, თუ მაშინდელი მგოსნები მხოლოდდამხოლოდ ხოტბებსა სთხზავენ თავიანთ დროის სამშობლოს მესვეურთა საქებ-სადიდებელად, ეხლა ამგვარი ქება-დიდებასათვის არავის სცალია, ტირილისა და მოთქმისაგან ვერავის მოუცლია. ეროვნული სულით განმსჯეალულია თვით სპარსულიდან ნათარგმნი თუ გადმოკეთებული თხზულებანი, რომლებშიაც ხშირად საკუთარი საბელები ქართულს, ეროვნულს, სახეს ღებულობს, ქართული ენით ლაპარაკობენ ჩინელები, არაბები, სპარსელები, ფრანგები და სხვა ერები ამათიმ თხზულებისა.

2) ქრისტიანულ-პესიმისტური ტონი. პოლიტიკურად და ეკონომიურად დაბეჩავება და დაქინება მფართო ასპარეზი გადაუშალა ქრისტიანულ-მისტიკურსა და პესიმისტურ სულისკვეთებას; ადამიანი, რომელიც ან

ქვეყნად ვერაფერს სანუგეშოს ვერ ხედავს, სასოწარკვეთილებას ეძლევა და ძალაუნებურად საიქიოსკენ გაიყურება, ღმერთზე ფიქრობს, სარწმუნოებაში ეძებს ხსნას. ამ სულისკვეთებამ თავი იჩინა უმთავრესად მწერლობაში: იშვიათია ისეთი პოეტი, რომელიც მწარე ცრემლებით არ დასტიროდეს შავბედს, რომელიც ღმერთსა და საიქიოზე არ ოცნებობდეს და რომელსაც ქრისტიანული მოტივები არ შემოქონდეს თავის ნაწერებში. ასეთი მოტივები გვაქვს როგორც ნათარგმნს, ისე ორიგინალურს თხზულებებში, მაგალითად რუსულად ნიკან ში ხშირადაა ლაპარაკი, თბილი გრძნობით და უშალო სიმბატაით, ქრისტიანობისა და ღვთის შესახებ. რაც შეეხება ორიგინალურ ნაწარმოებებს, იმათზე ხომ მეტია ლაპარაკი; ტიპურია ამ მხრივ დავით გურამიშვილი, რომელიც ასე ხშირად იღებს ბიბლიურ სიუჟეტებს, რომლის პოეზია ფსალმთურ პოეზიას გვაგონებს და მწვავე მისტიციზმითაა გამსჭვალული. იშვიათია ამ ეპოქაში ისეთი პოეტი, რომელსაც ერთხელ მაინც არ ჩაეწიხლოს მუხთალი საწუთრო და არ ეწეროს ან ბანთქება, ეს თავისებური ოდები ღვთაების, მაცხოვრის, ღვთისმშობლის და წმინდათა სადიდებელად.

3) დიდაქტურ-მორალური ელფერი. ზნეობრივმა დაქვეითებამ და პესიმიზტურმა სულისკვეთებამ წარმოშვა დიდაქტური ელემენტები ამ ეპოქის შემოქმედებაში. სწავლა, დარიგება, დამოძღვრა დამახასიათებელია ამ ნაწარმოებებისა; იმ აუტანელს ტანჯვა-ვაებაში, რასაც განიცდიდა საქართველო საზოგადოდ და თვითული ქართველი კერძოდ, აუცილებელი იქნებოდა რაიმე მანუეგშებელი ხმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაციას სასოწარკვეთილება მოიცილდა. მართლაც, ამდროის ნაწარმოებებში ჩვენ ვხვდებით ასეთს ტენდენციას; ანაქვეყნიური ტანჯვა-ვაება, წვალება და შევიწროება დროებითია, ის ბოლოსად ბოლოს შეიცვლება სიხარულად, ბედნიერებად და განცხრომად, ბოროტება დაითრგუნება კეთილის მიერ, რომელიც საბოლოოდ გაიმარჯვებს არა მარტო საიქიოს, არამედ ამ ქვეყნადაც. შვიძლება ასეთი ტენდენცია ნაწარმოების პოეტურ ღირსებას ზიანს აყენებდა, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებისათვის ის აუცილებელი იყო.

ამნაირად, ეროვნულ-ნაციონალური ტენდენცია, ქრისტიანულ-პესიმიზტური სულისკვეთება და დიდაქტურ-მორალური ტონი, აი მთავარი ხაზები აღორძინების ხანის მწერლობისა, რომელნიც შექმნა თანამედროვე საქართველოს მწარე, სავალალო მდგომარეობაში და განცლამ.

აღორძინების ხანის მწერლობაში ზოგიერთები ფსევდო-კლასიციზმის ელემენტებსა ხედვენ და ამ ეპოქას ფსევდო-კლასიკურს უწოდებენ. მართალია, მიმბაძველობითი ხასიათი თან სდევს ამ ეპოქის მწერლობას, მაგრამ იმდენად შინაარსით არა, რამდენათაც ფორმის მხრივ. შინაარსის მხრივ მიზნაძველობა ამოიწურება ორიოდე ცდით განგრძობილ ყოფილიყო ვეფხის ტყაოსანი და გადაკეთებულ ყოფილიყო მის ყაიდაზე ზოგიერთი სპარსულიდან ნათარგმნი თხზულება. უფრო ძლიერია მიმბაძველობა ფორმის მხრივ, ვინაიდან რუსთველური სილაბურტონური 16 მარცვლოვანი ლექსი სკარობს ამ ეპოქაში; უველა სკდილობს იხმაროს ეს ლექსი, იშვიათად ჩახრუხაულიც. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ეპოქამ მოგვცა ჩვენ სხვაგვარი ლექსთწყობის ნიმუშე-

ბიც, რომელნიც წინათ არ იყო ჩვენს ლიტერატურაში; ამ ნხრივ უფრო საყურადღებოა მამუკა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის შემოქმედება. ასე რომ ფსევდოკლასიციზმით მონათულა ამ ეპოქისა ისე, როგორც ესმისთ ესტერმინი, გადაქარბებული და უმართებულოა.

IV.

მეთერთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, ეკლესიურ მწერლობასთან ერთად, ჩვენში ვითარდებოდა და მუშავდებოდა საერო მწერლობა; საინტერესოა გარკვევა იმისა, თუ როგორი ურთიერთობა და განწყობილება არსებობდა მწერლობის ამ ორ დარგთა შორის, როგორ ურიგდებოდნენ ერთმანეთს წარმონადგენელნი საერო და ეკლესიური ლიტერატურისა? ეს საკითხი სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ჩვენ ვიცით თუ როგორი უცილობელი ბატონობა ჰქონდა მოპოვებული ძველს საქართველში ეკლესიურ მწერლობას და როგორ ჰფლობდა ამ მწერლობის იდეალები თანამედროვეთა სულსა და გულს. ნუ თუ იმ ახალმა სიუჟეტებმა, რომელნიც საერო მწერლობამ შემოიტანა ჩვენში, რეაქცია არ გამოიწვია სასულიერო მწერლობაში? ეს სიუჟეტები ხომ ამქვეყნიური ცხოვრების ვარაშს ეხებოდა, ისინი ხომ მოგონი-მოჰორილს და სატრფიალო ჰანგებს დამღეროდნენ, რომელთაც არამც თუ არავითარი საერთო არ ჰქონდათ სასულიერო მწერლობის სიუჟეტებთან, ეწინააღმდეგებოდნენ კიდევაც მათ! ნუ თუ არავითარი ბრძოლა არ წარმოებდა ამ ორ მიმართულებათა შორის, ნუ თუ ეკლესიურმა მწერლობამ ასე ადვილად დაუთმო თავის გვერდით ადგილი საერო ხასიათის მწერლობას? ვიდრე პირდაპირ ამ საკითხზე გავსცემ დღე რაიმე პასუხს, უნდა მოვიგონოთ, რომ ქრისტიანული იდეოლოგიის წარმომადგენელთა შეხედულებით, რომელიც ქრისტიანობამ, რასაკვირველია, ჩვენშიაც შემოიტანა, არაქრისტიანულს, ამქვეყნიურ სწავლა-მოდღვრებას და მწერლობას, ელლინური ეწოდება, რაც წარმართული ექვივალენტად და სინონიმად ითვლებოდა. ქრისტიანები წარმართულს, კლასიკურს მწერლობას ეცნობოდნენ და სწავლობდნენ, ბასილი დიდმა საგანგებო ტრაქტატი-ჰომილიაც კი დასწერა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა სარგებლობდნენ ქრისტიანები საწარმართო მწერლობით, და, როდესაც იმპერატორმა ივლიანე განდგომილმა დეკრეტი გამოსცა, რომლითაც ქრისტიანებს აღუკრძალა საწარმართო ლიტერატურის შესწავლა თავიანთ შკოლებში, ქრისტიანები ამ აქტს გულდამშვიდებით არ შეხედდრიან. მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, ისინი მაინც გრძნობდნენ განსხვავებას ამ ორი კულტურის შორის და საწარმართო კულტურას გარეშეთა კულტურას უწოდებდნენ. ასე იყო ჩვენშიაც, როგორც ესა ჩანს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან, სადაც ვპკითხულობთ: გრიგოლმა „სიბრძნე იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად და რომელი ჰოვის სიტყუაჲ კეთილი შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განავდის“; მაგრამ ამავე დროს ის „გარეშესა ამას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ“.¹ რაც შეეხება დასმულს საკითხს; იყო თუ არა რაიმე ბრძოლა ჩვენში ეკლესიურსა და საერო მწერლო-

¹ ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, 6. მარის გამოცემა, გვ 8.

ბათა შორის, ვერც ლიტერატურულს ძეგლებში, ვერც ისტორიულს დოკუმენტებში ამის კვალს XI—XIII საუკუნეთა სივრცეზე, როდესაც პირველად მოიღვა ფეხი ჩვენში საერო მწერლობამ, ვერ ვპოულობთ. ასეთი ბრძოლა მართლაც რომ ყოფილიყო, უეჭველია სადმე, რომელიმე თხზულებაში ამის შესახებ რამე მაინც იქნებოდა ნათქვამი. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ პრინციპიალური შეხედულება თავისთავად, ხოლო ცხოვრება თავისთავად: ფაქტიურად ალბათ აქ ახალს მიმართულებას ლიტერატურაში ურიგდებოდენ არამც თუ საერო სფეროში, არამედ თვით საეკლესიოშიც. ეს რომ ასეა, იქიდანა ჩანს რომ 1) ლეონტი მროველი, მაგალითად, თავის შრომაში უხეად სარგებლობს შანამესა და ამირანდარიჯანიანიდან ამოღებული ადგილებით; 2) ჩვენამდე კრძალით, ვითარცა ხელის ხელ საგოგმანები რამ, შეუნახაეთ მთელი რიგი სატრფიალო რომანებისა, რომლებიდანაც პარალელები მოჰყავს თამარ დედოფლის ისტორიკოსს,² რომლისათვის ეკლესიური აზროვნების სფერო უცხო არ უნდა იყოს. და რაღა შორს წავიდეთ: ისეთს საერო ხასიათის ნაწარმოებებში, როგორცაა თამარიანი და „ქება დავით აღმაშენებლის და თამარისა“, უხეადაა შეტანილი ბიბლიური ელემენტები და ეპიზოდები. შესაძლებელია, ასეთს განწყობილებას ეკლესიურსა და საერო მწერლობათა შორის ჰქმნიდა ის კულტურული დონე, ის, ნეოპლატონიზმისა და სუფიზმის ნიადაგზე აღმოცენებული, სოულმხედველობა და მიმართულება სოციალური ფსიქიკისა, რომლის შესახებ წინათ გეჰონდა ლაპარაკი. შემდეგ საუკუნეებში, როდესაც ჩვენში ფეხი გაიდგა პესიმისტურ-მისტიკურმა სულისკვეთებამ რელიგიური, დიდაქტურ-მორალური ტენდენციებით, საზოგადოებრივს სოულმხედველობასა და ფსიქიკაში მოხდა ერთგვარი გარდატეხილება, რამაც გამოიწვია თავისებური გარდაფასება საერო ხასიათის და შინაარსის ლიტერატურისა. ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ბაგრატ მუხრანბატონი ერთგვარ შეფასებას უკეთებს ამირანდარიჯანიანს, როდესაც ამბობს: „წიგნი იგი, რომელსა ყისაჲ ჰამზად უწოდენ სარკინოზნი, ისაიიტელთა ცხოვრებაჲ არს და მის წიგნისა მცირედი რაჲმე ნაწილი თარგმანებულ არს ენასაცა ზედა ჩუენსა ქართულსა გარეშეთა კაცთა მიერ, რომელსა დარეჯნიანად უწოდენ, და არა თუ ეგევითარითა სიმკნითა ახოვან იყენენ, ვითარცა გვთხრობს ჩუენ წიგნი იგი, არამედ მათ მიერითა ზღაპრობითა განერცელობით აღუწერიეს მოთხრობაჲ იგი.“ აქ პირდაპირაა ნათქვამი, რომ ამირანდარიჯანიანი დაწერილია „ზღაპრობით“ და თარგნილია „გარეშეთა კაცთა მიერ“, რითაც მას თითქოს ერთგვარი ჩრდილი ადგება. მეჩვიდმეტე საუკუნეში თეიმურაზი შემდეგნაირად გვისურათებს საერო მწერლობას:

ნუ მკითხავ ზღაპრად შეთხზულსა ამ უსარგებლო თქმულებსა,
განქარვებასა უნდოსა, იმ საღმრთოდ მოკიცხულებსა,
სულსა სხვა უჯობს და ხორცი სხვას რასმე განიგულებსა,
სრულად სოფლისა მოყვასთა ისეე მოატყუებს წყლულებსა.

¹) კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილ. უნივ. მოამბე, III, და ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი, ჩვენი მეცნიერება, IV.

²) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 414.

³) Н. Марр, Изъ книги царевича Баграта, Извѣстія Академіи Наукъ, 189) г. т. X, № 2, стр. 244.

ასეთი უღმობელი შეფასების შემდეგ ის ნაღვლიანად შენიშნავს: არეის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა, არ გიკვირს, რომ დაივიწყეს შემოქმედი მისგან ქმნულთა, განკითხვა და საუკუნოთ არც სიკვდილი უძეს გულთა, უნახავთა არას. მიკვირს, ბერთა მიკვირს მონახულთა.¹ ამგვარივე მოტივებია გვესმის ჩვენ არჩილ მეუის პოეზიაშიც: ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღვდელო და საერო, სამღვდელის მცოდინარე საეროსა მოერიო.

არჩილი ვადმოგვცემს, რომ იაკობ სამებელი ან შემოქმედელი „არის სავროს მგომბაროი“. ² აღორძინების ხანის მწერლობაში ისეთი შეხედულება განმტკიცებულა, რომ საერო მწერლობას არამც თუ სერიოზულ საქმედ არა სთვლიან, ის სულის მავნე მოელენად მიაჩნიათ, და იშვიათი პოეტია, ბოდიშა რომ არ იხდიდეს და მოტყუებას არ თხოულობდეს ასეთი ლაყუთობისა და უსარგებლო საქმისათვის. საკურადღებოა ამ მხრივ ონანა მდივნის სიტყვები ბარამგულიჯანიანის წინასიტყვაობაში: „რომელნი ხალხით მიბაძკითა უწინარეს გამომეტყველთა საღმრთოთა სამაჯნუროთასა, ნეტარ ხართ და კეთილი გეყოს თქვენ! და რომელნი იურვით მსოფლიოესა ამის საშეგებლად ნასიტყესა კეკლუტთა ზედან ყმა-ქალთა მიჯნურობასა, იგი არა სარგებელ გეყოს სახსრად სულისათვის“. მართალია, ამბობს ის, იყენენ „ბრძენნი სოფლისა ამის ნივთთა მლალადებელნი, რომელთა უთქვამს საქმენი საეროთა ვაჟთა საკეთილონი, პირმზეთა თანა სიყუარულნი დაუტკბიათ ლექსითა გემოვანითა და ამბითა ცა შეენიერთა“, მაგრამ „ვეითარცა იაგუნდთა შორის კენჭნი, ანუ მთოვარეთა შორის ვარსკვლავნი, ნათელია შორის ბნელი და ვარდთა თანა ასკილნი, ესრეთ შორს არიან საერონი საღმრთოთა წერილთა მიერ“. არიანო, განაგრძობს ონანა, „წიგნები საერონი კაცთა შესატკობელნი, ბრძენთა და ფილოსოფოსთაგან თქმულნი სამღვრელად და საღალობელად მსმენელთა მისთათვის“; ისინი შრომობდენ ამგვარ თხზულებათა წერისათვის. ვინაიდან „სამღვდელთა წერილთა ყოველთა კაცთა ბუნება ვერასადა მისწვდებოდა და მისთვის მოიგონეს, რომე ერისკაცნი უსწავლელნი და ცოდნადაკარგულნი არ დარჩენ და ამაზე იხალისებდენ და საჭაბუკოსა საქმესა ყურსა მიუპყრობდენო“. ³ როგორც ვახტანგის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობიდან ჩანს, მის ღროს ამ ნაწარმოებს „სამეძაოდ სთარგმნიდენ“; ვახტანგი ამიტომ მას რეაბილიტაციას უკეთებს: ეს თხზულება არც სამეძაოა, არც წარსაწყმედელი და არც ქრისტიანობის საწინააღმდეგო, ეს რომ ასეთი ყოფილიყო, იმდროინდელი სამღვდელოება როდის ათქმევინებდა მის ავტორს, - მის ნათქვამს დაუხეველს როდის გაუშვებდაო! ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ XII—XIII საუკუნეებში არაფერი არ დაუხევიათ, მაშასადამე, ვახტანგი ამ სიტყვებით ვადმოგვცემს; თუ როგორ ეპყრობოდენ მის ღროს ამგვარი ხასიათისა და შინაარსის თხზულებებს. და

1) თეიმურაზს ლექსები, ზ. ჰიკინაძის გამოცემა, გვ. 46.

2) ცხოვრება თეიმურაზ პირველისა, პლ. იოსელიანის გამოცემა, გვ. 164. 181.

3) Е. Такайшли, Описание рукописей I. стр. 524—525.

მართლაც ხომ გადმოცემაც არსებობს, ვითომც ვახტანგის გამოცემა სამღვდელთების მიერ უმეტეს ნაწილად ავტო-დაფეს მიეცაო! თვით ისეთი ყოველმხრივ განათლებული კაცი, როგორც იყო ანტონ პირველი, თავის წყობილსიტყვაობაში არა ერთხელ შენიშნავს ამათუიმ საერო ლიტერატურის წარმომადგენლის შესახებ, რომ ის „ამაოდ დაშურა“ ასეთი თხზულების წერისასო.

ამაშირად, ჩვენ ვხედავთ, რომ XVI—XVIII საუკუნეებში შეხედულებამ საერო მწერლობაზე და მასთან ეკლესიური მწერლობის განწყობილება რადიკალურად შეცვლილა და მათ შორის თითქოს ანტაგონიზმიც დამყარებულა, მაგრამ ბოლოსადაბოლოს ცხოვრებამ თავისი გაიტანა და საერო მწერლობამ ძღვე-მოსილად საზოგადოებაში გზა გაიკაფა.

V

ჩვენი ძველი მწერლობის შესწავლის საქმე მაინცაღამაინც დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება; ჩვენ არ მოგვეპოვება არამც თუ კრიტიკული გამოკვლევა ამ მწერლობის ძეგლებისა, ცნობაშიც არაა ჯერჯერობით მოყვანილი ეს ძეგლები. ამის გამო, რასაკვირველია, მეტად გაძნელებულია აღნიშნული მწერლობის ისტორიის გათვალისწინება. მეცნიერული მუშაობა ძველი ქართული საერო მწერლობის დარგში შემდეგს სურათს გვაძლევს.

ჯერ კიდევ XV—XVI საუკუნეში ვეფხისტყაოსნის რომელღაც შემავსებელს დაურთავს მისთვის ერთი ტაეპი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათისა. რომელიც გვაწვდის რამოდენიმე ცნობას კლასიკური პერიოდის მწერლობიდან:

ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა,
 აბლულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
 დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა,
 ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ შეუშრობელსა.

ამგვარსავე ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობას გვაწვდის ჩვენ ამირან-დარეჯანიანის შესახებ ბაგრატ მუხრანბატონი (XVI ს.) იმ ანტიმპაპალიანურს პოლემიკურ ნაწარმოებში, რომლის ამონაწერი უკვე მოვიყვანეთ ზემოთ. უფრო მეტს ცნობებს გვაძლევს არჩილ მეფე „თეიმურაზისა და რუსთველის შედარების“ წინასიტყვაობის მეორე თავში, რომელსაც ეწოდება „ძველთა და ახალთა საქართველოს მოღვექსეთათჳს“; ის აქ ჩამოთვლის, შემდეგს მწერლებს: ჩახრუხადეს, ხეასრო თურმანისძეს, ნანუფა ციციშვილს, ჯაგლაგა ფაღლენიშვილს, ქაიხოსროს, ნოდარ ფარსადანისძეს, გარსევან ჩოლოყაშვილს, სულხან თანიაშვილს, ბარძიმ ვაჩნაძეს, იაკობ სამებელს, ფეშანგი ფაშვიბერტყაძეს, რუსთველს, თეიმურაზ პირველს, ბაკა დვალისძეს და დათუნა ცქირიანს. უფრო მეტსა და საკურადლებო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებს შეიცავს ანტონ კათალიკოზის წყობილსიტყვაობის მეშვიდე ნაწილი, რომელსაც ეწოდება: „თჳს ქართუცლთა სიბრძნის მოყუარეთა კაცთა მწიგნობართა“; საერო მწერალთა შესახებ ლაპარაკია ამ ნაწილის მერვე თავში. მწერალნი და მოღვაწენა ჩამოთვლილია მეთერთმეტე საუკუნიდან ავტორის დრომდე; ავტორი ახასიათებს მათ რიტორულ-სქოლასტური იამბიკობით და ზოგიერთ შემთხვევაში შრომასაც ასახელებს. მართალია, ბევრი რამ ავტორს გარდამოცემისა და ზეპიოსიტყვაობიდან შემოაქვს,

ბევრი ცნობა მისი სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ, როგორც პირველი ცდა ისტორიულ-ლიტერატურული სისტემატიზაციისა, თხზულება საპატიოა.

ანტონ კათალიკოზის დასახელებული შრომა საფუძვლად დადებია იონა ხელაშვილის თხზულებას, რომელსაც ეწოდება „მცირე უწყება ქართველთა წყურალთაჲს“¹ და რომელშიაც მიმოხილულია ჩვენი მწერლები მეთერთმეტე საუკუნიდან. უფრო საყურადღებოა მეორე ნაწილი ამ შრომისა, რომელიც ათლიანად იონას ეკუთვნის და რომელშიაც ჩამოთვლილია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის და XIX საუკუნის დასაწყისის მოღვაწენი და მწერალნი; ეს ნაწილი დამყარებულია ავტორის მიერ შეკრებილს, ნახულს და გაგონილს ცნობებზე, რომელნიც. მართალია, არა იშვიათად ლეგენდარული ელფერით არიან მოსილნი, მაგრამ მაინც საინტერესო მასალას გვაძლევენ.²

ჩანასახი კრიტიკული ისტორიულ-ლიტერატურული მუშაობისა ამ სფეროში ჩვენ გვაქვს ვახტანგ მეფის ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემაში, რომელშიაც გამომცემელი არკვევს რუსთველის ნაშრომის ნამდვილ მოცულობას და ეხება საკითხს მისი სიუჟეტის ორგინალობისას. ნაყოფიერი და სისტემატიური ისტორიულ-კრიტიკული მუშაობა დაიწყო XIX საუკუნეში; ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს შრომები მ. ბროსესი, რომელმაც ამდენი ღვაწლი დასდო საზოგადოდ ჩვენი წარსულის შესწავლას. ის აგროვებდა ცნობებს ქართული ლიტერატურული ძეგლების შესახებ, კრიტიკულად იკვლევდა ამათიჲმ კერძო საკითხს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიიდან და ერთერთს თავის შრომაში მოგვცა ბიბლიოგრაფიული ცნობები კერძოდ ქართულ პოეტურ ნაწარმოებთა შესახებ.³

ბროსეს შემდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი ძველი საერო მწერლობის შესწავლაში გადადგა პ. იოსელიანმა, რომელმაც მოახერხა გამოცემა რამდენიმე საყურადღებო ძეგლი ამ მწერლობისა და თავის კერძო გამოკვლევა-მონოგრაფიებში თუ სხვათა თხზულების სწოლებში მოგვცა მრავალი ისტორიულ-ლიტერატურული მასალა, მართალია, ესა უკვე დაძველებული და უკრიტიკოდ მიუღებელი, მაგრამ თავის დროისათვის მნიშვნელოვანი და სასარგებლო.

უფრო ნაყოფიერი მუშაობა დაიწყო მას შემდეგ, რაც ჩვენში საფუძველი ჩაეყარა ლიტერატურულ ძეგლთა კონცენტრაციას სხვადასხვა სამუზეუმო კოლექციების სახით. ამ წერივ საყურადღებოა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების⁴ მუზეუმი, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი ყოფილი საეკლესიო, დღეს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის⁵ სიძველეთა მუზეუმი, პეტროგრაღის საჯარო წიგნთსაცავისა და სახელმწიფო მუზეუმის ქართული კოლექციები, რომელთა მომეტებული და მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ტფილისშია გადმოტანილი და სხე. ამ მუზეუმებში თავმოყრილია მთელი სალარო ჩვენი წარსული ლიტერატურული შემოქმედებისა, რაც კი დროთა ვითარებას გადაარჩენია, და მკვლევართა

¹) ძველი საქართველო, ტ. I, განყ. 3, გვ. 1-60.

²) კ. ევსელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 9.

³) De la littérature romanesque géorgienne. Mélanges Asiatiques. T. VIII

და გამომკვემელთათვის ხელმისაწვდომია. ამით აიხსნება, რომ სამოქალაქო-ნოთხმოციან წლებიდან ინტენსიური მუშაობა იწყება ამ ძეგლების შესწავლა-გამოქვეყნებაში. ამ მხრივ საყურადღებო შრომა გაუწევიათ და შესამჩნევი ლექსი დაუდვიათ დ. ჩუბინაშვილს, ა. ცაგარელს, მ. ჯანაშვილს, ზ. კიკინაძეს, თ. ჟორდანიას, დ. კარაქაშვილს, ი. აბულაძეს, ს. კაკაბაძეს, ს. გორგაძეს და განსაკუთრებით ე. თაყაიშვილს, რომელსაც მეცნიერულად აუწერია წერა-კითხვის მუზეუმის საერო ლიტერატურის ძეგლთა მომეტებული ნაწილი და ამით გაუადვილებია მკვლევართათვის მათი შესწავლის საქმე.

უმახლობელეს დროში საკმაოდ უშრომია ჩვენი ძველი საერო მწერლობის შესასწავლად აკად. ნ. მარჩის, რომელმაც მოგვცა 1) მეცნიერული მონოგრაფია ქართული საერო მწერლობის დაწვეებისა და აყვავების შესახებ; 2) კრიტიკული ისტორიულ ლიტერატურული შენიშვნები ცალკე ძეგლების (ამირანდარეჯანიანი, ვირაპიანი, შაჰნაძე, ეფხის ტყაოსანი, რუსუდანიანი) შესახებ და 3) მეცნიერული-კრიტიკული გამოცემა ჩვენი მეხოტბეებისა, ე. წ. იოანე შათელისა და ჩახრუხადისა. განსაკუთრებით საყურადღებოა ნ. მარჩის ლექსი კლასიკური პერიოდისა და იმდროინდელი მწერლობის ხასიათის და მიმართულების შესწავლის და შეგნების საქმეში; მან ფარდა ახადა ამ ლირსშესანიშნავს ეპოქას ჩვენი წარსული კულტურისა და თვალწინ გადაგვიშალა მისი სული და გული, მან გასაღები მოგვცა ხელში ამ ეპოქის მწერლობის გასაგებად და შესათავსებლად.

ასეთია მონოგრაფიული, რომ ვთქვათ, მუშაობა ჩვენი ძველი საერო მწერლობის ისტორიაში. მთლიანი, სისტემატიური ისტორია ამ მწერლობისა ჯერ არ არსებობს, თუმცა ცდა კი ყოფილა ამგვარი შრომისა. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ზ. კიკინაძე, რომელსაც გამოუცია არა ერთი და ორი ძეგლი ჩვენი ძველი ლიტერატურისა და უცდია კიდევ მისი სისტემატიურად მიმოხილვა. აღსანიშნავია შემდეგი ნისი კატალოგისებური შრომები: 1) ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, 2) ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე და 3) ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში. სამწუხაროდ, ზ. კიკინაძე ცნობილ მწერალთა და თხზულებათა შესახებ აღმოგვეცემს ხშირად ზღაპრულს, შეუმოწმებელ ცნობებს, გარდა ამისა გვაძლევს ნუსხას ისეთი მწერლებისა და თხზულებებისა, რომელთა შესახებ დღეს არა ვიცით რა, და არ აღნიშნავს, საიდან ამოიღო მან ასეთი ცნობები. ასეთებია, მაგალითად, — გოსტამიანი, ბაბა-ამირიანი, ქამალიანი, ამირ-ჩუბანიანი, მარგალიტიანი, თანგირიანი, გულასპიანი, ჯამ. ვეზირიანი, შვილდ-ქანიანი (sic), უსუფ-ყასიმბიანი, გოჩიანი, საეანე გმირთა, ჯამი-აბასი და სხვ. პირდაპირ გული გიკვდება, როდესაც გეხმის, რომ ეს თხზულებანი მას თითქოს წაუკითხავს, ყოველს შემთხვევაში უნახავს, ხელში ჰქონია, და არ გვეუბნება, სად ნახა ისინი, რა შინაარსისა იყო და რა იქნა?

ზ. კიკინაძის ცდა საფუძვლად დაედვა განსვენებულის ა. ხახანაშვილის სამტომიან შრომას, რომელსაც ეწოდება *Очерки по истории грузинской словесности* და რომელშიაც მიმოხილულია ძველი მწერლობა; მისი ქართული გადმოკეთება სახელმძღვანელოდაა მიღებული ჩვენს სკოლებში, ვინაიდან სხვა არა მოგვიპოვია რა. ხახანაშვილი ჩვენი ძველი მწერლობის ისტორიას

აშენებს უმთავრესად დაბეჭდილ ძეგლებზე და, ვინაიდან დაბეჭდილია და გამოცემული მეტად ცოტაა, მისი ისტორია სრული და მასალის ამომწურველი არაა. თან ამ ძეგლთა შესახებ ის უმეტეს შემთხვევაში ტრადიციულ შეხედულებას იმეორებს, უკრიტიკოდ და შეუმოწმებლად. რაც შეეხება გამოუცემელ ძეგლებს, ზელნაწერებს, ის იშვიათად მიმართავს მათ და, თუ ზოგიერთ შემთხვევაში იმოწმებს მაინც მათ, აქაც ეტყობა, რომ ეს ძეგლები მას ყოველთვის არც წაუყითხავს და არც უნახავს, უფრო სხვისი სიტყვებით გველაპარაკება მათ შესახებ.

ასეთი მემკვიდრეობა გექონდა ჩვენ, როდესაც ვიწყებდით წინამდებარე შრომას, რომელიც დამყარებულია ძეგლების, გამოცემულის თუ გამოუცემელის, უშუალოდ შესწავლაზე. ნათლად გვაქვს წარმოდგენილი, რომ იმ პირობებში, რა პირობებშიაც ჩვენ ვმუშაობდით, როდესაც თვითონ გვიხდებოდა ძეგლების მოძებნა, გაწმედა და კლასიფიკაცია, ამ შრომასაც აღმოაჩნდება დეფექტები. ვგრძნობთ აგრეთვე იმასაც, რომ იმ საკითხების შესახებ, რომელნიც სადისკუსიოდ გამხდარან ჩვენში, ზოგიერთები ჩვენს შეხედულებას არ გაიზიარებენ, მაგრამ იმედი გვაქვს, ახრთა სხვადასხვაობას პარად შეურაცხყოფად არ მიიღებენ და ლიტერატურული ფაქტების ნიდაგდან არ მოისურვებენ ჩამოვლას.

VI.

ეგრეთწოდებულს დაცემის ან დაკნინების ხანაში ჩვენს მწერლობას, როგორცა ვთქვით, ახალი არა შესძენია რა, ამიტომ ჩვენი შრომა ორ ნაწილად განიყოფება: პირველში მიმოხილულია კლასიკური პერიოდის მწერლობა, მეორეში-ალორძინებისა. ჩვენ დავეკიზხეთ ყველა ცნობილ მწერალსა და არსებულ ნაწარმოებებს, რომელთაც რაიმე მნიშვნელობა აქვთ ქართული ლიტერატურული ევოლუციის გასათვალისწინებლად, მაგრამ არ გვინდა ვთქვათ, რომ ამ მწერლებითა და ძეგლებით ამოიწურება ჩვენი ლიტერატურული წარსული; დანამდვილებით ვიცით, ლიტერატურული თუ ისტორიული ძეგლებიდან, რომ დაცემის ხანაში და შექმდეგაც, სხვადასხვა სტიქიურ უბედურებათა თუ მოულოდნელ შემთხვევათა გამო, დაკარგულა მრავალი საყურადღებო, პირველხარისხიანი ლიტერატურული ძეგლი. ამიტომ, ვიდრე ჩვენს საქმეს შეუდგებოდეთ, საჭიროდა ვსთვლით ამ დაკარგული ძეგლების აღნუსხვას, განსაკუთრებით კლასიკური ხანიდან.

1. ალექსანდრიანი. ეს თხზულება, რომელიც შეიცავს ალექსანდრე მაკედონელის ლევენდარულ თავგადასავალს, ატარებს კალისტენის სახელს; კალისტენი იყო ძმისწული ალექსანდრეს მასწავლებლის, ფილოსოფოსის არისტოტელესი, მისი ბავშობის ამხანაგი და მერე თანამგზავრი აზიაში. ეს რომანი ნამდვილად კალისტენს არ ეკუთვნის, ვინაიდან კალისტენი ალექსანდრეზე ადრე გარდაიცვალა, რომანში კი აღწერილია ალექსანდრეს გარდაცვალებაც, ამიტომ ის ფსევდო-კალისტენის სახელითაა ცნობილი. ალექსანდრიანი, რომელიც გაჩნდა ბერძნულ ენაზე მესაქე საუკუნის დამდეგს ქრისტეს შემდეგ, მეტად პოპულარული ყოფილა საშუალო საუკუნეებში, მისი შინაარსით და ეპიზოდებით ისტორიკოსებიც კი სარგებლობდნენ, როგორც, მაგალითად, მოსე ხორენელი

(III, 28). ეს რომანი ქართულადც ყოფილა ცნობილი შედარებით ადრე, მეცხრე საუკუნის გასულს და მეათეს დამდეგს, ვინაიდან მისი კვალი ჩვენ გვაქვს ჯერ კიდევ ქართლის მოქცევაჲს ქრონიკაში, სადაც ვკითხულობთ: „პირველ ოდეს ალექსანდრე მეფეჲს ნათესაენი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და უკადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესაენი სასტიკნი ბუნთურქნი:.. და უჯირდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესაენი იყვნეს, ყოველსა კორციელსა სკამდეს და საპარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშქამოეს“.¹ ცნობა ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ყოფნის შესახებ შეტანილი უნდა იყოს ჩვენს მათიანეში სწორედ ამ რომანიდან და არა იმ კლასიკურ მწერალთა თხზულებებიდან, რომელთაც მეცოდნით შუაგული აზიის კავკასი ჩვენს კავკასად მიიჩნეეს. ეს შესაძლებელი იქნებოდა მით უმეტეს, რომ, აღნიშნული რომანით, ალექსანდრე ეომება უწმიდურ ერებს, როქელთაც შეამწყედევს ორ მთას შუა, კასპიის კართიკით, და იმ ხალხთა შორის, როქელნურც თავს დაესხენ ალექსანდრეს მამას ნეკტანებს, მოხენებულნი არიან იბერიელინიც. თუ ისე ადრე არა, როგორც IX—X საუკუნე, შეაერპმეტე საუკუნეში მაინც უნდა ყოფილიყო ალესანდრიანი ქართულად ნათარგმნი. ის ხელთა ჰქონია ლეონტი მროველს, რომელიც ერთს ადგილას ამბობს: ალექსანდრე „ჰოვიდა ქართლად და ჰოენა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათეთა სჯულითა, რამეთუ ცოლქმრობისა და სიძესა და თესობა [არა] უჩნდა, ყოველსა სულიერსა სკამდეს, [საფლავი არა იყო], მკუდარსა შესკამდეს; და უკრდა ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელინი ნათესაენი იქმოდეს ამას.“² ეს ადგილი ლეონტის ამოულია ფსევდოკალისტენის რომანიდან, სადაც ვკითხულობთ: „როდესაც ალექსანდრე იმყოფებოდა აღმოსავლეთში, მან იხილა აქ ერნი უწმიდურნი, იათეტის შთამომავალნი, რომელთაც ის განცეიფებრაში მოიყვანეს: ისინი სკამდენ ყოველიერ სულიერსა და არაწმიდას, კოდოს, ბუზს, კატას, თავეს, გველს, ქალთა საშოის კვალს, მკედრებს, რომელთაც ამ მიზნით არც კი მარხავდენ. ალექსანდრე შეებრძოლა მათ, გარეკა ისინი ჩრდილოეთისაკენ და შეაშწყვდია იქ ორ მთას შუა, რომელთა კარები სამუდამოდ დახშო“. ცხადია, აქ საქმე გვაქვს პირდაპირ ლიტერატურულ სესხთან, იმ განსხეავეტით, რომ უწმიდურ ხალხთა რიცხეს ლეონტიმ ქართველებიც მიათვალა, როგორც აღმოსავლეთის მკვიდრნი. რომ ცნობა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ლეონტის თავის მათიანეში პირდაპირ ალექსანდრიანიდან შეუტანია და არა სხვა რომელიმე წყაროდან, თუ გინდ მოქცევაჲს ქართლისაჲს და, ამას არც ის მალავს, როდესაც ამბობს: „ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰქვან მაკედონი, ძე ნიკტანებისა მეგვიპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა“.³ რომელ წიგნში? რასაკვირველია, ფსევდოკალისტენის ალექსანდრიანში, ვინაიდან ნიკტანები, Γικτάνები, ნეკტანები, იყო ნამდვილი მამა ალექსანდრეის მხოლოდ ფსევდოკალისტენის რომანით.

¹ Е. Такайшвили. Описание II. 708.

² ქართლის ცხოვრება მარიაშ დედოფლისა, გვ. 13. 14.

³ იქვე გვ. 13—4.

ლეონტის გარდა ამ რომანს იცნობს დაეით აღმაშენებლის ისტორიკოსიც. მწერალი მეორომეტე საუკუნის პირველი ნახევრისა; ის არამც თუ იხსენიებს ხოლმე ალექსანდრე მაკედონელს, პარალელებსაც კი აელებს მასა და დაეითს შორის, როდესაც ამბობს: „ჩუენი ესე გვრკვნოსანი და ახალი ალექსანდრე, დალათუ ყამთა შემდგომად, არამედ არა საქმიოთაცა, არცა განზრახვითა, არცა სიამენითა უმცირე. და თვთ მათ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქუმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავალთა უმაღლეს მგონიეს ესე; და რაოდენ საწუთოთა და კორციელთა შინა იგი მისთა სწორთა და მოყამეთა [უხალღეს და უზესთავს იყო], ეგეოდენ ესე საღმრთოთა და ქრისტეს მცნებათა შინა კორციელთავე თანა მისთა პირველთა ჰმატოდაო“.¹ ამასთანავე დაეითის ისტორიკოსი მარშრუტსაც კი აღნიშნავს ალექსანდრეს ოპერაციებისას, როდესაც ამბობს: „ალექსანდრე პირველად მამულისა თვისისანი შეეკრიბნა და მით დაიპყრნა დასავალნი: ევროპა, რტალია, პრომი და აფრიკეთი და მათ თანაწარტანებითა დაიპყრა ეგვიპტე, შესრულმან კარქედონით, და მიერ ეგვიპტით, პალესტინე და ფინიკე, და კილიკიისა თვსად შიმქნელი, წინაგანეწყო დაზიოსს და რაჟამს სპარსეთი მოიართო, მაშინლა ჰბრძო პიროს პინდოსა და ეგრეთლა ამით ყოვლითა მოვლო ყოველა ქვეყანა“.²

ეს ფაქტები, ეფიქრობთ, ექვს არ სტოვეპენ იმაში, რომ ალექსანდრიანი ქართულად უკვე კლასიკურ ხანაში იყო ცნობილი, თუ უფრო ადრე არა; ქართული ვერსია მისი გადმოღებული ყოვილა მეორე, ვრცელი ბერძნული რედაქციიდან: ეს იმიტომ, რომ ეპიზოდი უჩულო და უწმიდურ ხალხთა წიებში შემწყვდევის შესახებ პირველს რედაქციაში ირია.³

2. შაჰნამე, resp. მეფეთა წიგნი. შაჰნამე უდიდესი, კლასიკური ნაწარმოებია სპარსული ეროვნული ლიტერატურისა; ის ეკუთვნის ტუსის პოეტს ფირდოუსისს, რომელიც მეფე მაჰმუდის (998—1030 წ.) კარზე ცხოვრობდა და მისი მფარველობით სარგებლობდა. ამ თხზულებაში თავმოყრილია აზიაში გავრცელებული თქმულებანი სპარსეთის უძველესი დროისა; ეს თქმულებანი ჯერ მეგროელი ყოვილა ფალაურს ხო და მაჰნამე ში, მერე, 958 წელს, ისინი შეუქსიათ და პროზით უთარგმნიათ ახალ სპარსულ ენაზე შაჰნამეს სახელით. ეს პროზითი შაჰნამე გაულექსაეს ფირდოუსის და შეუქმნია მისგან ეპოპეა, რომელმაც ერთი უპირველესი ადგილი დაიქირა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში; გამოქვეყნდა ეს თხზულება 1011 წელს, საფიქრებელია, რომ ეს თხზულება სპარსულ ენაზე გამოსლესთანავე ითარგმნა ქართულად, ვინაიდან იმითი სარგებლობს მეთერთმეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლების ისტორიკოსი ლეონტი მროველი. ისტორიული კონცეპცია ლეონტისა, რომელიც თავის ისტორიას ადამიდან იწყებს და უძველეს დროიდან გადმოგვცემს ლეგენდარულ-ზღაპრულ მოთხრობებს ზღაპრულ-მითიურ მეფეთა შესახებ, მათ ბუმბერაზულ ბრძოლარკენას ბუმბერაზებთან, წარმოადგენს გამოძახილს ფირდოუსის შაჰნამესას, რო-

1) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 303, შეად. გვ. 307. 308, 329.

2) იქვე, გვ. 318—9.

3) ალექსანდრიანის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილ. უნივერსიტ. მოამბე, 111, 47—51.

მელიც ასევე იწყება და ამგვარსავე ამბებს შეიცავს. ის „წიგნი სპარსთა ცხოვრებისა“, რომელსაც ლეონტი ასახელებს,¹ ჩვენის აზრით უნდა იყოს უფრო ფირდოუსის შაჰნამე, ვიდრე პროფ. პატკანოვის სპარსული ისტორიული Compendium,² ანა და ი. აბულაძის და სხვათა ხოდაჰ-ნამე,³ ყოველ შემთხვევაში არა ფალსური ძველი გარდამოცემანი დ. ბაქრაძისა⁴ და აზიაში გავრცელებული ძველ-სპარსული საეპოსო ამბები მ. ჯანაშვილისა,⁵ ვინაიდან ლეონტი ასახელებს არა ზეპირ ამბებსა და გარდმოცემათ, არამედ წიგნს. ამ წიგნიდან ლეონტის უნდა ამოიღოს სპარსთა მიერ ქაროლის დაპყრობისა და მათ წინააღმდეგ სომეხ ქართველთა ბრძოლის ამბები, დაწყებული სიტყვებიდან: „მიერიდან განძლიერდეს სპარსნი მზია აღმოსავლითგან“, ვიდრე აღექსანდრე მაკედონელის შემოსლვამდე ჩვენში“ მართალია, მატრიანეში დაკულს, შაჰნამეთი ცნობილს, მეფეთა და ბუშბერახთა სახელე“ს. როგორცაა: აფრიღონ, ბევრასფ, იარედ, ქეკაოს, ფარაშოროტა, შიომ ბედნიერი, ჭაიხოსრო, ეაშტაბაშ, სპანდიატ რკალი, ბაჰამან და სხვ. ახის, როგორც ი. აბულაძე ამბობს დაჟინებით,⁷ უძველესი ზენდურ-თაზენდური და ფალსური ბეჭედი, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა ჩვენი დებულების საწინააღმდეგოდ: ექვს გარეშეა, შაჰნამისებური გარდამოცემანი უძველესი დროიდან დადიოდა ჩვენში; როდესაც პირველად ფირდოუსის შაჰნამე სთარგმნეს ქართულად, მთარგმნელმა, აქედან კი ლეონტი მროველმა, საკუთარი სახელეპი შეიტანა იმავე ფალსური ფორმით, რომლითაც ისინი ძველიდანვე ტრილობდენ ჩვენში ზეპირად საყურადღებოა, მაგალითად, რომ ფალსურ სპანდიატს (Spandiat) და არა სპარსულ სპანდიანდიერს ხმარობთ თამარ დედოფლის ისტორიისცი,⁸ რომლის დროს ფირდოუსის შაჰნამეს არსებობა უიკველია, აგრეთვე ყველა თითქმის ქართული ვერსიები ამ პოემასა X\II საუკუნიდან; გარდა წერაკითხვ. მუზეუმისა № 1580.

თუ შეთერთმეტე საუკუნეში არა, მეთორმეტეს დამდეგს ყოველ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო ქართულა ენაზე ფირდოუსის შაჰნამე. მართლაც, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავის შრომის ერთ ანკილას შენიშნავს: ვინ ჰგეანდა კლავიელი, ანუ ვინ იხილა ნადირობასა შინა ესეოდენ განმარჯვებული? მოსიმაზოს ვინმე ქაშის ებრაელი მოისრობისა და კეთილმმართველო-

¹ ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა გვ. 10, 11

² О древне-грузинской хроникѣ, ЖМН-Писм. 1883 г. Декабрь, стр. 267.

³ შაჰნამეს ან მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, გვ. XXXI, მისივე რეცენზია ჭევენი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომზე, განუთო ქართული ისტორიკა 1924 წ. №№ 16, 18, 19. ს. კაბაძე, საისტორიო ძიებანი, ტფილისი 1922 წ. გვ. 144-145

⁴ საქართველოს ისტორია გვ. 68.

⁵ ერან-თურანის ტალა, ივერია 1899 წ. №№ 98-103 და მისივე Картлис-ცხოვრება-Жизнь Грузии, Сб. материалов, вып. XXXV.

⁶ ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 9-13; კ. ქეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილ. უნივ. მოამბე, III, კა-41; მისივე ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 246

⁷ შაჰნამეს ქართული ვერსიები გვ. XXX, მისივე რეცენზია ჩვენს წიგნზე, ქართული ისტორიკა 1924 წ. №№ 18, 19.

⁸ ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა გვ. 361.

ბრსათვის ალექსანდრეს სპათა შორის მგობად, და აქილევი კენტავროსაგან განსწავლულად [მოისრობისა] ელლენთა შორის, ხოლო ბაჰრამგური სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკვირველთაო.¹ ვინ არის ეს ბაჰრამგური? რასაკვირველია გმირი არა რომანტიული პოემის ბარამგურიანისა, რომელიც, როგორც ვიცით, ეკუთვნის ნიზამი განჯელს და დაწერილია 1197 წელს,² ამ უკანასკნელს დავითის ისტორიკოსი, ცხადია, ვერ დასახელებდა, არამედ ფირდოუსის შაჰნამეს ბარამგური,³ რომელიც სწორედ იყო „მოქმედი უცხოთა და საკვირველთაო.“⁴ ამნაირად, 1123—1126 წლებში შაჰნამე უქვე არსებობდა ქართულად. მეთორმეტე საუკუნის გასულს, 1196 წელს, შაჰნამეით სარგებლობს თამარ დედოფლის ისტორიკოსი, რომელიც ერთს ადგილას ამბობს: „ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის, სპანდიატ, ბაჰამან და სიამო გოლიათთა შორისო.“⁵ მეცამეტე საუკუნის დამდეგს შაჰნამეს გმირთა სახელებს ჩვენ ვხვდებით შემდეგ თხზულებებში: 1) თამარიანში: ყარყუმს და არამს მათხედა არანს როსტომ ებრძოლა თვით შემქლებულად;“ 2) „დავით აღმაშენებლისა და თამარის ქებაში“: „უთრუთ—საამით, ზაალსა ავით განქიქებულ ჰყოუს ძლიერებითა; საღამ და თური ძალთ უკეთური, როსტომ, ეერა ეცან, სწორავს თუ რითა;“ 3) ვეფხისტყაოსანში: „აჟთანდილ ისრითა მოკლის ნადირი როსტომის მკლავთ უგრძესითა.“⁶ დაუჯერებელია, ეს სახელები ჩამოთვლილ თხზულებებში სპარსული დედნიდან იყოს შესული; საქმე იაა, რომ ავტორები ამ თხზულებებისა მათ ხმარობენ შესაძარებლად, რითაც იგულისხმება, რომ მათ კარგად იცნობდნენ უბრალო, საშუალო დონის მკითხველნიც, რომელთაც, ყველას მაინც, სპარსული ენა არ ეცოდინებოდა. ნ. შარრის აზრითაც ეს სახელები შეტანილია აღნიშნულს თხზულებებში არა სპარსული დედნიდან, არამედ ქართული თარგმანიდან, რომელიც, მისი სიტყვით, შესრულებულია პროზით, და არა ლექსით, მეთორმეტე საუკუნეში.⁷

3. ლეილა-მეჯუნუნაი დაწერილია შირვანშაჰის აღსართან მეორის წინადადებითა და თხოვნით ნიზამი განჯელის მიერ 1188 წლის ახლო ხანებში; ეს არის რომანტიული პოემა, რომელსაც დიდი გავლენა მოუხდენია სპარსულს ლიტერატურაში და, უნდა ვიფიქროთ, ქართულშიაც. ეს პოემა გადმოიღო ქართულ ენაზე მეჩვიდმეტე საუკუნეში მეფე თეიმურაზმა. მეჩან, ჩან, ის უფრო ადრეც ყოფილა ქართულად ცნობილი; უნდა ვთარგმნოთ ის ავტორის სიტყვებით: „მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს. ყოველ შემთხვევაში ჩახრუხადის თა-

1) ქართლის ცხოვრება მარამ დედოფლისა გვ. 315-316, ტექსტში ბარამგურის მაგიერ წერია შაჰრამგური.

2) H. Ethe, Neupersische Litteratur (Grundriss der iranischen Philologie II), S. 142.

3) S. Mohl, le livre des rois, V, 442—VI, 64.

4) Th. Nöldke, Das iranische Nationalepos (Grundriss... II), S. 167.

5) ქართლის ცხოვრება მარამ დედოფლისა, გვ. 364, სადაც ბაჰამანის მაგიერ სწერია ბამათ.

6) H. Марр, Древне-грузинские описаны, XII, 44.

7) ibid. 15, 3-4.

8) ი. აბულაძის გამოცემა, ტ. 152. ს. კაკაბაძის, 176.

9) თორიდე სიტყვა შაჰნამეს ქართული თარგმანის შესახებ, ივერია 1891 წ. № 132.

შარიანში თამარის პარალელიზმად ნათქვამია: „ამან თავი რად მართ აზვი-
რად შექმნა ლეილის ნამიჯნურევედ.“¹

4) ქილილა და დამანა. ეს თხზულება ძველადაც ყოფილა თარგმნილი
ქართულად, როგორც ჩანს თამარ დედოფლის ისტორიკოსის სიტყვებიდან:
„ერთარ ითქემის ინდოთა აღწერილსა ქილილა-დამანასა შინა იგავი ბუთა და
ყუაეთაო“;² ვახტანგ მეექვსეც აღნიშნავს მის მიერ თარგმნილს ვერსიაში: „ეთასა
მას პატიოსნისა და ამალღებულისა... მეფეთ მეფისა თამარისა ესე წიგნი
ეთარგმნათ, რომელი ცხოვრებასა ქართლისასაცა წერილ არსო“.³ ვახტანგ გორ-
გასლანის ისტორიაში მემატინანეს შეუტანია ყვავისა და ქორის იგავი, რომლი-
თაც სინდთა მეფე ახასიათებს ვახტანგისა და სპარსელების ურთიერთშორის და-
მოკიდებულებას.⁴ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს აზრი, რომ ეს
იგავი ამოღებულია ქილილა და დამანადან,⁵ მაშასადამე, ეს თხზულება ნათარ-
გმნილ-გამოღობამეთნათმეტე საუკუნეში. მაგრამ საქმე ისაა, რომ ქილილა და
დამანას არც ერთ ვერსიაში, რომელიც ფალაურზეა დამყარებული, სახელდობრ
—არც ძველ ასურულში, არც არაბულში, რომლიდანაც მომდინარეობს ყველა
დღესდღეობით ცნობილი ვერსია ამ თხზულებისა, ეს იგავი არ მოიპოვება. შო-
ლოდ იმ ვერსიაში, რომელიც ანვარი სოჰაილის სახელით მეთუთხმეტე საუ-
კუნის გასულს გამოქვეყნდა სპარსულად და მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს
ქართულად ითარგმნა, ავტორს; ჰუსეინ ალის, შეუტანია, სხვა იგავთა შო-
რის, რომელნიც არაბულში არ არიან, ამისი მსგავსი იგავიც.⁶ ვამბობთ—მსგა-
ვისი, იმიტომ, რომ ლეონტისა და ჰუსეინის იგავი ერთდაიგივე არაა: მათი-
ანეში გამზრდელად გამოყვანილია ყვავი, ანვარი სოჰაილში ყორანი; ლეონტი
ლაპარაკობს ქორის ბარტყზე, რომელიც იყო „მოწყლული და გაგლეჯილი არ-
წივისაგან“, ჰუსეინი კა ისეთზე, რომელიც ბუდიდან თავისით გადმოყარდნილი-
ყო; მათიანეში ნათქვამია, რომ, როდესაც ქორი მოიზარდა, მან თავისი გამზრ-
დელი ყვავი შექამა, ანვარი სოჰაილში კი ქორი, რომელსაც ყორნის ბუდე არც
იტევს და არც აკმაყოფილებს, გამოეთხოვა თავის გაზრდელს და წაეიდა უფ-
რო ქარგი ადგილის საძებნელად; დასსრულ, მიზანი იგავებისა დასახელებულ
თხზულებებში სხვადასხვაა. როგორც უნდა იყოს, ლეონტი მროველი, რასაკვი-
რველია, ანვარი სოჰაილიდან ამ იგავს ვერ ამოიღებდა, არაბულსა ან სხვა რო-
მელმე ვერსიაში ის, როგორცა ვთქვით, არ არის, მაშასადამე, ცხადია, ის ქი-
ლილა და დამანადან ამოღებულად ვერ ჩაითვლება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ რო-
გორც ეს იგავი, აგრეთვე მეორე, რომელსაც ვახტანგი ეუბნება სინდთა მეფეს,—
მთხუნველი თავისი შესახებ,⁷ ამოღებულია ერთერთი იმ კრებულიდან, რომელიც

1) Н. М а р р т, Древне-грузинские описания, V. 27.

2) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 378.

3) ქილილა და დამანა, გამოცემა ი. ჰუსეინისი, გვ. 11.

4) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 170—171.

5) მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, თამარ მეფის მეხობხენი, გაზეთი ტ რ ნ ბ უ ნ ა 1925 წ. № 502,
სვეტი 3-4.

6) ქილილა და დამანა, ი. ჰუსეინის გამოცემა, გვ. 49—52, 57—58.

7) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 172.

ფიზიოლოგისა და ბესტიარის სახელით მრავლად იყო ცნობილი საშუალო საუკუნეებში ამათუიმ ენაზე, კერძოდ ქართულზედაც. ამნაირად, ქილილა და დამანა ვერ ჩაითვლება მეთერთმეტე საუკუნეში ნათარგმნად, ის გადმოღობულია არაუადრეს XII საუკუნისა; სამწუხაროდ, ეს ძველი თარგმანი ჩვენამდე არ შენახულა.

5) თამარ დედოფლის ისტორიკოსი, როდესაც თაძარისათვის გამიჯნურებულების შესახებ ლაპარაკობს, შენიშნავს: „ანუშე გაქრანი მიჯნურთანნი, ცოუ ქალთა [თვს ქმნილნი], ვითარ იქმნა(ა) ამის თამარისათჳს, ვითარ ამირან ხოსროშისათჳს, ვითარ ხოსრო [შირინისათჳს, ვითარ] შახშა აბანუშისათჳს, ვითარ მზექაბუჟ მზისათჳს ხაზართასა... ვითარ რამინ ვისისათჳს, ვითარ შარიაროს ოსნაოზისათჳს, ვითარ შაღბაგარ აინლიეთისათჳს“.¹ აქ ჩამოთვლილია, როგორც ვხედავთ, შეიდი წყვილი შეყვარებულთა, რომელთა თავგადასავალი აღწერილი ყოფილა; ამთგან დღეს-დღეობით ჩვენ ვიცით მხოლოდ პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე, დანარჩენი სამი კი საბოლოოდ დაღუპულა; მხოლოდ ჩახრუხადის თამარიანში ვხედვებით ზოგიერთი მათგანის ხსენებას: „რამინს უშენოდ სტკივის: უშენოდ შერებოდა ვისის ნამიჯნურედაც“, „ოსანოს რეტი არს შენამქვერეტი: გმოს თავის ბედი, თმო ნატანჯედაც“, „უკავს შატბიერს, გულად ლაყბიერს, ალათისა რად დაშვრა მოძედაც“.² აქ აღნიშნული „ოსანოს რეტი და ტანჯეა“ გულისხმობს ისტორიკოსის „შარიაროს“ ტანჯეას „ოსნაოზისათჳს“, „შატბიერის“ მიერ ძებნა „ალათისა“—ისტორიკოსის „შად, ბაგარიას“ ძებნას „აინლიეთისას“.³

ჩვენ ჩამოთვალეთ ნათარგმნი თხზულებანი კლასიკური ხანისა, რომელთაც ჩვენამდე არ მოუხწევიათ; არის საბუთი იმისა, რომ XII—XIII საუკუნეებში ჩვენში დაწერიათ მრავალი ორიგინალური თხზულებანი და შესხმა-ხოტბანი, რომელნიც ჩვენ დრომდე არ შენახულან. ცნობილია დაქინებითი გარდამოცემა დავით აღმაშენებლის თანამედროვე პოეტთა, დავნიაკორელი ისა და დავით სავაძე აკორელი, შესახებ, რომელთაც თითქოს დავითის შესხმა-ხოტბანი უწერიათ. ჩახრუხაძეც პირდაპირ ამბობს, რომ თამარის ტახტს გარს ეხვია მთელი რიგი მეხოტბეებისა: „ბრძნად მაქებართა ესკვერტ მაქებართა“.

მა-შამსსა გავსო, შად გძნობენ ალი. (6. მარრი, VIII, 15).

უქველია, ეს მეხოტბენი და მელექსენი სწერდენ რასმეს, შაგრაშ მათი ნაწარმოები ჩვენთვის დაკარგულა. ყოველ შემთხვევაში ვიცით, რომ არსებობდა მის დროს ერთი თხზულება, რომელსაც ეწოდებოდა

6) დილარიანი. ვეფხისტყაოსნის ფსევდორუსთეელურს ტაეპში, —
ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ზონელსა,
აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ სერგის თმოგველსა, მას ენა დაუშრომელსა, —

1) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა გვ. 414; დედანში ეს ადგილი მეტად დამახინჯებულია.

2) Н. М а р р у, Древне-грузинские одописцы, V, 22—25.

3) Ibid. стр. 99, მისივე Грузинская поэма Витязь въ Барсовоѣ шкурѣ, стр. 429

როგორც ვხედავთ, მოხსენებულა სარგის თმოგველის მიერ შექმნილი დილარგეთი. დილარგეთიანი, resp. დილარიანი, ჩვენამდე არ შენახულა არც მთლიანად, არც ექსცერპტულად,¹ მაგრამ ასეთი თხზულება რომ მართლაც არსებობდა, ეს ჩანს ჩახრუხადის თამარიანიდანაც, სადაც ეკითხულობთ:

თუ ვერეინ განახის, მით ივაგლახის, შეიქნებოდის განციფრებულად: მოუბარისა მის მდულარისა დილარისაგან აღშუოთებულად

თავსა კლვად სდებდეს, ხვეკით ეძებდეს შენსა ნახვასა მიახლებულად.²

ზოგიერთ მკვლევარს ეს ადგილი ისე გაუგია, ვითომც ჩახრუხადეს მხედველობაში ჰყავდეს თამარ დედოფალი, დილარიანი აღშუოთებული; ნამდვილად კი აზრი ამ ტაეპისა შემდეგია: პოეტს უნდა აღნიშნოს, რომ ყველა მონდომებულია თამარის პარისპირ ნახვასა და შეხედვას; ვინც ამას ვერ ახერხებს, ის ვაგლახობს და განციფრებულია; არიან ისეთები, რომელნიც მისი ახლოს ნახვის სურვილით და ძებნით თავს იკლავენ, ესენი არიან აღშუოთებულნი, ან სხვანაირად—აღზნებულნი დილარის ამბით, რომელიც აღწერილია მდულრად მოუბარის მიერ; ესე იგი, როგორც დილარი თავგამოდებით დაეძებს მისთვის სანუკვარი პირის დაახლოვებასა და ნახვას, ისე მისი ამბით აღშუოთებულნი ან აღზნებულნი დაეძებენ თამარის ნახვასო. აქედანა ჩანს, რომ მეცამეტე საუკუნის დამდეგს, როდესაც თამარიანი იწერებოდა, ცნობილი ყოფილა დილარის ამბავი ან დილარიანი, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მკითხველებზე, ისინი აღშუოთებულნი, ესე იგი გატაცებულნი, აღზნებულნი და შეპყრობილნი იყვნენ ამ ამბის სიხოველითა და ინტერესით. თუ შედარებებსა და პარალელიზმს ექონრებთ მხედველობაში, დილარიანში ლაპარაკი უნდა ყოფილიყო გმირ-ჰაბუეების მიერ თავიანთ სატრფოთა ძებნის შესახებ, ესე იგი დილარიანი ყოფილა სადევ-გმირი და სამიჯნურო ნაწარმოები.

ავტორი დილარიანისა, სარგის თმოგველი, ყოფილა, ჩახრუხადის გადმოცემით, „მდულარე მოუბარი“, ესე იგი ცხარე, შუფრებელი, გამტაცებელი და ამასთანავე, ფსევდორუსთველური ტაეპის ავტორით. „ენადაუშრომელი“ ან დაულალავი მოუბარი, სხვანაირად—ავტორი გრძელი და დიდი ამბისა. ამ სიტყვებიდან ასაც შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ დილარიანი დაწერილი იყო სარგისის მიერ საუბრის ან მოთხრობის სახით და არა ლექსად.

ზოგიერთ მკვლევართა აზრით, ავტორი დილარიანისა, სარგის თმოგველი, არის ამირსპასალარი თამარისა სარგისი, რომელიც 1187 წელს გარდაიცვალა: მაგრამ ეს დაუშვებელია, ვინაიდან ის სარგისი, რომელსაც დილარიანი დაუწერია, თმოგველი ყოფილა, ხოლო ამირსპასალარი სარგისი იყო მხარგძელი და არა თმოგველი. თმოგველობა დაწესდა 1190—1191 წლებში, როდესაც ეარამ მხარგძელის ერთერთ შვილს, სარგისს, უბოძეს თმოგვი; ეს სარგისი შეიქნა

¹) თავის ადგილას ნაჩვენები იქნება, რომ ეს დილარიანი არ არის პეტრე ლარაძის სახელით ცნობილი დილარიანი, არც ის ორი თავი,—დილარის შვილის ჯიმშერის და მისი შვილის არმოკლა-ჯიმშერის ამბის შემცველი, რომელსაც ჩვენ ენოულობთ ამირანდარეჯანიანის ზოგიერთ ნუსხებში დამატების სახით.

²) Н. М а р р у, Древне-грузинские описания VII. 17—19.

პირველი თმოგველი, რომელიც ისტორიაში ჩანს 1185 წლიდან, 1206—7 წელს მონაწილეობას ლებულობს კარის ალებაში, ხოლო 1220—1224 წლებში ამტკიცებს ვანის მონასტრის სიგელს. ამას გარდა ვიციტ კიდევ მეორე სარგის თმოგველი, კაცი რიტორი და ფილოსოფოსი, რომელიც მონღოლთა დამკვიდრების შემდეგ დიდს როლს თამაშობდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელდობრ 1236—1250 წლებში; 1245—1249 წლები მას დაუყვია ულუდავითთან ერთად ყარაყურუმს, სადაც წინააღმდეგობას უწევდა დავით ნარინისათვის ტახტის დამტკიცებას.¹ 1250 წლის შემდეგ ის მათიანეში აღარა ჩანს, უნდა ვიფიქროთ, ამის შემდეგ მალე გარდაცვლილა.² დილარჩანის ავტორად უნდა მივიჩნიოთ პირველი სარგის თმოგველი და არა მეორე, ვინაიდან უკანასკნელი, შესაძლებელია, თამარის დროს დაბადებულად კი არ იყო,³ მაშასადამე, მისი ნაწარმოები ვერ იქნებოდა მოხსენებული თამარის დროს დაწერილ თხზულებაში, თამარჩანში, თან ამას გვაფიქრებინებს ლექსი: „დილარჩეთს სარგის თმოგველს“ უქიაო, როგორც იკითხება ის ზოგიერთს ნუსხებში; არ არის სწორი არც დილარჩეთ, არც დილარჩეთს, თავდაპირველად იკითხებოდა ალბად „დილარ ერთს სარგის თმოგველს“, რაც ნიშნავს: დილარი უქია ერთს სარგის თმოგველს, ვინაიდან ერთი ნიშნავს პირველსაც, როგორც უძველეს ქართულში (ბიბლია), ისე აღორძინების ხანაშიაც.⁴

7) აბდულ-მესიანი ვეფხისტყაოსნის ბიბლიოგრაფიული მინაწერი, როგორც ვიციტ, ამბობს:

ამირანდარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა,
 აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
 დილარჩეთ სარგის თმოგველსა, მას ენადაუშრომელსა,
 ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსა.

ეს მინაწერი, რომელიც უქვევლია, რაღაც ძველი ლიტერატურული ტრადიციის შემცველია, აღნიშნავს, როგორც ვხედავთ, რომ შავთელს, რომელიც კარგი მოლექსე ყოფილა; უქია აბდულმესიანო. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მუხლის გაგებას შემდეგი ფაზისები განუცდია: ზოგიერთები აბდულმესიას სთვლიდნენ ავტორის, შავთელის, სახელად (დ. ჩუბინაშვილი, პ. იოსელიანი), მაგრამ კონტექსტით აქ თხზულების სახელი უნდა იგულისხმებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უაზრობა გამოდის: რა უქია აბდულმესია-შავთელს? სხვები კიდევ აქ, მართლაც, თხზულების სახელს ხედავდნენ, მაგრამ გულხელდაკრეფილნი იდგნენ ამ საიდუმლოების წინაშე: რა თხზულებაა ეს აბდულმესია? უკანასკნელ, აკად. ნ. მარჩაძე 1902 წელს წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ აბდულმესია, რასაკვირველია, თხზულების სახელია, რომლითაც აღინიშნება დავით აღმაშენებლის ხოტბა, ამდებან თამარისა და სოსლანის ხოტბად ცნობილი; აბდულმესიად წოდებულია დავით აღმაშენებელი და ამიტომ თხზულებას დარქმე-

1) პარძის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 605, 634, 638, 642.

2) ს. კაკაბაძე, ვინ იყო და როდის ცხოვრობდა სარგის თმოგველი?

3) ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსანი, გვ. 38.

4) ნეთექსმეტე საუკუნის გასულს ჯაბრეულ ლომსიანიძე სწერს: „ვიწყე წერად იანვრის ერთით გან“, ეს იგი პირველიდან (С. Жордания Описание I, № 167, стр. 208).

ვია აბდულმესიანი¹ [ვთქვათ, დავითიანის მაგიერ]. ნ. მარჩის ჰიპოთეზამ ერთგვარი სენსაცია გამოიწვია ჩვენში, იმას შრავალი თანამოაზრე გაუჩნდა და თითქმის ბატონობაც მოიპოვა;² მაგრამ ეს იყო გატაცება ახალი აზრით, რომელიც, არის ნიშნები, თანდათან სუსტდება და გრილდება.

მართლაც, შესაძლებელია თუ არა აბდულმესიად ეიფულისხმობთ დავით აღმაშენებელი და აბდულმესიანად ის ხობტა, რომელიც ამდენხან თამარისა და სოსლანის ხობტად ითვლებოდა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. თვით ნ. მარჩი აცხადებს, რომ ჩვენმა ძველმა მწერლობამ არ იცის ისეთი თხზულება, რომელსაც აბდულმესია ჰქვიოდეს ან და რომელშიაც ასეთი პირი იყოს გამოყვანილი, მაშ რა საბუთები მოჰყავს მას იმისი, რომ აბდულმესია არის სახელწოდება დავით აღმაშენებლისა? არაბული აბდულმესიჰ, რომელიც ქრისტეს, მესიას, მონას ნიშნავს, მისი სიტყვით, შეშენის დავით აღმაშენებელს, რომელიც იყო ერთგული მონა-მოსამსახურე ქრისტესი, აღმსარებელი მისი მცნებისა, მისთვის მებრძოლი და ოფლის დამღვრელი, ძღვევამოსილი მხედარი მესიასი და მისი ჯვარისაო. მაგრამ ეს თვისებანი შეიძლება მიეკუთვნოს არანაკლებ სხვა ქართველ მეფეს, თამარ მეფეს, თუ გნებავთ, კიდევ უფრო მეტად; თუ დავითი ოფლსა ღვრიდა ქრისტესთვის (71,2), სხვა მეფეებს სისხლი დაუღვრიათ მისთვის და მოწამებრივი გვირგვინი დაუღვამთ თავზე; მაშ რატომ და განსაკუთრებით დავით აღმაშენებელს უნდა მინიჭებოდა ეს სახელწოდება? სომხური წყაროებიდან ცნობილია, ამბობს ნ. მარჩი, რომ იოანე დიაკონი სხვანაირად არ მიმართავდა დავითს, თუ არა სიტყვებით: მონაქრისტესი; ყოველთვის შეხედვრისას, ეს სომხის განსწავლული დიაკონი მას მიესალმებოდა დავით წინასწარმეტყველის სიტყვებით: „ვპოვე დავით, მონა ჩემი, და საცხებელი წმიდა ჩემი ვცხე მას; რამეთუ ხელი ჩემი შეეწიოს მას და მკლავმან ჩემმან განაძლიეროს იგი“ (ფსალ. 88, 20—21, ქართული ეერსიით). თუ სომხის დიაკონი დავითს „ქრისტეს მონას“ უწოდებდა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ქართველებმაც ისტორიულად დაუმკვიდრეს მას ეს სახელი, როგორც, ასე ვთქვათ, ეპითეტო, სიმბოლური გამოთქმა; თან იოანე დიაკონი საგანგებოდ ამ სახელით კი არ მიმართავდა ხოლმე დავითს, არამედ ფსალმუნის მთელი ორი მუხლით, რომელშიაც მისი სენხია, დავით წინასწარმეტყველი, წოდებულია ღვთის და არა მესიის მონად. არავითარი სხვა ცნობა არ მოიპოვება იმის შესახებ, რომ დავითის საგანგებო, სიმბოლურ სახელს შეადგენდა აბდულმესია, მონა მესიასი; გასაგები იქნებოდა კიდევ, რომ მას შერჩენოდა სახელი ჰუსამ-ულ-მესიჰ, ზმალი ქრისტესი, რომელიც ამოკრილი იყო მის ფულანზე, და ამიტომ მის ხობტას ჰუსამულმესიანი დარქმეოდა, აბდულმესიანისათვის კი, ვიმეორებთ, განსა-

¹) Н. М а р р ь, Древне-грузинские одописцы (Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи, IV), стр. V, 1—27.

²) იმ აზრს, რომ აბდულმესიანი არის ის ხობტა, რომელსაც წინათ თამარისა და სოსლანის ქებას უწოდებდენ, და რომ ის იოანე შვეთელის მიერაა დაწერილი, უკანასკნელ ხანადვე ჩვენც ეიზიარებდით (ქართული ლიტერატურის ისტორია I, 332—342). მაგრამ ეხლა იძულებული ვართ უარყოთ ის.

კუთრებული საბუთი არ არსებობს. მართლაცდა, ვეფხისტყაოსნის. ბიბლიო-გრაფიულს მინაწერში, რომელშიაც შენახულა ცნობა შავთელის მიერ აბდულ-მესიას შექების შესახებ, სამს შემთხვევაში პირდაპირ, საკუთარის სახელითაა აღნიშნული ამათეიმ თხზულების. მთავარი გმირი: ამირან დარეჯანის ძე, დილარი და ტარიელი; რალა მხოლოდ ამ შემთხვევაში მოუნდა ამ მინაწერის ავტორს შავთელის თხზულების მთავარი გმირი მოეხსენებია არა საკუთარი სახელით, არამედ ეპითეტით, სიმბოლურ-ალეგორიულით? ამ მოსაზრებათა გაცოჩვენ ვფიქრობთ, რომ აბდულმესია არ გულისხმობს დავით აღმაშენებელს და აბდულმესიანი არაა ის ხოტბა, რომელსაც წანათ თამარისა და სოსლანის ქებას ეძახდენ.

აბდულმესიანის არა ეპითეტი, არა სიმბოლურ-ალეგორიული, არამედ საკუთარი სახელი აღმოსავლეთის ეკლესიისა, საიდანაც ის ჩვენშიაც შემოსულა. როგორც 1666 წლის სიგელიდანა (იოსებ ტფილელის სახელზე) ჩანს, აბდულმესი ჰრქმევია ჯვარის მამის მელეტის ძმასაც.¹ აღმოსავლეთის ეკლესიამ იკის წმიდა აბდულმესი ან აბდალმესი, რომლის ცხოვრება შენახულა ასურულსა² და სომხურს³ ენებზე; ეს ცხოვრება, როგორც გვაცნობა ოქსფორდიდამ ჩვენმა მეგობარმა Dr. R. Blake-მ (18, III, 1924), ქართულადაც ყოფილა ნათარგმნი, ის შენახულა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ერთ-ერთ XII—XIII საუკუნის ხელნაწერში № 20 (მისი კატოლოგით, ა. ცაგარლისაში უნდა იყოს № 136 თუ 137), ფურც. 261—283. იწყებს ის ასე: „ფებ[ე]რვალსა: კე: წამებაა წმიდისა მოწამისა აბდულმესიასი. რომელი გამოითარგმანების მონაჲ ქრისტესი: აწ ვიწუქო დასაბამი უწყებად. წამებაა წმიდისა მოწამისა აბდულმესიასი. რომელი გამოითარგმანების მონაჲ ქრისტესი. ეამთა მესამედ შვედულთასა რიცხსამებრ იონთასა... ამ აბდულმესიას ხომ არ აქვს რაიმე კავშირი შავთელის თხზულებასთან? ხომ არ გულისხმობს აბდულმესიანი აღნიშნულ ცხოვრებას, რომელიც, იქნება, შავთელმა გალექსა ისე, როგორც ამას სჩადიოდენ აღორძინების ხანაში, საიდანაც ჩვენ გვაქვს ლექსით დაწერილი ცხოვრება წმ. გიორგის, მარინესი, ეკატერინესი, ალექსისა, ქეთევან დედოფლისა და სხე.?"

ყოველ შემთხვევაში აბდულმესიანი არაა დავით აღმაშენებელის ხოტბა, ის რალაც სხეა თხზულება ყოფილა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუხწევია. ავტორი ამ დაკარგული თხზულებისა ყოფილა შავთელი იოანე, რომელსაც მიჰმატიანე ასე ახასიათებს: „იოვანე, კაცი შავთელი ყოვლად განთქმული და სა-

¹) კატოლოგულად დარწმუნებული ანაში არც ნ. მარტი უნდა იყოს; ის ამბობს: „აბდულმესია, მონა ქრისტესი, აღბად (на всей вѣроятности) არის ზედწოდება (прозвище) და არა სახელი“ დაითათაო (стр. 1—2); „по всей вѣроятности.“ კიდევ არაა საბუთი.

²) თ. ეორდანი, ქოჩიკები II, 483—484.

³) J. C. Clary, Acta sancti Mar Abdu'l Masich, Analecta Boilandiana V 9—52 Bedjan, Acta martyrum et sanctorum I, 172—201.

⁴) Vitae et passionis sanctorum selectae ex Eclogoriis, Venetiis, 1874, I, 6—25—(Bibliotheca hagiographica orientalis, № 3 Bruxelis, 1910.

⁵) ასურულად მისი ხსენება დადებულია 27 haziran-ის ანენის.

⁶) ქართლის ცხოვრება, ბროსეს განოცემა I. გვ. 321.

კვირველი მოღვაწებათა შინა და ლექსთა გამომთქმელი“¹ ანადა—„შავთელი, კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღვაწებათა შინა განთქმული“.² ეს შავთელი იყო თანამედროვე თამარ დედოფლისა, ახლდა მას ბოლოსტიკეს ომში, რომლის გამო დაუწერია საბადლობელი იამბიკო ლეთის-მშობლისა; სხვა რაიმე გარკვეული ცნობები მის შესახებ არა მოგვეპოვება რა.³

ჩვენ ჩამოვთვალეთ კლასიკური პერიოდის თხზულებანი, რომელნიც ალბად უმთავრესად დაცემის ეპოქის წყვიდადს შთაუნთქამს; დაკარგულა არა მარტო კლასიკური პერიოდის ნაწარმოებნი, არამედ ალორძინების ხახისაც. მართლაც—და, ყველა ის თხზულებანი, რომელნიც, როგორცა ვთქვით, ზ. ჭიჭინაძის წიგნაკებიდან ვიცით და რომელნიც დღეს არ ჩანან, ალორძინების ეპოქისაა. სულ ჩვენ თვალთ წინ, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, დაკარგულა რაღაც სავანე გმირთა,⁴ ამავე დროსვე დაკარგულა პეტრე ლარაძის საყურადღებო შრომა სახე მგოსანი,⁵ რომელიც ავტორისავე სიტყვით, ცხრამეტე ასს შაირს შეიცავდა. ასე, რომ, როდესაც ლაპარაკია ჩვენი ლიტერატურული წარსულის შესახებ, შეგვიძლია გაეიმეოროთ, დიდიხანია სხვა შემთხვევის გამო ნათქვამი, სიტყვები: „მცირედ რამზე ვიცით და მცირედ რამე ვწინასწარმეტყულებთ.“ (1 კორ. XIII, 10)



¹) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 501.

²) იხ. მის შესახებ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 352—353.

³) ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეოთხმეტემდე, გვ. 33

⁴) თუ ამ თხზულებაში ჩვენ არ გვაქვს პეტრე ლარაძის მიერ გაღებული ალექსანდრიანი, როგორც ამას თავის ალაგას დაინახავს მკითხველი.

ნაწილი პირველი

კლასიკური პერიოდი

განყოფილება I

მკო სი.

კლასიკური პერიოდის ეპოსი სამი ნაწარმოებით შენახულა ჩვენამდე; ერთი მათგანი, ამირანდარეჯანიანი, უმთავრესად სადე-გმირო ხასიათისაა: იმაში გმირები, ბუმბერაზები, გოლიათები, ზეაკები და სწორუპოვარი ქაბუკები ეომებიან ღრთი მეორეს, დევებს, აეს სულებს, შხეცებს და სხვადასხვაგვარ მძიმე დაბკოლებებს, რომელნიც მათ წინ ელობებათ თავიანთი მიზნის განხორციელებისას. მეორე ეისრამიანი, უპირატესად რომანტიული ხასიათისაა: ის შეიცავს მოთხრობას ქალეაის უსაზღვრო სიყვარულის შესახებ. მესამე, ვეფხისტყაოსანი, შერეული ხასიათის და შინაარსისაა: იმაში გამიჯნურებული ქაბუკები, შეპყრობილი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით, სატრფოს გულისათვის წარმოუდგენელ სადე-გმირო საქმეებს სჩადიან. ასეთი თანმიყოლებით განვიხილავთ ჩვენ დასახელებულ ნიმუშებს კლასიკური ეპოსისას.



1. ამირან-დარეჯანიანი

ეს თხზულება მოხსენებულია ევფხისტყაოსნის ფსევდორუსთველურს მინაწერში, სადაც ნათქვამია: „ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა“-ო. ხელნაწერები ამ ნაწარმოებისა საკმაოდ მრავალია, მაგრამ ყველა ისინი ალორძინების ხანისაა, XVII—XIX საუკუნეების; ისინი განსხვავდებიან ერთიმეორისაგან სტილისტიკურად, ზოგიერთ დეტალებით და, გადაწერის დროს აუცილებელი, შეცოთვების მეტნაკლებობითა და რაოდენობით. ერთადერთი გამოცემა მისი ეკუთვნის ზ. კიკინაძეს.¹

საჭიროდ მიგვანჩნია, ვიდრე მისი შინაარსის გადმოცემასა და ისტორიულიტერატურულ ანალიზს შეუდგებოდეთ, ორიოდ სიტყვა ვთქვათ ამ თხზულების შემადგენლობის შესახებ. საქმე ისაა, რომ მოთხრობა დაყოფილია ცალკე კარებად ან თავებად, რომელთა სათვალავი დროთა განმავლობაში გადაწერით აურევიათ, რაც წარმოადგარა იქიდან, რომ ზოგი მთლიანი მოთხრობა, რომელიც ერთს კარს ან თავს უნდა შეადგენდეს შინაარსის მიხედვით, გაუყვიათ რამოდენიმე ნაწილად, ხოლო რამოდენიმე მთლიანი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი შინაარსით მოთხრობა, მათი სიმოკლის გამო, შეუერთებიათ და ერთ კარად ან თავად წარმოუდგენიათ; აგრეთვე ის, რაც თხზულებაში უცილობელ შესავალს შეადგენს, ცალკე კარადაა გამოყოფილი და წარწერილი. ამ შესავალში მომთხრობი სავარსამიძე, ამბობს: „თორჰეტნი კარნი არიან პატრონისა ჩემისანი და სხუათა მათ ქაბუტანიო“ (გვ. 12); მაშასადამე, თხზულებაში 12 კარი ან თავი უნდა ექძიოთ. მათი გამორკვევა ადვილია, ვინაიდან თვითველი მათგანი იწყება, თითქმის ყოველთვის სტერეოტიპული ფრაზით: „ისჰენდი მეფეთ მეფეო“, ან „სხონდი მეფეო უკუნისამდე“, ხოლო თავდება: „აქა დასრულდა კარი“ ესადაესო და მერე - „ამინ“. ამნაირად, „ამესალონ, ჰინლოთ მეფის ამბავი“ (გვ. 1—12), არის არა პირველი კარი, არამედ შესავალი თხზულებისა. I კარი—ბაღრატ-ბაგრატიონის ამბავი (გვ. 12—18, რომელიც გამოცემაში ორ კარადაა გაყოფილი); II—ნოსარ ნისრელის ამბავი (გვ. 28—32), III—ამირან-დარეჯანის ამბავი (გვ. 32—40), IV—ამბრო არაბის ამბავი (გვ. 40—69, რომელიც გამოცემაში ორ კარადაა გაყოფილი); V—მნათობთა ამბავი (გვ. 70—98), VI—თილისშათ ამბავი (გვ. 99—135); VII—სეფედაულე დარისპანის ძის ამბავი (გვ. 135—185), VIII

¹) ამირან დარეჯანიანი მოსე ხონელია (XII ს.), ტულისი 1896 წ. ლიტერატურა ამირან-დარეჯანიანის შესახებ: 1) Brosset Bull. Sc. de l'Academ. imp. et Sc. de l'Academ. des Sciences III, Melanges Asiatiques VIII. 2) Гренъ, Грузинская повѣсть объ Амيرانѣ... ЖМНПросв. 1895, февраль. 3) Н. Марр, Персидская национальная тенденция въ грузин. романѣ Амيران-дареджаніани. ЖМНПросв. 1985, июнь; მისივე, რეცენზია მ. ჯანაშვილის ამირან-დარეჯანიანზე ЖМНПросв. 1895, октябрь; 4) მ. ჯანაშვილი, მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, ტულისი, 1895 წ. 5) А. Хакановъ, Очерки по исторіи грузинской словесности, вып. I (შინაარსი) вып. II (გარეგეა); მისივე წერილი ივერიაში 1892 წ. № 17; ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 11—13; 7) Н. Марр, Изъ книги царевича Баграта о переводѣ... Амيرانдареджаніани. Извѣстія Академіи Наукъ, 1899 г. т. X, № 2; 8) Амيرانъ, СМПНК. вып. XX; 9) კ. კეკელიძე, აბტანგ გორგასლანის ისტორიკოსი და მისი ისტორია, ჩვენი მეცნიერება № 4—5, 1923 წ.

— მზისაქაბუკისა ამბავი (გვ. 185—233), IX—სისხლთა ძებნისა ამბავი (გვ. 230—241), რომელიც გამოცემაში წინაკართანაა შეერთებული; X—ბაღხეთს შესვლის ამბავი (გვ. 241—258). ამ კარის დასასრულს შემდეგი მინაწერია: „აქ დასრულდა წიგნისა ამის თქმულება, მოსე ხონელისა მიერ ნასიტყვნი, თამარ მეფის დროს, საკაცობო და სამხედრო ამბავნი, და ისმინეთ მკითხველთა ყოველთა“ (გვ. 258). როგორ უნდა დასრულებულიყო აქ თხზულება, როდესაც ავტორი შესავალში 12 თავს გვიპირდება, აქ კი, როგორცა ვთქვით, მხოლოდ ათი თავია დასრულებული? მართალია, მეათე თავს ხელნაწერებსა და გამოცემაში მეთორმეტე აწერია, მაგრამ ის რომ მეთორმეტე არაა, ჩანს იქიდან, რომ „მეთერთმეტე თავს“ გამოცემაში (გვ. 135—241) წინ მიუძღვის „მეცხრე“ კარი (გვ. 136—185), ხოლო ამის წინა ორ თავს აწერია მეჩვიდმეტე ცხადია, აქ ეს თხზულება არ თავდებოდა და მას გაგრძელება ჰქონდა, რომელიც შემდეგი დროის გადაწერთ მოუგლეჯით მისთვის. მართლაც, ზოგიერთ ხელნაწერებში ჩვენ ვხვდებით ამ ადგილის შემდეგ „ჯიმშერ, ხაზართა მეფის დილარის, შვილის“ და „ჯიმშერის შვილის, ჯიმშერ-არმოკლასა, და მზეკაბუკის“ ამბავს (გვ. 259—304); ეს ამბავი იწყება ასე: „ოდესმე მეფესა ხაზართასა დაეპყრნეს ყოველნი ქუეყანანი სიმხნითა და სიქველთა თვისითა, ყოველნი მონებდეს, უძრწოდეს, ყოველნივე გარეგანი მეფენი, რომელნიცა თვითეულად აღწერილ არს საგარეის თმოგველისაგან. სიმხნენი და გოლიათობანი სიკაბუკისა მისისანიო“. ამის მიხედვით, ეს ორი ამბავი ა. ხახანაშვილსა და ზ. ჭიჭინაძეს შიამნათ დილარიანიდან შემოტანილ ზედმეტ თავებად, და არა მარტო ამით, არამედ ამირანდარეჯანიანის ერთერთ ხელნაწერის (1776 წლის) გადამწერს, რომელსაც მათთვის შემდეგი შენიშვნა დაურთავს: „ამ ჯიმშერ ხელმწიფის ამბის დაწერა მოსე ხონელს არ ეკუთვნის, ეს მოუგონებია და ზედ მოუჭორებია ვილაც ქრცხინვალელ კაცს, გადამწერს“. ¹ აქედანა ჩანს, რომ ამირან დარეჯანიანის შეწყვეტა მეათე თავზე და მისგან ორი უკანასკნელი ამბის ჩამოშორება გადამწერთაგან შედარებით ადრე მომხდარა. ნამდვილად კი ეს ორი ამბავი გაგრძელებაა ამირანდარეჯანიანისა და მისი ორგანიზული ნაწილი; ეს შემდეგიდანა ჩანს: 1) პირველს ამ ორ ამბავთაგანს აწერია „კარი მეთერთმეტე, ჯიმშერ ხაზართა მეფისა დილარის შვილის ამბავი, ისმენდინ მეფეთ მეფეო, ცხონდინ უკუნისამდე“. აქ საყურადღებოა ჯერ ერთი „კარი მეთერთმეტე“, საიდან გახდა ის მეთერთმეტე? იქიდან, რომ ყველა ის, რაც მას ამირანდარეჯანიანის სახელით წინ მიუძღვის, გაყოფილია 10 თავად, მაშასადამე, ეს ამბავი არის მეთერთმეტე კარი. ერთი სიტყვით, აქ ჩვენ გვაქვს გადამწერთაგან შეუსწორებელი და წაუშლელი ტრადიცია იმისა, რომ ეს ამბავი გაგრძელებაა ამირანდარეჯანიანისა, ამიტომ მეორე ამბავს აწერია „კარი მეთორმეტე“ (ზოგან შეცოთომით მეცამეტე). ამასვე გვეუბნება ფრაზა: „ისმენდინ მეფეთ მეფეო, ცხონდინ უკუნისამდე“, რომლითაც იწყება ამირანდარეჯანიანის კარებიც, აგრეთვე დასასრული მათი; „აქა დასრულდა კარი“ ესადაესე, „ამინ“, როგორც ამირანდარეჯანიანის კარებში იცოვოლობთ ამას. 2) ეს ორი ამბავი სულით

¹) ზ. ჭიჭინაძის დილარიანი, გვ. 24, ტფილისი. 1897; А. Х а х а н о в у, Очерки II 154—5 примѣчаніе.

სტილით, შინაარსით და მოთხრობის ხასიათით სრულს იგივეობას წარმოადგენს ამირანდარეჯანიანის სხვა ამბებთან: ისინი იმგვარივე ტექნიკური ძაუბითაა გადაღებული ამირანდარეჯანიანის პიროვნებასთან, როგორითაც წინათავეები. ესე იგი წინათავეებს ან კარებს მეტი კავშირა არ აქვთ ამირანდარეჯანიანის პიროვნებასთან, ვიდრე ამ ორ ამბავს. 3) მეთერთმეტე თავს ან კარს უყვება რაიბდაბადი ამირანსა და სეფედავლეს, ისინი სთხოვენ მას გააგრძელოს ჯიმშერის შესახებ მოთხრობა (გვ. 273); მეთორმეტე თავში ჯიმშერ-არმოკლა საშინელ მხეცთან შეტაკების წინ ღმერთსა სთხოვს ამირანის ძალას, როდესაც უქანასკნელი 40 წლისა იყო (გვ. 282), ამ თავსაც იგივე რაიბდაბადი უყვება ამირანსა და სეფედავლეს, რომლებთანაც მათი ბუმბერაზობის გამოსაცდელად, მიღან ჯიმშერი და მხეკაბუჯი (გვ. 302 — 304). 4) ამ თავში ლაპარაკია ჩრდილოეთის მეფისა და ჯიმშერის შესახებ. ხალხურ ლექსში ამ ჩრდილოელ მეფეს ეხედავთ ამირანთან ერთად (გვ. 312), მაშასადამე, ხალხის შეგნებაშიაც ეს თავები ამირანდარეჯანიანის ნაწილს შეადგენს. ეს თავები, სარგის თმოგველის დილარიანის ნაწილი არაა, ცხადია: მათი შესავალის ფრაზა: — ვითარცა თვითოულად აღწერილ არს სარგის თმოგველისაგან სიმანენი და გოლიათობანი სიკაბუჯისა შიანისანი¹, გვეუბნება, რომ ეს ორი თავი ნაწილი არაა დილარიანისა; პირიქით, მათში აღნიშნულია სარგის თმოგველის შრომა, როგორც სრულიად დაჰუკიდებელი ნაწარმოები, ამ ნაწარმოებს ისინი იპოუშებენ. იმისაგან მათ ციტატა მოჰყავთ. 2) აქ ჯიმშერის მამა დილარი აბა შეთის მეფეა. აწნაირად, ზემოთყვანილს მინაწერში, რომელიც ჩუბთე თავის შემდეგ იკითხება, როგორც ის არაა მართალი, — ამას მერე დავინახავთ, — რომ ამირანდარეჯანიანის ამბავი „თამარ მეფის დროსაა ნასიტყვი“, იქ ის ცნობა, ვითომც ამირანდარეჯანიანი ბალხეთა² შესვლის ამბით თავდება. მეთერთმეტე კარი ან თავი მისი არის „ჯიმშერ ხაზართა მეფის ამბავი“ (გვ. 259 — 278), ხოლო მეთორმეტე — „ჯიმშერის შვილის, ჯიმშერ არმოკლასა, და მხეკაბუჯის ამბავი“ (გვ. 278 — 304). ამიტომ სრულიად ბუნებრივად მეთორმეტე თავი სრულდება სეფედავლეს დარისპანისძისა და ამირანდარეჯანიანის ამბით, თუ როგორ მოვიდენ მათთან ჯიმშერ არმოკლა და მხეკაბუჯი მათი გოლიათობის გამოსაცდელად და როგორ დაუმტკიცეს მართლაც მათ დასახელებულმა გოლიათებმა თავისი ბუმბერაზობა. ექვ. თავისი შვილის შეხედულებით ეს თავები არაა არც დარეჯანიანის ნაწილი, არც ნაწყვეტი ძველი დილარიანისა, ისინი მას მიაჩნია ძველი დილარიანის გაგრძელებად, რომელიც შეუთხზავს ვილაცას არაუადრეს მეთექვსმეტე საუკუნისა, ამირანდარეჯანიანის მიბაძვით და მიხედვით.¹ ეს ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია: გაგრძელება შეიძლება დაწეროს იმისა, რაც არსებობს და რასაც იცნობენ (მაგალითად სწერდენ ეფთხისტყაოსნის გაგრძელებას), მაგრამ ვის უნდა მოსვლოდა აზრად დაწერა უკვე დაკარგულის, არ არსებულის და უცნობის დილარიანის გაგრძელება? მერე რაღა ამირანდარეჯანიანის მიხედვით და მიბაძვით მოინდომა მან ამ გაგრძელების დაწერა?

¹) მოაღწია ჩვენამდე ძველი დილარიანის ნაწყვეტებმა თუ არა? მოამბე 1900 წ. № 2

ამირან დარეჯანიანის შემადგენლობის გარკვევის შემდეგ, საჭიროდა ესთელით, მისი ხასიათის შესაგნებად, გადმოესცეთ მოკლედ მისი შინაარსი.

შესავალი. ინდოეთის მეფე აბესალომი ორშაბათობით, სამშაბათობით და ოთხშაბათობით ნადიმობდა დიდებულებთან ერთად, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით ნადირობდა, ხოლო კვირაობით სამეფო საქმეებს განაგებდა. ერთხელ ნადირობისას მინდორში მან იპოვა ქურციკი, რომელსაც ოქროს რქები ჰქონდა; გამოუდგა მას ორი მხლებელით და შეიდი დღე სდია; მეშვიდე დღეს ქურციკი მივიდა ადგილსა ერთსა კლდოვანსა, ჩაიხვეწა იქ და უჩინო იქმნა. მეფემა და მხლებლებმა მიიხედ-მოიხედეს და იქვე შენიშნეს ერთი ქვითკირის სახლი, რომელშიაც კედელზე გამოხატული იყო ექვსი ჭაბუკი და მათ შუა ლამაზი ქალი. სურათს წარწერა ჰქონდა: მე ვარ „ამირან დარეჯანის-ძე და ყმა ჩემი სავარსამიძე, ბადრი იამანიძე და ყმა მისი ინდო ჭაბუკი, ნოსარნისრელი და ყმა მისი ალი დილაში; ოდეს ქაჯნი დაეხოცენით და ზღვათა მეფის ასული გამოვიყვანეთ, ამას ალაგსა ზოვედით, და ყოველი არაბეთი ზედან მოგვიხდა და მაშინ არა აეად ეიყვენით.“ მეფეს გაუკვირდა ყველაფერი ეს, გამოვიდა გარეთ და მინდორში დაინახა მთელი გორა ცხენისა და კაცის ძელებისა, აგრეთვე იარაღის ნამსხვრევები. დაბრუნდა ის სახლში დაღონებული, მოდამ კითხულობდა ამ ჭაბუკთა ვინაობას და, რადგანაც ვერა გაიგო რა, სულ ერთიან სეულამ მოიცო, ასე რომ თავი დაანება ღმერთს, ნადირობას და სახელმწიფო საქმეებსაც. თანახმად თავისი დიდებულის აბულ ასანის რჩევისა, მან ამბის შესატყობად გაგზავნა კაცები ბაღდადს, სადაც მათ მიავგნეს ერთს მოხუცებულს; ამისაგან გაიგეს, რომ მახლობელს ბალხეთში, რომელიც აშენებულია ამირან დარეჯანიძის მიერ, ცხოვრობს მისი ყმა, მოწამე ყველა მისი თავგადასავალისა, სავარსამიძე გაგზავნილები წაყიდენ ბალხეთს, რომლის შესავალ კარებზე დაინახეს გამოხატულება ცხენზე მჯდომი ამირანისა; აქ მართლაც მოძებნეს სავარსამიძე, რომლისაგან ამირან დარეჯანიძის თავგადასავალი მაინც ვერ მოისმინეს, ასე რომ აბესალომი იძულებული შეიქნა საგანგებო დეპუტაცია გაგზავნა და ისე მოეყვანა ეს კაცი თავის სამეფოში. სავარსამიძემ მეფეს განუცხადა, რომ ამირან დარეჯანიძის ამბის თქმას, რომელიც თორმეტი კარისაგან შესდგება, ერთი წელიწადი მაინც მოუნდებო და დაიწყო ასე;

კარი I—ბადრი იამანიძის ამბავი: ერთხელ ნადირობისას ამირან დარეჯანისძე შეხვდა მტირალს შალსან კაცს, რომელმაც უამბო მას შემდეგი: ჩემი ბატონი, ბადრი იამანიძე, შეუდარებელი გმირი იყო, თავისი ბაღალი ჭაბუკი მან ვერსადა პოვა, რითაც შეწუხებული იყო. ერთხელ მოვიდა მასთან მოხუცებული არაბი და უთხრა: წადი და გამოიყვანე ზღვათა მეფის ქალი, იქ გზა ძნელი და სახიფათოა, თან ისეთ ჭაბუკებს შეხვდები ამ სამეფოში, რომ შენს ბედს დასწყველიო. ბადრიმ წაგვიყვანა მე და ინდო ჭაბუკი, თან მოხუცებული არაბიც, რომელიც თუთხმეტი დღის მგზავრობის შემდეგ ჩამოგვრჩა და აღარ მოინდომა გზის გაგრძელება. ჩვენ წავედით და ენახეთ ერთი კარავი, რომელშიც წითელ ჭაბუკს ეძინა, ეს ჭაბუკი ინდომ დაამარცხა და მერე ჩვენ გამოგვყვა; შემდეგ ჩვენ დავამარცხეთ მთელი რიგი ჭაბუკებისა გზაზე, ერთის მათგანის, შავოსანის, ამაღლაში ვიპოვეთ უსიბი, რომელიც თან გავიყოლიეთ. გზაზე მოგვიხდა ბრძოლა

მხეცებთან, სპილოსთან, მარტორქასთან, გველებით მოსილ კაცთან, შავსა და თეთრს ვეშაპთან, ყველა ამას ვსძლიეთ, დავამარცხეთ აგრეთვე 3000 კაბუჯისაგან შემდგარი ლაშქარი და მივედით ზღვის პირას ერთს პატარა ქალაქში. აქ ჩავსხედით თუ არა ნაევებში, თავს დაგვესხენ ზღვის პირატები, რომელთაც გახურებული ქეები დაგვიშინეს; ბადრი იამანიძე გადახტა მათს ნავში და ყველანი ზღვაში ჩაყარა. ჩვენ გადავედით კუნძულზე, მივედით ზღვათა სამეფოში და მეფეს გავაგებინეთ მიზანი ჩენი მისთვის; მეფემ აღგვითქვა თავისი ქალი, მაგრამ მოსთხოვა ბადრის შებმოდა წინასწარ სამს მის ბუმბერაზს: აბაშს, მოკლეს კაბუჯს და არზამანიკს. ბადრიმ სძლია სამივეს და მეფემ, დაპირებისამებრ, ქალი მისცა; სამი თვის ნადიმობის შემდეგ გამოვემგზავრეთ სამშობლოში. ღამე მოვიდა ბაყბაყ დევი, რომელმაც ბადრი მოიტაცა, ინდო კაბუჯი დაედევნა მას დასახსნელად, მაგრამ ვერას გახდა. ჩვენ შეწუხებულნი დავბრუნდით ზღვათა მეფესთან, მივეგარეთ უკანვე მისი ქალი და ყველაფერი უამბეთ; მან დაუყონებლივ მე და უსიბი გაგვეზავნა მოციქულებად ნოსარ ნისრელთან, რომელსაც ის დახმარებას სთხოვდა. ნოსარმა გაიგო თუ არა ეს ამბავი, წამოიყვანა ყმა თვისი ალი დილამი და გამოემართა საძებნელად.

კარი II, ნოსარ ნისრელის ამბავი. ავირჩიეთ მოკლე, მაგრამ სახიფათო გზა; ყველაფერი, რაც კი შეგვხვდა, — მხეცები, საშინელი ფრინველები და უძლეველი ლაშქარნი, შემუსრვილ იქმნა ნოსარისა და უსიბის მიერ. მიუახლოვდით ერთს ქალაქს, რომელიც დევთა ქალაქი აღმოჩნდა; ნოსარი შევიდა შიგ და კარგა ხნის შემდეგ მოიყვანა ორპირი კაცი; ერთი პირი შავი იყო და ერთი წითელი; შავი პირით სპარსულად ლაპარაკობდა, წითლით ნალაპარაკევი კი არ გვესმოდა. ამ ორპირიანი კაცის თანხლებით მივედით ერთს ციხესთან, რომელიც დევებს ეკუთვნოდა და რომელშიაც ბადრი იამანიძე იყო დამწყვედელი; ნოსარმა აქ დაიძინა. ღამე მოვიდა ბაყბაყ დევი და მისი ძმა ხაზარანი და შეიპყრეს ნოსარი, რომლის საძებნელად წავიდა მისი ყმა ალი დილამი. ინდო კაბუჯმა მე ეხლა შენთან გამოგზავნა, ამირან, შენ თუ არა, მეტი გზა არ არის ბადრისა და ნოსარის ხსენისა. ამირანმა მოისმინა თუ არა ყოველივე ეს, არც კი დაუცადა თავის კაბუჯებს, იმწამსვე გზას გაუდგა.

კარი III, ამირან დარეჯანიძის ამბავი. ამირანი, სეარასამიძე და შაოსანი კაბუჯი მივიდნენ ქ. იამანში ბადრის მამასთან, რომელსაც ამირანმა აღუთქვა შვილის დახსნა; წაიყვანა უსიბი და 12 დღის მგზავრობის შემდეგ მიადგა ერთს ციხეს, სადაც, ორპირიანი კაცის სიტყვით, დამწყვედელი იყვნენ ინდო კაბუჯი და ალი დილამი. ამირანმა ციხე შემუსრა და დატყვევებულნი გაანთავისუფლა და აქედან ერთად გაუდგნ გზას ყველანი; გზაზე მათ მრავალი დაბრკოლება ელობებათ: მდინარეზე გადასელა, საშინელი გველები და სამი ვეშაპი, რომელთაგან ერთმა ამირანი გადაყლაპა; ამირანს ფეხსაცმელის მოგეში დანა ჰქონდა, რომლითაც ვეშაპს მუცელი გაუჭრა და გამოვიდა. გზაზე შეხედათ მტრიალი ქალი, რომელმაც ისინი სადილზე მიიწვია; ამირანი შეიყვანა გამოქვაბულში და შუბად კარზე დიდი ლოდი მიაგორა. გამოქვაბულში ამირანმა ნახა ერთი ცალთვალა დევი შვილითურთ, რომელთაც მისი შეკმა მოინდომეს; ამირანმა ჯერ შვილი მოკლა და მერე მამას მეორე თვალის ამოსთხარა. ამის შემდეგ ამირანს

თავს დაესხენ ბაყბაყ დევი და მისი ძმა ხაზარანი, უკანასკნელი ომში მოიკლა. ბოლოსდაბოლოს მიაღვენ იმ ციხეს, რომელშიაც ბადრი და ნოსარი იმყოფებოდნენ; რადგან შიგ შესღვა შეუძლებელი იყო, ამირანმა შემდეგ ხერხს მიწართა: მან წაავლო ფეხში ხელი ერთს საშინელს ფრინველს, მდინარის პირს მოფრენილს, და მან ის გადაიყვანა ციხეში. ნოსარისა და ბადრის დახმარებით მან დაღწა ციხის კარები, ამოწყვიტა მცველები და დიდი სიმღიღრით დაბრუნდა უკან ბადრითა და ნოსარით. მათი გამარჯვების ამბავი მთელს არაბეთს მოედდა; ბაყბაყ დევმა დიდძალი ჯარი შეაგროვა და დაედენა მათ უკან, გაიწართა საშინელი ომი, რომელიც სამი დღის შემდეგ ბუმბერაზ ჰაბუყების განჯეებით გათავდა. აქ მათ ააშენეს ქვითკირის სახლი, რომელიც მათ თავიანთი გამოხატულებით შეამკვეს; ეს ის სახლი იყო, რომელიც აბესალომ, ინდოეთის მეფემ, ნახა.

კარი IV, ამბრი არაბის ამბავი. ერთხელ ბაღდადში ამირანმა და სავარსამიძემ მოქიფე კომპანიისაგან გაიგონეს, რომ, თუმცა ამირანი სწორუპოვარი ჰაბუკია, მაგრამ არის ვინმე ამბრი არაბი, რომელიც მას არ ჩამოუვარდება; ამირანმა გამოიკითხა ვინაობა ამბრი არაბისა და აღმოჩნდა შემდეგი: ამბრი იყო დიდი კაციის შვილი, რომელიც მამამ აღსაზრდელად მიაბარა გამოჩენილ ჰაბუკს აბუთარს; შვიდი წლის ის უკვე ლომებსა ხოცდა, თუთხმეტი წლისას უკიდეს შესანიშნავი ცხენი და ასპარეზობაში მას ბაღალი არა ჰყავდა. ის ცხოვრობდა არაბეთის ქალაქ იემენში, არაბებს ამ დროს აწუხებდა თურქები, რომელთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს 15 წლის ამბრის; ამბრამ წაიყვანა აბუთარი და პირველსავე შეხვედრისას 3000 თურქი მოკლა. თურქების მოკავშირე ხანმა 20000 კაცი გაგზავნა იემენში. ამბრამ წაიყვანა 60000 ჯარის კაცი და შეესია თურქებს, აქ მას ჯარი გაუწყვიტეს, ასე რომ იძულებული შეიქნა თავისი ჰაბუკებით თავი შეეფარებია ერთს ციხეში, რომელსაც თურქებმა 80000 კაცი შემოარტყეს გარს, თუმცა უშედეგოდ. თურქებმა ამბრის წინააღმდეგ გამოუშვეს სამი ბუმბერაზი, რომელნიც სათითაოდ დახოცა ამბრამ; ბოლოს თურქთა ჯარი იძლია და ამბრის ხელთ ჩაუვარდა თვით მეფე მათი, რომელიც მან შეიბრაღა, როგორც მეფე, და ცოცხალი გაუშვა. ამის შემდეგ იემენს ახალი მტერი გამოუჩნდა, ინდო ჰაბუკი, რომელიც მას აოხრებდა; ამბრი ვაჟიდა მის წინააღმდეგ, რამდენჯერმე შეეჯახენ ერთმანეთს, მაგრამ ვერ სძლიეს ერთიმეორეს, ამიტომ ისინი დაძმობილდნენ და ფიცი დადეს, რომ ერთად დაიცივენ იემენს. მართლაც მათ ამოწყვიტეს ხანთა მეფის ჯარი და განდგომილი არაბები კვლავ დაუმორჩილეს იემენს. მოისმინა რა ეს ამირანმა, დაუყოვნებლივ მოიბრუნა პირი და თავისი ამალით იემენისაკენ გაემგზავრა; მას უნდოდა ენახა ამბრი არაბი და თავისი ძალა გამოეცადა მასთან ბრძოლაში. სამწუხაროდ, მან ის ცოცხალი ვერ ნახა, ქალაქის კარებში შეხვდა სამგლოვიარო პროცესიას, რომელიც გარდაცვალებულ ამბრის ასაფლავებდა.

კარი V, მნათობთა ამბავი. ბაღდადის ამირ-მუმლს უნდოდა თავისი სამი შვილისთვის ცოლები მოეყვანა; რადგანაც შერძენთა, ინდოთა და ხაზართა მეფეების ქალები საკადრისები არ აღმოჩნდნენ, მან უბრძანა ევზირს სხვაგან მოეძებნა სასძლოები. ერთი თვის შემდეგ ევზირმა გაიგო, რომ მნათობთა ქვეყნის მეფეს ას-

პანს ჰყავს შეიდი მზეთუნახავი, მაგრამ იქ მისლვა დიდს სიძნელეს წარმოადგენსო. ამირ-მუმლი თავისი ამალით მივიდა ამირანთან და დახმარება სთხოვა, ისიც დაუყოვნებლივ ადგა და გაემგზავრა. ბევრი დაბრკოლებისა და ხიფათის შემდეგ მივიდა მნათობთა ქვეყანაში, სადაც მეფის კარზე ნახა მისი ქალების ხელის საძებნელად მოსული ოთხი მეფისშვილი: ჩინეთის, დელამის, ხაზარეთის და იემენის; ისინი და მათი ამალა ებრძვიან ერთიმეორეს, მაგრამ ვერას ხდებიან. ამირანმა სათითაოდ დაამარცხა ყველა ისინი, მეფეს გამოსთხოვა შეიდივე ქალი, ოთხი აქ მოსულ მეფეთა შვილებს დაუტოვა, ხოლო სამი წაუყვანა ამირ-მუმლს.

კარი VI, თილისმათ ამბავი. ამირანს ღამე ეცხადებოდა ძილში უცნობი კაცი, რომელიც ეუბნებოდა, რომ თილისმათა ქვეყანაში არის მზეთუნახავი ქალი, რომელიც შენ შეგშენის ცოლად, იმდენი ელაპარაკა მას, რომ ამირანს გულში ჩაუვარდა ამ ქალის სიყვარული და გზას გაუდგა მის საძებნელად. გზაზე მან იხსნა ყაჩაღებისაგან ვაკართა ქარავენი, რომელთაც მას მისცეს გზის მაჩვენებელი; მრავალ თილისმათა და დაბრკოლებათა ძლევის შემდეგ ის მივიდა იმ ქალაქში, სადაც ცხოვრობდა მისი სატრუო, ხვარაშან ქალი. აქ მან სძლია მრავალ კონკურენტ-ბუმბერაზებს და თავის სურვილს მიაღწია: ხვარაშანი შეირთო და ბაღდადს დაბრუნდა.

კარი VII, სეფედავლე დარისპანიძის ამბავი. სეფედავლე ძალიან ადრე დაობლებულა და დედის ამარა დარჩენილა, მტრები მას მის სამკვიდრებელს ერთიმეორეზე აკლიდენ ხელიდან. ცოტა რომ წაპოიზარდა, ჯერ მტრებს გაუსწორდა; თავისი სამკვიდრებელი დაიბრუნა, და მერე გაემგზავრა ჩინეთს იქაური ქალის შესართავად. გზაზე ბევრი ხიფათი შეხვდა, მოუხდა ბრძოლა მხეცებთან და თილისმებთან, მაგრამ ბოლოსდაბოლოს თავის მიზანს ღიაღწია. ამირანმა რომ მოისმინა ამბავი სწორუპოვარი ქაბუჯის სეფედავლესი, მოძებნა ის და ბრძოლაში გამოიწვია; დიდხანს იბრძოლეს, მაგრამ ვერც ერთმა სძლია და ვერც მეორემ, რის გამო ისინი დამეგობრდნ და ძოვად შეკუთიყვეს ერთმანეთს.

კარი VIII. მზისა ქაბუჯისა ამბავი. ნადირობის დროს ამირანი ჰკლავს ორს ლომს, ამ დროს გამოჩნდა შაოსანი კაცი და დაიწყო ტირილი; ამირანმა ის შინ წაიყვანა, გამოკითხა ამბავი და მოისმინა მისგან მზექაბუჯის გმირობა, ხაზართა მეფის ხეასროს კარზე ბუმბერაზებთან ბრძოლა მისი ქალის გულისათვის, ამ ქალის ვატაცება თილისმათა ქვეყანაში, მზექაბუჯის იქ გამგზავრება, ქალის გამოყვანა, ხაზარეთში, ხეასროს შემდეგ, გამეფება და ლაღატით ხუთი ბუმბერაზის მიერ მისი მოკლეა.

კარი IX, სისხლთა ძებნის ამბავი. ამირანი აღშფოთდა ამ ქაბუჯთა ვერაგული საქციელით, ამიტომ განიზრახა მათი და მათი თანამოაზრეთა დასჯა. მან მოიწვია სეფედავლე და მასთან ერთად გაემგზავრა ქ. ლახნაში ლახნელთა წინააღმდეგ; შევიდა ქალაქში და სულ მუსრი გააელო ყველას მზექაბუჯის მოკლვისათვის.

კარი X, ბალხეთს შესღვის ამბავი. ზეიმის დროს ამირანს შეატყობინეს, რომ ბალხეთის მეფეს აუჯანყდა მონა ბალხამი, რომელსაც განუზრახავს მეფე ტახტიდან ჩამოაგდოს და მისი ქალი ცოლად შეირთოს. ამირანი მიდის ბალხეთს,

ქალაქს იპყრობს და შერძე შეებმება ბალხამს, რომელსაც ის ჰკლავს; ამის შემდეგ ის თვითონ შეირთავს მეფის ქალს და ბრუნდება უკანვე.

ქარი XI, ჯიმშერ ხაზართა მეფის დილარის შვილის ამბაეი. ხაზართა მეფის დილარს ჰყავდა შვილი ჯიმშერი, რომელიც მან სიკვდილის წინ მიაბარა გასაზრდელად თავის ძმის შვილს ხოსროს. ხოსრომ მოინდომა იმისთვის ტახტის წართმევა, ამიტომ თავის მზრივ ის მან მიაბარა ვინმე მერაბს და უბრძანა: ციხეში ჩასვი და ყური უგდე, იარაღის ხმარება არ ისწავლოს. მერაბს ჯიმშერი შეებრალა, ციხიდან გაანათავისუფლა და ჩრდილოეთის სამეფოში წაჰყვა მას, სადაც ჯიმშერმა დაამარცხა მეფე ქული. ხოსროსაგან შეწოხებული, ჯიმშერი აიყარა და სხვა ქვეყანაში გადასახლდა: ის მოიტაცეს დევებმა, შეიღს წელს ტყვედა ჰყავდათ, მაგრამ დევის ქალის როდენის დახმარებით ის ტყვეობიდან განათავისუფლდება და როდენს ცოლად შეირთავს.

ქარი XII, ჯიმშერის შვილის, ჯიმშერ-არმოკლას, და მზექაბუჯის ამბაეი. ჯიმშერის შვილი, ჯიმშერ-არმოკლა, მამასავით ახოვანი და ბუმბერაზი ქაბუჯი გამოდგა; ის ადვილად ჰხოცს დევებს, ებრძოლება საშინელ ვეშაპს და ამ ბრძოლაში ღმერთსა სთხოვს ორმოციწლის ამირანის ძალას. ის მიდის ჩრდილოეთის სამეფოში და, მთელი რიგი ბუმბერაზობის შემდეგ, ცოლად ითხოვს აქაური მეფის ასულს. რამდენიმე ხნის შემდეგ ბრუნდება თავის ქვეყანაში, სადაც ნახავს თავის ბიძაშვილს, ხოსროს შვილს, მზექაბუჯს, მასავით ახოვანს; ისინი შეებმებიან ერთმანეთს და, რადგანაც ვერც ერთი სძლეეს და ვერც მეორე, მტკიცე ძმური კავშირით დამეგობრდებიან. ერთხელ ისინი წავიდნენ და მონახეს 120 წლის ამირანი და 60 წლის სეფედავლე, რომელთაც შეეჯიბრენ დიდი რკინის ლოდის აწევაში; მათ სეფედავლემ აჯობა, სეფედავლეს კი ამირანმა.

ასეთია მოკლედ შინაარსი ამ სადევ-გმირო რომანისა; როგორც ვხედავთ, აქ თავმოყრილია და მექანიკურად გადაბმული ერთიმეორეზე რამოდენიმე სხვადასხვა, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი, მოთხრობა. მთავარი. ცენტრალური ადგილი რომანში უკავია ამირან დარეჯანის ძეს; საკუთრივ ამირანის ამბაეი. მისი დევგმირობა და ბუმბერაზობა, მოთხრობილია მესამე, მეხუთე, შეექვსე, მეცხრე და მეათე კარებში, სხვა კარები კი შეიცავენ დამოუკიდებელ მოთხრობებს: 1) ბადრი იამანიძისას, 2) ნოსარ ნისრელისას, 4) ამბრი არაბისას, 7) სეფედავლე დარისპანიძისას, 8) მზექაბუჯისას, 11—12) ხაზართა ბუმბერაზებისას. ამ პირობა თავგადასავალი მექანიკურადაა გადაბმული ამირანის ამბებსა და პიროვნებასთან; მართლაც, ბადრი იამანიძესა და ნოსარ ნისრელთან, რომელთაც ამირანი არც კი იცნობდა. წინათ, აერთებს მას მხოლოდ ის, რომ შემთხვევით სთხოვეს მას მათი დასნა დევების ტყვეობიდან. ამბრი არაბი არც კი უნახავს ამირანს ცოცხალი, მან მოინდომა მისი მოქებნა, რომ თავისი ძალა გამოეცადა; აგრეთვე საგანგებოდ მოქებნა მან სეფედავლე დარისპანიძე, რათა მისი ვაჟაკობა გამოეცადა. მზექაბუჯი არც ცოცხალი, არც მკვდარი არ უნახავს ამირანს, მან მხოლოდ შური იძია მისი მუხანათობითი მკვლელობისათვის; რაც შეეხება ხაზართა გმირთა-გმირებს, იმათ აეტორი განგებ მიიყვანს 120 წლის ამირანთან, რომ გვაჩვენოს მისი შეუდარებლობა. ამ მექანიკურად შეკოწიწებულ მოთხრობათა დედაპირი და მიზანი მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ გვაჩვენოს: „აჰა ამირანი,

რომლისა არა ყოფილარს მსგავსი ქუეყანასა ზედაო¹. თავმოყრილია ამბები უძლეველი ბუმბერაზებისა იმ მიზნით, რომ ბოლოსდაბოლოს დავრწმუნდეთ, რომ ამირანთან შედარებით, ისინი, ფიზიკურად, გონებრივად და მორალურად, არა-რაობას წარმოადგენენ. ამირანის უპირატესობას ასე გამოსთქვამენ ხაზართა გმირთა-გმირები: „ამირან დარეჯანისძე არის ყოველთა ფალავანთა უფროსი, კიდით კიდემდე განთქმული და სახელოვანი, მდაბალი, ყოველთა შემწყვალბელი, სიყრმით სიკაბუკემდე გულმაგარი, გაუტეხელი, თილისმა მოუკიდბელი, დევთა ანომწყვეტი, ბუმბერაზთა შემშინებელი, ხელმწიფეთა მეპატივე და ყოელის მტრისაგან მოურვეელი, წაღმართ ეტლზე დაბადებული და ას ოც წელს მომავალ სიყრმით ვიდრე აქამომდე ძალუკლებელი“ (გვ. 303). ერთი სიტყვით, ეს ნაწარმოები არის თავისებური კრებული, რომელშიაც წარმოდგენილია შეიდიციკლი სადევ-გმირო მოთხრობებისა, (ამირანი, ბადრი, ნოსარი, ამბრი, სევედაველე, მზეკაბუკი და ხაზართა გმირები), აერთებს მათ მხოლოდ ამირანის პიროვნება.

ეხლა უნდა ვიკითხოთ, ორიგინალურია ეს ნაწარმოები თუ ნათარგმნი?

ამ საკითხის შესახებ სამი აზრი არსებობს; ერთი შეხედულებით, რომელიც პირველად ზ. ქიქინაძემ გამოთქვა¹ და მერე უფრო მ. ჯანაშვილმა² განავრცო, ამირანდარეჯანიანი წმიდა ქართული, ორიგინალური ნაწარმოებია; აქ ალევგორიულ-იგავურად გამოხატულია საქრისტიანო საქართველოს ბრძოლა არაბ-სპარს-თურქებთან რჯულისა და თავისუფლებისათვის დავით აღმაშენებლის, დიმიტრი პირველის, გიორგი მესამის და თამარის დროს; აქ, როგორც შაჰნამეში, ადვილად გასაგები და მოთხრობისებრი ენით გამოხატულია ჩვენი ისტორია, ბრძოლა მამულიშვილებისა უამრავ სარკინოზებთან. ეს მით უფრო, ამბობს მ. ჯანაშვილი, რომ 1) ისტორიის ალევგორიულ-იგავურად მოთხრობა ძველ დროს ძლიერ გავრცელებული იყო ყველა ხალხში; 2) თხზულებას წმიდა ქრისტიანული ელფერი და ხასიათი აქვს და 3) ზოგიერთი სახელები და გვარები, როგორც ბადრიძე, სავარსამიძე, დარისპანიძე, დღესაც არსებობს საქართველოში. მეორე შეხედულებით, რომელიც პირველად გამოთქვა ა. გრენმა და მერე გაიზიარა ა. ხახანაშვილმა, ამირანდარეჯანიანი ნახევრად ორიგინალური, ნახევრად ნათარგმნი თხზულებაა; ის დაწერილია სპარსული ლიტერატურის ძლიერი ზეგავლენით და ზოგიერთი მოთხრობები და ეპიზოდები, შეიძლება, კიდევაც პირდაპირ ნათარგმნი იყოს. ის სადევ-გმირო მოთხრობები, რომელნიც შეადგენენ ამირანდარეჯანიანის შინაარსს, ხახანაშვილის აზრით, ზეპირად შემოსულა და გავრცელებულა ჩვენში სპარსეთიდან, მერე ჩაუწერია ისინი მოსე ხონელს და ლიტერატურული სახე მიუცია მათთვის. მესამე შეხედულებით, რომლის წარმომადგენელია ნ. მარრი, ამირანდარეჯანიანი სპარსული ენიდან ნათარგმნი თხზულებაა. ამის დასამტკიცებელ საბუთს მარრი თვით თხზულებაში კპოულობს, —სახელდობრ, თხზულებაში გა-

1) ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 12, აგრეთვე მისივე გამოცემა ამირანდარეჯანიანისა, გვ. 372—398.

2) მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, გვ. 4.

ტარებულია სპარსული ეროვნული ტენდენცია. მართლაც, 1) ორი მთავარი მოქმედი პირი, ამირან დარეჯანისძე და სეფედავლე დარისპანისძე, არიან სპარსელები; ეს შემდეგიდანა ჩანს: ა) სავარსიმისძე, მონა ამირანისა, ცხოვრობს სპარსეთში, ბ) სპარსეთშია სახლი მისი ამირანის სურათით კედელზე; გ) ამირანი ეომება ინდოელებს, ხაზარლებს, თურქებს, ჩინელებს და სხვ. და ერთხელაც არ არის ნახსენები მისი, ან მისი მეგობრების თუ მტრების, სპარსეთის წინააღმდეგ ვალაშქრება; დ) ბასრელ ვაქრებს, რომელნიც ყაჩაღებმა შეაწუხეს, უწინასწარმეტყველეს, რომ მათ სპარსელი იხსნის, მართლაც მერე მხსნელად მოეწვინა მათ ამირანდარეჯანისძე; ე) ამირანმა რომ ორპირი კაცი ნახა, გაიგო მხოლოდ სპარსულად მის მიერ ნათქვამი; ვ) ცალთვალა დევი ამირანს სპარსულად ეუბნება: „იქ ჩემემ ნესტე“; ზ) ზოგიერთი სახელები სპარსული ფორმისაა, კერძოდ ამირანდარეჯანისძე და სეფედავლე დარისპანისძე; ქართული დაბოლოება ის ძე რომ მოვაშორეთ ამ სახელებს, მივიღებთ: ამირან დარეჯან და სეფედავლე დარისპან. ამ სახელებში ჩვენ გვაქვს სპარსული ამირანდარეჯან და სეფედავლე დარისპან, რაც ნიშნავს: ამირ-ამირა, მბრძანებელი, ან დარე, resp. დარ-ში-ზე, ჯან ქეყანა, სეფე—სახელმწიფო, დავლე—ხმალი; მაშასადამე ამირანდარეჯან ნიშნავს—მბრძანებელი ქვეყნისა ან ქვეყანაზე, სეფედავლე დარისპან—ხმალი სახელმწიფოისა ისპანში. 2) თხზულებაში შენახულია მაჰმადიანური ყოფა-ცხოვრების და თხზულების კვალი: ცოლს რომ ირთავს ამირანი, მას აძლევს მზეითს, ქებიანს, რაც სპარსულ კაბინს უდრის; სეფედავლეს ცოლი დიდ შეწირულებას აძლევს საქველმოქმედო მიზნით მიზგითას; აქ ადგილი აქვს მრავალცოლიანობას: ამირანმა შეირთო ხეარაშანი, მერე ბალხეთის მეფის ქალი, ზოგიერთი ნუსხების ცნობით კი მას სამოცი ცოლა ჰყავდა. 3) ამირანსა და სეფედავლეს, რომელნიც მამაკობით და ქაბუკობით ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან, ვერც ერთი სხვა, რომანში გამოყვანილი, გმირი ვერ შეედრება, ისინი ყველასა სჯობიან; ამირანი და სეფედავლე არიან სპარსეთის წარმომადგენელნი, სხვები კი სხვა ქვეყნებისა, მაშასადამე აქ ხაზგასმულია სპარსეთის უპირატესობა სხვა ქვეყნების წინაშე.¹

პირველი შეხედულების შესახებ ბევრი არა გვეთქმის რა: ალევორიულ-იგაუერი მეთოდით რომ ვინებლძღვანელოთ, ყველა საღვეგმირო სპარსული მოთხრობა ქართულ ისტორიად უნდა ჩავთვალოთ; ქრისტიანული ხასიათი რომანისა არ შეიძლება დამტკიცებულ იქმნეს იმით, რომ იმაში გვხვდება ჩვენ სიტყვა ღმერთი, ცხონდი, ამინ, ეს სიტყვები არაქრისტიანულ ნაწარმოებშიაც შეიძლება ნახვარი იყოს, მაგალითად, ებრაულში და მაჰმადიანურში. არც იმისი კვალი ჩანს, რომ რომანში გადამუშავებული იყოს ზეპირი, სპარსეთიდან შემოსული თქმულებები, როგორც ხახანაშვილი ფიქრობს, პირიქით, როგორც თავის ადგილას ვაჩვენებთ, ხალხური ამირანდარეჯანისანი ლიტერატურულზეა დამოკიდებული. თხზულება მართლაც ნათარგმნი უნდა იყოს სპარსულიდან, როგორც ამას ნ. მარრი ამტკიცებს. იმ მოსაზრებათა გარდა, რომელნიც ნ. მარრს მოჰყავს

¹) Персидская национальная тенденция въ грузинскомъ романѣ Аширан-дареджа-ниანი, ЖМНПросв. 1895 г. Юнь. стр. 352—365.

და რომელნიც ჩვენ ზევით მოკლედ აღვნიშნეთ, ამის სასარგებლოდ შიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტი.

წეთექსმეტე საუკუნეში ბაგრატ მუხრანბატონს დაუწვრია ერთი ანტი-მაჰმადიანური პოლემიკური თხზულება, რომელსაც ეწოდება „მოთხრობა სჯულთა უღმთოთა ისმაილიტთა“, რომელშიაც ის მაჰმადიანთა განსაკიკებლად ამბობს: „ისმაიტელნი გამოვიდეს და იყენეს ყოველნივე ერთბაშად მესისხლენი, მტაცებელნი, მემრუშენი, მეშფოთენი, მპარაენი და ყოვლადე უპოვარნი. რამეთუ წიგნი იგი, რომელსა ყისაჲჰამზად უწოდენ სარკინოზნი, ამათ ისმაიტელთა ცხოვრებაჲ არს, და მის წიგნისაჲ მცირედი რაჲმე ნაწილი თარგმანებულ არს ენასაცა ზედა ჩუნესა ქართულსა გარეშეთა კაცთა მიერ, რომელსა დარეჯანიანად უწოდენ, და არათუ ეგვიეთართა სიმხნითა ახოვან იყუნეს, ვითარცა მოგვითხრობს ჩვენ წიგნი იგი, არამედ მათმიერთა ზღაპრობითა განვრცელობით აღუწერიესთ მოთხრობაჲ იგი“.¹ ეს ცნობა გაუმეორებია შერე: XVII—XVIII საუკუნეში, ლექსად იაკობ შემოქმედელს. აქ საყურადღებოა შემდეგი: 1) ყოფილა ისმაიტელთა ან მაჰმადიანთა წიგნი ყისაჲჰამზა, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ისმაიტელთა, ესე იგი მაჰმადიანთა ცხოვრება; 2) ამ წიგნში გამოყვანილი პირები რაღაც არაჩვეულებრივი სიმხნით და ახოვნებით ყოფილან აღქურვილნი, ესე იგი სადევგმირო თვისებებით შემკულნი; 3) ეს სიმხნით ახოვნება ზღაპრობით აღწერილი ყოფილა“ და არა ნამდვილი; 4) მცირე ნაწილი ამ წიგნისა ქართულადაც ყოფილა თარგმნილი და 5) ამ თარგმანს დარეჯანიანი ეწოდებოდა. ბაგრატი არ ამბობს, რომელი მუსულმანური ენიდანაა ნათარგმნი ეს თხზულება, სპარსულიდან თუ არაბულიდან, მაგრამ სახელწოდება ყისაჲჰამზა უჩვენებს სპარსულს ორიგინალს, არაბულად ის იქნებოდა ყისატუჰჰამზა; ეს სახელწოდება ნიშნავს მოთხრობას ჰამზას შესახებ. ასეთი თხზულება მართლაც არსებობს არაბულსა და სპარსულს ენაზე სხვადასხვა რედაქციებით.² ცხადია, რომ ავტორს ქართული რომანისას ხელთა ჰქონია სპარსულს ენაზე დაწერილი კრებული სადევ-გმირო მოთხრობათა, რომლიდანაც მას ამოუღია მხოლოდ ნაწილი, ესე იგი ამოუღია ექსცერპტები და უწოდებია თავის შრომისათვის მთავარი გმირის სახელი ამირანდარეჯანიანი. მაშასადამე, მას მოუცია თავისი საკუთარი რედაქცია ამ მუსულმანური სადევ-გმირო კრებულისა, რომელშიაც მას, ნასალის შერჩევის გარდა, სხვა თავისებურობაც გამოუჩენია: 1) მოქმედი პირების გვარი ქართული დაბოლოვებით მოუყვანია: იამანიძე, სავარსიმძე, ასტარაბიძე, ქოსიძე, დარეჯანიძე, დარისპანიძე და სხვ. 2) ზოგიერთი სახელები პირდაპირ ქართულად წარმოუდგენია; ასეთებია, ხვარაშანი რომ არ დავასახელოთ, მზეკაბუკი, რამოდენადმე ქეთევანი და სხვ. 3) ზოგიერთი დეტალები, საჩუქნოებრივის თუ ყოველდღეური ცხოვრებისა, ქართული ელფერით წარმოუდგენია. ასე რომ ამირანდარე-

¹) Н. М а р т ь, Изъ книги царевича Баграта о грузинскихъ переводахъ духовныхъ сочиненій и героической повѣств Дареджаніани, Извѣст. Акад. Наукъ 1899 г. т. X, № 2.

²) ibid.

ჯანიანი არის ქართული რედაქცია მაჰმადიანთა, კერძოდ სპარსთა, საღვე-
გმირო კრებულისა, რომელსაც ყისაჲ ჰამზა ეწოდება.

ვინ არის ავტორი ამ რედაქციისა და როდის ცხოვრობდა ის? მაგრატ მე-
ხრანბატონი არ ასახელებს ამ ავტორს, ის საზოგადოდ შენიშნავს, რომ ეს წი-
გნი თარგმანებულა გარეშეთა კაცთა მიერ, ე.ე იგი ერის კაცთა და არა
სასულიერო პირთაგან. მაგრამ დაახლოვებით იმავე ეპოქის ერთერთ უცნობ
მწერალს ვეფხის ტყაოსნისთვის დაურთავს ცნობილი ტაეპი, საღაც ნათქვა-
მია, რომ ამირანდარეჯანისძე უქია მოსე ხონელი. მაშასადამე, ავტორი ამ
თხზულებისა არის ვილაც მოსე ხონელი. ეფიქრობთ, რომ ეს მოგონილი არაა,
არამედ იმგვარივე გარდმოცემაა შენახული აქაც, როგორც დანარჩენ ამ ტაეპ-
ში ჩამოთვლილ თხზულებათა შესახებ. ზ. კიკინაძის ბიოგრაფიული ცნობე-
ბით, მოსე ყოფილა დაბა ხონის მცხოვრები, დავით აღმაშენებელის თანამედ-
როვე (არ ვეხებით სხვა დეტალებს მის მიერ შედგენილი ბიოგრაფიისას, რომე-
ლიც, რასაკვირველია, ფანტაზიის ნაყოფია)¹. მ. ჯანიანი შეიღის აზრით მოსეს
შეეძლო მოსწრებოდა აღმაშენებლის მეფობასაც და თავისი თვალთ ეხილა
დიდებული მეფობა თამარ დედოფლისა, ვინაიდან პირველის სიკვდილისა და
ბეორის გამეფების შორის მხოლოდ 59 წლის მანძილიაო. ა. გრენი, ა. ხა-
ხანიანი შეიღი და უმეტესი ნაწილი სხვა მკვლევარებისა, რომელნიც ამ სა-
კითხს ეხებიან, მოსე ხონელს თამარის თანამედროვედა სთვლიან. არავითარი
ისტორიული ცნობა და საბუთი ამ საკითხის გასარკვევად არ მოგვეპოვება ამი-
ტამ ამ საკითხის გადასაწყვეტად სხვა გზას უნდა მიემართოთ.

ამირანდარეჯანიანი გაცილებით ადრე უთარგმნიათ ქართულად. ვიდრე
თამარის მეფობა. 1) რა დროისაც უნდა იყოს ის ფსევდორუსთველური ტაეპი,
რომელიც შეიცავს ცნობას მოსე ხონელის შესახებ, ის ხაზს უსკამს იმ გარემო-
ებას, რომ ამირანდარეჯანიანი ქოხოლოგიურად წინ უსწრებს იქ ჩამოთვლილ
თხზულებებს, რომელნიც თამარის ეპოქას ეკუთვნიან. მართლაც, ჩვენ ვერას
ვიტყვივით აბდულმესიასა და დილარაიანის შესახებ, ვინაიდან ისი-
ნი ჩვენამდე არ შენახულან, მაგრამ ვეფხის ტყაოსანს რომ უდიდესი
გავლენა განუცლია ამირანდარეჯანიანისა, ამას ჩვენ დავინახავთ შემდეგ. როდუ-
საც ლაპარაკი გვექნება ვეფხისტყაოსანზე. 2) თამარ დედოფლის ისტორიის ის
ნაწილი, რომელიც 1196 წელსაა დაწერილი, გადმოგვცემს დიდებულთა ბჭობას
იმის შესახებ, რომ თამარისათვის უნდა გამორჩეულ იქმნეს ისეთი ქმარი, „ვით
არ ამირან ხერეშანისათვის, ვითარ მზექაბუქ მზისაიჯს 3) ხაზართასა“; მაშასადამე,
მასაც კარგადა სკოდნია და, იგულისხმება, მის მკითხველებსაც, ამირანდარე-
ჯანიანი, საღაც გადმოცემულია ამირანის მიერ ხერეშანის შერთვა (კარი VI)
და მზექაბუქის მიერ ხაზართა მეფის ქალისა (კარი VIII).

თხზულება, როგორც ნ. მარჩიცი ამბობს, ერთი უადრინდელესი ნაწარ-
მოებია ქართულს საერო მწერლობაში,⁴ ჩენის აზრით ის უნდა გადმოთავმნი-

¹) ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 11.

²) მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი, გვ. 2-3

³) ქართლის ცხოვრება მარამ დედოფლისა გვ. 414.

⁴) მას ის მიაჩნია XII საუკუნის დამდეგის ნაწარმოებად Возникновение и развитие древне-грузинской свѣтской литературы, ЖМНПросв. Декабрь 1899, стр. 236, 246, 250.

ლიყოს ქართულად დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ ნახევარში. მეთერთმეტე საუკუნის გასულს. მართლაც ზუგუშაღლებას შიუაქციევთ ენას, შეენიშნავთ, რომ მას ატყეია ძლიერი გავლენა ეკლესიური ლიტერატურული ნორმებისა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ, როდესაც ამირანდარეჯანიანი იწყებდა, ეკლესიური ენის ნორმები ჯერ კიდევ ერთადერთია ლიტერატურაში და მათთან უკბად ვერც საერო თხზულებათა მწერალნიც სწყვეტენ კავშირს. ამირანდარეჯანიანში ჩვენ გვაქვს სხვადასხვა ლექსიკური არქაიზმები როგორც: ქვეყანა (დედამიწა), გვალე, რამგაჰა, მიწყივ, ორძალი, რქვა, წაველარუხვალთ, მოვინმევიდა, წართუეთქვა, გამოვინივიჩიოთ და სხვა. ეტიმოლოგიური: მრავლობითში ნი-ს უპირატესობა ებ-ის წინაშე, არს არის წინაშე; უფრო მეტია არქაიზმები სინტაქსური ხასიათისა, როგორც ეს აღნიშნულია პროფ. ნ. მარარის მიერ¹. მერე, ჩვენს უძველეს მატიანეში, რომელიც შეფეთა ცხოვრებას შიეიავს, დიდი ადგილი უკავია ზღაპრულ სადეე-გმირო თქმულებებს, რომლებშიაც ზოგიერთები ხალხური პოეზიის კვალს ეძებენ,² მაგრამ, როგორც ერთს უკანასკნელ შრომაში შევეცადეთ გაგვერკვია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმდენად არა ხალხურ ეპოსთან, რამდენადაც წმიდა ლიტერატურულ წყაროსთან, სახელდობრ — მოსე ხონელის ამირანდარეჯანიანთან.³ მართლაცდა,

1) ამირანდარეჯანიანი იწყება მოთხრობით იმის შესახებ, რომ ერთხელ, ნადირობის დროს, მონადირეებმა მინდორში პოვეს საუცხოვო ქურციკი, რომელსაც უკან დაედევნა მეფე აბესალომი სამი თავისი მხლებელით; მთელი დღე სდიეს მას და ვერ მიეწიენ, მერე ქურციკი მივიდა ადგილსა ერთსა კლდოვანსა, ჩახივწა და უჩინო იქნა. ამ უცხოსა და უკაცურს ადგილას მდევრებმა პოვეს ერთი ქვითკირის სახლი, რომელშიაც კედელზე აღმოჩნდა საინტერესო და გაუგებარი სურათი ექვსი გმირისა.⁴ ეს მოთხრობა ჩვენ მოგვავაგონებს ფარნაოზ მეფის შესახებ ეპიზოდს მატიანეში; ფარნაოზი, მემატიანეს სიტყვით, გამოუდგა ირემს, სდია მას მწუხრადმდე და მერე, როგორც იქნა, მშარტყა ისარი; ირემი

¹) Возникновение и развитие древне-грузинской светской литературы ЖМН. Пров. Декабрь, 1899, стр. 248—250.

²) ს-ი, ა. კვალ საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრებაში“ ივერია 1888, № 135, 156, 214, 218, 242.

³) ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი და მისი ისტორია, ჩვენი მეცნიერება № 4—5, გვ. 35—40. პ. ინგოროყვას აზრით (კავკასიონის № 1—2, გვ. 283) ეს რომანი უთარგმნიათ XII საუკუნის ოცდაათიან წლებში, ვინაიდან მას არ იცნოს აბდულმეხიანი (მიღებული გაგებით), ომელიც XII ს. ოციან წლებს ეკუთვნის; მას ჰგონია, რომ ის დამუშავებულია ქართულ ისტორიულ „ჰამბავთა წიგნების“ გავლენით. ჯერ კიდევ საკითხია, ეგრეთწოდებული აბდულმეხიანი ზართლი XII საუკუნის ოციან წლებს ეკუთვნის თუ არა, მერე, თუ ის ამირანდარეჯანიანს არ იგონებს, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ უკანასკნელი მისი დიწერისას არ ასებოდა ჯერ კიდევ. რაც შეეხება ამ რომანის დაწერას ისტორიულ „ჰამბავთა წიგნების“, იგულისხმება ალბად მატიანე, გავლენით, ეს გაუგებრობა: ჩვენ არ ვითვლით პირადად, რომ სადეე-გმირო ზღაპრული ნაწარმოები საისტორიო თხზულების გავლენით დაწერილია, პირიქითი მოვლენა კი ხშირია. კერძოდ ქართულს საისტორიო მწერლობაში ასეთი ტრადიციუა მტკიცე; წარმოადგინეთ სეხნია ჩხვიძლი (XVIII ს.) ქორიკასაც კი ატყეია, ჯო ელ შემთხვევაში ფრანკოლოგიაში, დიდი გავლენა ამირანდარეჯანიანისა.

⁴) ამირანდარეჯანიანი, ხ. ქიქინაძის გამოცემა, გვ. 3—4

დაეცა ძირსა კლდისასა, სადაც ფარნაოზმა აღმოაჩინა ქუაბი, აღსავეც საუცხოვო საგანძურით (გვ. 17—18 მარიაშ დედოფლის ვარიანტისა).

2) ბრძოლა ვახტანგ გორგასლანისა ხაკანთან და სხვადასხვა მტრებთან, როგორცაა ხაზარნი, ჰინდონი, სინდნი, სპარსნი, ბერძენნი, აბაშნი, ბრძოლა, რომელსაც ისტორიაში ვერც ადგილს მოუძებნით და ვერც მიზეზს, შეთხზული უნდა იყოს უმთავრესად ამირან-დარეჯანიანის ზეგავლენით: როგორცაა გმირები ებრძვიან, სხვათა შორის, ხაყანს (გვ. 291), ხანთა მეფეს, სინთა მეფეს, ბერძენებს, ინდოელებს, სპარსელებს, ხაზარებს და თურქებს. აგრეთვე ის უზარმაზარი, პირდაპირ თავბრუსმომხველი ციურები, რომლითაც მემატეიანეს აღერიცხავეს ქართველ მეფეთა, განსაკუთრებით ვახტანგის, და მათი მოწინააღმდეგეების ჯარისკაცთა რაოდენობა (10, 30, 38, 40, 50, 100, 125, 130, 200, 248, 300, 358, 412, 650, 748, 750, 780 ათასი), გადაქარბებული მიბაძეა ამირან-დარეჯანიანისა, სადაც ეპოულობთ ასეთსავე ფანტასტიკურ რიცხვს ლაშქრისას (ათიდან რვაას ათასამდე). შესაძლებელია, ეპიზოდი იმის შესახებ, რომ „ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსა და გამოესუა წინაჲთ მკელი და უკანაჲთ ლომი“, რომლისა გამო სპარსელებმა მას უწოდეს გორგასლანი (გვ. 160), შეთხზული იყოს ამირან-დარეჯანიანისე ზეგავლენით, სადაც მოთხრობილია ბრძოლა მხეკაბუქისა ლომ-კაცთან, საშინელ მხეტთან, რომელი იყო „მსგავსი ლომისა და პირი კაცისა ადგა“ (გვ. 194); მემატეიანეს, რომელიც, რასაკვირველია, ვახტანგს, ისტორიულ პირს, მხეტ-კაცად ვერ გადაქმნიდა, მოუხებრებია ის, რომ სურათზე მაინც მიუცია მისთვის ლომ-კაცის სახე.

გავლენა ამირან-დარეჯანიანისა მატეიანეზე განსაკუთრებით ჩანს მეფე-ბუმბერაზთა შეტაკებისა და ბრძოლის აღწერილობაში; ეს აღწერილობა პირდაპირ ამოღებულია ამირან-დარეჯანიანიდან, არა ზოგადი მარტო მოხაზულობით და აზრებით, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, სიტყვა-სიტყვიან-მართლაც,—

3) მებრძოლთა ამირან-დარეჯანიანში ისე, როგორც მატეიანეში, ეწოდებთ ყველგან გმირი, გოლიათი, ბუმბერაზი (გვ. 12, 17) და ლომთა-ლომი (16, 21, 31, 32, 105, 299 et cet.). მემატეიანეს სიტყვით ჯუნაშერი და ფარსმან-ფარუხი, აგრეთვე ნებროთი და ვახტანგი „ლომსა კელითა იპყრობენ, ვითარცა თიკანსა“ (გვ. 38, 130, 137, 140); რომანის მოთხრობით ამირან დარეჯანიძემ, როდესაც დაინახა ორი ლომი, „მიჰყო კელი, ერთითა კელითა ერთი აილო და მეორითა მეორე“ (გვ. 115), ანა და მეორე შემთხვევაში, როდესაც მას ორმა ლომმა შემოუტია, ჯერ ერთსა „ჰკრა ხმალი და მოკლა“, კვლავ მეორესა „მიჰყო კელი, შეიპყრა ყია და იგიცა მოკლა და ეგრეთ უქირველად დახოცა, ვითარცა კატანი“ (გვ. 185). ასევე იქცევა მეორე ბუმბერაზიც—მხეკაბუქი (გვ. 195). მემატეიანით მირიან მეფემ მოკლა 13 ბუმბერაზი, ფარსმან ქველმა 16, ფარნაოზმა 26, ამაზასპმა 15 (გვ. 27, 38, 41), მრავალი ბუმბერაზი მოკლა ადერკი მეფემაც (გვ. 26), ვახტანგ გორგასლანმა მოკლა 15 ბუმბერაზი (გვ. 169); ეს ხომ პირდაპირ გამეორებაა ამირან-დარეჯანიანის მოტივებისა, რომლის გმირნი შეუბრალდებიც და ადვილად ჰხოცვენ ურიცხვსა და უთვალავ ბუმბერაზებს; მაგალითად, შაეის კაბუქისა ხელით თორმეტი სახელდებულნი ბუმბე-

რახნი მომკუდარაო, ეუბნებიან ბაღრი იამანიძეს (გვ. 17). საერთოდ ის გმირული სული და გოლიათ-ბუმბერაზობა, რომელსაც ადგილი აქვს მატთანეში, გადმოტანილია აქ ლიტერატურული გზით ამირან-დარეჯანიანიდან.

4) ბუმბერაზნი ბრძოლის ასპარეზზე გადიან შეკაზმულნი; თითქმის ყველა ის საბრძოლველი იარაღი, რომლითაც მემატთანეს აღუქურავს თავისი გმირები (მშვილდისარი, ჰოროლი, ხმალი, ლახვარი, ჩაბალახი, სარტყელი), ამკობენ აგრეთვე ამირან-დარეჯანიანის გმირებსაც. განსაკუთრებით საყურადღებოა ვახტანგის ფარი, რომელი იყო „ვიგრის ან იგრის ტყავისა“ (გვ. 132, 153); ამირან-დარეჯანიანიც იხსენიებს ერთს საშინელს მხეცს, რომლის მოკვლა „მოუგონებელი იყო კაცისაგან ამირანის კიდე“ და რომელსაც ჰქონდა ტყავი იკრისა მსგავსი (გვ. 283). და არა მარტო მხედრები არიან შექურვილნი, არამედ ის ტაიქნიცა ანუ ცხენები, ურომლისოდ იშვიათი გმირი თუ იბრძვის ამირან-დარეჯანიანში (გვ. 17, 22, 29, 153, 178, 208 et cetera.) და მატთანეში; მაგალითად, ვახტანგი „აღჯდა ტაიქსა, შექურვილსა ჯავშნითა“ (გვ. 134) შეკაზმულია აგრეთვე ცხენი არხამანიკისა (არმიო-დარ. გვ. 25). მომკმედ პირთ ჩვენ ვხედავთ გამკლართ არა მარტო ტაიქზე, არამედ სპილოზედაც; მაგალითად, მატთანის სიტყვით აღჯდა მეფე სპილოსა ზედა თეთრსა (გვ. 152); ამირან-დარეჯანიანის გმირები გადიან მინდორში და აქ მათ „სპილო ნახეს, ფერად თეთრი, და მას ზედა კუბო შეკაზმული და მას შიგან იჯდა კაცი ვინმე მშვენიერი“ (გვ. 74),

5) ბუმბერაზებს ჰყავთ თავისი საკუთარი საგანგებო ამხანაგები, რომელსაც ორსავე ნაწარმოებში მოყუასი ეწოდებათ; მაგალითად, როდესაც ვახტანგმა გააქცია სინდნი, ის „მისდევდა მათ მოყუსითურთ ვიდრე კართამდის ქალაქისა“ (170, 174). ქალაქ ბაღდათში სამი გმირი, ბანსა ზედა მსხლომარენი, ბაასობენ ამირან დარეჯანისძისა და ანბრი არაბის შესახებ; „მესამემან ეგრეთ თქვა მათ მოყუასთა თანა“ (გვ. 41). ბრძოლის დროს ბუმბერაზთ, მატთანის თქმით, როგორც დაეინახეთ, „ზურგს უშაგრებს“ (გვ. 4, 5, 26, 130, 174) მათუკან მდგომნი სპან ლაშქარი, ასევე ამირან-დარეჯანიანშიც; ამირან დარეჯანისძემ ერთხელ, ომად გასულმა „შეიყენნა იგი ლაშქარი უკანით“ (108).

6) ამირან-დარეჯანიანის მთავარი გმირები ერთმანეთს წინასწარ იწყევენ ბრძოლაში ან თავაზიანი, რაინდული თხოვნით, ან მუქარით; ასევე იქცევიან, მატთანეში არშაკ და ადერკი, ბაზუკიდა სუმბატ ბივრიტიანი, ჯუან-შეოი და ფარსმან ქველი, თარხანი, ბაყათარი, ვახტანგი და სინდთა მეფე (გვ. 28, 33, 38, 132, 174).

7) არც ერთი ბრძოლა და შეტაკება ბუმბერაზებისა არ იწყება ამირან-დარეჯანიანში, თუ არა ასე: „შემოვლეს ნავარდი, შეუზახნეს, შეუტევენეს და შეიბნეს“ (15, 17, 22; 24, 25, 52, 60, 83, 90, 93, 108, 134, 178, 208, 262, 268, 279); ასევე იქცევიან მატთანეს ბუმბერაზ-ფალავნები: „იწყეს რბევად და სრუად ერთმანეთისა“ არშაკ და ადერკიმ (გვ. 29), ვახტანგმა და სინდთა მეფემ „მაშინ იწყეს რბევად მრგულივ ნაეარდსა“ (174); ამასთანავე ისინიც „ალი-ზახებენ კმითა საშინელითა და სასტიკითა,“ შეუტევენ და შეიბმებიან (28, 33, 38, 41, 130-1, 155).

8) ბაყათარ ოსსა და ვახტანგს, ბრძოლად განმზადებულთ, ჰყოფდათ ნღინარე; ბაყათარმა უთხრა ვახტანგს: „პირისაგან მდინარისა უკუდღე; მაშინ ვახტანგ უკურიდა, გამოვლო მდინარე ბაყათარ და უწყყო სროლად ისრითა“ (გვ. 133). ეს აღგილი პარალელსა ჰპოულობს ამირან-დარეჯანიანის შემდეგს ეპიზოდში; ბაღრი იამაქისძემან და ინდო კაბუქმან ერთს კარავში ჰპოვეს მწითური კაბუქი, რომელიც საბრძოლველად გამოიწვიეს; ამაზე მწითურმა კაბუქმა უთხრა ინდოს: „უკუდღე კარისა მაგისაგან! უკუდღა ინდო იგი, გამოვიდა მწითური კაბუქი“ და დაიწყო ბრძოლა (14). მერე მათ პოვეს კიდევ სხვა ვინმე ბუმბერაზი და ისიც გამოიწვიეს; მან უთხრა: „ზე უკუდღეით! უკუდღეით ჩუენ და გამოვიდა იგი კაცი შექურვილი“ და დაიწყო ბრძოლა (15).

9) ბუმბერაზთა შეტაკებას ამირან-დარეჯანიანში წინ უძღვის ყოველთვის მუსიკა; მეზუქე-მედაბდათენი „სცემდეს“ ან „კრეიდეს ბუქთა და დაბდაფთაო“, ნათქვამია აქ (21, 22, 25, 83, 84, 85, 91, 249 et pass.). ასეა მატინანეშიაც: მაგალითად, ბაყათარ ოსისა და ვახტანგის შეტაკებისას „ამიერ და იმიერ სპათაგან იყო ცემა ბუქებისა და დაბდაბთა“. (გვ. 133).

10) ბუმბერაზთა შეტაკება ასეა ხოლმე დახასიათებული ამირან-დარეჯანიანში: „ზახილთა და აბჯართა მათთა ზედან ცემპქებისაგან არლარა ისმულა ყურსა კაცისასა, ვითა იძროლა ქუეყანა“ (გვ. 60); „ძგკრება მათი ჰგვანდეს ორთა გორათა ძგერებას და აბჯართა მათთა ცემისა ხმა ჰგვანდეს ცისა ქეხასა“ (17, 18, 134, 170, 179, 250, 252, 262, 269). „ომი მათი ღიღთა კლდეთა ძგერებასა ჰგვანდეს (178).“ როგორც თავის აღგილასაც აღენიშნეთ, ამჟამირივე ეპითეტებით არის აღწერილი მატინანეშიაც ბუმბერაზ-ფალავანთა შეტაკება, მაგალითად: „მუზახება მათი მსგავს იყო ქუხილისა და ტეხისა... რომლითა შეიძრა ქუეყანა“ (4, 29, 38, 155), ანა და „უამსა შეტაკებისა მათისასა იძროდეს მათნი და ბოჯუნიო“ (133).

11) ამირან-დარეჯანიანში ბუმბერაზთა შეტაკების აღწერილობისას ხშირად ვკითხვლობთ: „ჰკრა ისარი მერდსა“ მოპირდაპირისასა, „ვერ უფარა სიმაგრემან საჭურველისამან“, გაუყვეთა საჭურველი და „განვლო შიგანო“ (გვ. 19, 84—85, 91, 142 et pass.). ამავე ფრაზებს ხმარობს აგრეთვე მემატინეც, მაგალითად: აღერქიმ „ჰკრა ისარი მერდსა არშაკისასა და ვერღარა უფარა სიმაგრემან საჭურველისამან“ (გვ. 29), ამახასპ „ჰკრის ისარი, რომელსა ვერ დაუდგის სიმაგრემან საჭურველისამან“ (41); „სცნა ჰოროლნი ვახტანგ სატყელსა ზედა თარხნისასა,“ აგრეთვე სინდთა მეფესა, „ვერ უფარა სიმაგრემან საჭურველისამან“ (131, 175). იმეორებს ის აგრეთვე სიტყუასაც „განავლო“ (გვ. 175), მაგალითად: „განავლო ზურგიო“ (გვ. 5, 33, 41, 131), „განავლო ფარსა“ (155).

12) ამირან-დარეჯანიანში ბრძოლა ბუმბერაზებისა არ თავდება ყოველთვის ერთი შეტაკებით, ომი ხშირად გრძელდება „ღიღითგან მიმწუხრადმდე“ (22, 24, 25, 60, 208, 258 et pass.), „სამი ღღე“ (55) და მეტიც; ხან ერთი სჯობნის, ხან მეორე, მაგალითად, ამბრი არაბის და ინდო კაბუქის ბრძოლისას „ზოგჯერ მან მოუკლის ცხენი და ჩამოავდის, ზოგჯერ მან“ (59), აგრეთვე ამირან-დარეჯანისძე და სეფედავლე დარისპანისძე—„ზოგჯერ მან აჯობის და ზოგჯერ მან“ (177). ასევეა მატინანეშიაც, მაგალითად, აღერქი და არშაკი რომ

ეჭვგერენ ერთმანეთს, „ვერ სძლეს ურთიერთას, დაშურეს და უკუდგეს იმიერ და ამიერ, შეღამლა დღე იგი, განისუენეს ორთავე და დილას კუალად განოვიდეს“, (29); ამანასპისა და ორთა ბუმბერაზობა გრძელდება ორი დღე (41). მიორან მეფესა და ბარტომის ბრძოლისას „გამოწნდეს ორთავე შორის მუნ ბუმბერუზნი, იუენეს ყოველთა დღეთა ბუმბერეზთა ბრძოლანი თუესა ერთსა, ოდესმე მათ სძლიან, ხოლო ამას თუესა შინა ერთსა ამან“ (27). ვახტანგისა და სინდთა მეფის ლაშქართა შეტაკებისასაც „იყვს ბრძოლა ბუმბერეზთა, რომელსამე დღეს მათ სძლიან და რომელსამე მათ (169).

13) ამირან-დარეჯანიანის გმირები უპიზნებენ ერთმანეთს იარაღს მკერდში, მხარში ან თავში; მაგალითად, აქ ასეთს ფრაზებს ვკითხულობთ: „ჰკრა ხვალი მარჯუენესა მხარსა. მარცხენესა თეძოსა თავამდის ჩაჰკვეთა“ (17, 22, 83, 84, 143, 167, 170, 179, 184, 204, 237, 253). ასევე ამბობს მემბრინეცი: ვახტანგი „მოუკდა და უხეთქა კრმალი მკარსა ბაყათარისასა და გაჰყუეთა გულამდე“ (133), ხოლო პალეკარპო ბერძენს „მიეტევა პირისპირ და სცა კრმალი ჩაბალახსა ზედა და განუბო თავი ვიდრე ბექთამდე“ (155). უმეტეს შემთხვევაში მოპირდაპირენი სკდილობენ ერთმანეთი ცხენიდან ჩამოვადონ და აგდებენ კიდევაც, მაგალითად: „მერმე ჰკრა კელი ბადრი იამანიძემან, მოხადა უნაგორისაგან და ქუეყანასა ზედა დაჰკრა“ (15), ასევე უყო ინდო ქაბუქმა ამბრი არაბს (61) სუმბატ ბიერიტიანმა, მათიანეს თქმით, „სცნა ჰოროლნი სარტყელსა ზედა ბაზოკისასა,“ მერე „ალილო ცხენისაგან და დასცა ქუეყანასა ზედა (33).

14) ამირან-დარეჯანიანში ბუმბერაზს, გამარჯვების შემდეგ, მაყურებელნი ქებას ასხამენ ხოლმე; „თაყვანის ვეცით და ქება შეეასხითო“, ნათქვამია აქ (21, 45, 85, 109, 157, 253 et pass.); ასევე ექცევიან მათიანეს ბუმბერაზებსაც: „გარდაკდეს ყოველნი ქართველნი და დასცუევიეს პირსა ზედა თვისსა და თაყუანი სცეს აღერკის“ (29); სინდთა მეფის დამარცხების შემდეგ „ყოველმან სპამა კმითა მალლითა შეასხეს ქება ვახტანგს (175).“

15) როდესაც ვახტანგმა სძლია სინდთა მეფეს და, ცოცხალმკედარი, „თრევით მიილო წინაშე სპარსთა მეფისა,“ სპარსთა მეფემ „მიიყუნა მკურნალი ხელოვანი და დაადგინა ზედა სინდთა მეფისა, რათა განიკურნოს წყლულებისაგან, მაშინ მეფე იგი სინდთა დაემოყურა ვახტანგსა სიყუარულითა, პირველ ამისათვის, რომელ, ოდეს შეეარდა კელთა ვახტანგისთა, არა მოკლა და ცოცხლებით მოიყუნა წინაშე სპარსთა მეფისა და შემდგომად—რამეთუ ვახტანგისავე მიერ განთავისუფლდა ტყუეობისაგან, და უძღუნა ვახტანგს ძღუენი მიუწლომელად დიდძალი“ (175). ეს ეპიზოდი ამოღებულია ამირან-დარეჯანიანიდან, სადაც არაერთს აზგვარ სურათს ეჭვდებით; მაგალითად: სეფედავლე დარისპანისძემ დაამარცხა ომად ამადისძე, რომელსაც მხარი მოსტება; ეს საქციელი მას დაუმძიმდა, წაიყვანა ის, მკურნალი დააყენა, გამოამთელა, მერე სახლში მოიკვანა, ბოდიში მოიხადა და დიდი საბოძვარი უბოძა (156); ამირან დარეჯანიისძემ და სეფედავლე დარისპანისძემ შეტევების შემდეგ, „შეიყუარეს ერთმანეთი... და ითეცნეს ძმად“ (180); ამინდო ეუზნება მზექაბუქს: „სიკუდილი შეგეძლო და არ მომკალიო,“ ამისთვის „დამოყურდნენ ისინი და ძმად ითეცნეს“ (210). ინდო ქაბუქი და ამბრი არაბი, ბრძოლისა და მშვიდობით გადარჩენის შემდეგ, „მოეხვიენეს

ერთმანეთსა და აკოცებდეს,“ თან ამბრი ეუბნება ინდოს: ამიერიდან „მე ძმა და ზონა ვარ შენიო“ (61); აგრეთვე „იამა ასთან მეფესა ჯობნა დარეჯანისძისაგან და ეს უფრო დაიმაძლა, რომ არ მოკლა ხაზართა მეუისძე“ (92).

16) ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მემატიანე ამათუიმ საქმეში წარმატებას მიაწერს უზენაესი არსების დახმარებას, მისი გმირები იმარჯვებენ „ძალითა და შეწვენითა ღმრთისა დამბადებელისაჲთა“; ასეთივე პროვიდენციალური, ასე ვთქვათ, შეხედულება გატარებულია ამირან-დარეჯანიანშიაც, სადაც ჩვენ თითქმის ყოველ გვერდზე ვხვდებით არა მარტო სახელს ღვთისას (გვ. 63, 64, 67, 77, 90, 96, 98, 106, 108, 110, 159, 210, 243, 269 et pass.), არამედ ასეთ ფრაზებზეც: „ღმრთისა მიერ იქმნა ძლევა“ ესეო (62). „ქმენით ძალითა ღმრთისაჲთა“, ანა და „მერმე უბრძანა ამირან დარეჯანისძემან: რადგან ღმერთ-მან არა მოგაკლოთ წყალობა მისი და მოინდომა, ხსნა თქუენი კელთა შინა ღვთისათა არს და ძალითა დამბადებელისა ღმრთისაჲთა არა მიგცნე მტერთა თქუენთა საცნებლადო“ (გვ. 105).

17) მემატიანე, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, ხშირად ხმარობს ფრაზას: „ცხოვნი მეთეო უკუნისამდე“ (45, 126, 127, 128), რომლითაც იწყება თითქმის ყოველი მოთხრობა ამირან-დარეჯანიანშიაც¹. ამას გარდა მათიანშიაც და ამირან-დარეჯანიანშიაც ხმარებულია ერთიდაიგივე სტერეოტიპული სიტყვები, როგორც მაგალითად: „კისკასად, დამართებით, მეჯლისი, სელზე და ტახტზე. ჯდომა, დაამტკიცეს, გაიყარნეს, ეჯიბი, პალატი, მიღმართ, მოღმართ“, რაც მაჩვენებელია ამირან-დარეჯანიანის გავლენისა.

ვინაიდან მეფეთა ცხოვრება ჩამოყალიბებულია საბოლოოდ მეთერთმეტე საუკუნის გასულს, უნდა ვიფიქროთ, ამირან-დარეჯანიანი ამ დროს უკვე ყოფილა ქართველად.

ასეთს დათარიღებას ამ რომანისას არ ეწინააღმდეგება ზოგიერთი მისი ტერმინები, რომელთაც, შესაძლებელია, მკვლევარის ყურადღება მიიქციონ.² პირ-

¹) პროფ. ნ. მარტი ამბობს, რომ ეს ფრაზა, რომელიც ჩვეულებრივია სპარსელებისათვის, ბიბლიაშიაც (დან. II, 4) ვხვდებო. (რეცენზია მ. ჯანაშვილის „ამირან-დარეჯანიანის“ შესახებ ЖМНП-ის 1895 г. Октябрь стр. 326). მე დავუმატებ, რომ ის გვხვდება წმ. ნინოს შატერდულს ცხოვრებაში (Е. Такашвили, Описание II, რუსთაგრეთვე მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაშიაც (K. Kekelidze, Monumenta hagiographica Georgica, I, 69), მაგრამ ეს კიდევ არა ნიშნავს, რომ მემატიანე, რომელსაც ვინც ედგა ამირან-დარეჯანიანი, ამ ფრაზას ბიბლიაში ან ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში დაუწყებდა ძებნას.

²) ასეთებია ეჯიბთუხუცესი, ეჯიბრთუხუცესი, მანდატურთუხუცესი და მექურკლეთუხუცესი (გვ. 70, 117, 123). რომელიც თითქმის გიორგი მესამისა და თამარის დრომდე არ გვხვდება. 1) ეჯიბთუხუცესი, ექვივალენტო შემდეგი დროის ამირეჯიბისა, XI საუკ. შესაძლებელია, ვინაიდან ეახტანგ გორგასლანის ცხოვრებაში (მარამ დედოფ. გვ. 164) გვხვდება ეჯიბი, მამსა-დამე, თუ ეჯიბი იყო, ეჯიბთუხუცესიც იქნებოდა. 2) ეჯიბრი მოსსენებულია ექვთიმე გრძელის და სოსოენის პაექრობაში (XI საუკ. საქართუელთსამოთხე, გვ. 617); თუ ამ დროს ეჯიბრი, resp. ვაზირი იყო შესაძლებელი იქნებოდა არსებობა ეჯიბრთუხუცესისა (კ. მანდატურთუხუცესი). რომ შესაძლებელია მეთერთმეტე საუკუნეში, იქიდან ჩამს, რომ ტერმინი მანდატური გვხვდება გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში (ათონის კრებულში, გვ. 330) და გიორგი მეორის სიგელში (ი. ჯაქაძის შვილი, ქართული სამართლის ისტორია, გვ. 159-160); თუ იყვნენ მანდატურნი, იქნებოდნენ მანდატურთუხუცესნიც. 4) ესევე უნდა ეთქვას მექურკლეთ-

იქით, საყურადღებოა, რომ ტერმინი ამირსპასალარი რომანში არსად არ იხმარება, მის მაგიერ მულამ გვაქვს სპასალარი. პროფ. ი. ჯაფარიძის გამოკვლევით, მართლაც ამირსპასალარი გიორგი მესამის და თამარ მეფის დრომდე ჩვენს ძეგლებში არ იხსენება, ლეონტი მროველის, ჯუანშერის და დავით აღმაშენებლის ისტორიაში ყველგან სპასალარია,¹ როგორც ამას ვხედავთ ამირან-დარეჯანიანშიც.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რა დამოკიდებულება არსებობს ხალხურს ამირანდარეჯანიანსა და მოსე ხონელის ნაწარმოებს შორის.

ჩვენს ხალხში მრავალი თქმულებაა ამირანის შესახებ, აგრეთვე ზღაპრები და ლეგენდები, რომლებშიაც გადმოცემულია ესათუის ეპიზოდი ამირანის თავგადასავალისა. შენახულია ორი მთლიანი თქმულება, ფშავ-ხევსურელი და სეანური ამბავი ამირანისა.

1) თითქმის ყველა თქმულებაში გამოყვანილია ამირანთან ერთად ბადრი და უსუბი, ესენი ძმებია, ანდა ძმად ნაფიცი, ისე, როგორც მოსე ხონელის ნაწარმოებში, მათ აერთებს მტკიცე მეგობრული კავშირი.

2) ამირანი, თქმულებით, თავის ღონეს გრძნობს, დაეძებს ისეთს ადამიანს რომელთან ბრძოლაში ის თავის ძალას გამოაცდის, ამიტომ თვით ქრისტე ღმერთსაც კი ეჭიდავება. ასეა მოსე ხონელის ნაწარმოებშიაც: ამირანის ბადალი ქვეყანაზე არიან არის, სადაც კი შეხვდება კაბუჯს, ომში იწვევს; თუ გაიგო, რომ საღლაც შორს სახელოვანი კაბუჯია, მიდის მის საძებნელად და თავის ღონის გამოსაცდელად.

3) თქმულებით ამირანი და ბაყბაყ დევი შეიბნენ, ამირანმა სძლია დევს, უკანასკნელი ეხეწება მას: ნუ მომკლავ და ზღვას გაღმა ქალს გასწავლიო. აქ წარმოდგენილია შემდეგი ეპიზოდები ამირან-დარეჯანიანისა. ბრძოლა ბაყბაყ დევთან ამირანისა, ბადრისა და ნოსარისა; შეტაკება ამირანისა ცალთვალად დევთან, რომელიც ეხეწება მას ნუ მოკლავო; მისლვა ბადრი იამანიძესთან ბერი არაბისა, რომელიც ეუბნება მას: „ზღვათა მეუისა ასულისა გამოსაყვანელად წადი და მენ მოგვხდებიან კაბუჯნი“, რომლებთან ომში შენ გამოცდი შენს ღონესაო (გვ. 13).

4) ბაყბაყ დევმა, თქმულებით, ამირანსა და მის ძმებს მისცა შიკრიკი, რომელსაც მათთვის უნდოდა გზის აბნევა და ამიტომ ერთსადამიამე აღგილას უვლიდა გარშემო. აქ წარმოდგენილია ის ეპიზოდი ამირანდარეჯანიანიდან, როდესაც ბერი არაბი თითქოს აცილებს ბადრი იამანიძეს ზღვათა სამეფოში, მაგრამ სახიფათო გზით მიჰყავს; იმ არაბს სხვანიც ბერი მოუტოუნებია და დაუხოცინებიაო (გვ. 14—15).

უხუცესის შესახებ, რომელიც, კარის გარიგების სიტყვით (ეკ. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 19) „ძველი ვახორი არის“; ტერმინი საჭურჭლე და საჭურჭლენი გვხვდება დავით აღმაშენებლის ისტორიაში და მატთანე ქართლისაჲ-ში, რომელიც მეთერთმეტე საუკუნის ძეგლია. თუ იყო საჭურჭლე და საჭურჭლენი, უპიკელია იქნებოდა მეჭურჭლე და აქედან მეჭურჭლეთ უხუცესიც.

¹ ივ. ჯაფარიძის, ქართული სამართლის ისტორია გვ. 143.

5) ამ სამ ძმას, თქმულებით, შეხვდა სამი ვეშაპი: თეთრი, წითელი და შავი; თეთრი ბადრის, წითელი უსიბს და შავი მეო, თქვა ამირანმა. თეთრიც შენა და წითელიც, შავიც შენ გყავდესო, უთხრა უსიბმა; თეთრი და წითელი მოკლა ამირანმა, შავმა კი ის ჩაყლაპა, მაგრამ ამირანმა ამოიღო ჯიბიდან დანა, გამოჰკრა მას მუცელი და გამოვიდა. ეს თითქმის სიტყვა-სიტყვითი განმეორება ამირანდარეჯანიანის ანალოგიური ეპიზოდისა (გვ. 35—36).

6) თქმულებით, დევების სახლში „პატარა შვილი მამასა ლოგინით წამოპკიოდა: აკი მას მიქადებდიო, ამირანს მოგაკლევინებ?“. მამას შვილი ჰქარ პირშია, სისხლი წაეა დასაგუბარად, წარბის თავს დაჰკარ ხანჯალი სისხლისა გასადინარად“. აქ იგულისხმება შემდეგი ეპიზოდი ამირანდარეჯანიანისა: ამირანმა გამოქვაბულში, რომელშიაც ის დედაკაცმა შეიტყუა, ნახა ცალთვალა დევი, რომელსაც შვილი ეუბნება: „ეცი, რომე ამა ყნასა მოჰკლავ, ქვე დამიდევ და თვით მი მოჰაკლევინეო. ამაზედ ამირანმა სტაცა ფეხსა მის ყმისასა და მამასა მისსა პირსა შესტყორცნა და ზედან შეაქლა“; მერე წააელო ხელი მამას, „დასცა ქვეყანასა ზედა და იგი თვალისა შუბლსა დაშნით წაადებინა“ (გვ. 37).

7) ყამარის მოსატაცებლად ამირანი ზღერს გაღმა მიდის, თქმულებით, და იქიდან მოჰყავს ეს ქალი; იგულისხმება ბადრი იამანიძის გამგზავრება ზღერათა სამეფოში და იქიდან ქალის გამოყვანა.

8) ამირანი, თქმულებით, შეხედება ურემს, რომელზედაც იღვა მკვდარი ამბრი არაბი; მას ერთი ფეხი გადმოვარდნოდა და მიწაზე მიეთრეოდა, ამირანმა ის ეერ შეღვა ურემზე. აქ იგულისხმება ამირანის გამგზავრება ამბრი არაბის საძებნელად, მასთან ოჰში თავისი ღონის გამოსაცდელად. მაგრამ, როდესაც ის მოვიდა ამბრის ქალაქში, იქ მას შეხვდა სამგლოვიარო პროცესია, ამბრი მომკვდარიყო და დასამარხად მიჰქონდათ მისი გვაში (გვ. 69).

კიდევ სხვა მრავალი დეტალები შეიძლება ზღაპრებსა და ლეგენდებში მოიძებნოს ისეთები, რომელთა პარალელებს ამირანდარეჯანიანში ვპოულობთ. აქედან ის უცილობელი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ამირანდარეჯანიანის ეპიზოდები გადასულა ხალხში და იქ მათ შერთვია სხედასხვა. თქმულებები და შიუღია თითქმის ნახევრად დამოუკიდებელი ზღაპრული ხასიათი.



2. პისრამიანი

ვისრამიანი არის სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოები, რომელიც თავდაპირველად დაწერილი უფილა ფალაურ ენაზე; ფალაურიდან მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში, 1048 წელს, სულტანის ტოლრულბეგის დროს, ის გადმოუთარგმნია სპარსულ ენაზე ლექსად სპარსეთის პოეტს ფახრ-უდდინ გურგანის,¹ რომელსაც ქართული ტექსტი უწოდებს ფახფურ ჯორჯანელს. ქართული ვისრამიანის შესავალში ეს ამბავი ასეა გადმოცემული: როდესაც ტოლრულბეგ სულტანმა ქ. ასპიანი აიღო, მის გამგედ დანიშნა ერთი ბრძენი და „უცხოთა ამბავთა და შაირთა მებენელი“ ვაზირი იბდალ-მელიქ-აბუ ნასარი, რომელიც მისულა პოეტ ჯორჯანელთან და, ვახშმის დროს, უკითხავს მისთვის: „არა იცია ამბავი ვისისა და რამინისა? დია მინდა ამბავისა მათისა შეტყობა და ადრითგან ვეძებ, მასშია სიკეთე მათიო“. ფახფურ ჯორჯანელმა მიუგო: „მე ყველა ვიცი და მასშია სიკეთე და სეფისპირობა მათი, რომე კარგი ამო ამბავი ბრძანეთ, მცნიერთაგან თქმული და შეწყობილი ფალაურითა ენითა; და ფალაური თუ დიდად ვინმე არ იცის, ვერავინ თარგმნის. ან თუ შენ მიბრძანო მე განოვაცხადო ამბავი მათი და... სიტყვაშეწყობით ვთქუა და ვთარგმნო სპარსულადო, რათა... ამისითა მიზეზითა ჩემი სახელი დარჩეს ქუეყანასა ზედაო“ იბდალ-მელიქმა მოუწონა აზრი და წყალობასაც დაჰპირდა. თბზულება, რომელსაც სპარსულად ეწოდება ვის-უ-რამინ, რეს. ვის-ო-რამინ, შეეხება უძველეს დროს სპარსული მაზდეიანობის ან ცეცხლთაყვანისმცემლობისას და მატარებელია მისი ელემენტებისა: მოაბად შაჰი ცეცხლის მსახური, ცეცხლზე დაფიცება და ცეცხლით გამოცდა და დადასტურება სიტყვისა ჩვეულებრივია რომანში; ვისო მიდის „ჩემშედის აგებულსა საცეცხლესა ლოცვად“, რამინმა მისი სარახავის მახლობლად, „საცეცხლე სახლი ააგო სალოცავად“. თიცი მზის სახელით და, საზოგადოდ, მნათობებზე მაზდეიანობის მარეწებელია, მისივე მარეწებელია დის შერთვა ცოლად ძმის მიერ, შელოცვა, თილისმა და, საერთოდ, გრძნეულება, რომელსაც შესამჩნევი ადგილი უკავია რომანში, აგრეთვე ბედისწერა და ფატალიზმი.

ფალაური ორიგინალი ვისრამიანისა არ შენახულა; გურგანის ხელთა ქონია პროზაული ვერსია მისი და უთარგმნია, როგორც თვითონ ამბობს, „სიტყუა შეწყობით“, ესე იგი ლექსად; მართლაც, მისი შრომა შეიცავს 8000 ორმუხლედ ტაეხს.² ქართული თარგმანი ვისრამიანისა ერთერთი და ამავ დროს

¹ Graf, Wisn Ramin, Zeitschrift d. Deutsch. Morgel. Gesel. t. 23. H. Ethe, Neupersische Litteratur (Grundriss d. iran. Philol. II), S.240.

² თარგმანები ვისრამიანისა: ინგლისური (Nassau Lees, კალკუტა 1864—5 წ.) გერმანული. შემოკლებით, ლექსად (Graf-ისა, Zeitschrift d. Deut. Morgel. Gesel. t. 23, 395—433) რუსული (Штакелиберъ, Труды Востоц. Комисии Москва. Анхел. Общества, т. 22), ქართული (გამოცემა ი. ჭავჭავაძისა, ა. სარაჯინჯელისა და პ. უმიკაშვილისა, ტფილისი 1884 წ.) ქართული ტექსტით ეს თბზულება მეორედ ითარგმნა ინგლისურად ი. უორდროპის მიერ.

ერთად ერთი უძველესი თარგმანია, რომელსაც ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სპარსული ტექსტის გასათვალისწინებლად, გასაგებად და, თუ გნებავთ, აღსადგენად. საჭიროა ჯერ მოკლედ გადმოვცეთ შინაარსი მისი, რათა უფრო ადვილი იქნეს მსჯელობა თვით ძეგლის შესახებ.

† „დღედათა მოყვარულმა დიდებულმა შაჰმა მოაბადმა ზეიმზე ფიცი ჩამოართვა კეკელს მანდილოსან შაჰროს, რომელიც იყო ცოლი ყარანისა და დედა ვიროსი, რომ ის მას მიათხოვებს ასულს, თუ ოდესმე ეყოლება ასეთი; აქედან წყება მათი ჭირი: „მან უშობელი ზეირთო და დედამან უშობელი გაათხოვა“. ოცდაათი წლის შემდეგ შაჰროს მართლაც ეყოლა მზეზე ულამაზესი ასული ვისო; ის გაგზავნეს ხუზისტანს და მიაბარეს ასაზრდელათ ძიძას. ამავე დროს მოაბადეს გაუჩნდა ძმა, სახელით რამინი, და ისიც მან ხუზისტანს გაგზავნა გასაზრდელად; რამინი და ვისო ერთად იზრდებოდნენ. რამინი მშვენიერზე უმშვენიერესი შვიქნა: ვაჟაკობით, ასპარეზობით, კეჟა-გონებით, სიმღერა-მოღბენით მას ვერვინ შეედარებოდა. როდესაც ის დაქაბუდა, შაჰმა თავისთან გაიწვია ქ. მარაუში. წამოიხარდა ვისოც, რომელსაც ისეთი უზნეურობა გამოაჩნდა, რომ ძიძა ვერაფრით, ვერც სასმელ-საჭმელით, ვერც ჩაცმა-დახურვით, მას ვერ ასიამოვნებდა, ასე რომ დედას აცნობა, შვილი წაიყვანეო, დედაც იძულებული იყო შვილი სახლში წაეყვანა. ვისო რომ წამოიხარდა, იმდენად მომხიბლავი შვიქნა, რომ დედამ მისი შესათერისი საქმრო ველარ ჰოვა ვერსად და ამიტომ, რაღვან მას დაეიწყებოდა შაჰისადმი მიცემული ფიცი, ის ცოლად შერთო თავის საკუთარ შვილს ვიროს. ქორწილის დროს ეზოს ცხენით მოადგა მოაბადისაგან მიკრიკად გამოგზავნილი ძმა მისი ზარდი, რომელმაც შაჰროს მოსთხოვა, თანახმად პირობისა, ვისო შაჰისათვის გაეგზავნა. ვისომ რომ ეს გაიგონა, დაუწყო ლანძღვა-გინება შაჰს ასეთი უგუნური აზრისა და სურვილისათვის, ასე რომ ზარდი უკანვე დაბრუნდა და შაჰს ყველაფერი აუწყა; უკანასკნელმა გადასწყვიტა ომი გამოეცხადებინა ვიროსათვის და დიდძალი ლაშქარი გაგზავნა მის წინააღმდეგ. დაიწყო სასტიკი ომი, რომელშიაც ყარანი, მამა ვისოსი, მოიკლა, ვიროს სისხლი აემღერა, შეუტია მტერს და უკუაქცია, მაგრამ აღარ დაედგინა უკან. როდესაც ის ბრძოლის ველზე მოსვენებული იყო, ნაწილი მტრისა მიბრუნდა უკან და შეება მას, ამით ისარგებლა შაჰმა და ალყა შემოარტყა ვისოს სახლს, რათა ძალით წაეყვანა ის. ვერც მუქარამ, ვერც მოფერებამ ვერ გაჭრა, ვისოსა და შაჰროს მოაბადის სახელის გაგონებაც არ უნდოდათ. ბოლოს შაჰმა თათბირი გამართა, როგორ მოვიქცეო. რამინი, რომელსაც ვისოს სიყვარული ჩავარდნოდა უკვე გულში, ცბიერად ურჩევს შაჰს: თავი დაანებე, განა ღირს ვილაც ქალისათვის ასე შეიწუხო თავი? უფროსი ძმა ზარდი კი ურჩევს: შაჰროს საჩუქრები გაუგზავნე, ის იმაზე, როგორც ქალზე, გაელენას იქონიებს, და იქნება ნებაყოფლობით დაგითმოს შვილიო. შაჰს მოეწონა ეს რჩევა და მართლაც დიდი საჩუქრები გაუგზავნა შაჰროს; საჩუქრებმა ის მოხიბლა, მან გაულო მოაბადს ციხის კარები და ამნაირად ხელში ჩაუგდო თავისი ქალი. მოაბადმა ძალით გამოათრია იქიდან ვისო, ჩასვა ტუბოში და მარავისაქენ გაიტაცა. კუბოს, სხვათა შორის, მიჰყვებოდა რამინი; უცბად ამოვარდა ქარი, რომელმაც კუბოს მოგლიჯა სახურავი ფარდაგი, და გამოჩნდა ვისოს პირი, ვითარცა ელვა. რამინმა რომ ის დაინახა.

სიყვარულის ცეცხლი მოედვა, ცხენიდან ჩამოვარდა და მკვდარივით მიწაზე ილო დიდხანს; მერე ძლიეს-ძლივობით მოიყვანეს გონზე, ამიერიდან იწყება მისი ტანჯვა ვება. ვისო მოიყვანეს მარაეს, შაპი თავს ევლება, მაგრამ ის ახლოც არ იკარებს მას: ამ დროს ვისოსთან მოვიდა მისი აღმზრდელი ძიძა, რომელსაც ვისო განუცხადებს, რომ, თუ არ დაიხსნის ამ მდგომარეობიდან, თავს მოიკლავს, ძიძა ამშვიდებს, მაგრამ არა გამოდის რა; ვისო სთხოვს ძიძას: გააკეთე თილისმა, შეულოცე და მოაბადი შეკარი, მას კაცობა წაუღე, რათა მე ვერ მომეკაროსო ისიც იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო: გააკეთა სახე მოაბადისა და ვისოც, შეკრა ისინი რკინით და წყლისპირას სილაში ჩაფლა; ერთი თვის შემდეგ, უთხრა ვისოს, როდესაც შენ გული მოკიპრუნდება, ამოვიღებ და გავხსნი, მაშინ შაპს კაცობა დაუბრუნდება; მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მდინარე აღიდდა, ის ადგილი წალეკა და თილისმაც დაიკარგა. ასე რომ მოაბადი სამუდამოდ შეკრული დარჩა.

რამინი ამ დროს იწვის სიყვარულით და ეძებს ვისოს გულს; ის შედის შაპის ბაღში, სტირის იქ და ვარდ-ბულბულებსა სთხოვს გადასცენ ვისოს მისი გულისტივილი. ბაღში ის შემთხვევით შეხვდება და გაიცნობს ვისოს ძიძას, გაუმვლანებს მას ყველაფერს და სთხოვს დახმარებას. ძიძა ჯერ უარს ეუბნება, მაგრამ მერე ჰპირდება საქმეში ჩარევას და ეუბნება: აქ, ბაღში, მელოდე ხოლმე ამბის გასაგებადო. ძიძა ცბიერად ანუგეშებს ვისოს, ნუ იკლავ თავს ვისოსათვის, არის მაზე უეტესი, რომელსაც გიჟივით უყვარხარ, ეს არის ძმა შაპისა რამინი. ვისო დიდხანს უარზე იყო, გაგონებაც კი არ უნდოდა ძიძას მაქანკლობისა, მაგრამ, როდესაც ღიძამ აუხსნა, რომ ქალების დანიშნულებაა კაცებს ეკუთვნოდნენ, რომ ყველა დიდებულების ცოლებს ქმრების გარეშე საყვარელიცა ჰყავთო, გული მოუღობო მას და რამინს მოუნადირა ის. ერთხელ შაპის სასახლეში ზეიმის დროს ძიძამ შორიდან დაანახა მას რამინი, რომელიც ვიჭოს ძალზე მოეწონა, მისი სიყვარული გაუჯდა, დააფიწყდა ვირო და იმაზე ოცნებობდა, როგორ ენახა რამინი. რამინმა რომ ეს სასიხარულო ამბავი გაიგო, ძიძას დიდი მადლობა უთხრა და უთვალავი თვალ-მარგალიტი შეაძლია საჩუქრად, თუმცა ძიძამ მხოლოდ ერთი ბეჭედი აიღო.

შაპი მარავიდან ქალაქ რეის წავიდა, სადაც დიდხანს უნდა დარჩენილიყო; თავის მოადგილედ მარაეს მან რამინი დასტოვა, რომელსაც ჩააბარა აგრეთვე ვისოს მოვლა და თვალყურის გდება. ამითი შეყვარებულებმა ისარკებლეს და პირველსავე ღამეს შეხედნენ ერთმანეთს ვისოს ოთახში. აქ ერთმანეთს გამოუცხადეს თავიანთი გულის კენესა, შეჰტიცეს სამუდამო, განუყრელი სიყვარული და სახსოვრად ამ ფიცისა მისცეს ერთმანეთს ია და ვარდი. ორი თვე ასე ტკბებოდნენ ისინი ერთმანეთის გვერდით. მერე შაპმას რომელიც რეიდან ვისოს დედის, შაპროს, სახლში გადასულიყო, შეუთვალა რამინს: ვისო წამოიყვანე და მოდიო ისინიც აიყარენ და წავიდნენ; ამის შედეგი იყო, რომ ეხლა ისე ველარ ხედებოდნენ ერთმანეთს, როგორც წინათ. ერთხელ შაპმა მოინდომა სანადიროდ წასვლა მულანში, კასპიის ზღვის კიდეს, თან მას რამინიც უნდა გაყოლოდა და ამრიგად ვისოს მოშორებოდა. წინა ღამეს, როდესაც უნდა გამგზავრებულყვენ, შაპი და ვისო ერთად იწყენ; ძიძას ეგონა, შაპა სძინავსო, მივიდა ვისოსთან და ჩასჩურჩულა ყურში: ხვალ რამინი დიდი ხნით გშორდება, თუ გინდა მისი უკა-

ნასკნელად დანახვა, ადრე ადექი და კოშკზე გადი. შაჰმა რომ ეს გაიგონა, ყველაფერი გაიგო, განრისხდა, ჯერ ძიძა გალანძღა, მერე ვისო, დაუძახა ეიროს და უთხრა: შენც უნდა შეარცხვინო შენი და ასეთი საქციელისათვისო. ვისომ მამაპურად უთხრა ორივეს მთელი სიმარალე: მე რამინი მიყვარს და სიცოცხლეს მიჩვენია. გავიდა დრო, შაჰმა დაიფიქვა რაც მოხდა, ცოლი წამოიყვანა და მარავს მოვიდა; აქ ერთხელ ისე მოეწყო საუბრის დროს, რომ ვისომ შაჰს უთხრა: თუმცა მარაგი კარგია, მაგრამ ურამინოდ მე აქაურობა ჯოჯოხეთად მიზაჩნიაო; შაჰი აინთო სიბრაზისაგან და ვისოს უთხრა: წადი, დაიქარგე, მოწონორდი აქედანაო! ვისოც ადგა, გასაღებები გადასცა მას, და ძიძითურთ თავის დედასთან წავიდა; აქ ის დიდად მოწყენილი იყო და სულ ხვარანსისაქენ ჰქონდა თვალი. რამინიც ველარ სძლებდა უიმისოდ, დაეთხოვა შაჰს, ვითომცდა სანადიროდ, და გასწია ვისოსაკენ, თუმცა შაჰს პირობა და ფიცის მისცა, თვლითაც აღარ შეეხებდა ვისოსაო. ვისო და რამინი ერთად ყოფნით ტკებობდენ, მაგრამ შაჰმა გაიგო ეს და მოინდომა რამინის სიკვდილით დასჯა. საქმეში ჩაერია დედა მისი, რომელმაც დაარწმუნა შაჰი, რომ რამინი აქ არაფერშია, შენი ნეტერი ვიროა, რომელიც ვისოს ჰყვარობს. შაჰმა ვიროს მუქარა შეუთვალა და მოინდომა მისი ქვეყნისა და ოჯახის გავერანება. ვირომ თავი იმართლა, მე რა შუაში ვარ, შენ თვითონ გამოაგდე შენი ცოლი, ნუ თუ მას უფლება არა აქვს აქასთან მოვიდეს, თუ გინდა წაიყვანე, რაც გენებოს უყაიე, და, თუ მაინცდამაინც ომი გინდა, მობრძანდი, მე შხადა ვარ, დაგვხედებო. შაჰი დარწმუნდა, რომ ვირო მართალია, ბოდიში მოითხოვა და მასთან სტუმრად წავიდა. აქ დიდი ამბიო: მიიღეს ის და ვისოსთან შეარიგეს; ერთი თვის შემდეგ მარავში დაბრუნდენ.

ერთხელ შაჰმა ვისოს მოსთხოვა, ერთგულების დასამტკიცებლად, ცეცხლზე დაფიცება: მე გაეაჩაღებ ცეცხლს და შენ, თუ მართალი ხარ ჩემს წინაშე, შუა გაიარეო; ვისო დათანხმდა, მაგრამ რომ დაინახა აღზნებული კოცონი, იფიქრა — შაჰს ჩემი დაწვა სურსო, და რამინს მოსთხოვა, აქედან გაევიპართო. ადგენ და ჩემად წავიდენ ქ. რეას, სადაც ერთმა ნაცნობმა დიდებულმა შეიფარა ისინი. შაჰი გამოუდგა მათ საძებნელად, მთელი თავისი საბრძანებელი შემოიარა, მაგრამ მათს გზა-კვალს ეერ მიაგნო; იმედდაკარგული მარავს დაბრუნდა და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ერთხელ დედამ, რომელმაც რამინის ადგილმყოფლობა იცოდა, მოაბაღს უთხრა: თუ ფიცს მომცემ, რომ არას ავნებ რამინსა და ვისოს, მე მათ დაგიბრუნებო! შაჰმა შეჰფიცა, და მაშინ დედამ წერილით აცნობა რამინს ყველაფერი, დააბრუნა სახლში და ძმას შეარია. აქ ვისო არწმუნებლად შაჰს, რომ მას არავითარი საერთო აღარ აქვს რამინთან და მზე მხოლოდ მზე, შაჰზე, ამოდის. ერთხელ ღვინით შეზარბოვებულ შაჰს ვისოსთან ეძინა; რამინი აქ დროს, ქარსა და ბუქში, სახლის ბანზე დადიოდა და მიჯნურობისაგან გული მისდიოდა. ვისომ ეს გაიგო და ძიძას ეკითხება, როგორ მოვიქცე, როგორ მივიდე რამინთან ისე, რომ შაჰმა არ გამიგოსო. მოდი, შენ დაწექი მასთან ზურგშექცევით, ის მთვრალია და ეერ გაიგებს! მართლაც ძიძა ჩაწვა, ვისომ აიღო სანთელი და წავიდა რამინთან; შაჰს გამოეღვიძა, მიაველ-მოაველო ხელი და იცნო, რომ მასთან ვისო არ იწვა. დაიწყო ყვირილი, სანთლის ძებნა, მაგრამ ვერას გახდა; რამინმა გაიგონა ხმაურობა, გააღვიძა ვისო და გამოგ-

ზავნა შაჰის საძინებელ ოთახში. ის შევიდა ფეხაკრეფით, ჩამოჯდა შაჰის სარკ-
ცელზე და სთქვა: ამ ხელზე ძლიერ მიკერ, მეტკინა, ჰა ჩეორე, ეს კი გაანთა-
ვისუფლეო! შაჰმა რომ მისი ხმა გაიგონა, გაუხარდა და ხელი გაუშვა; ამით
ისარგებლა ძიძამ, ხელიდან გაუსხლტა მას და გავიდა. ვისომ დაიწყო ტირილი
და საყვედური უმიზეზო წვალებისა და შეწუხებისათვის, ასე რომ ბოდიში მო-
ახლევინა შაჰს.

ამ დროს ბერძნის იმპერატორმა ომი გამოუცხადა მოაბადს; მან წაიყვანა
ვისო და ძიძა მიუვალს აშუუთიდევის ციხეში და ჩაამწყვდია შიგ, გასაღები
ჩააბარა თავის ძმას ზარდის და დაავალა—სულიერი ადამიანი ციხეში არ
შეუშვაო, თვითონ კი რამინითურთ საოჰრად გაემგზავრა. რამინი ისე იტანჯე-
ბოდა ვისოს მოშორებით, რომ ავად ვახდა, შაჰმა, სხვების თხოვნით, ის უკანვე
დააბრუნა საექიმოდ. რამინი იმწამსვე დასახლებულს ციხესთან გაჩნდა, დიდ-
ხანს უტრიალა გარშემო, მერე აიღო ისარი, მოაბა წერილი და გაისროლა იმ
ჯანჯარისაკენ, საიდანაც სინათლე მოდიოდა. ისარი დაესო ოთახის შუა; ვისომა
და ძიძამ გაიგეს მისი ვინაობა და დანიშნულება, გადააბეს ორმოცი ზეწარი
ერთმანეთს და ძირს ჩაუშვეს, ამ თოკით რამინი ამოცოცდა მათ ოთახში ისე,
რომ არავინ ეს არ იცოდა. ის დარჩა იქ ცხრა თვე სრულს განცხრომაში. შაჰი-
დაბრუნდა და გაიგო რამინი მარაგს მოსულიყო, იფიქრა, ის უთუოდ ვისოსთან
ნოახერხებდა შესლვასო და ციხისაკენ გაემართა; აქ ზარდის დიდი საყვედური-
უთხრა დაუდევრობისათვის, შეალო ციხის კარები, მაგრამ რამინი აქ არ აღ-
ნოჩნდა, ის იმავე თოკით გადაამჭრალიყო ძირს. შაჰმა სასტიკად სცემა ვისოს
და ძიძას, შეკრა ისინი თოკით და იქავე ციხეში დააგდო. გავიდა ხანი, მოა-
ბადს მოეწყინა უვისოდ, ამიტომ ზარდის უბრძანა, ის ციხიდან მარაგს მოეყვანა;
ხარდომ პატივება გამოსთხოვა მას რამინისათვისაც, ასე რომ სასახლეში კვლავ
მწვიდლობიანობა დამყარდა.

კარგა ხნის შემდეგ მოაბადი გურგანს წავიდა. ვისო და ძიძა ოთახში და-
ამწყვდია, გასაღები ძიძას ჩააბარა და ყარაულობა დაავალა, რაოდა—ჭურდს რომ
ჩააბარო რისამე შენახვა, ის უფრო მოუვლის მასო. რამინი თუმცა თან წაიყვა-
ნა, მაგრამ ის გზიდან გამოეპარა და ვისოსთან მოვიდა და ბაღში უიმედო,
მკედარივით ეგდო, ვისომ ეს გაიგო, თოკით ჩამოცურდა ბაღში და რამინი
მოძებნა; შაჰმა გაიგო რამინის გამოპარვა, უკანვე დაედევნა მას, მოვიდა სასა-
ხლეში, კარები და ბეჭედი მთელი დახვდა, თუმცა ვისო სახლში არ აღმოჩნდა.
დაუწყო ძებნა ყველგან, ჩავიდა ბაღშიც; რამინმა მოასწრო კედელზე გადახტო-
მა და დამალვა. ვისო ხის ძირს იპოვნეს მძინარე და გააღვიძეს. მან უთხრა
შაჰს: შენ ტყუილად, უმიზეზოდ მაწვალე, სახლშიაც კი დამამწყვდე, ამიტომ
ღმერთმა შემიბრალა და თავისი ანგელოზი გამომიგზავნა, რომელმაც ოთახი-
დან გამომიყვანა და აქ ბაღში ჩამომათრინაო. შაჰმა დაიჯერა, ბოდიში მოსო-
ხვა ვისოს და საჩუქარიც მიართვა.

რამინს მოსწყინდა ამდენი დავიდარაბა და შევიწროვება და ერთს თავის
მეგობარს რჩევა სთხოვა; მან უთხრა: მოშორდი ვისოს, სიყვარული თვალშია,
მოშორდები—დაგავიწყდება, ქალის მეტს რას იპოვნიო. რამინს ეს კქუაში-
დაუჯდა, გამოეთხოვა შაჰს და უთხრა: გამიშვი, ცოლი უნდა შევიერთოვო; შაჰს.

გაეხარა, დანიშნა ის ქ. რიას გამგედ და გაისტუმრა. აქ რამინმა ნახა ერთი ლამაზი ქალი, გულ ი, რომელიც მოეწონა და ცოლად გამოითხოვა; ქალი დასთანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ყოველგვარ კავშირს გასწყვეტდა ვისოსთან. რამინმა მოსწერა ვისოს გულის შემზარავი წერილი, სადაც აცნობებდა მას, რომ ის სწყველის თავის ბედს, რადგანაც ამდენი უსიამოვნება შეხედა მას შაჰისაგან ვისოს გულისათვის, თან ატყობინებს, რომ ისეთი ლამაზი ცოლი შეირთო, ვისო მას ოდნაეადაც ვერ შეედრება. ვისო შეწუხდა, ტიროდა, თმებს იგლეჯდა და ძიძას სთხოვდა შეელას და დახმარებას; გაგზავნა კიდევაც ის რამდენჯერმე რამინთან, მაგრამ მან ის არ მიიღო, გალანდა და უკანვე გამოაგდო. ამის შემდეგ ვისომ ათი გულისგამგმირავი წერილი მისწერა მას, რომელშიაც აგონებდა წარსულს, უნუგემო აწმყოს და სთხოვდა დაბრუნებას. რამინს ბოლოსდაბოლოს მოსწყინდა ახალი სატრფო გულიც, მოაგონდა ვისო. გაუცხოველდა გულში მისი სიყვარული და წამოვიდა მისკენ. თავდაპირველად ვისომ თითქოს შერიგებასა და მიღებაზე უარი სთქვა, მაგრამ, რასაკვირველია, ცბიერობით, ბოლოს, რასაკვირველია, შერიგდენ. რადგანაც მათი მდგომარეობა ძველებურ სახეს მიიღებდა, გადასწყვეტეს მოშორებოდენ აქაურობას; ისარგებლეს იმით, რომ შაჰი მარავს არ იყო, რამინი ღამე თავს დაეცა სასახლეს. მოკლა ზარდი და მცველები, გამოიტანა სასახლიდან რაც კი სიმდიდრე იყო და გაემართენ დელამთა ქვეყანას, სადაც დიდი ამბით მიიღეს. აქ რამინმა შეაგროვა ჯარი და წამოვიდა მოაბადის წინააღმდეგ. როდესაც მოპირდაპირენი დაბანაკებულნი იყვნენ ტყის პირას და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდენ, მოაბადის ბანაკში ტყიდან ეშვი შემოიჭრა, რომელსაც ის ცხენით გამოუდგა; ეშვმა შემოუტია, ცხენს მუცელი გამოლადრა, შაჰი ძირს ჩამოაგდო და მოკლავნლა უბრძოლველად დამთავრდა ყველაფერი: რამინი მეფედ იქმნა არჩეული მოაბადის მაგიერ და 83 წელიწადი მეფობდა. როდესაც ის 130 წლის შეიქნა. ვისო გარდაიცვალა, რამინმა ის შესათერი პატივით დაასაფლავა, აუგო სალოცავად საცეცხლე სახლი, სადაც დღე და ღამე სურნელს აკმევდენ. მერე მოუწოდა უფროსს შეილს ხორშედს, მეფობა მას ჩააბარა. შესათერისი დარიგება მისცა და შევიდა ვისოს სამარხავში, ჩაიკეტა კარები და უკან აღარ გამოსულა.

პირველი საკითხი, რომელიც უნებლიედ იბადება ქართული ეპოსის რამინის კითხვისას, ეხება მის წარმოშობას: ნათარგმნია ის თუ ორიგინალური? ან საკითხს შეეხენ თვით გამომცემელნი ამ თხზულებისა, რომელნიც ამბობენ, რომ ჩვენ ამის შესახებ ვერას ვიტყვით გადაჭრით, მაგრამ აღნიშნვენ სამს შეხედულებას:

1) ვითომც ის ორიგინალური ნაწარმოებია, 2) ნახევრად ორიგინალურია, ქართველ ავტორს გაუგონია სპარსული ამბავი ვისო და რამინისა და ლიტერატურულად გადაუმუშავებია ისო; 3) ის ნათარგმნია სპარსულიდან, ისინი ვინც იცავენ ორიგინალობას თუ ნახევრად ორიგინალობას ამ თხზულებისას, თავის აზრს ამყარებენ იმაზე, რომ იმაში მეტად თვალსაჩინო მაგალითებია მოყვანილი წმიდა ქართული ჩვეულებისა; თან ენა მეტად ფაქიზია. მკაფიო, სიტყვების გაწყობა ფრაზაში თითქმის არ ჰღალატობს წმიდა ქართულ ენას,

რაც ყოველად შეუძლებელი იქნებოდა, თუ ის ნათარგმნი იყოსო (გვ. VIII). თხზულებმა, რომ არც ორიგინალური, არც ნახევრად ორიგინალურია, ეს გარკვეულად და მკაფიოდაა ნათქვამი მის შესავალში, რომელიც ზევით ამოვწერეთ; აქ ავტორი გუჯრგანი პირდაპირ ამბობს, რომ მას ხელთა ჰქონდა ფალაური პროზითი მოთხრობა ვისო და რამინის შესახებ, რომელიც მან „სიტყუაშეწყობით“ ან ლექსად გადმოიღო ახალ სპარსულ ენაზე; ორიგინალურს თუ ნახევრად ორიგინალურს ნაწარმოებში ამას ადგილი არ ექნებოდა. ასე რომ ვისრამიანი ნათარგმნია სპარსული ენიდან, თუმცა ამ აზრს არ იზიარებს განვენებული ალ. ხანაშვილი, რომელსაც ჰგონია, რომ ის ნათარგმნია პირდაპირ ფალაური ტექსტიდან და თარგმნილია იმდენად თავისუფლად, რომ ქართული ვისრამიანი წარმოადგენს სრულიად დამოუკიდებელ ვერსიას. ინის დასამტკიცებლად, რომ თხზულება პირაპირ ფალაურიდანაა ნათარგმნი, ხანაშვილს მოჰყავს შემდეგი მოსაზრება: 1) სპარსული ვისრამიანი დაწერილია ლექსად, ქართული კი პროზით, ის მაშასადამე უნდა მომდინარეობდეს ფალაური პროზითი მოთხრობიდან და არა სპარსულიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველები, რომელთაც ასე უყვარდათ ამებების ლექსად, თქმა უეჭველია, ვისრამიანსაც ლექსით გადმოიღებდნენ.¹ რასაკვირველია, ეს მოსაზრება გაუგებრობაა; განა უკეთესი თხზულება იმ სახით და ფორმით ითარგმნება, როგორც ორიგინალურშია, განა ლიტერატურის ისტორიაში არ მოიპოვება ისეთი ფაქტი, რომ ლექსად დაწერილი თხზულება პროზით ეთარგმნოთ და პროზით დაწერილი ლექსად? ყოველ შემთხვევაში ქართულს ლიტერატურაში იშვიათი არაა ასეთი შემთხვევა: ფირდოუსის შაჰნამე, რომელიც მომზიბლაგი ლექსებითაა დაწერილი, ქართულად XII საუკუნეში და შემდეგ აღორძინების ხანაში თავდაპირველად პროზით უთარგმნიათ. 2) ზოგიერთი საკუთარი სახელიო, ამბობს ხანაშვილი, ქართულში სპარსულთან შედარებით, სხვანაირადაა წარმოდგენილი; მაგალითად: მოაბადი, მარავი, შაპრო და სხვ., ალბად იმიტომ, რომ ეს სახელები ფალაურიდან მომდინარეობს და არა სპარსულიდანო; ეს რომ ასეა, უფრო იქიდანა ჩანს, რომ ქართულში მოხსენებულია მდინარე მტკვარი, რაც სპარსულში არააო.² თუ მხედველობაში გვექნება არა რუსული ტრანსკრიპცია ამ სახელებისა, რომელიც, ხანაშვილს შტაკელბერგის თარგმანში უნახავს, არამედ სპარსული ტექსტი, დაერწმუნდებით, რომ ქართული გამოთქმა მათი სწორედ სპარსულზეა დამოკიდებული და არა ფალაურზე, რომლის ტექსტი ჩვენამდე არ შენახულა და იმიტომ არც ვიცით, თუ როგორ გამოითქმოდა იქ ეს სახელები. რაც შეეხება მტკვარს, განა ის ფალაურში კი იქნებოდა, რომ ამით შეგვეძლოს ქართული ტექსტის ფალაურთან დაკავშირება?

იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული თარგმანი დამოუკიდებელ ვერსიას წარმოადგენს, ხანაშვილი უჩვენებს: 1) ქართულს ტექსტში ნათქვამია, რომ რამინმა ჩანგი მოიგონაო; მაგრამ ეს ქართულის თავისებურობად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ჩანგზე სპარსულ ტექსტშიაცაა ლაპარაკი და არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ფალაურშიაც არ იქნებოდა.

¹) შოამბე 1896 წ. № 6, გვ. 70-86.

²) შოამბე, 1896 წ. № 6, გვ. 85. Очерки по истории грузин. словесности, II, 205.

³) შოამბე 1896. წ. № 6, გვ. 85-86.

2) ქართულს ვისრამიანში წერია: „რა შაპი მოაბად კარგითა ეტლითა შემოქცეული ქოისტანით მარაჲ ქალაქს მოვიდა, კოშკთა ზედა ჯდა, ვითა სოლომონ და ბალავ, და თამაშობდა“ (გვ. 128); შეიძლებაო, ამბობს ხახანაშვილი, ბ ა ლ ა ვ ი ი ე ო ს ქ ა რ თ უ ლ მ წ ე რ ლ ო ბ ა შ ი უ კ ე ვ X I ს. ცნობილი ბ ა ლ ა ვ ა რ ი ო.¹ საქმე ისაა, რომ სპარსულს ტექსტში ეს ადგილი შემდეგნაირად იკითხება: „როდესაც შაპი მოაბადი კარგითა ეტლითა შემოქცეული ქოისტანით მარაჲს ქალაქსა მოვიდა, კოშკთა ზედა ჯდა ვეცხლისმკერდა ვისოსთან ერთად, ვითა სოლომონ და ბალავ.“ მაშასადამე, ქართულს ტექსტში გამოტოვებულია ვისოს სახელი; მათ, მოაბადსა და ვისოს, ამ შემთხვევაში სპარსული ტექსტი ადარებს სოლომონსა და ბალავს, რომელთა ხსენება ქართულშიაც არის. მოაბადი შედარებულია სოლომონთან, ვისო კი ბალავთან, მაშასადამე, ბალავი არის ქალის სახელი და არა ბალავარი. ვინაა ეს ბალავი? სპარსულად ბალავს უდრის ბ ა ლ კ ი ს ი, ბ ა ლ კ ი ს ი კ ი არის საბეველთა დედოფალი, რომელიც ბიბლიის თქმით, სოლომონს ეწვია, განცვიფრებულ იქმნა მისი სიბრძნითა და სიძლიდრით და რომელიც, მუსულმანთა გადმოცემით, მერე სოლომონს მისთხოვდა. სპარსულს ტექსტში, სადაც ნმოვნები არ იწერება, ეს სახელი წარმოდგენილი იქნებოდა, როგორც ბ ლ კ ი ს: ქართველმა მთარგმნელმა დაბოლოვება ის მოაცალა, დანარჩენი ნაწილი წაიკითხა ხმოვანი ა-თი და მიიღო ბ ა ლ ა ვ, საიდახაც მერე, მხედრულში ვ და კ შერევის გამო, წარმოდგა ბალავ.

3) სპარსულს ვისრამიანში, განაგრძობს ხახანაშვილი, მოხსენებულნი არიან ალექსანდრე მაკედონელი, მისრე არიში და ზრძენი ხვასრო, ქართულში კი ესენი არ არიან და მათ მაგიერ გვხვდება ა მ ი რ ა ნ ი ო.² ესეც გაუგებრობა, ჩამოთვლილი სახელები ქართულშიაც არის, მაგალითად: „ამა დაკაშმულმან ლაშქარმან გამოდენა დაიწყო ვითა ალექსანდრეს ლაშქარმან ბნელეთით“ (გვ. 438): „[ა]რას ამისთუის აქებენ, რომელ სიარულითა მარაჲს ისარი გამოუვლია“ (გვ. 303); „მართალი არაკი თქუა ხვასრომან“ (გვ. 86, 451). პირდაპირ კუროიზია ა მ ი რ ა ნ ი ს ინტერპრეტაცია; ტექსტში ვკითხულობთ: „ადრე აოხრდების ელაქი, რომე ორნი ამირანი დვენ“ (გვ. 388). ან „ყველა ამირანი და ხელმწიფენი თქუენისა სამსახურისათუის მსახურისაებრ სარტყელს შეირტყმენ“ (გვ. 425). ამ წინადადებებში ა მ ი რ ა ნ ი ხახანაშვილს მიუღია საკუთარ სახელად, ამირანად, ნამდვილად კი აქ ჩვენ გვაქვს მრავლობითი რიცხვი სიტყვა ამირა-სი, რაც ემირს, მმართველს აღნიშნავს.

ამნაირად, არც ერთი საბუთი ხახანაშვილისა არ ამტკიცებს იმას, რომ ქართული ვისრამიანი თავისებური გადმოცემებაა ფალაური პროზითი ვისრამიანისა.

როდესაც 1897 წელს ა. ხახანაშვილმა გაიცნო ნ. მარრის შეხედულებანი მისი საბუთების შესახებ,³ ჩვენ მიერ ნაწილობრივ ზემოთ მოყვანილი, თა-

¹) მოამბე, 1896 წ. № 6, გვ. 83

²) მოამბე, 1896 წ. № 6, გვ. 83.

³) Къ вопросу о вліяніи персидской литературы на грузинскую, ЖМНП. 1897 г. Мартъ, стр. 223—227

ენის აზრი ასე შეეცვალა: ქართული ვისრამიანი მომდინარეობს არა ფალაურ-რიდან, არამედ სპარსულიდან, მაგრამ არა პოეტის გურგანის შრომიდან, არამედ მეორე სპარსული, პროზითი რედაქციიდან, რომელიც მას თავისებურად გადმოუყვებიაო.¹ საემაოა მოვიგონოთ ამის საწინააღმდეგოდ, რომ არავითარი პროზითი რედაქცია ვისრამიანისა სპარსულ ენაზე არ არსებობს და არც აყებობდა, ამას პირაპირ აცხადებს პოეტი გურგანი, როდესაც ამბობს, რომ სპარსულ ენაზე ვისრამიანი არ იყო, მე ფალაური ენიდან ვთქვი ის ლექსადო.

ანნაირად, ქართული ვისრამიანი გადმოთარგმნილია არა ფალაურიდან, არამედ სპარსულიდან, რასაც ამჟღავნებს, სხვა არა იყოს რა, მრავალი ახალი სპარსული სიტყვები, ხშირად არაბული წყაროდან მომავალნი,² გადმოთარგმნილია ის პოეტის გურგანის შრომიდან, რომლის სახელს ქართულს ტექსტშიაც ვხვდებით.

ქართული თარგმანი საერთოდ კარგი და მოხდენილია; ქართველი სთარგმნის სპარსულ ტექსტს შეძლებისდაგვარად ზედმიწევნით, სიტყვა-სიტყვით, თუმცა ხანდისხან, ალგალაგ ის სცილდება დედანს და ტექსტს თავისუფლად და თავისებურად გადმოგვცემს. განსხვავება ქართული თარგმანისა დედნისაგან ააჰსნება იმით, რომ:

1) მთარგმნელს ზოგიერთს შემთხვევაში სპარსული სიტყვები ვერ გაუგია, რაც, სხვათა შორის, დამოკიდებულია იმაზედაც, რომ ის სწორად ვერ ჰქითხულობს სპარსულ ტექსტს; მაგალითად, ქართულში სწერია: „წამწამთა მისთა მშვილდოსნობა აფხაზთაგან ესწავლა“ (გვ. 257); სპარსულში ამას უღრის: „აეურდუ ბეჰ ანჯაზ“, რაც ნიშნავს: „მიჰყავდა აღთქმაზე“. ბეჰ ანჯაზ მთარგმნელს წაუკითხავს, წერტილთა გარდასხმის გამო, ზ ა ბ ხ ა ზ, რაც ნიშნავს „აფხაზთაგან“.

2) ზოგიერთს შემთხვევაში მთარგმნელს ვერ მოუხერხებია სპარსული დედნის გადმოცემა; მაგალითად, ნაწილი ვისოს მეცხრე წერილისა (გვ. 311—314), სადაც სპარსულში წარმოდგენილია მთელი რიგი არაბული ასოების ფორმებთან შედარებებისა, მას სრულიად გამოუტოვებია, ვინაიდან ქართველი მკითხველისათვის. რომელიც არაბულ ანბანს არ იცნობდა, ამ შედარებათ მნიშვნელობა არ ჰქონდა, გადაკეთება კი მათი, ქართული ანბანის მიხედვით, მას ვერ მოუხერხებია.

3) არის შემთხვევები, როდესაც მთარგმნელს განგებ შეუცვლია სპარსული დედნის აზრი; მაგალითად: „გარნა მას ძიძისა შეგონება და ქარი სწორად ესმოდა“ (გვ. 59), სპარსულში ამას უღრის ასეთი შედარება: „ძიძას თითქოს ნიგოზი დაეყაროს გუმბათზეო“; ეს შედარება ქართულში სხვა ადგილასაა (გვ. 243), სადაც სპარსული მას არ იცნობს. ბ) სპარსული ტექსტის — „მას არც ერთი მარგალიტის თუალი აღარ დაუგდია მიწაზეო“, ქართველს ასე გადმოუსხვაფერებია: „მარგალიტი ღორსა წინა აღარ დაყარა“ (გვ. 125). გ) სპარსულ-

¹) Очерки II, стр. 201, 202, 205.

²) მაგალითად: აზიზი, ბახტარი, ხავარი, ბეჩარა, ბუტი, დაულათი, მახმური, მემანი, ტარარ და სხვ.

ლი—„მასწავლებელი რომ საამო გალობას იწყებს, მოწაუე იმწამსვე ცეკვას გააბამსო“, შეცვლილია ასე: „ხუცესი რა ორძალთა უკრევდეს, დიაკონმან შუშპარისა კიდე რამცა ქნას?“ (გვ. 121). დ) სპარსული ტექსტის ადგილი, სადაც ლაპარაკია ქურდისაგან მოპარული საუნჯის მიწაში დაფლვაზე, ქართულში ასეა შეცვლილი: „შენცა ნუ თუ ჩემებრ გიყუარდა იგი თუალი, საწუთროო, რომელ ანგართა ოქრო, ვითა დაპჟალ და დამალე მიწასა.“ ე) სპარსული ტექსტი: „შენ არა ხარ ის, რომ ჩემს იქით არაფერი გახსოვდა და ჩემის ფეხის ტალახისაგან სურმას იკეთებდიო“, ქართულში ასეა წარმოდგენილი: „შენ, რომელ ჩემი მიჯნური იყავ, ჩემისა ნახუსათვის ასრე გსურდა, ვითა წყაროსათვის ირემსო“. ე) ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელს სპარსული ჯეონი შეუცვლია ქართული მტკუარით (გვ. 56, 77, 171, 267), თუმცა ჯეონიც არის ნახმარი, და უფრო ხშირად, ვიდრე მტკუარი.

4) ზოგიერთს შემთხვევაში განსხვავება ქართული ტექსტისა სპარსული დედნისაგან იხსნება შით, რომ ტექსტი დამახინჯებულია გადამწერთა მიერ; მაგალითად, ა) „[ა]რას ამისთვის აქებენ, რომელ სიარულითა ბარავს ისარი გამოუგდია“ (გვ. 303); აქ არავითარი აზრი არ არის, ვინაიდან „სიარული“ არის დამახინჯება თავდაპირველის „სარიით“, ან „სარავით“ (ქალაქის სახელია), როგორც ამას ეპოულობთ სპარსულ ტექსტში. ბ) ქართული—„საწუთრო ძველია და ჩვენ შიგან სიზმართა ეპგავით“ (გვ. 445), დამახინჯებულია; სპარსულის მიხედვით იქ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ძილია; აგრეთვე მეორე ადგილას—„არ მებრალეების უთმინობა და უძალობა (გვ. 254), რომელიც უნდა შეიცვალოს უძილობად.¹

ამნაირად, ქართული ვისრამიანი არის სპარსული ორიგინალის თარგმანი; ამ თარგმანში ბევრი ადგილი თითქმის სიტყვასიტყვით ეთანხმება ორიგინალს, მაგრამ ზოგიერთი მისი ადგილი უფრო ვრცლადაა გადმოცემული, ზოგი შემოკლებულია, ან სრულიად გამოტოვებული, ან განზრახ შეცვლილი. თარგმანი მოკლებულია ორიგინალის პოეტურ ღირსებებს, თუმცა ზოგან საესებით არის დაცული ორიგინალის ენასურათიანობა. მაინც ქართული იმდენად სწორი და ზედმიწევნითია, რომ მისი საშუალებით შესაძლო ხდება სპარსული ტექსტის შესწორება და აღდგენა.

ვინ თარგმნა ქართულად ვისრამიანი? ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ისეთი აზრი იყო განმტკიცებული, რომ, თუ ავტორი არაა, მთარგმნელი ვისრამიანისა არის სარგის თმოგველი, რომელსაც დილარიანი მიეწერება. ეს აზრი პარველად გამოთქვა ბატონიშვილმა თეიმურაზმა ვეფხისტყაოსნის კომენტარიებში² და მერე მას იმეორებენ დ. ჩუბინაშვილი, დ. ბაქრაძე, პ. იოსელიანი, ი. მეუნარგია და სხვ. ვისრამიანის გამომცემელნიც, ცოტა ყოყმანით.

¹) ეს ადგილები ამოღებულია ნ. მარჩის შრომიდან: Къ вопросу о влиянии персидской литературы на грузинскую, ЖМНПросв. 1897 г. Мартъ, стр. 223—237. და ი. აბულაძის მონოგრაფიიდან: მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთველის ვეფხისტყაოსანი (ძველი საქართველო I), აგრეთვე მე-XII ს. ქართული საეპოე მწერლობა და ვეფხის ტყაოსანი, გვ. 19, შენიშვნა.

²) Е. Такайшвили, Описание II, стр. 585.

მაგრამ მაინც, მგონია, ამ აზრს ემხრობიან (გვ. VII); მაგრამ არაერთი უტყუარი, ექვემოტანელი საბუთი ამისათვის არ მოიპოვება. მიუღებელია აგრეთვე: ხ. კიკინაძის აზრი, თითქოს ვისრამიანის მთარგმნელი იყოს დავით საათაბაგოელი;¹ უეჭველია, ამ აზრს საბუთად უღევს კატალოგი ქართული წიგნებისა, უცნობი ავტორის მიერ შედგენილი 1810 წელს, სადაც №92 ქვეშ წყვილია: „ვისრამიანი, მეუის თამარის დროს ქმნილი დილარგეთის ბრძნის დავით საათაბაგოელისაგან შევნიერს ენაზე“;² აქ კიდევ სულ უველაფერი არეულია: დავით საათაბაგოელიც ყოფილა და დილარგეთელიც. ასე რომ დღესდღეობით ამ საკითხის გადასაჭრელად მასალა არ მოგვეპოვება.

თუ მთარგმნელის ვინაობა და პიროვნება არა, იმის გარკვევა მაინც შეიძლება, დაახლოვებით რასაკვირველია, თუ როდის უნდა იყოს ის გადმოთარგმნილი. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გადმოთარგმნილია ის მეთორმეტე საუკუნის გასულზე ადრე, ჯერ კიდევ თამარ დედოფლის გამეფებამდე.³ საკმისაა, რომ ვისოსა და რამინის სახელები მოხსენებულია თამარის ეპოქის თხზულებებში იმ სახით, რომ იგულისხმება—მათ მკითხველთა ფართო მასა იცნობს. ნათხსენიებს ჯერ კიდევ თამარის ისტორიკოსი, რომელიც თამარისადმი გამოჯნუბას სხვადასხვა პირებისას პარალელებს უძებნის ლიტერატურულს ძეგლებში: „ვითარ რამინ ვისისათვის“.⁴ მოხსენებულია ვისოსა და რამინის მიჯნურობა ვეფხისტყაოსანშიც, რომელსაც, როგორც თავის ადგილას დავინახავე, თვალსაჩინო გავლენა ეტუობა ვისრამიანისა; აქ ჩვენ ვკითხულობთ: „იგი ქირი არ უნახავს არც რამინს და არცა ვისსა“, „ფატმანს ჰკლვიდა უქისობა, რამინისა ვითა ვისსა“, „ნუ ექვ მიჯნურად მათებრსა ნუმცა თუ რამინს და ვისსა.“ იხსენიებს მათ ჩახრუხადეც თამარისაში, როდესაც ამბობს: „რამინს უწენოდ სტივის: უწენოდ შერებოდა ვისის ნამიჯნურევად“ (V, 22).¹

დანამდელებით შეიძლება ვთქვათ, რომ ვისრამიანი ერთი პირველი ნიმუშთაგანია ქართული საერო ლიტერატურისა და ის ნათარგმნია დაახლოვებით ამავე დროს, რა დროსაც ამირანდარეჯანიანი, შეიძლება ცოტა უფრო ადრეც. ამის დასამტკიცებელი საბუთია ენა თარგმანისა, რომელიც განიცდის უფილეს გავლენას სასულიერო ლიტერატურის ენია ნორმებისას, უფრო მეტს, ვიდრე ამირანდარეჯანიანი. თუმცა თარგმანში ხალხური ენის ნორმები უკვე ჩანს, მაგრამ, როგორც ფონეტიკურად, ისე გრამატიკულად და ლექსიკურად ის უფრო ენათესავენს სასულიერო-საეკლესიო ლიტერატურის ენას. მართალია, ხელნაწერები ამ თხზულებისა ალორძინების ხანას არ უსწრებს წინ, მაგრამ მათშიაც საკმაოდ შენახულა ფონეტიკური არქაიზმები; ლექსიკის მხრივ აქ ჩვეულებრივია ისეთი სიტყვები, რომელნიც სასულიერო ლიტერატურაშია გაბატონე-

1) ქართული მწერლობა XII საუკუნეში, გვ. 10.

2) А. Цагарели, Свѣдѣнія, III, стр. 257.

3) ქართლის ცხოვრება მართამ დედოფლისა, გვ. 414.

4) საეკლესიო, რომ „დავით აღმაშენებლისა და თამარის ქებაში“, სადაც ნათქვამია „ენობა ეამყე-ვისსა, არ თუ მეყვისსა“ (32,1), იგულისხმებოდეს ჩვენი ვისო. ვინაიდან პოეტი ამბობს: „როს იაყარ ცო იამან ჰქვნიოთ“; ვისოს შესახებ ამისი მსგავსი არა ვიციოთ რა.

ბული, ხოლო მეორემეტე საუკუნის ორიგინალურ საერო ძეგლებში აღარ გვხვდება. გრამატიკულად საყურადღებოა ასეთი შეთანხმებანი: „შენი სიყუარული ჩემისა სულისა სწორად მიჩანს“ (გვ. 170), „ბროლის კელი ვისისა შეღებილი იყო ფეროანი თა ღვინითა“ (გვ. 170), „ვინლა იკმარანს შენეულნი სამოსელნი“ (გვ. 212), „მღე ეშმა მისად ომად მოსულიყო“ (გვ. 107), „ვაჲ თუ ამა თოვლმან და ბუქმან მოსამემკლას“ (გვ. 382). მრავლად არის ძეგლში აგრეთვე არაბული წარმომდინარეობის სიტყვები, რაც თავის მხრივ მაჩვენებელია დავით აღმაშენებლის წინაღობისა. თარგმანის სიძველისა და მაზედ სასულიერო ლიტერატურის ძლიერი გავლენის მაჩვენებელია აგრეთვე ეს გარემოება, რომ მთარგმნელს უმეტესი ნაწილი შეცვლილი ადგილებისა გადმოუტყუებია საღეთო წერილის მიხედვით. მართლაც წინადადებაში— „აწ მოიგონე... შენი ფიცი, რომელ შეგიფიცავეს ღმრთისა და ყოველთა მისთა წმიდათა“ (გვ. 230); უქანასენელი სიტყვა მთარგმნელის წვლილია, სპარსულში ის არაა, ეს მაჩვენებელია მთარგმნელის ქრისტიანობისა, რომელიც იმდენად მძლავრად ვანიცდის სასულიერო ლიტერატურის ზეგავლენას, რომ სპარსულს ლიტერატურულ ძეგლებშიაც კი ქრისტიანული ელემენტები შეაქვს. ესეც იმის საბუთია, რომ ის მუშაობდა არა უგვიანეს მეთერთმეტე საუკუნის გასულისა, ამიტომ ცხადია, სარგის თმოგველი ამ თხზულების მთარგმნელად არ შეგვიძლია ვიყნოთ.

ასეთს დათარიღებას არ ეწინააღმდეგება ვისრამიანშიც მოხსენებული ტერმინები: ამირსპასალარი (გვ. 105, 443), ვეზირი (443), ეჯიბი (443), მსახურთუხუცესი (443), რომელთაც დავით აღმაშენებლის ისტორიაშიც კი ვერვხვდებით, — დავითის ისტორიკოსი საზოგადოდ ხელისუფალთა შესახებ არას ამბობს. ამირსპასალარის, ვეზირის და ეჯიბის შესახებ ღკვე გეკონდა ლაპარაკი ამირანდარეჯანიანის გარჩევის დროს, რაც შეეხება მსახურთუხუცესს, თუმცა ის პირველად გიორგი მესამის მეფობაშია მოხსენებული, მაგრამ, როგორც პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამბობს, ის გაცილებით უფრო ძველი ხელისუფლებაა.

გარეგანი მხრით ვისრამიანი უაღრესად პოეტური ნაწარმოებია, საუცხოვო პოეტური სურათები, შედარებანი, ფრაზები მას ქმნიან პოეტური ხელოვნების შედეგად. შეუდარებელია ის ადამიანის გრძნობის ღელვათა მიქცევა-მოქცევის ხელოვნურად დასურათებით; შეყვარებულთა, მიჯნურთა განცდის დასურათებით, ერთად იმყოფებიან ისინი თუ არა, ამ რომანს ერთი უპირველესი ადგილი უკავია მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებთა შორის. მაგრამ სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს აქ ხელოვნურად დასურათებული პირები; რომანში დიდის ფსიქოლოგიური დაკვირვებითაა წარმოდგენილი სიყვარულის გრძნობა, მაგრამ ეს არ არის წმიდა, ნაზი და უზადო სიყვარული, ეს ხორციელი, მიწიერი, ამქვეყნიური გრძნობაა, რომელსაც მიზნად აქვს დაბალი მისწრაფებანი. ნოქმედნი პირნი დიდსა და უძლეველს დაბრკოლებებს სძლევენ თავისი გრძნობის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ სძლევენ არა თავისი გონებრივი თუ ზნეობრივი თვისებებით და, თუ გინდა, ფიზიკური ღირსებით, არამედ ხერხით, ცბიერობით, თილისმით, მოტყვილებით. თუ ჯადოსნობა არა და მესამე პირის ცბიერობა-კუდიანობა, ისინი მხოლოდ უნუჯეშო სევდას, სასოწარკვეთილებას და დიაკურ ტირილსა და მოთქმას ეძლევიან და თავისთავად ვერას აკეთებენ. ამ

პირთ არ ახასიათებს გრძნობის სიმტკიცე, კიდევანობაში ერთიმეორის დაუფრწყებლობა: ვისო აღვილად ივიწყებს ვიროს, რამინი ჯერ ვისოს და მერე გულის, და თუ ისინი თავის გრძნობისათვის მაინც კვდებიან, იძენად არა გრძნობისათვის, რამდენად ხორციელი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის, როდესაც ერთად არიან და ერთმანეთს შეჰყურებენ. თითქოს შაჰი მოაბადი ამ მხრივ გამოწკლის შეადგენს. ის, მიუხედავად ყოველგვარი დამცირებისა, მაინც მტკიცედ ინახავს ვისოს სიყვარულს, მაშინაც კი, როდესაც მასთან არ არის, და მსხვერპლადაც ხდება ამ სიყვარულისა, მაგრამ ეს მას მოსდის მისი ხორციელი ვნება-ღელვით, მისი ხასიათის სისუსტის გამო, რომლის მეოხებით ის პირდაპირ კომიკურ როლშია გამოყვანილი და ყველასაგან მოტყუების და დაცინვის საგნად ხდება. მემთვრალობა, უსაქმობა, უმიზნოდ დროს ტარება, აი დამახასიათებელი თვისებანი მთავარი გმირებისა, რამინიც ლეინის სმის, ნადირობის, ბურთაობის. მეჩანგეობის და ღუქნებში ლხინის მეტს არას აკეთებს, როდესაც თავის საყვარელთან არ არის. ვისო ლაჰაზია ანგელოზებრივ, მაგრამ სატანი-სებრ ცბიერი, რომელიც მზადაა შეურიგდეს თავის მდგომარეობას: კანონიერად ეუთის მეუღლედ ითვლებოდეს, ხოლო გვერდზე კურო ჰყავდეს, თუ კი ეს მოსახერხებელია, და თუ ბოლოს ის აუმხედრდება თავის მდგომარეობას, იმიტომ, რომ ასეთს ორ სკამზე ჯდომა აღარ ხერხდება. ძიძა,—ეს ხომ ტიპური წარმომადგენელია ნაძღვილი მაქანკალისა. რომელიც მზადაა გაურიგოს თავისი აღზრდილი მას, ვისგანაც მეტს სარგებლობას მოეღის: ჯერ ვისოს აყვარებს მას, მერე მოაბადს უნდა შეურიგოს, მერე კიდევ რამინს დაუკავშირა. ერთი სიტყვით, ყველა მოქმედი პირი უარყოფითი ტიპებია, იქამდის, რომ დედა ანგარეზით შეიღსა ჰყიდის და მტერს ხელში უჯდება, ძმა და კმარი (ვირო) იმდენ სულიერ სიღაჩრეს იჩენს, რომ მერე მაქანკალად უდგება თავის დასა და ცოლს ერთი მხრით, და მოძალადე მტერს მეორე მხრით. ერთადერთ გამოწკალისს შეადგენს შაჰის ძმა ზარდი, გულწრფელი, ერთგული, თავის მოვალეობის შემგნები კაცი, რომელიც მსხვერპლად ეწირება თავის მოვალეობას, მაგრამ ის მეორე ხარისხოვანი პირია რომანში.

თავის დროს რომანი ჩვენში ჰოპულარული ყოფილა, მას მკითხველი მრავლად ჰყოლია, რაც იქიდანაც ჩანს, რომ კლასიკური ეპოქის თხზულებებში, როგორც დავინახეთ, ხშირია ციტატები მისგან. ალორძინების ხანაში, მიუხედავად იმისა, რომ არჩილ მეფეს დაუწყია მისი გარდაღეჟსვა, შეხედულება იმაზე შეცვლილა; ამისი მაჩვენებელია ერთი მოკლე ლექსი 1769 წლისა, რომელსაც ვჰპოულობთ ქილილა და დამანას ერთს ნუსხაში (წერა-კითხ. № 3183):

სიტყვას ვიტყვი მეტად მზრიანს, თუ შეესმის კაცსა მღვთიანს,
 მოგახსენებ ბრძენსა-ჰკეიანს, არ გამზილებ გიჟს-ბნედიანს,
 ვის ღმერთი სწამს ადამიანს, ნუ ჩახედავს ვისრამიანს,
 დაუბნელებს დღესა მზიანს, ჯოჯოხეთში ნახავს ზიანს.¹

¹ Е. Такайшвили, Описание I, стр. 293.

3. ვეფხისტყაოსანი.

ვეფხისტყაოსანში შეზავებულია ორი ელემენტი: საგმირო და სანი-
ჯნურო. ვინაიდან ამ თხზულებაში ჰხედვენ, სამართლიანად, ქართული ლიტერა-
ტურის სინამაყეს, საჭიროდ მიგვაჩნია უფრო მეტი ყურადღებით შევჩერდეთ
იმაზედ და უფრო დაწვრილებით გადმოვცეთ მისი შინაარსი.

იყო არაბეთს მეფე როსტევეანი, უკვე მოხუცებული, რომელსაც ერთად-
ერთი მზეთუნახავი ქალი, თინათინი, ჰყავდა; მის სახლშივე იზრდებოდა რაინ-
დი ჭაბუკი ავთანდილი, რომელსაც როსტევეანმა სპასალარობა მისცა. ავთანდილ-
სა და თინათინს ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ ამ გრძნობას არ უმელავნებდენ
არც სხვას, არც ერთიმეორეს. როსტევეანმა დიდებულთა თათბირზე განაცხადა,
რომ, ვინაიდან ის უკვე მოხუცებულია, სამეფო ტახტს ის თავის ქალს, თინა-
თინს, უთმობს; ავთანდილს ეს ამბავი განსაკუთრებით გაუხარდა, რადგანაც
ამით მას საშუალება ეძლეოდა, როგორც სპასპეტს, ხშირად ნოსულიყო ხოლმე
თავის სატრფოსთან და ხშირად ენახა ის. გაიმართა დიდი ზეიმი თინათინის
ტახტზე ასლების გამო, ყველა მხიარულობს, მოწყენილია მარტო როსტევეანი; მი-
ვიდენ მასთან კრძალულებით ავთანდილი და ვეზირი სოგრატი და ჰკითხეს:
რათ მოგწყენია მეფეო? ალბად იმიტომ, ვუბნება სოგრატი, რომ შენმა ქალმა
გულუხვობით შენი სალაროები სულ დააცალერაო. არა, უპასუხა როსტევეანმა.
იმიტომა ვარ მოწყენილი, რომ ჩემს საბრძანებელში ისეთი კაცი არ არის, რო-
მელსაც ჩემგან შეეთვისებოდა ჩემი სამამაყო ზნენი; ღმერთმა ვაყიშვილი არ
მომცა, რომ მას ჩემგან ესწავლა ან მშვილდოსნობა, ან ბურთაობა, ჩემ მიერ
გაზრდილი ავთანდილი მხოლოდ ცოტათი მკავსო. ავთანდილს გაეცინა და
უთხრა: ნუ გამიწყრები მეფეო, მაგრამ ერთს რასმეს გეტყვი: გავიდეთ სანადი-
როდ და იქ ვნახოთ ვინ უფრო შვილდოსანია. კარგო, უთხრა მეფემ, შენ წა-
მოიყვანე შენი მონა შერმადინი, ზე წამოვიყვან ჩემს თორმეტ მონას, რათა მათ
მშვილდისარი მოგვაწოდონ და შეაფასონ ჩვენი მკლავიო. გავიდენ ველად, სა-
დაც წინასწარ მორეკილი იყო ნადირი, და მრავალი დახოცეს; სალამო ხანს,
როდესაც ნადირმა მახლობელ ტყეს მიაწურა და თავი შეაფარა, ისინი ჩამოხ-
ტენ ცხენებიდან და მონებს ჰკითხეს მათი აზრი. იმათ პირდაპირ მოახსენეს:
ავთანდილს ოციმეტი მოუკლავს, თან მას ერთხელაც არ დაუცილებია ისა-
რიო. მეფეს ეს არამც თუ ეწყინა, პიროქით გაუხარდა კიდევ; ისინი ხის ძირში
ისხდენ, ლაშქართა სიმრავლეს მოემატათ იქ და ერთად შეექცეოდნენ.

დაინახეს, რომ იქვე, წყლის პირას, ზის ყილაც მშვენიერი ჭაბუკი, ხელში
სადავით უკავია შავი ცხენი, მეორე ხელში უქირავს მსხვილი მათრახი, ტანზე
აცვია ვეფხის ტყავი და თავზე ახურავს ვეფხის ტყავისავე ქუდი; ამასთან ის

საშინლად, გულამოსკენილი სტირის. მეფემ გაგზავნა ერთი მონა ამბის გასაგებად, მაგრამ ვაბუკმა მას არაერთი ყურადღება არ მიაქცია; მერე მეფემ გაგზავნა თორმეტი მონა, რომ, თუ საჭირო იქნებოდა, ძალით მოეყვანათ. იარაღის ჯღარუნი რომ მოესმა ყმას, წამოხტა შეჯღადა ცხენზე, მათრახით სულ მუსრი გაავლო გაგზავნილებს და გაუღდა თავის გზას. მას უკან დაედევნენ ავთანდილი და თვით მეფე; უცხო ყმამ რომ იგრძნო—თვით მეფე მომდევნო, ჰკრა მათრახი თავის ცხენს და ისე გადაიკარგა, რომ ადამიანის თვალს ის აღარ უნახავს. მეფე დაბრუნდა სახლში დანალელიანებული, არათერს არ აკეთებდა და არაფერი არ აინტერესებდა. თინათინმა მას უჩიია გაეგზავნა თავის სამეთოში მქებნელნი; მართლაც გაგზავნეს მონები, რომელთაც მთელა წელიწადი ეძიეს, მაგრამ ვერას გახდნენ, ამის შემდეგ მეფე უფრო შეიპყრო სევდამ. ერთხელ, როდესაც ავთანდილი თავის ოათახში იყო, მოვიდა თინათინის კაცი, რომელმაც უთარა, რომ თინათინი გიბარებსო; ავთანდილს გაუხარდა და იმწამსვე ეახლა მას. თინათინმა უთხრა: ვიცი, რომ გიყვარვარ, მეც ამავე გრძნობითა ვარ შეპყრობილი, მაგრამ, თუ გინდა მართლა დაიმსახურო ჩემი სიყვარული, წადი და ის უცხო ყმა მოძებნე; მოძიეთა სამი წლის ვადა, თუ იპოვნი ხომ კარგი, თუ არადა მოხვალ და მე აქ დაგხედები, პირობას გაძლე, შენს გარდა მე არავის წავეყები ცოლადო. ავთანდილმა მაშინვე შეუთვალა მეფეს: ნება მიბოძე თინათინის გამეთების გამო წავიდე და ყველა გარემო ქვეყნები დაგიმონავო შენაო. მეფემ ნება დართო. ავთანდილი წავიდა თავის საკუთარ ქალაქში, იქ თავის მონას შერმადინს გაუმელავენა ყველაფერი და უთხრა: შენ ყოველწლივ მეფეს წერალი მისწერე ჩემი სახელით და საქმეთა მდგომარეობა აცნობე ხოლმე მას; სამი წლის განმავლობაში თუ დაგებრუნდი ხომ კარგი, თუ არადა მერე ყოველივე სიმართლევ აუწვევ მეფეს, მე, აღბაღ, ცოცხალი აღარ ვიქნებიო. ამის შემდეგ ადგა და გაუღდა გზას.

მან მოვლო თითქმის მთელი დედამიწის პირი, მაგრამ უცხო ყმის კვალს ვერ წააწყდა, ამასობაში სამმა წელიწადმაც განვლო, დარჩა მხოლოდ სამი თვე; ის შევიდა ერთს მწირს ქვეყანაში, მთის წვერიდან დაინახა მინდორი, ჩაეიდა იქ, მოკლა ირემი, გააჩალა ცეცხლი და მწვადს დაუწყო წვა. შორიდან შენიშნა, რომ მოდიან ექვსი ცხენოსანი, რომელნიც მან შეკობრებად მიიღო; მათ მოჰყავდათ ერთი დაქრილი კაცი. ავთანდილი მიიჭრა მათთან და გაიგო, რომ ესენი არიან ხატაეთიდან მოსულნი მონადირენი; ესეც არისო, ეუბნებიან მას, მინდორში შეგვხდა უცხო ყმა, შავს ცხენზე, თავსა და ტანს ეფხისტყავე ემოსა. ჩვენ გვინდოდა გაგვეჩერებია ის, მაგრამ მან მათრახით სულ ბოლი გვადინა და ეს ჩვენი ძმა სასიკვდილოდ დაგვიჭრაო; აი გაიხედე და დაინახავ კიდევაც, როგორ მიჭრისო; ავთანდილმა მართლაც მოჰკრა მას თვალი, გამოეშვიდობა ხატაელებს და დაედევნა უკან გზაზე იფიჭრა, რომ პირდაპირ მისლვა სახიფათოა, ან მომკლავს, ან მოვკლავო, ამიტომ ნელ-ნელა უკან მიჰყვებოდა, ამასობაში შევიდნენ ერთს ხშირს ტყეში, სადაც მდინარე ჩამოდინდა, მდინარის გაღმა დიდი გამოქვაბულები იყო, ხოლო მის პირს. ლერწმის ქალა ავთანდილი ავიდა მაღალს ხეზე და იქიდან დაუწყო ცქერა; უცხო ყმა მივიდა გამოქვაბულთან, საიდანაც გამოვიდა ერთი ქალი, თმაგაშლილი და მტი-

რალი, მოეხვია ყმას, იტირეს. მერე ცხენი შეიყვანეს გამოქვაბულში. მეორე დღით ქალმა გამოიყვანა ცხენი, შეკაზმა ის, გამოეთხოვა ტირილით უცხო ყმას, რომელიც იმავე გზით წავიდა, რომლითაც მოვიდა, ქალი კი გამოქვაბულში შევიდა. ავთანდილმა ამით ისარგებლა და მიადგა პირდაპირ გამოქვაბულს. ქალი გაბოვარდა ვარეთ, მაგრამ, დანახა თუ არა უცხო ადამიანი, ყვირილი მორთო. ავთანდილი შევიდა გამოქვაბულში და ეხვეწება მას: დამშვიდდი, მე კაცი ვარ, არას გერჩი, მხოლოდ მითხარი ვინ არის ის უცხო ყმა, რომელსაც მე ამდენი ხანია დავეძებ. ქალი არ უსმენს, ასე რომ ავთანდილმა იძრო დანა, წააგლო თბაში ხელი და უნდოდა ყელის გამოჭრა; ქალმა უთხრა: თუ მომკლავ, მით უფრო ვერ გაიგებ, რაც გინდა, მე კი სიკვდილი არაფრად მიღირს, გამიხარდება კიდევაცო. ავთანდილს შერცხვა და სხვა ღონეს მიმართა: დაჯდა ცოტა მოშორებით და დაიწყო გულამოსკენილი ტირილი; ქალს, შეატყო, შეებრაღა ის, ამიტომ მივიდა, მოუყარა მუხლი, ბოდიში მოსთხოვა შეურაცყოფისათვის და ტირილითვე უთხრა: შემობრალე, მე მიჯნური ვარ, ჩემმა სატრფომ გამომგზავნა მაგა ყმის ამბის საცნობელად, დიდი ეაება გადაშხდა მაგის ძებნაში, ესლა მოციგნია და შენ არ გინდა მაცნობო მაგის ეინაობაო. ქალს უფრო შეებრაღა, როგორც მიჯნური, და უთხრა: მე გეტყვი მხოლოდ, რომ მას სახელად ტარიელი ჰქვია, მე ასმათი, ვცხოვრობთ აქ და ვიკვებებით იმით, რასაც ის მოინადირებს; დაწვრილებით, ვეცდები, მან თვითონ გაიმბოლოს ყველაფერი, როდესაც დაბრუნდება, შენ მხოლოდ დარჩი აქ. ამდროს შემოესმათ მათ ცხენის ფეხის ხმა, ტარიელი დაბრუნდა შინ; ქალმა ავთანდილი სხვა ოთახში დამალა და ტარიელს შეეგება. დაიწყეს ტირილი, კვნესა, ეაება; ასმათი ეუბნება ტარიელს: სანამ გინდა იყო ასეთს მდგომარეობაში და იცხოვრო უფაბნოში მხეცებთან უკაცოდ და უადამიანოდ, უამხანაგოდ? ტარიელმა უთხრა: აბა სად გამოჩნდება ისეთი დედისშვილი, რომ მე მიმეგობროს? სიტყვა მომეცი, რომ არათურს ავნებ, და მე გაჩვენებ შენ მაგისთანა ადამიანსო, ეუბნება ასმათი; ტარიელს გაეხარდა. მაშინ ასმათმა გამოიყვანა მეორე ოთახიდან ავთანდალი; ჰაბუკებს მოეწონათ ერთმანეთი. ხელი ხელს მისცეს და გადაკოცნეს ერთმა მეორე. მერე ჩამოჯდნენ და ავთანდილმა, ბოდიშის მოხდის და ქების შესხმის შემდეგ, უამბო ყველაფერი: ტარიელს მოეწონა ეს, გულში ჩაუყარდა სიყვარული ავთანდილისა და შენატურა მას, რომ მან ბოლოსადამოლოს თავის ყულის წადილს მიახწია, ამის შემდეგ უამბო მას დაწვრილებით თავისი ვინაობა და თავგადასავალი.

ინდოეთში შვიდი სამეფოა, ექვსის პატრონი იყო მეფე ფარსადანი, ხოლო მეშვიდის მამაჩემი სარიდანი, რომელმაც ბოლოსადამოლოს, მოხუცებულობისას, თავისი წილიც ფარსადანს გადასცა და სამაგიეროდ მისგან მიიღო ამრბარობა და ამირსპასალარობა, აწასთან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მეფისა. ფარსადანს შვილი არ ჰყავდა და მე მზრდიდა შეილსავით, რადგანაც მეუისვე გვარის ვიყავი. ხუთი წლის რომ შევიქნენი, დედოფალი დაორსულდა და ეყოლა მშვენიერი ქალი, ნესტან დარეჯანი, რომელთანაც ერთად ვიზრდებოდი მეც, სანამ ის შვიდი წლის შეიქმნებოდა. მერე მე მამასთან დამაბრუნეს, ხოლო ქალს აუგეს ცალკე კოშკი და ჩააბარეს მისი აღზრდა მეფის დას, ჰაჯეთის მეფის ქერივს, დავარს. თუთხმეტი წლის რომ შევიქნენი,

მამა მომიკვდა, ერთი წელიწადი ვიგლოვე ის ბნელსა ჯდომით, მერე ფარსადანმა მანუგეშა, ამხადა შავი და ამირბარობა მიბოძა, რის გამო ხშირად მიხედებოდა მასთან ყოფნა. ერთხელ, ნადირობიდან დაბრუნებულნი, ჩვენ გავჩერდით ნესტანის კოშკის ეზოში; მამა შევიდა შვილის სანახავად და იქიდან გამოვიგზავნა მისი აღმზრდელი ასმათი, რათა ჩემთვის ჩამოერთმია ნანადირვევი. ის რომ გამოდიოდა, ფარდავი გადაიწია და მე დავინახე ანაზღვეულად ნესტანის სახე, როგორც ელვა, ისე კამკამობდა; იმწამსვე გული წამივიდა, დავეცი უგრძნობელად მიწაზე, თავს დამეხვიენენ მეფე-დედოფალი, დიდებულნი და ექიმები, შემოყვანეს სახლში და ძლივძლივობით გრძნობაზე მომიყვანეს. ერთხელ ჩემს ოთახში შემოვიდა მსახური და მითხრა, ასმათის მონას შენი ნახვა უნდაო; ის შემოვიდა და გადმომცა სააშკოა წიგნი, რამაც მე დიდად გამაკვირვა და სიყვარულის ალი უფრო მომიმატა. მეორედაც მომივიდა კაცი ასმათისა, ის მატყობინებდა ჩემთან შემოიარეო; მესამედ თვით ასმათი მოვიდა ჩემთან და გამიცხადა, ნესტანს შენი სიყვარული ჩაეარდნია გულშიო, რის დასამტკიცებლად გადმომცა წერილი მისი. ამ წერილში ის მწერდა: „ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია, სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია!“ ხატაელნი, ჩვენნი სახარაჯონი, თავიანთ მოვალეობას არ ასრულებენ, ამიტომ წადი, შეები მათ და კარგად გამაჩვენე თავიო. მეც, რასაკვირველია, საპასუხო წერილი მივწერე მას, ასმათს მივართვი დიდი საჩუქარი, რომლიდანაც მან მხოლოდ ერთი ბეკედი აიღო. მერე გაუგზავნე წერილი ხატაელთა მეფეს, რომ ის დაუყონებლივ გამოცხადებულყო ინდოთა მეფის წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ თვითონ მოვალთ შენთან და განანიებთ მეთქი. ერთხელ მოვიდა მონა ასმათისა და შემატყობინა, ასმათი გეძახისო; ჩავედი ბაღში, სადაც ასმათი დამხვდა, და ნესტანთან წაიყვანა. ის იჯდა, მე ვიდექი მის წინაშე გაქვავებული, ერთი სიტყუაც არ მითხრა და ასმათს უბრძანა გაეყვანე! გამოვედი გულდაბნედილი და მტირალი. ხატაეთიდან დაბრუნებულებმა მომიტანეს მეფის რამაზის წერილი, რომელშიაც ის იწერებოდა: რა ხელი აქვს ჩემზე ინდოთა მეფეს, ან როგორ გამიბედე შენ ამისთანა წერილის გამოგზავნა? მობრძანდით, არც ჩვენ ვართ ჯაბანნი, პასუხს გაგცემთო. იმწამსვე მე სალაშქროდ მოვემზადე; ომში წასვლის წინ მიმიწვია ნესტანმა და პირადად ამიხსნა თავისი გრძნობები, შემომეცა სიყვარული და ცოლობა. მე გაუდექი გზას, რამაზმა წინ მომაგება ყვები და მატყობინებდა, მზადა ვარ თქვენი სურვილი ავასრულო, ოღონდ ჯარს უ შემოიყვან ჩემს სამეფოში, შენ თვითონ შენი მხლებლებით მობრძანდი და შეწვიეო. ღამე ერთმა გამოგზავნილთაგანმა, რომელიც მამაჩემს გაეხარდა, ჩუნიც ნაცნობა, რომ რამაზს განზრახული აქვს შეგიტყუოს მარტო და იქ მოგკლასო. მეორე დღეს მე ჯარს უთხარი უკან ჩამორჩენილიყო, გამოვეყავი პატარა რაზმი და წავედი რამაზისაკენ; ჯერ ამ მცირე რაზმით შევები მას, მერე ჯარიც მომიშველა და სულ ერთიან გაუწყვიტეთ მათ ლაშქარი, ავიღეთ მისი ქალაქი, ჩამოვართვით ყველა გასაღებები, ავიღეთ ჯორ-აქლემებს ყოველივე სინდიდრე, რამაზი ხელშეკრული წაწოვიყვანეთ თან და მე საჯანგებოდ წამოვიღე ერთი საუცხოვო ყაბაჩა და რიდე ნესტანისათვის საჩუქრად. ინდოთა მეფე დიდის ამნით დამხვდა, გამიმართა ზეიმი, რომლის დროს მე პირისპირ ვიჯექი ნესტან-

თან და მისი ცქერით ვტკებობდი. ღამე ასმათმა მომიტანა მისი წერილი, რომელშიაც მატუობინებდა, დღეს მეტად მომეწონე, უშენოდ ღმერთმა ნუ მაცოცხლოსო; თან მთხოვა, ის რიღე, დღეს რომ გქონდა, მე მომეც და დამამშვენე, ხოლო ჩემგან აიღე სამკლავეო. დილით ადრე სასახლეში დამიბარეს; მეუფემ მითხრა: მე მოხუცებული ვარ, ძე არა მყავს, რომ სამეფოს ეპატრონოს, ამიტომ ჩვენს ქალს უნდა მოუფებნოთ შესაფერისა საქმრო და ქვეყნის პატრონი; ჩვენ გადაწყვეტეთ, მოვიწვიოთ სიძელ ხეარაზმშას შვილი, შენ რას იტყვიო? მე გული შემიწუნდა, მაგრამ საწინააღმდეგო ვერა უთხარი რა, ვინაიდან დავინახე, რომ ეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მას და, სულ ერთია, ვერას გავხდებოდი; ამიტომ მეც თანხმობა გამოვაცხადე და განზრახვა მოუწონე. იმწამსვე გაგზავნეს მოციქულები ხეარაზმშასთან. მე წავედი ჩემს საწოლში გულმოკლული; მოვიდა ასმათის მონა და შემატყობინა—დაუყონებლივ მოდი, გეძახისო. მივედი, ენახე ჩემი მზე შეწუხებული და გაჯავრებულია; მან წყრომით და საყვედურით მითხრა: არ გრცხვენია, ასე მალე გასტეხე შენი სიტყვა და თეცი? შენ დაესწარ თათბირს, რომელზედაც ჩემი გათხოვება გადასწყდა, და არამც თუ საწინააღმდეგო არა თქვი რამე, დაუდასტურე კიდევაც მეფეს მისი განზრახვა?! მე აუხსენი ყველაფერი, ვუთხარი, რომ არაღის არ დაეანებებ არც ინდოეთს, არც შენს თავს მეთქი. მაშინ ის ცოტათი მოლბა და მითხრა: მაშ როდესაც ხეარაზმშას შვილი მოვა, ის უთუოდ მოკალი, მამაჩემს უთხარი: ნუ გგონია, შენი ქალის გულისათვის ჩავიდინე ეს, ვისაც გინდა მას მიეცი ის, მე ინდოეთს არაღის დაუთმოთქო; მამას ეს მართალი ეგონება და დაგითმობს ტახტსაცა და ჩემს თავს. ხეარაზმშას შვილი მართლაც მოვიდა დიდის ამალით, მას და მის მხლებლებთ განსასვენებელი კარვები ცალკე დაუდგეს. მე ღამით შევიპარე სასიძოს კარავში, ფეხში ხელი ვსტაცე მას, შემოვსტყორცნე სვეტს და სული დავიღვეინე; ამის შემდეგ გამოვბრუნდი უკან, ყველა დაეხოცე, ეინც კი დადევნება განიზრახა, და წავედი ჩემს საკუთარ ქალაქში, რომელსაც მტკიცე ზღუდეები ჰქონდა. ეს ამბავი ფარსადანმა იმ ღამესვე გაიგო. გამოგზავნა ჩემთან კაცები, მაგრამ მე იქ აღარ აღმოჩნდი; ჰო, ვიცოდით, თქვა მან, რომ ტარიელს ჩემი ქალი უყვარდა, ეს ჩემი დის დაეარის ბრალია, რომ მან ასეთი ბოზი ამიზარდა, კაცი არ ვიქნები, თუ იმას ეს არ ვანანიეო. დილით ადრე გამოგზავნა სამი დიდებული და შემოეთვალა ჩემთვის: თუ ჩემი ქალი გინდოდა, რატომ არ შემატყობინე და ტყვილა უბრალოდ ხეარაზმშას შვილის სისხლი კისერზე დამადევი? მე შეეუთვალე ის, რაც ნესტანმა მასწავლა წინათ. ცოტა ხნის შემდეგ დავინახე, რომ ორ კაცს თმაგაწეწილი, მტირალი ასმათი მოჰყავთ, რომელმაც მიაბზო შემდეგი: „წუხელის, როდესაც მეფემ მოგიკითხა და იქ აღარ აღმოჩნდი, ის დაეარს დაემუქრა, დაეარმა კიდევ ჯერ საშინლადა სცემა ნესტანს, მერე დაუძახა ორ ზანგს, მოატანინა კუბო, ჩასეა შიგ ნესტანი და ზღვისაკენ გააქროლებინა ზანგებს, თვითონ კი დანა დაიცა გულსაო.“ მე იმ წამსვე აედექი, უამე 160 კაცს, შეეჯექით ცხენებზე და ჩამოვედით ზღვის პირას, აქ ჩავსხედით ნავში, შევეცურდით ზღვაში და ერთი ნავიც არ გაგვიშვია მოუკითხავი. ასე ვლე ოცი თვე და მის გზა-კვალს ვერ მივაგენი; მხლებელნი სულ დამეხოცა, დაძრწა მხოლოდ ასმათი და ორი მონა; გადმოვედი ხმელეთზე და ზღვის პი-

რას ერთს ბაღში შეველ, სადაც ხის ძირას დავეჯექი პურის საკნელად და ცოტა დასასვენებლად. უცბად შემომესმა ხმა: ლანძღვა-გინების და ყვირილის, გავიხედე და დავინახე—მოღის ერთი კარგი ქაბუკი, ხელშეხევეული და დაკოდილი, ხელში გადატეხილი ხმალი ჰქონდა. მე გავეშურე მისკენ, შევაჩერე და შეძვევი გავიგე მისგან: „მე ვარო, სთქვა მან, ნურადინ-ფრიდონ, მულაზანზარის ქალაქის პატრონი; აქვე მახლობლად არის კუნძული, რომელსაც ბიძაშვილები შედავებთან. მე ამ კუნძულზე სანადიროდ გამოვედი, ამით ისარგებლეს ბიძაშვილებმა, რომელნიც მოულოდნელად თავს დამესხენ და ომი ამიტეხეს. სანაქ შემძლო, მუსარი ვაფლე მათ, მაგრამ, როდესაც ძალიცა და სხვა იარაღიც გამოიყვდა, ცხენი გადმოვაგდე ზღვაში და ცურვით თავი დაეახწიე მათ; კაკი არ ვიქნები, თუ მათ სამაგიერო არ გადაუხადეო.“ მე ამ ქაბუკს წყლული შევეხვიე და დახმარება აღუთქვი; დანიშნულ დროს, მართლაც, შეეკურდით ზღვანი, მოწინააღმდეგენიც შემოგვეგებენ, მე მათი ნაეები ერთმანეთს დაეჯახე და სულ მუსრი გავავლე ყველას. ამნაირად ფრიდონს დაეუმორჩილე მთელი ის მხარე და მტრები; მე მასთან დაერჩი რაჰოდენიმე ხანი, დავდიოდით ერთად, ვნადირობდით და ვერთობოდით. ერთხელ სეირნობის დროს გავედით ზღვის პირას და ავედით მაღალს სერზე; აქ ფრიდონმა მიამბო შემდეგი: „ერთხელ ამ ადგილიდან დავინახე მე, რომ ზღვაში მოცურავდა კიღობანი, რომელშიაც შევამჩნიე ორი ზანგი და ერთი მშვენიერი ასული; ელვასავით ბრწყინვალე და მოკამკამე; როდესაც კიღობანი ზღვის კედეს მოადგა, მე გავექანე მათკენ, მაგრამ მათ შემინიშნეს, შეტურდენ ზღვაში და გამასწრესო“. მე რომ ეს ამბავი გავიგონე, გული წამოვიდა, ფრიდონმა დიდის ვაებით გონზე მომიყვანა და მერე ჩემი ვინაობა და თავგადასავალი დაწერილებით უამბე მას. ფრიდონმა დიდი მონაწილეობა მიიღო ჩემს ბედში, იმწამსვე დაგზავნა კაცები ყველა ნავთსადგურებში საქმე ნელად, მაგრამ ამაოდ, ვერა გავიგეთ რა. ამის შემდეგ ფრიდონს ესთხოვე ნე ბა წასვლისა, თუცა მას ეს მეტად ეძნელებოდა, მაგრამ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს ძმასავით და მე, აი ამ ცხენით, რომელიც მისგან მივიღე საჩუქრად, წამოვედი საქმენელად. მთელი დედამიწა შემოვიარე თითქმის, მაგრამ კვალსაც კი ვერ წავეაწვი ნესტანისას; მაშინ ასმათსა და ორ მონას, რომელნიც დამრჩენოდა, უთხარი; თქვენ ისედაც შეწუხებული ხართ ჩემგან, ეხლა წადით, თქვენს თავს ეპატრონეთ, მე კი დაერჩები მარტო, გავიჭრები და ან მოვეკვები, ან დაებრუნდები მეთქი. ამათ უარი სთქვეს, ვერ დაგტოვებთო; მაშინ წამოვედი. მოვძებნე ეს გამოქვაბულები, რომელშიაც დევები ცხოვრობდნენ. შევები მათ და დავხოცე; რაში მათთან დაეკარგე ის ორი მონაც, დამრჩა მარტო ასმათი, და მას მერე აქ ვცხოვრობთ. რადგანაც „ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამისახავს“, ამიტომ ვეფხის ტყაი მმოსია ტანსა და თავზე, მინდა სიკვდილი, მაგრამ, როგორც მხედავ, არ ვკვლები.

ავთანდილმა რომ ყველაფერი ეს მოისმინა, ნუგეში სცა მტირალს ტარიელს და უთხრა: „შევუციოთ ერთმანეთს ძმობა, მე ეხლა სახლში წავალ და ჩემს პატრონს უამბობ ყველაფერს, ორი თვის შემდეგ მოებრუნდები და, სიტყვას გაძლე, თავს არ დავიზოგავ, როგორმე დაგებმარო და სევდა შეგიმსუბუქო“; თან სთხოვა მას, იქედან არსად წასულიყო მის დაბრუნებამდე. მეორე

დილას გამოეთხოვნენ ერთმანეთს თვალცრემლიანნი და ავთანდილი წამოვიდა თავის საყუთარ ქალაქში, საიდანაც წერილი გაუგზავნა როსტევანს და ყველაფერი აცხობა. როსტევანი დიდი ზეიმით და სიხარულით შეხვდა ავთანდილს. რომლისაგან სიტყვიერად მოისმინა ამ საპი წლის ამბავი. ავთანდილმა თინათინს უთხრა, როდესაც ეს მასთან იყო მიწვეული, რომ მე ტარიელს შევფიცე ძმობა, დახმარება, ამიტომ, თანახმად მიცემული სიტყვისა, ისევ უკან უნდა დავბრუნდეო. თინათინმა მოუწონა გადაწყვეტილება, დაავალა კიდევაც მტკიცედ შეესრულებია სიტყვა და მიჯნური მიჯნურს დახმარებოდა. საჭირო იყო, როსტევანს დასთხოვოდა ის, მაგრამ ეს აღვილი არ იყო, და ამიტომ ავთანდილი ამას ვერც ბედავდა. მან მიუგზავნა მეფეს ერთი გავლენიანი ვაზირი, რომელსაც კინალამ მოკლა მეფემ ასეთი თხოვნისათვის და უარით გამოისტუმრა უკანვე. ავთანდილი იძულებული შეიქნა გაპარულიყო; მან დასწერა მეფის სახელზე ანდერძი, რომელიც შერმადინს დაუტოვა გადასაცემად, თვითონ შევიდა მიზგითას სალოცავად და გაუდგა გზას გულდამწვარი და მტირალი საჭრფოსთან მოშორების გამო. დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ ის მივიდა ტარიელის ქვაბებში, მაგრამ იქ ტარიელი ვერ ნახა; ასმათმა უამბო, რომ, რაც შენ წახეული, მე ის აღარ მინახავს და აღარც მსმენია რამე მისი, ის სადღაც უგზო-უკვლოდ გაიქრა. ავთანდილს ეწყინა, საყვედურიც სთქვა ტარიელზე, მაგრამ რა უნდა ექნა, — შეუდგა მის ძებნას. ერთხელ ერთი სერიდან მან გადახედა შამბნარით მოსილ მინდორს და დაინახა ტარიელის ცხენი; ჩავიდა იმწამსვე ძირს და ნახა, რომ ტარიელი უგრძობლად ეგდო მიწაზე და აქეთ-იქით ეყარენ მკედარი ლომი და ვეფხი. ავთანდილმა დიდის ვაივავლახით გრძნობაზე მოიყვანა ტარიელი და იმდენი ელაპარაკა, რომ, თუმცა მას არ უნდოდა წასლვა, ასმათის სიბრალულით დაითანხმა ამაზე და გამოქვაბულში წაიყვანა. გზაზე ტარიელმა უამბო ავთანდილს, როგორ დახოცა მან ლომი და ვეფხი; გამოქვაბულში მათ დიდის სიხარულით მიეგება ასმათი; აქ ავთანდილმა უთხრა ტარიელს: რხელა მე წავალ შენი ნესტანის საძებნელად, შენ გინდა აქ დარჩი, გინდა სხვაგან წადი, მხოლოდ არა სამუდამოდ; ერთი წლის შემდეგ, თუ ცოცხალი ვიქნები, უკანვე მოვბრუნდები, თუ არა და, იცოდე მკედარი ვარ, და, როგორც გინდოდის, ისე მოუარე თავს*. ამის შემდეგ ცხარე ცრემლებით გამოეთხოვნენ ერთმანეთს სამნივენი და ავთანდილი გაუდგა გზას.

ავთანდილი გაემგზავრა ჯერ მულაზანხარს ფრიდონ მეფესთან; მის ქალაქს რომ მიუახლოვდა, დაინახა, რომ მინდორში სენადიროდ გამოსულა თავისი ამალით ფრიდონი. ავთანდილმა ესროლა ისარი მფრინავ ქორს და ძირს ჩამოავდო; მონადირეებს გაუკვირდათ ეს და გარს შემოებვიდნენ უცხო ყმას. ავთანდილმა სთხოვა მათ: გადაეცით ფრიდონს, რომ მოვსულვარ ტარიელის ძმადნაუცი, საქმე მაქვს მასთან. ფრიდონს ეს მეტად გაუხარდა, შეიდი წელი გასულიყო მას შემდეგ, რაც ის ტარიელს დაშორდა და ძლიერ ეინტერესებოდა მისი ამბის ცნობა. ფრიდონმა დიდის ამბით მიიღო ავთანდილი, რომელმაც მას დაწვრილებით უამბო თავისა და ტარიელის თავგადასავალი და დახმარება სთხოვა. აქ ავთანდილი დარჩა რამდენიმე ხანს, ნადირობდენ, შეეკცეოდენ და ღროს ატარებდენ; მერე ავთანდილმა უთხრა ფრიდონს: თუმცა ძნე-

ლია შენი გაყრა, მაგრამ მე მაინც ჩემს საქმეს უნდა შეუდგე და ვეძიო ის, ვისაძებნელადაც წამოვსულვარო. ფრიდონმაღაც არ დაუშალა, გამოაყოლა თან ოთხი საიმედო მონა, მისცა კარგი ცხენი და ყველაფერი გზისათვის საქირო, თვითონაც ჩამოყვა ზღვის პირს, იმ ადგილას, სადაც მან დაინახა ოღესლაც ნესტანდარეჯანი ზანგების მიერ მოტაცებული, და აქ გამოეთხოვენ ერაზმანეთს ტირილითა და ვაებით.

ავთანდილმა იარა ასი დღე, მაგრამ უშედეგოდ; ერთხელ ერთი ქედიდან ზღვის პირას დაინახა ვაჰართა კარაყანი, ჩაეიდა და გამოკითხა ვაჰრებს: ვინა ხართ ან რათა ხართ ასე შეწუხებული? მათმა უუროსმა, უსამმა, უთხრა: ჩვენ ვართ ბაღდადელი ვაჰრები, წამოვსულვართ ზღვათა მეფის ქალაქს სავაჰროდ, მაგრამ აქ, ზღვის პირას, ვნახეთ ერთი სულთმბრძოლი კაცი, რომელმაც გადმოგვცა შემდეგი: „ეგვიპტელი ვაჰრები მოვლიოდით ზღვათ სამეფოში სავაჰროდ. აქ დაგვეცენ თავს მეკობრეები, გაგვცარცეს, ჩემი ამხანაგები დახოცეს, მე კი როგორ მოვხვდი აქ, არ ვიცი, იცოდეთ, თუ წახვალთ, იგივე დღე დაგადგებათ, რაც ჩვენო“. აი ამიტომ ჩვენც ვდგევართ აქ და არ ვიცი, წავიდეთ თუ არაო! ავთანდილმა უთხრა მათ: „ნუ გეშინიათ, მე გიხსნით თქვენ იმათგან და დაგანახებთ მათ ვაჰაკობასო.“ მან ჩასხა ვაჰრები ნავში, ჩაუკეტა კარები და თვითონ უშიშრად დადგა ნავის ცხვირზე. მეკობრეებმა დაინახეს თუ არა ნავი, უჩინით გამოეშურენ ავთანდილისაკენ და დაუპირდაპირეს მის ნავს სახნისიანი ძელი; ავთანდილმა კეცით მოსტება ეს ძელი, მერე გადახტა მათ ნავში და სულ მუსრი გააგლო მეკობრეებს, მთელი მათი სიმდიდრე თავის ნავში გადმოიტანა. უსამი და მობაღდადენი გახარებულნი არიან, მათ ქება შესახეს ავთანდილს და უთხრეს: შენ ხარ მსხნელი ჩვენი, ყველაფერი, რაც გვაბადია, შენია, როგორც გინდა, ისე მოიხმარეო. ავთანდილმა უპასუხა: მე თუ სიმდიდრე მდომნოდა, ჩემიც ბევრი მქონდა, პირიქით,—ჩემიც თქვენთვის დამითმია ყველაფერი, გარდა ცხენისა; გთხოვთ მხოლოდ ერთს რასმეს: როდესაც ზღვათა მეფის ქალაქში შევალთ, არ ვამცეთ და არ გაამელავნოთ ჩემი ჰაბუკობა, მე ვაჰრულად გამოვეწყობი და ჩემს თავს უწოდებ თქვენს უფროსს. კარგახნის მგზავრობის შემდეგ მიუახლოვდენ ერთს ქალაქს; რომელიც აღმოჩნდა ზღვათა სამეფოს სატახტო ქალაქი გულახშარო; ერთი მებაღისაგან გაიგეს, რომ მეფეს აქაურს ეწოდება მელიქ-სურხავი; ვაჰრები, რომელნიც აქ მოდიან, ნახულობენ ხოლმე ადგილობრივს ვაჰართა უხუცესს; უსენს, რომელიც ჰყიდულობს მათგან, რაც მოეწონება, დანარჩენს კი, როგორც უნდათ, ისე გაჰყდიანო. უსენი ამეამად აქ არ არის, მაგრამ მე მოვახსენებ თქვენს შესახებ, ეუბნება მათ მებაღე, მის ცოლს, ფატმან ხათუმს და ის მიგიღებს თქვენო. ფატმანმა მართლაც მიიწვია თავისთან ვაჰრები და ავთანდილი და გაუქანაპინძლდა კარგად. მას ჩაუვარდა გულში ავთანდილის სიყვარული, ისე რომ წერილი მისწერა მას და თავისი გული გადაუშალა. ავთანდილმა რომ გაიგო ეს, თქვა: ეს ქალი ისეთ ადგილსა ზის, რომ მაგას მთელი ქვეყნის ამბავი ეცოდინება, იქნება მაგის დახმარებით ნესტანდარეჯანისაც გაეიგო რამე, ამისათვის მისწერა მას საპასუხო წერილი, გრძობებით აღსავსე. ფატმანის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და იმდენი სულმოკლეობა გამოიჩინა, რომ იმ ღამესვე დაიბარა თავისთან ავთანდილი. როგორც

კი შელამდა, ავთანდილი წაეიდა, მაგრამ გზაზე შემოხვდა ფატმანის მონა, რომელმაც გადასცა ავთანდილს: ფატმანმა შემოგითვალა, ამაღამ ნუ მოხვალ, საქმე ისე მოეწყო, რომ ვერ მიგიღებო. ავთანდილი არ შეჩერდა და მაინც მივიდა ფატმანთან; უკანასკნელს ეს კიდევაც ეწყინა თითქოს, იამა კიდევაც, ავთანდილი დარჩა მასთან და მიეცენ უსაზღვრო აღერსა და ტრუფილოზა.

ამ დროს მოულოდნელად გაიღო კარები და წარმოდგა მოხდენილი ჭაბუკი; დაინახა თუ არა მან უხერხული სცენა, მიბრუნდა და ფატმანს დაემუქრა: შენ ბოზო, ისე გაგიხდი საქმეს, რომ საკუთარი კბილებით შეგაკმევე შენს შვილებსაო. ფატმანს გული წაუეიდა და ავთანდილს უთხრა: ან უნდა მოკლა ის კაცი ჩემად, რომ ვერცინ გაიგოს, ანა და ეხლავე აქედან უნდა აიბარგო და ქალაქი დასტოვო. ავთანდილმა გამოკითხა იმ კაცია საცხოვრებელი ადგილი, ადგა ღამე, წაეიდა მის სახლში, შესაელაში მცველები დახოცა, მერე შევიდა მის ოთახში და ისიც მოკლა; არაეის ეს ამბავი არ გაუგია გარდა ფატმანისა, რომელსაც დასარწმუნებლად მოუტანა ბექედიათი თითი მოკლული კაცისა. დამშვიდებული ფატმანი მთელი თავისი არსებით მიეცა განცხროპას ავთანდილთან, რომელსაც მან უამბო შემდეგი: „ერთხელ სევდიანი ფანჯრიდან ზღვისაკენ ვიქჳირებოდი, ზღვაში დავინახე კილობანი, რომელიც ჩემი ბალის პირდაპირ გამოიტანეს ხმელეთზე. კილობნიდან გამოვიდა ორი ზანგი და ერთი ლამაზი, თვალწარბატი ქალი, რომლის მშვენიერებამ გამაკვირვა დიდად; მე იმწამსვე გავგზავნე მონები და დავავალე ან ნებით ან ძალით ის ქალი ჩემთან მოეყვანათ. ისინი წავიდნენ, ზანგები დახოცეს და ქალი მომგვარეს მე. ქალი სტიროდა და არც ერთ შეკითხვაზე პასუხს არ მაძლევდა; დავბინავე ცალკე ოთახში და ქმარსაც კი არას ვეუბნებოდი, ვინაიდან მეშინოდა, რომ ის მას ნეფეს აჩუქებდა. დიდხანს მაინც ვერ შევინახე და იძულებული შევიქენი გამემლაენებია ქმრისათვის, რომელსაც ფიცი და სიტყვა ჩამოეართე, რომ ამ საიდუმლოებას ის არ გასცემდა. ერთხელ ის მეფესთან წაეიდა საჩუქრებით, იქ დაითოო, ფიციც დაივიწყა და სიტყვაც, და მეფეს უთხრა: „ისეთი ქალი გაჩუქო, რომლის მსგავსი შენს სიცოცხლეში არ გენახოს, ის შენი შვილისათვის გამოგადგება ცოლადო“. იმწამსვე გამოგზავნეს მონები და ქალი წაიყვანეს; მე დიდად შეეწუხდი, მაგრამ რას ვიზამდი, ქალს წასღვისას ვაჩუქე ერთი ძვირფასი ქამარი და უსურვე ყოველივე კარგი. მეფე ვაკვირებულყო ამ ქალის სიმშვენიერით და ცალკე ოთახში დაებინაეებია იმ მოლოდინით, რომ, როდესაც მისი შვილი დაბრუნდებოდა, ცოლად შერთავდა მას. ქალმა უთხრა თავის მცველებს: „ტყვილად აქვს იმედი თქვენს მეფეს, რომ მე ის ვინაჲს შემრთავს, იცოდეთ, თავს მოვიკლავ და თქვენ ეს რას წავადგებათ, უკეთესია გაძაპარეთ და სამაგიეროდ მიიღეთ ჩემგან ეს ძვირფასი ქამარიო“. ისინიც დასთანხმდნენ და ღამე გააპარეს ქალი, რომელიც ჩემთან მოვიდა, ცხენი მთხოვა, შეჯდა ზედ და ღამითვე გაიპარა. ეს ამბავი იცოდა სწორედ იმ კაცმა, რომელიც შენ მოპკალი; ის ჩემი საყვარელი იყო და ამიტომ მემუქრებოდა, მეფესთან დაგაბეზლებო“.

ავთანდილმა რომ მოისმინა ეს ამბავი, კინაღამ სიხარულისაგან გული წაუეიდა და ფატმანს სთხოვა, ეამბნა იმისათვის, თუ რა მოუვიდა იმ ქალს შემდეგ.

ფატმანმან განაგრძობ: „ერთხელ ხანაგას ეზოში თავი მოეყარათ სხვადასხვა მოსულ მონებს, რომელნიც ერთმანეთს თავის ვინაობას ეუბნებოდნენ, მე ზორი-ახლო ვუსმენდი მათ ლაპარაკს. ერთმა მათგანმა დაიწყო: მე ვარ მონა ქაჯეთის მეუღისა, რომელიც ეხლახან გარდაიცვალა და რომელსაც ორი ვაჟი დარჩა. მათ ზრდის და მეუღისა დულარდუხტი, რომელიც თავის ძმის მაგიერ მეფობს იქ. მცირეწლოვან ძმებს ზღვას იქით სადღაც და მოუკვდათ და დულარდუხტითურთ ეზადებოდნენ წასასვლელად. ერთხელ ჩვენმა უფროსმა მონებმა გამოიყვანა მინდორში სანადაროდ; რომ დაბნელდა და შინისაკენ ეეზადებოდით, შევნიშნეთ ცხენით მომავალი უცხო ყმა, რომელიც თავისი ელვარებით ღამის სიბნელეს ანათებდა. ჩვენ, გაკვირვებულნი, მივედით მასთან ახლოს და გავიგეთ, რომ ის გულანშაროით ქაჯეთს მიდიოდა. ჩვენმა უფროსმა ეჭვი აიღო, რომ ეს კაცი კი არ იყო, არამედ ქალი, შემოვეხვიეთ, დავიკირეთ და მართლაც ქალი აღმოჩნდა. წავიყვანეთ კრძალულებით სახლში და როსანმა თავის საცოლოდ დაინიშნაო“. მე ის მონა სახლში მოვიყვანე, ამბობს ფატმანი, და უფრო დაწვრილებით გამოვიკითხე ყველაფერი; ამის შემდეგ მე გავგზავნე ქაჯეთს ორი საკუთარი მონა, ქაჯი და გრძნეული, რომ მათ ყოველგვარი ცნობები შეეკრიბათ იქ და მოეტანათ ჩემთვის. ისინი დაბრუნდნენ და გადმომცეს შემდეგი: „ქაჯთა ქალაქი მიუვალთ, შიგ არის მალალი ციხე, რომელშიაც შესვლა შეიძლება მხოლოდ გვირაბით; ამ ციხეში დაუწყვედევია დულარდუხტს ეს ქალი, რათა, დაბრუნების შემდეგ, ქორწილი გადაუხადოს როსანს, წასულან ეხლახან და მალე არ დაბრუნდებიან; მაგრამ საქმე ისაა, რომ ქალაქში შესავალ სამ კარს სდარაჯობს სამსაში ათასი კაცი, ხოლო ციხეში შესავალ გვირაბს 10000 კაცი“.

ეს ამბავი რომ მოისმინა აფთანდილმა, სიხარულისაგან კინაღამ გული წაუვიდა და ფატმანს გამოუჩვენა თავისი ვინაობა და მიზანი, თან სთხოვა მხურვალებად, რითაც კი შეეძლო, დახმარებოდა მიჯნურებს. ფატმანმა დაუყოვნებლივ გაგზავნა ქაჯეთს მონა და ნესტანს მისწერა წერილი, რომელშიაც ეუბნებოდა: მოვიდა შენდა საქმენელად შენი სატრფოს, ტარიელის, ძმადნაფიცი კაცი რომელმაც გამაგებინა შენი ვინაობა; ისინი მალე შენს დასახსნელად მოკლენ, შენ მხოლოდ შეგვატყობინე, რა პირობებში იმყოფები, და შენს სატრფოს რაზე ნიშანი გამოუგზავნეო. ზანგი ქარივით გაქრა, გრძნებით შევიდა ნესტანის ციხეში და ყველაფერი უამბო მას, გადასცა ამასთანავე ფატმანის წერილიც. ნესტანს ჯერ მოჩვენება ეგონა ყველაფერი ეს, მაგრამ შერე დაარწმუნდა, რომ ყველა ეს სინამდვილეა, ფატმანს სიყვარულითა და მადლობის გრძნობით აღსავსე წერილი მისწერა და შეუთვალა: „იცილდე შენც და ჩემს მძებნელსაც შეატყობინე, რომ ჩემი დახსნა ძნელია, შეუძლებელია, და ტყვილად თავს ნუ შეიწუხებენ; ნიშნად სატრფოს ვუგზავნი ერთს ნაკვეთს იმ რიდეხას, რომელიც მისგან მქონდა ნაჩუქარი“. მეორე წერილი, სასოწარკვეთილებით აღსავსე, ტარიელს მისწერა: „ცოცხალი არ მეგონე, მადლობა ღმერთს, რომ შენი ამბავი გავიგე, მე თვით სიცოცხლე არად მიღირს“ მერე აუწერს თავის მდგომარეობას და ეუბნება: „ჩემი დახსნა შეუძლებელია, შენ რომ აქ მოხვიდე და ჩემი გულისათვის თავი მოიკლა, ეს ხომ ჩემთვის ყველაზე მეტი ტანჯვა იქნება! უკეთესია, წადი და ჩემს მშობლებს დაეხმარე მტრებისაგან შეიწრებულთ და შეწუხებულთ; მე, სანამ ცოცხალი ვარ,

ვერეინ ჩამიგდებს ხელში, თუ საკირო იქნება, კლდიდან გადმოვეარდები. ცოცხალი კი არვის დავენებდები“.

როდესაც ყველაფერი ეს მიიღო და მოისმინა აეთანდილმა, დაუყოვნებლივ გზას დაადგა; ფრიდონს წერილი გაუგზავნა და ყველაფერი შეატყობია, შეუთვალა, რომ ესლა შენ ვერ გამოგივლით, მაგრამ გველოდე, ორივენი მოეალთ შენთან და ნესტანის დასახსნელად უნდა წაივლიეთო. გაზაფხულის დამდეგს, თანახმად დაპირებისა, აეთანდილმა მიახწია ტარიელის ქვაბებს და შაბნარში დაუწყო ძებნა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ტარიელი ქვაბში არ იქნებოდა. ტარიელი მართლაც იქ აღმოჩნდა, მას ლომი მოეკლა და ისვენებდა; მეგობრები გადაეხვივნენ ერთმანეთს, აეთანდილმა უამბო, ტარიელს სასიხარულო ამბავი, დასადასტურებლად თავისი სიტყვებისა მისცა მას ნესტანის წერილი და რიდეს ნახევი. ტარიელზე ისე იმოქმედა ყოველივე ამან, რომ გული წაუყვიდა და მკედარივით მიწაზე ეგდო; მოსაბრუნებლად აეთანდილმა, წყალი რომ ვერ იშოვა, მოკლული ლომის სისხლი მოიტანა პეშვით, დაასხა ტარიელს გულზე და გრძობაზე მოიყვანა. მერე მხიარულნი წამოვიდნენ ქვაბებისაკენ, ასმათი გაახარეს და შეუდგენ მზადებას ფრიდონისაკენ წასასვლელად. ტარიელმა გახსნა გამოქვაბულში ორმოცი ოთახი, რომელიც დევებს წაართვა, საგვს იარაღითა და ყოველგვარი საგანძურით; იარაღი თან წაიღეს და ასმათითურთ გზას გაუდგენ ფრიდონმა დიდის ამბითა და ზემით მიიღო ძმადნაფიცი ქაბუკები და, დასვენების შემდეგ, სამასი რჩეული კაცით, მოადგენ ქაჯეთს. აქ წინასწარ გაიმართა თათბირი, როგორ შევიდნენ ქალაქში; სამივე გმირმა თავისი აზრი გამოსთქვა, მაგრამ არჩეულ იქმნა ტარიელის გზა. დილაადრიან ისინი ერთსადამიძვე დროს დაეცნენ ქალაქის კარებს, შემუსრეს მცველები, შელენეს კარები და შევიდნენ ქალაქში; აქ გაიმართა ჯოჯოხეთური ბრძოლა, რომელშიაც ქალაქის მცველი სულ გაიყლიტენ. ტარიელი მიიქრა გვირაბის კარებთან, გასწყვიტა მცველები და შევიდა ციხეში, სადაც თავისი ნესტანი ნახა. იმ დროს შემოვიდნენ იქ ფრიდონი და აეთანდილიც, ნესტანი დაუყოვნებლივ გამოიყვანეს, გამოიღეს მთელი სიმდიდრე ქაჯეთის ქალაქისა, აკიდეს ჯორ-აქლემებს და გასწიეს ზღვათა მეფისაკენ. აქ დიდის ამბით მიიღეს ისინი, ნესტანსა და ტარიელს ქორწილი გადაუხადეს; მეფეს უძღვნეს ქაჯეთის სამეფო სრულიად, ფატმანს კიდევ ყველა ის საჭურჭლე, რაც ქაჯეთიდან გამოიტანეს. აქედან ისინი წაივდნენ ფრიდონისაკენ, აქაც კარგახანს დარჩნენ და კიდევ ქორწილი გადაიხადეს. ტარიელმა აეთანდილს ფრიდონი მიუგზავნა და შეუთვალა: „როგორც შენ დასდევ ჩემთვის თავი, მეც მინდა გემსახურო და შენს სატრფოს შეგყაროვო“. აეთანდილს გაეცინა, მერა დახმარება მინდა, ჩემი სატრფო ქაჯებს ხომ არა ჰყავთ, ის მეფედა ზისო ამის შემდეგ დაასვენეს წასულიყვნენ არაბეთს როსტევეან მეფისას; გზაში მათ შეიარეს ტარიელის ქვაბებში, აქ რაც სიმდიდრე და იარაღი იყო, ტარიელმა ყველაფერი ფრიდონს უბოძა. აქედან როსტევეანს შეუთვალეს მოედვიარათო; როსტევეანი დიდი ზემით შეხვდა მათ. აეთანდილი, ფრიდონი და ნესტანი უკან ჩამორჩნენ, ტარიელი კი შეეგება მეფეს, დიდი სიყვარულით მოიკითხა, ბოდაში მოითხოვა ერთხელ მისი მონების დახოცვისათვის და სთხოვა ეპატიებია აეთანდილისათვის, თუ რაიმე აწყენია მან. ამასთანავე განუცხადა, რომ შენს კალს

და მას ერთმანეთი უყვართ და შენ წინაღმდეგობას ნუ გაუწევ მათ გრძნობებაო. როსტევანს იამა ყველაფერი ეს და უთხრა ტარიელს: „მე შენი რჩევით მზადა ვარ უბრალო მონასაც კი შეერთო ჩემი ქალი, არა თუ ავთანდილს, იმაზე უკეთესი სასიძო მე რად მინდაო?“ მართლაც დიდა ზემით გადაუხადეს აქ ქორწილი ტარიელსა და ნესტანს და ავთანდილსა და თინათინს. კარგახნის შემდეგ აქედან ყველანი ერთად, ავთანდილიც, გაემგზავრენ ინდოეთისაკენ; დიდის მწუხარებითა და ცრემლებით გამოეთხოვენ ერთმანეთს თინათინი და ნესტანი, აგრეთვე როსტევან მეფესაც. ინდოეთი დიდის ამბითა შეეგება ტარიელსა და ნესტანს, ყველამ მეფედ აღიარა და ქორწილი გადაუხადეს. ასმათს ტარიელმა უბოძა ერთი მეშვიდედი ინდოეთისა და უთხრა, ვინც გინდა ქმრად შეირთე და მემსახურო. დიდი ხნის განცხრომისა და მხიარულების შემდეგ, ავთანდილი და ფრიდონი გამოეთხოვენ ტარიელსა და ნესტანსა და წავიდენ თავიანთ სამეფოში; გაურისას საპივე მეგობრებმა კიდევ შეჰვიცეს ერთმანეთს ძმობა, პირობა დასდეს, რომ ხშირხშირად ინახულებენ ერთმანეთს და გაქირვების დროს დახმარებას აღმოუჩენენ. ავთანდილი დაბრუნდა თავის თინათინთან და იმანაც თავის მ.ზანს მიაღწია.

არც ერთს ნაწარმოებს ძველს ქართულ მწერლობაში იმდენი ყურადღება არ დაუმსახურებია, რამდენიც წილადა ხვდა ვეფხისტყაოსანს; ~~საკმაოა მღვიგანოთ, რომ 1712 წლიდან დაწყებული, როდესაც მეფე ვახტანგმა პირველად დაბეჭდა ის მის მიერ გახსნილს ტუილისის სტამბაში, ჩვენ დრომდე ის თქვანამაჯერაა გამოცემული.~~ მუშაობა მისი შესწავლისა და გაგებისათვის იწყება მთავრადვე საუკუნიდან და გრძელდება უკანასკნელ დღეებამდე; განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის მის შესწავლაში პროფ. ნ. მარკს.² მიუხედავად ამისა, პრობლემა ვეფხისტყაოსნისა პრობლემადღე რჩება და კარდინალური საკითხებიც კი არაა ჯერ გადაწყვეტილი, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ტექსტი მისი აღდგენილი არაა და კრიტიკული გამოცემა მისი არ მოგვეპოვება.

მთავარი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები ვეფხისტყაოსნისა არის: I. ავტორი თხზულებისა: ა) სახელი და გვარი მისი, ბ) საღაურობა, გ) სარწმუნოებრივ-ფილოსოფიური სოულმხედველობა მისი და დ) დრო ცხოვრებისა; II. სიუჟეტი თხზულებისა: ორგინალურია ი, თუ ნასესხებია? ამ საკითხების გარშემო უნდა ვაწარმოვოთ ჩვენც ჩვენი კვლევა-ძიება.

ამ საკითხების გადაწყვეტას ჩვენი მკვლევარი ბაზად უდებენ პომის პროლოგსა და ეპილოგს, სხვა რაიმე, ავტორისაგან გამომავალი ან მის დროსთან დაახლოებული, ცნობა ჩვენ არ მოგვეპოვება, ამიტომ საჭიროა წინასწარ გავითვალისწინოთ, რამდენად სანდოა ამ საკითხის გასარკვევად ის ცნობები, რომელთაც ჩვენ ვპოულობთ პროლოგსა და ეპილოგში.

ჯერ უნდა აღვნიშნოთ, რომ არც რაოდენობა პროლოგისა და ეპილოგის ტაქტებისა, არც მათი თანმიმდევრობა არსებულს ნუსხებში ერთნაირად არაა

1) Е. Такайшвили, Описание II, стр. 581—582; უკანასკნელი გამოცემა ვეფხისტყაოსნის დ. კარიკაშვილს.

2) Вступительные и заключительные строфы витязя в барсовою кожѣ Шоты изъ Руставы, СПбтерб. 1910 г.

წარმოდგენილი, ამ მხრივ ისინი დიდს სხვადასხვაობას განიცდიან, რაც მისი მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ეს ტაეპები არ ეკუთვნის ერთსადიამვე მწერლის კალამს, მით უმეტეს ეფეხისტყაოსნის ავტორს. მკვლევართა შორისაც მათი ორგინალობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, ვერ შეხედებით ორს ისეთს მკვლევარს, რომელნიც ერთნაირად ფიქრობდნენ იმის შესახებ, თუ რამდენი ან რომელი ტაპი ეკუთვნის პოემის ავტორს აქ; ერთი ორიგინალურ ტაეპადა სთვლის ერთს, მეორე მეორეს, მესამე მესამეს და ასე. აიხსნება ყველა ეს იმით: რომ მკვლევარნი ზემოდასახელებულ საკითხებს უდგებიან წინასწარაღებული აზრით და საკუთარი თეორიით, ამიტომ, თუ რომელიმე ტაეპი უდგება მათს შეხედულებას და თეორიას, ის, მათი აზრით, ორიგინალურია, თუ არადა—ყალბი. ამ გზას გვერდი ვერ აუხვია თვით აკად. ნ. მარტაძე, რომელმაც პოემის პროლოგსა და ეპილოგს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა, მისს არკუმენტაციასაც იგივე სუბექტივიზმში ახასიათებს, როგორც მის მიერ გაკრიტიკებული მკვლევარებისას. ამ შემთხვევაში ყველაზე გაბედული და, ჩვენის აზრით, საფუძვლიანი ნაბიჯი გადადგა დ. კარიკაშვილმა, რომელმაც ეჭვი შეიტანა როგორც პროლოგის, ისე ეპილოგის ორიგინალობაში მაშლიანად.¹⁾ მართლაც, ეპილოგის ხუთი ტაეპი, რომელიც შეიცავს მათი დაწერის დროს განმტკიცებულს ბიბლიოგრაფიულ ცნობებსა და მელექსეთა პირად აზრსა და განცდას, არ შეიძლება წინასიტყვაობის ავტორს ეკუთვნოდეს, ვინაიდან წინასიტყვაობაში გახცხადებულია—პოემა შეიცავს თამარის ქებასო, ის მისი საქებრადაა დაწერილიო, ბოლოსიტყვაობა კი გვეუწნება, რომ პოემა დაწერილია არა საქებრად, არამედ საკამათებლად თუ საკუმარებლად (ნ. მარტით), ესე იგი გასართობად მხოლოდ, და ისიც არა მარტო თამარისა, არამედ, მგონია, დავითისაც. საყურადღებოა უფრო პროლოგი; ის წარმოადგენს კრებულს სხვადასხვა შინაარსის ტაეპებისას, რომელთაც არც ერთმანეთში აქვთ მტკიცე ლოლიკური კავშირი და არც რომანთან. აქ ჩვენ გვაქვს სამი მთავარი ჯგუფი ტაეპებისა: ერთში ლაპარაკია მიჯნურობის შესახებ, მეორეში—მელექსეოცის და მესამეში—პოემის წარმოშობის, მისი ავტორის და სიუჟეტის შესახებ იმ დროს არსებულ ტრადიციათა მიხედვით. ამ ტაეპების სხვადასხვაობა აზრისა და სტილის მიხედვით, მათი ერთმანეთთან დაუკავშირებლობა და წინააღმდეგობა საკმაოდ გათვალისწინებულია დ. კარიკაშვილის მიერ; ჩვენ ჩვენის მხრით დაეურთავთ, რომ პროლოგი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება თვით პოემას, მაშასადამე ის პოემის ავტორის მიერ დაწერილი არ უნდა იყოს. მართლაც, წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ პოემა აქვებს თამარს, აქვებს მის თვალ-წარბ-ლოყა-წამწამებს. აქვებს შეფრქვევით, ესე იგი შეწყობილი, ჩამოსხმული ლექსების მიმობნევით (ნ. მარტი), მაკრამ მთელს პოემაში არსად, ერთი სიტყვითაც კი თამარი ნახსენები არაა; მაშასადამე, ეს ადვილი პროლოგისა იმ დროისაა, როდესაც განმტკიცებული ყოფილა აზრი, რომ პოემაში თამარია შექმნილიო. რაც უფრო საყურადღებოა, პროლოგში გატარებული აზრები პოემის შინაარსით არ მართლდება. მართლაც, აქ წარმოდგენილია შემდეგი იდეალი მიჯნურობისა და მიჯნურისა:

მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი,
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი.

¹⁾ იხ. წინასიტყვაობა მს მიერ 1953 წელს გამოკვეთილი ეფეხისტყაოსნისა, აგრეთვე სტატია „ეფეხისტყაოსნის შემადგენლობა“ ჟურნალ განათლებაში 1913 წ. IV.

„ხაჲს მიჯნური არ მუძაყი, ბილწი, მრუში“, მან უნდა „გული ერთსა დააჯეროს“, მას არ უნდა სდევდეს თან „უგულოდ სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“. ამართლებენ პოემის მომქმედნი პირნი ამ იდეალს, „დაჯერეს მათ გული ერთს,“ დაიცვეს თავი „მეძავობისა და მრუშობისაგან“? ვერა! მოიგონეთ ავთანდილი ფატმანის სახლში და მასთან მისი განწყობილება; რასაკვირველია, ასეთს საქციელს ავთანდილი ვერ გაამართლებს იმ მოსაზრებით, რომ იქნება ამ ბოზი დედაკაცის საშუალებით და დახმარებით ჩემ მიზანს მიხეწიოვო.

ტარიელი! ის თავის ტოლებთან ზეიმობს, ამ დროს მოდის მონა და ჩუმად ეუბნება, რომ ვილაკა ქალი, რომელსაც პირი ზეწრით მოუბურავს, კითხულობს, შეიძლება თუ არა ამირბარის ნახეო? ტარიელს თავში გაუელევა, რომ ეს მსუბუქი ყოფა-ქცევის, მეძაყი, ქალი იქნება, და უბრძანა მონას: საწოლში შეიყვანე, ჩემგან არს ნახმობიო. თავის კომპანიონებს ეუბნება: თქვენ არ ადგეთ, მე მალე მოვბრუნდებიო, და გაემართა საწოლს ოთახში; კარებში მცველად ნონა დააყენა და „გული მისცა თმობა-ქმნათა აუგისა საკრძალველად“. საწოლში რომ შევიდა, მას ქალი მოეგება და თაყვანისცა, რამაც ტარიელი ძალზე გააკვირვა: ვის გაუგონია, რომ ასეთს შემთხვევაში ქალი თაყვანსა სცემდეს კაცს, ჩანს მას აშიყობა არ სცოდნია, თორემ წყნარად იჯდებოდა თავის ალაგასაო“. სურათი თავის რეალობით არ ჩამუყარდება ვისრამიანსა და, თუგნებათ, ნოჰასანის სურათებსაც; და ყველაფერს ამას სჩადის უკვე გამიჯნურებული ტარიელი, ნესტანის სიყვარულით გახელებული. სადღა იდეალი წმიდა, უმწიკვლო და უზადო სიყვარულისა, რომელიც უნდა ღვიოდეს მიჯნურის გულში პროლოგის ნოთხონილებით?

მერე— „მიჯნურსა თვალად სიტურჴე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,

სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,

ენა, გონება, დათჰობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,

ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა,—

ამბობს პროლოგი. არსებითად ეს ტაეპი სრულს გაუგებრობაზე და ადამიანის სულის უტოდინარობაზეა დამყარებული: განა იმისათვის, რომ ადამიანის გულში თესვი გაიდვას მიჯნურობამ, სიყვარულმა, უეჭველად ის უნდა ლამაზი, ბრძენი, გმირი და, რაც უფრო საოცარია, მდიდარი იყოს? სინამდვილეში ასე არ არის, სიყვარულის ალი ერთნაირად ეკიდება ყველას, ისე, როგორც მზის სხივები ერთნაირად ევლინება ყველას დადამიწაზე. დევანებით ამას თავი და შევხედოთ, აქვს თუ არა ყველა ეს „ზნეობა“ პოემის მთავარ გმირს ტარიელს? აქვს თუ არა მას სიყმე, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა, ესე იგი ნამდვილი გმირობა, რომლის შესახებ პოემაში ნათქვამია: „სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონიანა“ არა! იქნება ვისმეს ეს პარადოქსად ეჩვენოს: ტარიელი და არა გმირი? გმირობა, რაინდობა მარტო იმაში ხომ არ გამოიხატება, რომ ხატაელები შემუსრო, კონკურენტი მიპარვით მოჰკლა, ლომები და ვეფხვები გასწყვიტო და ქაჯეთის ციხის კარები შეღეწო! გმირობა და რაინდობა ტარიელის უფრო სხვა რამეში უნდა გამოიჩენილიყო, სახელდობრ— დაკარგული სატრფოს ძებნაში და მოძებნაში: ეს კი ტარიელმა ვერ შესძლო: პირველად მართა-

ლია, ეძია, მაგრამ, რომ ვერას გახდა, თავი მიანება, დაბინაედა გამოქვაბულში და, ლომ-ვეფხეთა და სხვა მხეცთა საზოგადოებაში, უნუგეშო ცრემლებსა ღეროდა, ერთი სიტყვით სრულს პასივობას და სასოწარკვეთილებას მიეცა. მას რომ ავთანდილი არ გამოჩნოდა, ვერასდროს ის თავის მიზანს ვერ მიახწევდა, ვერ მიახწევდა იმიტომ, რომ მას აღარც კი ეძებდა, თითქოს ცრემლები ა ღერა მიჰკერიდა მას დაკარგულ სატრფოს!

ტარიელს სხვა სამიჯნურო „ზნეობანიც“ აკლია; აკლია მას ენა, რომლის მაგიერობას ცრემლები და ოხვრა-კენესა სწევს. აკლია მას დათმობა და ჳირსა შინა გამაგრება, როდესაც სასოწარკვეთილებასა და სულმოკლეობას იჩენს, აკლია მას სიბრძნე და გონება, რომელიც გამოიხატება მიზანშეწონილს მოქმედებაში და საუმჯობესო საშუალებათა გამოძებნაში. მართლაც, ფარსადანთან და მის მეუღლესთან საოჯახო თათბირზე, როდესაც გადაწყდა ნესტანის გათხოვების საკითხი, ტარიელს ვერ მოუხერხებია გაბედულად და რაინდულად გამოეთქვა თავისი აზრი და გრძნობა, და კარზე მომდგარი უბედურება მსურს უყუაქციოს უდანაშაულო ადამიანის ვერაგულად მოკვლით. ხალო ასეთი ლაჩრული-საქციელის გასამართლებლად ის მზადაა გაიმეოროს ნესტანის მიერ ნაკარნახევი სიტყვები, რადგან თვითონ ვერა მოიფიქრა რა; ლაჩრულად და ცბიერად უარ-ჰყოფს თავისი წმიდათა-წმიდას—ნესტანის სიუვარულს. მეორე, ავთანდილს რომ არ მოეძებნა მისთვის დაკარგული სატრფო, თვითონ, როგორც ზვეითაც ეთქვით, ვერავეითარი გზა და საშუალება ვერ გამოძებნა მის აღმოსაჩენად. დასასრულ, მოვიგონოთ. თათბირი სამი გმირისა ქაჯეთის ციხის აღების წინ: ტარიელი აქ გონებით კი არ აზროვნობს, როგორც ავთანდილი და ფრიდონი, არამედ მკლავებით, რომელიც მისთვის ბუნებას მართლაც მიუცია; მისი გეგმა, ციხის იერიშით, ტლანქი ძალით აღება, რამაც უთუოდ ზედმეტი მსხვერპლი შეიწირა.

დასასრულ, პროლოგში ნათქვამია, რომ მიჯნური „ხამს თავისსა ხეიშიადას არვისთანა ამკლავებდეს“ და „არსით უჩნდეს მიჯნურობა:“ ამ სიტყვების აქტორს არ სცოდნია, რომ აღმოსავლეთის საუკეთესო სატრფიალო რომანებში მიჯნურთ, თითქმის ყველას, ჰყავთ დაახლოებული პირი, გამღელი თუ ძიძა, რომელთაც უმკლავებენ თავის ხეაშიადს, ამასთანავე მას დაეიწყებია, რომ თვით ვეფხისტყაოსნის მთავარი კვანძი ხეაშიადის გამკლავებაშია: ნესტანს რომ ასმითისათვის არ გაემკლავებია თავისი ხეაშიადი და ტარიელს: ფრიდონისა და ავთანდილისათვის. ის პოემა არ გეუქნებოდა, რაცა გვაქვს.

ეს მიჯნურობი შეესახებ, რაც შეეხება მელექსეობის თეორიას, რომელიც პროლოგში გვაქვს, მისი ღირსების დასაფასებლად საქმარისია მოვიგონოთ შემდეგი; ერთს ადგილას ნათქვამია: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამდ კარგო“, მეორე ადგილას კი — „მოშაირე არა ქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელადო“. რომელს უნდა დაუჯეროს კაცმა?

ყოველივე ზემონათქვამის მიხედვით ჩვენ გვკონია, რომ პროლოგი არ გეუთენის პოემის აქტორს და ის არც ერთი ადამიანის ნაწარმოებია. შესაძლებელია დაახლოებით გარკვევა მისი წარმოშობის ეპოქისა, — ეს არის ალორძინების ხანა ჩიენი მწერლობისა, უმთავრესად მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეები. მართლაც, თეორია მიჯნურობისა და მელექსეობის შესახებ, რომელსაც ჩვენ

ვპოულობთ აქ, ჩვეულებრივი მოვლენაა აღორძინების ხანის ლიტერატურულს ძეგლებში, როგორც, მაგალითად, იოსებ ზილიხანიანი მეთექვსმეტე საუკუნის უცნობი ავტორისა, ბარამ-გურიანი ნოდარ ციციშვილისა, ამირან-დარეჯანიანი სულხან თანიაშვილისა, ომინიანი და სხვ. 2) ამ ხანას უჩვენებს ტერმინი ზნეობა (მიჯნურობისა), ვინაიდან სხვადასხვა ზნეობათა კოდიფიკაციაზე ლაპარაკს იწყებენ მეჩვიდმეტე საუკუნეში (არჩილ მეფე); 3) ყუარადლება უნდა მიეკუთვნებოდეს შემდეგ ადგილს:

მაშინლა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა.

რა ველარ მიხედეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა;

არ შეამოკლოს ქართული, არა ქნას სიტყვამცირობა.

აქ ქართული ნაბმარია სიტყვის მნიშვნელობით საზოგადოდ; კლასიკური ხანის მწერლობაში ამას ჩვენ ვერსად ვერ ვხედავთ, ხოლო აღორძინების ხანის ძეგლებში ეს, შეიძლება ითქვას, სისტემადაა გადაქცეული.

ჩვენი დებულების საწინააღმდეგო საბუთად ვერ გამოდგება, რასაკვირველია, განსვენებული ალ. სარაჯიშვილის პათეტიური შეძახება: „განა იყო საქართველოში ვინმე პოეტი ნიქიერებით რუსთველის ტოლი“?,¹ რომელსაც შემდეგ იმეორებს ნ. მარრი: *въ какую эпоху послѣ Тамары писали въ Грузіи языкомъ и стихами ставшаго спорнымъ вступленіемъ?*² ნიქიერებაზე ამ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი, ვინაიდან რა გვარ ნიქიერებას შეიცავს პროლოგი, რამოდენადმე ზევითაც დავინახეთ; რაც შეეხება *ЯЗЫКЪ И СТИХЪ*-ს, როდესაც ლაპარაკია არა მთლიან ნაწარმოებზე, არამედ ცალკე ტაეპებზე, ეპიზოდებზე და კუპიურებზე, კატეგორიულად უნდა ვთქვათ, რომ აღორძინების ხანაში არა ერთი და ორი მარგალიტი შეიძლება მოიძებნოს ვეფხისტყაოსნის, ყოველ შემთხვევაში, პროლოგის შესატყვისი. და რომ ეს ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ, მიუხედავად დიდის ცდისა და თავის მტკრევისა, მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდებით ალკურვილიცი კი ყოველთვის ვერ ახერხებენ ნამდვილისა და ყალბი ტაეპების გამოკრებას ამ სასახლო პოემაში.

ამაშია, პროლოგი და ეპილოგი არამც თუ არ იყუთენის პოემის ავტორს, სპი საუკუნით მინცაა დაშორებული მისგან; ამიტომ მათზე დაყრდნობა პოემის პრობლემების გამორკვევისას ჩვენ ჰირადად შეუძლებელად მიგვაჩნია; ამ შემთხვევაში საჭიროა სხვა მასალები და სხვა მოსახრებანი.



¹) ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები, ნოაბბე 1895. № 11, გვ. 8.

²) Вступительныя и заключительныя строфы, стр. V.

А. ՎՈՅՈՒՆԻ ԱՅԹՈՐԻ.

Վոյեմիսի ავტორის პიროვნების გარშემო სხვადასხვაგვარი ლეგენდები შეთხზულა, ვინაიდან ნამდვილი, უტყუარი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები არ შენახულა. ამ ლეგენდებით, ავტორს ამ თხზულებისას, შოთა რუსთველს, პირველდაწყებითი სწავლა-განათლება მიუღია ჯერ რუსთავეის შკოლაში, მესხეთში, და მერე ტბეთის სამონასტრო სასწავლებელში. უმაღლესი სწავლა კი მას მიუღია თითქოს ათონის მთაზე, ქართველთა ივერიის მონასტერში, და მერე ათინაში, იქაურ აკადემიაში. ლეგენდების შემქნელთ დავიწყებით, რომ ათონზე, ივერიის მონასტერში, არაერთად არც უმაღლესი და არც საშუალო სასწავლებელი არ არსებობდა, სადაც ერისკაცებს შესძლებოდათ სწავლის მიღება; აქ თუ სწავლობდნენ, ბერმონაზვნები და მათი კანდიდატები პრაქტიკულად, ბერმონაზვანთა წრეში. არ არსებობდა ამდროს არაერთად აკადემია არც ათინაში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა უმაღლესი სწავლის შექმნა. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ Վოյემის ავტორს დიდი თანამდებობა მიუღია თამარ მეფის კარზე: ერთი გარდმოცემით ის იყო მოღარეთ თუ მექურქლეუთუცესი ნისი, რაც, უეჭველია, დამყარებულია იერუსალიმის, ჯვარის მონასტრის ალაპების ერთს ადგილზე, სადაც მოხსენებულია მექურქლეუთუცესი შოთა;¹ მეორე გადმოცემით, რომელიც წარმოდგენილია არჩილ მეფის თხზულებაში—„თეიმურაზისა და რუსთველის შედარება“, ავტორი ყოფილა სამხედრო პირი, თუმცა არა დიდად მამაცი, და მონაწილეობა მიუღია თამარის თითქმის მის ყველა ომებში. თავისი ცხოვრება მას დაუღევი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, სადაც ის თითქოს ბერადაც შემდგარა. ამ თქმულებასთან დაკავშირებულია და, უეჭველია, ამის ნიადაგზეა წარმოშობილი ის გარემოება, რომ, როგორც მტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი გადმოგვცემს, ჯვარის მონასტრის კედელზე გამოხატული ყოფილა ვიღაც ქართველი დიდებული ბერის ტანისამოსში, წარწერით შოთა; თუმცა ისიც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თვით ამ გამოხატულებამ, თუ ის მართლა არსებობდა, შეუქმნა ნიადაგი თქმულებას ვეფხისტყაოსნის ავტორის ბერობის შესახებ. რამ გამოიწვია მაინც ლეგენდა მისი ბერად შედგომის შესახებ? ერთი თქმულებით, მას უყვარდა თამარ დედოფალი,² და, ვინაიდან დედოფალმა მისი გრძნობები არ გაიზიარა, შეურაცყოფილმა მგო.

¹) Н. М а р р ь, Bibliotheca Armeno-Georgica, III, XXVIII, стр. 49.

²) როგორც ჩანს თეიმურაზის იოსებ-ხილიძის ნაწილის წინასიტყვაობიდან. უკვე მეჩვიდმეტე საუკუნის პირველნახევარში განმტკიცებული ყოფილა შეხედულება, რომ ვეფხისტყაოსან-სპარსული თხზულება, ის „თამარის ხმობით“ ან ბრძნებით უთარგმნია შოთა რუსთველს, რ. მელსაც — ს უკვდა სახილ: უმრავლესი პირებისა თამარ მეფისა, ასე რომ „მიჯნური მიჯნურთ საქებრად დაჯდა გლახ ცრემლითა დენითა“ (Е. Такашвили, Описание, II, стр. 541—542).

სანმა მონასტრის კედლებში ჰოვა მღელვარე სულის სიმშვიდე. მეორე თქმულებით კი, მგოსანი ერთს ქალს შეყვარებია, მაგრამ მას თანაგრძნობა ვერ დაუმსახურებია და პოეტს ცოლად სხვა ქალი შეურთავს. მისთვის ცოლს უღალატნია. მსახურ ზანგზე გაუცუვლია. როცა მგოსანი ამაში დარწმუნებულია, მას მოუკლავს როგორც ცოლი, ისე ზანგი და აგრეთვე მის მიერ დაწუნებული ქალი, რომელმაც მას სინამდვილეზე თვალები აუხილა: ხოლო ამის შემდეგ პოეტი ბერად შემდგარაო.

ერთი სიტყვით, ჩვენ არ მოგვეპოვება არც თვით ავტორას, არც მის თანამედროვეთა, არც ცოტადთუბევრად მის დროსთან დაახლოებული პირის ცნობა ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის შესახებ; გარდამოცემანი და ლეგენდები მის შესახებ იწყება რამდენიმე საუკუნის შემდეგ. მაგრამ ეს იმით კი არ აიხანება, რომ, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, ასეთია საზოგადოდ ხვედრი უდიდესი გენიოსებისა, როგორც. მაგალითად, ჰომეროსი, შექსპირი და სხვ., არამედ იმით, რომ ასეთია საზოგადოდ ბედი თუ ყველა ჩვენი ძველი მწერლების არა, როგორც. სასულიეროსი, ისე საეროსი, ყოველ შემთხვევაში მოპეტებული ნაწილისა. საზოგადოდ ჩვენში უძველეს დროში ყოველთვის არ იწყებოდა და არ ინახებოდა ბიოგრაფიული ცნობები ავტორთა შესახებ. განა უკეთეს მდგომარეობაშია საკითხი, სასულიერო მწერლებს რომ თავი დაკანებოთ, ისეთი მწერლების შესახებ, როგორც არიან მთარგმნელნი ამირანდარეჯანიანისა, ვისრამიანისა? განა ჩვენ მეტი ვიცით „დავით აღმაშენებლისა და თამარის ქების“ და „თამარიანის“ ავტორთა შესახებ? ასე რომ, ამ თვალსაზრისით, სრულიად არ უნდა გვიკვირდეს ვეფხისტყაოსნის ავტორის შესახებ ცნობათა უქონლობა.

ბიოგრაფიული ხასიათის ცნობები მოიპოვება თხზულების პროლოგსა და ეპილოგში, რომელთა მიხედვით ჩვენში განმტკიცებულია რწმენა, რომ ავტორი მისი არის შოთა რუსთველი. აი ეს ადგილები: 1) „დაესჯე რუსთველმან გაღლქსე“, 2) „მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი“, 3) „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დამისა“, 4) „ტარაელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლმეუწრობელსა“. ამ ადგილების მიხედვით განმტკიცებულა ტრადიცია, რომ ავტორი პოემისა არის ვილაც რუსთველი, ესე იგი რუსთველი და არა თუ რუსთავი და კავშირებული. რომელი რუსთავი იგულისხმება? საქმე ისაა, რომ საქართველოში ცნობილია ორი რუსთავი; ერთი დაბა რუსთავი მესხეთში, ხოლო მეორე ქალაქი რუსთავი ტუილისის ახლო, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ახეთის განაპირა მდებარე, ძველს ჰერეთში. ეს უკანასკნელი, რომელიც ცნობილია ბოსტან-ქალაქის სახელითაც, XI—XII საუკუნეში მწაშენელოვანი პუნქტი ყოფილა.¹ ვინაიდან ძველად ჩვეულება იყო, რომ გვარი წარმოდგებოდა ხოლმე რომელიმე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქისაგან, რომელთანაც დაკავშირებული იყო ესათუის პირი (მაგალ. ორბელი, თმოგველი, სურამელი და სხვ.), უნდა ვიფიქროთ, გვარი რუსთველი წარმომდგარია არა მესხეთის დაბა რუსთავისაგან, რომელიც არაფრით ცნობილი არაა ჩვენს წარსულ-

¹ ამის შესახებ იხ. ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსანი, გვ. 63-64, ი. აბულაძე, ვეფხისტყაოსანი, გვ. VI—VIII.

ში, არაბედ ჰერეთ-კახეთის ქალაქის რუსთავეისაგან, რომელიც, როგორც ვთქვით, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჩვენს წარსულში. მართლაც, თეიმურაზ ბატონიშვილმა პირველმა გამოთქვა აზრი, ვეფხისტყაოსნის კომენტარებში, რომ ავტორი პოემისა დაბადებულია და ცხოვრობდა ჰერეთის რუსთავეში, სადაც ის გამგედაც იყო.¹ თეიმურაზის აზრი გაიმეორეს მერე ს. კაკაბაძემ, ი. აბულაძემ და პ. ინგოროყვამ (მოხსენება 1922 წლის 3 ივნისს). მაგრამ, თუ ჩვენ რაიმე ნდობას აღმოუჩინებთ ზემოთყვანილს ადგილებს, სადაც ავტორის რუსთაველობაზეა ლაპარაკი, იქ პირდაპირია ნათქვამი, რომ ავტორი არის მესხი ვინმე მელექსე რუსთავეისა დამისა; ესე იგი დასახელებული ადგილები გულისხმობენ მესხეთის რუსთავეს, სხვა კი არავითარი საყრდნობი არ აქვს ავტორის რუსთაველობის ტრადიციას. მართლაც, მესხეთის რუსთავეს მხარს უჭერს მეტად მტკიცე და პოპულარული ტრადიციები, რომელთაც ადგილობრივ, მესხეთში, ეპოეულობთ; იქ სხვადასხვა თქმულებანი დარჩენილა ვეფხისტყაოსნის ავტორის სწორედ იქაური რუსთავეიდან წარმოშობის შესახებ, იქ დღესაც უჩვენებენ შოთა რუსთაველის მთას, ციხეს და სხვ.² რასაკვირველია, ამ ტრადიციებს საფუძვლად დადებია თვით ნაწარმოების დასახელებული ადგილები, მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ ხალხის შეგნებას, ტრადიციას, პოეტის სამშობლოდ მიუჩნევიდა მესხეთის რუსთავეი და არა ჰერეთისა.

მაგრამ ჩვენ უნდა დავსვათ საკითხი: ნდობის ღირსია თუ არა მოყვანილი ადგილები, შეიცავენ ისინი ვეფხისტყაოსნის ავტორის მოწმობას და სიტყვებს თავისი სადაურობის შესახებ, თუ ისინი სხვისი ნათქვამია? თუ მოვიგონებთ, რაც პროლოგისა და ეპილოგის შესახებ ვთქვით ზევით, ცხადია, ეს ადგილები პოემის ავტორს არ ეკუთვნის, ისინი ჩამატებულია შემდგომდროის მწერლების, კერძოდ-ვინმე მესხი მელექსის, მიერ—ამას მოწმობს ენა, ლექსწყობა, გრაჰატიკულად არასწორი ფორმები და ნაძალადევი რითმები აღნიშნული ადგილებისა; ამ მოწმობის სიყალბეს ამჟღავნებს ისიც, რომ აქ ვიღაც მესამე პირით ლაპარაკობს,—ტარიელი უქია მის რუსთაველსო,—პოემის ავტორი პირველი პირით იტყუდა თავის თავზე: „მე ტარიელი ვაქეო“.

აზრი პოემის ავტორის რუსთაველობის შესახებ პირველად გვხვდება მეთექვსმე საუკუნის იოსებ-ზილიხანიანში, მერე დაეით მეფის (†1602) მიერ ნათარგმნს ქილილა და დამანაში, თეიმურაზის იოსებ-ზილიხანიანში და არჩილ მეფის არჩილიანში, ხოლო XVIII საუკუნეში ეს აზრი საბოლოოდ განმტკიცდა. ის, რაც ძველად ტრადიციით შეიქმნა, დღეს ჩვენში გამხდარა სამეცნიერო დებულების ქვაკუთხედად; ჩვენს მკვლევრებს ეს უცილობელად მიაჩნიათ და ამ თვალსაზრისით მხად არიან ახსნან სხვადასხვა სტილისტური მოელენანი ნაწარმოებისა. მაგალითად, პროფ. ნ. მარჩი, რომელსაც ავტორი გამოჰყავს მესხეთის რუსთავეიდან, თხზულებაში კპოეულობს მესხიზმებს; ასეთ მესხიზმებად მას მიაჩნია სომხური, სვანური და არაბულ-სპარსული სიტყვები ნაწარმოებისა, აგრეთვე ის პოეტურ-სტილისტური პარალელიზმები, რომელთაც

¹) ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო, საისტორიო მოამბე, № 1, გვ. 158-160.

²) E. Такайшвили, Описание II, стр. 587.

ის სთელის მუსულმანური გავლენის შედეგად.¹ ასეთი შეხედულება ჩვენთვის მიუღებელია; საქმე ისაა, რომ ნ. მარჩის აზრით არაბულ-სპარსული, საზოგადოდ მუსულმანური, გავლენა, გამოიხატება ის ლექსიკურ მასალაში თუ პოეტურ-სტილისტურ პარალელიზმებში, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ისეთს ნაწარმოებში, რომელიც მესხეთის რაიონში წარმოიშვა, მაგრამ ასე რომ ვიფიქროთ, მაშინ ყველა თითქმის ძეგლები ჩვენი საერო მწერლობისა უნდა მესხეთში გადავიტანოთ, ვინაიდან მუსულმანური გავლენა თითქმის ყველა ძეგლს ატყვია. რაც შეეხება სვანიზმებსა და არმენიზმებს, მათი მიჩნევა სპეციფალურ თვისებად ვეფხისტყაოსნისათვის იმ ეპოქაში, რომელშიაც მარჩს გადააქვს ეს პოემა (XIV ს.), ანაქრონიზმია, მით უმეტეს, რომ ეს სვანიზმები და არმენიზმები შესაძლებელია აიხსნას არა იმით, რომ თხზულება დაწერილია მესხეთში, არამედ საზოგადო ქართულ ნიადაგზე, სხვადასხვა ლინგვისტურ და კულტურულ ფაქტორთა ზეგავლენით. ამნაირად, ვერც პარსიზმ-არაბიზმებით, ვერც არმენიზმებით და ვერც სვანიზმებით ნ. მარჩი ვერ დაამტკიცებს იმას, რომ პოემა დაწერილია მესხის, დაბა რუსთაიდან, მიერ. სხვა საქმეა, მას რომ ეჩვენებია პოემაში წმიდა მესხური, სპეციფიურად მესხეთში ხმარებული სიტყვები და რელიები, მაგრამ ამას მის შრომაში ჩვენ ვერ ვხედავთ.

3. ინგოროყვა, რომელიც ზემოაღნიშნულ ყალბ ტყუილებს დაუჯერებია, რომ ავტორი ვეფხისტყაოსნისა არის რუსთველი და რომელიც, თეიმურაზ ბატონიშვილის თანახმად, მას სთელის ჰერეთის რუსთველად, ასეთ რუსთველობას ასაბუთებს, ნ. მარჩის მეთოდის მიბაძვით, ლექსიკური ჰერეთიზმებით ნაწარმოებში,² ვინაიდან დღესდღეობით არაერთარი წყარო არ მოგვეძებნება ძველი ჰერეთის ენისა და კილოყავის გასათვალისწინებლად, პ. ინგოროყვამ ასეთ წყაროდ მიიჩნია დღევანდელი საინგილო და განაცხადა, რომ ჰერეთიზმები უნდა შენახულიყოს დღევანდელს საინგილოში. ამიჯომ მან პოემის ზოგიერთ ლექსიკურ-სტილისტიკურ ვარიანტებს პარალელები მოუძებნა საინგილოს კილოყავეში, რაედენადაც ის მას იცნობდა მ. ჯანაშვილის შრომით.³ ამის შესახებ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: მტკიცება იმისა, რომ ძველი ჰერეთული შენახული უნდა იყოს დღევანდელს საინგილოში, როდესაც არაერთარი მტკიცე საბუთი ამისი არ მოგვეპოვება, შეუძლებელია, მაგრამ ვთქვათ, რომ ეს ასეა, განა ის გარემოება, რომ პოემის ზოგიერთი ლექსიკური ვარიანტები დღეს საინგილოში გვხვდება, საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ავტორი პოემისა იყო ჰერეთის რუსთველი? არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ ამ შემთხვევაში მ. ჯანაშვილის საგულისხმო შენიშვნა: ჩვენ არ გვაბადია შოთას ქმნილების მეცნიერული გამოცემა, არ დაგვრჩენია თვით მისი დედანიც, რომ გავიგოთ—დღევან-

¹) Грузинская поэма вытязь въ барсовый шкуръ Шоты изъ Рустава и новая культурно-историческая проблема, Извѣстия Академіи Наукъ 1917 г.

²) ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს პ. ინგოროყვას 1922 წლის ივნისში წაკითხული მოახუნებანი ვეფხისტყაოსნის შესახებ, რამდენადაც ისინი ჩვენ თვითონ მოვისმინეთ და რამდენადაც მისი დებულებანი პრესაში გამოქვეყნდნა (იხ. იუს. აბულაძის მე-XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, გვ. 257-259, ტფილისი 1923.

³) საინგილო ძველი საქართველო. ტ. II, განყ. 4. გვ 51-276).

დელი ინგილოურ-ჰერეთული რეალიზები ნარტო ადგილობრივი ხასიათისა იყო ძველადაც, თუ საერთო მთელის საქართველოსათვის და, მაშასადამე, შოთასათვისაც, როგორც ყოველი ქართველი მწერლისათვის. ინგილებში თ ფუ ის მაგიერ ამბობენ თ უ, როგორც ეს ვეფხისტყაოსანშიაც არის, მაგრამ ვინ იტყვის, რომ თავდაპირველადაც შოთას დედანში იყო თ უ და არა თ ფუ, რომელიც რომელიმე გადაწერმა, თუნდ იმავე ჰერეთელმა, არ აქცია თ უ-დ? მრავალი ის სიტყვები, რომელნიც ვეფხისტყაოსანში შენახულან და დღეს საინგილოშიც იხმარება (მინა, გინა, სართული, პაშტა, გალება გზისა, ლოგინი და სხვ.), სპეციფიურ ჰერეთიზმებად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან იმათ, როგორც მ. ჯანაშვილი უჩვენებს, ადგილი აქვთ სხვა ძველს ნაწარმოებშიაც, როგორც საეროში (ვისრამიანი, ამირანდარეჯანიანი), აგრეთვე სასულიეროშიც (ცხოვრება შუშანიკისა, ილარიონ ქართველისა, მესხური დავითნი, კორიდეთის სახარების წარწერები). ასე რომ, ასკენის მ. ჯანაშვილი, „ის მასალა, რომელსაც დღეს ინგილოურში ვპოვებთ, არ კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ ავტორი ვეფხისტყაოსნისა იყო ჰერეთელი რუსთველი“.¹

ამნაირად, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ პოემის ავტორის რუსთველობა დამყარებულია შემდეგი დროის ყალბ ტაყებზე, რომლებიც საფუძვლად დაედვა როგორც ძველ მწიგნობართა შეხედულებას, ისე ახალი დროის მკვლევართა დებულებებს. ვინაიდან საეკვოა, რომ ამ ყალბის ჩამდნთ ხელთა ჰქონოდეთ ისეთი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობა, რაც ჩვენ აღარ ვიცით, ეს რუსთველობაც, სულ ერთია—მესხური იქნება ის თუ ჰერეთული, საეკვო და მიუღებელია.

უფრო პრობლემატური და საეკვოა პოეტის სახელი შოთა; თუ მის რუსთველობას ყალბ ტაყებში მაინც აქვს საფუძველი, შოთას არც ეს მოეპოვება. მართლაც, პოემის ვერც ერთს ტაყში, ვერც ნამდვილში, ვერც ყალბში, ჩვენ ვერ ვხვდებით ცნობას, რომ სახელი ავტორისა იყო შოთა. სულ პირველად ასეა ცნობას ეპოულობთ მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, თეიმურაზის იოსებ-ზილიხანიანიში, სადაც ნათქვამია: „ესენი შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა“; მეთექვსმეტე საუკუნის ძველგეგმა, რომელნიც პოემის ავტორად რუსთველსა სთვლიან, სახელი შოთა არ იციან. თეიმურაზის შემდეგ ამას იმეორებენ როგორც XVII—XVIII საუკუნეების მწერალნი, ისე ახალი დროის მკვლევარნი და მეცნიერნი.

ჩვენს წარსულში ოთხი შოთაა მოხსენებული: ერთია შოთა ართავაჩოსძე, რომელიც ერთი მთავარი მონაწილეთაგანი იყო 1177 წ. გიორგი მესამის წინააღმდეგ დემნას მიერ ნოწყობილი აჯანყებისა.² მ. ჯანაშვილი ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი შოთა რუსთველი არის სწორედ ეს შოთა. მთავარი საბუთი ჯანაშვილისა არის შემდეგი: „თა მარიანი იო, ამბობს ის, ავტორი მისი, ჩვენი შოთა რუსთველი, მიჰმართავს თამარს სიტყვებით: „შენით სიცოცხლე მქონდა მჩუქარსა“, ესე იგი შენ მე სიცოცხლე მაჩუქეო.

¹ შოთა. ინგილოური გლოსები, გახუთი ტრიპუნა 1923 წ. № 490.

² ქართლის ცხოვრება მარიაშ დედოფლისა, გვ 358.

ტყეებით: „არარათა ნიქთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი“ (გვ. 605;) განა „არარათა ნიქთა და ზნეთა მქონებელს“ კაცს შეეძლო დაეწერა ისეთი გენიალური ნაწარმოები, რომელიც მსოფლიო მწერლობის ისტორიაშიც შედეგად შეიძლება ჩაითვალოს? მეორე, ეს შოთა ყოფილა მ ა ნ ი ქ ე ლ თ ა ს ე კ ტის სეფე ან ლიდრო, ხოლო ვეფხისტყაოსანი მთელი თავისი შინაარსით დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მანიქეველთა მოძღვრების მთავარ დებულებებს. მართლაც როგორც პროფ. ნ. მ ა რ რ მ ა დაამტკიცა, ავტორი ვეფხისტყაოსნისა არის ნ ე ო პ ლ ა ტ ო ნ ი კ ი, ნეოპლატონიზმი კი პირდაპირ უარყოფაა მანიქეიზმისა. მაგრამ ეს კიდევ რაფერი; ვინაიდან პოემის ავტორი, ამ შეხედულებით, ყოფილა ს ე ფ ე მანიქეველებისა, ესე იგი შეგნებული იდეოლოგი მისი, შექველია მას თავის თხზულებაში, რომელსაც ახასიათებს ფილოსოფიური სპეკულიაციაც, თავისი მანიქეველური შეხედულებანი უნდა გაეტარებია. ჩვენ ვიცით, რომ მანიქეველთა მოძღვრებას ახასიათებს მკაცრი დუალიზმი, ის ქალსა სთელის არაწმიდა არსებად, უკრძალავს ქალსადმი სიყვარულს, ქორწინებას, შეილებს გაჩენას, უკრძალავს აგრეთვე სულდგმულ არსებათა დახოცვას და კამას, ღვინის სმას და ომიანობას.¹ ვეფხისტყაოსანს ახასიათებს გარკვეული მონოთეიზმი (ავთანდილის მიმართვა „ერთარსება ღვთაებისადმი“ (ტაეპ. 772, 746—მ აბულაძის გამოცემით), მასში, როგორც ვიცით, გაღმერთებულია ქალისადმი სიყვარული, საკვარელ არსებასთან დაქორწინება და შეუღლება ადამიანის სიცოცხლის იდეალადაა გამოყვანილი, ნადირობის დროს ცხოველების დახოცვა და ნანადირევის კამა ყოველდღიური ცხოვრების ნორმადაა გამოყვანილი, ღვინის სმა აუცილებელი ატრიბუტია არამც თუ ქრისტიანების ცხოვრებისა, არამედ, წარმოიდგინეთ, მაჰმადიანებისაც, იმაში ომიანობასა და ბრძოლას მთავარი ადგილი უკავია როგორ შევარიგოთ ყველა ეს პოემის ავტორის მანიქეველობასთან?

მესამე და უკანასკნელი: ყველა ის, ვინც სცდილობს გამოარკვიოს შოთას პიროვნება, როგორც ვეფხისტყაოსნის ავტორისა, გამოდის იმ დებულებიდან, რომ ავტორი პოემისა არის შოთა რუსთველი; ეს დებულება მას მიაჩნია აქსიომად, და ამის შემდეგ მატრიანეში თუ სხვა წყაროებში დაეძებს შოთას. ეს მეთოდოლოგიურად მიუღებელია; დებულება, რომ ავტორი პოემისა არის შოთა, აუცილებელი აქსიომა კი არ არის, არამედ, როგორც ვთქვით, უბრალო გარდამოცემა, რომელიც ფეხს იკიდებს ჩვენში მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნიდან. ვინაიდან მთელი ისტორიულ-ლიტერატურული კონცეპცია ასეთი მკვლევარისა დაჰყარებელია ყალბსა და დამპალს საფუძველზე, ეს კონცეპცია შეცნიერული თვალსაზრისით მიუღებელია. სხვა საქმე იქნებოდა მკვლევარს ჯერ მტკიცედ და მეცნიერულად დაემტკიცებია, რომ ავტორი ვეფხისტყაოსნისა არის მართლაც შოთა რუსთველი, და მერე მოეძებნა ეს შოთა ჩვენს წარსულში: ის კი ჯერ ეძებს მატრიანეში შოთა რუსთველს და მერე მას აღიარებს ავტორად პოემისა.

¹) მანიქეველთა მოძღვრების შესახებ იხ. Flugel, Mani, seine Lehre und seine Schriften, Leipzig 1863; Kessler, Untersuchungen zur Genesis des manichaeische Religions-systems (1876).

ამნაირად, ბოლოსდაბოლოს ჩვენ შემდეგს დასკვნამდე მივიღივართ: არ არსებობს უცლობელი და ურყევი საბუთი იმისა, რომ ავტორი ვეფხისტყაოსნისა არის შოთა რუსთველი, სულ ერთია—მესხი თუ ჰერეთელი, მით უმეტეს—მატიანეში მოხსენებული შოთა კუპრი; თუ მაინცდამაინც ამ ავტორს ჩვენ შოთა რუსთველს ვუწოდებთ, არა აბსოლუტურად, არამედ პირობით.

როდესაც ლაპარაკია პოეტის სახელისა და გვარის, აგრეთვე სამშობლოს შესახებ, არ შეგვიძლია არ მოვიყენოთ ნ. მარჩის საგანგებო შეხედულება, რომელსაც ის ხაზგასმით იცავდა 1902 წელს,¹ ვითომც ავტორი ვეფხისტყაოსნისა არის იგივე ჩახრუხაძე, რომელსაც თამარიანი დაუწერიაო; მისი აზრით პოეტი არის შოთა რუსთველი ჩახრუხაძე. რაზე ამყარებდა ნ. მარჩი ამ შეხედულებას? 1) ავტორი პოემისა არის მესხი, თამარიანის ავტორიც, ჩახრუხაძე, თავის თავს უწოდებს მესხ ან მესხს, როდესაც ამბობს: „მაშა მეხელი ვით ვანგლობდე“ (VII, 27); 2) ავტორი პოემისა ამბობს „თამარს ვაქებდეთ მეფესა, სისხლისა ცრემლდათხეული, ვთქვენნი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული“, და „მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა, ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა, ბროლ-ბალახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა,“ ან და—„ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“. აქედან ჩანსო, ამბობს ნ. მარჩი, რომ პოემის ავტორს წინათაც ჰქონია შეკვეთილი ქება თამარისა. მისი წამწამისა, თმისა, ბაგე-კბილისა, მას წინათაც უთქვამს მისი ქებანი, ებლაც, პოემაშიც აქებს მას, ვინც წინათ უქია. სადააო, ჰკითხულობს ის, ეს, წინათ ნათქვამი, ქებანი? უეჭველია, როგორც ეს წინათ გაკვირით მ. ბროსემაც გამოთქვა, ასეთი ქებანი ჩვენ გვაქვს ჩახრუხაძის სახელით ცნობილს თამარიანი შიო. მართლაც, განაგრძობს ის, 3) სტილი, ენა; ორივე ნაწარმოებისა თითქმის არაფრით არ განირჩევა ერთი მეორეიანგან; ორსავე ნაწარმოებში ჩვენ გვაქვს ერთიდაიგივე რითმა, ეპიტეზები, შედარებანი. პოეტური ფიგურები და ხელოვნური ფორმები; 4) პოემის ავტორს ჰყვარებია თამარი, მას მისი ქებისას მელნად უხმარია გიშრის ტბა და კალმად ნაჰ რხეული; თამარიანის ავტორსაც ჰყვარებია თამარი (XII, 13-15, VII, 27-29). ისიც აქებს მის თვალვს—„მელნის ტბას“ (V, 50, XII, 8). პოემის ავტორს უთქვამს, მისი სიტყვით, „ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა, ბროლ-ბალახშისა თლილისა“; თამარიანის ავტორიც აქებს წარბთა და წამწამთა (III, 7, V, 51, IX, 8, XII, 8), ლოყებს (II, 7, V, 50, VII, 2, X, 10), თვალებს (V, 44, IX, 4), კისერს (V, 45, VII, 2) და სხვ. 5) ორსავე ნაწარმოებში გატარებულია ერთიდაიგივე იდეა: ნაციონალ-პოლიტიკური, რომ მეფის უუღება ლეთაებრივი წარმოშობისაა, თამარი არის ცხებული ლეთისა, და თვითა ლეთაება; ორთავეში გამოხატულია ერთიდაიგივე მხარე თამარის მოღვაწეობისა და ორთავეში დაცით სოსლანი წარმოდგენილია მისი ნების აღმსრულებელ მოყმედ. რა გეოქემის ყველა ამის შესახებ? ჯერ ეოთი, დასამრკიცებელია, რომ ავტორი თამარიანისა მარ-

¹) Древне-грузинские описцы, Тексты и разыскания, IV.

თლაც ჩახრუხაძეა გვართ, ესეც ისეთი გადმოცემაა, როგორც პოემის დაწერა შოთა რუსთველის მიერ. მეორე, მსგავსება პოემისა და თამარიანისა შინაარსით და გარეგანი ფორმით აიხსნება იმით, რომ ორივენი არიან ნაწარმოებნი ერთისადაიმავე ეპოქისა, ძველები ერთისადაიმავე ლიტერატურული მიმდინარეობისა. ავტორი პოემისა, როგორც მისი სიუჟეტის განხილვისას დავინახავთ, არანაკლებს ნათესაობას იჩენს სხვა ნაწარმოებებთანაც, მაგრამ ამ საფუძველზე არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ისინი მის კალამს ეკუთვნის. მესამე, როგორც თვით ნ. მარრიც აღნიშნავს, პოემის ავტორისათვის თამარი არის „უწყალო, ვითა ჯიქია“, თამარიანის ავტორი კი ეუბნება თამარს: „ვიცი გეწყალო“, „თვით მე გეწყალო“ (V, 1. VII, 3). ავტორი პოემისა ამბობს, რომ მან წინათ თქვა ჩქებანი არ ავად გამოჩეულნი“, თამარიანის ავტორი კი ასე მალა არ აყენებს თავის ჩქებათ“, პირიქით, ის მუდამ სჩივის, რომ მას არ ძალუძს ღირსეულად შეაქოს თამარი. დასასრულ, პოემის ტაქსს, სადაც თითქოს ნათქვამია, რომ მე, ავტორი, ვაქებ მას, იეინცა მიქია“ წინეთო, უკანასკნელს თავის ნაშრომში ნ. მარრი ასე ჰკითხულობს: „მას ვაქებ, ვინ ცამ იქია“, ესე იგი ვაქებ მას, ვინც ცამ წაიყვანა, ვინც ცაზე იძყოფება, ესე იგი მკვდარსო.¹ ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ 1917 წელს ნ. მარრმა მთლიანად უარყო ეს თავისი თეორია, როდესაც გამოაცხადა, რომ ავტორი პოემისა არის არა მეთორმეტე საუკუნის მწერალი ჩახრუხაძე, შემთხვეული თამარიანისა, არამედ გამაჰმადიანებული ქართველი XIV საუკუნისაო.²

ორიგინალური შეხედულება აქვს ვეფხისტყაოსნის ავტორის შესახებ ს. კაკაბაძეს; მისი აზრით, რომელიც მან გამოთქვა 1914 წელს,³ სარგის თმოგველს, 1236—1262 წლების მოღვაწეს, უთარგმნია სპარსულიდან პროზითი მოთხრობა ჩვენი პოემისა, რომელიც მერე მასვე გაულექსია ნესტან-დარეჯნის ქაჯთაგან შეპყრობის ამბავამდე, ხოლო დანარჩენი ნაწილი მისი გაულექსია მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს, 1405—1412 წლებში, პერეთელ მეულექსეს შოთა რუსთველს. ათი წლის შემდეგ ეს შეხედულება ს. კაკაბაძემ ასე გადააკეთა: დაახლოებით 1250—1260 წლებში ჩვენში შემუშავებულა პროზითი ამბავი ვეფხის ტყაოსნისა, რომელიც ხელში ჩავარდნია 1292—1297 წლებში სარგის თმოგველს (შვილის შვილს 1236—1267 წლების მოღვაწის სარგის თმოგველისას) და მას ის გაულექსია მთლიანად, გარდა იმ ნაწილისა, რომელსაც დღეს ჩვენ ეძახით „გაგრძელებას“ და „დამატებას“. ეს უკანასკნელი ნაწილი მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს, თმოგველთა მიერ თმოგვის მიტოვების შემდეგ, ხელში ჩავარდნია მესხს შოთა რუსთველს და მას ის გაულექსია 1320—1325 წლებში საქებრად და საკამათებლად აფხაზთა მეფის კონსტანტინეს ქალის და გიორგი მცირის ცოლის თამარიანისა.⁴ სარგის თმოგველის ავტორობას ს. კაკაბაძე ამყარებს „გაგრძელების“ შემდეგ ადგილზე:

¹) Вступительная и заключительная строфы, стр. 2, 23.

²) Грузинская поэма витязь в барсевой шкурѣ.

³) იხ. მის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობა.

⁴) ვეფხისტყაოსნის პროზოებების გარშემო. საისტორიო მოამბე, №1, 1924.

აწ, გონიერნო, სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარენით,
 ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ეთქვენ, შეიწყნარენით,
 სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,
 ლექსნი მიქენით, ამისთივის ენანი მომხმარენით.

ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსად შეუწყობლად,
 შემდეგ თმოგვი თმოგველთაგან შესავლითურთ დარჩა ობლად,
 მე ენახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად,
 მან მიბრძანა ლექსად თქვიო, მკვერ ქართულად შესაწყობლად.

ის პირი, ვისაც უნახავს და გაუღექსია სარგისის ნარჩომი ამბავი, კაკაბაძის აზრით, არის პოემის პროლოგსა და ეპილოგში მოხსენებულნი „გინმე მესხი მელექსე“ — რუსთველი.

ის რადიკალური ცვლებადობა, რომელიც განიცადა ს. კაკაბაძის შეხედულებამ პოემის ავტორის შესახებ ათი წლის განმავლობაში, მაჩვენებელია იმის, რომ ამ შეხედულებას მტკიცე და ობიექტური დასაყრდნობი არ მოეპოვება. მართლაც, ამოწერილ ტაეებში სარგის თმოგველის ხსენება განა იმას გვეუბნება, რომ ვეფხისტყაოსნის ამბავი სარგის თმოგველის მიერაა გაღექსილი, ვინც უნდა იყოს ეს სარგისი? სრულიადაც არა! აქ მხოლოდ ის არის ნათქვანი, რომ ერთი ეპიზოდი ვეფხისტყაოსნის ამბისა, სახელდობრ: „აქა ტარიელის დასნეულება და ზურაბშვა მეფისაგან სისხლის ძებნად მისლვა ინდოეთს“, დაუწერია პროზით, „ლექსთა შეუწყობლად“, ვინმე სარგის თმოგველს, როგორც გაგრძელება პოემისა, და მერე ის ხელში ჩავარდნია ვილაც კალმოსანს აღორძინების ხანისას, რომელიც, შესაძლოა, მართლაც იყო მესხეთის რუსთავიდან.

მართალია, ს. კაკაბაძის არგუმენტაცია, უმთავრესად ამ ორ ტაეზე დამყარებული, ი. აბულაძის უსაფუძვლოდ და შეუწყნარებლად მიაჩნია, ნაკრამ იმ აზრს, რომ ვეფხისტყაოსანი მთლიანი ნაწარმოები არაა და რომ ის XIV საუკუნეზე ადრე არ ჩამოყალიბებულა, იმაზედაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, ამიტომ ის მასაც გაუმეორებია თავის უკედნასახელებულს უკანასკნელს შრომაში, სადაც ავტორი ამბობს: ტექსტის კვლევა-ძიებამ ჩვენ მოგვცა საუკეთესო გასაღები იმის გამოსარკვევად, რომ ვეფხისტყაოსნის ნამდვილი და, მაშასადამე, ყველაზე სარწმუნო რედაქციის ავტორი მხოლოდობით რიცხვში როდი ყოფილა, არამედ იგი არის ორის ძველის პოეტის ნახელავი, რომელიც მესამეს, გაცილებით უფრო უგვიანესს, რომელიც ჩვენის აზრით XIV—XV საუკუნის შუა ცხოვრობდა, შეუკეთებია, და შეუესია პოემა იმ სახით, როგორც ეს დაუცავს ეახტანგის რედაქციასო.² თუ ავტორს მხედველობაში აქვს პოემის ჩანართი და შემდეგდროში დამატებული ხანები და თავები, ცხადია, მაშინ, შეიძლება, ის იყოს ნახელავი არა ორისა და სამის, არამედ გაცილებით უფრო მეტის კალმოსნისა; ხოლო, თუ ის გულისხმობს ძირითადს ტექსტსა და ნაწილს, ნამდვილს ვეფხისტყაოსანს, ყოვლად შეუძლებელია იმაში ორი ავტორის ნახელავი დაეინახოთ, თუგინდ იმიტომაც, რომ ის ორი მთავარი ეპიზოდისაგან შესდგება:

1) მე-XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, გვ 219—221.

2) იქვე გვ. 192.

ტარიელ-ნესტანის და აეთანდილ-თინათინის ამბებისაგან. საქმე ისაა, რომ ეს ორი ეპიზოდი ისეა გადახლართული ერთი მეორეზე, რომ მათი დაცლვა, მათი ცალკე ცალკე გამოყოფა ყოველად შეუძლებელია. აქ, ვეფხისტყაოსანში, როგორც თვით აბულაძეც ამბობს, მკითხველის ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული სიმეტრია, რომელიც დაცულია შინაარსის ინტერესთა თანდათანობის ზრდაში,¹ ეს კი შეუძლებლად ხდის ორი აქტორის ნახელავის შეკოწიწებას; მით უმეტეს, რომ არც სტილი და ენა, არც ვირტუოზული ლექსი არ გვაძლევს ნებას ამ პოემაში ორის ადამიანის ნაწარმოები დაეინახოთ.

ამნაირად, უცილობელი და ექვიმუტანელია, რომ ვეფხისტყაოსანი ერთი პირის ნაწარმოებია, მაგრამ, გარდა შეუმოწმებელი ტრადიციისა, არავითარი საბუთი არ არსებობს, რომ ეს მწერალი მივიჩნიოთ შოთა რუსთველად, მით უმეტეს ჩახრუხაძედ და სარგის თმოგველად; ასე რომ საკითხი პოემის აქტორის სახელის, გეარის და სადაურობის შესახებ ჯერ-ჯერობით უნდა ღიად დარჩეს.

სამაგიეროდ ჩვენ შეგვიძლია, დაახლოებით მაინც, გავარკვიოთ, ვინ იყო ეს პოეტი რელიგიური და ფილოსოფიური რწმენით, როდის ცხოვრობდა ის და როდის დაწერა მან თავისი უკვდავი ქმნილება. მართალია, პოემის ტექსტს დიდი დამახინჯება და ბევრი ინტერპოლაცია განუცდია, მართალია, კრიტიკულად ის ჯერ აღდგენილი არაა, მაგრამ მაინც შესაძლებელია შინაარსის მიხედვით გავითვალისწინოთ ეს საკითხები.

პოემაში გამოხატულია მაჰმადიანური მსოფლიო, შინაარსი მისი ერთი სიტყვითაც არ ეხება პირდაპირ ქართველებს; მოქმედება სწარმოებს მაჰმადიანურ ქვეყნებში, როგორცაა არაბეთი, ინდოეთი, ხეარაზმეთი და სხვ. მოქმედი პირებიც, ყოველ შემთხვევაში მთავარნი, მაჰმადიანებია; მაჰმადიანია, მაგალითად ტარიელი, რომელსაც, როდესაც გული წაუეიდა, თავს ევლებიან და უვლიან მუყრნი და მულმინი და მულაფის, ძალით სცილილობენ მისი სიკვდილისაგან დახსნას. მაჰმადიანია ნესტან-დარეჯანიც, რაც შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „შეხედენ, ენახენ სასთუნალს მუსაფი გაშლით მდებარე“, მაშასადამე, მას სასტუმალის ყურანი ჰქონია; მაჰმადიანია აეთანდილიც, რომელიც ტარიელის საძებნელად წასვლის წინ შედის სალოცავად მიზეთში ან მეჩეთში; მაჰმადიანია როსტუევან მეფე, რომელსაც აეთანდილი ანდერძს უტოვებს ჩემი ქონებიდან ზოგი რამ მიეც ხანაგათაო. მაჰმადიანია ფატმანი და მისი ქმარი უსენი, რომელმაც გაატეხა „მუსაფზე და მაქაზე“ მიცემული ფიცი. მობაღდადენი ვაჰარნი პირდაპირ ეუბნებიან აეთანდილს, რომ ისინი არიან „მაჰმადის სჯულის მკირაენი“. მაჰმადიანებია სახელის მიხედვით, ნურადინ-ფრიდონი, მელიქსურხავი, ფარსადანი, ჰუსამი, დულარდუსტი და სხვ. ყველა ამის მიხედვით, აგრეთვე იმპიტომაც, რომ პოემაში გვხვდება მრავალი სპარსულ-მუსულმანური სიტყვები, ტერმინები, ერთი სიტყვით მაჰმადიანური კულტურისა და ზნე-ჩვეულების გამოხატულება, საფუძველს აძლევს პროფ. ნ. მარრს კატეგორიულად აღიაროს, რომ აქტორი, რომელიც გვიხატავს მაჰმადიანურ მსოფლიოს, თვითონაც მაჰმადიანია, კერძოდ—ის არის ქარ-

¹) მე-XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი. გვ. 52.

თველი მაჰმადიანი გამაჰმადიანებულის ანდა მაჰმადიანობისაკენ გადახრილი მეს-
ნეთისა.¹ რა გვეუქმის ამის შესახებ?

ის გარემოება, რომ პოემაში გვხვდება სპარსული სიტყვები და თერმინები, ავ-
ტორის მაჰმადიანობას ვერ დავვიმტკიცებ, ვინაიდან ასეთი სიტყვებიც ტერმინები
შემოდოდა ჩვენში უფრო ლიტერატურული და პოლიტიკურის, ვიდრე სარწმუნ-
ოებრივი გზით, ეგვეუ უნდა იტყვას საკუთარ სახელთა შესახებაც, ხოლო რაც შეეხება
მაჰმადიანური კულტურისა და ზნე-ჩვეულების წარმოდგენას პოემაში, ის თავის-
თავად არაფერს ამბობს პოეტის მაჰმადიანობაზე: საქმე ისაა, რომ მოქმედება
სწარმოებს სამაჰმადიანო ქვეყნებში და, რასაკვირველია, ამიტომ პოემაში წარ-
მოდგენილი უნდა ყოფილიყო მაჰმადიანური წრე; ეს სრულიად ბუნებრივია არა
მარტო რეალისტ-ისტორიულ რომანებში XIX საუკუნისა, როგორც ნ. მარრი
ამბობს,² არამედ ძველსა და უძველეს ნაწარმოებშიაც. ვერც იმიტომ დავსწამებთ
პოეტს მაჰმადიანობას, რომ მისი ნაწარმოების მოთხრობა, სიუჟეტი მაჰმადია-
ნურია. ნუ თუ დამწერნი ან გადმომთარგმნელ-გადამკეთებელნი ისეთი ნაწარ-
მოებებისა, როგორიცაა, მაგალითად, ამირან-დარეჯანიანი, ვისრამიანი, რუსულა-
ნიანი, ყარამანიანი და სხვანი ყველანი მაჰმადიანებია იმიტომ, რომ ამ თხზულე-
ბებში ყველგან სპარსულ-არაბული, საზოგადოდ მუსულმანური ელემენტები სპარ-
ბობს ქართულს? ყოვლად წარმოუდგენელია, ისტორიულად შეუძლებელი, იმ
დროს, როდესაც ვეფხისტყაოსანი დაიწერა, თუგინდ ასეთ დროდ, თანახმად
ნ. მარრისა, XIV საუკუნე მიეიჩნით, მესხეთში ერთის მხრით მაჰმადიანობას
ჰქონდეს ფეხი გამდგარი იმდენად, რომ აქ შესაძლებელი იყო წმიდა მაჰმადია-
ნური ლიტერატურის შექმნა, ხოლო მეორე მხრით ამავე დროს ეროვნული ელ-
ფერიც იმდენად შერჩენილად მხარეს, რომ მაჰმადიანი ქართველი მაჰმადიანური
შინაარსის თხზულებას ქართულ ენაზე სწერდეს. ეს მიტომ შეუძლებელია, რომ
ჩვენ ვიცით, გამაჰმადიანებას ამ მხარეში მუდამ დენაციონალიზაცია სდევდა თან.
იმ დროს, როდესაც გადაიშალა უზენაესი კულტურული და პოლიტიკური ძლიე-
რება ქრისტიანობის პროტოგონისტი საქართველოსი, რომელსაც აკვირვინებს
წმიდა დედოფალი, ცეცხლით და მახვილით დამთრგუნველი მაჰმადიანობისა,
უდიდესი ქართველი პოეტი, შეუდარებელი ხელოვნებით გადამშლელი ჩვენ წინ
მშობლური ენის ამოუწურავი სიმდიდრისა და ეროვნული ნიჭისა, არის მაჰმადი-
ანი და არა ქრისტიანი?! ეს რალაც არა ბუნებრივია! არასოდეს მესხეთში მაჰ-
მადიანობას ხელი არ შეუწყვიტავია ეროვნული კულტურის განვითარებისათვის და
მით უმეტეს იმ დონემდე, რომ აქ მაჰმადიანობის დროს შესაძლებელი ყოფილი-
ყოს ასეთი უდიდესი ნაწარმოების შექმნა, როგორიცაა ვეფხისტყაოსანი. პირ-
იქით, ჩვენ ვიცით, რომ მას შემდეგ, რაც ამ მხარეში ფეხი შემოდგა მაჰმადი-
ანობამ, აქ ჩაქრა ლაშქარი წინანდელი კულტურული შემოქმედებისა და მხარე
ბარბაროსობამ მოიკვა.

მიუხედავად იმისა, რომ პოემაში გამოხატულია მაჰმადიანური მსოფლიო
აქ თავს იჩენს წმიდა ქრისტიანული ელემენტები, რაც ავტორის ქრისტიანობის
მაჩვენებელია. ავტორმა ზედმწიფენით იცის საღრმთო წერილს. ავთანდილი ამ-

¹) Грузинская поэма витязь в барсаеой шкурѣ Шоты изъ Рустава, стр. 493 - 497

²) ibid. стр. 497.

ბობს ერთს ადგილას: „გამოქრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისა“, ხოლო ფრიდონი: „თქვენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა;“ აქ განმეორებულია ფსალმუნის შემდეგი სიტყვები: „ვითარცა სახედ ჰსურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყლისათა, ეგრე ჰსურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო“ (44, 1). ტაქსი — „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა, არ იკმარებ, რას კელსა კლი საუნჯესა დაფარულსა?“, საფუძველად უნდა ედოს ისო ზირაქის შემდეგი სიტყვები: „სიბრძნე დაფარული და საუნჯე გამოუჩენელი, რაჲ სარგებელ არს ორთავე შინა? (XX, 30). ასეთი შედარებანი, როგორცაა — „მუნ იზრდებოდის ტანითა, გ ა ბ ა ო ნ ს განახარდითა,“ ამოღებულია უსათუოდ ბიბლიიდან, იქიდანვე უნდა იყოს ამოღებული სხვა ბიბლიური სახელებიც: ბისონი (ფისონი), დავითი (წინასწარმეტყველი), ედემი, ლევი და სხვ. ტაქსი — „გარდთა და ნებეთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წურილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების,“ მოკვაკონებს სახარების შემდეგ მუხლს: „რათა იუუნეთ თქვენ შეილ მამისა თქუენისა ზეცათსა, რამეთუ მზე მისი აღმოელს ბოროტთა ზედა და კეთილთა და სწავს მართალთა ზედა და ცრუთა“ (მათ. V, 45). ავთანდილი ეუბნება ასმათს: „შეცოდება შეიდგზის თქმულა შესანდობლადო,“ ეს ადგილიც უნდა წარმოადგენდეს სახარების შემდეგი სიტყვების გამეორებას: „დაღათუ შკდგზის დღესა შინა შეეცოდოს [შენ ძმამან შენმან] და შვიდგზის მოაქციოს და გრქუას შენ-შვინიანე, მიუ რევე მას“ (ლუკა, XVII, 4, მათე, XVIII, 22). ავთანდილის ანდერძში ვკითხულობთ:

წაგიკითხავ, სიყუარულსა მოციქულნი რაკვარ სწერენ
 ვით იტყვან, ვით აქებენ, სცან, ცნობანი მიაფერენ;
 სიყვარული ავგამალღებს, ვით ეყვანი, ამას ჟღერენ.

უეპველია, პოეტს მხედველობაში აქვს პავლე მოციქულის 1 კორინ. VIII, 1, XIII, 4—14; ასეთი მკვეთრი საბუთის გასაბათილებლად არ კმარა განეაცხადოთ, რომ ეს ტაქსი ყალბია, როგორც ამას ნ. მარრი სჩადის.¹ ფრაზაში — „მართლად იტყვს მოციქული, შიში შეიქმს სიყვარულსაო,“ პოეტს გადმოკეთებული უნდა ჰქონდეს საღმრთო წერილის შემდეგი აზრი; იმ შიშის ზეგავლენით, რომ ღმერთი არ განეარისხოთ და არ ეაწყენინოთ მას, უნდა გეიყვარდეს ის. სიტყვები — „თავისა სისხლითა ნუ ეზიარებით“ მაჩვენებელია ქრისტიანი აეტორისა, რომელმაც იცის — რა არის ზიარება და როგორ სრულდება ის; ქრისტიანობის მაჩვენებელია აგრეთვე ხმარება სიტყვისა აღესება, რაც აღდგომას ნიშნავს. აეტორის ქრისტიანობის მაჩვენებელია, სხვათა შორის, შემდეგი ტაქსი: „ამ საქმესა შემოწმების დიონისი, ბრძენი ეზროს,“ რაც პროფ. აკაკი შანიძემ აღადგინა ასე: „ამ საქმესა შემოწმების დიაგნოსი ბრძენის ეზროს.“² აქ იგულისხმება წიგნი ეზდრასი, რომელსაც ბერძნულად დიაგნოსი ეწოდებოდა და, სხვა ქრისტიან ერთა შორის, ქართველებსაც ჰქონდათ ნათარგმნი ჯერ კიდევ მათე საუკუნეში.³

¹) Грузинская поэма вступая в барсовый шахурт Шаты изъ Рустава, стр. 408.

²) ჩვენი მეცნიერება № 8, გვ. 48—52.

³) ა. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 496, 309—310.

ნ. შარს იმის დასამტკიცებლად, რომ პოეტს საღმრთო წერილიდან არა მოჰყავს ციტატები, მაშასადამე, ის ქრისტიანი არაა, მოაქვს შემდეგი მოსაზრება არაკისათვის: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ ავტორი წყაროს უჩვენებს: „ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერიაო,“ ხოლო, როდესაც მას ვითომცდა სახარებიდან მოჰყავს ადგილები, წყაროს არ აღინიშნავსო.¹ ეს გარემოება სწორედ იმისი მაჩვენებელია, რომ ავტორი ქრისტიანია და ქრისტიანები ჰყავს მხედველობაში, ვინაიდან ქრისტიანისთვის. საჭირო არ იყო საღმრთო წერილიდან, უფრო კი სახარებიდან, ამოღებული ადგილების წყაროს ჩვენება, იმისათვის ეს ისედაც ცხადი და ნაცნობი იყო.

ამნაირად, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ავტორი პოემისა, თუმცა ის მაჰმადიანური ქვეყნების შესახებ ლაპარაკობს, მაჰმადიანურ ამბებსა და წრეს აგვიწერს, არის ქრისტიანი და არა მაჰმადიანი რწმენით; მან, როგორც ქრისტიანმა, ზედმიწევნით იცის ქრისტეს მოძღვრება და, როგორც მაჰმადიანურ სფეროსთან დაახლოებულმან, მაჰმადიანთა რელიგია და ზნე-ჩვეულება.

ავტორი პოემისა, ქრისტიანულ-მაჰმადიანურ რელიგიურ სისტემათა გარდა კარგად მცოდნეა ფილოსოფიისაც; ის იმოწმებს ბრძნულ თქმულებათ, კერძოდ პლატონისას. ავთანდილის ანდერძში ნათქვამია: „მე სიტყუასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა: სიცრუეე და ორპირობა აენებს კორცსა, მერმე სულსა“. საყურადღებოა პლატონის სახელის მოხსენება იმით, რომ, სხვათა შორის, ეს სახელიც ამჟღავნებს ავტორის ნეოპლატონურ მიმართულებას, რაც რელიგიურად გამოაჩინა ნ. შარსმა.² ნეოპლატონიზმი, რომელიც განვითარდა პლატონის ფილოსოფიის ნიადაგზე და რომელმაც ბევრი მიმდევარი პოვა ქრისტიანთა შორისაც, საქართველოშიაც გადმოინერგა XI—XII საუკუნ. აქ მას დიდი გასავალი ჰქონდა ეკლესიურს მწერლობაში, რომელმაც მოგვცა ისეთი ბუმბერაზი ნეოპლატონიკი, როგორიცაა იოანე პეტრიწი.³ მიღებული ყოფილა ის არაეკლესიურად მოაზროვნე წრეებშიაც, კერძოდ მას დიდი გავლენა მოუდენია ჩვენს უცნობს პოეტზე და შესამჩნევი კვალი დაუტოვებია მის თხზულებაშიაც.

თანახმად პლატონის მოძღვრებისა, რომლის ნიადაგზე გადაიშალა ნეოპლატონიზმი, ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც გამოიხატება იდეასა და მისი ფენომენის ერთიმეორისადმი მისწრაფებაში, არის სიყვარული; ეს ძალა დაუშრეტელი და შეუკავებელია. სიყვარული მთავარი მამოძრავებელი ძალაა ვეფხისტყაოსნის ფაბულის განვითარებაში, სიყვარული აქ ის ძალაა, რომელიც ტარიელსა და ნესტანს არამც თუ ამ ქვეყნად გადაალახვინებს დროისა და სივრცის კატეგორიებს, გულდამშვიდებით, სასიამოვნო მოლოდინით შეაგებებს სიკვდილის იდეას, ვინაიდან სიკვდილის საშუალებით ამა ქვეყნიურს ცხოვრებაში განუხორციელებელსა და მიუწოდებელ შეერთებას ჰპირდება მზეზე. საქმე ისაა, რომ ნესტანდარეჯანის რწმენით ადამიანი არის ნაწილი მზისა და სიკვდილის შემდეგ ის მზეს უბრუნდება და უერთდება, აქ, მზე და მზეში გაერთიანებული, ორი ადამიანის სული

1) Грузинская поэма витязь в барсовой шкурѣ, стр. 199.

2) Вступительные и заключительные строфы стр. XLVI—L.

3) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 301—310.

ურთიერთის ცქერით ტკბებიან; აქაც ნეოპლატონიზმის გავლენასთანა გვაქვს საქმე. პლატონიზმის მოძღვრებით მზე არის მაცხოველებელი ძალა ყოველივე არსისა, ეს არის ამ მხრივ ერთგვარი ლეთაება; ამით აიხსნება ავთანდილის სიტყვები: „მზეო, ვინ ხატად გთქვის ერთარსებისა ერთისა... ვის ხატად ლეთისა გიტყვიან“. ეს გავლენა გვაქვს ტარიელის ფრაზეოლოგიაში: „დაშლიან ჩემნი კავშირნი, შეპრთვიან სულთა სირასა“. იდეა, რომელიც ჩადებულია სიტყვებში: „ვინმეცა მოკვდეს მეფეთათვის სულნი მათნი ზეცას რბიან“, შესაძლებელია გადმოღებული იყოს ნეოპლატონური წყაროებიდან, ყოველ შემთხვევაში ნემესიოს ემესელს ასეთი ადგილი აქვს: „და კულად სხუაჲ ივნების ბაძეად სხუათა... ვითარ პატრონთათჳს მომწყდართასა.“¹

ებლა გადავდივართ საკითხზე, როდის ცხოვრობდა ავტორი და როდისაა დაწერილი პოემა?

ტრადიციული შეხედულებით ავტორს უცხოვრია და დაუწერია თავისი შრომა მეთორმეტე საუკუნის გასულს, თამარ დედოფლისა და დავით სოსლანის დროს; ეს შეხედულება მტკიცედ იდგა უკანასკნელ დრომდე, მხოლოდ 1914 წელს ს. კაკაბაძემ წამოაყენა ახალი მოსაზრება პოემის დაწერის დროის შესახებ, რომელიც ჯდგომარეობს იმაში, რომ პოემა დაწერილია არაუადრეს მეცამეტე საუკუნის ნახევრისა, როდესაც ჩვენში დამყარდა მონღოლთა ბატონობა, და რომ პოემაში მოხსენებული მეფე თამარი და მისთვის გამიჯნურებული მეფე დავითი, რომელთა „საკამათებლად“ დაწერილია ის, არ არიან დიდებული თამარი და დავით სოსლანი, არამედ სულ სხვა პირნი. პირველი ნაწილი პოემისა, ნესტანდარეჯანის ქაჯთა მიერ მოტაცების ამბავამდე, დაწერილია, მისი სიტყვით, მეცამეტე საუკუნის ნახევარში სარგის თმოგველის მიერ, რომელიც არის მოღვაწე 1236—1262 წლებისა, ხოლო მეორე ნაწილი მისი — შოთა რუსთველის მიერ 1402—1412 წლებში აფხაზეთის მეფის თამარის და სომხითის მეკის დავითის მიჯნურობის გამო.² 1924 წელს ს. კაკაბაძემ ეს შეხედულება ასე შესცვალა: ჯერ დამუშავებულა პროზითი მოთხრობა ვეფხისტყაოსნისა 1250—1260 წლებში; ეს პროზითი მოთხრობა, გარდა იმ ნაწილისა, რომელსაც ჩვენ ებლა გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა ს ვეძახით, 1292—1297 წლებში გაუღესია სარგის თმოგველს (შვილისშვილს იმ სარკისისას, რომელსაც ის წინათ პოემის პირველი ნაწილის ავტორად სთვლიდა) და მიუძღვნია დიმიტრი თავდადებულის შვილის დავით მეფისათვის, რომელსაც გულისხმობს ეპილოგის ტავიპი: „ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახუროებს სარებლად“ და „დავითის ქნანი ვითა ვთქუნე“. ხოლო გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა პოემისა გაუღესია ვინმე შესს მელექსეს, შოთა რუსთველს, 1320—1325 წლებში, საკებრად აფხაზთა მეფის კონსტანტინეს ქალის და გიორგი მცირის ცოლის თამარისა, რომლის სახელი მას შეუტანია პროლოგის ჩანარს ტავებშიო.³

ამნაირად ს. კაკაბაძის მოსაზრებით ვერც პროზითი ამბავი პოემისა ვერც ლექსითი რედაქცია მისი სარგის თმოგველისა მეცამეტე საუკუნის მეორე

¹) ამის შესახებ იხ. Н. М а р т ь, Вступительный и заключительный строфы, стр. XLVI-L

²) იხ. მის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის წინა იცვალბა.

³) ვეფხისტყაოსნის პროლოგების გარშემო. საისტორიო მოამბე № 1.

ნახევარზე ადრე დაწერილი ვერ იქნება. ამ შემთხვევაში ის ეყრდნობა უმთავრესად ზოგიერთ სიტყვებსა და ყოველდღიური ცხოვრების რეალიებს, რომელთაც პოემა გვაძლევს. სახელდობრ, პოემაში ნახმარია ისეთი სიტყვები, რომელთაც თამარის ეპოქაში ადგილი არ აქვთ: ასეთებია: სკამი, შუბი, მოლარე, ხანი, აღლუმი, ჯეონი და ხვარაზმშა. მეორე მხრით, პოემაში ვერ ვპოულობთ იქნის სიტყვებს, რომელნიც თამარის დროს იხმარებოდა: სელი, ჰაროლი, მეჭურჭლე. ამის გამო უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარი მეთოდით ხელმძღვანელობა მაინაა შესაძლებელი, როდესაც ჩვენ გვექნება შედგენილი ისტორიული ლექსიკონი ქართული ენისა, სადაც გათვალისწინებული იქნება ამათუიმ სიტყვის ევოლუცია ლიტერატურულ ძეგლთა მიხედვით და როდესაც ხელაწილებისა და წინაური ყოფა-ცხოვრების ისტორია კარგად და ხელმწიფებით იქნება შესწავლილი; სანამ არც ერთი გვაქვს და არც მეორე. ამ გზით მხოლოდ ისეთი შეცდომების ჩადენა იქნება შესაძლებელი, როგორც ჩაიდინა ს. კაკაბაძემ. მართლაც, ის ამბობს, რომ სკამი, შუბი და მოლარე მეთორმეტე საუკუნეში ჯერ კიდევ არ იხმარებოდა. სკამს ხმარობს გიორგი მთაწმიდელი ექვთიმე ათონელის ბიოგრაფიაში, რომელიც დაწერილია 1048—1054 წლებში;¹ შუბი იხმარება თუგინდ ამირანდარეჯანიანში,² მოლარე—მეთათე საუკუნის ერთს დოკუმენტში, სადაც ნათქვამია: „მითავისუფლებიან მოლარეთაგანო“.³ ესევე უნდა ითქვას დანარჩენი სიტყვების შესახებაც: ხანი, თურქის მნიშვნელობით, როგორც ამას პოემაში ვხედავთ, X - XI საუკუნეში გვხვდება; აღლუმი იხსენება ჯერ კიდევ ბიბლიაში (2 მეფ. II, 30), ჯეონი მოხსენებულია XI საუკუნის მემპტიანეს მიერ, იხსენიება ის ძალიან ხშირად აკრეფე ვისრამიანშიც. ხვარაზმშას სახელი რომ XII საუკუნეში კარგად იცოდნენ ქართველებმა, იქიდანაც ჩანს, რომ, მპტიანეს ცნობით, ხვარაზმშა „ძმობდა“ თამარის მამას გიორგის.⁴ არც ისაა მართალი, ვითომც სიტყვა სელი, რომელიც XII საუკუნეში ჩვეულებრივია, პოემაში არ იხმარებოდეს; აქ ვკითხულობთ: „მონა... ი დაუდგა, დაჯდა კრძალვით და რიდითა“; მაშასადამე, არც ისაა მართალი, ვითომც პოემამ „სელზე ჯდომის“ წესი არ იცის. რაც შეეხება მეჭურჭლეს, თუ თამარის ისტორიკოსი ხმარობს მეჭურჭლეთუხუცესს,⁵ თავისთავად ცხადია, მეჭურჭლე ვაცოილებით უფრო ადრე იქნებოდა ხმარებაში.⁶ ამაირად, რეალიების მიხედვით ს. კაკაბაძემ ვერ დაგვარწმუნა, რომ პოემა მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე დაწერილი ვერ იქნებოდა; ვერ შევლას მას ვერც დავით მეფეს სახელის მოხსენება პოემაში: კიდევაც რომ ვიფიქროთ, რომ დავითის აღნიშნულ ტაეპები ნამდვილია და არა ჩანართი, არავითარი საფუძველი არ გვექნება ვამტყცოთ, რომ ეს ტაეპები გულისხმობს

1) ათონის კრებული, გვ. 42.

2) ნ. კიკინაძის გამოცემა. გვ. 115.

3) თეოდანია, შოთა მღვიმის მონასტრის ისტორიული საბუთები, გვ. 3.

4) ქართლის ცხოვრება, I, 275.

5) ქართლის ცხოვრება მარცხ დედოფლისა, გვ. 396, 410, 434.

6) ივ. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია II, 662—666. მისივე—ქართული სახარტლის ისტორია. გვ. 164; მ. ჯანაშვილი, თამარ მეფის მებოტბენი, გაზეთი „ტრიბუნა“ 1923 წ. № 504.

დემიტრი თავდადებულის შეილს დავითს და არა სხვა რომელიმეს, ეინაიდან ჩვენმა ისტორიამ არა ერთი დავით მეფე იცის.

ს. კაკაბაძის გაბეღულმა ჰიპოტეზამ თავის დროს ნ. მარჩე და ც მოახდინა ერთგვარი შთაბეჭდილება და იმანაც გადასწია პოემის დაწერის დრო, მართალია, არც ისე შორს, როგორც ს. კაკაბაძემ, მაგრამ XIV საუკუნეში მაინც.¹

ნ. მარჩის არავითარი საბუთი ამისა არ მოჰყავს, გარდა იმისა, რომ XIV—XV საუკუნეები არის მესხეთის აყვავების ეპოქა, ეპოქა, როდესაც მაჰმადიანური ელემენტი საგრძნობელ ძალას წარმოადგენდა იქ და თავის შემადგენლობაში ქართველებსაც სთვლიდაო. თქმა იმისა, რომ XIV—XV ს. მესხეთის აყვავების ხანა იყო, ისიც მაჰმადიანობის ზეგავლენით, ისტორიული თვალსაზრისით შეუძლებელია. ჯერ ერთი, XIV—XV ს. მესხეთში მაჰმადიანობა ვერ იქნებოდა და არც ყოფილა საგრძნობელი ძალა; მეორე, კიდევაც რომ ყოფილიყო მაჰმადიანური ელემენტი აქ საგრძნობელი, მით უმეტეს ის ხელს ვერ შეუწყობდა ამ მხარის აყვავებას. სად, რომელ მხარეში შექმნეს ამ დროს თურქებმა კულტურული აყვავების პირობები, მესხეთში რომ შეექნათ ის? პირიქით, სადაც კი შესდგამდნენ ისინი თებს, ყველგან ავერანებდნენ კულტურულ მონაპოვართ, როგორც, მაგალითად, მთელს მცირე აზიაში და საბერძნეთში, რაღა მესხეთში შეიცვლებოდა მათი მოქმედება და ფსიქიკა? საერთოდ ნ. მარჩისა და ს. კაკაბაძის ჰიპოტეზების შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ შეუძლებელია ვეფხისტყაოსნის წარმოშობა მეცამეტე საუკუნის ნაბეარს გადაეცილოთ: ხეარაზმელთა შემოსევის შემდეგ ჩვენში დამყარდა წყედიადის სამეფო, ხალხს კისერზე დაადგეს მონობის მძიმე უღელი, ხოლო დამონაყებულები ერი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ი. აბულაძეც,² თავის დღეში ვერ შესძლებს ისეთი რაინდული იდეალების შექმნას, როგორც გვაქვს ჩვენ ვეფხისტყაოსანში.

პოემის წარმოშობის დასათარიღებლად ჩვენ უნდა მივკმართოთ უფრო სამიედრო წყაროს, და ასეთ წყაროდ უნდა მივიჩნიოთ მისივე შინაარსი, რომელიც მოგვეცემს ზოგიერთ გამოსავალ წერტილს. პოემის დაწერის terminus ante quem იმის გასათვალისწინებლად ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს გარემოებას. პოემაში ლაპარაკია ხეარაზმშას შესახებ, რომელსაც მთელი სპარსეთი დაუპყრია, ასე რომ ხეარაზმშა და სპარსეთი სინონიმებს წარმოადგენენ თხზულებაში: „ეგე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გგვებისადნენ“, „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ქამასა“, ნათქვამია აქ. სპარსეთში ახალი, ხეარაზმელების დინასტიის დამყარებას ადგარი ჰქონდა 1194 წელს, როდესაც ალა-ედინ ტაჯამმა წუთისოფელს გამოასალმა უყანასკნელ სელჩუკიანი სულტანი ტოღრილი. მა-

¹) Гривинская книга истории. В. Гарсиа-и Акерн, стр. 500; თავის მხრივ ნ. მარჩის ჰიპოტეზამ მეტე მოახდინა გავლენა ს. კაკაბაძეზე, რომელმაც, პირადად ნ. მარჩთან აზრის გაზიარების ვაჟო, პოემის საბოლოოდ ჩამოყალიბება მეთუხმეტე საუკუნიდან მეთუხმეტეში ჯადმოიტანა; იხ. მისი „ვეფხისტყაოსნის პრობლემები გარემოში“, საისტორიო მოამბე №1, გვ. 122.

²) იხ. მის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობა, გვ. IX.

შასაღამე, პოემა 1194 წელზე ადრე ვერ დაიწერებოდა. მეორე, თამარ დედოფლის ისტორიის პირველი ნაწილი, რომელიც დაწერილია 1196 წელს, იცნობს ვისრამიანს, ამირან-დარეჯანიანს და თამარიანს, ეფეხისტყაოსანს კი არა; წინააღმდეგ შემთხვევაში ის აქედანაც უჩვენებდა მიჯნურობის მაგალითს, სხვა რომ არა იყოს რა; მაშასადამე, 1196 წელს პოემა ჯერ კიდევ არ ყოფილა დაწერილი. დასასრულ, პოემა იცნობს არამც თუ ისეთს აღრინდელს ნიმუშებს ჩვენი საერო ლიტერატურისას, როგორიცაა ვისრამიანი და ამირანდარეჯანიანი, არამედ თამარიანსა და „დავით აღმაშენებელისა და თამარის ქებას“, რომელნიც, როგორც თავის ადგილას იქნება ნაჩვენები, დაწერილნი არიან მეცამეტე საუკუნის პირველს წლებში, 1206—1212 წწ.; მაშასადამე, 1212 წელზე ადრე ის დაწერილი ვერ იქნებოდა. ამნაირად, 1212 წელი არის terminus ante quem იმ პოემის დაწერისა.

რაც შეეხება terminus post quem იმის, აქ საყურადღებოა შემდეგი. პოემაში, როგორცა ვთქვით, ხვარაზმმა ჯერ კიდევ ძლიერი და საპატიო დინასტია; ინდოეთის დედოფალი ამბობს შინაურს, ოჯახურს თათბირზე, რომელზედაც ნესტან-დარეჯანის სასიძოს ეძებდენ: „ხვარაზმმა მეფეა მორკმით მჯდომელი, მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთეის სხვა სჯობდა რომელი.“ ჩვენ ვიცით, რომ ხვარაზმელთა დინასტიას ბოლო მოუღეს მონღოლებმა. 1219 წელს, ამის შემდეგ ხვარაზმელები უკვე აღარ არსებობენ ისტორიის ასპარეზზედ, სპარსეთი მონღოლებმა დაიკავეს. ცხადია, მაშასადამე, პოემა 1219 წელზე გვიან ვერ დაიწერებოდა, ვერ დაიწერებოდა მით უფრო, რომ დაახლოვებით ამ წლიდან მოყოლებული საქართველოსაც კისერზე ედგმია მძიმე და აუტანელი მონობის უღელი, რომელმაც ბოლო მოუღო ჩვენი კულტურისა და მწერლობის კლასიკურ პერიოდს, რომელშიაც შესაძლებელი იყო ვეფხისტყაოსნისებური დიდი ნაწარმოების წარმოშობა. ასე რომ, ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა გამო, პოემის დაწერის დროდ უნდა მივიჩნიოთ 1212—1219 წლები.

ასე და ამნაირად, პოემის ავტორის შესახებ ჩვენ შემდეგ დასკვნამდე მივდევართ: 1) საკითხი მისი ნამდვილი სახელის, გვარის და აგრეთვე სადაურობის შესახებ ჯერჯერობით ღიად უნდა დარჩეს, ვინაიდან, გარდა ტრადიციისა, რომელიც ყალბ ტყუილებზეა აღმოცენებული, არავითარი საბუთი არა გვაქვს იმის სათქმელად, რომ ის ნამდვილად შოთა რუსთველია, სულ ერთია—ჰერეთელი თუ მესხი, და, თუ მაინც მას შოთა რუსთველს ვუწოდებთ, მხოლოდ პირობით; 2) პოეტი რელიგიური რწმენით არის ქრისტიანი, ხოლო ფილოსოფიური სოფლმხედველობით ნეოპლატონიკი; 3) თავისი თხზულება მას დაუწერია კლასიკური პერიოდის მიწურულში, 1212—1219 წლებში.

B. სიუჟეტი პოემისა.

პოემის აუტორს მიზნადა ჰქონია დასურათება, ერთის მხრით, რაინდული სიყვარულისა, ხოლო მეორე მხრით—თავდადებული ძმობა-მეგობრობისა; ეს ორი თეზა, სიყვარული და მეგობრობა, მას განუვითარებია მეფეთა ამბებში: ავთანდილ-თინათინისა და ტარიელ—ნესტანის შესახებ, ზღაპრებში, რომელნიცა-

წუკვეთელად არიან გადაკენძულნი ერთიმეორეზე. ისმის საკითხი: ორიგინალური, ქართულია ეს ამბავი, თუ მართლა ნასესხებია ის, როგორც დამოწმებულია ეს შემდეგნაირად პროლოგსა და ეპილოგში:

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი,
მისებრი მართ დაბადებით ვინცა ყოფილა შობილი,
დავსაგე რუსთველმან, გაელექსე. მისთვის გულ ლახვარ სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, კელის-კელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საქოკმანები,
ჩემმან ხელმქნელმან დამმართოს, ლალმან და ლამაზმან ნები.

დავითის ქნანი ვითა ეთქვენე სიჩალხე-სიხაფეთანი,
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა კელმწიფეთანი,
პირეულ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
ვპოვე და ლექსად გარდავქმენ, ამითა ეილაყფეთანი.

ამ ტაეებმა მისცა საფუძველი პროფ. ნ. მარას 1890 წელს, აღ. ხ ა ხ ა-
ნ ა შ ე ი ლ ის საპასუხოდ, დაეწერა გაზეთის თეატრში (№ 121) შემდეგი: „რად-
დენად სპარსული ენის და მწერლობის გაცნობა საბუთს მძღვეს, მე სრულ-
ქეშმარიტებად მიმაჩნია რუსთველისავე სიტყვები, რომ მას სპარსულიდან ნა-
თარგმნი ამბავი უნდა გაელექსოს. რამდენად შესცვალა დედანი პოეტმა, გაავრ-
ცელა ან შეამოკლა, ამაზე სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული
დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ კიდევ არ ვქაჯავ. სპარსულ დედანში
თვით ტარიელის და ნესტანდარეჯანის ამბავი უნდა იყოს, თვით სახელებიც კი:
ტარიელი გადმოქართულებული სპარსული კაცის სახელია, სპარსულად ითქმის
შ ა ჰ რ ი ე რ ი და ნიშნავს ხელმწიფეს, ხოლო ნესტანდარეჯანი აგრეთვე სპარსელი
ქალის სახელია; სპარსულად ითქმის ნ ე ს ტ ა ნ დ ა რ ი-ჯ ე ჰ ა ნ და ნიშნავს სი-
ტყუასიტყუით—„არ არის ქვეყანაზე“, ხოლო აზრით—„არ არის ქვეყანაზე
მსგავსი მისი“, ესე იგი—უებრო... ველი ცნობებს ერთს სპარსულ ხელნაწერზე,
რომელიც ბრიტანიულ მუზეუმში ინახება, ლონდონში, და იქნება თვით ვეფხის-
ტყაოსნის დედანია, რადგან ხელნაწერი შეიცავს, როგორც კაჯალოგიდგან ჩანს,
შ ა ჰ რ ი ე რ -ნ ა მ ე ს, ე. ი. წიგნს შარიერზე (ტარიელზე), რომლის ამბავი ინ-
ლოეთში მომხდარა“. ამნაირად, ნ. მარა ამტკიცებდა, რომ ვეფხისტყაოსანი
წარმოადგენს სპარსული შ ა ჰ რ ი ე რ -ნ ა მ ე ს გალექსევს. მაგრამ, როდესაც დარ-
წმუნდა, რომ ბრიტანიულ მუზეუმში ვეფხისტყაოსნის დედანი არ აღმოჩნდა,
იმან ასე შეცვალა თავისი აზრი: ვეფხისტყაოსნის ამბავი სპარსული ენიდან ჯერ
უთარგმნიათ ქართულად პროზით და მერე, რამდენიმე ხნის შემდეგ, ეს ქართუ-
ლი პროზითი თარგმანი გაულექსავს შოთა რუსთველსო. შემდეგს თავის ნაწე-
რებში¹ იმან კიდევ შეცვალა თავისი შეხედულება იმ მხრივ, რომ აღიარა: „ამ

¹ Древне-грузинские описцы, Тексты и разыскания, кн. IV, 1902г., Вступительная и заключительная строфы... 190г. Грузинская поэма витязь въ барсовой шкурѣ... 1917 г.

ლექსად გადმოკეთებულს სპარსულს რომანში ჩვენ გვაქვს შეგნებული დასტურათ-
ხატება ქართული ავტორის ნაცნობი. ტიპებისა და მოვლენებისა პოეტური
იგავ-გაკერით, რომელიც განსაკუთრებით აშკარა იქნებოდა თანამედროვეთა-
თვისა¹. ამნაირად, ნ. მარჩის შეხედულებამ სამი ეტაპი განვლო: 1) პირდა-
პირ სპარსული ტექსტიდან ლექსით გადმოღება, 2) ლექსით გადმოღება არა
პირდაპირ სპარსულიდან, არამედ ქართული პროზითი თარგმანების² საშუალებ-
ით, 3) შეტანა ამ უკანასკნელში ზოგიერთი ქართული ელემენტებისა.

უკანასკნელი ეტაპის შეხედულებას არსებითად ემხრობა ი. აბულაძეც თა-
ვის გამოკვლევებში ვეფხისტყაოსნის შესახებ, სადაც ის ამბობს: შემდეგ: ვეფ-
ხისტყაოსანი გადმოგვეცემს არაბეთში წარმოშობილს სადეე-გმირო ზღაპრულ
ამბავს, სპარსეთში შემუშავებულს, სპარსულიდან ქართულს ლიტერატურაში პრო-
ზით შემოსულს და მერე რუსთველის. მიერ გალექსილს, რომელშიაც გენიოს
პოეტს ნასესხები ჩონჩხისათვის შეუქერებია სხვადასხვა წყაროებიდან ამოღებუ-
ლი ეპიზოდები და ზოგიერთი დეტალები ქართულ ყაიდაზე გადაუკეთებია, რო-
გორც, მაგალითად, დევების შესახებ თქმულება—ქაჯთა შესახებ თქმულება-
დაო.³ ასევე ფიქრობენ ზოგიერთი სხვა მკვლევარნიც, რომელთა აზრით ვეფხის-
ტყაოსანში გადმოცემულია აღმოსავლეთში მოარული სიუჟეტი მასში ქართული
ელემენტების შეტანითაო. წარმომადგენელი იმ შეხედულებისა, რომ პოემის
სიუჟეტი არაბულ-სპარსულ წყაროებიდანაა შემოტანილი, თავის აზრს ამყარებ-
ენ, ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, ზემოთყვანილს სამს ტაეპზე, მერე კი
შემდეგზე: პოემაში ლაპარაკია აღმოსავლეთის ქვეყნებზე, წარმოდგენილია შიგ
მაჰმადიანები და მაჰმადიანთა ზნეჩულება, გვხვდება შიგ მრავლად არაბულ-
სპარსული სიტყვები და სახელებიო. რა გვეთქმის ამის შესახებ? მას შემდეგ,
რაც ჩვენ ჩვენი აზრი გამოვთქვით პროლოგისა და ეპილოგის შესახებ, საკვიროც
არაა ზემოთყვანილს სამ ტაეპზე შეჩერება, მაგრამ, ვინაიდან მათ კარდინალურ მნი-
შვნელობას ანიჭებენ, ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ ისინი. პირველი იმათგანი რომ
ცალბია, შემდეგდროს ჩამატებული და პოემის ავტორს არ ეკუთვნის, ჩანს ისე-
თი ფორმებისაგან, როგორიცაა—„დაესჯე რუსთველმან გავლექსე მისთვის გულ-
ლახეარ სობილი: დაესჯე რუსთველმან თუ რუსთველი? რუსთველმან გულლ-
ხე-
არ სობილი თუ გულლახეარ სობილმან?“⁴ მეორე ტაეპიც რომ ამავე ლირებუ-
ლებისაა, ჩანს, ჯერ ერთი, სიტყვისაგან საკოკმანები; ზოგიერთებს, მათ
შორის ნ. მარჩსაც, ეს სიტყვა ესმით როგორც „საგმირო, დიდებული“, მაგ-
რამ რა დიდებულს, საგმიროს და განსაკუთრებულ რასმეს წარმოადგენდა გე-
ნიოსი პოეტისათვის პროზითი ამბის გალექსება, რომ ამისათვის, საგანგებოდ
გაესვა ხაზი? ზოგიერთებს კიდევ ის ესმის (მ. ჯანაშვილი) როგორც „საყაყანები,
მითქმა-მოთქმის გამოწვევი“; მაგრამ რა „საყაყანები“ უნდა გამხდარიყო სპარ-
სული ამბის გალექსება, რა მითქმა-მოთქმა უნდა გამოეწვია მას ან რისთვის? ამ
ტაეპის უიმედობას განსაკუთრებით ხაზს უსვამს ფორმა „ლექსად გარდაეთქვი“.

¹) მე-XII საუკ. ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, 1927 წ.

²) ნ. მარჩის ეს მუხლი ასე გადაუკეთებია: „დაესჯე რუსთველი ლექსივდე. მისთვის
გულლახეარ სობილი, მაგრამ ამას არ უდგება შემდეგი მუხლი. „აკამდის ამბად ნათქვამი აწ
მარგალიტი წყობილი“ (Вступительные и заключительные стихи стр. 3, 37).

საქმე ექმენ“ (წარსულს დროში), და უცბად, უშუალოდ „დამმართოს“ (სხვა დრო); ასეთი შეთანხმება პოემის ნამდვილ ავტორს არ შეეძლო ეხმარა.¹ ჩვენ გვგონია, რომ ეს ორი ტაეპი იმავე ხასიათის და დროისაა, როგორისაც „ტარიელის დასწავლების და ხვარაზმშას მეფისაგან ინდოეთს სისხლის ძებნად მოსვლის“ ამბის დამმართველისა, რომელიც ამბობს, რომ მე „ქველნი ნარჩონნი ამბავნი“ ცნახე, უჩვენე გმირების რაზმთა მწყობელს და, მისი ბრძანებით და ნებართვით, ლექსად ვთქვიო. მესამე ტაეპის შესახებ, რომელსაც ყალბადა სთვლის მომეტებული ნაწილი მკვლევართა (მათ შორის ნ. მარტიც), უნდა შევნიშნოთ, რომ თავის უფარგისობას ის თვითონ ახელავნებს: ჯერ სხვადასხვაობა მისი — „დავითის ქნანი“ და „დავითის ქნართ“ (ნ. მარტი), მერე თორმეტი: „სიკაფეთანი“ და „ვილაყფეთანი“, ბოლოს — „ეპოვე, გარდავთქვენ“ და „ევილაყფეთანი“ (მრავლობ. რიცხვი).

რაც შეეხება მეორე საბუთს პოემის სიუჟეტის ნასესხობისას, რომელსაც მის შინაარსში ჰპოულობენ, საბედისწერო შეცთომაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ შეხედულების მიმდევართ ჰგონიათ, ალბად, რომ, თუ რომელიმე მწერალს თავის თხზულებაში უცხო ქვეყნები, უცხო ქვეყნების და ადამიანების ამბავი და უცხო ზნე-ჩვეულებანი აუწერია და ზოგიერთი უცხო სიტყვები და სახელები უხმარია, ასეთი თხზულება ორიგინალური კი არა, უთუოდ ნათარგმნი იქნებაო. მართლაც, განა ქართველ პოეტს არ შეეძლო ისეთი თხზულება დაწერა, რომელშიაც უცხო ქვეყნის ამბები და ზნე-ჩვეულება იქნებოდა გამოყვანილი? ნუ თუ მისი თხზულება მხოლოდ მაშინ იქნებოდა ორიგინალური, თუ იმაში უთუოდ საქართველოსა და ქართველებზე იქნებოდა ლაპარაკი?

ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ე ი ლ ი ს ა ზ რ ი თ პ ო ე მ ა ა შ ე ნ ე ბ უ ლ ი ა მოსიარულე სიუჟეტზე, რომელიც ჩვენში შემოსულა აღმოსავლეთიდან, სპარსეთიდან, და ხალხში გავრცელებულა. მართლაც, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავალი თქმულება დარჩენილა ტარიელის შესახებ, ეს თქმულებები რომ შევეართოთ, ჩვენ ნიკილებთ თითქმის მთლიან ვეფხისტყაოსანს.² განსხვავება ხ ა ხ ა ნ ა შ ე ი ლ ი ს ა და უკვე აღნიშნულ შეხედულებათა შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველის შეხედულებით ეს უცხო სიუჟეტი პოემის ავტორმა ხალხის წიალიდან ამოიღო, ხოლო სხვების შეხედულებით ლიტერატურული წყაროდან. საქმარისია გულდასდებით გადახედო ხალხურ ვეფხისტყაოსანს, რომ დარწმუნდეს, რომ ის ასაკი სიტყვები და მსუბუქი ლექსი, რომლებშიაც ის წარპოღვენილია, ვერ ჩაითვლება კლასიკური ხანისად; პირიქით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ხალხური ვეფხისტყაოსანი აღმოცენდა ლიტერატურულ ნიადაგზე, ისე, როგორც

¹) მართალია, ნ. მარტი ამ უხამსობის თავიდან ასაცილებლად წარსული დრო შეცვლია მომავლისად („გარდავთქვა, ექმნა), მაგრამ ასეთს წაკითხვას მხარს არ უჭერს არც ერთი ხელნაწერი; მაშასადამე, ეს თვითნებობაა, რომლის გასამართლებლად მას ეს ტაეპი გადაუტანია თავისი ადგილიდან და დაუსვამს ისეთი ტაეპის წინ, სადაც ზნა მომავალ დროში ზის: „აწ ენა მინდა გამოქმნად“. რაც მეორე თეზისგან, და მეორე ვინაიდან აქაც, ამ ტაეპშიაც, შეუცვლია ზნების დრო („ძალი ბოშეც“ გადაუყოფებია ძალი მოშეცა“ად); ამ გზით, პოემის ძირითადად გადავითებით, ყველაფრის დამტკიცება შეიძლება (Вступительный и заключительный строк, стр 2, 31, 35).

²) ქართული სიტყვიერების ისტორია, 1919 წ. გვ. 259--303.

ხალხური ამირანდარეჯანიანი წარმოდგა ლიტერატურულიდან. ხალხური ლექსები ტარიელის შესახებ უმთავრესად ალექსანდრის, X^{VI}-X^{VII}, საუკუნეებისაა. ასე რომ ხახანაშვილის შეხედულებას ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წარმოშობის ისტორიაში საყურადღებო არა შეაქვს რა.

ამნაირად, სრულიად უსაფუძვლოდ და შეუწყნარებლად მიგვაჩნია აზრი, რომ სიუჟეტი ვეფხისტყაოსნისა არის ნასესხები, სულ ერთია—პირდაპირ მზამზარეული თხზულებიდანაა ის გადმოღებული, თუ ზეპირად შემოსული საქართველოში, როგორც მოარული.

მეორე შეხედულება, წმიდა ნაციონალისტური, მდგომარეობს იმაში, რომ ვეფხისტყაოსანი არის ორიგინალური ქართული ნაწარმოები, ვინაიდან მასში „შეფუჭვევით“ (აბულაძე „შეფარვით“) შექმნილია თამარ დედოფლისა და დავით სოსლანის სახელი, აღწერილია მათი ერთმანეთში დამოკიდებულება და წარმოდგენილია თანამედროვე საქართველოს ვითარება. აზრი ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ პირველად მკვეთრად გამოთქვა მეფე ვახტანგ VI მისი გამოცემის (1712 წ.) კომენტარებში. ის ამბობს: „ესე ამბავი სპარსში არ არის და სპარსთ კი მელექსობა იცოდნენ და თამარ მეფე კარგი და ძალიანი კელწითე რომ იყო, ვითამ ეს მაზედ მოინდომა. ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო, რომე ქართლშიაც არ იყოსო, და უბრძანა მის მდივანს რუსთველს, ქართულის ენით კი ლექსები თქვიო. აწ იმას ამბობს, სპარსულის მიბაძვით რადგან ათქმევინა თამარ მეფემ, რომ სპარსთაგან ესთარგმნეო, თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება. ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც იმისთვის უბნობს, რომ სპარსეთის ლექსის ბაძხედ რომ სთქვა, სპარსული ამბავი ქართულად ესთარგმნეო“.¹

ჩვენთვის ამ სიტყვებში საყურადღებოა არა ის, თუ როგორ ესმის ვახტანგს პოემაში შემდეგდროს შეტანილი სიტყვები—„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანევი, ვპოვე და ლექსად გარდავთქეი“, და როგორ განგვიმარტავს მას, აზარედ ის, რომ ავტორმა „ამბავი თვითონ გააკეთა“, ის სპარსშიდ არსად იპოვება“. ვახტანგის აზრი და შეხედულება შემდეგიდროის მკვლევრებმა შეითვისეს ცოტა არ იყოს დამახინჯებული სახით: ისინი ამბობენ, რომ ეს პოემა ქართველი ავტორის ნაწარმოებია, ვინაიდან მასში ქართული ამბებია „შეფუჭვევით“ წარმოდგენილიო. ეს აზრი მკვეთრად წამოაყენა და განავითარა პ. როფ. დ. ჩუბინაშვილმა; ის ამბობს, რომ პოემის ავტორს თამარის დრო ჰქონდა მწიგნობრობაში, და ასე ასაბუთებს ამას: 1) ნესტანდარეჯანი ერთადერთი ასული იყო ინდოეთის მეფის ფარსადანისა, თამარიც აგრეთვე ერთადერთი ასული იყო გიორგი მესამისა; 2) ნესტანდარეჯანის აღზრდა ფარსადანმა თავის დას დაეარს მიანდო, აგრეთვე თამარის აღზრდაც გიორგი მესამემ თავის დას, რუსუდანს, მიანდოვო; 3) ნესტანდარეჯანთან ერთად იზრდებოდა ტარიელი, რომელმაც შემდეგ ის ცოლად შეირთო, თამართანაც ერთად იზრდებოდა დავით სოსლანი, შემდეგ მისი მეუღლე; 4) ფარსადანმა გადასწყვიტა ნესტანი მიეთხოვებია ხვარაზმშას შეილისათვის და „ქარაღის ცხოვრების“ თქმითაც ხვარაზმშას

1) ვეფხისტყაოსანი, ვახტანგის გამოცემა, გვ. სვე-სვე.

თამარის ცოლად შერთვა სწადლა, მაგრამ უარი მიიღოვო; 5) ვეფხისტყაოსანში ნათქვამია, რომ ინდოეთი შვიდ სამეფოდ იყო დანაწილებული, საქართველოც შვიდ ნაწილად იყო გაყოფილიო.

აქ მოყვანილი ანალოგიები ზოგი სიმართლეს არ შეეფერება, მაგალითად, ვითომც თამარის შერთვა სწადლა ხეარაზშმას, ეს მათიანებ არ იცის (აქ არეულია ალბად შარვანშა და ხეარაზშმა), ანადა ის, ვითომც თამარსა და დაეითს ზრდიდა რუსუდანი ისე, როგორც ტარიელსა და ნესტანს მამიდა ნესტანისა, დაკარი: დაეარი ტარაელს არ ზრდიდა, იპას მიანდევს განცალკევებულს კოშკში აღზრდა მხოლოდ ნესტანისა, მას შემდეგ, რაც უქანასქნელი შვიდი წლისა გახდა. ზოგი ანალოგია კიდევ შემთხვევითი ხასიათისაა; ინდოეთის შვიდ სამეფოდ დანაწილება და აკრეთეე საქართველოსიც არაფერს არ გვეუბნება, ვინაიდან რიცხვი შვიდი აღმოსავლეთში, უფრო სემიტებში, წმიდა რიცხვად ითვლებოდა, და შვიდი სამეფო ჩვეულებრივი, შაბლონური ადგილია სპარსულს რომანებში, როგორც, მაგალითად, „შვიდთა ქიშვართა“ ან „შვიდთა იყლიმთა“ ხელმწიფე იოსებ-ზილიხანისა, ლეილა მეჯუნისა, ბარამგურიანისა და სხვ. არის ისეთი ნაწარმოები, სადაც პირდაპირ ინდოეთია დაყოფილი შვიდ სამეფოდ, მაგალითად ბარქა-მ-გურიანში ნათქვამია, რომ ინდოეთის მეფე ომინმა თავის კეთილისმყოფელს ახის მისცა „შვიდთაგან ერთი სამეფო“ ინდოეთისაო (სიძველ. მუხ. ხელნ. № 860, ფ. 155); ზალუმ-ჯანიანში ეკითხულობთ: ინდოეთის მეფემ „შვიდივე სახელმწიფო ინდოეთისა თვისითა ხმლითა და სიმამაცითა დაიპყროვო“ (წერ.-კითხ. ხელნ. № 1145, გვ. 153). ეს მოტივი საეკლესიო მწერლობაშიაც კი შესულა, მაგალითად, წმ. გობრონის მარტვილობაში ეკითხულობთ: „ალიძრა მეფე სარკინოზთა და უფალი სპარსეთისა, რომელსა ქმონებდა სამეოცი ქალაქი დიდდინი და შუდნი მეთენი შორჩილებდეს ძლიერნი“ (საქართვე. სამოთხე, გვ. 395). არსებითად ტარიელ-ნესტანის და თამარ-დაეითი ამბები ძირითადად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან: თამარა გათხოვილი იყო, ის შერთეს რუსის მთავარს გიორგის, დაეითი მეორე ქმარი იყო მისი, ნესტანი კი არ გათხოვილა, იმას ქმრის სარეცელი არ უნახავს, სანამ ტარიელს არ შეეძლა, პირიქით, ქაჯეთის ციხიდან ტარიელს სწერს:

შენმან მზემან, უშენოსა არეის მიხედეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, ვერვის მიხედეს. მოცავიდენ სამნი მზენი,
აქა თავსა გარდავიქცეე, ახლოს მახლავნ დიდნი კლდენი,
სული ჩემი შეიეფურენ, ზეცით მოხედენ ნუთუ ფრთენი“.

ისტორიული ალეგორიზმი, რომელსაც ჩუბინაშვილმა მიჰმართა, შეითვისეს სხვა მკვლევართაც და მწერლებმა, რომელთაგან უნდა დავასახელოთ ს. ქვარიანი, აკაკი წერეთელი და მოსე ჯანაშვილი.

ს. ქვარიანი ის აზრით ტარიელისა და ნესტან დარეჯანის ამბავში გამოხატულია თამარის და გიორგი მესამის ძმისშვილის, დემნას, ამბავი. დემნა იყო შვილი გიორგის ძმის დაეითისა, ის გიორგის აუჯანყდა იმ მიზნით, რომ ბიძა ტახტიდან ჩამოეგდო და თვითონ გამეფებულიყო; ამისთვის მას, დამარც-

ხების შემდეგ, ჯერ თვალები დასთხარეს, მერე ის გამოასაქურისეს და ბოლოს, ასე გაუბედურებული, გარდაიქვალა კიდევაც უდროვოდ. აი, ამ დემნასა და თამარს უყვარდათ ერთმანეთი, მათ განზრახვასა და გრძნობებს წინ აღუდგა მამა თამარისაო.¹ ეს ჰიპოთეზა სრულიად უსაუფუძვლოა: არსად ისტორიიდან არა ჩანს, რომ დემნასა და თამარს შორის რაიმე ამგვარი განწყობილება ყოფილიყო და არც შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან თამარს ისე სწამდა ნათესაობა, რომ შორეულ ნათესაებებსაც კი უარი უთხრა ცოლად გაყოლაზე (ბერძენთა უფლისწული ალექსი და შარვანშა). მაგრამ, ვთქვათ, ეს ინტიმური მხარე მისი ცხოვრებისა სხვებისათვის დაფარული იყო, ანალოგია მაინც აქ სრულიადაც არა გვაქვს: ტარიელმა ნესტანი შეირთო და ინდოეთის ტახტიც დაიმკვიდრა, ხოლო დემნას არც საქართველოს ტახტი მიუღია და არც თამარი შეურთავს; მას, როგორც მემამობეს, თვალები დასთხარეს, გამოასაქურისეს და უდროოდ ბოლო მოუღეს, რაც ტარიელს არ განუუცდია.

აკაკი წერეთელმა კიდევ ის აზრი გაატარა,² რომ პოემის ავტორს წარმოუდგენია თავის თხზულებაში სურათი მთლიანი საქართველოსი: ტარიელი და ნესტანი წარმომადგენელი არიან ქართლისა, ავთანდილი და თინათინი იმერეთისა, ხოლო ფრიდონი ზღვისპირის ან სამეგრელოსიო. თუ პოეტს სურდა წარმოედგინა თავის თხზულებაში საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა ტემპერამენტი, ხასიათი და სულიერი თვისებანი, რაღა მარტო სამს კუთხეს, ქართლს, იმერეთს და სამეგრელოს, შეეხო, როდესაც პოეტის დროს ჩვენი ყვეყანა, როგორც ამას მატრიანეც უსვამს ხაზს, დაყოფილი იყო „შვიდ სამეფოდ“, მამასადამე, მთლიანი საქართველოს დასასაბუთებლად საჭირო იქნებოდა შვიდივე სამეფოს დახასიათება.

უფრო რთული და საყურადღებოა მ. ჯანაშვილის ისტორიული პარალელები და ალეგორიები.³ მისი შეხედულებით ავთანდილ-თინათინის ამბავში გამოხატულია თამარისა და დავით სოსლანის ამბავი, ხოლო ტარიელისა და ნესტანისაში—სპარსეთის უკანასკნელი სელჩუკიანთა შაჰის ტოლრილის ისტორია. ტოლრილი გამეფდა 1177 წელს, მას მოსვენებას არ აძლევდენ და სისხლს უშრობდენ ხეარაზმელები, ერთს პროვინციას მეორეზე ჰკლევდენ ხელიდან და ბოლოს, 1194 წელს, სიცოცხლესაც გამოასალმეს. ტოლრილი იძულებული იყო სხვა სახელმწიფოებში ეძებნა დახმარება თავისი ტახტის (ნესტანდარეჯანს) მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. მას ეხმარება „ზღვათა სამეფოს“ მეფე: ეს სამეფო უნდა ყოფილიყო გურჯანის და ურმიის ზღვათა შორის, სადაც ძველიდანვე იყო ცალკე სამთავრო გილანისა, რომელსაც, ალბად, ზღვათა სამეფოს უწოდებდენ. ფრიდონის სამეფო უნდა ყოფილიყო გურჯანის ზღვის იკით, ახალთექვსე გაყოლება, ავღანისტანისაკენ, დღევანდელ ქალაქ კრასნოვოდსკამდე: მის პირდაპირ ზღვაში კუნძული ჩელეკენია, რომლის დაჩემებისათვის, შესაძლებელია, ფრიდონს დავა ჰქონდა ბიძაშვილებთან. არაბეთი, ჯანაშვილის სიტყვით, არის საქართველო; ვინაიდან პოემაში ნათქვამია, რომ არაბეთში მრავა-

1) მოამბე 1903 წ. № 67, 8.

2) სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე, კრებული 1898 წ. № № V, VI.

3) თამარ მეფის მეხოტბენი, გაზეთი ტრიბუნა 1922 წ. № 68, 1-8, 181, 182.

ლი სოკლები და ციხე-კოშკებია და მცხოვრებთ ჰმოსიათ ლერჯი და მწვანე ტანისამოსი.¹ ტოლრილს საქართველოსათვისაც უთხოვნია დახმარება ჯერ გიორგი მეფის დროს 1179 წელს, მერე ალბად თამარის დროსაც. თამარმა (=თინათინს) დაავალა დავით სოსლანს (=ავთანდილს) მართლა დახმარებოდა ტარიელს; დავითის დახმარება გამოიხატა იმაში, რომ განჯა-შანქორში მან გაამეფა ტოლრილის გერისშვილი ამირ-მირანიო.

მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ისტორიულ-გეოგრაფიული ინტერპრეტაცია, რომელსაც ის ერთგვარ ქრონოლოგიურ საფუძვლებსაც უძებნის, არის თვითნებობა, დამყარებული „ალბად“ და „უნდა იყოს-“ზე, და არავითარ ანალოგიას და პარალელს არ შეიცავს; დავიწყოთ ტარიელ-ნესტანიდან. ტარიელი არის სელჩუკიანთა უკანასკნელი მეფე სპარსეთისა ტოლრილი, ნესტან დარეჯანი კი—ინდოეთის სამეფო და სპარსეთი, რომელსაც მას ართმევენ ხვარაზმელები და რომელსაც ის დაეძებს. პოემაში ინდოეთი სხვაა, სპარსეთი სხვაა, ტარიელს ინდოეთს ართმევს სპარსეთი ხვარაზმელების დინასტიისა; ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ინტერპრეტაციით კი პოემაში გამოხატულია ის მომენტი და პროცესი, როდესაც სელჩუკიანთა დინასტიას სპარსეთში ეცილება და ეომება მეორე დინასტია ხვარაზმიდებისა, მაშასადამე, აქ არავითარი ანალოგია არაა. მეორე, ტარიელმა ნესტანი მოძებნა და დაიბრუნა კიდევ, ესე იგი შეიერთო, ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი თ კი ტოლრილი 1194 წელს მოკლეს ხვარაზმიდებმა, რომელნიც დაეპატრონენ მთელს სპარსეთს და, სხვათაშორის, ინდოეთსაც. დასასრულ, საქართველოს (დავითის) დახმარება ტოლრილისათვის გამოიხატა, ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი თ, იმაში, რომ ქართველებმა განჯა-შანქორში გაამეფეს ამირ-მირანი, რომელიც გერისშვილი იყო ტოლრილისა; პოემით კი არაბეთმა (=საქართველომ) ტარიელი გაამეფა მთელს ინდოეთში და არა ერთს მის ნაწილში, თან საქართველოს მიერ განჯა-შანქორში გამეფებული ამირ-მირანი არ შეიძლება ტარიელ-ტოლრილად მიეჩნიათ, ვინაიდან, მართალია, ამირ-მირანი დედით გერის შვილი იყო ტოლრილისა, მაგრამ ამავე დროს ის ძმის შვილი იყო ტოლრილის მოქიშპე და მოსისხლე მტერის ათაბაგის ყიზლარსლანისა, და საქართველო ამ დროს აგვარებდა არა ტოლრილის საქმეს, არამედ ყიზლარსლანის სამი ძმისშვილებისას, რომელნიც ერთი მეორეს ართმევენ მათ ხვედრ ქვეყნებს. ასე რომ აქ არც ისტორიული პარალელიზმია დაცული და არც, თუ გნებავთ, პოემისა. ესევე უნდა ეთქვათ ავთანდილ-თინათინის შესახებაც: ავთანდილი, ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, დავით სოსლანია, თინათინი თამარი; დავითი და თამარი ერთად იზრდებოდნენ, როგორც ავთანდილი და თინათინი. დავითს მისი სატრუო (თამარი და საქართველო) გამოგლიჯეს ხელიდან და მისცეს რუსის მთავარს; ამის შემდეგ, ალბად თამარის ბრძანებით, დავითი გაეცალა საქართველოს და ხუთ წლამდე მოუნდა თამარისა და საქართველოს უკან დაბრუნებას (1184—1189), ისე, როგორც

¹ ისტორიულ-გეოგრაფიულადვე განსაზღვრავს ეს ქაჯეთს; ქაჯეთი არის მულიდების ქუჩანა. რომლის მთავარი ქალაქი ალამუთი მდებარეობდა ყაზვინის ახლოს მთებში გამოქვაბულში. რომელშიაც ტარიელი ცხოვრობდა, არის სპარსთურანელთა ლეგენდების მთა დეჰამენ-და, რომელიც მდებარეობდა გურჯანის ზღვის ახლოს მახანდარანში, იქაური კაცასიონის გაყოლება.

ავთანდილი, ხუთი წელიწადი მოუნდა თინათინის დაეალებინა სრულებას. — მოეძებნა უცხო ეკა და მისი სატრუო ნესტანიო. პარალელიზმი და ანალოგია არც აქა დაცული: ავთანდილი ვერ იქნება დავით სოსლანი, რადგანაც სოსლანი მეფის, ბაგრატიონთა, შთამომავალი იყო, ავთანდილი კი არა; თინათინიც ვერ იქნება თამარი, ვინაიდან თამარი, როგორც ვიცით, რუსს მიათხოვეს, მაშასადამე, რუსის ტყვეობაში იყო, თინათინი კი არც გაუთხოვებიათ, არც ვისმეს ტყვეობაში ყოფილა, როგორც თვით ავთანდილიც ამბობს:

მეშეელი რად მინდა, მკირს არავისაგან წყლულობა
ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს, არცა სკირს ლხინ-ნაკლულობა,
ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის მორკმული ღვთისა ნებითა,
საკრძალავი და უქადრი, ლალი, არვისგან ვნებითა,
არცა რა უმძიმს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა,
მას ზედა შეელა რად მინდა, რად მექე ჩასაცა თნებითა?

თან, დავითი დაეძებს თამარს: და საქართველოს, ჯანაშვილის სიტყვით, პოემაში კი ავთანდილი თინათინს კი არ დაეძებს, არამედ ტარიელსა და ნესტანს; ავთანდილი გაკრილია საძებრად თანახმად თინათინის სურვილისა და ბრძანებისა, დავითი სხეებმა აიძულეს, თამარის სურვილის წინააღმდეგ, მოშორებოდა მას და გასცილებოდა საქართველოს.

როგორც ვხედავთ, ნამდვილი, არსებითი პარალელები და ანალოგიები არსად, არც ერთს ჰიპოთეზაში არა გვაქვს, შემთხვევითი ხასიათის მსგავსებანი კი სხვა ნაწარმოებშიაც შეიძლება იპოვოს ადამიანმა, განსაკუთრებით თუ ისეთს ძალადობას ვიხმართ შედარებისას, როგორც ამას მოყვანილი მოსაზრებანი სჩადიან. თან უნდა შევნიშნოთ, რომ ალეგორიებს შეიძლება ადგილი ჰქონდეთ ლიტერატურულს ნაწარმოებში, მით უფრო პოეტურში, მაგრამ ასეთი ალეგორიულ-მისტიკური ინტერპრეტაციები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ალექსანდრიულს ეგზეგეტიკურს შკოლაში, ბელეტრისტული ნაწარმოების გაგება-გარკვევისათვის გამოუდევარია და მიუღებელი.

ს. კაკაბაძის აზრით ვეფხისტყაოსნის პროზითი მოთხრობა, დამუშავებულია დაახლოებით 1250—1260 წლებში, წარმოშობილია ქართულს ნიადაგზე და ორიგინალური შემოქმედების ნაყოფია; ორიგინალობის დასამტკიცებელ საბუთის ხედავს იმაში, რომ 1) პოემაში გვხვდება ქართული სახელები: ავთანდილ, ტარიელ, თინათინ და 2) ზღვაში ჩაგდებული ნესტან-დარეჯანის ბედი გვაგონებს ტრადიკულს ბედს ულუ-დავითისას, რომელიც რუმის სულტანმა ყიასდინმა შთააგდებინა ზღვაში, რადგანაც მას მისი ცოლისადმი სიყვარული დასწამო.¹ არც ტარიელი და არც ავთანდილი ქართული სახელი არაა (ნ. მარრი, ი. აბულაძე), შეიძლება თინათინი მივიღოთ რამოდენადმე ქართულ სახელად, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა პოემის ორიგინალობის დასამტკიცებლად რაც შეეხება ულუ-დავითს, არავითარი არსებითი მსგავსება მის ბედსა და ნესტანის ბედს შორის არ მოიპოვება და კიდევაც რომ აღმოვაჩინოთ ასეთი მსგავსება, ეს პოემის ორიგინალობას ვერ გადასწყვეტს, ვინაიდან ნესტანდარეჯან-

1) ვეფხისტყაოსნის პრობლემების გარემო, საისტორიო მოაზრებე № 1 გვ. 150 - 151

ნის ზღვაში ჩაგდება არ არის მთავარი მოტივი ვეფხისტყაოსნის სიუჟეტისა, ის მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ეპიზოდია პოემის რთული არქიტექტონიკისა.

ამნაირად, ნაციონალისტური თვალსაზრისითაც რომ მიუდგეთ, მაშინაც ვერ ვიცნობთ ვეფხისტყაოსნის ორიგინალურ ნაწარმოებად, ვინაიდან არ არსებობს უტყუარი საბუთი იმისა, რომ იმაში გვაქვს გამოხატული თამარისა და დავით სოსლანის ურთიერთობის დამოკიდებულება და იმ დროის, თუ გნებავთ — ულუ-დავითის, საქართველოს ვითარება; მით უმეტეს, რომ სიტყვა შეეფუძვნა, რომელზედაც ეყრდნობიან ალევარიული ინტერპრეტაციის მომხრენი, არ აღნიშნავს ალევარიას, შეფარვით თქმას (ი. აბულაძე) არამედ, როგორც ნ. მარჩი განმარტავს, შეყრას, თავზე გადაყრას (смахати). შემკობას.¹

ამნაირად, ჩვენ ვამბობთ, რომ პოემა არ არის ნასესხები უცხო ქვეყნიდან ზეპირად შემოსული, თუ უცხო ენიდან ნათარგმნი, არ არის ის საქართველოს სინამდვილის გამომხატველი და ამიტომ ორიგინალური; მაშ რაშია საქმე? საქმე ისაა, რომ ერთის აზრის მიმდევარიც (ნასესხების) და მეორესაც (ორიგინალობის) ერთსადაიმევე უკიდურესობაში ვარდებიან: თხზულებაში თუ უცხო ქვეყნის ამბები და უცხოელთა ზნე-ჩვეულება აღწერილი, ის უქველად ნათარგმნი და არა ორიგინალურია (ნასესხების თეორია), ორიგინალურს თხზულებაში უთუოდ საქართველოს ამბები და ქართველთა ზნე-ჩვეულება უნდა იყოს აღწერილი (ორიგინალობის თეორია). მაგრამ, თუ მხედველობაში გვექნება, რომ ავტორს შეუძლია თავის თხზულებაში თავის სამშობლოს სულაც არ შეეხოს და უცხოელებზე ილაპარაკოს და, მიუხედავად ამისა, მისი თხზულება შეიძლება ორიგინალური იყოს, რომ ორიგინალობის დამახასიათებელი თვისება ის კი არაა, თუ საიდანაა აღებული მასალა, არამედ როგორაა ის დამუშავებული, უნდა ვთქვათ, რომ ვეფხისტყაოსანი ნამდვილი ორიგინალური ნაწარმოებია, ვინაიდან იმის ავტორს, მართალია, უცხო ქვეყნების ამბები და უცხო ზნე-ჩვეულება აღუწერია, და არა ქართული, მაგრამ აღუწერია ავითონ, საკუთარს შემოქმედებით.

პოემაში, ამბობენ წარმომადგენელი მისი არაორიგინალობისა, ნოყვანილი არაბეთში წარმოშობილი და სპარსეთში ლიტერატურულად დამუშავებული ზღაპარი, რომელიც საქართველოში შემოსულა ან ლიტერატურული გზით (ნ. მარჩი, ი. აბულაძე) ან ზეპირად (ა. ხახანაშვილი). ამის საწინააღმდეგოდ ვამბობთ, რომ არც სიუჟეტი, არც ზღაპარი პოემისა მთლიანად თუ ჩონჩხის სახით, ნასესხები არაა, ერთიკა და მეორეც, როგორც ვახტანგ მეფე ამბობს, გაკეთებულია ან შეთხზული ავტორის მიერ.

მთავარი ხაზები პოემისა შემდეგია: 1) მშენიერი, თვალწარმტაცი სილამაზით აღჭურვილი ქალი და აგეთივე ლამაზი, ფიზიკური ძალ-ღონით აღსავსე გმირი, ლომთა-ლომი ჰაბუჯი (თინათინ, ნესტან, ავთანდილ, ტარიელ!); 2) მათი ერთიმეორისადმი თავდავიწყებული, მწვავე სიყვარული, რომელსაც წინ ეღობება რაიმე არაჩვეულებრივი დაბრკოლება: საჭიროა წინასწარ მოძებნა რალაც მოჩვენების მსგავსის, დაკარგული არსებისა (ტარიელისა და ნესტან დარეჯანი-

¹) Вступительные и заключительные строфы, стр. 7, 24.

სა აეთანდღისა და თინათინის ზღაპარში), ანდა გამოსხნა სატრუოსი დევ-ქაჯე-ბისა და გრძნეულ არსებათა ტყევობისაგან (ნესტანდარაჯანის და ტარიელის ზღაპარი): 3) გადაღაბვა ამ არაჩვეულებრივ დაბრკოლებათა საკუთარი გოლიათ-ბუჰპერაზობით და ძმად და მეგობრად ნაუცი გოლიათ-ბუჰმებრაზების დახმარებით საქმარისთა გვახსოვდეს ეს, რომ დაბეჯითებით ვთქვათ, ისეთს ნიქიერს კაცს, როგორც ყოველა ავტორი ჩვენი პოემისა, აღზრდილს სპარსეთის საღვევშირო და სატრუიალო-სამიჯნურო ნაწარმოებებზე, შეეძლო თვითონ გაეკეთებია ან შეეთაზა, როგორც სიუჟეტი, ისე ამბავი და ზღაპარი ვეფხისტყაოსნისა. და ეს, უპკველია, ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან აღმოსავლურის, არაბულ-სპარსულის ლიტერატურისა და ზეპირთქმულებათა მუშტრის თვალთ კვლევა-ძიებასა და შესწავლას, რომელიც ჯერ კიდევ ვახტანგ მეექვსეს დაუწყია, ჯერ-ჯერობით ვეფხისტყაოსნის კვალი ვერსად ვერ აღმოუჩენია, ვერ აღმოუჩენია იმიტომ, რომ ის არც არსებობდა არასდროს და არც დღეს არსებობს აღმოსავლეთში. ჩვენი დებულების დასამტკიცებლად საჭიროდ მიგვაჩნია შედარება ვეფხისტყაოსნისა სპარსეთის ეპოსის ზოგიერთ ნიმუშებთან.

1) ავტორს ჩვენი პოემისას ზედმიწევნით სცოდნია ვის რამეიანი და უხვდაც უსარგებლნია მით, რაც იქიდანა ჩანს, რომ ის არაერთხელ პირდაპირ იმოწმებს მას; მაგალითად: „იგი ჭირი არ უნახავს არც რამინს და არაცა ვისსა რა ჭირიც აეთანდილს გადასწყდა ტარიელის ძებნისას; ჟატმანს ჰკლვიდა უმი-სობა, რამინისა ვითა ვისსა“, „მისნი ვერ გასძლნეს პატიენი ვერ რამინ, ვერცა საღამან“, „ნუ ეცე მიჯნურად მათებრსა, ნუმცა თუ რამინს და ვისსა“. ვის რამეიანი ჩვენს ავტორს უნდა ეკითხოს არა მარტო ქართულად, არამედ სპარსულადც, ვინაიდან ზოგიერთი ადგილები იქიდან მას ისე კი არ მოჰყავს, როგორც ქართულს თარგმანშია, არამედ როგორც სპარსულშია; მაგალითად, ერთს ალაგას ავტორი ამბობს; „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მკეეცნი მოვიდიან,

მისივე კმისა სიტკობისაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან“.

ვის რამეიანში ქართულად შესაფერისი ადგილი ასე იკითხება: „რამინ თვით ეგზომ კარგი მეჩანგე იყო, რომელ, რა რამინ ჩანგი აილის და ცემა დაუწყის, სიამოვნითა მჟურინველთაცა სულნი დაილიან“ (გვ. 165). აქ რამინის სიმღერის სიტკობებს მჟურინველნი განიცდიან, ვეფხისტყაოსანში კი აეთანდღის სიმღერას განიცდიან ქვანი, ასეა გადმოცემული ეს ადგილი სპარსულ ვის რამეიანშიც: „როდესაც დროგამოშვებით რამინი ჩანგზე სიმღერას დაიწყებდა, წყლის ზედაპირზე ქვები ამოდიოდა.“¹

მსგავსება ვეფხისტყაოსანსა და ვის რამეიანს შორის ჩანს. სიუჟეტში, შინა-არსის ზოგიერთ დეტალებში და გარეგან ფორმაში. სიუჟეტის მხრივ, ჩვენს წინ არის 1) ვისო, რომელიც იმდენად მშვენიერია. რომ „მზესა და მას შუა საცილობელი შეიქნა, თუ რომელ რომელიაო“ (გვ. 13), ისე, როგორც თინათინ „სოჯლისა მნათი მნათობი მზისათა დასთა დასული“, რომლისაგან „მზე საწუნარია“ და რომელიც „მზესა სწუნობდა.“ 2) რამინი ისეთივე ლამაზი, ლაღი, ახოვანი, მოსპარეზე და მონადირეა, როგორც არიან აეთანდილი და ტარიელი, რამინსა და ვისოს აერთებს ისეთივე მწეავე, თავდავიწყებული და უსაზღვრო

1) Н. М а р р е, Грузинская поэма витязь въ барсовой шкурѣ, стр. 120-121.

სიყვარული, როგორც თინათინსა და აეთანდილს, ნესტანსა და ტარიელს. მართალია, ზნეობრივი ღირებულებით და სიფაქიზით მათი სიყვარული განირჩევა ვეფხისტყაოსანში დახატული სიყვარულისაგან, მაგრამ ინტენსივობით ის მაგალითი გამხდარა ჩვენი პოეტისათვის, რომელიც მას, როგორც დაინახეთ, შესაძარებლად იყენებს ხოლმე. რაჰინსა და ვისოს ჰყოუს მეტად დიდი დაბრკოლება: ვისო იმყოფება შაჰინ-შაჰის ზნეობრივ ტყვეობაში, როგორც ცოლი მისი, იმყოფება ფიზიკურს ტყვეობაშიც: შაჰი მას ამწყვედევს აშქუფთიდეენის ციხეში „ეზომ მალალსა მთასა ზედა, როჰე თავი ცამდი იყო“ (გვ. 181), ხუთი კარი დაკეტა და ურისცივი მცეელები დააყენა. ამ დაბრკოლებას რაინინი გადალახავს როგორც თავისი მამაცობითა და მოხერხებით, ისე მეგობრების რჩევით, დაბმარებით და თანაგრძნობით, და ვისოს უერთდება ხოლმე როგორც სპორადულად, ისე საბოლოოდ და სამუდამოდ შაჰის სიკვდილის შემდეგ. მაშასადამე, სიუჟეტის მხრივ ანალოგია ამ ორ ნაწარმოებთა შორის თვალსაჩინო და ცხადია.

შინაარსის დეტალების მხრივ ყურადღებას იპყრობს შექმდევი მსგავსებანი:

1) ვისო და რაინინი „ერთსა ქუეყანასა შიგან (ხუზისტანს) იზრდებოდეს, ვითა ერთსა ბალსა შიგან ორნი ყვაილნი“ (გვ. 9); „რაინინი სიყმაწვილითიგან მიჯნური იყო ვისოსი: ოდეს ორნივე ხუზისტანს იზრდებოდეს ძიძისასა, მაშინ ყმაწვილსავე შეჰყვარებოდა ვისო, მაგრამ ვერ გამოეცხადა და გულსა შინა ჰქონდა“ (გვ. 39—40). ამნაირადვე, აეთანდილი იზრდებოდა როსტევეანის სახლში თინათინთან ერთად და „და გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;“ ერთად იზრდებოდენ პატარაობიდანვე ტარიელიცა და ნესტანდარეჯანი.

2) როდესაც რაინინი მიჰყვებოდა მოტაცებული ვისოს კუბოს, „ანაზღად ღმრთისა განგებისაგან აღდა დიდი ქარი და მოგლიჯა კუბოს სახურავი ფარდაგი. თუ სთქუა, ღრუბლებისაგან ელვა გამოჩნდა, ანუ ანაზღა მზე ამოვიდა, გამოჩნდა ვისოს პირი და მისისა გამოჩენისაგან დატყუევდა რაინინის გული. თუ სთქუა, გრძნეულჰან მოწამლა რაინინი, რომელ ერთითა ნახვითა სული წაუღო.“ ის მაშინვე ცხენისაგან ჩამოვარდა და მიწაზე იღვა დიდხანს, პირი გაუყეითლდა; ყველანი, დიდებულნი და მოკმენი, ხოჯები, რომელნიც კუბოს მიჰყვებოდენ, გარს შემოვხვიენენ, სტიროდენ, სურნელს უქმედენ და ვარდის წყალს ასხამდენ, მერე კაცთა სირცხვილით კუნესა დაიწყო, ენის ხმარების ძალა მოეცა, ცხენზე შეჯდა და გაუმჯობესობა დაეტყო (გვ. 50—51). ეს ეპიზოდი თითქმის სიტყვა-სიტყვითაა გადმოტანილი ვეფხისტყაოსანში: ტარიელმა შემთხვევით დაინახა ნესტანის სახე, როდესაც კარის ფარდაგი ასწია ასმათმა; იმჟამსვე ის დაბნდა და უსულოდ დაეცა მიწაზედ, გადაიტანეს უგრძნობლად სასახლეში, იქ მას შემოვხვიენენ ყველანი, მეფე-დედოფალი, დიდებულნი, მეურნი და მულიმნი, სტიროდენ, ულოცადენ, წყალს ასხამდენ. სამი დღე უსულოდ იდგა, მერე ცოტათი გონებას მოვიდა, შეშინდა, — „აქა ყოფნა გამამეღავენებსო,“ შეჰოიკრიჟა ძაღლონე და მოითხოვა ცხენზე შეჯდომა, რამაც გაუმჯობესობა შეიტანა მის მდგომარეობაში.

3) ვისრამიანში ნათქვამია, რომ მიჯნურობის ხის ნაყოფა ველად გაქრა და გახელება (გვ. 50); პოემაში ნათქვამია:

თუ მიჯნური ვარ, ერთი ეკამ ხელი მინდორთა მე რებად,
 არ მარტო უნდა გაქრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად,
 გაქრა კელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად,
 ასრეა ესე სოჟელი, შეჯერდი კელა შეჯერებად!

მართლაც, რამინი გახელებული და გაქრილია: „არა ჰქონდის მოსვენება: არცა დღისით და არცა ღამით, ვითა ხელი ცურვიდის, ვითა კანჯარი და ვითა ველური თბა კაცთა ფრთხებოდის... სადაცა წალკოტსა შიგან ვარდსა ჰპოვის: მისისა პირისა მიმსგავსებისათვის მას კოცნიდის... ეზომ სისხლის ცრემლითა ტიროდის, რომელ მუკლთამდის ტალახსა შიგან ჩაეფლის. მისსა თვალსა დღე ნათელი ბნელად იყვის... მიჯნურობისა ჰირისაგან სულნი ბაგემდის მოსლვოდეს და მიწყით თავისა სიცოცხლისა და მოყურისაგან იმედგადაწყვეტილი იყვის. მეტისა გოდებისაგან მთურალთა და ხელთაებრ უცნობო იყვის“ (გვ. 68—69). გაქრილი და გახელებულია აგრეთვე მოაბად შაჰიც: ის ვისოს საძებნელად წავიდა, თან წაიღო და წაიტანა ერთი ხმალი და ერთი ცხენი, რომელნიც ყველაფერს ერჩია. „ქუ ყანათა შიგან მარტო იარებოდა, მოიარა ყოველი პირი მიწისა: ოქერი და შენი, ზღუა და კმელი.... ვისის ნიშანსა და ამბავს იკითხავდა, ვერცა თუილ მიხუდა და ვერცა არა მისი ნიშანი სხუაგან ესმა. ზოგჯერ არწივისაებრ მათათა და კლდეთა ზედა იარებოდის, ზოგჯერ გარე-თხისაებრ მინდორთა შიგან იყვის, ზოგჯერ გუელისაებრ კურულთა შიგან იყვის, არ დარჩა ადგილი, სადამცა არა ეძებნა. ხუთსა თუესა ვითა ხელი და მტერიანი ცურვიდა ვისის გზათა უკანა: ზოგჯერ სიციხითა მისქირდის, ზოგჯერ სიცივითა თაეუწვეარ იქმნის“ (გვ. 155—156). ეს ხომ ის სურათია, რასაც ვეფხისტყაოსანშიაც ვკპოულობთ: გაქრილი ტარიელი, თავის ცხენისა და ხმლის ამარა, მუდამ მტირალი, ადამიანებისაგან კიდევანქმნილი, მხეცებთან ერთად ტყეში, გამოქვაბულში და შამბნარში მოხეტიალე და მცხოვრები, შველისა და დახმარებისაგან იმედწარწურული, რომელიც მზადაა ვეფხის სახე დაუკონოს, რადგანაც ის მას სატრფოს მოაგონებს. აქ ხომ იგივე სურათია ტარიელისა და ავთანდილისაგან ნესტანის ძებნისა ხმელეთსა და ზღუაზე, მინდორსა და ტყეში, უდაბნოსა და ხურელში, სურათი ასეთი, ფერადებით გადაშლილი ნიჭიერი პოეტის მიერ!

4) ვისოსა და რამინის შუამავლად და დამხმარედა ჰყავთ ძიძა, რომელსაც მათ გაანდვეს თავისი საიდუმლო; მაღლიერმა რამინმა მას შესთავაზა უთვალავი თულამარგალიტი და ძვირფასეულობა, რომელთაგან ძიძამ „ერთი ბეჭედი აიღო იადგრად და სხუა არა დაიკირა“ (გვ. 109). ტარიელსა და ნესტანსდარეჯანსაც აერთებს ასმათი, მათი მესაიდუმლე; ტარიელი გვიამბობს, რომ —

ასმათს მივართვი რჩეული თუალი ოქროსა ჯამითა,
 მან მითხრა: არა, არ მინდა, ვარ გამაძლარი ამითა:
 ერთი აიღო ბეჭედი, მართ აწონილი დრამითა,
 ესე კმა ნიშნად, სავსე ვარ სხვას კელის შესაბამითა.

5) რამინისა და ვისოს გამეფების შემდეგ სპარსეთში დამყარდა სრული ბედნიერება; „საცა ქუეყანანი აოკრებულნი იყვნენ, რამინის ბრძანებითა შენდეს, ათასი ქალაქი უფრო ააშენა და სოფელი. გარნალამცა ავისმოქმედნი

ამოსწყუთინა და დაკოცნა... და დასცალა ქუეყანა აეისმოქმედთა და გზის მღეწელთაგან. ეზომი ოქრო და საქონელი გასცა, რომე ძვირთა სახელი ამოჰკოცა. ყოველსა ქუეყანასა დააეიწყდა პირველი კირი და უსამართლობა, ყოველნი გალხინიანდეს, მთხოელნი გამდიდრდეს, მცხუარნი მგელთა თანა ძოვდეს“ (გვ. 451). ასე იქცეოდენ ვეფხისტყაოსნის სამნი გმირნი-მეფენი:

ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოჯალსა მოათოვდეს;
ობოლ-ქვირენი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
აეთა მქნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს.

6) ვისრაჰიანი იწყება ასე: „იყო დიდი და მაღალი სულტანი ტულღურ-ბეგ ქუეყანასა ხეარასნისასა და ადრაბადგანისასა, ლაშქარმრავალი, მოვლენილი, მორკმული და აღსრულებული ყოველსა სპარსეთსა ზედა“. (გვ. 1). გამეფებული რამინი აძლევს ღმერთს აღაქმას, რომ იგი იქნება მოსამართლე, მდაბ. ლი, ღმრთისმოშიში, მართლისმეტყველი, სიზართლისმძებნელი, გლახაკთა დაუპირველი და მოწყალე“ (გვ. 418). ამის გამოძახილი უნდა გვქონდეს ვეფხისტყაოსნის შემდეგს ტაეპში:

იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან სეიანი,
მაღალი, უხეი, მდაბალი, ლაშქარმრავალი ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორკმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კელაჲ მოუბარი წყლიანი.

7) რამინი ჩადიოდა ხოლმე შაჰინ-შაჰის ბაღსა, იქ სტიროდა, ტრიალბ-და, თვითეულ ხეს იხდიდა მოწმედ თვისი გრძნობისა; აქვე ხედებოდა ის ძიძას, გებულობდა მისგან ვისოს ამბებს და მოლაპარაკებას აწარმოებდა მასთან (გვ. 69 და სხვ.). ტარიელიც შედის ხოლმე ფარსადანს ბაღში და იქ ნახულობს ნესტანისაგან გამოგზავნილს ასმათს, აქ ეხვეწება ის—მომიტანე ხოლმე შენ ამბავი და წერილი ნესტანისაო.

8) ვისომ აღინას ხელით რამინს, მეათე წერილთან ერთად. გაუგზავნა თავისი პერანგი და თავსაბურავი; „რა რამინ ვისის ნიშანი დაინახა, ვითა ცხროიანი ათრთოლდა, დაბნდა, ცნობათა მიჰკდა, წიგნი კელთაგან დაეარდა. მერმე რა გუნებად მოვიდა, წიგნსა წაიკთხვა დაუწყო... ზოგჯერ პირსა დაიდვის და ზოგჯერ მკერდსა“ (გვ. 337--338). აგრეთვე ნესტან-დარეჯანი ტარიელს, ქაჯეთის ციხიდან, წერილთან ერთად, უგზავნის „რიდეთა ნაკვეთს“, ტარიელიც ნესტანის წერილს „იღებს თვალბზე“, ხოლო ქაჯეთიდან მოწერილი „პირსა დაიდვა“.

9) ნესტან-დარეჯანის წყრომითი ბაასი ტარიელთან იმის გამო, რომ უკანასკნელი დაესწრო თათბირს, რომელზედაც გადასწყდა ნესტანისათვის საქმროდ ხეარაზმშას შეილის მოყვანა, მოგვაგონებს ვისოს და რამინის წყრომით გაყრას (გვ. 247—8), აგრეთვე რამინისა და მისი ცოლის გულის შორის მომხდარ სცენას, როდესაც გულმ გავიგო, რომ რამინს ვისოსთან განუზრახავს დაბრუნება.

10) ფრიდონის გეგმა ქაჯეთის ციხეში შესღვისა, თოჯზე, ვით მუშაითი, გადმოღებულთა რამინის ნამოქმედარისაგან, რომელიც თოჯზე შევიდა აშქუფთი-დეენას ციხეში (გვ. 194).

11) რამინმა რომ მოაბადის სასახლე და ციხე აიღო, ყოველგვარი თუალი, მარგალიტი, ოქრო და სტაურა აჰკიდა აქლემებს, ჯორებს, სპილოებს და ისე გამოიტანა იქედან; დააცარიელა საკურკლე ისე, რომ ერთი სტაურა და ერთი დრაკანი იქ აღარ დაუტოვებია; ვისო ჩასვა თუალითა და მარგალიტითა მოკაზმულსა კუბოსა და გამოიყვანა იქედან (გვ. 442). ტარიელმა და მისმა მეგობრებმა ქაჯეთის ციხე რომ აიღეს,

მოჰკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით ჰპოვეს მალეში,
სამი ათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალეში,
თუალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები,
იგი მზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები.

12) გამეფების შემდეგ რამინმა „სამადლობელად გლახაკთა ზედა მისცა“ (გვ. 449) და ყველა თავისი დამხმარენი, მეგობარნი და კეთილისმყოფელნი დაასაჩუქრა: „ტაბრისტანი უბოძა ბასანელს როჰამს, რე ქალაქი ბეგოს, გურგანი აღინას, ამირსპასალარობა ვისოს, და მსახურთუხუცესობა შეროს; თუითო ქუეყანა თუითოსა აზნაურსა მისცა და თუითო ქალაქი თუითოსა ყმასა“. მერე წავიდა ხვარასნისაკენ, ყველა მათ გზაზე ეგებებოდა, თუალსა და მარგალიტს ასხამდენ მათ და ყოველი ენა მათ აქებდა. მარავს შესრულთ ქორწილი გადაუხადეს; „მუტრიბნი მათს ქებას დამღეროდენ, აქმევდენ აღვასა და ამბარსა, აყრიდენ ყოვლგნით ოქროსა და ვერცხლსა, თვალსა და მარგალიტსა“ (გვ. 449-50). მადლიერმა ტარიელმაც ყველა მისი კეთილისმყოფელი დიდად დაასაჩუქრა: „გლახათათვის საბოძეარსა საკურკლესა ერთგან ჰყრიდეს“, ზღუათა მეფეს უძღვნა სრულიად ქაჯთა სამეფო, ფატმანს—ქალაქიდან წამოღებული საკურკლე, ფრიდონს—ყველა ის საკურკლე, რაც მან დევებს წაართვა ქვაბებში, ასპათს—ინდოეთის მეშვიდედი ნაწილი; მერე, ინდოეთს გამოზრუნებულნი, ისინი დიდი ამბით მიიღეს, დასვეს ტახტზე და ქორწილი გადაუხადეს.

13) მოაბად შაჰმა რამინი აბანოში გაგზავნა და მერე იქ გაუჯავნა სხვადასხვაგვარი მდიდარი ტანისპოსი (გვ. 413-14), ასე დაემართა აეთანდილსაც:

გათენდა, ბანად წავიდა მზე, სოფელს შუქნაკიდები,
დიაცმან უძღვნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდეები,
მრავალი ფერი სურნელი, ტურფა, პერანგი წშიდეები,
რაცა გწადდესო, ჩაიცვი, მე ნურას ნუ მერიდეები“.

14) რამინი სწორუპოვარი მომღერალი და დამცარელია ჩანგზე; ჩანგით ერთობა აეთანდილი, აგრეთვე სხვა პირებიც ვეფხისტყაოსანში.

როდესაც გარეგანი, ფორმის მხრივ ვადარგუთ ვეფხისტყაოსანსა და ვისრამიანს, ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას:

1) ვეფხისტყაოსანი, ისე, როგორც ვისრამიანი, დაყოფილია თავებად და ამბავად.

2) ვეფხისტყაოსანში ძალიან ხშირად, თითქმის ყოველ ნაპიჯზე, ეხედვით სენტენციებსა და აფორიზმებს, ისე, როგორც ვისრამიანში აქიმას, შეგონებას და არაკს; რაც უფრო მნიშვნელოვანია, სენტენცია-აფორიზმები ამ ორი თხზულებისა დიდად წააგავს ერთიმეორეს, რაც შემდეგიდანაც ჩანს:

ვეფხისტყაოსანი:

- ა) კაცსა მიხედეს საწადელი, რაც ეძებ-
დეს უნდა პოვნა,
მაშინ მივან აღარა კამს გარდა-
სრულთა ქირსა ხსოვნა.
(ტ. 168).
- ბ) შიში ვერ იქსნის სიკუდილსა, ცუ-
დია დაღრეჯილობა;
არას არგებს სიმძიმელი უსარგებლო
ცრემლთა დენა.
(ტ. 732)
- გ) სმა-ქამა დიდად შესარგი, დება რა
სავარგულია,
რასაცა გასცემ შენია, რაც არა და-
კარგულია.
(ტ. 19).
- დ) ეის არ უნახავს პატიენი, ვისთვის
ვინ არა ბნდებიან...
არ იცი, ვარდი უეკლოდ არაეის
მოუკრებიან?
ვარდსა ჰკითხეს, ეგზომ ტურფა რა-
მან შეგქმნა ტანად, პირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი, პოვნა
შენი რად არს ჰირად?
რადგან ვარდი ამას იტყვის, უსულო
და უსასკო,
მაშა ლხინსა ვინ მოიმიქის პირეულ
ჰირთა უმუშაკო?
(ტ. 812 - 814).
- ე) განგებასა ვერვინ შეცვლის, არ საქ-
ნელი არ იქნე'ის.
(ტ. 119).
- ვ) მიჯნური მტერთაცა შეებრალების
(203)
სდევს მიჯნურსა ფათერაკი, საწუთ-
როსა დაანაღლეებს. (850).
- ზ) გველსა კურცლით ამოიყვანს ენა
ტკბილად ზოუბარი. (376).

ვისრამიანი:

- „ასეთია გული ადამის ტომთა, რო-
მე გარდასრულისა. ჰირისა ლხინსა
შოგან დამეიწყებელია“. (გვ. 232).
- „უსარგებლოა ცუდი დაღრეჯა“.
(გვ. 217).
- „გაიბარენ. სეი და ჰამე, გაეც, რო-
მელ სახელი დაგრჩეს“. (გვ. 35).
- „ვინცა ეარდსა დასთესავს და მოჰ-
კრებს, ხელსა ეკალიცა დაესობის“
(გვ. 238). „შენ, გულო, მეწალკოტესა
არა უარე ხარ, არცა იგი. შენი სა-
გონებელი, ვარდისა ხესა უარეა: მას
ჰხედავ, თუ რა დაჰკრგოს, რაჯომსა
ჰირსა ნახავს მოკრეთამდინ“ (გვ. 299).
„საწუთროსა რაოდენჯერცა გამოს-
ცდი, მიწყით ასრეა, რომელი ლხინი
მისი უჰიროდ არ იქნების, ვარდი მი-
სი ეკლიანია და ლხინი ჰირიანი, მი-
ჯნურობა ფათერაკია და სარგებელი
მისი—ზინია“, (გვ. 441).
- „ღმრთისა განგებასა ნუ ეინ ემკლა-
ვების, ამით რომელ მოწეენადსა ვერ-
ვინ შეაქცევს“. (გვ. 59).
- „სჯობს თუ ყოველსა კაცსა მიჯნუ-
რი ებრალეოდეს“ (გვ. 53). „მიჯ-
ნურსა ტირილი გამოაცხადებს და აე-
ად მოუხდების: ცხადსა მიჯნურსა
დია ფათერაკი სდევს“. (გვ. 93).
- „ლონითა კურელთავან გუელსა გა-
მოიყვანებენ, შელოცვითა დაამშვი-
დებენ“. (გვ. 80).

ც) კარგი საქმე კაცისა ზედა აზომ თურ-
მე არ წაკდების. (373).

„დასტურობით იცოდე, კარგისა ქმნა
არ წაკდების“. (გვ. 360).

„კარგისა მოქმედობა კაცისა ესრე
არ წაკდების“. (გვ. 450).

თ) სჯობს სახელისა მოხუცეა ყოველსა
მოსახუეველსა. (376).

„კაცისათვის უკეთესი საქმე არის
სახელისა ძებნა“. (გვ. 61).¹

3) ვეფხისტყაოსანში გვხვდება ისეთივე პოეტური ფიგურები და შედარე-
ბანი. როგორც ვისრამიანში, მაგალითად:

რა უამეა პირისპირ საყუარელისა ქვრე-
ტისა. (425)!

„რა უამეა მოყუარეთა ერთგან შე-
ყრისა“. (გვ. 330).

ამოა ქვრეტა ტურფისა, სიახლე საყუა-
რელისა. (85).

„დიჯლისა ოდენი წყალი ეგრეცა
გარდმოვიდის შენთა თვალთაგან“. (გვ. 80).

მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან, მსგა-
ვსად დილაჯის დენისად. (769).

დიჯლადცა კმარის, მას რომე თვალთა-
გან ცრემლი სდენია. (785).

ვერ გადვიხდი ცრემლთა მისთა, ჯეჰა-
ნიცა თვალთა მდინდეს. (187).

ამგვარი შედარება ვისრამიანში მე-
ტად ხშირია.

განმეორებულა ვისრამიანში აგრეთვე ასეთი შედარებაც: „მას თეარსა
ყელსა ეხვიენეს გრძლად თმანი არ უქშირონი“ (87).

4) არის დიდი მსჯავსება ფრაზეოლოგიასა და ლექსიკაშიც, მაგრამ მათი
აღნიშვნა შორს წაგვიყვანდა.

როგორც ვხედავთ, ვეფხისტყაოსნის აეტორს გაუმეორებია ვისრამიანის
სიუჟეტი, მოთხრობის ზოგიერთი ეპიზოდები და დეტალები, სენტენცია-აფო-
რიზმები, პოეტური ფიგურები და ფრაზეოლოგია; მასმასადამე, მას განუცდია
დიდი გავლენა ამ ნაწარმოებისა.

II. მეორე ნაწარმოები, რომელსაც უფრო მეტი გავლენა მოუხდენია ჩვენს
პოეტზე, არის ამირან-დარეჯანიანი. ამ ნაწარმოებში ჩვენა გვაქვს სა-
მნივე ის მომენტი ვეფხისტყაოსნის სიუჟეტისა, რომელნიც ზემოდ დავასახელებთ;
აქ არიან მხეთუნახავი ქალები და ლომთა-ლომი კაბუეები. რომელთაც ერთმა-
ნეთი თავდავიწყებით უყვართ, მაგრამ მათი გრძნობების დაკმაყოფილებას წინ
ელობება საშინელი დაბრკოლებანი. ასე, მაგალითად, რომანში გამოყვანილია:
1) ზღვათა მეფის ასული, რომელიც უფარს ბადრი იამანიძეს, მაგრამ მის გა-
მოსაყვანად მას უხდება ბრძოლა მრავალ კაბუეებთან, გავლა „მრავალთა და
დიდად მარცხთა საბრძოლველთა გზათა, რომელ არა ეგების მას გზასა შე-
სლვა“ (ამირან-დარეჯანიანი; ზ. კიკინაძის გამოკვება, გვ. 13). 2) მნა-
თობო-მნათობი ხვარაშანი, რომელსაც გამიჯნურებია ისეთი გოლიათი, როგო-
რიცაა ამირან დარეჯანისძე და რომლის გამოსაყვანად მას უხდება თილისმათა

¹ ეს სენტენცია-აფორიზმები იხ. ი. აბულაძის შრომაში: მე-XII ს. ქართული საერო
მწერლობა და რუსთაელის ვეფხისტყაოსანი, გვ. 45-50. ტაეების სათვალავი მოყვანილია
ი. აბულაძის გამოკვებით.

ქვეყანაში შესლვა გრძელისა და ძნელი გზით, გადალახვა მრავალი თილისმა-გრძნეულებისა და ბრძოლა სწორუპოვარ ქაბუკებთან. 3) ქენთა მეფის ასული, თვალწარმტაცი სილამაზის პატრონი, რომელიც ისეთ ციხეშია დამწყვდეული ერთს კუნძულზე, რომ მას კაცობრივი ძალი ვერ შეებრძოლება, თან, იქ რომ კაცი მივიდეს, საჭიროა სიარული გრძელი და ძნელი გზით, რომელსაც გრძნეულთა გზა ეწოდება (გვ. 158). ეს ქალი უყვარს ისეთს ახოვან ქაბუკს, როგორცაა სეფედაელე დარისპანისძე; მას უხდება არა მარტო ამ სიძნელის გადალახვა, არამედ აგრეთვე ბრძოლა სწორუპოვარ ქაბუკებთან, მრავალრიცხოვან ლაშქართან და დევებთან. 4) პირმზე, ხაზართა მეფის ასული, რომელიც მოიპარეს და დაამწყვდიეს ქვაბში გრძნეულთა ქვეყანას; არცა მისელა ეგების და არცა გამოყვანა, თუმცა ყოელისა ქუეყანისა გმირნი და გოლიათნიცა ერთად შეიკრიფენ (გვ. 210). ეს ქალი შეპყვარებია სწორუპოვარ გმირთაგმირს მზეკაბუკს, რომელსაც მის გამოსაყვანად უხდება ბრძოლა გზის სიძნელესთან, თილისმა-გრძნეულებასთან, დევებთან და გოლიათ ქაბუკებთან. დასახელებული მიჯნურები მათ წინაშე აღმართულ სიძნელეს სძლევენ არა მარტო თავისი გამპრობით და გოლიათობა-ბუმბერაზობით, არამედ ძმადნათეცი და თავდადებული ქაბუკებისა და მოყმების დახმარებით. არ შეიძლება ამასთანავე ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ ამ მიჯნურთა ამბავიც გადაბმული და დაკეშირებულია ერთიმეორესთან, როგორც ავთანდილ-თინათინისა და ტარიელ-ნესტანისა, თუმცა, მართალია, არა ისე სიმეტრიულად და ისე მტკიცედ, როგორც ჩვენს პოემაში.

ეხლა, თუ შინაარსს გადავავლებთ თვალს, ჩვენ შევხვდებით მთელი ვეფხისტყაოსნის ზღაპრის ჩონჩხის აღდგენას ამირანდარეჯანიანის მიჯნურთა ამბებიდან.

ვეფხისტყაოსანი:

იყო არაბეთს მეფე როსტევეან... მორკმული, განგებიანი. სხვა ძე არ ესეა მეფესა, მართოდენ მარტო ასული, სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული. მეფემ მოიხმო ვეზირები, გვერდს დაისხნა ისინი და უთხრა: მე გადავსულეარ, სიბერე მჭირს... ღმერთმან არ მომცა ყმაწვილი და ამიტომ ჩემი ქალი უნდა დაესვა ტახტსო; მერე ქალს უთხრა: ასულო, დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს... დაუდგეს საჯდომი-ტახტი ფასუთქმელი.

ნადირობის დროს როსტევეანი შეხედება ვეფხისტყაოვით მოსილ ქაბუკს; მისი ამბის შესატყობად გაგზავნის კაცებს. რომელთაც უტხო ყმა გასწყვეტს და უკვალოდ გადიკარგება. მეფე ნადირობი-

ამირანდარეჯანიანი:

იყო ინდოეთს მეფე აბესალომ, მორკმული, განგებიანი. (გვ. 3)... მოიხმო ზღვათა მეფემან დიდებულნი თვისნი და დაჯდა; მიუგზავნა ასულსა თვისსა კაცი, ვითა შვილო, მე დაბერებულეარ და შენა ხარ მკვიდრი სამეთოსა ჩემისა და არა მიეის შენგან კიდე სხვა ძე (გვ. 22)... პირმზე ასული მისი ვნახეთ და ვთქვი, თუმცა: არ არს ხორციელი, თუმცა მზე არსო (გვ. 23)... ვფიცავე ღმერთსა ცხოველსა, მზე მას ვერა სჯობდა (გვ. 25); შეუმკეს ტახტი მნათობი და მას ზედა დასხდენ (გვ. 26).

ნადირობის დროს აბესალომი შეხედება სახლს, რომელზედაც სწერია

ჯან დაბრუნდება დაღრეჯილი, აღარ ას-
პარეზობს, ყველაფერს თავი მიანება. „ს
საწოლს შევიდა სევდიანი, მას შეჰყვა
მხოლოდ სპასპეტი ავთანდილი.... აგრე-
თვე ქალმა მოახსენა: თუ ის ყმა ხორ-
ციელი არსებაა, მას ნახვიდა სხეუც ეინ-
მე, გაგზავნე კაცი ყოველგან მისი ამბა-
ვის მცნობელი. მართლაც გაგზავნეს კა-
ცები, რომელთაც ერთი წელიწადი ია-
რეს, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგეს; ამის
შემდეგ საძებნელად მიდის თვით სპას-
პეტი ავთანდილი, რომელიც სამი წლის
ძებნის შემდეგ მიაგნებს ქაბუკს, გაიგებს
მის ვინაობას და სიყვარულის ამბავს,
გაიგებს, რომ მისი სატრფო ვატაცე-
ბული ჰყავთ ზანგებს-ქაჯებს; ამიერიდან
უკვე ის შეუდგება ნესტანის ძებნას.

დიდი ხნის ძებნის შემდეგ, როდესაც
ავთანდილი ოთხი მონით ზღვის პირას
იყო, ქედიდან დაინახა, რომ მოქარაენ-
ნი ზღვის პირასა დაყრით დგეს შექირ-
ვებულნი; მუნ ქარაენი ჟრიცხვი იდგა
ზღვის კიდესა. მათ ავთანდილს ქება შე-
ასხეს, ავთანდილმა ჰკითხა: ვაჟარო,
ეინ ხარო? ქარაენის. უხუცესმა, უსამმა,
ნოახსენა მას ხოტბა და მერე შეჰკად-
რეს: შენ მოხვე ჩენი მლხენი, ჩამოხე
და ნოგახსენოთ ამბავი და საქმე ჩენიო.
გარდახდა, ჰკადრეს: ჩვენ ვართ მობალ-
დადენი ვაჟარნი, ზღვათა მეფისა ქა-
ლაქსა გარდნონაქარნი; აქ ვპოვებ ერთი
კაცი, რომელმაც გვითხრა, რომ ქარაენ-
ნი ეგვიპტით გამოვემართენით, ზღვასა
შეველეთ, მუნ მეკობრეთა დაგვხოცეს
ძღვისა სახნისითა. ესაა მიხეზი ჩენი აქ
დგომისა, არ ვეცით, წავიდეთ თუ აქ
ვიდგეთო. ავთანდილმა უთხრა: მე მიეინ-
დობ სისხლსა თქვენსა; მოქარაენენი აივ-
სნენ სიხარულითა, ჩასდნენ ნავში და
შესცურეს ზღვაში, მათი ბაღრაგა ავთან-

სახელი ამირანისა; სახლის გარშემო
მინდორი მოუენილია დახოცილი კა-
ცებისა და ცხენების ლეშებით, რომ-
მელნიც ამოწყვეტილი ყოფილან ამი-
რანის მიერ. მოისურვებს გაიგოს მისი
ვინაობა, მაგრამ ვერაფერს ვერ შეიტ-
ყობს. ნადირობიდან დაბრუნების შემ-
დეგ ის მიეცემა უფროსსა შექირვე-
ბასა: აღარცა გავიდა სანადიროდ,
და აღარცა გადიხადა ნადიში. შევიდა
ჯაზირ, ვეზირთა უხუცესი, და მოახ-
სენა: გაგზავნეთ კაცნი ქალაქთა სპარ-
სეთისა, ნუ თუ ვინმე ყმა დარჩომილ-
იყოს ამირანის და მით ესცნათო. გა-
გზავნეს კაცნი სპარსეთისა და ყოველსა
ქვეყანასა შინა, წარმავალთა დაყენეს
უამნი მრავალნი (გვ. 3—8) უშუდე-
გოდ. მხოლოდ ორმა მათგანმა მიაგნო
საეარსიმიძე, ყმა ამირანისა, რომელ-
მაც მათ უამბო ამირანის ისტორია.
ამირანს სწევას მზეთუნახავის ხვარეშ-
ნის სიყვარული, მაგრამ, სამწუხაროდ
ის იმყოფება თილისმათა და გრძე-
ულთა ქვეყანაში, სადაც ძნელია შეს-
ვლა. ამირანი წავიდა მის საძებნელად
და გამოსაყვანად თავისი ერთგული
მონებით და მოყმებით.

დავინახეთ ხეეში დგას ქარაენი
ჟრიცხვი; მოგვეგებენ წინა ყოველ-
ნივე და თავყვანისცეს ამირანს და შე-
გავსზიდნენ ქებასა. ჩვენ მოქარაენენი
ვართ, ბრძანეთ და გარდმოხედით ჩვენ-
სა ლარსა შინა და მოგახსენოთ ამ-
ბავი ჩენიო. გარდავხედით კარავს
უხუცესისა მათისა; მოქარაენეთა უხუ-
ცესი აბრაამი მოიხზო ამირანმა და
ჰკითხა: ეინა ხარ შენა, ანუ ვისი არს
ესე ქარაენიო? მან მოახსენა: ჩენი აჯა
ეს არს: ბასრელნი ქარაენენი ვართ,¹
მოვლივართ ინდოეთიდან, აქ იმიტომ

1) როგორ ასეთს შემთხვევაში დასახელებული არიან მოქარაენენი ბალდადელნი და
მეგობრული. გვ. 138, 144.

დილი იყო. გამოჩნდა ნაეი მეკობრეთა ძელზე სახნისით, მეკობრენი ჰკიოდენ და მოდიოდენ. ქარაევანს შეეშინდა, აეთანდილმა უთხრა მათ: ჩაიბრჩენით კარნი, თქვენ, ვაჰარნი, ჯაბანნი ხართ, ომის უმეცარნი, მაგათ მე გაუსწორდებით. მან შეანარცხა მათი ნაევები ერთმანეთს და სულ მუსრი გააელო ყველას. ზღვა გაიარა აეთანდილ, ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბალისა ტევრითა, გვარად უცხონი ყვაილნი, ფერიოთა ბევრისბევრითა, მის ქვეყანისა სიტურფე რა გაიგონო შენ რითა?

ზღვათა სამეფოში აეთანდილი მიიღო ეაჰართა უხუცესის ცოლმა ფატმანმა, შავგერემანმან, რომელიც უმეგობრდება მას. ჩაჩნაგირმა რომ გაიგო მათი კავშირი, ემუქრება ფატმანს: ბოზო დიაყო, ვარ შენთა შვილთა შენითა კბილითა დამაქმეელად! ფატმანმა მოაკვლევინა ჩაჩნაგირი და მერე უამბო აეთანდილს ნესტანდარეჯანის ამბავი. ნესტანი ქაჯებს შეუპყრიათ და მიუელას ციხეში ჰყავთ დაპატიმრებული. ქაჯეთის მეფეს ის უკვე დაუწინდავს საცოლოდ როსანისათვის. ფატმანი შიკრიკის ხელით მიაწვდის წერილს ნესტანსა და სოხოვს, მანდაური ამბავი შეგვატყობინეო, შენდა გამოსასხნელად მოყმენი მოვიდენო. ნესტანი ატყობინებს თავის აუტანელ მდგომარეობას, აგრეთვე იმასაც, თუ ვინ სცავეს მას, ან როგორი შესავალია, მის კოშკში.

ეთანდილი, ტარიელი და ფრიდონი მიდიან ჯარით, ამოსწყვიტენ კოშკის მცველებს, გამოჰყავთ ნესტან-დარეჯანი და არ დაიზარებენ შორეული გზით იარონ, ოღონდ ზღვათა სამეფოში მივიდენ, რომ მადლობა უთხრან ფატმანს. ფატმანი დიდის სიყვარულით შეხვდება ნესტანს, გადაჰკოცნის მას; ტარიელიც დიდს

გჩრებულისა, რომ წინა მეკობრენი გვიმხერიან და მათი შიშით ვერ დაეძრულვართ ადგილიდანო, შენ მოსულხარ მსხნელად ჩვენდა და შემწედ თავისა ჩვენისა. ამირანმა უთხრა: ნუ გეშინიათ, მე არ მიგცემთ მტერთა თქენთა საენებლად. მათ გაუხარდათ და თაყვანი სცეს მას. გამოჩნდენ მეკობრენი, შეიქნა ქარაევანთა შიგან ტირილი საშინელი; ამირანმა უთხრა: თქვენ, ბასრელნი, არცა კაი ქაბუჯი ხართ და არცა კაი ქაბუჯნი გინახათ, ნუ გეშინიანთ, უნებლად გაგასხანთ თქენსავე ქვეყანასა. მეორე დღეს წავედით, ჩვენ წინ მივიდოდით, ქარაევანი უკან მოგვდედა, გამოჩნდენ მეკობრენი (გვ. 103—106) [ბადრი იამანიძის ეპიზოდიდან:], ნაეითა მოვლენ ლაშქარნი ურიცხვნი, გვესროდეს, შეგვაჰირებდეს, მანინ გვიკივლა ბადრი იამანიძემან: ჩაიმაღენით ნაეთა შიგანო! ჩაიმაღენით. მოგვეახლენ მეკობრენი. ახლტა ბადრი იამანიძე და მათ ნაევებში გადახლტა. ჰკრა ხმალი და მოკლა, სუენი ლაშქარნი უჩინო იქმნენ. გაეიარეთ იგი ზღვა და მივიდით იმიერ ზღვისა კუნძულსა, ზღვათა კუნძულსა, ზღვათა მეფის ქვეყანასა. დავინახეთ ზღვასა კიდესა ოცი ათასი სოფელი და ქვეყანა მშვენიერი, რომელ არა ნახულა მსგავსი კაცისა თვალთა (გვ. 20).

მექარაენთა უფროსმა ამირანს გამოკითხა, თურად მოსულა ის აქ და რადესაც გაიგო ყველაფერი, მისცა ისეთი ეტიკი, რომლის ჩვენებით მან მიაგნო ხეარანის გზა-კვალს (გვ. 109—116). სეფედალე დარისპანისძემ რომ შემოსრა მეკობრეები ღ მათგან ვაანათავისუფლა ქარაევანთა უფროსი ღ მექარაენენი ქენთა მეფისა, ქარაევანთა უფროსმა ქება შეისხა მას, დიდი ძღვენი მიართვა და ჰკითხა: საით მიდიხარო? სა.

მადლობას უცხადებს მას და ქაჯთა ციხეს ზღვათა მეფეს აჩუქებს. მეფე დაუმადლებს და მიუძღვნის მას ლარს, გვირგვინს, ოქროს ტახტს და გააცილებს.

კოლისა ჩემისა კენთა მეფის ასულის გამოსახსნელად მივდივარო. ქარავნის უფროსმა უთხრა, რომ იქ სავეალი გზა საგრძნეულო არისო. ერთი შაოსანი დიაცი არის და მან იცის ყველა მის გზის ამბავიო და იგი გითხრობს ყველასაო. მოქარავნენი შინ წავიდენ, ჩვენც წავედით საქებნელად, შეეხვდით შაოსან დიაცს, რომელსაც სეფედაღლემ გზის ჩვენება სთხოვა. მან მოახსენა: ჯაერი ამომიყარე რაზიმან დევისა, რომელმაც შეილები დამიტყვევა. მიადგენ ციხეს, სადაც დევი იყო, დეემა დიაცს უთხრა: როსკიპო დიაცო! და შეუტია სეფედავლეს, რომელმაც იქვე მოკლა დევი. დიაცმა უთხრა: კენთა მეფის ასული შთაკეტილია მალალს კოშკში და კართა ზედან ხუთასი ჩჩეული არაბი უყენია. წავიდენ შევიდენ კენთა მეფის ქალაქში, რომლის შუაგულს კოშკი იყო და მასში იჯდა მეფის ასული, რომელმაც შიკრიკის პირით თავისი ამბავი შემოუთვალა (გვ. 157—165).

სეფედავლე მიუხდა ციხეს, შემუსრა მისი კარები, დახოცა მცველები, გამოიყვანა ქალი კუბოთი და მეგობრებით გაუდგა გზას; თუმცა მოკლე გზა ჰქონდათ, მაგრამ შორეული არჩიეს, რათა მადლობა გადაეხადნათ შაოსან დიაცისათვის. შაოსანი დიდი სიხარულით გამოეგება, ღძღვნა მრავალი მარგარიტი, გვირგვინი, ფარლულნი და სხვ. სეფედავლემ დაპყრობილი ქეეყანა მასა და მის შეილებს მისცა და წავიდენ (გვ. 165—172).¹

როგორც ვხედავთ, ზღაპრის მთავარი ჩონჩხი გასაოცარი თანხმობითა და მსგავსებითაა წარმოდგენილი ორსავე ნაწარმოებში; გადავალთ ეხლა დეტალებზე. ამ შემთხვევაში ხაზს არ გაუსვამთ იმ გარემოებას, რომ ორსავე ნაწარმოებში ერთიდაიგივე შტრიხითა და სურათებითაა აწერილი ქალ-ვაჟთა სილამაზე

¹) შეად. მ. ჯანაშვილის — მოსკოვის ხელნაწილი და მისი ამირანდარეჯანისანი.

და გოლიათობა; ერთმანეთის გაშმაგებით ძებნა, დაბრკოლებათა გადალახვა, მეკობრეთაგან მოქარავენე ვაჭრების დახსნა, ვაჭრების მიერ გზის ან საშუალების ჩვენება სატრფოს მოსაძებნელად, სატრფოს ციხეში ან კოშკში დამწყვდევა, ამ ციხის იერიშით აღება, მცველების შემუსვრა და სატრფოს კუბოთი გამოყვანა, — ვინაიდან ყველა ეს ზემომოყვანილ შედარებიდანაც ჩანს, ეხლა სხვა დეტალებს აღენიშნავთ.

1) თინათინი ავთანდილს ავალებს, ვიდრე ისინი დაქორწინდებიან, შეასრულოს საგმირო საქმე: მოძებნოს ის უცხო ყმა, ტარიელი; აგრეთვე ნესტანდარეჯანიც ეუბნება ტარიელს:

ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია!

სჯობს, საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია!

წა შეები ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე,

ღმერთმან ქმნას და გაგიმარჯედეს, მორკმულიცა ჩემ კერძ ირე.

ასევე იქცევა ზღვათა მეფის ქალიც: როდესაც მამა წინადადებას აძლევს მას — ცოლად გაჰყევი ბადრი იამანიძესო, ის უპასუხებს: „მე ეგეთი კაცი არ მინდა საქმროდ, რომე ვგრე ეგონებდე, თუმცა მისი დამართებითი კაცი არისო, ანუ ქვეყანასა ზედა მჯობი ვინმე ჰყენდესო. შვაბი იგი მესაქესაცა და თუ მასცა აჯობოს, მაშინ დავმორჩილდე ბრძანებასა შენსაო“ (გვ. 22—22).

2) ნესტანდარეჯანს, რომელიც ტარაელს უყვარს, უპირობენ გათხოვებას სხვაზე, — ხერაზმშა მეფის შვილზე, ამიტომ ტარიელი ამ თავის კონკურენტს ჰკლავს; ასეა ამირანდარეჯანშიაც: ქენტა მეფის ასულს, რომლის საძებნელად მოსულა მისი მიჯნური სეფედავლე დარისპანისძე, უპირობენ გათხოვებას არაბთა მეფის შვილზე, რომელიც ოკვე მოსულა საქორწილოდ, სეფედავლემ ის წუთის სოფელს გამოასალმა ასეთი განზრახვისათვის (გვ. 165—171).

3) ტარიელსა და ნესტანდარეჯანს ეხმარებათ და ხელს უწყობს თინათინი, რომელსაც მადლიერი ტარიელი ეუბნება: „მწაღს შენი დება“ ან ღობილობა; სეფედავლემაც ის შაოსანი დიაცი, რომელიც მას ეხმარებოდა მისი მიჯნურის ძებნასა და შეყრაში, „ღობილად დაიჭირა“ (გვ. 172).

4) პოემაში ავთანდილი, ფრიდონი და ტარიელი განუყრელი მეგობრობით არიან დაკავშირებულნი, ისინი თავდადებით ემსახურებიან ერთმანეთს, ერთმანეთს ფიცს აძლევენ — არაროდის არ გასწირონ ერთმანეთი და არც სწირავენ, ნახულობენ ერთმანეთს და ეხმარებიან, ისინი ძმად არიან ნაფიცნი. რომელიმე გულის სიღრმეში ჩამწლობი სცენის დროს, როგორც მაგალითად, თავგადასავალის მოთხრობა ან ერთმანეთისგან გაყრა, ისინი გულამომჯდარი სტირიან და მოსთქვამენ. ასეა ამირანდარეჯანიანშიც: ინდოქაბუჯი და ამბრი არაბი „ფიცსა სდებენ ვითა რომელსაცა ვაგვიჭირდეს ერთმანეთამცა ვართო“ (გვ. 62), ანადა ამირანა და სეფედავლემ „მისცეს ფიცი ერთმანეთსა ეგეთი, რომელ თუ ეგებოდეს, ზედაზედან ენახევდეთ ერთმანეთსაო და თუ რამე გვიჭირდეს, უშველიდეთ ერთიმეორესაო. შეიქცა სეფედავლე გაყრისა ჩუენისათვის მომძიმარი და დაგვიმძიმდა ჩუენცა გაყრა სეფედავლესი“ (გვ. 186). როდესაც ამირანი მივიდა იმ ადგილას, სადაც ბადრი იამანიძე შეპრობილი იყო, „ატირდა ძნელად“ (გვ. 33).

ამირანდარეჯანიძემ და სეფედავლემ „ეფიციეს ძმად“ (გვ. 180), ძმობას ეფიციე-ბიან ერთმანეთს აგრეთვე სხვა გმირებიც.

5) შერმადინმა რომ თინათინს აცნობა საამო ამბავი ავთანდილის მობ-რუნებისა ტარიელის მოძებნის შემდეგ, თინათინმა „მას საბოძვარი უბოძა, მი-სი ყველაი დამოსა“; ასეა ხოლმე ამირანდარეჯანიანშიაც: მოციქულს, რაიმე ამ-ბის ან ცნობის მიმწოდებელს, ტანისამოსს აჩუქებენ ხოლმე (გვ. 13 და სხვ.)

6) ტარიელმა მათრახით დაუპო თავი როსტევანის მონებს, ასევე უყო მან ხატველ მონადირე ძმებს, რომელთაც მისი შეპყრობა განიზრახეს; სეფედავლემ რომ დაინახა, რომ მეკობრენი მოქარავენებს სცარცვავენ, „ეიდრემდის ხმალსა გამოიღებდა, მათრახით სამნი უკეთესნი მხედარნი ჩამოყარა“ (გვ. 157).

7) ავთანდილი ტარიელის საძებნელად წასვლის წინ შედის მიზგიტას და იქ ლოცულობს, შერმადინს ანდერძს უტოვებს, თუ მოვედე, „გლახაკთა მიეც საქურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალითა“, ხოლო მეფე როსტევანსა სწერს: „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები“, და, თუ მოკედი ჭ ვერ დაებ-რუნდი,--

მიეც გლახაკთა საქურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არასმქონები,
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

ამირანდარეჯანიანთაც „დედოფალმან მადლი შესწირა ღმერთსა ამირა-ნისა და სეფედავლე დარისპანიძის მშვიდობით დარჩომისათვის და ურიცხვი წარსაგებელი წააგო გლახაკთა ზედან და დიადი შესწირა მიზგიტას, სალოცა-სა თვისსა“ (გვ. 180).

8) ტარიელი ეომება დევებს და ართმევს მათ ქვაბებს, რომლებიც საყვავ ყოველგვარი საქურჭლით, განძეულობით და იარაღით; ამირანდარეჯანიანში დევებთან ბრძოლა ხომ აუცილებელი ატრიბუტია თითქმის ყველა გოლიათისა, ამ ბრძოლას ყოველ ნაბიჯზე ეხვდებით და, რაც უფრო საყურადღებოა, დევების დამარცხების შემდეგ მათ ხელში უვარდებათ მათი საცხოვრებელი ბინა, აღსავსე ყოველგვარი საგანძურით, სიმდიდრით, თვალმარგალიტით, საქურჭლით და იარაღით (გვ. 36, 37, 39, 160—161 და სხვ.).

9) ტარიელს „ასრე უჩანს მოკლეა ლომისა, მართ ვითა ლომსა ვაციისა“; ის, 15 წლის ბავშვი, „ეითა კატასა, ხოცდა ლომსა“, მას არაერთხელ მოუქ-ლავს ლომი, ხოლო ერთხელ ვეფხი ხელით შეიპყრო; ლომსა და ვეფხს ხოცავს ავთანდილიც. ასეა ამირანდარეჯანიანშიაც: ამირანმა ორი ლომი ნახა, „ერთი-თა კელითა ერთი აიღო და მეორითა მეორე, იგი ლომნი თავი თავსა შეუტაკა და ტინი მკლავსა ზედან გარდაისხა“ (გვ. 115); ომად ამადისძე ამბობს: „საცა ლომ-ვეფხნი, ჩხცნი ანუ ნადირნი გარდამეყიდოს, ვითა კატა, ეგრე მოვე-ვლიდი“ (გვ. 139). მზეკაბუქს შემოუტრა ორმა ლომმა; ჰკრა ხმალი და მო-კლა ერთი, „ეკლავ მეორემან შემოუტრა, კელი მიჰყო შეუპყრა ყია და იგიცა მოკლა და ეგრეთ უჭირველად დაკოცნა. ვითარცა კატანი ყოფილიყვნეს“ (გვ. 185-6), მეორეჯერ მასვე შემოუტრა ორმა ლომმა: „მიჰყო კელი მას ერთსა, ყია შეუპყრა, შესტყორცნა მას მეორესა და ორივე დაკოცნა“ (გვ. 193),

10) ფატმანს ჰყავს ორი შავი მონა, საესე გრძნებითა, რომელნიც „უჩინოდ წავლენ-წამოვლენ მათითა ხელოვნებითა“; მან ისინი გაგზავნა ქაჯეთს, საიდანაც სამი დღის განმავლობაში მობრუნდენ საჭირო ცნობებით. ერთი მათგანი კილევ გაგზავნა მან ნესტანთან ქაჯეთს წერილით; მან უთხრა: „ხვალე მოგართვა ყოველი ამბაიო“; „მასვე წამსა გარდიკარგა, გადაფრინდა ბანი-ბანსა“, შევიდა კარდახშულ ციხეში, თითქოს ღიაში, ნესტანი შეკრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი, მაგრამ გრძნეულმა აუხსნა ყოველივე და უკანვე მობრუნდა. ამირანდარეჯანიანში ჯიმშერი, ხაზართა მეფის შვილი, მოწყენილია, რომ დიდიხანია, რაც თავისიანების ამბაიე არა იცის-რა; დევთა მეფემ ხვასროჯანმა „მოაყუანინა გრძნეული ერთი, შავნი მკირენი ღართნი ტანსა ეცენეს, უბრძანა: დღეს უნდა ჯიმშერის ქალაქში შეხედო. მან მოახსენა: ხვალ აქამბაიე მოგართვაო“. ჯიმშერმა დასწერა წერილი; „რა ეს წიგნი მას გრძნეულსა მისცეს, გაფრინდა, ვითა ისარი, მასვე დღეს ორის თვის სავალი განვლო და მივიდა ქალაქსა ჯიმშერისასა. მოახსენეს ჯიმშერის მახლობლებს, რომ ზანგი მოვიდა და წიგნი მოიტანაო; „მათ ეგონათ ვითა მტერთა დაუშართებიათო“, რომ გაიგეს ყოველივე ამბაიე, გაუხარდათ და თვიბონაც საპასუხო წერილი მისწერეს. „ესე წიგნი მას გრძნეულსა მისცეს და მეორესავე დღესა მიართვა ჯიმშერს, მათის მშვიდობით მყოფობისათვის დიდათ გაიხარა“ (გვ. 274—276).

11) როდესაც ამირანი და ექვსნი მისნი ყმანი მიდიან ბალხეთის ასალე-ბად, ისინი მართვენ თათბირს წინასწარ, თუ როგორ აიღონ ის; ყველა თავის შეხედულებას გამოსთქვამს, სხვადასხვა ხერხს უჩვენებენ, მაგრამ ამირანი მათ არ ეთანხმება: ომი აუცილებელია, დღისით მივიდეთ, სადაც მეტი ლაშქარი იყოს, იქ შევებათო (გვ. 243—244); ყოველივე ეს მოგვაგონებს ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის თათბირს ქაჯეთის ციხის აღების წინ და ტარიელის გადამწყვეტ აზრს.

12) ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან, რომელ-ზედაც

იაგუნდისა ჯამები იყის, ლალისა ქიქები,

კელა უცხო-ფერთა ქურქელთა სხდის უცხო-უცხო სიქები,

აწერილია ამირანისა და ხვარეშანის ქორწილის მიხედვით, როდესაც „სამეფოთა ტაბლათა ზედან თვალისა ქიქათა და ჯამთა მეტი არა იმსახურებოდა რა, რომელიმე იყო ქიქა ძოწული იაგუნდისა და რომელიმე მწევანისა ზურმუხტისა, და რომელიმე ყვითლისა იაგუნდისა, და რომელიმე ბადაშანისა ლალისა“ (გვ. 120).

ამირანდარეჯანიანის გავლენა ვეფხისტყაოსანზე ჩანს ფრაზეოლოგიაშიც; საყურადღებოა ამ მხრივ ხმარება სიტყვებისა: ყმა (ჰაბუჯი, გმირი) ცოტა ყმა, (დარეჯ. გვ. 22, 231, ვეფხ. ტყ. 1169), შავი ტაიკი, (დარეჯ. 17, 29 და სხვ. ვეფხ. ტყაოს. 50, 161, 583), თეთრი ტაიკი (დარეჯ. 17, 21, 24, 178, ვეფხ. ტყ. 38). ჩაბალახი, პირმზე, განსაკუთრებით „ღია ღმერთო“ (დარეჯ. მეტად ხშირად, ვეფხ.ტ. 370, 1093, 1452), დაღრეჯილობა, ნავროზობა, ბადრაგა და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა მთელი ლექსიკონის შედგენას მოითხოვდა. შესაძლებელია ამირანდარეჯანიანიდან იყოს ნასესხები ზოგიერთი საკუთარი სახე-

ლი, როგორც, მაგალითად, ფარსადანი (დარეჯ. 81); ჰუსენ და უსენ (დარეჯ. 81), როსანი და როსაბი.

ფორმით, გარეგნულად, ვეფხისტყაოსანი ისევეა „ამბებად“ დაყოფილი, როგორც ამირანდარეჯანიანი.

ერთი სიტყვით, რა მხრითაც არ უნდა მიუღდეთ ამ ორ ნაწარმოებს, მათ შორის დიდს მსგავსებას დავინახავთ: ზოგადი აზრი, ჩონჩხი ზღაპრისა, ზოგიერთი დეტალები. შინაარსისა, ფრაზეოლოგია, გარეგანი ფორმა, —მატარებელია ამირანდარეჯანიანის უცილობელი ზეგავლენისა ჩვენს პოეტზე.

III) მესამე თხზულება, რომელსაც გავლენა უნდა მოეხდინოს ჩვენს პოეტზე, არის ფირდოუსის შაჰნამე. ჯერ ერთი, ვეფხისტყავე, რომელიც ტარიელს აცვია, ეცვა აგრეთვე როსტომსაც, თან შაჰნამეთი, კაცობრიობის წინაპარმა. კაიმურასზე ერს სამოსლად ვეფხისტყავე ჩააცვა. როსტომი ცხოვრობს საშინელს გამოქვაბულში, დევამენდის მთებში,¹ ისე, როგორც ტარიელი; როსტომი ზის ფიცხს, უჩინოს ძაგვარ, ელვასებრ მალ რაშზე, რომელიც ძლიერ წააგავს ტარიელის შავს რაშს. ავთანდილი იყო „კაც დევი“, როგორც როსტომი, და შეიარაღებული „ისრითა როსტომის მკლავ უგრძესითა“. ამასთანავე მულღანზარ ჩვენი პოემისა მოხსენებულია როსტომიან შიცი: „მულღანზარშიგან დგებიან... ვარდის საკრფელად მულღანზარს იარებიან... მას უკანით მულღანზარში მოსულიყო მისი ქალი.“² შექველია, პოემაში გამოყვანილ ქაბუქთა დევ-გმირობის აღწერილობაში თავისი წვლილი შეუტანია როსტომიანსაც:

უფრო თვალსაჩინო გავლენა უნდა მოეხდინოს როსტომიანიდან ბეჟანისა და მანიქავის ეპიზოდს. ბეჟანსა და მანიქავს აერთებდა ძიძა მანიქავისა, ისე, როგორც ტარიელსა და ნესტანს ასმათი. ძიძამ ბეჟანი წაიყვანა მანიქავთან, „ფარდაგშიგან შეიყვანეს ლომი ბეჟან პირადმზეა“, ესე იგი, როგორც ასმათმა ტარიელი წაიყვანა ნესტანის სასახლეში და, შიგ რომ შეიყვანა, „აუვლო ქალმან ფარდაგი მძიმე თავისა ძალისა“. ბეჟანის სახსენელად ირანიდან თურანს გაემგზავრა როსტომი, ვაქრულად გამოწყობილი:

თურანს მივიდა, დამალა აბჯარი საომარია,
მან ტანსა ჩუბა ჩაიცვა, თქვა: მე ვარ დიდ ვაქარია,
გუპარი ჯამი ოქროსი ფირანის საჩუქარია,
წინ მიეგება, მიართვა, დაუწყო საუბარია.

მან ფირანს უთხრა: მე ირანელი ვაქარი ვარ, დატვირთული ვარ მრავალგვარი საქონლით, თუ ნებას მომცემ, ვიყიდი და გაყვიდიო. ფირანმა უთხრა, შენ ჩემს საზღვრებში ხარო, მიიბატიყა თავისთან და მფარველობა აღუთქვა:

იგი დადგენ ერთს ადგილსა, ვაქრობდინ და ჰყიდიან,
აზნაურნი და თავადნი სავაქროდ იქ მოვიდიან.

¹) ეს გამოქვაბულები მ. ჯანაშვილს მიაჩნია იმ გამოქვაბულებად, რომელშიაც ტარიელი და ასმათი ცხოვრობდნენ. იხ. მისი—„თამარ მეფის მეზობტენი“, გაზეთი ტრიბუნა, 1923 წ. № 478.

²) სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერი, № 585, გვ. 100, 104, 113.

ასე მოიქცა, როგორც ვიცით, აეთანდილიც, როდესაც ის გულანშაროს მივიდა ვაქრად გადაცემული: „ეთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცვა, დაჯდა სკამით;“ მებაღისაგან გამოიკითხა იქაურობის ამბავი, გაიგო, რომ ის ადგილი, სადაც გაჩერებული იყო, ეკუთვნოდა მელიქ-სურხავს; მებაღემ მას აღუთქვა მფარველობა და თავისუფალი ვაქრობის უზრუნველყოფა, თანაც დაუმატა, რომ აქ „დიღვაპარნი იყრიდნან, გაყიდიან, მოიგებენ, წააგებენ“. თვით მელიქ-სურხავის სახელიც შეიძლება როსტომიანიდანვე იყოს გადმოღებული, სადაც მოხსენებულია ვინმე სურხავი, რომელსაც თავი მოკვეთეს.

VI) უცილობელი გავლენა მოუზღენია ჩვენს პოეტზე მის თანამედროვე გამოჩენილ სპარსეთის პოეტს ნიზამი განჯელს, რომლის თხზულებებს ის, თუ ქართულად არა, სპარსულად მაინც იცნობდა.

ნიზამის თხზულებათაგან შესაძლოა რამოდენიმე გავლენა მოეხდინოს ჩვენი პოეტის შემოქმედებაზე ლეილა-მეჯნუნისა; მართლაც, 1) ლეილასა და მეჯნუნს ჯერ კიდევ ბავშობაში უყვარდათ ერთმანეთი, მსგავსად ნესტან-ტარიელისა და აეთანდილ-თინათინისა; 2) მშობლები ლეილას სხვას მიათხოვებენ, რის გამო მეჯნუნი, ვითარცა ხელი, უდაბნოდ გაიქრება, ისე როგორც ტარიელი მას შემდეგ, რაც ნესტანი მისთვის დაიკარგა. 3) ერთ-ერთი მეგობარი მეჯნუნისა, სეიდი, სცილილობს, მართალია უშედეგოდ, როგორმე შეაერთოს ლეილა და მეჯნუნი, ისე, როგორც აეთანდილი სცილილობს მოუპოვოს ტარიელს ნესტანი. 4) აღწერილობა მეჯნუნის გრძნობებისა, როდესაც მას მოაშორეს ლეილა, თავისი რეალობით და სიციხოველით ძალიან უახლოვდება უდაბნოდ გაქრილის ტარიელის გრძნობებს. 5) მეჯნუნს სევდისაგან გაეხსნა ერთხელ ძარღვი აუტყდა ისეთი სისხლის დენა, რომ კინალამ მოკვდა; სიყვარულის სენისაგან დაუძლურებულს ტარიელსაც გაუკეთეს ასეთი ოპერაცია:

სისხლი დამწამეს, მეფემან ბრძან გაქსნევა კელისა,
გავიკენ ფარეად პატიყთა, არეისგან საეკველისა.¹

უფრო მეტი და არსებითი მსგავსება აქვს ჩვენს პოემასთან ნიზამის მეორე შრომას, რომელსაც ბარამგურიანი ეწოდება. აი ეს მსგავსება და პარალელები, რასაკვირველია მთავარი:

1) როსტევანი და მისი ამაღა ნადირობის შემდეგ იჯდა წყლის პირსა და იქ დაინახა მან უცხო ყმა, რომელიც შეიქნა მერე მისი საძიებელი სიგანი; ბარამ მეფე თავისი დიდებულებით, ნადირობის შემდეგ, განისვენებდა წყლის პირას, სადაც მას მოუტანეს ანაზღვეულად მისი გულდამწველი დილარამან-ჩანგის სურათი, რომელიც შეიქნა მერე საგანი მისი ძიებისა;

2) თინათინის რჩევით, როსტევანმა უცხო ყმის საძებნელად გაგზავნა კაცები; მათ ერთი წელიწადი ეძიეს ის და, რადგანაც გზა-კვალს ვერ მიაგნეს, უკანვე დაბრუნდნენ და როსტევანს მოახსენეს; ომანი მეფემ მზეთუნახავის საძებნელად გაგზავნა ყოველ მხარეს კაცები:

¹) შად. Н. Д. Письма о Грузии С ѳ в е р н ы й В ѳ с т н и к ѳ 1889 г. IX,

წავიდეს და წლამდის ძებნეს, მზე ვერ პოეს უჩინარი,
 ქვეყნად სრულად შოიარნეს მათ ნახულნი მთა და ბარი,
 ვერ შეიგნეს მზის სამყოფი, ვერც სახლი და ვერცა გვარი,
 შემოიქცეს მუნვე გარე კაცი ანბის მიუშვლარი.

კვლა ომაინს მოახსენეს დიდებულთა მათი ზღება,
 ძებნა მზისა მათგან წლამდის, სამსახურთა არ დაკლება,
 მათ რომ ჭირნი მოენახნეს, თქვეს, გვიკვიროს მათგან ძღება,
 კვლაცა მათი ჭირნახული ჩვენგან ვითმცა დაითვლება.¹

3) ტარიელმა აეთანდილს გამოქვაბულში უამბო თავისი თავგადასავალი, აეთანდილი მას ძმად ეფიცა, სიტყვა მისცა—მისთვის ყოველგვარს პირად უსიამოვნებასა და გასაჭირს დაითმენდა; მართლაც, მისი გულისათვის ის უარპყოფს თითქმის თავის გრძნობებს: შორდება სატრფოს, თინათინს, იმ რწმენითაც, რომ შეიძლება, ცოცხალი ვერც კი დაბრუნდეს და ველარ იხილოს ის. აგრეთვე გულდამწვარი თავის თავგადასავალს უამბობს ომაინ მეფე ვინმე ახის, რომელიც ძმობას, ერთგულებას და ამხანაგობას შეჰფიცებს მას და სიტყვას აძლევს—არაფერს არ დაზოგავს, ოღონდ მას მოაძებნინოს მისი გულწამლები სატრფო. როდესაც გამოირკვა, რომ ეს სატრფო თვით ახის ცოლი ყოფილა, ახიმ იმ რწმენით, რომ „ყოველი ფიცის მტეხი კაცი ღმერთსა არა ეთნებისო“, თავის საყვარელ ცოლზე ხელი აიღო და ის ძმურად, მეგობრულად ომაინს გადასცა.²

4) აეთანდილი გაემგზავრა ნესტანდარეჯანის საძებნელად; ზღვათა სამეფოს რომ მიუახლოვდა, დაინახა—მექარავენნი ან ვაჰრები ღვანან ერთს ადგილას შეწუხებულნი, გამოიკითხა მათგან ამბავი და გაიგო, რომ ზღვაზე მეკობრეები უთვალთვალებენ მათ; ვაჰრებმა, რომელთაც ომი არ შეეძლოთ, არ იციან რა ქნან, წინ წავიდენ თუ დაბრუნდენ უკან. აეთანდილი მათ ანუგეშებს: მე მომენდევით და უხიფათოდ გაგატარებთო; მან უბადრაგა მათ, შვიდა ზღვაში და სულ ერთიან ამოწვიტა მეკობრეები და მათი სიმდიდრე ხელთ ჩაიგდო, რომელიც მან ვაჰრებს გადასცა, სამაგიეროდ სთხოვა მათ მისი ვინაობა არ გამოემჟღავნებიათ ქალაქ გულანშაროში, სადაც ის შევიდა ვაჰრულად გამოწყობილი, როგორც დიდი ვაჰარი, ან მეთაური სხვა ვაჰრებისა, და დაიწყო ვაჰრობა, რათა ამ გზით ნესტანდარეჯანის კვალს წაწყდომოდა; მართლაც ამ გზით მან მოახერხა მიზნის მიხვევა. ეს ეპიზოდი გამეორებულია ბარამგურთან შიცი: საისტანის მეფე გორჯასპი მიდის მზეთა მზის კეისრის ქალის საძებნელად, გზაზე მას შეეყრებიან მექარავენე ვაჰრები, რომელნიც ყაზახ-მეკობრეების შიშით ადგილიდან ვერ იძვრიან და არ იციან რა ქნან. გორჯასპი მათ ანუგეშებს, უბადრაგებს და სულ ერთიან ამოწყვეტს მეკობრეებს; მათს ავლადიდებას და სიმდიდრეს ვაჰრებს აძლევს, თვითონ სთხოვს მათ—არ გამოამჟღავნონ მისი ვინაობა, გამოეწყობა ვაჰრულად და შედის ქალაქში, როგორც დიდი ვაჰარი; დაიწყებს ვაჰრობას და იმდენს ახერხებს, რომ კეისრის ქალის

1) სიძველეთა მუზეუმი ხელნაწ. № 860, ფ. 141.

2) იქვე ფურ. 150—152.

ვინაობას გაიგებს და მერე გამძლეის საშუალებით მასთან პირდაპირს კავშირს დაიკვირს და შეუერთდება კიდევაც.¹

5) ჩუმაღ გაპარვა ავთანდილისა და ანდრეძი მისი, რომელსაც წერილობით უტოვებს როსტევანს, შერმადინს და თავის ყმებს, ტონით და აზრებით ახლო დგას იმ წერილობითი ანდრეძთან, რომელსაც უტოვებს ომინ მეფე თავის ამალას, თავისი სატრფოს საძებნელად ჩუმაღ გაპარვის წინ.²

ამნაირად შექველია, ბარამგურიანსაც მოუხდენია თავისი გავლენა ჩვენს პოეტზე, როდესაც ის თავის ეფთხისტყაოსანსა სწერდა.³

ჩვენ ჩამოვთვალეთ სპარსული ეპოსის ნიმუშები, რომლთაც გავლენა მოუხდენიათ ეფთხისტყაოსნის სიუჟეტისა და შინაარსის დეტალების შექმნაზე; განუცდია მას გავლენა აგრეთვე წმიდა ქართული, ორიგინალური ნაწარმოებისა, როგორცა თამარიანი და კება დავით აღმაშენებლისა და თამარისა⁴; ეს გავლენა გამოიხატება, რასაკვირველია, არა შინაარსში, არამედ გარეგანს მხარეს, ფორმაში. დაიწყეთ თამარიანიდან.

ჩენი პოემა იმდენად ენათესავება თამარიანს, რომ, როგორც აღვხიშნეთ უკვე, პროფ. ნ. მარჩი 1902 წელს სერიოზულად ამტკიცებდა—თამარიანი და ეფთხისტყაოსანი ერთილიავე ავტორის ნაწარმოებია.⁴ ეს ნათესაობა გამოიხატება, პირველ ყოვლისა, ლექსთაწყობაში; მართალია, თამარიანი დაწერილია ოცმარცვლოვანი, აგრეთვე ოდნეული ჩახრუხაული, ლექსით, მაგრამ ეფთხისტყაოსნის თექვსმეტმარცვლოვანი სილაბურ-ტონური ლექსისათვის, თუ მხედველობაში არ მივლვებით ჯერ კიდევ შეათე საუკუნეში ვინმე ფილიპეს მიერ დაწერილს ლარიბრითმოვან თექვსმეტმარცვლოვან იამბიკოს,⁵ დასაწყისი მიუტია იმავე თამარიანს, სადაც ჩვენ გვაქვს სამი მაგალითი ეფთხისტყაოსნური ლექსისა:

- 1) თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი, მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი, მისთვის ქნარი რა არს? ქნარი არსით მთქნარი უჩინარი, ვარდ-შამბნარი, შამბ-მალნარი, ლაწვ-მწყაზნარი, შუქ-მუინარი.
- 2) შენ მწუნობი ხარ მნათობთა: არის ასმენ, ლებ, არი დენ, შენ შუქი ეღვა-ეთერთა მზისა მწვერვალთა არიდენ,

¹) სიძველეთა მუზეუმის ხელნაწ. № 560, ფ. გვ. 171—173.

²) იქვე, ფ. 178.

³) ი. აბულაძე თავის გამოკვლევებში ამტკიცებს, რომ ეფთხისტყაოსანი სიუჟეტით წააგავს ორს, სპარსულს ენზე არსებულ, სამიჯნურო პოემას: ბარამგურიანს და ბარამგულამდამიანსო (მე-XII ს. ქართული საერო მწერლობის ხასიათი და რუსთველის ეფთხისტყაოსანი, ძველი საქართველო I, 95, შენიშვნა 1. „ეფთხისტყაოსანი“ გამოცემული მის მიერ, გვ. XXV—XXVI. და „მე-XII საუკ. ქართული საერო მწერლობა და ეფთხისტყაოსანი, გვ. 41—42; მაგრამ ეს შესავება, კიდევაც რომ აღმოჩნდეს, დასახელებულ თაზულებათა პრიორიტეტობას ვერ დაამტკიცებს, როგორც ამაზე ლაპარაკი ჩვენება მათი გარჩევის დროს.

⁴) Дренне-грузинские одписцы, Тексты и рассказы, кн. IV, стр. 61—66.

⁵) ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 176.

შენ სისხლთა შენთა ურჩთასა უზლო-უმსგავსოდ არ იდენ,
აწცა ნათლისა ისარი მკვრეტელთა გულებს არიდენ.

- 3) გვიან შენებრთა ძებნანი, რკინისა ხამლთა შესხმანი,
შენთვის ხმდა არისტოტელი, დიონის წიგნთა შესხმანი,
მსგავსად აქილეუ-ტროელთა უმიროსისგან შესხმანი,
ვერცა დამტევრობს სოფელი, არა თუ ჩემნი შესხმანი.

ამნაირად, პიონერად თექვსმეტმარცვლოვანი სილაბურ-ტონური ლექსისა ჩვენი პოემის აეტორი ვერ ჩაითვლება, მას მხოლოდ ის გაუბატონებია და ფართე გასავეალი მოუპოვებია მისთვის. ეს გარემოება ჰქონდა, ალბად, მხედველობაში არჩილ მეფეს, როდესაც მან ათქმევინა თეიმურაზ მეფეს რუსთველთან ბაასში:

ჩახრუხადემ პირველ არ თქო? რად იპარავ პირველ თქმასა?
რას მიერჩი მას რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა?
ვეპე, მას დარჩეს პირველობა, დაიხარის შენი მასა,
თორემ ვკითხოთ ქორონიკონს, გაგიჩნდების შენი მასა.

მეორე, ჩვენს პოემაში ჩვეულებრივია იგრეთწოდებული მაჯამა, რომელიც ლექსის ვირტუოზობის ნიმუშია და იმაში მდგომარეობს, რომ, თუ ოთხივე სტრიქონი ტაეპისა არა, სამი, ორი მაინც, თაედება ერთიდაიმავე სიტყვით, რომელსაც თვითელს სტრიქონში თავისი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს; ასეთი მაჯამანი გვაქვს ჩვენ შემდეგ ტაეპებში (ი. აბულაძის გამოცემით): 99, 133, 139, 434, 435, 672, 1457 და 649, 653, 878, 943. ამ შემთხვევაშია ცნობილი და მაგალითი ჩვენი პოეტისათვის არის იგივე თამარიანი, სადაც, განსაკუთრებით შინაგან რითმებში, ძალიან ხშირადა გვაქვს მაჯამანი ნიმუშები, თუმცა არის მაგალითი მისი ვეფხისტყაოსნისებური ხმარებისაც: ორჯერ ზემოამოწერილს ტაეპებში (არიდენ, შესხმანი), მესამედ—

ახალო პირო, მძლეო ნისრ ვითა, ბრძენმან მასახა ასურმა ისო,
მხნეო და გმირო, ბობქარ ოხრვითა ითხრის, მგოდებმან ფლასურმა ისო,
ვა გაუხშირო, მტერთა მოსრვითა, შენი სთქვეს შინა ასურმა ისო,
ესრე ატირო, გულსა მოკრვითა: სრძალი მოფხერისა ნასურმა ისო.

საყურადღებოა, რომ ერთი ამ მაჯამათაგანი — არიდენ, ვეფხისტყაოსანშია ცხველები: „თუმცა მიგდის ღვარი ცრემლთა, მაგრამ ცუდად არ იდენო“ (ტ. 435).

როგორც ვეფხისტყაოსანში, ისე თამარიანში ხშირად ერთიდაიგივე სიტყვაა გამოყენებული რითმისათვის, მაგალითად: უქი—შუქი (თამარიანი V, 5, VIII, 2, ვეფხისტყაოსანი, აბულაძის გამოცემა, ტაეპი 1073), მაგით—შმაგით (V, 35, 870, 896), მოუბარისა—მღელარისა (XII, 18, 58, 156), მოხედვა—ვა (V, 10, 197, 354, 544, 645).

თამარიანში ვკითხულობთ: „ცისკრობს, მოხედვა: მოკლის, მოხედვა“ (V, 10), სადაც ხზნის შემადგენელი ნაწილაკი მო განმეორებულია დამოუკიდებელი; ასეთი შემთხვევები მეტად ხშირია ვეფხისტყაოსანშიც, აქ გან-

მეორებულია ამავე სახით ნაწილაკი: შო (1190, 1198, 1313), ში (11, 1039), შე (III, 1029), წა (166, 566), ღა (548), გა (1009).¹

დასასრულ, საოცარი მსგავსებაა ამ ორ ნაწარმოებთან შორის ეპითეტებისა და პოეტურ ფიგურების ხმარების მხრივაც; მაგალითისათვის მოვიყვანთ შემდეგს ადგილს:

თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა-ნარნარი, პირ-მოცინარი,
მზე-მოცინარი, საჩინარი, წყალი მქნარი, მომდინარი. (თამარ. II, 16).

მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინარითა,
აკოჟა მისთა მშველელთა ლალმან ცნობითა წყნარითა
მათ მდაბლად მადლი უბრძანა, სიტყვითა მით ნარნარითა.

(ვეფხისტყაოს. 1349).

ამას რომ დაუმატოთ კიდევ თვალსაჩინო მსგავსება ფრაზეოლოგიის მხრივაც, უყოყმანოდ შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენს პოეტზე დიდი გავლენა ჰქონია აგრეთვე იმ მწერალსაც, რომელსაც ჩვენ ჩახრუხბადის სახელით ვიცნობთ.

უცილობელი გავლენა მოუხდენია ჩვენს პოეტზე აგრეთვე იმ თხზულებას, რომელსაც აბდულმესიას ეძახიან და რომელიც ნამდვილად არის „ქება დავით აღმაშენებლისა და თამარისა“; ორსავე თხზულებაში ჩვენ გვხვდება ერთი და იგივე საზიარო ადგილები:²

ქება:

1. ესა მართალი:
ე სამართალი
ხეს შეიქმს კმელსა
წყალმომდინარედ.
(21,1).
2. მართებს, რომ ცამცა
ჰქონდეს მასცამცა
სახლად, სამყოფად
განჩინებული.
(68,4).
3. გვირგვინოსანსა,
პორფიროსანსა
უკდების პურობა
სკიპტრისა კელსა.
(41,1)
4. აქეს ზარდახჩანი
მას, ხე-ბაღჩანი
ლუსკუმებრ მათთვის

ვეფხისტყაოსანი:

- ქმნა მართლისა სამართლისა
ხესა შეიქმს კმელსა ნედლად.
(482, აბულაძის გამოცემით).
- სახლ-სამყოფი არა მართებს,
ცამცა გაიდარბახესა. (623).
- სკიპტროსან-გვირგვინოსანსა
ჰშვენოდა ცმა პორფიროსა. (1465).
- იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო გა-
ტენილი,
პოვეს ერთი ზარდახჩანა აბჯრისათვის

¹) Н. М а р р у, Древне-грузинские описаны, стр. 64—65. ი. აბულაძე, მე-XII საუკუნის ქართული საერთო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, გვ. 162—164.

²) ეს ადგილები მოყვანილი იყო ჯერ მ. ჯანაშვილის მიერ (მოსხ ხონელი და მისი ამირან დარუჯანიანი. გვ. 25—26) და მერე ნ. მარჩის მიერ (Древне-грузинские описаны, стр. 14—15).

დასაკრძალითა.

(43, 1-1).

ახლად ქმნილი.

(1294).

5. იაგუნდისა—

სხვად რად უნდისა!

ჯამები იყვის

ლალფირღზისა.

იყვის კურკერთა

სხვათ უცხოფერთა

სიმრავლით დება

თვით ურიცხვისა.

(44, 1-2)

იაგუნდისა ჯამები

იყვის, ლალისა კიქები,

კვლავ უცხო ფერთა კურკელთა

სხდის უცხო-უცხო სიქები

(1476)

6. ბევრად ძეს გორი

ერთა საგორი,

ზოდი ოქროსა

მისგან თლილისა.

ისმის მგოსანთა,

ვით საფირონთა,

კმანი ებნისა

და წინწილისა.

(44, 3-4)

მეტრიბნი მოსდგეს ყოველგნით,

ისმოდის კმა წინწილისა.

შეყრით ძეს გორი ოქროთა

და ბადახშნისა თლილისა,

(1477).

7. ვინც იწყოს რიცხვი,

იყოს ურიცხვი

გოარი მათგან

დანათვალთა:

რიყე თვალისა

წინ ნათალისა,

წყალნი მგზებარობს

შიგან ალითა,

ჩანს მარგალიტრ—

ართუა ლიტი!—

ოდენ ბურთისა

საბურთალითა.

(43, 1-3)

პოვეს საკურკელე უსახო,

კვლავ უნახავი თვალისა:

მუნ იდეა რიყე თვალისა

კელწმიდად განათვალისა,

ჩნდის მარგალიტი ოდენი

ბურთისა საბურთალისა.

ვინცა ქმნა რიცხვი ოქროსა,

ვერ ვისგან დანათვალისა.

(1293).

ამნაირად, ვეფხისტყაოსნის შინაარსის განხილვამ შემდეგს დასკვნამდე მიგვიყვანა ჩვენ:

1) არც ზღაპარი პოემისა, არც ჩონჩხი (სიუჟეტი) მისი არაა შემოტანილი მზამზარეულად, ლიტერატურულს თუ ზეპირის გზით, არც არაბეთიდან, არც სპარსეთიდან, არც ინდოეთიდან და არც რომელიმე სხვა უცხო ქვეყნიდან; ერთიკა და მეორეც ავტორს თვითონ, დამოუკიდებლივ გაუქეთებია, ვახტანგის ტერმოლოგიით, ან შეუთხზავს, და, თუ შეიძლება მას სპარსული ან აღმოსავლური ამბავი უწოდოთ, იმდენად, რამდენად ზოგიერთი ძეგლები ამ ჩონჩხისა და დეტალები ზღაპრისა ამოღებულთა სპარსული ეპოსის ისეთი ნიმუშე-

ბიდან, როგორცაა ვისრამიანი, ამირანდარეჯანიანი, შაჰნამე, ბარამგურიანი, ლეილამეგუნენიანი და სხვ.

2) აი ამიტომ არის ეს პოემა ორიგინალური ნაწარმოები და არა იმიტომ, თითქოს იმაში წარმოდგენილი იყოს თანამედროვე საქართველოს ვითარება და თამარისა და დავითის ურთიერთშორის განწყობილება.

3) ეს ორიგინალობა არაა აბსოლუტური, მას რამდენადმე მიმბაძველობა სდევს თან; მართლაც, შინაარსის მხრივ პოემა, როგორც დავინახეთ, ენათესავება სპარსული ეპოსის ჩამოთვლილ ნიმუშებს, ფორმის მხრივ კი (პოეტური ფიგურები, ეპითეტები, სენტენცია-აფორიზმები, ფრაზეოლოგია, ლექსთწყობა)—როგორც ჩამოთვლილ თხზულებებს, ისე თამარიანისა და დავით აღმაშენებლისა და თამარის ქებას.

4) პოემა არის მართლაც დიდი ნაწარმოები არა მარტო ქართულის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით, მაგრამ არა იმდენად გენიალური, როგორც ზოგიერთებს გაზვიადებულად წარმოუდგენიათ; მართლაც, მასში განსაკვიფრებელი სიმეტრიითაა აკაზმული ზღაპარი და წარმოდგენილია საინტერესო ფსიქოლოგიური ანალიზი სიყვარულის გრძნობისა, მაგრამ ეს ანალიზი აო არის მიუწოდომელი: ვისრამიანი ამ მხრივ თუ გვერდში არ ამოუდგება, ყოველშემთხვევაში ბევრად არ ჩამოუვარდება მას. მართალია, პოემა დაწერილია მომაჯადოებელი, ვირტუოზული ლექსით, მაგრამ არა სწორუპოვარით: ჩანრუხადის თამარიანი ლექსის მხრივ არანაკლებს ესთეტიურ სიამოვნებასა ჰვერის მკითხველს, და, თუ მაინცადამაინც მისი ლექსი საერთოდ თამარიანისაზე მალა შეიძლება დავაყენოთ, იმდენად, რამდენადაც ის წარმოადგენს შემდეგს საფეხურს ქართული პროსოდის განვითარებაში. ყოველ შემთხვევაში, ეს ლექსი რომ მიუბაძველი არაა, თუგინდა იქიდანაც ჩანს, რომ ჩვენთვის ყოველთვის შესაძლებელი არაა აღორძინების ხანის ჩანართები გაეარჩიოთ ნამდვილი ტაეპებისაგან.



განყოფილება II.

ლირიკა.

ქართული ლირიკა კლასიკური ხანისა შექმნილა თანამედროვე სინამდვილის ნიადაგზე, რასაკვირველია, სპარსული მწერლობის ზეგავლენით. თამარის ზეციურმა პიროვნებამ, მისმა ძლევა-მოსილმა და ბრძნულმა მეფობამ საქართველო აიყვანა, პოლიტიკურად და კულტურულად, აყვავების უმწვერვალეს ხარისხზე, საიდანაც თანამედროვენი სიხარულით და სიყვარულით შეჰყურებდენ ეთეროვან დედოფალს, ეთაყვანებოდენ და ხოტბებს უძღვნიდენ მას. საქართველოს აღორძინებამ და წარმატებამ აამოძრავა ენა არა მარტო მგონებისა, არამედ, წარმოდგინეთ, მემბტიანეთაც; მან „წყლისა მოაბადნი რიტორთა მძლე [გამოაჩინა და] ენა უტყუ მეტყველყო“, როგორც ამბობს თამარის ისტორიკოსი თავისი თხზულების სათაურში, იმ თხზულების, რომელშიაც თამარის მოღვაწეობის აღწერა წარმოადგენს პროზად დაწერილს ალტყინებულ ოდას. ჩვენ უკვე გვეყონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თამარის ტახტს გარს ერტყა მთელი ხომლი ასეთი მეხოტბეებისა, მაგრამ ჩვენამდე შენახულია, სამწუხაროდ, მხოლოდ ორის მათგანის თხზულება.

1. თამარიანი.

ასეთი სახელი ეწოდება იმ ნაწარმოებს, რომელიც წარმოადგენს თამარ მეფის ქებასა და ხოტბას; ხელნაწერები ამ თხზულებისა, რომელიც რამდენჯერმე გამოცემული, ¹ შედარებით ახალ დროისაა, მათში ის დამახინჯებულია და შესამჩნევად წარყვნილი, რაც საკმაოდ აძნელებს მას შეგნებასა და გაგებას. ამიტომ გამომცემლნი და კომენტატორნი მისნი სცდილობენ მისცენ მას ის სახე, რა სახითაც ის ავტორის ხელიდან გამოვიდა.

ამ მხრივ შესამჩნევი ნაბიჯა წადგა წინ პროფ. ნ. მარჩია, რომელმაც აღადგინა და შეასწორა მრავალი წარყვნილი ადგილი თხზულებისა და შეუდარებელი გონება-მახვილობით განსკვირტა მისი ნამდვილი ხასიათი და შემადგენლობა. მთავარი აზრი ნ. მარჩიისა მდგომარეობს იმაში, რომ თხზულება წარმოადგენს კრებულს სხეადასხვა დროს და სხეადასხვა საბაბთა გამო დაწერილი ხოტბებისას, რომელნიც ამოუგლეჯია მგოსნის გულიდან მნიშვნელოვან ფაქტებს თამარის მეფობისას, განსაკუთრებით კი მის ძლევაშობილ ლაშქრობას. შინაარსისა და ძირითად რითმათა მიხედვით ნ. მარჩის აღმოუჩენია ამ კრებულში 11 ოდა და ერთი ელეგია, რომელშიაც პოეტი დასტირის თავის მოყმეს, რომელიც გაქრილა, ყველა ცნობილი ქვეყნები შემოუვლია და რომლის დაბრუნებას ის ვეღარ ღირსებია. ცხადია, მაშასადამე, რომ კრებულში არ შენახულა ყველა ის ოდები, რაც პოეტს, უპქველია, დაწერილი ექნებოდა თამარის მეფობაში, რომელიც განუწყვეტელი, დაუჩრულებელი ტრიუმფი იყო ქართველთა კულტურულ-პოლიტიკური შემოქმედებისა და წინსვლისა. მიუხედავად თავისი შემადგენლობისა, კრებული წარმოადგენს ერთს მთლიან ნაწარმოებს, რომელშიაც გატარებულია ერთი აზრი და იდეა: თამარი მიუწოდებელია, როგორც ღმერთი, ის თვით ღვთაებაა; შექება ზეციური თამარისა, რომლის წინაშე პირს იფარევენ და კრთებიან მნათობნი ცისანი, არ ძალუძს არც ერთს ფილოსოფოსს, რიტორს და პოეტს ძველი თუ ახალი დროისას, მისი არსებობა წინასწარ მოსწავებელია, ისტორია იყო მომზადება წარმოსაშობად თამარისა, რომელიც ამქვეყნად უნდა ყოფილიყო გამომხატველი ერთღვთაებისა.

ოდები დაწერილია ოცმარცვლოვანი ოექსით, რომელმაც ჩვენს ვერსიფიკაციაში დაიმკვიდრა ჩახრუხბაულის სახელწოდება; ლექსები მეტად ლამაზი, დახვეწილი, ჰარმონიული, ჩამოყალიბებული და მოხდენილია, მათ მშვენებას უფრო აძლიერებს შინაგანი რითმა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ეგრეთწოდებულს მაჯამას გვაძლევს ხოლმე.

¹) პირველი გამოცემა ეკუთვნის პ. იოსელიანს (1838 წ.), მეორე დ. ჩუბინაშვილს (1863 წ.), მესამე ზ. კიკინაძეს (1882 წ.). მეოთხე პროფ. ნ. მარჩის (Древне-грузинские описцы, тексты и разьяскания, IV, 1902 г.), მეხუთე ს. ქავთაძეს (1913 წ.)

მთავარი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი, რომელიც ჩვენს წინ იჭრება თამარიანის შესწავლისას, ეხება ხოტბათა ავტორის ვინაობას და მათი დაწერის დროს.

ვინ არის ავტორი ხოტბებისა? გადაჭრილი ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება, მხოლოდ ჩვენში გამტკიცებულა ტრადიცია, რომლითაც ავტორი თამარიანისა არის ხევის მცხოვრები, მოხევე, გვარად ჩახრუხაძე. პოეტი რომ მოხევეა, ამ ტრადიციას საფუძვლად უნდა ედოს თვით მისი სიტყვები: „მაშა მე, ხელი, მაშა მებელი“ (VII, 27); ძნელია მებელი-ის ნამდვილი მნიშვნელობის გაგება და დადგენა, მაგრამ, ცხადია, ძველად ის გაუგიათ ხევიდან წარმომდგარი მებევის ან მოხევის მნიშვნელობით. რაც შეეხება მის გვარს, ჩახრუხაძეს, საიდანაც, ალბად, თვით ლექსს, რომლითაც დაწერილია თამარიანი, ეწოდა ჩახრუხაული, ის, ფიქრობენ, დამოწმებულია აგრეთვე თვით პოეტის შემდეგი სიტყვებით; რომელთაც ჩვენ ვკითხულობთა კრებულის ბოლოში:

მოხევეს ძეთა, ჩახრუხაძეთა, ექოთ თამარი, მეფე წყლიანი,

მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე, თინათინ ვაქო, ბალი წყლიანი,

ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულადიანი,

ჯერეთ ყმაწვილი, წმიდათ ნაწილი, სამოთხის ვარდი, პირად მზიანი.

ეს ლექსი რომ კლასიკურ ხანაში მცხოვრებ პოეტს არ ეკუთვნის და, მაშასადამე, თამარიანის ავტორის თვითმოწმობა არაა, ამას გვიკარნახებს შემდეგი მისი ანომალიები: 1) გრამატიკული: მოხევეს ძეთა ექოთ თამარიო, — ქვემდებარე, თამარი, მხოლოპითს რიცხვშია, ხოლო შესწმენილი, ექოთ, მრავლობითში; ასეთი გრამატიკული კონსტრუქცია შედეგია აღორძინების ხანის გაგებისა და არა კლასიკური პერიოდის გრამატიკული სისტემისა; 2) ლექსიკური: აქ ჩვენ გვაქვს ისეთი ვულგარული სიტყვა, ჯერეთ, რომელსაც კლასიკურ პერიოდში ადგილი ვერ ექნებოდა და არც ჰქონია; 3) ლოლიკური: აქ ნათქვამია: ა) ჩახრუხაძეებს უქიათ თამარ მეფე, ბ) მევაქებ მის სიმეტეს თინათინს, გ) მაგრამ არა იმ თინათინს, არაბეთს რომ იყო, არამედ ამას, ახალგაზრდას და წმიდას, ესე იგი — ამავე თამარსო. ძნელია თქმა, ვისზეა აქ ლაპარაკი: იმ მებოტბებზე, რომელმაც თამარი შეაქო, თუ იმაზე, რომელსაც თინათინის შექება სურს, თინათინზე თუ თამარზე? ამათ ისიც უნდა დავუმბატოთ, რომ პოეტი ჩახრუხაძე თავის თავზე არ იტყოდა ასე: „ჩახრუხაძეს უქია თამარიო“, ის იტყოდა: „მე, ჩახრუხაძემ, ვაქე თამარიო“.

ამნიერად, მოყვანილი ტაეპი ვერ ჩაითვლება პოეტის თვითმოწმობად, ვინაიდან ის მას არ ეკუთვნის და არც მისი დროისაა, ის მიწერილი უნდა იყოს კრებულის ბოლოში არაუადრეს აღორძინების ხანისა; უნდა ვიფიქროთ, რომ

1) ლოლიკური ანომალიის თავიდან ასაცილებლად, პ. ინგოროყვამ მეორე სტრიქონი შემდეგი დროის ჩანართად გამოაცხადა (კავკასიონი № 1-2, გვ. 275). მაგრამ მაშინ შესაძლებელია სტრიქონში მოულოდნელად თინათინის გაჩენა არა ნაყლები გაუგებრობა იქნება.

2) როგორც არ უნდა შევხედოთ ამ ტაეპის შემადგენლობას, სამ სტრიქონიანად ვიცნობთ მას თუ ოთხიანად. ერთი ცხადია: ის თინათინს სთვლის თამარის ალგორიად; პოემაში აერსონალური ალგორიების ძებნა ნაყოფიან ახალი დროის, ალბად ნების ხანის, იმტერპოეტაციული მისწრაფებისა, კლასიკურ ხანაში მას ადგილი არ ჰქონია.

3) Н. Марр, Древнегрузинские описания, стр. 52.

ეს ტაეპი გამომზატელია ბუნდოვანი გარდამოცემისა ჩახრუხადის ავტორობის შესახებ, და არა ის, რომ თვით გარდამოცემა ამ ტაეპზე აღმოცენებული, ის უფრო ძველი წყაროდან უნდა მოდიოდეს.

ამ ცნობებს თანდართვია კიდევ ერთი დეტალი, თითქოს ჩახრუხადე იყო მდივანი თამარ დედოფლისა, ისე, როგორც ესაა-ნათქვამი ვეფხისტყაოსნისა და ამირანდარეჯანიანის ავტორთა შესახებ. ამაზე მეტი ცნობები ჩვენი პოეტის შესახებ აღორძინების ხანაშიაც არ არსებობდა, როგორც ესა ჩანს ისტორიულიტიერატურულს საკითხებში ისეთი კომპეტენტური პირის ნაწერებიდან, როგორიცაა არჩილ მეფე. არჩილი რამდენჯერმე ეხება თამარიანის ავტორს ჩახრუხადეს; პირველად ის იხსენიებს მას „თემიურაზისა და რუსთეელის შედარების“ წინასიტყვაობაში შემდეგნაირად:

სხვა ლექსით ჩახრუხადემა შეამკო მეფე თამარი,
არ მებრალეების საქებრად თამარი, მისი ამარი,
ვაი ამით, რომ სრულ ვეო 'ყო, აღრე უთხარეს სამარი,
მულამ სხვას წიგნებს ვიკითხაეთ, მაგრამ ისიცა სამარი.¹

გაცხარებულს კამათში თემიურაზ მეფე შენიშნავს რუსთეელს:

ჩახრუხადემ პირველ არ თქო, რად იპარავ პირველ თქმასა?
რას მიერჩი მის რიტორსა, არ ანებებ მისსა მასა?
ვეკე, მას დარჩეს პირველობა, დაიხარის შენი მასა,
თორემ ვკითხვით ქორონიკონს, გაგიჩნდების შენ, იმასა.

მეორედ არჩილ მეფე ეხება ჩახრუხადეს თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „პირველთა და შემდგომითი შემდგომთა მეფეთა ქება და სამხილებელი“; აი რას ამბობს ის აქ:

ჩახრუხასძე ბრძენთ ვაბაძნეთ, მაგრამ სახელს გვიმაღლავსა,
იარება, შეპრკოლება არ ეტყობა დრკულ რამ სლევასა,
მაგრამ გვარი, მოსაგვარი, სახელს ვის გვდებს დასაეაღსა,
ღია ამკობს, ვით იაკობს, თამარს, მაშრიყს, დასაეაღსა.

ვის მეხევითა, სარო რხევითა, უთქვამს ლექსები რტო გარდაფენით,
ყვაეილთ მრაეაღფერთ, ფერად შესაფერთ, ვარდი უქრია ბავეთ
მრთენით,
ვინ ვაურქვევთ ლალთა, ცუდებრ მალალთა, მისთა თქმულთავან
გავიაფენით,
ქალნი თუ ყრმანი, არსად უხმარნი, მქვერად უქია ერნიც მუენით.

ჩახრუხაული, ვით რუ ხეული, ძველად უწესა თავისსა ლექსსა,
სიტყვის სიმტკიცით, ვინცა ვინ ვიციოთ, იგი მთიული უცხოლ რამ
ლექსსა,
ქვეყნის მპყრობელთა, სვეთშესწრებულთა, ნარნარად აქებს მის
დროს მოსელსა,

¹) Е. Такайшвили, Описки II, 138.

შაირთ მარჯობით, ლექსთ დარაჯობით, სწორედ შეამკობს ფინიკს და ლელსა.

მონახუსურის, მონა ხევსურის, სიყვარულითა მის ხმით ვთქვი მეცა, ვითა აჩრდილად, ართუ სადილად, გარნა იქმნების დღესთან ლამეცა, მე, ქვემეთრევსა, იგ ესრეთ მრევსა, დაბალს იატაკს თუ სთქვა აღმეცა, მოშაირენი, ბრძენგონიერნი, თურ გამოსულან ხევიდამეცა.

მოხვევლისამ, ჩახრუხელისამ, ლექსთა სიტკბომან ამიყოლია, მისებრ მთიული, სიბრძნით ლეთიული, თამარის კიდე ვისცა ყოლია, ან სხვა მდივანი, გულშემტკივანი, გინა შინაყმა, ვაა, მყოლია, მაგრამ რიტორთა, ვით რამ მარტოთა, დასჯის ლექსობა, ვინ მიპყოლია? ¹

აწნაირად. არჩილი გადმოგვეცემს, რომ: 1) თამარ მეფე შეაქო ჩახრუხაძემ 2) სხვა ლექსით, რომელსაც ჩახრუხაული უწოდა; 3) ის იყო მოხვევე, მთიული, 4) მდივანი თამარ მეფისა, 5) მისი ქებანი საამო და საკადრისია, მე ჰას ვერ შევედრები, 6) ქრონოლოგიურად მისი მწერლობითი მოღვაწეობა წინ უსწრებდა რუსოველის მოღვაწეობასაო.

აი ყველა ის ცნობები, რომელნიც ტრადიციის სახით მომდინარეობენ და რომელნიც ახალდროის შეკლევართ სხვადასხვა ზღაპრებით გაუფრციათ: მაგალითად, ზ. კიკინაძე გადმოგვეცემს, რომ ჩახრუხაძე პირველად სწავლობდა შიომღვიმეში, მერე საბერძნეთში, სადაც მან შეისწავლა ისტორია, ფილოსოფია და ენები; საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ ჯერ მდივანად იყო თამარის კაზზე, მერე ეს თანამდებობა დასტოვა და ისევ მთაში მიიქცა, სადაც თამარის ანი დასწერაო. ² რასაკვირველია, ეს ტრადიციული, ფრაგმენტალური და თან ზღაპრული ცნობები ჩვენ ვერ გვიშუქებს ამ ხელოვანი მგოსნის ვინაობას და შემოქმედებას, ამიტომ სრულიად ბუნებრივია ცდა ფარდა აეხადოს მის, საიღუმლოებით მოცულს, პიროვნებას და გარკვეულ იქმნეს ის.

მ. მარტია, რომელმაც მშენიერად შეიგნო სული და ხასიათი ამ ხობებისა, მგოსნის ვინაობის შესახებ მსჯელობისას მოინდომა მეცნიერულად დასაბუთება მ. ბროსეს მიერ 1830 წელს შემთხვევით გამოთქმული აზრისა, ვითომც ავტორი ვეფხისტყაოსნისა და თამარიანისა იყო ერთიდაიგივე პიროვნება, სახელდობრ შოთა რუსთველი ჩახრუხაძე; ³ რამდენად სამართლიანია ეს შეხედულება, რომელიც მერე, 1917 წელს, თვით ნ. მარტია უარყო, ⁴ ეს ჩვენ დავინახეთ, როდესაც ვეფხისტყაოსნის ავტორის შესახებ გვეკონდა ლაპარაკი. სამაგიეროდ მას გამოეხმაურა მ. ჯანაშვილი, რომლის აზრითაც დასახელებულის ორის ნაწარმოების ავტორი ერთიდაიგივე პიროვნებაა, მხოლოდ

¹) წერა-კითხვის საზოგად. ხელნაწ. № 1729. გვ. 151—152, № 426, გვ. 182—183.

²) ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნისა, გვ. 1—5.

³) Древне-грузинские описцы, стр. 51—75.

⁴) Грузинская поэма Витязь въ барсавой шкурѣ, Извѣстія Академіи На-

არა შოთა რუსთველი ჩაბრუნებდა, არამედ შოთა რუსთველი ართავა-
ჩოსძე.¹ მ. ჯანაშვილი ეყრდნობა ვეფხისტყაოსნის ყალბი პროლოგისა და
ეპილოგის ყალბ ტაეპებზე: „ვის შეენის ლომსა ხმარება“, „ჩემი აწ სცანით ყო-
ველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“, „დავითი ქნანი ვითა ვთქვენ“; ატორი ვეფხის-
ტყაოსნისა გვირდება დავით სოსლანის შექებას, რომელიც მას შეუქია კიდეც
ერთხელ, ხოლო თამარის შესახებ პირდაპირ ამბობს, რომ მე ის უკვე „მიქია“
ერთხელ. სად არის ეს წინარდელი ქება დავითისა და თამარისა? ალბად თა-
მარიანი შიო, ამბობს ის. ეს მოსაზრებანი და ტაეპები თავის დროს ამავე
აზრის დასამტკიცებლად მოჰყავდა ნ. მარჩასაც, რომელმაც მერე შეიგნო მა-
თი უსაკუთქლობა და უარყო ისინი. რამდენად შესაწყენარებელია საზოგადოდ
შოთა ართავაჩოსძის ატორობა, ეს ჩვენ უკვე დავინახეთ ვეფხისტყაოსნის ატო-
რის შესახებ ლაპარაკისას დროს.

უქანასკნელ დროს თამარიანის ავტორის პორტრეტის აღდგენა მოინ-
დომა პ. ინგოროყვამ, რომელმაც საგანგებო გამოკვლევა უძღვნა ამ საკითხს
შემდეგი სათაურით: „ჩაბრუნებდა, პოეტო, მოგზაური“.² მასაც ჩაბრუნებდა, თანა-
ხმად ტრადიციისა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მეხელზეა დამყარებული,
მოხვედდ მიაჩნია. დაბადებულია ის, მისი სიტყვით, 1164—5 წლის ახლო ხანებ-
ში. რატომ? იმიტომ რომ 1184—5 წლებში მას დაუშვრია თავისი პირველი ოდა,
რომელშიაც ის თამარს ტახტზე ასლევას ულოცავს; რადგან ეს პირველი მისი
ოდაა, ჩანს, 1184—5 წლებში მომხდარა მისი სამეფო კარზე მიღება „დალო-
ცვითა“ და „შეწყალებითა“, ხოლო ესეთი მიღება ხდებოდა, როდესაც ადამიან-
ნი სრულწლოვანი, 20 წლის, შეიქნებოდა (№ 1—2, გვ. 278—9). არ არსებობს
არავითარი საბუთი იმისა, რომ მათიანეში მოხსენებულა ტერმინი „დალოცვა“
და „შეწყალება“ სრულწლოვანების და სამეფო კარზე მიღების აღმნიშვნელი
აქტი იყო, არც ის ვიცით, რომ სრულწლოვანებად ოციწლის ჰასაკი იყო მიჩ-
ნეული მაშინ ჩვენში. თან არც ისაა მართალი, რომ ის ოდა, რომელიც ნ. მარ-
რის გამოცემაში პირველ აღგილზეა, ქრონოლოგიურადაც პირველია, რომ ის
დაწერილია თამარის ტახტზე ასლების გამო; შემდეგი სიტყვები მისი —

I, 55—56 მტკიცედ აქვს სჯული, სჩანს მართლმსაჯული, მას რომ უხმობენ
ღვთის სახიერსა;

უძრწის ავარი, სტურფობს ჯავარი, მშვიდსა და წრფელსა და ლმობიერსა
გულისხმობს, რომ თამარს უკვე გამოუჩენია კარგახანია თავისი მეფური
ფიზიონომია: ის ჩანს მართლმსაჯულად, მას უძრწის ავარი და სხვ.

შემდეგი მოხაზულობა ამ ბიოგრაფიული პორტრეტისა ასეთია: 1184—5
წლებიდან 1188 წლის გასლვამდე ჩაბრუნებდა თამარის კარზე იყო, როგორც კა-
რის მგოსანი, 1188 წლის გასულიდან 1191 წლის ბოლომდე ის უნდა შირვანში
ყოფილიყო, 1191 წლიდან 1193 წლამდე კელავ თამარის კარზე იმყოფებოდა
(№ 1—2, გვ. 290—292), ხოლო 1193 წელს გადახეწილა სამშობლოდან და
უტხოვთში გაქრილა; მიზეზი ამისა იყო უიმედო სიყვარული თამარისა. მოგზაუ-

¹) თამარაშვილის მებრტყენი, გაზეთი ტრიბუნა 1923 წ. № 106.

²) უფრანალი ქვეყანისიონი 1924 წ. № 1—2, პნ 3—4.

რობა და ხეტიალი პოეტისა გაგრძელებულა 10 წელიწადს, 1193—1203 წლ.; ამ ხნის განმავლობაში ის ყოფილა სპარსეთში, აღმოსავლეთს ირანსა და ინდოეთში, ჩინეთსა და ხატაეთში, ხაზარეთს, რუსეთს, საბერძნეთს და იტალიაში. დასავლეთ არაბულ სახალიფატოში, ეგვიპტეში, იემენში და მექაში, სადაც მამალიანობა მიუღია და არაბის ქალი შეურთავს; იქიდან მოსულა ბაღდადში და საქართველოსაკენ აპირებდა გამოგზავრებას, წერილიც გამოგზავნა ამის შესახებ, მაგრამ ქ. ბარდავში; სადაც მისი მეგობრები წავიდნენ მის შესახვედრად, მათ მეორე წერილი მიიღეს პოეტისაგან, რომ მას, რაღაც მიზეზის გამო, გადაუფიქრნია შინ დაბრუნება, კვლავ ზღვისათვის მიუშრთავს და უცხოეთის გზას დადგომია; ამის შემდეგ ის მართლაც აღარ დაბრუნებულა სამშობლოში და გარდაცვლილა, შეიძლება ქართველთა ჯვარის მონასტერში პალესტინაში, 1213 წლამდეო. რატომ ჰგონია მკვლევარს, რომ ეს მოგზაურობა ათს წელიწადს გაგრძელდა? იმიტომ რომ პოეტის გზავრობისას კონსტანტინოპოლში „მეფედ ზის კეისარი“, მამასადამე, ის ჯერ კიდევ არაა აღებული ლათინების მიერ, რასაც 1204 წელს ჰქონდა ადგილიო (№ 1—2, გვ. 310). რაზეა დაძვარებული ყველაფერი ეს, საიდან ამოიღო მკვლევარმა ასეთი დეტალური ცნობები?

როგორცა ვთქვით, ხობათა კრებულში შეტანილია ერთი ელეგია, რომელშიაც პოეტი დასტირის თავის მოყმეს, რომელიც გაკრილია სახლიდან, ყველა იმ დროს ცნობილი ქვეყნები შემოუვლია (ზემოთ ჩამოთვლილნი) და რომლის დაბრუნებას ის ვერ ღირსებია (VI, 1—21); ამ ელეგიისათვის ვილაც მეორე პოეტს მიუწერია საპასუხო სტროფები იმავე ხასიათისა და შინაარსისა, რომოდენიმე ზედმეტი დეტალების დამატებით (VI ა, 1—16). აი, ამ ორი ელეგიიდან ამოულია პ. ინგოროყვას ყველა ეს ცნობები; ის დარწმუნებულია, რომ პირველი ელეგია ეკუთვნის თამარიანის ავტორის ძმას, მეორეს ჩახრუხაძეს, ხოლო მეორე ელეგია—მის მეგობარ პოეტს, ვინმე ბარამან მანის, ესე იგი მანიქველს. ჩახრუხაძე მეორეს შეუდგენია კრებული თავისი ძმის ოდებისა, წინასიტყვაობის სახით დაუწერია ელეგია, რომელშიაც გადმოუცია თავისი ძმის ბიოგრაფია, და გაუგზავნია ბარამან მანისათვის, რომელსაც საპასუხო ელეგიაში ზოგიერთი ფაქტიური დეტალები შეუტანიაო. ელეგიები დაწერილია 1204 წლამდე და, მამასადამე, მათში დაცულ ცნობებს თანამედროვე წყაროდან მომდინარე დოკუმენტის ხასიათი და მნიშვნელობა აქვსო. ამნაირად, გენოის, რომ არსებობდა ორი ძმა პოეტი ჩახრუხაძე, რომელთაც ჰყავდათ მეგობარი, ბარამან მანი; ამ სამი პირის ნაწარმოებნი შემოუნახავეს თამარიანსო.

მთავარ საბუთად ორი ჩახრუხაძის არსებობისა პ. ინგოროყვას მიაჩნი: თამარიანის ბოლომინაწერი: „მოხვევს ძეთა, ჩახრუხაძეთა,“ რომელიც, მისი აზრით, დაწერილია 1213 წლამდე, თამარის სიცოცხლეში. ამ მინაწერის შესახებ ჩვენ უკვე გექონდა მსჯელობა თავის ალაგას, სადაც მკითხველი დაინახავდა, რაედენად საიზედო და გამოსაყენებელია ის ასეთი კარდინალური დასკვნისათვის, მით უმეტეს, რომ ჩვენ არა გვაქვს არავითარი გარანტია ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად იკითხებოდა „მოხვევს ძეთა, ჩახრუხაძეთა“ და არა „მოხვევს ძესა ჩახრუხაძესა.“ მეორე მხრით, თუ ელეგიის ავტორი გადახვეწილი პოეტის ცოლს სძალს ეძახის (VI, 15), ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ის უეჭველად ძმა იყო მისი.

(№ 1—2, გვ. 275), ასე შეეძლო მოენათლა მას მეგობრის, ძმად ნაფიცის ცო-
ლიც, როგორც ეს გვხვდება სპარსული ეპოსის ნიმუშებშიაც. ამნაირად, არ მოიპო-
ვება ექვემოტანელი და საიმედო საბუთი ორი ჩაბრუნების არსებობისა.¹

— შეიძლება თუ არა ვენდოთ ამ ელევებს, როგორც თანამედროვე დოკუმენტებს?
არა! მეორე ელევია თავისი უღაზათო, უშნო და უხეში ლექსით თვითონ ამ-
ელავნებს „მიმბაძველობითი ჩაბრუნებულობას,“ რომელსაც ადგილი აქვს აღორ-
ძინების ხანაში; რაც შეეხება პირველს ელევას, ის „ლექსის ფაქტურით, რით-
მების ხასიათით, ლექსიკონით და სხვა რეალიებით“ (№ 1—2, გვ. 274) იმდენ-
ნად განსხვავდება ოდებიდან, რომ საეჭვო ხდება მისი მიკუთვნება იმ ეპოქისათ-
ვის, რომელშიაც დაწერილია ოდები. მაგრამ, ვთქვათ, ია თანამედროვეა ოდე-
ბისა; რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის დაწერილია მეორე ჩაბრუნების მი-
ერ და გადმოქცევის თამარიანის ავტორის თავგადასავალს? ამისი თქმა იქ-
ნება პირწაყარდნილი თვითნებობა, ვინაიდან არავითარი საფუძველი ამისათვის
არ არსებობს, არც ფაქტიური, არც ლოლიკური.

ამნაირად, მთელი ბიოგრაფია თამარიანის ავტორისა, რომელიც პ. ინ-
გოროვყვას აღუდგენია, ფეერიული ზღაპარია, მტკიცე მეცნიერული ბაზა მას
არ აქვს. კერძოდ, ორი დეტალი ამ ზღაპრისა: შესაძლებელია, რომ პოეტს მარ-
თლაც უყვარდა თამარი, თუმცა მისი სიტყვები, რომ ის გაგიჟებულია თამარი-
საგან, კიდევ არ ნიშნავს, რომ მართლაც უყვარს ის: ასეთი აღსარება ჩვეულებ-
რივი ხერხია მდ მიჰიქრეი გი რიამ თამარისა. რაც შეეხება პოეტის მოგზაურო-
ბის დათარიღებას კონსტანტინოპოლში კეისრის ჯდომით, ეს უბრალო გაუ-
გებლობაა: მთელი რიგი აღორძინების ხანის ლიტერატურული ძეგლებისა ოსმა-
ლეთის სულთანს, კონსტანტინოპოლში მჯდომს, კეისარს უწოდებს.²

ერთი სიტყვით, თამარიანის ავტორის შესახებ დღესაც ის ვიცით, რაც
იკოდენ აღორძინების ხანაში, ახალი ფაქტიური მასალა ჩვენ მას შემდეგ არ შე-
გვეძენია. როდესაც ლაპარაკია ამ ავტორის ვინაობის შესახებ, არ შეგვიძლია
ურადღება არ მიეაქციოთ გელათის მონასტრის ერთერთს სჯულისკანონს
(№ 25 ჩვენ მიერ 1912 წელს შედგენილი კატალოგით), რომელიც მეცამეტე სა-
უკუნის პირველ მეხუთედზე უკვიანესი არ უნდა იყოს და რომელსაც შემდეგი
ანდერძი აქვს დართული: „გლაზაკი ფრიად ცოდვილი გრიგოლი ჩაბრუნ-
ხაჲსძე მომიკსენეთ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, რომელმან დიდის
გულმოდგინებოთა გარდავწყერე თქსითა კელითა ქრისტეანეთა წინამძღუარი
დიდი ესე სჯულისკანონი საუკუნოდ მოკსენებულისა და ჩუენ ქართველთათჳს
ფრიად კირთა თავმადებელიაა ახსენი იყალთოელისა თარგმნილი: საუკუნო ყოს
ღმკრომან კსენებაჲ მისი: არარაჲ სხჳსათჳს მოვიპირვე წერაჲ ამისი, თჳნიერ
რომელ სიყუარული მქონდა ცალკეჲ წმიდისა მონასტრისა პატროსნისა ჯუა-
რისაჲ და მერჳე ამის წმიდისა წიგნისაჲ. და ესე დავიდევ გონებაჲ ჩუენსა, ვი-

¹) ჩვენ არას ვამბობთ ბარამან მანის შესახებ, ვინაიდან მეორე ელევასი სიტყვები—
„მარამ არამან:ნ“ (5), შეიძლება გადაკეთდეს როგორც არამან მანად, იგი სხვახაირადაც.
ვინც როგორ მოინდომებს.

²) მაგალითად: თჳინიანი, შჳანავაზიანი, დიდმოურავიანი და სხვ. ეს კიდევ ცოტა: ბა-
რამგურჩიანში კეისარი ეწოდება ქ. ალაბის უბრალო გამგეს.

თარმედ, უკუეთუ ღირსმეოს ღმერთმან და წმიდასა მონასტერსა პატიოსნისა ჯუარისსა შინა შეიწყნარონ, მაშა თვთ კეთილ, და ვიდრე ცოცხალ ვიყო, არა დავაკლდები ხილვასა ამისსა: და თუ არა, ვიდრე ცოცხალ ვიყო, მე მქონდეს, და შემდგომ ჩემსა სადაცა ღმერთმან ინებოს: ხოლო მე ბევრისბევრეულითა ცოდვითა აღტვირთული ესე წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა მომიკსენეთ უოველმან კელად მიმღებელმან ამის წიგნისამან: წიგნისა სიმართლისათვს იკვ ნუვის გაქუს, პირველდედაჲ მართალი და კარგისა მწერლისა დაწერილი მქონდა, და თვთ რად არა წარზოგიდგინებ კაცსა ამას მოკსენებითა სახელისაჲთა? იოანე დიაკონისაჲ, წმიდისა დედოფლისა ბორენას გაზრდილისაჲთა: რომელ მე ესრე მაჲმა, რომელ გიორგი ბროლასა, კათოლიკოს ყოფილსა, აქჲათ მისებრი და მის უმართლესი მწერალი არა გამოსრულა ჩუენ ქართველთა ნათესაესა შინა: და მერმე დიდ ზოქირეებით შემინოწმებია: ღმერთმან გარწმუნოს, ვინცა იკითხვიდეთ და ვინცა სწვრდეთ ამისგან, ვითა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ. მრავალნი უტხონი სი ტყუანი არიან, გარნა დედასა ეგრე ვპოვე.¹ ამ ანდერძიდანა ჩანს, რომ ყოფილა ვილაც გრიგოლ ჩახრუხაჲსძე, ჯუარის მონასტრის მოღვაწე პალესტინაში; მას მეცამეტე საუკუნის პირველს მეხუთედში გადაუწერია არსენ იყალთოელის დიდი სჯულისკანონი² და დედნად უხმარია ბორენადედოფლის (ბაგრატ IV-ის ცოლი, რომელიც XI საუკუნის ოთხმოციან წლებში, კიდევ ცოცხალი იყო) მიერ გაზრდილის, სწორუპოვარი კალიგრაფის,³ იოანე დიაკონის მიერ გადაწერილი ნუსხა. შეიძლება დავსვათ საკითხი: ეს გრიგოლ ჩახრუხაჲსძე და ავტორი თამარიანისა ჩახრუხაჲე ერთიდაიგივე პიროვნება ხომ არაა?⁴ ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოება: 1) გრიგოლ ჩახრუხაჲსძე და თამარიანის ავტორი ჩახრუხაჲე ერთსადაიმავე დროს ცხოვრობდენ და მოღვაწეობდენ; 2) სტილი ანდერძისა არ არის მთლიანად საეკლესიო, მასში ჩვენ გვაქვს ხალხური ენის მორფოლოგიურ-ფონეტიკურ ელემენტებთან ერთად ერთი ისეთი ლექსიკური მოვლენა, რომელიც სწორედ თამარიანში გვხვდება, ეს არის სიტყვა მაშა; თამარიანში ვკითხულობთ: „მაშა ზე, ხელი, მაშა მეხელი“ (VII, 17). პირველი მაშა უდრის დღევანდელ მაშას, რასჲ. მაშასა და მეს, მეორე მაშა ნიშნავს მრავალმოსიარულეს, მგზავრს, მოხეტიალეს, ყარიბს (считался); პირველი მნიშვნელობით ეს სიტყვა ნახმარია ზემოაღწე-

1) საჭიროდა ესთვლით აღვნიშნოთ, რომ ამ ანდერძის ცნობას პირველად ჩვენ მივაქციეთ ყურადღება, როდესაც 1912 წლის ზაფხულზე გელათის მონასტრის ივლანწერთა კატალოგიზაცია და აღწერილობა შევადგინეთ და ამავე წლის 20 სექტემბერს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე გავაკეთეთ მიხსენება: „ორი კვირა გელათის მონასტერში“ (ოქმის საზოგადოების სხდომათა №62). შემდეგ, 1912 წლის დეკემბერში, გელათის ხელაწერებში ინახულია 3. ინგოროყვამაც (ოქმის საზოგადოების სხდომისა 1913 წლის 8 თებერვლის №68)

2) კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 300-301, 609-610.

3) კათოლიკოსის გიორგი ბროლას შემდეგ, რომელიც XI საუკუნის სამოციან წლებში ცხოვრობდა, იმისი ბადალი კალიგრაფი არ ყოფილა.

4) ზ. კეკელიძეს 1862 წელს ქუთაისის ეკლესიის გულანში უნახავს, ყოველი ნუსხებით, ზემოაღწერილი მინაწერი და ამიტომ ის თამარიანის ავტორს ჩახრუხაჲსძეს კატეგორიულად და გადაპირით გრიგოლს ეძახის (ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, გვ. 1-5).

რილს ანდერძში: უკეთუ ამ ჩემს ნაშრომს მიიღებენ, შეიწყნარებენ, ჯვარის მონასტერში, „მაშა კეთილიოა“, ამბობს ის. მეორე მნიშვნელობა ამ სიტყვისა, რომლითაც თამარიანის ავტორი ახასიათებს თავის თავს, საცხებიზ უდგება გრიგოლ ჩახრუხაძეს, რომელიც, როგორც მისი ანდერძიდანა ჩანს, მოგზაურობდა, ესე იგი პილიგრიმობდა საქართველოდან პალესტინაში და ბოლოს იქ, ჯვარის მონასტერში, დაბინავებული კიდევაც.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორი თამარიანისა, ჩახრუხაძე, ბოლახანს ბერად აღიკვეცა გრიგოლის სახელით და ჯვარის მონასტერში მოღვაწეობდა, ისე, როგორც აღკვეცილა ბერად, გარდამოცემით, ვეფხისტყაოსნის ავტორი. ამას თითქოს მხარს უჭერს თამარიანის შინაარსიც: მესიანური იდეა მისი, ძველისა და ახალი აღთქმის საღეთო ისტორიის გალექსვა, განსაკუთრებით პირველს ოდაში, და მისი მესიანიზმის იდეასთან დაკავშირება არ უარყოფს პოეტის სულში ეკლესიური განწყობილებისა და ასკეტიკური მიდრეკილების პოტენციას.

მეორე საკითხი, როდისაა დაწერილი ოდები? ცხადია, ოდები, რომელნიც გამოწვეულია თამარის ბრწყინვალე მეთუობის სხვადასხვა ამბებით, დაწერილი იქნება სხვადასხვა დროს. არსებობს მრავალგვარი ცდა ამ საკითხის გარკვევისა, როგორც, მაგალითად, პ. იოსელიანის, ნ. მარის, ს. კაკაბაძის და სხვათა, მაგრამ ყველაზე უფრო პრეტენციოზულია პ. ინგოროყვას ახალი თეორია, რომელსაც საჭიროდა ვსთვლით შეეხზო. მისი აზრით, ოდები დაწერილია 8—9 წლის მანძილზე: 1184—5 წლიდან ვიდრე 1193 წლამდე, როდესაც პოეტი სამშობლოდან გაიხვეწა სამუდამოდ (№ 1—2, გვ. 273); კერძოდ, პირველი ოდა დაწერილია 1184—5 წლებში თამარის ტახტზე ასლების გამო, II—V ოდები დაწერილია 1187 წლის შემოდგომიდან 1189 წლის დასაწყისამდე, VII—VIII ოდები—1191 წლის დამლევს ან 1192 წლის დამდგეს, IX, X და XII ოდები დაწერილია გიორგი ლაშას დაბადებისა და მასთან დაკავშირებული ომების გამო 1192 წელს, ხოლო XI ოდა—1193 წელსაო. ასეთს დათარიღებას მკვლევარი ასაბუთებს თვით ოდათა შინაარსითა და რეალიებით (№ 1—2, გვ. 288—290).

ეს შეხედულება მთლიანად შემცდარი და მიუღებელია: შესაძლებელია კიდევ დავეთანხმოთ მას II—V ოდათა, მათი შინაარსის უნიშანდობლივობის გამო, და XI-ის დათარიღებაში, სხვებისაში კი ეერა. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, რომ პირველი ოდა არაა გამოწვეული თამარის ტახტზე ასლით და, მაშასადამე, 1184—5 წლებში დაწერილი, ესევე უნდა ითქვას დანარჩენების შესახებაც. მართლაც, VII, VIII და IX ოდები რომ იმ წელს ვერ იქნებია დაწერილი, რომელშიაც, პ. ინგოროყვას ჰგონია, შემდეგიდანა ჩანს; აქ ჩვენ ვკითხვლობთ:

- VII, 18: ბობქარ აღარბის დასდვას დეინსა რბის ოდესმე ღბინთა
საზღვარი ბნელი,
მხვათა მძლევართა, ხარკთა მძლევართა ზედა სხვა შიში ქმატს
საშინელი.
- VIII, 7: ბობქარ მგოდები, მცდრად ნაწოდები, დაეითის ხმლითა
შემარცხენელი.

IX, 21: უძლე ძლიერთა ბევრთა სძლი ერთა, ოს ყვენ ბობქარს
მეოტებანი.

ამ ოდებში, როგორც ვხედავთ, ლაპარაკია ადერბეიჯანის ათაბაგის ბობქარ, ან აბუბაქრის შესახებ, რომელიც არამც თუ ლხინმოკლებული, შეშინებული, დავითის ხმლით შერცხვენილი და ოტებულია, არამედ ქ. დვის დაკარგულიცაა. ყველა ეს გულისხმობს, ერთის მხრით, აბუბაქრის ქართველებისაგან დამარცხებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველად შამქორის ომში 1195 წელს და მეორე მხრით — მისთვის დენის წართმევას 1203 წელს. ასე რომ VIII და IX ოდები დაწერილია არა უადრეს 1195 წლისა, VII კი არა უადრეს 1203 წლისა.

მეათე ოდაში ეკითხულობთ:

X, 22—23: წაუღე რანი, წა, უღერანი, ყელსა დასახენ ჩამომდებარე:
მიუშვენოდეს! მიუშვენ ოდეს ამბერდად რად ესთქენე იგი მე ბარე?
ეს სიტყვები გულისხმობს ამბერდის დაპყრობას, რომელიც მოხდა 1196 წელს, მაგრამ უფრო საყურადღებოა სხვა ადგილი ამ ოდისა:

ვინანი, სადა ვინ ანისადა მისთა მოყმეთა მარცხო მზებარე?

X, 13—16: წუხად ანელმან რა სთქვა ანელმან: დღეს მუსულმანთა მოსანთებარე.
აგარის ერთა სალმობიერთა სხვამცა ვინ იყოს სხვად შემძლებარე?
არ მით ავენებდა, არ მითავენებდა, რომე მჩანს ლომებრ შემძახებარე.

აქ მოხსენებულია ანისის მცხოვრებთა გაწყვეტა არდაველის სულტანისაგან და ქართველთა მიერ სამაგიეროს, თავნის, ალება, როდესაც რამაზანის დროს იმდენივე მაჰმადიანი მოსწყვიტეს ანისში და თან ქალაქიც დაიკავეს: ეს ამბავი მოხდა იბნ-ხალიკანის გადმოცემით 1206-7 წელს,¹ ასე რომ მეათე ოდა ამაზე ადრე დაწერილი ვერ იქნება.

დასასრულ, XII ოდაში (48-59, 63-74) აღწერილია შემდეგი: გამოჩნდა ვინმე ზეაფი, მხეცებრ მძვინვარე, ამპარტაყანი, ლალი, რომელსაც თავისი თავი უძლეველად მიაჩნდა და რომელიც ურიცხვი, ძალდატანებით შერგოვილი, ჯარით გამოემართა ჩვენს წინააღმდეგ ქადილით: მე მათ ქვეყანას შევქინი მოოხრებულადო. შენ, თამარ, შეჰყარე ჯარი, გაამხნევე, როგორც ჯარისკაცები, ისე მათი მთავარნი და უბრძანე მათ შებმოდენ მტერს ქრისტეს სახელით. ჯარს წაუძღვა დავითი, რომელმაც შიშის ზარი დასცა მტერს, სასტიკად დაამარცხა იგი, გააბნია, მოსწყვიტა და დაატყვევა; ტყვეები შეწყალებას სთხოვედნ და ეუბნებოდენ: „არ მოველით ნებითო“. სხვათა შორის ტყვედ ჩაუვარდა მას ზელში „ეზინაკს მფლობი“, რომელიც თან წამოიყვანა; ტყვეებთან ერთად ქართველებს დარჩათ დიდი და მდიდარი სამხედრო ალაფი. ვინ არ დაინახავს ამ აღწერილობაში რუქნადინის, resp. ნუქრადინის ზვიადობას, რომელმაც „მიირთნა თჳნიერ ნებისა მათისა შიშით ეზინელნი, ხალფერდელნი და კარნუქალაქელნი“ და „ოთხმეოც ბევრი“ კაცით, მუქარითა და ტრაბახობით, ჩამოემართა ჩვენკენ? როგორც ვიცით, ქართველებმა დავით სოსლანის გეთაურებით,

¹) ი. ჯაეახიშვილი, ქართველი ერის ისტორია II, 622-3, 629-630.

²) ქართლის ცხოვრება მარამ დედოფლისა, გვ. 496-509.

სასტიკად დაამარცხეს ის ქ. ბოლოსტიკესთან ბრძოლაში და ხელში ჩაიგდეს დიდი ალაფი და ურიცხვი ტყვეები, რომელთა შორის იყო „ეზინციელი ამირაჲ“.¹ ეს სახელოვანი ომი მოხდა 1206 წელს,² მაშასადამე, მეთორმეტე ოდა 1206 წ. აღრე ვერ დაიწერებოდა.

ამნაირად, VII—X და XII ოდები ჩახრუხადეს დაუწერია 1195 წლიდან მოყოლებული 1206—7 წლამდე, მაშასადამე, მას არამც თუ 1193 წელს არ დაუთავებია მოღვაწეობა სამშობლოში და უცხოეთში არ გადახვეწილა, როგორც პ. ი ნ გ ო რ ო ყ ე ა ს აქეს დასახული, 1206—7 წელსაც საქართველოშია და თამარს ხოტბა-ქებას ასხამს. ვინაიდან ოდებში თამართან ერთად შექებუ-ლია დავით სოსლანი († 1207 წ.) და 1207 წელზე უგვიანესი ამბები აქ მოხსენებული არაა, თ ა მ ა რ ი ა ნ ი, დღევანდელი შემადგენლობით, 1207 წელს და-მთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

ჩანს, ჩახრუხადის ოდებს დიდი პოპულარობა მოუპოვებია თანამედროვე მკითხველ საზოგადოებაში, ვინაიდან ისინი დიდ გავლენას ახდენენ შემდგომი დროის ლიტერატურულ შემოქმედებაზე: საყურადღებოა, რომ ამ გავლენას განიცდიან არა მარტო წმიდა ლიტერატურული ნაწარმოებნი, არამედ მემატია-ნენიც. ასე, მაგალითად, პირველი ნაწილი თამარ დედოფლის მატიანესი,³ რომელიც დამთავრებულია 1196 წელს, განიცდის უცილობელს გავლენას ჩახრუხადის იმ ოდებისას, რომელიც დაწერილია 1196 წლამდე. ის აღფრთოვანებული კილო, რომლითაც მემატიაზე აგვიწერს თამარს და მის საქმიანობას, ის იდე-ლიზაცია თამარის პიროვნებისა, რომელსაც მატიანეში ეპპოულობთ, გადმოტა-ნილია ამ ოდებიდან. თამარ ცხებული, ხოტბით, აღმსრულებელია საღვთო მი-სიია (I); მემატიაზე შეხედულებითაც თამარი, „ცხებული ღმრთისა“ და მჯდო-ში „საყდართა მათ ცამდი აღმართებულთა“ (გვ. 408—409), მოვლინებულია ქვეყნად ღვთის ნებისა და წინასწარგანჩინების აღსასრულებლად. ასეთი ფრა-ზები მემატიაზე, როგორცაა „სამებისაგან ოთხად თანააღზავებული“ (გვ. 363), „სამებისა თანა იხილვების ოთხად თამარი“ (გვ. 398), შედგენილია ხოტ-ბათა ეპითეტების ზეგავლენით. განსაკუთრებით ოდის სიტყვები: „თამარ წყნა-რი, შესაწყნარი, ხმანარნარი, პირმკინარი“ (II, 16), პირდაპირ გადმოსულა მა-ტიანეში შემდეგი სახით: „თამარ წყნარი და ნარნარი, ცნობიერი და გონიერი“ (გვ. 422), აგრეთვე— „წყალ-ჯაყარი“ (V, 36) განმეორებულია მატიანეშიც (გვ. 409). შემდეგი ადგილი თ ა მ ა რ ი ა ნ ი ს ა —

რამინს უშენოდ სტიკივის: უშენოდ შერებოდა ვისის ნამიჯნურევად. ოსანოს რეტი არის შენამკვერეტი: გმოს თავის ბედი, თმო ნატან-ჯევეად.

V, 22—25 საღმანს საღმობად უჩანს სევ და ღმობად სხვათათვის ხელქმნა ლხინუნახევად.

უკავს შატბიერს, გულად ლაყბიერს, ალათისა რად დაშვრა მოძევად,— განმეორებულია მატიანეში, სადაც ჩამოთვლილნი არიან სხვადასხვა მიჯ-

¹) ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია II. 616.
²) იქვე, გვ. 617.
³) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 562—474.

ნორნი აღსანიშნავად თამარის სილამაზით გატაცებისა; „ვითარ რამინ ვისისათვის, ვითარ ბაპაროს ოსნაეოზისათვის, ვით არ შადბაეარ აინლიეთისათვის“ (გვ. 414).

შესაძლებელია, რომ შედგენა—ამ ოდებისაგან ერთი მთლიანი კრებულისათვის ავტორს არ ეკუთვნოდეს; ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, კრებულში ადვილად მოხვდებოდა ერთი ისეთი ნაწარმოებიც, რომელიც ხოტბა კი არაა, არამედ, ელეგია (VI), და რომელიც, დასაშვებია, ჩახრუხადეს მართლაც არ ეკუთვნოდეს.

2. ძეგა დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლისა¹

შესაეალში ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, რომ ის თხზულება, რომელსაც ამდებან, განსაკუთრებით 1902 წლიდან, ყველა აბდულმესიას ვეძახოდით, არ არის ნამდვილად აბდულმესია, არამედ მას, შინაარსის მიხედვით, უნდა ეუწოდოთ „ქება დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლისა“ (გვ. 36-32) ეს თხზულება, რომლის ხელნაწერები შედარებით ახალი დროისაა, რამდენჯერმე გამოცემული,² თუმცა ნამდვილი, პირვანდელი, სახე მისი ჯერაც არაა აღდგენილი და სავსებით გაპოკეუელი.

მთავარი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, რომელნიც ამ თხზულებას შეეხება, შემდეგია: 1) ვინ არის შექმნილი თხზულებაში, 2) ვინაა ავტორი მისი და 3) როდისაა დაწერილი ის? ამ საკითხების შესახებ სამგვარი აზრი არსებობს: ტრადიციული შეხედულებით, ავტორი ხოტბისა, იოანე შავთელი, აქებს თამარ მეფეს და მის მეუღლეს, დავით სოსლანს. 1902 წ. პროფ. ნ. მარკოვა წამოაყენა თეორია, რომ ხოტბაში შექმნილია არა ორი პირი, არამედ ერთი, დავით აღმაშენებელი, და მეხოტბე არის არა თამარ მეფის, არამედ დავით აღმაშენებლის თანამედროვე იოანე შავთელი. დასასრულ, 1913 წ. ეს ხოტბა გამოსცა ს. კაკაბაძემ, რომელიც ლამობს დაამტკიცოს, რომ ეს თხზულება არის შესხმა გიორგი ლაშას შვილის, დავით მეფის, და დაწერილია ვილაც მწირის დავითის მიერ 1268—1270 წლებში, როდესაც დასახლებულის დავით მეფის მემკვიდრედ მისი შვილი დიმიტრი ითვლებოდა.³

ასეთი სხვადასხვაობა აზრებისა აიხსნება იმით, რომ წამოყენებულ საკითხთა გადასაწყვეტად, გარდა ხოტბის ტექსტისა, არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება, ტექსტი ხოტბისა კი პირვანდელი სახით ჩვენამდე არ შენახულა, ამიტომ თვითული მკვლევარი და გამომცემელი მას თავისი საკუთარი, სუბიექტური, თვალსაზრისით უდგება, რის გამო თავისებურად ჰკითხულობს და განმარტებს ამათუიმ ადგილს თხზულებისას.

¹) ეს თავი წარმოადგენს გადმოკეთებას იმ თავისას, რომელსაც ჩვენს თხზულებაში „ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, ჰეული მწერლობა“, 1922 წ., ეწოდება იოანე შავთელი (გვ. 332—342.)

²) პირველი გამოცემა ეკუთვნის პ. იოსელიანს (1838), მეორე დ. ჩუბინაშვილს (1863 წ.), მესამე ნ. მარკოვს (Древне-грузинские описаны, Тексты и разыскания IV, 1902 г. ციტატები მოგვყავს ამ გამოცემიდან), მეოთხე ს. კაკაბაძეს (1913 წ.), მეხუთე (1920) და მეექვსე (1922) მ. ჯანაშვილს.

³) კებანი დავით მეფისა დავით მწირის მიერ, ტფილისი 1913 წ.

არც ერთი ამ შეხედულებათაგან საესებით სიმართლეს არ შეესაბამება. დაეიჯყოთ უკანასკნელი თეორიიდან, რომლის შესახებ ბევრი არა გვეთქმის რა: ჯერ ერთი, იმ ადგილების კაკაბაძისებური წაკითხვა ან გაგება, რომელზედაც ეს თეორია ამყარებს თავის შეხედულებას აეტორის სახელისა (1, 1) და ლაშა გიორგის შვილის, დაეით მეფის, შესახებ (55, 1, 66, 1), საეკვო და საცილობელია. მეორე, მართალია, უმეტესი ნაწილი ქებაში ნახმარი ეპითეტებისა საზოგადო ხასიათისაა, მაგრამ, თუ შეხედვლობაში მივიღებთ ზოგიერთი მათგანის მკვეთრ, უცილობელ ინდივიდუალობას და ხოტბის საერთო სულსა და დედააზრს, მისი მიკუთვნება ლაშა გიორგის შვილის დაეითისათვის იმდენად საბუთიანი იქნება, რამდენადაც მეჩვიდმეტე საუკუნის მეფის არჩილისათვის, როგორც ამას სწადის ერთეული კალმოსანი აღორძინების ხანისა.¹ ასეთი შეხედულების გამართლება შეიძლება არა სხვა რაიმე მოსაზრებით, არამედ სურვილით, დამტკიცებულ იქნეს, რომ ვეფხისტყაოსანი, რომელსაც განუკლია, როგორც დაეინახეთ, ამ ხოტბის გავლენაც, თამარ მეფის ეპოქის შემდეგაა დაწერილი: მართლაც, თუ ხოტბა 1268—1270 წლებშია დაწერილი, ვეფხისტყაოსანი თამარის დროს, თავისთავად ცხადია, ვერ მიეკუთვნება.

ნ. მარჩის თეორიით, ეს ხოტბა, რომელშიაც შემკობილია მხოლოდ დაეით აღმაშენებელი, დაწერილია მისი და არა თამარ მეფის თანამედროვე იოანე შავთელის მიერ. ეს ასე არ უნდა იყოს: ხოტბაში შემკობილია არა ერთი, არამედ ორი პირი მართლაც, აეტორი ქების საგანს მიჰმართავს თქვენობით (1, 1, 25, 1, 27, 1, 54, 1, 62, 1, 94, 1, 99, 1, 101, 1, 106, 1, 107, 1); თუმცა ზოგიერთს ასეთს შემთხვევაში pluralis majestatis არის ნახმარი, ვინაიდან შესავთერი ზმნა იქვე მხოლოდობით რიცხვშია, მაგრამ პირველი ტაეპის პირველ მუხლში და უკანასკნელის მეორეში, რომელთაგან პირველი ზოგადი შესავალია თხზულებისა, ხოლო მეორე—დასასრული,—ყოველს ექვს გარეშე ორი პირი იგულისხმება. აქ რომ დაეითის გარდა ვილაც სხვა არის შექებული, მაშასადამე ორი პირი და არა ერთი მხოლოდ, ჩანს იქიდან, რომ 1) საგანი ქებისა სიკოცხლეშივე გაღმერთებულია, მას მეხოტბე წმიდანად ჰრაცხს უკვე (9, 1, 41, 1, 45, 1, 66, 1, 72, 1, 94, 1, 95, 1, 105, 1) და სამოთხეში ხედავს. დაეით აღმაშენებელს თანამედროვენი სიკოცხლეში წმიდანად არ სთვლიდენ და არ აღმერთებდენ. დაეითის კულტი მისი გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა.² 2) ერთი ტაეპიდანა (105, 1) ჩანს, რომ მეხოტბის დროს გელათი უკვე საზოგადოდ მიჩნეული მეფეთა საკრძალავი ყოფილა, ხოლო ეს არ შეიძლება დაეით აღმაშენებელის დროს ყოფილიყო, რადგან მაშინ გელათის დიდი ტაძარი დამთაერებული არ იყო და გელათიკ მეფეთა საკრძალავად არ ითვლებოდა.³ 3) ხოტბის გმირი იმორჩილებს შავი ზღვისაკენ ლიმიონას, ხარკს ადებს მას, ვინც არის ჯიმშედს მფლობელი⁴ (36, 1), მას ხალიუასაგან „აბალი თასი მრავლად მოერთმის

¹ წერ.—კითხვ. ხელნ. № 1511, გვ. 94—114.

² თუ მართალია ბარათაშვილის ცნობა, დაეითა რფილისის აღების პირველსავე დღეს წით მაჰმადიანი ჩამოარხო ქალაქში.—გეშინოდეთ და მეკრძალოდეთ (История Грузии. Терапи IV стр. 20. ნ. ურატელი, გაზ. იეროი 1888 წ. № 46); ამის მოწამენი მას სიკოცხლეში ვერ გააღმერთებდენ.

³ ს. კაკაბაძე, ქებანი დაეით იფისა, გვ. 11—111.

თავთა მონებად“ (16, 1), მას თან ახლავს დროშა „დავიოიანი“ (31, 2); ეს უკუ-
ლაფერი დავით აღმაშენებელის მეფობაში ანაქრონიზშია.¹

ამნაირად, პოეტი შეამკობს არა ერთს პირს, დავით აღმაშენებელს, არა-
მედ ორს; ამათგან ერთი უქვეყლად დედაკაცი, ქალი, უნდა იყოს. მართლაც,
პოეტი ალაგალაგ ისეთ ეპითეტებს ხმარობს, რომ ყოვლად შეუძლებელია მამა-
კაცი ვიგულისხმოთ ამისთანა შექთხევეაში; მაგალითად, „ეთერ ბრწყინვალე,
მზეებრ სადარი“ (3, 1), „მერცხალი, ნაძვი ლიბანით, სარო ერმონით, ფინი-
კად ზრდილი ენაგდომს, ნერგი ვარდისა იერიქოს“ (7, 1-2);² „ნარგიზ-ლაეროტი,
ია-მაქროტი, (8, 4), ვარდი ფურჩენილი, ცვართანბანილი, ნერგი სვიანი, სუნ-
ნელ-კასია (51, 1-2), მზისადმი წამწამთა, ვით ლახვარის, მსროლელი (67, 4) და
სხვ. რასაკვირველია, იმის წინააღმდეგ, რომ აქ ქალიცაა გამოყვანილი, ვერას
ამბობს, როგორც ნ. მარჩია ჰგონია (სტრ.9), სიტყვა ძე, რომლითაც აღნიშ-
ნულია შექებული პირი (3, 1, 47, 2), ვინაიდან ძე ს უწოდებს ქართული ძეგლე-
ბი ქალსაც; მაგალითად, მემატინე ამბობს: „გიორგის ძისათმარისა-
თქს“, „რუსუდან, ძე თამარ მეფეთ-მეუისა“, „ძენი თამარისნი გიორგი და რუ-
სუდან“ (ქ. ცხოვრ. I, 306, 338, 349); ამირანდარეჯანიანში ზღვათა
მეფე ეუბნება თავის ქალს: „შვილო, მე არა მივის შენგან კიდე სხვა ძე“;³ ვე-
ფხის ტყაოსანით როსტევეანს „სხვა ძე არ ესევა, მართოდენ მარტო ასული“.
არც ისაა მართალი, თითქოს შექებული პირი ერთხელაც არ არის ასულად
წოდებული (ნ. მარჩია სტრ. 9), პოეტი პირდაპირ ამბობს: „მკნე ხარ ასული
მკვრეტთადა სული“.⁴

ამნაირად, მეხოტბე ამკობს ორ გვირგინოსანს: კაცსა და ქალს. ნუ თუ მარ-
თლდება ტრადიციული შეხედულება, რომ აქ შემკობილია თამარ მეფე და მისი
მეუღლე დავით სოსლანი? დედაკაცად რომ აქ თამარ მეფე იგულისხმება, ეს
ყოველ ექვს გარეშეა: 1) სიწმინდე, უბრწუნელობა, ანგელოზთა მედასეობა, სილა-
მაზე-სიკეკლუცე, სინაზე და სხვა ქალური ეპითეტები, რომელიც ნაწარმოებში
ბლომდაა მიმობნეული, მხოლოდ თამარს შეჰყვენის, რადენადაც მას ჩვენ ვიც-
ნობთ მისი მატინედან. განსაკუთრებით ეს უნდა ვთქვათ პოეტის „ეთერ
ბრწყინვალეს“ შესახებ; ეს ეპითეტო, ეთერი, მიეკუთვნება თამარს როგორც
თამარიანში [„ელვა-ეთერი“ (II, 7, III, 16), „ეთერსა ელვათა სრეველ“
(V, 4), „იყო ეთერი, მაგრა ეთერი არა ჰრქევა მასცა სულნახუთეველ“ (V, 21),

¹ სიტყვეს: „თვით სულ მოწა კიდე, ლიმონა“, ნ. მარჩია არ უჩვენებს რატომ. ჰკი-
თხელოუს ასე: თვით სული მოწა, კიდელი მონა“ (53, 1). „ლაზია, ტრაპიზონი. ლიმონა და
სამისონი“ დაპრობობი იქმნა ქართველთაგან 1214 წ. ქართლის ცხოვრება, მარაბ დედაოული-
სა, გვ. 507, შენ; ქართ. ცხოვრ. I, 325).

² ი ა ბ ზ ლ ა ძ ე შეგვიწმენს (ქართული სიტყვა 1924 წ. № 19), რომ ზოგ-
ერთი აქ ნახეწეზი ეპითეტო (სულ ორი) ეფხისტეოსნით მამაკაცსაც მიეწერება: ეს ასეუ რომ
იყოს. ა ბ ზ ლ ა ძ ე ა ი რ ყ ვ ე ბ ა. რომ ზოტის ავტოუს ყველა ეს ეპითეტები ამოღებული აქვს
ქებ ბ ა ქ ე ბ ბ ა თ ა ჰ ს წიგნიდან, სადაც, როგორც ცნობილია, ქალია შემკობილი.

³ ზ. ჰიკინაძის გამოცემა, გვ. 22.

⁴ ნ. მარჩია ამ ადგილს, არ ვიცი რატომ. ასე ჰკითხულობს: „მხნე ხარ აიერა,
მკვრეტთა დასურო“. ჩვენი წაკითხვის შესახებ ი. ა ბ ზ ლ ა ძ ე ამბობს (ქართული სიტყვა
1924 № 19), რომ „უცნაურია წაკითხვა მკვრეტთადა“; მით უფრო სამწუხაროა, თუ ასეთი
ფორმად, ძველს ქართულში არაიშვიათი, აბულაძისთვის უნდადნა და გაუგებარია; იხ. მაგალი-
თად XI ს. შემდეგი მიწაწერი: „ესე გალობანა... გიორგი მეფეს... ალუკრებებთან მიწახისა-
და (ქ კ მ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 168)

„ეთერთა მფენნი, თქვენგან ნარცხვენნი“ (V, 47), „თუმცა მზე ეთერს. ნამტკი-
ცებარე“ (X, 1)], ისე მატრიანეში [„თამარ, პირი იგი ეთეროვანი“ (ქართ.
ცხოვრ., I, 276), „თამარ ეთეროვან იქმნა კელმწიფეთა შორის“ (მარიამ დედოფ.
ქართ. ცხოვრ. გვ. 363)]. 2) იღუმალი ქველის საქმე, რომლის შესახებ
პოეტი გვამცნებს (22, 3), თამარის განსაკუთრებით თვისება იყო; 3) გეოგრა-
ფია ხოტბისა (33, 1, 36, 1, 60, 1—3) სწორედ თამარის მეფობით მართლდება
4) სიტყვები: „კაცთა მკოდვისა და მამკოდვისა, შეიწრებისა არ მომთმინოსა“
(59, 2), პარალელს ჰპოულობს თამარ მეფის დახასიათებაში: „ვიღრემდის ამისა
განგებისა ათორმეტსა წელიწადსა შინა არცა თუ ტაჯგენავი უბრძანა ვისდამე
დაკრეად, კიდემქონებელი ყოელისავე მესისხლეობისა და მნებობლობისა და
ასოთა მიღებისა“ (მარიამ დედოფლის ქართ. ცხოვრ., გვ. 412). სიტყვები—შე
ხარ „მამა ობოლთა, მსაჯული ქერიეთა“ (63,2) მიუთითებენ სწორედ თამარს,
რომელსაც მემატრიანე ათქმევენებს: „შე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქერიე-
თა“ (ქართ. ცხ. I, 312), აგრეთვე—„სამგზის ნეტარი“ (47, 2) არის „თამარ სამ-
გზის სანატრელი“ მემატრიანესი (მარიამ დედოფლის ქართ. ცხოვრ. გვ. 363)¹

მეორე პირი და საგანი ხოტბისა არის მეფე-მამაკაცი, მაგრამ არა თამა-
რის მეუღლე დავით სოსლანი. მართალია, პოეტი ზოგადი შტრიხებითა და ეპი-
თეტებით ამკობს თავის გმირს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში დავით სოსლანი არ
შეგვიძლია დავსახოთ ისეთ დიდებულ და სახელოვან მეფედ, რომელიც პოეტს
მედევლობაში ჰყავს, ჯერ ერთი, დავით სოსლანი იმდენად იყო მეფე, რამდე-
ნადაც ის თამარ მეფის ქმარი იყო, მეტი არაფერი, ხოლო ხოტბის მეფე არის
„ცხებული“ ან „ზეთცხებული“ (2, 1, 6, 1), „ნაკურთხი“ (27, 1), კეისარი (36, 1),
გვირგინოსან-პორფიროსან-სკიპტრა-მპყრობელი (41, 1), ქვეყნის მპყრობელი
(4, 1), და თვითმპყრობელი“ (28, 1). ამგვარი მეფე დავით სოსლანი არასოდეს
არ ყოფილა; თან ხოტბა გულისხმობს იესიან მეფეს, დავით სოსლანი კი წო-
ლებულია არა იესიანად, არამედ ეფრემიანად, მაგალითად, თამარი-
ანში (VII, 21, IX, 10, X, 25, XI, 21, XIII, 31), გინა თუ მატრიანეში, სა-
დაც ნათქვამია: „იყო სახლსა შინა დედოფლისა რუსუდანიისასა მოყმე ეფრემის
ძეთაგანი, რომელ არიან ოქსნი“ (მარიამ დედოფ. ქარ. ცხოვრ. გვ. 430).

ეს მეფე არის დავით აღმაშენებელი: მართლაც, მხოტბებს რომ დავით აღ-
მაშენებელი ჰყავს სახეში, ეს საკმაოდ ნათელ ყო პროფ. ნ. მარჩვა (ის ცდებ-
და მხოლოდ იმაში, რომ დავითის გარდა სხვას ვერ ამჩნევს ოდაში), ჩვენ მის
არგუმენტებს აქ აღარ გაეიძეოვრებთ, ჩვენის მხრივ დაუმატებთ შემდეგს. პოეტი
ამბობს: „ალეის ხე ტანი, მსგავსად შემტანი აქეს კოწოლ-დაყრით კვიპაროზისა“
(49, 2); ამასვე იმეორებს დავით აღმაშენებელი თავის „სინანულის გალობაში“:
„მეგვპტური გულმძიმობაჲ... კოწოლი თმათაჲ და სხუანი... უწარმდებესად
მოვიგეო“.² პოეტის სიტყვები—„უწყის ყოველნი ჟამნი და წელნი, შეყინვა ნიეთ-
თა ცით მომგვრგელებულთა“ (69, 2), პარალელს ჰპოულობს იმავე გალობაში

¹ ყველა ამის მიუხედავად, ბ ა ბ უ ლ ა ძ ე მანიც აპობს, რომ ხოტბაში თამარის მო-
სცნების სასარგებლოდ ჩვენ მხოლოდ ერთი საბუთი მოვიყვანეთ, სახელდობრ, იოანე შათელის
სახელი, რომელსაც მატრიანე თამარის დროს უჩვენებს და ათა დავითისა (ქართული სიტყვა
19:4 წ. № 19).

² თ. უორდანიძე, ქრონიკები II, 154.

სადაც დაეითი ამბობს: „ზენაჲს მოძრაობისა ასურისტანელი ზნობაჲ და ცთომილთა ვარსკულაჲთა და უცთომელთა კრებაჲ, განყრაჲ, სუე და ბედი და შობის დღე, ვიჟარცა საღმრთოთა უსმენელმან, ვაჩქურნო“. ¹ პოეტის სიტყვები — „შემუსრავს ბაალს, მოლოქს და ქამალს, ასტარტის კერპსა საძაგელთასა“ (28, 6), უნდა იყოს მეხოტბის ანტითეზა, იმავე გალობიდან ამოღებული, სადაც დაეითი ამბობს: „თაყუანის ვეც ანგაპარეისა მამონას, ვითარ იგი ძუელთა მათ ბაალს და ასტარტეს და ქამალს საძაგელსა“. ²

ასე და ამნაირად, ჩვენ მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ პოეტი ხოტბაში შეამკობს ან აქებს ორ გვირგინოსანს: დაეით აღმაშენებელს და თამარ მეფეს ეს საეკირველიც არაა, პოეტი სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო, თუ სანეში გვექნება მისი საზოგადო პოლიტიკური სოფლმხედველობა და თანამედროვეობის შეგნება. პოეტი მოხიბლულია, პირდაპირ მოჯადოვებულია, თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური, კულტურული, სოციალ-ეკონომიური და ზნობრივი სურათით, მას თვალწინ ეხატება ძლიერი, განათლებული და განლაგებული საქრისტიანო საბელმწიფო, რომელიც შიშის ზარსა სკემს აზიის ბარბაროსებს, მას უნებლიედ აღედრვის საკითხი: ვინაა მიზეზი, ვინ შექმნა ასეთი საქართველო? რასაკვირველია, არა მარტო თამარ მეფემ, არამედ დაეით აღმაშენებელმაც, თამარი უდაკითოთ წარმოუგებელია, დაეითი არის ალფა მომხიბლველი საქართველოსი, ხოლო თამარი ომეგა, მათ ორთავეს თანაბარი ღვაწლი მიუძღვის მის წიქმნაში, წარმატებაში და განდიდებაში. ამიტომ ის განუწყურლად შაქებს ორთავეს, მისი ჩანგი პოეტური აღრეულობით გადმოგვეცემს მის გულში ორივე გვირგინოსანთა მიერ აღძრულ გრძნობებს, რომელნიც უშუალოდ სველიან ერთიმეორეს: ზოგს ტაეპში დაეითია შესხმული, ზოგ შითამარი, ზოგში კიდევ ორივე ერთად. იქნებ ვისმეს ეუცხოვოს და პარადოქსად მოეჩვენოს, რომ პოეტი, ცოცხალთან ერთად, აქებს დიდხინის გარდაცვალებულ გვირგინოსანს; მაგრამაქ გასაკვირვი არაფერია: პოეტი, როგორც დაეინახავთ, საეკლესიო ტრადიციების მატარებელია, ეკლესიაში კი მიღებული იყო, რომ ამათუიმ წმიდანს, სულიერ გმირს, ქებასა და ენკომიებს შეუთხზავდენ ხოლმე სიკედილის შემდეგ, ხშირად მთელი საუკუნეების შემდეგაც. თუმცა ასეთი რამ, ნ. მარჩის შეხედულებით, შესაძლებელი ყოფილა საერო მწერლისათვისაც; მაგალითად, ეფუხისტყაოსნის პროლოგში, რომელიც მას ნამდვილად მიაჩნია, პოეტი, მისი წაკითხვით, ამბობს: „მას ვაქებ, ვინ ცამ იქია“, ესე იგი, ვაქებ მას, ვინც მკვდარია უკვე და ცაზედ იმყოფებაო. ³

ვინ არის ავტორი ხოტბისა? ის მკვლევარნი, რომელნიც ამ ხოტბაში აბდულმესიანსა ხედავენ, ამბობენ, რომ ავტორი მისი არის დოდანე შაფედი; მაგრამ იოანე შაფეთელის ავტორობაზე ლაპარაკი შეუძლებელია, რადგანაც, როგორცა ვთქვით, აბდულმესიანი იოანე შაფეთელისა არის რალაც სხვა, დიდხანია დაკარგული თხზულება, და არა ჩენი ხოტბა. საკაჰაბაქის აზრით, ქების ავტორი არის ვილაც დაეით მწირი, მეკამეტე საუკუნის სა-

1) თ. ეორდანიი, კრონიკები II, გვ. 104.

2) იქვე, გვ. 105.

3) Н. Марр, Вступительные и заключительные строфы, стр. 2, 23.

მოკდაათიან წლების მოღვაწე, ხოლო პ. ინგოროყვას შემთხვევით გამო-
თქმული ჰიპოთეზით—ვილაც და ვით შაკეთვლი. უმკველია, პოეტის სახელი
დავითი ამათ გამოჰყავთ ხოტბის ერთი ადგილის თავისებურად წაკითხვისა-
გან, სახელდობრ:

„მწადს აქ ებანი
დავითის, დავით

ესჯდე მუსიკობად“ (1, 2)

აქ თითქოს პირდაპირაა ნათქვამი: თუ მექნება დავით (წინასწარმეტყველის)
ებანი. მე, დავითი, დავედები მუსიკობად, ესე იგი ვიწყებ გალობას, ქებას.
მაგრამ ამ ადგილის ასე წაკითხვა შეუძლებელია, ის ასე უნდა იქნეს წაკითხული:

„მწადს აქ ებანი,

და, ვით ის დავით,

ესჯდე მუსიკობად“.

ეს ნიშნავს: მე მწადს ებანი (მუსიკალური ინსტრუმენტი), და თუ ის მექ-
ნება მე, „ვით ის დავით“, ან—როგორც ის დავითი, იგულისხმება წინასწარმე-
ტყველი, რომელიც ებანზე მღეროდა თავის ფსალმუნებს, დაესჯდები და ვიწყებ
მუსიკობას, ან ქებასო; ამ შემთხვევაში უკვე აღარსადა ჩანს პოეტის სახელი და-
ვითი. არავითარი სხვა მასალა პოეტის პიროვნებისა და ვინაობის გასარკვევად
არ მოიპოვება, ამიტომ ეს საკითხი ჯერჯერობით უნდა ღიად დარჩეს.

შესაძლებელია დაახლოებით გამორკვეულ იქნეს დრო პოეტის ცხოვრები-
სა და ხოტბის დაწერისა, აგრეთვე სოფლმხედველობა მისი, ისიც მხოლოდდა-
მხოლოდ შინაარსის მიხედვით.

ნ. მარჩის ჰიპოთეზით ავტორი ხოტბისა არის თანამედროვე დავით აღ-
მაშენებლისა, რომელსაც ის ამკობს. რასაკვირველია, თუ მივიღებთ დებულებას,
რომ პოეტი თამარ მეფესაც აქებს თავის ნაწარმოებში, ცხადია, იმას დავით
აღმაშენებელის თანამედროვედ ვერ ჩავთვლით. მაგრამ ჩვენ თვით ხოტბის ტექს-
ტი გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ის დაწერილია სწორედ თამარის თანა-
მედროვეს მიერ.

ამ ხოტბაში ნათლად ჩანს ავტორის ორმაგი განათლება: საერო და სა-
სულიერო; ადგილად და ფორმით საერო ხასიათის ნაწარმოები, სულითა და და-
მუშავებით სასულიერო ელფეროვანი თხზულებაა. სასულიერო ელემენტს ჩვენ
ვგარძნობთ არა თემის დამუშაებაში უმთავრესად, არამედ უფრო ენაში: შედა-
რებანი ავტორს მოჰყავს ძველი აღთქმიდან და აზრებს გამოსთქვამს ბიბლიის
სიტყვებით.¹ ის ნაკითხია როგორც ძველს ბერძნულს ისტორიულს, ფილოსო-
ფიურს და მხატვრულ მწერლობაში. ისე აღმოსავლურს, —სპარსულ-არაბულში,
მაგრამ არანაკლებ მკოდნეა ის, ბიბლიის გარდა, საეკლესიო სასულიერო მწე-
რლობისაც, რომლითაც უხვად სარგებლობს თავის ნაწარმოებში; საჭიროდა
ესთვლით დავასახელოთ მისი წყაროები.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ავტორს ციტატები და პარალელები მოჰყავს
დავით აღმაშენებლის „სინანულის გალობათაგან“; ამას გარდა ავტორს
გამოუყენებია ერთი აპოკრიფი, რომელსაც ეწოდება „თქუმული წმიდისა

1) ჟურნალი კავკასიონი № 1—2, გვ. 291, შენიშვნა 2.

2) Н. Маръ, Древне-грузинскіе описанія, стр. 16—17.

მამისა ჩუენისა ეფრემისი, თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანი-
სა და აღამისათჳს¹. აქედან, როგორც ნ. მარრიც შენიშნავს, ² ამოღე-
ბულია ცნობა ან დიბან მოგვის შესახებ; პოეტი ამბობს:

„ანდიბანმოგემან, გრძნებითა მბოგემან, მისნობით ხელყო ზაკვით
ზლაპრობა,

ეშმაკს ევედრა, სული შევედრა, მით ექმნა სრულად მათთან საგრობა“.

(79, 1—)

ეს პოეტური გადმოცემა აღნიშნული აპოკრიფის შემდეგი ადგილისა: ნე-
ბროთმა იუნიტან გრძნეულისაგან ისწავლა „წიგნი სიბრძნისა“, რომლითაც ის
ველას აკვირებდა. „ვეითარცა იხილა ესე ანდიბან მღღელმან, რომელი ჰმსა-
ხურებდა ცეცხლსა, ევედრებოდა იგი ეშმაკთა, რომელნი გამოეცხადებოდეს
ცეცხლსა მას შინა, რათა ასწაონ მას სიბრძნე იგი ნებროთისა“; ეშმაკმა მართ-
ლა ასწავლა მას ყველა ის, რაც ნებროთმა ისწავლა იუნიტან გრძნეულისაგან და
რომლითაც ის აკვირებდა ყველას; ამის შემდეგ „ანდიბან იწყო ვარსკულაეთ-
რცხუაჲ და გრძნებაჲ და ბედის თხრობაჲ და მისნობაჲ და ზლაპრობაჲ და
კარი ყოვლისა ბილწებისაჲ ისწავა, და ესე კელოენებაჲ ეშმაკისაჲ არს“³. ამას
გარდა ამ აპოკრიფიდანვე უნდა ჰქონდეს მას ამოღებული ცნობა ნებროთ გმი-
რის შესახებაც (46, 7, 91, 3—4), თუმცა ამ შემთხვევაში ის უფრო დამოკიდე-
ბულია მემბტიანზე⁴. ნებროთის შესახებ მემბტიანე მოგვითხრობს, რომ მან გა-
ნიზრახა ველზე აშენება მალაი გოდლისა, „რათა აღვიდეს და იხილნეს მყოფ-
ნი ცისანი; მაგრამ, როდესაც მან გაანგლო საზღვარი ჰაერისა და შევიდა სა-
ზღვართა ვარსკულაეთისა“, საიდანაც იწყებოდა „კელმწიფება ცეცხლისა“, იმუ-
ლებული იქმნა შეჩერებულიყო, „და ესმა მუნით საზრახავი შეიდთა გუნდთა ზე-
ცისათა და იემნა ყოველი თვთო კაცი ნათესავითურთ შეტყუელ თვთო ენასა...
და დაუტევნა ჰინდურად მზრახველნი ინდოეთს, სინდნი სინდეფს, პრომნი
კრომს, ბერძენნი საბერძნეთს, აგ და მაგუგ მაგუგეთს, სპარსნი სპარსეთს; ხოლო
პირველი ენა ასურებრი იყო, და ესე არიან შეილნი ენანი, რომელნი ნებროთი-
სადმე ზრახვრდეს“⁵. ყველაფერი ეს გადმოუცია პოეტს შემდეგს ტაეპში:

როს ენა შეიდი, მათთვის დამშვიდი, საზრახველ იყო სულთა ყოველთა:
ასურთა, ჰინდთა, რომათა და სინდთა, ბერძენთა, სპარსთა, გოგ-მაგო-

91, 1—

გელთა,

მაშინლა ნებროთ კჳით სამისებრით გოდოლი კელყო შენებად ველთა.

იქ, სადაც პოეტი ჩამოგვითვლის ძველისა და ახალის აღთქმის მწველბეგლთ,
რომელთაც მისი ხოტბის გმირი პირს უყოფს (84, 85), აეტორი იმეორებს,
განსაკუთრებით პირველს ნაწილში, ერთს საეკლესიო ნაწარმოებს, რომელსაც
ეწოდება „გალობანი მწველბებელთა ყოველთა თვთუელისა წველებისა შეჩუენე-

¹ გეზოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ, ქართლ. ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 786—816.

² Древне-грузинские описцы, стр. VI.

³ სიძველ. მუზ. ხელნაწ. № 153, გვ. 140—143.

⁴ ქართლ. ცხოვრ. მარიამ დედოფლისა, გვ. 812, 813, 835.

⁵ იქვე, გვ. 140—141.

ბისანი“ და რომელსაც ჰგალობდნ ეკლესიაში „განქიქებისა მათისათვის“ პირ-
ველსა კვირიაკესა წმიდათა მარხეთასა.¹ აი პარალელურად ეს ადგილები:

ხოტბა:

შვიდ წვალებითა შეცვალებითა
იყვნეს ძველთაგან შობის დღის
მშველნი,
სადღუკიველნი, ფარისეველნი,
მცნებათა სჯულსა არ კმა[მ]ყო-
ველნი,
წერილთ მომპოვნნი, თვისით მომ-
გონნი,
სხვანი დღითი-დღე ნათლისმღე-
ბელნი,
ნაზარეველნი, ხუთოსინელნი
მისგან შეიქმნეს პირდაყოფილნი.

(84, 1-2)

გალობანი:

შვიდ წვალებანი იყვნეს ძველთაგან:
პირველ—მწიგნობართაჲ, სჯულმკნება-
თა არა კმაყოფილნი, სხუთაცა რათმე
უწერელად მომპოვნნი; და ფარისეველნი,
შობისა დღისა მშველნი; სამ—სადღუკე-
ველნი, აღდგომისა და სულთა და ანკე-
ლოზთა უარისყოფელნი. სხუანი დღი-
თილღე ნათლისმღებელნი; ხუთ—ოსინელ-
ნი, არაჯერანი წინადასწარმეტყუელთანი;
მეექვსეჲ—ნაზარეველნი, კორცის მკა-
მელთა მძაგნი და წინადასწარმეტყუელთა
არ შემწყნარებელნი; შვიდ—ჰეროდისანი,
ჰეროდეს ქრისტელ მეტყუელნი.²

ამის შემდეგ ჩამოთვლილია ორსავე ძეგლში ახალი აღთქმის მწვალებელნი:
ხოტბაში— მაკედონოსი, საბელიოსი, მანი, სამუსატელი და მომფსეეტელი (85),
რომელნიც საგალობელშია ცხსენებიან სხეებთან ერთად. ეს საგალობლე-
ბი შედგენილია ეპიტანე ეპიპრელის თხზულების „Λαχρυζαχ λωσ:“ მი-
ხედვით, რომელიც ქართულად უთარგმნია თეოფილე ხუცესმონაზონს
მეთორმეტე საუკუნის პირველს მეხუთედში.³ შედგენილია ისინი, შეგვიძლია
ვიფიქროთ, ქართველ მამათა მიერ, არაუადრეს, არის საბუთი, 1172 წლისა.⁴
პოეტს ხელთა ჰქონია არა ეპიტანეს თხზულება თეოფილეს თარგმანში, არავედ
თვით საგალობელნი, რაც. სხვათა შორის, იქიდანა ჩანს, რომ ძველი აღთქმის
მწვალებელთაგან საგალობლებში მეხუთე ადგილას ყოფილან ოსინელნი:
«ხუთ-ოსინელნი» (ესე იგი, მეხუთედ-ოსინელნი), რაც შემდეგიდროის გადამ-
წერათების, გაუგებრობის გამო, შეერთებულა და ქვეულა ხუთოსინელად
(№ 85); ხუთოსინელად გადმოუღია ისინი ჩვენს პოეტსაც.⁵ ამნაირად, აღ-
ნიშნულის წყაროს მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტორი ხოტბისა არაა
დავით აღმაშენებელის თანამედროვე.

მესამე წყარო, რომლითაც უსარგებლნია მეხოტბეს, არის „სიტყუაჲ გრი-
გოლ ღმრთისმეტყუელისაჲ ივლიანეს მიმართ განდგომილისა განმაქიქებელი
პირველი“, რომელიც გადმოუღია დავით ტბელს. აქ ჩვენ ეკითხულობთ:
„გარნა მითხარდა, შენი არსა ელენობა? ანუ არა ფინიკელთანი არიანა

¹) სიძველეთა მუხეუმის ხელნ. №85, ფურ. 317-335.

²) იქვე, ფურც. 317.

³) Migne, Patrol. Gr. t. 42, col. 833-836.

⁴) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 235.

⁵) 1103 წლის ხელნაწერში, რომლიდანაც მომდინარეობს სიძველ. მუხ. №85-ის მსგავსი ველათის ხელნაწერი № 22. მესამეტე საუკუნისა. ეს საგალობლები არ ყოფილა.

⁶) ასევე ჰკითხულობს მას ნ. მარტიც, 81, გვ. 103.

წერილი, და ვიხარ ვიეთნიმე იტყვან მეგვკტელთანი, გინა თუ უბრძნესთა-
ლა მათთა ებრაელთანი?¹ ამ სიტყვებზე აუშენებია პოეტს შემდეგი მუხლა-
ესტქვა ფინიკელნი,
არ აფრიკელნი,
მათ ქნეს წერილთა

მოგონებანი (78,₁).

მეორე მუხლი მისი (102,₁): პირველ წერანი
და აწერანი
პალამიდისგან
მოპოვებულ არს,—

დამყარებულია იმავე ნაწარმოების შემდეგს სიტყვებზე: „რამეთუ საცნაურ არს,
პალამიდი, მომპოვნებელი იგი ამათი, იებოსელი იყო, რომელმან მრავალნი
სახენი მოიპოვნა და აღძრნა ამას ზედა მოშურნენი, რომელთა ჰშურდა სიბრძნე
იგი მისი“.²

ჩამოთვლილი წყაროები ყველა ეკლესიური ხასიათისაა, ჩვენს პოეტს უსა-
გებლნია აგრეთვე საისტორიო თხზულებებითაც. აქ პირველ ყოვლისა უნდა
დაეასახელოთ დავით აღმაშენებელის ისტორია, რომელიც დამთავრებულია,
როგორც ვიცით, 1126 წელს. მართლაც, სიტყვები პოეტისა: „მოსიმახოსა—მოს
იმახოსა მახვილი თქვენი მტერთა მწყობელი“ (36,₂), დაწერილი უნდა იყოს ამ
ისტორიის ზეგაყენით, სადაც ვკითხულობთ: „მოსიმახოს ვინმე ითქუმის ებ-
რაელი მოისრობისა და კეთილმმართველობისათვის“.³ უსაგებლნია მას აგრეთვე
თამარ დედოფლის ისტორიითაც; მართლაც ხოტბის შემდეგს სიტყვებში (16,₁—₂):
ძირით მისისა, იესესისა, შვილი მართალი იშვის ცხორებად

ქალწულწმიდისა წილხდომილისა საქართველოსა მეფედ წოდებად,—
უნდა იგულისხმებოდეს გიორგი ლაშას დაბადება. პოეტი მოგვითხრობს, რომ „მარ-
თალი შვილის“ დაბადების გამო „იკითხვენ, სწერენ, თაყუშსა სჩხრეკენ, რამლს
ჰკერენ, არჩევენ ბედთა მათთაგან“, მნათობნი მძაფრად სხივთა მისთაგან იწვი-
ან, მხე მას ვერ ედრება და პირს არიდებს, ის „დოვლათსვიანად სუფევს მზი-
ანად, შვილთა მნათობთა გარმოზღუდვითა... განათლდა არე მისთვის, ვით მთეა-
რე“, შობა მისი „ლხინად ეყოვის“ ყველას და „არს მიწყვი შებით და გან-
ცხრომით“ (17, 18). მემატინანეც გადმოგვცემს, რომ, როდესაც დაიბადა „ყრმა
ახალი, პირველსაუწყუნეთა განწყესებული ძედ მეფისა, მეფედ შვილად ცხებულად
დავითიანად, იშვებდეს, იხარებდეს და იმოთხვიდეს სამოთხესა შინა ამის საწუ-
თოჲსასა... მნათობნი სცივდეს მას და ენთებოდა სული ზენისა სფეროჲსა, და
მეტბედი ბედსა ზედა და სჯანობა სუესა ზედა, მარჯუებანი უმეტესნი წარემა-
ტებოდეს“; მაშინ, სხეთა შორის, „იქმნა გალაშქრება... ბედსა და სუესა ზედა
ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმანა“.⁴

მაშასადამე, 1192 წელზე ადრე, როდესაც დაიბადა ლაშა გიორგი, ანუ თუ
1196 წელზე წინ, როდესაც დაწერილია მატინანეს ის ნაწილი, საიდანაც ამო-

¹) სიძველ მუხ. ხელნ. №292, ფ. 198.

²) იქვე, ფ. 198.

³) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 316.

⁴) იქვე, გვ. 447—448.

ლებულია ამოწერილი სიტყვები, ჩვენი ხოტბა არ დაიწერებოდა. შეიძლება კიდევ ნაჩვენები იქმნეს სხვა terminus-ებიც ante non ხოტბის დაწერისა.

პოეტი ამბობს: „თვით სულ იმონა კიდე, ლიმონა“ (33, 1), — იგულისხმება თამარის მიერ შაიზღვის სამხრეთი კიდის ან ნაპირის, კერძოდ — ლიმონას, დაპყრობა და ტრაპეზონის იმპერიის დაარსება 1204 წელს.¹

სხვა ადგილას პოეტი ამბობს: „ა, ხალიფასი ახალი ფასი მრავლად მოერთმის თავთა მონებად“ (16, 1); ამ სიტყვებში ჩვენ გვაქვს გამოძახილი მემატია-ნეს შემდეგი თქმულებისა: „დაშრტა სასოება მუსულმანთა და ყოვლითურთ უღონონი ღონეყოფდეს, რათა წყალობად მოიზიდონ წყალობის მოყუარე თამარ. ამისთჳს კუალად წარვიდეს ხალიფასა და შესახვეწელთა სიტყუათა მოაკსენებდეს, რათა ევედროს თამარს აღებად ხარკისა ოდენ, მახვილი მსრეელი დააყენოს და ჯაჭვი შემკვრელი, რომელი ესე ყო ხალიფამან და წარმოაღლინა მოციქული ორგზის ამის პირისთჳს, და დიდი მრავალფერნი სამეფონი ძღვენი უცხონი წარმოგზავნა და დიდითა სიმდაბლითა შემოეხვეწა თამარს, რათა აიღოს ხარკი და დააცადოს რბევა. ისმინა თამარ ამისი ევედრება და ესრეთ მისცა პასუხი „აღმისრულებიეს თხოვა შენი და რომელთაცა ინებონ მშკლობა თავთა თჳსთა და მოიღონ ხარკი წინაშე ჩემსა, ამათდა მიმინიჭებიეს მეცა ცხოვრება ვედრებისათჳს შენისა, რომელი ესე ესრეთ იქმნა“. ² ამ შეუთხვევაში იგულისხმება ქ. კარის აღების მომდევნო ამბები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 1206 წლის დამდეგს.

დასასრულ, ერთს ადგილას ხოტბაში ნათქვამია: „ხარ კისარი! ხარკე ის, არა სიმდიდრით ლალი, ჯიმშედს მკლობელი“ (36, 1), ესე იგი — შენ ხარკი დაადევი მას, ვინც არის ჯიმშედს ან სპარსეთს³ მტლობელი. აქ იგულისხმება ის ხარკი, რომელიც ქართველებმა დაადევეს სპარსეთს 1210 წელს, როდესაც ჯერ მარანდა აიღეს, მერე თავრევი, მიანა, ზანგანი, ყაზმინი და აქედან წაიღენ „უშინაგანისისა რუმგურის მიმართ, რომელ არს ხორასანი, და მიიწვიენეს გურგანისად ქალაქად და მოაოხრეს ქუეყანა“. აქამდისინ „ქართველთა ნათესავი ეერავინ მიწვეულ იყო ლაშქრად ხეარასანმდის, არცა მეფე, არცა მთავარი, და ეერავინ წინააღუდგა სპარსეთს შესულთა, ვერცა ხეარასნის სულტანი, ვერცა ერაციისა და ვერცა რომელი თემი“. ⁴ ამაზე უგვიანესი ფაქტი თამარის მეფობისა ხოტბაში მოხსენებული არაა, მაშასადამე, 1210 წელი არის terminus ante non პოემის დაწერისა. ვინაიდან ხოტბა დაწერილია თამარის სიცოცხლეში, თავისთავად ცხადია, 1212 წელს, როდესაც თამარი გარდაიცვალა, იმისი დაწერა ვერ გადასცილდებოდა, ესე იგი 1212 წელი არის terminus post non მისი დაწერისა. ამნაირად, ხოტბა დაწერილია 1210 — 1212 წლებში.

როგორც იდენის მხრით, ისე ფორმითაც, ეს ხოტბა ძალიან ახლო დგას ჩახრუხადის თამარიანთან; სოფლმხედველობა ჩახრუხადისა და ამ ხოტბის ავტორისა ერთიდაიგივეა: ლეთაებრივი წარმოშობა ქართული სახელმწიფოებრივობისა, მესიანიზმი ძველისა და ახალი აღთქმის ისტორიისა, რომელსაც მიზ-

¹) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა. გვ. 507, შენიშვნა.

²) ქართლის ცხოვრება I, 318, მარიამ დედოფლის ვარიანტი გვ. 496, შენიშვნა. 12

³) ჯიმშედის ქვეყნად ვისრამიანშიც სპარსეთი იგულისხმება (გვ. 7 - 8).

⁴) ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა გვ. 516 - 522.

ნადა ჰქონდა თამარისა და მისი ბრწყინვალე ეპოქის მომზადება, გაღმერთება ეთეროვანი დედოფლისა და სხვა ამგვარი სიუჟეტები, ერთნაირად გვესმის ორსავე ხოტბაში. დაწერილია ჩვენი ხოტბა იმავე ოცმარცვლოვანი, ჩამოყალიბებული, სურათოვანი, მაჯამებით გამშვენებული ლექსით, როგორითაც ჩახრუხადის თამარიანი. ამიტომ ჩვენ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს, მომავალ მკვლევართა საყურადღებოდ, დაესვათ ერთი, სრულიად უპრეტენზიო, საკითხი: ავტორი ჩვენი ხოტბისა იგივე ჩახრუხადე ხომ არაა, რომელსაც თამარიანი დაუწერია? აეთი საკითხის დასმის უფლებას ვაძლევს, ნათქვამის გარდა, კიდევ შემდეგი გარემოება: 1) ჩახრუხადე თავის თავს უწოდებს მაშას, — მგზავრს, მოსიარულეს, პილიგრიმს (VII, 27), ამ ხოტბის ავტორიც თავის თავს უწოდებს „მწირსა და მსხემს“ (54, 1); 2) არჩილ მეფე „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა“ შესაებ ცნობებში გაღმოქცემს:

სხვა ლექსით ჩახრუხადემა შეამკო მეფე თამარი,
 არ მებრალეების საქებრად თამარი მისი ამარი,
 ვაჟ ამით რომე სრულ ვერ ყო, აღრე უთხარეს სამარი.¹

აზრი ამ სიტყვებისა ასეთია: თამარი იმიტომ კი არ მებრალეა, რომ ის ჩახრუხადის ამარი დარჩა, არამედ იმიტომ, რომ, რადგანაც მას აღრე უთხარეს სამარი, ჩახრუხადემ სრულ ვერ ყო მისი ქებაო. ეს სიტყვები თითქოს გამოძახილია ჩვენი ხოტბის შემდეგი ადგილისა: „ვნატრი ელადასა, თვით მას გელათსა, სად რომ დაჰკრძალენ წმიდათ სხეულთა“ (105, 1); აოეტი — მებოტბე სწერს ამ სიტყვებს მაშინ, როდესაც თამარი სიკვდილად მიწვენულია და მისი გამომრთელების იმედი არავისა აქვს უკვე. ხომ არ ჰქონდა არჩილ მეფეს რაიმე, ლიტერატურული თუ ტრადიციული, ცნობა იმის შესახებ, რომ ავტორი ამ ორი ხოტბისა ერთიდაიგივე პირია, და ამიტომ ხომ არ დაუპირდაპირა მან თავისი სიტყვები ხოტბიდან ამოწერილ ადგილს? ესეამთ მხოლოდ საკითხს.



1) Е. Такайшвили, Описание II, стр. 138.

ნაწილი მეორე

აღმარების პერიოდი

გ ა ნ ე ო შ ი ლ ე ბ ა I.

ე პ ო ს ი

აღორძინების ხანის ეპოსი ჩვენ გვაძლევს ხუთს მთავარ დარგს: 1. ეპოსი საგმირო, რომელშიაც მთავარი ადგილი უკავია გმირებისა და ბუმბერაზების ერთიმეორეში და საშინელ მხეცებთან და აესულებთან ბრძოლას; 2. ეპოსი რომანტიული, რომელშიაც მთავარ მოტივს წარმოადგენს უზენაესად განვითარებული მიჯნურობა და ბრძოლა იმ დაბრკოლებებთან, რომელნიც მიჯნურთ წინ ეღობებიან; 3. ეპოსი საზღაპრო, რომელიც შეიცავს ლიტერატურულად გადამუშავებულ ზღაპრებს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით; 4. ეპოსი დიდაქტურმორალური, რომელსაც გარკვეული ტენდენცია აქვს და იგაფარაკების თუ სხვადასხვა სენტენციების საშუალებით მკითხველთა დამოძღვრვა და მორალურად განსპეტაკება სურს; 5. ეპოსი მსახსტორიო, რომელშიაც ლიტერატურულადაა დამუშავებული სხვადასხვა ეპოქები და ეპიზოდები ჩვენი წარსული ისტორიისა.

I საზმირო ეპოსი

I შაჰნამე ფირდოუსისა

ფირდოუსის უკვდავი ქმნილება, რომელსაც შაჰნამე ეწოდება, როგორც თავის ადგილას გეჰონდა ლაპარაკი, ნათარგმნი ყოფილა ქართულად პროზით ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში; ეს თარგმანი ჩვენამდე არ შენახულა, ამიტომ არ ვიცით, მთლიანად ითარგმნა ის მაშინ თუ ნაწილობრივ. მეთექვსმეტე საუკუნიდან, როდესაც ჩვენში მწერლობის გამოცოცხლების ნიშნებმა იჩინა თავი, ქართველებს უპირველესი ყურადღება ამ ნაწარმოებისათვის მიუქცევიათ, და სხვადასხვა პირთ, სხვადასხვა დროს, უთარგმნიათ სხვადასხვა ნაწილები მისი, როგორც პროზით, ისე ლექსით. ქართულს მწერლობაში გავრცელებულია ისეთი აზრი, ვითომც შაჰნამეს უსებო ენებზე თარგმანთა შორის ქართული თარგმანი ყველაზე უსრულესი და ყველაზე დაახლოვებულია დედანთან და რომ ამ თარგმანს ეწოდება როსტომიანიო. მაგრამ ასეთი შეხედულება სწორი არაა: მთლიანი, სრული შაჰნამე ქართულ ენაზე არ მოიპოვება, არსებობს მხოლოდ სხვადასხვა ნაწილები მისი, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებული და ცნობილია ეგრეთწოდებული როსტომიანიო. ეს ნაწილებიც სიტყვა-სიტყვით კი არ გადმოგვეყვინ შაჰნამეს შესატყვისს ადგილებს, არამედ მეტად მოკლედ: ხშირად რასაც ფირდოუსი ოცსა და მეტს წყვილ-წყვილ ლექსს ანდობებს, ის ქართულს თარგმანში ერთს ოთხმუხლიან ტაეპად არის თქმული. არსებული ნაწილები, თუ ყველა არა, ზოგი მაინც, ჯერ XV—XVI საუკუნეში უთარგმნიათ პროზით, ხოლო შემდეგ, XVI—XVII საუკუნეებში ეს პროზითი თარგმანი გაუღექსიათ. ჩვენამდე შენახულა რამდენიმე რედაქცია ამ პროზითი თუ ლექსითი თარგმანებისა, რომელთა კლასიფიკაცია, აგრეთვე გადმოთარგმნის თუ გაღექსვის დრო და მთარგმნელ-გამღექსველთა ეინაობის გამორკვევა ყოველთვის შესაძლებელი არაა.

ჩვენ განვიხილავთ ყველა ნაწილებს შაჰნამესას, რომელთაც ჩვენამდე მოუხწევია, იმ თანდათანობით, როგორითაც ისინი წარმოდგენილნი არიან თავით სპარსულ დედანნი.

↓ A ფრიდონიანი

ვინაიდან შაჰნამეს იმ ნაწილში, რომელსაც ქართულად ფრიდონიანი ეწოდება, ერთერთ მთავარგმირად გამოყვანილია უთრუთი, დეტა შემმუსრველი, ამიტომ ამ ნაწილს უთრუთიანიც ეწოდება. ამ ნაწილში გადმოკეთებულია (შემოკლებით გადმოცემული) დასაწყისი ნაწილი შაჰნამესი, სადაც

ლაპარაკია ქაიმურსის (ქაიომარ), უშანგის, თამურაზის, ჯიმშედის, ზოპაკის (ზა-
აქის) და ფერიდუნის (ფრიდონის) შესახებ;¹ ასე, რომ მართალი არაა ალ. ხა-
ხანაშვილი,² არც სხვა მკვლევარნი, რომელნიც ამბობენ, რომ აღნიშნული
ნაწილი შაჰნამეხსა ქართულად არ არსებობსო. დასახელებული ნაწილი
ჩვენ გვაქვს პროზით საქართ. საისტორიო-საეთნოგრ. საზოგადოების მეჩვიდმე-
ტე საუკუნის ხელნაწერში № 921 (პირველი 48 თავი, გვ. 1—82),³ სადაც ამ
ნაწილს თავი და ბოლო აკლია.⁴ ენა ამ თარგმანისა იმდენად ძველია, რომ მე-
თექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარს ვერ გადმოსცილდება, თან ის საკმაოდ
მხატვრულია, როგორც შეგიძლია დავერწმუნდეთ შემდეგი მაგალითიდან: „რა
გათენდა და საწუთროსა მაშეენებელმან მზემან თავი ამოყო და კირჩიბისა ქან-
გისაგან დაიქნა, გუმბადასა ზედა ამაღლდა და შავსა კუპრსა ზედაწითელი ვა-
რდი მოჰქინა, ჰკრეს ორსავე რაზმშიგან კმა საომარი ქოსისა. კუნესა სჭვირთა
სარაზმოთა. გამოაბეს მძივი ნაფირთა: ზროხაკელთა ნალარა: ზაბილები: სპილენ-
ქურთა: სინჯთა: აგრე პირველად მოედნის შუაგულობასაგოსტამისშვილი ფალა-
ვანი ჰშაქ მოვიდა“ (კარი კა). ვის ეკუთვნის ეს თარგმანი, არ ვიცით, ვინაიდან
არაერთი ცნობა ამის შესახებ არ შენახულა. მეჩვიდმეტე საუკუნეში ეს ნაწი-
ლი ვილად მელექსეს გაულექსია; ეს ლექსითი რედაქცია ფრიდონიანისა ჩვენ
გვაქვს საისტ.-საეთნოგრ. საზოგადოების მუზეუმის მეჩვიდმეტე საუკუნის ხელ-
ნაწერში № 61 (ესეც უთავბოლოა).⁵ მართალია, სათაური და რიცხვი კარებისა
ზემოდასახელებული პროზითი და ლექსითი რედაქციებისა ერთიმეორეს არ
ჰფარავს (ლექითს რედაქციაში ერთიდაიგივე კარი პროზითი რედაქციისა რამ-
დენიმე კარადაა გაყოფილი), მაგრამ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ გამლექ-
საეს სახელმძღვანელოდ გაუხდია სწორედ ეს პროზითი და არა სხვა რომელიმე
რედაქცია; ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ორსავე რედაქციიდან ერთს
ეპიზოდს:

¹) J. Mohl, Le livre des rois I, 19—163.

²) Очерки по истории грузин. словесности III, 118.

³) ი. ა. ბუღაძე ამ ნაწილს საამიანს ეძახის (შაჰნამეს ქართული ენაზე, XI, XIX)
თუმცა საამიანი ამ ხელნაწერის მეორე ნაწილშია მოთავსებული.

⁴) ის უნდა გვეჩვენდეს აგრეთვე პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავის XVI—XVII საუკუ-
ნის ხელნაწერში № 50 (изъ собранія Іоанна грузинскаго, რომელიც, ნ. მარტის სიტ-
ყვით, (როსტომიანი, ორიოდ სიტყვა შაჰნამეს ქართულად თარგმნის შესახებ, გაზ. იეგორია
1841 წ. № 132) შეიცავს შაჰნამეს პროზითი თარგმანის ნაწილს, პირველი თავიდან თუროს
მოკლევამდე მანუჩარის ხელით და ამ ამბის შესატყობად წერალის გაგზავნამდე მანუჩარისაგანვე
ფრიდონის მიმართ. სათაურები ამ ნაწილისა დასახელებულ ხელნაწერში აღნიშნულაა მოკლედ
ა. ხახანაშვილის მიერ (Очерки III, 123—124).

⁵) ი. ა. ბუღაძეს ჰგონია, რომ ეს ხელნაწერი შეიცავს შაჰნამესა და საამიანს
(შაჰნამეს ქართული ვერსიები, გვ. XI, შენ. 2), ნამდვილად კი ამაში გვაქვს ჩვენ ფრიდონი-
ანის ლექსითი გადმოცემა.

პროზითი რედაქცია, კარი 33;

„ზააქს ეშმაკისა მანქანებითა მქართა გუელნი ამოუკედეს:

მერმე ასე უთხრა ეშმაკმან, ვითა ზენი წყალო ბა არა მაკლიან რა: ამის მეტი არა მინდა რა, რომე ორთავე მქარის თავთა მაკოცნიენ: აგრე ამოუყვანა მქარის თავსა: მივიღა აკოცა: მერმე განქარდა ეშმაკი: აგრევე ორნივე მქარის თავნი აქავედეს და მოიფხანნა: ფხანაშიგან ორთა გულთა თავი ამოყვეს. ამოეზარდნეს: ორთავე ყურთა წოვნა დაუწყეს: მერმე აქიმი მოიკითხეს: ეერა შეუტყვეს რა: აგრე მოვიდა ისივე ეშმაკი კაცისა სახით: თავი მოემისქინდა: ასრე თქუა, ვითა ჩემსა უკეთესი აქიმი არსადა იქნების. მერმე ჰკითხა ზააქ გუელთა ამბავი და ასრე ასწავლა ვითა ყოველთა დღეთა ორორსა კაცსა მოჰკლევდი. თავისა ტვინსა ამოართმედი, შაქარსა დააყრიდი და აქმედი და აღარას გაწყენენ. რა ესე საუბარი გაიგონა ეშმაკისაგან ზააქ კელმწიფემან: აგრე მოახსენა: ორნი კაცნი დახოცეს და თავის ტვინი ამოართვეს. აქამეს და არა დაძღეს. სული დაიღეს. ყოველთა დღეთა გაისმა ამბავი ყოველსა ქუეყანასა. ხუთსა წელიწადსა ამა ყოფითა იყო: დაურიგებდიან ყოველთა ალაგთა. თემთა და ქალაქთა დაღმან მოყვანდის კაცი და აქმედიან. დიდროვანი ვეშაპები შეიქნა. მერმე ამა ქალაქშიგან ერთი მკედელი იყო. სახე-

ლექსითი რედაქცია:

აქა ზააქ ეშმაკმან აცდინა და მხრებზე გველები ამოასხა:

ეშმაკმან უთხრა: წყალობა არ მინდა ამის მეტია, შიშველი მხრები მიჩვენე, ვიყო იმისა მკვერეთია; მაზე გაკოცო, ვითომცა ვიყო შარბათის მხვერეთია, გარდილო, ფიცხლად აკოცა, დაქარგანათლის სვეტია.

ორთა მხართა აკოცა, ეშმაკი ვაუჩინარდა, ვერვინ შეუტყო რა იქნა, ან ვინ იყო, ზააქს დაუწყუო ქავილი მხრებმა ორმავე წინარდა, იფხანდის, მეტად ქაოდა, არ წოლ არ დაძინ არ და.

ნათხანში გველის მართებმა თავი ამოყო წინარე, იგ დაიზარდნენ დიდები კაცისა მოსაწყინარე, ცხვირთა და ყურთა სწოვდიან, მისგან არ იყო მძინარე, ყოველგან მოიხზო აქიმი, სადაცა იყო ვინ არე-

აქიმნი ყოველგნით მოვიდნენ, ვერა შეიტყეს ვერიითა. არა წამალი არ ერგო, არ ღონით არას ფერიითა, ისივე ეშმაკი მოვიდა სხვაფურად სხვაებრივითა, თქვა თუ მე ეარო ოსტატი, თქვენცა ისწავეთ მხვერითა-

ეშმაკმან თქვა: აქიმობა ჩემგან უკედ არ იქნების, მზარაულიც კარგი ვარო, რაცა თქვენს წინ დაიდების, ზააქ ჰკითხა გველთ ამბავი, ლამის მისგან დაინთქმების, მან ასწავლა ავი საქმე, უარესი რა ითქმების.

ლად ქვე ერქუა. მას ორმოცი შვილი
 ედგა. ოცდა თერამეტი წაუსხეს და
 ვეშაპსა აკამეს და ორნი შერჩეს¹
 (ფურ. 34—35

ოროლს კაცს დღეშიდ მოჰკლევდი,
 ისმინე ჩემგან თქმულია,
 მათ თავის ტენისა ვაჰმევედეთ შაჰრით,
 დაილონ სულია;
 ზააქს დაუგდო იბლისმა ეს საჰმე წარ-
 მართულია,
 ფიცხლა მოასხეს კაცები, გაგზავნეს მზა-
 რაულია.

ორი კაცი მოიყვანეს, დაკლეს, თავსა
 წაეჰედნეს,
 თავის ტენი ამოართვეს, ღმერთი აღარ
 მოიხედნეს,
 გველს აკამეს, დაიძინეს, ყურთა აღარ
 შეეჰედნეს,
 ამა წესით იქცეოდა იმის დღენი რაცა
 ესხნეს.

ხუთს წელიწადსა ესე ქნა, დღე არ იც-
 დინა ერთია,
 ოროლს კაცს დაჰკლავს დღიურად, არ
 მოიგონა ღმერთია,
 ვეშაღ შეიქნა გველები, ეშმაკის შენა-
 ერთია,
 ყოვლგან დაეარდა ესე ხმა, დახდნენ
 მართ ვითა შეთია.

ქალაქშია მკედელია, მას სახელად ქავე
 ქვიან,
 მას ორმოცი შვილი ჰყავდა, ზააქისგან
 სისხლი სდიან.
 ორის მეტი გველისათვის დახოცეს და
 თავსა სჭრიან,
 ორი შვილი შეარჩინა, ყარან, ყუბად
 (გვ. 113—116). დაარქვიან.

როგორც ვხედავთ, ლექსითი რედაქცია თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს
 პროზითის რედაქციას და დიდად განსხვავდება ზააქიანის იმ რედაქციისა-
 გან (ეს ეპიზოდი ზააქიანშიც არის), რომელიც გაულექსია, როგორც შემ-
 დებგ დავინახავთ, შამშუკა მდივანს.¹ არც ის ვიცით, ვინაა გამლექსავე ამ
 პროზითის რედაქციისა.²

¹) ი. აბულაძის გამოცემა „შაჰნამეს ქართული ვერსიები“, გვ. 14—16, ტაეპ. 28—30.

²) ეს ლექსითი რედაქცია ფრაგმენტალურად შენახულა წერა-კითხ. ხელნაწერ. № 4000.
 XIX საუკუნ.

B. ზ ა ა კ ი ა ნ ი

თუმცა ზააკის თავგადასავალი ზემოდანახელებულს პროზითსა და ლექსითს ფრიდონიანშიცა გვაქვს ვრცლად წარმოდგენილი, მაგრამ ის (ალექსიკო უფილა გამოყოფილი როგორც სპარსულ-თურქულ, ისე ქართულს ლიტერატურაშიაც. ქართული ზააკიანი¹ ეკუთვნის მეფის მდივანს მამუკას, რომელიც თავისი შრომის შესავალში გადმოგვცემს შემდეგს:

„ეს ამბავი საქაროილოს ძველისძველადაც კჳონდა; თუმცა ჩემზე უკეთ ის სხვებმა იცოდენ, მაგრამ მისი გალექსისათვის თავი არ შეუწუხებიათ არც შეათელს, არც სარგის თმოგველს. არც მანუჩარ [ციციშვილს?], არც შოთას, არც კახთა მეფე თეიმურაზს. ამიტომ მე, მეფის მდივანმა მამუკამ, ვთქვი ეს ზააკიანი, სახელდობრ, გალექსე მე ზააკისა და ფრიდონის ქველობა; ეს მე გავაკეთე მაშინ, როდესაც ტყვედ ვიყავ ოდიშს, ჩემის პატრონის, ლევან მანუჩარის ძის დადიანის ბრძანებით.“²

ვინ არის ეს მამუკა მდივანი? ი. აბულაძის სიტყვით, მამუკა უნდა იყოს მანუჩარ დადიანის ერთი იმ ტყვეთაგანი, რომელნიც მან წამოასხა ქართლის მეფის სვიმონზე ოფიშქვიტის ბრძოლაში გამარჯვების დროს.³ მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება: ავტორი თვით ამბობს, რომ მას უბრძანა გაეღექსა ზააკიანი არა მანუჩარმა, არამედ მისმა შეილმა ლევან დადიანმა, რომელსაც ის აქებს ექვს ტაეპში (7—12); თან, ოფიშქვიტის ბრძოლა მოხდა, ვახუშტით, 1590 წელს,⁴ ხოლო სხვა ცნობით—1593 წელს,⁵ ასე რომ მამუკა მეფეებსმეტე საუკუნის მწერალი გამოდის, რაც დაუშვებელია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ქებას ან ხოტბას, რომელსაც მამუკა უძღვნის თავის პატრონს, და მას შევეუდარებთ მემართიანეს ცნობებებს, მამუკას პატრონად უეჭველად ლევან II დადიანი († 1657 წ.) უნდა ჩაითვალოს, როგორც თვით მამუკაც აღიარებს, და არა მანუჩარი; ასე რომ მამუკა ძეგვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერალია.

ჩვენ რაი მამუკა ვიცით ისტორიიდან, რომლებთანაც ამ ლევანს საქმე კჳონდა: ერთი იმერეთის ბატონიშვილი, ძმა ალექსანდრე მეფისა, რომელიც 1647 წ. დაატყვევა ლევან დადიანმა,⁶ მაგრამ ეს მამუკა ვერ ჩაითვლება ზააკიანის ავტორად, ვინაიდან, ჯერ ერთი, ლევანმა მას თვალები დასთხარა და ციხეში წარულო სიცოცხლე, და მეორე—პოეტი მამუკა არის მეფის მდივანი, ბატონიშვილი მამუკა კი მდივანად არასდროს არ ყოფილა. მეორე მამუკა არის ის მამუკა, ბოქალთუხუცესი, რომელიც ამილნაბარ აბაშიძესთან ერთად იმერეთის მეფე გიორგიმ დანიშნა ჯარების უფროსად, როდესაც მან გიორგი სააკაძის შთაგონებით ომი გამოუცხადა ლევან დადიანს 1623—1624 წელს; ეს ომი ლევან დადიანის სასარგებლოდ გათავდა გიორგის ჯარი უკან გამოიქცა.⁷

1) გამოცემულია ი. აბულაძის მიერ: „შანაშენი ქართული ენისთვის“ გვ. 3—36.

2) იქვე, გვ. 3—7, ტაეპ 1—8.

3) იქვე, გვ. 6, შენიშ. 7.

4) ქართლის ცხოვრება II, 195.

5) თ. ყო რ დ ა ნ ი ა, ქოჩუკები II, 127.

6) ქართლის ცხოვრება II, 200.

7) იქვე, გვ. 198.

აღბად მამუკა მაშინ ჩაუვარდა ტყვედ ლევან დადიანს; თუმცა ვახუშტი მას ბოქაულთუხუცესს უწოდებს, მაგრამ მას შეეძლო მდიენობაც ჰქონოდა.¹

ამნაირად; გამლექსაჲი ზააკიანი ისაჲ მკუთის მდივანი და ლევან დადიანის ტყვე, მამუკა არის მწურალი მგზავდმეტე საუკუნის მეორე მეოთხედისა; მას რომ მართლაც ჰქონია ლიტერატურული ინტერესები, ჩანს იქიდანაც, რომ 1616 წ. მას გადაუწერია, ტყვეობაში ყოფნისას, ერთერთი უძველესი თარიღიანი ნუსხა ეფთხისტყაოსნისა.² მის მიერ გალექსილი ზააკიანი გადმოგვცემს დაახლოვებით იმას; რაც ფირდოუსის შაჰნამეში ნათქვამია ჯიმმდღის, ზოჯაკის და ფერიდუნის შესახებ.³ მამუკას სპარსული დედნიდან კი არ გადმოუღია თავისი შრომა, არამედ ქართული პროზითი ვერსიიდან, როგორც თვითონ ამბობს. ამ პროზითი ვერსიად ჩვენ ვერ ჩაეთვლით ზააკის იმ თავგადასაქვლს, რომელიც ზემოხსენებულს პროზითს ფრიდონინში გვაქვს. საქმე ისაა, რომ მამუკას ზააკიანი, როგორც შინაარსით, ისე მოცულობით, უფრო ემხრობა ფირდოუსის შაჰნამეში მოთავსებულს ზააკის ამბებს, ვიდრე ფრიდონიანში შეტანილს.⁴ მამუკას რომ მართლაც სხვა თარგმანი ჰქონდა ხელთ, ამის დასამტკიცებლად საკმარისია მოვიყვანოთ ფრიდონიანში მოთავსებულის ზააკის შესახებ ამბებიდან (ლექსითი რედაქციით) რამდენიმე ტაეკი და შევუდაროთ ის მამუკას ზააკიანს.

ფრიდონიანი:

ზააკიანი:

მურდაეს ერთი შვილი დარჩა, მას სახელად ზააკ ქვიან, მას ეშმაკის მანქანებით მხართა გველნი დასხდომიან, მას ეჩენა ამხანაგად ბელზებელი მოუდგიან, იგ შეადგა საცთუნებლად, მისთვის ეტლნი ავად რბიან. უთხრა ეშმაკმან: ისმინე პასუხი ჩემგან თქმულია, ხარ მოწიფული, ახალი შენებრი არ შექმნულია, შენ დაგრჩეს სრული მეფობა, საშენოდ შეკრებულია. ადრე აცდინა, დაკარგა სამუდმოდ მისი სულია.

ზააკ იყო მუხვარდის ძე, ფალავანი გამოთქმული, თვისის მამის სამსახურთა გამთავება მეტად სრული, ტახტი ჰქონდა საბატონოდ, სხვა ქალაქი ბევრი, სრული, ეშმაკისა მანქანებით გარდუბრუნდა იმას გული. მას მიუხდა ერთი კაცი, იბლისი და აეისმქნელი, მამის მოკვლა დააჯერა, მიუქცია მისკენ გული, „ზააკს ესე რა უქნია“, იმას კურობს ყოელი რჯული, ძლეულმა და კკუა-მოღლილმა ეშმაკს მისცა მისი სული?!

¹) E. Такашвили, Описание I, 366—367: ეს ბოქაულთუხუცესი მამუკა, ცხადია, ვერ იქნება ის მამუკა ბოქაულთუხუცესი, რომელსაც არჩილის მიერ გალექსილი ვის რამიანისათვის ერთტაეპოვანი წინასიტყვაობა უძღვნია მეორეამეტე საუკუნის დამდეგს.

²) მისივე, Описание II, стр. 50.

³) J. M o h l, Livre des ruiss, I, 33—163.

⁴) ი. აბულაძე, შაჰნამეს ქართული ვერსიები, გვ. XI.

ეშმაკმან ზააქ აცღინა. უთხრა სიკე-
დილი მამისა,
თქვა: აქესო ბევრი ქონება მამა თქვენს
მრავალ ჟამისა,
შენცა ბევრი გაქვს, შეყაროთ, იყავ
მოქმედი ამისა,
ლაშქარზედ გავსკეთ ყოველი იგი ერ-
თისა წამისა.

(საისტ.-საეთნოგრ. №61, გვ. 104).

ზააქ ჰკითხა იმ ეშმაკსა: „ვის ასმია
მამის მოკლეა?“
მან თქვა: „რად გიჩნს, რა იტყუიან.
შვილმა თვისი მამა მოკლა!“
სხვა ერანში საკელმწიფოდ შენგან
მეტი არეინ ვარგა“.
ბატონობა მოინდომა საკელმწიფო
მით დაჰკარგა.

(ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა, ტ. 15-17).

მამუკა მისდევს შაჰნამეში მოთხრობილს თავდადასავალს ზააქისას, აღ-
გილადგილ მას ამოკლებს, აღგილადგილ კიდევ სცელის მას თავისი დროისა
და საკუთარი, ქრისტიანული, სოფლმხედველობის მოთხოვნილებით; მაგალითად,
იბლისი, რომელიც მზარეულად ეჩვენა ზააქს, ეუბნება მას: „საფრანგეთსა
მე ვისწავლე სულ ზნენია“ (ტ. 24), ანადა აფთიონის გარდაცვალების შემდეგ,
—
აღაპი უყუეს აფთიონს კელმწიფურითა წესითა,
ეფისკოპოზი აწვიეს ქრისტიანობის წესითა,
ეპი სწირეს და ილოცეს მათის კრებულის წესითა,
თვალ-მარგალიტსა მიაართმენ, სავსეს ოქროსა თეფშითა.

კვლავ მისცა უანგარიშო უდაბნოს მონაზონზედა,
ქერივსა და ობოლს უბოძა ვანც გლაბა ვლიდა მთაზედა,
სხვაც გააჩინა აღაპი, ვინც გაივლიდა გზაზედა,

ფრანგი იქავე წაეიდა შვილთან იმავე მთაზედა. (ტ. 52, 53).

ქართველ მთარგმნელს თუ მელექსეს ისე წარმოუდგენია, თითქოს იმ დროს,
როდესაც აფთიონის ამბები ხდებოდა, ირანლები ნამდვილი ქრისტიანები იყუ-
ნენ; ცხადია, ეს სპარსულს დედანში ვერ იქნებოდა. უკვე ეს თავისებურობა, თუ
ის მამუკას ეკუთვნის და არა მის პროზიითი დედანს, ამტკიცებს მისი პოეტური
შემოქმედების დაბალხარისხოვნებას; ეს უფრო გამოსკვივის მის ულაზათო ლექ-
სებში, რომელთაც მაჯამის პრეტენზიაც კი აქვთ, თუმცა ვერ ეხერხებათ:
ტაეპის სტრიქონები ბოლოვდება ერთიღაიმავე სიტყვით. მაგრამ არა სხვადა-
სხვა მნიშვნელობისა, არამედ ერთიღაიმავესით.

С როსტომიანი.

მესამე ნაწილი შაჰნამესი, რომელიც ქართულად გადმოუქეთებიათ, არის
როსტომიანი: ამასი უმთავრესად როსტომის ან რუსტემის სადევგმირო
თავდადასავალია მოთხრობილი. როსტომიანი, რომელშიაც გადმოცემულია
ამბები ზაალის დაბადებიდან ზაჰამანამდე, აგვიწერს მანუჩარის, ნავზარის (ნეფ-
რედის), ქაიყუბადის, ქექაოზის, ქაიხოსროვის, ლუარსაბის (ლოჰრასის) და გოშ-
ტასბის მეფობას. როსტომიანი იმ სახით, რა სახითაც მას ჩვენამდე მოუხ-
წევია, არაა ერთი მთარგმნელის თუ მოლექსეს ნაწარმოები: იმაში ჩვენა გვაქვს
სხვადასხვა პირთა და სხვადასხვა დროის ნამუშევარი.²

1) J. Mohl, Le livre des rois, I, 164—IV, 558.

2) 1916 წ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ი მ გამოსცა როსტომიანის ნაწილი, ქექაოზი მეფობის
ნახევრამდე (შაჰნამეს ქართული ვერსიები გვ. 301-784).

თვით როსტომიანსა და აგრეთვე სხვადასხვა ხელნაწერთა ბიბლიო-გრაფიულს შენიშვნებში ჩვენ ეპოქაობით ცნობებს იმ პირთა შესახებ, რომელთაც ღვაწლი მიუძღვის ამ თხზულების გადმოქართულებაში; აი ეს პირნი:↓

↓ ა) კედელაური. კედელაურის შესახებ ცნობებს გვაწვდის ქაიხოსრო, მწერალი მჭვიდმეტე საუკუნის პირველი მეოთხედისა, რომელიც თავის ომაინიანის შესავალში, სადაც ჩამოთვლილია ზოგიერთი ძველი მწერლები, შეპნიშნავს:

კედელაურმან თურქნი თქვა და როსტომ ზაულელია,
ფეშანგ, ტომერან, სალიმ, თურ, ხოსროვთან ვერ რომელია.

ერანი და თურანელი ფარმანს ქვეშე მოიქცია,
მორჩილ ქმნილმან ააშენა, ურჩმან. სახლი დააქცია,
ყოვლთა მზეებრ მოეფინა, თავი სხვაგან გაიქცია.

ქაიხოსროვის შედეგად შაჰაბაზ ერანს მჯდომია,¹
უცხო დაიპყრო ქვეყანა, ერან-თურანის ზომია,
სხვათა მეფეთა ვეზირნი ნიადაგ გვერცა სხდომია.
ეს თვით მარტო იქმს ყველასა, ტკბების თუ გინდა მწყრომია.

ბერია მეფეთ ამბავი, არ გათავდების მზობითა,
ანუშირვანის ამბავი მასმია არაკობითა,
ზოგნი იბრძვიან, არიან ნიადაგ რაზმთა წყობითა,
ზოგნი გლახათა მისცემენ, სხედან ღეთის მოშიშებითა.²

აზრი ამოწერილი ტაყებისა ასეთია: კედელაურს „უთქვამს“ თურქნი, როსტომი, ფეშანგი, ტომერანი, სალიმი, თური და ხოსროვი ან ქაიხოსრო, რომელთანაც შედარებით სხვა ფალაენები „ვერ რომელია“, ესე იგი—არაფერია, ვინაიდან მან „ერანი და თურანელი ფარმანს ქვეშე მოიქცია“; „უთქვამს“ მას საქმენი აგრეთვე ზოგიერთი, ქაიხოსროს მიმდევრო, მეფეებისა. რაც შეეხება ქაიხოსროსაგან დაშორებულ მეფეთა ამბავს, მაგალითად, ანუშირვანისას, ეს ამბავი ომაინიანის აეტორს, ქაიხოსროს, მხოლოდ არაკად სმენია. მაშასადამე, ირკვევა, რომ კედელაურის „ნათქვამი“ თავდებოდა ქაიხოსროს მომდევნო და მახლობელ მეფეთა ამბით, საფიქრებელია, —ლორასპ-სპანდიატის შესახებ მოთხრობით, ვინაიდან ხოსრო თურმანიძე პირდაპირ ამბობს, რომ მის დროს ქართულს ენაზე უკვე არსებობდა სპანდიატის ამბავი, მაგრამ არა „სრულიად“, არამედ შემოკლებით. არავითარი სხვა ცნობა ამ კედელაურის შესახებ არ შენახულა; მისი „ნათქვამი“ როსტომიანი, რომლის კვალს ჩვენამდე არ მოუხწევია, შეიცავდა პროზითი თარგმანს, რომლითაც, საფიქრებელია, ისარგებლეს ამ თხზულების შემდეგიდროის გამლექსელებმა. თუ მხედველობაში გვექნება, რომ ამ პროზითი თარგმანის გამლექსელები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მეთექვსმეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან იწყებიან, კედელაურს, მათს წინამორბედს, უნდა ეცხოვრა და ემოლვაწნა არაუგვიანეს მე-თუთხმეტე საუკუნის გასულისა.

¹) ამგვარად ეს სტრიქონი იკითხება წერ.-კითხ. ხელნაწ. № 4988-ში, სხვებში კი ის გან-გებ დამახინჯებულია.

²) Е. Такайшвили, Описание I, стр. 566—567, II, стр. 696.

⊥) სერაპიონ სოგრატისძე საბაშვილი. როსტომიანის ხელნაწერებში ვაკითხლობთ:

ამ როსტომთა გამლექსეული, სოგრატისძე საბაშვილი,
მხატვარია ხელოვანი, ლექსულევი, სიტყვატკბილი,
გრემელთ თავი,¹ ხევისბერი, ხელმწიფეთა თანაზრდილი,
შენდობასა მიბრძანებდეთ ვინცა ნახოთ ჩემი თქმული.²

ამა წიგნსა ულეველსა, გრძელად უთქვამს კაცსა ბრძენსა,
თავი-ბოლო ნაკლები აქვს, რაც რომ უთქვამს ენას ჩვენსა,
ცოტა რამე მე ვარჩიე, საკითხავად მოგალხენსა,
რაც აკლია, ვინც ათაოთ, სამოთხე ხედეს სულსა თქვენსა.³

ახრი ამ ადგილისა ასეთია: ბრძენის კაცის, ფირდოუსისა, შაჰნამე, რომელიც მეტად გრძელი და ულეველია, ქართულ ენაზე სრულიად არ არის, მას, ქართულ თარგმანს, თავი და ბოლო აკლია (იგულისხმება, ალბად, კედელაურის შრომა), ამიტომ ცოტა რამე მეც გადმოვიღე ამ თხზულებიდან თქვენდა მოსალხენადო. რა გადმოვიღო სოგრატისძე საბაშვილმა? პეტროგრადის ნუსხაში (№ 15) და მისგან გადმოწერილს წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერში (№ 1580) ნაკვალად „მხატვარია ხელოვანი, ლექსულევი, სიტყვატკბილი“, ვაკითხულობთ: „ზალის შობით ლორასპამდის ლექსი მითქვამა ენატკბილი;“ მაშასადამე, სოგრატისძე საბაშვილს ლექსად უთქვამს როსტომიანი ზალის შობიდან, ესე იგი თავიდან, ლორასპამდე exclusive. მართლაც, ყველა ცნობილი ნუსხები როსტომიანისა პირდაპირ ამბობენ, რომ სოგრატისძე საბაშვილმა თავისი შრომა მოიყვანა ქაიხოსრომდე inclusive; აი ეს ადგილი:

ჟ შემომქმედო, ნუ წამწყმედ, დამხსენ სახმილთა ალია,
თავი ეს არის როსტომთა, ბოლომდის ლექსმრავალია,
ქაიხოსრომდი გავლექსავე, მღვთით ვიტყვი რა საეალია,
ნეტარ რა გიყო სპანდიერ, სოფელი წარმაეალია!⁴

აქ სოგრატისძე საბაშვილი ამბობს, რომ რადგანაც როსტომიანი „ბოლომდის ლექსმრავალია“, ესე იგი დიღია, მე მას მხოლოდ ქაიხოსრომდე წიგნიყვანო. მეორე მხრივ, ფეშანგი ფაშვიპერტუყაძის თხზულებაში რომელსაც შაჰნამე ზიანი ეწოდება, საკუთრივ მის წინასიტყვაობაში, სადაც გადმოცემულია ცნობები ზოგიერთ მწერალთა შესახებ, ჩვენ ვაკითხულობთ:

როსტომ აქო სერაპიონ, კაცი სრული, არ თუ ნასი,
ხოტბა ჰკადრა ფალავნური, იგ შეამყო მეტად ხასი,
ბევრს მორიგა უნებლიედ, ვის შეეძლო სიტყვით ბასი,
მან მელექსე მოიმდღურვა, აღარ მისცა დასტი ფასი.

¹) ასეა პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავის ნუსხაში № 15 და მისგან გადმოღებულს წერა-კითხვისაში № 1580, სხვა ნუსხებში კი სწერია: „მოუღლთა თავი“, უფრო სწორია „გრემელთ თავი“, ვინაიდან ცნობილია, ეს ს ხეობაში. გ რ ე მ ი ს ხ ე ვ ი (ქართლ. ხოერ. II, 59 ცხელ), ს. გრემი, დუშეთიდან დასაველთით 9-10 ეერსხვა. აქედან „გრემელთ თავი, ხევის ბერი“.

²) წერა-კითხვის ხელნაწერში № 408 - „შენდობასა უბრძანებდით, ვინც იკითხთ მისგან თქმული“.

³) Е. Такашвили, Описание I, стр. 352—3; ეს უყანასენელა ტაეპი არის მხოლოდ ორს ნუსხაში: პეტროგრადისაში № 15 და წერა-კითხვისაში № 1580.

⁴) Е. Такашвили, Описание I, стр. 350.

აქედან კიდევ ჩანს, რომ როსტომიანი გაულექსია ვილაც სერაპიონს; როგორ უნდა აეხსნათ, რომ ერთიდაიგივე შრომა (გალექსილი როსტომიანი მხოლოდ ერთი რედაქციით შენახულა) მიეწერება სოგრატისძე საბაშვილსაც და სერაპიონსაც? აიხსნება ეს მხოლოდ იმით, რომ აქ ერთსადაიმაცე პირზეა ლაპარაკი: სერაპიონი არის სახელი, სოგრატისძე მამის სახელის მაჩვენებელი, ხოლო საბაშვილი გვარი. ამნაირად, სერაპიონს სოგრატისძე საბაშვილს როსტომიანი გაულექსია თავიდან, ზაალის შობიდან, ქაიხოსრომდე inclusive და ლორასპამდე exclusive;¹ ასე რომ მას მართლაც შეეძლო ეთქვა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რომ ჩემზე მეტი რუსთველსაც არა გაუკეთებია რაო, რასაკვირველია როდენობით, შრომის მოცულობით.

ვინ არის ეს სერაპიონ სოგრატისძე საბაშვილი ან როლის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ის? როგორც ზემომოყვანილს ბიბლიოგრაფიულს შენიშვნაშია ნათქვამი, სერაპიონი ყოფილა ხელოვანი მხატვარი, ენატკბილი მელექსე, ხევის ბერი და გრემის თავი, ესე იგი გრემის ხევის თავი ან ბერი, მეფეებთან გაზრდილი და მათთან დაახლოებული. რომელ მეფეებთან? ამაზე პასუხს გვაძლევს ერთი ისტორიული ხასიათის შენიშვნა, რომელსაც როსტომიანის თითქმის ყველა ნუსხებში ვპოულობთ შემდეგი სათაურით: „აქა ბაგრატ იენგი ყალა ყაჯლო მტერთ.“

კონსტანტინე გაყმაწვილდა, მათმან გვარმან გაიხარნა,
მისიმე თავი მორკმული მყავს, მტერზედ გული ვინე მათხანა,
ილაი და ქვეა-გონება ზაალისა მოიკმარნა,
აწე ბაგრატ მოიცილოს, სხუასაცა იქს შორით ყალნა.²

მეორე ადგილას, ქაიხოსროს მეფობის ამბავში, ჩვენ ვპოულობთ შემდეგს გაბაასებას სერაპიონსა, ბაგრატს და რუსთველს შორის:

ბაგრატ ენახე, მარანას ჯდა, ნუხრანს შექმნა ნადიმობა,
ხელყო საყდართ აშენება, დაიჭირა ბატონობა,
ძველი ტახტი განაახლა, პოვა ღეთითა მორკმულობა,
ნაძღვეი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა ჩემოდნობა.

აქა რუსთველისაგან პასუხის შექცევა:
რას მამერჩი ბერი ბერსა, მე გავლექსე ლამაზ ენა,
აშიყი ვარ თეალ-წსრბისა, ვინ სოფელი დააშენა,
შენ ტყვილადა შემოგფიცეს, მათ აუბნეს ტკბილად ენა,
ოჸმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა.

აქა ბაგრატის პასუხის შექცევა:
ვიცი, ჩემო სერაპიონ, ხარ მრავლისა მონახული,
მეფე უნდა ღვთისმოშიში, სიყეთითა დანერგული,
ამ სოფლისა დიდებასა მირჩეენია მცირე სული,
არას მარგებს საუკუნოს საპრკოთ შენი კირნახული.³

¹) J. Mohl. Livre des rois, I, 164—IV 223.

²) ი. აბულაძე, შანშაშეს ქართული ვერსიი, გვ. 411. შენიშვნა 11.

³) E. Tarkentonian, Описаніе I, 354. ი. აბულაძე, შანშაშეს ქართული ვერსიი, გვ. 466 შენიშვნა.

როგორც ვხედავთ, მოყვანილს ადგილებში ლაპარაკია ჯერ კონსტანტინესა და ბაგრატის, მერე კერძოდ ბაგრატის შესახებ. მაშასადამე, ის მეფეები, რომელთა თანაზრდილი ყოფილა სერაპიონ საბაშვილი, არიან კონსტანტინე და ბაგრატი. ამავე დროს ეს ბაგრატი აქ მოხსენებულია როგორც მარანას (და არა მარანს, როგორც გამომცემელნი სწერენ) მჯღღში, მუხრანს მონადიმე და ბატონობის დამპყრელი, ესე იგი, ყველა ნიშნებით, ბაგრატი მუხრანბატონი. მაგრამ ბაგრატი მუხრანბატონი რამდენიმე იყო მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეთა სივრცეზე, რომელი უნდა იგულისხმებოდეს აქ? ჩვენ გვგონია, რომ ბაგრატი პირველი, რომელმაც 1512 წელს მიიღო მისთვის საგანგებოდ შექმნილი მუხრანბატონობა, ხოლო 1539 წელს თავი დაანება მას და ბერად აღიკვეცა ბარნაბას სახელით.¹ ეს რომ ასეა, შემდეგიდანა ჩანს: 1) ბაგრატი მოყვანილს ტაეპში მოხსენებულია კონსტანტინესთან ერთად, როგორც გამგრძელებელი მისი მოღვაწეობისა („აწე ბაგრატი მოიცილოს, სხუასაცა იქმს შორით ყალნა“). ჩვენ ვიცით, რომ ბაგრატი პირველი მუხრანბატონი იყო შვილი მეფე კონსტანტინესი (1478-1505), რომლის მოღვაწეობას² ჩინებულად უდგება ის დახასიათებ³ მისი, რომელიც ზემომოყვანილს პირველს ტაეპში გვაქვს. 2) ბაგრატზე აქ ნათქვამია, რომ მან „დაიჭირა ბატონობა და ძველი ტახტი განაახლა;“ მართლაც, მუხრანბატონობა შექმნილ იქმნა ამ ბაგრატისათვის და ვით მეფის მიერ: „და გამოითხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგვისა და ქსნის კეენი მთიულ-მოკეეითურთ თქსა მორჩილებასა ქვეშე“. 3) ბაგრატ-მარო, ნათქვამია ტაეპში, ღვთისაგან მორკმულობა პოვა, მან მტერს წაართვა იენგი ყალა, ის რომ მოიცილის, სხუასაცა იქმსო; ეს ყველაფერი უდგება ბაგრატის სახელოვან პოლიტიკურ მოღვაწეობას და ვითისა და გიორგი მეფეთა დროს, როდესაც მან ააშენა მტკვრის ციხე, დაიჭირა ავ-გიორგი და მეფის მტრებს შიშის ზარსა სცუდა.⁴ 4) უკანასკნელს ტაეპში ბაგრატი ლაპარაკობს ღვთისმოშიშობაზე, საუკუნო ცხოვრებაზე და სულის ცხონებაზე, რომელიც მას ურჩევნია ამ სოფლის დიდებას; ეს კი უკვე საყვებით შეესაბამება იმ ხანას მისი ცხოვრებისას, როდესაც ის ბერად შედგა, ხოლო ბერად მხოლოდ პირველი ბაგრატი შედგა მუხრანბატონთაგან. 5) მელექისა და ლიტერატურით გატაცებულის სერაპიონის სიახლოვე ბაგრატთან გვიკარნახებს, რომ ეს ბაგრატი არის პირველი ბაგრატი, რომელიც ლიტერატურაშიცაა ცნობილი თავისი საყურადღებო პოლემიკური შრომით „მოთხრობაჲ სჯულთა უღმრთოთაჲსმილიტთაჲ“-თ.⁵

ამნაირად, სერაპიონ საბაშვილი ყოფილა თანამედროვე მეფე კონსტანტინესი და მისი შვილის ბაგრატი პირველის მუხრანბატონისა, მაშასადამე, მას უცხოვრია მეთუთხმეტე საუკუნის გასულს და მეთექვსმეტეს პირველს ნახევარ-

1) ქართლის ცხოვრება II, 23, 271.

2) ქართლის ცხოვრება II, 11-16.

3) იქვე, გვ. 17.

4) იქვე, გვ. 17-23.

5) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 356-358.

ში.¹ ჩანს, სერაპიონს თავისი ვეებერთელა შრომა დიდხანს უწერია; პირველი ნაწილი მისი შესრულებულია ბაგრატის მუხრანბატონობისას (1512—1539), ვინაიდან შენიშვნა მის მიერ მტრებისათვის იენგი ყალას წართმევის შესახებ მოთავსებულია ხელნაწერებში ქვეაოზის მეფობის ამბებში.² უნდა ვიფიქროთ, რომ, როდესაც სერაპიონი ლექსვიდა მე-1512 ტაქს (აბულაძის გამოცემით), სწორედ მაშინ გაუგია მას ეს სასიხარულო, ალბად, ამბავი და იქვე შეუტანია თავის შრომაში შესაფერი memento, რომელიც მისი ნუსხიდან მერე სხვა ნუსხებშიაც გადასულა. მეორე ნაწილი მისი შრომისა შესრულებულია უკვე ბაგრატის ბერად შედგომის შედეგ, ვინაიდან გაბაასება მასთან ბაგრატისა, რომელშიაც უკანასკნელი ბერულ აზრებს გამოსთქვამს. მოთავსებულია ქაიხოსროს მეფობის ამბებში, იმ თავის შემდეგ, რომელსაც ეწოდება: „აქა როსტომისა, ქუმსისა, ერანელთა და თურანელთა დიდი ომი, როსტომისა და ერანელთ დიდი გამარჯვება“.

ამნაირად, სერაპიონის ლიტერატურული მოღვაწეობა მოდის მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარზე. როდესაც ის თავის შრომას ასრულებდა, უკვე მოხუცებული, დაბერებული ყოფილა, ვინაიდან რუსთველი მას უპასუხებს: „რას მამერაი ბერი ბერსა? თუცა, შესაძლებელია, სიტყვა ბერი აღნიშნავდეს არა ჰასაკს სერაპიონისას, არამედ თანამდებობას,—გრემისხევის ბერობას. მისი შრომა, დაწერილი 16 მარცვლოვანი რუსთველური შაირით, იმდენად საპატიოა მოცულობით, სიტყვატყბილი ლექსით და მხატვრული ხელოვნებით, რომ მან მხოლოდ გადააქარბა, როდესაც თქვა:

„ნამღვეი ეარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა ჩემოდნობა“-ო.

სერაპიონ საბაშვილის მიერ გალექსილი შრომიდან ამოღებულია ცალკე ეპიზოდი ბეჟანისა და მანიყავის შესახებ, რომელიც ჩვენში მეტად პოპულარული ყოფილა და რომელიც გავრცელებულია არა მარტო ხელნაწერებით,³ არამედ სტამბის საშუალებითაც: ' ბეჟანიანი გადმოგვცემს შემოკლებით ბეჟან თალავნისა და აფრასიაბის ქალის მანიყავის მიჯნურობის ამბავს. "

1) ეფიქრობთ, რომ ყველა ამის შემდეგ, კატეგორიულად უარყოფილი უნდა იქნეს ს. კაბაძის ჰიპოთეზა, რომლის დასამტკიცებლად მას არცერთი საბუთი არ მოჰყავს, ეთოპიკ აქ იგულისხმებოდეს დიდი ბაგრატი მეფე და სერაპიონი იყოს მეთოთხმეტე საუკუნის (1325 - 1385) მოღვაწე (იხ. მისი სტატია: „ფიფისტყაოსნის პრობლემების გარეშე“- ჟურნალი „საისტორიო მოამბე“ № 1, გვ. 161—163; მისივე „საისტორიო ძიებანი“, გვ. 88, 147). მაროლაც, 1) ბაგრატი ტაქებში ხსენებულა არა მეფედ, არამედ „მუხრანს მჯდომად“, ესე იგი მუხრანბატონად; 2) არსაზღან არა ჩანს, რომ უცნობისა და გაურკვეველი იენგი—ყალას აღება გულისხმობდეს თემურ—ლენგის შემოსევის ხანას; 3) ტაქებში ბაგრატი მისდევს კოსტანტინეს, როგორც მემკვიდრე, და არა კონსტანტინე ბაგრატს, როგორც ს. კაბაძის წარმოდგენია; 4) ს. კაბაძის მიერ ნაგულისხმევი კონსტანტინე ვერ ჩათვლება „გვარის გამგრძელებლად“, ვინაიდან ის 1413 წელს თურქების მიერ დატყვევებულ იქმნა და დაიღუპა პირ-ბუდაკის ხელით.

2) ი. აბულაძე, შანამეს ქართული ვერსიები, გვ. 411; ტ. 1512.

3) E. Така'ишвили, Описание I, стр. 378—385.

4) უკანასკნელი, მეთორმეტე, გამოცემა ბეჟანიანისა (1903 წ.) ეკუთვნის ა. შახბარათოვს, რომელიც მას ზოსრო თურმანიძის შრომადა სთვლის.

5) J. Mohl, Livre des rois, III, 231—IV, 237.

გ. ხოსრო თურმანიძე. როგორც დაინახეთ, სერაპიონ სოგრატიძე საბა-
შვილი სურვილს გამოსთქვამდა მის. შრომას გამგრძელბელი გამოჩენოდა, რო-
მელსაც ის სამოთხეს ჰპირდებოდა; ასეთი გამგრძელბელი მართლაც გამოსჩენია
მას, ეს არის ეინმე ხოსრო თურმანიძე, რომელსაც გაულექსია დანარჩენი
ნაწილი როსტომიანისა, ლორასპიდან როსტომის სიკვდილამდე, ესე იგი
ლუარსაბისა და გომსტასპის ამბები.¹ ამის შესახებ როსტომიანის ბოლოში
ეპითხულობთ:

ურთხულმე არის უფალი, ყოვლისმპყრობელი ზესია,
მე, ხოსროვ თურმანიძემან, ამბავი ეპოვე ესია,
უცხო, ტურფა და ლამაზი, სპარსულად იყო ესია,
პატრონმან ჩემმან მიბრძანა ქართულად სწერე ესია.

სპანდიერ ბარზუს აზბავი აწ სრულად გაიგონების,
მტერი ორგული ყოველი მეფესამც დაელონების,
ცხრაას სამოცდათორმეტსა ლექსს ხოსროვ მოეგონების,
ვინც ნახოთ, ჩემსა ლოცვასა ნურაეინ დაელონების.

სხვაც ბერი აკლდა ამ წიგნსა პირველად თარგმანულთაგან,
პატრონი ჩემი სვიმიონ სვიანმცა არის სულთაგან,
მათსამცა ძეთა მიხედების, რომე მოიჩქმონ მტერთაგან,
ძმათა მათი წყალობა ნუ მოეშლების ხმელთაგან.²

ხოსრო თურმანიძე ამ სიტყვებში გადმოგვცემს შემდეგს: 1) ის ამბავი,
რომელიც მას გაულექსია, გადმოუღია სპარსულიდან, მაშასადამე, მას პროზითი
თარგმანი არ ჰქონია ხელთ, როგორც სერაპიონ სოგრატიძე საბაშვილს; 2)
უმუშაენია მას მისი პატრონის, სვიმიონ მეფის, ბრძანებით; 3) მისი შრომა შეი-
ცავდა 972 ლექსს და სპანდიერ ბარზუს ამბავს უფრო ვრცლად და სრულად
გადმოგვცემდა, ვიდრე ის წინათ იყო ქართულს ენაზე.

ხოსრო თურმანიძეს რომ მართლაც უშრომია როსტომიანის გადმო-
ქართულებასა და გალექსვაზე, ამას არჩილ მეფეც ადასტურებებს თავის არჩი-
ლიანში:

როსტომიანი უთქომსო თურმანიძესა ხოსროსა,
სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა, დაუწერია მას როსა,
დიდის საქმისა უცოდნი სჯერდება საქმესა მომცროსა,
ახლად ცულად ძევს, მაგრამე მოიხმარების ზოგს დროსა.³

ვინ არის ეს ხოსრო თურმანიძე? ის ვერ იქნება მატიანეში გაკვრით მოხ-
სენებული ქაიხოსრო თურმანიძე, რომელმაც კონსტანტინე მეფის დროს, 1490
წელს, სხვებთან ერთად ერთს შეტაკებაში მუსრი გააელო თათრებს;⁴ ჩვენი

¹) J. Muhl, Livre des rois, IV, 223—258.

²) E. Гакнашвили, Описание I, 32.

³) Ibid. II, стр. 138—139.

⁴) ზ. კიკინაძე, ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში, გვ. 3—4.

⁵) ქართლის ცხოვრება II, 15.

ხოსრო თურმანიძე დაახლოებული ყოფილა, როგორც თვითონ ამბობს, სეინოზ მეფესთან, რომელსაც ის თავის პატრონს ეძახის და რომლის ბრძანებით შეუსრულებია მას თავისი შრომა. მაგრამ რომელი სეიმონ მეფე იგულისხმება აქ: პირველი (1558—1600), თუ მეორე (1622—1629)? ჩვენ გვგონია, რომ პირველი, და აი რატომ: როგორც ზემომოყვანილი ტაეიდანა ჩანს, ხოსრო თურმანიძის პატრონს სეიმონს ჰყოლია ძენი („მათსამცა ძეთა მიხედების“) და ამ ძეთა ან ძმათათვის ხოსრო გამოითხოვს იმ წყალობასა და სეიანობას, რომელიც მათ მამას ხედა წილად. ძენი ჰყავდა სწორედ სეიმონ პირველს: „ხოლო დაუტევა მეფემან სეიმონ ძენი გიორგი და ვახტანგ“;¹ ამათგან გიორგიმ დაიპირა მამის ტახტი (1600—1603) და ჩინებულად უძღვებოდა სახელმწიფო საქმეებს.² რაც შეეხება სეიმონ მეორეს, მას ჰყავდა არა ძენი, არამედ მხოლოდ ერთი ძე, ვახტანგი, მაგრამ მეფედ არც ის ყოფილა: ის იზრდებოდა და ცხოვრობდა ისპაანში და ცნობილია ჩვენს ისტორიაში მით, რომ მისი შვილი ლუარსაბი იწვილა როსტომ მეფემ, მაგრამ ტახტი არც მას ხედა, ვინაიდან, ისპანიდან მოყვანის შემდეგ, ნადირობისას მოკლულ იქმნა შემთხვევით თუ განზრახ.³ თან სეიმონ მეორის „სეიანობა“ არც ისეთი თვალსაჩინო იყო, რომ პოეტს ის ვისთვისმე ესურვებია: ჩვენ ვიცით, რომ ის იყო ნომინალური მეფე, სპარსელების ხელში სათამაშო იარაღი, და უმეტეს შემთხვევაში ტფილისში ჩამწყვდიეული და ტახტმიხდილი გიორგი სააკაძის, ზურაბ ერისთვის და თეიმურაზ პირველის მიერ. ამნაირად, ხოსრო თურმანიძე არის მეთექვსმეტე საუკუნის უკანასკნელი მებრძოლი და მეჩვიდმეტის დამდგის მოღვაწე. შეუძლებელი არც ისაა, რომ ის ცოცხალი ყოფილიყოს მეჩვიდმეტე საუკუნის ოცდაათიან წლებშიც, როგორც ამას გვარწმუნებს ზ. ჭიჭინაძე, რომელიც ამბობს, რომ 1630 წელს ხოსრო სპარსეთიდან დაბრუნდა და 1638 წელს ხელს აწერს დმანისის ეკლესიის ერთს გუჯარსო.⁴ თუმცა თავისი შრომა მას გაუთავებია მეთექვსმეტე საუკუნეში, როდესაც სეიმონი მეფედ იყო და მისი შვილები უფლისწულებად ითვლებოდნენ.

დიდად არ უნდა იყოს სიმართლეს დაშორებული ის შენიშვნა, რომელიც გადმოგვცემს, რომ ხოსრო თურმანიძის შრომა 972 ლექსისაგან შესდგებოდა; მართლაც, ტფილისში არსებული ნუსხები როსტომიანისა, რომელთაც ბოლო აკლიათ, შეიცავენ, 624 ლექსს ან ხანას და თავდებიან პარაგრაფით: „აქა როსტომისაგან წიგნის მიწერა გოშტაშაბთან“.

როსტომიანის თარგმნა დასრულებულა მართლაც ხოსრო თურმანიძის ხელით, ჯერ კიდევ როსტომ მეფემდე; ეს იქიდანა ჩანს, რომ როგორც თეიმურაზ II გადმოგვცემს თავის თხზულებაში—„სასახლის ქება“, როსტომ მეფეს თავისი სასახლე მოუხატინებია როსტომიანიდან ამოღებული სცენებით, ამიტომ სახელადაც მისთვის როსტომიანი უწოდებია:

როსტომ მეფისგან ნაგები საწოლი სახელოანი,
ნახატი სურათებითა, ყვავილი ფერადიანი,

¹) ქართლის ცხოვრება II, გვ. 33.

²) იქვე, გვ. 33—54.

³) იქვე, გვ. 49.

⁴) ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში, გვ. 3—4.

თვით როსტომ ფალავანი და დეენი ეხატნენ რქიანი,

შეემკო დიდად, დაედო სახელად როსტომიანი¹.

მაშასადამე, როსტომ მეფის დროს (†1658 წ.) უკვე არსებობდა დამთავრებული როსტომიანი, სურათებით შემკული,² და ეს სურათები როსტომის თავის სასახლის კედლებზედაც გადაუტანია.

დ) ფარსადან გორგიჯანიძე. ჩვენს მწერლობაში არსებობს აზრი, რომ როსტომიანის გადმოღებაში წილი უდევს აგრეთვე ცნობილ ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძეს, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის სამოციან წლებში ტყვედ იყო ქ. შუშტარს³ და რომელმაც ხელმოწევნით იცოდა სპარსული ენა და ლიტერატურა.⁴ ამის საბუთს თითქოს იძლევა პეტროგრადის ნუსხა № 15 (დამისგან გადმოწერილი ხელნაწერი წერაკითხვის საზოგადოებისა № 1580), სახელდობრ მისი ბოლოსიტყვაობა, სადაც ეპითხულობთ:

ეჰ, გლახ გმართებს თაო ჩემო, ლოცვისაგან არ დასცხრია,
ღმერთსა ხშირად ეთაყვანე, გაათავე რაცა სთქვია,
მანუჩარით ბაჰმანამდის ორსა თვესა დაესწერია,
ქკვიანს და გონიერსა მცდარმან კაცმან ადრე მძლია.

შუშტარს უბრალო ტყვედ ვიყავ ფარსადან ლექსისწერია,

არა მყავს მშუელი, მომხმარე, არც მეფე, არცა ერია,

ძმა მახლავს ჩემი უმცროსი, მეღიქსელ შეენიერია,

შუელად, იმედად მეცა მყავს მპყრობელი სახიერია.

შემდეგ კოთხს ელგვიურს ტაეპში ფარსადანი გვაცნობს მოკლედ თავის უკულმართ ბედს და იმ უსამართლოებას, რაც მის წინაშე ჩაიდინეს მისმა მტრებმა. რომელთაც ის ექსორია ყვეს.⁵ რა ეკუთვნის როსტომიანში ფარსადანს? ის ამბობს: „მანუჩარით ბაჰმანამდის ორსა თვესა დაესწერია“; გამოდის, რომ მას მთელი როსტომიანი დაუწერია, ვინაიდან როსტომიანი იწყება მანუჩარით და მიყვანილია ბაჰმანამდე. მაგრამ ორს თვეში ამოტელა შრომის გალექსვა ერთი კაცისათვის, რაც „ლექსისწერია“ უნდა იყოს ის, შეუძლებელია: თან, თუ მთელი როსტომიანი ფარსადანმა გალექსა, რალა გააკეთეს სერაპიონ საბაშვილმა და ხოსრო თურმანიძემ? პირიქით, ჩვენ უკვე ვიცით, რომ როსტომიანი მანუჩარიდან ბაჰმანამდე წარმოადგენს კოლექტიურ შრომას ამ ორი პირისას. ფარსადანი ამბობს და ვსწერეო; ეს სიტყვა კი უნდა ნიშ-

¹) წერაკითხ. № 1512, გვ. 30, № 2691, გვ. 78.

²) ალბად როსტომ მეფის დასურათებული როსტომიანიდან მდმდინარეობს 1671 წელს გადაწერილი და დასურათებული პეტროგრადის ნუსხა № 15 და მისგან გადმოღებული წერაკითხვის № 1580.

³) Histoire de la Géorg. II, §13.

⁴) ნ. მარტი, როსტომიანი, ორიოდ სიტყვა შანაშავს ქართულად თარგმნის შესახებ. ივერია 1891 წ. № 135. А. Хакановъ, Очерки III, 113—116; Е. Такайшвили, Описание I, 351. ბოგრაფიული ცნობები ფარსადანის შესახებ იხ. ხ. კიკინაძე, ქართული მწერლობა მე-17 საუკუნეში, გვ. 17—18 და პროფ. ივ. ჯაქეაძის შვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 231—251.

⁵) Е. Такайшвили, Описание I, 276.

ნავდეს არა გადმოთარგნნას ან გაღექესა, არამედ უბრალო გადაწერას;¹ ასე რომ თარსადანის შრომა ამ შემთხვევაში უფრო გადაწერაში მდგომარეობდა, რაც, რასაკვირველია, ადვილად მოსახერხებელი იქნებოდა ორი თვის განმავლობაშიაც. მართლაც, პეტროგრაღის ხელნაწერი, რომელშიაც მოთავსებულია თარსადანის შესახები ცნობები (აქედან წერა-კითხ. № 1580), გადაწერილია 1671 წელს, უეჭველია თარსადანის მიერ. შესაძლოა, გადაწერისას თარსადანს რამდენიმე ტაეპი თავისივე შეეტანოს როსტომიანში; მაგალითად, წერა-კითხვის საზოგადოების ნუსხაში (რომელიც პეტროგრაღის ხელნაწერის პირია) 19 ტაეპი (1149—1167 ი. აბულაძის გამოცემით) სულ სხვანაირადაა გადმოცემული, ვიდრე სხვა ნუსხებში; ალბად, ეს რედაქციული განსხვავება და სხვა ამგვარი თარსადანის საქმედ უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა ორს დასახელებულს ხელნაწერში (პეტროგრ. № 15 და წერა-კითხვისაჲ 1580) ჩვენ გვაქვს 51-ზე მეტი ტაეპი, რომელსაც ვერ ვპოულობთ სხვა ცნობილს ხელნაწერებში; რაც საყურადღებოა, ამ ხელმეჭს ტაეპებში უმეტეს შემთხვევაში გადმოცემულია ის, რაც სხვა ხელნაწერებში წარმოდგენილია პროზითი სათაურის სახით. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს პროზითი სათაურები გაუღექსია თარსადანს და ამაში უნდავედით მისი ორიგინალური შემოქმედება.²

ქართული როსტომიანი წარმოადგენს გადმოკეთებას რუსტემის თავგადასავალისას, რომელიც მოთხრობილია ფირდოუსის შაჰნამეში; გამლექსაცი, თუ მისი პროზითი ქართული დედანი, კვალდაკვალ მისდევს ფირდოუსს, მაგრამ, საკუთარი შეხედულებისა და გემოს მიხედვით, ხშირად ამოკლებს ამათივემ ადგულს, მაგალითად, მეფეთა ისტორიას ის თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს, საპაგიროდ, ფალაენების ერთმანეთთან და დევე-ავსულებთან რკენას უფრო ხაზს უსვამს და უფრო აქიანურებს. ამავე დროს მას შეაქვს შიგ პირადი ერუდიციის და სოფლმხედველობის დამახასიათებელი ცნებები და ტერმინები. ამით აიხსნება როსტომიანიში ექვიტების მოძღვრების საშუალებით გაერცვლებული და განსაყუარებით ქურდ-იეზიდების კულტურულ სფეროში მიღებული ბოროტ სულთა სახელები სამოელ და საჯანა, აგრეთვე ეპიკურიზმის გავლენის მაჩვენებელი ქვენონ ეპიკურელის სახელის ხსენება.³ ამითვე აიხსნება ქართული ელემენტის შეტანა თხზულებაში, როგორც, მაგალითად, სათაურში: „აქა წიგნი აუჩასიაბისაგან ზურაბთან ქართულად, მინაწერი“, და სხვ.

როსტომსა და როსტომიანს იშვიათი პოპულარობა მოუპოვებია ქართველ ხალხში; თითქმის ყველა სახელი, რომელიც როსტომიანში გვხვდება, ქართულ ეროვნულ სახელად ქცეულა. ამასთანავე ხალხში არსებობს მთელი ციკლი როსტომის შესახებ თქმულებათა,⁴ რომელნიც სიტყვა-სიტყვით იმეორებენ

¹) კ. კეკელიძე, ორი ექვთიმე ძეგლს ქართულ მწერლობაში, ჩვენი მეცნიერება № 2—3. გვ. 114, შენიშვნა 2.

²) E. Такайшвили, Описание I, 276.

³) ი. აბულაძე, შანამეს ქართული ვერსიები, გვ. XXV—XXVII.

⁴) იხ. ფშავერის ლექსები, ტფილისი 1887 წ. თ. რაზიკაშვილი — ხალხური როსტომიანი, ივერია 1889 წ. № 82. ნ. შარტი, წერილი ეფუხისტყაოსნის გამო, თეატრი 1895 წ. № 12. E. Такайшвили, Описание I, 373—374.

როსტომიანის შესაფერ ადგილებს, ასე რომ ხალხური როსტომიანი შესაძლებელია ლიტერატურული როსტომიანის აღდგენა.

ამნაირად, ვითვალისწინებთ რა შაჰნამეს ლიტერატურულს ისტორიას ქართულს ენაზე, შემდეგს დასკვნამდე მივდივართ:

1. ქართულს ენაზე არ არსებობს ფირდოუსის შაჰნამეს წმიდა და სრული თარგმანი, ჩვენ გვაქვს მხოლოდ გადმოკეთება მისი და ისიც არა სრული, არამედ ნაწილობრივი, ბაჰამანამდე.

2. აღნიშნული ნაწილი გადმოკეთებული ყოფილა თავდაპირველად პროზით.

3. ამ პროზითი თარგმანიდან ჩვენამდე შენახულა დასაწყისი ნაწილი შაჰნამესი, მანუჩარამდე, მაგრამ ვის ეკუთვნის ის. არ ვიცით; ამ ნაწილს ქართულს ლიტერატურაში ეწოდება ფრიდონიანი და უთრუთიანი.

4. ამბავი მანუჩარიდან ბაჰამანამდე, რომელსაც ქართულად როსტომიანი ეწოდება, გადმოუთარგმნია თავდაპირველად პროზით ვინმე კედელაურს, რომლის შრომის ჩვენამდე არ მოუხწევია და რომელსაც უნდა ემოღვაწნოს არა უგვიანეს მეთუთხმეტე საუკუნისა.

5. ვილაც უცნობ მელექსეს გაულექსია ზემოდასახელებული პროზითი ფრიდონიანი, ამ შრომის ჩვენამდეც მოუხწევია.

6. მეუის მდივანს მამუკას მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე მეოთხედში, როდესაც ის ტყვედ იყო ლევან დადიანთან ოღიშს, გაულექსია ზააქის თავგადასავალი ზააქიანის სახელით; ძველი პროზითი გადმოკეთება ამ ნაწილისა, რომელიც ხელთა ჰქონია მამუკას, განსხვავდება ფრიდონიანში შენახული რედაქციისაგან.

7. მეთექვსმეტე საუკუნის პირველს ნახევარში სერაპიონ სოგრატიძე საბაშვილს, გრემის ხევის ბერს, გაულექსია კედელაურის ჩვენამდე არ შენახული პროზითი თარგმანი როსტომიანისა ზაალის დაბადებიდან ლორასპამდე, ხოლო დანარჩენი ნაწილი მისი, ლორასპიდან ბაჰამანამდე, გაულექსია იმავე მეთექვსმეტე საუკუნის გასულს ვინმე ხოსროთურმანიძეს.

8. სხვადასხვა დროის გადამწერთ, რომელთა შორის ყველაზე საყურადღებო ფარსადან გორგიჯანიძეა, ამ გაულექსილს როსტომიანში შეუტანიათ სხვადასხვაგვარი ლექსიკური, სტილისტიკური, ფონეტიკური და რედაქციული ვარიანტები, რომლებითაც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან არსებული ხელნაწერები.

9. შაჰნამეს გადმოკეთება აღნიშნულს ვერსიებში გამოიხატება იმით, რომ მთარგმნელთ და გამლექსველთ შეუმოკლებიან ფირდოუსის ტექსტი, მეფეთა ისტორია თითქმის უყურადღებოდ დაუტოვებიათ, სამაგიეროდ გაუფრცოვანათ ფალაქანთა ბუმბერაზობა და ურთიერთშორის რკენა; ამავე დროს შეუტანიათ შიგ მათი დროისა და სოულმხედველობის დამახასიათებელი აზრები და ტერმინები.

2. შაჰნამეს მიზაქვანი.

ფირდოუსის შაჰნამეს გამოუჩნდა სპარსულს ლიტერატურაში მიმბაძველები, რომელნიც აიღებდნენ ხოლმე ერთერთ გვირს შაჰნამესას და მის, ან მისი წინაპრებისა და შთამომავალთა შესახებ გადმოგვეცემდნენ სხვადასხვაგვარ სადევ-გმირო ამბებს და ზღაპრებს, რომელნიც შაჰნამეში ან სრულიად არ მოიპოვებოდა, ანდა შეცვლილი სახით;¹ განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას რუსტომის შესახებ. ქართულს ლიტერატურაში სამი ამგვარი თხზულება გვაქვს: საამიანი, ბაამიანი და სირინოზიანი.

A. საამიანი.

საამიანი ში მოთხრობილია საგმირო თავგადასავალი რუსტომის პაპის საამისა, ერანის ერთერთი მთავარი გმირისა; იმაში ავტორს გამოუყენებია როგორც შაჰნამეს მასალა, აგრეთვე სხვა, იარანის სადევ-გმირო ნიადაგზე აღმოცენებული, ზღაპრებიც.² არც დრო მისი დაწერისა, არც ავტორი ცნობილი არაა. ქართულად საამიანი ორი რედაქციით შენახულა: პროზითი და ლექსითი. პროზითი საამიანი გვაქვს საისტ.-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერში №921, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის ხელითაა დაწერილი, მაგრამ თვით ტექსტი, ენის მიხედვით, უნდა იყოს არაუგვიანეს მეთექვსმეტე საუკუნის პირველი ნახევრისა. ამ ხელნაწერის პირველი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, შეიცავს პროზითი ფრიდონიანს, ხოლო მეორე ნაწილში, 82 გვერდიდან, სადაც სწერია: „ახლა საამის ამბავი არის“, მოთავსებულია საამიანი, რომელსაც, სამუშაოდ, ხელნაწერში ფურცლების დაკარგვის გამო, ბოლო აკლია. ეისი ნათარგმნია. ეს პროზითი რედაქცია, ვერას ვიტყვით, ვინაიდან არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება ამის შესახებ. მეორე, ლექსითი რედაქცია საამიანისა გამოცემულია ი. აბულაძის მიერ.³ ეს რედაქცია, როგორც მისი გამოცემელიც შენიშნავს, სიტყუასიტყვით მისდევს პროზითი მოთხრობას და ხშირად იმეორებს მის ფრაზებსა და ტერმინებს და ზოგჯერ სრულიად უცვლელად იცავს მთელ წინადადებებს; ზოგიერთი უშნიშვნელო განსხვავება ერთის ტექსტისა მეორისაგან შეიძლება მიეწეროს მხოლოდ მელექსის თავისუფლებას, რომელიც, სხვათა შორის, იმაში გამოიხატება, რომ მელექსე თავის შრომას ამიდრებს თურქულ-არაბულ სიტყვებით.⁴

ვინ არის ეს მელექსე? წერა-კითხვის საზოგადოების ხეტნაწერში №1505, პირველსავე ფურცელზე, სადაც ზააქიანი იწვება, ამ უქანასკნელის წინ სწე-

¹) N. Ethe. Neupersische Literatur (Grundriss der iranischen Philologie, II, S. 233—234); J. Moll, Livre des rois, I, p. L XII—L XIII.

²) M o h l, I, p. L XIX—L XX.

³) შაჰნამეს ქართული ვერსიები, გვ. 39—298.

⁴) იქვე, გვ. XIX—XXIII.

რია: „კარი პირველი, დასაწყისი ზააქიანთა... ეს ზააქიანი ნათქომი არის მამუ-
კა მდივნისა, ნარიმანის სიკუდილამდი. და მას უკანით საამის ამბავი ბარძიმ
ეაჩნადის ნათქვამი“.¹ აქედან ცხადია, რომ საამიანი გაუღექსია ვილაუ ბარ-
ძიმ განაძეს; და ეს რომ ასეა, ეს არჩილ მეფის შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს:

ბარძიმ ეაჩნაძემ გაღექსა საამის წიგნი ოდიშსა,
სხვას მელექსესთან ჯდომაში უკამს იკდიდეს ბოდიშსა,
თუ არ შეეძლო, რისთვის თქვა, რად შეიქს საამბოდიშსა,
ვექე, თუ არ ეთქვა, მით უთქვამს საქმეს უზემდენ საშიშსა.²

ვინ არის ეს ბარძიმ ეაჩნაძე? ზ. კიკინაძის ცნობით, ბარძიმ ეაჩნაძე
ცხოვრობდა 1630 წლებში; ეს იყო თემით კახი, თავადიშვილი, რამდენიმე
გზის სპარსეთშიც ყოფილა გაგზავნილი ქართველ მეფეთაგან. უკანასკნელ დროს
ოსმალეთისაკენ გადასულა და მგზავრობის დროს სამეგრელოში ყოფილა, სადაც
მას საამიანი დაუწერიაო.³ ამ ცნობების წყაროს ზ. კიკინაძე, ჩვეულებ-
რისამებრ, არ უჩვენებს, მაგრამ ადვილი მისახდომია, თუ საიდან ამოიღო მან
ისინი: ბარძიმმა რომ საამიანი დაწერა, ეს არჩილიანიდან გაიგო მან:
იქიდანვე გაიგო, რომ ბარძიმმა ის ოდიშს დასწერა, მაშასადამე, ის უნდა სამე-
გრელოში ყოფილიყო, ეს კი შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ ის ოსმალეთში
გაემგზავრებოდა. ვინაიდან ავტორი ეაჩნაძე იყო, ცხადია კახი თავადიშვილი
იქნებოდა; რადგანაც საამიანი მან სპარსულიდან გადმოიღო, ამიტომ, იგუ-
ლისხმება, მას სპარსული უნდა სცოდნოდა, ამისათვის კი საჭირო იყო, ის რან-
დენჯერმე სპარსეთში ყოფილიყო. აი რა გზით წარმოიშვა ზ. კიკინაძის
ცნობები

თუ მართალია არჩილის ცნობა, რომ ბარძიმმა საამიანი ოდიშს გაღექს-
სა, უნდა ვიფიქროთ, ისიც ერთერთი იმ ტყვეთაგანი იყო, რომელიც ხელთ
ჩაუვარდა, მეფის მდივან მამუკასთან ერთად, სამეგრელოს მთავარს ლევან და-
დიანს 1623-4 წელს. ეს ლევანი ქართული მწერლობის მოყვარული და მწერალ-
თა მფარველი ყოფილა, როგორცა ჩანს, ვინაიდან მამუკას მან, შეუკვეთა ზაა-
ქიანის გაღექსვა; ალბად მანვე შეუკვეთა საამიანის გაღექსვაც ბარძიმ
ეაჩნაძეს, რომელიც, შეიძლება, კახთა მეფის მდივანი იყო.⁴ ასე რომ ბარძიმ
ეაჩნაძეც იმავე მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე მეოთხედის მწერალია, როგორც
მამუკა. თუმცა, როგორც დავინახეთ, არჩილ მეფე მას წუნსა სდებს, მაგრამ
მისი ლექსი ამჟღავნებს, რომ, როგორც პოეტი, ის ყოველ შემთხვევაში მამუკასვე
გაცილებით მაღლა დგას.

¹) ი. აბულაძე, შანშანს ქართული ვერსიები, გვ. 6, შენიშვნა 7. Е. Такайшвили, Описание I, 367.

²) Е. Такайшвили, Описание II, 140.

³) ქართული მწერლობა მეჩვიდმეტე საუკუნეში, გვ 13.

⁴) Е. Такайшвили, Описание I, 367.

იმავე ხასიათისაა, როგორც საამიანი, ეგრეთწოდებული ბაამიანი, რომელიც გადმოგვცემს სადღე-გმირო თავგადასაყალს სპანდიატის შვილის ბაამანის ან არდაშირისას. ბაამანის ამბები შაჰნამეში შედარებით მოკლედაა გადმოცემული;¹ ეს ამბავი გაუფრცია და შეუესია სხვა მრავალგვარი ზღაპრული ეპიზოდებით, უმთავრესად როსტომის ოჯახის წევრთა საარაკო გადმოცემათაგან ამოღებულით, ვილაც ანონიმს 1120 წლის მახლობლად და დაუწერია ერცელი პოემა, რომელიც ოთხ ნაწილად განიყოფება.² ქართულს ენაზე შენახულია პროზითი თარგმანი ბაამიანისა, რომელიც დატულია სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერში № 999.³ სამწუხაროდ, ამ დღესდღეობით ერთადერთს, მიხეილის ხელნაწერში,⁴ ეს პოემა შენახულა უთაე-ბოლოდ, შუაშიაც, ალაგალაგ, მრავალი ცალიერი ადგილია დატოვებული, ვინაიდან დედანი გადამწერს დაზიანებული ჰქონია. ენა ამ პროზითი თარგმანისა ისეთივეა, როგორც პროზითი ფრიდონიანისა და საამიანისა (საისტ.-საიჟნოვგრ. № 921), მაშასადამე, ეს ძეგლიც ნათარგმნი უნდა იყოს არაუფვიანეს მეთექვსმეტე საუკუნის პირველი ნახევრისა; ამას გვაუქვებინებს, სხვათა შორის, ისეთი სიტყვები, როგორიცაა ფარსანგი (გვ. 78=637), პოლოტიკეკინენი (ხელ-ში-პოლოტიკეკინენი, გვ. 14=517), და ისეთი ფორმები, როგორიცაა აკავსილიყო (გვ. 115=05) ვინაა მთარგმნელი, არ ვიცით, მაგრამ შეიძლება ვივთქვოთ, იგივე პირი, რომელმაც თარგმნა პროზითი ფრიდონიანი და საამიანი: აქაც ხშირად განმეორებულია იგივე სიტყვები და წინადადებანი, რომელთაც ჩვენ ეხვდებით დასახელებულს თხზულებებში; მაგალითად:

„რა გათენდა, ლაგეარდისუერსა ცასა სინათლე მიეცა; საწუთროსა მაშევენებელმან მხემან თავი ამოყო და გუმბათსა ზედა ამალღა“
(ფრიდონიანი, კარი 6).

„რა დილასა საწუთროსა განმანათლებელმან მხემან შექნი მოფინა და ქვეყანა გაანათლან... დილასა რა საწუთროსა განმანათლებელმან მხემან შავი პერანგი დაკივა და თავი გუმბათისაგან ამოყო“.
(ბაამიანი, ხელნ. № 999, გვ. 3=491 225=25).

იყო თუ არა ბაამიანი ოდესმე გალექსილი, ვერ ვიტყვით ვინაიდან ჯერჯერობით ამისი კვალი არა ჩანს არსად.

¹) J. Mohl, Livre des rois, V, 1-13.
²) Ibid I, p. LXXIX-LXX. H. Eth e. Neupersische Literatur (Grundriss II, S. 231)
³) ეს ხელნაწერი ნაწილია იმავე მუზეუმის ხელნაწერებისა № 558, 560; იხ. М. Джа-нашвили, Описание III, стр. 81-90, 253-255; Е. Такашвили, Описание II, стр. 511-554.
⁴) პროფ. შუქარდტს 1896 წელს წერილით უცნობებია ა. ხახანაშვილისათვის, რომ მან ერთს მეჩვიდმეტე საუკუნის ხელნაწერში იპოვა ბაამიანი. მიგრამ აღნიშნული ა.ა. სად ინახება დღეს ეს ხელნაწერი (А. Хаханов, Очерки III, 422.)

C. სირინოზიანი

შ ა ჰ ნ ა მ ე ს ა დ მ ი მიმბაძველობას თავი უჩენია აგრეთვე ერთს საგმირო მოთხრობაში, რომელსაც ს ი რ ი ნ ო ზ ი ა ნ ი ეწოდება; აქაც მიმბაძველს გამოუყვანია რამოდენიმე ისეთი პირი, რომელთაც შ ა ჰ ნ ა მ ე შ ი ეპოულობთ. ასეთებია: ა რ დ ა ფ ი, რომელიც უღრის შაჰნამეს არჯასს, ს პ ა ნ დ ი ე რ ი, შაჰნამეს ისუანდიეოა, ე რ გ ი ნ ი, შაჰნამეს ზოროასტრა, ხ ო ს რ ო, ბ ა რ ა მ ი ნ ა რ ი მ ა ნ ი, გ ო რ ჯ ა ს კ ი, და ზ ო ჰ ა ლ, შაჰნამეს ზოპაკი. ამათთვის დაუპატვებია მრავალი სხვა სახელი და შეუქმნია ევებთერელა მოთხრობა, რომელშიაც, მართალია, ზოგიერთი ეპიზოდი შაჰნამისებურია, მაგრამ საერთოდ საკუთარი შინაარსია ჩადებული, შაჰნამეს ყაიდაზე აგებული.

თხზულება შესდგება ორი კარისაგან: „კარი პირველი, მაშრიყის კელმწიფის არდაფის და ძისა მისისა სირინოზისა ანბავი, შესაქცევლად სასმენი“; „კარი მეორე, ანბავი მაშრიყთა კელმწიფისა სირინოზისა და ძისა მისისა მარინისა“.

პირველი კარის შინაარსი მოკლედ ასეთია: თურანის მეფე არდაფი ქეიფობს შირაზის მეფე ხარდუმთან; ქეიფის დროს უხილაემა ხელმა ის გადაიტაცა ინდოეთში, სადაც ის ირთავს მეფის შაფურის ქალს ნანუჯანას და მერე ისევე უხილაედ ბრუნდება თავის სამეფოში. ერთხელ ნადიმის დროს არდაფს შეატყობინეს, რომ სპარსეთის მეფემ მუზამფარმა ალყა შემოარტყა ქალაქ უმიანს და მისი დაცემა ძალიან უჭირთო. არდაფი გაემგზავრა, მუზამფარი მოკლა და ქალაქი გაანთავისუფლა. შამის სისხლის საძებნელად მოღის სპანდიერი, სპარსთა მეფე, რომელსაც დახმარებას ჰპირდება ბიძა მისი ერგინ ჯადო. მართლაც, სპანდიერის მამაცობისა და ერგინის ჯადოსნობის მეოხებით, თურანელები დამარცხდნენ. არდაფი და მისი ვეზირი ჩაფური ძაღლებად იქცნენ, ხოლო არდაფის ცოლი ნანუჯანა, რომელიც ამ დროს ორსულად იყო, გაიტაცა შირაზის მეფემ ხარდუმმა და ცოლად შერთვა მოინდომა. ცოტა ხნის შემდეგ ნანუჯანას ეუღლა ვაჟი, რომელიც ხარდუმმა ყუთში ჩაასმევინა და ზღვაში გადააგდო, ხოლო დედა მისი, რომელიც მის ცოლობას არ სთანხმდებოდა, გალიაში ჩამწყვდილია. ყუთი ბავშვით ზღვამ გამოაგდო რიყეზე, ის იპოვა არუთა ჯადომ, რომელსაც ბავში მეტად მოეწონა და მოინდომა მისი აღზრდა, სახელად უწოდა მას სირინოზი, ამისათვის რომ ზღვისაგან არისო. არუთამ აჩვენა სირინოზს საში განჯინა და უთხრა: ორიდან ყველაფერს ისწავლი, მესამე კი არ გახსნაო. მაგრამ სირინოზმა ვერ მოითმინა, ჩუმად გახსნა მესამე განჯინაც და დაინახა მთელი ქვეყანა, სხვათა შორის თავისი მამა, ძალღად ქცეული, და დედა, გალიაში დამწყვდეული. ამის შემდეგ მან გახსნა მეორე განჯინა, რომელშიაც მან იპოვა მრავალი სხვადასხვაგვარი თილისმა. ძილის დროს სირინოზმა მოკლა

1) ესარგებლობთ წერა-კითხვის ხელნაწერით № 1503; აღ. ხახანაშვილს ერთს ადგილას ვადმოუცია დასაწყისი პირველი კარისა, ხოლო მეორე ადგილას იმავე კარის ცალკალკე თავების სათაური (Очерки, III, 59—69, 124 примѣч.) და ჰკონებია, რომ ავით ამოიწურება შემადგენლობა და შინაარსი მთელი სირინოზიანისა.

არუთა, რის შემდეგ ის ანაზღვეულად ზღვის პირას გაჩნდა შიშველი. ქაჯთა უფროსს სარდანს მან თილისმით მოატანინა მეფის ტანისამოსი, ჩაიკვა ის და თილისმისავე საშუალებით გაჩდა უკბად ინდოეთში, სადაც ერთს მოხუც კაცს, ბაბულს, გამოჰკითხა იქაურობის ამავეი და გაიგო, რომ აქაურ მეფეს ჰყავს მზეთუნახავი ქალი მუშთარიჯანი, რომელსაც სიტყვა დაუღვია მისთხოვდეს მხოლოდ-დამხოლოდ უძლეველს ფალაენს. სირინოზს შეუყვარდა ეს ქალი, გააჩალა მასთან ურთიერთობა ვეზირის ქალის სუსამბარას საშუალებით, მალე თავისი სწორუპოვარი ფალავნობაც აჩვენა ყველას, როდესაც სძლია ბნელეთის ან ჩრდილოეთის მეფის შვილს და ბარამ ინდოს. მერე სირინოზი გაემართა მშობლების დასახსნელად, მივიდა იქ სადაც ცხოვრობდა ერგინ ჯადო; უკანასკნელმა მოინდომა მისი მოჯადოება, მაგრამ ამაოდ, სირინოზმა თავისი თილისმებით ყველანი გაფანტა და მამა არდაფი ძაღლობისაგან ისევ კაცად აქცია, რის შენდეგ ისინი გამოემართენ დედის, ნანუჯანის, გასანთავისუფლებლად და გაანთავისუფლეს კიდევ. სპარსეთის მეფე სპანდიერი ილაშქრებს არდაფისა და სირინოზის წინააღმდეგ, ჯერ მისი საქმე კარგად მიდის, მაგრამ მერე სირინოზმა სასტიკად დაამარცხა ის. ამის შემდეგ ის მიდის სპარსეთზე პირდაპირ, სადაც მას სიხარულით ხვდებიან, განსაკუთრებით დედოფალი, რომელმაც გადასცა სირინოზს: ჩემი შვილი ზოპალი მოიტაცეს, წაიყვანეს პინგიყალას და იქ მსხვერპლად უნდა შესწირონ კერპსაო; ის სთხოვს მას დახმარებას და შვილის დახსნას. სირინოზი მიდის პინგიყალას, გაანთავისუფლებს ზოპალს და სპარსეთის მეფედ დასვაძს, სპანდიერის მაგიერ, ხოლო პინგიყალას გამგედ—ვინმე გორჯასს.

ამით მოაზრობა არ თავდება, როგორც ალ. ხანანაშვილს აკონია, მას კიდევ მისდევს შემდეგი ამბები (სათაურით):

— აქა ჩრდილოს მეფის გურანის მოსლეა ინდოთა ხელმწიფეზედ ძისა თვისისა სისხლის საძებნელად და ომი ფიცხელი.

— აქა ჩინეთის ხელმწიფის შვილის იექდასტისაგან ნადირობაში სურათის ნახვა მუშთარიჯანისა და მისგან გამიჯნურება; ჯარით მისლეა ინდოეთს და მისგან ჩრდილოთა ხელმწიფის ბრძოლა მუშთარიჯანის ეშხზედ.

— წიგნი იექდასტისა ჩრდილოთა მეფესთან, ინდოთა ხელმწიფესთან და მუშთარიჯანთან.

— აქა ყარუნ ჯადოსაგან ინდოეთში ხელოვნებით მოსლეა და მძინარის სუსანბარ ვეზირის ქალის მოპარეა და შემდგომად სირინოზისაგან გამოხსნა.

— აქა ჯაოადის ფალავნის მოსლეა, მოსლეა საზარელის მისპანინ ზარისა.

— აქა სირინოზისაგან ინდოთა ხელმწიფის ქალის მუშთარიჯანის შეპყრობა, მათი სამართალი; მერმე თავისათვის გამოყხადება, მუშთარისთან ქორწილი და იექდასტის განთავისუფლება და სუსანბარზედ ქორწინება.

ამით თავდება პირველი კარი მოთხრობისა. მეორე კარის შინაარსი, სათაურების მიხედვით, ასეთია:

— აქა იექდასტის, ჩინეთის ხელმწიფის, წიგნის მოტანა.

— აქა დაბადება სირინოზის ძის მარხისა.

— აქა ზანგისტანის სულტანის აღიმის ბრძოლა მარხთან.

- აქა მარინისაგან ჩინეთს მისლვა და ძლიერის ომების გააღდა.
- აქა ბრძოლა პირველი მარინისა და მაშრიყელთა.
- აქა სირინოზისაგან წასლვა ყულაბი ჯადოზედ.
- აქა სირინოზისაგან ჩინეთისაკენ გამართვა.
- აქა მარინისაგან სინდელში მისლვა.
- წიგნი მარინისა ქაჯურშაა სპარსს.
- წიგნი მ. რინისა გულჯანბანოსს.
- აქა ბრძოლა გულჯანბანოსა და მარინის ჯარისა.
- წიგნი დერიფშაჰისა გულჯანბანოსს.
- აქა მარინისაგან მაშრიყისაკენ წასლვა თვისის საყვარლით გულჯაბანოსით.
- წასლვა მარინისაგან მამის საძებრად.
- აქა მარინისაგან იარაღთა პოვნა და მამისა გამოხსნა მეთილისმესაგან.
- აქა წასლვა მაშრიყისაკენ და სხვაცა ანბავი შემთხვევით.
- აქა პირველი ბრძოლა ბნელეთელთა და მაშრიყელთა იექდასტისა და დერიყჰანგისა.
- ბრძოლა დერიყჰანგისა და მარინისა და მარინისაგან მისი სიკუდილი.
- აქა ძლიერისა ფალაენის არდანგარდანის მოსვლა ძალთაჟიანი სპით არამშაჰს შემწედ.
- აქა ძლიერისა მის დალდულელდუნის მოსლვა.
- აქა სირინოზისა და მუშთარის ჩინეთს მისლვა და მათი გარდაცვალება ამიერ სოფლიდან.

ასეთია ზოგადი შინაარსი ამ სადევ-გმირო ნაწარმოებისა, რომელშიაც გამოყენებულია უძველესი ფალაური ლეგენდა არჯასპის შესახებ; ეს ლეგენდა პოეტის დაკიკის შრომიდან გადასულა ფირდოუსის შაჰნამეშია.¹ წარმოდგენილია ამ ლეგენდაში, არჯასპისა და ისფანდიერის სახით, ბრძოლა ერანისა და თურანისა, ბრძოლა, რომელიც შაჰნამეში თავდება ერანელთა, ხოლო ქართულს ვერსიაში—თურანელთა გამარჯვებით, თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა ორიგინალურ ქართულ მიმბამძველობასთან, თხზულება უთუოდ ნათარგმნია. მაგრამ რა ენიდან? განსვენებული ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ე ი ლ ი ფიქრობდა, რომ თხზულება ნათარგმნია სპარსულიდან და ამის დასამტკიცებლად უჩვენებდა სპარსულ სიტყვებს, საკუთარ სახელთა დაბოლოვებას ჯ ა ნ, შ ა ჰ. ენიიდან ეს მოვლენანი შესაძლებელია ქართულს მწერლობაში იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც თხზულება პირდაპირ სპარსულიდან ნათარგმნი არაა, ჩვენ ეს საბუთები საკმარისად არ მიგვაჩნია. შესაძლებელია თხზულება ნათარგმნი იყოს თურქულიდანაც, თუ ს ი რ ი ნ ო ზ ი ა ნ ი, რომლის დედანი ჯერჯერობით არსადა ჩანს, თურქულ ენაზედაც არსებობდა. საქმე ისაა, რომ გამარჯვება თურანისა და არა ერანისა, წინააღმდეგ ფირდოუსის ტრადიციისა, შესაძლებელია მომხდარიყოს თურქულ ნიადაგზე. ამასვე გვაფიქრებინებს ისეთი გრეციზმები, როგორცა საკუთარ სახელთა ოზით დაბოლოვება (სირინოზი, არდაფოსი), აგრეთვე არქიტექტორობა (გვ. 20) და სხვ., რომ-

¹) J. Mohl, Livre des rois, IV 287—390.

მელნიც უფრო ადვილი ასახსნელია თურქულს კულტურულს ნიადაგზე, ვიდრე სპარსულზე.

ვენ არის მთარგმნელი, არ ვიცით, შეგვიძლია მხოლოდ დაახლოვებით გავარკვიოთ დრო მისი გადმოქართულებისა. თუ ლექსიკას მივაქცევთ ყურადღებას, უნდა ვთქვათ, რომ თხზულება მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე არ უნდა იყოს ნათარგმნი; უფრო აღნიშნული დროიდანაა მოსალოდნელი აგრეთვე ზოგიერთი სინთაქსური მოვლენანიც თხზულებისა. ქართულს ენაზე არსებულ ნათარგმნ სადევ-გმირო და სამიჯნურო თხზულებათა კრებულში, რომელიც დაუმზადებია მღვდელს ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს 1774-1779 წლებში (სიძველ. მუხ. №№ 858, 860, 999). ს ი რ ი ნ ო ზ ი ა ნ ი არ არის, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, ამ დროს ის ქართულ ენაზე ჯერ კიდევ არ ყოფილა, თორემ ჩაჩიკაშვილი, რომელსაც გარკვეული მიზანი ჰქონია, ამასაც შეიტანდა თავის კრებულში. მეორე მხრით, პეტრე ლარაძე, აეტორი დილარიანისა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგსაა დაწერილი, უკვე იცნობს ს ი რ ი ნ ო ზ ი ა ნ ს; აქედან ამოუღია მას ზოგიერთი ეპიზოდები და, შეიძლება, საკუთარ სახელთა ბერძნული ოს-ით დაბოლოვებაც (ლაროს, ვგროს და სხე.). მაშასადამე, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს თხზულება ქართულად, აქედან—თხზულება ნათარგმნი უნდა იყოს დაახლოვებით მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელს შეხუთედში; ამით აიხსნება, რომ ყველა არსებული ნუსხეზე ამ თხზულებისა მეცხრამეტე საუკუნეს ეკუთვნის. თხზულების მეორე კარში მთარგმნელი აქაიკ მიმართავს ხოლმე რუსთველურ 16 მარცვლოვან ლექსს, რომელსაც ცალცალკე ტაეპად ურთავს ხოლმე მოთხრობაში (ასევე იქცევიან ამ დროის ზოგიერთი სხვა მთარგმნელებიც, მაგალითად—ყარამანიანისა); სანიმუშოდ მოვიყვანოთ ერთს ტაეპა:

ბარზე მქადო, მოედანსა შენმა ხმაღმა ვერ ზაკედინა,
ჩემის მუშტით დაიკოდე, სისხლი ჩაგდის მრავლად წინა,
ზანგის ომსა ვერ გაუძელ, ლაშქარშიგან შეგარცხვინა,
მალე მტერი მოგაკვდინა, წყენას ვრიდებ მე მას ვინა (გვ.157).

ვეფხისტყაოსანს სხვა მხრივაც უნდა მოეხდინოს მთარგმნელზე გაეღწეა: ზოგიერთი ეპიზოდები ამ მოთხრობისა გადმოკეთებული უნდა იყოს ვეფხისტყაოსანის ეპიზოდების მიხედვით; ამ მოვლენას ჩვენ ვამჩნევთ მეთვრამეტე საუკუნის სხვა მთარგმნელების შრომებშიაც (ონანა მეუის მდივანი), ასე რომ ს ი რ ი ნ ო ზ ი ა ნ ი ს მთარგმნელი გამონაკლისს არ შეადგენს ამხრივ.

3. ამირან-დარეჯანიანი

(გალექსილი)

მოსე ხონელის ამირან-დარეჯანიანი, რომლის შესახებ პირველს ნაწილში გვქონდა ლაპარაკი, აღორძინების ხანაში გაულექსიათ 16 მარცვლოვანი რუსთველური შაირით. ამის შესახებ ცნობებს გვაწოდის ჩვენ არჩილ მეფე ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა^ა აღნუსხვისას:

სულხან ვინ თანიაშვილი მეც მახსოვს, იყო ჩემობას,
 ცოდნა მას ჰქონდა ბევრი რამ, მაგრამ სწამობდენ ჩემობას,
 ამირან-დარეჯანისძეს უქებდა გამოჩვენობას,

კარგად თქვა, მაგრამ ვერ გვიზამს რუსთვლის თქმულთა ჩვენობას.

ეს გალექსილი ამირან-დარეჯანიანი ჩვენამდეც შენახულა ერთადერთი ხელნაწერით (წერაკითხ. №357), რომელსაც, სამწუხაროდ, თავშიაც აკლია რამოდენიმე ფურცელი და ბოლოშიაც. გალექსილი რედაქცია დაყოფილია 12 კარად, ისე და იმ მოცულობით, როგორც პროზითი რედაქცია მოსე ხონელისა, ეგრეთწოდებული ორი ზედმეტი კარი,—ამბავი ხაზართა გოლიათებისა,—აქ არ არის, ალბად გალექსვისას ისინი უკვე გამოყოფილნი იყვნენ ამირან-დარეჯანიანის შემადგენლობიდან. მელექსე კვალდაკვალ მისდევს პროზითი რედაქციას, ალაგალაგ ამოკლებს მას, ალაგალაგ ავრცობს კიდევაც მრავალსიტყვაობით, მაგრამ არც ერთს მნიშვნელოვან ფაქტს ან აზრს არ უშეებს, არც რაიმე ზედმეტ ფაქტიურ მასალას იძლევა.

გამლექსეელი ამ ნაწარმოებისა ყოფილა, როგორც არჩილი ამბობს, ვინმე სულხან თანიაშვილი, არჩილის თანამედროვე („იყო ჩემობასო“), მცოდნე კაცი და კარგი მელექსე. სულხანს თავისი შრომა შეუსრულებია 1681 წლამდე, როდესაც არჩილი ზემომოყვანილს სიტყვებსა სწერდა, მაშასადამე, დაახლოებით—მეჩვიდმეტე საუკუნის მესამე მეოთხედში. არჩილს, როგორც ირკვევა ეხლა, ნამდვილი და მთლიანი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები არ ჰქონია ამ რედაქციის შესახებ, მას მთელი ლექსითი ამირან-დარეჯანიანი მიაჩნია სულხანის ნაწარმოებად, ნამდვილად კი ეს ასე არაა, სულხანს გაულექსია არა მთელი ამირან-დარეჯანიანი, არამედ მარტოოდენ სამი კარი ან თავი მისი. თავისი შრომისათვის მას წინ წაუძღვანებია პროლოგი, რომლიდანაც გადარჩენილა 43 ტაევი (თავში ხელნაწერს აკლია 6 ფურცელი ან 48 ტაევი წინასიტყვაობისა, თუ ამ ფურცლებზე მარტოოდენ ამირან-დარეჯანიანის შესავალი იყო). აქ სულხანი ამბობს: „ლექსს უფრო ყურსა უპყრობენ. ამბის წიგნები ძეს აკად“; აი ამ მოსაზრებით, რომელშიაც, ალბად, გამოხატულია შეხედულება მთელი ეპოქისა, სულხანს ხელი მიუყვია თავის შრომისათვის. ვიდრე ის დაიწყებდას მას, სულხანი გვითვალისწინებს ამირან-დარეჯანიანის წარსულს:

ამირან დარეჯანისძე და სეფედაელა ძმობილნი,
 მზეჭაბუკ, მათი შემწორე, ჰაბუჯად მათთან ხმობილნი.
 მოსეს ეწერა ამბითა, კლდეთ ცვილებრ დამაღნობელნი.

ამბითა იყო ნათქვამი, აწ შეეცადე ლექსითა,
მწაღდა, მაგრამ მამხულები, ვიცი, სასჯელი კენესითა.

პირველ ამბად დანაწერსა აწ ლექსად ვიქმ შეწყობილსა,
მკითხველთათვის საამოვნოს, მსმენელთათვის სიტყვატკბილსა.

აწ ამბავსა ლექსად ვიწყებ, ავად ეთქვამ თუ ანუ კარგა,
კარგი კაცი კარგსა იტყვის, ავმა ავი არ დაჰკარგა.

აქივ, პროლოგში, სულხანი გადაგვიშლის მიჯნურობის თეორიას, რომელ-
საც ახლო კავშირი აქვს ვეფხისტყაოსნის პროლოგში წარმოდგენილ-
თეორიასთან, და აგრეთვე შეხედულებას მეღვკესობასა და ლექსზე:

გავს ლექთა წიგნი წალკოტსა, ვინც იცის ან ვინ ისერებს,
მკითხველნი მისი მებაღე, მის ხილსა გულსა ისერებს,
მრავალფერისა ყვავილით უბეს აივსებს, ისურებს,
გამოუა, ყველას აყნოსებს, ბაღსა გარემო ისურებს.

ბაღსა აშენებს მებაღე და ლექსსა მკითხველ-მცნობელნი,
თუ არვინ საქმობს, გაობრდეს მშენებელი და მწკობელნი,
კაცი, მყოღნელი სიბრძნისა, იყოს ამოსა მნმობელნი,
მის მეტი ვერვინ გამოჩნდეს ამა ამბისა მნმობელნი.

აჰა: შეველ ვარდის ბაღსა, მოვიწადე სურნელთ კრეფა,
ენახე გაქრა ბულბულისა, აქვს ვარდისთვის ცრემლთა ჩქეფა,
თაესა ცემა, ხოქა გლეჯით უღირებდად ვიეფა,
შემებრაღა, მოვეზმარე, მეც დავიწყე მასთან ყეფა.

მელექსეობის შესახებ ლაპარაკის დროს სულხანი იგონებს რუსთველს და
ამბობს:

რუსთველმან ამბო ლექსები, გულისა მსგავსად მოსხმული,
თქვა გაქრა ტარიელისა, ჰყო ვეფხისტყავთა მ-სხმული,
ცრემლი აჩქეფა თვალთაგან, მინდოროთ სალტობლად მოსხმული,
მის ამბით ვარდზედ ბულბულნი მოვლენ სატირლად მოსხმული.

მისთვის მომწონდა რუსთველი, ტარიელ შექმნა ბულბულად,
არ აპოვნინა იგი მზე გაურჯელ და უჩხუბულად,
ვირემდის არა აღინა თვალთაგან ცრემლი გუბულად,
რა მიეწურა სიკვდილსა, მაშინ ქნა შენატყებულად.

ლექსი სულხანისა ალაგ-ალაგ მოიკოკლებს, საერთოდ კი მან, არჩა-
ლის თქმის არ იყოს, „კარგად თქვა“; ისეთი სიტყვები და შედარებანი, როგო-
რიცაა ბულბულის ვარდზე ყეფა, მელნის ტბა, ინდოთ რაჰმი და სხვ. მოწმობს
რომ ის განიკდის ჩახრუხადის, რუსთველის და თეიმურაზ პირველის მძლავრ
გავლენას, განსაკუთრებით რუსთველისას.

სულხანს განჯახევა ჰქონია მთელი ამირანდარეჯანიანი გაელექსა, მაგრამ ეს მას არ დასცალდა, სამი თავის ან კარის გალექსეთა შემდეგ ის გარდაცლილა და მისი შრომა გაუგრძედა მის ძმას ბეგთაბეგს, რომელსაც უმუშავეთა იპავე მეთოდით, როგორც სულხანი მუშაობდა: ისიც პროზის ტექსტს ალაგალაგ ამოკლებს. ალაგალაგ აერცობს. თვითეული კარისათვის წაუმძღვანებია შესავალი, სარწმუნოებრივი შინაარსისა, და ბოლოსიტყვაობა, რომელშიაც ხშირად თავისთავზე ლაპარაკობს. მეოთხე თავის წინასიტყვაობაში ბეგთაბეგი ამბობს:

მე არ ძალმედვა ამ წიგნის გამოთქმად შეჭირებანი,
ძმა მეყანდა, არა ღირს ვიყავ, მართებდა ყმურებ ხლებანი,
ამა სოფელმა მუხთალმა ინება, მისცა ვნებანი,
ეს წიგნი დარჩა უსრულად, იმ სოფლისკენ ქნა რებანი.

მკითხველთ ისმინეთ, რაც გკადრო ეს ჩემი მონახსენები,
ვით შეუდარო მის თქმულებს, ან ვით ეიხპარო ენები,
ეთქვი: ვიტყვი რაც რომ ძალ მიძეს, მეც ვიქნა მონახსენები,
მისი გაყრილი სამუდრად ესტირ, ვზივარ ცრემლთა მდენები.

ნეცხრე კარის ბოლოსიტყვაობაში ბეგთაბეგი ამბობს:

ბეგთაბეგ გკადრებ მკითხველსა, მელექსე-მოთარგმანესა,
სიბრძნით უჩენლსაც დინახთ, არ დაიყოენით ხანესა,
გასაკირს იმწამს გაარკვევთ, არ ბრძანებთ ის არს ან ესა,
მე ვლექსობ უცნობლობითა, რიღით გული მიქმს მქანესა,

არსად მეთქვა ამის მეტად ლესი წიგნი ჩასაწერად,
მოეინდომე გასრულება, მაგრა ვერ ვთქვი ძმის თქმულთ ფერად,
მართალს გკადრებ: დღე ჰქონოდა, მას ჯნდოდა სხიამცა წყერად,
რაც დააკლდა, მე ვათავე, მთქმელი ვრივე ვერავინ ვერად. (ფ. 172)

საინტერესოა. როგორ უყურებს ბეგთაბეგი თავის ლექსებს, - ამას ჩვენ ვეცნობით მეაიე და მეთერთმეტე კარების დასასრულს:

ათი კარი გარდავლექსე, შეთერთმეტეს შევეცადე,
დაწუნებით ვერვინ მითხრას: ნულარ ლექსავე, კმარა ადგი,
ღმერთმან მომცა სიუხვითა სიბრძნე თქმისა, შე მაცადე,
ღმრთით, რაცა მწაღს: სრულ იქნება, თუ კეთილად მოიწადე.

აწ გამისინჯეთ, მკითხველნო, შეწყობით ლექსთა მთქმელობა,
თუ როგორ ვაქე მხევაბუჯ და მის ნაქმართა ქველობა,

¹ ე. თ ა ყ ა ი მ ვ ი ლ ი ა მ ბ ო ზ ს, რომ სულხანმა ცხრა კარი გალექსა. დანაწიენი კი ბეგთაბეგმარ (მოალწია ჩვენამდის დილარჩანის ნაწივეტმა თუ არა? მოამთხე 1940 წ. № 2, გვ. 47), მაგრამ ეს ნართალი არაა: თ ა ყ ა ი მ ვ ი ლ ს შეუმჩნევი: მხოლოდ მეცხრე კარის ბოლოსიტყვაობა, სადაც ბეგთაბეგი თავისთავზე ლაპარაკობს, წინაკარებისათვის კი ყურადღება არ მიუქცევია. მეხუთე და მესვიფე კარის წინასიტყვაობაშიცაა ნათქვამი: ყოველ მკითხველ და მელექსესთან ესე არის ჩემი აქა, რაც ძმას დარჩა, მე ვასრულებ, მართო ვიქმენ განასაჯი (ფურ. 82).

ვით გარდავლექსე ამბავი, მონხუდა ღრმად დაუნთქმელობა,
სხვა გაეთათე, თქვენ გესმას სისხლისა აწ მძებნელობა. (ფ. 229)

ეს ყველაი ასრე იყო, დაესრულა სისხლთა ძებნა,
გაეისაჯე ლექსის თქმითა, მაგრამ ცუდად არ დამებნა,
ჩემის მეტმა ამ მძიმისა ვერვინა ქნა ლექსად შებნა,
ღმერთმან მომცა გონებანი, მეცა მმართებს მისი ქებნა. (ფ. 240)

ვინ არის ბეგთაბეგი? ბეგთაბეგ თანიაშვილი უნდა იყოს ის ბეგთაბე-
გი, რომელიც ცნობილია როგორც მღვიანის და მწიგნობარი მეფისა გიორგის
XI შაჰნავაზისა; მას 1680 წელს გადაუწერია ერთერთი საუკეთესო ნუსხა ვეფ-
ხისტყაოსნისა (წერა-კითხ. № 335), რომლისათვის შემდეგი uccomenti დაურ-
თავს: სახელითა ღმრთისაჲთა აღუასრულე ქორანიკონსა ტატი, მე, ფრიაღ-
კოდვილმან და სახითა ოდენ მღვიანმან და საქმითა ყოველთა მწიგნობართა
უნარჩევესმან ბეგთაბეგ¹. ეს ბეგთაბეგი მეტად ენაწყლიანი კაცი ყოფილა, რა-
საც ამოწმებს პოხითი შექება გიორგი მეფისა, რომელიც მას დაურთავს
მის მიერ გადაწერილ ვეფხვის ტყაოსნისათვის;² ის რომ ამასთანავე პოეტიც
ყოფილა, ჩანს იქიდან, რომ ვეფხვის ტყაოსნის ამავე ნუსხაში მას მოუთავებია
მეორე, ხუთჯანოვანი ლექსითი ქება ან ოდა გიორგი მეფისა.³ ამ ბეგთაბეგს
პოქტთა რაცხვში იხსენიებს დავით გურამიშვილიც, როდესაც ამბობს:

შოთა მღერს, მეჲე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურება,
მეჲე ვახტანგ და იაკობ დაბლა ზილს მოეტკებურება,
ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი, ონანა ბანს ეშურება,
დრინვენ ყარან და მამუკა, მე მსურის მათი ყურება.⁴

როდის დაასრულა ბეგთაბეგმა ამირანდარეჯანიანის გალექსვა?
არჩილ მეფის სიტყვებიდან ჩანს, რომ მას ცნობია მთელი გალექსილი ამი-
რან-დარეჯანიანი და არა ნაწილი მისი, მხოლოდ ეს ნაწარმოები მას
ჭგონებია მთლიანად სულხანის შრომად; აქედან ცხადია, მაშასადამე, რომ 1681
წელს, როდესაც არჩილი იმ სიტყვებსა სწერდა, ბეგთაბეგის შრომაც დამთავ-
რებული მწერალი ყოფილა.

ლექსი ბეგთაბეგისა სულხანის ლექსს არ ჩამოუვარდება, ესეც საკმაოდ
დახელოვნებული მწერალი ყოფილა.

¹) E. Такалийвили, Описание II. стр. 577.

²) Ibid, стр. 574 - 577.

³) Ibid, стр. 578.

⁴) დავითიანი, J. უმჯავშელის ვამოცემა, გვ. 4.

4. სეილანიანი.

სეილანიანი ში მოთხრობილია სადევ-გმირო ამბები ვინმე სეილანი-საპიბეირანისა: სეილანი ებრძვის ათარ დევს, რომელსაც დაუპყრია, სხვათა შორის, ჯინისტანი (მოხსენებულია სირინოზიანშიც) და კეკასიელნი, ეომება ის ჩინეთში მზეთუნახავი სიპიდანდამის გულისათვის აბაშთა მეფის შვილს ჯაან-გირს და ხვარაზმელთა სეფეწულს მანუჩარს და მთელს დაუსრულებელ რიგს სწორჯჳოვარ ფალაენებისას სხვადასხვა ადგილს სხვადასხვა მიზეზთა გამო. ეს ბრძოლა აწერილია ისე, როგორც ეს მიღებულია ყველა ამგვარს სპარსულ სადევ-გმირო თხზულებებში.

ქართული თარგმანი ამ თხზულებისა ეკუთვნის ბატონიშვილს იოანეს, რომელსაც ის გადმოუღია 1791 წელს; ამის შესახებ პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავის ხელნაწერში (№ 17) ნათქვამია შემდეგი: „წიგნი ესე სეილანიანი გადმოთარგმნილია სპარსულად ჰინდური ენიდან დეკრიშის სეიდის მიერ. სპარსულად ის დიდის ინტერესითა და სიამოვნებით იკითხება. სპარსულიდან ქართულად გადმოვიღე მე, ბატონიშვილმა იოანემ. თხზულება ესე შესდგება შვიდი წიგნისაგან, რომელშიაც აღწერილი არიან თურქნი, სპარსნი, სინდნი, ჯინნი, ურუმნი, ჩინელნი, იაპონელნი, ჩრდილოელნი, შვიდი მთა ყაფისა, დეენი ვიათის ველისანი, არაბნი და იამანელნი, მათი და სხვათა მრავალთა მეუფეთა ომნი, აგრეთვე რკენანი და საკვირველნი საქმენი ფალაენათანი, ისე მრძობი: ველად, რომ ჰამო არს სასმენელადო.“¹ აქედანა ჩანს, რომ ეს თხზულება ჰინდურს ენაზე ყოფილა თავდაპირველად დაწერილი, იქიდან სპარსულად უთარგმნია ვინმე სეიდს, ხოლო სპარსულიდან ქართულად ბატონიშვილს იოანეს; თხზულება შვიდი ტომისაგან შესდგებოდა. ვერ ვიტყვი თ ნამდვილად, შვიდივე წიგნი გადმოიღო იოანემ თუ არა, არსებულს ხელნაწერში მხოლოდ სამი წიგნია დარჩენილი, რომელთაგან პირველს ეწოდება საკუთრივ სეილანიანი. მეორეს — ჯანგ-ნამე,² ხოლო მესამე — არდაშერ-ნამე.³

განსვენებული ა. ხახანაშვილი ფიქრობს, რომ სეილანიანი წარმოადგენს სპარსული მოთხრობის საპიბეირანის ერთერთი რედაქციის გადმოკეთებასო.⁴ მართლაც, სპარსულს ენაზე არსებობს 15 ტომიანი თხზულება *Kiustan-i-Naxal*, რომელიც დაწერილია 1742–1756 წლებში და სამ ნაწილად განიყოფება; მესამე ნაწილს, რომელიც რვა ტომისაგან შესდგება, ეწოდება, სხვათა შორის, საპიბეირანი-ნამე, ვინაიდან მისი მთავარი გმირის —

¹) А. Хаканов, Очерки III, 198.

²) ასეა ნათქვამი პეტროგრადის ხელნაწერში: „სეილანიანი, სპარსულიდან ნათარგმნი ბატონიშვილის იოანესი ჩღუა წელსა, ორი წიგნი „მეორესა ჰრქვიან ჯანგ-ნამე“ (А. Царепели, Собрание III, გვ. 212. № 191); ჩანს ამ ხელნაწერში მატო ორი წიგნია დარჩენილი.

³) ამას ეტყობილობთ წერა-კითხვის ხელნ. № 2695, სადაც სწერია: „აქა წიგნი დასრულდა მეორე სეილანმა. კარი მესამე წიგნი სეილანისა, რომელსაც ეწოდებინ არდაშერმან,“ გვ. 211.

⁴) Очерки III, 198.

Mu'izz-uddin-ის საპატიო ტიტული იყო საჰიბუყირან-აკბარი.¹ მაგრამ საეკვოა, ჩვენი სეილანიანი ამ წიგნს გულისხმობდეს: ჯერ ერთი, სეილანიანის დედანი ჰინდური ყოფილა და არა სპარსული, მეორე — იმაში Mu'izz-uddin-ი სულაც არ გვხვდება. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ სეილანსაც საპატიო ტიტულად ჰქონია საჰიბ-ყირანი, როგორც Mu'izz-uddin-ს. სპარსულ ენაზე არსებობს აგრეთვე თხზულება ჯანგ-ნამე (სახელი სეილანიანის მეორე წიგნისა), რომელშიაც აღწერილია სპარსეთის ზღვის ყურეში კუნძულის ყიშმის აღება შაჰაბაზის მიერ 1623 წელს,² მაგრამ არც ამასთან უნდა ჰქონდეს რაიმე საერთო ჩვენს სეილანიანს. ასე რომ, არც ჰინდური ორიგინალი, არც სპარსული თარგმანი ამ თხზულებისა ჯერ-ჯერობით ცნობილი არაა, რითაც უფრო მტკი თასი ეძლევა ჩვენს სეილანიანს. ბატონიშვილს იოანეს ცოტა რამ თავისივე შეუტანია თავის თარგმანში; ერთ ადგილას ჩვენ ვკითხულობთ: „რომელსაც მხარეს ერანელნი და სანგას ფალავანია, იმ მხარეს მელქ ზოპრაბ თურქისტანისა ჯარითა მივიდესო და საითაც ქართეელებნი, სომეხნი, კაუკასიელებნი და სხვანი მოვლენ, იმ მხარეს დანარჩობნი ჰინდოელნი, სინდელნი და ეგრეთვე ჩვენს ჯარსაც მიემატოს.“³ ქართველნი, სომეხნი და კავკასიელნი ჰინდურ-სპარსულ ტექსტში, საეკვოა ყოფილიყვნენ, თუმცა თხზულებაში ყათის მთის შესახებაც ყოფილა ლაპარაკი, ხოლო ყათის მთად ცნობილი იყო კავკასიონის მთაც.

5. ალლუზიანი

ქაროულს ენაზე შენახულა ერთი პოემა, რომელსაც ეწოდება ალლუზიანი, ვინაიდან იმაში ლაპარაკია ოს-ჩერქეზთა მეფის ალლუზონის საგმირო საქმეთა შესახებ.

პოემა, რომელიც ორჯერაა გამოცემული,⁴ ხუთი თავისაგან შესდგება; შინაარსი მათი მოკლედ ასეთია.

თავი I: ალლუზონი იყო შთამომავალი ებრაელთა მეფის დაეის და ძე ბერძენთა კეისრის აელუსტისა; მან მოინდომა შეერთო ცოლად ჩაჩანთა მეფის კესარ-ხანის ან კაირანის მშვენიერი ქალი ესთერი, მაგრამ მამამ ამისი ნება არ მისცა. ვინაიდან მეფე ხანი იყო უსჯულო. ალლუზონი შემოსწერა მამას, შიატოვა სამშობლო, გადმოიარა „დიდმთანი“ და მოვიდა კესარ-ხანის სამფლობელოში და ესთერი მოსტაცა მას.

¹) H. E (he, Neupersische Literatur (Grundriss... II, S. 320).

²) Ibid, S. 237.

³) წერა-კითხვის ხელნაწერი № 3693, გვ. 191.

⁴) პირველი გამოცემა ეკუთვნის ნ. გამრეკელს, 1885 წ., მეორე, 1897 წლისა, მ. ჯანაშვილს (Сборник материалов для описания мѣстностей и племень Кавказа, вып. 22, стр. 60—188); გარდა ამისა იბილეთ შენიშვნები ლ. ლოპატინსკისა მ. ჯანაშვილის გამოცემაზე (იქვე) და კრიტიკული მიმოხილვა 21 და 22 ნაკვეთისა Сборнику для описания-ის ვს. მილღერისა (Журналъ-Министерства Народн. Просв. 1897 г. Октябрь).

აღლუზონს უკან დაედევნა დიდი ლაშქარი, რომელსაც მან სულერთიან ეუსრი გაავლო; ამის შემდეგ მან შემუსრა სატახტო ქალაქი და სამეფო კოშკი კესარ-ხანისა, გადმოიარა მთანი კავკავისნი, შემოვიდა ჩერქეზეთში და დაიმკვიდრა აქაური ტახტი. ეს რომ ვაიგო ჩაჩანთა მეფემ კესარ-ხანმა ან კაირანმა. ნონდომა მისთვის ცოლის წართმევა, ამისათვის მან გადმოიბირა ნონ-კალმუხთა მეფე-ბატონი ამახუნი და აღლუზონს ომი გამოუცხადა. გაჩაღდა ფიცხელი ომი ჯერ ნონ-კალმუხებთან, შედრკა ჯარი აღლუზონისა, მაშინ მან მიჰმართა ედრეზით მაცხოვრის ჯვარს, იშიშელა ხმალი და სულერთიან ამოსწყვიტა ნონ-კალმუხნი, ომი გათავდა აღლუზონისა და ნონთა მეფის შებშით, რომელშიაც ნონთა მეფე შუაზე იქმნა განკვეთილი. დამარცხებულნი შესცვალა ჩაჩანთა მეფემ თავისი ჯარით; აღლუზონმა იშიშელა ხმალი და ჩაჩანთა სისხლით შეღება ეცლი, მერე ხმლით მოკლა კაირანი და თავი მის ჯარს გაუგზავნა. დამარცხებულებმა ითხოვეს ზაფი და სახლში დაბრუნების ნება. აღლუზონმა ნება მისცა ნათ წასლვისა. მაგრამ თვითონაც უკან მიჰყვებ მათ; კაირანის ცოლმა მარი-ხათუნმა რომ ქნრის სიკვდილი ვაიგო, საშინელი ტირილი მორთო და აღლუზონს სათხოვა ნიცვალეზულის გეამი დასამარხად; მოასვენეს მიცვალეზული დიდის ამბით ზეიმით დასაფლავეს და ძეგლი აუგეს. აღლუზონმა აქ, ჩაჩანთა ქვეყანაში, განგეთ დასტოვა ბდბორი. თვითონ კი დაბრუნდა სახლში; გზაზე გამოეგებნენ მდიდარი ძღვენით ნონ-კალმუხნი მათი მოკლული მეფის სამი ასული-თერთ და სთხოვეს მას—მიიღოს თავის მფლობელობაში მათი მდიდარი და ნშვენიერი ქვეყანა, რომელსაც მონღოლია ეწოდება. აღლუზონი მართლაც შეჩერდა აქ, მოიწვია თავისი მეფულე ესთერი და კარგა ხანს იზეიმა; მერე მონღოლის გაშვად დანიშნა ულდან ვეზირი და თვითონ დიდი ამალით, რომელშიაც ნონთა მეფის სამი ასულიც შედიოდა, დაბრუნდა ჩერქეზეთს თავის სატახტო ქალაქში.

ამნაირად, მის ხელში გაერთიანდა ოს-ჩერქეზეთი, საჩაჩნო და ნონ-კალმუხთა ქვეყანა მონღოლია.

თავი II: გამართვა ამოსარზედ და დაპყრობა მისი. აღლუზონთან მოვიდა დახმარების სათხოვნელად ვინმე ასლან გამრეველი, რომელიც იყო ამოსარის მეფის ალ-ისკანტერის მხლებელი და ერთგული მსახური. ის დაუბეზლებია მტერს მეფესთან, რომელსაც განუზრახავს მისი მოკლე და საქმის სისრულეში მოყვანა დაუვალებია ასლანის ძმებისათვის. აღლუზონმა აღუთქვა ასლანს დახმარება იმ პირობით, თუ ის მისი ერთგული იქნებოდა: ასლანმა შეჰქვიცა ერთგულობა და დაუმტკიცა კიდევაც მას ის, როდესაც მან მოკლა მირზა-ხანის მიერ მოგზავნილი მხედარი, რომელსაც დავალებული ჰქონდა აღლუზონის ისრით გახგმირვა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდენ ელჩები ამოსარის მეფისა, რომელიც გულისწყრომას უცხადებდა აღლუზონს მისი მტრის, გამრეველის, შეფარებისათვის და ამოფხვრას ემუქრებოდა. აღლუზონმა შესაფერი პასუხი შეუთვალა მას, ასე რომ საქმე ომამდე მივიდა. გადამწყვეტი ომის წინ ამოსარის ჯარი შედრკა, ალ-ისკანტერს ურჩიეს კლავდაკლავ შებმოდა აღლუზონს და ჯარისათვის სისხლის დენა აეცილებია. შეიბნენ ორნი მეფენი, აღლუზონმა ხმლით განკვეთა თავისი მოპირდაპირე, რის შემდეგ ამოსარის ჯარმა მას მორჩილება გამოუც-

ხადა. მოკლული მეფე წამოასვენენს სახლში, მას გამოჰყვა უკან მტირალი აღლუზონი. დედოფალმა რომ დაინახა მოკლული ქმარი, საშინელი ტირილი მართო, აღლუზონმა მას მეგობრული სამძიმარი და მწუხარება გამოუცხადა და, თანახმად მისი თხოვნისა, ნება დართო მოეწვია დასაფლავებაზე მიცვალებულას და, მილანქარის მეფე ჯანყალა.

თავი III: აქ ამოსარის სამთავროს თავის დაკვრა აღლუზონისა. ჯანყალამ გაიგო, რომ აღლუზონი მოდის „მათდა წარტყვენად“, ამიტომ მოიხმრო თავისი ვეზირები და ჰკითხა მათ: როგორ გგონიათ, რა უმჯობესია, რამ გამოუცხადოთ თუ უომრად დავმორჩილდეთო? ვეზირებმა ურჩიეს ომი. ამდროს მოიქრა ამოსარიდან გამოგზავნილი შიკრიკი, რომელმაც ჯანყალას ძმის სიკვდილი შეატყობინა; ჯანყალა უგრძნობოდ მიწაზე დაეცა და ძლივსძლივობით გონს მოიყვანეს. მერე ის ჩაჯდა ეტლში და წავიდა ამოსარს, სადაც თავის რძალთან ერთად, აღ-ისკანტერის ცოლთან, იწყო საშინელი მოთქმა მიცვალებულის ცხედარზე, ასე რომ აღლუზონსაც დიდად შეებრაღა ის. მიცვალებული შესაფერი პატივისცემით დაასაფლავეს.

თავი IV: გამთავრება გამრეკელისა აღლუზონისაგან გორანდსა ზედა. ამის შემდეგ აღლუზონმა აღ-ისკანტერის ქვრივს, ამოსარის დედოფალს, უთარა: მე თვით მინდოდა აქ ვეთობა, მაგრამ შენი პატივისცემისათვის ამას არ ჩავიდნენ, შენ თვითონ იყავი მფლობელად, მხოლოდ მოგცემ ჩემს ძმას უურთავონს შენწვიდ სამეფოს მართვა-გამგეობაში. გორანდას მთავრად მან გამრეკელი დანიშნა, ასე რომ თავის სამეფოს მან ფაქტიურად შემოუერთა კიდევ ამოსარისა და მილანქარის სამთავროები. ამის შემდეგ დიდი ზეიმით და ამბით დაბრუნდა სახლში: გზაზე მას მთართვეს წიგნი მეორე ძმის სიდაჰონისა, რომელშიაც ის ატყობინებდა მას ძის შეძენას. აღლუზონს მეტად ვაებარდა ეს ამბავი, მოვიდა შინ, ბავშვი მონათლა და ქარხილონი დაარქვა სახელად.

თავი V: ამბავი აღლუზონ მეუღის სიკვდილისა. შვიდი წლის შემდგომ აღლუზონმა მოინდომა მისი ხელქვეითი სამეფო-სამთავროების ნიმობაღეა. პირველად ის ამოსარს გაემგზავრა, აქ მას დიდი ამბით მოგებნენ ქვრივი დედოფალი, მეფე მილანქარისა ჯანყალა და უურთავონი, ძმა მისი. არ ჩანდა მხოლოდ მთავარი გორანდისა ასლან გამრეკელი, რომელიც დაგვიანებით გამოცხადდა. აღლუზონმა გამოიკითხა მისი ამბავი და გაიგო, რომ ის მეტისმეტად ავიწროებდა როგორც მის ხელქვეითთ, ისე ზემოჩამოთვლილ პირებსაც. მეფე გაურისხდა მას და გადასწყვიტა მისი ჩამოხრჩობა, მაგრამ გამრეკელმა მოასწრო, ჩუმად შეგზავნა მის ოთახში მოსყიდული კაცი და მოაკვლევინა მეფე. მიცვალებული მოასვენენს სატახტო ქალაქში; ესთერმა რომ დაინახა ეს, საშინელი ტირილი ამოუშვა და იქვე მის ცხედართან დალია სული. მიცვალებულები დიდი ამბით დაასაფლავეს და აღლუზონის ძეგლზე აღნიშნეს: მე ვარ მეფე ამოსარის, თვითმპყრობელი მილანქარის, ბატონი ოვსთ, ჩერქეზთ, ჩეჩენთ, ქისტთ, ნონთა კარის, იალბუზის და კავკაზისო. ამ დროს მისი შვილი ქარხილონი 14 წლისა იყო.

დედანი აღლუზიანისა, რომლის სრული სათაური ყოფილა: „აღლუტიან-აღლუზიან-რუსიან-სარაგონ-ქახილონი“, ინახებოდა თითქოს ოსეთის სო-

ფელს ნუხალში, მაგრამ დღესდღეობით ის არსად არა ჩანს. თუ დავუჯერებთ ვილაც სამაჩაბლოელის ცნობას,¹ დაბეჭდილი ალღუზიანი მხოლოდ ერთი მეთაულია აწ დაკარგული დედნისა, რომელშიაც ლაპარაკი ყოფილა, სხვათა შორის, ალღუზიანის რუსეთთან ბრძოლის შესახებაც: მისი შვილი ტყვედ ჩაეარდნია იოანე მრისხანეს; ეს რამდენადმე დასაჯერებელია, თუ გვეხსოვება დაბეჭდილი ნაწილის დასასრული ტაეპი:

ამა მოწყალებითა მეუვეს დაშთა ერთილა ძე,
ქარხილან თოთხმეტის წლისა, თვით მამისა ძალით მბაძე,
მისიცა ეგრეთ ამბავი შემდეგ ვიმცნათ რისაცა მძე,
დღდა-მამანი გამტვერდენ და აწ შეილსლა მოსდის პირსა სძე.

ავტორს მიზნადა ჰქონია ალღუზონის შვილის ამბავის გადმოცემა. პოემა დაწერილია 16 მარცვლოვანი რუსთველური ლექსით; ენა მისი მეტად უხეშია, ლექსი მძიმე და უგემური. ავტორს უბრალო საზომიც კი ვერ დაუტყავს ყველგან: სტრიქონში ხშირად ხან 17 მარცვალია, ხან 15; რითმის გულისათვის სიტყვები დამახინჯებულია, ერთი სიტყვით ასეთი უხეში და უნიჭო მიმბაძველი ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ო ს ა ნ ი ს ა მეორე ძნელად მოიპოვება აღორძინების ხანაში.

რას წარმოადგენს ეს პოემა? ზოგიერთ მკვლევართ ის მიაჩნიათ საისტორიო ნაწარმოებად (მ. ჯანაშვილი, ა. ხახანაშვილი, ლ. ლოპატინსკი) და მისი დახმარებით ფიქრობენ ჩრდილოკავკასიის წერილ ეროვნებათა, კერძოთ ოსების, ისტორიის გათვალისწინებას. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ჰეონია, რომ ალღუზონი ისტორიული პირია, რომელიც მერვე საუკუნის ნახევარში ცხოვრობდა.² მაგრამ ნამდვილად აქ არაფერი ისტორიული არაა, პოემა შეიცავს ჩრდილოკავკასიელთა, კერძოდ ოსების, რაღაც ბუნდოვან ლეგენდებსა და გარდამოცემებს, რომელნიც ავტორს შეუხავებია ქართული მატეანეს იმ ცნობებით, რომელნიც ოსებს შეეხებიათ. აქ წარმოდგენილია ურთიერთშორის დამოკიდებულება ჩრდილოკავკასიელთა, როგორც არიან, ერთის მხრით ქრისტიანი ოსები, მეორე მხრით მაჰმადიანი ჩერქეზები,³ ჩაჩნები,⁴ ნოინ-კალმუხები ან კალმიკები და აგრეთვე რაღაც ამოსარის და მილანქარის სამეფოები, რომლებშიაც მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, სრულიად უსაფუძვლოდ, როგორც ვ. მ. ი. ლ. ე. რ. მ. ა. შენიშნა,⁵ ხედავს აბხაზეთსა და ჰეროდოტეს მელანქლენებს,⁶ და რომელნიც, ალბად, სადღაც იმავე ჩრდილო კავკასიაში ეგულებათ ავტორს, შავი ზღვის მახლობლად. სახელეები, რომელთაც პოემაში ვჰპოულობთ, ცნობილია ოსების ლეგენდებითაც: ოს-

1) ცნობის ფურცელი, 1898 წ. № 555.

2) Сборникъ матеріаловъ, вып. 22, стр. 192—193.

3) პოემაში არ მოიპოვება არცერთი ადგილი, რომელიც ჩერქეზების ქრისტიანობას ამტკიცებდეს, წინააღმდეგ ლოპატინსკის მტკიცებისა (Сборникъ, вып. 22, стр. 198).

4) არც ე. მილერია მართალი, როდესაც ამბობს, რომ ჩაჩანთა დედოფალი ქრისტიანია, ვინაიდან მარიაში ჰქვია სახელადო (ЖМНП. 1897 г. Окт. 334); პოემაში მას ეწოდება მარია-ხათუნ და არა მარია-მ-ხათუნ, როგორც ჯანაშვილს გადაუთარგმნია. ალღუზონს მამა ნებას არ აძლევს შეერთოს ჩაჩანთა მეფის ასული, ვინაიდან ის უსჯულოა.

5) ЖМНП. 1897 г. Октябрь. стр. 335.

6) Сборникъ для описанія, вып. 22, стр. 160.

ბაყათარი, სიღამონი, ცარაზონი (სარაგონი პოემისა), კურაგონი (კურტაგონი პოემისა), ქარხილი, აგუსი (აგუსტი, აღლუზონი პოემისა).¹ კესარ-ხანი ან კაირა-ნი, მეფე ჩაჩნებისა, პოემაში წოდებულია მეფედ „შამის ქვეყნისა“, ესე იგი სირიისა. ჩაჩნების გარდამოცემით მათნი მთავარნი შანი და მოსულან: ერთერთი შამის მთავარი გამოქცევია თავის მეფეს და კავკასიაში მოსულა; მისი უმცროსი შვილი დასახლებულა დღევანდელს საჩარჩროში და მისგან წარმოდგარან ჩაჩნები;² ამიტომ საფიქრებელია, რომ პოემის გორან და არის ჩაჩნების აული ვარან და.³ აეტორი იხსენიებს ოსთა ძლიერ მეფეს ბაყათარს; გარდა ცოცხალი გარდამოცემისა, ამ სახელს ის არაერთხელ გაიგონებდა ქართული მატინანდანაც. მართლაც, ბაყათარი მოხსენებულია ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლანის ისტორიაში; ვახტანგს ოსებმა მოსტაცეს და, მირანდუხტი, ის შეებრძოლა მათ და მოუკლა მათ გმირი ოს-ბაყათარი.⁴ განსაკუთრებით ცნობილია ჩვენს ნატიანეში ოსთა მთავარი ბაყათარი მეცამეტე საუკუნის გასულა და მეთოთხმეტეს დამდეგს, რომელიც იყო მონღოლების მოკავშირე ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში და რომელმაც „წარულო გამრეკელსა კახასძეს ციხე ძამისა.“⁵ უეჭველია, აეტორს, სხვათა შორის, ხსომებია ბუნდოვანად ეს ფაქტი და ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ პოემაში ვხვდებით გამრეკელსაც და მონღოლიასაც, როგორც მოკავშირეს ოსეთის მეფის აღლუზონისას.

აეტორმა იცის ქართული ისტორიული გარდამოცემა იმის შესახებ, რომ ქართველი მეფეები თავისთავს სთვლიდნენ იესიან-დავითიან-სოლომონიანად, ე.ე. იგი დავით წინასწარმეტყველის შთამომავლად; იცის მან ისიც, რომ ქართველ მეფეთა ლერბზე წარწერილი იყო: „ეფუცა უფალი დავითს ქეშმარიტებითა და არა შეინანა: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსუა საყდართა შენთა“ (ფს.

¹) Сборникъ свѣдѣній о кавказскихъ горахъ, V, стр. 58.

²) Сборникъ свѣдѣній о кавказскихъ горахъ, VI, стр. 8.

³) Ibid, стр. 13.

⁴) ეს ამბავი უნდა იყოს გადმომცემლი ნუხლის ეკლესიის კედელზე წარწერილს ლევენ-დანი, სადაც ვკითხვლობთ:

ქართველ ბატონს და მოსტაცე, არ დავავდე ჩემი გვარი,

მამწედა ფიციო, მილაღატა, მან დაიდუა ჩემი ბრალი:

ბაყათარ წყალსა მიეცა, აღიკოცა ოსთა ჯარი,

(თ უორდანიი, ქონიკები II, 178-179)

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს პოემასა და ნუხლის ეკლესიის ლევენდის შორის რაღაც იდენტუა კავშირია, საფიქრებელია-ქოინილოგიურიც; ეს კავშირი. სხვათა შორის, გამოიხატება შემდეგში: წარწერის ლევენდა უკავშირებს ერთმანეთს ოს-ბაყათარიი და დავით სოსლანის სახელს:

ჩვენ ვიყავით ცხრანი ძანი...

ოს-ბაყათარ, დავით სოსლან.

პოემაშიც ეს სახლები დაკავშირებულია ერთმანეთთან: ოსთა მეფე ბაყათარი რომ ძლიერი და სწოლპოვარი იყო, ეს მისმა პირმშო შვილმა დასწერაო, ხოლო დავითი სოსლანმა „აუღუნა სხვა მთქველიო“, (ესე იგი-მეორე სწორპოვარი ოსის, დავით სოსლანის, დიდებამ წააქეზა სხვა მწერალი, რომ მისი დიდება ეთქვაო; აეტორი, ალბად, გულისხმობს ერთერთ ლიტერატურულ ნაწარმოებს, სადაც დავით სოსლანზე ლაპარაკი, შეიძლება თამარის ისტორიას, ან თამარისას.

⁵) ქართლის ცხოვრება, I, 433-444.

131, 11): იცის მან აგრეთვე, რომ ერთერთი შტო ქართველ იესიან-დავითიან-სოლომონიან მეფეებისა მეთერთმეტე საუკუნეში დამკვიდრდა ოსეთში, ამიტომ ავტორი თავის პოემის გმირს, მეფე ალლუზონს, სთვლის „იესოვან-დავითიან გვართავან სოლომონ ბრძინისა“ და „მოწყვეტილს შტოდ ხისაგან დავით მეფისა.“ რომელსაც ღმერთმა აღუთქვა:

შენგნით, დავით, გამოვიდნენ მეფენი დიდად ქებულნი,
საყდართა ზედა სამსჯავროას შეუძრველად ქადებულნი,
ჭუჭუკოს და არ შეინანოს ღმერთმან იგი თვისი ქმნულნი,
თესლი მისი განამრავლოს, ვით ჯვიშანი ზღვის ურწყულნი.

ავტორს გაგონილი აქვს მატიანეს ცნობა, რომ დიდებული დავით სოსლანი იყო შთამომავალი ოსთა ბაგრატიონებისა. ამიტომ მას საჭიროდ დაუნახავს, სრულიად უმიზეზოდ და უადგილოდ, მოეხსენებია ისიც სწორუპოვარ ბაყათარის გვერდით და ეთქვა, რომ მან, სოსლანმა, „აყდუნა სხვანი მთქმელნი“, ესე იგი-მისმა სახელმა აიძულა ვილაც „მთქმელი“ ან პოეტი „ეთქვა“ ან აღაწერა მისი საქმენიო. ავტორმა იცის მატიანეს თქმულება იშის შესახებ, რომ სანი ოსის სეფეწული სიღამონიანთ გვარიდან. როსტომი, ბიბილა და ცილოსანი, თარსმან მეფის დროს, მეექვსე საუკუნეში, გარდმოსახლდნენ საქართველოში, ამიტომ მას პოემაში გამოუყვანია ერთერთ მოქმედ პირად ალლუზონის ძმა სიღამონი და ვეჟილი ბიბორ, რომელშიაც უნდა გვსმოდეს სახელი ბიბილა.

ამნაირად, ჩრდილოკავკასიელთა ზნეჩვეულებანი და მათი შორეული წარსულის ისტორიულ-ლეგენდარული გარდმოკვანნი, შეზავებულნი ქართული მატეანეს ბუნდოვან ცნობებსან, აი ის ქარგი, რომელზედაც ჩვენს ავტორს გამოუხატავს თავისი პოემა.

როდის უნდა იყოს დაწერილი ეს პოემა? ლ. ლოპატინსკის მოსახზრებით პოემა იხსენიებს მონღოლებს. მაშასადამე-ის დაწერილი ვერ იქნება უადრეს 1400 წლისა, როდესაც ოსეთი დაარბია ტამერლანმა: მეორე მხრით, პოემამ არ იცის თურქების არსებობა ბოსფორზე, მაშასადამე, ის ვერ დაიწერებოდა უგვიანეს 1453 წლისა, როდესაც თურქებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, მით უმეტეს, რომ პოემაში ჩერქეზები ჯერ კიდევ ქრისტიანები არიან (რაც მეთექვსმეტე საუკუნეს არ გადმოსცილდება) და არსად ხსენება არაა იქ რუსებისა, რომელნიც, როგორც ცნობილია, თურგის მიდამოებში მეთექვსმეტე საუკუნიდან დამყარდნენ;¹ ამ აზრს მხარს უჭერს ა. ხახანაშვილიც.² მაგრამ, ჯერ ერთი, პოემაში ერთი სიტყვაც არაა ჩერქეზების ქრისტიანობის დამსახებუთებელი, თუ, რასაკვირველია, ასეთ საბუთად არ ჩავთვლით იმას, რომ ალლუზონი, ქრისტიანი, გამეფდა იქ. მეორე, რაც შეეხება თურქებს ბოსფორზე, პოეტი არასამბობს მათ შესახებ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მან ისინი არ იცის. დასასრულ. მართალია, რუსები პირდაპირ დასახელებულნი არ არიან პოემაში, ყოველ შემთხვევაში გამოცემულს ნაწილში (დაკარგულს გაგრძელებაში, როგორც აღვნიშნეთ, დაწერილებით ყოფილა ლაპარაკი ალლუზონის მათთან ბრძოლის შე-

1) Сбурникъ матеріаловъ, вып. 22, стр. 197—198.

2) Очерки III, 58—59.

სახებ), მაგრამ, როგორც ქვემოთ დაეინახავთ, პოემაში გვხვდება ზოგი რამ სპეციფიური რუსული. ასე რომ ლ. ლოპატინსკის მიერ წამოყენებული terminus post non მისაღები ვერაა. პირიქით, პოემაში მოხსენებულნი არიან, როგორც ვიცი, ნონ-კალმუზები; კალმუზები არიან კალპიკები. ხოლო ნონი არის დამახინჯებული ნოინი, სახელწოდება თემის მამასახლისებისა კალმიკთა შორის. ამისდა მიხედვით, პოემა მეჩვიდმეტე საუკუნის გასულის ადრე ვერ დაიწერებოდა, ვინაიდან, როგორც ვს. მილერი შენიშნავს, კალმიკები კავკასიაში ცნობილი გახდნენ მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოდამ.¹ ეს კიდევ ცოტა: პოემაში გვაქვს ისეთი რუსუციზმები, რომელნიც ქართულს ტექსტში, ყოველ შემთხვევაში, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე შეუძლებელია, ასეთებია: კავკაზი, ხელმწიფა, ჩეჩენი (და არა ჩაჩანი); „გამართვა ამასოზზე“ არის ნამდვილი რუსიციზმი-походъ на Амосарн (და არა-вступление въ Амосарн, როგორც მ. ჯანაშვილი სთარგმნის), ასეთივე რუსიციზმი გვაქვს წინადადებებში: „ამოსარის სამთავროს თავის დაკერა აღლუზონისა.“ რაც თარგმანია რუსულის Амосарское княжество челою бьетъ Алгузону და არა Алгузонъ простился съ Амосарскимъ княжеством. როგორც მ. ჯანაშვილი სთარგმნის, ვინაიდან ამ თავში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ დაემორჩილა ამოსარის სამთავრო აღლუზონს, და არა მის წასელაზე აქედან, წასლეა შემდეგ თავშია მოთხრობილი. რუსუციზმია „ხაზინის ფული“ და აგრეთვე მიცვალებულის ცხედართან „შეიდტოტიან ოქროს (ყვითელ) სასანთლეების დადგმა,“ ეს ჩვეულება მხოლოდ რუსული ეკლესიის გავლენით შემოვიდა ჩვენში. თუ ყურადღებას მივაქცევთ პოემის ენას, აქ ისეთს ვულგარულ ფორმებს და ფრაზებს ვხვდებით, რაც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგშიაც ხშირი არაა; ასეთია, მაგალითად: ამტელი, თითქმის, კავკავი, გობი, ბაწარი, ქრაქი, კიდეც, წავა, ცხენს შეახტა, მგონი მაგასაც, გაფაციცდა, გარს შემოიჟანტა, ერთი ღერი, როცა რომ. თავი გაუჩქქა, რაზე შეგებით, გათახსირება, მთლათ, ეზარებოდა, თუ ჩავცივიდით წაგებაში. და სხვ. ამნაირად, სტილის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ პოემა დაწერილია მეთვრამეტე საუკუნის გასულს თუ მეცხრამეტეს პირველ მეოთხედში.

ვინ არის ავტორი პოემისა? პოეტი უეჭველად ქრისტიანია, მისი პოემა იწყება სამების ქება-დიდებათ, ის გამსჭვალულია ქრისტიანობის უპირატესობის შეგნებით, ჯვარის პატივისცემით; ის კარგი მცოდნეა საღმრთო წერილისა, კერძოდ დავითნისა და მოსეს წიგნებისა, სადაც ათი მცნებაა გადმოცემული. ავტორი მცოდნეა რუსული ენისა და რუსული ზნეჩვეულებისა, რასაც ამჟღავნებს პოემის რუსიციზმები, რომელთა შესახებ უკვე გეჰონდა ლაპარაკი. ამავე დროს ის მცოდნეა ჩრდილოკავკასიელთა ურთიერთშორის დამოკიდებულებისა, მათი ადათებისა და ზნეჩვეულებისა, ლეგენდებისა და გარდამოცემებისა, უფრო კი ოსების. მეორე მხრით, ის იცნობს, ყოველშემთხვევაში ბუნდოვანად, ქართველთა ისტორიულ წარსულს; მას ამავე დროს უკითხავს ძველი

¹) ЖМНПросв. 1897 г. Октябрь, стр. 336. კალმუზი ქართულს ლიტერატურაში გვხვდება პირველად სეხნია ჩხეიძის ისტორიაში, ქართლის ცხოვრ. ტ. 333, ხოლო ნოინი მეთვრამეტე საუკუნის სამოციან წლებში; ამდროის პოეტი დიმიტრი სააკაძე აქოსს: „აწ მთარულად იწება, ვიცი, კალმუზის ნოინი“ 1790-იანთ. № 305, გვ. 1251.

ქართული სადევ-გამირაო და რომანტიული ნაწარმოებები, კერძოდ—ამირანდარე-ჯანიანი და ვეფხისტყაოსანი, საიდანაც გადმოუტანია თავის თხზულებაში ზოგერთი სტილისტური და ლექსიკური არქაიზმები. თხზულებაში გატარებულია რაური ტენდენცია, ის დაწერილია ოსთა განსაღიღებლად. ვ. მილერი და ა. ხახანაშვილი ფიქრობენ, რომ პოეტი არის დიდგვარიანი მწიგნობარი, რომელსაც თავისი გენეალოგია ოსთა ბაგრატიდებიდან გამოჰქავეს;¹ მათ ის ვიზინათ ოსთა ნუჟის ბაყათარის პირმშო ძედ, ვინაიდან პოემაში ნათქვამია: „ეს სწერა პირმშო მისმა ძემ,“ ესე იგი, ბაყათარის პირმშო ძემ დასწერა ეს პოემაო. მაგრამ ფრაზაში „ეს სწერა“ მთელი პოემა კი არ იგულისხმება, არამედ შემდეგი სიტყვები მისი მხოლოდ:

სახელს უღებდენ ბაყათარად, ვერ ვპოვეთ მსგავსის მნახველნი,
მშვენებით, ძალით, მხნეობით, ყოვლით აკვირა მნახველნი.

მაშასადამე, ბაყათარის პირმშო ძეს მიეწერება მოკლე ცნობა მისი მამის დიდებულობის და სწორუპოვარობის შესახებ და არა პოემა.² ავტორი ამ უკანასკნელისა არის უეჭველად ოსი შთამომავლობით, აღზრდილი ქართულს კულტურულ-ლიტერატურულს სკეროში და ამავე დროს რუსულის კარგად მცოდნე. ეს რომ ასეთა, ჩანს შემდეგი მისი სიტყვებიდან:

ხელეპყო წიგნებს აღწერად: ვის გვარ ვართ შთამომავალი,
ვინ ვისგან იწვდის ყოფასა, ვის გვართა გამომავალი,
ვინ ვის გვართავან ძეობდეს, ვინ ვისგან არს მომავალი,
ვინ ვითარი გასწია მხნეობა, ხმელეთს მავალი.

აღვწერო ყველა გონივრად, მართალ, არარა შეეშალო,
რაც მომხდარა ჩვენში კარგი ვიწყო და არ დაეშალო,
თუ როგორის ცხოვრებითა ჩვენმან მყოფობამან განვლო.

ვინ იყო მეთვრამეტე საუკუნის გასულს, უფროსწორად-მეცხრამეტეს პირველს მეოთხედში, ისეთი ოსი, ოსური ეროვნული იდეით გამსჭვალული, აღზრდილი ქართულს კულტურულ-ლიტერატურულ წრეებში იმდენად, რომ ქართულად პოემასაც კი სწერს, და ამავე დროს რუსულის კარგად მცოდნეც? ჩვენ გვგონია, რომ ასეთი პირი იყო „ოსთაგანი აზნაური იოანე ივალღუზის ძე.“ რომელიც აღზრდილი იყო ერეკლესა და გიორგი მეთევების კარზე, ქართულს მწიგნობრულს ტრადიციებში. „ქართულისა საღმრთოჲსა წერილითა და ღრამატიკოსობითა და ფილოსოფიითა.“ მცოდნე რუსული ენისა და რუსის „ღუბერკი სეკრეტარი,“ რომელიც იმდენად იყო გამსჭვალული ოსური ეროვნული იდეითა და ტენდენციით, რომ მან 1820-1825 წლებში ოსებს შეუქმნა ანბანი და უთარგმნა ქართულიდან ოსურად ლოცვანი, სახარება, კურხევანი და ლი-

¹) ЖМНП. 1807 г. Октябрь. стр. 336; А. Х а х а н о в ъ, Очерки. III, 58.

²) ერთს ხელნაწერში სწერია: „ეს სწერა პირმშო მისმა ძემ სოსლან აცუნდა (აცუფა-ნა-ს მაგიერ) სხვა მთქმელი“; შიძლება იფიქროს აცუმა. რომ ბაყათარის პირმშო ძედ ავტორი გულისხმობს სოსლანს დავით; მას ავტორი სოვლის ისეთ მწერლად, რომელმაც „აცუნდა“, ესე იგი, დაწრდილა, ცუდი გახადა, სხვა მთქმელი ან ავტორნი. როგორცა და ვინც არ უნდა ყოფილიყო დავით სოსლანი. ის ალღუზიანის მთქმელად ვერ ჩაითვლება.

ტურლიის წესი.¹ ამ იოანე იალღუზისძეს შეეძლო ასეთი პოემა დაეწერა. ვინაიდან ცნობილია, რომ ის ქართულად ორიგინალურ ლექსებსა სწერდა და სხვის ლექსების გადაწერითაც ერთობოდა ხოლმე. როგორც დავინახეთ, პოეტს მიზნადა ჰქონია დასახული აეწერა: „ვის გვარ ვართ შთამომავალი, ვინ ვისგან იწვდის ყოფასა, ვის გვართა გამომავალი, ვინ ვის გვართაგან ძეობდეს. ვინ ვისგან არს მომავალი,“ ესე იგი-სხვათა შორის მას განუზრახავს საკუთარი გენეალოგიის წარმოდგენაც და ამ მიზნით აღუწერია საგმირო საქმენი დიდებულის ოსთა მეფის ალღუზისა, უეჭველია, იმ მიზნით, რომ ამ ალღუზისაგან გამოეყვანა თავისი გვარი იალღუზისძე და თავისი თავი აღეარებია ალღუზონის შთამომავლად.

6. დილარიანი

(პეტრე ლარაძისა)

ჩვენ უკვე გვეჩინდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მეთორმეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სარგის თმოგველს დაუწერია დილარიანი, რომელიც ჩვენამდე არ შენახულა არც მთლიანად, არც ექსცეპტებით: (გვ. 34-36); ამირან-დარეჯანიანის მიმოხილვისას გაეპოვეთ ისიც, რომ ამ სადღე-გმირო რომანიის ზოგიერთ ხელნაწერებში შენახული ამბავი 1) ჯიმშერ, ხაზართა მეფის დილარ-ს შვილისა, და 2) მისი შვილის, ჯიმშერ-არმოქლას, და მზექაბუჯისა, რომელთაც ზოგიერთები ძველი დილარიანის ნაშთადა სთვლიან,² არის ნაწილი არა დილარიანისა, არამედ ამირან-დარეჯანიანისა. არსებობს გარდამოცემა, ვითომც სარგის თმოგველის დილარიანის ერთადერთი ცალი ინახებოდა სამეფო წიგნთსაცავში მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე, მაგრამ, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას და ტფალისის დაწვა-აოხრებისას, ის, სხვა წიგნებთან ერთად, ცეცხლს შთაუნთქამს; ამიტომ, რამდენიმე ხნის შემდეგ, იმისი აღდგენა დაუვალეზებით რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილებს ვინმე პეტრე ლარაძისათვის, რომელსაც ეს დავალეზა თითქოს მართლაც შეუსრულენია, როგორც ესა ჩანს მისი სახელით ცნობილი დილარიანიდან.

პეტრე ლარაძე მეტად საყურადღებო პიროვნებაა იმ გარდამავალ ხანაში, როდესაც საქართველომ ლიკვიდაცია უყო თავისს პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებას და, რუსეთის საშუალებით, ეკროპისაკენ იპრუნა პარი. ლარაძენი იყენენ მეგრელნი, გადმოსულნი ძველად ქართლში და დასახლებულნი სომხით-საბარათიანოში, სადაც მათ გაუშენებიათ ორი სოფელი: დიდი ეგრისი და პატარა ეგრისი. პეტრეს მამა გიორგი იყო სარდალი ქაიხოსრო ორბელიანისა და გამგე მისი მამულისა. როდესაც ბატონიშვილმა აბდულბეგმა სომხით-საბარათიანო

¹ E. K. Краткій очерк истории грузинской церкви и Экзархата за XIX столетіе, стр. 101—102, Тифлиси, 1901 г.

² ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია მე-18 საუკუნემდე, ტფილისი 1919 წ. გვ. 415.

³ ბ. ჰ. ბიკინაძე, დილარიანი, ქმნილი სარგის თმოგველის მიერ; მისი ეკე-ამირან-დარეჯანიანი მოსე ონელისა; ა. ხახანაშვილი, Сербии II, стр. 235—236, მისი ეკე-ქართული სიტყვიერების ისტორია მე-18 საუკუნემდე, ტფილისი 1919 წ., გვ. 212—213.

წომიხრო და თეიმურაზ მეორეს ბრძოლა დაუწყო, გიორგიმ დიდი ერთგულება გამოიჩინა მეფისა: 84 კაცით ის თავდადებით იკავდა ქვეშის ციხეს და აბდულ-ბეგს არ ანებებდა მას. თეიმურაზმა მას სამსახური დაუფასა, გადმოიყვანა ტფილისში და თავის სასახლეში დააყენა. როდესაც მეფემ ტფილისიდან კათოლიკეთა პატრები გააძევა და მათ ხარების ეკლესია ჩამოართვა, ეს ეკლესია მან გადასცა გიორგის, რომელმაც, თანახმად მის გვარში განპტიკებული ჩვეულებისა, მღვდელობა მიიღო. გიორგის ჰყავდა ოთხი შვილი: დავითი, იოანე, იოსები და პეტრე, რომელთაც გიორგიმ ანდერძად დაუდო განსაკუთრებით მეფეთა სამსახური. ყველაზე მეტად დაწინაურებულა და მეფე-ბატონიშვილთა ყურადღება დაუმსახურებია პეტრეს. ალბად, იმიტომ, რომ ის იყო მეტად ნიჭიერი და განათლებული კაცი. ზედმიწევნით მკოდნე ჩვენი ძველი, სააულიერო და საერო, ლიტერატურისა, რასაც ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ პეტრე ერეკლესა და გიორგის კარზე წიკნსაკაიის გამგე ყოფილა. განსაკუთრებით დაკავშირებული იყო პეტრე თეიმურაზ ბატონიშვილთან, რომელიც, როგორც ცნობილია, საქართველო რომ რუსეთს შეუერთდა, როგორც მოწინააღმდეგე ამ აქტიისა. სპარსეთში გარდაიხვეწა. აღიძრა საკითხი თეიმურაზის რუსეთთან შერიგების შესახებ, ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა პეტრემ, როგორც გვამცნობს მისი „ჩანბრუსული და შაირნი, მწირობასა შინა თქმულნი, ოდეს მახურა მეფის ძეს თეიმურაზს და ძლიერის ხელოვნებით გამოიყვანა სპარსეთით“ (წერ.-კიხ.ხელნ. № 155). პეტრე წასულა სპარსეთში, დიდის ვაივავლახით მოუძებნია თეიმურაზი, მაგრამ არც ისე ადვილად დაუნებებიათ ის მისთვის, ასე რომ მას შეჯახებაც კი მოსკლია სპარსელებთან:

განვაკვირვე სპარსთა გული, თვთ მემკვიდრეს უქმენ ხლათი,
გამოვაჰე შუა რაზმი, სთქვეს რა დილის საღავათი.

სპარსეთიდან, როგორც იყო, დაუბწევიათ თავი, მაგრამ ართაჩაიზე მათ დასხმია რაზმი სპარსელებისგე, რომელიც პეტრეს მამაციურად დაუმარცხებია და თეიმურაზი ტფილისში მოუყვანია. აქ ბოროტენიან ადამიანებს მათ შორის უთანხმოება ჩამოუფდიათ, თეიმურაზს მეტად აუწუნებია პეტრე, ისე, რომ მოლაღატედაც კი სთვლიდა მას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიზეზი ამისა იყო თეიმურაზის იმედების გაცრუება: ის ისე ვერ შეურიგდა რუსებს, როგორც ფიქრობდა და სურდა, პირიქით, ბოლოს იძულებული შეიქნა საქართველო მიეტოვებია და რუსეთს გადასახლებულიყო. ალბად მთავარ მიზეზად სპარსეთიდან მობრუნებისა და მისი ბედის ასე დატრიალებისა თეიმურაზი პეტრესა სთვლიდა; ამიტომ შეიძულა ის, მოლაღატედ რაცხდა და, როდესაც რუსეთისაკენ უკრეს თავი, პეტრეც თან გაიყოლია. მისი სურვილის წინააღმდეგ. აი როგორ აგვიწერს პეტრე ამ ამბავს და პეტროგრაღში თავის ყოფნას:

პეტრებურღს უცხოეთში მყო ძალათ წანაყოლები,
რად სახმარიყო საჩემოდ მუნებრი მებელ—სტოლები,
გზაზედ ვევედრე დათხოვნას, მივგზავნე მისნი ტოლები,
არა ინება, მარბინა ჩერქეზ—ქირმანის ჩოლები.

სატახტოს ქალაქს დამავდო ყოელითურთ შეუწყნარებად,
უცხო, უენო, უთვისო, მყო სახლით განავარებად,
დავეგმე საწუთოს ბრუნვანი, არ მქონდა სანეტარებად,
ცხრას წელს, არ ვიცი, მუნ იყო ანუ თუ მინდვრად ნარებად.¹

მეტი ღონე არ იყო, პეტრი ბედს უნდა დამორჩილებოდა: ბატონიშვილებისა და სხვა ემიგრანტების წრეში ის ლიტერატურულ შრომას ჰკიდებს ხელს: პეტროგრადში ის შეიქნა თითქმის კარის ბგოსანი ბატონიშვილებისა, რომელნიც მას ხშირად უკვეთავდენ ხოლმე ლექსების წერას და ამათუიმ ლიტერატურულ საქმეს. ერუდიციასთან და ნაკითხაობასთან პეტრე, რომელიც გარდაიცვალა 1837 წლის 24 თებერვალს, პოეტურ ნიქსაყ არ იყო მოკლებული, ამით აინსნება ნაყოფიერობა მისი ლიტერატურული შემოქმედებისა. „მწირობა-სა შინა მყოფს“ და „ყარობს“ პეტრეს, როგორც ის თავისთავს უწოდებს ხოლმე, უწერია მრავალი ანბანთქებანი, შაირები, ეპიტაფიები, იამბიკოსნი ბატონიშვილებისა და დღესასწაულების სადიდებლად, საისტორიო და ადევ-გმირო, მოთხრობები.²

თავისი შრომები მას სამ წიგნად ან ტომად შეუგროვებია, როგორც თვითონ ამბობს:

ერას წიგნად დილარიანი შეეთხე ყე ტკბილ უბნობითა,
ერთ წიგნად სახემგოსანი შაირითა ვყავ მკობითა,
ერთად თვით ესე შევმზადე სხვადასხვა ფერადობითა.

მაშასადამე, პირველს ტომში ყოფილა მოქცეული დილარიანი, მეორე, ში სახემგოსანი და მესამეში ეგრეთწოდებული მრავალფერყვაეილოვანი. მათ შესახებ პეტრე ამბობს:

კვლავ წიგნი სახემგოსანი შაირი ცხრამეტ ასობდა,
ვინცა იხილა მგუთიურთ აქებდა, ვერა ნასობდა:
დილარიანი ჰამბაუად, შიგ რთულნი ლექსნი ხარობდა,
ესგვარნი ჩემგან შეთხსულნი შაირნი ორ ათასობდა.

სხვა მომღერალთა სათქმელნი, ტკბილადრე მოსავონები,
სევდისა მოსალხინები ლექსნი, მსმენთ მოსაწონები,
მრავალი შეეთხე, მეჩანგეთ შეტრფობით შესაკონები,
ვინცა ისმენდა, იშვებდა, არ იყენენ დანალონები.

კვლავ საღმრთოდ თქმულნი ლექსნი და სხვადასხვა უცხო გვარები,
სულისა კერძოდ მკურეტნი, კეთილგზის შემაყვარები,
იამბიკონი კიდურზედ მარცვლებით ნამობარები,
ნუ თუ არ მებშოს ცოდვითა ზეცისა სასძლო კარები?

ორს უკანასკნელს ტაეპში აღნიშნული შაირი და ლექსები შეადგენს შინაარსს მრავალფერყვაეილოვისას, რომლის შესახებ პეტრე ამბობს:

¹) წერა-კითხ. ხელნაწ. № 155, გვ. 244.

²) წერა-კითხ. ხელნ. № 155, გვ. 1512 და სიე.

ამა წიგნსა სძეს სახელად მრავალფერ ყვაელოვანი,
 მით რომე სხენან სხვადასხვა ჰამბავნი სახელოვანი,
 ვით მტილი ყვავილ მრავალი, სატრფობი, არ ეკლოვანი,
 მოალხენს მჭურეტთა გულეზსა, ყმანი იყენენ თუ მზცოვანი.¹

ამნიარად, პეტრეს სულ დაუწერია 20,000-მდე შაირი, ამათჳან 1900 ყო-
 დილა მარტო სახემგოსანში; ყველაფერი ეს მას დაუწერია რუსეთში,
 1810—1837 წლებში, საქართველოში ნაწერი ლექსები და თხზულებები ჯერ-
 ჯერობით არა ჩანს.

დაკარგული დილარიანის აღდგენა, პეტრეს სიტყვით, განზრახული
 ყყოფილა ჯერ კიდევ ერეკლე მეფის დროს; ერეკლეს სწადდაო, ანბობს ის, „რა-
 შა ესე ამბავი ექმნათ წიგნად შენართაენი მისგან დაზრდილთ მოყმეთა“, მაგ-
 რამ „მაშინ უტალეზა, საქმის გარემოება არ მადღეედა ჟამსო“, ის. რაც საქარ-
 თველოში ვერ მოუხერხებია პეტრეს, რუსეთში შეუსრულებია: ნას დაუწერია.
 ბატონიშვილთა დავალებით, დილარიანის სახელით, უზარმაზარი თხზულ-
 ბა.² ამ მუშაობის დროს ადგილი ჰქონია ერთს მოულოდნელს შეგნთხევეას, რო-
 წელსაც ავტორი შენდგეს ლექსში გადმოგვეცემს:

ვიყავ რა ნწირად პეტერბურლს, სეისაგან გამწარებული,
 სამწუხაროთა აზრთაგან შეშვოთვით დაკვეთებული,
 ბოროტი ვინმე შეიქნნა ჩემზე ბრკყალ გამგებული,
 კირსა ვხადოდი უფალსა, მარად ცრემლმომხშირებული;

უმოზის დახსნად ხელს ვიპყარ კალამი სევდის მალამი,
 სადა ვჯდო, იგი ადგილი თვალთა ცრემლითა ვალამი,
 დილარიანს ამბის გამოთქმად აღვაბი თეთრი ალამი,
 აზრისა მოსაგონებლად გონებას მივეც სალამი.

შევაწყე, შევანაწყერე, დავწერე, ვიპყარ შავადა,
 მეწადა თეთრად შემემყო, მხილველთ არ საზრახავადა.
 ეცნა მეფის ძეს იენანს, მობრძანდა სანახავადა,
 ის მან მიმტაცა, უფრორე შემექნა საზრუნავადა.

ესეცა მესმა, მას თვისი სახელი შთაუწერია,
 ვწუხეარ, სამისოდ სიცრუე რა მისი შესაფერია?
 ამას ვინა იქმს, მიბრძანეთ, თუ არ გონება შტერია,
 ცულდიდებობა, არ უწყის, რომე სულისა მტერია?

აწ ესე დილარიანი შეემზადე ტურფავგარადა,
 სხვადასხვა გვარის ლექსებით შერთეა არ დამეზარადა,

1) წერა-კითხ. ხელნ. №17 155. 387.

2) გამოცემულია ტფილისში პეტრეს ძმის, ივანეს, ასულის, —მართა შალიკაშვილის, მიერ
 ხ ა ქ. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით.

მზილველთ საამოდ, საშეგბად და გულთა გასახარადა,
ვინცა ისმინოს, უცილოდ შეეჭმნას შესაყვარადა.

გიორგის მეფის ძემან, იოანემ სახელითა,
პირველშრომილი, არ სრული, მტაცა გონებით ხელითა,
კუდად იქადის, ამოდ, მალლითა ხმითა მძახელი,
ამოდ მას არლა მიეხედე, არცალა ხელნი ვახელი.

ესე სხვა ახლა შეგზხადე, ვით მტელი ყვაელიანი,
იგი მას არ ჰგავს, ვით ვარდსა გოგზო თავსხილეკლიანი;
ესე არს დიდად ნაღვაწი, ჩემან კმნილ დილარიანი,
ხელმწიფობითა მალალი, ლომგული, მკლავე-ეკლიანი.

აქედან ჩანს, რომ პეტრეს დილარიანის წერა დაუწყია პეტერბურსი; როდესაც ის მას შავად დაუწერია და გადათეთრებას აპირებდა, ამ შრომის სანახავად მასთან მისულა იოანე ბატონიშვილი, გამოუთხოვია მისგან გადასათვალეყრებლად და გადასაკითხავად, მაგრამ მკრე უკან აღარ დაუბრუნებია, მიუცვისებია და თავის სახელი წარუწერია ზედ. ეს იოანესაგან გასაკვირვი არაა, ის დაჩვეული იყო ამისთანობასა, მაგალითად, ანაირადვე მიითვისა მან იონა სელაშვილის კალმასობაც. პეტრე ლარაძეს სხვა არა დარჩენოდა რა, რომ მიენებებია თავი და ხელახლა, მეორედ, დაეწერა დილარიანი, რომელიც პირველ რედაქციასთან შედარებით გაცილებით უკეთესი გამოდგა. ასე რომ დღესდღეობით ცნობილი და გამოკბული დილარიანი არის მეორე შრომა პეტრესი, პირველი კი იოანე ბატონიშვილს დარჩენია. შეიძლება ამათ აიხსენებოდეს ის განსხვავება, რასაც ავლილი აქვს გულისა შვილის გამოკმასა და დ. ჩუბინაშვილის მიერ დაბეჭდილს ექსკერპტებს შორის (ქრისტომატიკაში): 'ნესაძლებელია ჩუბინაშვილს ხელთა ჰქონდა პირველი რედაქცია პეტრე ლარაძის შრომისა, იოანესაგან მითვისებული.'

შინაარსი პეტრე ლარაძის დილარიანისა მოკლედ ასეთია:

კარი I: აბაშეთის ქუეყანაში იყო დიდებული მეფე დილარ-მალეველი. მისანართლემ, მოწყალემ, რომელიც არავის არ ავიწროებდა; სატახტო ქალაქი მისი იყო მარგარიტი, ყოვლითა სიკეთითა შეგველი. ერთხელ ნადირობისას მემემ ტყეში ნახა ვილაც უცხო კაბუკი, რომელსაც ხელში ღანაში ქალის სურათი ეჭირა და მდულარე სრებლსა ღვრიდა; დილარმა წამოიყვანა სახლში ეს კაბუკი, გამოჰკითხა ვინაობა მისი და აღმოჩნდა, რომ ის იყო ძე მყინვართა მეფის ფინეზისა, სახელად ნუმრეჯან.

კარი II: ამბავი ნუმრეჯანისა. ფინეზმა მისი აღზრდა მიანდო ერგულსა და ზრძენ ვეზირს ეგროსს, მასთან ერთად იზრდებოდა უკანასკნელის შვილი ლარიც. ერთხელ ნადირობისას ნუმრეჯანთან მოვიდა ერთი კაცი, რომელმაც მას გარდასცა წერილი და სურათი მშვენიერი ასულისა, სურათმა მას გონება დაუბნელა. ყველაფერი ეს გამოგზავნილი იყო ბრიტანიის მეფის ასულის გულნახისაგან, რომელსაც მრავალი დიდებული მეფისძე-კაბუკი თხოულობდა და რომელსაც გარდა ნუმრეჯანისა, რომლის ქება და ქველობა მას სმენოდა, არა-

ვინ ქნაღ არ უნდოდა. ნუშრევანი გაემგზავრა იქ 30000 კაცით და ვეზირის შვილით ლარითურთ, მაგრამ ქალის მამამ მოსთხოვა მას შეებოდა წინასწარ ჯერ მის სპასლარს რაბიშინს, ნერე გალიის მეუფეს ბურბონს, პოლონთა მეფის ძეს გოპარს, ისპანთა მეფის ძეს კარლოსს, ამერიკის მეფის ძეს ფორტუნა, ავსტრიის მეფის ძეს იტალის: ესენი მოსულიყვნენ აქ გულნაზის ხელის საძებნელად. ნუშრევანმა ყველა ესენი დაამარცხა, ამ გამარჯვებამ, რომლის დროს ის დიდსულოვნობას იჩენს და დაქრილს მეფის ძეს მკურნალს დააყენებს, ისინი დაუშვებობრა მას და შეძლება მისცა რამდენჯერმე ენახა კედეც, აღმზრდელის როადანის საშუალებით, გულნაზი, რომელთან შეხვედრისას მას გრძობა ეკარგება. გადასწყვიტეს დაქორწინებაც, მაგრამ ზღვათა მეუფემ, მამამ ქალისამ, რომელსაც არ უნდოდა შვილი ნუშრევანისთვის მიეცა, გაგზავნა ის ციკლოპთა ქალაქში, რომლის აღება შეუძლებელი იყო. ნუშრევანი და მისი ძმად ნათეცი მეგობრები წავიდნენ მის გამოსახსნელად მაგრამ ამაოდ, ეერას გახდნენ, ასე რომ იძულებული შეიქნენ უკან დაბრუნებულიყვნენ, ნუშრევანი მოვიდა მამის სახლში, სევდისაგნ კედებოდა, ადამიანს აღარა ჰკაედა და სულ ტყე-უდაბნოდ დადიოდა განმარტოებული.

კარი 3: როდესაც მამამ უამბო შეიღს. სევდის გასაქარეებლად, თავისი ახალგაზრდობისა და საცოლოს ძებნის ამბავი, გააცნო მას საუბრის დროს აბაშეთის მეფის დილარის ღირსებანი და უთხრა: შენ ის დაგებმარება გასაქარეშიო. ნუშრევანი წამოვიდა აბაშეთს და იქ, ტყეში, ნადირობისას მას შეხვდა დილარი. დილარმა, რომ გაიგო ნუშრევანის ეინაობა და მღკომარეობა, დაამზადა ციკლოპების საწინააღმდეგო იარაღი და 1000 ფალავანით გაემგზავრა, ნუშრევანთან ერთად, ციკლოპთა ქალაქის ასაღებად. გულნაზიმ მოახერხა წერილის გამოგზავნა და თავისი აუტანელი მღკომარეობის შეტყობინება; დილარმა და ნუშრევანმა შეუთვალეს: ნუ გეშინია, მალე დაგიხსნითო! მართლაც, მათ შეამტერიეს ქალაქის კედლები და ხელჩართულ ბრძოლაში სულერთიან გასწყვიტეს ციკლოპები, მეუე მიადგენ იმ ციხეს, სადაც გულნაზი ეგულეებოდათ, შემუსრეს ნისი კარები და მონახეს ის. აქ აღვილი აქეს მათი შეხვედრის სცენას, რომელიც ამოღებულია ვეფხისტყაოსნიდან. ზღვათა მეუე, მამა გულნაზისა, აქაც შემოიქრა ჯარით, რათა ხელი შეეშალა მათი დაქორწინებისათვის, მაგრამ ის დაატყვევეს, ტახტიდან ჩამოაგდეს და მის მაგიერ გამეფდა ბრიტანეთში ნუშრევანი. დილარმა გადახადა აქ დიდი ქორწილი, გულნაზს საჩუქრად მიართვა რიფე, შეჭვიცა დაძმობა და მეგობრობა; ნუშრევანი და გულნაზი სრულს ბედნიერებას განიცდიან.

კარი 4: რამდენიმე ხნის შემდეგ დილარი, ნუშრევანი და გულნაზი ზღვათა-სამყაროდან გაემგზავრებიან მყინვართა სამეფოში, მოხუცებულს ფინეზთან, რათა გაახარონ ის. დიდი ზეიმი და სიხარულია აქ, დიდი შეხვედრა და მიღება. ნუშრევანსა და გულნაზს ეყოლათ შვილები, ისინი ფინეზმა დალოცა და ბედნიერება უსურვა მათ, როდამს სამსახურისათვის უბოძეს ერთი ქალაქი, ხოლო შიკრიკის მორეს საპასი სოველი, ეგროსს, აღმზრდელს, სამი ქალაქი და 1200 სოველი.

კარი 6: ფინეზი უამბობს დილარს მზისქალაქის აბმავს, რომელშიაც ის შემთხვევით მოხედა და რომელიც ბუნების ყოველივე სიმდიდრით და სიმშვენიით შემკულია. აქ მეფობს ეინმე სეზოსტრისი, რომელსაც ჰყავს ერთადერთი ასული, მშვენიერი ანუსია; სიცოცხლეშივე, როდესაც 12 წლისა იყო, აუყვანია მამას ტახტზე. დილარს გულში ჩაუფარდა სიყვარული ამ ქალისა, ღამე იმაზე ჰტიქრობს, თუმცა დღისით ცდილობს ამხანაგებს არ შეამჩნიეოს ეს. ერთხელ დილარს მოართვეს წერილი, რომელიც აღმოჩნდა გამოგზავნილი ანუსიასაგან; ანუსია ატყობინებს დილარს, რომ, თანახმად მამის ნებისა, ის მხოლოდ მას, დილარს, მისთხოვდება, და სთხოვს—მივიდეს მასთან და იხსნას ის იმათგან, ეინც მას გარს შემორტყმია და მისი შერთვა სურთ. ესცნია: მეფე ჩინეთისა, ასირიისა, ჰინდოეთისა, ბაბილონისა, ეგვიპტისა და სკეითიისა: დილარი გაემგზავრება ანუსიას საძებნელად, მას მიჰყვებიან თან პოლონთა მეფის ძე გო.პარი და თვით ნუშრეანი, რომელსაც მეუღლე გულნაზი სთხოვს უეპქელად დაენმაროს მეგობარს, რომელმაც მათ ბედნიერება მიანიჭა. ფინეზი აძლევს დილარს სხვადასხვა წამალს გრძნებათა წინააღმდეგ და ურჩევს ებრძოლოს მტერს მხოლოდ ლაბტით.

კარი 11: გზაზე ისინი შედიან მეკობრეთა ქვეყანაში, აქ შეხედებიან ინდოელთა ვაქრების ქარაიანს, რომელიც მეკობრეებს გაუცარცვავთ; დილარმა დაამარცხა ეს ყაჩაღები, ვაქრები გაანთავისუფლა და მერე შეიპყრო თვით მათი მღვწე ზორასტანი. უქანასქნელმა დილარი მიიპატიოთ თავის ქალაქში და დიდებულად გაუქმასპინძლდა. აღმოჩნდა, რომ აქაურები თავყვანსა სცემენ, როგორც ღმერთს, ოთხ მგელს, რომელიც ოქროს გალიაში ჰყავთ; დილარმა მოსთხოვა მათ თავი დაანებონ ამ ჩუქულებას, არწმუნა მათ ღმერთი ქეშმარიტი და სამება განუყოფელი, მგლები კი დახოცა. ამის შემდეგ გაუდგენ გზას, ზორასტანთან ერთად, და მიადგენ მდინარეს, რომელიც ჰყოფდა მათ გრძნეულთა სამეფოსაგან.

კარი 7: დილარი და ნუშრეანი თავისი ამალით შევიდნენ გრძნეულთა ქვეყანაში, სადაც მათ უთვალავი დაბრკოლება—გრძნეულება ელობებათ წინ, მაგრამ ფინეზის მიერ მიცემული წამლების საშუალებით ყველაფერს სძლევენ. ასე რომ ბოლოს გრძნეულთა მეფე გორშარაბი მათ შებრალებასა და პატიებას სთხოვს. ეხლა აქ, მოსვენებულნი, ისინი თათბირობენ, თუ როგორ შევიდნენ მზისქალაქში.

კარი 5: დიდის ვაივაგლახით შედიან ამ ქალაქში; სატროფოს ნახვის სურვილით შეპყრობილს დილარს გონება დაეკარგა, გული წაუვიდა და ცხენიდან გადმოვარდა, ძლივსძლივობით მოიყვანეს ის გრძნობაზე. ანუსია ატყობინებს დილარს, რომ სანამ ის მას ნახავს, უნდა დაამარცხოს ოთხი სპასალარი, რომელნიც მას განუდგენ; დილარმა მისი ბრძანება პირნათლად შეასრულა. დილარი ბაღში შეხედება ანუსიას გამზრდელ—ქალს ზეფირს, რომელსაც თავის მდგომარეობას აუწერს და დახმარებასა სთხოვს. ზეფირი ანუსიას გადასცემს, თუ როგორ იტანჯება მისთვის დილარი: ანუსია მას გაუგზავნის სკიპრტრას, ანუგეშებს და წინადადებას აძლევს ქორწილისთვის მოემზადოს. ვაიმართება დიდი ნადიმი, რომლის შემდეგ ანუსია მიიწვევს თავისთან დილარს.

კარი 9: დილარს პირველმა ეეზირმა ჯანუჯინმა წაუკითხა სეზოსტრისის ნდერძი, ანუსიამ მას გადასცა სალაროთა ვასალებები, რის შემდეგ გაპართეს იემი და ნადიმი. ჯანუჯინის შვილისშვილს და საურმაგის, სახლთუხუცესის, ისულს მიათხოვებენ გოპარს, ზეთირს მიათხოვებენ მარსს, ხოლო ერთი დიდუ-სულის ასულს, სოსანას, ლარს. ამ დროს გორშარაბი აცნობებს დილარს, რომ მას იავს დაეცა ჩინეთის მეფე ლასური და დახმარებას სთხოვს. დილარი მიდის და ლასურს დაამაცხებს, დაამარცხებს აგრეთვე სხვა მრავალ მოწინააღმდეგეებსაც. ქრთხელ ნადირობისას ნუშრევანი და ლასური ეეშაპებმა გადაყლაპეს, ნა-სრამ დილარმა ეეშაპები დახოცა და მეგობრები გაანთავისუვლა.

კარი 10: ბრძოლა დილარისა სკვითთა მეფე ხაყანთან, რომელსაც დილარი ასტიკად დაამარცხებს და გამარჯვებული ანუსიასთან ბრუნდება.

კარი 11: ქეითის დროს გორშარაბი ატყობინებს დილარს, რომ მის საზ-ღვრებში შემოიქრა მეფე კადუზიანელთა ფარსმანი კაციქამია ფალანგებით; ესენი თავიანსა სცემენ არმანს, ზადენს, გაცს და გაიშს. დილარი შეებმა ფარს-მანს, უქანასენელი, მისი ქველობით შეპყობილი, დამეორჩილება მას და თა-ვის ქვეშევრდომთ უქადაგებს ქეშმარიტს სარწმუნოებას.

კარი 12: გორშარაბი ატყობინებს ახალი მტრების შემოსევას: მეფე ინ-დოეთისა თახფური ამირბარი. სარიდანით, ბაბილონისა ვილოსი და ეგვიპტი-სა ფაროსი. დილარს თვითონ სწადს მათთან ბრძოლა, ანუსია არ უშეებს, მაგ-რამ ის თავისას არ იშლის, თუმცა გამოთხოვებისას გული მისდის. მან ბრწყინ-ვალედ სძლია მტრებს და ოშში დიდსულოვნობაც გამოიჩინა: დაქრილ მოწინა-აღმდეგებს ექიმი დააყენა თავზე.

კარი 13: გამარჯვებული დილარი ბრუნდება სახლში და ვადიხდის ქორ-წილს ანუსიასთან; წათ ეყოლათ სამი ვაჟი; რამელთაც ჯანუჯინ ეეზირი დიდ გოდლებს უშენებს. ამ გოდლებს დარაჯად სპილენძის მხედარნი არტყიან და წინ უღვია ლითონის ლომი.

კარი 14: დილარსა და ანუსიასთან მიდიან სადარბაზოდ მეფეები სხვადა-სხვაგვარი ძღვენით; რამდენიმე ხნის შემდეგ დილარი გაემგზავრება თავის ქე-ყანაში და სატახტო ქალაქ მარგარიტში ვადიხდის ნადიმს. ეგროსი მას დაუდ-გამს დიდს ძეგლს, რომელზედაც გამოხატულია 30 გვირგვინოსანი ქედმოხრალი დილარის წინაშე, თავზე ადგია მას ფრთავაშლილი არწივი, რომელიც თვითე-ლი სათის გასულს იძახის: „ადიდეთ, ადიდეთ, ადიდეთ დილარ მძღვეელა, ხელმწიფე ანუსია, ძენი მათნი და ნაყოფი მათნი“. დილარა დაბრუნდება ცო-ლოურს, თან წამოიყვანს 10000 აბაშს და აქ შერთავს მათ 10000 ლამაზ ქალს.

იზადება საკითხი: მარტლა მოგვცა პეტრე ლარაძენ სარგის თმოგველის დილარიანი, თუ მისი სახელით მან საკუთარი ფანტაზის ნაყოფი გაასაღა? გადაქრით უნდა ითქვას, რომ პეტრეს დილარიანს არაფერი საერთო, გარდა სახელისა, არ აქვს სარგის თმოგველის დაკარგულს შრომასთან. უნდა ეფიქროდ, რომ სარგისის დილარიანი ჯერ კიდევ აღორძინების ხანაშდ დაკარგულა: ვინაიდან არსად ამ ხანაში მისი ხსენება არაა; პეტრეს ის არ უნახავს, არ წაუ-კითხავს, არ მოუსმენია არავისგან, მაშასადამე, ცხადია, ის მას ეერც აღად-გენდა.

პეტრე თვითონ ამბობს გულახდილად:

არ იყო ქართველთა შორის წიგნი ყე დილარიანი,
ამას იტყოდა ყოველი, მოხუცი, ბერი, კვეიანი;
იყო თამარის დროისა, ვინ შეფედ ჰგებდა სვიანი,
მუნ დღითგან არაა გვასმია, ვართო მით კმუნვანიანი.

როგორ შეეძლო პეტრეს აღედგინა შინაარსი იმ წიგნისა, რომელიც თამარის დღითგან არავის სმენია და არავის უნახავს? ამიტომ სრულიად ბუნებრივია და ადვილად გასაგები შემდეგი მისი სიტყვები: „ჩემგან ახლად შემხადებულსა წიგნსა დილარიანსა ზედა მრავალი ლეაწლი და შრომა მივიღე ჰამბის მოგონებასა და შეწყობასა ზედაო“; მას მოუგონებია, შეუთხზავს, და არა აღუდგენია მისი წიგნის შინაარსი.

პეტრე ლარაძის დილარიანის შინაარსიდან ჩანს, რომ მისი დაწერის დროს ავტორი ჰბაძავს ამირანდარეჯანიანს, ის მას შეუწყვია უკანასკნელის ყაიდაზე: იგივე კარებად დაყოფა, იგივე დევ-გმირები, ბუმბერაზ-გოლიათები, დევები, ავი სულები, თილისმა-გრძნებანი; იგივე შეტაკება ქაბუკებისა, სურათი მათი ბრძოლისა, ბრძოლაში დიდსულოვნობის გამოჩენა და შემდეგ დამეგობრება—დამობილება, ერთი სიტყვით—პეტრეს თხზულებაში შეცვლილია მხოლოდ საკუთარი სახელები, სხვა კი, მოთხრობის ხასიათით, სტილით, აღწერილობით, სურათებით ის ზედმიწევნით იღებს ამირანდარეჯანიანს.

ამასთან ერთად მას ატყვია ძლიერი გავლენა ვეფხისტყაოსნისა; ამის მომასწავებელია შემდეგი ეპიზოდები: მტრალი ნუშრევანის ნახვა დილარისაგან ნადირობის დროს, შეყვარებულ ქაბუკთა სატრფოსთან შეყრისას გულის წასლვა (ნუშრევანი, დილარი), სატრფოს გამოსახსნელად და მოსაპოვებლად დაუძლეველი სიძნელის გადალახვა, მტრებთან, ავსულებთან ბრძოლა, ციხე-ქალაქის იერიშით აღება, სატრფოსთან საქმის დაკერა აღმზრდელი ქალის საშუალებით (როადამი, ზეფირი), მიზნის მიხწევის შემდეგ აღმზრდელი ქალის გათხოვება და მისთვის ქალაქ-სოფლების ბოძება, დახმარება ძმადნაფიც ქაბუკებისა სატრფოთა ქებნა-მოპოებაში, დამხმარეს მიერ ქორწილის გადახდა, მისთვის სამაგიერო შემწეობის აღმოჩენა მადლიერის მოქმისაგან, ვაჰართა ქაჩაენის დახსნა მეკობრეთაგან და სხე.

პეტრეს, ამთ გარდა, თავის თხზულებაში შეუჩანია ელემენტები რუსულად წიანისა, სირინოხიანისა, ომიანიანისა, ბარამგულიჯანიანისა და განსაკუთრებით ბარამგულანდამიანიდან. ავტორი, რომელიც ზედმიწევნით ნაკითხი ყოფილა ძველს სადევ-გმირო და რომან ჯიულს თხზულებებში, რომელსაც ზედმიწევნით შეთვისებული ჰქონია მათი სული და გული, მათი სტილი და ფრაზეოლოგია, მათი მიზანძეით და მიხედვით ჰქმნის ახალს ნაწარმოებს, რომელიც ბოლოსადაბოლოს არაფერს ახალს არ იძლევა თავის პროტოტიპებთან შედარებით, ამავე დროს ამ ნაწარმოებში თავი უჩენია იმ ისტორიულს, გეოგრაფიულს და რელიგიურ-მითოლოგიურ ცნობებს, რომელნიც პეტრეს შეუთვისებია მის დროს ქართულს ენაზე არსებულ სახელმძღვანელოთაგან. მართლაც, დილარიანში შეტანილია იმ ქვეყანათა გარდა, რომელნიც ამირანდარეჯანიანსა და

ვეფხისტყაოსანში გვხვდება, სხვა, ძველი ქვეყნის, სახელებიც, როგორც მაგალითად, ბაბილონი, ეგვიპტე, სკვითია; აგრეთვე ახალი დროის სახელმწიფოებისა: ბრიტანია, გალია, იტალია, ამერიკა, ავსტრია, პოლონეთი, ისპანია, კიტაი. პეკინი; ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული სახელები: კოლხიდა, ფარსმანი, საურმაგი, ეგროსი; იცის მან მითოლოგია: ქართული არმაზი, ზადენი, გაცი, გაიმი, საზოგადო—აფროდიტა, მინერვა, მარსი, ახერონი, ცირცეა, კრონოსი, მუშტარი, ასპიროზი და სხვ.

დიდარიანი პეტრე ლარაძეს დაუწერია 1825 წლამდე ეს შეკვდიდანა ჩანს: დილარიანი შეადგენდა პირველ ტომს მის თხზულებათა კრებულში: მესამე ტომის, მრავალფერეხილოვანის, ერთი ნაწილი, სხელდობრ საქართველოს ისტორიის გალექსეა, მას დაუსრულებია 1825 წელს; ცხადია. თუ მესამე ტომი 1825 წელსა დაწერილი, პირველი ტომი უფრო ადრე იქნებოდა დაწერილი.

7. ალექსანდრიანი.

ამ შრომის შესავალში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ალექსანდრიანი. რომელშიაც აღწერილია საგმირო, ზღაპრული თავგადასავალი ალექსანდრე მაკედონელისა, ცნობილი იყო ქართულს ენაზე ჯერ კიდევ კლასიკურს ხანაში. სამწუხაროდ, ეს ძველი თარგმანი დროთაღმსლველობაში დაკარგულა და ჩვენამდე არ შენახულა. სამაგიეროდ, აღორძინების ხანას მოუცია ახალი თარგმანი მისი, რომელიც, როგორც ა. ხახანაშვილის სპეციალური გამოკვლევებიდან ჩანს,¹ გადმოღებულია სერბიული რედაქციიდან ცოტა განსხვავებით დეტალებში: მთარგმნელს ზოგი ალაგი გამოუტოვებია, ზოგი შეუმოკლებია, ზოგი რამ კიდევ თვითონ შეუტანია შიგ. ა. ხახანაშვილის დასკვნები და არგუმენტები ამ შემთხვევაში იმდენად დასაჯერებელია, რომ მათ წინააღმდეგ ან მათ შესაესებად არა გვეთქმის რა.

ვინ თარგმნა ის ქართულად? ამ საკითხზე პასუხს იძლევა მცორე. ლექსითი რედაქცია ამ საგმირო მოთხრობისა. ჯერ უნდა შევნიშნოთ, რომ ლექსითი რედაქცია, რომელსაც ეწოდება „ამბავი ძველმოსახსენებელი დიდისა და პატიოსნისა კეთილის მოქმედისა კაცისა და ცათქვეშეთ მპყრობელისა და მეფისა მაკედონელისა ალექსანდრესი,—შობისა და ცხოვრებისა და სიმხნისა მისისათვის“, დამყარებულია ეხლახან დასახელებულს პროზითი რედაქციაზე და წარმოადგენს, ნამდვილად რომ ვთქვათ, გალექსევას უკანასკნელისას; ის შესდგება 141 თავისა და 1921 ტაეპისაგან და იწყება ასე:

ესე ამბავი ძველ ქმნილი რუსთ ქვეყნად იყო დებული.

ეამთა სიგარძითა ძველ ქმნილთა ყოველს ქვეყნად დავიწყებული.

¹) Журналъ Министерства Народнаго Просвѣщенія 1893 г. № 9. Очерки III, стр.

გადმოეთარგმნა ქართულად არჩილს, ვინ იყო კებული, მიბრძანეს, ლექსად გამოეთქვი, მსმენელო იყავ შეებული.

აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ალექსანდრიანი უთარგმნია ქართულად არჩილ მეფეს, რომელსაც ის უნახავს „რუსთ ქვეყანას“, და შერე ის გამოუთქვამს ლექსად ვილაც მელექსეს. ეხლა ადელილი გასაგებია, თუ როგორ მოხდა, რომ ქართულს პროზითი თარგმანს საფუძვლად დაედო სერბიული რედაქცია: როდესაც არჩილი საბოლოოდ დამკვიდრდა რუსეთში 1700 წლიდან, მან იქ იპოვა, ალბად, სერბიული რედაქციიდან მომავალი რუსული თარგმანი ამ საგმირო რომანისა და გადმოიღო ქართულად, ხოლო შერე მისი თარგმანი ვილაკამ გალექსა.

ვინაა გამლექსავი მისი? მელექსე თავის შრომის ბოლოში ამბობს:

„ვინებე პეტრე გალექსად ამა ალექსანდრიანისა-“.

მაშასადამე, არჩილის მიერ სერბიული რედაქციიდან გადმოღებული ალექსანდრიანი გაულექსია ვილაც პეტრეს. ამ პეტრეს შესახებ პ. ტეიკარიძე ფიქრობს, რომ ის სასულიერო პირია,¹ მაგრამ ვინაა ის, ამას ის ვერ არკვევს. ვინმე ი. ბერაძე ამბობს, რომ გამლექსავი ალექსანდრიანისა არის ცნობილი პეტრე ლარაძეო,² მაგრამ მისი საშუაი, თითქოს ჩვენმა მწერლობამ სამი პეტრე იცის, რომელთაგან ორი არჩილამდე ცხოვრებდაო, საქმარისი და დამაჯვრებელი ვერაა ამ შემთხვევაში. ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ გამლექსავი ამ ნაწარმოებისა არის პეტრე ლარაძე³ და აი რატომ: 1) ტეხნიკა თარგმნისა თუ გალექსვისა ისეთია, როგორც ჩვენ ვიცით პეტრე ლარაძის თხზულებებში, კერძოდ დილარიაში, სახელდობრ: ალექსანდრესა და როქსანას ქორწილის აღწერილობისათვის აეტორს მიუცია ქართული ელფერი. თხზულებაში შეუტანია აზრები, თქმულებანი, სენტენციები და ადგილები

1) კრებული ცდა I, 199.

2) ივერია 1908 წ. № 281.

3) შესაძლოა გეფიქრება, რომ გამლექსავი არჩილის შრომისა არის მისი თანამედროვე პეტრე სიონის მგალობელი, ან მლაღადებელი, როგორც ეს თავის თავს უწოდებს, გვართ ნეკაძე (E. Такашвили, Описание II, 230). ამ პეტრეს ევთემის ორი ანბანთქება, თვითელში ვნ ოთხსტრიქონიანი ტაქსია, იმ მარცვლენი ლექსით დწერილი. თვითელნი ტაქსი პირველი ანბანთქებასა წარმოადგენს რაიმე იგავს ან ამოუახას, რომლის ახსნას სთხოვს აეტორი მეთხველებს; მეორე ანბანთქებაში თავიდან ბოლომდე ლაპარაკია სარწმუნოებრივ-ზნეობრივ თემებზე. საყურადღებოა ორსავე ანბანთქებაში ის, რომ პირველი ტაქსის ყველა სტრიქონი მათში იწყება ასო ა-ნით, მეორე ბ-ნით, მესამე გ-ნით და ასე ბოლომდე, ამიტომ? ეწოდება მათ ანბანთქება (წერა-კითხ. № 126, გვ. 323-336, სპისტ.-სავთნოვრ. № 2: 16, ფ. 174-180). დაწურია ამ პეტრეს აგრეთვე ქება არჩილ მეფისა (E. Такашвили, Описание II, стр. 155-157). მაგრამ ალექსანდრიანის გამლექსეულად ამ პეტრეს ვერ მივიღებთ ვინაიდან ალექსანდრიანი რომ მეთვრამეტე საუკუნის პირველ წლებში იყოს გალექსილი, როდესაც პეტრე ცხოვრობდა, ერთი ნუსხა მონ; გვექნებოდა მისი მეთვრამეტე საუკუნისა; თან ის ნეოლოგიზმები, რომელნიც ამ ალექსანდრიანში გვაქვს, შევსლებულად ხდიან მის გალექსეას მეთვრამეტე საუკუნის პირველ წლებში, მით ურეტეს, რომ პეტრე, როგორც სასულიერო პირი აუვილად ვერ მოქიდებდა ხელს ასეთს შრომას. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ზემოთყვანილს ტაქსნი გამლექსეული არჩილზე ლაპარაკობს წარსულ დროში: „იყო კებული“, მისი თანამედროვე პეტრე ასე არ იტყვოდა

ვეფხისტყაოსნიდან, აგრეთვე არქაული სიტყვები: უტევანი, კარაული, ზუზა და სხვ. ყველაფერი ეს პეტრე ლარაძის ავტორობის მაჩვენებელია. 2) პეტრე ლარაძე თვითონ ამბობს, რომ მან დასწერა თხზულება, რომელსაც ეწოდებოდა სახემგოსანი და შეიცავდა ცხრამეტ ასს, ან ათას ცხრაას, შაირს. აეთი თხზულება პეტრე ლარაძისა დღესდღეობით არსადა ჩანს, ძნელი საფიქრებელია, რომ ის დაკარგულიყოს, როდესაც სხვა ყველა თხზულებანი პეტრესი უკლებლად შენახულა ჩვენ დრომდე. ჩვენ გვგონია, რომ ეს 1900 შაირიანი სახემგოსანი არის სწორედ ეს გალექსილი ალექსანდრიანი, რომელშიც, როგორც ვთქვით, 1921 ტაეპია, ესე იგი, იმდენივე, რამდენსაც პეტრე უჩვენებს სახემგოსანში (21 ტაეპი სათვალავში, რიცხვის დასამრგვალეზლად, არ მიუღია). საინტერესოა მხოლოდ ვიცოდეთ, რატომ დაარქვა მან ამ თხზულებას ასეთი სახელი, — სახემგოსანი? პეტრე ლარაძის ავტორობის წინააღმდეგ არაფერს არ ამბობს ზემომოყვანილი ტაეპი, სადაც ნათქვამია:

გადმოეთარგმნა ქართულად არჩილს, ვინ იყო კეპული,
მიბრძანეს, ლექსად გამოეთქვი, მსმენელო იყავ შევბული.

შეიძლება გვითხრან, ჯრჩილი პეტრე ლარაძეს ვერ უბრძანებდაო; მაგრამ აქ სულაც არაა ნათქვამი, რომ გამლექსველს არჩილმა უბრძანა, პირიქით, აქ ნაჩვენებია, რომ არჩილი მას ვერ უბრძანებდა, ვინაიდან არჩილზე ის ლაპარაკობს წარსულს დროში, ის ჩემს წინეთ იყო ვო. პეტრე ლარაძისათვის ამ თხზულების გალექსვა უბრძანებიათ სხვებს, უთუოდ ბატონიშვილებს, რომელთაც რუსეთში არჩილის არქივში, ალბად, იპოვნეს მისი თარგმანი და პეტრეს წინადადება მისცეს გაელექსა ის. ასეთ მნიშვნელოვან შრომებს პეტრე მართლაც ბატონიშვილების ბრძანებით ასრულებდა ხოლმე.

პროზითი თარგმანი ალექსანდრიანისა, რომელიც არჩილს ეკუთვნის, ცნობილია ერთადერთი ცალით, რომელიც ა. ხახანაშვილს ჰქონია ხელთ, სად იმყოფება ის დღეს, არ ვიცით;¹ ხოლო ლექსითი რედაქცია პეტრე ლარაძისა რამდენიმე ცალადაა ცნობილი: სამი ნუსხა ხახანაშვილს სცოდნია, სამი ნუსხა წერაკითხვის მუზეუმშია (№№ 355, 2841, 3623).



¹) ერთი ცალი მისი ვიპოეთ ჩვენ 1924 წლის ზაფხულს ს. ქართაში ალექსანდრე დავითისძის მანაბლის სახლში; ეს ცალი, სამწუხაროდ, დეფექტანია.

II. რომანტიული ეპოსი.

1. ვეფხისტყაოსნის დამატებანი.

როგორც ყველა საინტერესოსა და პოპულარულ ნაწარმოებს, რომელიც ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, ვეფხისტყაოსანსაც სალუწენთა განმავლობაში განუცდია მრავალგვარი პერტურბაცია, როგორცაა ტექსტის შესწორება, სიწყვებინს შეკლა, ტაეპების ჩამატება და გამოკლება. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს კიდევაც საკმაოდ საპატრო ცდა ამ ჩამატებული თუ შერყენილ-შეკვლილი ტაეპების გაპოპოჯისა და ახსნისა; ეს ცდა ეკუთვნის განსეიანებულს ა. სარაჯიშვილს, რომელსაც, უმთავრესად ესტეტიკის და პოეზიის თვალსაზრისით, დ. ჩუბინაშვილის გამოცემაში აღიარებულია 150-მდე ყალბი ტაეპი.¹ მაგრამ ეს კიდევ არაფერი; დროთა განმავლობაში ამათუიმ მწერალსა და მელექსეს მთელი თავები და ეპიზოდები დაურთავს ვეფხისტყაოსნისათვის. ჯერ ერთი, ამ პოემას დამატებია პროლოგი და ეპილოგი, რომელთა შესახებ ჩვენ უკვე გეჟონდა ლაპარაკი თვით პოემის მიმოხილვისას. უფრო მეტი და თვალსაჩინო დამატებანი ჩვენ გვაქვს პოემის ბოლოში; აი ეს დამატებანი:

1) არაბეთიდან ტარიელ-ნესტანი თავიანთი მეგობრებით გამოემართენ ინდოეთისაკენ; ერთს ტაეპში მოკლედ აღწერილია მათი მგზავრობა (1527 ტ. ს. კაკაბაძის გამოცემით) და მერე უცბად იწყება ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ „ტარიელს და კოლსა მისსა მახედა მათი საწადელი“ (1527),¹ ესე იგი, როგორ გამეუდენ ისინი. ეილაც მელექსეს აღქრია სურვილი შეეთხზა აჰბაეი იმის შესახებ, რა პირობებში გამეუდა ტარიელი, კოცხალნი იყვნენ მათი დაბრუნებისას ნესტანის მშობლები თუ არა, ან რა მდგომარეობაში იყო თვით ინდოეთი. ამ მიზნით მას ჩაურთავს აღნიშნული ტაეპების შუა თავები: „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“, „ტარიელისაგან ინდოეთს მისლვა და ხატაელთ დამორჩილება“ და ზოგიერთი დეტალები „ტარიელისა და ნესტან-დარეჯნის ქორწილში“.²

2) პოემა თავდება ტარიელისა და ნესტანის სამშობლოში დაბრუნებისა და მათი გამეფების ამბით; ეილაც მელექსეს დაბადებია საკითხი: რა მოხდა მათი გამეფების შემდეგ, როგორ ცხოვრობდენ ისინი, რა ურთიერთობა დამყარდა ტარიელსა და ხეარაზმშას შორის, რომლის შვილი მან მოკლა. ამ საკითხებზე მას უქასუნხია ახალი გავრძელებით, სადაც აღწერილია ტარიელის დაბრუნება და ხეარაზმშასაგან სისხლის ძებნად მოსლვა ინდოეთს, ტარიელისაგან თავისი მეგობრების საშუელად მოწვევა, ომი ხეარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა.³

3) საინტერესო იყო გათვალისწინება იმისა, თუ როგორ აღასრულეს დღენი თვისნი ამ ძმადნაფიცმა მეგობრებმა, ამიტომ ერთს მელექსეს აღუწერია

¹) ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები, მოამბე 1895—1901 წ.

²) ს. კაკაბაძის გამოცემა, ტაეპ. 1528—1534, 1589—1594, 1596, 1602, 1609.

³) ტაეპ. 1611—1721.

გარდაცვალება ტარიელისა და ნესტანისა. აეთანდილისა და თინათინისა. და-
ტირება მათი ფრიდონის მიერ და გარდაცვალება ამ უკანასკნელისაც.¹

4) ვილაც მელექსეს უფიქრნია, რომ ისეთი ადამიანები, როგორც იყენენ
ტარიელი და აეთანდილი, სიკვდილის წინ რაიმე ანდროძს დასტოვებდნენ. ამი-
ტომაც მას მართლაც შეუთხზავს ასეთი ანდროძი ორავე მეგობრისა,² რომლი-
ნათვის მერე კიდევ დაუმატებიათ ახალ-ახალი ანდროძები.³

როდის ჰქონდათ ადგილი ამ დამატებათ, ძნელია გარკვევა, ყოველ
შემთხვევაში არა ერთს დროს, არამედ სხვადასხვას, და უნდა დაწყებუ-
ლიყო ისინი არაუადრეს მეთექვსმეტე საუკუნისა. მართლაც, პირველი დამატე-
ბა, — ტარიელის ინდოეთს დაბრუნება და ბატაელებთან ომი, — უფრო ადრე რომ
ვერ იქნება შედგენილი, შეზღვევადანა ჩანს. აქ ნათქვამია, რომ, როდესაც ტა-
რიელმა გაიგო ფარსადანის გარდაცვალება, საშინელი ტირილი მორთო, და
მას ამ აუტანელს სევდაში აეთანდილი და ფრიდონი „ექმნეს სულისმღებლად,
ქათალიქოზ-მაწყურელად“ (1543), ესე იგი მანუგეშებლად, როგორც კათალი-
კონი და მაწყურელიო. აქ მაწყურელი და კათალიკონი დაპირისპირებულნი
არიან, როგორც სწორუფლებიანი და სწორპატივიანი იერარქები; მაშასადამე,
ეს იზისი მაჩვენებელია, რომ, როდესაც ეს ადგილი იწერებოდა, სამცხის ეკლე-
სიას უკვე ფორმალურად და საბოლოოდ იყო ჩამოშორებული მცხეთის ეკლე-
სიას და მის სრულუფლებიან გამგევ, როგორც მცხეთაში კათალიკონი, ითვ-
ლებოდა უკვე მაწყურელი. პროცესი სამცხის ეკლესიურად ჩამოშორებისა
მცხეთისაგან, დაწყებული ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნის გასულიდან.⁴
ძლიერდებოდა მეთუთხმეტეში და დამთავრდა მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს
მახეჰბაჟე ათაბაგის დროს (†1516), რომელმაც მაწყურელად განაწესა ტრა-
პიზონელი ბერძენი სიმეონი.⁵ ამნაირად, პირველი და, მაშასადამე, ყველაზე
ადრინდელი დამატება მეთექვსმეტე საუკუნეზე ადრე დაწერილი ვერ იქნება;
აქედან ცხადია, სხვები კიდევ უფრო გვიანი უნდა იყოს. პირველი სამი დამა-
ტება, — ტარიელის ინდოეთში დაბრუნებიდან მის გარდაცვალებამდე, — უკვე მე-
თექვსმეტე საუკუნეში ჩამოყალიბებულია, ვინაიდან მეჩვიდმეტე საუკუნის პირ-
ველს მეოთხედში მათ იხსენიებს ოქმადინიანი, სახელდობრ — ომაინ ქაბუჯი თა-
ვის ახლადშერთულ ცოლს უამბობს თითქმის მთელს ვეფხისტყაოსანს
და, სხვათა შორის, ამ დამატებათა შინაარსსაც.⁶

¹) კაკაბაძის გამოცემა ტ. 1732—1736.

²) ტ. 1722—1731, 1738—1742.

³) ეს დამატებანი გამოცემულია პირველად პ. კარბელაშვილის მიერ (ივერია
1880 წ. № 3, გვ. 1—33), მეორედ ს. კაკაბაძის მიერ 1913 წ. (მისი გამოცემა ვეფხისტ-
ყაოსნისა).

⁴) თ. გორდანი, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბ-
თები, გვ. 194.

⁵) პროფ. ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, ნაწილი I, გვ.
51—56. Проф. Н. Марр, Грузинская поэма вотязь из барсовой шкуръ Шоты изъ
Рустава, стр. 187. К. Цициадзе, Историческая справка по вопросу объ автокрфа-
лии грузинской церкви, стр. 19.

⁶) წერა-კითხ. ხელნაწ. № 3163, გვ. 132—133.

ვინაა ავტორი ამ დამატებებისა? რასაკვირველია, არა ერთი პირი, არამედ სხვადასხვა დროის მელექსენი, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში მეფის მელექსენი უნდა იყვნენ. ზოგიერთი ამ მელექსეთაგან მესხი იყო; მართლაც, პირველი დამატება, რომელშიაც კათოლიკოზთან დაპირისპირებულია მაწვეერელი. უეჭველად მესხს ეკუთვნის, მხოლოდ მესხს შეეძლო ასეთი დაპირისპირება. ერთი მელექსე პირდაპირ ამბობს თავისთავის შესახებ: „ვეწუ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დამისაო.“

ერთი ამ უცხო მელექსეთაგანი ჩვენ სახელითაც ვიკით; არჩილ მეფე ამბობს თავის არჩილიანში:

ნანუჩას რუსთავლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაუტრეცია,
საბრალოს ვერ შეუწყვტია, წმინდა რამ აღმღერეცია,
მასთან რას სწერდა მისს ლექსსა, სირვევნე მით მორვეცია,
რუსთველი სიბრძნის ტბა არის, არცა თუ იგ მორვეცია!

ზ ა ა ქ ი ა ნ ი ს ვ ა მ ლ ე ქ ს ა ვ ი, მეფის მდივანი ნ ა მ უ ჯ ა, თავისი შრომის წინასიტყვეობაში შენიშნავს: „საქართველოს ეს ამბავი,“ ე-ე იგი ზაქის, „დარჩომოდა ძველის ძველიო;“ თუმცა ის ჩემზე უკეთ სხვებმა იცოდენ, მაგრამ არც ერთმა ხელი არ მიჰყო მას გასალექსავად:

ვერ შეემატა შეათელსა და ვერცა სარგის თმოგველსა,
ვერცა მანუჩარს მწერალსა, ტკბილის სიტყვისა მკობელსა!

ეს მანუჩარი არის ის ნ ა ნ უ ჩ ა, რომელმაც, არჩილის სიტყვით, რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაუტრთო. მამუკასა და არჩილს ეს მწერალი სხვადასხვანაირად შეუთვასებიათ; არჩილი მას ლექსს უწუნებს, ის იმაზე მალლა აყუნებს არამც თუ რუსთველს, არამედ თავის თავსაც, როდესაც ამბობს: „რუსთველს არ ვიტყვი, ნანუჩას რასთვის აქებთ და მე არა?“ მაგრამ, ჩანს, არც ისე დასაწუნარი ყოფილა ის: მამუკა მას „ტკბილის სიტყვით მზობელს“ ეძახის, ხოლო არჩილის თანამედროვენი მას აქებდენ, ამიტომაცაა, რომ არჩილი ჰკითხულობს: „ნანუჩას რასთვის აქებთო?“ მანუჩარი ან ნანუჩა ყოფილა ციციშვილი, როგორც ეს ბროსემ აღნიშნა ვეფხისტყაოსნის წინასიტყვეობაში 1841 წ. (გვ. XIV) ზ. ქიქინაძის სიტყვით „ნანუჩა ციციშვილი ცხოვრობდა 1670 წელს. ეს იყო ქართველი შრიგნოვარი, მკოდნე სხვადასხვა ენებისა და მწერლობისა. ამ ნანუჩას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა ქართული წიგნებისა, მას როსტომ მეფის ძახლობლივ სამეფო საქმეებში დიდი ადგილი ეკავა. ამ კაცს მთელს საქართველოში ბრძნად სახადდენ. ნანუჩა ციციშვილს ბევრნაირი ლექსების და მოთხრობების წერას აკუთვნებენ, მაგრამ მისმა ნაწერებმა ჩვენამდე ვერ მოახწიაო“¹

¹) Е. Такайшвили. Описание II, стр. 139

²) ი. აბულაძე. შანაშავს ქართული ევროგებ. გვ. I, ტ. 1. 2.

³) Е. Такайшвили. Описание II, стр. 138.

⁴) ქაჭელ. მწერლობა მე-17 საუკუნეში, გვ. 15.

საიდან ამოიღო ზ. კიკინაძემ ეს ცნობები, არ ვიცით; ერთი კია, რომ ისინი სინამდვილეს არ შეესაბამებიან. მართლაც, 1670 წელს როსტომ მეფე უკვე კარგახნის მკვლარი იყო, თან მის დროს ნანუა ციციშვილს ჩვენ ვერ ვხედავთ ვერსად, მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ისაა, რომ „1670 წლებში“ ნანუა ვერ იცხოვრებდა. როგორც დავინახეთ, მას იხსენიებს, როგორც წარსული დროის მწერალს, მეფის მღვიანის მამუკა, პოეტი მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე პერიოდისა, მაშასადამე, ის მამუკაზე ადრე ცხოვრობდა; მართლაც, მას ჩვენ ვხვდებით მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ათეულში: მეფე თეიმურაზს. გიორგი სააკაძის სპარსეთში გაქცევის შემდეგ, ის მიუჭვანია გიორგის დედის თამარისათვის ქაიხოსრო ჯაფახიშვილის საქმის გამო შეაკაცად.¹

რა ოპერაცია გაუკეთებია ამ ნანუა ციციშვილს ეფთხისტყაოსნისათვის, ძნელია თქმა; ფიქრობენ. რომ დამაუბანი პოემისა, რაველნიც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკუთვნის მას. შესაძლოა, რომელიმე ამ გაგრძელებათაანი მართლაც ეკუთვნოდეს ნანუას, მაგრამ ყველას მას ვერ მივაკუთვნებთ, ვინაიდან, როგორც დავინახეთ, ზოგიერთი მათგანი ვილაცა მესხს მელექსეს დაუწერია, ნანუა კი მესხი არ ყოფილა. არჩილ მეფის სიტყვები: „ნანუას რუსთელის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია, საბრალოს ვერ შეუწყეია, წმინდა რამ აღმღვრევია,“—უფრო იმ აზრს შეიცავს, რომ ნანუას ეფთხისტყაოსნის ზღაპარში „ჩაურევია“ ან ჩაურთავს თავისი საკუთარი ტაეებო.

ამნაირად, ეფთხისტყაოსნის შევსება და გაგრძელება სწარმოებდა მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეთა სიგრძეზე; ამ ასპარეზზე უმრღვაწნია არაერთსა და ორს მეფის მღვიანს და მელექსეს, რომელთაგან სახელით ცნობილია მხოლოდ ერთი, ვინმე ნანუა ან მანუჩარ ციციშვილი.

2. ო მ ა ი ნ ი ა ნ ი

იმ მოკლე მოთხრობათა გარდა, რომელნიც დამატების სახით დართვია ვეფხისტყაოსნის, არსებობს მთელი თხზულება, თითქმის ვეფხისტყაოსნის ზომისა, რომელიც შეგვიძლია მის გაგრძელებად მივიჩნიოთ; ეს არის ო მ ა ი ნ ი ა ნ ი. მკითხველს საზოგადოებაში დაბადებულა სურვილი გათვალისწინებულ ყოფილიყო არა მარტო პირადი დამოკიდებულება ტარიელ-ნესტანსა და აეთანდილთინათინს შორის მათს სიცოცხლეში, არამედ მათი გარდაცვალების შემდეგაც; მათ შთამომავლობაში. ეს მიზანი დაუსახავს ო მ ა ი ნ ი ა ნ ი ს ავტორს.

შინაარსი ამ თხზულებისა მოკლედ შემდეგნაირად შეგვიძლია გადმოვცეთ:² ტარიელისა და ნესტანდარეჯანის შეილს სარიდანს ცოლად შეურთავს აეთან-

¹ იხ. განჩინება მოურავის და ქაიხოსრო ჯაფახიშვილისა 1620 წელს, საქართველოს ისტორიკონი, II, გვ. 60; შვად. ან. ფურცელაძის—გიორგი სააკაძე და მისი დრო, გვ. 201, ტფილისი 1911 წ.

² Е. Такайшвили, Описание I, стр. 564—580; А. Хахановъ, Очерки II 298—305.

დილისა და თინათინის ქალი; ის დიდებული მეფე იყო, თავისი სამეფო, ინდოეთი, გააფართოვა და გააძლიერა, აკლდა მხოლოდ ის, რომ შვილი არ ჰყავდა. ბოლოს შვილიც მიეცა, რომელსაც ომაინი უწოდეს. ბავშვი წლობით კი არ იზრდებოდა, არამედ ღლებით, ისეთი გმირი და ფალავანი შეიქნა, რომ მისი მსგავსი ქვეყანაზე არ ყოფილა არავინ, თავის პაპა ტარიელსაც კი სჯობდა. ერთხელ მას უნახავს ზღვათა მეფის შვილი, ხელში ლამაზი ქალის სურათით, მტირალი, რომლისაგან მან გაიგო, რომ ეგვიპტის მეფეს, ალიქაფურს, ჰყავს მეტად ლამაზი ქალი ბურნა-მელიქი, რომელსაც ის გამიჯნობია, მაგრამ მიზანს ვეღარ მიუღწევია და უკან დაბრუნებულა მხოლოდ მისი სურათით. ომაინს ზღვათა მეფის შვილი სახლში მოუყვანია და მისთვის ცოლად მიუცია თავი და, რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც, ქალის მოახვის თანახმად, მას დაუმარცხებია სარიდანის სპასალარი სალიმი. თვითონ კი გულში ჩაეარდნია ბურნა-მელიქის სიყვარული და ხის ცხენზე, რომელიც მისთვის საგანგებოთ მოუმზადებიათ, თვალის დახამამებაზე გადაფრენილა ეგვიპტეში, სადაც ის ვაჭრულად გამოწყობილა და დაუწყია ვაჭრობა ძვირუფასი ქვებით. იმდენსა სცდილა, რომ ბურნა-მელიქთან კაქშირი დაუქერია იმ ქალის დახმარებით, რომლის სახლშიაც ის ცხოვრობდა აქ, და, როდესაც მისი გმირობა გამომჟღავნებულა, ქალსაც შეწყვარებია ის. მაგრამ მას სიტყვა ჰქონია მიცემული ვინმე გურძი ფალავნის შვილის ზავარისათვის; უკანასკნელს რომ გაუგია ომაინის გამოჩენა ეგვიპტეში და ბურნა-მელიქის მისდამი გაიჯნურება, მოუწერია წერილი, რომელშიაც ბურნა-მელიქს უპირობისათვის ლაშქარდა, ხლო ომაინს ომში იწვევდა. ფალავნები ნართლაც დაეტაკენ ერთმანეთს, ომაინი გაბარჯვებული დარჩა. ამის შემდეგ მან შეირთო ცოლად ბურნა-მელიქი და იპავე ცხენით, რომლითაც ის ეგვიპტეში მოფრინდა, თვალის დახამამებაში ცოლითურთ თავის სამეფო ინდოეთში გადაფრინდა. მამა სარიდანი დიდის ამბით ხედება შეიღს და ტახტსაც უთმობს მას; ამიერიდან იწყება ომაინის საღვ-გმირო საქმეები თვით ინდოეთში: ჯერ მოკლა მან თეთრი დევი, შთამომავალი იმ საშინელი დევისა. რომელიც მზანდარანის ქვეყანაში ოდესღაც როსტომმა მოკლა. დევს მრავალი ტყვეები აღმოაჩინდა, რომელნიც ომაინმა გაანთავისუფლა, მათ შორის მეტად ლამაზი ბალხეთის მეფის ქალი; ეს ქალი ომაინს შეუყვარდა, ცოლი ნებას აძლევს მას მეორე ცოლად აიყვანოს ის, რასაც ომაინი დიდის სიხარულიც ასრულებს. ამის შემდეგ ის ახალი ცოლით გაემგზავრება ბალხეთს; აქ მას დახვდა კეისარის¹ ელჩი, რომელმაც სახლში დაბრუნების შემდეგ ისე აუწერა კეისარს ომაინს კაბუკი, რომ ის გაემგზავრა ინდოეთს ომაინის სანახავად. გზაზე კეისარი შეჩერდა სპარსეთში, სადაც ამ დროს მეფობდა ანუშირვანი; ეს უკანასკნელიც გაჰყვა მას ინდოეთს. ინდოეთში სარიდანმა გამოიწვია ბალხეთიდან ომაინი, რომელიც მოვიდა თავისი სიმამრით, ხაყან-ჩინელითურთ. ამნაირად, თავი მოიყარა ოთხმა მეფემ, რომელნიც მეჯლიშობენ, განცხრომაში არიან და ერთმანეთს ეკამათებიან იმის შესახებ, რომ მოუფიქრებელ სიტყვებს დუმილი სჯობსო და წარმოთქმულს წარმოუთქმელიო. ომაინმა თავისი კაბუკობა და გმირობა ამ მეფეებსაც აჩვენა ერთი

¹) კეისრად აქ იგულისხმება ურუმთა მეფე, ხვანთჰარი.

საშინელი ბუმბერაზის მოკლევით, რის შემდეგ შეფეები გამოესალმენ ერთმანეთს და თავთავიანთ სამბრძანებელში მიიქცენ.

ვინ არის ავტორი ომანიანიისა? არჩილ მეფე „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა“ შორის ასახელებს ომანიანიისა ავტორსაც:

ქაიხოსრომან შიგ ჩართვით ლექსად თქვა ომანიანი,
ომანის სიმხნე, სიქველე, ჯაქვის ცმა მიემნიანი,
კარგად რამ უთქვამს, მის გამო არა ეთქვი მისი ზიანი,
ყვავილშიც გამორევია სულათა ქუფრი რიანი.¹

ამნაირად, არჩილ მეფის კომპეტენტური ცნობით ომანიანიის ავტორი ქარის ვილაც ქაიხოსრო. ეს ქაიხოსრო არის თანამედროვე შაჰაბაზ პირველი-სა, როგორც ესა ჩანს მისი თხზულების პროლოგის შემდეგი ადგილიდან:

ქაიხოსროვის შედეგად შაჰაბაზ ერანს მჯდომია,
უცხო დაიპყრა ქვეყანა, ერან-თურანის ზომია,
სხვათა მეფეთა ვეზირნი ნიადაგ გვერცა სხდომია,
ეს თვით მარტო იქმს ყველასა, ტბევის თუ გინდა მწყრომია.

შაჰაბაზის დროს საქართველოში ჩვენ გვხვდება ოთხი მოღვაწე, რომელთაც ქაიხოსრო ეწოდება, ესენია: 1) ქაიხოსრო ბარათაშვილი, მოწინააღმდეგე დიდი მოურავისა, რომელმაც 1625 წელს ის შეაპყრა ტბისს და ბირთვისის ციხეში 500 მეციხოვნე სპარსი გაუწყვიტა. 2) ქაიხოსრო... დე ვახტანგ მუხრანბატონისა, რომელიც 1624—1626 წლებში რამდენჯერმე იქმნა დადგენილი დიდი მოურავის მიერ ქართლის გამგედ და რომელიც ბაზალეთის ომის შემდეგ დიდ მოურავთან ერთად ოსმალეთს გარდახვეწა, სადაც მას, მოურავთან ერთად, 1629 წელს თავი მოჰკვეთეს. 3) ქაიხოსრო ჯავახიშვილი, რომელიც დაუძინებელი მტერი იყო დიდი მოურავისა და სახლკარისა და ცოლშილს უწიოკებდა მას: 4) ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, შესანიშნავი ნიჰისა და ენერგიის მხედართმთავარი, რომელიც შიშის ზარსა სცემდა და მუსრს ავლებდა დაღესტანის ლეკებს; მას დიდ პატივსა სცემდა და დიდის ნდობით ეპყრობოდა ქეთევან დედოფალი, თუქა მისმა შილმა, თეიმურაზმა, დიდი უმადურობა გამოიჩინა მისდამი. ქაიხოსროს სახელი და მამაკობა, რომელიც მან დაღესტანში გამოაჩინა, მოსვენებას არ აძლევდა შაჰაბაზსა და პირად მის, ქაიხოსროს, მტრებს; ამიტომ, როდესაც, ცოლის სიკვდილის შემდეგ, თეიმურაზი სპარსეთში იყო შაჰაბაზთან, უკანასკნელმა ჩააჭრეულა მას, რომ ჩოლოყაშვილი ძლიერდება დაღესტანში, მას უნდა დაღესტანიც და კახეთიც თვითონ დაიპყროს და ცოლად შეერთოს ქეთევანი, რომელმაც ის ამ მიზნითა ჰყავს დაახლოვებულთ: ესევე დაუდასტურეს თეიმურაზს იქვე მყოფა ქართველებმა, რომელნიც შურის თვალთ უყურებდენ ქაიხოსროს. იქვიანს თეიმურაზს მეტიც არ უნდოდა; ის რომ კახეთში დაბრუნდა სპარსეთიდან, დაღესტანიდან მას ქაიხოსრომ სთხოვა სამეფო ბუეები, რათა უფრო დაეშინებია ლეკები, კა-

1) E. Такашвили, Описание стр. I, 139.

2) ქართლის ცხოვრება II, 43—44.

3) საქართველოს სიძველენი II, გვ. 51—61.

ხელემა კი შეასმინეს თეიმურაზს: „ნებავეს კახეთი და ამისთვის ითხოვს ბუკსა-ცა“: ამისთვის „მოიყვანა ქაიხოსრო და მოჰკლა იგი ლალატად“.¹

უეჭველია, ავტორი ომანიანისა არის ერთი აქ დასახელებული ქაიხოსრო, თუმცა არც არჩილ მეფეს, არც სხვა რაიმე ისტორიულ-ლიტერატურულ დოკუმენტს არ აღუნიშნავს, რომელი სახელდობრ. ზ. კიკინაძე ამბობს, რასაკვირველია, საბუთების დაუსახელებლად, რომ ავტორი ამ თხზულებისა ქაიხოსრო მუხრანბატონია.² ალბად ზ. კიკინაძე უნდა ჰქავდეს სახეში ექვთ. თაყაიშვილს, როდესაც ამბობს: по мнѣнию нѣкоторыхъ, Кайхосро, авторъ Оманіани, былъ мухрანскій владѣтель.³ ჩვენ კი გვგონია, რომ ეს მართალი არაა და ომანიანის ავტორია ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, და აი რატომ: 1) ქაიხოსრო აღკურეილი იყო ისეთი სულიერი და ფიზიკური თვისებებით, როგორც არ ჰქონდათ დანარჩენებს; ის იყო დიდი ნაქრსა და ენერჯის პატრონი, „ახოვანი და შემპართებელი“;⁴ 2) მისს სახლში განმტკიცებული იყო სწავლა-განათლება და ლიტერატურული ტრადიციები, რაც იქიდანაცა ჩანს, რომ თეიმურაზის გამოჩენილი ელჩი და დიპლომატი, ნიკიფორე ან ნიკოლოზ ირბახი, რომელმაც შემოიარა მთელი ევროპა და რომელმაც ლათინურთან და რუსულთან სხვა მრავალი ევროპიული ენები იცოდა,⁵ იყო ძმა ქაიხოსროსი. 3) მისს მამას სახელად ერქვა ომანი. აქედან მისი და მისი შთამომავლობის გვარო, — ომანიშვილი — ჩოლოყაშვილი, ის გამოჩენილი და მხნე სარდალი ყოფილა, რაც იქიდანაცა ჩანს, რომ ნიკიფორეს ნიტყვით, მან სხვა მრავალ გამარჯვებათა შორის, 20000 კაცით გასწევიტა ერთხელ 90000 სპარსი.⁶ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ თავისი გმირისა და ახოვანი მამის, ომანის, სახსოვრად ქაიხოსრომ ასწერა ომანი ქაბუკის გმირობა და ქველობა.

ამნაირად, დასახელებულ პირთა შორის ყველაზე უფრო მისაღები უნდა იყოს ქაიხოსრო ომანიშვილი — ჩოლოყაშვილის ავტორობა. როგორც უნდა იყოს, ომანიანი დაწერილია არაუგვიანეს მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი მეოთხედისა, შაჰაბაზის დროს.

თხზულებას წინ მიუძღვის საკმაოდ ეტყელი პროლოგი, რომელშიაც ავტორი იხსენიებს ზოგიერთ ძველ ქართულ მწერლებს, მაგალითად: მოსე ხონელს, შავთელს, სარგის თმოგველს და ვილაც კედელაურს, რომელსაც როსტომი.

1) ქართლის ცხოვრება II, 115; მუჯ ან. ფურცელაძის გიორგი სააკაძე და მისი დრო, გვ. 158-159, 122, ტფილისი 1911 წ.
2) ქართული მწერლობა მე-17 საუკუნეში, გვ. 16.
3) Osmenie I, სტ. 503.
4) ქართლის ცხოვრება II, 115.
5) მ. თამარიშვილი, ისტორია ქათლკახისა ქართულთა შორის, გვ. 92-93 105-107. А. Цагарели, Палестинскій Сѣверникъ, VIII, стр. 66-71. П. Тоселіани, Родъ князей Чолокасыыхъ, стр. 17, 18, 21 ან. ფურცელაძე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, გვ. 83, ნფ. 5, 1911 წ.
6) მ. თამარიშვილი, გვ. 92.

ანი გადმოუთარგმნია.¹ შინაარსით თხზულება მაინცაღამაინც საინტერესოს არას წარმოადგენს, ის ჰბაძავს, საკმაოდ უხეზად, ვეფხისტყაოსანს, ამირანდარეჯანიანს, როსტომიანს და სხვა, მის დროს ქართულ ენაზე არსებულ სადევგნირო და სამიჯნურო თხზულებებს; ალბად, ამით აიხსნება, რომ ავტორი ქართული ლიტერატურული ძეგლების კატალოგიისა, რომელიც 1810 წელსა შედგენილი, ომაინიანს სთელის სპარსულიდან ნათარგმნ თხზულებად.² თხზულება დაწერილია ლექსითა და პროზით, ამიტომაცაა, რომ არჩილ მეფე ამბობს: „ქაიხოსრომა შიგ ჩართვით ლექსად თქვა ომანიანიო“; ლექსათ დაწერილია პროლოგი და 11 თავი. პროზით — 44 თავი, ერთი კიდევ ნახევრად პროზით და ნახევრათ ლექსით. როგორც დავინახეთ, არჩილ მეფე ქაიხოსროს ლექსს უწონებს და უქებს.

3. იოსებ-ზილიხანიანი

იოსებ-ზილიხანიანი ში მოთხრობილია თავგადასავალი იოსებ-იუსუფისა და სიყვარული ზილიხა ანუ ზილიხანისა; სიუჟეტად აღებულია ბიბლიური მოთხრობა იოსებ მშვენიერის შესახებ, რომელიც ძნებმა გაყიდეს ეგვიპტეში და რომელსაც გაუმიჯნურდა ფარაონის ცოლი, სპარსული ეპოსის ზუღიხა. ეს ეპიზოდი სპარსელ რომანტიკოსებს გააფრციათ და შეუქციათ თავესებურად, ასე რომ ბიბლიური მოთხრობიდან მხოლოდ ჩონჩხილა დარჩენილა. პირველი პოეტი, რომელსაც ეს ეპიზოდი გამოუყენებია, არის შენსანიშნავი ფიქრდოუსი, თუმცა, უნდა აღინიშნოს აქვე, რომ ირანი Vusuf u Zuleixa მოკლებულია შაჰნაიეს ღირსებას და პოეზიის მხრივ მაინცაღამაინც საყურადღებოს არას წარმოადგენს.³ მეორე პოეტი, რომელსაც აგრეთვე დაუწერია Vusuf u Zuleixa 1483 წელს, არის აბდურაჰმან ჯამი;⁴ დასასრულ, 164-171662 წლებში პოეტმა ნაზიმმა გამოუშვა აგრეთვე თავისი Vusuf u Zuleixa.⁵ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯამიდან ნაზიმამდე და ნაზიმის შემდეგაც, თითქმის მეცხრამეტე საუკუნემდე, არა ერთსა და ორს სპარსეთის მოლექსეს უცდია თავისი კალამი ასეთისე გადმოეკეთებია ეს პოემა, თუმცა ამ გადმოეკეთებათა ლიტერატურული ღირსება უმნიშვნელოა.⁶

ეს რომანტიული პოემა ქართულ ენაზედაც არის ნათარგმნი თექვსმეტგარეცლოვანი რუსთველური ლექსით ორი სხვადასხვა რედაქციით: პირველს რედაქცია, ჯეფრო ძველი, უნდა ეკუთვნოდეს მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარს, ხოლო მეორე ეკუთვნის მეთუთემურაზ პირველს. პირველი რედაქცია

1) Е. Такайшвили, Описание I, 564—569.

2) А. Цагарели, Свѣдѣнія III, стр. 285, № 98.

3) H. Ethe, Neupersische Literatur, S. 230 Grundriss II).

4) Ibid S. 231—2.

5) Ibid S. 232.

6) Ibid S. 232.

შენახულა ერთადერთი ხელნაწერით (წ.-კითხვ. № 1283), რომელსაც, სანწუხაროდ, თავშიც აკლია ცოტა, შუაშიც და ბოლოშიც. ეს რედაქცია, რომელშიაც თერთმეტამდე სტენა დასურათებულიცაა, იწყება შესავალით; აქ ავტორი, აღნიშნავს რა რუსთველის სწორუპოვრობას, სთხოვს მას „მისცეს ნება იოსებ შვენიერის და ზილიხა სანატრელის ამბავი თქვას“. მერე ლაპარაკობს მოშაირობასა და მიჯნურობაზე. პირველს თავში ის, განაცხადებს რა, რომ „ეს ამბავი აღრინდელი ცოტა ეპპოეე დანარჩონი, ქართულადა გადავთარგმნე სპარსულადა მუნ ნათქვამით“, მოგვითხრობს ამბავს შვიდთა ქიშვართა მულობელის აღმოსაეღეთის ხელმწიფის რომწვენისას, რომელსაც ჰყავდა უმშენიერსი ასული ზილიხა. მისი ხელის საძებნელად თავი მოიყარეს სხვადასხვა ხელმწიფეთა შვილებმა, სხვათა შორის მოსულა რუსიც. მაგრამ ზილიხას გათხოვება არ უნდა. ვინაიდან მას სიზმარში უნახავს მშვენიერი ქაბუცი, ეგვიპტის მეფე, რომელიც გიჟივით შეყვარებია. მაშამ რომ ეს გაიგო, ეგვიპტის მეფეს აზიზს აცნობა, რომ აე მხადა ვარ ჩემი ქალი მოგცე ცოლადო, იმასაც მეტად გაუხარდა ეს წინადადება, ასე. რომ ზილიხა ეგვიპტეში წაიყვანეს. ის დარწმუნებული იყო, რომ ეს აზიზი სწორედ ის ქაბუცია, რომელიც მან სიზმარში ნახა, მაგრამ პირიპირ შეყრისას რომ სულ სხვა სახე დაინახა, გული წაუვიდა და სევდისაგან სულეთითან ჩამოხმა. ამ დროს ეგვიპტეში მოიყვანეს ეპკრებმა ძმებისაგან ორმოში ჩაგდებული იოსები, რომელიც ყველას აკვირებდა თავისი სილამაზით, ასე რომ მრავალი მსურველი აღმოჩნდა მისი ყიდვისა. მისმა ამბავმა მიიხწია სასახლეწმდეც, ამიტომ ის მაშინვე მეფემ იყიდა და ზილიხას მიაბარა აღსაზრდელად. ზილიხა უახლოვდება იოსებს; გაიგებს მისგან მის თავგადასავალს და მის გულში ტრფობის კოცონი აღეწებება, ვინაიდან სიზმარში ნახული მოჩვენების განსახიერება მან პოვა იოსებში.

იამანეთის დედოფალს ბაზიყასაც სმენია იოსების მშვენიერება და ზილიხასთვის მოუწერია—დამითმე ისაო; ზილიხას უარი შეუთვლია, ასე რომ ბაზიყას მიუტოვებია თავისი სამეთოდო მოსულა ეგვიპტეში იოსების სანახავად. მისი სილამაზით გაგიჟებულს და ამავე დროს დარწმუნებულს, რომ ის მიზანს ვერ მიახწევს, იქვე თავი მოუელავს. მერე იწყება ტანჯვა ზილიხასი, რომელსაც უნდა როგორმე მოინადიროს იოსების გული; იოსები ამისი წინააღმდეგია ანატიომ ვაბრაზებული და სასოწარკვეთილი ქალი აბეზღებს მას ქმართან—თითქოსდა უწყესო საქციელისათვის, და იოსებს ციხეში დაამწყვდევენ. ბოლოსადაბოლოს იოსები, მას შემდეგ, რაც მან მეფეს სიზმარი აუხსნა. ციხიდან გაანათვისსულეს, მეფემ ის დაიახლოვა და თავის მარჯვენა ხელად გაიხადა, ასე რომ. მისი გარდაცვალების შემდეგ, ის მეფედ აირჩიეს. ამის შემდეგ იოსები ჯეროდან სასჯელს მიაყენებს იმ ქალებს, რომელთა ცბიერობით მასა და ზილიხას შორის ასეთი განწყობილება დამყარდა, მერე იხმობს განსაკითხავად თვით ზილიხასაც. ანით თავდება პოემა, რომელსაც ბოლო დაქარგვია.

თეიმურაზის რედაქცია ზილიხას ვინაობის შესახებ არას ამბავს: შესავალის შემდეგ, რომელშიაც ავტორი გადმოგვცემს მოკლედ ვეფხისტყაოსნის მინაარსს, მისი ავტორის ვინაობას და ვისრამიანის ლიტერატურულ ის.

ტოლიას.¹ ის მოავითრბობს იოსების ამბავს, მის ეგვიპტეში მიყვანას, გაყიდვას, ზილიხანის გამიჯნურებას, ბაზიყას სიყვარულსა და სიკვდილს, იოსების და ზილიხანის ერთად შეყრას, მერე იოსების ციხეში ჩასმას, იქიდან განთავისუფლებას და გამეფებას აზიხის სიკვდილის შემდეგ; თავდება პოემა იოსების და ზილიხანის დაქორწინებით.

ზოგი ეპიზოდი თეიმურაზის რედაქციაში უფრო ვრცელადაა აღწერილი, როგორც მაგალითად, ბაზიყას ვინაობა და აღზრდა, აგრეთვე მეკერპეობის მოგონება ეგვიპტეში, ზოგი კიდევ პირველს რედაქციაში, მაგალითად—ბაზიყას სიყვარულის ისტორია; თეიმურაზის რედაქციამ არ იცის ის მიწერ-მოწერა ბაზიყასა და ზილიხანს შორის, რომელსაც ჩვენ პირველს რედაქციაში ვპოულობთ. ია მოკლედ ეხება აგრეთვე ზილიხანს პიროვნებასა და სიმშვენიერეს; ზილიხანს ვითა ვაქო, სიტყვანაკადრმან, სპარსთ უქიათ ენამრავლადო“, ამბობს თეიმურაზი.² საერთოდ პირველი რედაქცია, თეიმურაზის რედაქციასთან შედარებით, უფრო მოკლეა, ამას არც თვით მისი მთარგმნელი მალავს, როდესაც ამბობს: „ეს ამბავი აღრიხდელი ცოტა ვპოვე დანარჩომი“. აქედან ცხადია, რომ ეს ორი სხვადასხვა რედაქციაა; პროტოტიპი ჩვენი ვერსიებისა უნდა ვეძიოთ ან ფირდოუსის, ან აბდურაჰმან ჯამის რედაქციებში, ვინაიდან სხვების, ნაზიმისაც კი, ქრონოლოგიურად ჩვენს ვერსიებს მისდევენ უკან. მაგრამ რამდენადაც, ჩვენს ხელს არსებულ წყაროების მიხედვით, ფირდოუსისა და ჯამის რედაქციებს ვიცნობთ.³ იდენტიური კავშირი არც ამათთან უნდა ჰქონდეთ მათ. ჩანს, ქართულ რედაქციებს ტიქსტი საკმაოდ თავისუფლად უთარგმნიათ: შეუმოკლესათ, გაუფრტიათ, ეპიზოდები გადაუსვ-გადმოუსვამთ, ერთი სიტყვით, —თვალსაჩინო თავისებურება შეუტანიათ შიგ. ასე რომ, თეიმურაზის სიტყვები:

მათ საქმესა საღმრთო წიგნი მოკლედ ამბობს დაბადება,
სპარსთ ვალექსეს ტკბილად რამე, რა ბრალია ჩალაგმება,
რაც მათ ეთქვა, მე ის ვთარგმნე, ხოტბა იყო თუ ლაყება,
არას ბარგებს საუყუნოს, ვა-მე სული მებრალება,—⁴

არ უნდა გვენმოდეს ისე, ვითომც მან ყოველივე უცვლელად თარგმნა. ჯერ ერთი, შესავალი სპარსული რედაქციებისა ქართულში გამოტოვებულია, მათ მაგიერ ჩვენს რედაქციებს თავისი საკუთარი პროლოგი აქვთ. მეორე, ქართულს რედაქციებში არ არის ლაპარაკი ძვირფასი სარტყელის (ჯამი) თუ ძვირფასეულობით აღსავსე ყუთის (ფირდოუსი),⁵ არც მდინარე ნილოსში ბანაობის შესახებ. ორსავე ქართულ რედაქციას ატყვია გავლენა ვეფხისტყაოსნისა, რომლის გმირები მოხსენებულია მათში; მაგალითად, პირველს, ძეგლს რედაქციაში, დასაწყისს თავში, ეკითხულობთ:

1) E. Такайшвили, Описание II, 539—543.

2) წერ.-კთხ. ხელნ. №103, ფ. 11.

3) H. Ethe, Neupersische Literatur, S. 232 (Grundriss II); J. Mohl, Le livre des rois, t. I, préface, p. XLVIII—XLX. A. Хандиовъ, Очерки, III, 86, прим.

4) წერ.-კთხ. ხელნ. №103, ფ. 52.

5) H. Ethe. S. 232.

თუცა ხელქმნილი რუსთველი თინათინს აქებს არ ავსა,
ნესტან-დარეჯან ბროლ-ვარდსა გიშრის მანითა სარავსა,
ივინი ამას¹ ვადაროთ, რა უთხრათ დაუფარავსა,
ხოტბა ვინებო, არ ძალმიც კებითა ზოუგვარავსა.²

ანა და მეორე აღვიღას შენიშნავს: „ესრე არ რაჯლა (?) დარეჯან, მარტო რომ იყვის ნაეითა“.³ ვეფხისტყაოსნის სურათებსა და შედარებებს ვხედავთ აგრეთვე თეიმურაზის რედაქციაშიც.

ვის ეკუთვნის პირველი ქართული რედაქცია, არ ვიცით, ერთი კია, რომ, როგორც ზეითაც ვთქვით, ის შეთქმსმეტე საუკუნის პირველი ნახევრის უვლიანესი არ უნდა იყოს. ამას, სხვათა შორის, ადასტურებს მისი ფონეტიკურ-სტილისტიკური თავისებურობაც. მთარგმნელი თითქმის სისტემატურად ორ თანხმოვანთა შორის სვამს ხოლმე ხმოვან ა-ნს, რომელიც არ გამოითქმის, ვინაიდან ლექსწყობილობას არ არღვევს; მაგალითად:

„გათენდა, ქალმა გამდელსა უბაძანა მაქირს რა არა მე“ (გვ. 13).

„მეფე ვანახე გამოჭარილი“ (გვ. 14), „რა ქალი ნახეს მთხოვართა, შეიქანენ ვითა ხელია“ (გვ. 23); „მერმე ეაჭართა მიზაყიდეს, საქამე ქანეს“ (გვ. 123); მათვარე კირჩხიბაზე გავიდა. ეარსკვლავანი გარე დაგებოდენ“ (გვ. 130); „რაზომაცა სიტყუა მიუგეს მაქეეარი და ლამაზმანები“ (გვ. 167). „ნაკალულთა“ (გვ. 11), „უნახავას“ (გვ. 11), „ყამისა“ (გვ. 12), „მაკლავს“ (გვ. 12), „ენახე“ (გვ. 12). „მოესვი-

ვანეს“ (გვ. 12) და სხვ. ამგვარი გახმოვანება ა-ნით იშვიათი არაა, მაგრამ უფრო ხშირად მას შეთქმსმეტე საუკუნეში ვხვდებით. ამას გარდა აღსანიშნავია, რომ მთარგმნელი ხმარობს ყვეელი (ყოველის მაგიერ), მისდღეჩი (გვ. 206), აგრეთვე სიტყვას დიაღმერთო (გვ. 133), რომელსაც კლასიკური პერიოდის ძეგლებშიაც ვხვდებით. ლექსი ამ რედაქციისა მუსიკალობით და რითმითა სიმდიდრით თეიმურაზის რედაქციას არ ჩამოუვარდება. ამ რედაქციაში გვხვდება მრავალი მოხდენილი, ლირიზმით ილსაესე აღგილები, განსაკუთრებით იქ. სადაც ბაზიყას მიჯნურობაზეა ლაპარაკი.

როდისაა მთარგმნილი თეიმურაზის რედაქცია? ამის შესახებ დადებითს პასუხს გვაძლევს არჩილ მეფე თავის არჩილიანში⁴, სადაც თეიმურაზს ათქმევინებს:

ამ დროს ეთქვი ლეილ-მიჯნური, ზილიხან იოსებისა.

ქება. შეენება, სიტურფე, მიჯნურთა ცეცხლებრ დებისა,
გაქრა მინდორად, ხელობა, გულთა ლახვრულად სობისა
ტყბილად რამ აღმოვმეტყველე ლექსები სხივ-შუქებისა.

გამოეაჩინე ნათქვამი მე ჩემის მუსიკობისა,
არ დაშვრა ენა მეტყველი ტყვილად მათხედა მკობისა,

¹) ესე იგი—სილიხანს.

²) წერ.-კითხ. ხელნ. № 287, გვ. 5.

³) იქვე, გვ. 190.

განმარტვითა ვთქვი ქართულად თქმული სპარსთ არაკობისა
საამოდ მრჩენი მსმენელთა მათებრად აშოიკობისა.¹

„ამ დროს“, — როდის? აქ ავტორს მხედველობაში აქვს ის ხანა თეიმურაზის მეფობისა, როდესაც ის ზურაბ ერისთვის მეოხებით გაერთიანებულ ქართლ-კახეთს განაგებდა, ესე იგი 1629—1634 წლები.² მაშასადამე, ამ წლებში უთარგმნია მას ორი თავისი მნიშვნელოვანი შრომა: ლეილა-მეჯნუნიანი და იოსებ ზილიხანიანი. საყურადღებოა ეს მოწმობა იმითაც, რომ აქ აღნიშნულია ხასიათი თეიმურაზის მთარგმნელობისა: იმას სიტყვა-სიტყვით კი არ გადმოუცია ეს შრომები, არამედ, როგორც აქ არის ნათქვამი, განმარტვით, ესე იგი თავისებურობის შეტანით.

4. ლეილა-მეჯნუნიანი.

იოსებ-ზილიხანიანთან ერთად, როგორც დაეინახეთ, თეიმურაზს უთარგმნია შესანიშნავი რომანტიული პოემა ლეილა-მეჯნუნიანი ნიზამი განჯელისა. სპარსეთის გამოჩენილი რომანტიკოსი ნიზამი იყო ქუმელი (დაიბადა 1141 წ.), მაგრამ, ვინაიდან მომეტებული ნაწილი თავისი ცხოვრებისა მან ქ. განჯაში (ადერბეიჯანში) გაატარა, ის ცნობილია აგრეთვე განჯელის სახელითაც. ნიზამი ხან შირვანშაჰების კარზე ცხოვრობდა, ხან ადერბეიჯანის ათაბაგების სასახლეში; პირველნიც და მეორენიც მას დიდს მფარველობას უწყევდენ, მისი მეგობრობით ამაყობდენ და ამათუმი თხზულების დაწერას უკეთავდენ; გარდაიცვალა ის 1203 წელს.³ ნიზამის შესანიშნავი ჰამასას ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ითვლება ლეილა-მეჯნუნიანი, რომელიც მას დაუწერია შირვანშაჰ ალსართან მეორის შეკვეთით და 1183 წელს მიუძღვნია მისთვის.

შინაარსი ლეილა-მეჯნუნიანისა მოკლედ ასეთია:

არაბეთის ქალაქ ლაზოში ორი მონათესავე, მეფეთა შთამომავალი, ოჯახობა ცხოვრობდა; ერთსადიამავე ღამეს ერთს ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც ყაისი უწოდეს, ხოლო მეორეში-ქალი, რომელსაც ლეილა დაარქვეს. ვაჟს, მეტად ღამაზს, ერთი ზნე გამოაჩნდა: თუ ძიძა ღამაზი არ იყო, მის ძუძუს პირს არ ახლებდა; ასტროლოგებმა მის დედმამაა უწინასწარმეტყველეს, რომ ის შეუღარებელი მიჯნური გახდება, ასე რომ მიჯნურობისაგან უდაბნოში გაიქრებაო. შეიდი წლის ყაისი და ლეილა მშობლებმა ერთსადიამავე შკოლანი მიაბარეს მოლას; ბავშები ჯერ კარგად მეცადინეობდენ, მაგრამ რამოდენინე ხნის შემდეგ ყაისს სიზარმაცე დაეტყო. მოლამ აღმოაჩინა, რომ ბავშებს ერთმანეთი უყვართ, ამისათვის ის ყაისს გაუჯაჟრდა, მეჯნუნი დაარქვა მას და

¹) ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა, პ. იოსებლიანის გამოცემა, გვ. 127, ტ. 198—499

²) ქართლის ცხოვრება II, გვ. 45—46.

³) H. Eth. Neupersische Literatur, S. 241; W. Bacher, Nizami's Leben und Werke, Leipzig 1871.

სასწავლებლიდან დაითხოვა, ამასთანავე მშობლებს გადასცა ლეილაც, როკლ-
 შაც დედამა დააწმუნა მოლას ექვების უსაფუძვლობაში. მეჯნუნი კედება ლეი-
 ლას უნახაობით, ის დროგამოშვებით, ჩემად, მიიბრუნეს ხოლმე სასწავლებელში
 და ჰკოცნის იმ ადგილს, სადაც ლეილას გაუვლია. ერთხელ მას სიყლისაგან
 გაეხსნა ძარღვი და სისხლიდან იცლებოდა; თავზარდაცემულ მშობლებს ურჩია
 თვით ავადმყოფა მოეტანათ მიწა, რომელსაც ლეილას თეხი შეეხებია ოდესმე.
 და ქრილობაზე დაეყარათ; მართლაც, ამგზით მას სისხლის დენა შეუწყენს.
 თუმცა სელოიერს მის მდგომარეობას, თუ უარესობა არა, გაუმჯობესობა არ
 ეტკობოდა. მშობლებმა გამართეს თათბირი ყაისის შესახებ, ნათესავებმა ურ-
 ჩიეს შეერთოთ მისთვის ლეილა; უქანასკნელის მშობლებიც თანხმა შეიქნენ ამი-
 სი. ასე რომ ქორწილიც გადაიხადეს. როდესაც ქებინის წიგნს ჰკითხულობ-
 დნენ, ყაისს შეშლილობის ნიშნები აღმოაჩნდა: მან ვერ მოითინა და კოცნა
 დაუწყო ლეილას. ლეილას მშობლებმა ამისათვის ის სახლიდან გააგდეს. ამის
 შემდეგ ყაისი უდაბნოდ გაიქრა, მისი მამა მოკვდა, ქონება მისი ლეილას დედ-
 მამის ხელში გადავიდა, ხოლო დედა მისი დარჩა უნუგეშო მდგომარეობაში:
 ლეილაც მეტად შეწუხებული იყო და დღედღობით იღეოდა. ერთხელ მის
 სახლში მათხოგრის სახით მოვიდა მეჯნუნი, ლეილამ ის იცნო, მოწყალეობა გა-
 მოუტანა, მაგრამ ველარ მოითმინეს და ერთმანეთს მოეხვიენენ. დედამ ეს დაი-
 ნახა და საშინლადა სცემა ქალს, სულ თმებით ათრია მიწაზე. ზაფხულზე ლეი-
 ლას მშობლებმა მოინდომეს მისი მთებში გადაყვანა ჯანმრთელობის გასაუმჯო-
 ბელებლად. აქლემი, რომლითაც ლეილა მიჰყავდათ, ჩამოშორდა ქარაიანს და
 უდაბნოში გავიდა; აქ ის წაიჩეხა მხეცებს, რომელთა შორის მეჯნუნიც აღმოჩნ-
 და. მხეცები გაიფანტენ, მეჯნუნი დარჩა მარტო და როდესაც ლეილა დაინახა,
 ჰკითხა მას: ვინა ხარ, ან რა გინდა ჩემგანო? „მე ვარ შენი ლეილაო“, უპა-
 სუბებს ქალი; მეჯნუნს ამ სიტყვების მოგონებაზე გული წაუვიდა, ლეილა გად-
 მოხუა აქლემიდან და მეჯნუნი გონზე მოიყვანა. ის მას ეალერსება, ანუეუშებს
 და ეუბნება: დამშვიდდი, ამიერიდან ჩვენ ეერაიენ დაგვაშორებს ერთმანეთს,
 ადექი, აქედან წავიდეთ და დაეიმალოთ, თორემ მე ძებნას დამიწყებენო! სა-
 ნამ ცოცხალი ვიყავ, ნება არ მომცეს შენთან ყოფნით დაემტკარიყავ, ესლა კი,
 როდესაც მე აღარც კი ვარსებობ, ყველაფერი დაგვიანებულიაო, უპასუბებს
 მეჯნუნი. ამ დროს მათ თავზე წაადგა მძებნელები, ლეილა გამოსტაცეს მეჯ-
 ნუნს და წაიყვანეს მთაში. გამოკეთების მაგიერ აქ ლეილა უფრო ცუდად გახ-
 და: შემოდგომაზე ის ისევ ქალაქში გადმოიყვანეს. ამდროს მისი მშობლების
 სანახავად მოვიდა ბაღდადის ხალიფას შვილი; რომელსაც გზაზე შეხედროდა
 მეჯნუნი, შებრალებოდა ის, დაწერილებით გამოუეთხა მისი ვანაობა და ისიც
 თან წამოეყვანა. სახლში რომ მივიდნენ, მეჯნუნმა დაინახა ლეილა და უთხრა
 თავის მთარველს: აი ჩემი უბედურების მიზეზიო! ხალიფას შვილს მეტად
 მოეწონა ლეილა, მან მოინდომა მისი შერთვა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო
 წინასწარ მეჯნუნის გზიდან ჩამოშორება; ამიტომ მან მოინდომა მისი შოწამლეა.
 შეტომით მოწამლეული სასმისი ხალიფას შვილს მიაწოდეს, ასე რომ მეჯნუ-
 ნის მაგიერ ის მოიწამლა. ამ დროს მოვიდნენ მოციქულები შეიდათ ხელმწიფე-
 თაგან ლეილას სათხოველად, მაგრამ მან ყველას უარი შეუთვალა. ლეილას

დარდისაგან ღონე თანდათან ეცლებოდა, ასე რომ ბოლოსდაბოლოს მართლაც გარდაიკვალა. მეჯნუნმა რომ ეს გაიგო, მივიდა, დაემხო მის კუბოზე, მღულარე ცრემლებით გამოიტირა თავისი სატრფო და იქვე განუტევა სული თვითონაც. შეყვარებულები ერთად დაასაფლავეს;

მიერ ეაშთაგან გაისმა სპარსეთს ამბავი მათია,
შეამკვეს მოშაირეთა იგ ბროლ-ვარდ-მინა სათია.

ლეილას გარდაცვალების შემდეგ მისმა მშობლებმა ნახეს სიზპარში მშვენიერი წალკოტი, გარემოზღუდული ზურმუხტის კედლებით, ზურმუხტისავე კოშკებით დაშვენებული, აყვავებული სხვადასხვაკვარი ყვავილებით და ხეხილათ. აქ ფრინავდნ და ნაეარდობდნ მშვენიერი ფრინველები, რომელნიც თავიანთი მომხიბველი გალობით იქაურობას ატკობდნ. ამ წალკოტში გამოდიოდა ოთხი მდინარე: წყლის, რძის, თავფლის და ლეინის; ვისაც რომელი უნდოდა, იმას სვამდა, საკმელად ხმარობდნ ხილსა და ფრინველთა ხორცს.

ეს არის მათი სამოთხე, მაჰმად ამგვარად უწესა,
ქალნი და ვაჟნი ტურფანი მათ მყოფთა გვერთა უწევსა,
იგ დაფარულნი ასონი უთქვამს სამწყურთამდი უწევსა,
მთქმელსა და დამჯერებელსა ამა ამბისა ფუ წვერსა!

მათ ფელამბარსა სამოთხე, მუსაფი ესრეთ უქიან,
ქალებსა ჰური, ფერი და ვაჟებსა ყილმან უქიან.
ნდომა არ მოაკლდებისა, მათთან ალერსით უქიან,
ეგზომნი სულნი ვით ჯერან, მიკვირს, არ გაუქიქიან.

აი ასეთს სამოთხეში იხილეს მშობლებმა ლეილა და მეჯნუნი.
უთხრა თუ მე ვარ ლეილი, ეს მეჯნუნ ჩემვის ხელები,
მუნ არ გვამყოფეთ ჩვენ ერთად, მით გეწვიდა ცეცხლი ცხელები.
ცოდვა არ იყო ჩვენ შუა, არ საქმე საკიცხელები,
აქ მან შეგვეყარა, წყალობა ვის აქვს აურაცხელები.

უწყოდეს ღმერთმა მოწყალემ, არ ბრალი გვექონდა ბილწობა,
მუნ უზაკველი სურვილი, არ ცუდი გოგო-ბიჭობა,
იქ უსამართლოდ წაგვიხდა ჩვენ კბილთა მარგალიტობა,
აქ მოგვცა მოსამართლემან ერთმანეთისა კერიტობა. ¹

ნიზამის მიბაძვით ლეილა-მეჯნუნიანი სხვა პოეტებსაც უწერიათ, მაგალითად, აბულჰასან ამირ ხოსროეს 1299 წ. ² და მეთუთხმეტე საუკუნეში აბდურ-რაჰმან ჯამის, ³ მეთექვსმეტეში—Hafisi-ს. ⁴ ქართველ მთარგმნელს სკოლნია ეს გრემოება და ამიტომ შესავალშივე გვამცნებს, რომ „ლეილა-მეჯნუნის ამბავსა შიხ შეიდს“, ესე იგი—ნიზამის „დავეცილებიო“. მთარგმნელს თავის შრომაში ზოგი რამ თავისიც შეუტანია; ჯერ ერთი, მას შეუცვლია შესა-

¹) წერა-კითხ. ხელთნ. № 403, ფ. 55—98.

²) H. F. H. e. Neupersische Literatur, S. 214.

³) Ibid. S. 305.

⁴) Ibid. S. 216

ვალი, სადაც ღვთაებისადმი მიმართვა,¹ მეორე, სპარსულს ორიგინალში ვერ იქნება ასეთი ადგილები, როგორცაა:

„ვაჟი მონათლეს სეინათი, უყვეს რჯულისა წესითა“
და „ღედამ შეუტყო, აზრი ქნა ოქროსა მალ მიცემითა,
ვით დაეარ ნესტან-დარეჯან მან დაალურჯა ცემითა“²

ქართველი მთარგმნელის მიერ უნდა იყოს მიმატებული, თუ მთელი თავი არა, — „ლეილას უკან ღედამათაგან სიზმარი და სამოთხეში ლეილასა და მეჯუნის ნახვა“, ყოველ შემთხვევაში მაჰმადიანური სამოთხის აღწერა, რომელშიაც იგივე ანტიმაჰმადიანური პოლემიკური ტონი და მასალა გვაქვს, რაც იმდროის სასულიერო მწერლობაში.

ვინ არის მთარგმნელი და გადამკეთებელი ამ პოემისა? ზ. კიკინაძე გადმოგვცემს, რომ ლეილა-მეჯუნიაანი უთარგმნია ზაალ თუმანიშვილმა, რომელიც ერთს თავის ლექსში სწერს, რომ ეს თხზულება მან სპარსეთში ყოფნისას გადმოიღო.³ ჩვენ არ ვიცნობთ არც ზაალ თუმანიშვილს და არც იმ ლექსს, რომელშიაც ასეთი ცნობა ყოფილა; შეიძლება, ვინმე ზაალს მართლაც უთარგმნოს ამ თხზულების ერთერთი რედაქცია (ნიზამის, ხოსროვის ან ჯამის), მაგრამ ასეთი თარგმანი ჩვენადე არ შენახულა, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არაა. რაც შეეხება დღესდღეობით ცნობილსა და არსებულ თარგმანს, ის ეკუთვნის თეიმურაზ პირველს. ეს შემდეგიდანაა ჩანს: 1) ამ თარგმანის ნუსხებს აწერია, რომ „ეს ამბავი სპარსთა ენათაგან ქართულად ნათარგმანებია ლეთივეკირჯეინოსნის მეფის პატრონის თეიმურაზისაგან და ლექსადაც მისგანეე თქმულიო“. 2) თვით თეიმურაზი დასაწყისშივე შენიშნავს:

ხელეკყავ წიგნებსა სპარსულსა ქართულად მე მთარგმნელობით.

სპარსთა ენათა სიტკომან მისურვა მუსიკობანი,
მძიმეა ენა ქართველთა, ვერ ძალმიც მისებრ თხრობანი,
მათ შეწმასნილთა სიტყვათა მინდა მარტივად მბობანი,
აწ გამოჩნდების ლექსითა მიჯნურთა შესხმა — ხმობანი.¹

3) თეიმურაზის ხელს ამჟღავნებს შესავალი და ბოლოსიტყვაობა თარგმანისა, სადაც იგივე აზრებია გატარებული, რაც სხვა მის უცილობელს შრომებში, სახელდობრ, შიში და ბოდისის მოხდა, რომ სასულიერო და საეკლესიო მატერიების მაგიერ, ის ამგვარი ზღაპრების თქმაში ჰყარგავს დროს: დაკარგა კრულმან სოფელმან იგი მზის მსგავსი მნათიო, სულს უჯობს ამა ლაყაფსა ვილოცო, ღამე ვათიო.

მეშინის, ვაი თუ სოფლისა ცუდმან საქმემან გამირთოს,
ნივთთა უკანა დგომამან სული ცეცხლზედა წამირთოს,

¹ J. Atkinson, Laïli u Majnun, a poem from the original of Nasami, 1836, London

² წერა-კითხ. ხელნ. № 403, გვ. 55, 66.

³ ლექსნი, თქმულნი თეიმურაზ პირველისაგან, გვ. 63.

) წერა-კითხ. ხელნ. № 403, გვ. 55

სიტყვა უქმისა პატიჯმან ჰირნი ჰირზედა დამირთოს,
პეტრეს სამოთხის ვალებად კლიტე ვერავინ წამირთოს.

სიპრძნე ხამს მარვედ სულისა, განქარდეს ხორცთა შვერანი,
უკლებლად სწერეს მამათა იგი წმიდანი მცნებანი,
არვინ იკითხავს წიგნებსა, შესწყინდეს ცუდნი ღებანი,
მას არვინ ისმენს, ვარჩივე სოფლისა მიღმოდებანი.

ეს მოტივები და აზრები თითქმის უცვლელად გატარებულია „გაზაფხულისა და შემოდგომის შედარების“ წინასიტყვაობაში.¹

4) მეჩვიდმეტე საუკუნის მწერალი ნოდარ ციციშვილი თავის ბარამგურ იანში ამბობს:

თეიმურაზ თქვა ამბავი იოსებ ზილიხანისი,
ლეილის ქება, სიტურფე და მეჯუნისა ჯანისი.²

5) იოსებ-ზილიხანიანს შიმოხილვისას ჩვენ მოვიყვანეთ არჩილ მეფის მოწინააღმდეგეობა, სადაც ნათქვამია:

ამ დროს ვთქვი ლეილ მიჯნური, ზილიხან იოსებისა
ქება, შვენება, სიტურფე, მიჯნურთა ცეცხლებრ ღებისა.

არჩილის ამ მოწმობიდან ჩანს, რომ ლეილა-მეჯნურიანი თეიმურაზს უთარგმნია 1629—1634 წლებში, იოსებ ზილიხანიანზე ადრე: უთარგმნია მას ის არა სიტყვა-სიტყვით, არამედ განმარტვით.³

5. ხოსროვ-შირინიანი.

გამოჩენილის რომანტიკოსის ნიზამი განჯელის კალამს ეკუთვნის სხვათა შორის, სამიჯნურო პოემა ხოსროვ და შირინი, რომელშიაც აღწერილია სიყვარული და თავგადასავალი სასანიანთა ხელშეწყობის ხოსროვ პარვიზისა და სომეხთა მეფის ასულის შირინისა.

როდესაც ტახტზე ავიდა ხოსროვი, მან გააბედნიერა თავისი ქვეშევრდომები. მის დროს გამოჩნდა ბარამ ჩუბინი, რომელმაც ჩინეთი დაიპყრო და იქიდან დიდი ალაფით დაბრუნდა; მას, რაღაც მიზეზით, გაურისხდა მეფე, ასე რომ ის იძულებული შეიქნა გაქცეულიყო. ხოსროვს სურს მისი შეპყრობა და კვალდაკვალ სდევს მას; ის სურათის საშუალებით გაიგებს, თუ რა მშენიერი არსებაა სომეხთა მეფის ქალი შირინი, და მის გულში აღენთება ამ ქალის სიყვარული. პირველი შეხვედრისას ისინი ელდაცემულნი დგანან და ერთმანეთის გამოლაპარაკებას ვერ ახერხებენ, მეორე შეხვედრისას ეფიცებიან ერთმანეთს განუყრელსა და მუდმივს სიყვარულს. ხოსროვის სხვადასხვა ლაშქრობა და შირინთან სამიჯნურო შეყრა-შეხვედრა შეადგენს პოემის შინაარსს.

¹) ზ. კიკინაძე, ლექსნი, თქმულნი თეიმურაზ მეფისაჲან, გვ. 16—17.

²) E. Такайшвили, Описание II, 527.

³) სპარსეთში, ყანდარის მახლობლად. ყოფილა ციხე ლეილ-მეჯნურისა, სადაც მე-18 საუკუნის დამღვეს ქართველებს სპარსეთის საქმეებში მიუღიათ ზონაწილეობა (ქართლის ცხოვრება II, 72).

ეს პოემა, რომლის წინასიტყვაობა აქებს სელჩუქიან სულტანს საჰიდ-თუ-გრულ-ბინ-არსლანს, ადერბეიჯანის ათაბაგს აბუ-ჯაჟარ-მუჰამედს და მის ძმასა და მემკვიდრეს ყიზილ-არსლანს, და რომელიც მიძღვნილია აბუ-ჯაფარისადმი, დაწერილია 1180 წელს.¹ მას გამოუწვევია სპარსულს ლიტერატურაში მთელი რიგი მიმბაძველებისა, რომელთაც თავისი საკუთარი ხოსროვ და შირინი დაუწერიათ; ასეთებია: ამირ ხოსროვი (+1325), Hatifi (+1521). (Qasimi Gunabadi (1543—4 წ.), Hidayat-ullah, Hindu და Sadiq Nami.²

ხოსროვ-შირინიანი ქართულადც უთარგმნიათ, მაგრამ არა ლექსით, არამედ პროზით; ჭეენამდე შენახულა ერთადერთი ცალი ამ თარგმანისა, რომელიც ინახება პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავში.³ ხელნაწერი, რომელსაც ბილო აკლია, ხოსროვ-შირინიანის გარდა შეიცავს კიდევ ბარამ-გულანდამიანს და ბახთიარს; ხოსროვ-შირინიანს უკავია პირველი 33 ფურცელი. ის ასე იწყება: „ქ. ამბავი პირველი. დასაწყისი ხოსროვისა და შირინისა, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები. აჯამისა მცოდინარეთა და ბრძენთა ასრე უთქვამთ ესე ამბავი: როდესაც ჯომუზის კელმწიფის მზე ჩასვენდა და დედამიწაში გასწორდა, კელმწიფის ძის ხოსროს თავი და მისი ვარსკულაფი ცამდი ამალდა...“

თავდება პოემა შემდეგნაირად: „ხოსროვანის ხე ფეკიდამ დავარდა. მოვიდა აღმოსავლეთიდან ღრუბელი და ქექა, სიკვდილისაგან ხოსროვანის მხემ სალამომდე ვერ გასდლო, მაშვიან დაიფარა. შირინმან გამწარებულმან მოვიდა, ნახა რომ სისხლის ღვარით ქვეყანა წითლად შეღებულიყო, ალვის ხე ლალა-ჯარში გდია, გულს შემოეყარა, ადგა, ხოსროს თავით ხანჯალი იყო, აიღო და დაიკა, მწყურვალე გული სისხლით გააძლო, დანაჭერი დანაქერზე დაადვა, სისხლით სისხლი უნდოდა დაეწყვიტა. აშვიობის ერთგულობა და წესი სისხლით დასწერა და დაადო. შირს ამბავი მოახსენეს. თავის ბედისთვინაც ავი იყო, არ იამა, მაგრამ შიშით მეჯლისი უბრძანა. ლეინოს სმევდენ, იმათთან მხიარულობდა, იცინოდა, გული სისხლით საესე ჰქონდა. უბრძანა რომ დამარხონ. ორი ალვის ხე, უდროოდ წაქცეული, ერთს სამარეში დამარხეს. სიკუდილი ყურთ უკან ლომივით ზის, ჩვენ კურდღელივით ძილში ვართ, იმას ვერ მოვრჩებით, და გარეშემო ის არის და შეუახე ჩვენ ვართ. ადამიანი უმს ქურქელს ჰკავს, რომ ზღვაში იყოს: უმი ქურქელი რომ დასველდება, ის მთელი როდისღა ამოვა. სიკუდილი გველემშაპია საშინელი: ვისაც უნდა ჩაყლაპავს და ქვეყანამ რომ

¹) H. E t h e, Neupersische Literatur, S. 212 (Grundriss... II).

²) Ibid. S. 244, 246—7.

³) №27 изъ собр. кн. Грузинскаго; ალ. ხახანაშვილს ეს ხელნაწერი აღნიშნულა აქვს №19 (Очерки III, 84, прим.) იოანე ბატონიშვილის ხელნაწერის კატალოგში, რომელიც ა. ცაგარლის მეორაა გამოცემული, ნაჩვენებია №.91: „ამბავი პირველი დასაწყისი ხოსროისა და შირინისა, სპარსულიდამ თარგმნილი ქართულად. ნაწერი ორგვარად, სრული არ არის (Свѣдѣніи III, стр. 212). აქ იგულისხმება ხმოდასახელბებული ხელნაწერი №27, რომელიც მართლაც ორი ხელითაა გადაწერილი და რომელიც ამ სიტყვების ავტორს ერთს თახულებდა, ხოსროვ-შირინიანად. მიუღია. ჩვენ ხელთა გექონდა ჯერ გამოუქვეყნებელი აღწერილობა ამ ხელნაწერისა, რომელიც პროფ. ა. შანიძეს ეკუთვნის და რომლითაც ვსარგებლობთ პირი ნებართვით.

მოინდომოს, ველარ მოარჩენს. არც იმთენი კელისძალი გვაქვს, რომ ევომოთ, არც გაქცევა შეგვიძლიან, რომ გავეცქეთ და მოვრჩეთ. რა სიკვდილი მოვა, ედა აღარ გაეწყობა. სიცოცხლე ქარია, რომ ძირი არა აქვს: ქვეიანმა კაცმა ზურგი არ უნდა მიქაყუდოს, რომ არ წაიქცეს. ხოსროს უკან შირმა სალაროები გახსნა და ქვეყანა საქონლით აავსო და ნადირობდა, სამართლობდა და ხელმწიფობდა“.

რას წარმოადგენს ქართული ხოსროვ-შირინიანი? ეს არის თარგმანი პირდაპირ ნახშიმის შრომისა, თუ ერთერთი მისი მიმბაძველისა და გადმოძველებელისა? ამ საკითხის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ monument-ს, რომლითაც თავდება ქართული თარგმანი: „ქ. ესე ნიხამიმ¹ მოიგონა,² თავის სიცოცხლეში შაირობდა, დიდი ხანია მინდოდა, რომ იმისის წყობით³ ლექსები იმას ეამსგავსე და ხოსროვი-შირინი დაეარქვი და ქორონიკონი ექვსას რვის წლისა იყო, რაჯაბს თვეს დაეწყევი. ვინც ნახოთ მიხზრას, რომ ხოსრო და შირინის სიცოცხლე გათავდა, ლქერთმან აცხონოს“. ეს monument, რასაკვირველია, ქართველ მთარგმნელს არ ეუთვნის, ვინაიდან, ჯერ ერთი, აქ ნახმარია მაჰმადიანური ქორონიკონი, მეორე, როგორც ქვევით იქნება ნაჩვენები, თარგმანი ვერ მიეწერება 608 ქორონიკონს მაჰმადიანურად ანუ 1211—12 წელს ჩვენებურად: შესამე—აქ ნათქვამია, რომ „ლექსები ეამსგავსეო“, ქართული თარგმანი კი არა ლექსით, არამედ პროზითაა შესრულებული. მაშასადამე, monument ეუთვნის ავტორის სპარსული დედნიისას. რომელიც ქართველ მთარგმნელს ხელთა ჰქონდა და რომელიც მან გადმოიღო პოემის ტექსტთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ monument დამახინჯებულია ხელნაწერის №27-ის გადამწერის მიერ, ის მაინც შეძლებს ისტორიულ-ლიტერატურულ ფაქტებს გვიშლის თვალწინ: 1) ხოსრო-შირინიანის დაწერა პირველად მოიგონა ნიხამიმ, რომელიც თავის სიცოცხლეში შაირობდა, ესე იგი ლექსებსა სწერდა; 2) მეც აღმეძრა სურვილი მიმებაძა მისთვის, ამიტომ ჩემს შრომასაც ხოსროვ-შირინი დაეარქვი; 3) შევასრულე ეს შრომა 608 ქორონიკონს ან 1211—12 წელს. აქედან ცხადია, დედანი ქართული თარგმანისა ყოფილა არა ნიხამის შრომა, არამედ ერთერთი მისი მიმბაძველისა, რომელსაც 1211—2 წელს ლექსადვე დაუწერია ხოსროვ-შირინიანი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სპარსეთის ლიტერატურის ისტორიაში ყველაზე ადრინდელ მწერლად, რომელსაც, ნიხამის მიბაძვით, ხოსროვ ვა შირინი დაუწერია, ამირ ხოსროვი ითვლება,⁴ ამ monument-ის საზოგადო ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა ეძლევა: ირკვევა, რომ ამირ ხოსროვამდეც ყოფილა ისეთი მიმბაძველი, რომლის შრომა ქართულს თარგმანს შემოუნახავს.

როდისაა ქართული თარგმანი შესრულებული? ხელნაწერი №27, რომელიც 1800 წელს უყიდა ეილაც ელენე კოშორიძის ქალისაგან იოანე ბატონი-

1) ხელნაწერში — „ესე ნიხამიმ“.

2) ხელნაწერში — „მოინდომა“.

3) ხელნაწ. — „წყალობით“.

4) H. Ethe, Neupersische Literatur, S. 24.; ხოსროვ-შირინიანი მას დაუწერია

შვილის ცოლს, ზურაბ წერეთლის ასულს, ქეთევანს, გადმოწერილია სხვა ხელნაწერიდან; ეს ჩანს შემდეგიდან: ტექსტში, თუმცა თავისუფალი ადგილი დატოვებული არაა, მაგრამ ასეთს შენიშვნებს ვაკითხულობთ: „სურათის ალაგი“, „აქა ხოსროსა და შირინის მეჯლისი და სურათი“, „აქა მეჯლისისა და სურათის ალაგი“, „აქა სურათის ალაგი“. გადმოწერილია ის 1784 წლამდე. ვინაიდან უღის ქალაღზე მიწერილია: „წელსა 1784 პრინცი მოიკლა.“ თუ ვითქვრბთ, რომ ის ორთოგრაფიული და სტილისტიკური ვულგარიზმები, რომლებითაც აღსავსეა ეს თხზულება და რომელთა ნიმუშებს ზემომოყვანილს დასაწყისსა და დასასრულშიაც მრავლად იპოვნის მკითხველი, ეკუთვნის არა გადამწერს, არამედ მთარგმნელს, თარგმანი ძველი არ უნდა იყოს, ყოველ შემთხვევაში მეთექვსმეტე საუკუნეზე აღრინდელად ვერ ჩაითვლება; სხვა არ იყოს, იმაში ასეთ ფრაზას ეხედებით: „თოფის სროლით კაცის მკერდი ცხრილივით იყო“ (გვ. 7—8).

ხოსროვ-შირინიანი თსარგებლნია ფარსადან გორგიჯანიძეს თავისი ისტორიის დაწერისას, რომელიც დასრულებულია 1696 წელს; აქ ჩვენ ვპოულობთ შემდეგ აზხაცებს: „უწინდელი ანბავი ეს არის—ხოსროვ პარტაველიანი ტრდად კემწიფის შვილი...“, „დაკარგვა ლორიღამენ შაბდიხის ცხენით შირინის ტრდათ კემწიფის შვილის სომეხთ კემწიფის ხოსროვის ქალისა და გლოვა და ტირილი მამიდისა და ძმებისა;“ „აქა შირინის მოსლვა მადანს და ხოსროვის მოსლვა მულამს ერთმანერთის საძებნელად;“ „აქავ კემწიფის ცნობა მაჰბანუ დედოფლისაგან და აშოყობა მისი და შირინისა და ერთმანერთის როძებარნი მულამში შეიყარნეს;“ „აქა ქორწილი ხოსროვ ერანის კემწიფისა სომეხთ კემწიფის ხოსროვ ტრდადის შვილის ქალს შირინისთანა და მადანს მიყვანა.“¹ უეჭველია, ფარსადანს ხელთა ჰქონია ხოსროვ-შირინიანი, ამიტომ შესაძლებელი იყო გეფეიქრნა, რომ ეს თხზულება თვით ფარსადანის მიერაა ნათარგმნი, მაგრამ ერთი გარემოება გვაყენებს: ეს პოემა მას გამოუყენებია ერთერთ წყაროდ, ხოლო ლიტერატურული წყაროები მისი სპარსული იყო და არა ქართული;² თუმცა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ პოემა მას ქართული თარგმანით არ ჰქონდა ხელში. ისიც შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ფარსადანის საისტორიო შრომამ, რომელშიაც კუბიურებია მხოლოდ მოყვანილი პოემიდან, ქართულს ლიტერატურულს წრეებში სურვილი აღძრა მისი მთლიანად გადმოთარგმნისა, რომელიც შესრულებული იქნება, მაშასადამე, მეთვრამეტე საუკუნის დაწდევს ვიღაც უცნობი მწერლის მიერ. მთარგმნელს, ვინც უნდა იყოს ის, ერთგვარი თავისუფლება გამოუწენია შრომის პროცესში; ამის მომასწავებელია, სხვათა შორის, ფრაზა: „ხუცესი და დიაკონი დამთვრალი იყუნენ, თითქო კოკოტით გამძღარან“ (გვ. 23), რომელსაც, ცხადია, სპარსულ დედანში ადგილი არ ექნებოდა; აგრეთვე ხოსროვი და შირინი ქართულად საუბრობენ და ქართულად უმელავენებენ ერთიმეორეს თავიანთ გრძნობებს (გვ. 23, 25—30), ე.ეც მთარგმნელის წვლილია.

¹) პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 241.

²) იქვე, გვ. 246—250

ხოსროე-შირინიანი შემდეგდროის სპარსეთის პოეტებს გადაუმუ-
ბავებიათ სხვადასხვანაირად და სახელად დაურქმევიათ ფარჰად-შირინიანი;
ასეთია, მაგალითად, მოლა ვაჰში ქირმანელი (†1583—4 წ.), საიდ-მოჰამედ-
ურფი შირაზელი (†1591 წ.), მირ-ჰაყილ-ყათარი, რომელმაც 1606 წელს შაჰ-
აბაზს უძღვნა თავისი ფარჰად-შირინიანი, ნავაბ-აზაფზან ჯაფარ (†1612
წლის შემდეგ) და სხვ.¹ ერთერთი რეცენზია ამ ფარჰად-შირინიანისა
ქართულადაც ყოფილა ნათარგმნი, თუმცა არ ვიცით, ვისგან ან როდის; ეს შემ-
დეგიდანა ჩანს: ბარამგულანდამიანის მოკლე რედაქციაში ვკითხულობთ:
„ფარად შირინისა სიყუარულითა ბეზთანისა მთაში გავიდა და დადგა; შირინ
რა ესე მოისმინა, მის მთისა მცოდნეთაგან მისი გზა გამოიკითხა და გაიპარა,
მისთვის დაკარგული ნახა და მოიკითხა.“² ამ ადგილის გარდაც, რომელიც, სა-
ფიქრებელია, სპარსული ტექსტიდანაა შემოსული ქართულ თარგმანში, ჩვენ
გვაქვს სხვა, უფრო კატეგორიული, მოწმობა ფარჰად-შირინიანის ქართუ-
ლად თარგმანის შესახებ; ქართულ ლიტერატურულ ძეგლთა სიაში, რომელიც
1810 წელსაა შედგენილი, მე-120 ადგილას აღნიშნულია „სპარსულიდამ ნათარ-
გმნი ფარად-შირინისა.“³

6. ბარამ-გურიანი.

ბარამ-გურიანი, რომელშიაც მოთხრობილია სამიჯნურო თავგადასა-
ვალი ერანის ხელმწიფის ბარამ, resp. ბაჰამ გურისა (სასანიანთა დინასტია-
დან), ეყუთენის გამოჩენილს რომანტიკოსს ნიზამი განჯელს; ის შეადგენს
ერთერთ ნაწილს მისი შესანიშნავი ჰამსისას და სპარსულად ეწოდება აგრეთ-
ვე *Hafli Paikar*, რაც „შვიდ მზეთუნახავსა“ ნიშნავს. სახელწოდება ბარამ
გური წარმოდგება იქიდან, რომ ბარამის აღსასრული ამ პოემაში დაკავშირე-
ბულია ქანჯართან, რომელსაც სპარსულად გური ეწოდება. ნიზამის ამ
თხზულებას, რომელიც დაწერილია 1197 წელს,¹ გამოუწვევია მთელი რიგი მიმ-
ბაძეელებისა და გადამკეთებლებისა, როგორც სპარსულს მწერლობაში, —ამირ
ხოსროეი (†1325), აბდურაჰმან ჯამი (†1492), ჯამალი (†1417), აზრაფი (†1459)
ფანი, აიში (XVII ს.) და სხვ.² — ისე თურქულშიაც. საკვირველი არ არის, თუ
ეს თხზულება ქართულს მწერლობაშიც გვხვდება; ის ნათარგმნია 16 მარცვლოვანი
რუსთაველური ლექსით, და ცნობილია — შემოკლებულად ბარამ-გურიანის,
resp. დიდი ბარამიანის სახელით, ხოლო ვრცლად — „ნანბავი სპარსული.

¹) H. Ethe, Neupersisch Literatur, S. 216—7.

²) ბარამიანი, გამოცემა ფამბაკლისა, ტფილისი 1901 წ., გვ. 21, სადაც ეს ადგილი
ჯალრესად დამახინჯებულია. ვრცელს ბარამ გულანდამიანში ეს ადგილი ასეა ვადმო-
ცემული: „არა გასმია, ფარად სიყვარულითა ბეზთანის მთაში მივიდა და იქ დადგა; შირინ რა
ესე მოისმინა მთისა მცოდნეთაგან, მისა გზა გამოიკითხა“ (ს. ძვ. მ. უ. № 86, ფ. 78).

³) Иродф. А. Игареян. Сказания III, стр. 233, სადაც, ალბად შეუცდომით, შირი-
ნის ნაცულად დაბეჭდილია შირინის.

⁴) H. Ethe, Neupersische Literatur. S. 212 (Grundriss... II)

⁵) Ibid. S. 217—8.

ქართულებზე ნათარგმანები, ქვეყნის მპყრობლისა ბარამ ხელმწიფისა და შვილთა ქიშვართა ხელმწიფეთა ქალების შერთვა და ცხოვრება მათი.“¹

შინაარსი ამ პოემისა ქართული თარგმანით ასეთია მოკლედ:

ერანის ხელმწიფეს ეზდიჯირდს, ყოველმხრივ ბედნიერს, არ ჰყავდა ვაჟი რაც მას მეტად აწუხებდა. ეწვირმა თარამ უჩიოა მას გაეცა გლახაკებზე წყალობა, რომ, იქნება, ღმერთმა წყალობის თვალთ მოიხედოს და შვილი მოგეცესო. მეფემ დაუჯერა და მართლაც შეეძინა ვაჟი, რომელსაც ბარამი დაარქვა; ბარამი გაიზარდა, ის მეტად ლამაზი და ახოვანი შეიქნა. მეფემ, როდესაც მოხუცებულობა დაატყო თავის თავს, ტახტი ბარამს დაულოცა; რამოდენიმე ხნის შემდეგ ეზდიჯირდი გარდაიცვალა კიდევ, ბარამი გლოვის ნიშნად ერთს წელიწადს ბნელში იჯდა, მერე გამოიტირა მამა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობას შეუდგა.

ერთხელ ნადირობის დროს, როდესაც ის მდინარის პირს იჯდა, მასთან მოვიდა ჩინეთიდან მხატვარი მანი და მოახსენა, რომ ჩინეთში ერთს ვაქარს ჰყავს მეტად ლამაზი ქალი, რომლის სურათი მე თან მოვიტანეო, მას სახელად დილარამ-ჩანგი ჰქვიაო. ბარამმა რომ სურათს დახედა, სიყვარულის ალი მოედვა მას, და იმ წამსვე გაგზავნა კაცები ჩინეთში ქალის მოსაყვანად. ჩინეთის მეფის დახმარებით მან, მართლაც, მიიღო ეს ქალი, რომელიც ცოლად შეერთო და რომელთანაც სრულს ბედნიერებას განიცდიდა. ერთხელ ნადირობისას ბარამმა და მისმა მეუღლემ დაინახეს ორი კანჯარი, რომელთაც ერთად ეძინათ; ცოლმა უთხრა ბარამს: ქებას შეგასხამ მაშინ, თუ ისე მოარტყამ მათ ორივეს ისარს, რომ „მიუბა ყურა ყურსაო“, ბარამმა მართლაც ასე მოარტყა, მაგრამ ქების მაგიერ, ცოლმა უთხრა: ჩვეულის ქნით ყოველი საქმე გაადვილდებოა. მეფეს ეწყინა ეს, გაჯაერდა, სცემა ცოლს და გადასცა ერთ ყმას და უთხრა: წაიყვანე მინდერად, მოკალი და დააგდე იქ მხეცთ შესაჭმელადო. ყმამ წაიყვანა ქალი, რომელმაც მას უთხრა: მე დარწმუნებული ვარ, მეფე გონს მოვა მალე, ის უჩემოდ ვერ გაძლებს და ისევე მოპიკითხავს, ამიტომ ნუ მოშკლავ და სამაგიეროს გადაგიხდითო. ყმამ ძიობა შეჭვივია მას, წაიყვანა თავის ბაღში და ერთს მშენებერს, მაღალს კოშკში დააბინავა; თან აახლა ქალს დედა და ერთის წლის მოზვერი, რომელსაც დილარამი ხელში აიყვანდა ხოლმე და ისე აიყვან-ჩამოიყვანდა კოშკის მაღალ კიბებზე. ბარამი მართლაც გონს მოვიდა, უდილარამოდ ველარ სძლებდა, ტიროდა და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ბარამმა მხატვარმა მანიმ უთხრა მას: წარსულს ევლარ დაიბრუნებ, მკვდარს ველარ გააცოცხლებ,

¹) დღესდღეობით ცნობილია სამი ნუსხა ამ თხზულებისა: 1) წერა-კითხვის მუხეჯირს № 4529, რომელიც გადაწერილია 1671 წლის ახლო ხანებში; ამ ნუსხას ბევრი აკლია, მაგრამ საყვრადღებოა თავისი ვრცელი შინაარსით. რომელიც მთლიანად სხვა ნუსხებში არაა წარმოდგენილი (E. Такайшвили, Описание II, стр. 525—539). 2) საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების № 952, ესეც მეტიდმეტე საუკუნისაა. 3) უნივერსიტეტის სიძველეთა მუხეჯირის № 86ა, ფ. 131—213; გადაწერილია 1779 წელს, ხოლო შევსებული 1784 წ. მღვდელი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ (E. Такайшвили, Описание II, стр. 514, 516, 518). M. Джайнашвили, Описание III, стр. 85—90). უკანასკნელი ორი ნუსხა არ განსაკუთრდება ერთი მეორესაგან; ში აარსის გადმოცემისას ჩვენ ესარგებლობთ სიძველეთა მუხეჯირის წესით.

ამიტომ ტირილსა და ვაებას თავი დაანებებ. შვიდთა იყლიმთა მეუენი შენ გემორჩილებიან, მისწერე მათ და ისინი არ დაიშურებენ შენთვის თავიანთ მზეთუ ნახავე ქალებს, მოიყვანე ისინი და ბედნიერი იქნებიო. ბარამმა მართლაც დამამშვიდებელი პასუხი მიიღო, ყველა მზად იყო გამოეგზავნა მისთვის თავისი ქალი. ბარამი მოეზნადა, თვითეული საცოლოსათვის ააგო საგანგებო მორთულობისა და ფერის კოშკი, რომ მათ ცალცალკე ეცხოვრათ.

პირველად მან მოიყვანა ინდოეთის მეუის ქალი და დიდებული ქორწილი გადაიხადა; პირველსავე ღამეს ძილგატეხილმა ბარამმა დაუძაბა თავისთან ბრქენ მანის, რაზელაც ფარდაგს უკან ჩამოჯდა და იქიდან მეუესა და დელუფალს უამბო შემდეგი:

იყო ინდოეთში დიდებული მეუე; ერთ დღეს მასთან მოვიდა ორი ყმა შავით ჰოსილი და მოწყენილი. მეუის შეკითხვაზე, —რა მოვიდით, მათ უთხრეს, რომ თურქესტანში არის „შაეი ქალაქი“, რომლის მცხოვრებნი შავით არიან მოსილნი და ყველა მოწყენილიაო; თუ გსურს გაიგო მიზეზი მათი ასეთი ყოფისა, თეთრ უხდა ინახულო ეს ქალაქიო. მეუემ ჩააბარა თავისი სამეუო თავადებსა და დიდებულებს და მართლაც წავიდა „შაეის ქალაქს“, სადაც ის ერთს ყასაბთან გაჩერდა. ყასაბს აუწყა თავისი ეინაოზა და სთხოვა აეხსნა მისთვის ის, რაც მას აინტერესებდა. ყასაბმა ის წაიყვანა ერთს მაღალ კოშკთან, რომელზედაც დაკიდებული იყო გოდორი; ყასაბმა მეუე ჩასვა გოდორში, რომელიც უცბად ატაცებულ იქმნა ზეით, ასე რომ მეუემ თავისი თავი კოშკსა ზედა დაინახა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოურინდა ერთი საშინელი ფრინველი, დიდხანს იჯდა მის გვერდით, ბოლოს მან ფრთები გაშალა და გასაფრენად მოეხადა; მეუემ წააელო ფეხში ხელი, ფრინველმა ის გაიტაცა და ერთს მშენიერს ბაღში ჩამოუშვა, სადაც მშენიერი სასახლე იყო. ის მიწვა ხის ძირში და ჩაეძინა; დაბინდდა თუ არა, მან დაინახა ქალთა ჯარი, რომელსაც წინ მიუძღოდა ულაამხესი ქალი. ქალებმა მეუე წაიყვანეს სასახლეში და აქ მთელი ორმოცი დღე ჰკავდათ აუწერელს განცხროვაში: ყოველამ ეს უზრობი ქალი გაატანდა ხოლმე ერთს მისი ამაღლის კეკლეუ ქალა. მაგრამ მეუეს გულში ჩაუვარდა სიყვარული ამ უფროსი ქალისა; მეორმოცე დღეს ჩაიგდო ის ხელში და ძალის ხმარება უნდოდა მახედ. ქალი ემუდარება: ჩემთან კაცს საქმე არ ჰქონია ჯერ, მოთმინება იქონიე და მერე აგისრულე სურვილსაო. რადგანაც ვერაფერს გახდა, სთხოვა: ეს მაინც მიყავი, რომ ჩემს შიშველს ტანს ნუ შეხედაე, თვალეზი დახუქეო. მეუემ დახუქა თვალეზი და უცბად იმავე გოდორში გაჩნდა, რომლითაც ის კოშკზე ატაცებული იყო; დაეშვა ძირს და განცილილი განცხრომის შემდეგ თავისი თავი ისეთსავე პროზაულს პირობებში დაინახა, რომელშიაც წინათ იყო. შესტირა და შესჩივლა ყასაბს, რომელმაც უთხრა: აღბად ეხლა შეიგნებ შენ, თუ რად არიან შავით მოსილნი და მტირალნი ამ ქალაქის მცხოვრებნიო. მეუე დაბრუნდა ინდოეთში და სევედითა და ვაებით შეპყრობილმა მეფობასაც კი მიანება თავი.

მეორე ცოლი ბარამმა მოიყვანა თურქთა ქვეყნიდან, გადაიხადა დიდებული ქორწილი და პირველს ღამეს ბრძენმა მანიმ, როგორც წინათ, შემდეგი ზღაპარი უამბო მასა და მის ახალს ცოლს:

ინდოეთის დიდებულს მეფეს ჰყავდა შვილი ომაინი, მეტად ლამაზი და ახოვანი. 20 წლის რომ შეიქნა ის, სიზმარში ნახა, ვითომც მოქარავენებს კუბოში მოჰყავდათ ერთი მზეთუნახავი, რომლის დანახვამ მას ჰკეუ და გონება წაართვა, მაგრამ კითხვითაც კი ვერ ჰკითხა მათ, ვინ არის ეს ქალი ან სად მიდიანო. ომაინი მოიცვა სევდამ, აღარ მზიარულობს, აღარ ერთობა ტოლამხანაგებში. როდესაც მან ამხანაგებს გაუძეა თავისი სევდა, წავიდენ და ერთს წელიწადს ეძიეს ეს ქალი, მაგრამ ვერას გახდენ. მერე უთხრეს მას: განა შეიძლება ადამიანმა სიზმარი სინამდვილედ მიიღოს, რას იკლავ თავს? ომაინმა მართლაც დაიჯერა რჩევა და წინანდებურად შეება—განცხრომას მიეცა. მაგრამ ის ქალი კიდევ გამოეცხადა მას სიზმარში და უთხრა: შენ თუ მიჯნური ხარ, მიატოვე ყველაფერი, გაიქვერ სახლიდან და წადი ჩემდა საქმენელადო. ამის შემდეგ ომაინს ველარ ანუგეგმებენ ვერაფრით, მან გამოითხოვა დედამისისაგან ნებართვა და რჩეული ლაშქრით წავიდა ქალის საქმენელად. ჯერ მივიდა იერუსალიმს, სადაც ერთი კვირა დარჩა, ლოცულობდა და ქალს ეძებდა. აქ იერას გახდა, წამოვიდა და გზაში სიზმარში კვლავ იხილა ის ქალი, რომელმაც უთხრა: გაუწევი ლაშქარი და მარტო შენ წადი ქ. ალაბისაკენ და იქ მომიძიეო. ომაინმა დაწერა ანდერძი, დააგდო ის თავის ოთახში და თვითონ ჩუმად გაიპარა ქალის საქმებრად. ის მივიდა ქ. ალაბში და გაჩერდა ერთს მდიდარ კაცთან რომელსაც ახი ერქვა სახელად. ომაინმა მას უამბო ყველაფერი, მიზანი თავისი გაქრისა და აქ მოსლვისა. ახის შეებრალო ის, ძმობა შეჰფიცა მას და აღუთქვა მას ყოველგვარი დახმარება. ერთხელ ახიმ თავის ცოლს, რომელიც ომაინს ჯერ არ ენახა, უამბო მისი თავგადასაყალი. ქალმა უთხრა: ერთხელ, ლოცვიდან დაბრუნებულს, გზაში შენხვდა ერთი ტურფა ვაყი; დამინახა თუ არა, დაბნდა და ცხენიდან ძირს ჩამოვარდა. ახის ზოგი რამ ენიშნა ამ სიტყვებიდან; მერე მან მორთო დარბაზი და ომაინს ჩუმად დაანახვა თავისი ცოლი. ომაინმა შეხედა თუ არა მას, იცნო თავისი ცეცხლის მდებელი და უსულოდ ძირს დაეცა. ახიმ რომ გაიგო საქმე რაში იყო, თავის ძმურსა და პატიოსან სიტყვას ველარ ულაატა და თავისი ცოლი დაუთმო ომაინს, რომელმაც ქალი ინდოეთს წაიყვანა. როდესაც ეს ამბავი გაიგო ქ. ალაბის პატრონმა კეისარმა, ახი ციხეში ჩაასმევინა ასეთი არაბუნებრივი საქციელისათვის, მაგრამ მან მოახერხა ციხიდან გაპარვა და გაიქცა ინდოეთს. იქ, ძალამიხდილი ხის, ძირს დაგდებული, ის შემთხვევით იპოვა ომაინმა და სახლში მიიყვანა. აქ ახი და მისი ცოლი კვლავ შეხედენ ერთმანეთს მოულოდნელად; ახი ერთგულად მსახურებდა ომაინს, რომელმაც მადლობის ნიშნად, ინდოეთის შვიდ სამეფოთაგან ერთი მას მისცა.

მესამე საცოლო ბარამმა ჩინეთიდან მოაყვანია; ქორწილის შემდეგ მანიმ ჩვეულებისამებრ შემდეგი ზღაპარი უამბო ახალ დაქორწინებულთ:

ჩინეთში იყო ორი მეფე, ერთს ჰყავდა გმირი და ახოვინი ვაყი ალ მ ა სი. ხოლო მეორეს მშვენიერი ქალი. აღმასს უყვარდა ეს ქალი, მეფეებსაც უნდოდათ მათი დაქორწინება, შეთანხმდენ კიდევაც ქორწილისათვის. ასე რომ აღმასი ხომალდით გაემგზავრა საცოლოს წამოსაყვანად. სწორედ ამ დროს ქალს მოუნდა ზღვაში ხომალდით სეირნობა; ამოვარდა სასტიკი ქარი, რომელმაც მისი ხომალდი მიაგდო ეროს კუნძულზე მდებარე ქალაქთან, რომლის გმირთა-გმირ

პატრონს ერქვა ჯაბირი. მან ჩაიგდო ხელში ქალი, რომელმაც ეველაფერი უამბო მას და სთხოვა, ეს მაინც მიყავი, რომ მამაჩემს კაცი გაუგზავნე და შეატყობინე სადა ვარო. ჯაბირმა მეფეს მისწერა წერილი და სთხოვა ქალი მისთვის დაეთმო ცოლად. მეფემ რომ ეს საშინელი ამბავი გაიგო, აღმასიცი მოვიდა საქორწილოდ, მაგრამ, ქორწილის მაგიერ, ის ზღვით წავიდა თავისი საცოლოს გამოსახსნელად; ვერას ვახდა, ტყვედაც ჩაუვარდა ხელში ჯაბირს. ამის შემდეგ მათ დასახსნელად გამოვიდნენ დიდი ჯარით ქალის და აღმასის მამები, ერთი ზღვით, მეორე ხმელეთით, მაგრამ მათაც იგივე ბედი ეწიათ. ჯაბირი ემზადება ქორწილისათვის, ქალი სულიერად იტანჯება, მაგრამ გარეგნულად თავს იკავებს. დარბაზში მას საკნოდან მოესმა აღმასის კენესა, გამოელაპარაკენ ერთმანეთს; ბოლოს ქალმა მოახერხა მისი საკნიდან გამოყვანა და დამალეა. ერთხელ ჯაბირი შევიდა ქალთან სადარბაზოდ და დაუწყო მას ხეყენა; დამალული აღმასი ამას ეველაფერს ხედავდა. მას გულმა ველარ გაუძლო და შესძახა: გაჩერდი, ბილწო ადამიანო! მერე მივარდა, ამოიღო ქვეშ და თავი წააგდებინა. ამის შემდეგ დაუბრკოლებლივ გაანთავისუფლა ქალისა და თავისი მამა, წავიდა თავის სამეფოში და დიდებული ქორწილი გადაიხდა.

მეოთხე საცოლო ბარამმა ხატეითიდან მოაყვანია, დიდი ზეიმით იქორწილა და მანი ბრძნისაგან შემდეგი ზღაპარი მოისმინა:

რუსთა ხელმწიფეს ჰყავდა მშვენიერი ქალი, რომელიც განცალკევებულს კოშკში ცხოვრობდა; მისი ცოლად შერთვა ბევრსა სწადდა, მაგრამ იმას გადაწყვეტილი ჰქონდა წაყოლოდა მას, ვინც მისი კოშკის აღებას შესძლებდა და ახსნიდა ოთხს ამოცანას, რომელსაც იგი ეტყოდა მას; ეს კი ვერავინ ვერ მოახერხა. რუსეთის მახლობლად ერთი სამეფო იყო, რომლის პატრონმა გადასწყვიტა ბედი ეცადა. თავისი განზრახვა მან გაუმელავნა ერთს თავის ვეზირს, რომელმაც მას მისცა ნეკის ბეჭედი და უთხრა: ამას რომ დაანახებ კოშკის მცველ ტილისმას, ადვილად დაიპყრობ მასო. წავიდა მეფე, მართლაც შემუსრა მცველები კოშკისა და აიღო ის; მაგრამ ჯერ კიდევ ოთხი ამოცანა უნდა აეხსნა. ქალმა წაიძრო ორივე საყურე და გაუგზავნა ვაჟს, იმის მომასწავებლად, რომ ეს საწუთრო ორი დღისაა; ეაქმა გაიგო მნიშვნელობა და საპასუხოდ გაუგზავნა ქალს, საყურებთან ერთად, სამი ლალი, რაც იმას ნიშნავდა, რომ, თუ ჩემი თავი შენ ვახლავს, საწუთრო, არამც თუ ორი დღის, ხუთი წლისაც რომ იყოს, არ არის გამთავებელი ჟამისაო. მეორედ ქალმა ვაჟს გაუგზავნა რძე იმის აღსანიშნავად, რომ ამ ორი დღის საწუთროში კაცს სიძეა არ მართებსო. საპასუხოდ ვაჟმა რძეში შექარი ჩაყარა იმ ნიშნით, რომ „სიძეა არს ლხინი სოფლისა, მას სიტკბოება აქვს შექარისა, ყოველთა მისთვის სრულისა“. მესამედ მას ქალმა გაუგზავნა ბეჭედი ნეკისა ნიშნად იმისა, რომ „შენ შეგფერობს თავი ჩემიო.“ ეაქმა ბეჭედთან ერთად გაუგზავნა ლალი შემდეგი მნიშვნელობით: „შესაფერი შესაფერისა შეიყარაო.“ დასასრულ, ქალმა ვაჟის გამოგზავნილს ლალს შეუერთა თავისი ლალი შემდეგის აზრით: „ვაჟს ტურფასა ტურფა დარად, თავსა ტურფად ნუ ხარ მხმობიო.“ ვაჟმა ამ ლალებს შეება სათვალე — „ერთად შეყრილან ტურფანი, არ ავნოს თვალთა ზიანმან, ვეკე ვერ გაყარნის უკვდავად ასი ათასმან ხნლიანმანო“. ამნაირად, ვაჟმა ყველა ამოცანა იმ მნიშვნელობით ახსნა, რა

მნიშვნელობასა და აზრსაც მათში სდებდა ქალი; ასე რომ ქალი სიხარულით გაჰყვა მას ცოლად და დიდი ზეიმით იქორწილეს კიდევაც.

მეხუთე საცოლედ ბარამს მოჰყავს რუსთა მნათობი; ქორწილის შემდეგ მან შემდეგს ზღაპარს ამბობს: სისტანს იყო ვინმე გორჯასპა ზაულელი, როსტომის გვარისა; მთელი ინდოეთი მას ემორჩილებოდა, მეტად ლალი, ახოვანი და ღონიერი იყო. ცოლი არ ჰყავდა მას; ერთხელ კეისრის ქვეყნიდან მასთან მოვიდნენ ვაჰარნი, რომელთაც მოახსენეს მას, რომ ჩვენს მეფეს ჰყავს მზეთუნახავი ქალი, რომელიც მზადაა გაჰყვეს ცოლად მას, ვინც მოსწევს ოის მშვილდს, მაგრამ ამისი შემძლე ჯერ არავინ გამოჩენილაო. გორჯასპმა ჩააბარა სამეფო დიდებულებს და გაუდგა გზას ამ ქალის გამოსაყენად; გზაზე მან დაიხსნა მოქარავენენი მეკობრე ყაზახებისაგან და გაჰყვა ამ ვაჰრებს, ვაჰრულად ჩაცმული. როდესაც მივიდა იმ ქალაქში, სადაც ქალი ცხოვრობდა, დაიწყო ვაჰრობა; ყველას აცვიფრებდა მისი სიმშვენიერე, ყველა: ქალი, კაცი, ახალგაზდა და მოაუცი, მზად იყო მისულიყო მასთან და რამე ეყიდა, ოღონდ ერთი თელი კი მოეკრა მისთვის. ხმა მივიდა მეფის ასულამდინაც, რომელმაც თავისი გამდელი ქალის საშუალებით მოახერხა რამდენჯერმე მისულიყო გორჯასპისთან თითქოს სავაჰროდ, ნამდვილად კი მის სანახავად. ერთხელ, როდესაც სამივენი ერთად ისხდნენ, ქალის შეკითხვაზე გორჯასპმა გამოამქლავნა თავისი ვინაობა; მათ სიყვარული შეჰთქმევს ერთმანეთს, მაგრამ კეისართან უნდა გაერიგებიან საქვე. გორჯასპმა, მას შემდეგ, რაც კეისარმა ის სადილზე მიიპატიჟა, გაუმქლავნა მას, რომ მე, ზაულელი ვაჰარი, მოვსულეარ ბედის საცდელად და შენი ქალის წასაყენად. კეისარმა პირობა გააგებინა იმ რწმენით, რომ ის მაინც ეერ შეასრულებს მას. ქალმა განიზრახა ნამდვილი მშვილდის მაგიერ სხვა, უფრო ადვილად მოსაწევი, გაეკეთებინა მისთვის, მაგრამ გორჯასპმა უარი თქვა; მან ხელი მოჰკიდა საბედისწერო მშვილდს, მოიზიდა ისე, რომ ოთხად გადატეხა. მაშასადავე, თანახმად პირობისა, ეხლა ქალი მისი იყო და წამოიყვანა კიდევ; კეისარმა შეკრიბა დიდძალი ჯარი, დაიხმარა ყველა, მის კარზე მყოფნი და მისი ქალის მაძიებელნი, მეფისწულეები და გამოუდგა გორჯასპს. გორჯასპმა სასტიკად დაამარცხა ისინი, ხოლო კეისარი ცოცხალი შეიპყრა და თავის სატრფოს მიჰკვარა. აქ მეფემ გაიგო ნამდვილი ვინაობა გორჯასპისა და სიამოვნებით დასთანხმდა ქალის მიცემაზედ. გამოეთხოვენ ერთმანეთს, კეისარი თავის საბრძანებელში დაბრუნდა, ხოლო გორჯასპი და მისი ცოლი თავისაში. გზაზე მას მოუხდა ომის გადახდა საშინელ ზანგთან, რომელიც დაამარცხა და მისი სიმდიდრე ხელში ჩაიგდო. მერე მოვიდა თავის საბრძანებელში და დიდის ამბით გადაიხნა ქორწილი.

მეექვსე საცოლო ბარამისი მოიყვანეს საბერძნეთიდან, ქორწილის შემდეგ მანი შემდეგს ზღაპარს უამბობს მას: იამანით ბაღდადს ორნი მგზავრნი შეიყარნენ, ერთს ერქვა მანებელი, მეორეს მაწყინარი. მაწყინარმა მამებელი გზაზე გატარცვა, წაართვა ორი ძვირფასი თელი და მერე თვალეები დასთხარა და იქვე ცოცხალმკვდარი გზაზე მიაგდო. მახლობლად ერთი მდიდარი თურქმანი ცხოვრობდა; მისი ცოლი და ქალი ჩაეიდნენ წყაროზე წყლის დასალევად. მათ

შემოესმათ კენესა, მივიდენ და თავს წაადგენ მომაკედავს კაცს. მამებელმა. მათ უამბო ყველაფერი, ქალებმა აიყვანეს ის, აკრიბეს თვალები და წაიყვანეს სახლში. აქ თურქმანმა ერთი ხის ფურცლის საშუალებით მას თვალები გაუშთელა და მხედველობა დაუბრუნა, რისთვისაც მადლიერი მამებელი მას მწყემსად დაუდგა და მისი ქალიც ცოლად შეირთო. ერთხელ მან თურქმანს განუცხადა: ბაღდადს მინდა წასლვა და შენც თან წამომყეო. მართლაც, დიდის საგზლით და იმ ხის ფურცლებით ისინი გაუდგენ გზას და მივიდენ ბაღდადს, სადაც დადგენ თურქმანის ნაცნობის ოჯახში. აქ მათ გაიგეს, რომ ბაღდადის ხალიფას ჰყავს მშვენიერი ქალი, მაგრამ შეშლილი: მოჰყავთ სხვადასხვა ექიმები, მაგრამ მას ვერასა ჰრგებენ და თვითონ კი იღუპებიან უშედეგო აქიმობისათვის. მამებელმა უთხრა თურქმანს: მოდი, ვცადოთ, იქნება მოვარჩინოო! მართლაც, მათ განუცხადეს ხალიფას თავისი სურვილი და იმ ხის ფურცლებით ეს გიჟი ქალი მოარჩინეს. ხალიფამ მამებელს მისცა ცოლად თავისი ასული, გვირგვინი და ტახტი: აქ მამებელი შეხვდა მაწყინარს, რომელმაც მას ასეთი ნეგობრობა გაუწია ერთხელ, და თურქმან მოაკვლევინა. მე გობდა მამებელი ბედნიერად, მას ჰმანებებდა ერთგულად თურქმანი, რომელსაც მამებელმა შერთო ცოლად ერთი ევზირის ლაშაზი ქალი.

მეშვიდე საცოლო ბარანმა მოიყვანა საფრანგეთიდან; ქორწილი მისი ზრძენმა მანიმ შეამკო შემდეგი ზღაპრით: იამანს იყო დიდებული მეფე; მის ევზირს ჰყავდა მზეთუნახავი ქალი. რომლის ცოლად შერთვა განიზრახა მეფემ, ნაგრამ მამა, სხვადასხვა მოსახრებით, თანხმა არ იყო იმისი. მეფემ გადასწყვიტა როგორმე მოეკლა ევზირი; ერთხელ ისინი ნადიმად იხდენ, ევზირი მოწყენილი იყო, მეფემ ჰკითხა: რა მოგივიდაო? ევზირმა უპასუხა: განა ქვეყანაზე ისეთი ადამიანი მოიძებნება, რომ უნაღლო იყოსო? მეფემ უთხრა: კი; დანაძლეედენ, მეფეს უნდა მოეძებნა ასეთი კაცი. მთელი ქვეყანა მოიარა, მაგრამ ასეთი ვერ პოვა; ვიღაცამ უთხრა მას, რომ უნაღლო კაცი ეგვიპტეშია, ეს არის იტაური ნეფეო. იამანის მეფე წავიდა იქ, მივიდა მეფესთან და მართლაც დარწმუნდა. რომ ის თათქოს უნაღლო ადამიანია. ერთხელ გამოუტყდა კიდევ, თუ რა მიზნით მოვიდა ის ეგვიპტეში. ეგვიპტის მეფემ შეიყვანა ეს ერთს ოთახში, სადაც მწეთუნახავი ქალთან გვერდით საშინელი ზანგი იყო; მას გული წაუვიდა, უმაღლე გამობრუნდა უკან და, როდესაც დამშვიდდა, უამბო სტუმარს თავისი თავგადასავალი. მამაჩემის ძმას ჰყავდა მშვენიერი ქალი; მე მასთან ერთად ვიზრდებოდი, ასე რომ ჩვენ ბავშობაშივე შეგვიყვარდა ერთმანეთი. მამაჩემის სიკვდილის წყნდევ მის საძვეფოს დაეპატრონა ბიძაჩემი; მე მას ქალი ვთხოვე, მაგრამ უარი მითხრა; როგორც ლარიბ კა ს. ეს რომ მისხა ქალმა გაიგო, გადაწყვიტა ჩემი განდიდებება: მე ლამლამით უნდა მივსულიყავი მის კოშკთან, საიდანაც ის ტაბაკით თვალმალგარიტს ჩამოუშვებდა და მე მიმქონდა. მეორმოცე ლამეს რომ მოვედი იქ. დაჯვარი კოშკთან და თავი დაეყრდენი დაშნას, რომელიც თან მქონდა; ჩამძინებოდა და ის დაშნა სარცხენიელზე დამედო. ქალმა რომ ზევიდან ტაბაკი ჩამოუშვა, პირდაპირ დაშვებულყო დაშნაზე, რომელსაც სარცხენიელი გადაეკრა ჩემთვის. ერთი წლის განმავლობაში ძლივს მოერჩი, ამასობაში მოკვდა ქალის მამა; მეფედ ქალი მოინდომეს დაესვათ, მაგრამ მან

უარი თქვა: ეინ გაიგონა ქალის მეფობაო! მე მყავს ბიძაშვილი. მეფისძე, მე ის მიყვარს, ქმრად შევირთაე და ის იქნება მეფედაო. მოეწონათ ეს აზრი, წამიყვანეს, დაგვაქორწინეს, ქალი გიყვებოდა, ეინაიდან გულსწადილს ვერ ეუსრულვებდი მას, არ იტოლა-რაში იყო საქმე, ასე რომ მე უუამბე ყველაფერი. იმედგაცრუებულმა ქალმა მოინდომა ჩემი გავდება, მაგრამ მე ვთხოვე: ნუ წამართმევ მეფობას, ნება მომეცი შენ გვირდით ვიყო და ქმრად ვინც გინდა, ის აიყვანეო. ქალმა დამიჯერა და ქმრად აიყვანა აი ის ზანგი, რომელიც მასთან დაგანახეო. აი რამდენად უნაღვლო ვარ მეო! იამანის მეფე დარწმუნდა, რომ, მართლაც, უნაღვლო კაცი ქვეყანაზე არ არის; დაბრუნდა შინ და ვეზირს გულახდილად უთხრა ეს. მაშინ ვეზირი დასთანხმდა და მისცა მას თავისი ქალი ცოლად.

ამნაირად დასრულდა ბარამის ქორწილი შეიღთა იულითმთა მეფეთა ქალებთან და მანის შვიდი ზღაპარი. ბარამი კვირაში თითო დღეს თითო ცოლთან იყო ხოლმე. გავიდა შვიდი წელიწადი მას შემდეგ, რაც მან დილა რამ ჩანგო გააგდო და მოსაკლავად გაიმეტა. დილარამი ამ ხნის განმავლობაში იმყოფებოდა იმ ყმის კოშკში, რომელსაც დაეალებული ჰქონდა მისი მოკლევართხელ ქალმა უთხრა ყმას: რაიმე მიზეზით მეფე მოიწვიე და კოშკში მოიყვანეო, მართლაც, ყმამ მორთო დარბაზი და დაპატიჟა მეფე, ისიც ესტუმრა მას. ის და მისი მხლებელნი გაკვირვებულნი არიან კოშკის სიმიდრით, მოწყობილობით და კიბის სიმადლით; მეფე ეკითხება ყმას, რად გინდა ასეთი მაღალი კოშკიო? მან უპასუხა: ერთი ტურფა ქალი მყავს, რომელსაც შვიდი წლის ხარი ჰყავს; ის მას შეისვამს ხოლმე მხარზე და ისე აიყვანს და ჩამოიყვანს კიბეზეო. მეფე გაკვირდა, მაგრამ მალე დარწმუნდა ნათქვამის სინამდვილეში: ქალი ჩამოვიდა პირდახურული, შეისვა ხარი მხარზე, მსწრაფლ აიყვანა კიბეზე და ისევე მსწრაფლ ჩამოიყვანა ძირს. მეფემ იკითხა: რამდენი ხანია ქალი ამ საქმეს სჩადისო? მას უთხრეს—შვიდი წელიწადიაო: ხბო პატარა მოიყვანეს და პატარაობიდანვე აჰყავს და ჩამოჰყავსო. ამაზე ბარამმა თქვა „ყოველი საქმე ქნით გაადვილდებილო“. ქალმა აიხადა პირისბადე და უთხრა: „თუ ნადირთა სრვა ქნით და ნახვით არ ისწავლები. სრვა საქმე ბეერის ქნით ადვილი ვით იქნებდისო?“ ბარამმა ჩახედა მას და იცნო, გულს ელდა ეცა, იყვირა, გადაეხვიენენ ერთმანეთს და მათს სიხარულს, გაკვირებას და ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. დილარამთან ერთად ხან ერთ ცოლთან ატარებდა ხოლმე დროს და ხან მეორესთან.

ამ დროს სემეფოს შემოესია ჩინეთის მეფე, რომელიც ერთს ქალაქს მეორეზე იღებდა, ბარამი წინააღმდეგობას არ უწევდა და განუწყვტლივ ქეიფობდა. ბოლოს აირჩია სამასი საუკეთესო მხედარი და მათთან ერთად მიატოვა სახელმწიფო და სადღაც გადაიკარგა, ასე რომ სპარსეთში გამეფდა ხაყან-ჩინელი. ვადამალულმა ბარამმა, როდესაც იხელთა, შემოუტია ხაყანს და ერთიან ამოუყლიტა ჯარი და სპარსეთიდან განდევნა. ამის შემდეგ ბარამი სახადიროდ გავიდა, დაინახა ერთი მშვენიერი კანჯარი, რომელსაც ის უკან დაედევნა. დიდხანს სდია, ბოლოს კანჯარი მიაღვა ერთს გამოკვებულს და შიგ შევიდა, ბარამიც შეყვა და უჩინარ იქმნა. მხლებლებმაც მოინდომეს შესლეა შიგ, მაგრამ ვერ მოახერხეს, რითაც დიდს ვაებაში ჩაეარდენ. მათ ზეცით ხმა მოეს-

მათ: „ნუ ეძებთ მას ყმასა გულთამწველობით, სასუფეველსა დამკვიდრდა, უნაჲ კკუით არ თუ ხელობით.“ დაბრუნდენ უკან, დიდხანს იგლოვეს, მაგრამ მერე ის დაივიწყეს, და სხვას დაემონეს.

ვინ გადმოთარგმნა ქართულად ეს თხზულება? წერა-კითხვის მუზეუმის ნუსხის წინასიტყვაობაში მთარგმნელი, გვამცნებს რა თეიმურაზისა და რუსთაველის მელექსობას, შენიშნავს, რომ ვინც თაეის ლექსს მათ ლექსებს ადარებს, ის ლექსთა ვერ მიხუდებისო;

თუ არ შესწევს ძალი ლეთისა და მათ ორთა მელექსობა,
ლექსთა თქუმაჲცა ვით გაბედნა. ნოღარ ანუ შაირობა,
ვით დავატებო მათებრ ენა, თვითცა მქონდეს ქუეყნის ბრძნობა,
მაგრამ მართებს, ოდეს კაცსა გაუჭირდეს, გულოვნობა.¹

✓ აქედან ცხადია, რომ მთარგმნელი თხზულებისა არის ვილაც ნოდარი. რომელიც ამ სიტყვების შემდეგ განაგრძობს:

ეპოვე უცხო მოსასმენი, ამაღ ენა გავაყბედე,
კელად ვიღე საქმე ძნელი, თქმამცა მისი ვით გავებედე.

ესე ამბავი სპარსულებრ გონება მიუწოდომელი,
ნიზამის უთქვამს განჯელსა, ბრძენთა ბრძენია რომელი,
მას ჰბაძავს ხოსრო დაჰლევი, მუნ ენადაუშრომელი,
მას ხოსრო სჯობს თუ ნიზამი ვართ მისი მიუხდომელი.

ნავაის ესე ამბავი ჩალათურისა ენითა
უთქუამს, და მისებრ მელექსე სხვა ვინმცა ვიაზრენითა,
კულა ჯამის უთქუამს სპარსულად მუნეე კკუითა ბრძენითა,
ილხენს ყოველნი მკითხველნი მუნ ოთხთა ლექსთა სმენითა.

ვით გავაგო მიუზნუდარმან მათ ოთხთავე ლექსთა ქება,
მათსა ლექსსა მიასწავებს მათი სიბრძნით აღსაგება,
მწადს ქართულებრ მათთა ლექსთა გამოთარგმნა, გალექსება,
ღმრთით გავებედე საქმე ძნელი, თქმაცა ჩემგან ვით ეგება? ²

საყურადღებოა მთარგმნელის ისტორიულ-ლიტერატურული ცნობა იმის შესახებ, რომ ბარამგურიანი „უთქვამთ“ სპარსულად ნიზამის, ხოსრო დაჰლევს და ჯამის, ხოლო ნავაის ჩალათურისა ენითა; სპარსულად მისი „მთქმელნი“ ჩვენ ზევითაც დავასახელებთ, ხოლო ამ ნავაის შესახებ ცნობა არა გვაქვს. იინ არის ნოდარი?

ამ ნოდარს არჩილ მეფე თაეის არჩილიან ში ფარსადანისძედ სთვლის:

ფარსადანისძე ნოდარ თქვა ქება კარგა ბარამ-გურის,
შეიღთ იყლიმთა კელმწიფეთა ხობტა სრული, არა გურის,

1) Е. Такайшвили, Описание II стр. 527.

2) Ibid стр. 527—528.

თვალნი თლილნი მოაფრქვია, გარევა ყო არ აგურის,
მის ლექსისა სასმენელად მიპყრობა კამს კარგა ყურის.¹

არჩილის ცნობის მიხედვით, ე. თაყაიშვილიც ამ ნოდარს ფარსადა-
ნიძედა სთვლის.² მაგრამ ეს მთელად ასე არ არის: ფარსადანისძე არის არა
გვარი ნოდარისა, არამედ მამის სახელი, გვარი კი მისი არის ციციშვილი. ეს
დამოწმებულია საისტ.-საეთნოგრ. მუზეუმის ხელნაწერში, სადაც პოემის და-
სასრულს ეკითხულობთ: „დიდება ღმერთსა, ყოვლისა მპყრობელსა, შემოქმედსა
ესათა და ქვეყნისასა! დასრულდა წიგნი ესე ბარამიანი ბრძანებითა ნოდარ
ციციშვილისაჲთა, მისგანვე სპარსული[დან] ქართულად ნათარგმანები და ნათ-
ქუამი ლექსად“. მაშასადამე, ირკვევა, რომ ბარამგურიანი ქართულად უთარგმ-
ნია ნოდარ ფარსადანისძე ციციშვილს.³

ნოდარის მამა ფარსადანი იყო ერთი უძლიერესი ფეოდალთაგანი ქართ-
ლისა, რომელიც შაჰაბაზის შემოსევისას დიდ როლს თამაშობდა აღმოსავლეთ
საქართველოში; როდესაც შაჰაბაზმა მეფე ლუარსაბი მოტყუილებით წაიყვანა
სპარსეთისაკენ, დროებით ქართლის გამგედ, თითქოს, ეს ფარსადანი დანიშნა.⁴
როდესაც ქართლის მეფედ როსტომი იქნა დანიშნული, ფარსადანმა მას მორ-
ჩილება არ გამოუტყუა და თავდაპირველად მისი მოსისხლე მტერი იყო.
ფარსადანის შვილი ნოდარი 1641 წელს მონაწილეობას ღებულობდა როსტომ
მეფის წინააღმდეგ მომხდარ შეთქმულებაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა მისი
ტახტიდან ჩამოგდება და მის მაგიერ იზერეთის ბატონიშვილის მამუკას გამეფე-
ვა. აჯანყება შეთქმულთა დამარცხებით გათავდა 1642 წლის 6 იანუარს; ამის შემ-
დეგ ნოდარმა როსტომს მიუგზავნა თავისი დედა, როსტომის ნათესავი, და სთხო-
ვა ნება მიეცა მისთვის სამცხეში წასვლისა. როსტომმა თხოვნა აუსრულა, ათხო-
ვა მას ცხენები და ბიკები ბარგის გადასაზიდევად და ამაღის გადასაყვანად.⁵

ამნაირად, ნოდარი არის შეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერა-
ლი, ეს დიდი პოეტური ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული; მისი ლექსი მეტად
ზოხდენილი და მუსიკალურია, მდიდარი დახვეწილი რითმებით და მშვენიერი
პოეტური შედარებებით, მაგალითისათვის მოვიყვანთ ერთს ტაეპს:

გარდებვივნეს ერთმანეთსა, ყმა ქალსა და ქალი ყმასა,
ეარდნი ერთად შეაწებნეს, აპირებდეს ლხინთა ზმასა,
მის ყმისავე შესაპყრობლად ყელს ახვევდა გიშრის თმასა,
წამწმით გული მოელახერნეს, უპირობდა სისხლის ღვრასა.⁶

ენა მისი უალრესად განვითარებულია, პოეტური აღმადგურება მისი გამა-
ჯილდოებელია. ამიტომაც, რომ არჩილ მეფე, რომელიც საზოგადოდ თავდაპე-
რილია მელექსეთა შექებაში და შეფასებაში, ნოდარის შესახებ პირდაპირ
ამბობს:

¹) Е. Такайшвили Описание II, გვ 139.

²) იქვე, გვ. 528.

³) ცნობები ნოდარის შესახებ იხ. ი. აბულაძის სტატიაში ბარამგურიანის
ქართ.-საეთნოგრაფიის ნუსხის შესახებ, სახალხო გაზეთი 1913 წ. № 318.

⁴) ან. თურცელაძე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, გვ. 192, 196, ტფილისი 1911 წ.

⁵) ქართლის ცხოვრება II, 518-521, 48.

⁶) სიძველე მუხ. № 860, თ. 141-142.

ფარსადანისძე ნოდარ თქვა ქება კარგა ბარამ გურის,
თვალნი თლილნი მოაფრქვია...

მის ლექსისა სასმენელად მიპყრობა კამს კარგა ყურის.

ნოდარ ციციშვილს ეს პოემა გადმოუქართულებია, როგორც ის წინასიტყვაობაში ამბობს,¹ ქებად, თნებად და ნების საყოფელად ვილაყ მზის მსგავსის პატრონისა, ჩანს ქალისა, ვინაიდან, ნოდარის სიტყვით, ის „წმიდათა მისგავსებული, ქალწულთა თანახმობილი“ არის. თავისთავს ნოდარი უწოდებს მის ფეხის მტერად და მის მზღებელად და გამოსთქვამს სურვილს იყოს „მიჯნური ოდენ მისი ყმობისა“.

საინტერესოა გარკვეულ იქნეს, დაახლოვებით მაინც, დრო ამ პოემის გადწოთარგმნისა. პოემაში მოხსენებულია სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოებნი, რომელნიც ნოდარს უკვე სცოდნია ქართულს მწერლობაში: ასეთებია:

- 1) ვისრამიანი: „ეკვლავ მიჯნურთა ვერა სცნობდა, ვერ რამინ და ვერა ვიასა“ (გვ. 142);
„მას მზესა ახლდეს მნათობნი, ვით ზილიხან და ვისია“ (154);
„ზილიხან და ვისი, ლეილ, მასთან იყვენ ფერგამკრთალი“ (157);
„ხამს რომე მზესა სწუნობდე, და ზილიხან და ვისისა“ (160);
„მისთა მვერეტელთა ვისის ჯა ზილიხანს არ აღარესა“ (166);
„თუ მიჯნური ხარ, ვით რამინ“ (168).
- 2) ვეფხისტყაოსანი: „მსგავსად უქია რუსთველსა ტურფად საქები რონელი“ (209);
„თინათინ, ნესტანდარეჯან მას ვერ ედრების სახითა“ (157);
- 3) როსტომიანი: „ძალგულად და მეომარად როსტომისად დასადარი“ (157);
„სისტანს იყო როსტომისა გვარი ვინმე ზაულელი“ (171);
„საწოლს მივიდა საამოდ მეფე ყუბადის გვარისა“ (166).
- 4) ლეილა მეჯნუნიანი, ამისი მაგალითები იხ. ზემოთ ვისრამიანი.
- 5) იოსებ ზილიხანიანი, — თეიმურაზის რედაქციისა და არა ადრინდელი ვინაიდან ნოდარი ხმარობს სახელს ზილიხან და არა ზილისა, მაგალითები იხ. ზემოთ ვისრამიანი.

მაშასადამე, ნოდარს ბარამგურიანი გადმოუთარგმნია მას შემდეგ, რაც ქართულად ითარგმნა როსტომიანი, ლეილა მეჯნუნიანი და იოსებ ზილიხანიანი (1629—1634). ჩამოთვლილთ გარდა, ჩანს, როდესაც ბარამგურიანს სთარგმნიდა ნოდარი, თეიმურაზს უკვე გადმოკეთებული ჰქონია ვარდბულბულიანი და შამიფარვანიანი, ვინაიდან პოემაში ჩვენ ვკითხულობთ:

„ვარდს იკმობენ სულ სურნელნი მეფედ მათად სვია ნასად“ (208);
„ვითა ფარენა სათელსა, ყმას თავსა გარველებოდეს“ (144).

ვარდბულბულიანი და შამიფარვანიანი თეიმურაზს დაუწერია 1656 წელს, როგორც ამას თავის ადგილას დავინახავთ; მაშასადამე, ბარამგურიანი ნოდარს უთქვამს 1656 წლის შემდეგ.

¹ ეს ნაწილი წინასიტყვაობისა მოთავსებულია მხოლოდ წერა-კითხ, მეზემის ნუსხაზე (E. Такайшвили, Описание II, стр. 526).

დანამდვილებით და დაწვრილებით არ ვიცი, რა ბედი ეწია ნოდარს 1642 წლის შემდეგ, როდესაც ის იძულებული იყო ქართლიდან გასულიყო: შეგვიძლია ვთქვათ, რომ, როდესაც როსტომ მეფის მიერ ნაშვილები ვახტანგ მუხრანბატონი სპარსეთიდან ქართლის გამგედ დაბრუნდა (1653 წ.), ნოდარი კიდევ ცოცხალი იყო: მობრუნებულმა ვახტანგმა მას „თავისი შვილის არჩილისათვის ქალი სთხოვა“. ¹ უნდა გარდაცვლილიყო ნოდარი 1658 წლის დამდეგს, როსტომ მეფეზე ცოტა ადრე; ეს იქიდანა ჩანს, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც მომაკვდავი როსტომი სარეკელზე იწვა, ზაალ ერისთავი ვახტანგს უთვლის: „ჩვენს შუა დამხდომი ნოდარი მომკედარაო“. ² თუ ეს ასეა, ბარამგურიანი ნოდარს უნდა „ეთქვა“ 1656—1658 წლებში. შესაძლოა ვითქვართ, რომ ის „წმიდათა მიმსგავსებული“ პატრონი-ქალი, რომლის ქებად, თნებად და ნების საყოფლად სწერს ნოდარი, მისი მხლებელი და ყმა, თავის ბარამგურიანს, არის თეიმურაზის ცოლი, დედოფალი ხვარეშანი. თეიმურაზის რუსეთს გამგზავრების შემდეგ ხვარეშანი იმერეთს დარჩა; აქვე უნდა ყოფილიყო ამდროს თეიმურაზისათვის თავდადებული ნოდარიც.

ნოდარ ციციშვილს, ეტყობა, საკმაო თავისუფლება გამოუჩენია პარამგურიანის თარგმნისას, ყოველშემთხვევაში, სიტყვა-სიტყვით ის მას არ უთარგმნია; ამით აიხსნება, პირველ ყოვლისა, ქრისტიანული ელემენტი ამ მაჰმადიანურს თხზულებაში:

„მონათლეს, ვაჟა დაარქვეს სახელად ბარამ-სიანი“ (გვ. 132).

„მონასტერს დადგა, ილოცა, გლახაკი შეიწყნარისა“ (141).

„ძებნო ნათელი უფლისა, ვით ხარ მოსავე ჯვარისა“ (144).

ომინ მეფე თავის მხლებლებით მიდის ქალის საქებულად იერუსალიმს, სადაც ის ერთ კვირას რჩება; იქ მათ

ნახეს საყდარი მას შიგან მხეებრ ნათელი დგებოდა,
ილოცეს, ღმერთი აღიდეს, ყმას ეინც რომ თანა ხლებოდა.

მათ შესწირეს უსაზომო, ღარი მისცეს ბერსა, მღვდელსა,
მათ შეუნდო ღმერთმან მათი ცოდვა, ყოელის ავის მქნელსა (146).

წინადადება „სახლს თუ ღმერთი არ აშენებს, ამკვებელი ცუდად შვრება“ (160), ამოღებულია ბიბლიიდან, სადაც ეკითხულობთ: „არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნი“ (ფსლ. 126.).

თხზულებაში გაფანტულია მრავალი სენტენცია და აფორიზმები, ისე, როგორც ვეფხისტყაოსანში, მაგალითად:

კაცსა ტკბილი არ ეტკობის, არ უნახავს თუცა ქირი (133)

ამო არის ლხინი, ოდეს გული გულსა გაეწყობის (134)

¹) ქართლის ცხოვრება II, 538.

²) იქვე, 540.

ბრძენთაგან თქმულა: სარკეა კეუისა გამოცდილება (139)
 მართებს კაცსა გონიერსა მამაცურად ჰირთა თმენა 144)
 ვერ დაიპერს განგებასა ვერცა კლდე და ვერცა ქელი (146)
 მას მამაცი არა კვიან, ჰირსა შინა ვინ დალონდეს (148)
 თქმულა: ღეთისა ბრძანებასა კოტციელი ვერ მოშლისა (152).

რაც უფრო საყურადღებოა, ზოგიერთი სენტენციები ამ პოემისა თითქოს განმეორებდა ე ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ტ ე ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი ს ა, ზოგიერთი კიდეც მის ყაიდაზეა შედგენილი; მაგალითად:

ბარამ-გურიანი

თქვა: სოფელო, რას მიუპირობ
 კაცსა შენგან განაწირსა,
 სისხლის სმა გჰირს კაცთა გვართა,
 რაცა ვის სჰირს შენგან სჰირსა
 (138)

ხამს აშიყი ველთა მრბოლი, მარტო
 დაელის მთა და გორი,
 ერთი ჰყვანდეს სააშიყო, არც გა-
 იელოს გულში ორი (148)

ქვასაცა გასტეხს ლოდინი, თვით
 სალიც იყოს ტინისა (158)

უწყით, მოალობდს, ვით ცვილსა,
 კაცსა ჰრთამისა ქადება (175)

წასლვა სჯობს წამაველთა, მე ვით
 გკადრებ ხანდაზმასა (187)

მთვარე შეეპყრა ვეშაპსა, მნახთ,
 სთქვი, ამოხდეს სულები (198)

ჩემმან დამმართა ხელმქნელმან გულ-
 სა ულხენი წყლულია (196)

მსგავსება (არა სიუჟეტით, რომლის შესახებ თავის ალაგას გვექონდა ჩვენ უკვე ბაასი) ამ ორ ნაწარმოებთა შორის ჩვენ გვაქვს ფრაზეოლოგიაში. ეპითეტებში, პოეტურ შედარებებში და საერთოდ ლექსიკაშიაც. საყურადღებო ისაა, რომ ეს მსგავსება არაა უხეში და ტლანჭი მიზანძევა, როგორც ამას სხვა ნაწერებში აქვს ადგილი, არამედ ბუნებრივი პოეტური ნიჭის მეოხებით პარადაქარ ორიგინალობას ემიჯნავენ. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ბარამგურიანი

ვეფხისტყაოსანი

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბ-
 რუნებ, რა ზნე გჰირსა,
 ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა
 ჩემებრ ტირსა,
 სად წაიყვან სადაურსა, სად აღუთხრი
 სადით ძირსა,
 მაგრამ ღმერთი არ გაწირავს კაცსა,
 შენგან განაწირსა.

ხამს მიჯნურმა -გული ერთსა დააჯე-
 როს,“
 ამა საქმესა მიჯნური ნუ უქმობს მიჯ-
 ნურობასა,
 დღეს ერთი უნდეს, ხელე სხვა, სთმობ-
 დეს გაყრისა თმობასა.

გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი
 ტყეიისა ლბილასა.

ნახე, თუ ოქრო რასა იქს, კვერთხი
 ეშმაკთა ძირისა.

წასლვა სჯობს წამაველისა, არ დაყო-
 ნება ხანისა,

დარჩა მთვარე გავესებული, გველისაგან
 ჩაუნთქმელი.

ნახეს მზისა შესაყრულად გამოეშვა
 მთვარე გველისა.

მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედან რამცა
 გაგვითენდა.

ჩემმან ხელმქნელმან დამმართოს ლალ-
 მან და ლამაზმან ნები.

მეტად მსხვილი ლიტერატურული ფაქტია ალორძინების ხანაში და სამწუხაროა, რომ ის ჯერ-ჯერობით გამოცემული არაა.

დასასრულ მოვიყვანთ ერთ ტაყვას, სადაც ჩამოთვლილია სხვადასხვა სამუაიკო ინსტრუმენტები:

მუტრიბთა მორთეს საკრავნი, ტურფად სასმენი ყურისა:
ჩანგი, უდი და ქამანჩა, შუთურყე კმა სანთურისა,
ჩოგური, მულნი, ჩართარი, მის ყალი ნაი მსურისა,
ყანუნი, სურნა, ბალაბან, დაფთა კმა სპილენძ-ჭურისა (184).



7. ვისრამიანი

(გალექსილი)

როგორც უკვე გვქონდა ლაპარაკი, ვისრამიანი უთარგმნიათ ქართულად ჯერ კიდევ კლასიკურს ხანაში; ალორძინების ხანაში, ალბად, თანახმად იმ ლოზუნგისა, რომელიც ამი რანდარეჯანიანის გამლექსველს, სულხან თანიაშვილს, გამოუთქვამს — „ლექსს უფრო ყურსა უპრობენ, ამბის წიგნები ძეს ავად,“ იმის გალექსვისათვის ხელი მოუკიდია არჩილ მეფეს. არჩილის შრომა¹ იწყება ვრცელი შესავალით, რომელიც შეიცავს 69 ტაყვას არჩილისას და ერთს ბოქაულთუხუცესის მამუკას ნათქვამს:

ეკალს ვარდი რა გასცივიდეს, გაეს ბულბული დანასულად,
მეფეს მოხუდა ეს ამბავი, გული ჰქონდა დანასულად,
ამოილო ტკბილი სიტყვა უფსკრულთაგან ვარგ უსულად,
ვერვინა თქვას: მორევშიგან ჩაეარდლი ვერ გასულა.

შესავალში არჩილი ამბობს, რომ ქებისა და სიყვარულის საგანი უნდა აყოს ღმერთი, რომელიც ყოველსავე არსებას თავის შესაფერ ხედრს უმზადებს, ნაგრამ მე. თუ ხელი მივყავ ასეთს საგანს, უფრო იმიტომ, რომ სხვის კარზე მკოფს მომეწყინა ცუდად გდება და ფიქრმა გამათავა, არ ნინდა ჯავრს დავემონო და ვშაირობ „მოწყინებისა სეედისა ჩემისა გასაძლებელადო.“ თან ამ წიგნის სიტყვას აქებდენ და ეს მშვენიერი ამბავი სხვა მელექსეებს, ისეთებსაც კი, როგორც იყვნენ რუსთველი და თეიმურაზი, გაუწყობელი დარჩათ, რაც გასაკვირველიაო:

ეს უფრო ძველნი მიჯნურნი რად დარჩათ ამბით ქებული,
რამინ სად ნახეს კაბუკზედ ერთს სხვაზედ რითმე კლებული,
ან ვისს რითა სჯობდა დარეჯან, ზილიხან გაბოზებული?
მაგრამ ვერ შესძლეს გალექსვა, მათ დარჩათ ქვეჩაგდებული.

¹) ნაისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერი № 2116 (პეტროგრ. საჯარო წიგნთსაცავის № 633), ფურც. 207—271; წერა-კითხ. საზოგად. ხელნ. № 426, გვ. 311—451.

სიხშირით, სიძნელე ამბისა ლექსითა ვერ დაემართათ,
 თორემ იმდონთა მელექსეთ რად დარჩათ, რა დაემართათ?—ჰკითხ-
 ხულობს პოეტი. იწყებს რა ამ ძნელს, სხვა მელექსეთა მიერ შეუკადრებელ-
 საქმეს, არჩილი წინასწარ გვაცნობს თავის თეორიას სხვისი ამბის ლექსად გარ-
 დაქმნისას:

მელექსეს მართებს, რა ზოხეცეს გრძელს ამბავს, გაუწყობარსა,
 სწორად არ უნდა იტყოდეს ცუდსა და შესამკობარსა,
 გრძლად ნათქვამს შეამოკლებდეს, ანაზღად მოსასწრობარსა,
 უცებთა მიუხდომარსა, ბრძენთ ადვილ შესატყობარსა.

სადღეთაგან მარგალიტი მინდა სწორი გამოვკრიბო,
 ორნატს ლეარძლი გავარჩიო, წმინდა იუქლი შევიკრიბო,
 წალკოტს ნარი არ ვეძებო, სხვა სულნელი სულ მოვკრიბო,
 ბადე მოვსდვა სანადირო, ეს დიდი ზღვა მოვიკრიბო.

გრძელის სიტყვის შემოკლება რუსთველისგან მერგო წილად,
 მეც ოამე ვსთქვა ორლანოდა, თუ მას უთქვამს ვით წინწილად,
 რამინ მისით არ დავაგდო ლექსთა ჩემთა უნაწილად,
 ეამნი მათნი საქირონი გაუხადო საქორწილად.

ეს თეორია პოეტს სავსებით გაუმართლებია თავის შრომაში; ის ეისრა-
 მიანის ტექსტს ლექსავს თავდათავ, ხშირად დედნის სიტყვებისა და ნიჟან-
 სების დაცვით, არც ერთი მნიშვნელოვანი აზრი, არც ერთი დამახასიათებელი
 დეტალი ქართული პროზითი თარგმანისა მას არ დაუგდია, თუმცა ამავე დროს
 მრავალი უმნიშვნელო წერტილები მართლაც გამოუტოვებია. გაულექსია მას
 ის შეგონება ანიც, რომელნიც ასე ხშირად გვხვდება ეისრა მიანში; მაგა-
 ლითისათვის მოვიყვანთ ერთს. პროზილი თარგმანში სწორია: „საწუთრომსა საქვე
 და მუხთლობა დაუთვალავია; საწუთრო ასრე ნასკუითა შეჰკრავს, რომელ ათასთ
 ცნობა და გონება იყოს, ვეღარ გაქსნის“ (გვ. 8); არჩილს ეს ასე გადმოუცია:

საწუთროს საქმის სიმუხთლეს ვერავინ ვერ მისწუთებისა,
 ნასკუს შეჰკრავს, ავად დახლათავს, არვის მოეთნებისა,
 ათასის ცნობით, გონებით, ალარვის გაეცნებისა.

ავტორს თავისი შრომა ბოლომდე ვერ მიუყვანია, ის მას შეუწყვეტია
 ოცდამეორე თავზე, —რამინისა და ვისის ერთგან შეყრაზე. ამ თავის შემდეგ
 სათაურით—ძიძისაგან დილას ვისის საწოლში შესლვა,“ ეკითხულობთ შემდეგს
 ტაეპს, რომელიც პროზითი რედაქციაში არაა:

ვისს პირი გამოებადრა, გარშემ გიშერი მოვლიდა,
 რამინ ვარ გამოსულიყო, წალკოტის კერძ წარვლიდა,
 შევიდა ძიძა, მუნ მაშინ რაც უკმდა, მას ასწავლიდა,
 ქალს ღიმი ეპარებოდა და წვრილად დაისწავლიდა.

ამას მისდევს ბოლოსიტუევაობა, რომელშიაც პოეტი აცხადებს, რომ ის ბოლომდე მიიყვანდა ამ შრომას, მაგრამ გარემოებამ ხელი შეუშალა მას:

სრულ ყველას თქმა უხანოზან ჟამმან ამოდ არ მეცალა,
სიკუდილმან და მწუხარებამ რაც წინ მედღეა ამაცალა,
ჩემთ საყოლთ და საკელმწიფოთ დია შორსა გამაცალა,
დილას ლზინთა მომაშორა, მწუხრს ტირილზე მოაცალა.

ამას ქვეითცა ვიტყოდი ასევე, თუ უუკეთესა,
აქამდინ ვერვის მოუმკალი, თუ ძველად ვისმე ეთესა,
მე ჰირნი ჩემნი ვაძსგავსე მახვილსა უუმკუთესა,
ჟამმან და სოფლის ბრუნვამან ოდენ ეს გამიკეთესა.

ჩემსა ტახტზედა მჯდარ ვიყავ, ბრძანებთ. თუ არსად მეარა,
ძალი ხომ მკირდა არვისგან, მით დამესახა მე არა,
მაგრამ მიბრძანეთ, ღვთად კაცად, მის მეტი ვინ აღმეარა,
რუსთველს არ ვიტყვი, ნანუჩას რასთვის აქებთ და მე არა?

ამ პოემის ვალექსის ამბავი წერა-კითხვის საზოგადოების ნუსხაში № 426 ასეა ვადმოცემული: „ვისრამიანიც უწინ რომ აშთარხანს მივიდა, იქ იწუო. მაგრამ წვაში ნუსხები დაიკარგა; მეორედ რომ თერგზედ მივიდა, იქ იპოვა ზოგიერთი და, მოსკოვისაკენ რომ წავიდა, გზაზედ სრულყო“. ¹ არჩილი აშთარხანს პირველად 1681 წელს მივიდა, აქ ის დარჩა სამ წელიწადს, მაშასადამე, ან დროს დაუწყია მას თავისი შრომა: „ხოლო დღესა ახალწლისასა აღუნთეს ლამპარი დიდი სამსქველსა, მოეკიდა ცეცხლი სასვენსა მას, რამეთუ არიან სახლნი სრულიად ხისანი, და დაიწუნენ ყოველნი სიწმიდენი და საგანძურნი არჩილისანი“. ² როგორც ჩანს, ამ უბედური შემთხვევის დროს დაკარგვია არჩილს თავისი შრომის ნუსხაც. ვინაიდან ნაწილი პირველი შრომისა მან მეორე იპოვა. ამიტომ ზოგიერთი ლექსები ორი რედაქციით აღმოჩნდა მის ხელში, და რადგანაც ამ ორი რედაქციიდან აარც ერთი იყო ერთმანეთის უკეთესნი, მისთვის ორივე დაიწერა³ წერა-კითხვის ნუსხაში № 426.³

8. ბარამგულანდამიანი.

ბარამგულანდამიანის შინაარსი მოკლედ ასეთია:

ურუმთა ქვეყანაში იყო მეფე ქიშვარი, ყოველი კეთილით აღსავსე, მას მხოლოდ შეილი არა ჰყავდა, მაგრამ ზღვე ეს სადარდებელი საქმეც მოეშალა: ორმოცი წლის რომ შეიქნა, შეეძინა ვაჟი, რომელსაც ბარამი დაარქვა სახელად. ბარამი მეფემ მიაბარა ფილოსოფოსებს სწავლისათვის, რომელშიაც ის ისეთს გულს-

¹ Е. Такайшвили. Описание II, стр. 157.

² ქართლის ცხოვრება II, 208.

³ Е. Такайшвили. Описание II, стр. 158—159.

უფროს იჩენდა, რომ 14 წლისამ უკვე ყველაფერი იცოდა. ამავე დროს ქაბუტა ზნეობასაც სწავლობდა, ასე რომ 16 წლის ის უკვე სწორეპოეარო გოლიათი იყო, რაც მან დაამტკიცა ერთხელ ნადროზისას ლოპის ხელდახელ შეტაკებასა და მოკლავში. ამას შემდეგ, ნადროზისას, ის გამოუდგა ერთს ქურციკს, მთელი დღე სდია და ვერ მოეწია; საღამოს ეამს სჯუჯონა ისარი და ქურციკი დაეცა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ შვიდი დღე სძებნა, მის გზაკვალს ვერ ვიპოვნო. მერვე დღეს მიადგა ერთს დიდ მთას, რომლის მწვერვალზე კოშკი იდგა, ის შევიდა, კოშკში და ნახა, რომ კედელზე დახატულია მზეთუნახაეი; მას ის ცოცხალი ეკონა, მაგრამ მალე დაწმუნდა, რომ სურათთან აქვს საქმე. მიუხედავად ამისა, მას გულში აღგებნა სიყვარულის ცეცხლი. აქვე ტახტის წინ მან ნახა ერთი 80 წლის მოხუცებული, რომელმაც უამბო მას, რომ ის, ვინც აქ განიხატულია, არის ჩინეთის მეფის ფაფორის ქალი გულანდამი, რომელიც თვეში მხოლოდ ერთხელ გამოდის თავის კოშკიდან და ეჩვენება ხოლმე ადამიანებს. სხვა მიჯნურთა შორის მეც მომრატაცა მისმა მშენიერებამ. საპი წელიწადი დაეყავი ჩინეთში, მაგრამ. რადგანაც ვერას გაეხდი, ეს სურათი წამ იღლე, დავბრუნდი უკან, მისდა სახსოვრად ეს კოშკი ავაგე და ეკხოვრობ განმარტოებულნი. ბარამმა მოხუცს თავისი ვინაობა განუცხადა და გამოთქვა სურვილი ჩინეთს გულანდამის საძებნელად წასლვისა; მოხუცმა დაუშალა, მაგრამ მან არ მოუსმინა და წავიდა. ერთის თვის მგზავრობის შემდეგ მიადგა ერთს მშენიერს ბაღს სადაც წამოწვა ხის ძირში დასასვენებლად. უცბად მოვიდა ერთი მხევალი, რომელმაც ტაბაკით ხილი და საქმელი მორათვა და შესთავაზა. ბარამს ქალმა უთხრა, რომ ეს ქვეყანა და ბალი არის სარკა, ქაჯთა მეფის სიფორის დის, კუთვნილება, რომელმაც მოგართვათ ეს და გთხოვათ, ჩქარა აქედან წახვიდეთ, ვინაიდან, სადაცაა სიფორი გამოჩნდება და რამე ხიფათს შეგამთხვევსო. ამ ლაპარაკში მართლაც გამოჩნდა სიფორი თავისი ოთხი ძმით; დაინახეს თუ არა მათ უცხო კაცი, შესძახეს: ვინ ხარ ან რა გინდა აქო? მერე მისცივიდენ სათითაოდ ძმები, მაგრამ ბარამმა მათ ხელები შეუკრა და ხეზე მიაბა. ამის შემდეგ თვით სიფორმა შეუტია მას, ჯერ ცხენებით იომეს, მერე ქვეითად; ბარამმა წააქცია სიფორი, ამოიღო ქვეშ და უნდოდა თავი მოეჭრა, მაგრამ ამ დროს მოაგონდა მამის ანდერძი—ძლეულ მტერს შებრალება უნდაო, და სიციცხლე აჩუქა მას. ამ დიდსულოვნობამ სიფორზე მეტად იმოქმედა. მან ქება შეასხა და ძმობა-ერთგულობა შეჰფიცა მას. ამ დროს აქ მოვიდა ერთი მზეთუნახაეი ქალი, და სიფორისა, ბარამი მათ სახლში მიიპატიეეს და რამდენიმე დღე უმასპინძლდებოდენ. ბარამმა მათ თავისი ვინაობა და მოგზაურობის მიზანი აუწყა, სიფორმა მას აჩვენა თავისი ჯარი და აღუთქვა, როდესაც დაგვირდები, შენს განკარგულებაში ვიქნები ჯარითაო. წასლვის წინ სიფორმა, მისმა ძმებმა და დამ ბარამს უჩვენეს ერთი ჯურღმულა, რომელშიაც ცხოვრობდა საშინელი აფრა-დევი; ეს დევი მთელს არემარეს ანადგურებდა, მაგრამ ვერაფერი მას ვერ უყვეს. ბარამი ჩავიდა ჯურღმულაში, დევი მოკლა და ხელთ ჩაიგდო მთელი მისი სიმდიდრე და აგრეთვე ერთი მშენიერი ქალი, რომელიც აღმოჩნდა ასული ქაჯთა სამეფოსის, ხათი-ხუთის, პატრონის ქალი რავაზი, მოტაცებული ამ დევის მიერ. ბარამმა მთელი ეს სიმდიდრე სიფორს დაუთმო, მასვე შეჰვედრა მან რა-

ვაზიც და თვითონ ჩინეთისაგან გასწია. წასლეისას სიფორის ძმამ შამსამ თავი-დან თმა მოიგლიჯა, მისცა მას და უთხრა: როდესაც ჩემი თავი დაგჭირდეს, ეს თმა დაწვი და მე იმ წამსვე იქ გაეჩნდებიო ბარამი მიაღვა ზღვის პირს. აქ ნახა ვაჭრები ხომალდში სხდებიან, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვრიან: ბარამმა გაიგო, რომ ზღვაში საშინელი ნიანგი ყოფილა, რომელიც ხომალდებსა ნთქავს. ბარამმა უთხრა მათ: ნუ გეშინიანთ, მეც ვაჭარი ვარ, გამოძევეით და განსაცდელისაგან დაგიხსნითო. ზღვაში გამოჩნდა საშინელი ნიანგი, რომელიც ბარამმა ისრით მოკლა. ორი დღის მგზავრობის შემდეგ ისინი მიაღვენ ჩინეთის დედა ქალაქს; ბარამმა დაინახა, რომ ამ ქალაქს დიდი ლაშქარი შემორტყმია გარს. ერთის მეფუნდრუკისაგან გაიგო, რომ ეს არის ბულღართა მეფის შვილი ბეზადი, რომელიც მოსულა გულანდამის ძალით წასაყენად, ვინაიდან ნებით არ აძლევენ მას. ბარამმა დაწვა შამსამს მიერ მიცემული თმა და შამსა იქვე გაჩნდა; ბარამმა მისი საშუალებით სიფორს სთხოვა ჯარი, რომელიც დაუყონებლივ გამოცხადდა იქ თვით სიფორისა და მისი ძმების თანხლებით. ქაჯთა ჯარი შეება ბულღარლებისას და სძლია. თვით ბეზადს ბარამმა თავი მოკვეთა, შუბზე წამოაგო და ქალაქის კარებზე აღმართა წარწერით: მკვლეელი ამისა არის ბარამიო. ჩინელები გაკვირვებულნი უყურებდნენ ამ უცხო ჯარების ომს და განსაკუთრებით გაოცებულნი იყვნენ ბარამის ვინაობით; ბოლოს ის აზრი გამოთქვეს, რომ ალბად ბარამი ზეციური მიჯნურია გულანდამისა და მან ბეზადის შერი იძიაო. ბარამი *incognito* ცხოვრობდა ამ ქალაქში, ის, თეთრს ნაბადში გახვეული, იჯდა ხოლმე გულანდამის კოშკის პირდაპირ ქუჩაში და შეჰყურებდა მას. გულანდამი ყოველთვე თავის მხევალს გამოგზავნიდა ხოლმე ქალაქში ტაბაკით საჩუქრების შესაგროვებლად. ერთხელ მისმა მხევალმა დავლათმა ბარამსაც სთხოვა საჩუქარი; ბარამმა მას დაუღო ტაბაკზე ძვირფასი ლალის ბეჭედი, გულანდამი გააკვირვა ამ ბეჭედმა და დავლათს უთხრა: ამის მომცემი უბრალო კაცი არ უნდა იყოსო. მხევალმა დაანახა მას ქუჩაში მჯდომი ბარამი, მათ ერთმანეთს თვალი მოჰკრეს და შედეგი ამისა იყო, რომ ბარამი გულანდამს მოეწონა და მისი სიყვარული გულში ჩაუვარდა. მან დავლათს დააეღა გაეგო მისი ვინაობა; ბარამმა დავლათს უთხრა: მე გადმოხვეწილი კაცი ვარ და ვთხოვ გულანდამს ორიოდ სიტყვა გადასცეო; მან უთხრა, თუ გინდა წერილი მისწერეო. ამის შემდეგ გაიშართა ბარამსა და გულანდამის შორის მიწერ-მოწერა, რომელშიაც ბარამი თავის გრძნობებს უმელავენებს მას, თუმცა ოჯავისთავზე არას ეუბნება, გულანდამი ცივად უპასუხებს და ურჩევს—აქედან წადიო. მეხუთე წერილის შემდეგ გულანდამიც უმელავენებს ბარამს თავის გრძნობებს, მაგრამ ურჩევს: იქონიე მოთმინება და სიფრთხილე და ნურავის შენს გრძნობებს ნუ გაუმელავენებო.

როდესაც ბარამი ნადირობისას ქურციკს დაედევნა და თავისიანებს ჩამოშორდა, ათი დღის განმავლობაში ეძიეს, მერე დაბრუნდნენ უკან და მამას განუცხადეს ეს. იმწამსვე გაგზავნეს ყოველმხარეს მძებნელნი და შემთხვევით შეხედნენ მთის ძირში მცხოვრებ მოხუცს, რომლისაგან გაიგეს, რომ ბარამი ჩინეთს წაჰიდა იქაური მწეთუნახაეის გულანდამის გამოსაყენადო. ქიშვარმა ჩინეთში გაგზავნა თავისი ეეზირები და 40000 ჯარი და ფაფხორს სთხო-

ვა მოედებნა მისი შვილი ბარამი და გამოეგზავნა. ფაუხორჰა ჟრუმელნი დიდის ზეიმით მიიღო. მაგრამ ბარამის შესახებ ვერაზა უთხრა; მე ვიცი მხოლოდ ზეცური ბარამი, რომელმაც ბულართა ჯარა შექურა და მეუვის შვილი ბეზადი მოკლაო. ვეზირს აჩვენეს შუბი, რომელზედაც ბეზადის თავი იყო წამოგებულნი და ზედ შესაგერა წაწერა. ვეზირმა იცნა ბარამის შუბი და მისი ხელი, აცნობეს ფაუხორს და დაუწყეს ძებნა ბარამს. როგორც იყო, მოსძებნეს ის, გამაწყეს მკუჯრად და ფაუხორს აჩვენეს; ფაუხორს ის მეტად მოეწონა და გამართა ზეიმი, რომელზედაც გამოიწვიეს ქაჯთა მეფე სიფორიცი ძმებით და დით. ზეიმის დროს შეიტყვეს, რომ შურის საძიებელად მოსულა ბეზადის მამა ნაფზადი დიდი ჯარით. ბარამმა გამოიწვია ქაჯთა ჯარი და შეერთებულმა ქაჯთა, ჟრუმთა და ჩინელთა ლაშქარმა მუსრი გააელო ბულარელებს; ბარამმა საკუთარი ხელით მოკლა ნაფზადი. გულანდამი კოშკიდან ადევნებდა თვალყურს ბარამის მანაცობას. განარჯვების შემდეგ ბარამმა სთხოვა ფაუხორს ქალი, იმან უთხრა: თუ ქალი თანხმე იქნება, მე რა მაქვს საწინააღმდეგოვო? გულანდამს გაუგზავნეს სარრა და რავაზი, ისიც, რასაკვირველია, სიხარულით დასთანხმდა. ბარამმა შეირთო გულანდამი, რომელმაც თავის მამას, ფაუხორს, შერთო სარრა, ხოლო რავაზი მისთხოვდა ქაჯთა მეფეს სიფორს. ამის შემდეგ დაბრუნდნენ ჟრუმეთს და დიდი ქორწილი გადიადეს; ქიშვარმა ტახტი დაუთმო ბარამს, რომელიც დიდხანს გეფობდა ბედნიერად და მხიარულად.

ასეთია მოკლე შინაარსი გულანდამიანი ისა,¹ რომელიც ორი რედაქციით შენაბულა ჩვენამდე: მოკლეთი² და ვრცელით.³ ვრცელს რედაქციაში მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ზოგიერთი ეპიზოდები, რომელიც მოკლეში რამდენიმე სტრიქონითაა გადმოცემული, აქ განვრცობილია, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას თხზულების დასასრულის შესახებ, სადაც მოთხრობილია ბარამის, საფორის და ფაუხორის ქორწილი, აგრეთვე მათი ერთმანეთის გამოთხოვება და დაშორება. უნდა ვიუიქროთ, რომ გადმოთარგმნის შემდეგ ვილაც გადაწვიერს, თუ რედაქტორს შეუშოკლებია ეს თხზულება ალაგალაგ და ამით დასაბაპი მიუყვია მისი მეორე რედაქციისათვის.

ბარამ გულანდამიანი სპარსულ ენაზე ორი რედაქციით არის ცნობილი; პროზითა და ლექსით; რომელი რედაქცია უნდა იყოს ქართულად გადმოღებულნი? ქართულ თარგმანს აწერია, რომ ის გადმოღებულია სპარსული ენიდან „ბრძანებითა საქართველოს გამგებელის ბატონიშვილის ვახტანგისაჲთა“. თუ ეს ასეა და თუ მართლა ვახტანგთან რაიმე კავშირი აქვს ამ თხზულების გადმოთარგმნას, დედანი მისი ვერ იქნებოდა სპარსული ლექსითი რედაქცია, ვინაიდან ეს უკანასკნელი დაუწერია პოეტს ამინს 1734 წელს,⁴ და ძნელი სათქმარებელია, რომ 1734 წელს დაწერილი თხზულება ხელში ჩავარდნოდა იმ დროს რუსეთში მყოფ ვახტანგს, მით უმეტეს, რომ ამინის რედაქცია, როგორც

¹) E. Такайшвили, Описание I, стр. 552—557.

²) წერ. კითხ. №№ 1428, 230, 3695, 1551, 552; პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავის №27 და ორი უზერიოთ გამოკვება: კალატხოვის და ფერაძის 1886 წ., ფამბაელის 1901 წ.

³) წერ. კითხ. №№ 1518; 2392, 3051; სიძველ. მუხ. № 860.

⁴) H. Ethe, Neupersische Literatur, S. 249 (Grundriss.... II).

ი. აბულაძე იმბობს, იწყება ღვთისა და წინასწარმეტყველის დიდებით: რომელიც ქართულში არ არის.¹ მაშასადამე, ქართულს თარგმანს საფუძვლად უნდა ედოს პროზითი რედაქცია, როგორც ამას აღნიშნავს ი. აბულაძეც, რომელსაც ქართული თარგმანი შეუდარებია ამ რედაქციასთან.² ჩვენ ვფიქრობთ, რომ არც ეს უკანასკნელი, პროზითი, რედაქცია უნდა იყოს მაინცდამაინც ძველი, ყოველ შემთხვევაში ის წინ ვერ გაუსწრებს სეფევიდების ეპოქის სპარსეთში, ვინაიდან ამ რედაქციაში მოხსენებულია ფარჰად-შირინიანი, რომლის სხვადასხვა ვერსიები მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნის გასულიდან ჩნდება სპარსეთში.³

უნდა დაისვას საკითხი: აქვს თუ არა მართლა ამ თარგმანს რაიმე კავშირი ვახტანგ მეფის თუ ბატონიშვილის სახელთან, მართლა მისი ბრძანებითაა ის გადმოთარგმნილი? ექ. თაყაი შვილი უარყოფითი პასუხს იძლევა ამ საკითხზე, მისი აზრით, — ვახტანგის სახელი უსაფუძვლოდ მიუკერებიან ბარამგულანდამიანთან, ის მექანიკურად გადმოუტანიათ აქ ბარამგულიჯანიანი და ნაო.⁴ ჩვენ გგონია, რომ ვახტანგის სახელი არც ასე შემთხვევით უნდა იყოს დაკავშირებული ამ ნაწარმოებთან. ვახტანგი, უნდა ვიფიქროთ, დინტურესებულ იყო იმით, რომ, გარდა ბარამგურიანისა, რომელიც კარგახანია ქართულად ნათარგმნი იყო, სხვა ჯიპის ბარამიანიც გაეცნოთ ქართველებს. მისი ბრძანებით დაუწიეთ ძებნა ამგვარი თხზულებებისა, მანა მღვიანს უპოვინა და გაუღეპია ბარამგულიჯანიანი. და მართლაც, ვახტანგის დროზე აღრინდელი რომ არ უნდა იყოს ამ თხზულების ქართული თარგმანი, ეს იმდენად იმიდან კი არ ჩანს, რომ აქ მოხსენებულია დურბინდი, თოვი, მეთოვე და თოუზანა, — ეს ყველა გაცილებით უფრო ადრეც გვხვდება, — არამედ ისეთი რუსიკიზმებისაგან, როგორიცაა გულაობა; ბარამი მინდორში გაეიდა სანადიროდ, „მას მინდორსა შინა გულაობასა ერთა დიდა ლომა გამოჩნდა,“ ანა და აფრა-დევის ჯურღმულში რაეაქალი ეუზნება ბარამ: ერთხელ ბაღში „ვულაობასა შინა ეყავო.“⁵ ამნაირად, ბარამგულანდამიანი გადმოთარგმნილი უნდა იყოს ქართულად სპარსული პროზითი რედაქციიდან არაუადრეს მეთვრამეტე საუკუნის დამდეგისა, ვახტანგ ბატონიშვილის ბრძანებით და ინკოატივით; მთარგმნელის ვინაობა არ ვიცით.

დასასრულ, უნდა აღნიშნოთ, რომ შეეწყარებელია ი. აბულაძის აზრი, წილობა ბარამგულანდამიანს გავლენა მოახდინოს ვეფხისტყაოსანზე: „ჯერ ერთი, ბარამგულანდამიანი სპარსულად დაწერილი უნდა იყოს, როგორცა ვთქვით, არაუადრეს მეთექვსმეტე საუკუნისა, მაშასადამე, ის ვეფხისტყაოსანზე ვერ იქონიებდა გავლენას. მეორე, არავითარი არსებითი მსგავსება ბარამგულანდამიანისა და ვეფხისტყაოსანის სიუჟეტთა შორის არ არსებობს, თუ ასეთ მსგავსებად

¹ იხ. მის მიერ გამოკემული ვეფხისტყაოსანი, წინასიტყვაობა, ვვ. XXIX. ² იქვე.

³ იხ. ზემოთ ხსოვნი-შირინიანის შესაყებ.

⁴ Onucanil, სტრ. 558. ⁵ იქვე. ⁶ სიმეველ. მეხ. ხელნ. № 861 გვ. 61. ⁷ იქვე, ფურც. 14.

⁸ მე-XII საუკ. ქართული საერო მწერლობის ხასიათი და რუსთველის ვეფხისტყაოსანი (ძველი საქართველო, ტ. 1, გვ. 95, შენ. 1); მისივე გამოცემა ვეფხისტყაოსნისა ვვ. XXV—XXVI, და მე-XII ს. საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, ვვ. 11—12.

არ ჩავთვლით ისეთ ელემენტებს, რომელთაც თითქმის სპარსულს ყველა საგმირო და რომანტიულს ნაწარმოებში ეპოპულობთ და როგორცაა: ბარამის გოლიათობა, სატრფოს ძებნა და მასთან ურთიერთობის დაკერა მხეველის საშუალებით, ვაკრებისათვის დახმარების აღმოჩენა და მეფე სიფორთან დამობილება. და თუ მათ შორის არის რაიმე არა არსებიანი, არამედ მოჩვენებითი მსგავსება ეს უნდა ახსნილ იქმნეს, პირიქით, ვეფხისტყაოსნის გაელენით მთარგმნელზე: ჩვენ ვიცით, რომ გატაცება ეფეხისტყაოსნით ალორძინების ხანაში იმდენად ძლიერი იყო, რომ ნათარგმნ თხზულებებშიაც კი შექპონდათ ელემენტები უკვდავი პოემისა.

მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს ბარამგულანდამიანი ქართულიდან უთარგმნია ვილაც სემიონ იგნატიევის რუსულ ენაზე; ეს თარგმანი დაუბეჭდილათ პეტერბურღში 1773 წელს შემდეგი სათაურით: „Пожождение новомодных красавицы принцессы Гуланданы и храброго принца Барамы; перев. съ грузинскаго Семень Игнатьевъ.“¹

h

9. ბარამგულიჯანიანი.

შინაარსი ამ ნაწარმოებისა მოკლედ ასეთია: იყო ხელმწიფე ჩინეთისა ჯონშერი, განდიდებული, უხვი, სიმდაბლით მაღალი, მდიდარი, თვითმოსამართლე წყალობით, ძალგულიანი. მეფეს სხვა ძე არ ესვა, გარდა ერთი ასულისა, რომელსაც სახელად გულიჯანი ერქვა და თავისი მშვენიერებით შეიღსავე მნათობს აბნელებდა. ჯონშერს შეიღად აეყვანა და გაეზარდა ვინმე ბარამი, ჩინელთა მეფის საგვარეულოს წევრი, მზხდენილი ეაქვაცი და სწორუპოვარი გოლიათი; მას მეფემ სპასალარობა მისცა. ზაფხულის დამდეგს მეფის ოჯახი ქალაქიდან საზაფხულო ადგილს გადადიოდა, ბარამიც მას მიჰყვებოდა. უცბად ამოვარდა ქარი და კუბოს, რომელშიაც გულიჯანი იჯდა, ახადა თავსახურავი, ასე რომ ბარამმა და ქალმა ერთმანეთი დაინახეს და შეიყვარეს. ერთხელ, როდესაც დაღრეჯილი ბარამი თავის საწოლში იყო, შემოვიდა გულიჯანის ქალი და მოართვა ბარამს მისი წერილი, რომელშიაც ის მას სიყვარულს უცხადებდა; ბარამმაც სპასუხობა, გრძობებით აღსავსე წერილი მისწერა. ბოლოს ისიც მოხერხდა, რომ ბარამი ჩუმად შევიდა ქალის საწოლში, სადაც გულიჯანმა და მან ერთმანეთს შეჰფიცეს მუდმივი, განუყრელი სიყვარული. განშორებას ვეღარ იტანდა ბარამი, ის გაყვითლდა, ჩამოხმა და ლოგინად ჩავარდა; მეფე-დედოფალი მეტად შეწუხებული იყვნენ, მოიწვიეს მკურნალნი, მაგრამ ვერა არგეს რა.

¹) В. Сопиковъ, Опытъ россійской библиографіи, подъ редакціей В. Рогожина, ч. IV, стр. 116, №8609, Петерб. 1905 г. აქვე აღნიშნულია, (გენნადის ლექსიკონით-ტ. 2, გვ. 45.), რომ ავტორი არის დილარგეთიო (?).

ბოლოს გამოჩნდა ერთი მესტროლაბე, რომელიც მიხედა, რომ ბარამს სწევას გულიჯანის მიჯნურობის ცეცხლი; მან მეფეს გამოაცემია ბრძანება, რომ ბარამთან მივიდნენ ყველანი, ვინც კი არის სასახლეში. სხვებთან ერთად ის ინახულა გულიჯანმა. მისი მოსლეა და ნახვა განმკურნებელ წაპლად შეექნა ბარამს, მაგრამ მესტროლაბემ შესახედავად მინც დააღეცია მას რაღაც წაპალი. ბარამის განკურნების შემდეგ გახარებულმა ჯონშერმა დიდა ზეიმი მოაწყო, რაჟელხედაც ბარამი და გულიჯანი პირისპირ ისხდნენ და ერთმანეთის ცქერით ტუბებოდნენ. ნათი სიყვარული, სხვებთან ერთად, მეფემაკ შენიშნა, ის მეტად შეწბლდა, არ უნდოდა, რომ შვილივით გაზრდილ ბარამს მისი ქალი ცოლად შეერო. მეფემ მოიწვია ევზირთა თათბირი, რომელხედაც გადასწყდა ბარამის შეპყრობა; მეფემ საშინლადა სცემა თავის ქალს და შეუფცა მხადებას ბარამის დასაქერად. ბარამმა რომ გაიგო ეს, დასჯოვა ჩინეთი და გაიქრა უღაბნოდ და ვეღად. მთელი წელიწადი დახეტიალებს ის ადგილიდან ადკილს, სტირის, მოსთქვამს, საჩივარით მიჰპართავს ხოლმე შეიდ მნათობს, ბოლოს შედის ერთს მშვენიერს ბალში, სადაც ის თელს ვერ აშორებს მშვენიერ ყვავილებს, განააკუთრებით ვარდს, რომელიც მას სატრფოს გულიჯანს აგონებს. ის აქ ისმენს ვარდისა და ბულბულის სამიჯნურო საუბარს, გამოელაპარაკება ბულბულს, რომელიც მას ვარდისადმი ტრფობას დასწამებს და საყვედურს ეუბნება—რად მეცილებიო, ბარამი ანუგეშებს მას, რომ უსაუფქლოა მისი ექვები, მას საკუთარი სატრფო ჰყავს, რომელიც განგებამ მოაშორა მას. როდესაც ყვავილები დაქენა, ბარამმა დატოვა წალკოტი და სხვა გზას გაუღდა; მივიდა ღუვის პირას, სადაც მას შეხვდნენ შეშინებული ვაქრები, რომელთაც არ იცოდენ რა ექნათ, ვინაიდან ხლვაზე მეკობრეები მგზავრებს სცარცევედნენ. ბარამი გაუძღვა მათ წინ და მეკობრეები სულერთიან ამოწყვიტა; ვაქართა მეთაური, სელაჯი, მას ქებას შეასხამს და საკურქლესაც შეაძლევს, მაგრამ ბარამი არ აიღებს და მიდის თავის გზით. ბალხეთის ქვეყანაში ის შეხვდა აქაური მეფის ნარიმანის სპასალარს მილადს და უამბო მას თავისი თავგადასავალი; მათ ერთმანეთი მოეწონათ, დამეკობრდეს, დამძობილდენ, და ბოლოს ნარიმანთანაც გამოუქბადა და ნარიმანმა ბარამის ვინაობა რომ გაიგო, დიდი თანაგრძნობა გამოუქბადა და ბოლოს თავისი ჯარით მასთან ერთად ჩინეთისაკენ გაილაშქრა ბარამის საშველად. გზაზე მათ შემოეგებება ჯონშერის ევზირი ბარამში, რომლისგანაც გააგეს, რომ ჯონშერი გარდაცელიდა და ტახტი უპატრონოა, ვინაიდა გულიჯანი უარს ამბობს გამეფებაზე, სანამ ბარამი მოძებნილი არ იქნება; მეც იმის, ბარამის, საძებნელადა ვარ წაპოსულიო, ათავენს ბარამში თავის მოთაროვას. ბარამს კიდევაც ეწყინა ეს ამბავი, კიდევაც გაუხარდა, ვინაიდან მას შეძლება ეძლეოდა სისხლის დაუღერელად მიეხწია მიზნისათვის. ბარამის საშუალებით ბარამმა შეატყობინა ჩინეთსა და გულიჯანს თავისი დაბრუნება, ჩინელები დიდხს ამბით მიეგებნენ მას და ნარიმანს. ბარამი შეერთავს გულიჯანს და გახდება ჩინეთის მეფედ, ბრძნულად და ბედნიერად იმეუა 150 წელიწადს და მერე გარდაიცვალა.

ბარამ-გულიჯანიანი, რომელაც ქართულად ნათქვამია 16 მაკკულა

ვანი რუსთველური შაირით, მომდინარეობს სპარსული წყაროებიდან. ქართველი მთარგმნელი პირველს კარში ამბობს:

„ისმენდით, ვიწყებ ამბავსა, პირველ სპარსთაგან თქმულებსა“
და „ჰამბავნი სიტყუა შეთხზულნი, სპარსთა კელითა ქმნულები,
ბრძენთაგან ნათარგმანები, ქართულად გარდმოთქმულები.“¹

საყურადღებოა თხზულების ბოლო სიტყვაობა, პროზით დაწერილი, სადაც ნიხი გადმომკეთებელი მეტად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის; ავტორი ამ ბოლო სიტყვაობისა ამბობს, რომ სასულიერო მწერლობა გაცილებით მალა დგას, ვიდრე საერო, და შექნატრის მათ, ვინც სასულიერო-საეკლესიო თემებზე სწერს. ვინაიდან სასულიერო მწერლობა ყველასათვის ხელმისაწვდომი არაა, ამიტომ მოიგონეს საერო, რათა ერისკაცებსაც ჰქონდეთ საკითხავად გასართობი ამბებიო. განსაკუთრებით სპარსულ მწერლებს სჩვევიათ აღწერა ქალ-ვაჟთა მიჯნურობისა, როგორცაა ბარამისა და გულიჯანის ამბავი; ხოლო სპარსულიდან ბრძენი კაცები ქართულად სთარგმნიდნო. ეს თხზულებაც იყო მეცნიერებას მიერ სპარსთა ენისაგან გადმოთარგმნილი, დიდი ხანია ვეძებდი მას და, როგორც იქნა, ვპოვე და გაუღეკე მე „ძემან კახეთას მდივნისმან და თვით მდივანმან ონანამ.“² სხვა ადგილას ონანა ამბობს:

აშტარხანს ცუდად დებითა დაეკყავ მცირედი წელია,
აღვწერე, ლექსად შევაწყვე მსმენელთა გამახელია;³

გაუღეკსია ონანას ეს „მსმენელთა გამახელი“ ამბავი 1726 წელს.⁴

ამაიარად, ირკვევა, რომ ქართულ ენაზე ყოფილა სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი ბარამისა და გულიჯანის მიჯნურობისა; ეს თარგმანი ჩავარდნია ონანა მდივანს და მას ის გაუღეკსია აშტარხანს 1726 წელს.

ონანა, ძე კახეთის მდივნისა და თვით მდივანი, ვახტანგ მეფეს გაპყოლია რუსეთს; ის იყო თავადიშვილი, გვარად ქობულაშვილი. ჩანს, ამ გვარში მდივნობა მემკვიდრეობითი თანამდებობა ყოფილა: ონანას გარდა მდივანი ყოფილა მისი მამა, აგრეთვე სეიმონი და დავითი;⁵ თან ლიტერატურული ტრადიციებიც განმტკიცებული ყოფილა აქ, ვინაიდან, გარდა ონანასი, ჩვენამდე შენახულა ლექსები თამაზ ქობულაშვილისა, სეიმონ მდივნის შვილისა,⁶ და ოთარისა, დავით მდივნის შვილისა.⁷ ონანას ჯერ კიდევ 1726 წლამდე, საქართველოში ყოფნისას, უწერია ლექსები; ყოველ შემთხვევაში, მიფის მდივნის ონანას ანბანთქება ჩვენ გვაქვს დაფით თურქესთან შვილის მიერ 1705—6 წლებში გადაწერილს არჩილიანში.⁸

¹) Е. Такайшвили, Описание I, 534, 537.

²) Ibid. стр. 523—527.

³) Ibid. стр. 522.

⁴) Ibid. стр. 527.

⁵) Ibid. т. II, стр. 229—250.

⁶) Ibid. стр. 229, 329.

⁷) Ibid. стр. 229.

⁸) სოციალური-საეთნოგ. საზოგ. ხელნ. № 2116, ფ. 162.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ისეთი შეხედულება, ვითომც
 ეს პროზითი თარგმანი, რომელიც ონანას გაულექსია, არის ზემოვანხილული
 ბარამგულანდამიანი.¹ მაგრამ, როგორც მათი შინაარსიდანა ჩანს, ეს ორი
 სულ სხვადასხვა თხზულებაა.² ონანა მდივანი ამ თხზულების სპარსული დედნის
 შესახებაც გვაწვდის ერთს საყურადღებო ცნობას: „მან ბრძენმან და მეცნიერმან
 კაცნან კეთილმან, არა თუმცა უსწავლელმან და უგბილომან ჩუბინ ბრძენმან,
 რომელი იყო თემისაგან ქირმანელთასა, თქვა მათ მიჯნურთა საქმენიო.“³
 მაშასადამე, ავტორი სპარსული ბარამგულიჯანიანისა ყოვილა ვილაც
 ჩუბინ ქირმანელი. ეინ არის ეს ჩუბინ ქირმანელი? სპარსულს მწერლობაში
 არ შენახულა ცნობა ამ ჩუბინის შესახებ, არც დედანი ბარამგულიჯანიანისა.
 ი. აბულაძე ფიქრობს, რომ ჩუბინ ქირმანელი არის ცნობილი სპარსეთის პოე-
 ტი ხაჯუ ქირმანელი;⁴ სახელი ჩუბინი წარმოდგა, მისი აზრით,
 ხაჯუ ბენ-ისაგან: ხა თავში მოავლიჯეს, ჯუ, resp. ჩუ, შეუერთეს ბენ, resp.
 ბინ-საო და გამოვიდა, ამნაირად, ჩუბინ-იო. ხაჯუ ქირმანელს დაუწერია
 ჰუმა-ჰუმაჟუნ, რომელიც აბულაძეს ბარამგულიჯანიანის გაგრძელებად
 შიანია და რომელიც შეიცავს ჰუმაჟუნის, ზამან ხაჯარელის თავადის, გამიჯ-
 ნურების ამბავს ჩინეთის მეფის ფახუურის ასულ ჰუმაჟუნთან.⁵ წარმოება
 სახელის ჩუბინის მეტად ხელოვნურია და თვითნებითი, ხოლო ხსენება ჩინე-
 თის მეფის ფახუურის სახელისა კიდევ არ ემარა, რომ ჩუბინ ქირმანელში ვიც-
 ნოთ ხაჯუ ქირმანელი, ასე რომ საკითხი ბარამგულიჯანიანის ავტორის შესახებ
 ჯერჯერობით ღიად უნდა იქნეს დატოვებული.

როდესაც ქართულს ბარამგულიჯანიანს ჰკითხულობთ, უნებლიეთ თვალწინ
 გივგებათ ვეფხისტყაოსანი მთელი მისი დეტალებით. ჩინეთის მეფე ჯონ-
 შარი გეავონებს როსტევან მეფეს: მასაც, როსტევანსავეთ, სხვა ძე არა ჰყავს,
 გარდა ერთი ასულისა, რომელიც „სოჟლის მნათი მნათობია.“⁶ ჯონშერს, რო-
 გორც როსტევანს აეთანდილი, გაუზრდია „ვითა ყმა და შეილი,“ ჩინეთის სა-
 ნჯუო საგვარეულოდან გამოსული ბარამი, რომელიც აღკურვილია გამიჯნურე-
 ზული რაინდის თვისებით; მისთვის მეფეს უბოძებია სპასალარობა, როგორც
 როსტევანს აეთანდილისათვის. ეპიზოდები და საგმირო საქმეები ბარამის ცხოვ-
 რებაში ვეფხისტყაოსნის გმართა ცხოვრებისა და ეპიზოდების თითქმის
 განმეორებაა: მგზავრობის დროს ქარისაგან ფარდაგის გადაწევა და კუბოში
 გლიჯანის დანახვა, გამიჯნურება, მახური ქალის საშუალებით ურთიერთობის
 დაწერა მასთან, ველსა და უდაბნოს ხელივით გაჭრა და მთელი წლის განმავ-
 ლობაში ხეტიალი, შვიდი მნათობისადმი მიმართვა, ზღვის პირას მოქარავენე ეპი-

1) ხ. ბიჭინაძე, ქართული მწერლობა XIII—XVII საუკ. გვ. 10. ასევე ფიქრობდა
 1903 წ. ი. აბულაძეც (გე. XII საუკ. ქართული საერო მწერლობის ხასიათი და რუსეთის
 კლასიკოსიანი, ძველი საქართველო ტ. I, გვ. 95. შენიშ. 1). მაგრამ 1911 წელს შეი-
 ცვალა ახრი (ვუბისტყაოსანი, გვ. XXV—XXVI).

2) E. Такашишвили, Описание. I, 554.

3) Ibid. стр. 525.

4) 1291—1377 წ. H. F. the. S. 218 ანდა Ch Rieu-ით 1277—1331 წ. (Catalog
 of the persian manuscripts in the british Museum).

5) ვეფხისტყაოსანი. გვ. XXVIII—XXIX.

რებისა მეკობრეთაგან დახსნა, ბალხეთის მეფე ნარიმანთან დამეგობრება და მისი დახმარებით გულიჯანთან შეერთება და ჩინეთის ტახტის მიღება— ყველაფერი ეს ხომ ვეფხისტყაოსნის განმეორებაა! ამის გამო ზოგიერთ ჩვენ მკვლევარს ჰგონია, რომ სპარსულს ბარამგულიჯანიანს მოუხდენია გაელენა ვეფხისტყაოსნის ავტორზე.¹ ჩვენ გვგონია, რომ ეს აზრი მიუღებელია, სხვა რომ არა ვთქვათ, იმიტომაც, რომ ი. აბულაძის აზრით, ხაჯუ ქირმანელი მეთოთხმეტე საუკუნის მწერალია. ეს მსგავსება აიხსნება სულ სხვა მიზეზით: ონანა მდივანი ტიპიური გამომნატველია ალორძინების ხანის იმ პოეტებისა, რომელნიც იმდენად იყვნენ გატაცებულნი ვეფხისტყაოსნით, რომ მისი დეტალები ნათარგნ თხზულებაშიც კი გადმოჰქონდათ: რალაც უბრალო და ტიპიური სპარსული მოთხრობა ბარამის და გულიჯანის მიჯნურობის შესახებ ონანას გადაუკეთებია ვეფხისტყაოსნის ყაიდაზე. თანახმად ვეფხისტყაოსანში შემდეგ ჩამატებული ადგილისა: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანევი, ეპოვე და ლექსად გარდაექმენ,“— ონანაც გეცხადებს, რომ მანაც პოვა ქართული თარგმანი ჩუბინ ქირმანელის მოთხრობისა და ლექსად გარდაქმნა ის (ასე რომ, შეიძლება, მართალიც არ იყოს ქართული პროზითი ვერსიის არსებობა), გარდაქმნა ვეფხისტყაოსნის ლექსით და ფორმით. აქედან მას გადაუტანია თავის შრომაში ცალკე ეპიზოდები, სურათები, აზრები, პეტრული ფიგურები, შედარებანი და ფრაზები. ამას არც ავტორი მალავს, როდესაც ამბობს:

თქვიან: ბარამ გავს ტარიელს, არს აეთანდილის დარია,
გულიჯან ნესტან-დარეჯანს, თინათინ მინაგვაროა,
იტყოდეს: უსუფ-ზილიხანს შეენება ორთავ დარია,
ყაის, ლეილ, ვისი, რამინ, ბაზიყაც მათში გარია;²

ანაღა -- შეიპყრა, სცემდა უწყალოდ, იგივე დაშვრა, დავარდა,
ვახსენოთ. ნესტან-დარეჯან, ვითა მას უყო დეარ და.³

დედის მწუხარებაზე იმ უბედურების გამო, რაც გულიჯანის მიჯნურობან მიაყენა, უკანასკნელი თვალწინ უშლის დედას სხვა ცნობილ მიჯნურების ამბავს კერძოდ მოჰყავს მოკლედ მთელი შინაარსი ვეფხისტყაოსნისა, მერე იოსებ-ზილიხანიანისა, ლეილა-მეჯნუნიანისა, და ვის-რამიანისა.⁴

ამნაირად, ამ თხზულებაში ჩვენ საქმე გვაქვს უბრალო, მექანიკურ მიზნად ძველობასთან, ონანა ჰბაძავს არა მარტო ვეფხისტყაოსანს, არამედ თეიმურაზის ვარდბულბულიანსაც; მას შეუტანია თავის შრომაში მთელი ეპიზოდი: „ბულბულისაგან ეარდის მიჯნურობა“, „საუბარი ბულბულისათვის“, „საუბარი ეარდისაგან ბულბულისათვის“, „პასუხი ბულბულისაგან ეარდისათვის“, — რომელიც განმეორებაა თითქმის ვარდბულბულიანისა.⁵

1) ეს აზრი პირველად გამოთქვა ვინმე ეგარისმა ვახუთი ვერიაში 1892 წ. № 66. მერე თავგამოდებით იკავდა მას ი. აბულაძე, იხ. მისი ვეფხისტყაოსანი, გვ. XCV—XXVI, 191 წ.

2) სიძველ. მუხ. ხელნ. № 860, ფ. 98.

3) სიძველ. მუხ. ხელნ. № 860, ფ. 98.

4) „არაკი გულიჯანისა შეგონებისათვის დედისა პასუხად მინაცემი“. სიძველ. მუხ. ხელნ. № 860, ფ. 100—102.

5) ხელნ. № 860, ფ. 105—107.

ლექსი ონანა მდიენისა მსუბუქია, მაგრამ მის აკლია პოეტური ცეცხლი და აღმაფრენა. ბარამგულიჯანიანისათვის ონანას დაურთავს ანბანთ-ქება, რომელიც ცალკეც გვხვდება ხელნაწერებში;¹ სულ ჩვიდმეტი ანბანთ-ქებაა, რომელთა შინაარსი უმთავრესად ეკლესიურ-სარწმუნოებრივია.

10. მიჯნურთ ბაღე.

ასეთი სახელე ეწოდება პატარა პოემას, რომელშიაც მოთხრობილია გამიჯნურება ფრანგისტან კაბუქისა და გულბაქრ მხეთუნახავისა; თვით ავტორს განუმარტავს მნიშვნელობა ამ სახელისა: „წიგნსა ამას ეწოდების მიჯნურთ-ბაღე ამაღ, რომე მიჯნურსა ბევრი საცთომელი სდევს და თავის შენახვა მართებს, რათამცა ბაღესა ამას შიგან არა გაებას, თვარა გამოხსნა ძნელილა, ამაღ რომე არა ყოველთაგან შესაძლებელია მიჯნურობა, და თუ ვისმე მიჯნურობა ვწადდესთ, ესე წიგნი აღმოიკითხეთ და ამას წიგნსა შიგან რაჲცა ეწეროს, თუცა სრულიად გკირდესთ, ხელჰყავთ საქმედ, თუ არა და თავი ჰამოდ შეინახეთ“.

პოემა დაწერილია 16 მაკცელოვანი შაირით და იწყება შესავლით, რომელშიაც განმარტებულია მიჯნურობა და აღნუსხულია თვისებანი ნამდვილი მიჯნურისა: ავტორი ამ შემთხვევაში რამოდენადღე განიციდის ვეფხისტყაოსნის პოლოგის მიჯნურობის თეორიის ზეგავლენას. მოქმედება სწარმოებს ქაჯთა სამეთოში: თაედაპირველად პოეტი აგვიწერს ქაჯთა მეფეს, დაახლოვებით ისე, როგორც ვეფხისტყაოსანში აწერილია როსტევეანი (განსხვავდებიან ჰასაკით). და მის უძლეველ ლაშქარს, რომელსაც ხაზაჯა დაუდგია არარატის მთისათვის და გამარჯვებული უკან ბრუნდება. ძლევა-მოსილი მეფისა და ლაშქრის საჰერეტად გამოსულან როგორც ნაზაკაეები. ისე ტურთა „ბანოვანნი“. მეფის კარზე იყო წინამეთეთაგან შეილად გაზრდილი, შვილი დიდგვარიანი თაეადისა, მხნე და ახოვანი, ვითარცა როსტომ, 18 წლის კაბუქი ფრანგისტანი, რომელმაც საჰერეტლად გამოსულ ბანოვანთა შორის თვალი მოჰკრა ერთ კეკლუც ქალს, სახელით გულბაქრს: მისმა სილამახემ, რომელიც აწერილია თვალწარმტაცი ფერადებით,² ვეფხისტყაოსნისა და თეიმურაზ პირველის ნაწერებიდან ნასესხებით. ისეთი გავლენა მოახდინა იმაზე, რომ ცხენიდან ძირს ჩამოვარდა და უსულოდ მიწაზე დაეცა. გადის დრო და ფრანგისტანის გულში სიყვარულის ცეცხლი უფროდაუფრო ძლიერდება; ერთხელ, სანადიროდ ვასულმა, მან მოკლა ჯეირანი, რომლის სიკაცლუცემ, მოხდენილობამ, თვალწარბმა და წამწამებმა მას მოაგონეს მისი სატრფო (როგორც ტარიელს ვეფხმა ნესტანი) და მან საშინელი ტირილი მორთო. მეგობრებს რომ შემოესმათ მისი ტირილი, მო-

¹ წიგნიკითხ. ხელნ. № 1512. E. Такайшвили, Описание II, стр. 218.

² დაბეჭდილია დ. ჩუბინაშვილის მიერ (ქართული ქრისტობაჯია, ნაწილი მეორე ქართული ლექსები, კეტერბურგი 1863 წ. გვ. 10—12).

ვიდენ და დახმარების აღმოჩენას შეუდგენ; ისინი ეუბნებიან მას: ნუ იკლავ თავს. რას გარგებს სიკვდილი ან შენ, ან შენს სატრფოს, მიჯნური ვინ არ ყოფილა. მაგრამ თავი არავეს მოუკლავსო. ფრანგისტანი კიდევ არწმუნებს მათ, რომ ის უკვე განშორებულია ამა ქვეყნისაგან, სიციხლელ აღარ უნდა და სთხოვს, თავს ტყვილად ნუ იწუხებთო. ერთი სიტყვით, განმეორებულია ის სუოათი, აზრები და დიალოგი, რომელსაც ვეფხის ტყაოსანში ვჰპოულობთ, როდესაც მობრუნებული ავთანდილი მინდორში მომაკედავ ტარიელს ნახავს. ფრანგისტანი ხშირად თავისი სატრფოს კარზე არის, შორიდან უთვალთვლებს და მის დახმავს ჰლამობს, ასე რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაპყრო თვით გულბაჰრმაც, რომელმაც მოიხმო თავისი მხევალი გულდასტანი და დაავალა მას მისუ-ლიყო და ეკითხა ამ კაცისათვის: ვინ არის, რა უნდა და რას აკეთებს აქ, ისე. როგორც ბარამ გულანდამიანში ვკითხულობთ. მხევალი მოვიდა და ეკითხება ფრანგისტანს მის ვინაობას; იმანაც გადაუშალა მას მთელი თავისი დამწვარი გული, გაუმელავენა მიზეზი ასეთი მდგომარეობისა და სთხოვა, როგორც დას, დახმარება და შუამდგომლობა გაეწია გულბაჰრთან. გულდასტანი ეუბნება მას, როგორც ბარამს გულანდამის მხევალი, რომ მე ზეპირად იმას ვერ შევძებნა და, თუ გინდა, წერილი მისწერე, წავულებ და ვეცდები შენი საქმე მოვაგვარო. ფრანგისტანიც სწერს თავის სატრფოს დამწველ-დამდაგველს წერილს, რომელშიაც თავმოყრილია ყველა საუკეთესო ადგილები ნესრან-ტარიელის, ვისო-რამინის და ბარამ-გულანდამის მიწერ-მოწერიდან. გულბაჰრმა წაიკითხა და, თუმცა სიყვარულის ცეცხლი მის გულშიც დაინთო, მაინც ფრანგისტანს მოკლედ და კუშტად უპასუხა: რას ამბობ, როგორ მიბედავ ასეთს სიტყვებსაო? ბოლოს მცინე უმატებს, როგორც გულანდამი:

თუ ცეცხლი გწვავს, მოითმინე, ქარტა ენე მსწრაფლ დახიე!

ფრანგისტანი წერილს დაიდებს პირსა და თვლებზე. ჰკოცნის მას, მაგრამ როდესაც გახსნის და წაიკითხავს, გულს შემოეყრება. ის სწერს მეორეს, უფრო მგრძნობიარე წერილს, რომელშიაც, სხვათა შორის, ეუბნება სატრფოს:

არ შემობრალე, ვიტირებ, თვალთაგან ვიდენ წყაროთა,
აწ გავიკრები მინდორად, მწადს მიჯნურს შევეყაროთა,
ტარიელს ქებასა ვესტუმრო, ორთავე ცრემლი ვლვაროთა,
ჩემისა დაკარგვისათვის, ვეჰვ, ვერც თქვენ გაიხაროთა.

ნესტან-დარეჯანს ბრკედ დავსვამ, მასთან ვიჩვილებ ხელია,
გვერთ ჰყავს თინათინ, გულანდამ, ხომ შენი მოსახელია,
ბაზიყაც არის გარჯილი, მათთანა მონახელია,
მათ გაბრკონ, სწორედ არიან ამ საქმის მომნახელია.

წიგნი გადასცა ფრანგისტანმა თავის დობილს გულდასტანს და თან დაატანა:

„წადი უსტარო, მიერთვი მნათობსა სრულად ხმელთასა!“

გულბაჰრმა რომ მიიღო წერილი, უკვე ვეღარ მოახერხა თავის გრძნობების დამალვა და გულდასტანს გამოუტყდა; მხევალიც ხმას ამოიღებს და თითქმის

იმავე სიტყვებით და საბუთებით, როგორითაც ძიძა ვისოს, ემუდარება გულბაპრს დაუახლოვდეს ფრანგისტან კაბუკს და გული გულს მისცეს. გულბაპრს აშინებს მხოლოდ ის გარემოება, რომ ფრანგისტანი ქაჯია, და ქაჯები ხომ ყველა უპირობა: დღეს ერთთან არიან, ხვალ მეორესთან დაიქვრებ საქმეს. მხვევალნა დაარწმუნა, რომ ამას აღვილი არ ექნება, გარანტიად მე მას ფიცს ჩამოვიართმევო. მაშინ გულბაპრმა მისწერა მას საპასუხო წერილი, რომელშიაც გადაუშალა თავისი ცეცხლმოკიდებული გული და უთხრა:

ჰმართებს მამაცთან დიაცა თავი ჰქონდეს დაკრძალულად,
არ დააჩნდეს მიჯნურობა, გულსა ჰქონდეს დათვარულად;

მაგრამ მე აღარ შემიძლია თავის დაქერა, „ღმერთი ვგმო, თუცა შენს მეტის მწადდეს მე შერთვა კმარისა“-ო. ფრანგისტანის სიბარულსა და ბედნიერებას საზღვარი აღარ ჰქონდა, მაგრამ მან ეხლა მეტი მოინდომა: მე უშენოდ არ შემიძლია ცხოვრება, სწერს ის შესამედ, მინდა შენთან, შენს გვერდს ვიყო და შენ გკვრეტდეო; „შენი კოცნაა მომცემი ღონისა უსურურისა“, ამიტომ „შეურით შევეკრდეთ ერთმანეთსა“. მხვევალმა წერილი წაიღო და აღუთქვა ფრანგისტანს:

არ გეწყალვის თავი შენი, ვიყო შეყრის არა მშლელად,
ეცდები, რომ მსწრაფლ შეგეარო, მასთან ვიყო სიტყვის მთქმელად.

ამით თავდება პოემა, არ ვიცი, ვერ მოუხერხებია პოეტს გაგრძელების დაწერა, თუ მეტი არც უნდოდა დაეწერა.¹

ვინ არის ავტორი პოემისა? თხზულებას სათაურად აწერია: „მისის ბრწყინვალეების, კახეთის თავადის ენდრონიკაშვილის ქაიხოსრო მდივანბეგ ელიალ: სისაგან თქმული“; მაშასადამე, ავტორი პოემისა არის მდივანბეგი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი. ამ ქაიხოსროს ჩვენ ეხედებით ომან მდივანბეგის საისტორიო თხზულებაში: „ცხოვრება ირაკლი მეორისა“; ის არის მოლუაწე მეთურამეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა, ოთხმოციან წლებში ის იყო ქართელების მხრივ გამგე ქალაქი განჯისა. საქმე ისაა, რომ „ირაკლის ამას ეამსა ეპკრა საყმოდ განჯა და ყოველი მამული მისი, და აქუნდა ფრიადი მეგობრობა შუშის ხანსათანაცა, რომელი ერთი ამისი კაცი და ერთი მეფის ირაკლისა განაგებდენ ქალაქსა განჯისასა“. მაგრამ, როდესაც ირაკლის ურთიერთობა ხანებთან განწყვედა, მაშინ „გამოაძეს მუნ მყოფი იგი კაცი მეფის ირაკლისა, თავადი ანდრონიკაშვილი, მდივანბეგი ქაიხოსრო“.²

ქაიხოსრო, ჩანს, დიდად მკოდნე ყოფილა ჩვენი ძველი მწერლობისა: მისი პოემა განიცდის გაელენას ქართულ ენაზე არსებულ რომანტიული თხზულებებისას, როგორიცაა ვისრამიანი, ვეფხისტყაოსანი და ბარამჯურლანდამიანი. ამას-

¹) წერა-კითხვის ხელნაწერი № 1511, გვ. 559-591, № 118, 1087; გამოემდლა ექსტრაქტულად დ. ჩუბინაშვილის მიერ, ქართული ქრისტიანობა, ნაწილი მეორე, ქართული ლექსები, გვ. 10-21, პეტერბ. 1886; წ.

²) ქართლის ცხოვრება II, 648.

თანავე ის დაჯილდოვებული ყოფილა უცილობელი პოეტური ნიჭითაც; გარეგანი ფორმის, ნარნარი, დახვეწილი, პირდაპირ მომავლოვებელი, ვირტუოზული ლექსით პოეტური სურათებით, მდიდარი რითმით, შედარებებით და ეპითეტებით მისი პოემა სანიღუმოდ შეიძლება ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რონ ის განიცდის უდიდეს და უძლიერეს გავლენას დასახელებული თხზულებებისას.

11. სარიდონიანი.

შინაარსი ამ თხზულებისა მოკლედ ასეთია: ერთს შეძლებულ ვაქარს სარიდონს, დიდიხნის ლოცვა-ვედრების შემდეგ, ეყოლა ვაჟი, რომელსაც სარიდონივე უწოდა და კარგი მასწავლებლები მიუყენა. სარიდონი ყველას აკვირვებდა სილამაზით, სიბრძნით და ჩანგზე სიმღერით. მისი სიმშვენიერე ესმა ბაღდადის ხელმწიფეს, რომელიც იყო პატრონი შეიღთა სამეფოთა, და თავისთან გაიწვია ის. ხელმწიფეს ერთი შვილი ჰყავდა, ზურღანი, რომელიც ძმად ეფიცა სარიდონს, მეფე-დედოფალმა კიდევ ის იშვილეს და ნახევარ სამეფოსაც დაჰპირდნენ. ზურღანმა ერთხელ სარიდონს უამბო, რომ დასაყვითის ხელმწიფეს ჰყავს ნშვგნიერი ქალი, მამა არამც თუ არ ათხოვეტს მას, მთხოველებს ჰკლავს კიდევაც; მე სამს წელიწადს ვიყავი იქ, მაგრამ ნახვითაც კი ვერ ვნახე ქალიო. სარიდონმა რომ მოისმინა ეს, შეუყვარდა ქალი, რომლის სახელი ეფისო ყოფილა, მიჯნურობისაგან გული წაუვიდა და ძლივს-ძლივობით გრძნობაზე მოიყვანეს. მან განუცხადა მეფე-დედოფალს და ძმობილს, რომ, რაც უნდა იყოს, წავალ იქ, დავიკერ ხელში საკრავს და, როგორც მელექსე, შევალ იმ ქალაქში, სადაც ეფისო ცხოვრობს, და ვეცდები კავშირი დავიკირო მასთანაო. ტირილითა და ვაებით გამოისტუმრეს. ბაღდადიდან სარიდონი, რომელიც ჯერ მშობლებთან მოვიდა და თავისი გადაწყვეტილება განუცხადა მათ. თუმცა მშობლებისათვის სამძიმო იყო, მაგრამ ბოლოს იძულებულნი შეიქნენ ნება დაერთოთ, და სარიდონი ორი მკანგითურთ გზას გაუდგა. დიდი ხნის მგზავრობის შენდიგ ზღვითა და ხმელეთით, ის მივიდა ეფისოს ქალაქში, მეციხოვნეებს თავი გააცნო მელექსედ, რომელიც ლუკმა ჰურის საშოვნელად მოსულა, და შევიდა ქალაქში. აქ ის დააბინავა თავის სახლში ერთმა დიდმა ვაქარმა, რომელსაც სარიდონმა თავისი თავი და განზრახვა გაუმელავენა. მან გაითქვა სახელი საუცხოვო მკანგობითა და სილამაზით, ასე რომ ის თავის სახლში მიიწვია მეფის ერთმა ვეჯირმა, აქ მან გაიცნო ეფისოს გამდელი იზაბური, რომელსაც იმდენად დაუახლოვდა, რომ შუაკაცად გაიჩინა ეფისოსთან და ბოლოს ჩუმად სასახლეშიც შეჰყვა მას, როგორც მომღერალი. სარიდონი ჩანგზე დამღერის ეფისოს ქებას და მშვეენებას და თავის გრძნობებს უმელავენება მას. ეფისომ მოინდომა მისი გაგდება, მაგრამ იზაბურმა თავისი მოხეჩხებული ენით გული შეუტეალა მას, დაარწმუნა, რომ მეფესთან მე მოვაგვარებ საქმესაო, და გადააწყვეტინა ცოლად გაჰყოლოდა სარიდონს, რომელსაც ბეჭედიც კი მისცა.

ამხნის განწავლობაში სარიდონი მოიგონა მისმა ძმობილმა ზურღანმა და მოინდომა მისი ნახვა. ის წავიდა სარიდონის მშობლებთან ამხის გასაგებად.

მაგრამ მშობლებმა შეიღის არა იცოდენ რა. მაშინ ზურღანმა შეაგროვა გულ-
ვანი ფალაენები და გაემგზავრა იქ, სადაც სარიდონი ეგულეებოდა. როგორც
იყო, მიახწია ამ ქვეყანას და გაიგო სად იყო დაბინავებული სარიდონი; დიდ-
ვაქარმა მას ყველაფერი დაწერილებით უამბო. ამ დროს სარიდონი საბლში არ
იყო, ის ეფისოსთან წასულიყო; როდესაც დაბრუნდა და თავისი ძმობილი ნა-
ხა, მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იმდენად გახარებულნი იყვნენ სარიდონი,
რომ ეფისოს წერილზე, ჩემთან მოდიო, უარი შეუთვალა: ჩემი ძმობილი მეწვია
და ვერ დაეტოვებო. მაშინ ეფისომ ორივე მიიპატიჟა; მეგლიშის დროს ზურ-
ღანმა განუცხადა მათ, რომ ის თვითონა სთხოვს მეფეს მათი შეუღლების ნე-
ბართვას და, თუ უარს მიიღებს, ძალით დაიმორჩილებს მას. მართლაც, ის იძუ-
ლებული შეიქნა ძალა ეხმარა, თავისი ფალაენებით სულ მესრი გააკლო მეფის
ჯარს, მეციხოვნეებსა და ქალაქის მცველებს, რის შემდეგ მეფე შეიპყრო და თა-
ვისთან მოიყვანა. ამის შემდეგ მეფე დამორჩილდა, ქალი მისცა მათ და, გახა-
რებულნი და გაბედნიერებულნი, შინ გამოისტუმრა.

სიუეტი პოემისა, — მიჯნურთან საბოლოოდ შეერთება ძმად ნათეცა ქა-
პუკის დახმარებით, როდესაც ამისათვის გარდაუქალი დაპყროლება არსებობა,
აღებულია ვეფხისტყაოსნიდან. აქედანაა ნასესხები ზოგიერთი დეტა-
ლები, როგორც, მაგალითად, გულისწასლვა მიჯნურობისაგან, რამდენიმე წლით
გაქრა სატრფოს საძებნელად, გამღელი ქალის დახმარებით მასთან დაახლოვე-
ბა, ციხისა და ქალაქის მრავალრიცხოვან მცველთა გაწყვეტა რამდენიმე ასეუ-
ლი კაცით, სატრფოს გამოყვანა ამის შემდეგ, მიჯნურთა ყელისყელ გადაქლო-
ბა; ცრემლის ღერა, მრავალი ეპითეტები. შედარებანი და მთელი ფრაზები,
აგრეთვე მოთხრობაში ფილოსოფიურ — მორალური სენტენციების ჩართვა (მშო-
ბელთა მოჩილება, სიკრუის დაგმობა, ბოზობა და ჯერო სიყვარული, სიყვა-
რულის ძალა და გაელენა); ერთი სიტყვით, ავტორს, როგორც ჩანს, სკოდნია
ვეფხისტყაოსანი და განუზრახავს მისი მიბაძვით თავისი პოემის და-
წერა. მაგრამ მას მიბაძვისათვისაც კი არ შესწევს ნიჭი, ამიტომ მისი ნაწარ-
მოები. რალაც სასაცილო რამეს წარმოადგენს: მას აკლია ბუნებრივობა მოთ-
ხრობისა და ფსიქოლოგიურ ანალიზზედ ხომ მეტია ლაპარაკი. არავითარი პოე-
ზიის ნაშან-წყალი თხზულებას არ ატყვია, მხარერულ სურათებს მასში ვერ შე-
ხედება მკითხველი, ლექსი პირდაპირ სასაცილო და უხეშია; ავტორს განუზრ-
ახავს რუსთველური შაირით დაეწერა თავისი პოემა, მაგრამ ეს მას ვერ მოუხერ-
ხებია: 16 მარცვალის მაგიერ და გვერდით იხმარა 15, 14, 13, და 17, 18,
19 მარცვალსაც. რითმა მისთვის ხომ არ არსებობს, რადგანაც ის მას არ
ეხერხება.

აღ. ხახანაშვილის სიტყვით პოემა გავრცელებულია კავკასის ქარ-
ველ ვაქართა შორის, ის დაწერილი უნდა იყოს ვილაც ვაქარის მიერ, მაშასა-
ღამე, მეთვრამეტე საუკუნის გასულს თუ მეცხრამეტეს დამდეგს. როდესაც ქარ-
თველებმა იწყეს გადასახლება ჩრდილოეთისაკენ.¹ მართლაც, თხზულებას რომ
ვაქართა წრესთან აქვს კავშირი, ეს ნათლად ჩანს მისი ვაქარულ ტენდენცი-
თაგან.

¹) Очерки по истории грузин. словесности, III, 195.

დან: სარიდონი არის დიდი ვაჰრის შვილი, უცხო ქვეყანაში ის თავს აფარებს დიდს ვაჰარს, პოემა ხშირად ლაპარაკობს ვაჰრის პურმარილობაზე, ხაზინაზე, ფულზე, ფულის დახარჯვა-მოგებაზე, ერთი სიტყვით, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ვაჰრის იდეალიზაციასთან; მაგრამ თქმა იმისა, რომ ავტორი უცილობლივ ვაჰარია, არ შეგვიძლია. ერთი კია, რომ ავტორი დასაუფლოდნ საქართველოდან უნდა იყოს, როგორც ეს შემდეგი პროვინციალიზმებიდან ჩანს: გეეგებოდათ, დეეტიოთ, მოქცეს, დეეკონება, დეეეძეფ, ელევა კქუა-გონება, უცუათ, დეემალა, დააქორწილებდა და სხვ. რაც შეეხება მისი დაწერის დროს, ენის მიხედვით, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის დაწერილია არაუადრეს მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრისა; მართლაც, ასეთი ეულგარიზმები, როგორცაა ჯეელი, აფსუს, ოფლის დენა ხეითქივით და ის პროვინციალიზმები, რომელნიც ზემოთ უჩვენეთ, ამისი მოწმეა.¹

— □ □ —

¹ პოემა *ოჯგერაა* გამოცემული ტფილისში: 1879 წ. კ. ჩარეკოვის მიერ და 1902 წ. ფამბაყელის მიერ.

III. საზღაპრო ეპოქი.

1. რუსულდანიანი.

ერთერთი პოპულარული საზღაპრო ნაწარმოები, რომლის ზოგიერთი მოტივები ხალხურ სიტყვიერებაშიც გვხვდება, არის რუსულდანიანი. შინაარსი მისი მოკლედ ასეთია: ზმირინის ქვეყანაში ცხოვრობდა დიდებული კაცი აფთვიმიანი, რომელსაც ჰყავდა 12 სახელოვანი ვაჟი და ერთი მხისა მსგავსი ქალი რუსულდანი. დამანეთის ქვეყანაში იყო ერთი სახელოვანი ხელმწიფე, ქეშმარიტი სარწმუნოებიდან კერპთთაყვანისმცემლობაზე გადასული, რომლის საბრძანებელს მისი გადაცვალების შემდეგ, სპარსეთი დაეპატრონა, ვინაიდან მას მემკვიდრე არ ღარჩა. მისი სიკვდილის ვაშს ცოლი მისი, ქრისტიანობასა ზედა აღრზდილი. ორსულად იყო; მას შეეძინა ვაჟი, რომელსაც მანუჩარი უწოდეს. მისი აღზრდა დედის გარდაცვალების შემდეგ, იკისრა ერთმა ღვთისნიერმა კაცმა. დაეუკაცუბულმა და პასაკში მოსრულმა მანუჩარმა გაიგო რუსულდანის ამბავი, წაეიდა აფთვითმიანესთან და დიდის თხოვნისა და ვაიეაგლახის შემდეგ შეირთო ის და სახლში დაბრუნდა. მათ შეეძინათ სამი ვაჟი და ერთი ასული, როდამი. რამდენიმე ხნის შემდეგ მანუჩარი დააბეზლეს სპარსეთის მეფის წინაშე, რომელმაც ის თავისკარზე გაიწვია. მანუჩარმა უთხრა თავის მეუღლეს: ამდენიხანია მე ჩემი სამეფო ვერ დავიბრუნე. იმიტომ რომ ქრისტიანი ვარ და არ მინდოდა წასლვა ურჯულო მეფესთან, ეალა კი ის თვით მიწვეეს და ურჩობა შეუძქიებელიაო. რუსულდანი გული შეუწუხდა, მაგრამ მანუჩარი მას ანუგეშებს და ბოლოს მიდის მეფესთან, რომელსაც ის დიდად მოეწონება. ბტრები მანიც არ დაცბრენ: მეფეს უთხრეს. რომ მანუჩარს ერთი მზეზე ულამაზესი ქალი ჰყავს, რომელიც შენ შეგშვენის გყავდესო. მეფემ მოითხოვა ქალი, რომელიც იძულებით წაიყვანეს; მაგრამ მან ესეც არ იცმარა. მან მოსთხოვა მანუჩარს. რომ გამოეწვია თავისი ვაჟი ფრიდონი. რომელიც აგრეთვე იძულებული შეიქნა წასულიყო. რუსულდანი ჩაეარდა სასოწარკვეთილებაში, მისდა სანუგეშებლად გამოიწვიეს მისი მამა და მამები, რომელნიც რომელნიმე ნახლთა. რომელნიმე ნასმენთა. რომელნიმე ძველთა წიგნთაგან ამოკითხულთა ამბავთა უანბობდიან და დიდთა ქუეყანათა და დიდებულთა ხელმწიფეთაყა კირნი და განსაცდელნი ენახნეს და ბოლოს შეება და განსვენება ღვთისაგან. დეითეული ძმა თითო ზღაპარს უამბობს, ასე რომ სულ 12 ზღაპარია წარმოდგენილი.

პირველად ლაპარაკობს უფროსი ძმა, როელმაც წარმოსთქვა „ანბავი ჩინეთის ხელმწიფის ზოსტერისა, ზოსიმეს ძისა, და ზოსტერის ძისა ზაეისა,“ იმ მიზნით, რომ დედას შეეაგონოს: „ზაეის დედა ყოფილიყავ, მის მეტი არა ჰყავდა რა, ათ თუთხმეტისა წლისა დაიკაოვა, უფრო ვერ გასძლებდიო“

მეორე ძმამ ფარეუზმა თქვა „ანბავი ხათაელთ ხელმწივის ტომერანისა და ძისა მასისა ჯიმშედისა.“ მესამე ძმამ გურზიმ თქვა „ანბავი ყვითლის ქალაქისა ხელმწიფის გოსტამისა და ძისა მისისა ხოსროსი ქრისტიანისა და კაის ქაბუჯისა ქაჯთა და დევთა ამოწყვეტისა.“ მეოთხე ძმამ, ბარამმა თქვა „ანბავი ყარამან ურუმის ხელმწიფისა და ძისა მისისა ყაისისა, რომელსა ყაისრიანი ეწოდების“. მეხუთე ძმამ გვიმ თქვა „ანბავი გლახათ ხელმწიფეთა ნოდარისა და ძისა მისისა გორჯასპისა“; მეექვსე ძმამ ომანმა-„ხელმწივის იბრემის ანბავი იწყო“; მეშვიდემან ძმამან გოდერძიმ-„ანბავი ბერძენთა მეფისა კოსტასი,“ მერვემან ძმამან საამ-„ანბავი ბალხი ბუხარ ხელმწიფისა,“ მეცხრე ძმამან გურგენმა-„ანბავი დუშმან ქამანქამის გოსტამისა, რომლისა მსგავსი არა ყოფილა:“ მეთათე ძმამან ფირან-„ანბავი შამის ხელმწიფის ბანაროზისა და გლახისათვის“ ამ დროს რუსუდანს მოსდის წერილი ფრიდონისა, რომელშიაც ის ატყობინებს მას, რომ მეფემ ის თაედაპირველად ისე მრისხანედ მიიღო, რომ მამას მანუჩარს, რომელიც მის ტახტთან სეეტივით იდგა, ნებაც კი არ მისცა მისალმებოდა. მაგრამ ფრიდონი მალე მოსწონება მეფეს, რომელსაც ის, შამის თხოვნით, უკანვე დაუბრუნებია იამანეთის მეფედ. ამ ამბავმა დიდად გაახარა რუსუდანი და მისიანნი. შეიქნა მხიარულება და ზეიმი, რუსუდანმა წინაღედება მისცა ძმებს უანბონ მას „მოსალხენი და შესაქცევიარი“ ანბავი. თანახმად ამ წინადადებისა მეთერთმეტე ძმამ როსტევანმა თქვა „ხაზართა მეფის ანბავი და სამთა მეფისა დელამთა ძეთა,“ მეოთხმეტემ, ზაალმა-„ანბავი იტიტინე და ილაპარაკესი.“ ანასობაში ფრიდონი მართლაც დაბრუნდა, დედა დიდი სიხარულით შეეგება მას და გამოკითხა ყველაფერი, განსაკუთრებით მისი ქალის როდენის ამბავი, რითაც. ცოტა არ იყოს, დამშვიდდა ის. ფრიდონმა მოიწვია „გონიერნი ნწიგნობარნი“ და ბიძების ნაამბობი 12 „ანბავი“ სიტყვა-სიტყვით ჩააწერინა; ამის შემდეგ მას გამოეთხოვენ პაპა და ბიძები, დარიგება მისცეს, თუ როგორ იმეფოს, და წავიდენ თავიანთ ქვეყანაში. გავიდა რამოდენიმე ხანი და რუსუდანი გარდაიცვალა; ეს ამბავი ფრიდონმა შეატყობინა პაპას და ბიძებს, რომელთაც გულმდღუარედ მოიტირეს ის. რუსუდანის დედამ შეატყობინა ეს ამბავი მის ქმარს მანუჩარს, რომელიც შეუფარდა ოთახში მეფეს და უნდოდა მოეკლა ის, მაგრამ ვეზირმა ხელი შეუშალა. მეფემ იფიქრა, რომ ეს კუჟადან შეშლილო, და სამშობლოში დააბრუნა, სადაც მან განიხარა თავისი შვილების ნახვით.

ასეთია მოკლე ქარგი და შემადგენლობა ამ თხზულებისა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ გამოცემული არაა მთლიანად, საკმაოდ ცნობილია ქართულს სამეცნიერო ლიტერატურაში. პირველად მას შეეხო აკად. მ. ბროსე, რომელმაც გადმოგვცა მოკლე შინაარსი პირველი ორი ზღაპრისა და სათაურები დანარჩენებისა და გამოთქვა თავისი შეხედულება თხზულების შესახებ.¹ პროფ. დ. ჩუბინა შვილმა თავის ქრისტომატიკაში მოათავსა მთლიანად მეორე ზღაპარი და ნაწილი მეცხრესი;² პროფ. ნ. მარჩმა დაბეჭ-

¹) Bulletin Scientifique 1878, IV, 51-62; De la littérature romanesque géorgienne, *Bullet. de l'Acad.* 1878, t. XXIV—Mélanges Asiatiques, 1876-1881, t. VIII.

²) ნაწ. I, გვ. 36-73, 1863 წლ., 69-85.

და ტექსტი და რუსული თარგმანი მეურთმეტე ზღაპრისა.¹ ალ. ხაბანა-
შვილმა მოგვცა შემოკლებული რუსული თარგმანი მთელი თხზულებბისა,² ხო-
ლო ექ. თაყაიშვილმა—აღწერილობა წერა-კითხვის საზოგადოების მუზე-
უმში არსებული ნუსხებისა.³

მთავარს ინტერესს და ნაწილს თხზულებისას წარმოადგენს თორმეტი ზღა-
პარი, რომელთაც გარკვეული მიზანი აქვთ: ანუგეშონ მწუხარებაში მყოფი რუ-
სულანი. პირველი ათი ზღაპარი ნამდვილი სადევ-გმირო ტიპისაა: აქ თვალსა-
ჩინო ადგილი უკავია რკენას ბუმბერაზებისას ერთიმეორესთან, დევებთან, გვე-
ლებთან, გველეწაებთან, ლომებთან და სხვა მხეცებთან; ასე რომ თხზულება
შესაძლებელი იყო სადევ-გმირო ნაწარმოებად გვეცნო, მას რომ გარკვეულთ
ტენდენციას არ ჰქონდეს; ტენდენცია ეს შემდეგნაირია:

1) ქრისტიანულ-სარწმუნოებრივი: იამანეთის ხელმწიფეს მისი
სამეფო წაართვის იმიტომ, რომ მან დაუტყუა ღმერთი ქეშმარიტი და იქნა
კერპთმსახური; დედა მანუჩარისა იყო ქრისტიანი, რომელმაც მანუჩარიც ქრი-
სტიანობაში აღზარდა. ურჯულს მეთუ სპარსეთისა არის ქრისტიანების მტერი.
მანუჩარს ეზინია, რომ ის მას ქრისტიანობის უარისყოფას მოსთხოვს, ამიტომ
ის ამჯობინებს უტახტოდ დარჩეს, ვიდრე იმასთან წაეიდეს; ბოლოს ის მაინც
დააშორეს ოჯახსა და ტახტს იმიტომ, რომ ქრისტიანი იყო. ის დევი, რომე-
ლიც უჩინ-მაჩინის ქვეყანას აოხრებს, მოკლული უნდა იქნეს ქრისტიანი ქალის
მეოხებით. ნუშრევანი და ხოსრო მეფეები ქრისტიანებია, მათს ქალაქში 500
მონასტერი და ეკლესიაა; ხოსროს ოქებში ღმერთი ქრისტიანებს უწევს დახმა-
რებას (3 ზღაპ.). იოსების, იაკობის, დავითის და იობის ცხოვრება აქ მისაბაძ
მაგალითადაა წარმოდგენილი (6 ზღ.); ბერძნის მეფეს კოსტას ღამე ანგელოზი
ეცხადება, რომელიც მას ცოდვების მოტევენას აღუთქვამს (7 ზღ.), თხზულება-
ში თითქმის ყველაფერი „ღვთის შეწონით და დახმარებით“ ჰხდება, ის გამ-
ქვალულია იმ აზრით, რომ „კანებისა შეცვალება არ იქნების, რაც ღმერთს
განუგია, ის იქმნების“, რომ „კაცმა სულასთვის უნდა იზრუნოს და არა სოფ-
ლისთვის, თვარა ამის მეტსა არავის რას არგებს ძენი და ასულნი თვისნი, არ-
ცა მეყვისნი, არცა დიდება, არცა მეფობა“ (7 ზღ.), რომ „ღმერთი ასეთი ხელ-
მწიფეა: მაღალს დაამდაბლებს, მდაბალთ აღამაღლებს, მისგან ყოველი კაცი
იმედებული უნდა იყოს და იმას მონებდეს, მისგან ყოველი ძველი გაახლდების-
ძნელი გაადვილდების, და მრუდი გაიმართების (11 ზღ.). აქ მოყვანილია ამა-
ვი „მზისა მის და ახოვნი“ მთავარმოწამისა ევსტატისსა, თუ რაგვარად ექსო-
რია იქმნა მამულისა დიდებისაგან და უცხო იქმნა სახლისა და სამყოფისაგან,
ასე რომ მგელთაგანცა დაძაბუნდა და შეიღნი საყვარელნი კბილთა მისთა ში-
გან ნახნა და მეულღე მშვიდი ბარბაროზთაგან წარეტაცა, დარჩა მარტო, გა-
ლარბნდა და ყოველივე კეთილად დაითმინა სიყვარულითა ღვთისაგან; ამისა-

¹) Восточныя замѣтки. Сборникъ статей и изслѣдованій профессоровъ и препо-
давателейъ восточныхъ языковъ Петерб. Университ. „Грузинскій изводъ сказаний о
трехъ огромныхъ братьяхъ изъ Русуданиани“, стр. 221—259.

²) Очерки по исторіи грузин. словесности III, стр. 7—52.

³) Описание I, стр. 400—409.

თვის ღირსყოფილ ღმერთთან გულთმეცნიერებან დიდებასავე თვისსა და უმჯობესნი-
ცა განიგულა მისთვის. ამად რომე სასუფეველი ცათა და უმჯობესნი მათაჲც.

2. დიდაქტურ-მორალურ: თხზულებაში თავიდან ბოლომდე გატარებულია შემდეგი აზრი. რომელიც უფროსს ძმას ეკუთვნის: „მრავალი უცხო ქვეყანა მინახავს და მრავალთა ბრძენთაგან გამოვიკითხავს ძველი ანბანი და ლხინი ზოგნი მინახავს და ზოგი მასმია. რომე დიდსა ქირსა უფილიყვენენ დიდებულნიცა და დამცირებულნიც, მაგრამ ბოლოს ისევ შებება და ლხინი მიეცეს დამბადებელისა ყოელისა“. ანდა—„სოფელი ასე მქნელია, რომე არცა ეინ ჩვენს წინათ ყოფილა ქირუნახავი და განსაცდელთაგან დაუცდელი და არცა ჩვენს უკან იქნება“ (მეცხე ძმა), გინა თუ: „ხელმწიფეთა ნათესავთა ქირი და სიღარიბე მრავალი გარდაუხდია, ჯა კიდევ მრავალნი გარდაიხდნან, მაგრამ ღმერთი მათ გვარიწვილობას არ დაჰკარგავს (მე-11 ძმა).

3. ეროვნული; ეროვნული ტენდენცია ჩანს: ა) ქართულს ეროვნულ ან ეროვნებულ სახელწოდებათა ხმარებაში: რუსუდანი, ნასტურიძე, ქეთიონ ან ქეთევან, იტიტინე, ილაპარაკე, ბედშავი, ბედუქელმართი. ბ) ხოსროს შედარებაში ეფემისტყაოსნის გმირ ტარიელთან; გ) ქართულ ხელისუფლებათა და სოციალურ ცნებათა აღნიშვნაში: სალთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი. მოღარეთუხუცესი, ბაზიერთუხუცესი, კორჩიბაში (4 ზღაპ.), აზნაური, დიდებული (5 ზღ.); დ) მოქმედ პირთა ქართულად ლაპარაკში: უსჯულო მეფემ მანუჩარს ქართულად მისწერა წერილი; ბარამს თავისი ზღაპარი სარკინოზული ენიდან ქართულად უთარგმნია: ქართულად ლაპარაკობს იბრაჰიმი, იტიტინე და ილაპარაკე.

ორიგინალურია თუ ნათარგმნი ეს თხზულება? ძირითადი ნაწილი მოთხრობისა, მისი, ასე ესთქვით, კვანძი, რომლისათვისაც მოყვანილია 12 ზღაპარი, სახელდობრ, ყველა ის. რაც რუსუდანს შეეხება აქ, უეჭველად ორიგინალურია: რუსუდანისა და მისი ქმრის მანუჩარის თავგადასავალში ავტორს მიზნად დაუსახავს დაესურათებია ბედშავი და ბედუქელმართი მდგომარეობა საქართველოსი მონღოლთა და შემდეგ სპარს-ოსმალთა ბატონობისას, როდესაც ქრისტიანობისა და ქრისტიანთა დაჩაგვრა ჩვენში ურჯულოთა მიერ ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როდესაც დიდი გასაქალი ჰქონდა უცხოელების მიერ სამეფო ტახტის მიტაცებას, მათს წინაშე ბეზღაობას, მეფეთა და სეფეწულთა უცხო სამეფო კარზე ყოფნასა და აღზრდას, იქ მლიქვნელობით, სარწმუნოების უარისყოფით და სხვა დამამცირებელი საშუალებით თავისი ეფემერული უფლებისა და პატივის შენარჩუნების ცდას და სხვ. უეჭველია ისიც, რომ რუსუდანი ავტორს გამოყვანილია უნდა ჰყავდეს რუსუდაც დეიოფალი (XIII ს.) და მისი დრო: როგორც მანუჩარი მიდის კერპათაყვანისწვემელ მეფესთან ტახტის—სამებნელად. ასევე უხდებოდათ ამ ეპოქის ქართველ მეფეებს მოგზაურობა მონღოლეთში თავისი უფლების განმტკიცებისათვის; ამისი საუკეთესო საშუალებად ისინი სთვლიდენ, მსგავსად მანუჩარისა, ნებაყოფლობითი დამორჩილებას ძლიერი მტრის სთვლიდენ, ვიციით, მაგალითად, რომ თვით რუსუდანი იძულებულა იყო: თავისი ბისადმი-ვიციით, მაგალითად, რომ თვით რუსუდანი იძულებულა იყო: თავისი შეილი დაეითი გაეზავენა ყარაყარუშს დასახლებული მიზნით; ხოლო ასული თამარი მიეცა სელჩუკელისათვის. ასეთს შავსა და აუტანელს მდგომარეობაში ქართველებს ანუგეშებდა ერთად-ერთი აზრი, რომ ღმერთი არ გასწირავს ქრი-

სტიან ერს, რომელსაც ბოლოსადამოლოს მწარე ბედი „შეებასა და ლხინზე შე-
ეკლება დამბადენელისაგან.“ ამ აზრის საილიუსტრაციოდ მოყვანილია ის 12
ზღაპარი, რომელიც საკუთრივ შეადგენს რუსულდანიანის შინაარსს. ამ შემ-
თხვევაში ავტორს, ალბად, უხელმძღვანელებია იმ ლიტერატურული დევიზით.
რომელიც გამოთქმული აქვს ომანიანიანის ავტორს ქაიხოსრო ომანიშვილ-
ჩოლოყაშვილს:

ფილოსოფოსთა კარები თორმეტად გარიგებულა,
ერთის სწავლითა სრულობით ვერავენ გათაეებულა, —¹

ესე იგი, ფილოსოფოსთა მიერ ამათუიმ მოთხრობის კარები ან თაყები თორმე-
ტად განაწილებულა, ვინაიდან ერთის სწავლით ან მოთხრობით აზრი ვერ გა-
თაედების ან ვერ ამოიწურებისო. ამიტომაცაა. ალბად, რომ ეს თორმეტი ზღა-
პარი თორმეტ კარად არის დალაგებული თხზულებაში.

რაც შეეხება თვით ზღაპრებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გარკვეულ-
ლი ტენდენციით და ეროვნული სულით არიან გაჯენითლინი, მიუხედავად იმისა,
რომ მოტივები ზოგიერთი ამ ზღაპრებისა, ხალხში ტრიალებს, ისინი, წინააღმ-
დეგ ალ. ხახანაშვილის აზრისა,² ორიგინალურნი არ არიან და წარმოად-
გენენ გადმოყვებებს სხვადასხვა ლიტერატურულად დამუშავებული ზღაპრებისა
და თქმულებებისას.³ ეს რომ ასეა, ჩანს იქიდან, რომ მეთერთმეტე ზღაპარი (ნ.
მარჩის მიერ გამოცემული), სხვა ლიტერატურებშიაც ცნობილია, მეთორმე-
ტეს (რომელიც თითქოს ყველაზე უფრო ეროვნული უნდა იყოს) ჩონჩხი სონ-
ხურ მწერლობაშიაც არის ცნობილი;⁴ რაც შეეხება მეოთხეს, ყაისრიანს, მისი
ბეჭდული ბარამი პირდაპირ შენიშნავს, რომ „ესე ამბავი სარკინოზთაგან მოგ-
ვესმა მათითა ენითა და ჩვენ ქართულად ვთქვითო,⁵ ანა და ასე: „სარკინოზ-
თაგან მსმენია და მე ქართულსა ენასა მითარგმნიაო.“⁶ მეათე ზღაპარი (ბანარო-
ზის შესახებ) პარალელებს ჰყოლობს ერთს მოთხრობაში, რომელსაც ანგია
ლალი ეწოდება.⁷ მეშვიდე ზღაპარში (ბერძენთა მეფის კოსტას შესახებ) უნდა
გვქონდეს ერთ-ერთი მთარგმნელი ლეგენდა კონსტანტინე დიდის შესახებ. სხვა
ზღაპრების კვალს ჯერ ვერსად ვხედავთ, მაგრამ ეს აიხსნება იმით, რომ აღმო-
სავლეთის ლიტერატურა, რომლის უცილობელ ანარეკლს შეადგენენ ისინი,

¹ E. Такайшвили, Описание I, стр. 56.

² ორიოდ სიტყვა რუსულდანიანზე, ივერია 1895 წ. № 33.

³ ნ. მარჩის (Восточныя замѣтки, стр. 229) და ა. ხახანაშვილს (Очерки III, 8-11) ჰგონიათ, რომ მეექვსე ზღაპარში, იბრეიზის შესახებ, გადმოცემულია ცხოვრება წმ. ვესტოტაცუსი და მოყვასთა მისთა, მაგრამ ეს მართალი არაა. ეს ჰაიოგრაფიული ნაწარმოები ოქროს შედგენილია ლეგენდების და ზღაპრების მიხედვით.

⁴ H. Марш, Восточныя замѣтки, стр. 229-230

⁵ წერ. კითხ. № 436, № 3698, გვ. 526

⁶ წერ. კითხ. № 2541, გვ. 263. ალ. ხახანაშვილს ყაისრიანი გამოჰყავს ყაისარი ან ყაისარიანსაგან, რომელიც საზარებაშიაც გვხვდება, და ეს გარემოება მიანიჩა მას მისი სიძველე დამამტკიცებლად (Очерки III, 52), მაგრამ მათ შორის არაფერი საერთო არ არის; ყაისრიანი წარმოდგება ყაისისა და არა ყაისრისაგან.

⁷ A. Хахлиовъ, Очерки III, 52.

ჯერ შესწავლილი და გამომომზეურებული არაა ჯეროვნად. ტყვილად კი არაა ნათქვამი რუსუდანის შესახებ ამბავში, რომ ძმები მას „უნაბობლიან რომელნიმე ნახულთა (იგულისხმება რუსუდანისა და მანუჩარის ცხოვრებით დასურათებული ამბები საქართველოსი), რომელნიმე ნასმენთა, რომელნიმე ძველთა წიგნთაგან ამოკითხულთა ანბავთაო“, ესე იგი—ზეპირს თუ ლიტერატურულს ზღაპრებს.

ამნაირად, რუსუდანიანის ავტორს შეუდგენია ორიგინალური, დამოუკიდებელი გეგმა, გაუკეთებია თავისებური ჩარჩო, რომელშიც ჩაუდგია ნასესხები მასალა 12 ზღაპრის სახით, თუმცა ეს მასალაც შეუფარდებია მას ქართველთა ეროვნულ—ქრისტიანული გემოს და მოთხოვნისათვის.

ვინაა ეს ავტორი, ჩვენ არ ვიცით, თუმცა შესაძლოა დაახლოებით მაინც გარკვეულ იქმნეს დრო მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა და რუსუდანიანის შედგენისა.

აკად. მ. ბროსე ამ თხზულების შედგენას აკუთნებდა XV საუკუნეს, ხოლო დ. ჩუბინი შეილი და ალ. ხახანაშვილი—მეცამეტეს, ესე იგი თვით რუსუდან დედოფლის დროს. ნ. მარჩი უარყოფს ამ თარიღებს და, თხზულების ხასიათისა და ზოგიერთ ლექსიკურ მოვლენათა მიხედვით, ის მას გაჭაქვს მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს, არა უადრეს საბასულხან ორბელიანის მიერ ლექსიკონის დაწერისა. ექვთ. თაყაიშვილის სიტყვით კი არაფერი არ უნდა გეიშლიდეს თხზულება მივაკუთნოთ მეთექვსმეტე საუკუნეს, ესე იგი მწერლობის აღორძინების დასაწყისის საქართველოში.¹

ყოვლად შეუძლებელია, სტილის მიხედვით, თხზულება მივაკუთნოთ არამც თუ მეცამეტე საუკუნეს, არამედ მეთექვსმეტესაც: მეცამეტე საუკუნეში შეუძლებელია სიტყვები: თოფი, საათი, აბაზი, იოლო მეთექვსმეტეში (აბაზის გარდა)—მეტი (რომლის გვერდით იქვე გვაქვს ძველი კიდე); კიდევ (ძველი კულადის გვერდით), მეთქი, კაი, რომ (რათას მაგიერ), მაგრამ. ცეცხლში, (არის ძველი ფორმაც ცეცხლსა შინა) ხეზე (არია ხესაზე და-) ამასობაში, კლდით გამოსათ, ყოფა ები და სხე. მრავალი, რომელთა მსგავსი მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის ძეგლებშია დამოწმებული. ქრისტიანულ სარწმუნოებრივი, დიდაქტურ-მორალური და ეროვნული ტენდენცია თხზულებისა, აგრეთვე ტერმინი აბაზი, რომელიც შაჰაბაზის სახელთანაა დაკავშირებული, გვიკარანახებენ, რომ თხზულება მართლაც მეჩვიდმეტე საუკუნეზე ადრე ვერ დაიწერებოდა. მეორე მხრით, თუ შეხედვლობაში გვექნება, რომ 1732 წელს მეორე თავი იმ შრომისა ჯიმ შედიანის სახელით გაუღექსია მამუკა ბარათაშვილს, ცხადი ხდება, რომ მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს, თუ მეჩვიდმეტეს გასულს, ის უკვე ცნობილი იყო ქართულად. და მართლაც, ორი ნუსხა მისი (წერ.-კითხ. №№ 436, 3698), პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, აუცილებლად მეჩვიდმეტე საუკუნისაა;² სახელდობრ, ერთი მათგანი (№ 436) უკვე მეფე ნაზარ-ალი-ხანის დროს (1688—1691 წელს ქართლ-

¹) Е. Такайшвили, Описание I, стр. 405.

²) Ibid. стр. 406—409.

ში და 1695—1703 წ. კახეთში) გადაწერილი იყო, ვინაიდან იმაში ერთერთს ცალიერს ადგილზე (ცალიერი ადგილები აქ დატოვებულია განგებ, ალბად შემდეგ სურათების დასახატავად) მოთავსებულია მოკლე სიკელი ნახარ-ალი-ხანი-სა.¹ ასე რომ რუსულდანიანი დაწერილი უნდა უყოს მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში.

საუკრადლებოა შემდეგი ვარემოება; მეათე კარის სათაური წერაკითხვის ნუსხაში № 2541 იკითხება ასე: „აქა მეათე ძმის ფირანის ნათქვამი ანბავი შამის ხელმწიფის ბანაროზია და გლახისათვის. საუკუნომცა არს სახსენებელი დედოფლის ელენესი, ამინ“ (გვ. 464). ამგვარადვე იკითხება ეს სათაური, ელენე დედოფლის სახელის მოხსენებით, ზოგიერთ სხვა ნუსხებშიაც, კერძოდ ისეთს ძველშიაც, როგორცაა № 3698, გვ. 915.² ჩანს, ამ ელენეს სახელი დართული ჰქონია რუსულდანიანის თავდაპირველ ნუსხას, რომლიდანაც მერე ის სხვებშიაც გადასულა, მაშასადამე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ თხზულების დაწერა დაკავშირებულია ამ ელენე დედოფალთან. მაგრამ ვინაა ეს ელენე? ბელნაწერში № 3698 მეორე ადგილას (გვ. 527) მიწერილი ყოფილა: „ღმერთო, წარუმართე ფალაეას ქალს როდამს.“³ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ როდამ ფალაეას ქალი იყო თანამედროვე ელენე დედოფლისა, მასთან დახლოვებული და ინიციატორი რუსულდანიანის დაწერისა, რომელშიაც როდამი ერთერთი მოქმედი პირია: ის არის ქალი მანუჩარისა და რუსულდანიანსა, რომელიც ურჯულო მეფემ ძალად წაიყვანა. ფალაეას გვარის ინიციატივობა გვაფიქრებინებს, რომ თხზულება მეგრელის მონაწილეობითაა დაწერილი: ამას რამდენადმე უდგება ფონეტიკური სახე ზოგიერთი ნუსხებისა, რომლებშიაც ზმნის პირველი პირის დაბოლოვება მზ ხშირად წარმოდგენილია როგორც მზ.⁴ საფიქრებელია, რომ ეს ელენე დედოფალი არის ასული ქართლის მეფის სვიმონისა და მეუღლე ვამიყ მესამის დადიანისა, რომელსაც ის მისთხოვდა 1658 წელს. ვამიყი იყო ძემკვიდრე ლეეან მეორის დადიანისა, რომელიც ნამდვილი მეცენატი იყო და რომელმაც გააღესკვინა მამუკა მდივანსა და ბარძიმ ვაჩნაძეს ზააკიანი და საამიანი. ჩანს, ლიტერატურული ტრადიციები ლეეანიდან ვამიყის კარზედ გადასულა და მის ოჯახსაც დაუწყია ლიტერატურული მეცენატობა. შინაარსის მიხედვითაც ამ თხზულების შედგენა სწორეუ ამ დროს უფრო შეესაბამება: საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა მდიდარ მასალას და საბაზს იძლეოდა ამგვარი თხზულების დასაწერად. განსაკუთრებით ეს უნდა ეთქვას ვამიყის ცოლის ელენეს შესახებ; როგორც შაჰნავაზიანის მიმოხილისას დაენახავთ, ამ ქალის ბედი ნამდვილი ტრადედიია, რომელიც თავისი

¹) E. Такайшвили, Описание I. стр. 109.

²) Ibid. стр. 107. აღ. ხახანაშვილის ეს ელენე მიუღია ზღარის ერთერთ მკვლევარს და ამიტომ ასე სთარგმნის: ризаван, о царъ шамисского. Банарозъ и царъ: цъ Еленъ (Очерки III, стр. 36).

³) E. Такайшвили, Описание I. стр. 108.

⁴) იხ. მაგალითად ნ. მარტის გამოცემაში: დაეყენეთო «Восточныя замѣтки» стр. 239.)

სინწვავით თუ არ აკარბებს, არაუერთ არ ჩამოუვარდება რუსუდანის ტრადედიას, და, თუ ვისმესთვის საჭირო იყო ასეთი მანუგეშებელი თხზულება, ყველაზე მეტად იმისათვის. თუ ეს ასეა, თხზულება დაწერილი უნდა იყოს იმ დროს, როდესაც ელენე დედოფალი ქართლში ცხოვრობდა, როგორც ცხვე, ვახტანგ მეხუთის შაჰნავაზის კარზე. მაშასადამე — მკვიდრეკეტი საუკუნის სამოკიან წლებში.

მეორე თავი რუსუდანისა ცალკე თხზულებად არსებობდა ჩვენს ლიტერატურაში და ეწოდებოდა „ამბავი ჯიმშედ ხელმწიფისა.“¹⁾ საყურადღებოა, რომ ეს თავი იმდენად მნიშვნელოვანი და საინტერესო ყოფილა მკითხველთათვის, რომ ის გაულექსიათ კიდევაც ჯიმშედის სახელით. გაულექსიას 16 მარცლოვანი რუსთველური შაირით ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ქ. მოსკოვს 1732 წელს ვახტანგის ერთერთ შალკებელს მამუკა ბარათაშვილს. რომლის შეახებ ჩვენ თავის ალაგას გვექნება საუბარი. მამუკას ასეთი სათაური გაუყეთებია ამ შრომისათვის: „წყება პირველი წიგნისა ამის ჯიმშედიანისა, გალექსული მამუკა ბარათაშვილის მიერ, ამბავთაგან რუსუდანისა გამოღებული;“ აი რას ამბობს მამუკა:

მამად მამამან იწოდა ქადაგი წინასწარისა,
შურდული, ქვა და მტერთა სრვა, ზე ძალენ დაამყარისა,
მის მთიებისა წინწილი, ვინ ჩვენთვის ნათლად არისა,
მეხუთე ვახტანგ ცხებული ქართველთა გარდამწვდარისა

ყარ ვინმე ესე, რომელი მე სხივთა მათთა მნათესა,
შევრდომით საფარველისა, უხეად მიმღები მათესა
სრულქმნისა საწადელისა, ლექსთა თქმით მოკამათესა,
მამუკა ბარათაშვილი, რუსნი მიხმობენ მათესა.

ხათაელთ მეფეთ ამბავი, ქართულად განმარტებული,
მებოძა, ლექსად შევსცვალე. პირთაეთა წარმატებული,
უნო რიტორ მტყველი, მსგაეს ჩემდა განხატებული,
გულთა მუსიკი საამო, აქამდი ძალსუსტებული.

ოდეს ინებეს ემბაზით აღმოქმად სახელწოდება,
მენება შოთა, ზოგადმან საბა მივილოთ მოდებად,
ჯიმშედისათვის გახელდეს სემან საკილთა მოდებად,
იყოს მამუკა კმოზილი საყნოსელთათვის როდებად.

მოსკო. წელ. ჩლბ. სრულ იქმნა წიგნი ესე ჩემ მიერ მოსკოს. წელთა 1732 თვესა დეკენბერსა 11.²⁾

1) წერა-კითხვის ხელნაწერი № 551.

2) წერა-კითხვის ხელნაწერი № 390, გვ. 3-7, 1.13. Е. Такайшвили, Описание 1, стр. 410-418.

მამუქას პროზითი ჯიმ შედიანი გაულექსია ზედმიწევნითი სიახლოვით, პარალრაფა პარალრაფზე და ამბავი ამბავზე, ფაქტიური მასალა გამოტოვებული არაა. ლექსი მისი საკმაოდ ლაზათიანი და მოხდენილია; ტყვილად კი არ ამბობს ის:

შოთა ზის უნეს, მკედარი იგი კეთილად წვრთილებსა,
 ებამენ, დასხდენ მრავალნი თვსთვსსა დაკედნილებსა,
 გარდაელეს ესე საწუთო, გვაძლევენ შემოთელილებსა,
 არ ეიცო, რა ქნეს, ვინებე, მათთა მივიღებ წილებსა.

შოთას მიმბაძველთა შორის მამუქას საპატიო „წილი“ უნდა მიეკუთვნოს, ის მრავალ მათგანზე მალლა დგას, ის სკდილობს დაიცვას ძველი ორთოგრაფია და ასო ჰ-ს მაგიერ სიტემატურად ც-ს ხმარობს.

2. ფირმალიანი

სრული სათაური ამ ნაწარმოებისა არის შემდეგი: „მორქმა-დიდები ცხლ-ე-რება და მოქალაქობა ხელმწიფისა ფირმალისა და ძისა მისისა აბულ-ისაყისა“; ან სხენაირად — „ამბავი დიფნის ქალაქისა“.¹ შინაარსი თხზულებისა, რომელიც 11 თავისაგან შესდგება, მოკლედ ასეთია: აყო ერთი მდიდარი და სახელოვანი დიფნისა ქალაქი, რომელმაც ასეთი სახელი მიიღო იმისაგან, რომ მისი ზღუდე იყო გაკეთებული დიფნის ქვისაგან. ამ ქალაქს ჰქონდა შეიდი სპ-ლენძის ბურჯი ან კოშკი, რომლებიდანაც დროგამოშვებით შეიღდა იყლიმის ქვეყნებში მიდიოდა ხოლმე ქარავენი სხვადასხვა ძვირფასი საეაქრო საქონლით. პატრონი ამ ქალაქისა იყო დიდებული ფირმალ ხელმწიფე, რომელსაც ჰყავდა შეილი აბულ-ისაყ-ცხრა წლის აბულ-ისაყმა უკვე იცოდა ყოველივე სამეფო ზნენი. თერთმეტი წლის რომ შეიქნა, მან სთხოვა დედას ნება მიეცა მისთვის ქალაქის შეიდივე კოშკის დათვალიერებისა; დედამ თავის მხრივ ნება მისცა, მაგრამ მამასთანაც გაგზავნა ნებართვის ასაღებად. მამას თუმცა ეძნელებოდა, მაგრამ უარი ეერ უთხრა და თან გააყოლა ერთგული ვეზირი, რომელსაც დააეალა არ ეჩვენებია მისთვის მეშვიდე კოშკი და იქიდან გამოძეული ქარავენი. აბულ-ყასიმში წაეიდა, დაათვალიერა შეიდივე კოშკი და იმ ქარავენისაგან, რომელიც მეშვიდე კოშკიდან გამოდიოდა, გაიგო, რომ ის მიემგზავრება ინდოსტანში, სადაც მეთეს, სულთან ზუსაითს, ჰყავს ერთად-ერთი ქალი, რომელსაც დაბადებიდანვე სცაეს საშინელი გველი: ეს გველი არის ჯამუში წითელი დევისა, რომელსაც ქალი თავის შეილისათვის უნდა საცოლოდ. აბულ-ყასიმს ჩაუვარდა გულში სიბრალული და სიყვარული ამ ქალისა და განიზრახა მოძებნა მისი, განთავისუფლება გველისა და დევისაგან და ცოლად შერთვა. ერთხელ ის ვეზირის შეილის თანხლებით სანადიროდ გავიდა და წააწყდა ორ ლომს; ერთი ლახტით მოკლა, სამწუხაროდ მეორემ წააქ-

¹) გამოკეეულია ა. ხაჩანაშვილის მიერ 1778 წლის ხელნაწერიდან. მოამბე 1911 წ. № 6, 1-58. მან არ იცის, რომ მის მიერ გამოკეეული თხზულება არის ფირმალიანი.

ცია და დახრჩობას უპირებდა, მაგრამ ამ დროს მოვიდა მისი ცხენი, შაფჩიტო. და ლომი კბილებით დახლიჩა. აქედან რომ წაეიდენ, მათ ნახეს ორი აღწასის ტახი და ერთი ოქროს გოქი; ერთი ტახი და გოქი მოკლეს, მეორემ აბულ-ისაყს გაჰკრა ეშვი და მუტელი გამოფატრა. მაშინ მოვიდა მისი ცხენი შაფჩიტო და ტახი სასიკედილოდ დააშავა; ტახმა უთხრა ვეზირის შვილს: მე ხომ ვკვდები, ის დედისერთი მეფის შვილი რომ არ მოკედეს, მუტელი გამოუქერე, გამოიღე ჩემი ნაღველი და ქრილობაზე დაასხი, სულ ნუ დაღერი, მერეც მოგინდებათ. ვეზირის შვილი ასეც მოიქცა და აბულ-ისაყი გამოძაფელდა; წამოვიდნ შინ და მეფე-დედოჯალს ყველაფერი უამბეს. გამოვიდა ხანი და აბულ-ისაყნა მონინდომა ინდოსტანს წასლვა თავისი სატრფოს დასახსნელად; დედამას დაეთხოვა ვითომცდა სანადიროდ, შაფჩიტის მაგიერ, რომელიც მამამ არ ათხოვა მას, შეჯდა თეთრ ცხენზე და იმავე ვეზირის შვილის თანხლებით გაუდგა გზას: წასლვის წინ თვალტრემლიანი გამოეთხოვა მშობლებსა და შაფჩიტს, რომელსაც სთხოვა: თუ გაჭირების დროს მოგიწოდო, მომეშველეო. ჯერ მივიდნ ერთს ქალაქში, სადაც მოხუცებული დედაკაცისაგან გააგეს, რომ ეს ქალაქი ეკუთვნის ინწითელ დევს, რომელიც გველის საშუალებით თავის შვილისათვის სცავს ინდოსტანის მეფის ქალს; ეხლავე წადით აქედან, ეუბნება მათ დედაკაცი, თორემ საცაა ის დევი გამოჩნდება და წაგახთენთო. მართლაც გაიხედეს მათ და დაინახეს, თითქოს წითელი მთა მოგორავსო, ისე მოდიოდა საშინელი დევი. აბულ-ისაყმა სტყორცა მას პირში ისარი, ლახტით მარჯვენა ბეჭი მოსტეხა, მაგრამ მარცხენა ხელით მინც შეძლო მან აბულ-ისაყის ქვეშ ამოდება; მაშინ აბულ-ისაყს მოეშველა მისი ცხენი, რომელმაც დევი ტოტებით დაბეჭა და კბილებით დაითრია. ისაყმა ამოიღო ხმალი და ჯერ მარცხენა ხელი მოჰკვეთა მას, მერე თავი; ვეზირის შვილმა ამოაცალა დევს ღვიძლი და წამოიღო. ამასობაში გამოჩნდა ამ დევის შვილი 12000 დევით; აბულ-ისაყი ცხენით გავიდა მის წინააღმდეგ, დაკრა ლახტი და უსულოდ ცხენიდან ჩამოაგდო, მაგრამ დევმა გრძნებით დაუშვა მღულარე წვიმა და ისაყი და მისი ცხენი დააბრმავა. მაშინ ვეზირის შვილმა ამოუსვა მას და ცხენსაც თვალბეჭეში დევის ღვიძლი და ორივეს მხედველობა დაუბრუნა; ამის შემდეგ გამოუდგა სხვა დევებს და სულერთიან მუსორი გააგლო მათ. აქედან რომ წაეიდენ, ერთი ქალაქის მახლობლად დაინახეს სანი მთისოდენა გველი: წითელი, შავი და თეთრი. თეთრი გველი უთვალთვალბეჭედა ხოლმე აქ ორ ქალს, რომელნიც მახლობელ ტბაში საბანაოდ მოდიოდნენ; შავსა და წითელ გველს ეს შურდათ და უნდოდათ თეთრი გველი მოეკლათ. აბულ-ისაყმა სტყორცა ბოძალი შავსა და წითელ გველს და იქავე გააგორა ორივე; მადლიერმა თეთრმა გველმა აღუთქვა მათ უწებულად გატარება ორ საშინელ კლდეთა შორის, რომელნიც ერთიმეორეს ეჯახებოდნენ ხოლმე და მიმავალთ გზას უკრავდნ. ვეზირის შვილმა მონინდომა იმ ქალების დაპატრონება. მაგრამ ისაყმა დაუშალა, სხვა არ იყოს, ამით თეთრ გველს გაეჯაჟრებთო. კლდე მათ მართლაც უწებულად გაიარეს და მიადგნ ზღვას; ვეზირის შვილი შეწუბდა: შევალთ თუ არა ზღვაში, თეთრი თეფი შეგვკამსო. მან ურჩია ისაყს ცოტა ჩამოეტეხა ბეჭდისათვის და ნატეხი ზღვაში ჩაეგდო; ჩააგდო თუ არა მან ზღვაში ბეჭდის ნატეხი, ზღვა დაშრა და თეთრი თეფი მოკედა, ხოლო ისინ

უნებლად გადავიდენ მეორე ნაპირს, სადაც წამოჯდენ ხალვათად. ამდროს გა-
 ზიანდა პირცეცხლიანი ვეშაპი, რომელმაც გველაფერი დააბნელა; ისაქმა თქვა:
 ეალა კი მოვიდა ჩემი აღსასრულიო, და მოუწოდა თავის შაეჩიტს, რომელიც
 მართლაც იმწამსვე იქ გაჩნდა, აბულ-ისაყმა ჰკრა ისარი ვეშაპს, მაგრამ მან გაპ-
 კრა მას კლანჭი და ქვეშ ამოიღო; ისაყს მოეშველა შაეჩიტი, რომელმაც კბილე-
 ზი ჩასკიდა ვეშაპს, მაგრამ მან ყელი გამოლადრა მას, მიუხედავად ამისა, ვეშა-
 პი მაინც დაამარცხეს. აბულ-ისაყი და შაეჩიტი, მოშხამულები და დაკრილები,
 სისხლიდან იცლებოდენ და თან სიედებოდენ. შაეჩიტის რჩევით ვეზირის შვილ-
 ნა აბულ-ისაყს პირში ჩაასხა ცხერის სისხლი, მერე წაუსვა ღორის ნალველი
 კრილობაზე, ასე რომ ის მოაჩინა. აბულ-ისაყი ეკითხება მომაკვდავ შაეჩიტს:
 რა გიყოფო? მან უპასუხა: მეძნელება თქმა, მაგრამ უნდა გაგიტყდე, მე თეთრი
 ცხენის ლეიძლი მიშველის მხოლოდო. შეწუბდა ისაყი, მაგრამ ვეზირის შვილმა
 დაკლა თეთრი ცხენი, გამოუღო ლეიძლი და შაეჩიტს დაადო. კრილობაზე, რი-
 თაც ის მართლდაც მორჩა. აქედან წავიდენ ისინი და მივიდენ ინდოსტანის იმ
 ქალაქში, სადაც მეფის ქალი ცხოვრობდა; ვეზირის შვილმა აბულ-ისაყი შეიყვა-
 ნა ქალის კოშკში, რომელიც მდიდრულად იყო ნორთული. მისმა ძეველმა გველ-
 მა დაინახა თუ არა ეს, წამოიპრა და აბულ-ისაყს ყელზე შემოეხვია ისე, რომ
 ახრჩობდა; მაგრა იმან და ვეზირის შვილმა დაკრეს მას ლახტი და მოკლეს.
 საშუუხაროდ, აბულ-ისაყი მოაშხამა და გასიედა; ვეზირის შვილმა წაადრო თი-
 ლიდან ბეჭედი და წყალში გალესა, ნალესი წყალი დაალევინა ისაყს, რომელმაც
 პირიდან ოცდახუთი ცოცხალი გველი წამოაგდო და სენისაგან განთავისუფლდა.
 აწის შემდეგ ისაყი აბანოში წაეიდა, ჩაიცვა ახალი ტანისამოსი, მოედანზე გა-
 მოვიდა და ბურთაობა დაიწყო. ინდოსტანის მეფემ, სულთან ბუსაითმა, დაინახა
 ის და დიდად მოიწონა; როდესაც მან გაიგო მისი ვინაობა, გაეხარდა:
 ზედსიძედ გაეიხდი, მე მაინც მოხუცებული ვარ, და სამეფოს პატრონს გაუჩენო.
 აბულ-ისაყმა ზედსიძობა არ ინდომა, ჩემს სამეფოს არ დავაგდებო, თუ ნებით
 არ მომცემ ქალს, ძალით წაეიყვანო. მეფეც იძულებული იყო დასთანხმებოდა,
 მაგრამ ამავე დროს მან მოიწვია მოკლულის წითელი დევის უმცროსი შვილი,
 რომელიც ცხვარში იყო. აბულ-ისაყმა ქალი წამოიყვანა და იმ მინდორზე, სადაც
 მან წითელი დევი მოკლა, მისი შვილი დაწვია მას; ეძგერენ ერთმანეთს ისაყი
 და დევი, მათი შეტაკება მთების დაჯახებასა ჰგავდა. მოილალა ისაყი, მას მოე-
 შველა შაეჩიტი, მანამდის სწიწკნეს ორივემ ეს დევი, სანა არ წააქციეს უსუ-
 ლოდ. მაშინ სიმამრმა შეუთვალა ისაყს: თუ გინდა ზედსიძობა, ხომ კარგი თო-
 რემ ქალს არ გაატან, იმდენ ჯარს მოგისიე, რომ ზღვის ქვიშას აღემატებოდე-
 სო. აბულ-ისაყმა შეუთვალა: შენ მე ვერას მიზამ, საბელშეიფოსაც გაგიყვრანებ
 და შენ ქალსაც ზღვაში ჩაეაგდებ; შენ უნდა გინაროდეს ისიც კი, თუ შენს ქალს
 ნოახლედ წაეიყვან, არამც თუ ცოლადო. შეშინდა მეფე და დათმობის გზაზე
 დადგა, ტკბილი წერილი მისწერა სიძეს და საპასუხოდ იმისგანაც ისეთივე წე-
 რილი მიიღო. აბულ-ისაყი გაუდგა გზას და მივიდა, სადაც კლდენი ერთმანეთს
 ეჯახებოდენ; თეთრი გველის დახმარებით ეს კლდეები უზიანოდ გაიარა. მეორე
 დღეს ტბაში მობანავე ქალები დაიპირეს, ერთი ვეზირის შვილმა წამოიყვინა
 საცოლოდ, მეორე კი თეთრ გველს დაუთმეს. ამის შემდეგ მივიდენ დიფნის ქა-
 ლაქში და აქ დიდის ამბით ქორწილი გადაიხადეს, აბულ-ისაყის მშობლებს ისე

გაებარდათ მისი დაბრუნება; თითქოს მეკდარი გაცოცხლებოდეს; მამამ შეიღს ტახტი დაუცალა და მეფედ დააყენა. გავიდა ხანი, მათ ღმერთმა მისცა ცხრადე და ერთი ქალი, რომელიც საბერძნეთის მეფეს მიათხოვეს; უფროსი ვაჟი გაამეფეს ინდოსტანში, როდესაც იქაური მეფე, სულთან ბუსაითი, გარდაიცვალა. დანარჩენმა შეილებმა კიდევ გაინაწილეს მამის საბრძანებელი და თანხმობით და სიყვარულით ცხოვრობდენ ერთმანეთში.

ეს ზღაპარი ჩვენამდე შენახულა მხოლოდ სამი ხელნაწერით, რომელთაგან ერთი, თავში ნაკლული, გადაწერილია 1783 წ. კორნილიოს ჩაჩიკაშვილის მიერ (წერ.-კითხ. № 1145), მეორე, რომელიც ა. ხახანაშვილს ჰქონია ხელთ, 1778 წელს, ხოლო მესამე (წერა-კითხვ. № 2778) მეცხრამეტე საუკუნის დანდევს.¹ დასახელებულ ნუსხებში თხზულებას პირდაპირ ფირმალიანი არ ეწოდება, მაგრამ ყოველს ექვს გარეშეა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ხელთა გვაქვს სწორედ ის ჩაწარწობები, რომლის შესახებ არჩილ მეფე ამბობს:

ფეშანგიმ ფაშვიბერტყაძემ ახლა თქვა ფირმალიანი,
სომხისგან კარგად ჩააგდეთ სიმძიმით, ვით ლიტრიანი,
გებრალეობდეს საბრალო ცხვირმოკრით თელტრემლიანი,
მე ვათქმევინე, მაგრამე ვერა თქვა მარილიანი“²

ფეშანგი ფაშვიბერტყაძეს უთქვამს, ესე იგი გაულექსია ეს ზღაპარი მაშასადამე, მანამდე ყოფილა პროზითი თარგმანი მისი. სწორედ ის, რომელიც ჩვენ დღეს ხელთა გვაქვს, და არჩილ მეფეს გაულექსივინებია („მე ვათქმევინე“) ის; ეს მომხდარა არჩილის მიერ ზემოაზოწერილი ცნობის დაწერის ახლო ხანებში („ახლა თქვა“). ესე იგი—1681 წლის წინახანებში. სამწუხაროდ, ფეშანგის ეს შრომა ჩვენამდე არ შენახულა და ჩვენ დღეს მხოლოდ პროზითი რედაქციით შეგვიძლიან გავეცნოთ ფირმალიანს, რომლისათვისაც ასეთი სახელი არჩილსა და ფეშანგის მიუკითხა ალბად. ეს რედაქცია, ლექსიკურ ფაქტების მიხედვით, სპარსულიდან გადმოღებულად უნდა ჩაითვალოს, თუმცა სპარსულს ლიტერატურაში ასეთი თხზულება ჯერჯერობით ცნობილი არ უნდა იყოს. მთარგმნელი ქრისტიანია, ვინაიდან ზღაპარში ასეთი ქრისტიანული ელემენტები გვაქვს: „გამოგვიჩნდა ყოველთა ქრისტიანეთა კაცი ასეთი“ (წერა-კითხ. № 1145, გვ. 55). დაქორწინებულთ „რვა დღე გეირვინი არ მოხადეს“ (გვ. 109), სიკვდილის შემდეგ „სულის საქმე გარდაიხადეს“, „გარდაიხადეთ ჩემთვის სულის საქმე“ (გვ. 127, 132) და სხვ. მთარგმნელს პრეტენზია აქვს პოეტური სურათებიც მოგვეცეს, როგორც, მაგალითად, — „მას დღეს იქვე იყვნენ და, რა სიბნელისა ფარდაგი დაიხია და ოქროს ბურჯი აღემართა, წაყიდეს“ (გვ. 79).

თხზულება ტიპიური საღვთ-გმირო ზღაპარია, რომელშიაც ფალაგანი თავის მოწინამაღმდეგე ძალებს სძლევს ცხენის, გველის, ღორის ნაღველის, დევის ღვიძლისა და სხვა ამგვარ გრძნება-მისნობათა საშუალებით და დახმარებით.

¹) 1903 წელს ვაზ. ივერიანში (№ 71, პ. 3) კარბულა შეიღლი აცხადებდა. რომ მან გადაწერილია ქვესაცემად „ამბავი დიფნის ქალაქისა და მას შინა მჯდომარისა ფირმან მეფისა და მისა მისისა აბულამისა“ და ჰქონებულა: ხომ არ იცის კიდევ ვინმემ სხვა ნუსხეში ამ ამბავისო? ვაპეკვლია, მას ხელთ ჰქონია ერთგვარი ნუსხა. ფირმილიანისა.

²) Е. Такишвили, Описание II. стр. 110.

h

3. ზალუმ-ჯანიანი

ასეთი სახელი ეწოდება ზღაპარს, რომელშიაც მოთხრობილია ამბავი „ხელმწიფისა დიდის და ამაღლებულისა, სახელკეთილისა გულაზარისა და ძისა მისისა ახოვანისა ზალუმჯანისა“ და რომლის შინაარსი მოკლედ ასეთია:

სრულიად ერანისა და ადრბეიჯანის ხელმწიფეს გულაზარს ჰყავდა სამი ვაჟი: ომინი, სარაზანი და ზალუმჯანი; ზალუმჯანი თავის ძმებს სჯობდა სილამაზითაც, აზოვნობითაც და ცოდნითაც, ამიტომ მამას ის უფრო უყვარდა, ვიდრე ორი უფროსი. უკანასკნელები შეითქვენ და დაიწყეს ბქობა: რა ექნათ, როგორ მოუღოთ ბოლო ასეთს მდგომარეობას? ომინმა სარაზანს უთხრა: მე გამიგონია, რომ ინდოეთის კიდეს არას ზღვა დიდი და მის პირს დიდდიდნი კლდენი, რომლებშიაც გამოკვეთილია ექვსი დღეის საცხოვრებელი სასახლე; ამ დღეებს აქეთ ერთი დიდი ქვაბი, რომელსაც დიდი გაკირეებით შედგმენ ხოლმე ცეცხლზე და ჩამოდგმენ ძირს. მოდი, ზალუმჯანი წაეაქეხოთ, ის წაეა დევებთან საომრად და მათთან ომში დაიღუპება, ჩვენ კი საწაადელი აგვისრულდებოდ. ძმებმა ზალუმჯანს უამბეს დევების ამბავი და უთხრეს: თუ გინდა სახელი გაითქვა, წადი და შენი ძალა გამოცადე იქო. ზალუმჯანს გაუხარდა ეს ამბავი, დაუძახა თავის საყვარელს ვეზირის შვილს და უთხრა: მე მივდივარ ინდოეთში დევებთან საბრძოლველად, შენ ეს იცოდე და მამაჩემს ერთ თვემდის არა გააგებინო რა. ვეზირის შვილი შეეხვეწა, —მეც წამიყვანე თან, თორემ თავს მოვიკლავო; ზალუმჯანი იძულებული შეიქნა დასთანხმებოდა. ადგენ ღამე, შეგდენ ცხენებზე და გაემართენ ინდოეთისაკენ; სამი თვის საეალი ერთს კვირას განვლეს და მივიდნენ იმ ადგილს. სადაც დევები ცხოვრობდნენ. დევები საქმელსა ხარშავდნენ ქვაბში; ზალუმჯანს გულმა ვერ მოუთმინა, შეეკრა მათ სახლში. შეუჭირვებულად გადმოიღო ცეცხლიდან ქვაბი და მერე ისევე შედგა. დევები გაკვირდნენ, მოწიწებით თავიანისცეს მას და სთხოვეს: თუ არ დაგეხოც, მედამ შენი მოყმე ვიქნებითო. ზალუმჯანმა მათ ჩამოართვა შესაუერისი ხელწერილი, ის ღამე მათთან გაათია და მეორე დღეს, დევების თანხლებით. გამოემართა თავისი სახლისაკენ. ერთი მალალი მთიდან დაინახა: მინდორში კარვებია გაჩაღებული და კოხტად ჩაცმული კაცები მოხდენილად ნადირობენ. დევებისაგან მან გაიგო, რომ ეს არის ინდოეთის მეფე, რომელსაც ჰყავს სამი მშენიერი ქალი; მაგრამ ცოლად არაყის არ აძლევს; ქვეყანაზე მისი მძლეველი არაყინ არისო, დაუმატეს მათ. მაშინ ზალუმჯანმა გაუგზავნა ინოეთის მეფეს ვეზირის შვილი და ქალები სთხოვა თავისთვისა და ძმებისათვის: თუ ნებით მომცემთ, კარგი, თუ არადა მთელს სახელმწიფოს აგიფორიაქებთო. მეფემ გამართა თათბირი, რომელზედაც გადაწყვიტეს შეუკვეთონ ზალუმჯანს რაიმე ძნელი საქმე და ამის შესრულებასთან დაკავშირონ საკითხი ქალების მიცემისა. მოიპატრუეს ზალუმჯანი, დიდი პატივით მიიღეს ის და გამართეს ასპარეზობა, ბურთაობა, და ყაბახობა, რომლებშიაც ზალუმჯანმა განცვიფრებაში და აღტაცებაში მოიყვანა ინდოეთის მეფის ამაღა და მისი ქალები. გაუიდა ხანი და ზალუმჯანმა მეფეს მოაგონა მიზანი მისი აქ ყოფნისა; მაშინ მას უთხრეს: ჩვენ მოგცემთ შენ ჯარს,

წადი და დასაელებთის სახელწიფო დაგვიყარო. ზაშენ ზოგცემთ ქალებსაო ზალუმჯანს გაეხარდა კიდევაც ეს ამბავი, ჯარებზე უარი თქვა, შეეჯდა თავის დე. ვებზე და „პაერსა შინა სიარულით“ გაემართა დასაელებთისაეცნ. დევებისა და ვეზირის შვილის დახმარებით მან დაიმორჩილა დასაელებთის ხელმწიფე, ხელწერილი ჩამოართვა მას ინდოეთის მეფის ერთგულებასა და სამაახურზე და წამოვიდა უკანვე; წინდაწინ გაგზავნა ვეზირის შვილი და ერთი დევი და ინდოეთის მეფეს გამარჯვება აუწყა; მეფეს გაუხარდა და თავისი ქალები, პირაზისამებრ, მასცა მას. ზალუმჯანი წამოვიდა თავის სამშობლოში ინდოეთის მეფისა. და ჯარის თანხლებით; გზაზე გაჩერდნენ ჯანგისტანის ზღვის პირას, სადაც ზალუმჯანმა ვეშაპის ტყავში გახვეული მეფის შვილი გაიციწო და დაიმძობილა. აქ მოხდა უბედურება: ერთ ღამეს ზალუმჯანის ცოლი ჯადოშ ანაზღუელად მოიტაცა, რამაც დიდი აურ-ზაური გამოაწვია მგზაერთა შორის. ზალუმჯანმა გაიყოლია თან ვეზირის შვილი და ერთის წლის ვაღით გაემგზაურა დაქარგული ცოლის საქებნელად...

ამაზე წყდება ზღაპარი იმ ორ ხელნაწერში, რომელშიაც ია შენახულა ჩვენამდე (წერ.-კითხ. №№ 1144, 2778). თხზულება ნათარგმნია სპასული ენიდან, თუმცა სპარსულს ლიტერატურაში ის ჯერჯერობით ცნობილი არ უნდა იყოს. გადმოთარგმნა ამ თხზულებსა შეიძლებოდა მიგვეკუთვნებია იმავე დროისა და პირისათვის, რომლისათვისაც ფირმალიანის, მაგრამ აქ გვხვდება ერთი რუსიციზმი, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეზე ადრე ძნელად თუ შემოვიდოდა ჩვენს მწერლობაში, ეს არის სიტყვა კალასკა (№ 1145. გვ. 204).¹

4. მირიანი.

მირიანი არის ზღაპარი, რომელშიაც გადმოცემულია სავიჯნურო თავ. გადასავალი ჩინეთის მეფის შვილის მირისა და მალრიბის მეფის ასულის ნომიავთაბისა.

ჩინეთის მეფეს ხოსროვშაჰს სრული ბედნიერებისათვის აკლდა მხოლოდ ვაჟიშვილი; დაუძახა მან მუნაჯიბთა და მესტროლაბეთა, რომელთაც უთხრეს მას, რომ, თუ შეირთავ ფერიათა ქალს, შვილი გეყოლებოა. ერთი ვეზირისა და ფილოსოფოსის თანხლებით ხოსროვშაჰი წაეიდა და აიღო ნარგიზ ჯადოს ციხე, რომელშიაც, გვრიტის სახედ, 14 წელიწადი ტყვედ იჯდა მაშრიყის მეფის ქალი, ფერია რაზამფორი; მათ გვრიტი გაუშვეს, ის გაურინდა მშობლებთან, ადამიანის სახე მიიღო და დედამას თავისი განთავისუფლების ამბავი უამბო. მადლიერმა მამამ გაგზავნა ფერიები და მოაქებნინა შეწუხებული და შეპირებული ხოსროვშაჰი ვეზირით და ფილოსოფოსით და მას (ოღლად მისცა თავისი ქალი რაზამფორი. მალე მათ ეყოლათ შვილი, რომელსაც მირი დაარქვეს. მამამ

¹) პირველად ეს სიტყვა გვხვდება საიტორიო პოემა ვახტანგისა და სეხნია ჩეიძის ისტორიაში (ქართლის ცხოვრება II, გვ. 333).

ნისი აღზრდა მიიღება თავისს მეგობარ ფილოსოფოსს; მუნჯიბებმა უწინასწარ-
 ნეტყველეს, რომ მირი ბედნიერი და დიდებული კაცი იქნება. მხოლოდ, 18
 წლის რომ შეიქნება, სურათის ნახვით დიდს ქირსა და მწუხარებას გამოიკლი-
 სო. მამამ ყოველივე ზომა მიიღო, რომ მირს სურათი არ ჩაეარდნოდა ხელში;
 მაგრამ ბედს ვერ წაუვიდა: 18 წლის მირი ნადირობისას ჯეირანს გამოუდგა
 და ზღვის პირას ერთი მტირალი ქაბუჯი ნახა, რომლიაგან გაიგო, რომ ის,
 ნუშთარი, არის სოვდაგარი; ერთის მეფის მიერ გაგზავნილი იყო მალრიბის ქვე-
 ყანას, რათა ეშოვნა და მოეტანა სურათი იქაური მეფის, ილაილის, მბელუნა-
 ბაეი ქალის ნომიავთაბისა; ზღვაში ხომალდი დამელუპა და მასთან ერთად დავ-
 კარგე ყოველგვარი საქონელი. დამრჩა მხოლო შეკვეთილი სურათითო. მირმა ეს
 სურათი შეიძინა მუშთარისაგან და მას გულში აღევზნა მძაფრი ცეცხლი სიყუა-
 რულისა, რომელიც იმას ჰკლავდა; ამ დროს მას ამხნევებენ მუშთარი და ერთი
 ნისი ამხანაგი, ევზირის შვილი, ნიქახტარი. ბოლოს მან გადასწყვიტა მალრიბს
 წასლვა და სატრფოს მოძებნა; მამას დაეთხოვა, — ზღვაში მინდა სეირნობაო,
 ნამამაც ნება დაართო და მირი გაემგზავრა მუშთარისა და ნიქახტარის თანხლე-
 ზით. მათი ხომალდი ღელვამ ერთს კუნძულზე მიაგდო, სადაც მათ იპოვეს ერ-
 თი მოხუცებული, არამია, რომელმაც მირი გააცნო და დაამეგობრა ამ კუნძუ-
 ლის პატრონ დევს ამიანს. მირმა დიდის მოხერხებით თავი გაინთავისუფლა ამ
 დევის ქალის ტრფობისა და გრძნებისაგან, მერე დაეთოხრა დევს და თავის
 გზას გაუდგა, თან არამია მოხუციც წაიყვანა. გზაზე ერთს კუნძულზე ძლიეს-
 ძლივობით გადარჩენ მეკობრეების თავდასხმას; მეორე კუნძულზე შეხვდა ფე-
 რიის მეფის შვილს ანდალიბს, რომელსაც თავისი სატრფო გულაზარი დაკარგ-
 ვია და გაშმაგებული დაეძიბს. მირმაც მას თავისი ამბავი უამბო, მოეწონათ
 ერთმანეთი, დამშობილდენ, და წასლებისას ანდალიბმა მისცა მას ხუთი ფრთა
 და უთხრა: „რასაც ალაგს დაგვიქრო, ეს აქმე და მოგეშეელებიო“. მეორე კუნ-
 ძულზე, სადაც არამია გარდაიკვალა, მათ დაესხნენ თავს ფერიები, რომელთაც
 თავი დაახწიეს არამიას მიერ ნაკარნახევი წაშლით. მირი აქედან გაემგზავრა
 მალრიბისაკენ; მათი ხომალდი ზღვაში დაიღუპა, მირი მოვბლაუქა ერთს. ფი-
 ცარს, რომელზედაც ის იემენის სამეფოში მივიდა. აქ ის იპოვა მტირალი მე-
 ლის შვილმა, რომელმაც სახლში წაიყვანა; გზაზე მათ ლომი დაეცათ და მეფის
 შვილი იმსხვერპლა, მაგრამ მირმა ის ხმლით შუაზე განკვეთა. როდესაც ის სი-
 ხლიანი ხმლით თავს ადგა მეფის შვილს, მოვიდენ მისი მძებნელნი და შეიპყ-
 რეს მირი. რომელიც მის მკვლელად მიიღეს; წაიყვანეს ქალაქში და ციხეში
 ჩასვეს, რათა დანიშნულ დროს მოკლან. როდესაც ის გამოიყვანეს მოსაკლავად,
 მოულოდნელად იქ გაჩნდა მუშთარი: ის, ზღვაში ხომალდის დაღუპვის შემდეგ
 ფიციით ადანიის ქვეყანაში მისულა და იქ თავი შეუთარებია. სიზმარში ნახა,
 რომ მირი განსაცდელშია, გამოეშურა იქიდან, მოვიდა იამანს. აუხსნა იქაურ მე-
 ფეს, რომ მირი უდანაშაულოა და გაანთავისუფლებია. იემენის მეუბე თავისი ტახ-
 ტი და გვირგვინი მირს დაუთმო. ის შეუყვარდა იემენის მეფის ქალს, რომელ-
 ნაც ძილში ბეჭედიც კი შეუტყალა მას. მირი მის გრძნობებს არ იზიარებდა,
 ანიტომ გაემგზავრა იერუსალიმის სალოცავად. გავიდა დანიშნული დრო და ის
 არ ბრუნდებდა. მეფის ქალმა გაიგო მისი ოინები და ერთს იერუსალიმის მამ-

ლობლად მოთარეწე ყაჩაღ, შეაპყრობია ის და ეგვიპტეში გააყიდინა. ეგვიპტელებს ამ დროს მოუყვდათ მეფე, მათი წესი იყო მეფედ ვინმე ნაჟიდი კაცი უნდა დაესვათ, ეს ბედნიერება მირსა ხედა წილად. ის ეხლა ფიქრობდა თავის ჰეგობრებზე, — მუშთარზე და ნიქახტარზე. ნიქახტარი კიდევ, ზღვაში ხომალდის დალუპების შემდეგ, ფიცრით ეგვიპტეში მისულიყო. სადაც ის ჩავარდნოდა ხელში მიკობრეებს. როდესაც აქ მირი გამეუდა, შეიპყრეს მეკობრეების მეთაური ნასიბი, რომელიც ნიქახტართან ერთად მოჰგვ რეს მირს დასასჯელად. მირისა და ნიქახტარის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ეხლა ისინი მუშთარის მოძენაზე ფიქრობდნენ. ეს საქმე ჩინებულად შეასრულა ნასიბმა, რომელმაც ორს მეგობარს მესამეც შეუერთა. ნასიბი გაგზავნა მირმა მალრიბმა ილაილ მეფესთან მისი ქალის სათხოვნელად. იქ ის კარგად მიიღეს, მაგრამ უთხრეს, რომ ნამიავთაბი ჩემს ძმისშვილს მიეცეო; ნასიბი დაბრუნდა მირთან, რომელმაც გადაწყვიტა შეიარაღებული ძალით მოტაცება თავისი სატრფოსი. ის შედის მალრიბის ქვეყანაში და მეორედ ითხოვს ილაილისაგან თავის სატრფოს; სანამ პასუხს მიიღებდა, მან გაათავისუფლა ვინმე ზულუმათისაგან თავისი სატრფოს ანხანაგი ქალი, ზორა, რომლის მამა ილაილის ვეზირი იყო, ამ ვეზირის რჩევით ილაილმა ბოლოს მისცა მირს თავისი ქალი; დიდის ზემოთ გარდაიხადეს ქორწილი. რის შემდეგ მირი თავისი ამალით ჩინეთს ვაემგზავრა. გზაზე მათ ელოდა არა — მკირე განსაცდელი: ისინი ხელში ჩაუვარდნენ მილტონ ხელმწიფის სპასალარს, რომელმაც მირი, ნასიბი და ნიქახტარი ხაროში ჩაყარა და საშინელი სატანჯველი მიაყენა; დანარჩენები უკანვე მალრიბს დაბრუნდნენ, მაგრამ გზაზე მათი ჯარი ამოწყვიტა აბრუ ხელმწიფის ჯარმა, ნომიავთაბი შეიპყრეს და ბორკილით წაიყვანეს. მირმა საპყრობილეში ჰოვა თავისი მეგობრის ანდალიბის საცოლო, რომელიც დიდხანია მოტაცებული და დაკარგული იყო. მირს მოავონდა ის ხუთი ფრთა, რომელიც მას ანდალიბმა მისცა, დაწვა ერთი მათგანი და იქვე მყისეე გაჩნდა ანდალიბი, რომელიც შევიდა ციხეში და იქიდან გაანთავისუფლა როგორც თავისი სატრფო, ისე თავისი მეგობარი. მერე ანდალიბმა გაანთავისუფლა ტყვეობისაგან შირის სატრფო და მისი ამხანაგი ქალი ზორა, აგრეთვე მუშთარი, და ყველა თავის სახლში მიიწვია. ანდალიბმა შეირთო თავისი სატრფო და ქორწილი გადაიხადა; ქორწილზე ერთი შაოსანი ქალი მოვიდა. რომელმაც ყველასი უურადღება მიიპყრო. ეს ქალი აღმოჩნდა მირის ცედის და. რომელმაც ნომიავთაბს უამბო მირის დაკარგვის ამბავი და ამით გამოწყვეული მწუხარება გაუთვალისწინა. მას ანახდეულად აჩვენეს მირი, რამაც უზამო სიხარული გამოიწვია ორთავე მხრივ; მერე წაყიდნენ ჩინეთს, სადაც ხოსროვშაჰმა და რუზამფორმა დიდის სიხარულით მიიღეს დაბრუნებულნი და დიდის ზემოთ დააქორწილეს მირი და ნომიავთაბი.

ასეთია მოკლედ შინაარსი მირიანისა; ის ტიპიური წარმომადგენელია

1) გამოცემულია ორჯერ ტფილისში: პირველად 1876 წელს, მეორედ 1891 წ. ა. ხარგაროვის მიერ. ის ნათარგმნია ფრანგულად მ. ბროსეს მიერ 1836 წ. (Le Miriani ou histoire du roi Miri, conte géorgien) და რუსულად შემოკლებით ა. ხანანაშვილისაგან (Олефирки III, 182—190).

იმ მოთხრობებისა, როკელნიც აღმოცენებულან ძველი სპარსული, არაბული. ებრაულ-მაჰმადიანური ლეგენდებისა და სამიჯნურო ზღაპრების ნიადაგზე და რომლებშიაც დიდ როლს თამაშობენ დევები, ფერები და ქაჯები.¹ მართლაც — და აქ ჩვენ ვხვდებით მუნაჯიბთა და მესტროლაბეთ, ფერიის ხელმწიფეს და ფერიებს, სოლომონ ბაძნის ბექედს, ლოცვის წიგნს, რომელსაც ისმიიაზან ჰქვია, და ეთნოსს, ადამის საფლაეს, აბრაამის სალოცავს და სახლს, წინასწარმეტყველის გვარის ადამიანებს, რომელთა ვნება ღუთისაგან აღკრძალულა, დევებს, ჯადოებს, მჭიოს და სხვა ამგვარ რამეებს. სტილი ქართული თარგმანისა უახლოვდება ყარაამანიანის სტილს, ასე რომ თხზულება მეთრამეტე საუკუნეში უნდა იყოს გადმოთარგმნილი; ყოველ შემთხვევაში ძნელი დასაჯერებელია, რომ უფრო ადრინდელს თარგმანში გვეკონდეს ისეთი ვულგარიზა. როგორცა ფატრეტი, სურათის მაგიერ. მართლაც, მირიანის ერთერთი ნუსხა. რომელიც დღეს ინახება პარიზის ეროვნულს წიგნთააკაემო, გადაწერილია 1760 წელს.² მირიანი 1778 წელს შეუტანია თავის კრებულში მღვდელს ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილს.³

რა ენიდანაა თხზულება ნათარგმნი? ცხადია, ზღაპარი ეკუთვნის სპარსულ ნიადაგზე აღმოცენებულ თქმულებათა ციკლს; მაგრამ, ეინიდან მრავალი სპარსული ზღაპარი აურქულ ენაზედ გადაუკეთებიათ, შესაძლოა ეს თხზულებაც ქართულად თურქულიდან იყოს გადმოღებული. მართლაც, ერთერთს მის ნუსხაში, რომელიც გადაწერილია 1857 წელს ეინმე ლუკა ასათიანის მიერ; ნათქვამია: „ეს ზღაპარი არის თათრულიდან გადმოთარგმნილიო“. ⁴ თუ ამ შენიშვნაში სიტყვა თათრული ნახმარია არა კონფესიონალური მნიშვნელობით, რომელიც სპარსულსაც გულისხმობს ხალხურ თქმულებაში, ჩვენი ჰიპოთეზა ისტორიულ-ლიტერატურულ დასაბუთებასაც ჰპოულობს.

5. ყარაამანიანი.

ერთერთ გამოჩენილ მიმბაძველს ფირდოუსისას, აბუ-ტაპირ-მუჰამედ-ბენ-ტარსუსის, დაუწერია სადევ-გმირო ზღაპარი, რომელსაც ყარაამანიანი ეწოდება. ამ ნაწარმოებში სიუჟეტად აღებულია ერანელთა მეფის ჰუმანგის შესახები სადევ-გმირო ამბები, ზღაპრულ ჩარჩოებში ჩასმული; ყარაამანი, შეილი მეფის თეიმურაზისა, იყო სწორუპოვარი ფალავანი ამ ჰუმანგისა. ამ თხზულების მიხედვით, ის ჰკლავს ისფანდიერს, შაჰნამეთი კი მას როსტომი ჰკლავს⁵. ეს ვეებერთელა თხზულება დაწერილია სპარსულ ენაზე, არ ვიცით — როდის, და თარგმნი-

¹) H. Ethe, Neupersische Literatur, S. 317—318 (Grundriss... II).

²) A. Х а х а н о в ъ, Очерки III, 427.

³) სიძველ. მუხ. №860, ფ. 214—219.

⁴) წერაკითხ. №1184; E. Такайшвили, Описание I, стр. 519.

⁵) Ethe, Neupersische Literatur, S. 318 (Grundriss... II); J. Moll, Livre des rois, t. I, p. LXXXVIII—LXXXIX.

ლია თურქულადაც. მოქმედება სწარმოებს სეისტანსა, ერანს, თურანს, ინდოეთს და სხვ. ადგილებსა და ქვეყნებში; უმეტეს შემთხვევაში მოქმედ პირებს შეუაკება უხდებათ პირდაპირ ფანტასტურ არსებათა და მოვლენებთან, ფანტასტურს პირობებში. ფერიები, ჯინები, დეეები, საშინელი მხეცები და ფრინველები, გარდაუვალი მთები და მდინარეები, აი ის არსებანი და დაბრკოლებანი, რომლებთანაც საქმე აქვთ ყარამანს, ბარამს, გარდანქეშანს, ხოსროეს, გეარჯასპს, გულისტამს, ჰუშანგის, სპანდიერს და სხვა პირობ, რომელნიც აქ არიან გამოყვანილნი. თილისმა, გრძნება, ჯადოქრობა, აი ის საშუალებანი, რომელთა დახმარებით მოქმედება სწარმოებს და ვითარდება. იუდაისტური ელემენტი: ღმერთი საბაოთი, ენოქი, წინასწარმეტყველები, ადაშის საფლავი, აბრაამის ლოცვა, ეს აუცილებელი ატრიბუტი ადამოსაელებური ზღაპრებისა, აქაც უხედაა წარმოდგენილი.

ყარამანიანი ქართულად უთარგმნია ირაკლი მეორის დროს და ეი თორბელიანს,¹ რომელსაც ერთერთ ხელნაწერში (წ.-კითხ. №1641) ეწოდება „სარდალის ძე ქეშიკიზაში“, ხოლო დაბეჭდილს გამოცემაში — სახლთუხუცესი და სარდალი.²

დავით თორბელიანი (1716—1796 წლ.) იყო სიძე ირაკლი მეორისა, მას ცოლად ჰყავდა ირაკლის ქალი თამარი. თორბელიანთა საგვარეულოში ლიტერატურული ტრადიციები მტკიცე იყო, მას მეთვრამეტე საუკუნეში არაერთი გამოჩენილი მოღვაწე მოუცია ლიტერატურულს ასპარეზზედ. ამ ლიტერატურულს ატმოსფერაში აღზრდილი იყო დავითი, რომელსაც ლექსების წერაშიაც უვარჯიშნია:³ ქართულის გარდა მან კარგად იცოდა სომხური და სპარსული ენები. რამდენჯერმე დიპლომატიური მისიით ის სპარსეთში იყო, სადაც მოიტანა ყარამანიანის ხელნაწერი და ქართულად გადმოთარგმნა.⁴ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყარამანიანი მოთავესებულია უკვე ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის კრებულში, რომელიც გადაწერილია 1774—1779 წლებში,⁵ უნდა ვიფიქროთ, რომ თხზულება ნათარგმნია 1762—1774 წლებში. გადმოთარგმნილია ის სპარსულიდან, მხოლოდ ერთს ნუსხაში (წერ.-კითხ. №164) ნათქვამია: „თურქთა ენისაგან ქართულსა ენასა ზედა თარგმნილიო“; ეს ცნობა განცალკევებულად დგას, ამას არც ერთი ფაქტი მხარს არ უჭერს.

ყარამანიანი, რომელშიაც ალაგ-ალაგ ჩართულია 16 მარცვლოვანი რუსთველური ტაქები, გაყოფილია 16 კარად და ნათარგმნია მდამიო და მარ-

¹) წერა-კითხვის ხელნაწერში №1 — ავთანდილ თორბელიანს, რაც გადამწერის შეტობაა.

²) გამოცემულია ყარამანიანი ოჯგურ: პირველად 1875—1883 წლებში დ. ლაზარევის და ნ. კობლაძის მიერ, მეორედ, 1888 წლიდან მოყოლებული, იმავე დ. ლაზარევის და ვ. დიღაგარაიის მიერ; ზოგიერთი კარები, 1902 წლიდან მესამედაც იბეჭდებოდა.

³) Е. Такайшвили, Описание II, стр. 178: „პირზედ გაქვს ხალი და შავი თვალი“, რომელიც დ. ჩუბინაშვილის „ქრისტომატიზმა“ დაბეჭდილი (186; წ. II, გვ. 106—107) და ბესარიონ გაბაშვილისათვის მიწერილი.

⁴) А. Хажановъ, Очерки III, 193—194.

⁵) სიძველეთა მუზეუმის, ხელნაწერები №538. 560, 999.

ტივი; სასმენად ჰამო, ენით: ამით აიხსნება, რომ მას მეტად თართო წრე ჰყავდა მკითხველებისა, ერთხელ პიესადაც კი იყო გადმოკეთებული და სცენაზე წარმოდგენილი.

წ. ჩარ-დავრიშიანი.

კონსტანტინოპოლის ხელმწიფეს ბახტურს შეილი არ ჰყავდა და ამით ის დიდად შეწუხებული იყო: ვეზირმა ურჩია: განუყავ შენი სალარო გლახაკთ და ღმერთი შეილს მოგცემსო. მეფე ასე მოიქცა, რაც სიმდიდრე ჰქონდა, გლახაკებს დაურიგა და ღმერთს ევედრებოდა შეილას ყოლას. ერთს წიგნში ამოიკითხა: ვისაც დიდი მწუხარება აქვს, სასაფლაოზე წაყიდეს და გამზიარულდებარო: აგრეთვე, ვისაც სინარულის მტეი არა განუცდია რა, ისიც სასაფლაოზე წაყიდესო. ადგა მეფე ღამით და წაყიდა სასაფლაოზე, სადაც ერთი პატარა გუმბაზი იდგა; ამ გუმბაზში მან სინათლე შენიშნა, მივიდა ახლოს და შიგოთაი დაერიში დაინახა, რომელთაც შემთხვევით მოეყარათ აქ თავი და ერთმანეთის არა იყოდენ რა. მეფე დაჯდა მახლობელ ქვაზე და ყურს ზღვდებდა მათს საუბარს: დავრიშებმა კი გადასწყვიტეს უამბონ ერთმანეთს თავიანთი თავგადასავალი.

ერთი დავრიში გამოდგა დიდი ვაქრის შეილი, მეორე ერანის ხელმწიფის შაჰი მანუჩარის, მესარე—სპარათა ხელმწიფე, მეოთხე—ინდოთ ხელმწიფის შეილი. თვითუღს მათგანს შემთხვევია რალაც არაჩვეულებრივი და ამავე დროს უსიამოვნო ამბავი, რომელსაც ისინი ბლოსადამოლოს კონსტანტინოპოლში მოუყვანია, სადაც ერთმანეთს ეხლა თავის მწარე ხვედრს უშლიან თვალწინ და ანუგეშებენ. პირველმა ორმა დავრიშმა რომ გაათავა თავისი ამბავი, გათენდა კიდევ. ამიტომ მეფე სახლში დაბრუნდა: მან გაგზავნა სასაფლაოზე კაცები ის დავრიშები სახლში მოაყვანია და დანარჩენ ორს აამბობინა თავისი თავგადასავალი. მაგრამ, სანამ ისინი მის ბრძანებას შეასრულებდნენ, თვითონ უანაო მათ თავისი ამბავი. მეფემ და დავრიშებმა შეიგნეს ერთმანეთის მდგომარეობა, ერთად იყვნენ და სტიროდენ. გამოხდა რამდენიმე ხაჩი და მეფეს ვაჟი ეყოლა, რამაც იგი დიდად გაახარა: როგორც მეფეს შეუსრულდა მისი სურვილი, ისე იმ ოთხმა დავრიშმაც მიახწია თავის მიხანს. „ახლა როგორც ხელმწიფე და ოთხნი დავრიშნი თავთავის გულისწადილს ეწიენენ მკითხველნო, დამწერნო და მსვენელნო, ისე ღმერთმან თქვენ თქვენის გულის წადილს და თხოვნას კაი ბედით მიემთხვევენთო“, თავდება ზღაპარი.

ჩარ-დავრიშიანი შესდგება შეიდი კარისაგან: კარი პირველი დაწვება წიგნისა ამის, მეორე და მესამე—პირველი ორი დავრიშის ამბავი, მეოთხე—ამბავი ბახტურ მეფისა, მეხუთე და მეექვსე—მესამე და მეოთხე დავრიშის ამბავი, მეშვიდე—ბახტურის შეილის დაბადება. ეს ზღაპარი ეკუთვნის

1) ზღაპარი ორგერაა გამოკეფული: 1870 და 1890 წ.; ამ გამოკეფებში ტექსტი შემოკლებით და ცოტაოდენი ცვლილებითაა გადმოკეფული. მოკლე ზინარსი მისი იხ. A. Xaxa-hobu, Ozerku III. 155—162.

მოთხოვათა იმ ციკლს, რომელთაც განუვლიათ ძლიერი გავლენა არაბული ზღაპრებისა, კერძოდ ათასერთლაშქიანისა.¹ ელემენტები ამ ზღაპრებისა გავლენის დაერიშების ამბებში. შინაარსით ჩარდავრი შიანი ციკლს სპარსულ-მაჰმადიანურ-იუდაისტურ ნიადაგზე დაყრდნობული, როგორც მირიანი. აქ დაპირისპირებულია „ქეშარიტი და წმიდა სჯული“ კერპონსახურობასა და ბუთის მლოცველობასთან, რომელიც დაგმობილია. აქაც მოქმედ პირებად გამოყვანილი არიან ფერიები, ფერიის ქალები და ფერიას ლაშქარი, აქაც შეითხველი ხედება „ფერიების წიგნს“, ლოცვას და სალოცავ ადგილს, მის სურძასა და გვირგვინს, ქაჯებს, დევებს, ჯინებს. სოლომონის გარდა აქ სხვა ბაბლიურ სახელებსაც აქვს ადგილი, როგორც, მაგალითად, ადამ და ევა და მათი სამკვიდრებელი სამოთხე.

თხზულება გადმოთარგმნილია სპარსულიდან,² დაახლოვებით XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ამაზე ადრე წაწევას ამ თარგმანისას სტილი მისი შეუძლებელ ჰყოფს; არც ხელნაწერებია მისი ამაზე უფრო ძველი; ყველაზე უძველესად დღესდღეობით ითვლება ორი ნუსხა მისი: ერთი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ გადაწერილი ქორონიკონსა შ.მ.მ, ესე იგი 1778 წელს (სიძველ. ნუს. № 86), გვ. 240—273) და მეორე პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავისა, 1785 წელს გადაწერილი ვინმე ფარსადანის მიერ.³

7. ვარშაქიანი

ვარშაქიანი ისეთსავე ზეპარებს შეიცავს, როგორც ყარამანიანი; მთავარი მოქმედი პირი არის ვარშაქი, შეილი ფერიათა ხელმწიფის ქალისა და შეილისშვილი დიდისა ხელმწიფისა ზარბაჯათისა. ეს ისეთი ფალაენი იყო, რომ იმისი მსგავსი ქვეყანაზე არ გამოჩენილა: დევებს, ქაჯებს, გველეშაპებს და ბუმბერაზებს მუსრს ავლებდა. მართლაც, მთელი თხზულება, როგორც ყარამანიანი, მართო დევებთან და ფალაენებთან რკენას მოგვითხრობს, შიგადაშიგ მოთხრობაში შეტანილია, როგორც ყარამანიანისა, სირინოზიანისა და XVIII საუკუნის სხვა თხზულებებში, 16 მარცვლოვანი რუსთველური ტაეპები. ეს სა-

¹) არ მოიპოვება ცნობები მის შესახებ, იყო თუ არა ძველად გადმოთარგმნილი ქართულად ათასერთლაშქიანი, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში ვილამონი ბარათაშვილს გადმოუღია ის რუსული თარგმანიდან, რომელიც თავის მხრივ გადმოღებული ყოფილა „ფრანციულიდან“ აჟანასიე-ჩუბინსკის მიერ (წერ-კითხ. № 3227 ა). განზრახული ყოფილა მისი დაბეჭდვა, ეინაიდან დასახელებულ ბელაწერს შემდეგი საცენზურო შენიშვნა აქვს: дозволено цензурой, г. тифлисъ, октябръ 7 дня 1867 г. ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანათ, მხოლოდ 1894 წ. პირველი წიგნი ამ ზღაპრებისა, მოთხრობა შაქრაზდასი, გადმოუღია და გამოუცია ვილამ. ს.ძ.მ.ს.

²) სპა-სულად მას მიაწერენ ხან ამირ-ხოსროვ დოღლევს (+1225), ხან პოეტ ანჯაბს, ხან მთქაშე დალი-მაქსუმს (H. Ethé, Neupersische Literatur, S. 324).

³) А. Цагарели, Свѣтъшній III, стр. 212, № 195; А. Хахановъ, Очерки III, стр. 155, прим. 3.

კმაოდ დიდი თხზულებაა, რომელიც ერთად-ერთი ცალით არის დღეს ცნობილი.¹ თხზულება დაყოფილი ყოფილა კარებად, რომელთა რიცხვი ყოველშემთხვევაში 18 აღებატებოდა. პირველი კარი ამ თხზულებისა გამოცემულია ტფილისში 1895 წელს ა. ხოშტარიას მიერ შ. ახპატელოვის „გადასწორებით“; ეს გადასწორება გამოიხატა იმაში, რომ მას ძველი ენა შეუსწორებია ახალი ქართულის ნორმების მიხედვით, ამიტომ ამ გამოცემაში ჩვენ ვხედავთ ისეთს სიტყვებს, როგორიცაა: არხიტექტორობა, კრიალოსანი, ტეტრადი, პატრეტი, resp. პატრეთი და სხვ. თხზულება ნათარგმნია სპარსულიდან: გამომკვეპელი თუ რედაქტორი პირველი კარისა წინასიტყვაობაში შენიშნავს, რომ ერთს კატალოგში, რომელიც შედგენილია XVIII საუკუნის ბოლოს ქართველ ბატონიშვილების ბრძანებით ვიღაც თფილელ მწიგნობრისაგან, ნათქვამია, თითქოს ვარშაყიანი ნათარგმნი იყოს ქართულად ვინმე ტუსიშვილის მიერ მეცამეტე საუკუნეში მეუის დავით ნარინის დროს, ჩვენ არც ეს კატალოგი ვიცით და არც ასეთი ცნობა შევხვედრია სადმე. თუმცა როდესაც თხზულებას ვპკითხულობთ (რასაკვირველია ხელნაწერში და არა დაბეჭდილს გამოცემაში), ენის მხრივ ზოგიერთ მსგავსებას ვამჩნევთ ამირან-დარეჯანიანთან; ლექსიკითა და სტილით ის უფრო ახლო სდგას ამ თხზულებასთან, ვიდრე სხვა რომელიმე ნათარგმნი თხზულება აღორძინების ხანისა; აქ ჩვენ ვხედავთ ასეთს ფრაზებს: „მოგსანნი და მუშაითნი“, „ზენაარმან ღეთისამან და თავმან პატრონისა ჩემისამან“, „შეიქურვა სამამაყოფათა იარალითა“, „პოლტიკნი კინენი სატიკვართა ადგილთა დაიკრა“, „თეისისა სიკოცხლისა უიმედო შეიქმნა“, „უყვილა“, „ადიდოს ღმერთმან მოყვარენი შენნი და არცხვინოს ორგულთა შენთა“, „ყოლაუზი“, „შემოუღლეს ნაკარდი“, „განერინებოდენ“, „არმალანი“ და სხვ. რომელნიც ჩვეულებრივია ამირან-დარეჯანიანში, მაგრამ ჩვენს თარგმანს რასაკვირველია, ვერ ჩავთვლით მეცამეტე საუკუნისად; ზემოთყვანილი ფრაზების გვერდით ხელნაწერში გვხვდება ისეთი ვულგარული სიტყვები, როგორიცაა: „წერწადი, სტაქნები, ძლივს, თაეი გააგდებია, შემოდოდოდა ხოლმე“ და სხვ. ჩანს, მთარგმნელი ზედმიწევნით მკოდნე ყოფილა ძველი მწერლობისა, კერძოდ ამირან-დარეჯანიანისა, და მას თავის თარგმანში უხვად, უფრო მეტად. ვიდრე ამას ჩვენ ყარამანიანში ვხედავთ, შეუტანია ძველი ლექსიკური. სინტაქსური და სტილისტიკური ფაქტები, თუმცა ამავე დროს თავი ვერ დაუხვეწევია თანამედროვე ქართულისაგან; ასე რომ თარგმანი მისი წარმოადგენს ძველისა და ახალი ქართულის ნორმების აღრევას ერთმანეთში.

თხზულება გადმოთარგმნილი უნდა იყოს დაახლოვებით იმავე დროს, როდესაც ყარამანიანი, მეთერამეტე საუკუნის უკანასკნელს მეოთხედში. არც ავტორი თხზულებისა და არც დრო. მისი დაწერისა ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი არაა.

¹) წერ. კითხ. ხელნ. № 2358, გადაწერილი ორი სხვადასხვა ხელით სხვადასხვა ფურის კალაღზე მეცხრამეტე საუკუნეში, თავი და ბოლო აკლია, ხელნაწერში დღესდღეობით 46 რვეულია.

8. სპილენძის ქალაქიანი.

ბაღდადის ხალიფას სმენია, რომ არსებობს სოლომონ მეფის მიერ ქმნილი სპილენძის ქალაქი, და უნდა გაიგოს, სად იმყოფება ის; თავისი სურვილი მან გაუმელავენა თავადებს, რომელთაც დაუმოწმეს, რომ ასეთი ქალაქი მართლაც არსებობს, მაგრამ სად—არ ვიცითო. მის საძებნელად გაგზავნეს კაცები, რომელნიც შევიდნენ ავენელთა მეფის საბრძანებელში: აქაურმა მეფემ დიდის კრძალულებით მიიღო მოსულნი, გაიგო მათი მოსვლის მიზანი და უთხრა მათ, რომ მე მოგცემთ თქვენ ისეთ ადამიანს, რომელმაც იცის ეს ქალაქი, ეს არის ბერი აბდულაო. უკანასკნელი მიიყვანეს ხალიფასთან; მან მოახსენა, რომ ეს ქალაქი, აღსავეს ყოველივე სიმდიდრით, მეწამული ზღვის ერთს კუნძულზედააო; როდესაც სოლომონ მეფემ დაიპყრო დევები, ისინი ჩააწყვედია სპილენძის კოკებში, დაბეჭდა თავისი ბეჭდით და ჩაყარა მეწამულ ზღვაშიო. იქ წამაველი გზა მეტად ძნელია, ამიტომ დიდი საგზალითა და ამალით უნდა წავიდეთო. მართლაც მრავალრიცხოვანი ქარავანი, აბდულას ხელმძღვანელობით და ამირ მოსესა და გეზირის დალიფის მეთაურობით, გაუდგა გზას; მივიდნენ ერთს მშვენიერს, კელლუეს ქალაქში. რომელიც აღსავეს იყო ყოველგვარი სიმდიდრითა და რომლიდანაც სპილენძის ქალაქამდე კიდევ ექვსი თვის საველი გზა რჩებოდა ამ ქალაქში მათ დაათვალიერეს შვიდი სხვადასხვა „კუმო“ ან დარბაზი, რომელთაც ისინი გაოცებაში მოიყვანეს: თვითეული მათგანი სავეს იყო თვალმარგალიტით და თვითეულს მათგანში განისვენებდა მეფე ან მეფენი, ანა და სხვა ვინმე დიდებული. აქვე დაწერილი იყო ანდერძი, რომელშიაც გადმოცემული იყო ვინაობა განსვენებულთა. ბერმა აბდულმა იცოდა „შვიდი სჯულის წიგნი,“ ამიტომ მან ყველა ეს ანდერძი წაიკითხა; შინაარსი მათი ერთისადიამვე ხასიათისა იყო: წუთისოფლის მუხთლობა და უნდობლობა, სიკვდილის ეერაგობა, ქონების არაობა და კეთილისა და ღვთისნიერობის მოპოება. აქ მათ იპოეს სპილენძის კაცი, რომელსაც ხელში შუბი ეჭირა; შუბის წვერზე ეწერა: ვისაც უნდა გაიგოს სად იმყოფება სპილენძის ქალაქი, სამჯერ შემომამბრუნეთ, საითაც პირს ვიხან იქით გაემგზავრეთ.“ ისინიც მართლაც ასე მოიქცნენ და გაუდგნენ გზას; დიდობნია მგზავრობის შემდეგ მივიდნენ ერთს მაღალ მთასთან, რომელზედაც კონკი იყო აგებული, აქ მათ იპოეს მარმარილოს სვეტი, რომელშიაც შეპყრობილი იყო საშინელი კაცი; ეს კაცი აღმოჩნდა დევი, რომლისაგან მათ შემდეგი მოისმინეს: მე ვიყავი მონა და მსახური კუნძულთა მეფის აზიზისა, რომელსაც მზეთუნახავი ქალი ჰყავდა. სოლომონ მეფემ მას ეს ქალი სთხოვა, აზიზმა უარი შეუთვალა, ამიტომ მათ შორის ომი დაიწყო. ორსავე მხრიდან გამოვიდა უთვალავი ლაშქარი დევებისა და საშინელი მხეცებისა. მე ვმეთაურობდი აზიზის ჯარს. სოლომონისას დიზადი (თუ დიადიმი). სოლომონმა გვაჯობა, მე დამიჭირეს. დამქედეს და აქ ჩამსვეს, სადაც ქრისტეს მოსლევამდე უნდა ვიჯდეო. ხხვა დევები კიდევ მან ჩასვა სპილენძის კოკებში, დაბეჭდა თავის ბეჭდით და მეწამულს ზღვაში ჩაყარა. სპილენძის ქალაქს, რომელსაც თქვენ ეძებთ, იმყოფება მეწამულ ზღვაში არსებულ კუნძულზე, მისი წინა კარი დგას მიწაზედ იმ ადგილას, სადაც

დევებია ჩაყრილიო, 12 დღის მგზავრობის შემდეგ მათ დაინახეს შავი ქალაქი: ამ ქალაქს სქელი და მაღალი ზღუდე ჰქონდა გარშემორტყმული, რომელსაც სამი დღის განმავლობაში ძლივს შემოუვლიდა მარდი ცხენი. შეავეალი კარი შიგნიდან იღებოდა, ამიტომ გააკეთეს მაღალი კიბე, ავიდნენ ზღუდეზე და იქიდან ჩაეშვენ ქალაქში: გააღეს კარი და ამირ მოსემ ნახევარი ჯარი შეიყვანა შიგ. მათ დაიარეს სხედანსხვა „შუკა“ ან უბანი ქალაქისა და ყველგან გაოცებულნი რჩებოდნენ იმ წარმოუდგენელი სიმდიდრით, რაც მათ აქ იპოვეს. აქაც ყველგან ხედებოდა მათ მხოლოდ მიცვალებულები იმავე ხასიათის ანდერძებით. როგორც წინათ ნახულს ქალაქებში, სხვათა შორის იპოვეს მიცვალებული დედოფალი, დისწული სოლომონისა: მისი ანდერძი შეიცავდა ვრცელს აღწერილობას ამ ქალაქის გაშენებისას სოლომონის მიერ, მისი სიმდიდრისას და კერძოდ დედოფლისასაც. ანდერძში ის აზრი იყო გატარებული, რომ სიმდიდრეს არაფითარი ფასი არ აქვს. ერთხელ გვაღვივ ჩამო საშინელი შინშილობა დაიწყო. ჩვენმა სიმდიდრემ ვერა გვიშველა რა, რადგანაც სასყიდელი პური არ იშოვებოდაო; თან ჩვენ დაეიხოცეთ ყველანი და ეს სიმდიდრე, როგორც ხედავთ. ოხრად დაგერჩაო. დედოფალს თავზე ძეირფასი გვირგვინი ეხურა: დალიფ ვეზირის სულმა წასძლია და მოინდომა მისი მოხდა, მაგრამ ორმა სპილენძის მეკელმა მას თავი წააგდებია. ამირ მოსემ აპკიდა ჯორ აქლემებს აქაური სიმდიდრე, რაც კი მოახერხა, და ქალაქი დატოვა. წამოვიდნენ და მივიდნენ იმ ბურჯთან. რომელიც ზღვის კიდზე იყო; აქ მათ ნახეს შავი კაცები, რომელთა მეფემ ზღვის ფსკრიდან ამოიღო თორმეტი კოკა, სოლომონის ბექდით დაბეჭდილი და დევებით აღსავსენი, და მოსეს უბოძა. მოსე წამოვიდა, მოვიდა აენელთ მეფესთან, რომელსაც მათი დაბრუნება მეტად გაუხარდა და რომელსაც მოსესაგან ორი კოკა მიიღო. როდესაც მან კოკებს თავი მოხადა, აქედან საშინელი კვამლი წამოვიდა, მეწემ ვედრებით მიჰმართა სოლომონს, მაპატიე კადნიერებაო. აენელთ ხელმწიფიდან მოსე დაბრუნდა ბალდადს ხალიფასთან, რომელსაც დაწერილებით უამბო თავისი მგზავრობა და ჩააბარა მოტანილი სიმდიდრე: თვალმარგალიტი და კოკები. ხალიფამ კოკებს თავი ახადა და იქიდან. საშინელი კვამლის სახ.თ, ამოვიდნენ დევები და ხეცაში აიჭრნენ. ხალიფამა და მოსემ ტირილი დაიწყეს და სოლომონს შესანანებელი ვედრებით მიჰმართეს. ამის შემდეგ ხალიფამ მთელი სიმდიდრე გლანაკებს დაურიგა, დასტოვა ტახტი შევიდა ერთს გამოქვაბულში და შეიდი წელიწადი იქ ლოცვა-ვედრებაში გაატარა.

ასეთია მოკლედ შინაარსი ამ ზღაპრული მოთხრობისა, რომლის ლექსიორი ვერსია ცნობილია დღესდღეობით ერთადერთი ნუსხით:!) დაწერილია ის 16 მარცვლოვანი რუსთველური შაირით და მოკლებულია ყოველგვარ პოეტურ ღირსებას. აქ პირველსავე ტაქვაში ნათქვამია, რომ ეს მოთაზრობა „ამბავად იყო ნათქვამი, დღეს ლექსად გამოთქმულიაო“;² მაშასადამე, არსებობდა პროზიური ვერ-

¹) წერაკი. № 101; E. Такайшвили, Описание II, стр. 362-363.

²) № 101, გვ. 35.

სია მისი, რომელიც მერე ვილაცას გაულექსავს. პროზითი ვერსია ამ მოთხრობისა ხელთაჲჟონია განსვენებულს ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს, მეცხრამეტე საუკუნის ხელნაწერით, რომლის შინაარსი მას სიტყვა-სიტყვით გადმოჴცია რუსულ ენაზე.¹ მაგრამ ეს პროზითი რედაქცია არ უნდა იყოს დედანი ჩვენ მიერ გადმოცემული ლექსითი რედაქციისა, ეს ორი სხვადასხვა ვერსია უნდა იყოს. მართლაც, მათ შორის თვალსაჩინო განსხვავებაა: პროზითს ვერსიაში მოყვანილია ხალიფას სახელი, აბუმელიქი, რაც ლექსითმა არ იცის; პროზითი ვერსიით მოთხრობა იწყება ხალიფას სურვილით მოძებნილ იქმნეს კოკები, რომლებშიაც სოლომონმა ეშმაკები ჩამაწყვდია, ლექსითში—სპილენძის ქალაქი. ვეზირს პროზითში ეწოდება ტალააბი, ლექსითში—დალიფი; პროზითმა ვერსიამ არ იცის ავნელთა ქვეყანა და ხელმწიფე, რომელმაც ხალიფას ბერი აბდულა გამოუგზავნა; არ იცის მან აგრეთვე სახელი ამ ბერისა, რომელსაც ის იხსენიებს მხოლოდ როგორც ვაჟრის შვილს, ოდესღაც სელავეზე მყოფს. პროზითი ვერსიით მოსე არის დასავლეთის მფლობელი, ხოლო ლექსით—ამირა ხალიფასი. პროზითი ვერსიით ქარაეანი გაემგზავრა 100 აქლემით და ბროლის კოკებით წყლისათვის, ლექსით—1000 აქლემით და ფიქვის კუტლებით. პროზითი ვერსია იხსენიებს რაღაც ხ ა რ ა ბ ჯ ს ქვეყანას. რომელიც ლექსითმა არ იცის, აღწერილობა ამ ქალაქისა და შინაარსი აქაურ მიცვალებულთა ანდერძებისა ამ ვერსიებში ერთნაირი არაა. აზიზ მეფის მთავარი სარდალი, პროზითი ვერსიით, არის იუმენელი (?) დევი ტაძნეირი. ლექსითმა ვინაობა და სახელი მისი არ იცის; სოლომონის მთავარ სარდალს ის უწოდებს ამირანს, ლექსითი ვერსია კი დიმაღის (თუ დიადიმს) აქედან სპილენძის ქალაქამდე. პროზითი ვერსიით, არის 40 დღის საეალი, ლექსით კი 12-ისა; სპილენძის ქალაქს, პროზით, აქვს 7 კარი, ლექსით 10. აღწერილობა სპილენძის ქალაქისა, იმაში შესლევა და ანდერძი დედოფლისა ერთნაირად არაა გადმოცემული ამ ვერსიებში. პროზითი ვერსია დაწვრილებით აყვიწერს შავთა სამეფოს, მათი მეფის ნადირობას ზღვაში, პარასკეობით ზღვიდან ლოცვის მოსვენას, რაც ლექსითმა არ იცის. პროზითი ვერსიით მოსეს შავთა მეფემ მისცა მხოლოდ ორი კოკა. რომელიც მან გაუგზავნა პირდაპირ ხალიფას, ლექსითი ვერსიით კი მან 12 კოკა მიიღო, აქედან ორი მისცა ავნელთა მეფეს, ხოლო დანარჩენი 10 ხალიფას.

ასე რომ ის პროზითი თარგმანი, რომელიც მერე ვაულექსიათ, სულ სხვა ყოფილა, ვიდრე ა. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ა. ვინ ვალექსა ეს უცნობი რედაქცია. არ ვიცით, არც ის ვიცით, ვინ ან როდის თარგმნა პროზითი ვერსიები; უხდა ვიფიქროთ, რომ ნათარგმნია ისინი არა უადრეს მეთვრამეტე საუკუნის დამდეგისა, ნოლო ვალექსილი ვერსია. სტილის მიხედვით, მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს უნდა ეკუთვნოდეს. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ე უ რ ი პროზითი რედაქცია, მისი სიტყვით, გადმოცემული უნდა იყოს სომხური ენიდან,² მაშასადამე. ესეც ერთერთი საბუთია იმისა, რომ XVIII საუკუნეზე ადრე ის გადმოცემული არ იქნებოდა, ვინაიდან სომხურიდან თარგმნა მხოლოდ მეთვრამეტე

¹) Очерки III, стр. 162-169.

²) Ibid. стр. 162. примеч.

საუკუნეში განახლდა და გაცხოველდა. რაც შეეხება ლექსითი იერსიის პროზაულ დედანს, ის, ზოგიერთ ლექსიკურ მოვლენათა ნიხედვით, შეიძლება თურქულიდანაც იყოს გადმოღებული.

ამ ზღაპარს არამც თუ განუცდია გავლენა ათასერთლამიანისა, არამედ პირდაპირ იქიდანაა ამოღებული და გადმოკეთებული; მაინცადამაინც დიდი პოპულარობა მას ჩვენში ვერ მოუპოვებია, ვინაიდან დღეს-დღეობით ნხოლოდ ორი ნუსხაა მისი ცნობილი, ისიც მეცხრამეტე საუკუნისა, — ერთი პროზითი ვერსიისა, რომელიც ხახანაშვილს ჰქონია (დღეს არ ვიცით სად იმყოფება). და მეორე — ლექსითისა (წ.-კომ. № 101).

ზამარლიანი.

შინაარსი ზღაპრისა გადმოცემული აქვს განსვენებულს ა. ხახანაშვილს; ის მას აპოუღია ერთადერთი საბინინისეული ხელნაწერიდან¹⁾, რომელიც დღეს არსადა ჩანს. სახელწოდება ზღაპრისა უნდა წარმოებული იყოს ან ყამარდოსაგან (სახელი ქვეუნისა), ანადა სამარდო-საგან (სახელი ერთერთი მოჭმედი პირისა). ზღაპარი ჩვეულებრივი სპარსულ-ნაჰმადიანური ტიპისაა, რომელშიაც ჩვენ ვხვდებით იოსებს, სოლომონს. დავითს, ფერიებს, დევეებს, ქაჯებს, ყარანანს, ყველა ფანტასტიური მოთხრობების ატრიბუტითა. ამავე დროს ეტყობა, რომ ის სიტყვა-სირყვით კი არაა გადმოთარგნილი, არამედ თავისუფლად გადმოკეთებული. ამის საბუთია ქართულ ყაიდაზე შედგენილი სახელები: სამარდი, საგულო, ელეარა. გადმოკეთებული უნდა იყოს არაუადრეს მეცხრამეტე საუკუნის მეორე მეოთხედისა. ვინაიდან ის ასახელებს პეტრე ლარაძის დილარიანს; მართლაც, სიტყვა პარტრეტსაც რომ არ მივაქციოთ ყურადღება, რომელიც XVIII, საუკუნის ძეგლებშიაც გვხვდება. საქმარისია მოვიგონოთ ისეთი სიტყვები, როგორცაა კიტაი, ცერამონია, სეკუნდა, ვენერა, რომელნიც ჯიპველია, რუსული წყაროებიდან შემოსულან ავტორის ლექსიკონში. ვინ არის ეს ავტორი, თუ გადმომკეთებელი, არ ვიცით, მაგრამ ერთი ცხადია, რომ მას კარგადა სცოდნია ჩვენი ძველი მწერლობა, საიდანაც თავის თხზულებაში მრავლად შეუტანია ძველი ლექსიკური მასალა.

¹⁾ Очерки III, стр. 100—103.

IV. დიდაქტურ-მორალური ეპოსი

1. მეფეთა სალარო

უნივერსიტეტის სიძე ელეთა მუზეუმის ხელნაწერში № 617. რომელიც მიჩვიდმეტე საუკუნის გასულს თუ მეთვრამეტეს დამდეგს ეკუთვნის, ნოთაგანსებულია ერთი თხზულება (ფურც. 1-48), რომელსაც, სამწუხაროდ, პირველი ორი ფურცელი აკლია და ამიტომ სათაური დაკარგული აქვს. ხასიათითა და შინაარსით ეს თხზულება ეკუთვნის იმ ნაწარმოებთა ჯგუფს სპარსულ ენაზე, რომლებშიც ლაპარაკია მეფეთა და მმართველთა მაღალ დანიშნულებაზე. მათი უზღობა მოვალეობის შესახებ, და წარმოდგენილია იდეალი სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და ქვეშევრდომთა მოვლა-პატრონობისა. განსაკუთრებით ახლოსა დგას ის ხასიათითა და სულით საიდალი ბინ შიჰაბ-უდდინის (ქ. 1365. Dasirat ulmulk-თან¹ და ამიტომ, ნამდვილი სათაურის დაკარგვისა და უცოდინარობის გამო, მეფეთა სალაროს ეუწოდებთ მას. თხზულება შესდგება 28 თავისაგან, თვითუღს მათგანში ლაპარაკია მეფის ერთს რომელიმე თვისება-მოვალეობაზე; ჯერ განმარტებულია თეორიულად, თუ რაში მდგომარეობს ეს თვისება-მოვალეობა, მაგალითად: შენდობა, ნოთმინება, წყალობა, და მარცხენტენცია-აფორიზმებით, იგავ-არაკებით და ამათუიმ შესანიშნავ პირთა ცხოვრებიდან ამოღებული მაგალითებით დადასტურებულია თეორიულსა ნაწილში გამოთქმული აზრი. რიცხვი იგავ-არაკებისა და სენტენცია-აფორიზმების სხვადასხვა თავში სხვადასხვაა; ჩვენ აღენუსხავთ ყველა თავებს² და მათ შემადგენელ იგავ-არაკებს.

თხზულებას პირველი ორი თავი აკლია შესაფერი ფურცლების დაკარგვის გამო, ის იწყება მესამე თავით:

III (თავი): ღეთის ხეეწნისათვის:

1: (იგავი): უწვიმრობისაგან დაშავებული ქვეყანა.

IV: მადლობა ღეთისა წყალობისა მისისათვის:

2: სულთან სანჯარი და გლახა.

V: საბრისათვის (აუჩქარებლობა):

3: ხელმწიფე და მორიელისაგან დაკბენილი სპასალარი

VI: დაჯერებისათვის ღეთისა წერილისა:

4: წინასწარმეტყველი.

VII: ღეთის მინდობისათვის:

5: მკერზე გამარჯვება ხელმწიფისა.

VIII: გამცემობისათვის (აკლია თავში):

6: ხალითა მამული და არაბი.

7: ნუშრევან ხელმწიფე, შეიძლება იკლითა პატრონი.

IX: ქალწულებისათვის:

(აქ იგავის მაგიერ ბრძენთა აფორიზმებია მოყვანილი).

¹) H. E t h e, Neupersische Literatur S. 349-350 (Grundriss. . II).

- X: საქციელისათვის:
 9: მისრგთის ხელმწიფე და კვისარი
- XI: ხელმწიფეთაგან დიდად ქვეყნისა და დიდის საქმის გამოკიდებისათვის:
 9: მეფე იაკობ ლეის მიერ ცოლის შერთვა.
 10: ალექსანდრე მაკედონელი და არისტოტელი.
- XII: გაბედვისათვის:
 11: მიწის მკამელი ხელმწიფე.
- XIII: საქმის მოკირვებისა და ძალის შიკემისათვის:
 12: ჯინკეელი და გორა.
 13: ფრიდონ ხელმწიფე და ქვეყნის დაპყრობა.
 14: ხელმწიფის შვილის საომრად გაგზავნა.
 15: ხელმწიფე იაკობ ლეის და გარჯილობა.
 16: გალარბებული ხელმწიფის გვარის კაცი.
- XIV: სიმაგრისათვის ყოველსა საქმესა შინა:
 17: კვისარი და ნუშრეან ხელმწიფე.
 18: სულთან რაზი და ჰამალი.
- XV: სამართლისა და ადალათისათვის:
 19: იერუსალიმს წარმავალი ხელმწიფე.
 20: ნუშრეანი და ჰაჯაჯ ხელმწიფე
 21: აბდლაჰი თაჰირ ხელმწიფე და მისი შვილი.
 22: ხალიფა მამუნ და თილოსოფოსი.
 23: მდიდარი და მომჩივანი.
 24: ბრძენი და მეფის სამართალი.
 25: საწარმოლიანი მეფე ჩინეთისა.
 26: მელიქშაჰ ერანელი და ქერივი დედაკაცი.
 27: ხალიფა მამუნ და დანაშავეს ძმა

- 28: ომარუ ლეის ხელმწიფე და დანაშავეს დედა.
 29: უბად ხელმწიფე და დედაკაცის ფურები.
 30: ბაჰრამგურ ხელმწიფე, მებაღე და ბროწეული.
 31: ჰუმანგ ხელმწიფე და შვილის ანდერძი.
 32: სულთან მაჰმუდი და სულელი კაცი.
 33: საყდი, სამარყანდის უსამართლო ხელმწიფე.
- XVI: შენდობისათვის:
 34: არაბისტანის ხელმწიფე და მისი მესისხლე.
 35: ხალიფა მამუნი და შენდობა.
 36: ალექსანდრე მაკედონელი და არისტოტელი შენდობისათვის.
 37: ხელმწიფე და შემოღე მუსაიბი.
 38: ხელმწიფე და მისი უნებური კაცი.
- XVII: მოთმინებისათვის:
 39: ხალიფა მამუნი და ოქრომკედელი.
 40: ნუშრეან ხელმწიფე და ეფხირი აბზერ ჯაჰმირ.
 41: ხალიფა და ნეჟლარე აში.
- XVIII: მშვიდობისა და გულკეთილობისათვის:
 42: ხელმწიფე არდაშირ ბაბექ და მისი შვილი.
 43: ხელმწიფე და მსარეული.
- XIX: წყალობისა და შეწყალებებისათვის:
 44: სუბუქ თაჰინ მეფე და ჯეირანი.
 45: სულთანი აბუსაიდ ხუდაიბანდა და დიდებულნი.
 46: ხალიფა და ბალდადის დიდებულნი.
- XX: საღეთოსა საქმის და გლახაკთმოწყალებისათვის:
 47. წინასწარმეტყველი და ალაჰი.

- 48: მდიდარი მიცვალებული და ქარავანსარაი.
- XXI: უხეობისა და გამცემობისათვის:
- 49: ხეასრო ფარეიზ ხელმწიფე და სპასალარი.
- 50: ჰათამითაი და აქლემები.
- 51: ჰათამითაი და ურუმთ მეფის ელჩი.
- 52: ჰათამითაი და იამანის ხელმწიფე.
- 53: ჰათამითაი და აქლემთ მეჯოგე.
- 54: ჰათამის მარჯვენეს დაუხსნელობა.
55. დარა ხელმწიფე და ვეზირი.
- XXII: პატრიესცემისა და თავის დამდაბლებისათვის:
- 56: ნასრ იზნ აჰმად და მისი შვილი.
- 57: ბრძენი და ხელმწიფე.
- 58: ხვარასნის მეფე ისმაელი და ბრძენი.
- 59: ხვარასნის მეფე აბდულ აჰი თაირ და ორი ღვთიანი კაცი.
- 60: ხელმწიფე და ღვთიანი კაცი.
- XXIII: ამანათისა და დიანათისათვის:
- 61: ნუშრევეან ხელმწიფე და უშურველი კაცი.
- 62: ბალხეთის ხელმწიფის შვილი და მოხუცი მებაღე.
- XXIV: ყოვლის პირობის გათავებებისათვის:
- 63: აბრაამის შვილი ისმაილი და მუსაიბი კაცი.
- 64: დიდვაჭარი და ნასყიდი ყმა.
- 65: ხელმწიფე და შემკდარი.
- 66: ხელმწიფე და ბრძენი.
- 67: ხორასნის მეფე იაყუბ ლეის და იბრაჰიმი.
- XXV: სიმართლისათვის, მართლის საქმის ქმნისა და მართლის თქმისათვის:
- 68: მუსთარშიდ ხელმწიფის ანდერძი.
- 69: ჰაჯაჯ ხელმწიფე და ორი დანნაშავე.
- XXVI: აღსრულებებისათვის გულის წადილისა:
- 70: ალექსანდრე მაკედონელი, არისტოტელი და ჩინეთის მეფე.
- XXVII: სიწყნარისა და აუჩქარებლობისათვის:
- 71: ხოსროე ფარეიზ ხელმწიფე და ანდერძი.
- 72: არდაშირ ბაბექ და სამი წიგნი.
- 73: ირანის მეფე აჰმად სამარი და ვეზირი.
- 74: ბაჰრამგურ ხელმწიფე და მისი შვილი.
- 75: ურუმის ხელმწიფე და აზიზ ჰისრიმისა.
- 76: ხელმწიფე და ბრძენი.
- 77: ხვარასნის მეფე ჰაიათილა და საბირებელი წიგნი.
- 78: მარიე შაჰიჯანის ყადი და ჰისრი ქალი.

— —

ამათუიმ თავში გვხვდება აფორიზებები სხვადასხვა პირებისა, მაგალითად: აფრასიობისა, (თავი 5), ბრძენთა (9), ფრიღონ და ჯიმშეტ ხელმწიფეთა (18). თილოსოფოსოთა: არღანირ და ნუშრევეანისა (19), ჰუმანგ და აფრასიობ ხელმწიფეთა (24) და სხვ.

იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორი ხასიათისაა თხზულება, მოვიყვანთ იმისაგან რამოდენიმე ნიმუშებს. თავი XV, იგავი 26: სიმართლისა და ადალათისათვის:

„მელიქ შაჰ ერქვა ერანის კელმწიფესა რომელსამე და დღესა ერთსა წყლის პირს ნადირობდა და მუნ მწეანე მოეწონა კელმწიფესა და ცოტას თანს ცხენიდალმან გარდამოკდა. მაშინ ერთი დიდებულთა მისთაგანი, რომელიცა სხვათა უწარჩინებულეს იყო, სოფელში წარვიდა და ერთი ძროხა ნახა. რომე რუს პიო-

სა სძოვდა; უბრძანა, დაკლეს და ცოტაოდენი მისი მწვადი შეაწვევიანა და ქანა. თუმცა ის ძროხა ერთის ქერიის დედაკაცის იყო, და ოთხი ობოლი ჰყვანდა და იმისის რძით ზრდიდა იმ ობლებსა და იმისი საზრდელიც ის იყო. რა დედაკაცმან ფურის დაკლვა შეიტყო, ცა და ქვეყანა რისხევით თავს დაექცა, წაბოვიდა და ერთი ხიდი იყო, რომე კელმწიფის გზა ის იყო, იქ დადგა. რა კელმწიფემ გამოიარა, დედაკაცმან ცხენის სადავე დაიჭირა. მაშინ იმავე კაცმან. რომე იმ დედაკაცის ძროხა დაეკლა, მათრაკი გარდაჰკრა; კელმწიფემან უბრძანა: დაეკენო, ენახოთ რა საჩივარი აქვსო. დედაკაცმან მოახსენა გულმწუხარედ ვითა: ეპა არაღანის შეილო, თუმცა ამ კიდზედ კალთას არ დამანებებ, ჩემს საჩივარს არ გაიგონებ და არ გამივლენ, მას საიქიოს განკითხვის დღეს დაავიქერ კალთასა ღეთის წინაშე და გავივლენ ჩემს საჩივარსა: გინდა აქ განკითხე და გინდა იქ. კელმწიფე ცხენით გარდაპოვდა და უბრძანა: რალაც საჩივარი გაქვს, აქვე გაგივლენო და იქ არ შემიძლია სამართალიო: ვინ რა შეგცოდა, მითხარ, და გაგივლენო. მოახსენა დედაკაცმან ვითა: კელმწიფეო, ამ კაცმა რომ მათრაკი გარდამკრა, ერთი ფური მყევანდა, ჩემი და ჩემის ოთხი ობლების საზრდო ის იყო, დამიკლა და შემიქამა. მასეი წამსა უბრძანა კელმწიფემან და ის კაცი შოაკელევიანა, და ერთის ძროხის მაგიერ სამოცი ფური მიაკემინა დედაკაცისათჳს. გამოვიდა ხანი და კელმწიფე მოკუდა, ის ქერიე დედაკაცი ისევ ცოცხლად იყო: მოვიდა კელმწიფის საფლავზედა, ღმერთს კელი შეჰყარა და თქვა ვითა: ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, რაგვარადაც მე საწყალი შემიწყალა და გამივლინა მტერსა ჩემსა ზედა, აგრევე შენ შეიწყალე და შეიბრალე კელმწიფე ესე და დაუმკვდრე საიქიოს სამოთხე და ნუ ჰკითხავ ცოდვათა მისთა. მას უკან ერთმან ბრძენთავანმან ვინაჲ ნახა სიზმარშიგ კელმწიფე სამოთხეშიგ მყოფი: ჰკითხა კელმწიფესა ვითა: რა საქმე მიუძღოდა კელმწიფესა წინაშე ღეთისა, რომე სამოთხეშიგ შესლვა ეღობსა. უბრძანა კელმწიფემან ვითა: ქერიე დედაკაცი რომ გავიკითხე. იმისის გულისათვის შემინდო ღმერთმან ჩემნი ცოდვანი, თეარა ჩემი კსნა ძნელი იყო. ერთი რიგი სამართალი ეს არის, რომ ყოველი სამართალი კელმწიფისა საღეთო იყოს, რაც რომ მაჩივარი კაცი გაიკითხოს, ღეთის შერიათი კელდაღმე არ გაუშვას, და გაუწყრეს ვისმე თუ დაუტკბეს, ღეთის სათნო იყოს. რაჲ მისი ბრძანება არ იყოს, განეშოროს. რომელმან კელმწიფემან ბრძანება ღეთისა არ გატეხოს, დაამონოს ღმერთმან ყოველი შეილი ადამისი ბრძანებასა მისსა ქეშმარიტად“ (ფურ. 16—17).

თავი XXI, იგავი 49: უხვობისა და გამცემობისათჳს: „ხოსროვი ფარვიზ ერქვა ერთს კელმწიფესა და ერთი სპასალარი ჰყვანდა, შრავალჯერ მტერზე გამარჯვებული და სახელოვანი კაცი იყო, ჰყვითა და სიბრძნით ქვეყანაზე განთქმული, და კელმწიფისაც მუსაიბი იყო, და სრულად მისი ქვეყანა წასებარა და კელმწიფე მის უკითხავს არას იქმოდა. დღესა ერთსა მისმან მტრებმან კელმწიფეს მოახსენეს ვითა: სპასალარი ღალატს გიპირებსო და უუფლომასო, სანამდის საქმეს გაგიძნელებდეს, ჩვენ ჩვენი თადარიგი ექნათ და დაეასწრაო და რაც იმას ჩვენთვის უნდოდეს, იმას უყოთო. კელმწიფე გულნადელიანად შეიქნა და ბრძანა ვითა: თუ ის უქუმიდგებისო, ჩვენი ლაშქარნი უტროსნი ერთნი იმასკენ იქმონენ პირსა და საქმე გაგიძნელდებისო. ვაზირთა და დიდე-

ბლლთა ჰკითხა ვითა: რა უნდა უყოთო სპასალარს? ყველამან მოახსენა, რომე დაეებათო. მოეწონა ხოსროს მათი ვიხირობა და მეორეს დღეს მოაწვევინა კელმწიფეთ შვილნი და ყოველნი თავადნი და დიდებულნი და კელმწიფეთი ნაჯლიში ქნა და ლხინით ნახა. სპასალარიც აწვია კელმწიფემან და წინ მიეგება და ზემო თავსა გარდაიწვია, მრავალი ქება შეასხა: მოლარეს უბრძანა და მრავალი ნაღდი და ჯინსი მოუტანეს და მას მიართვეს, და მრავალი ბედური ცხენი და ჯორი და აქლემის ყათარი მიართვეს, და უბოძა და უბრძანა, რომე ჩემი მამული აქამდისაცა შენ გზარებიო და ახლაც რაგვარადაც გინდოდეს, ისრე უყავო. სპასალარმან ხელმწიფეს მუკლს აყოცა და წაივია. რა ხალვათი შეიქნა, ვაზირთ რომ მისი დაქერა გამიერჩიათ, მოახსენეს კელმწიფესა ვითა: რაც რომ გამოვარჩიეთ, რასთვის აღარა ქნა კელმწიფემანო? ხოსრომ გაიციხა და უბრძანა: რაც გამომირჩიეთ, ყველა გავათავებო; თქვენ ასრე გამომირჩიეთო. რომ დაეებათო. მე ასრე ნინდოდა, რომე ასეთის საბმურით დამება, რომ მის დღეში ველარ აშვებულიყო, და წყალობის საბმურის უფრო მაგარი ვერა ეპოვერა და მით დაეაბი. საბმური რომ ერთს ასოხედ დანედეა, ქლიბი გაჰყვითდა. და მე გულზედ დაეადევ წყალობის საბმური ჯინჯილი, ამად რომე გული არის ყოვლის ასოს კელმწიფე: როდისცა კაცს გული დაებმის, ყოველი ასო დაბნული ექნების, წყალობის ჯინჯილი არასტერიოთ არ გაიკეთების. ბრძენთაგან ნათქვამი არის, რომე გაბმული მფრინველი ბადით დაიპირებისო და კაცი წყალობით ინადირებისო: მტერთა და ავის წდომელთა კაცთა წყალობა და მიცემა გააერთოვლებს და ავის მთქმელს კარგს ათქმევინებს. როგორც ხოსრო სპასალარს ის წყალობა უყო, განიწმიდა გული მისი ყოვლისა საორგულო საქმისაგან. ვირემ ცოცხალი იყო, ერთთა ნასყიდის ყმის ოღნათ ემსახურა და მის გზაზედ მოკუდა, ერთი უხეობის საკეთე ის არის, რომე ყოველს კაცს უხვი კაცი უჯკარ-, რავინდ არა რეგობდეს რა მისგან, მამინაც აქებს და აღიდებს; მკლარსაც რომ მოაგონდეს. მასცა შენდოზას ეტყვიან“ (ფურ. 29—30).

თავი V, აფორიზმში მომთქნობის შესახებ: „აზრასიობისაგან ნათქვანი არის, რომე შეილსა უთხრა: ნუ გეშინიან კაცთა და ლაშქართა სიმრავლისაგან, არამედ გეშინოდენ კაცთა მათგან. რომელნი მომთმინო არიან და სულგრძელი, შენცა ეგრევე მომთმინო და სულგრძელი უნდა იყო, რომე ყოველსა კაცსა ზედა თამამად იქნები“ (ფურ. 3).

თხზულება სპარსული წარმოშობისაა და ეკუთვნის იმ დარგს პოლიტიკურ-აღვებორთულ და ეთიკურ-მორალური ხასიათის ნაწარმოებებისას, რომელიც სამაოდ მდიდრადაა წარპოვნილი სპარსულ ლიტერატურაში.¹ ხასიათი იგავ-არაკებისა, მოქმედება და გარემოება, მოქმედ თუ მოსაუბრე პირთა სახელები ამოღებულია სპარსული სინამდვილიდან, რასაც ხაზს უსვამს აგრეთვე ისეთი სპარსულ-არაბული სიტყვები, როგორცაა: ამანათი, არმაღანი, აში, ადალათი, ბახირგანი, დიანათი, ზაეთი, ზულუმი, იყლიმი, მაჯლიში, მერამლე, მუნაჯიბი მუსაიბი. ორზოა, საბრი, სიდაფლე, ქარაეანსარაჰ, ლაფალი, ყადი, ყათარი, შათალათი, შერიათი, ჯინსი, ჯინჯილი, ჯისირი, ჰამალი და სხვ. თხზულება აღმო-

1) H. Eth e. Neupersische Literatur. S. 316—331 (Grundriss... II).

წინებულთა მაჰმადიანურ ნიადაგზე. მაგრამ გადმომთარგმნელს უცდია მეცა მისი აქვს ქრისტიანული ელფერი და ეს ქრისტიანული ნაძალადევი ტენდენცია თქორადა ჩანს შავზე: აქ ჩვენ ხშირად ვხვდებით ასეთს ფრაზებს: ეკლესია, საყდარი, დაქცეული საყდრის აშენება, მართლმადიდებელი ხელმწიფე, იერუსალიანს წასლვა სალოცაყად, იესო ქრისტე-სული ლეთისა, გამოთქმულია ასეთი აზრები: მეფემ უნდა „საღვთოს საყდარსა შინა მღვდელნი, მღვდელმონაზონნი და გლახაჲნი დააყენოს და განუჩინოს მათ საზრდო და სამყოფი, როჲე მისნი მლოცველნი იყვნენ და ღმერთსა აქებდენ და აღიდებდენ: აგრეთვე საყდარსა ყოველთა წმიდათა შესაწირს შესწირიედეც და ეფასკოპოზთა და მღვდელთა და მღვდელმონაზონთა პატიესცემდეს, რომე მლოცველნი იყვნენ. და მაშინლა დაუმკვიდრდების კელმწიფობა“ (ჟურ. 28). მეფემ უნდა „ერთი ფილასოფოსი სჯულისმამტკიცებელი ეპისკოპოსი გვერთ იახლოს და რაც რომე საღვთო საქმე იყოს, იმის უკითხაეს ნურას იქს“ (ფ. 46); „როდესაც კაცმან თვალით საკანონოს რასმე შეხედოს და ყურმან აეს საქმეს ყური მიუგდოს, ენით ტყუილი თქვას, და კელით ქრისტიანეს სტანჯვიდეს, ლეთის ამანათშიგ მუხანაზობა არის“ (ფ. 35). „რომელმანცა ქრისტიანის კაცის გული გაამხიარულოს: კოველთა წმიდათა და წამებულთა მადლი მას მიხედეს“ „ერთს წინასწარმეტყველს მისნა მოსამსახურემ მოახსენა, რომე ჩემის დედისა და მამის სულისათვის ზინდა, რომ გავსცე რამეო, და რას მიბრძანებო; უბრძანა ვითა: გასაცემს ისი სჯობს, რომე კაცმან მაჰული იყიდოს და გასცეს სალაპოლ, რომელ ყოველს წელიწადს ალამს უზამდენ და მის სულს მოიხსენიებდენ“ (ფ. 29).

ენა თარგმანისა არის მარტივი, ნარნარი და ავილად გასაგები. თხზულე-
 ჯა გადმოთარგმნილი უნდა იყოს არაუგვიანეს მეჩვიდმეტე საუკუნისა: ეინ გად-
 მოთარგმნა ის, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა ამ-
 დენხანს არც თვით თხაულების არსებობა იყო ცნობილი ჩვენს მწერლობაში.
 საერთოდ უნდა შეენიშნოთ, რომ შინაარსით და მოხდენილობით ეს იგავარაკე-
 ბი არ ჩამოუვარდება სხვა. ჩვენს ლიტერატურაში ცნობილ, იგავარაკებს და მა-
 თი გამოცემა მორიგ საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული.

2. ტესტამენტი.

ასეთი სახელი ეწოდება იმ ანდერძს, რომელაც დაუწერა სიკოცლენი-
 ენიმერატორმა ბასილი. მაკედონელმა (867—886) თავის შვილს ლეონ ბრძენს
 (893—911) შეჰუკვი სათაურით: „ბასილიოს მეფისა ბერძენთაჲსა თავნი სანა-
 ლებელნი. რომელსა აქვს ზემოწერილი ესე: ბასილიოს. მეფე ბერქენთაჲ. ლეონს,
 საჯვარელსა ძესა და თანამოსაყდრესა“. ეს ტრაქტატი, როგორც ბერძნულს
 ექსტში, ისე ქართულს თარგმანში, შეიცავს 66 თავს. რომლებშიაც დახატუ-
 ლაა იდეალი მეფისა, ის იდეალი, რომლის მიხედვით შეიძლება ითქვას: „კეთილ-
 შესწრებულ არს სამეფოა იგი, რომელსა შინა ანუ სიბრძნისმოყუარენი მეფო-

¹⁾ Migne, Patr. Cur. Comp. S. Graec. tom. 107.

ბენ, ანუ მეფენი სიბრძნისმოყუარეობენ, - სახელდობრ: როგორი უნდა იყოს მეფე კერძო, ოჯახურ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.¹

თხზულებას დიდი გავლენა ჰქონია საშუალო საუკუნოებში და ამიტომ მრავალ ენაზეა ნათარგმნი. ის უთარგმნიათ, სხვათა შორის, რუსულ-სლავურ ენაზედაც,² და ამ თარგმანიდან მომდინარეობს ქართული თარგმანი. თხზულების ბოლოში მთარგმნელი, გვაცნობს რა მოკლედ ბასილისა და ლეონის ენაობას. შენიშნავს: „ხოლო აწ ძალისაებრ ჩემ მიერ რუსულსაგან ქართულად თარგმნილსა ამას წინამძღვრებულ ეუქმენ მკითხველთა, ვითარცა ღირსისა რასამე კეშმარიტად ყოველთავე გინა მეფისა, ანუ ჰთავრისა, ანუ თუ სახლისა უფლისა წარსამართებელად ცხოვრებისა თვისისა და შეილთა თვისთათვის და უმეტესად ენებათა თვისთათვის... ხოლო აწ მე მედრებელეარ, რათა რომელნიცა მიემთხვენეთ წიგნსა ამას, ლოცვა ჰყოთ ჩემ ცოდვილისა ამის ბატონი შვილისა ალექსანდრეს თვის წარსამართებელად შემდგომთაცა შრომათა ჩემთა“.³ ამნაირად, მთარგმნელი თხზულებისა არის ბატონიშვილი ალექსანდრე, მაგრამ რომელი: არჩილის ძე თუ ბაქარის ძე? ეს თხზულება XVIII საუკუნეში დაბეჭდილია კიდეც; ამ გამოცემას შემდეგი წინასიტყვაობა აქვს: „სადიდებელად წინდისა სამებისა ჟამსა დიდად ამაღლებულისა სრულიად რუსეთის [კელმწიფის] და თვითპყრობელისა. კეთილმორწმუნისა იმპერატრიცა ანნა იოანნესა, ბრძანებითა მეფის ბაქარის, ვახტანგის ძისაჲთა. შენდობითა და კურთხევითა წმიდათა მმართველთა სინოდთა, საუასითა და წარსაგებელითა არქიეპისკოპოზისა იოსებისაჲთა, გაკეთდა საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წიგნი ესე ტექსტამენტი, რუსულსაგან ქართულად თარგმნილი მისი სიმაღლის კეთილმორწმუნის მეფის ბაქარის ძის ალექსანდრესაგან, კურთხეულმცა არს ხსენება მისი უკუნისანდედასაბაპითჲან ვიდრე აქამომდე ესმე, ქრისტეს აქეთ ჩლლთ. ქორონიკონსა შპვ თვესა დეკემბერსა იწ.“⁴ მაშასადამე, ირკვევა, რომ ტექსტამენტი უთარგმნია ალექსანდრე ბაქარის ძეს და დაუბეჭდია იოსებ სამებელს 1739 წელს ნოვგოროდის სტამბაში.

ბაქარის ოჯახში ლიტერატურული ტრადიციები მტკიცედ ინახებოდა; მართალია, ის ანბანთქება, რომლის ნაწილი (ასო ხ-დან) შენახულია წერაკითხ. ხელნაწერში № 1091, ეკუთვნის არა ბაქარს, როგორც ეს დ. კარიკაშვილის კატალოგში (გვ. 100) და თვით ხელნაწერში ზ. ქიქინაძის მიერაა აღნიშნული, არამედ პაატა ბატონიშვილს,⁵ მაგრამ ვიცით, რომ ბაქარი

¹) K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Literatur, S. 47-48, Aufl. 2

²) სლავურსა და ბელორუსულ ენაზე ის უთარგმნია ბერძნულიდან დამიანე მღვდელს და დაუბეჭდათ ოსტროჟაში 1604 წ. მეორე და მესამე გამოცემა გამოვიდა მოსკოუსა და კიევი 1680 წ. ხელმეორედ უთარგმნიათ ის რუსულად ბერძნულიდანვე ყაზანის სემინარიისა და ვანო, უკითხ მოსკოვში 1776 წ. (В. Сопикинъ, Опытъ россійской библіографіи. ч. 1. стр. 31, 73, ч. II, стр. 42. изд. Рогожина, Петерб. 1901).

³) სიძველ. მუხ. №17 ფ. 72.

⁴) წერაკითხ. მუხუდის №1091. დაბეჭდილი.

⁵) პაატა იყო ვახტანგ მეფის უკანონო შვილი: ის მამას რუსეთში გადაჰყვა, სადაც მან ისწავლა არტილერია და საქმე თოფანისა; მამის სიყვდილის შემდეგ ის გაიპარა ევროპაში - იტალია საფრანგეთი, იქიდან მოვიდა სტამბოლს. სტამბოლიდან 1752 წელს ტფილისში. სადაც

მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ქართულს ლიტერატურაში.¹ ლიტერატურულ-მეცნიერული მუშაობის გზაზე დააყენა მან თავისი შვილი ლევანი, რომელსაც შეუდგენია თავის დროისათვის მეტად საყურადღებო შრომა „მსოფლიო ისტორია“;² მომზადებული იქნებოდა, უეკველია, ლიტერატურული მუშაობისათვის მისი მეორე შვილიც, ალექსანდრე. მაგრამ ტესტამენტის მთარგმნელად, გეგონია, ეს ალექსანდრე ვერ ჩაითვლება. საჭმე ისაა, რომ თხზულება დაუბეჭდილად 1739 წელს, ნათარგმნი, მეტი თუ არა, ერთი წლით ადრე ხონ მაინც იქნებოდა, ესე იგი — 1738 წელს. როდის დაიბადა ალექსანდრე ბაქარის

დიდს პატრივნი იყო, მაგრამ 1767 წელს ლალატისათვის თავი მოჰყევინს ქართლის ეპოვრება II, 439, 506). დასაბუღებელი ანბანთქება რომ პატარს ევქლენას ჩანს მისი ბოლოდან, სადაც კვითხულობთ:

გოდეს ვიწყე ესე წიგნი ათუთხმეტ თვის ღებურებასა,
ონისიშეს მას ღღეს ევალობ, ბრწყინეღღესა ვილა თვალსა.
ოცი წელი შემისრულდა, თვეც ოცდაცხრით გაოდუაღღესა.

გონგროვლახ მას ვაზად ქართლს ბეკდაეს სახარებასა,
ორბელის შვილი ნიკოლოზ ჰყოფს წერილთ განწორებასა,
ოხითა ვახტანგ ნეთისთა ჰქმენ წიგნთა განწორაღღესა,
ოქროპირისა ნათარგმნსა, მოგვეფენენ განაღღესა.

გონისიფორეს ვიპოწმებ, ამ ქორონიკონს ესწერ რითა.
ოქრო ვის შესძღუნეს მას აჰეთ ათას წვიდას წელს ცხრითა.

გოქტომბროდან გვემტურნეს პეჟე და მისი სანია,
ამათ გვეღღეს, დაეშორდით მოყვარენი და ძმანია,
ოთხსავე ციხეს მიემართეთ. მათ დარჩათ შორაპანია.
ოკმით შემოგვრჩენ ესენი: სეყო. კაცხი, ნავარაანია.

ამას ხედან ანბანთქება დაესრულა ჩემის თქმითა,
უცხონი და ჯერ უთქმელნი. პატარს მიჯრ გამოთქმითა.
ნერც შერევთ და ნურც განთავსებთ, ასე სწერეთ ხედმიბმითა (გვ. 13—11).

როგორც ვხედავთ, ანბანთქება დაუწერია პატარს 1709 წელს, როდესაც ის ოცე წლისა ყოფილა (დაბადებულია 1684 წ.); ბაქარი, რომელიც 1709 წელს დაიბადა, 1709 წელს ვერაფერს დასწერდა.

¹) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 363.

²) აი ჩასა სწერს ამ შრომის ბოლოს გადამწერი მისი და აღმზრდელი ლევენისა მღვდელი სედეკ კავკასიძე: „ამა სობრძინისა ტრფიალმან. როდენისამე ენისა, წიგნისა და წგონის ზედმიწევნით მცოდნემან მიმოვლინა გონებისა თვალთა ფრანგთა სწავლისა წიგნნი. დასაბაჰით გან ვიდრე მოდღეინდელად დღემდე აღწერილინი... არა სცა ცხრა წელ თვალთა თვისთა ოღღე და თავთა თვისთა განსვენება, ვიდრემდის ლათინურისა, ფრანკულურისა და ნემწეურისა და აღღესისაგან გარდამოგნითინა... ოდეს განასრულა წიგნი ესე ყოელიურთ, ანაზდათ მოვეტარენა უბეინზომან და ყოელითა შეეწყალებელმან სიკუდილმან ყოელით სრული და ძვირფასი ივი საღუნჯე 1763: ივლისსა 23: წლის 34. დღესა ოთხშაბათსა“ (წერა-კითხ. ხელნ. ანკა, გვ. 1018). მაშასადამე, ლევანი დაბადებულია 1728 წელს: თავისი შრომა მას დაუწერია 1709—ა 1732 წელს, როდესაც ის 26 წლის იყო (1731—1728 26). შემდგარია მ. ბროსე, რომელიც მისი ნაბადების წელად სთვლის 1724 წ. (Hist. Géor. II, liv. I, 628).

ბაქარი. დაბადებული 1700 წელს.¹ გაქედდა 16 წლის. 1716 წელს (ქართ. ცხოვრ. II. 347). ჯერ კიდევ უცოლო: 1723 წელს მან თავი გააგდებია თავის სი-
პაპს, არაგვის ერისთავს გიორგის (ქართ. ცხოვრ. II. გვ. 331—332), მაშასა-
ღამე, ამ გიორგის ქალი. ანნა, მას შეუერთა 1717—1723 წლებში. როდის—
დანამდვილებით არ ვიცით. 1728 წელს მას შეეძინა ლევანი: ალექსანდრე,
თუ ის უფროსი შვილი იყო, დაებადებოდა მას რამდენიმე წლით ადრე. მაგრამ
1724 წლის შემდეგ. ვინაიდან რუსეთში გადასახლებიას ბაქარის შვილები არ
ჩანან არც პოემა „ვახტანგვანში“, არც სხვა ისტორიულ დოკუმენტებში, ასე, რომ
1738 წელს ის იქნებოდა 13—14 წლის ბავშვი და თარგმნას ვერ შესძლებდა.
ყოველს შემთხვევაში, საქართველოშიაც რომ დაბადებულყო ის, 1718 წელზე
ადრე ვერ დაიბადებოდა.² ასე რომ 1738 წელს ის იქნებოდა maximum 20
წლისა და ამ პასაჟშიაც ვერ შესძლებდა ამ თხზულების გადმოთარგმნას, მით
უმეტეს, რომ მის ძმას ლევანს. გაცილებით უფრო განათლებულს და მომზადე-
ბულს. ლიტერატურული მუშაობა დაუწყია არაუადრეს 26 წლისა. ყურადღება
უნდა მივაქციოთ შემდეგს გარემოებასაც: დაბეჭდილი გამოცემა ამ თხზულებისა
ნათარგმნელის შესახებ, როგორც დაეინახეთ, ამბობს: „კურთხეულმცა არს ხსე-
ნება მისი უკუნისამდე“, ის მას უკვე მკედრად ეგულვება 1739 წელს, ალექ-
სანდრე ბაქარის ძე კი 1784 წელსაც ცოცხალი იყო. როდესაც ის „ახალგაზრ-
დული ენერგიით ებრძოდა ირაკლი მეორეს ქართლის ტახტისათვის.“³

ანნაირად. უნდა ვითქვით. რომ დაბეჭდილს გამოცემაში თხზულების
ნათარგმნელად შეცდომით აღნიშნულია ალექსანდრე ბაქარის ძე ალექსანდრე
არჩილის ძის მავიერ.⁴

ალექსანდრე არჩილის ძე დაიბადა 1674 წელს, 1690 წლიდან მუდმივ
მოსკოვში ცხოვრობდა, 1697 წელს რუსის მეფემ ის საზღვარგარეთ გაგზავნა
სწავლის მისაღებად. იქიდან მობრუნებული, ის მონაწილეობას ლებულობს ნარვის
ბრძოლაში 1700 წელს. ტყვედ უყარდება ხელში შვედებს და ცხოვრობს სტოკ-
ჰოლმში. არჩილმა, როგორც იყო, ტყვეობიდან დაიხსნა ის, მაგრამ ცოცხალი
ალარ უნახავს. ვინაიდან. დაბრუნებული, გზაზე გარდაიცვალა ქ. რიგაში 1710
წელს. ტესტამენტის თარგმნა მას შეეძლო. ცხადია, რუსეთში ყოფნისას,
ტყვეობამდე. მანასაღამე. ნეჩვიდმეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში.

¹ Бутковъ, Матеріалы для новой исторіи Кавказа I. 501.

² მაგრამ ალექსანდრე გაცილებით გვიან, რუსეთში უნდა დაბადებულყო: 1701 წელს.
ნოვობრის II, მას ჯვარი დაუწვია თავადის ქალზე, დ. ა. მენშჩიკოვას ზე, რის გამო ერთს
ოჯახს ოდა დაუწვია (В. Сошниковъ, Опытъ російской библиографіи. т. IV, стр. 15,
№ 714). изд. Рогожина, Петерб. 1903 г., 2 მაის 1701 წელს რუსეთიდან, ჩინებ აყრილი, გა-
მოაქვს, 1781 წელს ირაკლი მეფეს სამეფო ტახტს ედავება.

³ Бутковъ, Матеріалы для новой исторіи Кавказа II. 111—114

⁴ სიძე, მუს. ხელნ. № 67. როგორღაც მოთავსებულია ეს თხზულება. ეკუთვნის იმ ხელ-
ნაწილსა ჯგუფს, რომელნიც არილ მეფეს ქონია ხელთ: მას, როგორც ზოგიერთ სხვა ხელნა-
წილებს არჩილისას, ქვედა შიდაზე რეეულთა სათვლავები ბერძნული ასოებითა აქვს აღნიშნე-
ული: ესეც ერთი საბუთი იმისა, რომ თხზულება მასი მერის. და არა ალექსანდრე ბაქარის
ძის, მიერ უნდა იყოს ნათარგმნ.

3. სიბრძნე სიცრუისა

სიბრძნე სიცრუისა არის ერთერთი პოპულარული კრებული იგავ-არაკებისა ქართულს ენაზე, რომელიც ქართულ ნიადაგზე წარმოშობილა და დამუშავებულია: ეკუთვნის ის ცნობილს საბა-სულხან ორბელიანს.¹ ეს კრებული შეიცავს ას სამოცდა ორამდე იგავ-არაკს, სენტენციას. აფორიზმებს და ანექდოტებს, რომელთაც აერთებს შემდეგი მოთხრობა:

↑ იყო ერთი დიდებული მეფე ფონეზი, რომელსაც ჰყავდა მეტად ბრძენი ვეზირი სედრაქი და გულითადი საჭერისი რუქა. მეფეს შილი არ ჰყავდა, მაგრამ, ლოცვა-ვედრებისა და უხვი მოწყალების გაცემის შემდეგ, მას შეეძინა ვაჟი ჯუმბერი, რომლის სწავლა-აღზრდა მან მიაბარა. რუქას სურვილის წინააღმდეგ, ახალგაზრდა ბრძენს ლეონს. ლეონი მეტად სატიკად და მოურიდებლად ზრდიდა ჯუმბერს: ერთხელ ის სანადიროდ წაიყვანა. თვითონ ცხენზე შეჯდა. ჯუმბერი კი უკან დაიდევნა ფეხით და სალამომდე აღწეწულა, ასე რომ ფეხები სულერთიან დაუსკდა მას და დაუსიედა: მეორეჯერ კიდევ 50 როზგი დაჰკრა. რუქამ ლეონი დააბეზლა მეფესთან ასეთი სისასტიკისათვის, მაგრამ მან თავი იმართლა. სწავლის დამთავრების შემდეგ მეფემ გამოცადა თავისი შილი და მეტად კმაყოფილი დარჩა მისი ცოდნითა და ლეონის შრომით. ამიტომ მან სრულიად გულდამშვიდებით ტახტი შეიღს დაუთმო. ეს უბრალო მოთხრობა აერთებს იმ იგავ-არაკებს, სენტენცია-აფორიზმს, ზღაპრებს და ანექდოტებს. რომელთაც ეუბნებიან და უყევიან ერთმანეთს ფონეზი, სედრაქი, რუქა, ლეონი და ჯუმბერი.

სახელწოდება კრებულისა: „სიბრძნე სიცრუისა“, გულისხმობს. რომ ის შეიცავს სიბრძნეს. ესე იგი გარკვეულ აზრს, მნიშვნელობას, სიცრუის ანუ ცრუ, მოგონილი ზღაპრისა და იგავეებისა.²

კრებული. როგორცა ეთქვით, დაწერილია საბა-სულხან ორბელიანის მიერ. საბა-სულხან ორბელიანი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მწერალია: დაიბადა ის ქართულსა ქორონიკონსა 633, ოქტომბერსა 14, დღესა კვირიაციესა შუალამის ეპისკოპოსსა,³ ესე იგი 1658 წლის 24 ოქტომბერს, და მეტად კარგი განათლება მიიღო: საფუძვლიანად შეისწავლა სამღვთო წერილი. ქართული საერო და სასულიერო მწერლობა და რამდენიმე უცხო ენა, თანაც თავისი: დეკსიკონის წინანასიტყვაობაში უკანასკნელს ის უარპყოფს. სულხანს ყველაფერი უწყობდა ხელს, რომ კარგი განათლება მიეღო და შენდევ ლიტერატურული მუშაობისათვის მოეკიდა ხელი: დიდი ბუნებრივი ნიჭი. სიბრ-

¹) გამოცემა მისი: 1) სენტერბურს 1845 წ. 2) პ. უნიკაშვილისა 1871 წ. კერ. წიგნაკიანისა 1881 წ.; არსებობს ინგლისური თარგმანი მისი ო. ლორდოპისა და რუსული „ქაგარლისა, (Книга мудрости и лжи (Грузинский басни и сказки XVII-XVIII стол.) Словы Свѣтлая Орбелиани. Петерб. 1878 г.

²) მიუღებელია: „ქაგარლის თარგმანი Книга мудрости и лжи, რომლის ქართული შესატყვისი უნდა იქნას „წიგნი სიბრძნისა და სიცრუისა“ და არა „სიბრძნე სიცრუისა“.

³) ლექსიკონი, ვ. VII: Е. Така и ш в и л и. Описание I, стр. 101-106.

ლოვე და ნათესაობა სამეფო კართან. რომელიც იმ დროს ლიტერატურული მუშაობის ცენტრად ითვლებოდა. შთამომავლობა ორბელიანთა გვარიდან, რომელშიაც მტკიცედ ჰქონდა მოკიდებული ფეხი ლიტერატურულ ტრადიციებს (ცნობილი ნიკოლოზ ტფილელი იყო ძმა სულხანისა), დაახლოვება კათოლიკე მისიონერებთან, აი ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა და განვითარდა სულხანის სულიერი ფიზიონომია. დაქვრივების შემდეგ, 1698 წლის 18 მარტს, სულხანი ბერად აღიკვეცა საბა ას სახელით და დავით გარეჯის უდაბნოში დაიწყო მოღვაწეობა. მისმა კჟუა-გონებამ, განათლებამ და საქართველოს მაშინდელმა მდგომარეობამ საბას მონასტრის კედლებშიაც არ მისცეს მოსვენება: მას დიდად აფასებდა ვახტანგი, ამოტომ თითქმის განუყრელად თან ჰყვანდა და სახელმწიფო საქმეებში ძალაუფლებურად აბამდა. 1712 წლის 23 აპრილს ის მან გაიყოლია ისპაანს. საიდანაც საბა მობრუნდა 1712 წლისავე 20 დეკემბერს; მაგრამ 1713 წლის 15 აგვისტოს ის დიპლომატიური მისიით საფრანგეთს გაემგზავრა ლიუდოვიკო მეოთხემეტესთან, რომელსაც მან წაულო ვახტანგის წერილები. ევროპაში საბა წავიდა კათოლიკე მისიონერთა თანხლებით, რომელთაგან მან ლათინობა ან კათოლიკობა მიიიღო. ლიუდოვიკომ ის შესაფერი პატივით მიიღო და დახმარება აღუთქვა: ამის შემდეგ საბა უკანვე გამობრუნდა, გზადაგზა ჩერდებოდა რომს, სტამბოლს და ტრაპიზონში და ბევრი ვაივაგალობის შემდეგ, 1716 წლის ივლისში, სამშობლოში დაბრუნდა. საქართველოში მან მოიყვანა კავუჯინთა ორდენის მისიონერები, რითაც ძალაზე განარისხა მეფე იესე, ასე რომ იძულებული შეიქნა მეფე ვახტანგთან გადასახლებულიყო რუსეთს, სადაც ვარდიცკალა 1725 წელს, მართმადიდებლობის წიაღში დაბრუნებული.¹

საბას დიდი ღვაწლი დაუდევია ქართული მწერლობისათვის როგორც საერო, ასე სასულიერო დარგში. მისი ლექსიკონი დღესაც შეუდარებელი და სწორუბაოა; მისი მოგზაურობა ევროპაში (ციცკარი, 1852 წ. № 1—4), რომელშიაც ის გასაოცარ დაკვირვების ნიქს იჩენს, ინტერესს ეხლაც არაა მოკლებული და საუკეთესო წარმომადგენელია ამ ეპოქაში აღმოცენებული ლიტერატურული დარგისა, რომელსაც „მოგზაურობანი“ და „მიმოხილვანი“ ეწოდება. საყოფადღებოა მისი ბიბლიის კანკორდანსი, რომელიც ჩვეულებრივი ტიპის ქიმფონიას წარმომადგენს და შეიცავს ძველსა და ახალი აღთქმის წიგნების პარალელურ ადგილებს (დართული უნდა ჰქონდეს 1742—3 წლის ბიბლიის გამოცემას). საბას ეკუთვნის აგრეთვე „სამოთხის კარი“, „სწავლა მეცნიერთაჲს თქმული: აღვიარება რომელ არს ღმერთი ან სჯული“, „საქრისტიანო მოძღვრება“, — პირველი სასწავლო წიგნი ყრმათათვის, და „წამებანი წინასწარმეტყველთანი“ იესო ქრისტეს შესახებ, რომელნიც ლათინური ენიდან არიან გადმოთარგმნილნი და მიხნად აქვთ შეათვისებდნენ მკითხველს ელემენტარული დოგმატიკურ-მორალური დებულებანი კათოლიკობისა. დაუწერია საბას აგრეთვე

¹) ლიტერატურა საბას შესახებ: А. Цагарели, Кника мудрости и жин, С. Петерб., 1878 г. რ. ერისთავი, საბას ლექსიკონი; ვახ. ივერია 1849 წ. № 21; თ. ყორღანიძე, ქრონიკები, II, გვ. 522—524; დროება 1874 წ.; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 371—372, სადაც, სამწუხაროდ, აღნიშნული ლიტერატურის შეცდომები გადმოვიდა.

რამდენიმე ჩვეულებრივი ტიპის ანბანთქება¹, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია დასახელებული მისი კრებული სიბრძნე სიკრუისა.

როდის დასწერა საბამ ეს კრებული? 1859 წლის გამოცემას ასეთი სახელწოდება აქვს: „წიგნი სიბრძნე სიკრუისა, ნათქვამი საბა-სულხან ობელიანი-საგან უამსა სიკბაბუქისა მისისასა“. ჩანს, არსებობდა ისეთი ნუსხები ამ წიგნისა. რომლებშიაც აღნიშნული იყო, რომ ის დაწერილია საბას სიკბაბუქში. ა. უაგარელი არ ეთანხმება ამ აზრს² და ფიქრობს, რომ საბას ეს წიგნი უნდა დაეწეროს ღრმად მოხუცებულობაში, სახელდობრ—ევროპიდან შობრუნების შემდეგ.³ რაც, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ წიგნში მოხსენებულია დუკა, გრანდუკი, მაგისტროსი, რომი, საფრანგეთი, კოსტანტინეპოლი, ოქროს ქვა. ოქროს ქიმია და სხვა ამგვარი. რასაც ის მხოლოდ ევროპაში მოგზაურობისას შეითვისებდაო. თან, თხზულებაში გველაპარაკება ჩვენ ადამიანი, ცხოვრებაში გამოცდილი და გამობრძმედილი, რომელსაც ბევრი განუცლია და გაუგონია.

ჩვენ გვკონია, რომ თხზულება მართლაც რომ სიკბაბუქში დაეწერია საბას და არა ევროპიდან დაბრუნების შემდეგ. ეს თხზულება დაწერილია ქილილა და დამანას გადმოთარგმნამდე; ეს იქიდანა ჩანს, რომ უკანასკნელში ნათქვამია: „როგორათაჲ მას, იგაეის მკოდინარეს ორბელსა, წიგნსა შინა უთქვამსო“. (გვ. 81). ქილილა და დამანა დამთავრებულია, როგორც დავინახავთ, საბას ევროპიდან შობრუნების შემდეგ. მაშასადამე, სიბრძნე სიკრუისა საბას უნდა ევროპაში წასვლამდე დაეწერა. ეს კიდევ ცოტა: ჩვენ შეგვიძლია ეთქვათ, რომ სიბრძნე სიკრუისა დაწერილია ავტორის ბერად შედგომამდე, ესე იგი 1698 წლის 18 მარტამდე. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ ქილილა და დამანას წინასიტყვაობა ბოდიშსა ხდის საბას ამ თხზულების გადართარგმნისათვისაც კი (გვ. 9), მიუხედავად იმისა, რომ იმაში შედარებით მაღალი ტონია დაცული და ერთი ვულგარული ფრაზაც კი არ მოიპოვება. ცხადია, ბერობაში საბა ვერ დასწერდა სიბრძნე სიკრუის წიგნს, როქელშიაც თოვალის უწმაწური სიტყვები და ადგილებია, ადამიანთა სქესობრივი ორგანოსი და სქესობრივი დამოკიდებულების აღწიშნული. თან, ერთს არაკვი, რომელშიაც მელაა გამოყვანილი, ასეთს დიალოგს აქვს ადგილი: „ჩემნი (მელას) დღენი ცოდვაში დაეღამე, ახლა კჳა მოვიხმარე, ეს სოფელი გაუშვი, ბერად შევდეკ, იერუსალიმს მინდა წავიდეო. მაშალმა უთხრა: რადგან ცოდვისაგან ხელი აცილია და ქველის საქმეს იმრავლებ. მეც წამიყვანე, მადლი მოგხედებაო“ (გვ. 23, გამ. 1881 წ.). აქ ავტორი ერთგვარი დაცინვის კილოთი ლაპარაკობს ცოდვის მონანიების, იერუსალიმის მილოცვის და ბერად შედგომის შესახებ. რასაც, რასაკვირველია, ადგილი ვერ ექნებოდა მას შემდეგ, რაც ის თვითონ ბერად შედგა. 1698 წელს, როდესაც საბა ბერად შედგა, ის 40 წლისა იყო. მაშასადამე —

¹) Е. Такайшвили, Описание II, 153, 219.

²) Книга мудрости и жи, стр. VII.

³) ა. უაგარელი ის აზრს ეზიარებინ ნ. შარტი (Сборникъ притчъ. Варшва I, 346) და ა. ხახანაშვილი (Очерки III, 236).

შეუძლებელი არაფერია, თუ ამ დროს მას ასეთი შრომა შესრულებული ექნებოდა. ასე რომ არ სტყუის ის ნუსხები სიბრძნე სიცრუისა. რომელთაც შეუწახვით ცნობა, რომ ეს თხზულება დაწერილია საბას მიერ „ეანსა სიწაბუჯისა მისისასა“.

მეორე საკითხი: ორიგინალურია თუ არა სიბრძნე სიცრუისა? პროფ. ა. ცაგარელს ამ კრებულის იგავ-არაკები შეუდარებია პანჩატანტრას, ჰინდუ-პადემას, ანვარი სოჰაილის, ათასერთლამიანის, ვარდანის, მხითარ გომის და თვით-ნამეს არაკებთან და იმ დასკვნამდე მისულა, რომ სიბრძნე სიცრუისა არაა არც თარგმანი, არც მიბაძვა დასახელებული კრებულებისა, არამედ ორიგინალური, ქართული ნაწარმოები, მისი შინაარსი მთლიანად ამოღებულია პირდაპირ ხალხის წიაღიდან და, თუ ზოგიერთი არაკები ანალოგიას ქოვლობენ უცხო ერთა არაკებში, ისინი ყოველ შეათხვევაში ლიტერატურული გზით არ უნდა იყვნენ შემოსულნი ჩვენშიო. (გვ. XI). ზოგადად ეს შეხედულება მისაღებია. გარდა უკანასკნელი ნისი ნაწილისა, სადაც უარყოფილია ლიტერატურული გაგება ამ კრებულის შედგენისას. გევმა კრებულისა და ის ქარგი, რომელზედაც გაყოფილია იგავარაკები, ორიგინალურია, თვით საბას ეკუთვნის და შედგენილია ბალაჰვარის, ანვარი სოჰაილის და თიმსარიანის ან სინდბადის მიბაძვით. რაც შეეხება იგავარაკებს, არც ერთი მათგანი საბას მიერ მოგონილი არ უნდა იყოს, უმეტეს ნაწილად ისინი ამოღებულია ხალხის წიაღიდან. მხოლოდ ზოგიერთი ნასესხებია უცხო კრებულიდან და. ცოტად თუ ბევრად, შეკეთებული საბას მიერ. შევეცდებით აღვნიშნოთ ზოგიერთი ასეთი იგავარაკები: 1) არაკი მდიდარი ვაჰარის შესახებ (გვ. 12—14, გამოც. 1881 წ.) როგორც ნათავარ მოტივით, ისე დეტალებით, გვაგონებს ათასერთლამიანის არაკს von Glückwerlassener Kaufmann.¹ 2) ძალისა და მამლის არაკის (გვ. 32—33) ნათავარ მოტივი ამოღებულია ესოპეს ამავე სათაურის არაკიდან, განსხვავება მხოლოდ დეტალებშია. 3) დათვისა და კაცის დამშობილების არაკი (გვ. 87—88) ნომდინარეობს პანჩატანტრადან; 4) არაკი სპარსელი ვაჰარისა, რომელმაც თავისი ლამაზი ცოლი არამც თუ მიათხოვა ედესის მეფეს, უკანასკნელის ვერაგობით რასაკვირველია, არამედ მყურობაც კი გაუწია მას (გვ. 47—49), გადაკეთებდა შვიდვე ზირიანის მეშვიდე არაკისა: „ერთ ხელმწიფისათვის, რომელსაცაჰყვანდა საყვარელი დიდებული, რომ შეირთო დედოფალი და გააქცია“² 5) არაკი „მგელი და ვირი“ (გვ. 58) მკირედ გადმოკეთებულია ესოპედან; 6) ესოპედანვეა ამოღებული არაკი მიწაში დაფლული ოქროს შესახებ (გვ. 63). 7) არაკი ვირის, ვეფხის, მელის და მგელისა (გვ. 79—81) პარალელს ქოვლობს პანჩატანტრაში³ 8) „კუ და მორიელი“ (გვ. 88) გვხვდება ქილილა და დანანაში, პანჩატანტრაში⁴ და ესოპეს კრებულშიაც. 9) „წერო და მელია“ (გვ. 98—99)

¹) M. Habicht, Breslau. 827, I, X, p. 120—126.

²) F. h. Benfey I. Theil S. 354.

³) შეიდეხირიანი. გამოც. 2, გვ. (132—147).

⁴) Benfey I, 516—510.

⁵) Ibid. 223.

მომდინარეობს ესოპედან 10) არაკი იმის შესახებ, თუ როგორ მარბენ ცოცხალ ქნარს მედარ ცოლთან (გვ. 137—140), პარალელს ჰოულობს სინდბადსა და ათასერთდამიანში; 11) არაკი კაცსა და უმადური გველისა (გვ. 155—157) გვხვდება ქილილა და დამანაში, პანჩატანტრაში² და ესოპეს კრებულში. 12) „გლახა და ქილა ერბო“ (გვ. 173—174) პარალელს ჰოულობს ჰიტოპადემანში³ და მეტად გაერკელებულია საქართველოში. 13) არაკი „ვირი. კაკვაკა და მგელი“ (გვ. 193) მომდინარეობს ესოპედან. ამას გარდა ეურნალს Athenaeum-შია (1895 წ. 16 თებერვალი), რომელშიაც მოთაქსებულია რეცენზია თეოდორიკის ინგლისურ თარგმანზე, და გაზეთ იეერიაში (1895 წ. აპრი). სადაც ამ რეცენზიის შესახებაა ლაპარაკი, მოყვანილია ზოგიერთი პარალელები სკრბიული არაკებიდან და მოლდავეურ-ვალახური თქმულებებიდან. რასაკვირველია. ასეთი შორეული პარალელები ლიტერატურული გაელენის მაჩვენებლად ვერ ჩაითვლება: ის აიხსნება, ალბად, იმით, რომ ყველა ეს თქმულებანი ერთსადაიმავე წყაროდან მომდინარეობენ.⁴

ენა სიბრძნეს-სიკრუისა დამუშავებული, ყვეილოენი და მრავალმეტყველია. ალაგ-ალაგ ის მხატვრულიცაა. მაგალ: „ოდეს გათენდა და შავთა ღუჯსკრულთა ფარდაგი ცეცხლის აღისა მსგავსისა მზისა შუქით დაიხია. მისეღვარე მოციქული ხმელეთს გამოგზავნა“... (გვ. 24).

4. ქილილა და დამანა.

ქილილა და დამანა, ეს ძვირფასი მარგალიტი მსოფლიო ლიტერატურისა, წარმოადგენს კრებულს ივანე-არაკებისა და შეიკავს კოდექსს ყოველდღიურ ცხოვრების მორალისას, უფრო კი მეფე-მმართველთათვის სავალდებულოსას თავდაპირველი სამშობლო მისი არის ინდოეთი, საიდანაც ის შეექვს საფონდში ქრისტეს შემდეგ გადმოუტანიათ სპარსეთში და ხოსრო ნუსირვანის დროს უთარგმნიათ ფალაურ ენაზე. ფალაური ენიდან იშავე შეექვს საუკუნეში ის.

¹) A. Цагарели. Книга мудрости и лжи, стр. 194, прим. 90

²) Benfey I. 113—118.

³) Max Müller-ის თარგმანი, Leipzig. 1844 IV. 154, № 8.

⁴) არსებობს აზრი, რომ საბაზე გავლენა მოუხდენია ლაფონტენს. რიველიც კი თითქმის ვეროპაში მოგზაურობის დროს გაუცნია (A. Xaxaიონი, Очерки, III. გვ. სამუხარბო). აქედან ეს შეცდომა ჩვენს შეგვეპარა ჩვენს „ქართლ ლიტერატურის ისტორიაში“ I. 172); მაგრამ ეს მართალი არაა: საბა ვეროპაში 1713—16 წლებში ვერ გადისდა ლაფონტენს. რომელიც 1611 წ. გარდაიცვალა. არც ლაფონტენის ივანე-არაკების გაელენას ვხვდები ჩვენ საბას ივანე-არაკებზე; თუ რაიმე ამის მსგავსი არი, იმდენად, რამდენად რომელიმე ერთსადაც გაელენას განიკლან.

უთარკმნიათ ძველს ასურულ ენასც. ხოლო მეორე საუკუნის ნახევარში არაბულ-სე. რის შემდეგ ფალაური ტექსტი დაკარგულა. არაბული თარგმანი საფუძვლად დაედვა ყველა. დღესდღეობით ცნობილს, ევრსიებს ამ თხზულებისას, რომელიც თითქმის ყველა ლიტერატურულ ენაზეა ცნობილი. კერძოდ ჩვენთვის-ხაყურადღებოა ამ თარგმანზე დამყარებული სპარსული ევრსია. რომელიც ცნობილია ანვარი სოჰაილის სახელით: ეს ევრსია, რომელიც მეთუთხმეტე საუკუნის გასულს გაჩნდა, ეყუთენის ჰუსეინ აღის დამიძღვნილია ამირა სპაილისადმი. რომელიც იყო ვეზირი ხორასნის სულტახის აბულ-ლაზი-ჰუსეინ ბაჰადურ-ხანისა (1470-1505).

ქილილა და დამანა | Kalilag, Kalilah და Damnaz, Dammak, Dammahakal | ატარებს სახელს ორი ტურსისას, რომელნიც გამოყენილნი არიან მოქმედ პირებად თხზულების პირველს ორ თავში. ეს თხზულება ქართულს ლიტერატურაშიაც გადმოსულა: მისი ისტორია ქართულს მწერლობაში საკმაოდ რთულია. როგორც ამ წიგნის შესავალში აღვნიშნეთ (გვ. 33-34). ქილილა და დამანა უთარკმნიათ გერკელეც XIL საუკუნეში, მაგრამ ეს თარგმანი დაკარგულა და ჩვენამდე არ შენახულა. ამას შემდეგ, როგორც გადმოცემულია ვახტანგის ანდერძში, ბატონს დაეთოს (1602 წ.), ბატონის თეიმურაზის მამას, კუსა და მორიელის აოკინდის უთარკმნა. მაგრამ მას არც ლექსი გამოელო და ზოგი სიტყვაც დაეკლო და არც გასრულება დასცალეობოდა. დაეთოს თარგმანი შემთხვევით ხელში ჩაეპარნია ვახტანგ მეფეს: მეო, განაგრძობს ის. ერთს სპარსსა, რომელსა მკორედ ქართული წიგნი და ენა ესწავლა. ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა იწყო. მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგი გამოილო და გასრულება მდო მეც ისპაანს წასლვა მომიხდა. ნაშასაღამე, სპარსელის მთარგმნელობას ადგილი ჰქონია დაახლოვებით 1710-1712 წლებში. ისპაანს რომ ჩაველი, მუნ ერთს სომებს უთხარ, რომ სპარსული ესწავლა. ნაკლების შესრულება, და მან შეასრულა: მაგრამ ლექსი, სიტყვა და განწყობა ბევრი დააკლდა. ამნაირად, დაეთო მეფის მიერ დაწყებული თარგმანი ქილილა და დამანასი განუგრძვია. ვახტანგის წინადადებით და ინიციატივით, ვილაც სპარსელს და დაუმთავრებია სომებს: სომისს მთარგმნელობას ადგილი ჰქონდა ისპაანში, 1712 წლის იენაიიდან 1714 წლის 10 მარტანდე (ამ ხნის განმელობაში იმყოფებოდა ვახტანგ ისპაანში). ეს კოლექტური თარგმანი სამი პირისა (დაეთოს, სპარსელის და სომისის) ჩვენამდინაც შენახულია: ის მოთავსებულია წერაკ-კითხვის საზოგად-

1) G. Bickel und Th. Bentze, Kalilag und Dammag. A'le syrische Uebersetzung des indischen Fürstenspiegels, Leipzig 1876.

2) S. de Sacy, Calila et Dimna ou Fables de Bidpaien Arabe, Paris 1816.

3) Duseley, Anvari Suhel-i orlights of Canopus; being the Persian version of the fables of Bidpai, by Husain Vaiz Kashifi; Hertford, 1831.

4) სპარსული. აღ. ხახანა შვილმა ამ ძველ თარგმნად მოძნა წერ-კობ. ხელნაწერში № 110 მოთავსებული ფრაგმენტი ქილილა და დამანასი (Грушинский отрывок. Калилы и Димна. Древности Восточныя III, отд. 1; Очерки III, 141-145). მაგრამ მისი სიახვესა არ გამოილოდა (Е. Такавишвили Описание I, стр. 345-346).

5) ქილილა და დამანა, ი. კუსინიას რედაქტორობით გამოცემული, გვ. 11

6) იქვე, გვ. 11

ღობის მუზეუმის ხელნაწერში № 3177, რომელიც გადაწერილია ნეთერანდელთა
 სახელმწიფოს დასახელებს, არა უგვიანეს ვახტანგის ქირმანიდან მობრუნებისა.

დავითს, როგორც ვახტანგი აღნიშნავს, უთარგმნია ქილილა და დამანა.
 „ესა და შორიელის“ არაკანდე; სანწუხაროდ არ ვიცით, სანამდის დაიყვანა ეს
 შრომა სპარსელმა და საიდან დაიწყო სომეხმა. ყოველს შემთხვევაში, ასე იყო
 თუ ისე, ვახტანგს ხელში აღმოაჩნდა მთელი თარგმანი ქილილა და დამანასი.
 რომელიც წარმოადგენს ანგარი სოქაილის რედაქციის გადმოქართვლებას.
 ვახტანგი გარზნობდა რომ ეს თარგმანი დღევანდელი იყო. მას არ აქმყოფილებ-
 ჯა არც დავით მეფის შრომა, არც სპარსელისა და სომხისა: დავით მეფის
 თარგმანში სპარსული დედნის ლექსები გამოჩნდებოდა იყო. მას მხოლოდ პრო-
 ზითი ნაწილი, მოთხრობა, ეთარგმნა. თან ამაშია ხოციერთი სიტყვები გამოე-
 წო: სპარსელმა ქართული გნა არ იცოდა კარგად, სომეხმა კიდევ არც სპარსუ-
 ლი იცოდა კარგად, არც ქართული. თან სპარსული დედნის ლექსები ლექ-
 სად კი არ უთარგმნიათ მათ, არამედ პროზით. ამ დროს ვახტანგი ისპანადან
 ქირმანს გადაიყვანეს (1714 წლის 10 მარტს): „რა მიველ მუნ“. ამბობს ის.
 „წიგნნი საგონი არ მახლდა და ცუდად ყოუნა სულისაჲ მაჲიანებლად ენახე
 და ხორცის საწუხაროდაც: სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის შექცევას გამოე-
 კიდეო.“ ეს „შექცევა“ გამოიხატებოდა იმაში, რომ მას აუღია სპარსული ტექს-
 ტი ქილილა და დამანასი და, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ამ თხზულებ-
 ლის მეორე წინასიტყვაობაშია დამოწმებული. „ხედმიწვენით სპარსული არ იყო-
 და“ (გვ. 2). შეუდარებია იმისთვის ქართული თარგმანი და შეუტანია შივ თა-
 ვისი შეაწორებანი. რედაქციული მუშაობა ვახტანგისა, რომლის გათვალისწი-
 ნება შესაძლებელია შემოდასახელებული ხელნაწერით. მშვენიერადაა გაწუქებუ-
 ლი ექ. თაყაიშვილის აღწერილობაში. * დავით მეფის თარგმანში ვახტანგს
 თავისი რედაქციული ხელი გაუტარებია არა ბოლომდე, ესე იგი — არა ესა და
 შორიელის არაკანდე, როგორც ე. თაყაიშვილი ამბობს. არამედ ქორის მიერ
 დათქვან შეწდევს არაკანდე: „იყო ერთი დავრიში“. * ამ სივრცეზე ის 1) ამატებს
 ხელნაწერში იმ სიტყვას, რომელიც დავითს გამოუტოვებია, ანა და შლის სპარ-
 სულთან შედარებით ხედმეტ ქართულ სიტყვას; 2) სცვლის ერთს სიტყვას მეო-
 რეთი. აგრეთვე შლის მთელს წინადადებას და მის მაგიერ სხვასა სწერს;
 3) სპარსული დედნის ლექსებს, რომელნიც დავითს არ უთარგმნია, ვახტანგი სთარ-
 გმნის. მაგრამ არა ლექსით, არამედ პროზით, და ათავსებს მათ ან სტრიქონებს
 შორის. ან ხელნაწერის აშინაზე, რაც შეეხება სპარსელისა და სომხის თარგმანს.
 აქ ცალკე სიტყვები და წინადადებანი ვახტანგს არ უსწორებია. მხოლოდ შეხე-
 პია ის სპარსული დედნის ლექსებს, რომელნიც, როგორც ვთქვით, სპარსელსა
 და სომხს პროზით უთარგმნიათ. აი ეს ადგილები ვაულებსია და იქვე სტრი-
 კონებს შორის ან აშიებზე მიუწერია. რიცხვი ამ ლექსებისა, რომელთაც აშინა-
 ე თურმე მ (=მეთისა) ჰქონდა ნოწერილი. სამასამდე ახწევს. * ლექსაჯორ-სტი-
 ლისტურ ცვლილებათა შეტანისას ვახტანგს მიზნადა ჰქონდა ქილილა და

1) ქილილა და დამანა, ი. თაყაიშვილის რედაქტირებით გამოცემული, გვ. 11.
 * Ошкание, т. I, стр. 302-317.
 * ხელნაწერი № 3177, გვ. 1-45, დაბეჭდალ გამოცემაში გვ. 45.
 * ხოციერთი იმთავსი იმ. თაყაიშვილის Ошкание-ში, I გვ. 130-131.

დამანას ვადმოკემა „ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით“, ხოლო. რაც შეეხება ვალექსას. ის ამბობს: „ლექსი ლექსად გარდნოვსთქვი უკლებელად. რომელი ოთხმუხლი იყო, ანუ ორმუხლი, ანუ ერთმუხლი, ანუ ათმუხლი, მეტი თუ ნაკლები. და ამბავი ამბავად. მაგრამ სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმნება, ამბავად მოვა, და შე იმავე ამბეის ვალექსეა მოვიდრომე. დევება ლექსი არ მოგვეწონოსთ, გასინჯეთ, რომ სხვის კაცისაგან ნათქვამს ამბავს. მეორე ისრე ველარ იტყვის“. (გვ. 13)¹

ასეთია ხასიათი და მოცულობა ვახტანგის რედაქციული მუშაობისა, რომელიც წარმოდგენილია წერა-კითხვის ხელნაწერში № 3177.

მის მიერ შესწორებული და გადათვალთვრებული რედაქცია ქილია და დამანას ვახტანგ მეფემ გამოუგზავნა ქართლში საბა-სულხან ორბელიანს და სთხოვა: „ეს ჩემი ქირნახელი გაჩაღებ გემოანად და სადაც ლექსები ჩართული იყოს, ეგრევე ქართულად ლექსები ჩაურთიე“ ვახტანგი დარწმუნებულ იყო, რომ, ვინაიდან არც მან, არც მისმა თანამშრომლებმა, სპარსული ენა ჯეროვნად არ იცოდნენ, ამ შრომას დეფექტები ექნებოდა, და ამიტომ მიუძმართნა მას საბასაის. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დამოკიდებულება ან დროს მაინც და მაინც შეგობრული არ ყოფილა. საბამაც დაივიწყა თავისი ბეცრობა და მონახუნობა. რომელიც თითქოს უქაღალედა მას ამგვარ მუშაობას. და. თანხმად მეტის ბრძანებისა, ხელი მოჰკიდა დავალებულ საქმეს.

პოლოდრომდე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებული იყო აზრი, რომ ქილია და დამანას იმ რედაქციაში, რომელიც დღეს გამოცემულია ქართულად, პროზა ეკუთვნის ვახტანგს, ხოლო ლექსები საბას. მაგრამ ამ რამოდენიმე ხნის წინათ ე. თაყაიშვილმა წამოაყენა სულ სხვანაირი დებულება: მისი აზრით. ვახტანგმა საბას გამოუგზავნა გასაჩაღებად სწორედ ის შესწორებული ტექსტი, რომელიც გვაქვს წერა-კითხ. ხელნაწერში № 3177. ხოლო შედეგად საბას რედაქტორული მუშაობისა მას მიანიჭა დღეს გამოცემული ტექსტი: ამისდა მიხედვით. საბას, ამბობს ის, მეტი გაუყეთებია. ეიდრე დავალებული ჰქონდა: მას პროზას შეკეთებაზე არანაკლებ უწრომია. ეიდრე ლექსებისაზეო. მართლაც, პროცესი დაბეჭდილი ლექსის შედარებისა № 3177-ის ტექსტთან არწმუნებს თაყაიშვილს, რომ ეს ორი სხვადასხვა ტექსტია. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც სტილით. ისე მოცულობით. ჩანს, საბას, დაასვენის თაყაიშვილი. იმის მაგიერ: რომ შესწორებია ვახტანგის მიერ გამოგზავნილი შრომა. აულია და ხელახლა გადმოუთარგმნა. ქილია და დამანა თავიდან ბოლომდეო.²

ჯერ კიდევ ნ. შარვაშიაშვიტანა გაცკოით ეკვი ამ დებულების საფუძვლიანობაში.³ და ჩვენც გვგონია, რომ ის სიმართლეს არ შეეფერება, და არა რატომ:

¹) საკუთრივ ეს შენიშვნა უნდა ეკუთვნოდეს არა სარედაქციო მუშაობას ვახტანგისა, არამედ იმ ტექსტს. რომელიც საბოლოოდ გამოუგზავნა მან და რომლის შესახებ ვახტანგის ვაძაპრიაკი

²) Описание I, стр. 314—317.

³) Отъавъ о сочиненіи Е. С. Такайшвили: Описание рукописей Общества по распространению грамотности среди грузинъ, т. I (Оттискъ изъ „Сборника обществовъ преміяна и наградавъ за 1907 годъ“, стр. 202).

1) ვახტანგი საპასსხოვს მისი ქირნახელის გაჩაღებვას და მასში ნხოლოდ ლექსების ჩართვას: 2) მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ე ი ლ ი, ბიძაშვილი საბასი და მის ხელში გაზრდილი. პირდაპირ ამბობს თავის კ ა მ ნ ი კ შ ი: „სულხან-საბა ორბელიანმა ქილილა და დამანა გა ლ ე ქ ს ა, თუმცა რუსთველის ნათქვამი არ არის. მაგრამ ნაკლებად სათქმელიც არ არის. იმაში ბევრი ხნა მოყვანა. ანისათვის, რომ სპარსულში მრავალ სმად იყო, ხოლო რაოდენ სმადა და რაოდენ ს-ჰრიქონადაც იმაში იყო, ისე თქვა.“ 3) ნაეკეოა საბას სპარსული ენა რნდენად მეტად სკოდნოდეს, ვახტანგთან შედარებით, რომ პროზის გადმოღებისათვისაც მოეცილოს მას ხელი, მით უმეტეს, რომ თავისი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი ს წინასიტყვაობაში ის კატეგორიულად აცხადებს: „ქართლისაგან კიდე სხვა ენა არა ეიცოდით“ (11'—11'). 4) დაბეჭდილი ტექსტი ქილილა და დამანასი არაა ნოლიანად საბას შრომა; ეს ჩანს იქიდან, რომ ამ ტექსტში ჩვენ გვაქვს ვახტანგის ან დე რ ძ ი (გვ. 11—13) და 19-მდე ლექსი მისი. ან უკეთ რომ ეთქვათ, 18-მდე. ვინაიდან სულ უკანასკნელი „მეფის ნაბრძანები შაირი“ (გვ. 586), შეიძლება ქილილა და დამანას არც კი ეკუთვნოდეს, იმას ჩვენ ეპოულობთ აგრეთვე ვახტანგის სხვა თხზულებაშიაც. სახელდობრ—„ტრფიალთაგან სატრფოს ჯარობაში“ რად მოუნდა საბას თავის შრომაში ვახტანგის ანდერძისა და ლექსების შეტანა? თან იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ეს ტექსტი თვითონ იწოდებებს საბას: „როგორათაუ მას, იგავის მკოდინარეს ორბელსა. წიგნსა შინა უთქვამსო“ (გვ. 68). ჯერ ერთი, საბა თავისთავს მოწმედ არ მოიყვანდა, და მეორე—თავისთავზე ის ასე. მესამე პირში, არ იტყოდა.

ჩვენ გგონია, რომ პროზა გამოცემული ტექსტისა უკველად ეკუთვნის ვახტანგს. ამ შემთხვევაში რითი უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ეს ტექსტი ასე თვალსაჩინოდ განსხვავდება ვახტანგის მიერ შესწორებული ტექსტისაგან, რომელიც ხელნაწერში № 3177 გვაქვს? ეს განსხვავება დიდია და უეჭველია. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ დაბეჭდილი ტექსტი საბას ეკუთვნის და არა ვახტანგს. ვინც ვახტანგის ლიტერატურულ მოღვაწეობას გაიცნობს, ერთს რამეს შენიშნავს: თათქმის ყველა მისი ნაწერები სამი სხვადასხვა რედაქციითაა შენახული და, რაც უფრო საყურადღებოა, სამივე ვახტანგის ნერა დაძულებული. ჯერ მას უთარგმნია თუ შეუთხსავს ესათვის ნაწარმოები. მერე ის საყუთარი ხელით გადაუკეთებია, დასასრულ ეს უკანასკნელიც გადაუშუშავებია. ასე რომ სამი რედაქციათა გვაქვს მისი შრომები (წერაკით № 171, 4500). ამას ჩვენ დავინახავთ ქვემოთ, ვახტანგის შრომების მიმოხილვისას. როდესაც მოყვანილი იქნება ნიმუშები იმისა, თუ როგორ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ეს სხვადასხვა რედაქციები. თუ ეს ასეა, რაღა საკვირველია, რომ ვახტანგი ამგვარადვე მოპყრობია ქილილა და დამანასაც. ჯერ მას შესწორებია დავით მეფის, სპარსელია და სომხის თარგმანი. მერე ეს შესწორებული რედაქცია გადაუკეთებია იმ სახით, რა სახითაც მას ჩვენ ვხვდებით და-

1) წერაკითის ხელნაწერი № 3177, გვ. 81, შედგ. ნ. 127 უმეტი, მ. 127 უმეტი და 127 უმეტი. გვ. 127.
 2) ნ. Т а к а й ш и н и ი, Описание II, стр. 104—110.
 3) იმ შესწორება გვაქვს ხელნაწ. № 3177.

ბეკელის ტექსტში. და ეს უკანასკნელი რედაქცია გაუგზავნია საბასიუის წიგნების ჩაბართავად.

როდის გაუგზავნა ვახტანგმა საბას თავისი შრომა გასაჩაღებავად ჩვენ ვიცით. რომ, როდესაც ვახტანგი ისპაანს წავიდა (1712 წლის 23 აპრილს, საბა მას თან ეახლა: ისპაანიდან ის ოქან გამობრუნდა 2 ნოემბერს და დეკემბრის ოცს ქართლს მოვიდა. ხოლო 1713 წლის 18 აგვისტოს ევროპაში ვაემგზავრა.¹ ცხადია, 1712 წლის დეკემბრის ოციდან 1713 წლის 18 აგვისტომდე ვახტანგი თავის შრომას ვერ დაასრულებდა და ვერც საბა მიიღებდა მას. მაშასადამე, ვახტანგს ის უნდა გამოეგზავნა საბასიუის მისი ევროპიდან მობრუნების შემდეგ (1716 წლის ივლისი). აშნაირად, ირკვევა, რომ საბას ქილილა და დამანა მიუღია და გაუჩაღხავს მისი ევროპიდან მობრუნებისა და ვახტანგის სპარსეთიდან ქართლში შემოსვლის შუა. ესე იგი 1716 წლის ივლისიდან 1719 წლამდე.

საბას შრომა მდგომარეობდა ახალი ლექსების ჩართვაში; ვახტანგის ლექსებიდან მას დაუტოვებია მხოლოდ 18 და ისიც რამდენადმე გადაკეთებული: თუმცა ამასთან ისიც შესაძლებელია, რომ რამოდენიმე უმნიშვნელო და არაარსებითი, სტილისტური, შესწორება მას პროზაშიაც მოეხდინოს. ეს საბოლოოდ გაჩაღებულ ტექსტი გადმოგვცემს ჩვენ ანვარი სოჰაილის რედაქციას, ის შეიცავს უკანასკნელის წინასიტყვაობას და 14 თავს ყველა მისი ლექსებითა და იგავარაკებით. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ვახტანგს, როგორც ქრისტიანს, ზოგიერთი ადგილებისა და აზრებისათვის ბიბლიურ-ქრისტიანული ელფერი მიუყვია; ამას არც თვითონ მალავს და ერთს ადგილას პირდაპირ ამბობს: „სადაც სჯულის წინააღმდეგ ჩანდა, ცოტა რამ ჩალი ვკარო“ (გვ. 74. შენიშვნა).

დაბეჭდილ ტექსტში, ანვარი სოჰაილის შესავლისა და ვახტანგის ანდერძის შუა. მოთავსებულია კიდევ ერთი წინასიტყვაობა, რომელშიაც გადმოცემულია, თუ რა პირობებში თარგმნა ვახტანგმა ქილილა და დამანა და როგორ გამოუგზავნა ის საბას გასაჩაღებავად. თან დართულია სანი იგავი: ვარდის, დელთინის და მეფის მძებარისა. გასაქირდავად იმ არანორმალური დამოკიდებულებისა, რომელიც „ჩუბიანი კაცების“ მეოხებით დამყარებულიყო ვახტანგისა და საბას შორის (გვ. 8-11). ამ ნაწილს ჩვენი მკვლევარი მიაწერს საბას, მაგრამ, ცხადია, ის საბას არ ეკუთვნის; მართლაც, საბაზე და ვახტანგზე აქ მეორე პირობითა ლაპარაკი. ვილაც სხვა გადმოგვცემს მათ შესახებ ცნობებს. თან, აქ ნათქვამია, რომ „ვახტანგმა ზედმიწევნითა სპარსული არ იცოდა“ და ამიტომ თავისი შრომა საბას გამოუგზავნა შესასწორებლად, თითქოს საბამ მეტად იცოდა ის; ამას საბა არ იტყობდა თავისთავზე, ვინაიდან, ჩვენ ზეერთად აღვნიშნეთ. ის პირდაპირ უარყოფს სპარსულის ან სხვა რომელიმე ვინც ცოდნას. მაშასადამე, საფიქრებელია, ეს ადგილი შემდეგი დროის ინტერპოლაციის ვახტანგისა და საბას შრომაში.

1831 წელს ვახტანგისა და საბას რედაქცია შეუმოკლებია თავიდან ნეოლოგ-ზად აშხარბეგის ბეგბუთა შვილს. რომელსაც ამასთანავე „ზოგიერთი ღრმამე-ტყველებითი ლექსნი დაბიურ ენაზე შეუცვლია“, რათა ეს საინტერესო თხზუ-ლება მდაბიოთათვისაც გასაგები ყოფილიყო.¹

ამნაირად ქილილა და დამანას ლიტერატურული ისტორია ქართლს ენა-ზე ასე გვეხატება:

1) ის ჯერ უთარგმნიათ მეთორმეტე საუკუნეში. მაგრამ ეს თარგმანი ჩე-ნამდე არ შენახულა;

2) კახეთის მეფე დავითს (†1602) უთარგმნია ის. ანჯარი სოჰაილის რე-დაქციით, კუსა და მორიელის არაჰმდე: დავითის თარგმანი. ვახტანგ მეფის ინიციატივით, გაუგზავნა ვინმე სპარსელს. ხოლო დაუმთავრებია სომეხს.

3) ქ. ქიზმანში ვახტანგ მეფეს ეს კოლექტური თარგმანი შეუღარბნია სპარსული ტექსტისათვის. შეუტანია შიგ ზოგიერთი შესწორებანი და შეუწკვია თავისი ლექსებით (წერ.-კითხ. ხელნაწერი № 3177); ეს შესწორებული რედაქ-ცია მას ხელმეორედ გადაუკეთებია და

4) ეს უკანასკნელი რედაქცია გაუგზავნია ქართლში საბასთვის გასაჩაღ-ბავად, რომელსაც მართლაც გაუჩაღხა ეს ის 1716-1719 წლებში: ეს გაჩაღხული რედაქცია, რომელშიაც პროზა ვახტანგისაა, ხოლო ლექსები საბასი, გამოცემულია ტფილისში 1886 წელს. ის დამყარებულია ანჯარი სოჰაილის ვერსიაზე.

5) ვახტანგისა და საბას რედაქცია 1839 წელს შეუმოკლებია ვილად მე-ლიგზად ბებუთაშვილს.

✓

5. ბახთიარ-ნამე

ბახთიარ-ნამე. რომელსაც საუუქვლად დადებია ევრეთჟოვლები სინდბადი, შეიცავს აზბაეს აჯამის მეფის ახდაბახის. რაჟი. ახაღბახის შვილის და მისი აღმზრდელის ბახთიარისას. შინაარსი მისი მოკლედ ასეთია: „აჯამის ქვეყანასა იყო ხელმწიფე ახდაბახი. ტახტისა და გვირგვინისა პატრო-ნი და ხელმწიფობისა შესაფერი, და ჰყვა ვეზირი კარგი და ქაბუქობისა სახე-ლის მძებნელი და მის თემთა შინა გამოჩენილი, რომე ესრეთ იტყვიან: მისი ხმლისა შიშითა მზეც აღარ გამოჩნდის, თუ იგი გასწყურისო. ჰყვა და უყვარდა ხელმწიფესა და დიდთა და მცირეთა ზედან უუროსად დადგინებული [იყო] და ჰქონდა სპასალარობა და საივლად ერქვა მოაბარ. ჰყვა მას ასოლი ერთი. ქება არეისგან ითქმის ანისგან კიდე“. ერთხელ ეს ქალი მამამ გაიწვია შორეულ ქე-ყანაში, სადაც ის საწსახურის გამო იმყოფებოდა: გზაზე ქალი შეტედა ნეთეს. რომელიც ნადირობად გამოსულიყო. მოეწონა მას და ცოლად გაჰყვა. წერილ-ტოფილმა მამამ მოახერხა მეუფე ტახტიდან ჩამოეგდო და გაეცხეებია საწმომლო-

¹) E. Такайшвили, Описание. I. стр. 136-138, 201-206.

დან. ტირანის მეფის დახმარებით აზღაბდებოდა ტახტი დაიბრუნა, მაგრამ სამაგიეროდ დაკარგა ბავში. რომელიც ამ დროს დაებადა და რომელიც ავაზაკება ჩაუვარდა ხელში. ბავში იშვილა ვინმე ფარ-ხოსროვმა, მაგრამ ხელმეორედ ჩაუვარდა ავაზაკებს ხელში, რომელთაც ის მიჰკვარეს აზღაბდეს; ავაზაკთა უფროსს. რომელმაც ბავში მეფეს მიუყვანა, უკანასკნელმა უწოდა სახელი ბახთიარი და მისცა ამილახობა. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფემ მას დასწამა ლალატი და სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ სასჯელი სისრულეში არ მოჰყავდა ათი ვეზირის საქმეში ჩარევისა და წათი არაკების გამო.

- აი ეს არაკები:
1. უბელურის ვაჟის თავგადასაქალი.
 2. ჰალაბის ხელმწიფის შვილისა.
 3. აბუსფარის ფიქრის მოხდენისა.
 4. იამანეთის ხელმწიფისა.
 5. ქადარის ქალისა.
 6. ქალის გახრწნისა.
 7. თვალის გამსყიდველისა.
 8. აბუ-თამამისა.
 9. ჰჯახ ხელმწიფისა.

ბოლო ამ მეცხრე არაკისა და მთელად შეათე დაკარგულია იმ ერთად-ერთად ხელნაწერში, რომელშიაც შენახულა ეს ზღაპარი: ' თავდება ის შემდეგი სიტყვებით: „მათვის ის დღე იყო, რომე იაკობ იოსებს შეეყარა. ბახთიარ დედას ჰოხსენა: რა შეგოდებ ეგეთი. რომე შვილის სისხლში ერეოდი და მე მამაყიანი? დედა მღვლად ატირდა და ჰოხსენა: მე რა მერგების შვილი, ვეღირთა ვიყვეს. ხელმწიფემან შეგოდების წილ ტახტი და ხელმწიფობა ბახთიარს დაულოლა და თვით და ცოლი მისი ერთსა უალსა მთაში წავიდენ, ღმერთსა მადლოზდენ; ბახთიარ ხელმწიფობდა, მამისა ვეზირთა ათთაეფს თაეი მოჰყვეთა, ვეზირობა ფარ-ხოსროეს მისცა. მთიი ქვევა და სამართალი ქვეყანაზედ გაისმა.“

ამბავს თავში შემდეგი წინასიტყვაობა აქვს წამძღვანებული: „ესე წიგნი პირველად მეფეთა ამბავი ბრძენთა ამისთვის უთქვამთ ესე ათნი არაკნი და ფილოსოფოსნიც ემოწმებიან წათგან თქმულს ყურის მოწყობასა და ამას იტყვიან: თუცა კაცსა ამო საუბარი უყვარს. ავისა და კარგისა მეცნიერი შეიქმნების. საქმესა არ ჩქარებდის. გულსა დასდებს და სინჯვასა დაუწყებს, მას ავი არ წაეკიდების.“

ბახთიარ-ნამე, სხვანაირად, ათვეზირიანი, შედგენილია დაახლოვებით მესამეტე საუკუნის დამდეგს. ქართული თარგმანის /შესახებ ხელნაწერში ჩვენ ვკითხვლობთ: „ქარი პირველი აჯამის ხელმწიფისა, სპარსულისაგან ქართულად გადმოთარგმნული ბრძანებითა საქართველოს გამგის ბატონიშვილის ვახტანგისითა“. მაშასადამე, თხზულება გადმოთარგმნილია სპარსული ენი-

1) პეტროგრადის საჯარო წიგნთსაცავის (Император. Библиотека) № 27, ფურ. 1-10-11; ჩვენ ვსარგებლობთ პროფ. ა. კ. შანიძის აღწერილობით.

2) წიგნ. А. Хаканов г. Очерки III, стр. 181.

3) H. E. The, Neupersische Literatur. S. 32; (Grundriss... II)

დან, ვახტანგის ბრძანებით, მაშინ, როდესაც უკანასკნელი საქართველოს გამგებდ რთულბოდა, ესე იგი 1703-1711 წლებში. ენაა გადმომთარგმნელი, არა ჩანს.



6. ესოპეს იგაე-არაკები.

ქართულ ენაზე ნათარგმნი ყოველა გაშოწენილი ესოპეს იგაე-არაკებიც, რომელსაც, როგორც ცნობილია, დიდი გავლენა მოუხდენია მწერლობის ამ დარგში საზოგადოდ. საყურადღებოა, რომ დღესდღეობით ცნობილი ნუსხები, შეიცავს ერთსადიმავე ტიპს, რომელშიაც ჩვენ გვაქვს ვრცელი ბიოგრაფია ესოპესი შემდეგი სათაურით: „ცხოვრებანი გონება მახვილისა ესოპესნი“- და მხოლოდ ორმოცი იგაე-არაკი. ორმოცზე მეტი არ უთარგმნიათ. აი სია ამ იგაე-არაკებისა:

- | | |
|---|--|
| 1. იგაეი მელისა და ჩიგუისა. | 21. ცხენისა და ჯორისა. |
| 2. მელისა. | 22. მპარაეისა და მამლისა. |
| 3. ლორისა და ძაღლისა. | 23. მოგზაურთა კაცთა. |
| 4. ბერიკაცისა და სიკუდილისა. | 24. მონათა და მზარეულისა. |
| 5. ჯორისა და მელისა. | 25. მსოულოიოსა კაცისა და ძეთა მისთა. |
| 6. ფრინველის მკირველის კაცისა და გველისა. | 26. პატრონისა და ძაღლისა. |
| 7. ძაღლისა და მზარეულისა. | 27. მელისა. |
| 8. დედაკაცისა და ქათმისა. | 28. ერმისა, დიოისა და მელისა და აქლინისა. |
| 9. ოქროს კერეკის მღებულის ქათმისა. | 29. მელისა და წეროისა. |
| 10. კაცისა და თაგუისა. | 30. კაცისა მეთევზეურისა. |
| 11. მელისა და მაიმუნისა. | 31. მელისა და დედაკაცისა. |
| 12. კუსა და ორბისა. | 32. ძაღლისა. |
| 13. კაცისა მისთეს. რომელმან იყიდა შავი არაბი. | 33. კაცისა მისთეს. ლუსკუმის, ესე იგი არს კერპის შემმუსრველისა. |
| 14. ქათმისა და მერცხლისა. | 34. დედაკაცისა და მისთა მხეველთა. |
| 15. ლომისა. ჯორისა და მელისა. | 35. კაცისა ტყუილისმოქმედისა. |
| 16. ლომისა და დათუისა. | 36. კაცისა ბოროტისყოფელისა. |
| 17. ყორნისა. | 37. ყრმისა და დედისა მისისა. |
| 18. ქელისა და ლომისა. | 38. მელისა და კუისა. |
| 19. დედაკაცისა და მჭურნალისა. | 39. კაცისა და ძაღლისა. |
| 20. ეტლისა და კუისა. | 40. მერკვირისა გინა ერმისა და ღეროისა. |

ჯერ მოყვანილია ხოლმე იგაეი და მერე მას მისდევს მისი თარგმანი. ესე იგი ახსნა-განმარტება. ენა თარგმანისა არის მეტად მარტივი, ლიტონი და მღვილად გასაგები, ამავე დროს სასტიკად ეკლესიური. ქართული ტექსტი გად-

1) შტრაუტოვის ხელნაწერები №18, 21, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40.

მოღებული უნდა იყოს პირდაპირ ბერძნულიდან, რომელსაც ის თითქმის სიტყვა-სიტყვითაა შისდევს: ეს ჩანს ესაუბეს ბიოგრაფიის შემდგენი ადგილიდან: ხოლო ესაუბე მიეკუთვნება ერთიანად რომლისაზე საფლავის წიმართ და იხილა ხედანწერილი ბერძულისა ენითა ესრეთ: წ. ბ. ლ. მ. ხ. მ. რომელსა ქართულითა ენითა აწ გამოეთარგმნით ასოთა ამით." ¹

როდისაა თხზულება გადმოთარგმნილი ქართულად? ერთიროს ნუსხას იკავებებისა შემდგენი შენიშვნა აქვს დართული: „დასასრული ესაუბეს იკავებებისა ქორონიკონსა უ 6 8. თვე[ესა] ლეკონისთვესა] ი 8.“ ეს უნდა იყოს თარიღი კრებულის კრებულის და არა გადმოთარგმნის: მაშასადამე. თუ ეს ნუსხა გადაწერილია ქორონიკონსა უ 6 8-ით. ესე იგი 1765 წელს, ნათარგმნი ის უფრო ადრე უნდა იყოს. რაც მისი ენითა მტკიცდება. სოველ შემთხვევაში. ხელნაწერის № 2409 წერ.-კითხვისა ძველი ფურცლები (იმაში ალაგალაგ ახალი. მეცხრამეტე საუკუნის დამდგენის. დაწერილი ფურცლებია ჩამატებული) გადაწერილი უნდა იყოს არაუგვიანეს მეთვრამეტე საუკუნის პირველი ნახევრისა. დაახლოებებით აქვე დროს შეიძლება მიუწეროს კრებულის გადმოთარგმნა: ენ გადმოთარგმნა ის, არ ეციოთ.”

ს

7. თიმსარიანი

თიმსარიანი არის ის თხზულება. რომელსაც სხვა ლიტერატურაში ეწოდება სინდბადიანი სინტაქსი და რომელიც შეიცავს შეიღის ბრძენი ვეზირის იკავარაყებს: ქაზფლო-სახელწოდება წარმოდგა სპარსული თიმსარიანი. უფრო სწორად, თიმსალიანი ან, რაც იკავს, არაკს და ამავეს ნიშნავს. ან იკავარაყების სამშობლოდ ინდოეთი ითვლება. აქედან მომდინარეობს ფალაღ-რი თარგმანი, ხოლო ფალაღრიდან არაბული და სპარსული. არაბული თარგმანიდან მომდინარეობს ებრაული, ესპანური და ასურული, ასურულიდან კი ბერძნული და, შესაძლოა, სომხური. ამნაირად, ეს ნეტად პოპულარული თხზულება ჯოფილა. რომელიც შეუქმნეველი ქართველებსაც ვერ დარჩებოდათ, ანტიკომ საკვირველი არაა. თუ ჩვენ მისი ქართული თარგმანიც მოგვეპოვება.”

ინდოეთის მეფეს თაყვარმანს ბრძენს. სვიანს და დიდებულს. დიდი ხნის ჯლოცის. კრებულთა ღერის და ქველმოქმედების შემდეგ, მიეცა ვაჟი, რომელ-

¹ წერა-კითხ. ხელნაწ. № 130, გვ. 51.

² წერა-კითხ. ხელნაწ. № 1530, გვ. 121.

³ „სინტაქსი-იკავარაყის თილოსოფიისანი, თარგმნილი და გამოკვნილი ქორონიკონსა უ 6 8-ითა სინდბადიანი სინტაქსი“ რომელიც დაბეჭდილია ვენეციაში, შენობისათვის ს. ა. ბანი 1859 წ.

⁴ С. Олденбургъ, О персидской прозаической версии „Книга Синдбада“ (Сборникъ статей учениковъ профессора барона В. Р. Розена. 1897 г. стр. 254)

⁵ გამოკვნილია ის, არსებული ხელნაწერების მიხედვით, ე. წ. ყავარაყისილია მკურთხეული თიმსარიანი, ჟიჟილი 1903 წ.

საკ ვარსკვლავთმრიცხველებმა უწინასწარმეტყველეს ჯიშქედისაზღვრად და დღე-გრძელობდა. მაგრამ ამასთანავე დიდი განსაკუთრებული აღსაზრდელად ის მეფემ მიაბარა ევხირებს, რომელთაც ვერაფერი ვერ შეასწინეს მას; ამას შემდეგ ევხირების რჩევით, მეფემ ის მიაბარა ერთს ბრძენს აქიმს სუბატეს, რომელმაც მას შეასწავლა ყოველგვარი მეცნიერება. სწავლის დამთავრების შემდეგ სუბატემ დააპირა ბატონიშვილი მამასთან წაეყვანა, მაგრამ საეტლოში ჩაიქცა ის დაარწმუნა, რომ შვიდი დღის განმავლობაში მისი სიცოცხლე ბუნებრივად დამოკიდებული, ამიტომ ის მარტო გაისტუმრა მამასთან და უთხრა: შვიდი დღე შენჯავდ იყავი და ხმა არ ამოიღო, თვითონ კი გადაინიჭა საღვაც. მამას ვაუხარდა შვილის ნახვა, მაგრამ გაოცებული დარჩა. როდესაც დარწმუნდა, რომ ის თითქოს დამუხრებულა; ევრაეინ ვერ აუხანა მას მიხეზი ამ სამწუხარო მოვლენისა. მაშინ ძიძამ უთხრა მეფეს, რომ მას შეუძლია გაიგოს ანა მიხეზი, და ბატონიშვილი თავის სასახლეში წაიყვანა. ძიძამ, მოკვდომებულმა მისი სიღამა-ზითა და მშვენიერებით, აჩიყობა დაუწყო მას და დაპიროდა, თუ ჩემი გულიწადილს შეასრულებ, მამაშენს მოეწამლავ და ტახტი შენ დავრჩედაო. ბატონიშვილმა უარყო ეს საზიზღარი წინადადება და უთხრა ძიძას: თუ ცოცხალი დავრჩი, შვიდი დღის შემდეგ გავცემ პასუხსაო. ძიძამ თავის გადასარჩენად შვილი მამასთან დააბეჭდა: გაუპატიურება მომინდომდა და შენი მოკლეის წინადადება მომცაო, ამიტომ მეფემ შვილი ჯალათებს ვადასცა მოსაკლავად. მეფეს ჰყავდა შვიდი ევხიო, რომელთაც, გაიგეს რა ეს საწინელი ამბავი, გადასწყვიტეს ბატონიშვილი როგორც სიკვდილისაგან ეხსნათ: ისინი, მორიგებობით, თითო-თითო ყოველდღე, შედიან ხელმწიფესთან და ეუბნებიან მას თიმსარებს ანუ არაკებს. რომელთა მიზანია დაარწმუნონ მეფე სულგრძელობის საქმობასა და ძიძას ევრაგობაში და შევანებინონ მას, რომ „ქეყანაზედ ათი წილი ნდობა არის, ერთი წილი კაცსა აქვს და ცხრა წილი დედაკაცს“ (გვ. 88). ევხირების გავლენით ხელმწიფე აჩერებს შვილის სიკვდილით დასჯას, მაგრამ თითოეული ევხირის შემდეგ შემოდის ბოროტი ძიძა და საპასუხო თიმსარით ასუსტებს ევხირთა ნალაპარაკების მთაბედილებას, ხელახლა არწმუნებს მეფეს შვილის დაწაფულობაში და აჩქარებს მისი სასჯელის, სისრულეში მოყვანას. ამნაირად გადის შვიდი დღე, ბატონიშვილი ხვას ამოიღებს, სუბატეც გამორნდება და სინანდელით გამოძვლავნდება: ძიძა დაიხვება, ევხირები და სუბატეც დაჯილდოებული იქნებიან. ხოლო ბატონიშვილი ტახტს მიიღებს.

ასეთია ქარგი ამ თხზულებისა. რომელშიაც მთავარ ინტერესს თიმსარები ან იგავარაკები წარმოადგენს. რიტყვი ამ თიმსარებისა ქართულს თარგმანში 32-ია, რომელთაგან ერთი, „ოფოფი და განდეგილი“, არსებულს ხელნაწერებს აკლია.¹ პირველი სამი თიმსარი, რომელთა მიზანია შეიგნოს მეფემ, რატომ

¹) რასაკვირველია, ზეც მხედველობაში არ ვაღწეოთ იმ 11 არას, რომელთაც შეგონებას დავით ოქტოვს და შეუტყობს ქვეროსი აღსაზრდელის წიგნისა კარგი ხელნაწერში შ. ა. ცობინსკი. Гривинского.

²) ა) შალა, ბ) იმ-ის და ოფოფი. გ) ცილობა ევროსოსაზე მადლისა, მადლისა და სპილენძისა ქარგიის ხელმწიფე და სესილოც.

ავეყენ სუზბატს თავჯედ მისი წვილის აღზრდას, რატომ ჰკისრულობს ის ამას ღა რატომ ვერ მიაღწია მან სასურველ შედეგს ამ საქმეში თავდაპირველად, აგრეთვე უკანასკნელი ორი.¹⁾ ეკუთვნის სუზბატს. მეთხე თიმსარი²⁾ ეკუთვნის უფროსს ვეზირს და მისი მიზანია დაიყაბულოს სხვა ვეზირები, რათა ისინი წავიდნენ მეფესთან და სხოჯონ მას შვილის შებრალება. მეხუთე თიმსარიდან იწყება უკვე ვეზირებისა და ძიძის შეჯიბრება მეყეს წინაშე: პირველს სამს ვეზირს უთქვამა ორორი თიმსარი. მეოთხეს—სამი. მეხუთესა და მეექვსეს—თიხოთითო. მეშვიდეს—ორი, ასე რომ ვეზირებს ეკუთვნის 13 თიმსარი, ძიძას—შვიდი.³⁾ რომელთაგან ექვსი ვეზირების სავასუხოა (7, 10, 13, 17, 19, 21), ხოლო მეშვიდე (30) მისთვის განმზადებული სასჯელის შესათასებელი. ექვსი არაკი (24--29) ეკუთვნის მეფის შვილს.

ქართული თიმსარიანი არის ერთერთი წარმომადგენელი სინდბადის ვერსიების აღმოსავლური ჯგუფისა და შეიცავს ეგრეთწოდებულს „დიდ სინდბადს“. რომელიც ნომინარტობს მეთორმეტე საუკუნის სპარსული პროზიითი ვერსიიდან.⁴⁾ ეს შემდეგიდანა ჩანს: 1) ქართულს თარგმანში ჩვენ გვაქვს „დიდი სინდბადის“ თითქმის ყველა დამახასიათებელი თიმსარები: მართალია, ერთი თიმსარი „დიდი სინდბადისა“ (ინანი სულ 33-ია)—„მოზიხლარი კაცი ღა ჰურები“. ქართულში არ არის, მაგრამ ეს განსხვავება შეიძლება შემთხვევითი ხასიათისა იყოს. 2) წესი და თანმიმდევრობა ქართული თიმსარებისა უფრო ღდგება სპარსული „დიდი სინდბადისას“. ვიდრე სხვა რომელიმე რედაქციისას:⁵⁾ მართალია, თიმსარები ზოგჯერ სხვანაირად არის განაწილებული მოლაპარაკეთა შორის, ვიდრე სპარსულში (უკანასკნელში ყველა ვეზირი ორორი თიმსარს აზობს, ქართულში კი, როგორც ვთქვით, ეს წესი სამს შემთხვევაში დარღვეულია), მაგრამ ეს, როგორც სამართლიანად შენიშნავს ე. თაყაი შვილი (თიმსარიანი, გვ. III), შეიძლება ცუდად დაწეოილი ხელნაწერების მიზეზიც იყოს; თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ასეთი იყო ის სპარსული დედანი, დღეს უკვე დაკარგული, რომლიდანაც გადმოთარგმნილია ქართული თიმსარიანი.⁶⁾

ეს უთარგმნია ქართულად ეს თხზულება?⁷⁾

¹⁾ „ქართული ახალგაზრდა“, „ოცოთი ღა განდევილი“, გვ. 31—32.

²⁾ „მომღნო, ეხვარი და საილოეია“.

³⁾ ერთი თიმსარი ამის — „თათლის წყითი“ (გვ. 36—38) გადაუყვებია ლექსად სომხის მწერალს ოვანეს ტუმანიანს და ქართულად უთარგმნია ი. გრიშაშვილს (ქაქავაძის თხზ. № 1—2, გვ. 174—175).

⁴⁾ С. Ольденбург. О персидской прозаической версии книги Синдбада, стр. 264.

⁵⁾ А. Хакановъ. Очерки III, 120—121. Е. Такайшвили. Описание I, 330—340.

⁶⁾ С. Ольденбург. loc. cit. стр. 271 нум.

⁷⁾ ჩვენ მხედველობაზე გვაქვს თიმსარიანი და არა ეგრეთწოდებული შვიდ ვეზირიანი, რომელიც უთარგმნია სომხურიდან მ. სხატელაოვს (ორჯერაა გამოცემული: 1881 და 1922 წ.) და რომელიც წამდელი სინდბადისაგან სხვადასხვადასა დაშორებული. ქარგი ზღაპრისა, ადგილისა და საელთარ საელთა მეკუთით, საგოთოდ იგივეა, რაც თიმსარიანში, ხოლო დიკავარაკები უმეტეს შემთხვევაში სხვა: თიმსარიანის არაკებიდან ამაში ჩვენ

თხზულებას თავში ასეთი წარწერა აქვს: „სპარსულისაგან თარგმნილი ქართულად ნეტარსენებულისა პატრონის მიერის თეიმურაზისაგან;“ რომელი თეიმურაზი იგულისხმება აქ: პირველი (+1663) თუ მეორე (+1761)? ჩვენ გვგონია, რომ მთარგმნელი მისი არ უნდა იყოს თეიმურაზ პირველი: 1) შეჩვიდმეტე საუკუნეში იგავ-არაკების კრებულებისათვის ჯერ კიდევ არ მიუქცივიათ საგანგებო ყურადღება, ასეთი კრებულები უფრო მეთვრამეტე საუკუნიდან შემოდის ჩვენში; 3) თეიმურაზ პირველის თხზულებათა კატალოგებში, არც მის ცხოვრებაში (არჩილიან ში) არსად ამისთანა თხზულება მოხსენებული არაა; 4) თეიმურაზ პირველი არ სწერდა იმისთანა ენით, როგორითაც დაწერილია ეს თხზულება: დავით რექტორი პირდაპირ ამბობს, რომ თიმსარანი „დიდად აეს ენაზედ იყო შეწყობილიო.“¹ მართლაც, ენასა და სტილს მისას ისეთი უსწორო-მასწორობა ეტყობა, რომ თეიმურაზ პირველს იმას ვერ მივაკუთვნებთ: ზოგიერთს შემთხვევაში წინადადება ისე ბნელადაა გადმოცემული, რომ ვერც მიხედვით. რა უნდა ეთქვა ავტორს, მაგალითად: „სე უსწოროყო და უამბანაგო მალალო ხელმწიფეო, ში შენისა მხეელისაგან ამად სიტყვა ბრძანებისა უწინ ზრახვად და კითხვად სიკვდილო აღვირჴიე დღმილისა ამა შენისა კიდევან. თქვენი ცეც უღბინობა და უნიშატოვ ჯდომისა ყურება რა არის?“ (გვ. 3): ასეთი ადგილები თხზულებაში მრავალია. ენის სიტლანჭე და უხეშობა ისეთს პოეტურს ადგილებშიაც კია საგრძნობელი როგორც შემდეგი აღწერილობა ვაეისა და ქალისა: „კაკის თვალით მას უკეთესი ყმაკაცი არ ინახოდა: ტანად გრძელსა საროსა გევანდა, თვალნი შავსა მელნის ტბას უგვანდა. წარბი გოზა გაწიდულს არყის მშვილდსა, პირი გაესილა და მთვარესა, ახლის შაეისა სუშპლისა თერი წვერი აშლოდა, უღვაში ლამაზად იისურად აშლოდა, ბაგე-კბილი ასეთი ტურთა ჰქონდა, რომ რა გააცივებდის, კბილისდაღმე ახლის სადაფისკან გამოღებულსა მარგალიტის თერი გამოჰრთა. და ბაგისაგან უსინჯოსა ბადახჩანისა ლალისა თერი გააცუდის და ყოველისთერიო სრული იყო.“ ასე ტურთა ქალი იყო, რომ იმ შეყვარებულებაზედ მეტობდა, თებრო, მნათობი იყო, ალვა ნაკეთი, შვილის სიწერილით გაწყვეტას ლამოდა, სინ-ზით თითქმის ეკდებოდა, თვალწარბი დახატული ჰქონდა, თმა კოკამდინ ჩასდიოდა, მნათობსა პირსა ზედა შავი ხალი ესრეთ გასწყობოდა, როგორც ქორჩილში ახალ პატარძალსა, თავით თეხამდინ სილაძაზით სრულ იყო, ყოველის სიკვებობით შემკობილი იყო, თეთრ-წითელნი ბაგენი კრთებოდის კბილისაგან, სურნელისა სული ყრჩოდის და ყოველივე სამშვონიარო ზნე შეენოდა“ (გვ. 68-69).

¹ „პოულობთ მეოთხეს (მაიშენი, ცხვარი და სხილოები, ვერა, შვიდვე ხორიანისა 17-18 გამ. 2), მეხუთეს (თუთიუში, მასპინძელი და უნამუსო კოლი, გვ. 42-47), მეთოთხმეტეს (კად-მალისი, ყმაწვილი და გველი, გვ. 26-30) და მეთოთხმეტეს (შეაბანოვ, მისი კოლი და მალი, გვ. 108-112), რომელიც კოტათი გადაკეთებულია, დაუბანე შემოკლებული ვაზისა შვიდვე ხორიანისა ჩვენ გვაქვს წერ-კითხ. ხელნაწერში აწ 2580 (14 საუკ), სადაც მს ასეთი სათაური აქვს: „თარგმანი ევისრის თუნჯიანუსის და კოლისა და შვალისა დიუგლიტანისა და შვიდ ფილოსოფთა;“ აქ მოახრობა მოკვანილია მესამე ვეხიზის არაკანდი, მოსენებულისა სახელები ვეხიზებისა: პანცოლია, ჩინთიულის, აკათან.

¹ ე. თაყაიშვილი, თიმსარანი, გვ. IV; Описание I, стр. 44.

ამაირად, თანხლება ნაღარგმნი უნდა იყოს მეფის თეიმურაზ მეორის და არა პიოველის მიერ. ქართული თარგმანი მომდინარეობს იმ სპარსული რედაქციიდან, რომელიც დაუქვეყნებია მეთორმეტე საუკუნეში სამარკანდის.

8. მელის წიგნი.

ასეთი სახელი ეწოდება სომხის მქადაგებლის ვარდანის იგავ-არაკთა ერთერთ კრებულს. ვარდან ატიკელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეთორმეტე საუკუნის გასულს და შეეამეტეს დამდეგს: თავისი ქადაგების გასაცხოველებლად ის მიჰმართავდა ხოლმე ესოპეტს კრებულსა და ფიზიოლოგიდან ამოღებულ იგავ-არაკებს. რომელთაც ამკობდა სულისმარგებელი სწავლითა და ზნეობრივი ნასიათის მოძღვრებით. ვარდანის პატივისმცემელთ შეუდგენიათ მისი იგავ-არაკების კრებული, რომელშიც შექმნდათ სხვების იგავ-არაკები; ანადა ვარდანის კრებულის მიხედვით შეუდგენიათ სხვა კრებულები, რომლებშიაც ვარდანის იგავ-არაკი შეუტანიათ. ასე რომ, რაც დრო გადიოდა, თანდათან იზრდებოდა რიცხვი ვარდანის ან ვარდანისებური კრებულებისა და ხდებოდა მათი დიფერენციაცია. ერთერთ გაერცელებულ გვარს ვარდანის კრებულისას შეაღვენს მელის წიგნი. რომელიც საბოლოოდ ჩანოყალიბებულა დაახლოებით მეჩვიდმეტე საუკუნის დამდეგს.¹

მელის წიგნი სომხურიდან უთარგმნიათ არაბულსა და ქართულს ენაზე. ქართული ტექსტი ამ წიგნისა აღმოაჩინა და გამოსცა ისტორიულ-ლიტერატურული შენიშვნებით ე. თაყაიშვილმა.² სომხურსა და არაბულს ენაზე ეს კრებული შესდგება 164 იგავ-არაკისაგან. ქართული თარგმანი კი შეიცავს მხოლოდ 158 იგავ-არაკს, უკანასკნელი ექვსი არაკი ქართულად არ ყოფილა ნათარგმნი. ქართული თარგმანი რომ სომხურიდან მომდინარეობს. შენდევრიდანა ჩანს: ის უფრო ანლოა სომხურ კრებულთან, ვიდრე არაბულთან: ქართულს თარგმანში არ მოიპოვება ის არაკები. რომელიც არის არაბულს ტექსტში, სომხურში კი არა, მაგალითად: ბრმა და წმიდანი, ავაზაკი და შეუდაბნოე, ალექსანდრე დიდი, არისქოველი და სულელი. ამავე დროს ქართულში არის ის არაკები, რომელიც მოიპოვება სომხურს ტექსტში და არ არის არაბულში. მაგალითად: მეფე და ღორი, ხოჯა და ჯადი, სამი ჩვენება ხელმწიფისა, რიგი არაკებისა ქართულში იგივეა, რაც სომხურში. გარდა ამისა ქართულს თარგმანში ჩვენა გვაქვს ისეთი დამახასიათებელი აზმენიზმები, როგორცაა: ნილოს=ნილოს, კურა=კო, ბუთის ქვა, ნისათი=სვინიდიისი და სხვ.

მიუხედავად ამისა, ქართულს ტექსტში ჩვენ ვამჩნევთ ზოგრამ ისეთს. რაც მას სომხურიდან განასხვავებს. პირველ ყოვლისა, როგორც უკვე ვთქვით, ქარ-

¹ H. Martens, *Сборники печати. Византия, материалы для истории средневековой армянской литературы*, ч. I. Издание, Петербургъ, 1890 г.

² მელის წიგნი ანუ იგავ-არაკების კრებული ვარდანისა, ტფილისი 1899 წ.

თელში არაა ექესი უანასკნელი არაკი სომხურისა; პირველი არაკი ქართულში
 ღურო მოკლეა და უფრო ანლოა ესოპეს არაკთან. ვიდრე სომხურთან. მეწვიდე
 არაკში კონსტანტინე მეთის მაგიერ იხსენიება კონსტანტინოპოლის მეფე: მერვე
 არაკში არაა აღნიშნული, რომ ტვირთს მარილი შეადგენდა. მეთოთხნეტე არაკში
 არ იმპარება ადგილის სახელი გალატა. მე-39 არაკის სახელია „მელა და მო-
 რიელი“ და არა „მელა და კიბო“: მე-50 არაკში კატა გამოუყვანილია ხელმწი-
 ჟის მესაწოლედ და არა მესანთლედ. მე-77 არაკში ლაკლაკზე სულაც არაა
 ლაპარაკი. არამედ მარტო გვირტზე. ესევე უნდა ითქვას მე-79 არაკის შესახებ-
 ზაც. მე-108 არაკში ვირის კუდის მაგიერ ლაპარაკია ვირის თავზე: მე-150 არაკ-
 ში ფრინველთ მეთედ ჩიტია მოხსენებული და არა ტოროლა. მე-111 არაკში
 სომხურსა და არაბულს კრებულში გადმოკონულია ღორების და მტრულების
 ანბავი. ქართულში კი სულელი მგლისა. ასევე განსხვავებანი ქართული ტექს-
 ტისა სომხურისაგან აიხსნება იმით, რომ ის სომხური ტექსტი, რომლიდანაც
 რთარგმნა ქართული კრებული. დღეს ცნობილ ტექსტთან შედარებით, განსხვა-
 ებულ რედაქციას წარმოადგენდა.¹

მთარგმნელს ზოგიერთი ადგილები სომხური ტექსტისა ჯერონად ვერ
 გაუგია და ამიტომ ან ბუნდოვანად გადმოუყვია ის. ან სულ გვერდი აუღლია
 მისთვის: საერთოდ ენა თარგმანისა მეთად მოიკოკლებს. სათიქრებელია. მისი
 მთარგმნელი სომეხი იყო. გადმოთარგმნილი უნდა იყოს მელის წიგნი.
 პეტერაიეტე საუკუნეში, არაუადრეს მისი მეორე ნასეგრისა, უფრო კი მის მი-
 წერულში. შესამჩნევი კვალი მას ვერ დაუტოვებია ჩვენს ლიტერატურაში.

h

9. აპოუთეგები.

განსაკუთრებულს დარგს დიდაქტურ-მორალური ნაწარმოებისას ქართულს
 ლიტერატურაში შეადგენს გირთწოდებული აპოუთეგები, რომელნიც წარ-
 მოადგენენ კრებულებს ბრძენთა და ცნობილ პირთა. უპირატესად საბერძნეთის
 ფილოსოფოსთა და ძველი აღმოსავლეთისა და საბერძნეთის მეფეთა. სენტენცია-
 კლორიზმებისას. ნატივსებ-ანეკდოტების და თქმულებებისას. ~~ალორძინებოზ ხა-~~
 მის მწიგნობარში ჩვენ გვაქვს რამდენიმე ასეთი კრებული:

¹) ვ. თაყაიშვილი, მელის წიგნი, გვ. 130.



A. ამირ-ნასარანი.

ამ სახელის გასაგებად უნდა მოვიყვანოთ დასაწყისი თხზულებისა: „აჲ-ხელმწიფე ქექაოზ და შვილი მისი ამირ-ნასარ. და შვილი ამირ-ნასარის ალექსანდრე. შვილი ალექსანდრესი ყაბოს. და შვილი ყაბოსი შაქირ. ამან შაქირ მიუბოძა ძესა თვსსა გილანშაობა და უბრძანა: შვილო, მე დაებერდი და დაუტუსურდი და ესცან განსლაჲ ჩემი ამიერ სოფლით, ვინაჲთვან ვინილე მკცობაჲ ჩემი. აჲ საქმნელია ჩემგან, რომ ასეთი მცნებები დაგილო, რომ ამისი დასწავლა შენც გმართებდეს. რომ ჩემს უკან იმას იქმოდე. და სანამდისინ ან შენ დაბერდებოდე ან მე მოკვლდებოდე, მანამდის კამს სწავლაჲ, თვარამ ჩემგან თქმა აღვილია. თუ შენ დაისწავლი“. მერე ამას მოჰყვება მოკლე თუ ვრცელი აფორიზმები. სენტენციები და დარიგებანი, როგორც მაგალითად: „შვილო, პირველი საქმე ეს არის, რომ უღვთისსახელოდ ნურას იქ და ყოველს საქმეს მისის წვედრებით იქმოდე“: „შვილო, ავი და კარგი სწრაფად ნურც გაიმება და ნურც გაუწყინება. სწრაფი საქმე ყრმათ წესია“: „შვილო, თუ არ გინდოდეს, რომ შენი ქართული გასტეხოს ვინმე, შენს ქართულს შენ ნუ გასტეხ“: „თუ პეერი მოვარე გინდოდეს, კაცისათვის ავი ნუ გინდა“ და სხვ. თხზულება შესდგება საერთოეტი თავისაგან:

1. ანდერძი შაქირისა ძისა თვსისა თანა. შეიკავს 78 სენტენცია-დარიგებას: აქ მოხსენებულია მაგალითები და შემთხვევანი სხვადასხვა პირთა ცხოვრებიდან. თუ მათი აფორიზმები, მაგალითად: ბოლრატ აქიმი, ავლა-თუნ აქიმი, ხაქაია აქიმი, ყორათ აქიმი, ალექსანდრე ხელმწიფე, ხვასრო. ტრანის ხელმწიფე, და მისი ვესირი ბოზორჯამირი. ნოესოჲ შაჰი. აზონრა-ნიდი, ანუშირვან ხელმწიფე. მახოს სულთანი და სხვ.

2. თქმა ხელმწიფეთ სამსახურისა.—შესდგება ცხრა სენტენციი-საგან, სადაც მოხსენებულია აბასი, ყაზი აბდულ-მელიქი, მამუ ხალიფა და სხვ. აქ სხვათა შორის. ვკითხულობთ: -ხელმწიფეთ სათვალო ყოველი ზნეობა ცოტოტა უნდა იცოდეს: წიგნი, შაირი, რამლი. კარგი ხმა უნდა ჰქონდეს. ხუნრობა ასეთი უნდა იცოდეს, რაცა სთქვას. მარილიანი იყოს: სახელმწიფო წიგნები უნდა იცოდეს, ცენოსნად ვარგ იყოს: ხელმწიფე ხალვათად რომ იჯლის და სხვათ გამრიგედ არ შეესლვებოდეს, გარიგება უნდა შეეძლოს და რჩევა: ბაზიერობა იცოდეს“.

3. მდივანთათვის: „შვილო, მდივანი ასე უნდა: ყოველი ენა იცოდეს. სიტყვა ხელმწიფის საკადრისი უნდა ჰქონდეს, ცოდნასრული იყოს. მეჯლიშის ოიგი უნდა იცოდეს“...

4. ვეზირთათვის, 5—სპასალართათვის, 6—სტუმართათვის, 7—სიყვარულისათვის, 8—საქონლის შემოგროვებისათვის, 9—აძნათის შენახვისათვის, 10—მეშურნეობისათვის, 11—სიკეთისათვის.¹

¹ წერა-კითხ. ხელნ. № 105, ფ. 23—24, № 1031, 85. 101—203. E. Такайшвили. Описание II. стр. 167—168, 144.

ამირ-ნასარიანი, როგორც მის სათაურში სწერია, „თქმულია სპარსთა ენისაგან ქართულად ბატონიშვილის განმგებელის ეახტანგისაგან“. მაშასადამე, 1703-1711 წლებში, თხზულება რომ სპარსულ ნიადაგზეა აღმოცენებული, ეს მისი შინაარსიდანაცა ჩანს, ეინაიდან უმეტესი ნაწილი მეფეთა და გეოგრაფიული სახელებისა, რომელნიც აქ მოხსენებულია, სპარსულია. სპარსულ ნაზე ეს თხზულება დაწერილი უნდა იყოს თითქოს მეთორმეტე საუკუნის სასულს; ეს ჩანს შემდეგი ადგილიდან: „შვილო, სამოცდასამი წელიწადი არის, მე ამ საქმით ვყოფილვარ, ქორონიკონი ახლა ხუთას სამოცდა თხუთმეტია, ახლა რომ ეს წიგნი მამიგონია და გამოთავებია, და, თუ ღმერთმან არ მომკლა, სანამდის ცოცხალ ვარ, იმავ რიგით ვიქნები; რაც ჩემი არ მომწონს, არცა რას შენსას მოვიწონებ. თუ ამისგან უკეთესს რასმე იწაფელი, კარგია, თვარამ ეს მაინც იცოდე, რაც მისწავლებია, რომ კარგად მოგიხდეს; თუ იქმ, ხომ კარგია, თუ არა, იყოს ეს ჩემი ქართულები, სხვა ვინც მოიგონება. მეც შენდობას მეტყაის“¹ ამ თხზულებაში ჩვენ უნდა გექონდეს, თუ უკუვლად არა, გადმოკეთებით მაინც, სპარსული ეთაჟურ პოლიტიკური თხზულება Qabus-name, რომელიც ეკუთვნის Kaikâus bin Iskânâer bin Qabus-ის კალამს, ქეჭაოზს დაუწერია თხზულება 475 წელს ჰიჯრისას, ესე იგი 1032 წელს ჩვენებურად. თავისი შვილის გილანშაჰის დასამოძღვრად და ჩაუდვია შიგ მთელი საუნჯე თავისი გამოცდილებისა და ცხოვრების კანონთა ცოდნისა.² აქ ჩამოთვლილი სახელები უნდა იყოს გადმოცემული, შეცვლილი სახით რასაკვირველია, ქართული თარგმანის დასაწყისში: „იყო ხელმწიფე ქეჭაოზ და შვილი მისი ამირ-ნასარ, და შვილი ამირ-ნასარისა აღექსანდრე. შვილი აღექსანდრესი ყაბოს, და შვილი ყაბოსი შაქირ. ამან შაქირ მიუბოძა ძესა თვსსა გილანშაოზა“. ქართული თარგმანის ქრონიკონი 557 (ჰიჯრისა), უეკველია, შეცთომია ან სპარსულ ნიადაგზე აღმოცენებული თარგმნისას, ან შემდეგ, თხზულების გადაწერისას.

Qabus-name სპარსულად ორი რედაქციით არსებობს: პროზით და ლექსით; ქართული ამირ-ნასარიანის ორი რედაქციით გვაქვს; გარდა პროზითი რედაქციისა, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაზარაკი, არსებობს ლექსითი რედაქციაც მისი. უკანაყენელი ეკუთვნის იმავე ეახტანგ მეფეს, რომელსაც გადმოუთარგმნია პროზითი რედაქცია მისი; მოსკოვში ყოფნისას მას გაუღეპსია პროზა და მოუცია ლექსითი რედაქცია, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: „წიგნი პირველი, ამირ-ნასარიანი, სპარსულითაგან ქართულად ნათარგმნი მეფეთ-მეფეს ეახტანგისაგან და ბოლოს მოსკოვს მეფისაგანვე გაღეკსული.“ ის იწყება შემდეგი შესავალით:

დავიარსენით არსისგან სანიეთო უნივეთელები,
სიუხვისაგან ვიზრდებით, არა აქეს გასაძიელები,

¹) წერა-კითხვის ხელნაწერი № 1634, გვ. 195-196.

²) H. Eth e, Neupersische Literatur, S. 317 (Grundriss.. II).

³) წერა-კითხ ხელნაწ. № 171, ფურ. 107-130, № 4500.

მაკვირვებს საგანგიონი, საცვიფრო მიუგნელები,
მკნობთა და არა მკნობელთა როკიკი უცდენელები.

გამონათქვამი ჩაიწვრთენე, ფილოსოფოსთა ბრძნობანი,
სულისა დამშვენებელი, კორცისა გასამკნობანი,
მოუქმარისი ბედისა საკლო საქმისა ნობანი,
დაუკადისა ყრმებისა ბრძმედულად გარჯადნობანი.

სიბრძნობებმა მიმიზიდა ამბავსა საამბელადო,
დამოყვრებული მწაღია იყვენით უგმობელადო,
შემზადე გამოსაზრდელი სულ არ უგბოლველადო,
თქმა უჭირდა სათქმელადა საჭირო სასმენელადო.

სამეთოს გლანისასა მეფეა მუნა მჯღომელი,
საწუთროსაგან წესია, დაბერდა მოუნდომელი,
შვილსა უბოძა ს.მეთო, გააგდო დაუდგომელი,
საანდერძონი უბრძანა, ქვემოზე ითემის რომელი.

ამის შემდეგ გალექსილია ყველა 11 თავი ამირ-ნასარიანისა, რომელიც თავდება ასე:

ჰამირ ნასარის ნათქვამი გათაედა გამოთქმელები,
ამბავად გარდაპოვიდე შკოკბებულად რგულები,
სეედისა მოსაქარებლად აწ ლექსად გასაგულები,
ჩამოგიჩივბათ სოუელში გაუკურნებლად წყლულები.

სინჯალიაგან მწი ივლევის შემქნა გაუპანია,
ბოლოეპ სხვანი მქოყა ერთმანეთს მონაბანია,
სულ დამიქცია ს მყოფი, სახლხო გასაბანია,
სამეთოს გარდაქცევითა მიბოძა ლექსობანია.

არვის დაინდობს სოუელი, მიუნდო დაუნდობელი,
მიმდეეთა გასაქიქელი, უდიეთა დასაგმობელი,
მყოფთა გიწა გლანაკთა რუეთა საჭიროს მკმობელი,
გულთა ააღლებულთა საბრალოდ დამამობელი.

ეს ლექსითი ვერსია მერე თვით ვახტანგს შეცვლია და მოუტია ახალი რად ქცია იისი, რომელიც შენახულია წერა-კითხვის ხელნაწერში № 4500, გვ. 213-236. ასე რომ ქართულად სამი ვერსია არსებობს ამირ-ნასარიანისა: პროზითი და ორი ლექსითი, სამივე მეფე ვახტანგს ეკუთვნის.

B. სიბრძნენი ფილოსოფოსთანი.

მეორე დარგი აპოფთეგმებისა, რომელსაც შეგვიძლია უწოდოთ „სიბრძნენი ფილოსოფოსთანი“, სამი კრებულითაა წარმოდგენილი.

1. პირველი ასეთი კრებული ნათარგმნი უნდა იყოს ბერძნული ენიდან; არაუგვიანეს მეთექვსმეტე საუკუნისა;¹ ის ორი ნაწილისაგან შესდგება.

პირველი ნაწილი, რომელსაც ეწოდება „სიბრძნისაგან ფილოსოფოსთასა“, იწყება ასე: „არა არს სიგრძე გამოთა ყოველთავე მსწავლელ სიბრძნისა, არამედ ბუნება და ზომით მიღებაა საზრდელისაჲ“, ხოლო თავდება: „სიყვარული ღმრთისა და საუკუნოვანა ცხოვრებისაჲ მოიგე სულისა და თავისა შენისათვის, თუა რა კორცთა ბუნებით აქუს“. ეს ნაწილი შეიცავს, 122 აფორიზმად, ყოველდღიური ცხოვრების მორალს; აი სანიმუშოდ ზოგიერთი მათგანი: „სწავლულებისა ძირნი მწარე არიან, ხოლო ნაყოფნი ტკბილი და შეფენიერა“; „მეჲუ იგი არს, რომელსა ძაღვდევას უფლებაჲ ენებათა ზედა, სულისა მანებელთა, და მძლე ექმნეს გულისთქმებათა“; „საწადელ იყუე სოჲველსა ამას შინა და ნუ საშინელ, რამეთუ რომლისაგან ყოველთა ეშინის, მას ყოველთაგანეჲ ეშინის“; „ტანჯე ღმობიერად სჯულდებითა მცთომი და ნუ გამოიჩენ სკვთებრსა და ბარბაროზებრსა რისხუასა და უწყალოებასა.“

მეორე ნაწილს ამ კრებულისას ეწოდება „სიბრძნისაგან პლატონ ფილოსოფოსისა“, ის შეიცავს 21 აფორიზმს; პირველი აფორიზმი ასეთია: „სიხარული ტანისა—სისწორე გულისა, და სიხარული ქუეყანისანი—მეფენი ქუეყანისანი, ნოქმედნი სიმართლისა და მშვიდობისანი“, ხოლო უკანასკნელი: „ცხენისა სიმაღლე სირბილსა შინა, ხოლო მოყურისა სიყვარულით ქირსა შინა გამოცხადნეს. მომეტებული ნაწილი აქაური აფორიზმებისა შეეხება მეფეთა თვისების ჩამოთვლას და შურთანობის ანალიზს. ვინ თარგმნა ეს კრებული, არ ვიცით.

II. მეორე კრებული,² რომელსაც ერთერთ ნუსხაში³ ეწოდება „აპოფთეგმატა, რომელ არს შემოკლებულთა რიტორებრიეთა და წესისა მასწავლელთა სიტყვებთა წიგნი“ და რომელშიაც „დადებულ არიან თვითელნი კითხვა—მიგებანი, ცხოვრება და ქცევა და იგავნი (რომელ არიან სახისმეტყველებანი) და მეტყველება სხვათადასხვათა ფილოსოფოსთა“, შესდგება სამი წიგნისაგან. პირველს ეწოდება „მოკლედ სიტყვისგება სოკრატისა და სხვათაჲ ფილოსოფოსთა“; აქ თავმოყრილია აფორიზმები და სენტენციები სოკრატისა, პლატონისა, არისტოტელისა, დიოლენისა, არისტოფანის, ზენონისა, ანაქსალორისა, ეპიკურისა, და სხვათა. მეორე წიგნს ეწოდება „მოკლედ გამოსახსნელი ამბავი პრომისა კეისრებისა და სხუათა მეფეთა, მთაერათა და მხედართმთავრობისა“; აქ მოყვანილია ანეკდოტები იელიანე კეისრის, ტიბერის, ტიტუს, ვესპასიანის, აერელიანის, ფილიპუს, ალექსანდრე მაკედონელის და სხვათა ცხოვრებიდან. მესამე წიგნში მოთავსებულია „ამბავნი ლაკედემონელთანი“.

¹) სიიველ. მუხეუმი № 153 გვ. 222 - 231; წერაკობ ხელნ. № 1536 გვ. 48 - 108.

²) წერაკობ ხელნ. № № 13, 2134, 3359, 3664, 4634 და სხვ.

³) წერაკობ. № 2434, ფ. 40

ეს მკვლევ. კრებული, როგორც მის სათაურშია აღნიშნული, თარგმნილია რუსულისაგან ქართულს ენაზედ ერასტი თურქისტანის შვილისაგან. მის რუსულისაგან წარმომდინარეობას ადასტურებს ამას გარდა ისეთი რუსიციზმები, როგორცაა სტრიაფჩი, სირია, ლეტრიცკის ოზონა და სხვ. მთარგმნელი ამ კრებულისა არ არის ის ერასტი თურქისტანის შვილი. რომლის შესახებ სიძველეთა მუზეუმის ხელნაწერში № 617 (უკანასკნელი ფურცელი) ვილკას მიუწერია, რომ ის იშვა წელსა ქრისტესითგან 1763, ქორონიკონსა შნდ (1766). თეესა იენისსა რიცხვსა 8. დღესა შაფათსა, და რომელიც ირაკლი მეორის მიერ გაგზავნილი იყო რუსეთს სწავლის მისაღებად: ის გაცილებით უფრო ადრინდელი მოღვაწეა, — ვახტანგის დროისა, თუ უფრო ადრინდელი არა; ეს იქიდანა ჩანს, რომ დასახელებული კრებული გაუღექსია ვახტანგ მეფეს: მაშასადამე, ერასტი თურქისტანის შვილს ის უთარგმნია მეთერამეტე საუკუნის პირველს მეოთხედში მაინც, როდესაც ზემოდასახელებული ერასტი დაბადებულ იქნა არ ყოფილა.

ვახტანგის ლექსითი რედაქციას შემდეგი სათაური აქვს: „მოკლედ სიტყვისგება სოგრატიისი, სწავლა პირველი, თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანის შვილისაგან და ლექსად ნაბძანები მეფეთ-მეფის ვახტანგისაგან, რომელსა ეწოდების სიბრძნე მალაღობელი“. ვახტანგის ამ შრომას თვით ვახტანგის დროს და მისი ხელით განუცდია რანდენიმე რედაქცია: ერთი რედაქცია ჩვენ გვაქვს წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერში № 171, გვ. 35-107, ხოლო მეორე ხელნაწერში №№ 1624 და 4500 (უთაოდ). პირველში მოყვანილია მარტო ლექსი, უკანასკნელებში — გერ პროზითი თარგმანი ერასტისა, მუხლობრივ, მერე ლექსი ვახტანგისა [ნაწილი მეორე რედაქციისა დაბეჭდილია ცისკარში 1853 წ. №№ 4, 6]. თავდაპირველი რედაქცია უნდა იყოს № 171, რომელიც სულერთიან აქულებულია ვახტანგის ხელით: მას წაუღლია და შეუცვლია არა მარტო სიტყვები და წინადადებანი, არამედ სტრიქონები და ტაქები, ჩაუმატებია ახალი ტაქები, ზოგი კიდევ პატარა ქალაქის ნაგლეჯზე დაუწერია და შიგ ჩაუწებებია: ეს შესწორებული რედაქცია გაუღაუწერიათ №№ 1624 და 4500-ში. უკანასკნელში ორი წიგნი ამ კრებულისა კიდევ შეუსწორებია და შეუესია ვახტანგს; ეს შესწორება-შეესება გამოიხატება მაშინ, რომ ამაზე მოუწერია ახალი რედაქცია ასეთივე ტაქითა. ამ რედაქციულ ცვლილებათა გასათვალისწინებლად მოიკიყვანთ რანდენიმე ადგილს; მაგალითად, შესავალი ასეა წარმოდგენილი:

№ 171.

№ 1624 = ცისკარი.

ტკბილ მოუბარსა რუსთველსა დაუფრ-
ქვევია მკობანი,
(ი)ბრძნის სწავლითა იგავნი, საცოლ-
ქმრო აშიკობანი,
გამოსაგებსა საძნელოდ მიბაძეს ცუდი
კობანი,

რუსთველსა ენაშაქარსა უქნია რისმე
მკობანი,
სიტკობო, სიბრძნე და იგავნი, ცოლქმარ-
თა აშიკობანი,
ბგერად საჩბრევი, ვერ მიხვდენ, მიბაძეს
ცუდი კობანი.

1) წერა-კითხ. ხელნ. № 171, გვ. 35-107.

ბაღთო ნაკადი სალიზურად დაგვი-
ტოვენით გამობანი.

საღმრთო წერილი საცრუოდ თქვეს და
დაგვივდეს გამობანი.

წწადად წიგნის გალექსვა ფილასო-
ფოსთა მადესა,
დაუქსავთ სასწავლებელნი, შესამო-
კლებლად მხადესა,
პასუხი უკონ ერომანეთს, სიტყვითა
დამაქადესა,
ქმობისთვის მომიგონებდეთ შენდო-
ბის ონამწადესა.

არ მწადადა წიგნის გალექსვა, ბრძენთა
მაწივიე, მადესა,
შევკრათ სწაელა სიბრძნისა, მოკლედ
სიტყვითა მხადესა,
პასუხი უკონ ერომანეთს სიტყვისა და-
მაქადესა,
უთხარით ლოცვა ძმობისთვის შეფეს,
შენდობის მწადესა.

დანამყეფუარი ბუღბული დაგადე
სირთა მდეველმან,
ცაცხვისა საჩრდილობელი ნაძოვანისა
მწვეველმან,
საკრეფი მოუკრეფელად სხვისაყენ და-
მძღველმან,
შეიტყოს შესატყუებლმან, ქაშნიკის
დამალეველმან.

ვარდზედ მკეფელი ბუღბული გაუშვი
ჩიტა მდეველმან,
ჩრდილი ცაცხვისა საამო მახის ძაფისა
მწვეველმან,
ვერა მოკერივე საკრეფი სხვასაყენ დამა-
ძღველმან,
მაგრამ შეატყოს შემტყობმან, ქაშნიკის
დამალეველმან.

პირველი აფორიზმი № 171-ში თავდაპირველად ასე ყოფილა: „პირს ქება
უკან ძრახობა გვარიანს გააცუდებსო“; მერე ამისთვის ვახტანგს ხაზი გადაუსვია
და ჩაუწერია: „გვარიანი არ იტყვის პირს ქებას, თუ უკან დაუძრახავსო“, ხო-
ლო № 1624 (=ციცკარი) ამას ასე კითხულობს: „არა შეენის გვარიანსა პირში
ქება, უკან ძრახი“. მეორე აფორიზმი:

1. პირად მიგაჩნდეს სხვა სხვისა განსაცდელი და პირები.
2. სხვის განსაცდელი სხვისათვის დიდი რამ საწუხარია.
3. მართებს სხვისა განსაცდელი სხვასაცა ჰქონდეს საწუხარად.

მეცხრე აფორიზმის რედაქციები ამნაირადაა წარმოდგენილი:

№ 171:

№ 1624=ციცკარი:

ბაქები ქალი ქმრისათვის სიკვდილსა
დაუჩირობსა,
უქები, გარდაიცვალოს, საგლოვებს
მონარილობსა,
ერთია ლხინი დიადი, სიხარუოს გაა-
დილობსა,
პირისა ტვირთსა მოძიმოდ მეორე
ანამკიდობსა.

კარგი ქალი თავის ქმრისთვის სიკვდილს
თავსა არ არიდებს,
აენი ქმრისა სიკვდილსედა არ გახევენ
არცა რიდეს,
ერთი არის სიხარული, ლხინსა მისცემს
კაცსა დიდებს,
ის მეორედ შექირეებად ქმარს სასჯელ-
სა სჯრცესა კვიდებს

სიწუნარისაგან სიმშვიდით ქალი თა-	მშვიდი, წუნარი და მორცხვედი ქალ
ვისა მცველია,	თავისა მცველია,
სახლისა აღმაგებელი, გვირგვინი	სახლისა მაშენებელი, გვირგვინი უეპვე-
უეპველია,	ლია,
შვილის დაცვითა მომელელი, სწავ-	შვილთა მომელელი, ქმრისაოვის შემწე
ლაზე მინაშველია,	და მინაშველია,
გულისა გამაპობელი, ენა გრძელი და	კაცს მოშლის, გულსა მოუკლავს ენა
მწველია.	გრძელი და მწველია-

ეს კრებული თავდება ვახტანგის შეიდტაეპოვანი ბოლოსიტყვაობით:

1. აწ გაუსრულდა წადილი ლექსისა შემაკონოსა,
გასაბნეველად სევდისა რაც მქონდა მოსაგონოსა,
ნუ თუ იამოს რომელსა თუცაღა მოეწონოსა,
არ ისმენ, დასდევ მას უკან ეგებ სხვამ გაიგონოსა.
2. ქირმანს ქილილა და მანა, მოსკოვს ამისი მოქმელია,
უფურეთ სოფლის საქმესა, თუ რაებისა მქნელია,
ზოგს ცად აღიყვანს, ზოგები მიწათა გასაქნელია,
სულს მამაცდინა, კორციცა შემიქნა გასაქნელია.
7. ლექსი რუსთელისა მეფეა, ტახტოსან, გვირგვინოსანი,
კვლავ ჩაბრუნხაძე აგრევე სხვისა რიგისა მგოსანი,
მეთის არჩილის სასჯელი, სწავლავა გასამენოსანი,
საბა თავადი მჯდომელი, მამუკა ბოლოს მემოსანი.¹

ამნაირად, ეს კრებული ჯერ უთარგმნია რუსულიდან ერასტი თურქისტა-
ნიშვილს პროზით; მერე ერასტის პროზი იოი თარგმანი გაულექსავს ვახტანგ ე-
ფეს მოსკოვს ორი სხვადასხვა რედაქციით, ზოგიერთი ადგილები საძიითაც.

III. მესამე კრებული, რომელსაც ეწოდება წიგნი სამეცნიერო, რო-
გორც ნათქვამია მის ერთადერთ ნუსხაში (წერა-კითხ. № 2134, ფ. 39), „აღი-
წერა ბრძანებითა ბაქარ, საქართველოს მეფის ვახტანგის ძისათა, წელსა 1749,
მარტსა 15.“ ბაქარს საზოგადოდ ჩვეულებადა მქონდა სხვებისთვის ეთარგმნი-
ნებია ესათუის თხზულება,² ამ შემთხვევაშიაც ის ასე მოქცეულა: ვინ გად-
მოთარგმნა ეს კრებული მისი ბრძანებით, არ ვიცით, შეიძლებაით ქვას მხოლოდ,
რომ ის ნათარგმნია რუსულიდან. ერცელი სათაური მისი ასეთია: „სიტყვანი
და სწავლანი სამეცნიერონი, ფრიად მარგებელნი სულისანი; ორკერძოვე, ძე-
ლისა და ახლისა წმიდათა წერილთაგან რჩევით გამოკრებულნი: კლემაქსისაგან,
დიდისა ბასილისა და გრიგოლ ლეთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა და
მამისა ეფრემისა და მაქსიმესი და ცხოვრებისაგან მამათასა და სხვათა წმიდა-

¹) შვად. წერ.-კითხ. ხელნ. კვასი, Е. Такашвили. Описание II, стр. 100—101

²) კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 363, შერიზ. 7

თა მღვდელმოდღართა მამათა, მოციქულ-წინასწარმეტყველთა, სოლომონ და ზირაქისა და გარეშეთა წიგნთა პლატონ, სოკრათი და მენანდროს და სხვათა ფილოსოფოსთა მიერ თქმულნი“ (წერა-კითხვ. № 2434, ფ. 1-39). ეს კრებული ორი ნაწილისაგან შესდგება; პირველს ნაწილში „გარეშეთა წიგნთაგან“ მოყვანილია აფორიზმები არისტოტელისა (6), პლატონისა (11), მენანდროსი (7), პითაგორისა (1), სოკრატისა (19), დიმოკრიტესი (13), იპოკრატესი (3), ერმიპოსი, აფთონისა და სხვ. მეორე ნაწილს საკუთარი სათაური აქვს: „სწავლანი მრავალთა ფილოსოფოსთანი და სიტყვანი ფრიად სარგებელნი სულ-სხიულთანი“ (უ. 31-78); ის შეიცავს 120-დე აფორიზმს არისტოტელისა, არისტოპოსისა, არისტიდისა, ანაკრეონისა, ვიონ პერიპატეტისა, დიოლენისა, დიმოკრიტონისა, სოკრატისა და სხვებისას.

C. სწავლანი ახიკარ ბრძნისანი.

მოთხრობა ახიკარ ბრძნის შესახებ ერთი უძველესი აღმოსავლური მოთხრობაა, რომელიც თითქმის ყველა ენაზეცაა ცნობილი; ის ქართულს ენაზეცა აღმოჩნდა ბოლოდროს, მაგრამ არა მთლიანად, არა იმ სახით და მოცულობით, როგორც სხვა ენებზეა, არამედ შემოკლებით. და ეს შემოკლება იმდენად აფორიზმებსა და სენტენციებს არ ეხება, რაეღენადაც ახიკარის შესახებ მოთხრობას. ქართული ტექსტი ამ თხზულებისა ხელთა ჰქონია ა. ხახანაშვილს, რომსაც დაუბეჭდია მისი რუსული თარგმანი.¹ საღ იმყოფება ის ხელნაწერი, რომლითაც მას უსარგებლნია, არ ვიცი, სხვა ნუსხა კი მისი ჯერჯერობით ცნობილი არაა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერს № 1574, რომელიც გადაწერილია 1828 წელს და, სხვათა შორის, შეიცავს ახიკარის სწავლასაც შემდეგი დამახინჯებული სათაურით: „სწავლა ბრძანა (ბრძნისა) პელოტნისა (?). რომელი ასწავლა ნათანელსა“. ამ უკანასკნელმა ნუსხამ არ იცის მოთხრობა ახიკარის შესახებ, ის გადმოგვეცემს მხოლოდ მის სწავლას, ისიც, ხახანაშვილის ნუსხასთან შედარებით, მეტად შემოკლებულს და დამახინჯებულს; ასე რომ დღესდღეობით ჩვენ იძულებულნი ვართ ეიხელმძღვანელოთ მხოლოდ ხახანაშვილის რუსული თარგმანით.

შინაარსი თხზულებისა ასეთია: ასურეთის მეფეს სენექირიმს ჰყავდა მეტად ბრძენი და მდიდარი ვეზირი ახიკარი; მას, მიუხედავად იმისა, რომ სამოცი წლისა იყო და სამოცი ცოლი ჰყავდა, შვილი არ გააჩნდა, რითაც მეტად მეწუხებული იყო. ერთხელ შევიდა სამლოცველოში და მიჰმართა ღმერთებს ვედრებით, რათა მას მისცენ შვილი, რომელიც, გარდაცვალების შემდეგ, ერთს მუჟა მიწას მიაყრის მის ცხედაოს და თვალებს დაუხუჭავს მას. მაშინ მას მოესმა ხმა: ახიკარ, შენ შვილი არ გეყოლება, ამიტომ აიყვანე შენი დისშვილი ნათანი. და გაზარდე ის შვილად. ახიკარმა მართლაც იშვილა ნათანი, ჩააცვა მას ღიდე-

¹) Очерки III, стр. 169-180.

ბლად და. შვიდი წლის რომ შეიქნა, ახიარა ის ყოველგვარ სიბრძნეს და მცნიერებას. ერთბაშად მეფემ დაუძახა ახიაროს და უთხრა: "შენ უკვე დაბერებულხარ და მალე მოკვდები, ვინ გამიწევს მერე მე შენს მაგიერობასაო? ახიარმა უპასუხა: მეფეო, მე შეავსე შვილი, რომელიც სიბრძნით და ენაშქევრობით გაცილებით მეტად: თანახმად მეუფის ბრძანებისა, მან გააცნო ის მეფეს და გაახარა უკანასკნელი. მერე წამოიყვანა შინ ნათანი და დაუწყო მას დარიგება შემდეგი სიტყვებით. ამას მართლაც მოჰყვება მისი სწავლა-დარიგებანი, რომელნიც აპოკრიფებისა და სენტენციების სახითაა წარმოდგენილი: რაცხეი მათი ხ ა ხ ა ნ ა შეილის თარგმანში უფროს 108-ს: აი ზოგიერთი ნიმუში მათი: შვილო, თუ მეფის უფროსის ან დიდებულის საიდუმლო გაივო, დაიმარხე გულსა შინა შენსა და ნუ გაამჟღავნებ მას, ვიდრე სხვებისაგან არ მოგესწას ის. შვილო, ნუ დაღვრი სხვის სისხლს, რათა არა დაიღვაროს შენი. შვილო, ნუ მიგიზიდავს შენი ზღირად ჩაცმული ქალი; მთელი ქონებაც რომ გადააგო მას, მეტს სიამოვნებას ვერ მიიღებს, ვიდრე შენი ცოლისაგან, გარდა ცოდვისა და სირცხვილისა. შვილო, შეიყვარე ცოლი შენი, ის არის ხორცი შენი და აღმზრდელი შვილთა შენთა შვილო, როდესაც უსირცხვილო ქალს შეხვდები, ან დაემორჩილე მას, ან მოშორდი. შვილო, ახალი ამხანაგი ორჯერ მაინც გამოცადე, რათა ცუდი რამ არ შეგეწიასევეს მისგან. შვილო, როგორც მიწა დედაა ყველა მცენარეულობისა, ისე სიმთვრალე ყოველივე ბოროტებისა. შვილო ჩემო ნათან, ყოველივე ეს დაიხსომე და იქნები ბრძენი და პატივცემული მეფეთა წინაშე. ასეთი იყო ჩემი სწავლა-დარიგება, მეფონა, ნათანი დაიმარხაედა მას გულსა შინა, მაგრამ ყოველივე ეს ვაფანტა, ვითარცა ნაცარი წყალსა შინა. მე მივეცი მას სახელი, ქონება, ვეზირობა სენტეპირიშისა, მან კი ყოველივე დაივიწყა და დამიწყო თხრემლის თხრა". თუ რაში მდგომარეობდა ეს თხრემლის თხრა, ქართულში გადმოცემული არაა.¹

ქართული ვერსია ამ მოთხრობისა ნ. ნ. დურნოვოს, ამ საგნის სპეციალურად მკვლევარს, შეუდარებია სხვა ენებზე არსებულ ვერსიებთან, კერძოდ — ასურულს, სლავურს, არაბულს და სომხურთაჲ, და აღმოჩენილა, რომ ის ნათარგმნი უნდა იყოს სომხურიდან: სათაური მოთხრობისა, საკუთარი სახელები, სწავლა-დარიგებათა რიცხვი და რედაქცია სომხურს მისდევს.² ყველა იმ შენთხვევაში, სადაც სომხური ტექსტი სხვა ვერსიებისაგან განსხვავდება, ქართული სომხურს უდგება, ხოლო სადაც ქართული სომხურისაგან განსხვავდება, ის არც სხვებს უდგება და გადამწერთაგან დამახინჯებას უნდა წარმოადგენდეს.³ ალ.

1) იხ. ის არაბულს ვერსიაში: M. Aftah, Юбилейный сборник по честь Всеп. С. Миллера. стр. 116-120.

2) The story of Ahikar, from the Syriac, Arabic, Armenian, Ethiopic, Greek and Slavonic version by F. C. Conybeare. I. Rendel Harris and Agnes Smith Lewis, London. 1898.

3) ნ. დურნოვოს შედარების შედეგნი და დასკვნანი. იხ. А. Хаханов. Очерки III. 422-125.

ხახანაშვილის ტექსტი გადაწერილი ყოფილა 1834 წელს, ასე რომ ძველი წიგნსა ამ მოთხრობისა ჩვენ არ მოგვეპოვება; ზოგიერთ სტილისტურ მოვლენათა მიხედვით, რომელნიც ა. ხახანაშვილს აღუნიშნავს, შეიძლება ითქვას, რომ თარგმანი ძველი არაა; ის მეთერამეტე საუკუნეზე ძველი არ უნდა იყოს და ეკუთვნის იმ დროს მეთერამეტე საუკუნისას, როდესაც გაცხოველდა ქართულ-სომეხთა ლიტერატურული ურთიერთობა და სომხურიდან ითარგმნებოდა აზნაურებიანი სხვადასხვა დარგებიდან.¹

- □ □ -

¹) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 71-72.

V. საისტორიო ეპოსი.

1. წამება ქეთევან დედოფლისა

საისტორიო პოემათა რიგი უნდა დაიწყოს ქეთევან დედოფლის წამების აღწერილობით, რაც საკმაოდ პოპულარული თემა ყოფილა ჩვენს ლიტერატურაში. პირველი მწერალი, რომელსაც გაუღეკსია ეს ეპიზოდი ჩვენი ისტორიისა, არის თვით ლეონტიძისი დედოფლის შვილი, პეტე თეიმურაზ პირველი; მის შრომას ეწოდება: „წიგნი და წამება ქეთევან დედოფლისა“. წინასიტყვაობაში ავტორი მიჰპართავს ღმერთს, ლეთისმშობელს, წმინდანებს და საოხოს მათ:

მზის ქეთევანის წამება ვიცოდე რა საქმენითა,
ღირს მყავ ცოდვილი მე ესე, რომ მათქმეუინო ენითა.

ეს ამბავი მისი აოის, ვის უხმობენ დედოფლობით,
თავი მისი ქებით სწერეს, ოდეს იყო კმელთა ფლობით,
აწლა ბოლო შემოკლდების. გავერივე მეცა ფლობით,
ღმერთო ჩემო, გვედრები, მაწერინო კელუფლობით.

როდესაც შაჰაბაზი გამოემართა კახეთისაკენ, მას მიენდო ქეთევანი და უძღვნა ძღვენი ტურფანი: ალექსანდრე და ლევანი:“ ესენი შაჰმა განჯას „დააგდო,“ თვითონ კი შემოვიდა კახეთში და ააოხრა ის. განჯიდან სისხლისმამელმა აბაზმა პატიმარი გაგზავნა შირაზს, სადაც დედოფალი ნუგეზსჰოებდა იმაში, რომ ხუთი წლის განმავლობაში ზრდიდა „ნაყოფსა ძისასა“, ესე იგი შეილისშვილებს. ხუთი წლის შემდეგ შაჰმა ალექსანდრე და ლევანი შირაზიდან თავისთან გაიწვია, ქეთევანი გრძნობდა, თუ რას ნიშნავდა ეს, ამიტომ მან ცოცხლიე გამოიტოვა ისინი: ტირილსა და ვაებაში ის მოუწოდებდა თავის გამძღვლს ზეარამ ზეესაც კი, მაგრამ ნუგეში არსაიდან იყო. ამის შემდეგ მას მტერი არა დარჩენოდა რა, გარდა ლოცვისა, მარხვისა და რჯულისა; ტირილისა და ვაებისაგან მოეშალა „ბაგე და კბილი“ და დაკარგა ძოწმარგალიტობა. ტყვეობაში ქეთევანმა დაყო სულ ათი წელიწადი. შაჰაბაზმა შირაზის ხალახანს შემოუთვალა: „ქეთევანს დიდაანს ნუ აცოცხლებ“, თუ მაჰმადის რჯულს არ მიიუღებს და იესო ქრისტეს არ ჰგმობსო. შირაზის გამგე, იმამ-ყულიხანი, იყო ტბილი და მოწყალე ადამიანი. მას ეწყინა შაჰის ასეთი განკარგულება: „თეიმურაზის დედას ვით ვკადრო უკადრონიო?“, ამიტომ სამი თვე არ გამოუცხადებია მისთვის ეს საშინელი ამბავი; მაგრამ ბოლოს იძულებული შეიქ-

ნა გაეცხადებინა ეს დედოფლისათვის. ქეთევანი ჯერ შეერთა, მაგრამ მერე შემოიკრიბა სულიერი ძალა და ღმერთს მიმართა ედრებით, განაძლიეროს ის და ლეაწლის შემდეგ შერაცხოს წმიდათა თანა ქალწულთა, თან დაუმატა შემდეგი:

სასწაული მოაეღინე ქრისტიანეს ტყვეთა ზედა,
 შეიღსა ჩემსა თეიმურაზს გაუმარჯვე მტერსა ზედა,
 ლეაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა.

ამის შემდეგ ეზიარა და დაიწყო მზადება ამიერ სოფლით განსლვისათვის. დანიშნულ დროს მოვიდნენ მტარვალნი და მოიტანეს თან ტანჯეა-წამების იარაღები: ქალფათინები, შანფურები და ბარები; მათ გააჩაღებს ცეცხლი და ჩაყარეს შიგ ლურსნებში. ქეთევანის მოახლენი შეშინდნენ და სთხოვეს დედოფალს თავს ნუ გასწირავო; ერთმა მათგანმა, ვილაც თინათინმა, საშინელი კივილი მორთო, ასე რომ ჯალათებმა ის კარში გააგდეს შიშველ-ტირველი. მას გზაზე შემოეყარა გივი, რომელმაც გაახვია ის თავის შალში. ტანჯვის აღვილზე დაუძახეს დედოფლის მოძღვარს, იმერელ გიორგი ის; საშინელი სურათის დანახვაზე ისიც შედრკა, მაგრამ დედოფალმა შეაკდამა და გამხნეეება დაუწყო მას. შეუდგნენ წამებას: ქეთევანს შეუკრეს ხელუები, გაზით დაავლიჯეს ძუძუები, ტანზე და თავზე დაადგეს შანთები, „მკერდით ზურკამდე გაავლეს გახურებულნი რკინანი,“ „ჩქეშ დაუფინეს, დახურეს ზედა ლურსმისა რკინანი.“ ერთი სიტყვით, ისეთი საშინელი ტანჯვა მიაცენეს მას, რომ ენა ვერ გამოსთქვამს. ქეთევანი მამაცურად და შეუდრეკელად იტანდა ყველაფერს ამას და ძლევა-მოსილად განუტევა სული თვისი.

ერთი წლის შემდეგ ახადეს მისი სამარხი, მაგრამ შიგ ვერა ნახეს რა: ზოგი ამბობდა, ფრანგები მოიპარაიდნენო, ზოგი კიდევ ფიქრობდა „ზეცას წასულაო“ მისი ამბავი გავრცელდა ყველგან, ჯვარისმოსავთ უნდოდათ მისი წმიდა ნაწილნი: „თო-მეტ ათასი თჯმანი ფრანგთაგან დაითვლებოდა“, მაგრამ შაჰაბაზი არაყის აძლედა ძას.

მათ აწამეს წმიდა ესე სექტემბერსა ათორმეტსა,
 შეიღსა თვემდი მოგახსენებ სასწაულსა მეტის მეტსა,
 საქართველო აღებულა წელნაჰამი ათერთმეტსა,
 მართო დარჩა მას მეუფე, ქრისტიანსა ნათლის სვეტსა.

პოემა თავდება აეტორის განცხადებით: თუ ვინმე დაუმატებს ამ ჩვენს ნათქვამს, არა მაქვს რა საწინააღმდეგო, მხოლოდ არ შეიცვალოს ეს ჩემი ლექსი, რომელიც 80 ტაეპად არის ნათქვამიო. მართლაც, ვილაც მელექსეს.

1) წერ-კითხვის ხელნაწერის № 1511 გადაშეუს, 669 გვერდზე, ამ პოემაში იქ, სადა კ. აწეილია ქეთევანის ტანჯვა, ტაეპებ შოა: „ზეცილობოვიდა ნაჟელი“ და „წელხედ ახადის საფლავი,“ „ჩაუმატებია საბაბა-სულსა ანორბელიანის სამრტ. ეპი. რომელშიაც ეს საშინელი სცენა საქმოდ რელიეფურადაა წარმოდგენილი:

ხელნაწერთა მიხედვით, მერე მიუმატებია „შვიდი-ეკესი“ ლექსი, თანახმად ავტორის ნებარვისა.¹

თხზულებაში, ისტორიულ სინამდვილესთან ერთად, მოხდენილადაა გამოკეპული სულიერი განკდა როგორც ტანჯული დედოფლისა, ისე თვით ავტორის, თეიმურაზისა, რომელიც, აღმუთავებული მტარვალთა მოქმედებით, უნებლიედ წაშოიძახებს:

მე ავაზაკი, შემცოდნე, ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჯვარსა არ ვეცვი, ამაღ ვარ ცრემლთა მდინარი.

საგულისხმეოა, რომ ამ კერძო ხასიათის ეპიზოდში მას დაუნახავს თანამედროვეობის დამახასიათებელი მოვლენა, ქეთევანის ღვაწლს ის უყურებს როგორც მსხვერპლს, ტანჯული კახეთისათვის გაღებულს; ის სტირის და კვნესს, რომ უღმობელი ბედი და აუტანელი მდგომარეობა სამშობლოსი ასეთს ნახვერპლს თხოულობს.

თუმცა პოეტი ამბობს: „დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ჩვენთვის სრულსაო“, მაგრამ არ უჩვენებს, რომელ ქორონიკონს; ვფიქრობთ, რომ ის დაწერილია, თუ ქეთევანის წამების უმალ არა, არაუგვიანეს თეიმურაზის ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი პერიოდისა, რომელიც მოდის 1629-1634 წლებში.

თეიმურაზს გამოჩენია მიმბაძველები, რომელთაც აგრეთვე გაულექსნაით ქეთევანის წამება; ასეთებია, მაგალითად, მღვდელმონაზონი კოხმანდ, რომელიც ლექებმა მოკლეს 1715 წელს, და დიმიტრი ბაგრატიონი, მეთვრამეტე საუკუნის გასულის და მეცხრამეტეს პირველი მეოთხედის მწერალი.²

დედოფალი ვით შეამკეს მათ უღმრთოთა რჯულის მტერთა,
ნათა ნაცულად დაუფენდეს მიწათა და ცუდთა მტევრთა,
ს მეთუსს ღურსმასს ქვეშ ვგებდენ, ვით ორხუვა, ვიასა ტერთა,
ხან სტემდენ და ხან შეკრუიდენ, ვითა ხელსა და ტუცერთა.

მოქაზნიდენ შევნიერად, შეუქმოდენ თისსა ზილფად,
ცხელს ზამთურსა ქინძის თავად, საოლავად გინდა სკითად,
ტანჯუას სარკედ. ცემას მარკედ, ნაცარს სურმად, გაზსა ჩქიფად,
აგურს საპაჲ უსეჲდიან. განსაწმენდლად კოსსა ლიფად.

ცხალსა ქვახსა თაჯს ავირგენად. საყურებად ნაკვე უბალსა,
ყაშიად ბარსა. საყბურად მზორვალესა ნალს ახალსა,
საქს ამბარჩად, ყე საბამად შწარეს თოქსა, ვითა მხალსა,
ქაპრაჲ ჯაქუსა მოუქრდენ, შანთს დანშიდენ, ვითა ხალსა.

1) წერა-კითხვის ხელნაწერები №. № 312, 403, 1511 და სხვ.

2) კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 434, 663.

2. შაჰნავაზიანი.

შაჰნავაზიანი არის საისტორიო პოემა, რომელშიაც გალექსილია ცხოვრება და მოღვაწეობა მეფის ვახტანგ მეხეთის, შაჰნავაზად სახელდებულია (1658—1675 წ.); უფრო სწორად რომ ვთქვათ, აქ წარმოდგენილია არა მთელი მეფობა ვახტანგისა, არამედ ნაწილი მისი, 1658 წლიდან 1665 წლამდე; პოემა შენახულია ჩვენამდე ერთადერთი ხელნაწერით, რომელიც 1848 წელს სამეგრელოს მთავარს დაეით დადიანს უჩუქებია მ. ბროსესათვის, ხოლო უკანასკნელს გადაუცია ის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმი-ათვის, სადაც ის დღესაც ინახება (კოლექცია ბროსესი № 32—83). პოემის ეპილოგს ბოლონაწილი ავლია რამდენიმე თურქლის დაკარგვის გამო; ამჟამად ის შეიცავს 59 თავს და 1147 ოთხსტრიქონიან ტაქსს, რომელიც დაწერილია 16 მარცვლოვანი რუსთველური ლექსით.

პოემას ხელნაწერში წინ მიუძღვის პროზით დაწერილი ზოგადი მიმოხილვა ვახტანგის გამეფებისა (დასაწყისი ამ მიმოხილვისა დაკარგულია), მისი მოღვაწეობისა და ახოვნებისა; ეს მიმოხილვა თავდება ასე: „განაგეს სადღოდოლოს რიგი და ითხოვეს ზღუათა კელმწიფის დადიანის ლევანის ასული პირმთავარ პარიამ, და შეიყარხეს ესე ორნი სატურჰალნი და დააწუნეს სრა და სამყოფი იხარებდა მათის ნახუით ყოველი სული; ამა დიდათა კელმწიფეთა ინებეს ცხოვრება მათი და კელჰყო მონაზან ვინუ ვალექსედ წიგნისა ამისა“. ამის შემდეგ პირდაპირ იწყება პოემა ოცდათუხმეტ ტაქსოვანი პროლოგით, რომლის პირველი ორი მუხლი ასე იკითხება:

ესე ამბავი იწყების ქართულთა კელმწიფეთანი,
ვინ კლმითა ბადრობს მებრძოლთა, შეაქნა ყოლგნით კუეთანი,
ვერვინ დაუდგა სულდგმული, აბჯართა უწყო თეთანი,
სხუა ვით მოუთქუა სიკეთე, ანუ სისაესე ზნეთანი.

ჟამნი გარდახდენ, მეფეთა არვის უბრძანეს წერასა,
არცა ვინ კელყო გამოთქმად ტქბილ საუბართა თქმევასა,
ან მელექსესა რა რჯიდა ივლად დაჟყო რბენასა,
დაუმაღლებლად სიტყუანი სად წარმოეთქვა ენასა?

¹⁾ ნ. მარტი ამბობს. რომ შაჰნავაზიანში აწერილია თავგადასავალი მეფის გორგო მეთერთმეტის შაჰნავაზისა (Возникновение и развитие древне-грузинской сарбской литературы, ЖИИИИ.осн. Декабрь, 1899 г. стр. 23.1). ეს მით უფრო საკვირველია, რომ, თვით პოემაც რომ არ ყოფილიყო მისთვის ხელმისაწვდომი, მ. ბროსეს გადმოცემიდანაც (HC. II, 1, 1, p. 601—614) შეეძლო გაეგო. რომ პოემაში ლაპარაკია არა გიორგი, არამედ ვახტანგ შაჰნავაზზედ. ასევე ფიქრობს ა. ხახანაშვილიც (ქართული სიტყვების ისტორია მეოთხე. საუკუნეში, გვ. 352. 1919 წ.).

²⁾ აღწერილობა ხელნაწერისა და მოკლე შიჯარისი პოემისა, საჭირო კომენტარებითა. მოუცია მ. ბროსეს (Histoire de la Géorgie II, 1, Addit. VIII p. 601—614); განხედეულს და ვით ყოფიძქეს სტუდენტობ სას გადმოუღვია პირი ამ პოემისა, რომელიც მისი ნებაართვით ჩვენც გვქონდა ზელში ს.კირო ცნობების ამისალებად.

პოეტი მოიგონებს რუსთველს, ტარიელ-ნესტან—ავთანდილ-თინათინის შემკობას, სერაპიონს, როსტომის მთქმელს, და კახთა მეფე თეიმურაზს, ლეილა-მეჯუნისა და უსუფ ზალიხას მქობებს, აღნიშნავს მათს შეუღარებელ მელექსეობას, მაგრამ ამასთანავე გაკვირვებას გამოსთქვამს, რომ მათ გაიმწარეს ძილი და გარდაავეს თავი უცხო ამბებისა და უცხო პირების სათქმელად და საკებლად, ისეთი პირებისა, რომელნიც ნამდვილად არც კი ყოფილან არასდროს. მე, თუმცა არა მაქვს მათი სიბრძნე, მაგრამ მზადა ვარ შევამყო ბატონის ძალი, სიმხე და ჯომარდობა, რაც თვითონ მინახავს და რასაც მე მოვსწრებივარო. ამის შემდეგ ის მოიგონებს ქვეყნისა და ადამიანის გაჩენას, უკანასკნელის სამოთხით გამოვარდნას, და მიმართავს ღმერთს თხოვნით მისცეს მას შეძლება პირნათლად შეასრულოს განზრახული საქმე მოიგონებს რა ებრაელთა მეფეების დავით და სოლომონის სიბრძნესა და სიქველეს, ის გადმოდის საქართველოში და ხოტბას უძღვნის ვახტანგ გუარკუასალის (sic), მირიან მცხეთელის, აშოტ კურატის (sic), არჩილ დიდის, ბაგრატ კურატის, დავით აღმაშენებლის და თამარ დედოფლის დიად მოღვაწეობას; მერე იწყებს თავისი შრომის პირველს თავს: ქაჯა ამბავი ამა უებროს კელქწითის შეილის ვახტანგისა, რომლისა მსგავსი არა ნახულა ადამითგან დღეთამდე, შემდეგი სიტყვებით:

მათგან დარჩა ვაჟი ვიწმე, შეილი იმა კელმწიფეთა,
მას სახელად ვახტანგ დასდევს, აქებდიან კაცთა ძეთა,
ცოტა იყო, ხუთის წლისა, ააწაელიდენ გმირთა ზნეთა,
მაშინვე დააჰსგავსეს დამრღუეველ დასათა კლდეთა.

შეიკრიბენ დიდებულნი ქართლისანი, კათალიკოზი, აზნაურნი, მთეულთა წარმომადგენელნიც და გადასწყვიტეს, რომ მათდა პატრონად ვახტანგი არის ღვთისაგან წინასწარგანჩენილი, მიკილდენ მასთან და სთხოვეს ეპატრონა მათთვის. ვახტანგი დაითანხმეს და, როდესაც დადგა დრო და ჯამი, მცხეთას აკურთხეს მეფედ დიდის ზეიმითა და მეჯლიშით. ვახტანგის ქაბუკობისა და შეუღარებელი სილაპაზვ-მოხდენილობის ამბავი მოესმა სპარსეთის შარირს, ყენენს, რომელმაც, ვეზირების ჩრჩევით, გამოგზავნა ისპაანიდან ტუილის უცხო მხატვარი, რომ თუ პირდაპირ ვერა, სურათით მაინც გაეცნო ეს ქაბუკი. მხატვარი დიდოს ამბით მიიღეს, მაგრამ ის იმდენად დააბრმავა ვახტანგის ჰაეროვნებამ და სხივებმა, რომ სურათის გადაღება ვერ მოახერხა და ხელცალკეირი წავიდა უკან. შარირს ეწვინა ეს და გადაწყვიტა ვახტანგი პირადად ენახა, ამისათვის თვითონ დაიბარა ის. ვახტანგმა ქვეყანას უჩინა ჯეროეანი მცველები, თვითონ წაიღო ყველაფერი, რაც გზაში საჭირო იყო, გაიყოლა თან ოჯახად გულოვანი მხედარი და გაუდგა გზას. გზაზედ ხანები დიდის ამბით ეგებებოდენ და უმაჰსინძლდებოდენ მას: ქალაქში შესვლისას თვით შარირი შემოეგება, აკოცა, როგორც ძმას, და მეგობრულად მიიღო. ყენი მას არ იცილებდა, მუდამ თავისთან ჰყავდა, ერთად ქეითობდენ და შეიქცეოდენ; პატივისცა მას ისპაანშარის ამილბა რომით, მიუბოძა გილა ი და ხოინი საყმოდ და გამოუცვალა სახელი, „უკმო შაჰნავაზ მეფობით“. რამდენიმე ხნის შემდეგ, თანახმად ვახტანგის სურვილისა,

ის მან გამოისტუმრა საქართველოში; მეფის დაბრუნების გამო ტფილისში დიდი ზეიმი და მხიარულობა გაიმართა. დიდებულებმა დაასვენეს, რომ მეფის უმეჯუფთოდ ყოფნა არა ხაშს, ამიტომ მოინდომეს მოეძებნათ მისთვის ღირსეული საცოლო; მათი არჩევანი შეჩერდა „ზღვათა ხელმწიფის“, ლევან დადიანის ასულს მარიამზე, რომელიც მეტად ლამაზი და მოხდენილი იყო. ლევანს გაუგზავნეს კაცები, მან სიხარულით თანხმობა გამოაცხადა, მერე გაგზავნეს მაცურები სათანადოდ შარნით და ქალი ოდიშით მოიყვანეს; მეფე მოგვება მათ ს. ალს, აქედან კი ტფილისს მოიყვანა; გაიმართა უდიდესი ქორწილი, ლხინი, სმა, თამაშა და საბოძვარის ვაცება. ამის შემდეგ მეფე შეუდგა შინაურ საქმიანობას, შეამკო და ყოველნაირად გაამდიდრა ტფილისი, მჭკერის პირას თრანგ ოსტატებს ააგებინა სალხინო სახლი, რომელიც ააესო ძვირუფასი ქურკლებითა და ნივთებით; სასახლეს გარშემო გააშენა მშენიერი ბაღი, სადაც ის დროგამოშვებით ლხინობდა, და თავის საყვარელ მეუღლესთან სრულს ბედნიერებას განიცდიდა. მათ შვეძინათ მშენიერი, ტურთა, ახოვანი და გულოვანი შეილები, რომელთაგან პოეტი ასახელებს არჩილს, გიორგის, ლევანს და ერთ ასულს; მეფემ შეილებს მიუჩინა თითოთითო თემი; სწრთენიდა მათ და ასწავლიდა ყოველგვარ ზნეს. ყენთან მეფეს ჩინებული განწყობილება ჰქონდა: მისგან მიჩნეული იყო საყვარელ ძმად და მეგობრად. ლეზულობდა თვალმარგალიტს, თვის თავზე ხალათს, თაჯს, ჯილას და თომარს, სახელოდ ჰქონდა ისპაანშარი, ეკირა გილანი და მაზანდარა და ბეგლარბეგობა არეზს აქეთი ხანებისა. ნადირობდა სხვადასხვა ალაგას, უფრო კი ყარაიაშში, ზეიმობდა, საბოძვარს ვასცემდა უხვად და ბედნიერადა გრძნობდა თავს.

ამ დროს იმერეთში გარდაიცვალა მეფე ალექსანდრე, რომელსაც პირველი ცოლისაგან ღარჩა ძე ბაგრატი; ბაგრატი დედინაცულის, ნესტანდარეჯანის, შიშით ვაჟამალული იყო გურაის. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ იმერლებმა ის ზოიწვიეს ნეფედ, დედინაცვალმა მას ცოლად შერთო თავისი ძმის ქალი, მაგრამ ამავე დროს ვადა წყვიტა თვითონ დამჯღარიყო ტახტზე. ამისათვის მან ბაგრატი შეიპყრო და თვალები ამოსწია, ხოლო თვითონ ქმრად შეირთო ვინმე ვახტანგი, ბაგრატიონთა გვარის კაცი. იმერლებმა რომ ეს დაინახეს, შეწყუხდნენ. მათ გადასწყვიტეს არ დამორჩილებოდნენ ტახტის მომტაცებელს, ამისათვის მოკაქულები გაუგზავნეს დადიანს და სთხოვეს მოსულყო და დაეკავებია იმერეთის ტახტი. დადიანი წამოვიდა ლაშქარით და მოადგა ხონს; დედოფალმა რომ დაინახა კარზე ნომდგარი ხიფათი, იმწამსვე კაცი აფრინა ქარაილს შაჰნავაზთან და მას დახმარება სთხოვა: თუ მე არ დავრჩები მეფედ, მაშინ ისევე შენ დაიჭირე იმერეთი, მხოლოდ „ჩვენც რამ გუარგე ნატირალსაო“. შაჰნავაზმა რომ გაიგო საქმის ვითარება, თავისი გულისწყრომა გამოთქვა დედოფლის ვერაგობისა და ბაგრატის გაუბედურების გამო და დაიწყო ბქობა, თუ როგორ მოქცეულიყო. მეფემ შეყარა ოკიათასამდე ჯარი და ვასწია იმერეთისაკენ იმ გადაწყვეტილებით, რომ სასტიკად დაესაჯა ბაგრატის უღმობელად გამაუბ დურებელნი, კოლბაურს; სადაც მან კარავი დასცა, ვახტანგს მოეგებენ წერეთლები, რომელთაც თავი იმართლეს მეფის წინაშე, აქედან გადავიდა საზანოს, სადაც აგრეთვე შეხედნენ მას თავადები. ეამეყ დადიანმა რომ გაიგო მე-

ფის გამ-ლაშქრება, შეშინდა და შეუთვალა მოქველისა და ბედიელის პირით: იმერლებმა ამოავდეს მეფე, ქვეყანა უპატრონოდ დარჩა, მოდი, შუაზედ გავიყოთ, დავემხახლოთ ერთმანეთს,— მე ჩემს ქალს მოგცემ შენი შეილის არჩილისათვის საცოლოდ,— და იყოს ჩენს შორის სიყვარული და მშვიდობაო. მეფემ ჯერ უარი თქვა: პაპა ჩემი მთელი საქართველოს პატრონი იყო, ამიტომ იმერეთი მე მართო მეკუთვნივსო, მაგრამ შერე, კათოლიკოსის რჩევით, მან შეუსრულა დიანს თხოვნა და იმერეთი გაუყო მას, „საზღუარი ზუსა დაიდვა, სად წყალი არის მდინარე“. სამაგიეროდ მან მიიღო ნახევარი იმ საუფლისწულო სიმდიდრისა, რაც იმერეთში ხელთ იგდეს მეგრელებმა, და დაბრუნდა სახლში. რაც შეეხება დარჯჯანის, მისი ქმრის ვახტანგის, ბრმა ბაგრატიანსა და მისი ცოლის ბედს, როგორც დედოფალს მარიამს გადასცა იმერეთიდან საგანგებოდ გამოგზავნილმა კაცმა, ისინი დადიანმა წაიყვანა, ვახტანგი „ეკლთა დაიჭირა“, ხოლო დარჯჯანი „ბოზბოთს ტყვედ მოიყვანა“. მეფე დაბრუნდა ტფილისს და რანდენიმე ხნს შემდეგ დადიას, თანახმად პირობისა, ქალი გამოსთხოვა თავისი შეილისათვის საცოლოდ; ამისათვის გაგზავნა მენიშენი, რომელნიც მივიდნენ ოდიშს, ნიშნობა გადიხადეს დიდის ამბით და უკანვე დაბრუნდნენ. მაგრამ შემდეგში დადიანმა ჩეფეს პირი უტეხა და თავისი ქალი, ცაგერლის რჩევითა და ზეგავლენით, სხვას, თავადთაგანს, ბეჟან ლოლობერიძეს, მიათხოვა. მ. ფენს რომ გაიგო ეს, განრიხნდა საშინლად და თქვა: ელა მოვიდა აღსასრული დიანისა, მას მე საპატრონოს წავართმევ და მის მაგიერ დავაყენებ ჩემს ხელოცყოფ. შამადაელეს, მან შეყარა ქართლში ჯარი. მისწერა იმერლებსაც და უბრძანა მხად ყოფილიყვნენ; იმერლებიც თავდადებით გამოეხმადურენ მეფის წინადადებას. ვამეყს აცნობეს-მეფე შოდისო, მას ურჩიეს მორიგება, მაგრამ ეს ნათავილა, ამიტომ მან შეყარა ლაშქარი, გაიყოლია თან ცაგერელი, მთავარი მიზეზი მის მიერ ფიცის ტეხისა, თავისი ახალი სიძე ბეჟანი და მოვიდა ქუთაისს, აქ დატოვა დედოფალი და თვითონ გაუდგა გზას შაჰნავაზის პიროსპირ შესაყრელად. ომის დაწყებამდე მას ლალატით ჩამოსცილდნენ ქვინდიდელი-ქილაძე, მისი ძმა ქუელი და მიქილაძენი, ასე რომ ვამეყმა შებმა ვერ გაბედა და ქუთაისსეუ დაბრუნდა. რადგანაც აქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა, მან ციხეში ჩააყენა ჯარი ცაგერლის მეთაურობით, ჩანაგრია ქუთაისის ხიდი და თვითონ ქალაქიდან გაიპარა. შემოვიდა თუ არა ქუთაისში შაჰნავაზი, მან ალყა შემოარტყა ციხეს. რომელიც აიღო ერთმა ლეჩხუმელმა, ხოსიამ; ციხიდან გამოიყვანეს ცაგერელი რომელიც მეფემ ექსორია ყო სომხითს. მეფე წაიდა აქედან ოდიშის დასაკავებლად და ვამეყის დასაქერად, მაგრამ ის ვერსად იპოვა. მისი ცოლი ელენე და ქალი უპატრონოდ იყვნენ დაყრილნი და არ იცოდნენ რა ექნათ; ელენემ თავისი ქალი დაუტოვა როსტომ აფაქიძეს, რომელსაც სიძეს ეძახდა. თვითონ კი წაიდა აფხაზეთს და იქ სოლომონ შარვაშიძეს სთხოვა თავშესაფარი. სოლომონი გაგაერდა, როგორ თუ მე ფიცის გამტეხის გულისათვის დიდს მეფეს უნდა ვაწყენიოვო, და გადასწყვიტა დაქერა დედოფლისა. დედოფალს ეს გაავებია შარვაშიძის ერთმა მონამ, ამიტომ ის ადგა, შეგდა ცხენზე და დაბრუნდა როსტომ აფაქიძეთან, მას შეავედრა თავი და სთხოვა დაემალა ციხეში; როსტომმაღ მტკიცე სიტყვა მისცა: სანამ ცოცხალი ვარ, არვის დავანებებ შენს თავსო, ის

კი არადა, მაშინვე აღგა, მივიდა მეფესთან, რომელიც ბანძას იდგა, და უთხრა: შემიძლია ეხლავე შოგგვარო ჩემს ხელთ მყოფი დედოფალი და მისი ქალიო. მეფემ ერთგულობისათვის მადლობა გამოუცხადა და სიხოვა მოეყვანა ტყვეები როსტომი დაბრუნდა სახლში და დედოფალს უთხრა: მეუფს გაუგია შენი ჩემსადა ყოფნა და მიბრძანა—ეხლავე მოგვარეო. დედოფალმაც უთხრა: მკტი რაღა დამრჩენია, წავიდეთო. მეფესთან რომ მივიდენ, დედოფალმა სიხოვა მას: ნუ წაახდენ ჩემს ქმარს და დაგმორჩილებითო. მეუფემ უთხრა: შენ არას გაენებ რა. არც შენ ქმარს დაუშავებ რამეს, თუ თვითონ მოვა და დამნებდება, საპატრონოსაც კი დაუებრუნებ, თუ არა და მთელს ოდიშს დაეანხოზო. აქედან მეფე მოვიდა წაქუჩის ციხეს, სადაც დაპატიმრებული იყო ნესტანდარეჯანი და ბაგრატიის ცოლი. დარეჯანს გაუხარდა მეფის მისლვა, მოციქული გაუგზავნა მას და სიხოვა ტყეობიდან განთავისუფლება. მეფე შვიიდა ციხეში, დედოფალს საყვედური უთხრა მისი აკაკობისათვის, თუმცა მერე მოუღბა და თხოვნის აღსრულება აღუთქვა; ციხიდან გამოიტანა ყოველივე სალარო და წაიდა ზღვადიდს. ზუგდიდს მან დაათვალიერა დიდი ლევანის ნაშენი სასახლეები და კონაქები, მისი სალაროები და სიმდიდრე და ყოველივე ეს მიუთვალა შამადავლეს. რომელიც დადიანად დასვა ლევანის სახელით, და დაუმორჩილა მას, ოდიშართ გარდა, აფხაზნი და ალაზნი, აილო მათგან ერთგულობის ფიცი და გამობრუნდუქან. გზაზე მას შემოეგება კაცი, რომელმაც აუწყა, რომ ვამეყ დადიანი, რომელიც სვანეთში იმაღებოდა, მოუკლავთ სვანებსო, მეფემ ბრძანება გასცა მოეგვარათ მისთვის ვამეყის ვაჟი, სვანეთში უპატრონოდ დარჩენილა, და შეუერთა ის მასთან მყოფ დედას და დას. წაქუჩის ციხიდან მან აქვე მოაყვანინა იმერეთის დედოფალი ნესტან-დარეჯანი, მისი ქმარი ეახტანგი, ბრმა ბაგრატი და მისი ცოლი. მეფე გამოესალმა ლევან დადიანს და წამოვიდა ოდიშისაკენ, საიდანაც ის ქუთაისს დაბრუნდა. აქ მას თხოვნით მიმართეს იმერლებმა, რათა მოეცა მათთვის მეფედ თავისი შვილი არჩილი. მეუფს მოეწონა ესეთი თხოვნა, დაპირდა მის ასრულებას და დედოფალს ქართლში საგანგებო კაცის პირით ყველაფერი შეატყობინა. დედოფალმა საპასუხო წერილში მიულოცა მას სახელოვანი გამარჯვება და საქართველოს გაერთიანება და გაუგზავნა საყვარელი შვილი არჩილი, რომელიც აკურთხეს იმერეთის ტახტზე. იმერეთის საქმეების გარკვევის შემდეგ ეახტანგი გამოეთხოვა შვილს და წამოვიდა თავის საბრძანებელში დედოფალი მას მიეგება გორში, სადაც მას, თანახმად მისი თხოვნისა, წარუდგინეს ვამეყის ცოლი ელენე და ქალი მისი, „ყოფილი მეფეთ რძლობითა,“ რომელმაც გულამოთუთქულად უთხრა მარიამს: „მხეღლად გახლდე, არ ველირსე დედოფლობით“ო. დედა მისმა ელენემ მეფის ოჯახის მორთულობისა და ბედნიერების დანახვაზე მოიგონა თავისი წარსული და საშინელი ტირილი მორთო. მარიამმა მას ნუგეში სცა, შესაფერი ტანისამოსი უბოძა, განცალკევებულ ბინაში დააყენა და მოახლენი მიუჩინა.

ახალციხის ფაშამ როსტომმა ხუანთქარს შეატყობინა, რომ შენს მამულში იმერეთში, გამეფდა ქართველთა მეფის შვილი არჩილი და ქვეყანა ყიზილბაშე-

ბილ აივს-ფო: სხანთქარი განრისხდა, როგორ გამიბედა მე ეს საქმე ყვენმა, რომელთანაც დროებით დახვედული ვარ. ესლავე მთელს ერანს მოვაფხრებო! ვენიბრებმა ურჩიეს. ჯერ გაევზავნა კაცი ყვენთან და გაეგო საქმის ნამდვილი ვიღარება. ნაოულაც, ყვენს მისწერა კეისარმა ან ხუნთქარმა: ეს რა გიქნია, რად შენომისაც ქართველები. არ ქმაროდა, ეახტანგმა ოდიში ამირია, ესლა იმერეთი დააკევეზინე? გთხოვ ჩამომამორო ქართველებიო! ყვენმა იწყინა ასეთი პასუხი: საძღურაეი ნე მაქვს, რომ შვილად ნახარდი არჩილი ეახტანგმა წამართვა და მას, კეისარს. აქმო. ის ამიეროდან შეიქნა ხუნთქარის მეზარჯე. აწლილი ქვეყანა დაუწყენარა, ხუნთქარს მადლობის მეტი არა მართებს რა. ის შეუკონამაშა შეუყვანია ახალციხის თაშას. ხუნთქარმა რომ წაიწინა ეს. დაშვილდა, გავზავნა ჯალათი და როსტომ თაშას თავი მოჰყვეთა. ხოლო არჩილს შეუთავალა: ნთელი ლიხთამერეთი შენთვის დამითმია, იჯექი ჩარდ, იმეფე და მკეწე. შენს საწინააღმდეგოს ეერაიენ ვერაუერს მეტყვის ამიერიანაო. ყვენმა ჩაინე შაჰნავაზს მოსწერა წერილი და სთხოვა: ნუ წამკიდემ ზუნთქარს და ქვეყანას ნუ ამიფხრებ. გამოიყვანე იმერეთიდან არჩილი, სამაგიეროდ მე მას მივსკემ კახეთს. ქიხიუს და მალაროს. შემკილე მას არ ეყოლება, ვინაოდან თგიწურახანნი ძელთა მყავსო: წინასწარ არჩილი გამომიგზავნე აქ, მას მე ვაჩვენებ ერან-თურანს. დაელოცავ. წყალობას ეუზამ და ისე გავისტუმრებო. შაჰნავაზმა მოიწვია კათოლიკოზი და ვეზირები, რომელთაც ურჩიეს მას სისრულეში მოეყვანა ყვენის თხოვნა. ამის შემდეგ შაჰნავაზმა მისწერა წერილი არჩილს: იმერეთი შენი შესაფერისი არაა. თან მაგ ქვეყნისათვის რად უნდა მოვიწოდროთ ან ყვენი ან ხუნთქარი. წამოდი აქეთ, ყვენს შენთვის კახეთი უბოძებიაო. არჩილს ეწყინა ეს, მას უძნელდებოდა უპატრონოდ დატოვება ქვეყნისა. მაგრამ არც მანის ურჩობა უნდოდა, ამიტომ გამოფთხოვა იმერლებს და ტფილისს მივიდა, სადაც მამამ დიდის ზეინით მიიღო. მერე წინადადება მისცა მას წასულიყო ყვენთან, თანახმად მისი მიპატოვებასა. ენახა ერანი და ეჩვენებია იქაურებისათვის თავისი ვაჟაკობა. არჩილი მოეშხადა წასასლველად, მას აახლეს თან გივი ამილახვარი და მეფეთა წინა ზრდილი მეჭთარ მანუჩარი: დედა შვილს გულის ტკეულით გამოემშვიდობა და ჩქარი დაბრუნება უსურვა. მეფემ ყვენს შესაფერი წერილი მისწერა: მე არავისი არ მეშინია, კარზე მომდგარ მტერს ადვილად ვაშეშლავდები. მაგრამ შენი სიყვარულით დავაგდე ხმლით დაჭერილი სამკვიდრებელი ჩემი მამაპაპისა. არჩილი გამოვიყვანე იქიდან და გაახელე შენ, თანახმად შენი თხოვნისა. ყვენი დიდის აზბით შეხვდა არჩილს. გაუჩინა მას შესაფერისი პანა, თუმცა უფრო ხშირად თავისთან ჰყავდა და არ იშორებდა, ერთად სუამდენ, ერთად შეექცეოდენ და დროს ატარებდენ.

შაჰნავაზმა გადასწყვიტა გალაშქრება კახეთისაკენ და დაქერა მისი; შეკრება დიდძალი ჯარი ოთარის, თავისი ძმის ბაგრატის და იესეს მეთაურობით და შეუტია კახეთს. ზოგი უმაღ დამორჩილდა, ზოგმა კილევ წინააღმდეგობის გაწევა მოინდომა; მოწინააღმდეგეთ სულ მუსრი გააელეს და ბოლოს ალყა შენორატყეს თორლას ციხეს. ციხე დააქციეს, მოწინააღმდეგენი გამოიყვანეს და ტფილისს წამოასხეს; აქ გამარჯვებულ მეფეს დიდის აზბით მიეგებენ, იზეიმეს უა იმხიარულეს.

მეფემა და დედოფალმა გადასწყვიტეს ლევან დადიანისათვის ცოლი შეერთო. გაუგზავნეს მას კაცი და შეუთვალეს: დროა საცოლო მოსძებნო. ლევანმა პაოტუნელოზისათვის მადლობა შემოუთვალა მათ და ამასთანავე სთხოვა: თქვენი ასული თამარი მომეცით მეუღლეოდ. მეფე დედოფალმა თანხმობა განუცხადეს მას: დადიანმა გამოგზავნა მენიშნეთ კელენჯიხელი და გიორგი ჟოღია. რომელთაც დიდი საჩუქრები მოართვეს საძლოს. მალე ქორწილი გადაიხადეს, ლევანმა გამოგზავნა მყარებად კათოლიკოზი. მიქელაძე, ჟოღია და სხვა მრავალი დიდებული: მაჰნავაზმა თავის მხრივ გამოატანა მყარებად, სხვათა შორის, მთავარეპისკოპოზი. ქალს მისცა მდიდარი მზვითები და გამოისტუმრა ოდიშს. ლევანი მიეგება მათ ქუთაისს. აქედან გაემართნენ ზუგდიდს და დიდის ამბით გადაიხადეს ქორწილი.

კახთბატონის შვილი ერეკლე იზრდებოდა რუსეთის მეფის კარზედ: ყმებმა ურჩიეს მას მიეწართა თუშებისათვის და მათი დახმარებით კახეთი დაებრუნებია. ერეკლე წამოვიდა რუსეთიდან და მოვიდა თუშეთს, სადაც სამხადისს შეუდგა: თუშების ჯარი შეიკრიბა ბორჯალზე. ეს რომ მაჰნავაზმა გაიგო, მოუწოდა მყისვე ოთარ ერისთავს. მას შეუერთა ძმა თვისი ბაგრატი, მდივანბეგი ედიშერი და ასი ათასამდე ჯარით გაეშურა ერეკლეს შესახედრად. რომელიც უკვე ქისიყს ჩამოსულაყო. მაჰნავაზს შეუერთდნენ აგრეთვე არეხს აქეთი ხანები: გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა. რომელშიაც თავი ისახელეს ოთარმა, ედიშერმა და ბაგრატმა. თუშებს სულ მუსრი გაავლეს. ძალიან ცოტა გადაიჩა მათ შორის ცოცხალი. ერეკლე გაიქცა და სადაღაც შეათარა თავი. გამარჯვებულმა მაჰნავაზმა თუშებს მოსთხოვა ბეგარა, თუ არა და. შემოვალ ჯარით და სულერთიანედ აგანაპირმტურებთო: თუშებმა შეუთვალეს: რითაც შეგვიძლია გემსახურებით. მხოლოდ აქ ნუ შემოხვალ. თორენ ავიყრებით. დაღესტანში გადავსახლდებით და რჯულსაც გამოვიცვლითო. ომში დახოცილი თუშების თავები ათასი აქლემით ერანს წარგზავნეს ყენთან: ყენმა დიდი ქება და საჩუქრები მოუძღვნა მაჰნავაზს ასეთი საგმირო საქმისათვის.

ლევან დადიანმა მეფეს სთხოვა იმერეთის ტახტზე დაებრუნებია მასთან მყოფი ბრმა ბაგრატი, ვინაიდან ქვეყანა უპატრონოდ იყო: ასეთივე თხოვნით მიმართეს მას იმერლებმაც, რომელთაც აუწყეს მეფეს, რომ „დღემიტრი [გურაელი] მეფობისაგან გარეაო“. მაჰნავაზს ეს აზრი დაუჯდამან პირდაპირ თქვა: დიდის სიამოვნებით ავასრულებდი ამ თხოვნას, იმერლების იმედი რომ მქონდეს, ისინი, გარდა კათოლიკოზისა. ფიცის გამტეხნი და უპირონი არიან, თვალხილული არ ინებეს და ბრმას როგორ გაიტანნო. ყოველს შემთხვევაში. თუ მტკიცე ფიცს მომცემენ ერთგულებისას, აუსრულებ თხოვნასაო; ესევე შეუთვალა მან ლევანსაც. ლევანმა სიტყვა მისცა, ჩემის მხრით ყოველივე ღონეს ვიხმარ, რათა ბაგრატს იმერეთში არა გაუქირდეს რა, იმერლებმა თავის მხრივ ხელი მოაწერეს ფიცისა და პირობის ფურცელს და მეფეს გაუგზავნეს. ამ დროს მაჰნავაზს მოუვიდა მოციქული ასლან-თაშასი, რომელიც ატყობინებდა მას: ბაგრატი კეისრის. ესე იგი ხუანთქარის. მემკვიდრეა, მოჭვეცი ჩვენ და მე მას იმერეთის ტახტზე დავესვათო. მეფე გაჯავრდა: თაშები როდის ერეოდნენ ბაგრატიონთან გვარისა და სახლის გარიგებაში, ბაგრატი ჩემი გვარეულია. მე ის მი-

ჩანს ძმა და შეილივით, მე ვიცი რა უჯობს მასო. მერე მან ბაგრატს აკითხა როგორ გიჯობს, ვის მიგაბაირო? მან დაავედრა მეფეს: ოსმანს ნუ ჩაუვლებ ჩემს თავს ხელში, ისე ემერლებს მიმადარე, მხოლოდ უბატრონოდ ნუ დამაჭლებ და შენს დახმარებას ნუ მომაკლებ; ვინაიდან მე არა მკავეს არც ძმა, არც და. არც ეინზე ახლობელი, გთხოვ მომცე ცოლად შენი ასული, რათა მან დამიავოს წყლულებიო. ბაგრატმა დედოფალსაც სთხოვა დახმარება ამ საქმეში მეფის წინაშე. ნეტე-დედოფალმა გამართეს ბქობა და გადასწევიტეს დაეკმაყოფილებიათ ბაგრატის თხოვნა. მართლაც, მათ შეუწხადეს ბაგრატს ყველაფერი, რაც კი საქირო იქნებოდა მისთვის, გამოუწევეს ქალიც და დაამხადეს გასასტუმროებლად. ბაგრატს მეფემ გაატანა მრჩეველად და ხელის ამაპრობელად ბრძენი და განოცილილი თარხანი იორამი (საკაძე, დიდი მოურავის შვილი). რომელმაც ბაგრატი მიიყვანა იმერეთს და დაამკვიდრა იქ; სამწუხაროდ, მას დიდხანს არ დასცალდა მისი ხლება: ის მალე ყუაეილისაგან გარდაიცვალა.

არჩილი, რომელიც ყეენს ეახლა სპარსეთში, დიდს პატივში იყო იქ; შაჰი სულსა და გულში იძვრენდა მას, გამოუტყალა სახელი და უწოდა შაჰ-ნაზარ ხანი ერთხელ ყეენმა განუცხადა არჩილს: ვინაიდან მამა გხმობილობს, უნდა გაგიწვას საქართველოშიო; არჩილს ეს გულში იამა, მაგრამ ისე მოაჩვენა შაჰს, თითქოს ეწყინა და არ უნდა მისი მოშორება. ყეენმა ის დიდად დაასაჩუქრა და გამოისტუმრა შინ. შაჰნავაზს ეს სასიამოვნო ამბავი ახარა წინდაწინ გამოკზავნილნი კაცმა, რომელსაც გახარებულმა მამამ დიდი საჩუქარი მისცა. მეფე განგება შეიღს ერთი კვირის სავალზედ და დიდის ამბით შეხვდა. ტფლისში ზეინსა და სიხარულს საზღვარი აღარ ქკონდა, ყოველი მხრიდან მიდიოდენ და ულოცავდენ არჩილს დაბრუნებას. მისი დაბრუნების გამო მეფემ გამართა დიდი წვეულება რომელზედაც მოიპატივა ქართლისა და კახეთის დიდებულები. ამ ზეინსე შაჰ-ნავაზმა განაცხადა: ამდენიხანია კახეთი უქეუოდ გდია, დროა შაჰნაზარი მივიღეს და დაეპატრონოს მას. მართლაც, აქედან ისინი მცხეთას წავიდენ. სადაც სეკიტცხოვლის წინ არჩილს შეპუიციეს ერთგულება იქ მყოფმა კახეთის თავადებმა; ამის შენდეგ გადავიდენ კახეთში, მეფემ მთელი თვე დაყო იქ, გაარიცხა მათეკო საშეები. განამტკიცა არჩილი ტახტზე და უკანვე მობრუნდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ შაჰნავაზმა მოინდომა შეილის ნახვა, შეყარა დიდებულნი და ჯარი და გაუდგა კახეთისაკენ; არჩილს მეტად გაუხარდა ეს ამბავი, განოკება წინ და უჯარმოში შეხვდა მამას. აქედან გადაირეს გომბორი ჩავიდენ ირტოზას და გამართეს დიდი ლხინი და ზეიმი. აქ მეფეს ეახლა მოციქული დაღესტნიდან, რომელმაც მას ღკეებისაგან სამსახური გამოუცხადა და შესთავაზა დახმარება თუშთა წინააღმდეგ: მივალთ და დაეიქერთ მას. ვინც თუშეთსა არის ზჯდომი და მოგვერითო. მეფემ მადლობა შეუთვალა, მაგრამ დახმარებაზე უარი თქვა, ჩემს მტრებს მე თვითონ ვეყოფიო. ამდროს მეფეს განუდგა ყორჩიზაში ბარამი შეილებითურთ, მან ვაგზავნა კაცები თუშეთს და ერეკლე ბატონიშვილს შეატყობია: ამჟამად ორივე მეფე აქ, კახეთს, იმყოფება ლხინსა და განცხრომაში, ჯარი დაითხოვეს, მეტად ხალვათად არიან, წამოდი წამოიყვანე თუშები და თავს დაევენეთო. მოციქულებს თვითონაც მიჰყვა უკან.

ზვილებითურთ, მათ შეუერთდენ აგრეთვე ბოდბელი და რამაზაშვილი. შეიყა-
 ონ თუშვის. შეკრიბეს თუშები, ფშავნი, ხევსურნი, დუძეყნი და ლლილენი და
 ვამოემართენ კახეთისაკენ ერეკლეს წინაძღლოლობით. წინასწარ ერეკლემ გა-
 მოგზავნა შვიდი თურკა თუში ჯაშუშად მეფეებთან, რომლებსაც მათთვის ერთ-
 გვლესა უნდა განეცხადებიათ მთეულთა მხრით, ნამდვილად კი მათი მდგომა-
 ოვობა უნდა დაეხვერათ. ჯაშუშებმა დავალებული საქმე პირნათლად შეასრულ-
 ლეს. დაბრუნდენ უკან და ერეკლეს მოახსენეს, რომ მეფენი მართლაც კახეთს
 არიან. ჭიფობენ, მაგრამ მარტონი არ არიან, თან ჯარიცა ჰყავთ იმდენი, რომ
 შენზე ათჯერ უფრო ძლიერი იქნებიანო. მათ გაუჯავრდა ვილაც ხობონა, რო-
 ნელმაც ლაჩრობა შესწამა მათ; მაშინ ბარამმა თქვა: მე ვიცი, რომ შაჰნავაზი
 და შაჰნავარი მძალერები არიან. მათი გამკლავება აოც ისე ადვილია, წაეიდეთ
 და დავდეთ გრემს. იქიდან კი

კაცი გაეგზავნოთ, იყოს მათგანად კმოპილი.

ტკბილი შეესთვალთ პასუხი, არ იყოს სიტყვა გმობილი.

ან თუ მიგუკედოს წყალობით. არ დავრჩეთ ლახვარსობილი.

ბარამს არ გაუგონეს და წამოვიდნ მუქარით; გამოვიდენ ალაზანს, წინ
 მოუქლოდათ განდგომილნი კახნი, შემოიარეს მინდორი და მომართეს დიდს მე-
 ფეს. ეამსა შუაღამისასა შეუტრეს ანახდეულად და დაიწყო სისხლის ღერა; მე-
 ფემ სცნა თუ არა ეს მოულოდნელი ამბავი, განრისხდა და აღიქურვა. შაჰნა-
 ვარიც მოემზადა საომრად, გაემზადენ აგრეთვე მდივანბეგი, სარდარი ზაზა, ბა-
 რათიანნი, მარჯვენის დროშის პატრონი ამილახორი, ბატონიშვილები კონსტან-
 ტინე და ბაგრატი (შაჰნავაზის ძმები) და სხვა ერისთავებიც. დაიწყო გაშმაგე-
 ზული ომი, რომელშიაც თავი ისახელეს: იესე ერისთავმა, მანუარ თუმანიშვილ-
 შა. ბაინდორ ნახორმა. ჯიმშიტა თურქისტანიშვილმა, გაბაანთ და სხე. გათენე-
 ზისას კვლავ განახლდა ბრძოლა, მტერს სულერთაინ მუსარი ვააფლეს და სდიეს
 უკან ალაზნამდი და იაღლუზის მთამდე. ერეკლეს დროშა წაართუეს, მას აღარა-
 ვინ შერჩა. ასე რომ დედას მიჰმართა. გამარჯვებულები დაბრუნდენ უკან და
 ერთმანეთს ულოცაედეს მტრის დამარცხებას; შეაკროვეს სამი ათასი თავი, რო-
 ჳელსაც ტყავი გააძერეს და თივით გასტენეს, ხოლო გოგრისაგან ამართეს კირ-
 ზე ნაგები კოშკები თუშთა დასაშინებლად შემდეგში. დაუყონებლივ ეს სასიხა-
 რულო ამბავი ტფილისში აცნობეს დედოფალს; ამასთანავე მოიწვიეს გონიერი
 და დახელოვნებული მწიგნობარი და ყვენს მისწერეს წერილი და დაწერილ-
 ბით აღუწყეს მტერზე გამარჯვება, თან სადემონსტრაციოდ წარუგზავნეს მას
 ანგლეშებით თივით დატენილი თუშთა თავები. ყენს მეტად ესიამოვნა ეს ამბავი
 და სანასუხოდ მადლობისა და ქების წერილი გამოუგზავნა მათ.

აქედან იწყება ეპილოგი, რომლის ბოლო დაკარგულია: უკანასკნელი
 თავი პოემისა იკითხება ასე:

მიმსულელსა მისიკის მრავალი. ცადეს ვერ დასთუღიდისა.

გამოისტუმრეს მაშინვე, დაუყოვნებლად ელიდისა.

შეკრა სწადს გულად ლომისა. მის კელმწითესა დიდისა.

ვის რკენა ძალუც სპილოსი, საოჰრად არ დამრიდისა.

ასეთია შოკლედ შინაარსი პოემისა, რომელიც თავდება, როგორც ვხედავთ. ერეკლე ბატონიშვილის კახეთის ექსპედიციის დამარცხებით: ამ დამარცხებას აღვილი უნდა ჰქონოდა 1665 წელს. ვინაიდან არჩილი კახეთში განმეფდა 1664 წელს. ხოლო ერეკლემ „მცორესა წელსა იყუო კირთება კახეთისა“ (ქართ. ცხოვ. II, 126). თან ცნობილია ისიც, რომ ამ დამარცხების შემდეგ ერეკლე წავიდა რუსეთს (ქართ. ცხოვ. II, 127), სადაც ის ჩასულა 1666 წელს.¹

ვახტანგ მეხუთე საკმაოდ მსხვილი მოღვაწეა მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში; მის პიროვნებასთან დაკავშირებულია არა მარტო ქართლ-კახეთის, არამედ დასავლეთი საქართველოს ისტორიაც. უმნიშვნელოვანესი ფაქტები 1658—1655 წლებისა საკმაო სისწორითაა გადმოცემული ამ პოემაში, თუმცა ზოგიერთს საყურადღებო დეტალებში პოეტი არ ეთანხმება ოფიციალურ ისტორიულ ცნობებს. აი ეს დეტალები:

1) ვახტანგი პოემაში გამოყვანილია გეორგიონოსანთა უზუალო ძედ. ნაწილობრივად ის მეფის შვილი არ ყოფილა: ის იყო ძე თეიმურაზ მეზრანბატონისა. როსტომ მეფის მიერ ნაშვილები (ქართ. ცხოვ. II, 49).

2) პოემაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ვახტანგი 1623—1625 წლებში იყო გამგე ქართლისა და თანაშენწე როსტომისა. რომელმაც ის წინასწარ წაუგზავნა სპარსეთში. სადაც ყენმა „მაჰმადიან ყო და უწოდა მანაღაზ“ (ქართ. ცხოვ. II, 50); პოეტის სიტყვით, ვახტანგი, მოიხარდა თუ არა, პირდაპირ მეფედ ეკურთხა და ამის შემდეგ იქნა გაწეული სპარსეთს, სადაც მას საბელი გამოუცვალეს და არა სჯული.

3) ვერ არის სისწორით წარმოდგენილი მარიამ დედოფლის ვინაობა. როგორც ვიკით, მარიამი იყო დაჲ ლევან მეორის დადიანისა; 1621 წელს ის ძმან მიათხოვა სვიმონ გურიელს, 1625 წელს წაართვა მას და ოდიშს მოიყვანა. 1638 წელს ლევანმა ის მიათხოვა ქართლის მეფეს როსტომს. ხოლო როსტომის გარდაცვალების და ვახტანგის ტახტზე ასლების შემდეგ, 1655 წელს, ის ყენის სურვილის თანახმად, მისთხოვდა ვახტანგს, რომელიც იძულებული იყო ანისათვის გაეშვა თავისი პირველი ცოლი როდამი (ქართ. ცხოვ. II, 197—198, 47, 50). პოემით კი მარიამი არის ასული და ქალი ლევან დადიანისა [თუმცა ვახტანგი პირველი შეყრისას ეუბნება მას: „სულთა უანესო ძმისა გაყრა მოგეწყინა“], ის წინათ არავის ცოლად არ ჰყოლია და პირველად მისთხოვდა ვახტანგს, რომელსაც მანემდი არავითარი ცოლი არ ჰყოლიაო.

4) „მარიამისათანა არა ესვა მეფესა შვილნი, არამედ როდამისთანა ვსსენსე ძენი: არჩილ, გიორგი, ლევან, ალექსანდრე, ლუარსაბ, სოლომონ, და ასულნი ანუკა და თამარი“ (ქართ. ცხოვ. II, 51); პოემით კი არჩილი, გიორგი, ლევანი და „სხუანი უმცროსნი ძენი“ არიან შვილნი ვახტანგისა მარიამისაჲნი: ამათ გარდა მათ ჰყავთ კიდევ ერთი ასული,

5) თუმცა სხვაგან პოემაში აღნიშნულია კიდევ ორი „სასურველი ასული“ მათი, რომელთაგან ერთი, თამარი, მიათხოვეს მათ ლევან III, დადიანს. ხოლო მეორე, თითია, იმერეთის მეფე ბაგრატს, ნამდვილად კი თამარი და თითია

1) Б р о с с е, Переписка грузинских царей с Российскими государями, стр. LXXV.

იყვნენ შეილები არა ვახტანგისა, არამედ მისი ძმის კონსტანტინესი (ქართ. ცხოვრ. II, 203, 204).

6) პოემაში ნათქვამია, რომ იმერთა მეფის ალექსანდრეს ძე ბაგრატი იწაღებოდა და იზრდებოდა გურიაში თავისი დედინაცულის. ნესტან-დარეჯანის. შიშითაო; ნანდვილად კი ის მამას წარუგზავნია იქ უფრო ადოე. ვიდრე ის მეორე ცოლს შეირთავდა. „შემდგომად ორისა წლისა“. ამბობს ზენატიანე. ესე იგი 1620 წელს, „შესწამა ალექსანდრემ ცოლსა თვისსა რეცა სიძვად ქუთათლის ვაჟრისა თანა და განუტევა ცოლი თვისი და წარავლინა ძით თვისით ბაგრატით მამისა მისისა გურიელის მამიას თანაო“ (ქართ. ცხ. II, 197).

7) დარეჯანის მეორე (ნანდვილად მესამე) ქმარი. ვახტანგი. პოემით იყო „ბაგრატიონთა გვირისა“, შატაანე კი მას ჰხადის მხოლოდ „მეფეთა მონათლსავედ. რომელსაცა ქუეუნასშვილობით უზნობდენო“ (ქართ. ცხოვრ. II, 202, 204).

8) პოეტი ამბობს, რომ, როდესაც დარეჯანმა დააბრმავა ბაგრატი, ეს იმერლებმა იწყინეს და, უზურბატორის წინააღმდეგ. იმერეთის ტახტის დასაქერად დადიანი მოიწვიეს; ნესტან-დარეჯანმა კიდევ დახმარებისათვის მიჰმართა შაჰნავაზს, მაგრამ უქანასქნელი, დახმარების მაგიერ. წამოვიდა მის დასასჯელად. როდესაც შაჰნავაზი და დადიანი შეხედენ ერთმანეთს. იმერეთი გაიყვეს შუახე და საზღვარი დასდევს სუხასა ზედაო. დაპატიმრებული ნესტანი. მისი ქმარი ვახტანგი, ბრმა ბაგრატი და მისი ცოლი წაიყვანა დადიანმა და დაამწყვდოდა წაქუიჯის ციხეშიო. ისტორიკოსი კი ამ ამბავს სულ სხეანიარად გადმოგვცემს: მისი სიტყვით, როდესაც ბაგრატი დააბრმავეს. იმერლებმა მიჰმართეს ასლან-ფაშას, რომელიც ჩამოვიდა იმერეთში, შეიპყრა დარეჯანი და ვახტანგი და ბაგრატის ცოლითურთ წარგზავნა ოლთისს, ხოლო იმერეთის ტახტზე დასვა ისე ბაგრატი. რადგანაც ბრმა ბაგრატი ვეღარ უძღვებოდა საქმეებს, ამიტომ მოიწვიეს დადიანი იმერეთს. სადაც „წარმოდგა შაჰნავაზიც: მოლაპარაკების შედეგ მათ გაიყვეს იმერეთი და სასღვრად დადევს ბუჯის წყალი: ბაგრატი არავის არ წაუყვანია, ის „მყოფობდა ციხესა შინა ქუთაისს“ (ქართ. ცხოვრ. II, 202).

9) წაქუიჯის ან, როგორც ისტორიკოსი უწოდებს. ქაქვითის ციხეში დამწყვდეული იყვნენ არა დარეჯანი და მისი ოჯახის წევრნი. არამედ ვამაკ დადიანის ცოლშვილი (ქართლ. ცხოვრ. II, 203); ამის შესახებ პოეტი არა ამბობს.

10) პოეტის ცნობით არჩილის გამეფება იმერეთში ხვანთქარს აცნობა რომელსაც ფაშა, რომელიც ყალბი მოხსენებისათვის, რაც ხვანთქარსა და ყვენს შორის მიწერ-მოწერამ გამოამჟღავნა. სიკედილით იქმნა დასჯილი: ისტორიკოსი: გადმოცემით კი ეს ამბავი ხვანთქარს აცნობა ასლან-ფაშამ და არავითარს რეაბილიტაციას არჩილის გამეფებისას ადგილი არ ჰქონია (ქართლ. ცხოვრ. II, 203).

11) გაუგებრობას იწვევს ის ადგილი პოემისა, სადაც შაჰნავაზი ამბობს: ცოლის ძმა დავსვი გურიელადო: ისტორიკოსი არ იცის. რომ რომელიმე დადიანს იმ ხანებში გურიელად ყოყლიყო. მით უმეტეს ლევან მეორე ანუ დადიანისა.

ზონელთაუ მარიამ დედოფლის ძმებად ეიცნობთ. შეიძლება ამ შემთხვევაში გულისნებოდეს ის, რასაც გულისნიშობს ისტორიკოსის სიტყვები: ქაიხოსრო ჯორჯელი „ამა ლიპარტისა იყო“ (ქართლ. ცხოვრ. II, 201). ბანძის ომის შემდეგ, როდესაც ქაიხოსროს, მესხებთან ერთად, როსტომ მეფეც ეხმარებოდა, ის სჯამბოულს გაიქცა, იქიდან ნობრუნდა 1660 წელს და ათაბაგის დანმარებით (ქართლ. ცხოვრ. II, 202) დაიქირა გურიელობა: შესაძლოა ამ დროს მას, ათაბაგთან ერთად, ეხმარებოდა შაჰნავაზიც. მსგავსად თავის წინამორბედის — სტამბისა.

ვინ არის ავტორი ამ პოემისა? როგორც დავინახეთ, პროზაულს შესავალში, რომელიც წინ მიუძღვის პოემას, ნათქვამია: „ეკლჳყო მონამან ვინმე გალექსუად წიგნისა ანისოა“, მაშასადამე, ავტორი თხზულებისა აქ დასახელებულია როგორც მონა შექებული მეფე-დედოფლისა. ავტორი თავის-თავზე ორჯერ ლაპარაკობს: წინასიტყვაობაში ის ამბობს:

აწ თუცა ვარ უგუნური, კემწიფისა ყმა და მონა,
არც სიბრძნე მაქუს, შემეტყობის, რომე სიტყუა მოჰვეგონა,
პატრონისოთის საქებარად მწარე ტკბილად მაგმწონა,
ვდგავარ მათად სამსახურად. დამიყრია კქუა და გონა.

თუთი მინახავს პატრონისა ძალი, სიმენე. ჯომარდობა,
კემწიფობა ცისა სწორად, მედამ იკრვის დაბდაბნობა,
მტერი ყოლგნით დაიმონა, მათ მიეცა ლახუარსობა,
ტინის კლდეცა ვერ დაუდგის, შიშისაგან შექნის დნობა.

ყუელა ესწერო, ვერ გაუვალ, მართლად ვიტყუი, არა კორად,
სამამაცო მისგან ქნილი, რაც მინახავს გმირთა სწორად,
რაცა ბძანის, მე, უნებლემ ვერა ქნისა ერთი-ორად.
თურემ ცეცხლებრ მოეკიდის, წამსვე შექნის დასამორად.

თუ მამისმენ კემწიფისთუი ვით ვაუბნო ტკბილად ენა.
მას ეაქებ და მას ეადიდებ. თურემ რა მკიორს ცუდად რბენა,
თავი დამიკ საწამებლად, ვერ დამიგმობ რაცა ვთქუნა,
სიმენე ნითქუამს კემწიფისა. ვის არ მართებს ამის სმენა?

გაიჯი სოფელს მყოფელნო, ისმინოთ ჩემგან თქმულია,
რას ვიკვლოვენებ უგბილო, ან ვითა მოერთვე გულია.
ვისი მწაღს კება-დიდება, მისთუი ვარ დადაგულია,
ამად მოემართე სიტყუანი, არ იქნას დაკარგულია.

როგორც ვხედავთ, ავტორი თავისთავს უწოდებს პატრონის, შაჰნავაზის. მანასა და მონას, ის მისთვის დადაგულია, მისი სამსახურისათვის მას კქუა-ჯონება დაუყრია; მას საკუთარი თვალით უნახავს პატრონის ძალი, სიმენე, ცის-სწორი ხელმწიფობა და მტრების დამონება, თავის თხზულებაში ავეიწერს იმას.

რაც თვითონ უნახავს, რისიმე მოსაკონ-მოსაპორად ან გასახვიადებელად მას სიბრძნე არ ექნა; ყველაფერი ეს აუწერია იპიტოპ, რომ „არ იქნეს დაკარგული“. თავის სახელსა და ვინაობას ავტორი აქ მაინც არ ავლენებს; სამაგიეროდ სხვა ადგილას ის უფრო გარკვეულად ლაპარაკობს თავისთავზე:

კელეყე მიწამან თე შანგიმ ამა წიგნისა წერასა,
სიტყუა დავხუნჯე ცთობითა, ვერად ვიუბენ ენასა,
სად მივსწუდებოდი საქებრად ამა ციერთა ზენასა,
თქმა რუსთველს დაჩა ლექსისა, ცედად ვიუბენ მე რასა?

ღმერთო. გიაჯი ისმინო, რომელი თაბორს ზიანი,
ღმეგრძელობაში აყმარე მეფეს შაჰნავაზიანი,
სუფევით იტახტოსნობდენ თვით თისი პირად მზიანი.
ეტლი საკეთოდ მოურთვე, არსით მოეზღოს ზიანი.

კახეთს ვიახელ მეფესა, მზეებრ მცხინარედ ტკბილია,
მიბძანა მათად საქებრად ლექსად თქმა გამოვლილისა,
რაცა მენახა, ვიუბენ მონამან მათის ჩრდილისა,
ვარდი მოეჭკრიფე უეკლო, ცუარით აესილი დილისა.

უსწავლელმან და უწერმან ძლივ გამოვაგენ ენანი,
ვერ ვაქე მათად საფერად, ამაზე მაჰკულა მე ნანი,
არ დამიგმობენ პასუხსა, თუ სადმე ნახუნ ბრძენანი,
მიმიხედებიან ნათქუამსა, მათ აქუს სიტყუათა სმენანი.

ზეცას ასულ ვარ საქებრად, ქუესკნელი მამირბენია,
ამოსაღლეთით დასავლეთს რაც ვნახე ვიუბენია,
ჩრილოეთი და სამკრეთი ერთმანეთს მოვაბენია,
სიტყუა მოეკრიფე, გასინჯეთ, თუ რაგუარ დაეაბენია.

აწ შემასმინეთ მეფესა სარჯელი გამიგონოსა,
საუბარნი და სიტყუანი ერთმანეთს შეაწონოსა,
წყალობა რაჟი უბძანოს, მონა არ დალონოსა,
სულზე მამასწრას რაცა სწადს, საქმე არ დააყონოსა. (გვ. 308-310).

ამ ამონაწერიდან ჩვენ ეტყობილობთ, რომ ავტორი პოემისა არის ვინმე თე შანგი, რომელიც. ჩანს, მეფე ეახტანგს თანდაპყევბოდა, სადაც კი წაყიდოდა ის: აღმოსავლეთს თუ დასავლეთს, ჩრდილოეთს თუ სამხრეთს (იგულისხმება საქართველოს ფარგლები). ამიტომ დასაჯერებელია მისი სიტყვა: „რაც მენახა, ვიუბენო“.

ვინ არის ეს თე შანგი? ამ თეშანგის იხსენიებს არჩილ მეფე „ძველთა და ახალთა საქართველოს წელექსეთა“ შორის:

თეშანგიმ თაშეიბერტყაძემ ახლა თქვა თირმალიანი,
სომხისკან კარგად ჩააგდეთ სიმძიმით ვით ლიტრიანი,
კებრალეზოდეს საბრალო ცხვირმოპორით თვალტრემლადანი,
მე ვათქვიფინე. მაგრამე ვერა თქვა მარლიანი!

არჩილის ცნობები საყურადღებოა მით, რომ ის არამე თუ მოსწრებია თვითონ თეშანგის. ერთი შომაპკი დაუწერინებია მისთვის, მაშასადამე, მას შემწველად. კარგად ეკოდინებოდა თეშანგის ვინაობა, და, მით უფრო სამწუ-

ხაროა, რომ ასე ცოტას გვეუბნება მის შესახებ. ფეშანვი. გვარად ფაშვიბეღაძე, უფილა გაქართველებული სომეხი, რომელსაც რალაც მიზეზის გამო, უხვირი ჰქონია მოჭრილი. აღმად ეს ცნობები აქვს ძველდებლობაში ზ. კიკინაძეს. როდესაც ამბობს, რომ ფეშანგ ბერტყაძე, ხედწოდებით ფაშვიბერტყაძევილი. გვარტამობით ქართველი იყო, ხოლო სარწმუნოებით სომეხი, რომ მისი გვარად განთქმული მებაზე უნდა ყოფილიყოვო!

როდის უნდა იყოს სახელდობრ დაწერილი თხზულება, რომელშიაც მოაბრობილია ვახტანგის თავგადასავალი და რომელისათვისაც თვით ავტორს უწოდებია შაჰნავაზიანი? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. თხზულება თავდება 1665 წლის ამბების აღწერით; ამ წელს შაჰნავაზი მიბრძანებულა არჩილის სახანავად კახეთს, სადაც თავსდასხმია მას ირაკლი ბატონიშვილი. სწორედ ამ ამბების დაწყებისას შენიშნავს პოეტი: „კახეთს ვიახელ მეფესა... მიბრძანა მათად საქებრად ლექსად თქმა გამოვლილისა“: მაშასადამე, თხზულება დაწერილია 1665 წელს: ის რომ უფრო გვიან იყოს დაწერილი. სხვა ამბებიც იქნებოდა შიგ აღწერილი შაჰნავაზის მეფობიდან. თხზულების დაწერა მოხდა თვით ვახტანგს უბრძანებია, მაშასადამე. ფეშანვი კარის წყობის უფილა. და ანტი აიხსნება ის აღწერებული ტონი მისი თხზულებისა, ის გადახრები და ვახვიადებული დასურათბატება ვახტანგისა, მისი ოჯახისა და მისი მოღვაწეობისა, რომელიც ამ პოემას პირწყაერდნილი ხოტბის ან ოდის ხასიათს აძლევს. შაჰნავაზიანის გარდა ფეშანვის არჩილ მეფის ბრძანებით ვთქვიციტივით „უთქვამს“ ფირმალიანი. ეს ფირმალიანი, რომელსაც ანდენიან ზოგი დაქარგულად სთელიდა, ზოგი კიდევ შაჰნავაზიანად. ჩვენ მოვძებნეთ, საკუთრივ მისი პროზითი დედანი და მის შესახებ ლაპარაკი გეჭონდა ზემოთ, საზღაპრო ეპოსის მიმხილვისას.

როგორც ზემოთყვანილი მონომობიდანა ჩანს, არჩილ მეფეს არ აკმაყოფილებდა ფირმალიანი, რომელსაც ის მძიმედა და უმარლოდ სთელიდა: მაინცდამაინც „მარილიანი“ არც შაჰნავაზიანია. დიდი წარმოდგენის არც ავტორია თავისი ლექსების შესახებ: „თქმა რუსთუელს დარჩა ლექსისა. ცუდად ვიუბენ მე რასაო“, ამბობს ის. მიუხედავად ამისა. ის მაინც სტედილობს ნიშანს რუსთუელს და მის მძღაერ გავლენას განიკდის. მის ნაწარმოებში ნაჩრად ვხვდებით ვეფხისტყაოსნის ეპითეტებს. ფრაზებს. პარაბებს და სურათებს: მაგალითად: პოეტს თუ „შეუშოკლდეს ლექსა ქართული, მაშინ ცეცხლი მოედებისო“, „ნახეს იგი მოყმე ეინმე, ჩამომხდარი წყლისა პირსა“: „მე უყეთ მოყკლავ. მე უკეთ. ვაქეცთა ჰქონდათ ცილობა“ ნადაროპისას, „მოვიდა ჯოგი საღიროა, მონღოკთა აღარ ეტია“.

„მოიჩანეს ყოველთავე, მასდღეს რაცა დაეკოცათ,
 დანაცდნეთა ისართაგან მიწა ერთობ მოეკოცათ.
 მეფესაგან დანაკოცი ნახეს, მეტად მათ ეოცათ.“

1) ქართული მწერლობა მეჭვიდმეტე საუკუნეში. გვ. 11. საკვლავდებობა. რომ ლექსები შეიღებისა და იორამ საკვლის დამოყრების წიგნი დაწერილია 1665 წელს. ახალი. ნიჭიარ-უეთის მკონსა, მწიგნობრის ფეშანგისაო“ (საქართველომ სიძველეები II ტომი, გვ. 10) ანუ არ არის რაიმე უცვირი ამ ფეშანგა და ჩვენ ავტორს ვთვით. რომელიც შეიღებია, მისი ლის მწიგნობრი იყო ისტყთნი და ინიტომ არის აქ „წოდებული. იმერელ მეფის. ანდენიანის მწიგნობრად“.

თქუეს: მოკლულსა ესე ჩუენსას ერთი ღირდეს მკონი ოკათო.

„ალარ კამს კირთა ეხსოვნა, ჩამოხედავს ტრლად ვის ცა“. — გლახაჲ: პიესტუ საქურტლე, მუდამ კარგისა მქნელია“, „შუბი უჯირავს წუერბასრა. ტა-სა სიმსსო აქუს მკლავისა“. თხზულებაში, როგორც ვეფხისტყაოსანში, მიზნულია სხვადასხვაგვარი სენტენციები, მაგალითად: „სიქუნწეა ნაძრახი. ბრძენ-თაჲცა ეს იწამესა“, „კაცო ლეთისა მიუნდობლად, ეს იცოდე. მალ წახდებას“. ანა და მთელი ტაეები, როგორც მაგალითად:

რამანც კაცმან ფიცი სტეხა, მოიძებნა მისთვის წესად.

შიში ლეთისა მოიძაგოს, იგი უნდეს უკეთესად.

მას სატანა ემოყურების, ბოლოს დასჯდეს ჩემებრ კუნესად.

ჩუენ ვეყოფით გზად და ხიდად. ნუ ვინ დაჩქეს უარესად.

მას ნუ მისდევ. რაცა ღმერთმან საქვე ნლონით არ აშენა.

არ გამოდგეს უგანგებოდ, რადგან შენად არ აშენა,

დაერიდე. არ მოილო შენზე მიწყი არა შენა.

ამით ჰპოეო ზეგარდამო სიტკბო დიდად არა შენა.

ნურეინ ხედავთ საწუთროსა ჰქონდეს თქუენი სიბრალელი,

ვერ გაუვალ მოსათქმელად რაც მასშია მისგან ქმნული.

დაუნდო და მუზანათი, სიავითა დანერგული.

მიგინდობს და შეგილიხლებს, ბოლოდ შეგქნას დედაგული.

პოემაში არის გავლენა ალაგ-ალაგ თეიმურაზ პირველისა და როსტომ პირანისა; უკანასკნელიდან ავტორს უნდა ჰქონდეს ამოღებული ტერმინი შარიერი — ხელმწიფე, ყიენისა და შაჰნავაზის აღსანიშნავად. სფაადი — ჯარის უფროსი, დიდებული, შაჰნავაზის სახელად. ხო შგ უარი (გვებდება ამირან-დარეჯანიანშია) — სასიამოვნო. მოსაწონი.¹

ლექსი ყოველთვის მუსიკალური არაა. გვებდება ნაძალადევი რითმები. პოეტური ცეცხლიც ყოველთვის მწველი არაა. თუშქა ალაგ-ალაგ საქმაოდ პობდენილს სურათებს ეპოულობთ, მაგალითად:

ზლუათა ნეჲვის ასულმან სინაღლით ნხესა დარია.

ცისა მისტაცა კამკამი, ქუეყნად მოჰვინა დარია,

მნათობთა შექნეს ჩივილი, პირმხის სეყდამან დარია,

• თქუეს: მისი ვართო მონანი. ვის რომ არა ჰყავს დარია.

სიბნელემან მისი შარი მოიძავა, ვადგა ველად,

შავი კუპრი გაირეცხა, სითეთრება იგდო კელად.

ცის კამკამი ჩამოეარდა მოწყალება დაუთვლელად,

მზე გუმბაზით ამოვიდა ქარბეულთათვის კმალოა მცველად.

სტილი ავტორისა სიწმიდის მხრივ ვერ აკმაყოფილებს. მოთხოვნილებასა. ავტორი ზომიერებას ვერ იცავს უცხო სიტყვათა ხმარებაში. განსაკუთრებით

¹) Н. М а р р и. ЖМНП. 1905 г. № 10, стр. 327

აკრედიტებულია მისი ნაწარმოები სპარსულ-თათრული სიტყვებით; მრავალი იმაში პროვინციალიზმები და პროვინციალური ფორმები, ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ზმნათა პრეჟიქტებში შა-ს ხმარება მმ-ს ნაცვლად.

ფემანგი ამავე დროს პროვინციალური პატრიოტია, დასავლეთ საქართველოზე და კერძოდ იმერლებზე ის მაინცაღამაინც მალალი შეხედულების არაა, აპირებს ასე ახასიათებს ის:

იმერვლთ ნღობა არა მაქვს. ანად რომ თიცთა ცრუ არი,

არ დაინდობენ პატრონსა, რაზომცა მოსცეს გუარი.

თავისი პოლიტიკური სოფლმხედველობით აეტორი მორტოფიალვა გაერ-თიანებული საქართველოსი, ის სწუხს იმ არევ-დარევის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის დროს ჩვენში და შესტრტის შაჰნავაზს, რომელმაც ერთ დროს თითქოს გააერთიანა დაფლეთილი ორგანიზმი საქართველოსი: მილიანი, განუყოფელი საშობლო. აი მისი იდეალო.

3. თეიმურაზიანი

ასეთს სახელს ეწოდებთ ჩვენ იმ საისტორიო პოემას. რომელიც შეადგენს არჩილიანის ნაწილს და მოგვითხრობს მეფის თეიმურაზ პირველის თავგადასავალს. ამ პოემაში. რომელიც დაწერილია 16 მარცვლოვანი რუსთველური ლექსით. გაბაასებულნი არიან ერთიმეორეში თეიმურაზ პირველი და შოთა რუსთველი. პოემა იწყება შესავლით, რომელიც ორი ნაწილისაგან შესდგება: პირველ ნაწილში აეტორი, არჩილ მეფე. მიმართავს სამგვამოვან, მიუწოდომელ და სახიერ ხეთაებას, გამოსთხოვს მას სიბრძნეს და, აღნიშნავს რა თავის ღვაწლს პოეზიის დარგში, ვრცლად ლაპარაკობს ლექსთა თქმის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, მეორე ნაწილში, რომელსაც საბელად ეწოდება „ძველთა და ახალთა საქართველოს შელექათათვს“, ის ჩამოსთვლის და შეაფასებს ევლას. ცოტად თუ ბევრად ცნობილს, მელექსეს, რომელთაც ეს შოთასა და ჩინიურაზზე დაბლა აყენებს:

ქართველთ ენითა მელექაე ვერ ეღარების ამ ორსა.

რუსთველსა ენა რიტორსა, მეფეს ალვისა ნამორსა,

ერთმანეთს რა ეაბაასებთ. უხაშს უყოფდენ ამბორსა.

იტყვიან ორნაე უკლებლად ამბავსა სპარსთა ნაქორსა:

ამის შემდეგ აეტორი შენიშნავს, რომ მას ბევრჯერ სმენია ცილობა რუსთველისა და თეიმურაზის შესახებ: „ამბობენ, სჯობს ეს მასო“. ამიტომ საჭიროოდ დაუნახავს მას გააბაასოს ისინი ერთმანეთს, რათა მკითხველმა თვითონ ვაშოიფვანოს დასკვნა. ვინ ვისა სჯობს.

გაბაასება შესდგება თერამეტი პასუხისაგან: ჯერ ლაპარაკობს მეფე, შემდეგ პასუხს იძლევა რუსთველი: პირველი თოთხმეტი პასუხი შედარებით

მოკლეს, მეუე აცხადებს: მე აღელვებული ვარ იმიტ, რომ გამოჩენილან ისეთი-ბი, რომელნიც არამც თუ გუადარებენ ჩვენ ერთმანეთს, შენ ჩემზე მალა გაყენებენ; ამ გარემოებამ მაიძულა მე გამოგებაასო შენ ჯავახს. მართალია. შენ სხვა პოეტებმა „გაგიოაეს“ ისე იგი — თავად, უფროსა გიცენეს. მაგრამ მე პირველობას ვერ დავითმობ. რა გაქეს საამაყო შენ: გითქვამს მხოლოდ ერთი ანბაგი, იმასაც ბოლო სხეებმა მიაბეს, ნუ თუ ერთის ანბის გარდალექ. ვა მოგანიკებს შენ ჩემს წინაშე უპირატესობას? შენზე უწინ შენებური ლექსი ჩაბრუბადემ სთქვა, ასე რომ ამ მხრეიაც ათა გაქეს რა თავმოსაწონი. მართალია. შენს ლექსებს ამდებან პირველი ადგილი ეკავა, მაგრამ, ხომ იცი, უმეფო ქალაქში მოურავიცი დადი კაცია, პატრონი რომ მოვა, იმან ადგილი უნდა დაუთმოს მას. მე „სად მეცალა ლექსისათვის“ ამდებან, ქვეყნის აობრება და უკულმართი ბედი მელექსეობისათვის დროს არ მაძლედა: ეხლა კი, როდესაც მოვიცალე დამელექსეობა დავიწყე, უნდა ჩამოდგე. შენი დიდება ისე დაიჩრდილება, როგორც მთეარისა, რა მზე ამოეა; შენს წიგნს ამიერიდან მნიშვნელობა ეკარგება. ის „კულად სძევს“. სხეა არა იყოს რა, რა ენაა შენი ენა?

რაც ენაა, ყველა გითქვამს, სომხური და მეგრული,
მე ოდენ ქართულს ენასა მართლად ავიცი სპასუელი.

თათრულიც გამოირევა, მიქია მათი არ სული.

შენ „ლაზოდ სთქვი, შემოილე ჯავახური ენა მძიმე.

მე კი — ხისიყურად პასუხს მოკცემ, ამომვიდე შენ ვინძი მე.

თან შენ არც ცოდნა შეგწეეს ჩემდენი. არც საღმრთო და არც საერო. ყოველს შემთხვევაში, თუ დამიმტკიცებ შენა უპირატესობას, მოგცემ გრემს დზედ ბოზარსაც დავიდებო.

რუსთველი ჯერ კრძალულებით და მორადებით ელაპარაკება მეფეს: სად მე და სად შენ. მეუფო! განა შეიძლება მონის შედარება პატრონთან, რე რას ვლირეარ თქვენს დარებას, ამხანაგი „შემადარონ:“ რა გაეწყობა, რომ ვილაც უვიცები ჩვენს ლექსებს ადარებენ ერთიმეორეს, რას აქცეე მაგას ყურადღებას. ვისაც რა უნდა, ისა სთქვას. მაგრამ, როდესაც მეფემ უქმხად და უდიერად. თან მედიდურად დაიწყო ლაპარაკი, რუსთველმაც ამოილო ხმა; ის ამბობს:

მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მოლექსენი ჩემზედ შენობს.

ვთქვი ჩემგან უწინ არაქმული, არც შემდგომ მოსაპოვარი.

ჩემი ლექსის ქება არამც თუ გაგივონია სხვისაგან, შენ თვითონ გითქვამს: მე ათინას გაზრდილი ვარ, იმ ათინას, სადაც თქმულა სიბრძნის მოპოება და შოენა შენ ტრახახობ საღმრთოს ცოდნით, მაგრამ არც ამაში ჩამოგვიარდები: როგორ ამბობ, რომ წიგნი გატულდება და მნიშვნელობას დაჰკარგავს, ეს რომ ასე იყოს, განა პეტროლომოსი ათარგმნინებდა ისრაელთა წიგნებს? განა შენი მონები გამოგართმევდენ მაშინ სიგელებს? შენ მე მიწუნებ ენას, მაგრამ შენ არ

*) აღბად იგულისხმება ის ნაწარმოები თეიურაზისა, რომელშიაც ის რუსთველის ავტორიტეტს მიმართავს ხოლმე, მაგალითად: ვარ და ზულბულნი. გაზახუხულსა და შემოდგომის შედარება და სხე.

მომანდები ის. რომელსაჲ „მძივედ გჩანს ენა ქართველთა?“¹ მე „მიჯნურ ვარ, ვის მნათობნი ვერ ურჩ ექმნეს ვერცა წამსა“, ჩემი ლექსი რომ ცუდი უთვლიყო. განა თამარი მე იმისთვის საჩუქარს მომცემდა, განა მისი ქება ანდებან არ გაკრებოდა? არა. შენ შეგიძლიან შეთვის ღირსებით და ხარისხით დაწიხლო. მაგრამ არა მეღუქსეობით.

ამ განყოფილებას არჩილი შემდეგი სიტყვებით ათავებს:

თუმცა უხვია თემურაზ, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს,
ერჯინება რუსთველს მედგრაღ, შეიტყუევით თუ ვინ დასცემს.

მეთუთხმეტე. მეუექსმეტე. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე პასუხი შეადგენს ლექსის საისტორიო ნაწილს. რომელშიაც აღწერილია საქართველოს მღვდამაღონა მეჩვიდმეტე საუკუნის პირველს ნახევარსა და მეათრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. თეიმურაზ პირველისა და თამარ დედოფლის დროს; ეს ნაწილი ააღვეს ჰომეანს საისტორიო ეპოსის ხასიათსა და შინაარსს. უდიდესი ნაწილი ამ განყოფილებისა წარმოდგენილია მეთუთხმეტე პასუხში, რომელსაც ეწოდება: „ამბავი მოწყალისა და მოსაზართლისა, სახელოვანისა და მრავალჯერ სახელოვნად გამარჯვებულისა, ბრძნისა. რიტორისა და ფილასოფოსისა მეთვის თეიმურაზისა, მოთხრობით ყოელისავე, რააცა სიყრმით აღზრდითგანვე, ვაჟაკობით. სიბერით სიკუდილამდის ეშრომა და გარდახლოდა“.² თეიმურაზი ეუბნება რუსთველს:

ისინე ჩემი ამბავი, სიყრმითგან ვით ვხი გოდებად.
სიბერით სიკუდილამდისი სამუდამოდ ცეცხლთა მოდებად,
მართალი არ თუ ტყუილი, არ მიზეზისა მოდებად.
რაც მახსოვს ყველას გაამბობ, არ მინდა სხვაგან მოძებნად.

ანის შემდეგ ის მართლაც იწყებს მოთხრობას, პირველი პირით; იწყებს თვისი პაპის ალექსანდრესა და მისი ოთხი შვილიდან, რომელთაგან ერთი, კონსტანტინე. ყვენს მისცეს, ხოლო მეორე, ერეკლე, სტამბოლს წავიდა, დანარჩენ მძებნი დავითმა გიორგი ციხეში ჩასვა და მამას, ალექსანდრეს, კახეთის ტახტი წაართვა. იმეფა ექვსი თვე და გარდააცვალა, რის შემდეგ ტახტზე კვლავ ნახუცი ალექსანდრე ავიდა. ობლად დარჩენილი თეიმურაზი დედამისმა ქეთევანმა, გიორგის შიშით, ყვენს გაუგზავნა გასაზრდელად. ამ დროს შაჰაბაზმა სპარსეთით საქართველოში გამოგზავნა კონსტანტინე და მოაკვლევინა მამა და ძმა გიორგი; კონსტანტინეს დიდხანს არ უმეფნია, ის კახელებმა მოკლეს, რის შემდეგ კახეთის მეუფე ყვენმა წარმოგზავნა თეიმურაზი. აღწერილია თეიმურაზის

¹) ავტორის ნიდეველობაში აქვს თეიმურაზის სიტყვები ლეილა მეჯნუნიანში:

საარსთა ენათა სიტყობან მისურვა მუსიკობანი,
მძივე ენა ქართველთა, ვერ ძალმიც მისებრ თხრობანი.

²) ეს ნაწილი პირველად გამოსცა ტფილისში პ. იოსელიანმა 1853 წელს და უწოდებდა „ქეთევან მეფის თეიმურაზ პირველისა“, ხოლო მეორედ ქუთაისში, 1888 წელს, ლაერენტი სანიკაძემ არჩილიანის სახელით.

დასუნება, მისი შესვენება. მეუფე კურთხეა, გურიელის ქალის ცოლად შე-
ოთვა, ნადირობა და შექცევა, დედოფლის გარდაცვალება და გლოვა, ყენის
მიერ დაბარება თეიმურაზისა, გლოვიდან გამოყვანა და ლუარსაბ მეფესთან და-
მოყვრება. შაჰაბაზის თავდასხმა და ლუარსაბისა და თეიმურაზის იმერეთს გარ-
დაიფენა. ლუარსაბის თავის მოკვება. თეიმურაზის კახეთს ჩაყვანა, სპარსთა
კვლავ შემოსევა და დაპარკება. თეიმურაზის იმერეთს გარდასღია, იქიდან
ზვანთქართან წასღვა. ამირგულ-ხანის დამარკება, სპარსთა შემოსევა ქართლ-
კახეთში, მათი ამოკლევა დიდი მოურავის და ზურაბ ვრისთვის შეჯანხმებით.
თეიმურაზის ჩამოყვანა და ქართლ-კახეთში გამეფება, ალგეთის ომი, მოურავისა
და ზურაბის დაქმნება და ამის გამო საქმეების არევა, ბახალეთის ომი, ზურა-
ბისა და თეიმურაზის განწყობილება. თეიმურაზის კახეთს ჩასღვა და მოღვა-
წეობა. როსტომ მეფესთან დამოკიდებულება, როსტომის მალაროს მისღვა დი-
ღის ლაშქრით. მისი დაპარკება და გაქცევა. ამით თავდება თეიმურაზის მე-
ოთხანეტე პასუხი: მისი მოთხოვნა, ტრალიზმით აღსაყვ, ზედმიწევნითი და
დეტალურია: არ გამოპარვია მას აოც ერთი ფაქტი მეჩვიდმეტე საუკუნის პირ-
ველი ნახევრის ისტორიისა, რაც კი შეპატრიანეს აქეს აღნიშნული: ამ ფაქტებს
არ უფრო განაგრძობს სხედასსევა დეტალებით, თან, რაც უფრო საყურადღე-
პია. გადმოგვცემს მრავალ ისტორიული ხასიათის ამბებს, რომელნიც შემატია-
ნესა და სხეა დოკუმენტებიდან არ ეიცით. ამ მხრივ ეს პოემა საუკეთესო საის-
ტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს, ასე რომ ვახუშტი ბატონიშვილი თავის მა-
ტიანეში, უმეტესად შენიშვნებში, აზერთხელ უჩვენებს ამ პოემის ცნობებსაც.
მართალია. ის შეიცავს ზოგიერთს განსხვავებას მატრიანესთან შედარებით, მაგ-
რამ უმნიშვნელოს: მაგალითად, პოემაში ნათქვამია, რომ თეიმურაზი მეუფე
მცხეთას ეყურთხოა, ნამდვილად კი, როგორც ვახუშტიც აღნიშნავს ამ წი-
ნააღმდეგობას. ის ბოლბეის კურთხეულა (ქართლ. ცხოვრება II, 114).

მეთუთხმეტე პასუხი რუსთველისა ისეთივე საისტორიო ხასიათისაა, რო-
გორც თეიმურაზისა: იმას ეწოდება: პასუხი რუსთველასა, რომელი მოახსენა
მეფესა. თამარ დედოფლისა და ბუფელცა წოდებულისა მის ეამის ნაქნარნი ომნი
და მის დროს საქართველოს დიდებულთ ნაქნარნი სახელნი. რომელი სწერია
ცხოვრებასა საქართველოჲსასა ვრცელად, აწ შემოკლებით ითქვა
ლექსად. უნდა შევნიშნოთ წინასწარ, რომ ეს პასუხი რუსთველისა ყველა
ნუსხებში არ არის; მაგალითად, არ ყოფილა ის იმ ნუსხაში, რომელიც დედნად
ქონია პლ. იოსელიანს, არ არის ის წერა-კითხ. ნუსხაში № 1729; მაგრამ
არის ის ისეთს უძველეს ნუსხებში, როგორცაა წერა-კითხ. №№ 426 და 2663,
აგრეთვე საისტ.-საეთნოგრაფიოს № 2116, არის ის ლ. მაჩიტაძის გამოკე-
ნაშიაც. ალბად ზოგიერთ გადამწერთ ზარბუნებრივად მიაჩნდათ თეიმურაზის
ცხოვრების მიმდინარეობა და მთლიანობა დაერღიეთ ან, როგორც მეთექვსე-
თე პასუხშია ნათქვამი, აეშალათ მეთორმეტე საუკუნის ამბების შიგ ჩართ-
ვით. რუსთველი თავის პასუხს იწყებს ასე:

ბელმწიფევე, თქვენი ამბაეი ვასმინე, რაც გამიხსენე,

მეც რას დროსა ვარ შემსწრობი, მიყურეთ, თქვენც მომიხსენე.

შეკირვებისა საკრველი ინებე აწ მომიხსენე,
თუ ტუილი რამ გიანბო, მაგინე, ავად მახსენე.

მეფეო, მიკვირს ეგზომი თავს ღვაწლი აწამენითა,
ართუ გვენახოს ძველდაც, ამბად ვართ ძველმოსმენითა.
მაგრამ მელექსეთ ჯობნება არა ეთქვა აწ ამ ენითა,
თვით მომკლა, ამიავარო სახლ, მარან, აწამენითა!

არც მეფედ შეგედარები და არცა ომსა ხელითა,
არც ძალად, გულად, სიფიცხით რამე გკრა ხელსა ხელითა,
თუ მელექსეთა მედრები, ჩვენა ვართ არ ერთ ხელითა,
მე რიტორი ვარ, მიჯნურნი შევამკე ხელი ხელითა.

ომნი ძლიერნი ნაქნარნი მიბრძანე სახელოვანი,
ქირნი, სარჯელთა მოთმენა, მართ მსგაენი ნობისანი,
ხან დამდაბლება ბედისა, ხან ამალლება სვიანი,
მეც რამ მოგართო პასუხი, მისმინე, ეთქვა რამ ჭკვიანი.

ამის შემდეგ პოეტი ზოგადი შტრიხებით აგვიწერს თამარის განუფებას, მის ეთეროვნებას, სიბრძნე-გამგებლობას და საქართველოს საზღვრების გაფართოებას და ჰყოფს თავის მოთხრობას შემდეგ თავებდ: 1) ლაშქრობა თამარ მეფისა ქვეყანასა კარისასა, 2) აქა ომი კახასის გამრეკელისა, 3) აქა თურქნი მოუხდენ შაეშეთს და გოზან აბულისძემან შეყარა ტაოელნი, კლარჯელნი, აქა ბოცო და მესხნი და გაემარჯვა, 4) აქა სალირ მთარგრძელის შვილთაგან, ზაქარია და ივანესაგან, ღვინის ქვეყნისა მიხლომა და გამარჯვება, 5) აქა ზემო საქართველო ზემოთ, შუანი შუათ, ქვემონი ქვემოთ იბრძოდენ და ყოველგან ამათ გაემარჯვებოდათ სეითა თამარისათა, 6) აქა რუსთ მეფის ძემან, რომელ იყო პირველი ქმარი თამარისა, ილაშქრა პართის ქვეყანასა და ნოარბია და ციხე აიღო, 7) აქა გელაქუნის მოხრება თამარის ლაშქართაგან, ზოწვეა და ამათგან გამარჯვება, 8) აქა ასთან აწვია ლაშქარი განძას, და მოასა მასისისასა და დიდი ომი გადაიხადეს და გაიმარჯვეს ქვრეტითა თამარისათა, 9) აქა რუსთ მეფის ძე ექსორია ყვეს და სტამბოლს გაგზავნეს, 10) აქა რუსი რომ განაძეს, თამარს შერთეს ოსთ მეფის ძე დაეით, კაცი სრული სიკეთითა, ამისად შემდგომად იზრახეს გუზან, პატრონმან შაეშეთისამან, სამცხის სპასალარჰა ბოცო და მისთ მოკიდულ მესხთა, ყვარყვარე-ციხისჯვარელმა, და მიიყოლეს იმიერნი. დადიანი, გურიელი, აფხაზი და სხვანი, და მოიყვანეს რუსი და შეებნეს დაეითს და ამერთა; 11) აქა ამაე გუზან ქართლელნი შეყარა თორმეტი დროშა კაცი და მოვიდა კოლას, დახედა ფანასკერტელი ზაქარია და გაემარჯვა; 12) აქა თამარს ძე მისცა ღმერთმან და მამის სახელი დასდვა, გიორგი, და ლაშა დაურთო ზედა, რომელი გამოითარგმანების ქვეყნის განმანათლებელი; 13) აქა ლაშას ბედზე გალაშქრება და გამარჯვება, 14) აქა კარსა და აზრუმზე გალაშქრე-

ბა და ანადალის მოშველება და ოპი: 15) აქა გელაქუნად გაეიდეს, ჩაიარეს ხაჩიანი, ჩავიდეს ქვეყანად ყვარყვარისად ბალაყუნად, მოარბიეს განძის კარი, ამოვლეს და დიდი ომი იხადეს და გაიმარჯვეს: 16) აქა შიარბძელნი, ზაქარია და ივანე, ძენი სარგის მხარგრძელისანი, წარვიდეს, რახანის პირო მოარბიეს და დეინელი და ამბერდელნი, მაჯანელნი სამეკობრედ წამოსულნი დაეუენ და გაიმარჯვეს: 17) აქა ივანე მსახურთუხუცესმან დაეით შეეუ აწვია გელაქენს სპარსის ბოზორის გორლა ქვეყანასა და მოარბიეს, აიღეს სიძრავლე ტყვისა, პირუტყვისა, შემსგავსებელი ქეიშისა: 18) აქა იგი ბეჯერული რუსი ნაშინ, ოდეს ლტოლვილი ხელთიგდო და არა ავნო და განუტევა, მივიდა ერანის ათაბაგთან, და მისცა ქვეყანა არანისა, შეყარა ლაშქარი და მოვიდა ბისიხს, კამბეჩოვანს და შიგნითი მინდორი მოარბია, წაეწია მახატელის ძე ხორნაბუჯელი და გაემარჯვა: 19) აქა შარეაშასაგან ლომის ბოკეერის მორთმევა თამარ მეფისა: 20) აქა ერანის მპყრობელი ბობქარ მოვიდა შირვანს. შარეაშე აღსართან განოადო, და თამარ მეფეს შემოეხეწა, ამან ილაშქრა და გაიმარჯვა: 21) აქა ნხარგრძელი ივანე მსახურთუხუცესი გელაქუნელი ნიუზდა, განძელი ლაშქარი დახუდა, ვანს მიმავალი, და გაემარჯვა: 22) აქა ნუქარდინ, სახერძევისა და პალესტინის სულტანმა, ოთხასი ათასი კაცი შეყარა და ლაშქარად განოგზავნა და წინ ელჩი გამოუგზავნა თამარ დედოფალს და ეს შემოუთქვალა: 23) აქა თამარ დედოფალი გეგუთს იღვა და მხარგრძელნიც იქ ააღდენ, მიუზდა არდავილის სულტანი ანისს, რომელი გათენდებოდა აღესებად და მოაოხრა და მოსოა და წარვიდა: 24) აქა ზაქარია ამირსპასალარმა, მისმა ძმამ ივანე მსახურთუხუცესმან და გაგელმა მეფეს თამარს ხორასანზე ლაშქრობა განოურჩიეს. მეფემა კ ალაშქრა: 25) აქა ზაქარია ამირსპასალარი, ძე სარგის მხარგრძელისა, წიი კვალა და მის ძმას, ივანე მსახურთუხუცესს, უბოძა ამირსპასალარობა: 26) აქა დიდონი განუდგეს თამარ მეფეს, ივანე ათაბაგი გაუსივა. ხადის მთაზე ავიდა. ისე მთამთა ჩაიარა, მიუზდა, გატეხა, დამძველა და გამარჯვებული მოვიდა. ეს თავი სრულდება პოეტის ელეგიური ეგნესით პირმინა თამარის გარდაცვალების გამო.

როგორც ვხედავთ, ამ პასუხში აწერილია თამარ დედოფლის მეუობა მართალია შემოკლებით (ზოგიერთი თავი თითო ტაყბითაა გადმოკვეთული, მაგრამ ყველა თითქმის მნიშვნელოვანი ფაქტების აღწერებით. რუსთველს თავისი თავი გამოჰყავს არა თუ თანამედროვედ აღწერილი ამბებისა, არამედ ნონაწილედაც: მე აქა და აქა ვახლიო, ჩვენ ასე მოვიქცეთო და სხვა, ამბობს ხოლმე ის ისტორიული ფაქტები აწერილია იმ რიგითა და თანმიმდევრობით, როგორც ქართლის ცხოვრების შარამ დედოფლის ვარიანტშია: აჩილს რომ ხელთაჰქონდა სწორედ ეს ვარიანტი, ჩანს იქიდანაც, რომ ზოგიერთი გეოგრაფიული თუ სხვა საკუთარი სახელები იწინააღმდეგე დამახინჯებული სახითაა მოყვანილი პოემაში, როგორითაც ამ მატიახეში. თეიმურაზის ცხოვრებაში აჩილს უსარგებლნია თეიმურაზის თანამედროვეთა და თვითნხილველთა გადმოცემული ამბებითა და ცნობებით, ამიტომ ეს ნაწილი, ფაქტობრივ ნაწილთ, გაცოცხლებით უფრო დიდი და ცოცხალია, ეიღრე მატიახეს შესატყვისი მოთბობა;

თამარის ცხოვრებაში კი მას ასეთი წყაროები და ცნობები უკვე აღარ ჰქონია, ანტიტომ ეს ნაწილი მშრალი, შემოკლებული გადმოცემაა მატრიანისი.

მეთექვსმეტე პასუხი, რომელიც ყველა ნუსხაში არაა (არაა ის პ. იოსელიანის გამოცემაშიც). იკითხება ასე:

თ ე ი მ უ რ ა ზ ი:

კარგა ბრძანე ყველაჲი. მ-გრამ თავი რით იმართლე,
ბევრი ვქენო საშოვარი, მოვარბიე მქ საფართლე,
სიტყუა ბრძენმან მეღეკსემან რა აანთე, რა განათლე,
შენ გითქვამს. აწ მეც ვიტყვი. ვინ გამოვიჩნდეო უუმართლე.

მე ანად ვთქვი დიდება და მერმე ქირი და სარჯელი,
ორივ გონებას მისტაცებს კელავ მეფობის სჯა სასჯელი,
შენ ეით გამართლდე მაგითა, მესხი ომობს და კლარჯელი,
თქვენ თანარს გვერდსა ახლავხართ, იგი გიზის პირნათელი.

ბასიანის ომში რომ სთქვი, იქ სად იყავ თქვენ მაშინა,
თამართან არ იბღუნძოდი, ოძრბევსა, ვითა შინა,
რა გინდ ბევრი უოფილიყვენ. აგ-ე ოოგორ შეგეშინა,
ომის დღესა ქალებთან ხარ, ვაი თუ სისდლემ ავაქშინა?

გევხარ ბულბულსა ვარდისას, ჩირვესა ჯდეს, ქუკუკის მგონარობს.
იძახის ფერადფერადად მისად სამკობლად ონარობს.
შეფრთინაეს ყოკლი სასნენლად, იგ ასე მოსაწონარობს.

ბევრი ვითხარ ჩემი საქმე, აწ ბოლოსაც ყური უგდეს,
რადგან სიტყუა ამიშალე, ესეც მაგად არ დამიგდე,
სხვათ ნაქნარი საქმეები პასუხად სთქვი თუ ამიგდე.
სხვას ღონესა ნულარ ეძებ. კარი მაგრა წამოიგდე.

რ უ ს თ ვ ე ლ ი:

თქვენც არ ბრძანეთ მაგისთანა ომები, რომ თქვენ არ იყავთ,
სხეასაც ბევრსაც დავხდომივარ დიდს ლაშქარსა, ვითარ იყავ?
ამას ბრძანებ: რად არ მოჰკვდი, ან ლახვარი არა იყავ?
ეგ ვერა ვქენ, ბატონი ხარ, რაც გერჩიოს მუქჟად მიყავ.

მეჩვიდმეტე პასუხი თეიმურაზისა, რომელსაც პ. იოსელიანის გამოცემაში აწერია „ჰსჯა მეფისა თეიმურაზისა“, წარმოადგენს გაგრძელებას თეიმურაზის თავგადასავალისას. აქ აწერილია: როსტომ მეფის თიანეთს მისულა და აქ თეიმურაზის დამარცხება, გადატანა ბრძოლისა ქიზიყში, სადაც მოკლეს თეიმურაზის ძე დავითი, დედოფლის მოსლვა როსტომთან და იმერეთისაკენ გზის გამოთხოვა, გადასლვა იმერეთში. თეიმურაზის წასლვა ოდიშს ლევან დადიანის და მამუკა ბატონიშვილის შესარიგებლად, უმცროსი შეილისშვილის გარდაცვა-

ლუბა და მეორის, ერეკლეს, რუსეთს გაგზავნა, ჩამოაქვლა თხზულებებისა, რომელნიც თეიმურაზს დაუწერია იპერეთში შეიღი წლის განმავლობაში. პასუხი დაედება ასე:

გითხარ, სალექსე დროები არ ოდეს არ შემომესწრო:
ან მოსვენება მენახა, ან ჯავრისათვის დამესწრო,
მაშინ მნახედილთ თამამად, თუ შენათვის მე არ წანესწრო.

ამაზე რუსთველი აძლევს შემდეგს, მეჩვიდმეტე პასუხს თეიმურაზს: ¹

მე მაგისტვის ვთქვი სულ სრული, დროც კი მქონდა, ხანიცა.
ეინ ბედმა დასცა მიწადა, მერმე სხვისაგან ხანიცა,
სალხინო ანუ საქირო, გულისა მოსაფხანიცა,
ტარიელ თუმცა ვარდსა ჰყრეფს, ეკალიც ხანდახანიცა.

მარგალიტი მაშინ სწორი შეიქნების. რა ეს მოხდეს.
სადაუს პირი გააპობდეს, სწორად ცვარი მგრავალი მოხედეს,
აეი ქარი წვეთს არ სწყვეტდეს, თუ გაწყვეტოს ის კი წახდეს.
მრულს იეთად სყადულუზდენ, ობოლს ვეოვინ დაათასდეს.

ამას მიჰყვება „პასუხი კვალად მეუისა [მეთვრამეტე]“, რომელსაც პ. იოსელიანის გამოცემაში აწერია: „სიტყვა მეუისა“. აქ აწერილია თეიმურაზის გამგზავნება რუსეთს, როდესაც ის 70 წლისა იყო, მიღება მისი რუსის ხელმწიფის მიერ და იმედგაცრუებულს უქანვე, იმერეთს, დაბრუნება. აშთარხანს რომ მოუღლა, მას გაუვია იმერეთს დარჩენალის შეილისშვილის გარდაცვალება. რასაც მაზედ საშინელი შთაბეჭდილება მოუზდენია; ² იმერეთში კიდევ დედოფალი დაბედროია მკედარი. ამის შემდეგ აწერილია ლევან დადიანის სიკვდილი და მეფის აღქესანდრესაგან ოდიშის, გურიის და აფხაზეთის დაკავება, აგრეთვე სიბერით მოუძღურებულის თეიმურაზის შაჰაბაზ მეორესთან წაბრძანება. ყენისაგან მისი შეურაცხყოფა, ასტარაბადს გაგზავნა და გარდაცვალება.

რუსთველის პასუხი (მეთვრამეტე) აღარ არის, რადგანაც მოკამათე თეიმურაზი უკვე მკედარია, ამის მაგიერ პოემა თაედება აეტორის, არჩილის, სიტყვებით (სულ 22 ტაეპია), რომლითიც ის აგვიწერს თეიმურაზის ნეშთის მოსვენებას სპარსეთიდან და დასაფლავებას, აგრეთვე იმ პირობებს, რა პირობებშიაც დასწერა მან ეს პოემა.

ასეთია შემადგენლობა და შინარსი ამ პოემისა, რომელშიაც მთელი თავისი სიმწეავით წარმოდგენილია უღმობელი სინამდვილე ჩენა ცხოვრებისა

¹ ეს პასუხი რუსთველისა პ. იოსელიანის და ლ. მაჩიტაძის გამოცემაში არაა.

² წერა კიბ. ხელნაწერში № 1724 და პ. იოსელიანის გამოცემაში ეს ერთს ტაეპია გადმოცემული, ხოლო ხელნაწერში № 2156 ხედმეტი 13 ტაეპია, რომელშიაც აწერილია, თუ როგორ აუწყეს მას ეს საშინელი აპავე ყებება და რაგვარი შინაგანი და გარეგანი პირობებით და ღირსებებით იყო აღუჭრელი განსულებული.

მეჩვიდმეტე საუკუნეში და გულშემბარავი ტრალიკული თავგადასავალი გეოგნოსიანი პოეტისა, რომელსაც ბედის სიმუხთლემ სიკვდილის წინ ელეგიურად ათქმევინა:

სოფელი ჩემის ცემითა არ დამერა, რაზომ დამჯილა,
ველარ გაგიძლებ სიციცხლეს, რომ მოვეუდე, იქაც დამჯი ლა,
ყოვლის ლახერითა დამკოდე, ერთი გაკლია ბარჯი ლა,
ჩოხა ჩამიცვამს, მიეცვლილვარ, აღარ დამასო თავს ჯილა.

თვით არჩილი ამბობს: „მეფეთ ამბავი მეფემან შეეკრიბე საქართველოთა“
„რაც მასწოდა ან მენახა, ამავე ვთქვი მე მართლებიო“. მართლაც, პროზითა
წინასიტყვაობაში ის გვამცნებს: „მეფის თეიმურაზის ამავე თვითმნახავთა და
თანაახლთ მისთ უნათ ქართველთა და კახთაგან მსმენოდა, არა ხოტბა. არანედ
მართალი. რამეთუ ათორმეტ წელ კახეთს ემეფობდი, მისნი დაზრდილნი და
ნამსახურნი დარბაისელნი გვერთს ჰაალდენ, ვკეთხავდი ნაქმარსა მეფისას და
მიამბობდესო“. უსაქმო და მოწყენილმა კაცმა „სხვას ზღაპრულს ამბავს ესე
მართალი ამბავი ვაჩივი გასაღეკსავად და არკარა ამაში ტყუილი სწერია ერ-
თის, მეფისა და რუსთველის პირდაპირ გაბაასების, მეტი“. აქვე ავტორი
გვირკვევს იმასაც, თუ სად ან როდის დაწერა მან ეს პოემა: თეიმურაზის
ამბები, გადმოგეცნეს ის, მსმენოდა, სხვათა შორის, კახთაგან. „რამეთუ ათორ-
მეტ წელ კახეთს ემეფობდი... ოდეს კახეთით იმერეთის დასაქერად წამოველ-
სამწელ არამცირე სასჯელი ვნახე და მეოთხეს წელს დაეიკირე, ენკენისთვეს და
თიბათვეს ხვანთქარმა სუაზს აქეთი ლაშქარი გამომიხია, და მეფე და გუიელ-
წინ მიეგებნეს და ზოგნი იმერელნი დარბაისელნი; და ყანმა ადრიბეჯანის
ლაშქარი ქართლსა და კახეთს პირს მოუყენა, რომელნიც იმერელნი მე ნახლდენ,
ზოგი იმათაც იქით ირჩიეს, და დვალეთს გარდმოველ, დედოფალი იქ დავ-
ყენე და მე იქვე იმერეთს ჩაველ, და იქილამ ოსეთს ფაიქომში გარდმოველ და
ერთს წელიწადს იქ ვიდექ, ვითაც მოწყენილის კაცის წეია“, ამას წერას
შეუღდექო.²

პოემის ბოლოში (წ.-კიოხ. № 2663) ავტორი ამბობს:

ვიწყე ოდეს ესე წიგნი, წლისა ვიყავ სამათ ოთხტნით.
დასაბამით წელიწადი ეს წასულა ჩემ არ ბასტნით,
შვილიათას ას ოთხმოც ცხრას სათვალავს ნურას დასტმანსით.
ეს ჯდებოდა ქორონიკენად, სხვას ასოსა რუ დამეტნით.³

აქედან ჩანს, რომ პოემის წერა არჩილს დაუწყია ოსეთს, სოფელს ფაი-
ქომში. დასაბამით 7189, ან ქრისტესით 1631 წელს, როდესაც ის 34 წლის
იყო. თვით პოემაში „ნურაბ ერისთავის სიკვდილის“ შემდეგ და „მეფისთვინე-
რაზის ულუკოსოს მიხდომის“ წინ ეკითხულობთ: „ამას ზეით ოსეთს მითქვამს.
ამას ქვევით ვიტყვი რუსეთს-“ო და—„ამას ზეით ლექსები... ოსეთს არის ნაღ-

¹ Е. Такайшвили, Описание II, 141—142.

² Ibid, стр. 141—142; თ. ჯორდანია, ქრონიკენი II, 198.

³ Е. Такайшвили, Описание II, 164.

ვაში ქორონიკონსა ლექსით, ორმოცს დღეს⁴. გამოდის, მთელი წინანაწილი, პოემისა, 517 ტაეპი, არჩილს დაუწერია ფაიქომში, ხოლო დანარჩენი ნაწილი 430 ტაეპამდე) ოსეთს, ქ. აშთარხანს; სულ თხზულება მას ცხრა თვის განმავლობაში დაუსრულებია, როგორც ამას თვით ამბობს პოემის ბოლოს:

ცხრა თვეს ყველა გავათავე სულ ამაზე არ მოცილიმა,
ოსეთს ვიყავ ფაიქომში, საქართველოს გამოცილიმა,
რად ამაზე გამაცალა სოფლის ბრუნვამ, ვითა ჩრდილმა,
აქ, აშთარხანს, გავათავე არჩილ მეფემ, ასრე ზრდილმა.

ოსეთში შეთხზული ნაწილი მას დაუწერია, როგორც პოემის შემოწყვანი-
ლი შენიშენიდანა ჩანს, 40 დღეში, ხოლო ხელნაწერთა №№ 426 და 1729 პრო-
ნითი წინასიტყვაობით, ორს თვეს;¹ ძნელი დასაჯერებელია, ნახევარზე მეტი
თხზულებისა ორს თვეში (მით უმეტეს 40 დღეში) დაეწეროს ავტორს, ხოლო
ნაკლების დაწერას ზვიდ თვეს მოსდომებოდეს, ამიტომ ჩვენ გეგონია, რომ უფრო
წერია ხელნაწერის № 2663 პრონითი წინასიტყვაობის ტექსტი, სადაც ორი
თვის მაგიერ ოთხი თვეა ნაჩვენები.² ამნაირად, მთელი პოემა არჩილს დაუწე-
რია 1681 წელს. 517 ტაეპი ოსეთს, ფაიქომში, ოთხი თვის განმავლობაში, ხო-
ლო დანარჩენი 430 ტაეპამდე აშთარხანს, ხუთს თვეში.

პოემაში წარმოდგენილია ეპოქის ისტორიულ სინამდვილესთან ერთად მისი
წინაგანი ყოფა-ვითარების მხარეც: ოჯახური ცხოვრება, სმა-კამა, გართობა,
განსაკუთრებით ნადირობა, ომის წესი და წარმოება, საერთოდ თანამედროვე
წინე-ჩვეულებანი. ის გამსჭვალულია სარწმუნოებრივ-ზნეობრივი და პატრიოტუ-
ლი ტენდენციით. რაც რელიგიურად გამოუთქვამს ავტორს დიდი მოურავისა და
ზურაბ ერისთვის საქციელის შეფასებისას (მათ ცოლშვილი შესწირეს სამშობ-
ლოს კეთილდღეობას. როდესაც მათ მიერ მოყვანილი სპარსეთის ჯარი გაანა-
ვკურეს ჩვენში) შემდეგი სიტყვებით:

სახელისთვის მათ ცოლშვილი ორთავ დასთმეს, ეს იცოდეთ,
ვინ არ მიჰყევთ მათ საქმესა, არ იცით რომ დიდად სცოდეთ?
სჯულისა და ქვეყნისათვის რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ,
აწ ეს ქმენით ქართველებო, ანდერძსავით შეილს ეტყოდეთ.

თხზულებაში ჩვენ გვხვდება არაერთი და ორი ღრმა ლირიზმით აღსავსე,
გულდამწუველი ადგილი. განსაკუთრებით იქ, სადაც ავტორი დასჯირის ქვეყნის
გაღვირანება-გაპარტახებას, თავის პირადი ბედის უქულმართობას, ცხოვრების სი-
მწუთელსა და ვერაგობას. შინაურ არე-დარევესა და გაუტანლობას. ნამდვილი
წედვერია ამ მხრივ განსაკუთრებით ის თავი, რომელსაც ეწოდება: „მეფის
თეიმურაზისაგან დედოფალსა ზედა მწუხარება და მგლოვარება დიდი“, ეს შეუ-
ღარებელი ნიმუში ქართული ელევგისა. ამ ელევგიაში ავტორი წარმოდგება
ჩვენს წინაშე აპასთანავე როგორც შესანიშნავი პორტრეტისტი, რომელსაც
მოუცია ჩვენთვის მეტად ცოცხალი სურათი გარდაცვალებული დედოფლისა
დასამატებლად შემდეგის, წინათ ზოგადად მოსმული. შტრიხისა:

¹ В. Е. Такайшвили. Описание стр. 112.

² Ibid.

- არას ვიტყვი, თქვენც გასმიათ ქება, არ თუ ცუდი ხოტბა, პირად ბროლი, ბაგე ძოწი, თვალებია გიშრის ხოტბა, იმა ბულბულის საფერონი, შაქრისაგან უფრო მოტკბა, ანუ არ მითქვამს ნათალი, ბრძენთა უთქვამს იქ შემოკრბა.

წმენიეოია აგრეთვე ბუნების აღწერილობანი, რომელთაც ხშირად ვაუღვრებით პოემაში. მაგალითად:

მაისი დადგის ტურფადვე, ვარდი აყვავდის ბალებსა,
ველნი ყვავილით შეიმკის, ჰგვანდის წითლითა ნალებსა,
ბულბულთა ყეფა ისმოდის, ვერ ესქვრეტლით სულდანალებსა.
მე ვინ მნახვედის იმ დროსა ულხინოდ, სუფრანალებსა.

დასასრულ ვართხელ და საზუღამოდ უნდა უკუგდებულ იქნეს ის ცალბე შეხედულება. ვითომც „ცხოვრება მეფის თეიმურაზისა“ სხვა თხზულებაა და „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასება“ სხვა; ეს არის ორი ნაწილი ერთისადაიმავე თხზულებისა, რომელსაც ეწოდება „პატრონის მეფის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბამის რიტორის რუსთველის შედარება“. ან მოკლედ თეიმურაზიანი. უნდა ბოლო მოვლოს იმ გაუგებრობასაც, რომლის მეოხებით, როდესაც არჩილიანს ასახელებენ, გულისხმობენ ამ თხზულებას და ამ პოემაში: ამოსწორავენ არჩილიანის შემადგენლობას. 1

4. დიდმოურავიანი.

ასეთი სახელი ეწოდება საისტორიო პოემას. რომელშიაც რუსთველი უშვირით გალექსილია ცხოვრება და ღვაწლი დიდის მოურავის. ვიორგი სააკაძის, და რომელშიაც გაშუქებულია აუტანელი მდგომარეობა ქართლ-კახეთისა მეზიდმეტე საუკუნის პირველს მეოთხედში. 2

პოემას ავტორი იწყებს ამნაირად: დაახლოვებით 1626 წლის დასაწყისს თეიმურაზ პირველი, ვიორგი სააკაძის მიერ ორთავ ტახტზედ განტყვევებული, ცბინვალს იწყობება და გვერდს დიდი მოურავიც ახლავს; უკანასკნელს აქ ჩუზადად შეატყობინეს, რომ თეიმურაზს შენი მოკლეა განუზრახავს და თავს უნდევლევო. განციფრებული ვიორგი მეფეს უგზავნის მროველს ეპისკოპოსს დომენტი ავალიშვილს საქმის გამოსარკვევად და ამბის გასაგებად. მეფემ უარი თქვა. ეს მოგონებულია, ასეთს საშინელებას როგორ გავივლიდი გულშიო? მოურავი იძულებული შეიქნა ხელმეორედ გაეგზავნა დომენტი მეფესთან არ საქმის გამო: ებლა გამოირკვა, რომ მეფე მოურავესა სთვლის ლუარსაბის სიყვდილის მიზეზად: „ქვეყანამ იცის“. უთვლის მას, „შენ იყავ მისის სისხლისა მღერელი.“ „ნავ-

1) ასე იქცევა გამოცემული ამ პოემისა ლ. მანიტაძე.

2) პოემა პირველად გამოცემა პ. იოსელიანმა 1851 წ.; 1852 წელს დაიბედა ნაწილობრივად „ქვისკარში“, III; 1857 წელს კვლავ გამოიცა ის ტფილისში ი. იშვილიანის დას. კ. ილიაძის მიერ.

რამე მისს სისხლს არ ვეძებ, შენ იყავ შენთვის მჯდომარე,“ არაეინ შენ ხელს არ გახლებსო. ეხლა მოურავმა საკიროდ დაინახა გადაეშალა მეფისათვის მთელი თავისი წარსული, თავისი ღვაწლი და დამსახურება ქართლ-კახეთის მეფეთა წინაშე, დაწყებული თათარხანის შემოსევიდან 1609 წელს და გათავებული ბაზალეთის ომით, რომლის შემდეგ ის იძულებული გახდა მიეტოვებია საჯარელი სამშობლო და გარდასეწილიყო ოსმალეთს, სადაც მან პოვა დაუმსახურებელი, უპატიო და უმადური სიკედილი. მოთხოობა წარმოებს პირველი პირით, დიდი მოურავი დომენტის პირით თვით ელაპარაკება მეფეს.¹

პოემა დამყარებულია გიორგი სააკაძის წერილზე მეფე თეიმურაზთან, რომელთა არსებობა, იმ დროს მაინც, ეკემიუტანელი უნდა იყოს.² და ცოცხალს, უწყალო საგვარეულო გარდმოცემებზე. დიდი მოურავის პიროვნებასა და მოღვაწეობას ავტორმა ჩამორეცხა შურით აღსაყუს და შეკორიკანე მტერთა მიერ დასმული დიდი სამშობლოს გამცემლისა, რომლის მძლავრი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. სხვათა შორის, ბატონიშვილი ვახუშტიც. როდესაც ის თავის მატიანესა სწერდა.³ მისს შედარებითი ოპიექტივობას ამართლებს, სხვა რომ არ იყოს რა.⁴ ის სურათი დიდი მოურავისა, რომელიც თეიმურაზის ხელით დაუხატავ არჩილ მეფეს უკვე განხილულს თეიმურაზიანში.

მიზანი ავტორისა, გარდა დიდი მოურავის პიროვნებისა და მოღვაწეობის რეაბილიტაციისა, არის ისტორიულიც:

ქართლის ცხოვრება სხვათა თქვეს, მე ამის ვიქმენ პრალევეად. რომ დამეყარვა ჰამბავი, კმნილ იყო შესაბრალებად. წყარო ტკბილი და ამონი ქმნილ იყო გასამშობრალევეად (476).

ეინ არის ავტორი პოემისა? ჯერ კიდევ მეტორამეტე საუკუნეში იცოდენ დანამდვილებით, რა ავტორი თხზულებების არის ოსებები, ტყველისის მიტროპოლიტი, მაშასადამე-ბერი, რომლის შესახებ ანტონ კათოლიკოზი აცობს:

იოსებ თუმეცა დაშურა ამოთათვს,
მაგრა გონება მისი ქუემდებარებდა
თავისუფალთა ცნობათა, რომლითაცა
სთქმიდა შენიერ-საქებელ შეწყობითა.

¹) მეფე, რომელსაც ცხინვალში განუსრახავს დიდი მოურავი მოკლე და რომელსაც ამის გამო მოურავი დომენტი მოკლეს უკსაენის. ვახუშტის თქმით, არის ღუაოსაბი (ქართლის ცხოვრება II, 351); ამასვე იმეორებენ პეტრე პ. იოსელიანი (Жизнь великого муравья, стр. 10-12) აღსახანაშვილი (Очерки III, 200), ხოლო დავით ბეჭეთორი, რომელსაც 1823 წელს თავებად დაუჯიბა პოემა და შესათეფი სათაურებით წარუწერია ისანი, რომელიც პ. იოსელიანის გამოცევიდან ჩანს, გვამცნებს, რომ ეს მეფე სვიმონ მეოცე იყო (დიდმოურავიანი, გვ. 33, 19). ნამდვილად კი, როგორც წინააღიდან ჩანს და რიგორც ან. ფურცელაძემ აცხადებდა, თავის მშვენიერს მონოგრაფიაში (გიორგი სააკაძე და მისი დრო, ტფილისში 1911 წ. გვ. 10-11, 17, შენიშვნა), გიორგი სააკაძე ელაპარაკება არა ლეარსაბს და არც სვიმონ მეორეს, არამედ თეიმურაზ პირველს.

²) ანტონ ფურცელაძე, გიორგი სააკაძე და მისი დრო, გვ. 3, შენიშ. 2, 1911 წ.
³) ქართლის ცხოვრება II, 31-32.
⁴) ამის შესახებ იხ. ანტონ ფურცელაძის დასაყულებელი შოთბა.

იოსებ კმაღლა გამოკდილ იყო სრულად
 პიიტეკოსთა კვლოვნებათა მიმართ,
 საყუარელ იყო მეფეთა ნაშინდელთა,
 საყუარელ იყო ერთაცა ყოველთაგან.
 აქებდეს მისსა სიბრძნის მოყუარებასა.¹

ანტონის კვალიფიკაცია — იოსებ „დაშურა ამოათათეს, ვითარქედ ესე არა
 ზანდელა მასო“, დამყარებელია პოეტის სიტყვებზე, რომელიც, შენიშნავს რა:
 ვევედრები ცოდვილთა შემწუნარეს „რომ უქმი სიტყუა მომხადოს,“ ეი-
 ნაიდან „სოფლის ზღაპრისა წერისათეს შევიქენ დაზნაშაფია“, განაგრძობს:

უქმი სიტყუა ცუდსა ჰქვიან, მეც ვარ მუდამ უქმის მოქმელი,
 კაცი რომე უქნს ამბობდეს, ვით მორჩების დაუნთქმელი?
 ჰყუა მათ პოეს, საღმრთოს წიგნის ვინცა იყუნეს გარდამთქმელი,
 მე შევიქენ ენაყუელი, სოფლის წიგნის სამ წამრთქმელი (479).

ნე სოფლისა საქმეს მივჰყევ, მე ვინა და ამის წერა,
 ის მიჯობდა, მოკიუულთა, რაც თქუეს, ყუელა დამეჯერა,
 სულის ლუწით და სინანულით ანგელოსნი შემეჯერა,
 თავო ჩემო, შენთვის რა ჰქენ, ანუ კარგად გასინჯე რა? (481)

რასაკვირებელია, მოყვანილი სიტყვები საკმაოა არაა ვთქვათ, რომ აეტო-
 რი პოემისა არის სასულიერო პირი, ისიც ბერი, ვინაიდან ამგვარ სიტყვებსა
 და მოტივებსა ჩვენ ეპოპულობთ ალორძინების ხანის არასასულიერო პირთა
 თხოზულებებშია (ც, როგორც მაგალითად, თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ
 მეექვსე. დაეით გურამიშვილი და სხვ. ამ ნხრივ უფრო საყურადღებოა და დამა-
 ჯერებელი შემდეგი სიტყვები პოეტისა:

ასეთი სიტყუა არა კამს, თუ ბერი წესზედ ბერედეღს-ო (480).

იოსებ ტფილელი, პ. იოსელიანი ის სიტყვით, ყოფილა ძის-ძეა დი-
 უის მოურავისა, შეილი გიორგის ძის სიაუშისა;² მას ხელნაწერებში ეწო-
 დება იოსებ ტფილელი ბაბათაშვილი; პ. იოსელიანის განმარტება „ბაბა-
 შა“ არს ლექსი თათრული და ეწოდა მამასა მისსა სიაუშს მას ვამსა, ოდეს
 ცხოვრობდენ უცხოებასა შინა აზრუმსა და ოსმალისა სამქლუართა ძენი და
 ასულნი დიდისა მოურავისა“.³ დაბეჯითებით თქმა იმისა, რომ იოსებ ტფილე-
 ლი არის ძისძე გიორგი სააკაძისა, შეილი სიაუშისა, ძნელია. დიდ მოურავს,
 ისტორიული დოკუმენტების ნიხედვით, ჰყავდა შემდეგნი ძენი: პაატა, სპარ-
 სეთნი დასჯილი სიკედილით მამის ლალატისათვის, აეთანდილი, მამასთან
 ერთად ოსმალეთში ტრალიკულად დაღუპული, ზურაბი, მარაბდის გმირი.
 რომელსაც 1643 წლის ახლო ხანებში როსტომ მეფემ ლალატისათვის თვალები
 დასთხარა.⁴ ივანე, იმავე საქმის გამო კახეთს გადახვეწილი და როსტომ მე-

1) წყობილიყუაობა, გვ. 678-9.

2) დიდ მოურავიანი, წინასიტყვაობა, გვ. 1; Жизнь великого мурова. стр. 84.

3) დიდ მოურავიანი, გვ. 75, შენიშვნა.

4) ქართლის ცხოვრება II, 522.

ფის მიერ ქონებაშიღებული,¹ და იორამი, დიდი ერთგული როსტომ მეუისა,² რომელმაც მას თარხნობა უბოძა; არსაიდან არა ჩანს, რომ დიდმოურავს ჰყოლოდეს კიდევ შვილი სიაუში, ასე რომ დანამდილეებით არ ვიცით, ძისძე ეთუ ძმისძე იყო იოსები დიდმოურავისა, მაგრამ მას რომ ნათესაობითი კავშირი უეჭველად ჰქონდა დიდმოურავთან და სააკაძიანთ გვარს ეკუთვნოდა, ამას იგიერთნაც ადასტურებს შემდეგი სიტყვებით:

ნათესაე-მოდგამ გუარ-ტომმან მისმან ესე ვაწუე წერებად-ო

საკაძიანთ გვარში მიღებული ყოფილა სახელი ბაბაშიოშ. ან ბაბასიაუშ, ერთი მათგანი მოხსენებულია 1616 წლის დოკუმენტში,³ შეიძლება, აქედან წარმოდგა იოსების გვარი ბაბათაშვილი და პ. იოსელიანის ცნობა, რომ ის სიაუშის შვილი იყო.

პლ. იოსელიანის ცნობით. რომელსაც მერე სხვა მკვლევარნიც იმეორებენ, იოსები აღიზარდა ქვაბთახევის მონასტერში, საიდანაც, ბერობის მიღების შემდეგ, იმერეთს გადავიდა და რაჭაში ნიკორწმინდის ეპარქიის ეპისკოპოსად იქმნა დადგენილი; აქედან, როსტომ მეფის წინადადებით და ახალციხის ფაშის როსტომის (1647-1659) ნებართვით, გადავიდა აწყურის კათედრაზე, მესხეთში შერყეული ქრისტიანობის განსამტკიცებლად, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ იძულებული შეიქნა დაენებებია თავი აქაურობისათვის და, ქართლში დაბრუნების შემდეგ, როსტომ მეფის მიერ დაინიშნა ტფილისის მიტროპოლიტად.⁴ ძნელია თქმა, რამდენად დასაჯერებელია ეს ცნობები, ვინაიდან, სამწუხაროდ, პირველწყაროები არაა ნაჩვენები. ტფილისის კათედრაზე იოსები ჩანს 1662, 1665, 1666, 1670, 1671, 1681, 1683, 1686 წლებში.⁵ იმისი თქმაც ძნელია, რომ ყველა აღნიშნულ შემთხვევებში ერთიდაიგივე პირი იგულისხმება, მით უნეტეს, რომ 1670 წლის პირველ ნახევარში ტფილელად ელაც ელისეა მოხსენებული.⁶

როგორც უნდა იყოს, დიდმოურავიანის ავტორად უნდა ჩაითვალოს ის იოსები, რომელსაც ტფილისის კათედრაზე ეხედავთ 1681—1686 წლებში და რომელიც მოკლულ იქნა 1688 წელს, როდესაც გიორგი XI დუშეთს იღებდა (ქართ. ცხოვ. II, 59). ამას გვაფიქრებინებს, სხვათა შორის, ის იღუურის და ლიტერატურული კავშირი, რომელიც იოსებს ჰქონია ცნობილს სასულიერო მწე-

1) ქართლის ცხოვრება II, 522; საქართველოს სიძველენი II. 68. ეს თხოვე საკანე ზომ არაა, „გაბრეჯის ბეროუხნის მამა, კაიო ღირსი“, რომელმანც 1715 წელს აღიღა ესე მეფე ეკანონო ქორწინებისათვის (ქართლის ცხოვრება II. 79)?

2) პლ. იოსელიანი მას გიორგის შვილისშვილადა სთვლის (Жизни иоаннаго иосифова стр. 81); ქართლის ცხოვრება II, 48, 518-521.

3) საქართველოს სიძველენი II. 83; სადაც ბაბა შიომ მძაპეთია გავიდილი.

4) დიდმოურავიანი, წინასიტყვაობა, შეად. ხ. ჭიჭინაძე. ქართული მწერლობის ბე-17 საუცხებო. გვ. 30-33.

5) А. Пурцеладзе, Православные церковные гудари, стр. 57. საქართველოს სიძველენი II. 133; თ. გორდანია, ქოხნეხი II. გვ. 483; 513; მისივე, ქართლ-სახელის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბულოები. გვ. 213-14, 221, 222, 205-7.

6) თ. გორდანია, ქართლ-სახელის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბულოები, გვ. 221, 222; თანასწერილი გაუგებება შეიძლება გვეხანა მით, რომ, ხ. ჭიჭინა-

რალთან—იაკობ სამებელ-შემომქმედელ დუმბაძესთან. იაკობი არის მოღვაწე მეჩვიდმეტე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა, მას გიორგი XI შაჰნავაზის ბრძანებით გაულებესია „უსჯულოვსა მუჰამედის და ქრისტეანთა გაბაასება“¹ და არჩილ მეფისათვის მიუძღვნია ორტაეპოვანი ხოტბა;² სამაგიეროდ არჩილს „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა“ შორის ისიც მოუხსენებია შემდეგი სიტყვებით:

აწ სამებელი იაკობ ვახსენო, ბრძნად მოუბარი,
ამ ემად მას მეცნიერი არსად არ ჰყავს უბარი,
ხუცურის ენით მელექსობს, არის საეროს მგმობარი,
სრულად ამისთვის არ ეაქე, რომ იყო ჩენი მქებარი.³

მსგავსად იაკობისა, იოსებ ტფილელიც არის „საეროს მგმობარი“. ლოგორც დაინახეთ, და ამასთანავე „ხუცურის ენით მელექსე“: მაგრამ მათს კავშირს უფრო ამჟღავნებს ის ლიტერატურული მიწერ-მოწერა, რომელიც იოსებსა და იაკობს შორის ყოფილა გამართული. იოსებს მიუწერია იაკობისათვის განსამარტებლად შემდეგი იგავი:

„სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა გებული.
მას შეიღნი სუტნი შეუდგნა, შეიღნიე წინინდა გებული.
სიკუდილით მოკლა სიკუდილი, დაიხსნა კოდეილთ კრებული.
ამისა ახსნა თქუენგან მწადს, ვიცი კაცი ხარ მცნებული“.

ამაზე იაკობმა უპასუხა:

„სიბრძნე ქრისტეა და სახლი-უბიწო მისი მშობელი,
მუნ შეიღნი საიდუმლონი ყო მტერთა დასამხობელი,
სიკუდილი-ჯუარცმა ქრისტესი, ლახუართა დასასობელი.
თვთ მცნობსა ცნობა გებრძანა, რას გკადრებ მე უცნობელი.“⁴

ამნაირად, ლიტერატურული მოღვაწეობა იოსებ ტფილელისა დაახლოვებით იმავე დროს ეკუთვნის, რომელსაც იაკობ დუმბაძის. ესე იგი მეჩვიდმეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს. გარდა დიდმოურავიანისა მას დაუწერია აგრეთვე ჩვეულებრივი ტიპის და შინაარსის ანბანთქება. რომელსაც

ძეს თუ დაუჯერებთ. იოსები რუსეთში წასულა და დასწოებია 1666 წლის მოსკოვის კრებას. რომელზედაც პატრიარქი ნიკონის საქმე ირჩეოდა (ქართული მწერლობა მე-17 საუკუნეში, გვ. 31); ალბად, მის დაბრუნებამდე მისი კათედრა დროებით სხუას ევირა. მაგრამ საჭმე ისაა, რომ მოსკოვის კრებაზე 1666 წელს დაეწრო არა იოსე, არამედ მიტროპოლიტი ეპიფანე (Исае-реплексъ грузинскихъ царей съ российскимъ государством, стр. LXXV; Ил. Тоссаганис, Краткая история грузинской церкви, ст. 113, Петерб. 1843 г.)

¹) კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია I, 358; ხ. კიკინაძე. ქართული წერლობა მე-17 საუკუნეში გვ. 33—36; А. Халханов. Очерки III, 521.

²) Е. Такашвили, Описание II, 153—4.

³) Ibid. стр. 140.

⁴) პ. იოსელიანი, დემოურავიანი, გვ. 31.

⁵) Ibid, გვ. 75—79.

ხელნაწერებში ასეთი სათაური აქვს: „ანბანთ ქება, ახლად თქმული ბაბათა-შვილის იოსებ ტფილელის მიერ“. ¹ ამით გარდა ზ. კიკინაძე ასახელებს კიდევ შემდეგს თხზულებებს იოსებისას: 1) მოგზაურობა ტფილისიდან ახალციხისაკენ, რომელშიაც აღწერილი ყოფილა საათაბაგოში მყოფ გამაჰმადიანებულ ქართველთა, ეკლესია-მონასტერთა და საიდუმლო ქრისტიანეთა ამბავი; 2) ლუარსაბ მეფის ცხოვრება და 3) სასურველი ვენახი. ² დასახელებული თხზულებები ჩვენამდე არ შენახულა, ამიტომ ძნელია თქმა, რამდენად ნართალია ყველა ეს. მაგრამ მას რომ მართლაც უწერია კიდევ, ამას თვითონაც არ მალავს: „ზოგირამ საღმრთოც დავსწერე, სიტყუაჲ ვთქვი წმიდად ქებისა“-ო, ამბობს ის (482). ერთერთი „საღმრთო“ ნაწარმოები ჩვენამდეც შენახულა; ეს არის „ცხოვრება და მოქალაქობა ალექსი, კაცისა ღმრთისა, ახლად შაიხად გადათარგმნილი სააკაძისაგან იოსებ ტფილელისა“. ³ აქ გალექსილია ნათელი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები, რომელიც ძველადვე ყოფილა ქართულად ნათარგმნი.

როდისაა სახელდობრ დაწერილი დიდმოურავიანი? ამაზე პასუხს გვაძლევს პოემის პირველი სამი ტაეპი:

მეთესა ქართლის ცხოვრება ებრძანა გალექსულობითა.
ზოგი რუსთუელის ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით,
ხან ლხინი. შუება. სიამე, მან ეარღი დანასულობით,
სიბრძნე, კმალი და ომები, სიკუდილმე აღსასრულობით.

მეთევ, სიბრძნით აღსავსეო. კელმწიფეთა პირმშოე შვილო,
ღრმის სიტყუისა აღმომცნობო და ძნელისა განადვილო.
„ოტა სიტყუა განმომარტე“, გებძანა თუ, ჩემო არდილო,
შენ სიბრძნისა ვერ მიმწთომო, მაგრამ რიტორთ კაცთა ზრდილო.

ამ ამბისა განმარტებით არა გქონდა მოკსენება.
ვით გაუწყრა მოურავსა, მეფეს ანუ ვით ენება.
საქართუელოს დასუსტებას ვით ბელიარ ექენება,
ამ ქუეყნისა შიგნით რივას ოცნებითა ეჩვენება.

აზრი ამ სიტყუებისა ასეთია: მევეს, პირმშო შვილს ხელმწიფისას, ღრმის სიტყუის აღმომცნობს და ძნელის განადვილებელს, ესე იგი არჩილს, გაულექსია ქართლის ცხოვრება, სახელდობრ: რუსთუელისა და კახთმეფის ბაასი. ივლლისხმება თეიმურაზიანი ან „შეღარება რუსთუელისა და თეიმურაზ მეფისა“. არჩილს უბრძანებია იოსებისათვის: შენ, იოსებ, ჩემო არდილო, სიბრძნის ვერ მიმწთომო, მაგრამ რიტორთა კაცთა მიერ აღზრდილო, განმომარტე ოტა სიტყუა, სახელდობრ: 1) როგორ გაუწყრა მეფე თეიმურაზი მოურავს, 2) როგორ ემსახურებოდა ის მეფეს. 3) როგორ ჰკურნებდა ის დასუსტებულ საქარ-

¹) E. Такайшвили, Описание II, стр. 191, 220.

²) ქართული მწერლობა მე-17 ს. ექვმეწა, გვ. 33.

³) წერა-კითხ. ხელნ. № 1511, გვ. 683-701.

⁴) K. Kekelidze. Monumenta hagiographica Georgica I, 101-103.

თველოს და 4) როგორ უღებდა ბოლოს შინაურ არეულობას. ამ ამბების განმარტებით მოხსენება შენ, არჩილს, არ გქონდა, ეუბნება იოსები მას, და ამათ არის გამოწვეული შენი ასეთი წინადადებაო. მართლაც, თეიმურაზიანი არჩილი გაკვრით, ეპიზოდურად, დიდმოურავსაც იხსენიებს და მის დამოკიდებულებას თეიმურაზთან, მაგრამ განმარტებით და დაწვრილებით ამ საკითხს ის არ ეხება. აი რას გამოუწვევია, სხვათა შორის, დიდმოურავიანის დაწერა, შესაძლებელია ამ სიტყვებში ისტორიული სიმართლაც იყოს ჩაქსოვილი და დიდმოურავიანი იოსებს მართლაც არჩილ მეფის წინადადებით დაეწეროს. ყოველს შემთხვევაში ერთი უცილობელია, რომ ეს პოემა იოსებს დაუწერია მას შემდეგ, რაც არჩილს თეიმურაზიანი, ესე იგი 1651 წლის შემდეგ; ის რომ უფრო ადრე ყოფილიყო დაწერილი, არჩილი, იაკობ ღუმბაძესთან ერთად, უეჭველია, იოსებ ტფილელსაც მოიხსენებდა. არჩილმა თავისი პოემა დაამთავრა 1651 წელს აშთარხანს, რუსეთში, საიდანაც ის დაბრუნდა 1688 წელს, როდესაც როგორც დაეინახეთ, იოსები გარდაიცვალა. მაშასადამე, დიდმოურავიანი დაწერილი უნდა იყოს 1682--1687 წლებში.

ავტორს თავის თხზულებაში გამოუჩინია ნაქიზნაეობა და ერუდიცია, როგორც სასულიერო მწერლობაში, ისე საერო ლიტერატურაშიაც; მას ციტატები მოჰყავს შემდეგი თხზულებებიდან: 1) აპირან-დარეჯანიანი: „შეუკაბუ და გმირი როსტომ ლალატითა გარდამხდარა“ (10); 2) როსტომიანი:

გმირთ ზღაპრულს წიგნში სწერია ჯეონის გასლვა ადვილად,
მღვერისა ველარ მიწვეა, ვერც ჯავრთ ამოყრა ადვილად,
გივისგან ქიხოსროსი მორჩენა კარგად წადილად. (49).

3) ვეფხისტყაოსანი:

„მეფეე. თქვენ იცით ტარიელს რამაზის სიტყუა თქმანია“ (18);
„პავს ტარიელ სად ტიროდა, წყაროსთან დგას ხისა ჩრდილი,
წავა, მიმწვეთ გზაზედ დაჰკოცს, ველარ მიხუდა აეთანდილი“ (155)
„ეგრე თქმულა: ზეცასა ჰრბის მეფეთათვის ეინცა კულება“,—(44) გან-

მეორებაა ვეფხისტყაოსნის სიტყვებისა: „ეინცა მოკედეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“. 4) ვისრამიანი: „რამინისებრ შეეებრალდე, პირნი ჩემნი ესმას ვისა“ (367).

ენა თხზულებისა არის დინჯი, საეკლესიო-მწიგნობრული, ალაგ-ალაგ პოეტური ეპითეტებითა და სურათებით შემკული, როგორც მაგალითად:

მეფისთვის თავს ვინ დაზოგავს. ტან-სარო გულად უზვისა,
მრავალი აბჯრის ცემისგან სთქუეს თუ ემა არის ქუხისა (72).
თუაღით ტურფა და კეკლუცი, თმა ზოგრძე ამბარ ეშირია (212);
ვარდი დაჰკენეს, ჩამოსცივიდეს, რაც დაგრჩების ეგ არია (338).

ლექსი საერთოდ მწყობრი და კეთილზნოვანია, განსაკუთრებით მეტად მოხდენილი მაჯამებია მეოხებით. პირველს ცხრა თავში ავტორი მოგვითხრობს მედარებით შვეიდი. ეპიური ტონით, სამაგიეროდ უკანასკნელი თავი წმინდა ღობრიკული ხასიათისაა, ეს ნაშედილი იერენიადაა ღრმად მგრძნობიარე სული-

სა, რომელიც მღუღარე ცრემლებით დასტირის ცხოვრების უსამართლობას. ადამიანთა გაუტანლობას და უმადურობას, რომელიც გულისტიკვილით ეთხოვება საყვარელს სამშობლოს, ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესაებს. პირდაპირ შეუძლებელია გულდამშვიდებით წაკითხვა ამ თავისა, ის აატირებს ისეთს ღონ-გულ კაცსაც, კი, როგორც იყო დიდი მოურავი, რომელიც მოსთქვამს:

თავო ჩემო, ვით გასული, სევდიანო, როგორ წყლული,
საქართუელის სჯულისათვის ათასფერად წამებულო,
მეთეთათვის განასარგო, ნამსახურო და ერთგულო,
ალარ შეგჩა ნოსტეეს ლხინი, ალაბს, სტამბოლს დაკარგულო! (294).

ვაა დაგავდებ სახლ-სამყოფო, სად კარგო და სად ავებო,
შორს გუარ დაგჩა მეზობლებთან, ვისთანც ვიყავ სადავებო,
ავეანდათა სიმაგრენო, მე სად გძრევი სადავებო,
რამტენს მოვჩი ძნელს ბადესა, ახლა კიდევ სად დავებო? (295).

თავო ჩემო, სად მოკუდები, ანუ ვისსა სამარებსა,
რას დალახევ ქუეყანასა, იარები სამარებსა,
მოშორდები მოყუარება, შენ ხარ ვისსა სამარებსა,
სამყოფთავან გააბეზრდი, კარსა გავლი სამარებსა. (297).

მშვიდობით თვსნო, მოყუასნო, განოგესალმო საღმობით,
მეგობარნო და შემცნელნო. ცრემლი დავსთბიო საღმობით,
თქუნ ნუ დაიჩენთ გაყრასა, გული შემქნია საღამით.
ვინ გაირჯების სიზნითა, მან შეიდაროს საღამით. (333).

მიძიმს ამხანავთ მოშორუა, გულსა მაქუს მუღამ ზრუნანი,
შეჟირება და ოხურანი, მწუხარება და ურუანი,
სამკვდროს გატლა ძნელია, ვინც დადგეს, შესაშურუანი,
თუ რამდენ რიგად მომიხდა სისხლასა ცრემლის წურუანი. (399).

✓ 5. კათოლიკოზ-ბაქარიანი.

პოემაში, რომელსაც კათოლიკოზ-ბაქარიანი¹ ეწოდება, გალექსილია ქართლ-კახეთის მღვდმარეობა მეთვრამეტე საუკუნის პირველს მესამედში და მოთბრობილია მეუღის ბაქარის და კათოლიკოზ დომენტის ამბები, უფრო-კი დომენტის ბიოგრაფია. თსწულება შენახულა ერთადერთი ხელნაწერით (წერ.-კითხ. № 953) და გამოცემულია ე.ქ. თაყაიშვილის მიერ (ტფილ. 1895 წ.); საწწუ-

¹) ეს თავი გადმოკვეთულია ჩვენს მარშიდან: ქართული ლიტერატურის ისტორია ტომი I, გვ. 360-361, № 57; იხე ტლამაძე, ტფილისი 1923 წ.

ხაროდ, მას ბოლო აქლია. შეიცავს სულ 318 ტაქსს, რომელიც დაწერილია 16 მარცვლოვანი რუსთველური ლექსით. პოემა იწყება წინასიტყვაობით, რომელშიაც ავტორი მიმართავს ლმერთს. ცოდვათა მომტვევებელს და დამხსნელს, ხაზს უსვამს წუთის სოფლის გაუტანლობას და აღნიშნავს მოკლედ. თუ რა პირობებში დასწვრა მან იგი. შინაარსი მისი ასეთია: როდესაც ვახტანგი იჯდა ქართლში, კახეთის ბატონმა მამადყულმა (კონსტანტინემ) გადაიბირა თავისაქენ გიორგი ერისთავი და სხვა დარბაისელნი და ვახტანგს მოსთხოვა დაეთმო მისთვის ქართლის ტახტი, რომელიც მას ყვენმა მისცა. ვახტანგმა, რასაკვირველია, მისი წინადადება არ შეასრულა, კახეთი შენ და ქართლი მეო, შეუთვალა მას. კახთპატრონმა შეყარა მთელი არეხსზეითი ლაშქარი და დაიკავა კრწანისი და თაბორი. მოპარდაპირენი შეიბნენ კრწანისის ველზე, ომმა ექვს საათს გასტანა. ბაქარის მხნეობით და ნამაცობით კახთბატონი სასტიკად დამარცხდა და გაიქცა, მაგრამ იარაღი არ გააგდო ხელიდან: მან მოიყვანა ლეკების ლაშქარი და თაბორზე თავს დაესხა ვახტანგს. ეხლა კი ბედმა უმტყუნა ქართლელებს: ვახტანგი დამარცხდა და გაიქცა, ტფილისი აიღეს ლეკებმა და დასწვეს, ციხიდან გამოსულმა თათრებმა გასტებეს სიონი, სიონის ხატი სადღაც წაიღეს და დეკანოზიც დაატყვევეს. კახთბატონი დაჯდა ტფილისში და ლამობდა მთელის ქართლის დაქერას. ცოტა ხნის შემდეგ თრიალეთზე გამოჩნდ ურუმთ ლაშქარი, რომელსაც ბაქარი წინ მიეგება; მან ის მოიყვანა ტფილისში და დააქერინა ქალაქი. კახთბატონიც შეიპყრეს და დაატუსაღეს, მაგრამ მერე თვით ბაქარმა გააპარა ის პატიოსანი სიტყვის ქვეშ. ის ფაშა, რომელმაც ტფილისი აიღო, გაწვეულ აქმნა ხვანთქარის მიერ და გზაში გარდაიცვალა, მის ალაგას დაინიშნა სხვა, დიარბეგდრი, რომელმაც ქართლი სულერთიან ააწიოკა, ისე რომ ბაქარს უყვე აღარ ედგომებოდა აქ. შანშე ერისთავმა მას უჩრია შებმოდა თათრებს, მაგრამ ბაქარმა ვერ გაბედა, ადგა, გაიპარა ტფილისიდან და მივიდა მამასთან, რომელიც ამდროს იმერეთს იმყოფებოდა. მამამ უთხრა მას: ქართლში აღარ გვედგომება, ამიტომ რუსეთს წავიდეთო: აიყარენ მართლაც და გაენგზავრენ რუსეთისაკენ, ქართლი კი ჭპატრონოდ თათრებს ჩაარჩინეს. ერთი წლის შემდეგ ეს ფაშაც გამოსცვალეს და მის ადგილას დანიშნეს რაჯაბ ფაშა. რომელმაც სულ მოულო ბოლო ქართლს: იკლებდა ქართლის ნაპირნახულევს, შეუბრალებელად ჟღერდა მტხოვრებთ. ერთს დღეს სამას კაცს გააგდებინა თავი, აწამა, სხვათა შორის, მდიენისი შეილები დაეით და ზურაბი. კახთბატონმა რომ გაიგო ვახტანგის რუსეთს წასვლა, იმწავმსვე შეყარა ლაშქარი, შეიერთა ქსნისა და არაგვის ერისთავები, აგრეთვე ქართლელებიც და გამოეშურა ურუმთა წინააღმდეგ; ოსმალებმა თავი შეაფარეს გორის ციხეს და დაიწყეს მზადება ომისათვის. ომი მოხდა ატენის ბოლოს, ქვარწყევზე; ოსმალთა ლაშქარს მეთაურობდა იესე მეთე, ძმა ვახტანგისა. ქართელები ამ ომში სასტიკად დამარცხდენ, დაჭრილი თავებით ოსმალებმა ხუთი ურემი ააესეს და რაჯაბფაშას მიართვის. კახთბატონი გაიქცა და კახეთში დაიშალა, მისი წინდაუხედველობით კი მთელი ქართლი გავერანდა.

ვახტანგის რუსეთში გადასახლების შემდეგ მისი ძმა, კათოლიკოზი დომენტი, რომელსაც, მისივე სიტყვით, კათოლიკოზობა მიუღია ოდეს „ტარ ჟანი ბანი ჯდებოდა“ (1704 წ.), შეეფარა მის დისშვილს ერისთავს შანშენს, მაგრამ

აქედან ის მალე ტფილისში გაიწვია რაჯაბ ფაშამ, ხოლო ტფილისიდან სტამბოლს წაიყვანეს. თორმეტი დღის მგზავრობის შემდეგ მივიდა აზრუმს, სადაც ერთ კვირეს დარჩა, და მახლოველი კეყუსო, იოანე ოქროპირის სათლავი, მოილოცა; აქედან მივიდა ამასიას, სადაც ბასილი ავასიელის სათლავე ილოცა, ავასიიდან ჩავიდა ნიკომიდიას, სადაც წმ. პანტელეიმონი მოილოცა. მეორმოცე დღეს მოვიდა ქალაქ უსკუდას, სადაც ხვანთქარაჟა კაცი შეავება წინ; ის ჯერ მოიყვანეს ეფენდი მუღზალის სასახლეში, საიდანაც მთელი სტამბოლი მოჩანდა და სულტანის სასახლეც. სტამბოლში დომენტის დახედა ოთხივე აღმოსავლეთის პატრიარქი, რომელთაგან ყველაზე მეტად ის იერუსალიმის პატრიარქ ხრისანთოს დაუახლოვდა. ღვინობისთვის ორს დომენტი მიიღო ხეაოთქარამა, მოეწონა. მოუსმინა „ქართლისათვის“ ვედრება და ნუგეში სცა მას. სტამბოლში დომენტი თავისუფლად ცხოვრობდა, სადაც უნდოდა დადიოდა, სეირნობდა ბაღებში, თევზაობდა და ცურაობდა ნავით ზღვაში და ათვალეურებდა კონსტანტინოპოლსა და მის მიდამოებს. ქართლიდამ ხვანთქარაჟა საბეზლარი წერილი მოუვიდა დომენტისგან. ეგ დიდებული კაცია. შენთვის საშიში, და უკან არ დააპრუნო. მტრები მას თვით სტამბოლშიაც აღმოუჩნდნენ: ეს იყო ვინმე იოსება. შვილი ქალაქის ნაცვლისა. რომელიც გაფრანგებულ იყო და ამიტომ ტფილისიდან განოქმევებინათ. დომენტის მხლებელები ხელავდნენ, რომ მისი აქ ყოფნა კარგად არ გათავდებოდა და ამიტომ უზრჩევდნენ დროზე წასულიყო შინ: დომენტი ელოდა თავისი ძმის ვახტანგის რუსეთიდან დაბრუნებას და ამიტომ არ ჩქარობდა. სიმწუხაროდ. თინალი დომენტის სტამბოლში ყოფნისა პოემასი არ არის. ვინაიდან, როგორცა ვთქვით, ბოლო მისი დაკარგული.

ავტორი პოემისა არის მღვდელი იესე ტლაშაძე. როგორც მისი სათაურაიდან ჩანს: „არის წივნი ესე კათალიკოზ-ბაქარიანი. თქმული ტლაშაძის მღვდლის იესესი“. ვინაობა მისი ჩვენ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ ოდესღაც მას უმსახურნია ვახტანგ ჭეთისთვის და რუსეთშიაც წაჰყოლია მას, მაგრამ, ვერც თავისი ნებით მოწორებია: ამის შესახებ აი რას ამბობს თვით იესე:

წაველ. მიემართე რუსეთსა, თავი არავინ მანება.

მოეშორდი მწყალობელს ბატონს, რაღასა მიშლის ნანება (288).

მაინც ვერ მოვრიხი დაკარგვას. შენ წაგიყვანეს სტამბოლსა (287).

რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ იესე, როგორც მოყვანილი ადგილიდანაც ჩანს, სტამბოლს გაჰყოლია კათალიკოზ დომენტის. დომენტისთან ის მეტად დააბზლოვებული ყოფილა და ამიტომ საკვირველი არაა, რომ მის ბედს, მის გაჰქირება-დაღზინებას, ის ასე ერთგულად იტანდა და თან ისეთი კადნიერი კილოთი და ენით ელაპარაკებოდა მას, როდესაც სამშობლოში დაბრუნებას ურჩევდა. არ ვიცით. გაჰყვა თუ არა იესე დომენტის ტენელისის კუნძულზე: ჩვენამდე შენახულა სიგელი დომენტისა 1727 წლისა, რომლითაც ის აძლევს იესესა და მის შვილებს ატენში სახუცოდ ოცდასამ კომლ კაცს.¹ ქალაქსა შინა სა-

¹) Е. Такайшевили, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. вып. XXI. 77.

მეუფოსა კოსტანტინეპოლს, ქრისტეს აქეთ ჩღკჳ. ქორონიკონსა უიეჲ, ესე იგი 1727 წელს, იესეს დაუწერია ეს პოემა. რომლის შესახებ ის ამბობს:

ცრუმან სოფელმან გამტანჯა და არსად მაჰასეენა მან,
თვალი გამიშრო ტირილმან, ნიადაგ ცრელთა დენამან,
ვაი თუ ავად ჩამიგდოს თქუენის ყურის სმენამან,
ვინლა გიშველის, იასე, თუ კი წაგწვიდოს შენ ამან. (10)

თხზულება დაწერილი უნდა იყოს დომენტის ინიციატივით, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ დომენტი განათლებული კაცი ყოფილა და მწერლობის მეგობარი. მისი ბრძანებით უთარგმნიათ არაერთი ახალი თხზულება, მაგრამ უფრო მეტი გადაუწერიათ ძველად ნათარგმნი შრომები. სათიკრებელია, რომ ზოგიერთ ხელნაწერთა ნუსხები მას კონსტანტინოპოლში გადაუღებინებია ამავე იესე ტლაშაძისათვის.¹

იესე ეყუთენის რუსთველის შკოლას. რომელსაც ის ჰბაძავს ლექსთწყობაში, ფორმაში და ლექსებშიაც. ვეფხისტყაოსანი მას ხელმწიფეწივით სკოლდნია, ვინაიდან აქედან მას მოჰყავს ხშირად მთელი ციტატები, ისე, როგორც ეს სჩვევოდათ ხოლმე იმდროის მწერლებს, რომელთა შესახებ თვით იესე შენიშნავს:

რიტორ რუსთველო, კარგ გამომაქმელო, ენატუბილო და შაქრიანო,
ავმა მთქმელებმა, ქურდმა გელებმა, ლექსი მრავალი მოგპარიანო.

მიუხედავად ამისა ხელოვნურ ნაწარმოებად მისი კათალიკოზ-ბაქრიანი ვერ ჩაითვლება, პოეზიის მხრივ ის საკმაოდ სუსტია, მაგრამ მისი მნიშვნელობა ჩვენ შეგვიძლია დავაფასოთ, როგორც საინტერესო თხზულებებისა.

6. ვახტანგისანი

პოემა ვახტანგისანი შეიცავს, 288 ტაეპად თქმულს, ვახტანგ მეფის რუსეთს გადასვლების ამბავს და შესდგება წინასიტყვაობისა და შვიდი კარისაგან. ის შენახულა ერთადერთი ხელნაწერით (წერაკი თბ. № 101, რომელიც გადაწერილია არაუადრეს 1801—1804 წლებისა.² წინასიტყვაობა, თავში ნაკლებული, შეიცავს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ხასიათის მსჯელობას და თავდება ასე:

ვითა მთხველცა ამ ამბვისა ხელყოფა და ლექსით წყება,
სირეგვინთა მოეინდომე ასრე მცირე რიტორება,

¹) კ. კეკელიძე, ჭარბული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 361, ტფილისი. 1923 წ.

²) E. Такайшвили, Описание II, стр. 357—361. ეგრე, ახლად ნაპოვნი ხელნაწერი ისტორიული პოემა, ივერია, 1886, № 201.

მეცნიერნი ვინც იხილოთ, ბრძანოთ ჩემი შებრალება.
ამისთვის რომ უკოდინარს არ მართებდა შემართება.

ამ სოფელს ღვთის ლოცვას გარდა მერმე უნდა პატრონ-ყმობა,
ვინ მსახურობს მეფეს გულით, მას ლახვარი არ ესობა.
სკირს პატრონსა გულითადის წყალობა და ხშირად ხმობა,
რომ არ შერჩეს გასაქირსა, დაედების ღვთისა გმობა.

ქარი პირველი: მეფეთ ცხოვრება. აქ პირველად ნაჩვენებია ჩა-
ნომიველობა ბაგრატიონთა და ქვეყნისადმი ერთგულება მათი. კერძოდ—ვახტანგ
მეფეთის შანაყვანისა და მისი შვილები: არჩილის, გიორგის და ლევანისა: არ-
მოთელილია შვილები ლევანისა: ქაიხოსრო, „შეზღუდვილი სწავლა-მკნებითა“-
ვახტანგი. დომენტი კათოლიკოზი, იესე, სეიმიონ და თეიმურაზი, როელ-
თაგან „უფროს-უმცროსს ცრუ სოფელმა გრძლად არ მისცა ყოფა-შეგება“. მერე
ავტორი საგანგებოდ ასახელებს ვახტანგის შვილებს: ბაქარს, გიორგის და
„მწვემეცნიერს კოდნით“ ვახუშტის, რომელმაც „სულ აღასრულა ყოველი სწავ-
ლა ლათინთა, ფრანგული“. როდესაც ყუენსა და ხევანთქარს შორის „შეიქნა
არევა“, ვახტანგმა ბრძანა: „ამათში აღარ სჯობს ჩვენი გარევაო“: ამ დროს
მას რუსეთის ხელმწიფემაც შეატყობინა: ჩქარა „წამოდი ჩემ კერძო“. ვახტანგმა
სოფელს ალევს გამართა ამის გამო თათბირი, რომელსაც დაესწრენ: დედო-
ფალი, ვახუშტი, ბაქარ, სეიმიონ და იესე: გადაწყდა აყრილიყენენ და გადასა-
ლებულიყენენ რუსეთს, რის თაღარიგს შეუდგენ კიდევ. მეფის ოჯახი მთლიან-
ნად (დედოფალი, შვილები. რძლები, ძმა და ძმისშვილები) გაუდგა გზას, გარ-
და იესესა, რომელმაც საქართველოში არჩია დარჩენა. თათრებთან. თემცა ვა-
ხტანგი ამის წინააღმდეგი იყო. მეფის ოჯახს გაჰყვა: რამდენიმე კაცი არაგვისა
და ქსნის ერისთავთაგანი. შვიდი ორბელიანი და ოთხი ამილახვარი. იხერთ
მეფის ასული მონაზონი (ნინო); ციციანთ გვარიდან ხუთი კაცი. თერთმეტი ბა-
რათიანნი (სამლედელი და საერო), თერთმეტი კაცი თურქისტანთ-გაბაანთ-თლ-
ლაშვილები, დიდმოურავთ შვილისშვილი, ჯავახიანი ორი ძმა, ხუთი შალიკა-
შვილი, ორი ძმა თაყველაშვილი, სამი სააკაძე, ორი კომლი ზედგინძე. გონაშვი-
ლი, ჯომარჯიძეები ექვსი კაცი, ერთი გურიელის ძე, ქართლსა მყოფი, აქ აღზრ-
დილი: იმერელნი: მხეიძე, ჯაფარიძე და ჩიქოვანი, შენაზარდი მეფეთ ძისა. ზე-
მო ქართლით: დიდი მთავარი თალაყანდიძე და თავთაჭიძე, ერთი ამირჯიღი.
ორი მაჩაბელი, ორი ხერხეულიძე. ცხრა თუმანიანნი, სამნი ფაელენიანნი, ორი
მუსხელაშვილი, აბაჯაძე, მურვანიძე, ნაზირი ოსეთა, ზურაბ რატიშვილი ძითურთ.
ზაალ შეიჯარისშვილი მამითურთ, ერთი ქედხუდოვი, სადლუდბეგი და „სხვანიცა
ბევრნი.“ კახეთიდან მეფეს წაუყვანია თორმეტი დარბაისელი; მას გაჰყოლია აგრეთ-
ვე მრავალი სამლედელი პირი, რომელთა შორის მოხსენებულა: „ძმა ქსნის ერისთა-
ვისა, ბერი კარგი, ერთგული და მეფეთ ქოლა“ (რომანოზ სამთაყნელი), მან-
ღელი არსენ დოღენჯიშვილი, მოძღვართმოდღვარი გერმანე, ურბნელი ეპისკოპო-

1) E. Такайшвили, Описание II, стр. 155-9.

ზი. გვართ გლურჯიძე, სააკაძე „ღირსი ბერი“, ტფილელი იოანე, კარის მღვდელი, წინაძღვარი დეკანოზით, - სულ ქალი და კაცი დედაწულებით ათასორასი სული.

ქარი მეორე, მეფეთ წამობრძანებისა ნებით თეისით რუსეთს. ვახტანგი გაემართა რაქისაკენ, რომლის ერისთავმა მას მიაგება სამასი კაცი და ონს მიიყვანა; აქ მან სთხოვა ვახტანგს ბაქარის დატოვება, მაგრამ ვახტანგმა, პასუხის მაგიერ, უბრძანა დიდგორიდან გამოეწვია უფროსები მძევლებად, რათა ის უზიანოდ მიეცილებიათ ჩერკეზთა სამხლვრებადის. მძევლები და მხლებლები მართლაც მივიდნენ: ეიდრე აქედან დაიძროდა ვახტანგი, მას ერისთვის შანშესაგან წერილი მოუვიდა, რომელშიაც ის სთხოვდა:

ნუ შევიკთ მკუდარსა უმკვიდროდ სახლ-სამყოფიან ნგრეულად,
შვილი ჩვენს ალაგს ამყოფე, არ გაეხდეთ თქვენთვია ეულად

ვახტანგმა უარი შეუთვალა და ხუთი დღის შემდეგ ავიდა უწერას; აქ ხელმეორედ მოუვიდა მას არზა იმავე ერისთვისაგან:

ნუ ხართ ჩვენთენ, მხევე, დამსლველი,
აქ გვიბოძე შანაოზ-ხან, ერთგულთ მკვეთი, მტერთ მომსერელი.

ვახტანგმა კვლავ უარი შეუთვალა და „დიდგორისაკენ“ გასწია; „სადაგელ მთებში“ სიარულმა და დიდგორლების ვერაგობამ მგზავრები დიდად შეაწუხა; მიუადექით ერთს მდინარესო, ამბობს ავტორი, რომელზედაც დიდგორლებმა ხიდი გააკეთეს, როდესაც ნახევარი აქეთ ვიყავით და ნახევარი იქეთ, ჩამალეს ხიდი და გამოგვთხოვეს „თეთრი ქრთამად“ და მძევლები თავიანთი მძევლების სამაგიეროდ; რა გაეწყობოდა, ქრთამი მივეციოთ, ხოლო მძევლობა იკისრა სახლთუხუცესმა ორბელისძემო. როგორც იქნა, მგზავრები ნისულან დიდგორს, სადაც ჩამოსულან ჩერკეზთ ბატონები, დედოფლის ძმები, და თავიანთ საბრძანებელში წაუყვანიათ: დედოფალს დედა მისი დიდის ამბით შეხვედრია, მგზავრებისათვის განუხენებიათ და შესაფერი პატივი უციათ. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა რუსის ჯარი, რომლის დანახვამ ჩვენზე, ამბობს ავტორი, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა: საქვე ისაა, რომ „სიშორისათვის ყახახათა“ გამოგზავნათ „კალმუხნი“. კალმუხები მერე შესცვალა დრაგუნთა ჯარმა, რომლის „ბლალადირმა“ ქართველებს სალამი და ქება უძღვნა. ამ ჯარისკაცებმა ან „სალდათებმა“ ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა:

ვითა ეთქმა მე მათი ეარჯიში, ან ცოდნა არტიკულისა,
დგომა და ყოფა, ფეხპრიჯი. სისწორე სიარულისა,
პოლკონიკთ დამორჩილება, როგორ სიმდაბლე გულისა,
უფროსთ ცემისთვის მაღლის ხდა, არ მიწყვა საწყაულისა.

თოთხმეტი დღის მგზავრობის შემდეგ ცხენებით და „კალასკით“ მისულან ციხეში, სადაც მათ გამოგებებია შემოსილი სამღვდელთა და დიდის პატივით მიუღიათ. აქედან ვახტანგმა დაუყონებლივ გაგზავნა ხელწვიფესთან ელჩად ანა-ლახვარი, თვითონ კი გაემგზავრა აშტარხანს, სადაც მიაღწია 27 დღის მგზავრობის შემდეგ ზღვით.

კარი მესამე: ბრძანებითა ლეთისათა მეფეთ მშვიდობით გამორბანებდა ზღვიდამ. აშტარხანს მისწვისას მგზავრებს მოეგება „თეთრით“ და მისასალმებელი სიტყვით კომენდატი მაიორით, რომელმაც მათ, როგორც გერ იყო, განუსვენა. ორი თუ სამი თვის შემდეგ დაბრუნდა ამილახვარიც, რომელიც ხელმწიფეს დაესაჩუქრებია ძვირფასი თვლებით შემკული საკუთარი სურათით; ხელმწიფე ატუობინებდა ვახტანგს: „მალე წამოდი თმით, შვილით. ხანარგასულიო“, გუბერნატორისათვისაც შესაფერი უკაზი გამოეგზავნა. ვახტანგმა აქ დასტოვა „ცოლშვილი“ და გაემგზავრა ცარიცინს.

კარი მეოთხე: მეფე დ. ცარიცინს მობძანებისა და იქსაზარელი ამბის ცნობა. ცარიცინში მას დახვდა კაცი, რომელმაც აუწყა დიდი ხელმწიფის პეტრეს გარდაცვალება. ამ კაცს მოეტანა აქ პეტრეს ანდერძი, რომელშიაც ის მემკვიდრედ თავის მეუღლეს ასახელებდა, მოეტანა აგრეთვე დედოფლის მანიფესტიც. ეს ამბავი ვახტანგმა თავის მეუღლესაც აცნობა, თვითონ კი გაემგზავრა მოსკოვს. სადაც მას შეხვდა მისი „და“, ხოლო მოსკოვიდან პეტერბურღს. აქ მას მიაგებეს ზომალდები და კატარღები და სარდალ-ბრელადირმა დიდი ამბით შეიყვანა ქალაქში, სადაც ზარბაზნების სროლით მიეგებენ მას; ქალაქში კიდევ უცხო „კალასკით“ მიაბძანეს ის თავის სივანეში.

კარი მეხუთე: მეფეთ პეტრეებრუნხს მისლევასა და ლეთიეკურთხეულთ დედოფალთ ნახვა. მესამე დღეს დედოფალმა მიიღო ვახტანგი, მისი ძმა და შვილი; ვახტანგმა სამძიმარით მიმართა მას და სთხოვა ნება-რთვა პეტრეს „საფლავთ ნახვის“- მეორედ ნახვისას დედოფალმა „უბრძანა სიტყვა კარგ გასაგონები“ და საიმედო, და „მოუბოძა სუფრის რიგი, ვერცხლთ კოცები ანუ ჯამი.“ მესამე ნახვისას უბოძა მას ქმრის სურათი და უბრძანა „სხვათ ბალთა წასლევა და ლხინი,“ მეფემ თავის მხრივ მიუძღვნა მას „ნაწილი უცხო ძელისა,“ „მარგალიტი ძვირფასი, მსხვილი საპამი ყელისა,“ სხვადასხვა ნაწილნი, „ზოგს კოლოფი აქვს ოქროსი, ზოგზედან ჯაქვი კიდებით,“ აგრეთვე „უანგარიშო“ ოქროთა ქსოვილი მანდილი რიღებით.- დედოფალი მეტად კმაყოფილი დარჩა და უთხრა ვახტანგს: მე და ხვანთქარი პირობით უნდა შევეკრათ ერთმანეთს. იმედი მაქვს „თქვენს ქვეყანას ნებით დამიგდებს. თორემ ვაჩვენო ქირობა;“ „გარკივებამდი აქ გიზამ კაის მამულით რჩომასა, ულუფას მოგცემ მრავალსა, არ სწუხდე ცუდად შრომასა.“ ჩემი დაი დედოფალი, თქვენი მეუღლე, მოსკოვს მოვიყვანოთ. მე მალე უნდა წაეიდე იქ და ერთმანეთს ენახავთო. წამოვიდეს მხოლოდ თვითონ, წამოიყვანოს მარტო უმცროსი შვილი, სხეები კი დარჩენ ჯერჯერობით აშტარხანსო. მან დაუძახა თავის პოლკის კაპიტანს, მისცა მას გუბერნატორთან შესაფერი უკაზი და უბრძანა დაუყონებლივ დედოფალი მოსკოვს მოიყვანო. კაპიტანი წამოვიდა, თან გამოჰყვენ მას ზურაბ ედიშერი და დემეტრე შალიკაშვილი; მოვიდენ აშტარხანს და დედოფალს აცნობენ იმპერატორის ბრძანება. თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს გამგზავრება იანერის 27; დანიშნულ დროს დედოფალი გამოეთხოვა თვალცრემლიანი რძლებს, ეფისკოფოზებს და ყველა მხლებელთ და გაუდგა გზას.

კარი მეექვსე: ხელმწიფის ბრძანების აღსრულება დედოფლისაგან და წაბძანება მოსკოვს თვისა იანვარსა. ოქტაბრი-

მეტი დღის მგზავრობის შემდეგ ის ჩავიდა მოსკოვს: აქ მას შეხვდა „ბული“ რომელსაც მან მიუტირა მამის სიყვდილი, მერე წავიდა არჩილ მეფის საყვავზე და აქ მას ცხარე ცრემლები დააყარა.

ქარი მეშვიდე: ხლმწიფეთ დედოფალთაგან წარმოგზავნენ მეფის ციხილბაშისაკენ დიდით დიდებითა და უამრავის ჯარითა. იმპერატრიცამ მოიხმო უუროსი ვეზირები და უთხრა მათ: ხომ გახსოვთ განსვენებულის მეფის სიტყვები: აქ შოვა ქართლის მეფე, რომლის საქმე, თუ ცოცხალი ვიქნ, კარგად უნდა მოვარიგოვო; თუ მოკვდი, ორი სიტყვა უთხარით მას:

აქ ყოფა სწადდეს, მამულით თქვენ შეინახეთ ძლებულად,
წასლვა უნდოდეს, სარდლითა ჯარი მიეცით ხლებულად.

ძმა მათი მეფე არჩილი აქ მობრძანდა წინა ეამით,
არ უნდოდა ჯარი, თორემ უბოძებდი დიახ წამათ,
მივანიკე წყალობანი, არ ვადინ ცრემლი ნამით,
მწვე უყვარდი სანახავად, მე მიმანდა სწორეთ მამათ.

მერე დაიბარა დედოფალმა ვახტანგი და ჰკითხა: როგორ გნებათ, აქ დარჩებით, თუ „თქვენცენ გინდათ რებანიო?“ ვახტანგმა მოახსენა: ჩემს ქვეყანას ურჯულონი არბევენ, გთხოვთ მის შემწუხებელს შიშის ზარი დასცეთო. კარგო, უთხრა დედოფალმა, მე ქართლს უპატრონოდ არ დავაგდებ; ჩემს ქმარს ჰყავდა ერთი გამოჩენილი ჯარის თავი, რომელსაც ის განურისხდა და სიკვდილი მიუსაჯა, ის კიდევ ციმბირს გაიქცა. მე იმას დავიბარებ ეხლავე და შენ გაიყოლე თან:

წარემართე ციხილბაშით, ხარ ბელადო ქვეყანისა,
შემამაჟე ზღვის პირები, სხვათ სამეფო დიდი ხნისა,
სუიანობა ჩემი ყველა განთინე მსგაესად მზისა,
არ წაგისდეს კირნახული ჩემად ხორცად სულთა დემისა.

მეფემ თანხმობა განაცხადა, ჩამობრძანდა მოსკოვს და დედოფალს აუწყა ყველაფერი; დედოფალს მეტად ეწყინა ქმრის მოულოდნელად წასლვა, მაგრამ მეფემ ანუგეშა, ჩააბარა მისი თავი არჩილის ასულს დარეჯანს და ბაქარს, რომელსაც შესაფერი დარიგება მისცა, გამოეთხოვა ყველას, ჩაჯდა გემში და გამოემგზავრა აქეთ.

ასეთია შინაარსი ამ საყურადღებო პოემისა, როქელშიაც უფრო დაწვრილებით და სისწორითაა გადმოცემული ვახტანგის რუსეთში გადასახლების ამბავი, ვიდრე ბატიანეში. ¹ ზოგს რამეში პოემის მოთხრობა განსხვავდება ბატიანეს ცნობისაგან, მაგალითად, ვახტანგის რუსეთში გადასახლების მიზეზის ახსნაში; გადასახლებულთა რიცხვი ბატიანეში 1400-ია ნაჩვენები, პოემაში კი 1200, ბატიანით ვახტანგს ძმათაგან რუსეთში გაჰყვა მხოლოდ სვიმეონი, პოემაში კო

1) ქართლის ცხოვრება, II, 87-91, 333-334.

სწერია: „მეფეს ახლდა სხვა ორი ძმა,“ თუკა ორი არც პოემით განოდის: უფროს-უმცროსი ძმები (ქაიხოსრო და თვიმურაზი) ახალგაზღვრებაში გარდაიცვალენ. დომენტი კათოლიკოზი იყო და რუსეთში არ წასულა. იესემ წასლვაზე უარი თქვა, დარჩენ ვახტანგი და სვიმეონი, მათიანით აშაარხანიდან ვახტანგს პეტრებურღს გაჰყვა მხოლოდ შვილი ბაქარი, ძმა სვიმეონი კი იქ დარჩა; პოემაში პეტრე დიდი სწერს ვახტანგს აშტარხანში: „მეფევე, თქვენ მალე წამოდიოთ ძმით, შვილით ხანარგასული;“ და მართლაც, იქ მისული, იმპერატორის წარუდგება ის „ძმითა და შვილით.“ პოემაში ნათქვამია, რომ ვახტანგს, და მერე მის მეუღლეს, მოსკოვს დახედა მისი და ი, ნამდვილად კი, თანახმად მატეანესა, ეს და ი კი არ იყო, არამედ ბიძაშვილი, არჩილ მეფის ასული დარეჯანი.

ვინ არის აეტორი პოემისა? პირდაპირ ის თავის ვინაობას არ ამჟღავნებს, მაგრამ ჩანს ის ყოფილა ერთერთი თანამხლები ვახტანგისა თა ელენი შვილთა გვარიდან; ის ამბობს:

განაყოფი ჩემი ორი სამსახურის მონდობით,
თაველენიანი იახლენ სამნოთ არ მოშორებით.

ჩემი გკადრო, ძველად მედვა პატრონთ ხლება უშორებლად,
მამაპაპა გვარტომობით დაგდებული მე ანდერძად.
ემცნათ: შვილნო, ვინც იცოცხლოთ, ემსახურეთ პატრონს ნებად.
ძმა ვიყვენით ოთხი, უთხარ: სიტყვა ეს ვქნათ აღსრულებად.

ერთი უფროსი და ორი, ჩემგანვე უმრწემესია,
ის ვიცი, რომელ ჩვენის ჩამამავალთა წესია,
მე ვიახლები, თქვენ გული ნუ შეგვექნების მკუნესია,
პატრონზედ ერთგულობისა რაღაა უკეთესია?

ავტორს უკვე შეუთვისებია ზოგიერთი რუსული სიტყვები და ტერმინები, როგორც, მაგალითად: ოტკა, ბლადირი, რაჟ. ბრელადირი (БРАТЛАДІРІ), ღრაგუნი, სალდათი. არტიკული. პოლკოვნიკი, კლასკა, მუეიკი, პრავა, უკახი, კანენდანტი. იფრადორი (იმპერატორი), კაპიტანი, ღრაუი. ამ ბარბაროზმებსაც რომ დავანებოთ თავი ენა მისი ისედაც კოკლობს, იმაში ისეთი პროვინციალიზმები გვხვდება. როგორც ოზდათი. რაც შეეხება მისს ლექსს, ის მეტად მდარე ხარისხის, უბეში და უღაზათოა, რითმაც ალაგალაგ ნაძალადკია, მარკვალთა რაოდენობაც კი არაა ყოველთვის დატული: ხან თექვსმეტია, ხან ნეტო, ხან ნაკლები: არც ერთი მოხდენილი პოეტური სურათი მას არ მოეპოვეთა და. თუ ხანდისხან აქისი ცდა გვხვდება მის ნაწარმოებში, ის ან უხერხულია [„ხელის ჰავამ ქარვად უქია ქალთა პირისა ბროლები], ან მიმბაძველობითია [„მეფეთა რძლები ტირიან, ჩარცხიან ბროლთა მინანი“], ანადა ნაძალადკესენტეიმენტალურია [მისლვა დედოფლისა მოსკოვს არჩილის საფლავზე და მისი დატირება].

ავტორი დიდი პატრიოტია, ის რუსეთში გადასახლებას დიდ უბედურებადა სთვლის და, როდესაც, რუსეთის ტერიტორიაზე ფეხის შედგომისას, მას აქაური მშვიდობიანობა და კეთილდღეობა თავის ქვეყნის უბედურებას აგონებს, გულნალვლიანი შენიშნავს: „კურთხევეით. მცა არს ის რიგი, თავის ქვეყანას ვინ არსა.“ თხზულება დაწერილია იმ წელს, როდესაც ვახტანგი იმპერატორიკამ გილანს წარგზავნა (1727), მისი პოემა ამით თავდება და ამის შემდეგი ამბები მან უკვე არ იცის; ყოველ შემთხვევაში, ის დაწერილია სეხენია ჩხეიძის საისტორიო შრომის დაწერამდე (1739), ვინაიდან სეხენია ამ შრომას იყნობს, ის სარგებლობს კიდევაც იმით, როდესაც ამავე ამბავს გადმოგვცემს;¹ შინაარსის გარდა ამას ლექსიკური მოვლენანიც ადასტურებენ. სეხენიაც ხმარობს პოემის სიტყვებს: კალმუზი, ბელულარდი (Белларды), კალასკა, ედილი (Бодра), აშტარხანი, პეტრეუხი და სხვ. დაწერილია პოემა 1730 წელზე ადრე, ვინაიდან ამ წელს „ქნიაზ გაბრიელ გელოვანს“ აუწერია სწორედ ესევე ამბავი, — ვახტანგის რუსეთს გადასახლება, და მასაც უხვად უსარგებლნია ამ პოემით.¹

7. პირი ქართლისა.

ასეთს სახელს ეწოდებთ ჩვენ გურამიშვილის დავითიანის იმ ნაწილს, რომელშიაც გალექსილია იგივე ეპოქა და ლაპარაკია იმავე მეფეზე, რაც უკვე განხილულს კატალიკოზ-ბაქარიანსა და ვახტანგიანში. გურამიშვილის დავითიანში ამ ნაწილს საკუთარი სახელი არ აქვს, ამიტომ, შინაარსის მიხედვით, ჩვენ მას მივეციტ ზემომოყვანილი სახელი, რომელიც ანოლებულიათვით პოემიდან და გამომხატველია მისი მთავარი აზრისა: ქართლის კირსა ვერვინ მოსთვლის²-ო, ამბობს პოეტი.

¹) გაბრიელ გელოვანის შრომა, რომელიც მოთავსებულია სიბეველ. მუხღუმის ხელნაწერში № 1007 (M. I жана шивин, Описание III, стр. 261—265). დაბეჭდილია 1879 წელს (ივერია, № 5—6, გვ. 195—200); გაბრიელს ის დაურთავს მის მიერ რუსულიდან (ხელნაწ. № 1007-ით ლათინურიდან) ნათარგმნი ლეოგრაფიისათვის. იმერთ მეფის ასული ნინო, რომელიც ვახტანგს გაჰყოლია რუსეთს, ყოფილა ბაგრატიის ქალი, გელათის მონასტრის მონღოზანი. გაბრიელი მიუბარებია ნინოსათვის „მიზეზთათვის სწავლისათა“ ოდიშის მთავრის ბეჟან დადიანის (1715—1728) მეუღლეს თამარს, რომელიც მისი მამიდად მოხედებოდა. გაბრიელი ნინოს გაჰყოლია და, მამასადამე, ისიც ერთერთი მხლებელი ყოფილა ვახტანგისა. რუსეთს რომ მოვედო, ამბობს გაბრიელი, „შევეგენ მკირესა ენასა რუსთასა და რაკოდენ შემძლეულ ვეზმენ, ვთარგმნე“ ეს გეოგრაფიკო. გაბრიელის მიერ დაწერილი მოგზაურობა ვახტანგისა თავდება მისი პეტერბურღს მისვლით, მამასადამე, ის უფრო მოკლეა, ვიდრე ჩვენი პოემა, მაგრამ საერთო ნაწილში ის უფრო ვრცლად გადმოგვცემს ზოგიერთ ეპიზოდებს მოგზაურობისას, მაგალითად ნინო მონასტრის გასარესა ვახტანგთან იმერეთიდან. აღნიშნავს ის ელჩის საიფლს, რომელიც პეტრემ ვახტანგს ტფილისში გამოუგზავნა (გვარწოდებით ტოლსტოვი); როდესაც ვახტანგი მოვიდა ციხესა სოლდისასა წელს ჩლკდ, მუნ მოეგება მას სარდალი გაბრიელ კროპოტოვი, ამბობს გელოვანი. საერთოდ გაბრიელის შემუარებოც საქმოდ საუბრად ლეზოა.

პოემა იწყება¹ ქართლ-კახეთში სარწმუნოებრივ-ზნეობრივი პრინციპების შესუსტების აღწერილობით, რისთვისაც ღმერთმა შესაფუძი „საწყაუი“ მიუწყო ქართლ-კახეთს ჯერ კიდევ მემართიანე გადმოგვეცემს, რომ „ამ ეამებთა იყო მომსრველი ეამი ფიცხელი, მკალა მომჰამელი, რამეთუ მტრინვალთა დააბნელიან მზე, და სიყმილი ძლიერიო“;² თანახმად ამისა პოეტიც აგვიწერს სეჟადასხვაგვარ სტიქიურ უბედურებას, რომელიც ქართლ-კახეთს დაატყდა თავს, და, განსაკუთრებით 1721 წლიდან თავჩენილს, აწიოკებას ამ ქვეყნებისას გარეშე მტერთა (თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზი, ლივი, დიღო, ქისტო) თარეშობისა და შინაური უთანხმოებისა და შლილობის გამო. ამის შემდეგ ის იწყებს ვახტანგ მეფის ამბავს, ქართლის არაკს, მერე თავისთავისას. „დაჟარგულ დაბაწრულისას“.

შაჰთამაზმა, ლოთმა და მეძაემა, დიდად შეაწუხა ქართლ-კახეთი და ეახტანგ მეფე, რომელიც შვიდი წელიწადი უჰატოდა ჰყაედა თავისთან. ამ დროს თეთრი რუსეთის მკირეულმა ცხებულმა პეტრემ კაეკასიის მთებამდე მოაწია კიდეც, მან დაუწყო შენება სოლალს და შიშის ზარი დასცა დაღესტანსა და სპარსეთს. პეტრემ ეახტანგს წერილი მოსწერა: წამოდი ჩემენ, მამად მიგიჩნეე. მომენდეე მე და წამიძილე შენს მტერზედაო! გაიმართა ეახტანგთან დიდებულთა თათბირი; ზოგს პეტრეს წინადადების მიღება სახიფათოდ მიაჩნდა: „ვირემ რუსნი გვიშეელიან, მანამ ჩენი გარდაგვხედებისო“. ზოგი კიდევ სიხარულით შეეგება მას. რადგანაც მეფე უქანასქნელთა მზარეზე იყო, გადასწყდა ეახტანგის რუსეთს წაღევა. ეს ამბავი მეფის მტრებმა აცნობეს შაჰთამაზს, რომელმაც ამისათვის ქართლი მისცა კახთ ბატონს, კონსტანტინე ერეკლეს ძე მამად-ყული-ხანს. კონსტანტინემ ამის გამო თათბირზე მოიწვია კახეთის დიდებულნი და განუცხადა მათ, რომ ის შაჰის ამგვარ წყალობას ვერ მიიღებს:

ყენს შიშით თავითგანეე გაუხდივართ ერთი ორად,
ახლა როდის შეგვეერთებს, საქმე გვიგდო მოსალორად.
ქართლი მომცა ძმათ საჩხუბრად, ამხანაგთა მოსაშორად.

თუმცა ყველა არ იზიარებდა კონსტანტინეს ბრძნულსა და ჰუმანიურ შეხედულებას, მაგრამ მან მაინც გამოახატინა სიმბოლურად წერილში ქართლ-კახელთა ცეცხლის რკალში ყოფნა და მათთვის ერთობის აუცილებლობა და გაუგზავნა ეახტანგს. ამ გამოხატულებაში ეახტანგის მრჩეულებმა, განსაკუთრებით მისმა ძმამ იესემ, დაინახეს კონსტანტინეს მხრივ ვერაგობა. მაგრამ ეახტანგმა სურათის მნიშვნელობა სწორედ შეიგნო და კონსტანტინეს აცნობა, მობრძანდი ჩემთან მოსალაპარაკებლადო. იესემ მაშინ იხმო დოდოელი ბერი ეპიფანე და მისი ხელით კონსტანტინეს წერილი გაუგზავნა: არ მოხვიდე, ეახტანგს შენი მოკლეა აქეს განზრახულიო.³ კონსტანტინემ ამაზე ეახტანგს მიუგზავნა

¹ ესარგებლობთ პ. უმიკაშვილის გამოცემით, 1881 წ.

² ქართლის ცხოვრება II, 78.

³ ეს ეახლოდი გადმოკეულებო თანახმად იმ დოკუმენტებისა, რომელიც გამოკეულებო პროფ ა. ცაგარლის მიერ (Собр. сочин. III, СПб. 297—298).

ბერები და შეუთვალა: მე არ მინდოდა ის, რაც უნდა მოხდეს ჩვენ შორის, მაგრამ შენ ჩემი კეთილი სურვილები ვერ შეიგნე, ამიტომ, თანახმად შაჰის წინადადებისა, უნდა ქართლი ჩაიბარო შენგანაო. ვახტანგი გაჯავრდა და ბერები დააპატიმრა, კონსტანტინემ კი ლეკების დახმარებით დაიპირა ტუილისი და მისი მიდამოები. ვახტანგმა გაგზავნა თავისი შვილი ბაქარი და ძმა იესე ხვანთქართან და სთხოვა ქართლიდან სპარსელებისა და ლეკ-კახელების გაყრა. ოსმალები ზოვიდნენ და დაიპირეს ქართლი და კახეთი, ვახტანგი რუსეთს წაეიდა, ხოლო კახთ ბატონმა ფშავ-ხევსურებს შეათარა თავი. ამ არეულ-დარეულში ქართლ-კახეთში გაწვდა მრავალი ხალხი და ქვეყანა სულერთიან დაინგრა. აქ დავით გურამი შვილი ურთავს თავის ბიოგრაფიას, როგორ ჩაუეარდა ის ხელში ლეკებს, როგორ გაიპარა და, დიდი ვაიყვალახის შემდეგ, გადავიდა რუსეთს და შეერთდა ვახტანგის ამალას.

ვახტანგი პეტერბურით მოსკოვს ჩამოვიდა დიდის იმედებით და იქიდან ყველა თავისი მხლებლებით მდინარე ედილით აშთარხანს გამოემგზავრა. აქ მან გაიგო, რომ თამაზ-ხანმა აიღო შემახია, რაც ვახტანგს დიდს უხერხულეობაში აყენებდა. მიუხედავად ამისა, ის გადმოვიდა დარუბანდს, სადაც რუსებმა დიდის ამბით მიიღეს. შემახიას ალების შემდეგ თამაზ-ხანმა ოსმალები ტფილისიდან გადგნა და ნერე რუსეთს თავისი დესპანის ხელუფას¹ პირით მოსთხოვა სოლალის ციხის დანგრევა და კასპიის ზღვის სანაპიროების დაცლა, რაც რუსეთის მიერ დაუყოვნებლივ შესრულებული იქნა. ამ გარემოებამ ვახტანგი პირდაპირ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, მას ყველა იმედები გაუცრუდა და იძულებული წაიქნა დარუბანდიდან უკანვე აშთარხანს დაბრუნებულიყო. აქ მან ბაქარს უთხრა: მე ბედი არ მწყალობს. სამშობლოს ვერა უშველე რა, ეხლა შენთვის ჩაიბარებია მისი ბედი-ილბალი, იბრუნე, როგორც მოგიხერხდესო; მე აქ დავიჩნები, რაც შეეხება ჩვენს მხლებლებს, მათ ნება მიეცი მოიქცენ ისე, როგორც უნდათ: უნდათ, სამშობლოში დაბრუნდნენ, უნდათ აქ, რუსეთში, დარჩნენ. ბაქარმა მამას სთხოვა მოსკოვში გადავიდეთო, მაგრამ მან უარი თქვა; მხლებლებსაც ეტკინათ გული, რომ ვახტანგმა მათზე ხელი აიღო და თავის ამარა დაყარა ისინი. ბაქარმა წინადადება მისცა მსურველთ-გაპყლოლდნ მას მოსკოვს, აშთარხანს დარჩა ცხოვროდ ვახტანგი ათიოდე მოსამსახურით. გავიდა ხანი და ვახტანგი გარდაიცვალა, რუსებმა ქართველება წინადადება მისცეს—ან რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეთ და სამსახურში შედიეთ, ან თქვენს ქვეყანაში მიბრძანდითო; ჯანი არ იყო. დასთანხმდნენ პირველს. ამის შემდეგ რუსის მთავრობამ წათ აღვილ-მანული დაურიგა, თავადებმა მიიღეს ოცდაათ-ოცდაათი, ხოლო აზნაურებმა ათათი კომლი გლეხაკი. ამავე დროს ისინი სამხედრო სამსახურში შევიდნენ და მონაწილეობას ლებულობდნენ. სხვათა შორის, 1742, 1757 და 1758 წელს რუსეთის ომებში.

ასეთია შინაარსი ამ პოემისა. რომელშიაც საერთოდ სისწოროთაა გადმოცემული ქართლ-კახეთის გაქარვებული და საეალალო მდგომარეობა მეთუამე-

1) შეად. ქართლის ცხოვრების ხელოფა, II, 78.

ტე საუკუნის პირველი ნახევრისა და ეახტანგ მეფის დიპლომატიის შედეგები. პოეტი ცხარე ცრემლებით დასტირის ცხოვრების სიმუხთლეს, რომელმაც ასეთი ნუხრუკი მოუჭირა მის სამშობლოს, რომელმაც ასეთი არევე-დაარევა და სისხლის ღვრა შეიტანა ძმათა შორის; ყველაზე საეალალოდ მას მიაჩნია, რომ ქართველებს ვერ შეუგნიათ საერთო ინტერესები, ის სტირის, რომ „კახელების აღმა-
 ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს“, ისინი ერომანეთს ეკონკლავებიან და ამით მტერს ხელს უხსნიან:

ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
 მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,
 რა ორნივე დაღალულნი ძალღმან ნახოს, პირი ჰკიდოს,
 ვგრედ ქართლი და კახეთი დარჩა-თურქთა, ლეთა, დიდოს.

პოეტს ეძნელება ლაპარაკი ამის შესახებ, მაგრამ მამულიშვილისა და ადანიანის მოვალეობა მას აიძულებს, როგორც უნდა დაუჯდეს, ავი ავად ახსენოს ღა კარგი კარგად. ის აღშფოთებულია, რომ ქვეშევრდომნი ერომანეთის სისხლსა ღვრიან, ამასთან ერთი-მეორეს უსისინებენ მათ პატრონ-მეფეებს და მათ ეთილ განზრახვას ტრალედიად აქცევენ (ეახტანგი და კონსტანტინე). პოეტი ამაყვე ღროს გულახდილად ამთარახებს მეფეების პოლიტიკურ სიბეცეს და წინდაუხედველობას, განსაკუთრებით მას აღშფოთებს ეახტანგის პოლიტიკური რომანტიზმი. როდესაც ის გულუბრყვილოდ უწოდებს ხელს „ჩრდილოეთის“ ხელმწიფეს:

ტიროდენ. ამას იტყოდენ: ახლა არს ჩვენი დავსება,
 ვერ მოგვიხდების კარგადა ამღენი წყვეტა. ტმანება.
 მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება,
 სამი ვეშაპი ერთს ლომსა აწ ვითარ მოეთავსება?

მეთეს სძრახევდენ, იტყოდენ ეგვეითარსა გმობასა:
 სამს დიდს ხელმწიფეს. პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობას!
 ყენის სპასალარია, თავს ირქვამს მის რა ყმობასა.
 რუსთ ხელმწიფეთსთან მამაობს, ხეანთქართან ჩემობს ძმობასა!

ჩვენს ქვეაში ესე საქმენი არ არის მოსაწონარო:
 რა სამთავ კემა შეექნასთ. ჩვენზედ მათ შექნან ონარო.
 გარს მოგვეკვიროს მუხრუკი, არსით ჩნდეს მოსაფონარო.
 ვიქნებით შეილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარო.

თვით შეილი ბაქარიც კი არ უწონებს თავის მამას საქციელს და ამბობს:
 ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე მინაწოდმარე,
 რაზედაც მიღგა, არ დარჩა ის საქმე წაუხდომარე!

პოლოსადობლოს თვით ეახტანგიც შეიგნებს თავის შეცთომას და სევდიანი კილოთი ამბობს:

ნაგრამ ნუზავინ შეიყოს თავისი ნებით სნებას!

ღრო პომის დაწერისა გამორკვეული იქნება იქ, სადაც ლაპარაკი გვე-
ნება საგანგებოდ დავით გურამი შვილის შევოქმედებისა და დავითიან-
ნის დაწერის შესახებ

8. დავითიან-გაბრატოვანთა მატთანა.

ასეთი სახელი შეიძლება ვუწოდოთ მრავალფერ-ყვავილოვანის
პირველს ნაწილს, რომელშიაც ავტორი მისი ამბობს:

დასაბამითგან სოულისა კელეპყაე შაირათ წერასა,
ადამისითგან ქრისტემდე ვთქვი, სული მცემდა მე რასა,
ქრისტესით დავითის ტომთა თხრობა მომცემდა მღერასა,
აღმაშენებლის ჰამბისთვის ვიქმოდი სტიხთა მზერასა.

თამარ დიდისა კელმწიფას ჰამბაენი საწადელები
აღესწერე, სრულ ვყავ მოთხრობა, ბრძენთაგან საქებელები.
სხვა კოლხიდელთა დედოფალს შეუქმევე ლექს ნათელები,
თეიმურაზსკა შეუთხზუნე შაირნი სისურველები.¹

თხზულება შესდგება ორი ნაწილისაგან: პირველს ნაწილში გალექსილია
ბიბლიური ისტორია ქვეყნის გაჩენიდან მოყოლებული იოსების გარდაცვალებამდე
დე ვევიპტეში, რომელსაც მიჰყვება გენეალოგია იესო ქრისტესი პარდაპირი და
უკუქვეითი; ეს ნაწილი შეიცავს 79 თავს და 607 ტაეპს. განსაკუთრებით
ბერს ლაპარაკობს ავტორი იოსებ მშენიერის შესახებ (თაეები 52—78, ტაეპი
346—588); ეს მას განგებ ჩაუდენია, რომ ამ მხრივ თავისი შრომა დაეპირდა-
პირებია თეიმურაზის იოსებ-ზილიხანიანი სათვის; აი რას ამბობს ის
თეთონ ამის შესახებ:

თუმც მშენიერი იოსებ მეფესა ენამზესაჯა,
სიბრძნის ტრფიალსა, მკვერმეთქესა, თქმატკილად მელექსესაჯა.
შეემკო ტურფად ჰამბაეი მისი, ძლიერად მუნესადა,
შეეთხზა მსმენელთ საამოდ პანკრატონთა ძესადა,

აქვერ სცნობთ მისებრ ზილიხას ვისთვისმე ლექსთა ტკბობასა.
ვის დიდად უქებს აღნაგისს და სახის ლამაზობასა,
გარნა ამბაესა ნანდილსა ისმენთ ყე თქმამართლობასა,
იგი სპარსულით შეუთხზავს, ეაქებ მისს მუსიკობასა.²

ქრისტეს უკუქვეითი გენეალოგიაში ავტორი ჩამოდის სოლომონ ნეფენდე
და მერე ამბობს:

1) წერა-კითხვის ხელნაწ. № 153, შეავალი ტაეპი, 6—7.

2) იქვე, ტაეპი 2—3.

სოლომონს ესხნეს შვიდ ძენი, ერთიერთზედა ქებული:
ბაგრატ, აბგაეარ, მოაბალ, გუარამ თავმოწონებული.
სააკ, არამ და ვარზაეარდ, ურთიერთს შეყვარებული.

ესე ძმანი ურთიერთს მტრფობნი, შეიდნივე სახელიანნი,
ცხოვრობდენ ტუბილად ფილისტიმს, კეთლდღეობით სვიანი.
მამაკობითა განთქმულნი, მშვილდ-კაპარქ მარჯვე ხმლიანი.
ჰქონდათ საკმაოდ საცხოვრი, იშვებდენ მრავალკვიანი.¹

მეორე ნაწილი თხზულებისა შეიცავს ქართლის ცხოვრების გალექს-
სვას სოლომონის ზემოჩამოთვლილი შვილების. მოსლევადმ ქართლოსის ბედ-
ქვეყანაში. ძმებმა გადასწყვიტეს აყრილიყვენ და წასულიყვენ უფრო კარგი ქვეყ-
ნის საძებნელად; დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ მოადგენ ქართლოსის წილ-
ხდომილ ქვეყანას, რომელიც მათ მეტად მოეწონათ. და გადაწყვიტეს აქ დაბი-
ნაეება: „ვის სადა გეინდეს მეფეთა ჩვენ მათა შეეწყწინარეთა“-ო. ამბობდენ ისინი.
ძმები მივიდენ რახილ დედოფლის პალატად და ნათელ იღეს; უფროსი ძმა. ბაგ-
რატი, რახილმა ზედსიძედ მიიღო, ორი ძმა—აბგაეარ და მოაბალ, ისინა სო-
მეხთა მეფემ, ხოლო გუარამ და სხვა სამი ძმა, 508 წელს ქრისტესით, შევიდენ
ქართლს, სადაც ამდროს მეფობდენ ვახტანგ გორგასლანის შვილები დავით და
მირდატი. მირდატმა გუარამს მისცა ცოლად თავისი დაი და უბოძა ტაოს ერას-
თაობა. რამოდენიმე ხნის შემდეგ გუარამს ეყოლა ძე ბაგრატი და ამნაირად შე-
ერთდა. თესლი ვახტანგ გორგასლანისა და დავით, ურიათა მეფისა. ავტორის
მიზანი იყო ეჩვენებია, რომ ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის შთაბო-
მავალი არიან, ამით იყო გამოწყვეული პირველს ნაწილში ბიბლიური ისტორი-
ის გალექსვა. ავტორს საჭიროდ დაუნაბავს მოკლედ, სულ 12 ტაეად (635—646),
მოეხსენებია ქართველთა ისტორია გუარამის მისღეამდეც. გუარამის გარდაცვა-
ლების შემდეგ ტაოს ერისთაობა დაიჭირა მისმა შვილმა ბაგრატმა, რომელსაც
შეეძინა შვილი გუარამ კუროპალატი. მირდატისა და დავითის სიკვდილის შემდეგ ქარ-
თველებმა კეისრისაგან გამოითხოვეს მეფედ ეს გუარამი. ამის შემდეგ იწყება ის-
ტორია ამ გუარამისა, მისი შვილის სტეფანოზისა, აშოტ კუროპალატისა. მისი
ძის ბაგრატისა, დავითისა, ადარნასესი, დავით კუროპალატისა, ბაგრატისა.
გიორგისა, ბაგრატისა, გიორგისა, დავით აღმაშენებლისა, დიმიტრისა, გიორგი-
სა, თამარისა, გიორგი ლაშასი, რუსუდანიისა, დავით ნარინისა, დავით ლაშას
ძისა და დიმიტრი თავდადებულისა.

ასეთია ზოგადად შინაარსი და შემადგენლობა ამ პოემისა, რომელიც ორი
რედაქციით არის შენახული. ერთი რედაქცია მოთაესებულია წერ-აკითხ. მოხე-
უშის ხელნაწერებში №№ 155, 357, ხოლო მეორე პეტროგრადის საჯარო
წიგნთსაცაეში, რომელიც ირანე ბატონიშვილს ეკუთვნოდა. ეს მეორე რედაქცია
გამოცემულიცაა დავით დამბაშის მიერ (ქუთაისი 1897 წ.) შემდეგი სა-
თაურით: „საქართველოს ძველის დროის თავგადასავალი, ლექსად დაწერილი:“
აქ გამოცემულია მხოლოდ ისტორიული ნაწილი, ბიბლიური გამოშვებულია. ან

¹) წერა-კითხვის ხელნაწერი № 155, ტაეები 66—67.

რო რედაქციათა შორის თვალსაჩინო განსხვავებაა: პირველი რედაქცია მეორეს-
თან შედარებით მოკლეა, მას აკლია არამც თუ შიგადაშიგ ზოგიერთი ტაეპები,
არამედ მთელი ნაწილი თამარის გარდაცვალების შემდეგ, ის თავდება თამარის
სიკვდილით და მისი „შესხმით“; დაბეჭდილი რედაქცია კი მოყვანილია დიმიტ-
რი თავდადებულამდე. თუ შეხედველობაში გვექნება შესავალში ნათქვამი სიტ-
ყვები: „თეიმურაზსცა შეუთხზენ შაირნი სასურველები“, უნდა ვფიქროთ, თხზუ-
ლება; თუ მოყვანილი არ იყო, განზრახული მაინც იყო თეიმურაზ პირველამდე.
ტუილისის ხელნაწერების რედაქციაში ეს მეორე, ისტორიული ნაწილი შეიცავს
134 თავს (§0 213) და 911 ტაეპა (608-1518), დაბეჭდილში კიღევ 33 ზედმე-
ტი თავია. ზოგიერთი ტაეპები პირველი რედაქციისა მეორეში ცოტათი შეცე-
ლილია და სხიანაირად დალაგებული, სათაურებიც არ ეთანხმება ერთიმეორეს.
ამას გარდა მეორე რედაქციაში ისტორია თამარ მეფისა სულერთიან გადაკეთე-
ბულია; განსაკუთრებით საყურადღებოა აქ ტირილი გარდაცვალებულის თა-
მარისა: ქართულთა, იმერ-მეგრულ-გურულ-აუხაზთა, მესხთა, კახთა და მთეულ-
თაგან.

ვის ეკუთვნის თხზულება? „სამწუხაროდ“, ამბობს გამომცემელი მისი, „დამ-
წერ-განმეჭსავეის არც ეინაობა ვიციოთ და არც ხანა არსებობისა“ (გვ. III); მაგ-
რამ, როგორც თავის დროზე ე. თაყაიშვილმაც აღნიშნა ამ გამოცემის რე-
ცენზიაში,¹ ავტორი პოემისა არის ცნობილი პეტრე ლარაძე ეს შემდეგი-
ვანა ჩანს: 1) ის არის ნაწილი პეტრე ლარაძის თხზულების მრავალფერ-
ევა ვილოვანისა, რომლის საზოგადო წინასიტყვაობაში პირდაპირაა ნათქვამი,
როა წიგნი იწყება დასახელებული პოემით: 2) პოემა იწყება ასე: „აქა იწყების
სიტყუა პეტრეს მიერ ყარბის ლარაძისა, შექმნისათვის სოჯლისა და ადამ პირ-
ველისა მამისა ჩუენისა, შაირად თქმული“; 3) თავდება თხზულება (ტუილისის
ხელნაწერებში) შესხმით, რომელსაც აწერია: „შესხმა თამარ დამყარებულისა,
ველმწიფისა მეფის გიორგის ასულისა, გიორგიელთა თეიმძყოზელისა მონარ-
ხისი. თქმული ხუთ ტაეპ იამბიკოდ, ბოლოებ განწყობილად, ათშეიდმეტ მუხ-
ლუდად, კეთილშობილის პეტრეს მიერ ლარაძისა, გიორგის ძის, ყარბისა, რომ-
ლისა მიერ ჰამბანეიცა ზემორენი ვალექსილ იქმნეს ჩუყე-სა წელსა“. (წერ-
კითხ. № 155, გვ. 222). აქედან ცხადია, რომ პეტრე ლარაძეს პირველი რედაქ-
ცია ამ თხზულებისა დაუწერია 1825 წელს; მერე ის მას გადაუმუშავებია, და-
წერილი ნაწილი გაუფრცია, შეუსწორებია და გაუგრძელებია თამარის გარდა-
ცვალებიდან მოყოლებული. როდის გამოცემა მან ეს მეორე რედაქცია, არ ვი-
ციოთ. არ ვიციოთ არც ის, რა მოტივებით გადააკეთა მან იგი.

თხზულება პოეზიის თვალსაზრისით ყოველივე ღირებულებას მოკლებულია.
არც ერთი ცოცხალი სურათი, არც ერთი გრძნობის აღმძრველი ტაეპი იმაში
არ მოიპოვება; ავტორი 16 მარცვლოვანი ლექსით ვადმეოგვეცემს ჯერ ბიბლიის
მოთხრობას და მერე ქართლის ცხოვრებისას. მატთანეს მოთხრობები
დალაგებულია იმავე თანდათანობით. როგორც ქართლის ცხოვრებაში;

რითმაც ხშირად მეტად ნაძალადეგია, მის მისაღებად ავტორი მიჰმარ-თავს იოლ-
ნაწილაც და-ს:

მეფემან მის წილ ამისად სპასალარად დაადგინა და
მისაჲ ძმა გმირი ივანე, ვინ მტერი ყოველთეინ გმირა და,
პანცა, საითაც მიმართა, ყოველნი შეაჭირვა და,
მეცვალეებულსა მეფემან მრავალი უქნა წირეადა.

თბზულება საყურადღებოა მხოლოდ როგორც ნიმუში იმ ლიტერატურულ-
ჯანრისა, რომელიც ალორძინების ხანაში, უფრო კი მეთვრამეტე საუკუნეში, გან-
ვითარდა ჩვენში და რომლის უკანასკნელი წარმომადგენელი სწორედ პეტრე
ყარბია.



განყოფილება II

ლირიკა

ლირიკა აღორძინების ხანისა, ეპოსთან შედარებით, ნაკლებად განიკდის უცხო მწერლობის გავლენას; ვინაიდან ის გადმოგეცემს ავტორთა უშუალო აზრებს, გრძნობებს და განცდას; იმაში წარმოდგენილია ორიგინალური შემოქმედება ჩვენი მაშინდელი მწერლებისა და ამ მხრივ ჯეროვანი ყურადღების ღირსიცაა. სამშობლოს აწეწილი მდგომარეობა და ცხოვრების უკუღმართობა ღრმად აფიქრებდა მწერლებს და იწვევდა „საწუთროს სიმუხთლის“ შესახებ სალაპარაკოდ. რომელსაც ისინი არკვევენ ან რელიგიურ-ფილოსოფიური, ან პრაქტიკულ-ნორალური თვალსაზრისით; სასიხარულო მოვლენა თუ საყურადღებო პიროვნება ამ საეალალო მდგომარეობის დროს უნებლიედ აელერებს მათ ჩანგს და ალტყინებულ ხოტბა-დიდებას ამოჰკლევს მათი გულიდან; გატრუებული იმედი. აუსრულებელი სურვილი და მისწრაფება „სევდის ბალისკენ“ მიერეკება და იქ ნწარე (რემლებს აფრქვევინებს მათ; „მელნის ტბა“ სატრფოსი, „ინდოთა რაზმით“ გარშემორტყმული და „მოზიდული მშვილდით“ შემოფარგლული ათასნაირ სამიჯნურო ჰანგებზე ამღერებს მათ და ჰქმნის დაუშრეტელ წყაროს სატრუილო ლექსებისას. ყოველივე ამან შესაფერი ფორმები ჰოვა ლირიკაში, რომელთაგან განსაკუთრებით ჰოპულარულია გ ა ბ ა ა ს ე ბ ა და ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა. მწერლობამ ჩაითრია ფართო წრეები: სწერს მეფე და ბატონიშვილი, თავადი და გლეხი, სარდალი და მდივანი, ერი და ბერი, ქალი და კაცი, რომელთა ნაწერები, საგანგებოდ შეკრებილნი, მრავლად ამკობს დღეს ჩვენს სიძველეთ-საცავებს (იხ. წერ.-კითხ. საზოგადოების ხელნაწერები №№ 1511, 1512, 1536, 1575, 1576, 1582, 1612, 3635, 2399, 2481, 2516, 2533, 2593, 3686, 4589, 5090, 5131 და სხვ.) ყველა ეს ნაწერები ერთნაირად არ „ესობა გულს“, ყველა ამ მგოსანს არ შესწევს თანაბარი „ნიკი“. ამიტომ, შეიძლება ისინი თავისთავად და კერძოდ ყველა ყურადღებისა და შესწავლის ღირსია, მაგრამ ლიტერატურის ისტორიის საზოგადო კურსში შევლენ მხოლოდ ისინი, რომელთაც თავისი „რალაცა“ ჰქონდათ და რომელნიც სხვებს გზას უნაიებდენ და უკათედენ.

1. თეიმურაზ პირველი.

ბიოგრაფიულ ცნობებს თეიმურაზის შესახებ ჩვენ გვაძლევს როგორც მათიანე და საისტორიო დოკუმენტები, ისე არჩილ მეფის თხზულება „რუსთველისა და თეიმურაზის შედარება“, სადაც მეთუთხმეტე პასუხში გადმოცემულია „ცხოვრება თეიმურაზისა“. თეიმურაზის მამა იყო ძე ალექსანდრე მეფისა—დავითი. კაცი „ამაყი, ლალი და მრისხანე“ (ქარ. ცხოვრ. II, 112), ამასთანავე ბოროტი იმდენად, რომ, როგორც ცნობილია, მან დააპატიმრა ძმა თავისი გიორგი და ტახტიდან ჩამოაგდო მამა, რათა თვითონ გამხდარიყო კახეთის მეფე. დედა მისი იყო ასული აშოთან მუხრანბატონისა—ქეთევანი. ადამიანი, კეთილი და ყოველგვარი სათნოებით შემკული, რომელმაც შირაზში შაჰაბაზისაგან ნიწამებრივი გვირგვინი დაიდგა თავს. დაბადებულა თეიმურაზი 1589 წელს. გინაიდან 1605 წელს, როდესაც ის გამეფდა, 16 წლის ყოფილა (ქართ. ცხოვრ. II, 114). გიორგის გამეფების მოლოდინში, რათა მას შური არ ეძია შემდეგში, დედამ, ქეთევანმა, 1602-3 წლებში, თეიმურაზი გაგზავნა სპარსეთს შაჰაბაზთან. რომელმაც ის დიდი პატივით მიიღო. სპარსეთში თეიმურაზი „ისწავებდა წიგნსა და ენასა სპარსთასა“ (ქართ. ცხოვრ. II, 113), რაც ასე გამოადგა მას შინა დევნაში. ცხადია, სპარსულ ენას ის მანეჭდინაც და შემდეგაც სწავლობდა, აორბებდნენ ორ-სამ წელიწადში ის მას ისე ხედმიწეენით ვერ შეისწავლიდა. სპარსულ ენასა და ლიტერატურასთან ერთად მას საუფუქლიანად შეუსწავლია ქართული მწერლობა, როგორც სასულიერო-საეკლესიო, ისე საერო; რუსთველთან გაბასებაში თეიმურაზი ამაყობს, რომ მან სამღრთოცა და საეროც შეუდარებელად იცის. მწერლობისადმი მიდრეკილება და პოეტურად ნიჭი მას შემკვიდრებული უნდა მიეღოს: ცნობილია, რომ მამა მისი დავითი მოტრფიალე იყო მწერლობისა, რომელშიაც მან თავისი წვლილიც შეიტანა ქალილა და დამანასა გადმოთარგმნით კუსა და მორიელის არაკამდე. მწერლობისადმი, სიყვარულსა და პოეტურ ნიქს მოკლებული არ ყოფილა არც დედა მისი ქეთევანი; რომელსაც შირაზის პყრობილებაში უთქვამს მეტად ელეგიური ფისტიკაური. რომელშიაც ის გადმოგვეცემს თავის სევდიან ფიქრებსა და გრძნობებს.¹

ჩვენ არ გამოუდგებთ დაწერილებით აღნიშვნას თეიმურაზის მეფობის პერიპეტეიებისას, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი მეფობა არ იყო ბედნიერი და სასურველი არც მისთვის პირადად, არც მის ქვეშევრდომთათვის; უმეტესი ნაწილი თავისი ხანგრძლივი მეფობისა მან გაატარა ექსპორიობაში: ხან ოსმალეთში, ხან სპარსეთში, ხან რუსეთში, უმეტესად კი რაკასა და იმერეთში თავის ქალთან ნესტანდარეჯანთან, რომელიც ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფეს ალექსანდრეს; ხან დიდებული ფეოდალები ჩამოაგდებდნენ ტახტიდან და გააძევებდნენ, ხან სპარსელები, ხან ქართლის მეფეები. ლჯახურს ცხოვრებაშიაც არ იყო თეიმურაზი ბედნიერი: ჯერ იყო და მოუკვდა საყვარელი მეუღლე ელენე და სპარ-

¹) „ამას ესტირი ბნელსა მჯდომი, გულთა მდულრად დადაგული“, წერ.-კითხ. ხელნ. № 1512, გვ. 25-26; E. Такашвили, Описание II, стр. 200.

სელების მოთხოვნილებით იძულებული შეიქნა ცოლად შეერთო ახლო ნათესავი, ქართლის მეფის დაი; მერე—ძალით გამოგლიჯეს ხელიდან საყვარელი დედა და შეილები: ალექსანდრე და ლევანი, რომელთაც ტრალიკულად დალიეს თავისი დღეები სპარსეთში. ტრალიკული იყო ბედი სხვა შეილებისაც, დავითისა და ნესტანდარეჯანისა: დავითი ჯერ კიდევ ჰაბუკი დაიღუპა სპარსელებთან ბრძოლაში, ნესტანდარეჯანი, ეს თავისებური ქართველი კლეოპატრა, ჯერ ზურაბ ერისთავს ჰყავდა ცოლად, მერე იმერთა მეფეს ალექსანდრეს, უკანასკნელად, როდესაც თავის გერს ბაგრატს ვერ მისთხოვდა და ამისთვის ის ვერაგულად დააბრმავა, გაჰყვა ვიღაც ვახტანგ კუქუნაშვილს და 1668 წელს შტობთ განგმირულ იქმნა ხოსია ლეჩხუმელისაგან. ობლად დარჩენილ ორ შეილისშვილთაგან (დავითის შვილები) ერთი, გიორგი, ბავშობაშივე მოკვდა იმერთას მეფის კარზე, სადაც ის იზრდებოდა, მეორე, ირაკლი, იძულებული იყო ქართველთაგანის არე-დარევის გამო შორეულს რუსეთში გარდახვეწილიყო, სადაც ის იზრდებოდა და იქვებებოდა ანტიურისტული იდეებით, რომელთაც მრავალი მწარე დღეები აგემეს ქარაღ-კახეთს. თეიმურაზი მოესწრო მეორე ცოლის სიკვდილსაც და ეს თავხარდამტყევი ამბავი მან გაიგო გზაში, როდესაც ის აშთარხანს იმყოფებოდა, რუსეთიდან გასრუებული იმედებით გამობრუნებული. დასასრულს, მას უკუღმართმა ბედმა ისიც კი არ არგუნა, რომ საყვარელ სამშობლოში დაეხუპა თვალები: 70 წლის, სიბერით მოუღღრუბებული, მეფე იძულებული იყო სპარსეთში ჰსლებოდა ახალ შაჰს, რომელმაც შეჰლახა მისი წმიდათა-წმიდა, რელიგიური გრძნობა, და პირადი თავმოყვარეობა სახეში ლეონის შესხმით. მერე ექსორია ყო ასტარაბათს, სადაც ის ჯერ სულიერად გამოეთხოვა სიკოცხლეს ჩოხის ან მაზარის ჩაქმით, ესე იგი ბერად შედგომით, და მერე 1663 წელს, ფიზიკურადაც. მისი პოლიტიკური უბედობის მიზეზად, შეიძლება, ისიც ჩაითვალოს, რომ თეიმურაზი იყო იქიანი და დაუნდობელი კაცი, მოკლებული დიპლომატიურ შორსმჭერეკეობასა და საღს პოლიტიკურ აღლოს; მაგრამ რაც აკლდა მას როგორ მეფეს, უხედა ჰქონდა როგორც პოეტს, ნამდენილად რომ ეთქვათ, ის მოწოდებული იყო იმდენად მეფობისათვის არა, რამდენადაც მწერლობისათვის. იმდენად დიდია სახელი მისი, როგორც პოეტისა, რომ იმეათია ისეთი მელექსე აღორძინების ხანისა, რომელიც რუსთველის სახელთან ერთად მის სახელსაც არ ახსენებდეს, რომელიც არ ამბობდეს, რომ ამ ორ მწერალს ვერც ერთი მწერალი ვერ შეედრებაო. ამ ხანაში ჩვეულებრივი ყოფილა ცილობა და კამათი იმის შესახებ, თუ ვინ ვისა სჯობს: რუსთველი თეიმურაზს, თუ თეიმურაზი რუსთველს (ამისი გამოძახილი და დადატსურება გვაქვს არჩილის თეიმურაზიანში). იყვნენ ისეთები, და, მგონია, მათ რიცხვს არჩილ მკვეცუნდა ეკუთვნოდეს, რომელნიც უპირატესობას თეიმურაზს ანიჭებდენ. თვით თეიმურაზიც კადნიერად აყენებდა თავის თავს რუსთველის გვერდით და ხანდობან მოურიდებლად შენიშნავდა:

ლექსი ჩემი სჯობს გვარადა, ტკბილად სასმენლი ყურისა,
მაინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაჯულისა.

მით უფრო საკვირველი და საოკარია ის დახასიათება თეიმურაზისა, როგორც მწერლისა, რომელსაც გვაძლევს საერთოდ დინჯი და ჩაფიქრებული მონაზროვნე ანტონ ფურცელაძე: „ქეიფს, განცხრომას და ნადირობას“, ამბობს ის, „დაერთო ზედ მელექსეობა, რომელიც იმას მეტად უყვარდა; იმას წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც ნერონს თავისი მემუსიკობა, პოეტობა და მახიობა, რომ იმის ბადალი მელექსე არ გაჩენილა, უჯდა მთელი დღეობით ამ უშნო და უაზრო ლექსებს და აკლავდა თავის სიცოცხლეს შიგა. სწერდა ლექსს, სადაც არც ესტეტიკა, არც ხელოვნება, არც იდეა, არც რამე აზრი, არც რამე ისტორიული მხატვრობა, არაფერი ღვთისაგან განაჩენი არ ისახებოდა, ვარდა უბრალო და უაზროდ გადატმასენილი სიტყვების რახა-რუხისა, სიტყვებით ტნასენა-გრეხისა. ჰკითხვლობთ იმის ლექსებს და გიკვირს, რომ კაცს, რომელმაც განიოიარა ამდენი მწუხარება, გამოიარა ათასი ტრალიკული შესახარი მღგობრება. ათასი ღვენა, თავის დამცრობა, ნახა უმაგალითო ოხრება და ტყვეენა თავის სამეფოსი, თავის აღმზრდელი და შემნახველი ქვეყნისა, დაკარგა რამდენჯერნე თავისი სარჩო-საცხოვრებელი, დარჩა მეუობიდან უბინაოდ, უჯაროდ, სკადა ათასი სიმუხთლე სოფლისა, დაკარგა უმაგალითო წამებით დედა, პირნიო შვილები, დაკარგა სიყრმის საყვარელი ცოლი და სხეა ამისთანა, — როგორ არ შეიკრა აზრმა თავის ლექსებშია წერის დროს, როგორ ერთხელ მიიხს არ შეკვენესა გულმა ამოდენა ამბების მნახელს, როგორ არ გაუარა ერთხელაც არის რამე ჩასაფიქრებელმა და საგულისხმო აზრმა, მსჯელობამ, გონების მოსახრებამ, ქვეყნის ცრემლმა, ქვეყნის ვაებამ?¹

ამნაირად ან. ფურცელაძის შებედულებით, თეიმურაზის ლექსები ფორმი-თაქ და შინაარსითაც არაარობას წარმოადგენს; ეს არის შემცდარი შებედულე-ბა. ზეპირი ლაპარაკი და არა თვით ნაწარმოებთა შესწავლაზე დამყარებული აზრი, როგორც ამას ქვევით დავინახავთ.

თეიმურაზის სამწერლო მოღვაწეობა ორს მთავარ პერიოდს გვაძლევს:² პირველი პერიოდი მოდის 1629—1634 წლებზე, როდესაც ის, ზურაბ ერისთ-ვის მიერ ზურგგამაგრებული, ორივე ტახტის, ქართლისა და კახეთის, პატრონია, უზრუნველყოფილად ჰგრძნობს თავს და ქვეყანაც მოსვენებულად ეგულვება (ქაღალ. ცხოვრება II, 45—46), როდესაც, არჩილის სიტყვით, თეიმურაზს

ალარა ჰყვა მტერი მოღმა, გეომარი შემობმოდა,
დამორჩილდა ყოვლი ურჩი, ხელთ საბმელი ვითა ბმოდა,
ყოულგან ისმა ეს ამბავი და შეიქნა საამბოდა,
შეება იყო სამუდამო, ლხინ-სოჰბათი შეიმკოდა.³

აღნიშნული ხანის შესახებ არჩილი ასე ალაპარაკებს თვით თეიმურაზს:

ამ დროს ვთქვი ლეილ-მიჯნური, ზილიხან-იოსებისა
ქება, შეენება, სიტურფე მიჯნურთა ცეცხლებრ დებისა,

¹) გიორგი სააკაძე და მისი დრო, გვ. 374—5, ტფილისი, 1911 წ.

²) თეიმურაზის ნაწერები მთლიანად ჩვენამდე არ უნდა შენახულიყოს. თუ მხედველო-ბაში გვექნება მისივე სიტყვები: „ღრმა რამე ვთქვი, დამეკარგა, ის ვერავის მოვასწინეო“.

³) ცხოვრება თეიმურაზისა, პ. იოსელიანის გამოცემა, გვ. 127, ტ. 500

გაქრა მინდორად, ხელობა, გულთა ლახვრულად სოპისა,
ტკბილად რამ აღმოემეტყველე ლექსები სხივ-შუქებისა.

გამოვაჩინე ნათქვამი მე ჩემის მუსიკობისა,
არ დაშერა ენა შეტყველი ტკბილად მათ ზედა მკობისა,
განმარტვითა ვთქვი ქართულად თქმული სპარსთ არაკობისა,
საამოდ მჩენი მსმენელთა, მათებრად აშყიკობისა.¹

2) მგორე პერიოდი მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა შოდის 1649—
1656 წლებზე. როდესაც ის, ტახტმხიდილი და სამეფოდამ გაქვევებული იმე-
რეთს იყო თავისი სიძისა და ქალის კარზე. და უმეტეს დროს რაქაში ატარებ-
და. უსაქმო და მოკლილი, დროს გასატარებლად, ის ხელს ჰკიდებს ნწერლო-
ბას; ამ პერიოდის შესახებ ასე აღაპარაკებს არჩილი თეიმურაზს:

ახლა ვთქვი შეიდის კრებისა მამათა წმიდათ დასება,
სჯულის სინტიციე ნათლისა მათ მიერ შეიშოსება,
სარწმუნოება ნართალი მუნითგან დაეთესება,
ჯერკვალთა დრკეთა მწვალებელთ ოდითგან ექმნა დაესება.

ვარდს ბლბული გაეაუბნე, შემოდგომა გაზაფხულსა,
კვლავ სამთელსა პეპელაჲ, მისგან დამწვარ-დადაგულსა,
ამ დროს ლექსი ვით გაეაწეე, ძლიელა მხედაე მე სულდგმულსა,
მუნ მაჯამას, შეყრილს, ნახაე, არ აქა-იქ დაკარგულსა.²

თავისი თხზულებები პოეტს დაუწერია „გასაძლებელად“, ესე იგი გა-
სართობად და დასაფიქვებლად მწარე სინამდელიისა; აი რას ამბობს ამის შე-
სახებ ის შ ა ნ ი თ ა რ ვ ა ნ ი ა ნ ი ს შესავალში:

სულ განსაძელში დავლიე ჩემი ჟამნი და დღენია,
სხვა ვისმე ჩემი პატიჟნი არც ვისმე აშბად სმენია,
თვალთაგან ცრემლნი უწყალოდ ნილოსის მსგავსად მდენია,
ცუდად უსაქმოდ ყოფნითა ეა გული გარდამშენია.

გასაძლებელად დავწერე ხანდისხან ესე რამეო,
გული იმახედ დაეყარე, ბეერი დღე დაეყავ, ლამეო,
სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევილაშეო,
ჩარხი ჟუღმა ბრუნვიდა, ბედი დამტირდა ბარეო.

რაც გამეგონა სპარსთაგან წიგნები ლაყაფიანი,
ანბაენი ანუ შაირნი სალალობი და წყლიანი,
ლექსნი ლექსზე ვთქვი, ანბაენი, არც ყოლარ დაეაგვიანი,
პირველად სამიჯნურონი, ვითა ვარდნი და იანი.

¹) ცხოვრება თეიმურაზისა, პ. იოსელიანის გამოცემა ვვ. 127, ტ. 498—

²) იქვე, გვ. 162, ტ. 636—640.

ვარდს გავაუბნე. გააბრკვე ბულბული მისთვის ხელები,
ხელს მოვაგონე ხელქმნილი, ცრემლი ვადინე ცხელები,
ბრძენთაგან შესაწყნარები, სიტყვა არ საფიცხელები,
ცოტა რომ უქუვიყარე, სევდა ვყავ განათხელები.

შემოდგომა გაზაფხულსა ერთმანეთსა შევადარე,
მე გაბრკობით გავაუბნე, სიტყვიერად მოვაგვარე,
რაც რომ კარგი ორთავ სჭირდათ, ყველას თავი მოვუყარე,
ცოტას ვისმე ცოტას ხანსა ველაღობე, უკვიყარე.¹

თეიმურაზის ნაწერები სამი კატეგორიისაა/ ნათარგმნი სპარსულით. გად-
მოკეთებული დაქორიგინალური. ნათარგმნია ლეილა-მეჯნუნიანი და იოს-
ებ-ზილიხანიანი, გადმოკეთებულია იმავე სპარსულიდანვე ვარდბულბუ-
ლიანი და შამიფარვანიანი, თუმცა პირველს ორშიაც მას ბევრი თავისე-
ბურობა შეუტანია, ასე რომ წმიდა თარგმანად არც ისინი ჩაითვლება; ორიგინა-
ლურია დანარჩენი მისი შრომები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.
შინაარსის მიხედვით თეიმურაზის შრომები ორ ჯგუფად შეიძლება გაი-
ყოს: პოემები, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი: წამება ქეთევან
დედოფლისა, ლეილა-მეჯნუნიანი და იოსებ ზილიხანიანი. (იხ.
ზემოთ გვ. 330-332, 224-232). ლირიკული ნაწერები. რომელთაც ეხლა მიმო-
ვიხილავთ.

თეიმურაზის ლირიკა ორგვარია: რელიგიური და საერო, ან, თეიმურაზი-
სავე ტრამინოლოგიით, საღვთო და საკაცო. რელიგიური ლირიკის ნიმუშებია:
„შვიდთა კრებათათვის“ ან „კრების ამბავი“, უფრო ვრცელი სათაურით კი
„ქება და დიდება წმიდისა და ერთარსების სამებისა და ღვთაებისა, ბუნებით
განუყოფელისა, ხოლო გვამოვნებით განუყოფელისა, შვიდთა კრებათაგან დაბ-
ტკიცებული“, ჩაზრუხაულად დაწერილი.² ამ „ქებაში“ რომელიც იწყება ასე:
„აღვალო პირი, სიბრძნე და ძვირი ზეშთა ძალისა ჩემისა მკობად,“ პოეტი კითხუ-
ლობს: „ვითა შეეშართო შესხმად და მკობად“ ერთარსება სამებისაო? ეხება
უმთავრესად ქრისტიანულ დოღმებს, განსაკუთრებით სამების შესახებ, და ჩა-
მოთვლის ცნობილ წვალებათა და იმ კრებებს, როელთაც ეს წვალებანი განა-
ქიქეს; ავტორი საგანგებოთ ხაზს უსვამს სომეხთა ბრვენილობას,

რელიგიური ხასიათისა ავრეთვე სამი ანბანთქება: 1) წმიდათა ქება:
„ადამ ვახსენოთ პირველად, თვით ღმერთმან შექმნა რომელიც“³ ამ ნაწარმოებ-
ში, რომელშიაც პირველი ტაეპის სტრიქონები იწყება ასო ა-ნით, მეორესი ბ-
ნით, მესამესი გ-ნით და ასე ბოლომდე, შეკოწიწებულია წმიდათა სახელები.
2) „ალახვენ ჩემნი ბაგენი ღმერთო, სამებით ქებულო:“⁴ აქ პოეტი იხსენიებს
ზოგიერთ წმიდანებს, ბიბლიურ ეპიზოდებს, ხოლო მეორე ნაწილში დაწერილე-
ბით ლაპარაკობს იესო ქრისტეს ენების, აღდგომის, ამალღების და მეორედ მოსლ-

¹) ურხნალო ცისკარი 1860 წ. III, გვ. 185.

²) წერ.-კითხ. ხელნ. № 370, გვ. 174-177, № 342, გვ. 176-181 და სხვ.

³) წერ.-კითხ. ხელნ. № 2676a, № 312, გვ. 158-161 და სხვ.

⁴) წერ.-კითხ. ხელნ. № 312, გვ. 164-170.

ვის შესახებ; აკროსტიხული სისტემა აქაც იგივეა, რაც პირველში. 3) „აღმართა მხსნელმან ჯვარია, გოლგოთას სისხლი დასთხია,“¹ წარმოადგენს ვედრებას ლეთისა, ლეთისმშობლისა და წმიდანებისადმი; აკროსტიხები იგივეა, რაც პირველს ორში. სარწუნოებრივი შინაარსისა აგრეთვე 24 ტაეპიანი ლექსი, რომლის შესახებ ზოგიერთი ხელნაწერები შენიშნენ: „ეგონებ, პირველ თეიმურაზისაგან იყოს ნაბრძანები“ და რომელიც ლაპარაკობს ლეთისა და ცხონება-წაწვემდის შესახებ; იწყება ასე: „ღმერთო, რომელი შენ სუფევ ჰაერთა თანა ცაშიგან.“²

საერო ლირიკა უფრო ლაპაზსა და შინაარსიან ნიმუშებს იძლევა. ამ შემთხვევაში ჩვენ არ შევიჩრდებით ორს თითოტაეპოვანსა და ერთს ხუთტაეპოვანს („ანო ალვისა, ბანო ბროლო“) ან ბ ა ნ თ ქ ე ბ ა ზ ე,³ გინა თუ „გრემის სასახლის“ ანუ „ბაღის სასახლის“ ქებაზე, სადაც გადმოცემულია მშვენიერება თეიმურაზის მიერ აგებული სასახლისა და გაშენებული ბაღისა, არც ერთტაეპოვანს. „მეთის თამარის სახის ალერსზედ,“⁴ და გადავალთ ოთხს უფრო მსხვილსა და მნიშვნელოვან ნაწარმოებზე; ესენია:

A. ვარდ-ბულბულიანი

ვარდ-ბულბულიანი ში⁵ წარმოდგენილია ბაასი ვარდსა და ბულბულს შორის. გაზაფხულზე ბაღში გაითურჩქნა და აყვავდა მისი დამამშვენიებელი ყვავილები: ია, იასამანი, ზამბახი, სუნბული, ნარგისი, ყაყაჩო, არღაენა, შროშანი; ყველა მოელის ვარდის მოსლვას, რომელიც ყვავილთა მეთედაა მიჩნეული. ბაღში გაჩნდა ბულბული, რომელიც ზის ვარდის პირდაპირ, თავს ევლება მას და განუწყვეტლივ დამღერის. ვარდმა ეს ითაკილა, დაუძახა მებაღეს და ეკითხება: ვინ არის ეს, საიდან მოსულა ან რა უნდა? მებაღემ აუხსნა, რომ ეს ბულბულია, რომელიც შენ გეტრთვის და შენთვის კვდება; შენ რომ წახვალ, ისიც დაიკარგება, მოხვალ და ისიც მოგყვება. თუ მიბრძანებ, გავაძევებ აქედან, მაგრამ რას გერჩის, მაგის ადგილი სწორედ აქაა. იჯდეს. გეტრფოდეს და გიმღეროს ამის შენდევ ვარდი პირდაპირ ბულბულს მიჰმართავს და ეუბნება:

სად მე და ან ვინ შენა, ხელი ხარ ანდა შეშლილი,
დღე და ღამე აქ დამყევ და ძილს მათრთხობო. ბულბული ეუბნება: „ჩემისა სიკვდილისაგან მოხხარ თუ რა გერგებო, თუ გაგეყუები ცოცხალი, მე სული ამოხდებო.“ იწყება დიდი დიალოგი მათ შორის. ვარდი ჩამოუთვლის თავის ლიოსებასა და უპირატესობას ბულბულს და ეუბნება: მე ხელმწიფეთა სატრფიალო ვარ, სივადეარი უნდა ჩემთვის გაქრილი ველადო. შენ ჩემი შესაფერისი

¹) წერ.-კოპ. № 312, გვ. 170-171 და სვ.

²) წერ.-კოპ. № 1511, გვ. 115-119.

³) ხ. კ. კინაძე, ლექსნი იქმენი თეიმურაზ პირველისე, ვ. გვ. 54, 61, ტფილისი 1886

⁴) იქვე, გვ. 57.

⁵) E. Такашвили. Описаніи II, ს. 276-7.

⁶) გამოცემულია: უოსკარში 1861 წ. დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიაში 1863 წ. მ. კალანდარიძის მიერ 1874 წ. და ხ. კ. კინაძის მიერ 1886 წ.

არა ხარ, ამიტომ ადექ და გაშეცალე აქედანაო. ბულბული, თვალცრემლიანი, თავს აბრალვებს მას, მორცხვად თავის ღირსებაზედაც მიუთითებს და ეძუდარება—ნება მომეცი გიკვირებო მხოლოდ. მე ამითაც კმაყოფილი ვიქნებო. ვარდი მაინც მოსთხოვს—აქედან წადიო, ასე რომ ბულბულს გული მისდის და ეკლის ძირს ეცემა; ვარდს შეებრალვება ის, გულზე წყალს ასხამს, კეკუაზე მოჰყავს და ეუბნება: „ნება დამირთავს, აწ იყავ ბალისა ამ მიდამოსა.“ ბულბულს გაუხარდა და დაუწყაო კვლავ ალერსი და მკობა მას. ვარდი ეუბნება: მართალია, ერთობ კარგი ხარ მიჯნურად, ხმაც კარგი გაქვს, მაგრამ ანას კი ვიტყვი. რომ ვერ გხედავ თვალფერად ჩემსა დარესა.“ ამაზედ

ბულბულმან მისი პასუხი ველარ თქვა, ენა დაება.

სიახლოვითა ეფონა ცოტა რამ კირი და ვება.

ასე რომ „ამა სიტყვაზედ გარდასწყვა მათი ბრძოლა და ვაება,“ ბულბული დაკმაყოფილდა იმით, რომ მას ნება მიეცა თავისი სატრუოს ახლო ყოფილიყო. თხზულება გადმოკეთებული-გადმოთარგმნილია სპარსულიდან, გვირგვინოსანი პოეტი თვითონვე ამბობს: „შევიწიო ძალი ლეთისა, მე დავიწყო თარგმანობაო.“
 ავტორი მისი არის ვინმე მოლა აჯა, ბრძენთა ბრძენი:

ვაუბნა ერთმანერთსა მოლა აჯამ, ბრძენთა ბრძენმან.

ბულბულს ვარდი, ვარდს ბულბული. სიტყვა ტკბილი ენაგრძელმან, სალხინოდ და სალალობოდ, სხვა არასმე შესაძენნან,

მიჯნურთათვის გულსა ლახვრად, კირსა კირზე დასაძენნან.

ვინ არის ეს მოლა აჯი, არ ვიცი: ეს კი ფაქტია. რომ ვარდისა და ბულბულის მიჯნურობა და გაბაასება ჩვეულებრივი სიუჟეტია სპარსული პოეზიისა. პირველი პოეტი, რომელსაც ეს სიუჟეტი გამოუყენებია, არის ვინმე ბადიკუდდინ მინჯიკირ ატაჯირი ატაბრიზი, რომელსაც ჯერ კიდევ 1456 წლანდე აუწყერია ვარდისა და ბულბულის მიჯნურობა.¹ თეიმურაზს ეს თხზულება თავისებურად გადმოუკეთებია: თავში დაურთავს წინასიტყვაობა, რომელშიაც ჯერ მიმართავს ღმერთს, მერე ორიოდ სიტყვას ამბობს ნელექსეობაზე, იგონებს მოლა აჯის და მოგვიწოდებს: „გამისიჩქეთ ლექს ქართული, ერთმანეთსა მოვაბე რა“-ო. შიგ „გაბაასებაში“ მოხსენებულნი არიან სპარსელ და ინდოელ რიტორ მოშარეთა შორის ქართველნიც. კერძოდ რუსთველი, დასახელებულნი არიან აგრეთვე გურჯები, ეს ყველა, რასაც ვიხსენებ, თვით თეიმურაზის წვლილი უნდა იყოს დასასრულ, თეიმურაზი შენიშნავს რა, რომ „მე ვთქვი ის, რაც მასმოდა მათგან,“ ესე იგი სპარსელ რიტორთაგანო, ჩვეულებრისამებრ შეასხამს დიდებას ღმერთს და სთხოვს მას: „მომიტყვე სიტყვანი, უქმნი არ ნაყოფიანი“, და გამოსთქვამს შიშს: „გაამე ცუდის ლაუბითა თუ სული დავაზიანო,“

როდისაა დაწერილი თუ გადმოკეთებული ეს თხზულება? არჩილ მეფე ათქმევინებს თეიმურაზს, რომ მას შემდეგ, რაც მან კახეთის ტახტი დაკარგა და იძულებული შეიქნა იმერეთს გადახვეწილიყო, „შვიდს წელიწადს მოვიცადე-

¹) H. Ellis. S. 200.

კიდევ რასმეს შევეცადე-ო.¹ მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ თეიმურაზი იმერეთში შეიღწა და დაიღწა, 1649—1656 (ქართ. ცხოვრ. II, 123—124); იმერეთში ყოფნისას, ამბობს თეიმურაზი რუსთველთან გაბასებებაში, მე „ვთქვი“ შეიღწი კრება, მაჯამა და აგრეთვე

ვარდს ბულბული გაეაუბნე, შემოდგომა გაზაფხულსა,

კელაე სანთელსა ჰეპელაი, მისგან დაშწვარ-დადაგულსა.²

ანნაირად, ვარდ-ბულბულიანი თეიმურაზს გადმოუკეთებია იმერეთში ყოფნისას, 1649-1656 წლებში.

B. შამი-ფარვანიანი.

შამი-ფარვანიანი,³ ან, სხვანაირად, სანთელი და ჰეპელი, იმავე ხასიათისა და შინაარსისაა, რაც ვარდ-ბულბულიანი; ის წარმოადგენს სანთლისა და ჰეპელას გაბასებას, რომელშიაც ალეგორიულად გამოყვანილია ნამდვილი მიჯნურობა. გაგიჟებული, გახელებული ჰეპელი თავს დასტრიალებს ანთებულს სანთელს, ეაღერსება მას და უშეღწევად თავის გრძობებს: მე შენთვის დავბადებულვარ და უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო. სანთელი ეუბნება: შენი სიტყვები მე არ მიმაჩნია კეთილანურად, მე რომ კარგი ვიყო, შენ რა გპირს და რისთვის იკლავ თავსო? ფარვანი კიდევ აქებს მას და ემუდარება-შემიბრალოო. სანთელი იმასვე უმეორებს, ჩამომეხსენ, თავი დამანებო, მაგრამ არა იმ მოტივით, რომლითაც ვარდი თხოვს ბულბულს-შენ ჩემი ღირსი არა ხარო, არამედ სულ სხვა რამით; მე საღმთო დანიშნულება მაქვს, შექმნილი ვარ სამადლოდ და ეკლესიის მსახურად, ხატთა და ჯვართა წინაშე ვარ, უნთივარ მიცვალებულს, ვინმე და ვინ მიჯნურობაო? ეს რომ ფარვანამ გაიგონა, იმედი დაკარგა, გაშალა ფრთები, დაეცა სანთლის ალს და მკვდარი იქვე დავარდა. სანთელს შეებრალო მისთვის და მისით დამწვარი მიჯნური და მისი ცოდვით დნობა დაიწყო მის გაცოცხლებულს ტანზე.

ეს თხზულება თეიმურაზს გადმოუკეთებია სპარსულიდან, როგორც ამას შესაყალში ამჟღავნებს ის:

შამი-ფარვანის წიგნისა ეინებე გადმოღებანი,

ესოდენ ცუდად ლაყბათა ვინცა ვინ მითხრას ქებანი,

არც ჩემი საქმით ნათქვამი, არც გულსა მქონდა ღებანი,

სპარსთ უთქვამს აშიყ-მაშიყად, მათგან არს მოგონებანი.

შამი სპარსულად სანთელსა ჰქვია ნათისა ენითა,

ფარვანი მისთვის მიჯნურად უთქვამს გლახ ცრემლთა დენთა,

ყოფლთა მიჯნურთა უსაწყლე, იგ სურვილისა სენითა.

იგ გაულექსაეთ, ყურთათვის შაქრად და თაფლად სმენითა.

¹) თეიმურაზის ცხოვრება, პ. იოსელიანის გამოცემა, გვ. 102, ტ. 128.

²) იქვე, ტ. 129-130.

³) გამომცემანი: ბ. კიკინაძისა 1886 წ., როგორცაც შესაყალი აქლია: კიკინაძის 1886 წ. III-IV. გივიმელიისა და ასპატოლის 1876 წლისა

ფიქრი ქნა ისპაპანელმან, მელექსეთ შორის ქებულმან,
 კაცმან განთქმულმან სპარსეთში, არ ცუდად მიღმოდებულმან;
 გაფინა თვისნი სიბრძნენი, სულ უქეს ბრძნეთა კრებულმან,
 მისთა ლაყაფთა თარგმანთა არცა მე დაღუმებულმან. ¹

ვინ იყო ეს მელექსეთ შორის ქებული და სპარსეთში განთქმული ისპაპანელი პოეტი, რომელსაც შამი-ფარვანიანი დაუწერია? თეიმურაზი ამბობს: „ვინც აქო ვარდი-ბულბული, იმას ფარვანაც უქია“-ო; აქედან იბადება საკითხი: ისპაპანელი პოეტი, ავტორი შამი-ფარვანიანისა, იგივე მოლა აჯი ხომ არაა, რომელსაც ვარდი-ბულბულიანი ეკუთვნის? შამი-ფარვანიანი გადმოკეთებულია ვარდი-ბულბულიანის შემდეგ, რაც ფარვანას სიტყვებიდან ჩანს:

ვითა ბულბული ვარდისთვის გაკრილი, გახელებული,
 შენ სჯობიხარ ვარდს სინათლით, მეტი ხარ, არ თუ კლებული,
 ბულბულს მე ვსჯობივარ მიჯნურად, გულუწვალოდა ღებული,
 შენთა სხიეთა და შუქთაგან დამწვარი, დაეალებული.

თხზულება რომ გადმოკეთებულია და არა სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი, ეს ჩანს ვრცელი პროლოგიდან, სადაც წარმოუგენილია ქრისტიანულ-თეოლოგიური ტრაქტატი და უმნიშვნელოვანესი ფაქტები ბიბლიური ისტორიისა, აგრეთვე რელიგიური მოტივიდან, რომელიც გამოხატულია სინათლის დანიშნულების აღწერაში, ღეთაებისადმი ქრისტიანულს მიმართვაში და შემდეგ სიტყვებში:

ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყაბას, ცუდ მიღებასა,
 მოველი ღეთისაგან დახსნასა და მიხვან იმედებსა“-ო

ფინალი თხზულებისა აქ უკრო ბუნებრივია, ვიდრე ვარდი-ბულბულიანში: უკანასკნელში ბულბული კმაყოფილდება უიმედო ცქერით და სატრფოს ქვრეტით, აქ კი ფარვანა მსხვერპლად ეწირება თავის გრძნობას და იწვის მიჯნურობის აღისაგან. მიზანი თხზულებისა ავტორს შემდეგ სიტყვებში გამოუთქვამს:

ვისცა გწვაესთ ცეცხლი უშრეტი, გაქვსთ გული დანაწყულულები,
 ნახეთ ფარვანა დამწვარი, მკედარი, სულამოსულები.

შამი-ფარვანიანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაწერილია ვარდი-ბულბულიანის შემდეგ თეიმურაზის იმერეთში ყოფნისას, 1649-1656 წლებში; დაწერილია ის რაქაში, როგორც თვით პოეტი შენიშნავს: „ცუდად წოლითა, გდებითა ეს მომაგონა რაქამან.“ ამ თხზულების ერთერთს ნუსხაში ვკითხულობთ: „შამი-ფარვანის გამიჯნურება ნათქვამია დროსა მას, ოდეს თეიმურაზი იმყოფებოდა განძებულნი თვისი სამეფოას კახეთისაგან იმერეთს, რაქასა შინა, წელსა ქორონიკონსა 1650; ამ წელსა მუნ თქუა.“ ² ეს ცნობა სიმართლეს არ უნდა შეეაბამებოდეს, რადგანაც თეიმურაზი თვითონ ამბობს ამ თხზულებაში: „ველარ

¹ ციხკარი, 186 წ. III, გვ. 189-190.

² წერ.-კითხ. ხელნ. № 537; Е. Такайшвили, Описание II, стр. 181-182.

გაუძელ შეიდ ზაფხულ მოწყენით ცუდად გვლებასა“-ო; აქედან ჩანს, რომ, როდესაც თეიმურაზს ხელი მოუკიდია ამ შრომისათვის, შეიდი ზაფხული ან წელიწადი მისი იმერეთში ყოფნისა უკვე გასული ყოფილა, მაშასადამე, ის მას დაუწერია 1656 წელს, რუსეთში გამგზავრების წინ.

C. გაზაფხულ-შემოდგომის ქება.

ეს თხზულება, რომელსაც სხვანაირად ეწოდება „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, წარმოადგენს მართლაც რომ ქებას ან ხოტბას გაზაფხულისას და შემოდგომისას; მასში პოეტს მოუკია მშვენიერი, სულწარმტაცი სურათები ამ ორი ულამაზესი დროისა წელიწადში.¹ შესავალში ავტორი მიჰმართავლმერთს და მწუხარებას განოსტკვამს, რომ მის დროს საღმრთო წიგნები დავიწყებულია და უფრო დაინტერესებულნი არიან უსარგებლო თქმულებებითა და ლაყბობით; ამის შემდეგ ის პირდაპირ გადადის თავის თემაზე: „აწ მითხარ თუ რომელი სჯობს, გაზაფხული შემოდგომა? თქმა გადაშლილია დილოვის ფორმით, პასუხის სახით: „გაზაფხული ამას იტყვის“, „შემოდგომა ამას იტყვის“; სულ ექვსი პასუხია, ჯერ ლაპარაკობს გაზაფხული, მერე შემოდგომა, ამ პასუხებში წარმოდგენილია ექვსი ერთიმეორეზე უმშვენიერესი სურათი გაზაფხულისა და შემოდგომისა, უკეთ რომ ვთქვათ, პოეტი ქებასა და ხოტბას ასხამს გაზაფხულის სიკეთეს და შემოდგომის ნოყიერობას. ავტორი თვითონ არ იძლევა პასუხს დასმულს საკითხზე და მკითხველებს აძლევს წინადადებას: „თქვენა თქვით თუ რომელი სჯობს, აწ ნუ გაქეს მათი თნებანი“-ო, თუმცა მართლაც რომ ძნელია გადაწყვეტა ამ საკითხისა, ისე მომხიბვლელადაა დასურათხატებული ორივე დრო. თხზულება სხვადასხვა ნუსხებში სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი; მაგალითად, წერ.-კითხ. ხელნაწერში № 1511 ისეა, როგორც ზ. კიკინაძის გამოცემაში, ზოგიერთს ნუსხებში კი (წერ.-კითხ. №№ 342, 403) დაბეჭდილის (ზ. კიკინაძის) უკანასკნელი ტავის წინ ეკითხულობთ:

მე ვიყავ უცხო ღარიბად, რაქა ქვიან თუ ავარა,
იგ რამდენგვარად სოფელმან გულო ცეცხლითა დაგარა,
პირველითგანვე ბოლომდი საქმე მომირთო რა გვარა,
გულსა ლხინი და ნიშატი, სულა სამკვიდრო წამგვარა:

ბოლო იმავე უკანასკნელს დაბეჭდილს ტავს მიჰყვება:

თავი და ბოლო ის არის, ღმერთი ვახსენო ცხოველი.
ვინ არის ბრძენი, კვიანი, მისი მძებნელი, მპოვნელი,
ვერსით მოურჩეს ჯოჯობეთს იგ მისით შეუპოველი,
მისითა მოწყალებითა მეც სინანულსა მოველი.

ამ ტავს ორ ნუსხაში (წერ.-კითხ. № 103, 3706) მისდევს ყველა ის, რითაც ზ. კიკინაძის გამოცემაში თავდება მაჯამა, დაწყებული სიტყვებიდამ: „ქრისტე გვიბრძანებს ოთხს თავში პირითა უტყველითა“ (გვ. 21—24); აქაც, სხვათა შორის, გატარებულია იგივე მოტივი, რაც შესავალში:

¹) გამოცემანი: გივიშვილისა და ახატელოვის 1876 წ. ზ. კიკინაძის 1886.

თუ საღმრთო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაიხედავდა,
რა ეს ლაყაფი შევკრიბე, ყველა ნახვასა ბედავდა.

განაცხადებს რა: „ეს უსარგებლო გათავდა, აწ სხვა დავსწეროთ ბოლო-
სა“, პოეტი გადმოგვეცემს სევდით აღსაყვებ გრძნობებს, წუთისოფლის სინუხთ-
ლისა და ვერაგობის შეგნებით გამოწვეულს, და აგვიწერს თავის მწარე ხედვრს:

რად, სოფელო, სხვა არ დასწეი ჩემებრ, მე მქმენ დასადაგე.
გლახ ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მკარ დასადაგე,
დამიკარგე ძე, ასული, იგ არ ვიცი დასადაგე,
სხვა ნაყოფი, მათებრ ტურფა, არ აშენდეს დასადაგე.

მე წამართვი სიცოცხლენი და ასული, თვალთა ჩენა,
რად გინდოდი სასიკოცხლოდ, არ მალიზსე არღარჩენა.
არ გმართებდა ეგზომ მეტად მტერობისა გამოჩენა,
თავიდამდე სულ ბოლომდის ჩემთვის ასრე დამეჩენა.

სულ დაგლიჯნე ვარდნი ჩემნი, იგ არ ვიცი მო აწ ვიე,
ვინცა შექმნა, მან შენ გიყოს, რაცა ჩემზე მოაწვიე,
მოვკვდე, მიწაც ალარ მინდა, ჩემზე მხეცი მოაწვიე,
მაშინ ეგრეც შემობრალე, იტირე და მოაწვიე.

ბედი ანუ სეე-დოვლათი, იგ ბოლოყამს მომეშალა,
ვთქვი, გაეშიშელდე სოფლისაგან, ტანსაცმელად მომეშალა,
ყველ აქა ვერ დავწერე, რომლის საქმით დამეშალა,
წამლად ვიწყე მარტო სევდით არამც ქკუა ამეშალა.

თხზულება, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დაწერილია თეიმურაზის იმე-
რეთში ყოფნისას, 1649—1656 წლებში; ამ დროს ძე მისი, იქნება ის ლევანი,
აღექსანდრე თუ დავითო, მართლაც დაკარგული ან მკედარი იყო, გაუგებარი
რჩება მხოლოდ სიტყვები: „დამიკარგე, წამართვი ასულიო“; თუ აქ იგულისხმე-
ბა სიკვდილი ნესტანდარეჯანისა, სხვა ასული კი არ ვიციოთ რომ მას ჰყოლო-
დეს, ეს ანაქრონიზმია: ნესტან დარეჯანი გარდაიცვალა თეიმურაზის შემდეგ,
1668 წელს. (ქართლ. ცხოვრ. II, 205).¹

¹) ა. ხახანაშვილი თეიმურაზს მიაწერს ერთს ნაწარმოებს, რომელსაც ეწოდება
„შედარება ციებისა და მღვდლისა“ (Очерки III. ст. 95), ალბად იმიტომ, რომ ის გიცი
შვილისა და ახპატელოვის გამოცემაში (1876 წ.) მოთასებელია „გაზაფხულისა და
შემოდგომის შედარებათა“ ერთად; არც ერთი ხელნაწერი ამ თხზულებას თეიმურაზისად არა
სკნობს, ნამდვილად რომ ეთქვათ არც არსებობს მისი ხელნაწერები. შეუძლებელია ის თეიმუ-
რაზს მიეწეროს: ჯერ ერთი, შეიძლება „შედარება“ გაზაფხულის და შემოდგომის, თეიმურაზი-
სა და რუსთველის და სხვ., მაგრამ არა ციებისა და მღვდლის. მეორე, ის უწეში ლექსი, რომ-
ელშიაც არც რომაა დაკული, არც მარცვალთა უბრალო რაოდენობა, არც რაიმე პოეტურა
სურათი, თეიმურაზის შემოქმედებას არ ეგუება ოდნავადაც. მესამე, ასეთი სიტყვები და სახე-
ლი, როგორცაა ნინა (ნინოს მაგიერ), ქინაქინა, დოქტორი, მარეგებელია იმის, რომ
ავტორი, ვილაც იოსებ მღვდელი, რომელსაც ჰყოლია შეიღო-სვიმოწი. არის ნაწარ-ლი

D. შ ა ჯ ა მ ა

ვიდრე ამ თხზულების განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროდა ვსთვლით ოროდ სიტყვით მისი შემადგენლობა გაეარკეიოთ. შაჯამა დაიბეჭდა ცისკარში ჯერ კიდევ 1852 წელს იმ სახით, რა სახითაც გამოსცა ის მერე ზ. კიკინაძემ (1886 წ.); ამ სახით წარმოდგენილია შაჯამა წერ.-კითხ. ხელნაწერში № 1512. სხვა ხელნაწერებში მას სხვადასხვა სახით ვხვდებით: 1) ჯერ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ნაწილი ზ. კიკინაძის გამოცემისა, დაწყებული ტაეპიდან: „ყოვლის საქმის მოწვენამდის... ეს არის ქალუმათ ონარი... თავი და ბოლო იგ არის... ქრისტე გვიბრძანებს... და სხვა ბოლომდე (გვ. 20—24), არც ერთს ხელნაწერში, გარდა წერ.-კითხვის № 1512, არაა; როგორცა ვთქვით, ხელნაწ. №№ 342,403,3706 ეს ტაეპები შეადგენენ გაგრძელებას — გაზაფხულისა და შემოდგომის შედაკებისას“, შინაარსით და ხასიათით ისინი შაჯამას მართლაც არ შეესაბამებიან. 2) დაწყებული ტაეპიდან: „რადგან არ ვცხრები ქებასა, ეგონივარ ვისმე მისანი“ (გვ. 16), ტაეპამდე: „მისგან მეტი ბრწყინვალება“ (გვ. 20) ხელნაწერებში №№ 342,1511,3706 გვხვდება ცალკე, საგანგებო სათაურით: „ქება და მკობა მეფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან დარეჯანისა“. 3) არ გვხვდება ხელნაწერებში, გარდა № 1512-ისა, არც ის ნაწილი, რომელიც იწყება ტაეპით: „ეშურების ბაგე ვარდასა“ და თავდება: „ქირნი მოვლენ მუდამ ჩემთვის“ (გვ. 11—16). 4) ორ ტაეპს შუა: „ვარდი დაქვანა“ და „შხესა შესწრთა მისგან შუქი“ (გვ. 12—13), ხელნაწერები №№ 342,1511,3706 უმატებენ ექვს ტაეპს, რომლებშიაც გვაქვს — გაბაასება ლეინისა და ბაგისა:

ლეინო ეტყოდა ბაგესა სიტყვითა დაგებასოდა,
ბადანხანისა ლალო და იაგუნდისა თასოდა,
ფერად შენ მჯობხარ, ამით მე ვის ჩემი თავი ვასოდა,
გულსა, სვედითა სავესა, ზედ ლხინი დაეამტენასოდა.

ბაგემა უთხრა ლეინოსა: სიმხიარულეს იქებო,
კაცის გულებსა დაგფერავი, თქვენც დიგაშეენებ კიქებო,
მე სულად შეეშლი მჭვრიტელთა, თქვენც ეტყვი გულსა იქებო,
ძოწსა, სადაფსა, აყიყსა, არლაგანს გაეაქიქებო.

აწ ლეინო ეტყვის ბაგესა: ტურთა ხარ მეტისმეტადო,
ვარდი გაყარეს მიჯნურთა, შენზედა შეკრბეს ქვერეტადო,

მე-19 საუკუნისა (გაგიგორია, ეს არის მღვდელი იოსებ კოროძე, რომელიც მე-19-ს ნახევარში ცხოვრობდა.) ამ შემთხვევაში იოსები ჰბაძეს საკმაოდ ღვივად ვილაე შანანას, რომელსაც „ვეუხზავს „ცივბასთან გაბაასება“ (წერ.-კითხ. ხელნ. № 1511, გვ. 442—446). ეს შანანა, რომელსაც ამას გარდა დაუწერია აგრეთვე რელიგიური, მონაწილი, კენიტენეიალური გრძობით აღსავსე შარანი (წ.-კითხ. № 1511, გვ. 974—975). არის თანამედროვე ეტყელი ნეორისა, რომელსაც ის უძღვნა ა) შარანი სამტაეპოვან ქებას, და მოწაჟე მისი გაპარჯევისა ცარდალისტენელბზე (გვ. 947).

მე კაცს დავათრობ, ვამღერებ, ტენის გაუჯდები კეფადო,
ვირემ არ უქმოეყრები, ვერ იგრძნან, სმიდენ რეტადო.

ლვინომ თქვა: მგონი ამ საქმეს ვერავენ დამიწუნებსა,
ვერცხლას თასზედა ყირმიზად გარდმოედოოდ სურებსა,
სწყუროდეს თუ არ სწყუროდეს, ყველანი მამიწყურებსა,
მქვრეტელთა თელსა და გულსა არაჩა უფრო უენებსა.

აწ ბაგე ეტყვის: ეგ ქება უკეთ სთქვი რალაც ლონეა,
მაგითი ჩემი სწორება ტყვილადა მოგიგონია,
ვერცხლის თასზედა ყირმიზად ლვინო დგეს მოსახლონია,
აწ მე გიამბო ჩემი ზნე, ეს უფრო მოსაწონია.

თეთრ თასსა წითელი ლვინო დასტურა შეახამებსა,
ქვეშ მარგალიტი, ზედწალაი სხეას რალას შეადარებსა,
სანდომად რასმე ღიმილით რომ გააღებდეს კარებსა,
მისსა მქვრეტელთა შეაცდენს, ზელსა ვინ შეადარებსა.

5) ექვსი ტაეპი: „შენთვის ხელმან გლახ უშენოდ... გრძლად მატირა სა-
წუთრომან“ (გვ. 10), ხელნაწერებში №№ 342, 1511, 3706 იქ კი არაა მოთაე-
სებული, სადაც დაბეჭდილს გამოცემაში ეპოულობთ მათ, არამედ შეადგენენ
გაგრძელებას ზემომოყვანილი ექვსი ტაეპისას. 6) ხელნაწერში № 1511 თავში
მოყვანილია ის, რაც ჩვენ ვაჩვენეთ, როგორც „ქება ალექსანდრესი და ნესტან-
დარეჯანისა“ (გვ. 1ხ—20), და მას პირდაპირ, უსათაუროდ მისდევს მ ა ჯ ა მ ა ს.
7) ზოგიერთს ხელნაწერს აკლია თითო-ოროლა ტაეპი დაბეჭდილი მ ა ჯ ა მ ა ს ი,
ზოგში კიდევ გვაქვს თითო-ოროლა ზედმეტი ტაეპი. ყველა ამის შემდეგ ნამ-
დვილი შემადგენლობა მ ა ჯ ა მ ა ს ი ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ნამდვილი მ ა-
ჯ ა მ ა ა ზ. კიკინაძის გამოცემული ტექსტი, ზემომოყვანილი ექვსი ტაეპის ჩა-
მატებით და „ალექსანდრესა და ნესტანდარეჯანის ქების“ დამატებით, რომელიც
სტილით, ხასიათით, შინაარსით და ფორმით არაფრით არ განირჩევა დანარჩე-
ნი ნაწილისაგან, მაშადამე—ის, რაც გვაქვს 9—20 გვერდზე ტაეპამდე: „ყოვ-
ლის საქმის მოწვევამდის, კაცო, თავი განიცადე“; დანარჩენი ნაწილი მ ა ჯ ა მ ა ს
არ ეკუთვნის, ის გაგრძელებაა „გაზაფხულისა და შემოდგომის შედარებისა“.
თავდება მ ა ჯ ა მ ა შემდეგნაირად:

არ მამეწყინა ლაყაბი ეს უსარგებლო სულისა,
სხეად არს მოსახმარისი, ოღონ ჩანს სიბრძნე გულისა,
ლექსი ჩემი სჯობს გვარადა, ტბილად სასმენლი ყურისა,
მაინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა.

გათავდა წიგნი მაჯამა, ლექსი აქა-იქ თქმულები,
სასწრაფოდ უბეს ნადები, ან სარტყელს ჩანარკომლები,

იასტანთანა სარონი, გვერც თასი, ღვინო, კულები,
ყოელის წიგნისა უმცროსი ჩანს მათი უფლისწულები.¹

რას წარმოადგენს მაჯამა? მაჯამა არაა აქ ნახმარი, როგორც ონონი-
მების შემცველი ნაწარმოები. ონონიმები თეიმურაზს სხვა შრომებშიაც ბლომა-
და აქვს, მაგრამ მათთვის ასეთი სახელი არ უწოდებია. თეიმურაზი ასე ხსნის
ამ სახელს:

ქართულად ჰქვიან მაჯამა, შეყრილად ითარგამნების,
წიგნები გამოკრებული ივ ერთად მოიყარების.

ლექსთა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებული.
მოძინდა წერა ამისთვის, არ იქნას დაიწყებული.

მაშასადამე, მაჯამა არის კრებული, გამორჩეული, საგანგებოდ შერჩეული
წიგნების ან ლექსებისა; როგორც სახელიდან, ისე შინაარსიდან ირკვევა, რომ
მაჯამა არაა მთლიანი ნაწარმოები. არამედ კრებული რამდენიმე, მოკლე თუ
გრძელი, ხოტბების ან ოდებისა, რომლებშიაც პოეტი ამკობს სილამაზეს, მშვე-
ნიერებას და კეკლუტობას; ეს რომ ასეა, იქიდანა ჩანს, რომ „ალექსანდრესა და
ნესტანდარეჯანის“ ხოტბა ცალკე გვხვდება ხოლმე და ამ კრებულშიაც. სულ
თეიმურაზის მაჯამაში უნდა გვქონდეს რვა ოდა ან ხოტბა, თვითუფლს მათგან-
ში პოეტი ჯერ ამკობს სილამაზესა და სიტურფეს და მერე. უკანასკნელს ტაეპ-
ში, ანადა მის უკანასკნელს სტრიქონში, ხაზს უსვამს თავის სავალალო ბედს.
შესავლის შემდეგ, რომელიც სამი პირველი ტაეპისაგან შესდგება, იწყება პირ-
ველი ოდა: „მზე ცუდად მაშვრალობს“, რომელიც ოთხს ტაეპს შეიცავს. მეორე
იწყება: „შენთვის ხელმან გლახ უშენოდ“ (გვ. 10) და 6 ტაეპს შეიცავს; მესამე,
ოთხი ტაეპისაგან შემდგარი, იწყება: „მზე უნათლე ჰქმენ, ეტლსა ზი“ (გვ. 10-11);
მეოთხე იწყება ასე: „ტურფა ხარ შევნიერებით“ და შესდგება 13 ტაეპისაგან.
რომელთაგან დაბეჭდილს ორი აკლია (გვ. 11-13). მეხუთე შესდგება ზემო-
ყვანილი 6 ტაეპისაგან, რომელშიაც გვაქვს ღვინისა და ბაგის გაბაასება. მეექვ-
სე იწყება ტაეპით: „მზესა შესწრფა მისგან შექი“ და შეიცავს 7 ტაეპს
(გვ. 13-14); მეშვიდე იწყება: „მუშუქების ბაგე ეარდას“ და 18 ტაეპისაგან
შესდგება (გვ. 14-16). მერეე ოდას შეადგენს „ქება ალექსანდრესი და ნესტან-
დარეჯანისა“, რომელიც 31 ტაეპისაგან შესდგება, ამათგან დაბეჭდილს (გვ. 16-20)
ორი აკლია; იწყება ის ტაეპით: „რადგან არ ვცხრები ქებასა“, ხოლო თავდება:
„მისგან მეტი ბრწყინვალება“. ის საუცხოო პოეტური შედარებანი. მოხდენილი
ეპითეტები და თვალწარმტაცი სურათები, რომელნიც ჩვენ მაჯამაში გვაქვს,
ის ანკარა წყაროსაგან მოჩუბებულ ლექსი, რომელიც უნაზესი ჰარმონიით
ატკობს ჩვენს სმენას, ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშადა ჰხდის ამ ნა-
წარმოებს და თამამად უყენებს გვერდში ჩვენს კლასიკებს. დაწერილია მაჯამა
თეიმურაზის იმერეთს ყოფნისას, 1649—1656 წლებში. თ. გორდანიძე აზრობს,
რომ ერთ-ერთი ოდა მაჯამასი—„ქება ალექსანდრესი და ნესტანდარეჯანისა“—

¹) წერ.-კითხ. ხელნ. №42, 1511, 37აბ.

დაწერილია სპარსეთში (ქრონიკები II, 471), მაგრამ ეს სიშართლეს არ შეეფერება, ვინაიდან თეიმურაზის სპარსეთში პირველად ყოფნისას ალექსანდრე მისი სიძე არ ყოფილა, ხოლო მეორედ თეიმურაზი სპარსეთს წავიდა მაშინ, როდესაც ალექსანდრე გარდაიცვალა, 1660 წელს, ოდაში კი ის ჰგულისმობს ოცხალ მეფეს და არა მკვდარს.

თეიმურაზის პოეზია არის პროდუქტი სპარსული ლიტერატურისა და ქართული სინამდვილის შეჯახებისა; მიზანი ამ პოეზიისა არის ღვთაებასთან მისტიური გაერთიანება, რომლის მიხწევას ის ლამობს სიყვარულისა და ასკეტიზმის რელიგიით. რომანტიული ჰანგები, რომელიც ასე მკვეთრად გვესმის ლეილა-მეჯუნნიანში, იოსებ-ზილიხანიანში, შამი-ფარვანიანში, ვარდ-ბულბულიანში და მაჯამაში, მემკვიდრეობაა, სპარსული ლიტერატურიდან მიღებული. თეალწარბისა და სილამაზის გაღმერთება (მაჯამა), სიყვარულით გაელენთა და დათრობა თაედაიწყებამდე, როდესაც ადამიანი მზადაა მუდმივ გვერდს ახლდეს და უქვრეტდეს თავის სატრფოს (ვარდ-ბულბულიანი) ანა და მსხვერპლად შეეწიროს მას (შამი-ფარვანიანი) იმ იმედით, რომ საიქიანს შეხვედრა და შეერთება მასთან აზრსა და შინაარსს მისცემს იმპევენიურ ცხოვრებას (ლეილა-მეჯუნნიანი), დიფირამბები ლალფერი ღვინისადმი და გუნდრუკის კმევა მისთვის (მაჯამის მეხუთე ოდა), — ყველა ეს სპარსული ჩანგის გამოძახილია, რომელშიაც ისმის რამოდენადმე სუფთსტრუა ნოტები. მაგრამ ქართველი პოეტის შემოქმედებაში სილამაზის, სიყვარულის და ღვინის რელიგიას, რომელიც სპარსული წყაროებიდან მომდინარეობდა, სძლია ქრისტიანულმა შეგნებამ, რომლის ნაკადი ჩანს არა მარტო წმიდა რელიგიური შინაარსის ნაწარმოებებში, რომელნიც ზემოთ დავასახელეთ, არამედ საერო ხასიათისაშიაც, რამდენადაც ავტორი ამ უკანასკნელებში შიშს გამოსთქვამს: სალაყბო აშბებით სულს ხომ არა ეაენე რაო? რელიგიური შეგნება ბოლოსადაბოლოს, უფრო კი პოეტის ცხოვრების მიწურულში, გადადის ასკეტიკურ სულისკვეთებაში და ზრუნვაში ერთის მხრით, წუთისსოფელზე უარყოფითი შეხედულებაში მეორე მხრით, და სიკვდილის წინ ბერად აღკვეცაში მესამე მხრით.

მარტო რას გარგებს ხორცი და თუ სულსაც არ ეტრები,
იგი დაადგრეს უკვდავად, ჩვენ ვიქმნეთ მიწა-მტვერები, —

ამბობს პოეტი (ზ. კიკინაძის გამოცემა, გვ. 23). „მიჯობდა თუ სული-სათვის სინაწული დამეწერა“, განაგრძობს ის, „ჩემს ცოდვას ვითლა შევიდნობ, ცრემლიც რომ შეექმნა მე ღარა“, „ჩემი ამ სოფლის სიცრუეე აქ მოვიხმარო მე ღარად“; სულა, მიჰმართავს იგი მას, „გიჯობდა ეკლესიისა კარნი ნიადაგ მოგეცა, ცრემლითა ველი მოგერწყო, ტანს მუდამ ძაძა მუგეცა“; „შენ, ცოდვილო სულა ჩემო, სიკვდილს რად არ მოელოდი, ჯოჯობეთში ქვა დაგკრიბონ, არ დაგრიდონ, მოელოდი“. შეწუხებული და შემოთთებული პოეტი აღიარებს:

შემაშთო სოფლის ზრუნვამა, ვამე რალა ექნა აწა მე,
განაგდე შეება სოფლისა, თაეი ღვთისათვის აწამე,
უფალსა შენსა ჰმსახურე. გულითა მასცა აწ ამე,
მიგელის მძათრი სასჯელი, მაშინ რალა ვყო აწამე?

ბოლოსადბოლოს პოეტი ამბობს: „სულო, მოშორდი სოფელსა, მუდამ მას | რად დაებია? (წერ.-კითხ. ხელნ. № 1511, გვ. 115—119), მოშორდრ, ვინაიდან | ის მუხთალია და ჟაკს არ მიინდობს“:

პირველად ამოდ შეიტკობს, საყვარლად დუამდების,
აღარ გაყვების ბოლოვამ, უმუხთლებს, გაუაუდების.

ნეტავი ყველამ იცოდეთ სოფელი როგორ მქნელია,
კაცსა მიინდობს ღალატად, ცბიერი, ვითა მელია,
ანაზღად გარდუბრუნდების, მით გული გარდამელია,
მას არეინ უნდა მიენდოს, ესე ნათქვამი ძველია, (იქვე).
სწვა ადგილას პოეტი ასე აგვიწერს სოფლის ვერაგობას:
სიცრუე ან სიკჳაფე სხვაკა ვთქვი ერთი მისი და,
მუხთლობა არის თავითგან სულ იმის დასაწყისი და,
ზეცას გასულსაც ქვე დასცემს, რონე ძმა იყოს მისი და,
ანაზღად, მოულოდნელად ბნელას ქმნას შენი დღისი და.

ან ადრე დაგვბოცს, უდროოდ, ახალსა მოუწევარსა,
ვარდსა გაგვიქნობს უფურქენელსა, შეგვიქს ბედისა მწვევარსა,
ვერ მოურჩებით მართ ვითა კურდღელი. მალსა მწვევარსა,
ხეცდაეთ და არ გაეტეხილვართ იგ მისგან მოსაწევარსა.

თუ გრძლად გვაცოცხლებს, ჩვენ გვიზამს საქმესა უარესებსა,
რაც გვიყვარს, ჩვენ წინ დაგვიბოცს, სულთაგან უკეთესებსა,
ცეცხლსა მოგვიდებს უშრეტსა, ჩვენთვის ჩამოკრავს კვესებსა,
ჩვენ დაგვიმკვიდრებს ჳირსა და სულთქმა, ვაება, კენესებსა.

ან სიკვდილს მოგვეცემს ანაზღად, ან სიბერესა ძნელებსა,
პირსა, მთვარულუბ გაესილსა, აღმურსა დასდებს ძნელებსა,
აგრე უებრო მნათობსა, ვერ ექოს ბრძენთა ენებსა.
ყოველთა სატრფიალოსა იგ შეიქს მოსაწყენებსა.

თვალთა დააკლებს ნათელსა, სოფლისა მაშენებელსა,
წარბსა. მშვილდულუებრ მოხრილსა, მიჯნურთა მახელებელსა,
შავთა წამწანთა ნარკიზთა გულზედა ლახურის მხებელსა,
გააყრევინებს, წაახდენს, გულზედა ცეცხლის მდებელსა.

პირსა დაუქნობს მნათობსა, უთეთრეს ზამბახისასა,
ლაწვისა ფეროვნებასა, ვარდულუბ გამლილისასა,
წაახრის და მოსდრეკს ლერწამსა, ტანსარო ალვის ხისასა,
დაუღუხჳირებს ჯავარსა სამდომსა უსულიასა.

ბაგეთა მოშლის ეგეთსა უკვდავებასა ლიმობდეს,
 კბილსა წაახდენს, მისთანა ვერც მარგალიტი ლირობდეს,
 თმას, მუშკის ფერსა კოკამდი, რომ გიშრის ტვერად ხშიროდეს,
 გაუსპეტაკებს თოვლურებ, იგ ელარ ამბრად ძეირობდეს.¹

ასკეტიკური „მოშორება“ სოფლისა პოეტის შეგნებით არ უნდა იყოს წმი-
 და ანაქორეტული, ის ზომიერი უნდა იყოს იმდენად, რომ სული „დაბმული“
 არ აღმოჩნდეს:

ყველა სწუნობდეს სოფელსა არ გასაძრახად სულითა,
 არ ვიტყვი: სრულად გაუშვით, ნუ გიყვართ სულწასულითა;

ამას არ ვიტყვი: არ გეინდეს სოფლისა ნიეთიერები,
 ესრედ ვიხმაროთ კეთილად ბოლოს არ გასაძწარები.²

სოფლის ვერაგობის შეგნება ერთგვარ თეორიულ დასაბუთებას აძლევს
 პოეტის პესნიმისტურ სულის განწყობილებას, რომელიც მკვეთრადაა გამოხატუ-
 ლი მის ნაწერებში. წარმოგვიდგენს რა ზემომოყვანილს სურათს სოფლის ცვა-
 ლებადობისას, პოეტი ნაღვლიანად შენიშნავს: „აწ ამას შიგან ვით იქმნას გული
 არ დასაკოდები“?³ ცხადია, პოეტის პესნიმიზმს, თეორიულს გარდა, პრაქტიკუ-
 ლი საფუძვლებიც ჰქონდა: ეს იყო მისი უკულმარჯი ბედი, პირადი განცდა,
 რომლის შესახებ ზემოთაც გვქონდა ლაპარაკი; ასეთი სულიერი განწყობილება
 სრულიად ბუნებრივი იყო ადამიანისთვის, რომელიც ამბობდა:

კრულმან სოფელმან ჩემი დღე სრულად სიმწარით მანანა,
 ძილი არ მომცა მართალი, არც სადა მითხრა მან ნანა.

სოფელმან თვისი სიმუხთლე ჩემზედა არა დალია,
 მაკვდინებელი წამალი მე მასეა, მან არ დალია,
 ჯურღმულსა შიგან შთამაგლო, შიგან დამიხედა ალია,
 ტყავისა ნაცულად სუღარი მომცა, არ მიკლავს დალია.⁴

მაგრამ პესნიმიზმი პოეტისა არ არის უნუგეშო, ის არ მიდის სასოწარკვე-
 თილებამდე, ვინაიდან თავისი სურვილების აღსრულებას, თავისი მისწრაფების
 საგანთან შეყრას და გაერთიანებას, რასაც ის ამქვეყნად მოკლებული იყო, იქ,
 საიქაოს მოელის. „მუნ არ გეამყოფეთ ჩვენ ერთად“, ეუბნება ცრუსოფლიდან
 წასული ლეილა ამ სოფლის წარმომადგენლთ, „მით გვწვიდა ცეცხლი ცხელე-
 ბი, აქ მან შეგყვარა, წყალობა ვის აქვს აურაცხელები“-ო; ანა და ასე:

1) ზ. კიკინაძის გამოცემა, გვ. 23-34.

2) იქვე, გვ. 22, 24.

3) იქვე, გვ. 24.

4) წერა-კითხ. ხელნ. № 1511, გვ. 115-119.

იქ უსამართლოდ წაგვიხდა ჩვენ კბილთა მარგალიტობა,
აქ მოგვცა მოსამართლემან ერთმანეთისა კვირიტობა.¹

რაც შეეხება ფორმას თეიმურაზის ნაწერებისას, აქ ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებული ლიტერატურული ყანრი: გაბაასება ან გაბკობა, დიალოგური ფორმა (ვარდ-ბულბულიანი, შამი-ფარეანიანი, გაზაფხულ-შემოდგომიანი), რომელიც დაკანონდა ჩვენში და გამოყენებულ იქნა შემდეგი დროის მწერლობის მიერ, როგორც არიან არჩილ მეფე, თეიმურაზ მეორე, დავით გურამიშვილი და სხვ. სწერს თეიმურაზი 16 მარკვლოვანი რუსთველური შაირით, მხოლოდ ერთს შემთხვევაში („შეიდთა კებათათვის“) მიჰმართავს ჩახრუხაულს. ზოგიერთს შემთხვევაში ლექსი მისი მოიკოკლებს, ზოგიერთში კი, როგორც, მაგალითად, მაჯამაში, ის პირდაპირ ეირტოზულია; საზოგადოდ მისი ლექსებას შესახებ თანამედროვენი დიდი შეხედულებისა იყენენ, მას რუსთველს ადარებდენ, ზოგიერთები მალაღაყ აყენებდენ. თეიმურაზმა შემოიღო საკანგებო აკროსტიხები ან ანბანთქება სამი ტიპისა: 1) პირველი ტაეპის ყველა სტრიქონი იწყება ა-ნით, მეორესი ბ-ნით, მესამესი გ-ნით და ასე ბოლომდე; 2) ანი და ჭი: სიტყვები ტაეპისა დალაგებულია ანბანის რიგზე. ა-დან ჰ-მდე; 3) ანო ალვისა ბ.ნო ბროლო, განო გარევით ნყოფად ესხეს.²

2. არჩილ მეფე

არჩილი იყო უფროსი შვილი ვახტანგ მეხუთის შაჰნავაზისა და მისი პირველი მეუღლის როდანის, ყაფლან ბარათაშვილის ასულისა; დაბადებულა ის 1647 წელს, როგორცეს ჩანს ერთი მინაწერისა¹ და არჩილისავე სიტყვეზინდანი: 1681 წელს, როდესაც თეიმურაზიანი გაერთავე, 31 წლასა ვიყავი, ხოლო 1684 წელს, „სოფლისა და კაცის გაბაასების“ გასრულებისას, 37-საო.²

¹) ლილა-მეჯნუნიანი, წერ.-კითხვ. № 105, ფ. 98.

²) ზ. კიკინაძის გამოცემა, გვ. 58.

³) იქვე გვ. 61. ზოგიერთი ხელნაწერები თეიმურაზს მოაწერენ არჩილ მეფის შემდეგ ნოკლე ლექსებს: „კაიძან უნდა თავის საქმე ყველა ღეთითა მოიკვალოს“, „ენა ტებლი, ენა მწარე, ენა მოკლე, ენა გრძელი“, „ესე არის სიბრძნე ბრძენთა“ და „გლოვა დედოფლისა“ (ზ. კიკინაძის გამოცემაში, გვ. 7-8, 59-60), აგრეთვე ერთგვარეულ ლექსს (იქვე, გვ. 71).

განთქმულა პირველ ბრძენთაგან სიღარპასილე მესხისა,
ომი და შებმა კახელთა მოსანდომია არ სხვისა,
ჩუქება, პტრად კარგობა ქართველთა აო უხრახვისა,
არიან ზრდილნი იმურან, მტერთა მიმკემი რისხვისა, —

(წერა-კითხვ. № 1512, გვ. 367). რომელიც, როგორც აკროსტიხიდანა ჩანს, ნამდვილად მეფეთვისა გოჩანს.

⁴) თ. უორდანიანი, ქრონიკები II, 460.

⁵) E. Такавишвили, Описание II, стр. 164, 148.

შობლებმა არჩილს მისცეს ფართო და ყოველმხრივი განათლება: საეკლესიო-სასულიერო და საერო; კერძოდ ხელმწიფებით იცოდა მან ქართული ლიტერატურა, სასულიერო და საერო, ამას აჩენს თითქმის ყოველი გვერდი მისი ნაწერებისა. ბუნებამ ის უხვად დააჯილდოვა ქეკუა-გონებით, ენამახვილობით, ახონებით და ფიზიკური მოხდენილობით. 1661 წელს 14 წლის არჩილი მამამ გაამეფა იმერეთში¹ და გადასწყვიტა შერთო მისთვის ვამეყ დადიანის ქალი, მაგრამ ვამეყმა მამა-შვილს პირი უტეხა, რამაც ომიც კი გამოიწვია შაჰნავაზსა და მის შორის. 1663 წელს არჩილი იძულებული შეიქნა იმერეთი დაეტოვებია და სპარსეთს წასულიყო შაჰაბაზ მეორესთან, რომელმაც მას მაჰმადიანობა მიაღებინა შაჰნავაზხანის სახელით, კახეთის ტახტი მისცა და 1664 წელს უკანვე დააბრუნა.² კახეთს ის განაგებდა 12 წელიწადს. 1663—1675 წლებში, და ამ დროს, 1667 წელს, შერთო იმერთა მეფის, ბაგრატ ბრმის, ნაცოლარი, აიხმურაზის შვილის დავითის ქალი, ქეთევანი, რომელიც ახალციხის ფაშასთან იწყოფებოდა.³ 1675 წელს არჩილმა, მამის სურვილის წინააღმდეგ, დასტოვა კახეთის ტახტი და წავიდა ახალციხის ფაშასთან, რათა, ოსმალთა დახმარებით, კვლავ ასულიყო იმერეთის ტახტზე: 1678 წელს, ენკენისთევში, მართლაც მოახწია თავის მიზანს, მაგრამ 1679 წლის თიბათეში იძულებული შეიქნა ტახტი დაეტოვებია, რის შემდეგ ცოლშვილი დვალეთს გაგზავნა, თვითონ კი რვა თვის განმავლობაში ჩხერს იწყოფებოდა: 1681 წელს გადმოვიდა დვალეთს, იქიდან ოგეთს, —ს. ფაიქომში, ფაიქომიდან აშთარხანს, სადაც სამი წელიწადი 1681—1684, დარჩა, აქედან გაემგზავრა მოსკოვს.⁴ რუსეთის დახმარებით თავისი საქმეების გამოსასწორებლად. რუსეთიდან დაბრუნდა 1688 წელს⁵ და დიდი კდის შემდეგ, 1690 წელს, დაიბრუნა იმერეთის ტახტი, თუმცა 1691 წელს იძულებული შეიქნა კვლავ მიეტოვებია ის და წასულიყო რაჭვას, საიდანაც რუსეთს უნდა გამგზავრებულყო; რადგანაც მთეულეებმა მას გზა არ მისცეს, უკანვე დაბრუნდა ქართლს,⁶ საიდანაც 1695 წელს ხელში ჩაიგდო იმერეთი, თუმცა ერთი წლის შემდეგ 1696 წელს, გაძევებულ იქმნა და დვალეთს შეეხიზნა.⁷ 1698 წელს კიდევ მოახერხა იმერეთის ტახტზე ასლვა, მაგრამ ეს უკანასკნელი იყო, იმავე წელს ის კვლავ გააძევეს, ამიტომ გადავიდა დვალეთს და იქიდან, 1699 წლის გასულს, მოსკოვს,⁸ საიდანაც ის სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. პოლიტიკურად იმედგაცრუებული, ის დასახლდა მოსკოვის მახლობლად სოფ. უსესეიატკოვს, ან ქართული გამოთქმით, სვენცკაში, და ხელი მოჰკიდა კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას. მან საფუძველი ჩაუყარა აქ ქართულ სტამბას; მოსკოვის სახაზინო სტაბაში მან ჩამოსახმევეინა ხუცური შრიფტი და 1705 წელს დააბეჭდინა დაკითხნი. არჩილმა პირველმა დაიწყო მზადება ქართული

1) ქართლის ცხოვრება II, 52, 103; თ. ჟორდანიია, ქრონიკები II, 479.

2) ქართლ. ცხოვრება II, 52, 126; თ. ჟორდანიია, ქრონიკები II, 480.

3) ქართლის ცხოვრება II, 54, 127; ჟორდანიია, ქრონიკები II, 484.

4) ქართლის ცხოვრება II, 55, 128, 207, 208, თ. ჟორდანიია, ქრონიკები II.

5) იქ. 495, 498.

6) ქართლის ცხოვრება II, 212, ქრონიკები II, 507.

7) ქართლის ცხოვრება II, 213, 214, 215; ქრონიკები II, 511, 512.

8) ქართ. ცხოვრება II, 216.

9) ქართლის ცხოვრება II, 217, ქრონიკები II, 517.

ბიბლიის დასაბეჭდად, ანისთეის შეაგროვა სხვადასხვა ნუსხები მისი, შეუღარა ისინი სლავურ ტექსტს, საიდანაც ვადმოთარგმნა ისო ზირაქისა და მაკაბელთა წიგნები. რომელიც ქართულ ენაზე არ აღმოჩნდა; ამ შრომით ისარგებლეს მერე 1742 წლის ბიბლიის გამოშვებებმა, ბაქარმა და ვახუშტიმ. აქვე უთარგმნია მას რუსულიდან იერუსალიმის პატრიარქის ნექტარის „ალსარებაჲ მართლისა სარწმუნოებისაჲ წმიდისა კათოლიკე და სამოციქულოჲსა ეკლესიისაჲ“, რომელიც წარმოადგენს ჩვეულებრივი ტიპის კატეხიზმოს, სამი ნაწილისაგან შემდგარს. არჩილსავე ეკუთვნის ხრონოლოგია დასაბამითგან სოფლისა კონსტანტინე პოლეოლოჲამდე; ეს არის ვრცელი ისტორია, საეკლესიო და სამოქალაქო, ქვეყნის გაჩენიდად კონსტანტინოპოლის აღებამდე. პირველი ნაწილი ამ შრომისა, თეოდოსი მცირის მეფობის დასრულებამდე, უთარგმნია ბერძნულიდან მლდეღელ-მონაზონს ბაგრატ სოლოლაშვილს, ათონის ივერიის მონასტრის მოღვაწეს, რომელიც საქართველოდან მოსკოვს გაჰყოლია არჩილს, ხოლო მოსკოვიდან ის გაუგზავნია მას სტოკჰოლმში. სადაც ტყვედ იმყოფებოდა არჩილის შვილი ალექსანდრე ნარვის ბრძოლის შემდეგ შევდებთან. მეორე ნაწილი ამ შრომისა, მარკიანესა და პულქეროას მეფობიდან, უთარგმნია რუსულიდან, სხეების დახმარებით, თვით არჩილს.¹ გარდაიკვალა არჩილი 1712 წელს და დასაფლავებულ იქმნა სვენცკაში, სადაც მისმა ქალმა დარეჯანმა (რუსულად დარია) მის საფლავზე ააგო ეკლესია. როგორც ამოწმებს ამ ეკლესიის საკურთხეველში კედელზეც მიკრული წარწერა. 14 წლის შემდეგ ეს საფლავი ინახულა მოსკოვს ჩასულმა ვახტანგ მეექვსის მეუღლე რუსუდანმა და დასახლებულ დარიჯანთან ერთად ცხარე ცრემლებით მოიტირა ის (პოემა ვახტანგიანი).

ასეთია მოკლედ ცხოვრება და თავგადასავალი ამ შესანიშნავი ადამიანისა, რომლის მოწოდებას იმდენად მეფობა არ შეადგენდა, რამდენად მწერლობა. მის ნაწერთა კრებული, რომელსაც არჩილიანი ეწოდება, შეუდგენიათ ჯერ კიდევ არჩილის სიკოცხლეშივე. მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით: იმაში მოთავსებულია მხოლოდ საერო ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოებნი არჩილისა. ცნობილია ორი ამგვარი ნუსხა არჩილიანისა; ერთი დაუმზადებია მოსკოვს მეფის მდივანს გივი ზურაბისძე-აფშანიშვილს 1701 წელს,² ხოლო მეორე ეკუთვნის მონაზონს დავით ან დაუთ თურქისტანიშვილს, რომელმაც შამხალი განხსნა სენისაგან და მერე ყირიმის ხანთანაც იყო გაგზავნილი.³ ნაწილი ამ ნუსხისა, რომელიც შემადგენლობით თითქმის არაფრით განირჩევა პირველისაგან, გადაწერილი ყოფილა 1705 წლის 1 მაისიდან 25 აგვისტომდე. ხოლო ნაწილი 1706 წელს. ეს ნუსხა დღესდღეობით არა ჩანს, მაგრამ მოიპოვება მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის პირი მისი, რომელიც წინათ პეტერბურლის საჯარო წიგნთსაცავში ინახებოდა (№ 653), დღეს კი დაბრუნებულია სა-

1) სიძველეთა მუხეუმის ხელნაწერები № № 239, 529, 586.

2) სიძველეთა მუხეუმის ხელნაწ. № 657; А. Цагарели Сибирин III, 174.

3) წერა-კითხ. ხელნაწ. № 426, რომელიც 1921 წელს საზღვარგარეთ გაიტანეს; აღწერილობა ჰისი იბ. Е. Такайшвили, Описание II, стр. 133—163.

4) დაბრუნების ცხოვრება II, 28, 211.

ქართველოში და ინახება საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში (№2116).

არჩილის ლიტერატურული შემოქმედება მრავალფეროვანი ყოფილა: ჩვენ უკვე აღვნიშნეთ მისი წვლილი ეკლესიური მწერლობის დარგში, აღვნიშნეთ აგრეთვე თავის ადგილას ნათარგმნი თხზულებანი საერო. ხასიათისა (აღექსანდრ. ანი, ვისრანიანი ვალქსილი, გვ. 214, 249) და ორიგინალური საისტორიო პოემა თეიმურაზიანი, (გვ. 348) ეხლა შევხებით მის ლირიკულ ნაწარმოებებს.

ლირიკა არჩილისა ორგვარია: წმინდა და დიდაქტურ-მორალური: დიდაქტურ-მორალულ ლირიკას ეკუთვნის:

A. გაბაასება კაცისა და სოფლისა.

ამ თხზულების¹⁾ დაწერა გამოუწვევია ერთს ლექსს, რომელიც ანთარანს „უთქვამს სოფელზედ“ ვინმე დავით მამუკას ძე ჯაფარიძეს: აი ეს ლექსი: თქვენს: ჩარბი სოფლის სიმუხთლის სამუდმოდ არის მბრუნავი, ლხინს მოგვემს, ქირი გვერდს ახლავს, ხან შეგება, ხან საქმუნავი, ნურვინ სდეე, ვერვინ მისწედები. ცხენი გყავს ანუ თუ ნავი, თქმულია, არვინ დარჩება ბოლომდის მოუმდურავი.

ამ ტაეპში გამოთქმული აზრი არჩილს აუღია თემად თავისი თხზულებისა, რომლისათვის მას წაუძღვარებია ოთხტაეპოვანი წინასიტყვაობა: ამ წინასიტყვაობაში აეტორი აღნიშნავს, რომ სოფელი „ვის ავი უყო ან კარგი, არც ერთმან არ გაიტანეს“, „თუ გაამებს, გაუცინებ, ზაწყენინოს-სულთქვამ, აბაე“, „სოფელს კაცი, კაცს სოფელი მუდამ ზრახვენ სიმუხთლესა“, ამიტომ. მოდი, ჯერ ვაუბნოთ ისინი ერთმანეთს და „მერე ვაგებქოთ სამართლითაო“. ამის შემდეგ მართლაც იწყება ბაასი მათი, ჯერ ლაპარაკობს კაცი ან ადამი. მერე მას პასუხს აძლევს სოფელი; თხზულებაში სულ 33 სიტყვაა პასუხია. კაცი უჩივის სოფელს, რომ ის მუხთალი, ცრუ, უნდო, წარმავალია, რომ მისგან კაცს ზეტი სიმწარე ზედება, ვიდრე სიტკობ და ბედნიერება. სოფელი შენიშნავს, რომ ამაში თვით კაცია დანაშავეე, რადგანაც ის სოფლის ბატონ-პატრონად იყო დადგინებული, მაგრამ გარდაჰდა ლეთის მცენებას და ყოველივე დაკარგა. კაცი შენიშნავს: ამაში შენ ხარ დანაშავეე, მე შეეცდი იმ ხილით, რომელიც შენ წარმოშობე და შეავე მრეც ეშმაკს და გველს ჩემდა გასაუბედურებლად, მე რომ მკოდნოდა შენი ეერაგობა, ხომ არ შეეცდებოდით. სოფელი უპასუხებს: შენ დავიცი არა იმით, რომ ხილი სჭამე, არამედ იმით, რომ ვერ მოიხმარე ლეთისაგან მოკემული გონება და თავისუფალი ნება, რომელიც გადაჰხარე არა ღვთის, არამედ მაცთურის სიტყვებისაკენო. ყოველს შემთხვევაში, თუ წინათ კიდევ შეგეძლო თავის მართლება უკოლინარობითა და უძღურებით, ქრისტეს მოსლვის შემდეგ გასამართლებელი სიტყვა აღარ უნდა გქონდეს, ეინაიდან მან აღიქვა შენი მანკიერება, გაგაძლიერა, აგიხილა თელირ ავსა და კარგზე, მაგრამ

¹⁾ წერა-კითხვის ხელნაწ. № 126 გვ. 187-248, № 1729, გვ. 157-177; საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგად. ხელნაწ. № 2116 ფ. 106-134.

შენ. ჩემდა ბატონად შექმნილი, მაინც განაგრძობ ჩემს მონობაში ყოფნასო. მე რა ექნაო, უპასუხებს კაცი, შენი ბრალია, შენ მაცდუნებ, „თუ მდიდარ მყოფი კიდე უფრო დიდებასა მომანდომებო,“ რაგინდ ბევრი მქონდეს და ბედნიერი ვიყო, მაინც მეტი მინდაო. მე არ დამიმალავსო, უპასუხებს სოფელი, რომ „ყოველი ჩემგული მოკლეა და განხრწნაღია,“ შენ გონება გაქვს და უნდა გაეგრძეო-ღირს თუ არა ჩემდა დაძონებაო.

ჩერე კაცი უჩივის სოფელს: უსამართლო ხარ, უწყალო, „ვით მულაბელი სვანია.“ ზოგს იმდენს მისცემ, რომ მოხმარება არ შეუძლია, ზოგს კიდე შემ-
შილითა ჰკლავ, როგორ შემიძლია გულდამშვილებით უყურო, როდესაც ჩემს ამხანაგს ყელში ამოსდის ყველაფერი და მე შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვა-
ლე ვკვდები? ის, რაც მდიდარს აქვს, ეუბნება სოფელი, მიცემული აქვს იმისა-
თვის, რომ დაეხმაროს მათ, ვისაც არა აქვს რა, თუ ასე არ იქცევა, მასაც არ
შერჩება სიმდიდრე: შენ კი, ვისაც არა გაქვს რა, შური არას გარგებს, „შენც
მას სთხოვე, ვინც მას მისცა, ეს სჯობს სხვის წაქიღებასა;“ თან გახსოვდეს,
რომ დადგება დღე, როდესაც მე დავიწვები ჩემის ნივთითა და ცეცხლი მომწ-
დება აღისა, მაშინ ყველანი გათანასწორდებითო. შენ მთხოვე, ეუბნება კაცი
სოფელს, რადგანაც „ცრუ ვარ და არ შეგრჩები,“ ყველაფერი სხვას მიეცო,
როგორ შემიძლია ესა ექნა?

რაცა მაქვს ერთპირ^ა გავფანტო სალარო ჩემი ქონება,
მე ვინდა მომცემს, პატრონო, ამას გააველე გონება.

რა ექნა, სოფელო, შეილები მყავს, მიყვარს, მებრალებისა,
მინდა დაუგდო მრავალი, სალარო საუნჯებისა,
მე ძლივ შეეკრიბე, დაობლდენ, ამით სად ეშოვებისა,
მოკვდები, ეს მინდა, მით მიყონ წესები რამ სულებისა.

„თუ კი შენს სიმდიდრეს, უპასუხებს სოფელი, მცირე სარგებლისათვის მია-
ბარებ ვაჰარს, რომელმაც, შეიძლება, ის დაგილუპოს კიდევაც, რად არ გინდა
მიახსენხო ის, ღარიბებზე გაცემის სახით, მას, „ვის აქვს მრავალი საუნჯე:“ საი-
დან იცი. შენ მოკედები უფრო ადრე თუ შენი შეილები, საიდან იცი, რომ შე-
ნი ქონება შენს შეილებს დარჩება და არა მტერს? აბა გვასწავლეთ, ეუბ-
ნება კაცი სოფელს,

ვით უხამთ შენი ხმარება დიდ ხელმწიფეთა, მეფეთა,
მთავართ, დიდებულთ, შჯულის თავთ, მღვდელთ, არ სისხლის მჩქე-
ფეთა,

მოლაშქრე-მონადირეთა, ვაჰართა, ღართა მკრეფეთა,
მდიდართ და გლახაკთ, მუშაკთა, დილით ღამემდინ მყეფეთა.

ანაზე სოფელი იწყებს წვრთნას ან სწავლას ჯერ მეფეთა, მერე მღვდელთ-
მოდღვართა, მხედართა, ვაჰართა, მუშაკთა და სოფლიოსაგან ყოველთა კაცთა;
აქ, შეიძლება, წარმოდგენილია თუ როგორი უნდა იყოს მეფე, სამღვდელო
პირი, მხედარი, მსახური, ვაჰარი, მუშაკი და საზოგადოდ ყოველი ადამიანი,

აღნიშნულია მათი დანიშნულება და მოვალეობა, მათი ზნე და ყოფა-ცხოვრება.

დასასრულ კაცი ერთხელ კიდევ გამოსთქვამს სამღვრავს სოფლის უპირობისა და ამაოების შესახებ და სინანულით იგონებს, რომ ყოველივე მისთვის განზადებული სიკეთე მან დაკარგა მტრის შურით. ბაასის დასრულების შემდეგ პოეტს გამოუტანია განაჩენი: დამნაშავე ყველაფერში ადამიანია, მან ვერ მოიხმარა ის, რაც აღმერთმა მისცა მას, სოფელი არაუფერშია, ის ჩვენის ავის ნაქმართი დაიწყევლა და ამიტომაც, რომ სრულ დაკმაყოფილებას მასში ვერ ვპოვებთ.

დასახელებულს თხზულებაში პოეტს წამოუყენებია პრობლემა ამ სოკლად გაბატონებული ბოროტებისა და უსწორ-მასწორობისა: ერთი ღარიბია და უბედური, მეორე მდიდარი და თითქოს ბედნიერი, მაგრამ ეს ბედნიერებაც წუთიერი, განზრწნადი და წარმავალია. ამ მწვავე პრობლემის ასახსნელად და ადამიანის (რაც სოციალური მდგომარეობისა ც უნდა იყოს ის) დანიშნულების გასათვალისწინებლად ის მიმართავს ქრისტიანულ-თეოლოგიურ ფილოსოფიას და სწუხს, რომ ზოგიერთები მას უგულვებელს ჰყოფენ:

ესპერეტდი წიგნებს მონასტრებში, უბუღობით სულაობდეს.

სიტყვა მათი სასურველი საუკუნოდ გეიფასობდეს.

საღვთოსა და საკაცობოს ორსავე კარგად შეამკობდეს,
მას ყურს არეინ ათხოვებდა, ცუდ გულებზე ბაასობდეს.

საღვთო წიგნი ბევრი წახდა უყდოთა და უბუღობით.

საშაიროს ინახავდენ სტავრის ბუღით ან ნახლობით,

უმჯობესი დაიეიწყეს წესის რასმე აწ ახლობით,

სიმართლესა მრუდზე სცელიან სიცრუისა მომხახლობით.

როდის ან სადაა დაწერილი თხზულება? ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ბოლოსიტყვაობა მისი:¹

სრულ იქმნა წიგნი ბაასი ეს კაცისა და სოფლისა,

წელს დასაბამით შეიდაათას ას ოთხმოც მეთორმეტისა,

ამთარბანს კაის ქალაქსა. მაგრამ ჩემს არ სამყოფლისა,

ხამთარ მწვე ცივისა, დიად ცხელს ზაფხულს, მდენელსა ოფლისა.

ამავე წელიწადს ოცდაათს-მარტს აღდგომა თენდებოდა,

ნაკი მოჰქონდა ფებერვალს და ოცი ხედნადეზობდა,

ჩემის წლისა ჩამოსლეა ოცდათმეტიდმეტად თავდებოდა

ქორონიკონისა ასონი ტარი ბანი ჯდებოდა.

¹ საისტორიო-საეტიკო, № 2116, ფ. 119, წერ-კითხ. № 126, გვ. 278; Е. Такайшвиლი, Описание II, стр. 118.

² ხელნაწერში სწავლია: ტარი ბანი (Е. Такайшвиლი, Описание, стр. 118).

თუ არ ვთქვა, ვიცი, დარჩება ბოლოვამ გაუგონარად, თუ ვთქვა და, არ დაიჯერონ ეს ადვილმოსაგონარად, სამთვე გათავდა ეს წიგნი, სულ ჩაიგდება ონარად, იანერით ოცდათ მარტამდის, ხან კიდევ ვიყავ მცონარად.

აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ თხზულება დაწერილია ქ. აშთარხანს, ქვეყნის გაჩენიდან 7192 წელს ან ქორონიკონს 372, რაც უდრის 1684 წელს (7192—5508= 1312+372), როდესაც არჩილი 37 წლის იყო (1647+37=1684), სამი თვის განმავლობაში, იანერიდამ მარტის ოცდაათ რიცხვამდე.

B. საქართველოს ზნეობანი.

ავტორი სამგვამოვანის და ერთარსი ლეთაებისადმი ნიმართვის შენდევ, შენიშნავს: ¹

აწ ეს მინდა სათქმელად, რამდენი ზნეობა არის, საღეთო და ანუ სახედრო, მშეებლის და მოვაგლახარის, ლაშქრობის, ნადირობისა, რომელმან კაცი ახარის. საქციელ, სამსახურისა, ვინც იცის. ცოდნაც კმა არის.

რად მონდომებია ავტორს ასეთი რამესი დაწერა, რამ გამოიწვია ასეთი განზრახვა მისი? ამის შესახებ თხზულების სათაურში ნათქვამია: ლექსად ითქვა ეს, რათა ყოველნი ერისკაცნი ესრეთ იტყუოდნენ²; ხოლო ბოლოში შემდეგი პასუხია მოცემული:

ბევრი კაცი იმიზეზებს, არა მყვანდა მომელელიო, ზნეობა რამ დამესწავლა, ხარისხ-ხარისხ ამვლელო, ახლა რალა პასუხი გაქვსთ, აი თქვენი მსწავლელიო, ვინ არ იწვრთნა, მალმც მოყდები, ნუ ხარ ხანის წამლველიო.

მანასადამე, ავტორს პრაქტიკული მიზანი ჰქონია: მოეცა მსურველთათვის საკირო სახელმძღვანელო ზნეობათა სწავლისა. ამისდამიხედვით ის მართლაც ლაპარაკობს სხვადასხვა ზნეობათა შესახებ. როგორც თიზიკურის, ისე მორალური და გონებრივი ხასიათისა, როგორცაა, მაგალითად, მშვილდოსნობა, ბურთაობა, ცხენოსნობა, მომღერლობა, მარაქის გარიგება, ზმა, სუფრობა, მესაკრავეობა, ტანფების გაწყობა, მეჯინიბობა, ბაზიერობა, ჯირითობა, მეთოფობა, მტურაობა, მოტიროლობა, მეკადრაკობა, მუშაითობა, სხვადასხვაგვარი ნადირობა, იარალის გაკეთება და ცნობა; ენისა და წიგნის ცოდნა, მწიგნობრობა, მწერლობა (მხედრულის, ხუტურის, მგრგლოვანის, ყვავილფაჩხილოვანის, ასონთაერულის), ლექსთმთარგმნელობა, მოსამართლეობა, მრჩეველობა, მელექსეობა ან შაირობა, მესაიდუმლეობა, თიზიკური მუშაობა, მეფესთან, ბატონთან და ტოლანგანებთან შესაფერი ზრდილობა და თავდაქერა. სარდლობა, რახვის გაწყობა სიბრძნე და სხვა მრავალი. ავტორის სიტყვით.

¹) თხზულება გამოცემულია ივერიაში. 1888 წ. XII.

²) წერ. კითხ. ხელნ. № 1511, გვ. 159.

საქართველოში იტყვიან სამას სამოცდა ხუთსაო
ზნეობას, სხვას არ აგდებენ ქვეყნისას, თუ არ მათსაო,
აქაური რამ ყველანი ვთქვი, ვერვინ დამიხუთსაო,
ეს დაუსს, მაგრამ მე ვგონებ უფრო ბევრ ხუთათასაო.

მართლაც, ავტორს გაუთვალისწინებია თითქმის ყოველი ნაბიჯი ადამიანის სოციალური, ოჯახური თუ ინდივიდუალური ცხოვრებისა და ყველგან შესაფერ იდვალს გვიხატავს. ყველა ზნეობაზე მალა ის სიბრძნეს აყენებს:

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერარა, არც ისე მოსახმარია,
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქეს არ გამხმარია,
სად წახვალთ, თან გამოყვებათ, საგძლადაც მგონ სახმარია,
სხვა დაგრჩება და ის არა, გვერთს გახლავს ცათა კნარია.

ყველაფერი წარმატებულია, სიბრძნე კი მუღმივია: „სიბრძნე არის სამუდამო, სტყვედღამდი ვერ გააგდენ“.

თხზულება დაწერილია რუსეთში, სახელდობრ ქ. აშთარხანს, როგორც ეს შემდეგიდანა ჩანს:

აბა გაზაფხულს აშთარხანს ნახე, თუ სჯობდეს რაც არი,
ეგება კიდევ სხვაც რამ ვთქვა სულ რუსთა ვნახო რაც არი.

დაწერილია ის, „სოფლისა და კაცის გაბაასების“ შემდეგ, რაც იქიდანა ჩანს. რომ წ.გ.რ.-კითხ. საზოგადოების ხელნაწერის ზანდუკში, სადაც არჩილის თხზულებანი მათის დაწერის ქრონოლოგიური წესით არის აღნიშნული, ეს თხზულება პირველის შემდეგაა მოთავსებული, მაშასადაე, ეს შრომაც იმავე 1684 წელსაა დაწერილი, ვინაიდან არჩილ მეფე აშთარხანს შოლოდ სამს წელიწადს აყო.

C. რვათა საჩინოთა ასოთა გვაშისათა.

რვა მთავარი ასო გვაშისა არის: თვალი, ცხვირი, ყური, ენა, პირი, ხელი, ფეხი და გული: ავტორს მიზნად დაუსახავს გვაჩვენოს როგორია დანიშნულება და ნორმალური ფუნქციები თვითთელი ამ ასოისა:

თვალი რა ნახავს საყვარელს, მოხედვას აღარ ინებსა,
მისგამო წყალსა მოიციმს, სიხარულს მოიგონებსა,
ცხვირსა მისი ფშვა სწადიან, იყნოსებს, მას უსუნებსა.

„ყური კარია სიტყვისა“, ზოგი სიბრძნისათვისაა ღია, ზოგი კარგისათვის დახმული, რა ქნას კარგმა სიტყვამ, თუ ყური მას არ შეუშვებს? ენა კარგი წამალია ბრძნის ხელოვნისა, რომელიც ყველას შესაფერს სიტყვას იტყვის, საზოგადოდ მას ცოტა უნდა ათქმევინო. პირია გემოს შემტყობი, ვის რა ნებას მას მიიღებს და არეიან შეავიწებს.

ფერხთა დიდება ეს არის, თიცხობდეს, მერმე მალობდეს,
მალ მიაშუროს კარგ საქმეს და აესა დაემალობდეს.

1) № 426, გვ. 216-266; იხ. აგრეთვე წერ.-კითხ. № 1729, გვ. 128-112, საისტორ.-საეთნოგრ. № 2116, გვ. 13-117.

2) 1681-1681, ქართლის ცხოვრება II, 218.

ხელს ძალეუც ბერი სიკეთე ზნეობისა თუ საქმისა,
ხელოვნებისა კისა, კალმითა ტყბილთა დათქმითა.

რაც შეეხება გულს. ის მეფეა გვაძის ყოველთა ასოთა:

ყოველი ასო გულისა მსახურია და მონადა,
გარემოისხა საშრომლად, ამუშაქებს და მონადა,
რა ის არ მოჰყევს სიმართლით, ღმერთს ვინ მოაწონადა,
ვინ შექმნა პირველ სიბრძნითა, მან ასრე მოიგონადა.

თხზულება სულ ოცი ტაქისაგან შესდგება,¹ ის დაწერილი უნდა იყოს წინათხზულების შემდეგ. ვინაიდან არჩილის შრომათა ქრონოლოგიურს სიაში, რომელიც წარმოდგენილია წერ.-კითხ. ხელნაწერის № 426 ზანდუქში, ის მოთაესებულია „საქართველოს ზნეობანი“-ს შემდეგ.²

აღნიშნულთ გარდა არჩილს ეკუთვნის რამდენიმე დიდაქტურ-მორალური ლირიკული ნაწარმოები თავისებური ფორმისა და შინაარსისა; მაგალითად თვისაგან თქმულში³ მშვენიერს წალკოტში არსებულ ხილთა იგავით პოეტი გვასწავლის, რომ ბრძენი კაცი უნდა გვერდს უვლიდეს უგუნურ ადამიანს, ერიდოს მის მტრობასა და მეგობრობას, „არ უნდა სიტყვას ეტყოდეს მის სმენად შეუქლებელსა“, ხოლო თხზულებაში ანბანთ ნება. დექსნი ამოცანად სათარგმანებელნი,⁴ რომელიც არჩილს დაუწერია მაშინ, როდესაც ის შეორედ მივიდა ოსეთსა და დვალეთს,⁵ ესე იგი 1696 წლეს. ის ამოცანის საგნად წარმოგვიდგენს სხვადასხვა პირთ ბიბლიური ისტორიიდან, მაგალითად:

იტყვიტ კაცსა უღედმამოდ, ნათესავიც ვერ უხსენეთ,
ილოცეთ, პირველ მღვდელობდა, თქვით-ვინ იყო, აწ ახსენეთ,
იერუსალიმს. მეფედ ჯდა, ესე ჩვენგან მოიხსენეთ,
იტით ვინმცა, უმცროსთ ამცნეთ, და უფროსებს შობსენეთ.
[==მელქისედეცი].

იყო კაცი ქებასა შინა დამალული, არ თუ დაეით,
იგი ვინმე მას სდენიდა სასიკვდილოდ, აესა დაეით,
ისიც მასვე ქებას შეეიდა მოსვენებად. ვითა დაეით,
იენა, მაგრამ არას აენებს ცხებულობით მშვიდი დაეით.
[==საული]

ახი ლექსი ორმუხლელი⁶ გადმოვკცემს აფორიზმის სახით სხვადასხვა დარიცებას:

¹ ი. ბრევილი და ევანასენელი იხ. E. Такайшвили, Описание II, стр. 419.

² ვ. ვ. პირ-პირ, აგრეთვე წერ.-კითხ. № 1729, ფ. 112-115.

³ წ.-კითხ. № 426, გვ. 281-284, საისტ.-საეთნოგრ. № 2116, ფ. 153-155.

⁴ თვითველი ასოთი ორ-ორი ტაქია დაწეხული, გარდა ვ. ლ. მ. ო. პ. ქ. ჩ. რომღვ-ბითაც სამსაში ტაქი იწყება, ფ-თი ერთი მხოლოდ: წერ.-კითხ. № 126, გვ. 309-322, საისტ.-საეთნოგრ. № 2116, ფ. 167-171.

⁵ E. Такайшвили, Описание II, стр. 155.

⁶ წერ.-კითხ. № 126, გვ. 301-304, საისტ.-საეთნოგრ. № 2116, ფ. 163-167.

ვინ მრწემსა სწყალობს, ავასხებს უხვად წყალობის მძლეველსა,
შემწყალებელი ობოლთა მძლე ექმნას თვისსა მძლეველსა.

ვინ ენას სძლევს და მუცელსა, დიდი ნიკი აქვს მადლისა.

ვინც ბოროტსა სძლევს, ხელთა აქვს სრულყოფა მის საწადლისა.¹

ამგვარივე ორმუხლელი სენტეციები და აფორიზმები არჩილს დაურთავს თავის ეისრამიანის თვისსა ც. ² პრაქტიკული ხასიათის დარიგებანი გვაქვს თხზულებაში მეორე ახეული ლექსი,³ რომელიც დაწერილია ქორონიკონსა ტჰჰ, ესე იგი 1703 წელს⁴ და ორნაწილად განიყოფება: მაგალითად:

თუ სიმდიდრით გაიხარე, სიგლახაკეც დაითმინე,
რადგან ქება გაიმება, მზილებაც რამ შეისმინე,
ვის არ სიტყვა შენი უთხრა, მაგიერიც მოისმინე,
სცოდებ უფალს ცრუ ენითა, თუ მართალი შეისმინე.

ერიდე სიტყვა-უცებსა, ამათ თავსა ზედა ისომ,
თუ სთქვა სიტყვა კადნიერი, ისე სთქვა, ვითა ისომ,
ქენების და ორენასა კაცსა ახლო ნუ მოისომ,
ვაგლახ მეო, იტყვიო მაშინ, რა ცხვირს მურსა ჩამოისომ

სადა სიტყვა არა გიღირს, რას ზღაპროი, რას არაკობ,
მოელთა ცრუ სიტყვითა, ნუ თუ ჰგონებ—თავს შეიმკობ,
ერეოდი ცრუ სიტყვასა, სიტყვა-მქვერად თუმც მუსიკობ,
არსად წაგცდეს ცული ენა, ლექსობ ვინ თუ მუსიკობ.

ამგვარივე ხასიათის დარიგებანი შეადგენს შინაარსს აგრეთვე თხზულებისას
✓ ახ და ათი ლექსი,“ რომელიც დაწერილია ეისრამიანის გალექსვის შემდეგ
[„ეისრამიანს დავსწერე“, ამბობს პოეტი], ესე იგი არა უადრეს 1700 წლისა;
სანიმუშოდ მოიყვანთ რამოდენიმე ადგილს:

განვიდევნოთ გულისწყრომა, ცრუთ რისზე ენოენება,
დავიშრიტნეთ გულისთქმანი, რომელს ძალუცს დიდი ვნება.
მოვიძაგრთ ნაყროვნება, ცული უქმი მოსვენება,
ბეჭთ ვიტვირთოთ მუშაკობა, ვით ცხედრისა განსვენება.

რას გვიბრძანებს სახარება, გაევიგონოთ ყური უგდოთ,
ნუ ვართ სტუმართ მოძულენი, უცხოთ კარი არ მიუგდოთ.

¹) შუად. Е. Такайшвили. Описание. II, стр. 151.

²) საისტ.-საეთნოგრ. № 270—271; ნიმუშებო Е. Такайшвили. Описание II, стр. 153

³) წერ.-კითხ. № 126, გვ. 156—159; საისტ.-საეთნ. № 2116, ფ. 183—191.

⁴) Е. Такайшвили, Описание II, стр. 160.

⁵) მეორე ნაწილ, 66—100 ტაეში, აქროსტიხლოვა: დასაწყისი ასოები სტრიგინებისა გვაძლევს მთელს ტაეშს (Е. Такайшвили. Описание II, стр. 160), ხოლო უკანასკნელი ასოები ტაეშებისა, მუხლს: „ამას ავ ამბად არ უგონებ, იღნთა ვინმე სააოდ“.

⁶) წერ.-კითხ. № 126, გვ. 160—163, საისტ.-საეთნ. № 2116, ფ. 192—201.

განვიკითხნეთ თავნი თვისნი, უკეთესსა ვის დაუგდოთ,
ვინ ჩვენ მოგვცნა ესოდენი, მაშ მას პურიც არ მიუგდოთ?

თხზულებაში იამბიკო ლექსები, რომელიც დაწერილია „ორსავ ასეულ ლექსებს შემდგომად“, მასასადაჲმ 1703 წლის შემდეგ, და რომლის აკროსტიხი იძლევა მთელს ტაქსს,² გაკიცხულია ცრუმეცნიერი და ყოყოჩა ბრძენი, რომელსაც პოეტი ეუბნება:

ბედს მონებ და ეარსკულავთ რიცხავ, შობას იმათ მიაჩემებ.
ისიბრძნები, რიცხვთმეტყველებ, ქვეყნის ზომას შეიჩემებ,
სულ მოზღაპრობ შემეცალობით, სხვისას შენდა დაიჩემებ,
არ შესდგები მართალს გზასა, მრულსა კარგა ვის უჩვენებ.

ამის მაგიერო, უჩრევს მას პოეტი, მოიგე სიმაართლე, ტებილი - ენა და იარე იწრო კარებით, მსგავსად მარტილთა, რომელთაც, მათი საშინელი ღვაწლის მიმოხილვის შემდეგ, პოეტი მიჰმართაჲს: „არჩილს მარგეთ რა. წმიდანო, ენ მცნებას გარდაუდგე“-ო.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მორალური შეხედულებანი და გრძნობანი უკანასკელი ჯგუფის ლექსებისა სტერეოტიპულია: მათში ავტორი იმეორებს, სხვადასხვა ვარიაციებით, ერთსა და იმავე აზრებს და ხშირად გვევლინება როგორც საეკლესიო ამბიონზე მდგომი მქადგებელი, რომლის რეზონირობა შესამჩნევად ჩრდილავს მის პოეზიას.

წმიდა ლირიკული ხასიათის ნაწარმოებნი არჩილს შედარებით ნაკლებად აქვს, სულ ექვსიოდე შრომა შეიძლება დავასახელოთ, სადაც თავიდან ბოლომდე ლირიკული მოტივი გვესმის, აქედან ოთხი რელიგიური შინაარსისაა, ორი კი საეროსი. ამ ექვს შრომათგან ოთხი წარმოადგენს ხოტბას ან ოდას ან სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

1. პირველს ნაწარმოებზე ასეთი ხასიათისას ეწოდება პირველთა და შემდგომითი შემდგომთა მეფეთა ქება და სამხილებელი. თხზულება დაწერილია ჩახჩუხაული საზოპით: ამით აიხსნება, რომ პოეტი თავის შრომას იწყებს ჩახრუხადის შესახებ ტრადიციულ ცნობათა გადმოცემით და შენიშნით: „ბრძენი ენა, გრძლად შესმენა უხამს მეფეთ მაქებართა“-ო. ის ამბობს:

ხელეყო, მცნობელო და უცნობელო. ქვეყნიერ მეფეო სახელდებულთა.
ჩვენ წინ მოსულთა, აწ გარდასულთა. ახლად მზახველთად, დადუმებულთა,
მხნედ და ძლიერთა საძებნიერთა, ახოვნად ქვენად გმირებ გებულთა.
ღრმად ამოვიწყო, გარ შემოვიწყო, ლეთისა მიერეე დაბადებულთა.

ასეთი შესავალის შემდეგ ავტორი შეუდგება მეფეთა ქებას და, ვინაიდან მისი სიტყვით, „იყენენ მრავალნი ძვირად საყალნი, წარმართ მეფენი საქნით კეთილნი“, თავის ხოტბას იწყებს ალექსანდრე მაკედონელის შესახებ.

1) წერ.-კითხ. ხელნ. № 126, გვ. 337-340, საიტ.-სიეთნ. № 2110, ფ. 201-203.

2) Е. Тяхаишвили, Описание II, стр. 161.

3) წერ.-კითხ. № 126, გვ. 182-183, № 1729, გვ. 151-163; ამ უკანასკნელში ცნობილია უშუალოდ, უსათაროდაა გადაბმული წიხა და შემდეგწარმოებუ.

მეუე გადადის ღვთისმსახურ მეფეებზე; ჯერ შეეხება ებრაელთა მეოეებს — დავითს, სოლომონს, ოსიას, მანასეს, იერობოამს (უკანასკნელს იხსენიებს „სამწიღებელი“ სიტყვით). მერე ქრისტიანებისას: კონსტანტინე დიდს და იეზიმიანეს, რომელსაც განგებამ განუჩინა ბილწი ივლიანე განდგომილის თანამედროვეობა. ამის შემდეგ ის საგანგებოდ ლაპარაკობს ქართველ მეფეთა შესახებ და ხოტბას შეასხამს დავით აღმაშენებელს, გიორგი მესამეს და თამარს, რომლის შესახებ ის ამბობს: „მე თამარია, ღმერთ ამარისა, სხვადა ვსთქვენ ქება ვერ კმასაყოფი“, ჰგულისხმობს. ლეკველია, თამარის ისტორიას, „თეიმურაზისა და რუსთველის შედარებაში“. ამდებან პოეტი ლაპარაკობდა მის დრომდე ცნობილ მეფეების შესახებ, ესეა კი ვილაპარაკებო, ამბობს ის, ორ მეფეთა შესახებ, „ვინანი ვნახე მე ჩემს დროსა“:

ერთი შოთაშია. მეორე კია ნშვილობის დროსა ეამსა მყუდროსა,
პირველი სიყრმეს მეორე სიღრმეს, მსცოეანებისას ეეკე შემესუდროსა.

ეს მეფეებია: შაჰაბაზ მეორე და პეტრე დიდი. პირველის შესახებ პოეტი ამბობს:

მე ვინცა ვნახე კაცი ჩემ დროსი, არვინ მინახავს მისებრ აროსა,
ნუ ვინ იკმარებს ზესთაობასა, მისი სწორება, სჯობს, იკმაროსა.

ვამ მას დღესა მე რომე დღესა მასთან გაგზავნა ჩემდა გზაძნელსა,
ნათლისად წილად, უუროსის ას წილად უმეცრებითა ჩავიჭერ ბნელსა.
რა მიხნს, რაღა ვსთქვა. ანუ რაა ვსთქვა მე. მშობელთგან არ შესაქმელსა,
ვეძებ ღებნასა, ვით წყალ ხენასა, ვერა ვსწვევივარ ჩემს საძებნელსა.

ჩემებრ ვინანი, სადა ვინანი ჩემთა მაშინდელთ სჯულთ გარდასლევასა,
რად მოვიღორე, ვერ დავიღვარე სისხლი ქრისტესთვის, ვა ჩემს სწავლასა!

ორჩება რა შაჰაბაზ მეორის „ქებას“, არჩილი განაგრძობს:

თვით პეტრე ცარი ვნახე რაც არი, დიდის რუსეთის მუკიცედ მპყრობელი,
სიყრმესა შინა ვიახელ შინა, ძალალი მდაბალთ ხელთამპრობელი,

ის აგვიწერს პეტრეს შინაგან და გარეგან თესებებს აღტაცებული კილოთი,
რომელიც უზენაესს გამოძახილს ჰპოულობს შემდეგს სიტყვებში:

გონიერი. მეცნიერი, ბედნიერი. კადნიერი,
შენიერი, ნიეთიერი, არმცბიერი, სახიერი,
მქონიერი, მცნობიერი. მძნობიერი, გრძნობიერი,
ღონიერი, ქვეყნიერი, მონებრ არ გამგონიერი.

მე სამისო, მესამისო, ვერ ვპოვე ქება შესწორებულად,
თუ დასხდენ ბრძენი, სიბრძნეთა მნენი, შესხმად ამისდა ერთად
კრებულად,
მათც გაუძნელდეს. გზა დაუბნელდეს ღირსად ქებისად ვერ
შოებულად!

გაათავებს რა პეტრეს ქებას, ავტორი განაცხადებს: „აქ ეს ვიკმაროთ. სხვაგან ვიზმაროთ სამხილებელი კარგ-ავეებისა“; სამხილებელ ნეფეებს ის არ ასახელებს, ზოგადად ლაპარაკობს, მაგრავ, უეკველია, ჰგულისხმობს ქართველებს. ის მწვავე, აღმფოთებული გრძნობით ლაპარაკობს „ერთმანეთის მოდავეების“; მლიქვნელთა, „ავად მშფოთთა“, რჯულის ამრეველთა და საწოლის შემგინებელთა შესახებ; მერე გადადის თავის საკუთარ თავზე და გულამოსკენილი ამბობს:

გი ჩემს სეესა, სად გადამსევსა, მე სადაური სადათ არესა,
 ბნელსა ჩამსევსა, სისხლი მომსევსა. მგონია ესეც არ მაქმარესა.
 მათი ნაქმარი, ავად საქნარი სულა მე დია დამაბარესა,
 სიცოცხლე ჩემი, არ ასაჩემი, რომ ხედავთ, ასე დამამწარესა:

მე ტირტა პიტნა და პური სიტნა უფროს ვირჩიე ცრუთა სახრდელსა.
 სიტკბო დამწარდა, მექმნა ბაწარდა, საღეკლად სულა არ გასახრდელსა.
 სულთა გახყოფას ჩემს ასე ყოფას აღეირჩე გემოდ ველისა ყრდელსა,
 ვიყავ მხედარი, კარგ სახედყარი, აწ ვეჭვობ, შევგავ კაცს არადელსა.

ვთი ჩემს დროსა, სადლა მე დროსა, სულ მოღრუებული დღედ ნათ-
 ლისადა.
 მწუხრ შესწრობილსა, ბნელთ შეპყრობილსა, სადათ ვეწიო ვამს დი-
 ლისადა.

სად შევისწაო, ანლა ვისწაო მე სადაური სადმე ველი სადა,
 არა ვიდუმნე, ლაზოდ ვიდუმნე, მადლობა არსთა შემქნელისადა

მეფედ ვიწოდე, ვერ გავიწოდე ფეხი ჩემისად გუნებისადა,
 დავდე თავი, არ ავად ავი, საარაკოდა ქვეყნებისადა,
 ბუკთა საყვირად, ვინ თქვას საყვირად, სამუსიკელად მე უბნისადა,
 ჩემს გარდა სხვათა ჩემთა მნახეთა მამხილონ ავი ვიზე ვყვი სდა.

აღიხილეთა, მოიხილეთა, ლექსი ვისია ან ვის მქებარე,
 ვისი ვის ვისდა, რისა საქმისდა ვიყავ და აწე სად მივებარე.
 რაღას ველოდე ან ვედლებოდე, გარდუშვებ იმედს სულა მე ბარე.
 ვხედავ ნიშნებსა, საქმეს მკვიშნესა, მგონც მომეახლა აქა მებარე.

პოეტს მეტი აღარა დარჩენიარა, რომ მწარიდ სთქვას: „მივიანდოთ თავი უფალსა, ამოოდ ნულარ ვშვრებიოა“.

ამნაირად, მოგონება გარდასრულთა დიდებულთა მეფეთა, მოგონება სან-
 შობლოს უკულმართი ბედისა, რომელმაც პოეტი ჩააყენა ასეთს უნუგეშო მდგო-
 მარეობაში, მიიყვანს მას ისეთს აპატიამდე, რომ ის ყველაფერზე ხელს იღებს
 და მხოლოდ უფალს ანდობს თავს. თხზულება დაწერილია, როგორც შინაარსი-
 დანაცა ჩანს და როგორც სათაურშიაც ნათქვამია, მოსკოვს, როდესაც არჩილი
 მართლაც რომ სასიკვდილოდ ემზადებოდა ს. სვენცკა ში.

2. მეორე ხოტბა არჩილისა, რომელსაც ეწოდება ანბანი საქებელნი და სავედრებელნი წმიდისა ღვთისმშობლისანი,¹ დაწერილია 16 მარცვლოვანი ლექსით, ქართული ანბანის რიგზე დალაგებული ტაყეებით, წარმოადგენს ნამდვილს ჰიმნს, უშუალო გრძნობით გამსჭვალულს, ღვთისმშობლისადმი, რომლის წინაშე ქედი მოუდრეკია ცხოვრების სიმქიმით დაბეჩაუებულს ადამიანს.

3. ხოტბას წარმოადგენს აგრეთვე შეიდი. ერთიმეორეზე გადაბმულა, ნამდვილი ეკლესიური ხასიათის. იამბიკო,² რომლებმაც გამოხატულია ცხოველი რელიგიური გრძნობა, შეგნება თავისი უღირსებისა, უმწეობისა და არარაობისა. პირველს ორს იამბიკოში შექცეულია ერთარსება სამება, მესამესა და მეოთხეში—ღვთისმშობელი. მეხუთეში—12 მოციქული, მეექვსეში—წინასწარმეტყველნი, მოწამენი. განშორებულნი, მეშვიდეში—სხვადასხვა სათნოებანი. იამბიკო ურითმოა, მარცვალთა რაოდენობაც კი არაა სისტემატურად დატული (20—28-მდე), სამაგიეროდ მას დართული აქვს აკროსტიხი როგორც მარცხნივ, სტრიქონის თავში, ისე მარჯვნივ. სტრიქონის დასასრულს. ეს აკროსტიხი გვაძლევს შემდეგს ჩახრუხახულს:

სამებით ღმერთო, ბუნებით ერთო, დამხსენ სახმილსა, უშრეტად
მწველსა,
მიშველე რამე. შენ მნახო რამე. სათნოებითა როჲ ვგევიარ მწველსა;
შენს ნებაზედან, შენებაზედან აღარ მიმიშვა ბელიერ მწველსა,
ჩამსოღს მწვირესა, მის ნამწვირესა, ვი, რა ავია, მის დანასველსა!
ქალწულად მშობო, ქებით სამკობო, და საღმობისა არასა მგრძნობო,
გამოუთქმელად, მიუწლომელად დამბადებლისა სულ არსათა მშობო,
ვისცა ვერ იტვეს, ისიც მომიტვეს, შენ მეოხ მეყავ, ქებას გიმკობო,
თუ ცადა ეები, თუცა დაეები, განსაცდელშიგან მეგრ მქმენ იობო.
მოციქულთ ათორ, ევეედრო ათორთ, თორე მიზმენა საქმეს ძნელ-
ავსა,
წინასწარმეტყველთ, მით გამომეტყველთ, ღმერთმან იგინი სულით
ავსა,
მღედელთა მოძღვრითა ცრემლისა ცერითა, ამით უფალმა აღი და-
ავსა,
მოწამებითა ქალწულ-ყრმებითა მტერთა განერო და ვითხოვ დაესა.
კაცთ საფრხედ ოქრო ექნების, ვითა ფრინველთა მახეა,
ადამის მიერ ცთუნებით ბევრიგ რამ მით მოჩახეა.

4. ღმა ლირიზმითაა განმსჭვალული სიტყვა სანათლისღებო,³ რომელშიაც პოეტი აღიარებს ღვთის დიდებას, ადამიანის უმწეობას, უჩვენებს სხვადასხვა სახეს ნათლისღებისას. რომლითაც შეიძლება დაცემული კაცის ლხინება, მაგრამ პოლუს მას სედა მოიციავს, ვინაიდან მოკლებულია ამ საშუალებას და

¹ წერა-კითხ. № 426, გვ. 203—204; საისტ.-საეთნოგრ. № 2116, ფ. 159—162.

² წერა-კითხ. № 426, გვ. 175—186; საისტ.-საეთნოგრ. № 2116, ფ. 99—105.

³ წერა-კითხ. № 126, გვ. 269—276, № 1729, გვ. 145—151; საისტ.-საეთნოგრაფ. № 2116, ფ. 144—145.

თან დაწორებულია თვისტომობას: ეს მწარე გრძნობა შადრევანივით აღმოხეთ-
ქავს მისი გულიდან შემდეგს სიტყვებში:

მინდა გაგიტყდეთ მოძღვარნო სახიერ, სხეაც რამ მინდაო,
ძმანი მიჩვენო მშვიდობით და მათთან ჩემი გინდაო,
რა მათ მოეშორდი, სიბნელემ თვალები დაიბინდაო,
ყირმიზად აყვავებული გული ნალეულმან ინდაოა.

სხევანი რამდენნი საყოლნი და ყრმანი ჩემთან შეზდილნი,
ზოგნია ჩემნი გამზდელნი და სხვანი ჩემნი დაზდილნი,
კა ამჟოლ მუსაიბები, მოლხინე თან მოლაიბილნი;
იმერნი, კახნი, ქართველნი, ვისითაც მქონდა ქაღილნი.

მახსოვს ლხინი და თამაშა, დღე და ღამე წართევით მღერა,
მხეცთა სრვა და ნადირობა, თაეი ლალად მომემღერა,
ბურთაობა, მინდორობა, კელავ ნადიმი, ქანდრაკ მღერა,
უხვობა და გასაცემა, სრულ ვითა ვთქვა მომემღერა.

აწ ისინი უჩემობით არა სწუხან, ისრეე ზმიან.
ეინ ასპარეზს ასპარეზობს, მერმე სმენ და მღერენ, ზმიან,
მე აღარეინ მომიგონებს, არ ვიცი თუ რად მიზმიან,
ბუტბუტობენ ზოგიერთნი, მგონი იქ ხანს ბეერს დაზმიან.

სოფელო, მუდამ ტრელობით, მიკვირს. არ სცხრები რად არა,
არ მოვსთელი შენსა სიმუხთლეს, რაეები მიყაე რა და რა,
ეერეინ მოგირჩა უენები, ცუდად ირბოლა რად არა,
თუ არ უტებმან წარშავალს, ვინ წარუვალი რად არა!

აქ პოეტი სასოწარკვეთილებაში არ ვარდება, ვინაიდან თხზულება დაწერილია
რუსეთში ყოფნის პირველ ხანებში, როდესაც მას კიდევ მქონდა რალაც იმე-
ლები სამშობლოში დაბრუნებისა და თავის საქმეების გამოსწორებისა: ამიტომ
ის ამბობს:

მაგრამ მე ლეთისა იმედი ამაღ არ გადმივარდება,
ამაღ რომ არის მოწყალე, ეს ცოდნა მინარნარდება,
მისი წყალობა, მოხედვა ერთხელ სამხედ მომვარდება.
აწ მოფუქვრილი ყვაილი მგონია გამივარდება.

5. ნამდვილს ჩახრუხაულ ხოტბას წარმოადგენს ანბანთქება ცხრა თავნი.¹
რომელიც შესდგება მართლაც ცხრა ტაეპის ან 36 სტრიქონისაგან, რომელთა-
გან თვითთული ცალკე ასოთი იწყება. ხოტბა ასე იწყება: „ასულ ასულა,
მკვრეტნი დასულა. ესე ვინაა ჩემი ასულა“, თავდება კი: „ჩი საწყალთა არ
აფრქვევ წყალთა, უწყალოდ ექმენ მიჯნურთ დნობითა“. პოეტი აქებს ვილაც
ასულს, რომელიც არის „ბროლ-მინა რევით, მზისა მორევით“, მძლე შეიღთა

¹ წერა-კითხვ. № 426, გვ. 173—174; საისტ.-საეთნოგრ. № 2116, ფ. 48. არჩილ იანი.
პ. მ ა ჩ ი ლ ა ძ ი ს ვ ა მ ო უ ე მ ა. გვ. 202—6.

მნათობთა, ლერწამ-ტანი; პოეტი მას ეუბნება: „ფიცად მაქვს შენი წამწამ ნა-
შენი, ჯარი ინდისა, ამბრებ ნაყოლი“, შენ ენა დამიბიო“, „შიში მაქვს გულ-
სა, შენგან დაგულსა“-ო. ხოტბა შინაარსით და პოეტური ფორმით, განსაკუთ-
რებით ეპითეტებითა და შედარებებით, მეტად მდიდარი და მოზღნეილია; ვი-
ნაა ეს „ასული“, რ ვიციოთ; შეიძლება მხოლდ ვთქვათ, რომ ხოტბა დაწერი-
ლია 1681 წელს, „თეიმურაზისა და რუსთველის შედარებასთან“ ერთად, ვინა-
იდან დასახელებული „შედარება“ პირდაპირ ამბობს: ცხრა ლექსი ანბანთქები-
სა ოსეთს არის ნათქვამი“-ო,¹ სადაც დაიწერა პირველი ნაწილი მისი.

6. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმო-
ები, რომელსაც ეწოდება სამიჯნურო ლექსები, აქა იქ ნათქვამი,² ეს არის
მაჯამა, დაწერილი, როგორც ვტყობილობთ, შინაარსიდან და პოეტის გან-
ცხადებიდან, თეიმურაზის მაჯამას მიბაძვით; თეიმურაზი ამბობს: „გათავდა
წიგნი მაჯამა, ლექსი აქა იქ თქმულები“, ამასვე იმეორებს არჩილიც სათაურში:
„სამიჯნურო ლექსები, აქა იქ ნათქვამი“. თხზულება იწყება ასე:

სამიჯნურო ლექსებიც რამ აგერ ქვემო ჩამიგდია,
ზოგთ მიჯნურთა საქმე კარგი მომწონს, ზოგი ავიგდია,
ცოტა რამ ვთქვა, სულ უთქმელი, ვითაჲ არც ეს დამიგდია,
ჰე. მიჯნურნო, სამიჯნურნო, ყური ამას მოღვდია.

სამიჯნუროსა ლექსებსა კარგად მოგვითხრობს მაჯამა,
ენახე მიჯნური ფარული, შემატუობინა მაჯამა,
მეც ამიყოლა ტირილმან, ეგზომმა მათმა გარჯამა,
შეწყალება და გვერდს ხლება ვერ პოვა ჩემი აჯამა.

მკითხველ-მთარგმნელნო, მაჯამ წილ მეც ესე მომირთმევია.
ჩემი და ჩემ მაგიერად, არ ვისთვის წამირთმევია,
მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევია,
ვიცი, შეიტყობთ უცდურად, თუ სიტყვა ამირევია.

მერე აღწერილია ნამდვილი მიჯნურობა, სულიერი განცდა და ფსიქოლოგიური
ანალიზი მიჯნურისა, დაბატულია თვალწარმტაცი ფერადებით ლამაზი არსება;
საგანი მიჯნურობისა და ტრფიალებისა და თავდება შემდეგი სიტყვებით:

ისმინეთ ჩემი ლექსები, ტკბილ ადრე ნუ დამბაქეთა,
ბრძენთ მომიწონეთ ნათქვამი, უგბილთა განმიქიქეთა,
ჩემ წინ წარსულთა შენდობა იქით თქვით, ჩემი აქეთა,
ეს არ ვარგიყოს მანდ სამე, აბა რუსთველი აქეთა.

სასაქმო და სასამართლო სადლა მაქვს, თორ ვინ მიწყინა.
ველარ გზურთობ, ვერ გნადირობ, ველარ ელხინობ, ვით უწყინა.

¹) Е. Такайшыяли, Описание II, стр. 144.

²) წერ. კთხ. №126, გვ. 285—292; საისტორიო-საეთნოგრ. № 2116, ფ. 155—159.

ამის მეტი სხვა ხელობა ჯერხან ყველა განიყინა,
ამად მიეყაე შაირს ხელი, ასტარხანმან ზომჷყინა.

ჩანს, თხზულება დაწერილია აშთარხანს, სადაც არჩილი „მოწყენილი“ იყო დი-
დი ხნის უსაქმოდ ყოფნით, ესე იგი 1681—1684 წლებში. თავისი მოხდენილო-
ბითა და პოეტური მშენებით ეს ნაწარმოები, მსგავსად თეიმურაზის მაგაბი-
სა, პირდაპირ შედევრად უნდა ჩაითვალოს ქართულს პოეზიაში; ტყვილად კი
არ იხსენიებს ამაში არჩილი რუსთველს, მას სრული უფლება აქვს ამ ლექსით
გვერდში ამოუდგეს ეფთხის ტყაოსნის ავტორს. თხზულება შესდგება სულ
46 ტაეპისაგან, რომლებიც ერთიმეორეზე უკეთესია პოეტური თვალსაზრისით.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ყველა ლირიკული ხასიათის ნაწარმოებნი არჩილი-
სა, მაგრამ ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ლირიკული ელემენტი არჩილს
შეუტანია თეიმურაზიანშიაც რომლის მიძობილვისას ჩვენ ვაჩვენეთ, რომ
„მეფის თეიმურაზისაგან დედოფალსა ზედა მწუხარება და მგლოვარება დიდი“
ნამდვილი შედევრია ქართული ლირიკისა. მთავარი ტონი არჩილის ლირიკისა
პესიმისტურია; ეს ტონი თანდათანობით ძლიერდება მის თხზულებებში, აღრინ-
დელს ნაწარმოებებში ის ისე მკაცრი არაა, როგორც შემდეგიდროისაში: ეს
აიხსნება მით, რომ, რაც დრო გადიოდა, მას უფროდაუფრო უკრუდებოდა იმე-
დები და ეკეთებოდა სასოება. არჩილის პესიმიზმი ორგვარია: თეორიული და
პრაქტიკული. თეორიული პესიმიზმის წყარო არის მისი რელიგიური სოჷლებე-
ველობა, რომლითაც, როგორც ვიცით, ყოველი სოჷელი ბოროტსა ზედა სდვას“
(I იოან. V, 19); მართლაცდა, ეს ბუნებრივი იყო ადამიანისათვის, რომელიც
ამბობდა:

ბრძენთ ლათინთგან გავიგონე, ესე მათგან ბრძნულად თქმული:
კაცი მიწა, აწ სხეული კეამლი არის აღგზებული,
ბოლო ყოვლთა ნაცარია, ქარის პირსა დადებული,
მართლა უთქვამს წმიდა დავითს: ცრუ ვართ ყოველი აგებული.¹

ამა სოფლისა მუხთლობა, ცრუობა, წუთიერობა და დაუნდობლობა, რო-
მელსაც არჩილი უჩივის თითქმის ყველა თავის ნაწარმოებში, განსაკუთრებით
მძლავრად აღუნიშნავს პოეტს „კაცისა და სოფლის გაბაასების“ ბოლოს, სადაც
ჩვენ ვკითხულობთ:

ვინა იჩემებ, სოჷელო უმუხთლო, უხანობასა,
იჩქითი რამ ხარ, ანაზდი, კარგს ავისზედ დასწრობასა,
ვირე გაუძლო შენს ეგზომს მუდამ ლახუართა სობასა,
ყოველთა გვათქმევ ამასა: ვაი ჩენს შენს შესწრობასა.

მიჩენენ გუშინდელისა ყვავილის შეენიერება,
სად არს სიტურჷე, სინაზე და მისი ნებიერება,

¹) საისტ.-საეთნოგრ. № 2116, ფ. 105.

ფერი ყირმიზი ყაყაჩო, თეთრბროლი შეიწვრება,
 ეგზომ სიკეთე არ ცულ ჰყავ, რომე ძლივ დაიწვრება.

სადა არს ლაწვთ თეთრ ყირმიზად შერთვა სიწმინდე ვეცხლისა,
 სადა ვარდობა ბაგისა, თვალთ წყალი მის სიმკვიცხლისა,
 წარბს მშვენიერსა წამწმითა ძალუც დაბერვა ცეცხლისა,
 ცხვირსა მათთა შუა მდგომელსა ძალი აქვს მკედრის სიციოცხლისა.

სადა არს თხემის დალალა, ბეკსა საშუალთა კოწოლნი,
 ყელი მთიებთა უნათლე, ბედაურთ მკლავთა წამწოლნი,
 იგი უებრო მიჯნურნი ერთმანეთთანა არ მწოლნი,
 ერთბაშად დაანთქ ყოველნი და უფრო შენნი ამყოლნი.

რა უყავ ნეფე სვიანი, ვისაც ქვეყანა დაბარდა,
 პალატი საესე ლხინითა, ან ის სიცილი ხარხარდა,
 კვლავ ნადირობა, შექცევა, იძახდენ არის ხარხარდა,
 აწ ოხრად სკვრეტენ ყოველთა, ასე სიმუხთლეს მზა ხარდა.

მხერენ მოწყალის მეფისას პორფირს, ტახტს ცარიელადა,
 ქვემდებარესა გვირგვინსა, სკიპტრას, პყრობილსა ხელადა,
 ხმალს ოქრორჩუნვილს, რომელი მტრის სისხლით იყუ სველადა,
 მის წილ სხვა დასვი უშეერი, ვინ თავი ისახელადა.¹

პრაქტიკული პესიმიზმის წყარო მრავალგვარია; ამ მხრივ მნიშვნელობა ჰქონდა: სამშობლო ქვეყნის არეუ-ღარევისა და მესვეურთა უთაურობას, რასაც ის დასტირის უმთავრესად „თეიმურაზის ცხოვრებასა“ და „მეფეთა ქებასა და სამხილებელში“; მისი პირადი ცხოვრების სიმწარეს, რამაც თავი იჩინა ერთი ქვეყნიდან მეორეში დაუსრულებელს ხეტიალსა და მწირობაში, ტახტის დაკარგვაში, სამშობლოსა და მახლობელთა მოშორებაში, სხვის კარზე ყოფნასა და სხვისი პურის ჭამაში; ამას თან ერთვოდა შეგნება თავისი უღირსებისა სარწმუნოებრივი თვალსაზრისით და მოხუცებულობასთან ერთად „მეგარის“ ან მესაფ-ლაეეს მოახლოვება. ამისი დამსურათხატებელი ადგილები ჩვენ ზემოთაუ მოვიყვანეთ, როდესაც არჩილის ნაწერებს ვეხებოდით, და ბელმეორედ აღარ გავიგეორებთ მათ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ არჩილის პესიმიზმს რომანტიული ნიადაგი არ აქვს ისე, როგორც საზოგადოდ მის შემოქმედებაში რომანტიულ ელემენტს მეტად მცირე ადგილი აქვს, ან, უკეთ რომ ვთქვათ, სულ არ აქვს.

არჩილის პესიმიზმი, რომელიც გამოწვეულია ამ სოფლითა და ქვეყნიური ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობის გამო საბოლოო არაა, ის თავდება იქ, სადაც თავდება ეს ქვეყანა და იწყება „ახალი ცა და ახალი ქვეყანა“; საბოლოო ნუგეშს პოეტი ჰპოულობს რელიგიასა და ლეთაებაში. მწვავე მომენტში, როდესაც სულით ობლობას განიცდის, ის კრძალულებით ამბობს: „მხოლოდ მივის

¹) საისტ-სავთნოგრ. № 2116, ფ. 131-132; წერ.-კითხ. № 1729, გვ. 203-204.

შეგობარი, ვინა შექმნა ცათ სამყარო“.¹ გამოუეღლს, კრიტიკულს, აუტანელს მდგომარეობაში ის სასოებით შენიშნავს: „მაგრამ უფალი პატრონი გვივის მოწყალედ შემწყვთა“.²

რაც შეეხება არჩილის ლექსს, ფორმის მხრივ, წინადროის მწერლებთან შედარებით, ის საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. მთავარი ლექსთ-წყობა მისი არის 16 მარტელოვანი შაირი; მეორე ადგილი უკავია ჩახრუხაულს, რომელშიაც ის არანაკლები ვირტუოზია, ვიდრე თვით მამამთავარი ამ ლექსთ-წყობისა. საუკეთესო ნიმუშს ამ საზომისას წარმოადგენს „მეფეთა ქება და მხილებანი“, სადაც ავტორს მოუცია „თამარ წყნარი, შესაწყნარი“-ს საუკეთესო პარალელი, რომელიც ზემოთ ამოეწერეთ. რითმის სიმდიდრით, პოეტური ფიგურებით, შედარებით, და დახვეწილობით არჩილის ლექსი თამამად შეიძლება დაუყენოთ გვერდით, ყოველ შემთხვევაში, თეიმურაზ პირველის ლექსს. აქვე არჩილს აგრეთვე საეკლესიო იამბიკოებიც, მათი დამახასიათებელი თვისებებით.

შეუდარებელია ის აგრეთვე აკროსტიხებში ან, როგორც თვითონ უწოდებს, ანბანთქებაში. ამ მხრივ მას აქვს იაეთი ნაწარმოებნი, რომლებშიაც პირველი ტაეპის ოთხივე სტრიქონი იწყება ა-ნით, მეორე ბ-ნით, მესამე გ-ნით და ასე ბოლომდე;³ არის ისეთი, რომელშიაც თვითეული სტრიქონი, პირველიდან უკანასკნელამდე, იწყება საკუთარი ასოთი ა-დან ჯ-მდე.⁴ მოეპოვება არჩილს ისეთი ტაეპები, რომელშიაც პირველი სიტყვა იწყება ა-ნით, მეორე ბ-ნით, მესამე გ-ნით, და ასე ბოლომდე. ასე რომ ერთს ტაეპში ამოწურულია მთელი ანბანი;⁵ ანა და—პირველს ტაეპში ყველა სიტყვა იწყება ა-ნით, მეორეში ბ-ნით, მესამეში გ-ნით და ასე, ამ ანბანთქებას პოეტი უწოდებს „ახალშემოღებულს“. „მრავალფეროვანია აკროსტიხებიც არჩილის ნაწერებში; არის ჩვეულებრივი ტიპის აკროსტიხი—პირველი ასო სტრიქონებისა მარცხნივ,⁶ არის ისეთებიც, სადაც მხედველობაში იღება სტრიქონების არა მარცხნივ, არამედ მარჯვნივ, სტრიქონთა უკანასკნელი, ასოებიც. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ გზით შემდგარი ჩახრუხაული ლექსი, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ. დასასრულ, უნდა აღინიშნოს ერთი თავისებური ლექსი არჩილისა, რომელსაც ის უწოდებს „ეტლებერ მბრუნავ ლექსს“ და რომლის შესახებ ის ამბობს:

არ გიკვირთ ჩემთა მნახველთა, ვით მოვიცალე ამდენად,
ეს ლექსი, ჩარხებერ მბრუნაეი, აწ მოვიგონე უსმენად,
ერთს სტრიქონს სიტყვა რამდენი აქვს, ლექსიც იქმნა იმდენად,
ნაძლევი ეარ, თუ ჩემს წინათ ეთქვას ვის, იყოთ მოსმენად.⁷

¹) საისტ.-საეთნოგრა. № 2116, ფ. 194.

²) საისტ.-საეთნოგრა. № 2116, ფ. 132, წერა-კითხ. № 1729, გვ. 204.

³) „ლექსნი ამოცანად სათარგმანებლნი“, „ანბანთაქებელნი და სავედრებელნი ღვთის-მშობლისანი“.

⁴) „ანბანთქება ცხრა თავი“.

⁵) E. Такашвили, Описание II, стр. 153.

⁶) Ibid. стр. 159: „არ აღუღლია აღკრძალუა ამოებისა ამისა“, წერა-კითხ. № 342, გვერ.

⁷) საისტ.-საეთნოგრაფ. № 2116, ფ. 201.

⁸) წერა-კითხ. № 1729, გვ. 151; E. Такашвили, Описание II, стр. 150.

ეს ეტლებზე ან ჩარხებზე მბრუნავი ლექსი¹ დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის მიერ.² თვით არჩილიც გრძნობდა, რომ მისი ლექსები ერთგვარ ლირებულებას არ იყო მოკლებული; ერთ-ერთს უკანასკნელი დროის ნაწარმოებში ის შენიშნავს:

ვეკვ მელექსენო ლექსობას ვერ პრძანებთ უვარგობასა,
მის მის ადგილთა სიტყუათა, მუნასიბთ მოძვირობასა,
თუ არ დამლოცოთ, ნუ დამწყუეთ. რიდეთცა ავიპრობასა,
ამიერითგან ეღუმენი ლექსთა თქმა, შაირობასა.³

მას შემდეგ, რაც ჩვენ გავიცანით ლიტერატურული მოღვაწეობა თეიმურაზისა და არჩილისა, ნათელი ხდება თეიმურაზის უძლიერესი გავლენა არჩილზე; ეს გავლენა ჩანს როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. თეიმურაზს ავლია თავისი შემოქმედების ერთ-ერთ მოტივად ეროვნული მოტივი და დაუწერია საისტორიო პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“; არჩილიც სწერს საისტორიო პოემას, „თეიმურაზისა და რუსთაელის შედარებას“. თეიმურაზი სთარგნის სპარსულს რომანტიულ პოემებს, არჩილიც ლექსავს სატრფიალო-სამიჯნურო პოემის ვისრამიანის ნაწილს. თეიმურაზი სწერს რელიგიური და საერო ხასიათის თხზულებებს, ასევე იქცევა არჩილ მეფეც. პოეზია თეიმურაზისა აღბეჭდილია რელიგიურ-მორალური და ასკეტიკურ-მისტიკური ელფერით; ეს ელფერი უფრო მეტად ახასიათებს არჩილის ნაწარმოებს. თეიმურაზის მსოფმხედველობა პესიმისტურია, რომელსაც ორი საფუძველი აქვს, თეორიული და პრაქტიკული, და რომელიც ბოლოსა და ბოლოს რელიგიაში ჰპოულობს გამოსავალს; ესევე უნდა ითქვას არჩილის შესახებაც. თეიმურაზი „საკაცო“ ან საერთო თხზულებათა წერას უსაქმიანობისა და ტყვილად გდების გამო ჰკიდებს ხელს, ის მას ეძახის „ცუდად ლაყობას“, უპირატესობას „საღვთო“ წიგნების წერასა და კითხვას ანიჭებს; ამასვე ეხებათ არჩილას ნაწერებშიაც. თეიმურაზი სწერს მაჯამას, მაჯამასვე სწერს არჩილიც; თეიმურაზი რუსთაელურ შაირთან ერთად ჩაბრუნაულსაც ხმარობს, ასევე იქცევა არჩილიც. თეიმურაზს შემოაქვს თავისებური აკროსტიხი ან ანბანთქება, ასევე იქცევა არჩილიც, რომელიც თეიმურაზისაგან სესხელობს ორს აკროსტიხულ სისტემას. თეიმურაზს შემოუღია საგანგებო ლიტერატურული ეანრი, დიალოგი, გაბაასება, რომელიც თითქმის უფრო მეტად გამოუყენებია არჩილს.

განსხვავება ამ ორ მწერალთა შორის მდგომარეობს უმთავრესად იმაში, რომ თეიმურაზი განიცდის ძლიერს სპარსულ ლიტერატურულ გავლენას და ეროვნული მოტივები მის ნაწერებში სუსტადაა წარმოდგენილი, არჩილი კი სპარსულ გავლენას უშუალოდ თითქმის სულ არ განიცდის, მის შემოქმედებაში უფრო ძლიერია ეროვნული მოტივი.

¹) წერა-კითხ. № 426, გვ. 277—280, საისტ-საეთნოგრ. № 2116, ფ. 119—152.

²) Описание II, стр. 150.

³) „თქმული ნახარალი ხანზე“, წერა-კითხ. № 1621, ფ. 31

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ არჩილს, სხვა მელექსეთა შემფასებელს,¹ ჯერ კიდევ თანამედროვეთა შორის გამოუჩნდნენ შემფასებელნი; ესენი არიან მისი თანამზღვებელნი გივი თუმანიშვილი და დაუთ თურქისტანი-შვილი, რომელთაც საჭიროდ დაინახეს 1701-1706 წლებში შეედგინათ მთელი კრებული მისი ნაწერებისა, და პეტრე მგალობელი, რომელიც ამბობს:

სიბრძნე უმსგავსე სოლომონს, მეფედ ვერ სჯობდა მანასე,
ენა რიტორობს უბრყვენლად, პლატონ ოდეს თქვა ან ასე,
უმჯობეს მთქმელსა ვერვის ესცნობ, ნუ თუ ვინ იტყვის ან ასე,
ვინათგან ღმერთმან შეამკო, ეერამ სულდგმულმან ან ასე.²

სამწუხაროდ, შემდგომმა თობამ იმდენად დაკარგა თანამედროვეთა ალლო და გაგება არჩილისა, რომ, ერთის მხრით, ჯერაც კი არ არის გამოცემული მისი ჟღერადი არჩილიანი, რომლის ამომწურველად სთელიან მხოლოდ „თეიმურაზისა და რუსთველის შედარებას“, ისიც უნიკოდ და შერყენილად გამოცემულს,³ ხოლო, მეორეს მხრით, შესაძლებელი გახდა ისეთი კრიტიკული შეხედულების გამოთქმა, ვითომც არჩილის ლექსებში არ არის ის „აღმაჟრენა“, ურომლისოდაც თხზულებაში ყველაფერია პოეზიის გარდა.⁴ დროა მასაც მიეწყოს თავისი!⁵

¹) იხ. მისი „მეველა და ახალთა ქართველთა მელექსეთათვის“, E. Такайшвили, Описание II, стр. 138-140.

²) საისტ.-საეთნოგრ. № 2116, ფ. 180; E. Такайшвили, Описание II, стр. 156.

³) პ. იოსელიანი 1855 წ. და ლ. მაჩიტაძის 1888 წ.

⁴) პ. უმიკაშვილი. დათიანი. გვ. X. 1881.

⁵) ხ. კიკინაძე და მასთან ერთად ა. ხახანაშვილი არჩილ მეფეს მიაწერენ კიდევ ხუთკაცოვან ლექსს „ბროლის სვეტი“ და პოემას „ნარგიზოვანი“ (ქართული მწერლობა მე-17 საუკუნეში, გვ. 22, 23; Очерки. III, 99), მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება. პირველი არჩილის ნაწერეთან ერთად არსად არ გვხვდება. ზოგერთ ნუსხებში ის შეერთებულია გარსეევან ჩოლოყაშვილის „ხილთა ქებასთან“ (წერ.-კითხ. № 118, 1087). რაც შეეხება მეორეს, ნარგიზოვანს, ვისი დაწერილია ის. არ ვიცი, ცხადია კი, რომ არჩილს ის არ ეკუთვნის. ნარგიზოვანი არის არა პოემა, არამედ კრებული 11 პატარა სატრფიალო-სამაჩუნურო ლექსისა. რომელთაგან 6 დაწერილია 16 მარცვლოვანი შაირით, დანარჩენი სხვადასხვა სახომით. 1 ლექსი ეწოდება: „ჰე საყვარელო, შენის გონებით“, 2—„მთარე ვნახე მავალი“, 3—„იცი, მემდურეი მხარასა“, 4—„ჩემის საყვარლის თვალებს“, 5—„შენ, საყვარელო, რა წახველ“, 6—„წითელი ვარდი გიყვავის“, 7—„სადა ხარ ისრებ მართალო“, 8—„ტრფიალო მხოო“ (თავითველი მუხლი თავდება ასე: „ქვიან მას სახელად ქართლი შენიეროა“, დაუბეჭდია ხ. კიკინაძეს. ქართული ლიტერატურა მე-17 საუკ. გვ. 22). 9—„პირა ზამზახი, პირად ახალი“, 10—„არა ვარ გლახა“, 11—„მიფიცავს შენი სახელი“ (წერ.-კითხვის ხელნ. № 1511, გვ. 611-621. № № 118, 1087 და სხვ.). ეს ნაწარმოები, რომელიც ერთად ჰარმონიული, ლამაზი და მგზნობიარე ლექსითაა დაწერილი. ნათქვამი უნდა იყოს არაუადრეს მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა, როდესც მამულჯა ბარათაშვილმა. 16 მარცვლოვანი ლექსის ბატონობის წერყვის შემდეგ, დააკანონა, ხოლო დავით გურამიშვილმა და სხვებმა განაზორციელეს კიდევ და იწყეს წერა სხვადასხვა სახომით: 7, 8, 10, 15. როგორც აქ, და მარცვალთა სხვა რაოდენობით; არჩილის დროს მ სახომით ჯერ კიდევ არ სწერდნ. თან მის დროს არ იწერებოდა ისეთი შ.ნაარსისა და მოტივის ლექსები. როგორცაა ნარგიზოვანი; ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ჩვენ არ ვიცი, არც ერთი ხელნაწერი ამ ნაწარმოებისა, რომელიც არამც თუ მე-17 და 18 საუკუნეს, მე-19 საუკუნის ფარგლებიდან გამოდიოდა.

3. ვახტანგ მეექვსე.

✓ ვახტანგ ლევანის ძე დაიბადა 1675 წელს და იზრდებოდა ისეთს პირობებში, რომ საკვირველია, როგორ შოულობდა ის დროს სწავლა განათლებისათვის საზღუნავად. 1703 წელს, როდესაც ვახტანგი ქართლის გამგე შეიქმნა, ის ჩვენ გვევლინება როგორც კეუიანი, ენერგიული, განათლებით აღჭურვილი და ახლავანი ადამიანი. მის განათლებას ორმაგი ხასიათი ჰქონდა: სასულიერო და საერო: ზედმიწევნით იცოდა ეკლესიური ლიტერატურა და აგონთვე საერო მწერლობა, ქართული და სპარსული. ამავე დროს ის იყო ნამდვილი მეცნიერი და მოტრფიალე მეცნიერებისა; თავისი ლიტერატურულ-მეცნიერული მიდრეკილება და ალლო შემეციდრებით გადასცა მან თავის შვილებს: ბაქარს, ეახუშტის და ჰაატას.¹ ცხრა წლის პერიოდი, როდესაც ვახტანგი ქართლს განაგებდა (1703—1712), იყო უნაყოფიერესი ხანა მისი კულტურულ-ლიტერატურული და სამეცნიერო მოღვაწეობისა, რომელიც მემბტიანეებს მეტად მკრთალად აქვთ აწერილი.² ამ პერიოდში მან გამოუშვა, ნასწავლ კაცთა დახმარებით, ახალი რედაქცია „ქართლის ცხოვრებისა“,³ გასწია განსაკვიფრებელი საკოდოფიკაციო შრომა, რომლის შედეგი იყო ეგრეთწოდებული „ვახტანგის კანონები“ და „დასტულამა“, და დააარსა ტფილისში 1709 წელს სტამბა, რომელმაც ასე გაამდიდრა ჩვენი წიგნის ბაზარი. ამ სტამბიდან გამოვიდა, სხვათა შორის, პირველი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა (1712 წ.). ვახტანგის კომენტარიებით, რომელნიც შეადგენენ პირველს ცდას ამ ნაწარმოების მეცნიერულად გათვალისწინებისას და რომლებშიაც ავტორმა მოგვცა მორალურ-დიდაქტური ინტერპრეტაცია პოემის სიუჟეტისა და შინაარსისა. ამ დროს უთარგმნია ვახტანგს სპარსულიდან ბარამგულანდანიანი, ბახტიარ-ნამე, აშირ-ნასარიანი და დაუწყია თარგმნა ქილილა და დამანასი. 1712 წლის 23 აპრილს შესწყდა ვახტანგის თავგამოდებული მუშაობა ქართლში; ის იძულებული შეიქმნა წასულიყო ყენთან სპარსეთს, სადაც 1714 წლის 10 მარტამდე ისპაანს ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ, 1716 წლის 1 თიბათემდე, ქირმანს; აქ მოწყენილობისა და უსაქმობის გამო, როგორც თვითონ ამბობს, მწერლობისათვის მოუკიდია ხელი და დაუმთავრებია ქილილა და დამანას თარგმნა, რომელიც ქართლში გამოუგზავნია შესასწორებლად საბა-სულხან ორბელიანისათვის. 1716 წლის 1 თიბათეიდან 1719 წლამდე ვახტანგი კიდევ სპარსეთში იმყოფებოდა, როგორც ერანის სპასალარი, რომელ-

¹) ვახუშტი და ჰაატა იყენენ უკანონო შეილები ვახუანგისა; მათ გარდა მას კიდევ ჰყოლია მესამე უკანონო შეილი, როსტომი, როგორც ესა ჩანს თირის მონასტრის ცსინვალს ზემოთ, ჭურთას თავში) საფლავის წარწერიდან, რომელიც ჩვენ 1921 წლის ზაფხულს თვითონ ამოვიკითხო: „ქ. ყოვლად: ქებულის: მეფის: არჩილისა: და: დიდად: სახელოვანის: ჰართლის: მეფის: გიორგის: ძმის: ყოვლად: შემეულის: ბატონის: ლევანის: ძე: საქართველოს: გამგებელი: ბატონიშვილი: ვახტანგ: ვიყავ: სამკიდროსა: მამულსა: სოფელსა: ამას: რაოდენთამე: წელთა: და: მიიკვალა: ძე: ჩემი: პირმშო: ბატონიშვილი: როსტომ: და: დაეუალ: ეკლესიასა: იმას: შინა: სამკიდროსა: მამულსა: ჩემსა: ქრისტეს: აქეთ: ჩქათ.“

²) ვახუშტისა და სენზია ჩხვიძეს (ქართლის ცხოვრება II, 71, 223).

საე. შაჰმა უბოძა ამასთანავე თავრიზი და ბარდა. ამ დროს უნდა ეთარგმნოს მას „მირზა თავრიზელის წიგნების კითხვითა და თანაშეწევნით“ სპარსული ანოთი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი, ზიჯი თალა მასალა და სხვა ოქმების წიგნი (ასტრონომიული შრომა), რომელიც დაიბეჭდა ტფილისში 1721 წელს. ამავე დროს „გამოულია“ მას სტროლაბიცი ქართულად¹. 1719 წლის 7 აგვისტოს ვახტანგი ქართლს დაბრუნდა და ჩვეულებრივს მუშაობას შეუდგა; სამწუხაროდ ამ დროს მან დაიწყო რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დაკერა, რამაც გაამწვავა მისი დამოკიდებულება სპარსეთთან და ოსმალეთთან, ასე რომ 1724 წლის ზაფხულზე ის იძულებული შეიქნა ქართლი მიეტოვებია და ცოლით, შვილებით და მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთს გადასახლებულიყო იმ იმედით, რომ რომ რუსების დახმარებით თავს დაახსნევდა საბოლოოდ ოსმალთა და სპარსთა ბატონობას. როგორც ვიცით, რუსეთში ის ხან მოსკოვს ცხოვრობდა, ხან პეტერბურსს, ბოლოს, იმედგაცრუებული, გადმოვიდა აშთარხანს, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1737 წლის 26 მარტს.² ლიტერატურულ მუშაობას ვახტანგი რუსეთშიაც განაგრძობდა: მაგალითად, მოსკოვს გაუღეკია მას „ამირ-ნასარიანი“ და „მოკლედ სიტყვისგება სოგრატიანი“; რუსეთშივე დაუწყო რია მას მომეტებული ნაწილი ლირიკულ თხზულებათა, რომელთა ნიმოხილვას შეუდგებით ეხლა.

ვახტანგის ლირიკა გამომხატველია მისი უკულმართი ბედისა, რომელიც მას ხან სპარსეთში გადაადგებდა, ხან ოსმალეთში, ხან იმერეთში და ხან რუსეთში. საჩივარი ბედის უკულმართობაზე და წუთის სოფლის ვერაგობაზე, სევდა, გამოწვეული საყვარელი, კეკლუცი სამშობლოს მოშორებით, სასოება ღვთისადმი, რომელშიაც ის ჰპოვლობს ნუგეშს სულიერი კრიზის დროს, აი მთავარი მოტივი მისი ლირიკისა; ამ მხრივ ვახტანგი დაკავშირებულია თეიმურაზისა და არჩილის ლირიკასთან.

ვახტანგის ლირიკულ შრომათაგან უნდა აღვნიშნოთ:

1. „მეფე ვახტანგ, სამეფოსაგან კიდევმნილი საღბუნად გულისა წყლულე-ბათათის მკურნალ თავისა თვისისათვის იქმნების და სწერს ესრეთ ესპანს“.³ პოეტი, შენიშნაეს რა, რომ მან მიატოვა ყველაფერი, რაც მისთვის ძვირფასი იყო, გვისურათებს სულის ობლობას, რომელსაც განიცდის ის. მერე აგვიწერს „კეკლუცთა ხელმწიფის“ მშვენიერებას, მის თვალწარმტაც სილამაზეს და იმ გრძნობებს, რომელთაც იწვევს მოტრფიალეთა გულში მისი კერეტი; ეს „კეკლუცი“ არის მისი სამშობლო, ქართლი, თუმცა პირდაპირ ის ამას არ ამბობს. მერე კონკრეტულად ახასიათებს ქართლის სხვადასხვა კუთხეებს, მათ თვისებებს, და მოიგონებს თუ როგორ ატარებდა ის დროს ამ კუთხეებში. დასახლებულია: ტფილისი და მისი აბანოები, დიდგორი, ლილოს ტბა, კოგორი, თრიალეთი, ქცია, შამბიანი, შაენაბადი, ტბისყური, ღრმახევი, სომხითი, ხუნანი, ყარაია, ლოჭინი, ნაყოჩულევი, აღრინტალი. განაკუთრებით პოეტი ხაზს უსვამს ნადი-

¹) А. Чагарели, Свѣтлості I, стр. XL—XLI, примѣч.

²) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 361—362.

³) წერა-კითხ. ხელნ. № 171, 22. 1—11, № 1500.

რობით შექცევას ამ ადგილებში, რაც, სხვათა შორის, შემატყინებლაც აქვთ აღნიშნული. ¹ ჩანოთვლილია მერე წმიდა უდაბნონი: დავით გარეჯა, ბერთუბანი, ჩიჩხიტური და ნათლისმცემელი, სადაც აეტორი მოვიდოდა ხოლმე ნადირობისა და შეექცევის შენდებ სალოცავად. ყველა ამის მომგონე, ის ამბობს:

საწუთროა მიუნდობი, მოყვისათვის დასაკრული,
ჩაღხისებრივ დაუდგომად თავსა ბოლოდ მოარული,
გქონებოდეს ესე ყოფა, გაგეხალოს დაკარგული,
გაუძლია უქონელად განა სალი კლდეებრ გული?

პირველად მოღბინებული შამბიანისა არებსა,
სასოშითოსა, დიდგორსა, ყარაის გასახარებსა,
სამეებსა შესაქცეველსა, სამედმოდ დაუხარებსა,
აწლავა დამსეა მარტოკა ქუჩუქოვისა სარებსა.

ამის შემდეგ პოეტი გა მოვეცემს, თუ როგორ მოიძულეს ის თავისიანებმაც კი, რა მახეს უგებდენ მას და როგორ ჩააგდეს ის ასეთს. მწვავე მდგომარეობაში, როგელსაც ის განიცდის. საჭირველი ისაა, განაგრძობს პოეტი, რომ მე თვითონ მკიცხავენ იმისათვის, რომ სამშობლოში არა ვარ:

მეფეს არჩილსა სძრახავდენ, სხვათაკენ მიმომვლელია,
განათლებულსა სახლკარსა შეექნა დამანელია,
ნასვე მძრახავენ, არ ვიცი, სხვანილა რა საქნელია,
ლომი. ვეფხურად კისკასი, ქკუთთა განა მთელია?

რეგმობ საწუთროსა მუხთალსა, უცხოსა გასაკვირასა, წამოიძახებს პოეტი, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს: „მოველი ღვთისაგან ბოლომდი მეტალა გასახარებსა“-ო, შენიშნავს რ. თხზულება დაწერილია, როგორც სათაურშიც აღნიშნულია, ისპაანს:

შემომავწივის მხლებელთა უსაქმობისა მაქნელი,
ლექსობით აღარ შეიქნა ჯაერისა განამყოლელი.

წერ.-კითხ. ხელნაწერით № 4500 ეს თხზულება დაწერილია ქირმანს (გვ. 245), მაგრამ ეს მართალი არაა, რაც შემდეგიდანა ჩანს: პოეტი, როგორც ზემოთაც ამოვწერეთ, ამბობს, რომ, როდესაც ის სწერს ამ შრომას, ზის ან ცხოვრობს ვიღაც ქუჩუქოვის სახლში, ამ სახლში კი ის სწორედ ისპაანს ცხოვრობდა; ამის შესახებ ქილილა და დამანაში ვკითხულობთ:

მეუყვიან ხოლმე, რასთვის გაქვს კირი, კმუნვა და წყინება?
ქუჩუქას სახლსა ვსწუნობდი, როგორ ნუ მომეწყინება?
ახლა ქირმანსაც დამკარგეს, დამვიწყდა ანას წინება,
არ ვეპვობ, შეჩქეს ღვთისაგან, ვინც ჩემთვის ესე ინება.²

¹ ქართლის ცხოვრება II, 75, 324.

² ქილილა და დამანა, ი. ჭყონიას გამოცემა, გვ. 11.

ან ნაწარმოებს ჯერ კიდევ ვახტანგის სიცოცხლეში და მისივე ხელით სამი რედაქცია განუტლია. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ პირველს სამს ტაეპს საპივე რედაქციით.

პირველი რედაქცია მოთაესებულია წერ.-კითხ. ხელნაწერში № 4500, რომელიც გადაწერილია 1733 წელს:¹

მრწამს მისის სარჯლით აშემული ჯოჯოხეთს პირი იცოდა,
მას ვევედრები, რომელმან არარა ცოლდა იცოდა,
მას შემწედ ეხადი მის წინა, ვინ სულის წმინდით იცოდა.
შემინდოს ყოვლი რეგენობით რაც ჩემგან რამე იცოდა.

გამსაჯა მიწყიე სოფელმან, უფრო ყველასგან აჯამა,
არ შემიწყალა არათი, არ გამომართეა აჯამა,
ამეესებინა ცრემლითა კალთა, თიალა აჯამა,
მწვე ზომიწყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა.

დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი, ტომნი, მონა, ძები,
დაეკარგულეარ უცხო თემსა, ვარ არვისგან მონაძები,
ვინ დამბადე, შემიწყალე, ყველასგან მონაძები,
შემომძარცვე რაც მაცეია, კირი, კმუნება, საძაძები.

ორი რედაქცია გვაქვს წერ.-კითხ. ხელნაწერში № 171; აქ ჯერ მოყვანილი ყოფილა ერთი რედაქცია, რომელიც მერე თვით ვახტანგს, საკუთარი ხელით: შეუსწორებია. შეუსწორებელი რედაქცია ასე იკითხება:

სარჯელისაგან სარჯელი დაუგდებელი იცოდა,
უძვირესადრე გაეალე, ნასაქმარებმა იცოდა,
გამომიტაცოს ვედრიეარ, ვინ სულისაგან იცოდა,
მისგანეე მიხსნას, რომელი დაუთარაეად იცოდა.

მამუბედურა სოფელმან, ნამეტნაეობით აჯამა,
შეუწყალობით მოილო გამოურთმევი აჯამა,
ამეესებინა ცრემლითა საბალქოშენი აჯამა,
უბრალოდ შემომიწყინა ზეგარდმო სულმა ჯაჯამა.

დაეაგდე სამკვირებელი, მოყეასი, მონა, ძები,
სხვას თეად გადმოვიკარგე, არვისგან მონაძებია,
გამომიყვანე წყალობით გაეარდნილ მონაძებია,
მომხადე შესამოსელი საგლოვი, საძაძებია.

ეს ტაეპები მერე ვახტანგს შემდეგნაირად შეუსწორებია:

აშემული პირი სარჯლისა სარჯელისაგან იცოდა,
უძვირესადრე გაეალე, ნასაქმარებმა იცოდა.

¹) E. Такайшвили, Описание II, стр. 397.

გამომიტაცოს წყალობით, ვინ სულისაგან იცოდა,
მისგანვე მიხსნას, რომელი დაუფარავად იცოდა.

ბედი მიმდარა სოფელმან და ნამეტებით აჯამან,
შეუწყალობით მოილო გამოურთმევი აჯამან,
ამავსებინა ცრემლითა საბალქოშენი აჯამან,
ქვედამამდაბლა უბრალოდ მოსაველისა ჯაჯამან.

დავაგდე სამკვიდრებელი, მოყვასი, მონა, ძებია,
სხვას თემად გადმოვიკარგე არვისგან მონაძებია,
აწ დავრჩომილვარ ღარიბად გაეარდნილ, მონაძებია,
ეგების შემომეძარცოს საგლოვი, საძაძებია.

თხზულებაში მოხდენილი პოეტური ტაეპებიც გვხვდება, მაგალითად:

ქამანდებსა შეუკრავარ, ტბასა მელნის დასანთქმელად,
შავი მშვილდი მოზიდული გამომესრვის დაუდგმელად,
ალმასი და იაგუნდი, მარგალიტი სისხლთა მსმელად,
ბროლი სვეტი მიმოზიდავს საქიროსა შესასმელად.

ღაწვი მწლაზარი, თმა გრუზი, თვალეზი დანაშავია,
შეიდთავე გამოწნათობთა შეუძლებარი დავია,
მოსუფთო, დაწყნარებული, კეკლუცთა მოსართავია,
უკვდავებისა ბაგები შაქრითა შენაზავია.

2. „ტრუიალისაგან სატრფოსათვის შაირობა“. 1 ამ თხზულების თავში ნათქვამია: „მკითხველთა უხმს გულის ხმიერება, თუ ვისდამე ტრფიალებს მეფე, სახმარ არს ყური სმენად და გული გამოკვლევედ.“ ამის შემდეგ იწყება:

თქმულა ლექსი გვარიანი სასწავლოთი გამახარად,
ვასასინჯი ორსამობით სიბრძნეზედა მოუხარად,
რუსთველს სამად გაუყვია საამზოდ და მოსახმარად,
ჩადებული დამოკლებით, მოსალხენი სამწუხარად.

ავტორი ავციწერს სატრფოს მშეენებას, გამოსთქვამს მასთან მიახლებისა და ყოფნის სურვილს, მაგრამ ამასთანავე აღნიშნავს იმასაც, თუ რა კრძალულებითა და გრძობებით უნდა უახლოვდებოდეს მას. ამის შემდეგ ავტორი შენიშნავს:

გამიკულდა ცოდვისაგან საფიქრალი მოსაგონი,
ერთობითა მტერსა დარჩა საჩემონი მოსაგონი.

გარდამავდო საწუთრომან ასი, ვითა წამონარცხი,
დიდებანი პირველივე აღარა მაქვს წამონარცხი.

1) წერა-კითხ. ხელნ. № 171, გვ. 16 - 33, № 45ა, გვ. 267 - 289 (აკლია)

წინაშეა ვარ მკოდველი, ცოდვისა ძალის მძლეველი,
ეა, თუ დაეიწეა, შევიქნა შენგანცა დასაწყეველი.

მიბრძანებდა: ზონა მსლველი ნულარასა დაიზარობ,
რაცა გამცნო, მოქმედებდე, გონებასა ნუ სადარობ,
საწვრთნელები შეისმინე, უმეცრებით ნუ იმწარობ,
მიიხვედრებ საწადელსა, სამწუხაროს დაიწყნარობ.

თუ დაიმარხავ ჩემისა სწავლისა სიტყვა-თქმულებსა,
საყურისებრივ გაიყრი, შემოიმაგრებ გულებსა,
დღევებსა შემოგიმატებს, ზეალგიორინებს სულებსა,
სოფელსა შემოიძინებ, გადაურჩები წყლულებსა.

აქედან ცხადია, თუ ვინაა ის სატრფო, ვისაც ეტრფის პოეტი: ეს არის
ღმერთი, რომლის წინაშე, ცოდვებით დამძიმებული, ის კანკალობს და რომე-
ლიც წინადადებას აძლევს მას—დაიმარხოს მისი სწავლა და მცნებანი. მერე,
მართლაც, კონკრეტულადაა ჩამოთვლილი და გალექსილი ეს სწავლანი და
წამებანი: ათი მცნება, შვიდი საიდუმლო. ცხრა ნეტარება, სულისა და ხორცის
მოვალეობანი, პაექრობის სახით. ყველა ამის შემდეგ პოეტი მიმართაეს ხოტბი-
თა და შესხმით სამებას, ლეთისმშობელს, ჯვარს და მოციქულებს: პეტრეს, პავ-
ლეს, ანდრიას, იოანეს, ფილიპეს, ბართლომეს, თომას, იაკობ ალფესქეს, ლე-
ბეოსს, სვიმონ კანანელს, მეორე სვიმონს, უფლის ძმას. მერე აეჯორი ლაპა-
რაკობს იმის შესახებ, რომ აღდამიანი მუდამ მზად უნდა იყოს სატრფოს სია-
მოვნებისათვის, კელავ უბრუნდება თავის სავალალო ბედს, მაგრამ იძებს არ
იწურაეს: მოიგონებს რა ძმების მიერ ეგვიპტეში გაყიდული იოსების ამბებს,
შენიშნაეს: „რად შევიწუხებ, არ არის განგების მოცალეობანი.“

თავისი სატრფო, ღმერთი, პოეტს წარმოდგენილი ჰყავს ქვეყნიური სატრ-
ფოს სახით და ისეთივე შტრიხებით გეისურათებს მას, როგორც ნამდვილს:

ტურფოა, კეკლუცობითა, მოსანდომელი არევდა,
შენამხედველსა მიჯნუსა საკვირველობით არევდა,
ნარნარი მიხედ-მოხედეა სატრფოალოთა არევდა,
კიპაროზისა საგვანსა მიდამოებით არევდა.

ლაწვი ვარდად, პირი შროშნად, ტუჩებია გასალალად,
თვალ მელანი, წარბი სათი. თმა სუმბული, კბილი სრაალად.
ყელი ვერცხლი, ძუძუები ბროლისაგან განათალად,
ტანი ალვად, ხელმკლავები შოლტებია დასაკრალად.

მეცხეარებთან დავდგები. ვიელი სამთოსა ბარებსა,
ნარგისსა თვალად უყურებ, თმისათვის იისარებსა,

ტანადობისათვის საროსა, ლაწეს ვარდთა მახიარებსა,
ჭირსა მოგრჩები, უმზერი ჰირსა, ხამბახთა დარებსა ¹

ავევარი სატრფოს სახით წარმოდგენა ლეთაებისა და სამიჯნურო ეპითე-
ტებითა და სურათებით შემკობა ის ლიტერატურული ეანრია, რომელიც ჩვენს
პოეტს ვადმოღებული აქვს ქება-ქებათა წიგნიდან.

ეს შაირობა ნათქვამია, როგორც სათაურშია აღნიშნული, „დიდსა
ქალაქსა მოსკოვს,“ და ისიც სამი რედაქციით შენახულა, სამივე რედაქცია,
ვახტანგს ეუთვნის. პირველი რედაქცია, რომელიც იკითხება წერ.-კითხ. ხელ-
ნაწერში № 4500, თვალსაჩინოდ განსხვავდება ორი დანარჩენისაგან, ნიმუშისა-
თვის მოვიყვანთ ერთს ტაეპს:

კაცსა მართებს, სამიჯნუროს რომ ეძებდეს ერთრამ კარგსა,
არ შეუდრეკს მისთვის ჰირსა, არ ხედიდეს სხვისა ნარგსა,
მისთვის ცეცხლი ბან-ბან უჩნდეს, მეფობისა შენადარგსა,
დასთმოს წუთი კეთილობა, სოფლით გვანდეს განაბარგსა.²

ორს სხვა რედაქციაში ეს ტაეპი ასე იკითხება:

უმჯობეა დაეძებდეს სამიჯნუროს გასაეარგსა,
შეუდრეკი ჰირისათვის, დაუბედი სხვისა ნარგსა,
მისთვის ცეცხლი გაეზამბოს, მეფობისა შენადარგსა,
დაითმინოს საშეებელი, დაეგვანოს განაბარგსა.³

ორი უკანასკნელი რედაქცია წარმოდგენილია წერ.-კითხ. ხელნაწერში
№ 171, მათ შორის დიდი განსხვავება არაა, მხოლოდ ვახტანგს რამდენიმე
ახალი ტაეპი ჩაუმატებია მერე და ორიოდე ტაეპი სულ შეუტკვლია; მაგალი-
თად, თავდაპირველად ყოფილა:

უნდოს ხილსა ვაშლისასა ებევრების შევენებანი,
თვალცხვირებსა გაახარებს ჰირისაგან სანებანი,
კაცსა გჭირდეს გონიერსა ამა გზითა მოკლებანი,
საძნელთა მოყვასისა დასაკლისისა ვნებანი.

ვახტანგს ეს ტაეპი წაუშლია და თავის ხელით აშიაზე მიუწერია:

ვაშლისა ხილსა უნდოსა უბევრობს შევენებანია,
თვალსა და ცხვირსა ახარებს ჰირისა სანებანია,
გონება ვრცელსა მოგქონდეს მაზედა მოკლებანია,
ძნელია მოყვარისათვის საქნელად საენებანია.

3. მაჯამა. მსგავსად თეიმურაზისა და არჩილისა, ვახტანგსაც უცდია თა-
ვისი ძალა მაჯამაჲ დაწერაში; ¹ ეს ნაწარმოები არის მაჯამა, როგორც იმი-
ტომ, რომ მისი ტაეპები ონონიმებით, მაჯამებით, არიან შემკულნი, ისე იმიტო-
მატ, რომ ის წარმოადგენს, როგორც თეიმურაზისა და არჩილის ანალოგიური

¹) წერა-კითხ. № 171, გვ. 28.

²) წერა-კითხ. № 4500, გვ. 267.

³) წერა-კითხ. № 171, გვ. 17, იხ. აგრეთვე უკანასკნელი ტაეპი E. Такайшвили,

შრომანი, კრებულს სხვადასხვა ლექსებისას. შესდგება ის ექვსი ლექსისაგან, რომელთაგან ნახევარი კეკელუცი სატრფოს მობაასა და ხოტბას წარმოადგენს, ნახევარი კიდევ თავისი უკუღმართი ბედისა და ცხოვრების გლოვას.

პირველი მაჯამა შეიცავს 10 ტაეპს და იკითხება ასე:

ჩემთა ნათქვამთა მოწმობა კვლავ ლექსმა მიყო მაჯამა,
 კრემლთა ნაკადმა აავსო, ნახეთ-გაცნობოს მაჯამა,
 დამწეა სოფლისა სატურმან, ველარა სცემოს მაჯამა,
 უკეთ არ მწამდეს იმისგან, მკითხოს მე ჩიტმა მაჯამა.

კეკელუტ ზედა ხარ ხელმწიფე, ტრფიალთ ცეცხლს უღებ მაღამით,
 მანდით ნასროლმა ისარმა გული გამიპო მაღამით,
 სხვასმც ეძლოს ვისმე კურნება, ცუდად შერებთან მაღამით,
 მიჯნურნო, მოდიოთ, მიტირეთ, კრებლი მავასხეთ მაღამით.

გიშრის მშვილდმან, მელნისა ტბამ გლახ გული წყლული მაწამა,
 ბროლმა დაღალმა გარეეთ ლამის დღეთ სიგრძე მაწამა,
 კრებლი მდის მიწყივ თვალთაგან, ვეკე გულმან შენმცა მიწანა,
 რად არ გეწყალების მიჯნური, შეკამოს უდროდ მიწამა.

ცეცხლს უგავს ლაწვი, ცეცხლისგან უფრო მწვაეს, უფრო მედება,
 რა ვნახე, მიწყივ საჭიროდ ფერხი მახესა მედება,
 მიმტაცა სული, დღეს იქით რას მარგებს, გულსა მედება,
 მიტირონ ძმათა საწყალი, აწლა თუ ვინმე მედება.

რა მოვილო, ეს არ ვიცი, შენთვის მსგავსი იგაეები,
 გაგიძვია დიად მიღმა სიგონჯე და იგაეები,
 ტრფიალთ შენთა სალალობოდ იწმინდები, იგაეები,
 კირსა გრძელსა განუხსნელსა ამ საქმესა იგაეები.

ლექსსა მივეყე სამიჯნუროს, ვარ ტრფიალი, განა ხელი,
 დამიწუნა თვალნი სხიემან, ველარა ვქმენ განახელი,
 გიშრის თხზულმან ტოილომან გული შეკრა განახელი,
 შეყრასა ჰგავს მზის და მთვარის, თუცა თავი განახელი.

სრულად სიბრძნის საუნჯისა კარი რაც მქონდეს დამელოს,
 ან მაგალითი პლატონის, ან პითაგოროს დამელოს,
 ეჯედი გულისა მზრახადა, თავი ქვე სადმე დამელოს,
 საკადრად შენსა ქებასა ვერ ვიტყვი, სულიც დამელოს.

თვალი მიგიგავს ჯერანსა, წარბი ზანგუბრელს სულოდა,
 შენმა ბავისა ციმციმმა ფერი ყაყაჩოს სულოდა,

აღმასის პირსა სადარით ხამს მზისა სხვისი სულოდა,
საბრალოს შენთა ტრფიალთა სიცოცხლევ გულის სულოდა.

გენახათ მისი სიტურფე, გული სხვარიგად ქცეოდა,
ეტყოდა თავსა-არ ვიციოთ, ან რა ნუგეში გცეოდა,
ხამს ამ პირისთვის თუ გვეძლოს შეგიპყრათ სეეო ქცეოდა,
მართ მისწუროდათ მათ სული, გასძლოდათ, გააქცეოდათ.

თვალს მისცემს წყალსა პირველებრ, რა ნახოს სული და გული,
ყვავილისებრივ გაშალოს მისგანვე სული დაგული,
გაალოს კარი ლხინისა, პირისა კარი დაგული,
გაშალოს ვარდი კუკური, ჩემშია პირი დაგული.

✓ მეორე მაჯამა, რომელიც შეიდი ტაეპისაგან შესდგება, ეხება სხვადასხვა
გასართობთ სხვადასხვა დროს; ის ასე იწყება:

რა სჯობს მათში ტუილისსა, ვარდი ვარსკვლავებს ესხასა,
მწვანედ ლელავდეს გარემო, ცის ცვარი მასზე ესხასა,
თუ არ უშმაგო, ვინცა ქნას, მასზედა რითმე ესხასა,
მე ასე მითქვამს, უთუოდ ის კაცი იყოს ეს ხასა.

✓ მესამე და მეხუთე მაჯამა დასტირის პოეტის სავეალალო სეე-ბედს, ხოლო
მეოთხე და მეექვსე—ქეკლუცის ტრფობაა; ერთერთი ტაეპი მეექვსე მაჯამისა
იკითხება ასე:

ამართა ბროლისა სვეტნი, რა მზემან ნახა იამა,
უფრქვენილი ვარდი კოკობი მიზიდვით მიიზიამა,
სამთავე ერთად იდინეს: ბროლმან, ლალმან და იამა,
იტვირთა ცვარი ობოლი სადაფის კარმან ღიამა.¹

✓ 4) ხუთი ელეგია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

პირველი—„მოცალებასა შინა მყოფსა კმუნეა-ნალელისა მაქარეებელად,
✓ რომელიც 10 ტაეპისაგან შესდგება, იწყება ასე:

ღამიმონა კაეშანმა, სეედა მომხედა მისთვის წამლად,
ნალველს ეხმარობ მუდამ მელნად, გულსა ვიწვევ მისად კალმად,
ლხინსა პირად, ჩანგ-ბარბითსა დაუყონლად ცრემლთა ლამად.

პოეტი უჩივის წუთისოფლის ვერაგობას: „რაები მიყო სოფელმან, სიცრუევით
ანასდუულმა,“ მისი „დღენი მიაგავს რუსისა წალკოტებისა წესებსა,“ ჩვენ კი

¹ ამ ტაეპის უმნიშვნელო გადაკეთებას წარმოადგენს პირველი ტაეპი „ბროლის სე-
ტისა“, რომელსაც ზ. კიკინაძე (ქართული მწერლობა მე-17 საუკუნეში, გვ. 23) არჩილ მე-
ფეს მიაწერს:

აღმართნა ბროლნი სვეტისა, რა მზემან ნახა იამა,
უფრქველსა ვარდას კოკობსა, ჯარით შეედგა, შეესხმა,
ორთავე დენა დიწყეს, ბროლმა, ლალმა და იამა,
იტვირთა ცვარი ობოლი სადაფის კარმა ღიამა.

„რუსთ ზაფხულისაებრ გაივლით მსოულოისა წამებსა“ ო.¹ ელევია დაწერილია 1730 წელს მოსკოვს (№ 4500), ანა და, მეორე ნუსხით (№ 171), —პეტრე-ბუხს, რაც უფრო სწორი უნდა იყოს. ეინაიდან 1728—1730 წლებში ვახტანგი პეტეზბურღში იყო და არა მოსკოვში. ეს ნაწარმოებიც სამი რედაქციით შენახული ჩვენამდე. ერთია № 4500-ში, ორი, რომელნიც რამდენიმე სიტყვებით განსხვავდებიან ერთიმეორესაგან, № 171-ში.

ვ ბ) ელევია „რა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ვაჲ სიკვდილო, მწარე სიკვდილო,“² შესდგება 17 სტრიქონისაგან, რომელთაგან თვითეული თავდება სიტყვებით: „ვაჲ სიკვდილო, მწარე სიკვდილო.“ აქ პოეტი დასტირის სოფლის ვერაგობას, მის წუთიერობას, თავისიანებისა და საყვარელ სამშობლოს მოშორებას, თავის უნუგეშო მდგომარეობას. ელევია რუსეთშია დაწერილი.

გ) ელევია—„მე შევაძვევე ცა, ქვეყანა“ გვიხატავს ადამიანის უმადურობას ნაცხოერისადმი; ნაცხოერმა ყველაფერი გააკეთა ადამიანთა საკეთილდღეოდ, იმათ კი „ნაცვლად ჩემთა წყალობათა აღმომართეს საკვლად ჯვარი“-ო.

დ) ბოლო ელევიაში—„შურით აღიესნეს უგბილნი, წესი ქმნეს მათის მაჲ მისა,“ ნათქვამია—როგორ შეიძურეს ნაცხოერი და მიუსაჯეს მას სიკვდილი. თვითეული ტაეპი თავდება ასე: „ვაჲ რა მწარედ იწვოდენ ნაწლენი მარიამისა“³

ე) ელევიაში: „საწუთროს ბალი რა ჰქონდა, სცან ალექსანდეს მეფესა,“ აწერილია ალექსანდრეს (?) მშენიერი ბალი, სასახლე და კეთილდღეობითი ცხოვრება, რასაც ანაზღუელად მოელო ბოლო. ელევია თავდება შემდეგი სიტყვებით:

სოფლის სიმუხთღე ასეა, რად ვინ სდევს, მიეიროს, მეფეო.

ან შენ ამისთვის რად სწყუხარ, უცხოდ მჩანს ვახტანგ მეფეო.

აქედან ცხადია, ამ ელევიაშიც დადასტურებულია საზოგადოდ წუთისოულას გაუტანლობა.⁴

5) მოკლე ნაწარმოებნი: ა) „ყველის ქება,“ რომელიც მას ლათინურის ენით უთხრა ფრანგმა.⁵ ბ) ანბანთქებანი ორი ტიპისა: სიტყვები სტრიქონში დალაგებულია ანბანის რიგზე, მაგალითად: „არა ბრძანებ გიორგ დედად, ესე ვიყავ ზებ მთერად;“⁶ ანა და პირველს ტაეპში თვითეული სიტყვა იწყება ა-ნით, მეორეში ბ-ნით, მესამეში გ-ნით და ასე ბოლომდე, მაგალითად: „ასრე არის აგებული, ამგებელსა აქ აქებდეს.“⁷ უკანასკნელი ტიპის შესახებ ვახტანგი ამბობს, რომ ის მის მიერაა მოგონილი, მანემდის არვის უთქვამსო,⁸ მაგრამ ეს მართალი არაა: ამგვარი სისტემა ნახმარი აქვს ჯერ არჩილ მეფეს, მაგალითად:

1) წერა-კითხ ბეონ. № 171, გვ. 15—16, № 4500, გვ. 266.

2) წერა-კითხ. ბელნ. № 303, გვ. 89; გ. ლეონიძე, კაშნიკი მანუა ბარათაშვილი! ა, გვ. 20—21.

3) წერა-კითხ. № 303, გვ. 90; გ. ლეონიძე, გვ. 21—22.

4) წერა-კითხ. ბელნ. № 303, გვ. 91—92; გ. ლეონიძე, გვ. 24—25.

5) წერა-კითხ. № 171, გვ. 14—15, № 4500, გვ. 265—266.

6) წერა-კითხ. № 1512, გვ. 25.

7) წერა-კითხ. ბელნ. № 342, 183—189, № 1512, გვ. 15—23.

8) წერა-კითხ. № 4500, გვ. 237—244.

„არ ადგილია აღკრძალვა ამოებისა ამისა,“¹ არჩილი მას უწოდებს „ახალშემოღებულს.“

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგს მიეწერება ერთი ეპიტაფია: „შე უმცირესმან ძმათაგან, ვახტანგმან სახელდებულად,“² რომელიც წარმოადგენს ერთგვარ მიმოხილვას ვახტანგის მოღვაწეობისას, ძლიერ დაახლოებულს სეხნია ჩხეიძის აღწერილობასთან.³ „შევაქე მცხეთაო, ნათქვამია აქ, ურბნისი, სიონი, ავაშენე სასახლე, სტამბა მოვიღე ვლახეთით, ქციის რუ ხუნანს წავიღე, ტბას შევრთე მაშავრის რუ, დავსწერე სამართლის წიგნი და ვეფხისტყაოსნის თარგმნობა, ზოლოს მიმილო სოფელმან სიმდიდრე, მეფეთშვილობაო,“ ელეგიურად ათავენს ავტორი. შესაძლებელია, ვახტანგს არც ეკუთვნოდეს ეს ეპიტაფია.

ამნაირად, ვახტანგი დამღერის წუთისოფლის ვერაგობას, საკუთარი ბედის ვალაობას, რომელიც გამოწვეულია სამშობლოს არევ-დარევით, ღვთაებისა და სამშობლოსადმი სიყვარულს; ახალი მის პოეზიაში არის ის, რომ ღვთაება და სამშობლო მას გამოყვანილი ჰყავს როგორც კეკლუცი სატრფო და დამოკიდებულება მათთან—როგორც ტრფობა მოტრფიალესა და სატრფოს შორის. ან შემთხვევაში ვახტანგმა პრაქტიკულად განახორციელა ის, რაც ცოტახნის შემდეგ მამუკა ბარათაშვილმა თეორიულ დებულებად წამოაყენა თავის ქაშნიკში: „მაშ მართებს კაცმა ავი ამბავი არ გალექსოს; თუ სააშიყო ლექსი უნდა, ღვთის სააშიყო, ანუ ეკლესიისა, ანუ წმიდათა [თქუას]... თუ ქალის აშიყობაზე გინდა, ცოლქმრობის სიყვარულზედა სთქვი... ან კარგი იგაეები მოიყვანე და იმაზედა სთქვი.“⁴ როგორც დაინახეთ, თავის ნაწერებში ვახტანგი სატრფიალო ლექსებით „ეაშიყება“ ღმერთს, ეკლესიას და წმიდანებს, „იგავის მოყვანიით“ ვალერსება კეკლუც სამშობლოს. ვახტანგი გულწრფელად იყო დარწმუნებული, რომ ასე იტყოდა გაცილებით უფრო ადრე თვით ვეფხისტყაოსნის ავტორი, რომელსაც თავის უკვდავს სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოებში „ცოლქმრობის სიყვარულზე უთქვამს და სხვა მრავალი საღმრთოდ საერო სწავლება მოუყვანია, მაგრამ ზოგიერთს მელექსეს იმისი წიგნი ცუდ სააშიყოდ გაუსინჯავთ.“⁵

1) წერა-კითხ. № 342, გვ. 189—195.

2) წერა-კითხ. № 1512, გვ. 93.

3) ქართლის ცხოვრება II, გვ. 323.

4) წერა-კითხის ხელნაწერი № 303, გვ. 75—76; გ. ლეონიძე, გვ. 2.

5) წერა-კითხ. ხელნ. № 303, გვ. 75, გ. ლეონიძე, გვ. 1—2.

4. თეიმურაზ მეორე.

თეიმურაზი იყო შვილი ირაკლი I ნახარაღიანის და მ-სი მეუღლის ანნა ჩოლოყაშვილის ასულისა; კატეგორიული ცნობა მისი დაბადების წლის შესახებ არ არსებობს, ვიციტ მხოლოდ, რომ ის დაიბადა 1696 წლის შემდეგ, როდესაც ირაკლიმ მოაყვანინა ისპანიდამ იქ დატოვებული ანნა. ერთერთს თავის ნაწარმოებში, რომელსაც „ქება სასახლისა“ ეწოდება, თეიმურაზი აპშობს:

ორმოცდა ოთხის წლისასა მერწმუნა მეფობანია:

ღმერთმან მი-მცა ეს სიმაღლე ნადირშაჰსა მიზეზობით,
ჯერ კახეთის მეფედ გაზნდის, მერმე ქართლში მემკვიდრობით,
კახეთშია ჩემს შვილს დაესვამ, ერეკლესა მეფედ ნმობით.²

აქედანა ჩანს, რომ, როდესაც შაჰნადირს „მემკვიდრეობით“ მიუცია თეიმურაზისათვის მეფობა ქართლისა, ხოლო კახეთში ირაკლი დაუჯენიათ, ესე იგი 1744 წელს,³ ის მაშინ 44 წლისა ყოფილა, მაშასადამე დაბადებულა 1700 წელს. თეიმურაზს ჯერ უნდა შეერთო ბაიზიდურ ერისთვის ასული, შაგრაჰ მინი შჰის, დაეით იმამყულიხანისა, და ვახტანგ ნევექის დამეგობრების მიზნით, მას ერისთვის ქალზე ხელი ააღებინეს და 1712 წელს აქორწინეს ვახტანგის ასულს თამართან.⁴ დაეით იმამყულიხანისა და კონსტანტინეს დროს, მათი სიკვდილის შემდეგაც, 1737 წლამდე, ის განაგებდა კიდევაც დროგამოშვებით კახეთს, აქტიურ მონაწილეობას ლებულობდა მის პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კონსტანტინესა და ვახტანგის ომების დროს. 1737 წელს ვერაგობით შეიპყრეს და ერანს წარგზავნეს ნადირშაჰთან, რომელმაც 1739 წელს უკანვე დააბრუნა და კახეთი მისცა „მორჩილებასა შინა ტუილისს მჯდომის ხანისასა“.⁵ 1744 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნადირშაჰმა მას მემკვიდრეობით მისცა ქართლი, ხოლო მის შვილს ირაკლის კახეთი. თეიმურაზის ქართლში გამეფებით დიდი სიხარული მოუფინა ქვეყანას, ვინაიდან, ვახტანგის რუსეთში გადასახლების შემდეგ, ოცი წლის განმავლობაში, იქ ქრისტიანი მეფე არ უნახავთ. ირაკლის კახეთში დამკვიდრებით აღმოსავლეთი საქართველო ფაქტიურად გაერთიანდა მამაშვილის ხელში, რომელთაც ბრძნული პოლიტიკით, სპარსეთთან მეგობრული განწყობილებით, შეთანხმებული მოქმედებით, ეკლესიის შესაქედ ანტონ ბატონიშვილის დაყენებით, პირდაპირ წარმატების გზაზე დააყენეს ქართლი და კახეთი. მართალია, სრულს ბედნიერებას და აბსოლუტურ მო-

1) ქართლის ცხოვრება II, გვ. 67, 131.

2) წერა-ყრთხ. № 1511, გვ. 27.

3) ქართლის ცხოვრება II, 145.

4) ქართლის ცხოვრება II, 133.

5) ქართლის ცხოვრება II, 143; ეს ფაქტი აქვს მას მსჯელობაში, როდესაც ამბობს: „ჯერ კახეთის მეფედ გაზნდისო“.

სვენებას თეიმურაზი არ გრძნობდა: 1746 წელს, მაგალითად, გარდაეცვალა მას საყვარელი მეუღლე, დედოფალი თამარი,¹ მტრებიც მოსვენებას არ აძლევდნენ მას, როგორც თვითონვე მოწმობს:

ეიყავ ქართლშიგან, მტრისაგან ერთს ალაგს ვერ დავსდგებოდი,
იქით და აქით მუდამად ვლამჭრობდი, ვიარებოდი,
აეისა დროს და ეამისგან ჯავრშიგან ვიარებოდი.²

მაგრამ საერთოდ ქვეყანას, წინააღმდეგობით შედარებით, გაუმჯობესობა დაეჯყო კერძოდ გაჩაღდა და გაძლიერდა კულტურული მუშაობა, ანტონ კათოლიკოზის შეთაურებით, რაც გამოიხატა ახალი სასწავლებლების დაარსებაში³ და ვახტანგ ბექეჯის სტამბის განახლებაში. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ პოლიტიკურ რომანტიზმს თეიმურაზმაც ვერ დაახვია თავი და ისიც გულისფანქვალთ შეპყრებდა ჩრდილოეთის ერთმორწმუნე მეფეს. 1760 წელს ის თვითონ გაემგზავრა რუსეთს იმპერატორს ელისაბედ პეტრეს ასულის სანახავად და დახმარების სათხოვნელად;⁴ იქიდან გამობრუნებული, რასაკვირველია კატრუებული იმედებით, ის გარდაიცვალა გზაში, ქ. აშთარხანს, 1761 წლის 28 დეკემბერს, და იქვე დასაფლავებულ იქმნა.

კულტურულისა და პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესობამ ხელი შეუწყო მწერლობის ინტენსივობასაც; საერთო ლიტერატურულ მოძრაობას არ ჩამორჩენია თეიმურაზიც და მასაც შეუტანია თავიანი წვლილი ჩვენი მწერლობის საღაროში. თავის ადგილას ჩვენ უკვე განვიხილეთ ერთერთი და ამავე დროს ერთადერთი ნათარგმნი თხზულება თეიმურაზისა, ეგრეთწოდებული თიშსა-რდანი (გვ. 314-318); უფრო მეტი დარჩენილა მისგან ორგინალური ნაწერები, რომელთა მიმოხილვას შეუდგებით ეხლა.

1 A. დღისა და ღამის გაბაახება.

ეს თხზულება, რომელსაც სხვანაირად „სარკე თქმელთა“ ეწოდება, წარმოადგენს კამათს დღესა და ღამეს შორის თავიანთი უპირატესობის შესახებ; აქ აღნიშნულია ის ფაქტები და მოვლენანი, რომელთაც ადგილი აქვთ დღისით თუ ღამით. ის ორი მთავარი ნაწილისაგან შესდგება: საღმრთოსა და საეროსაგან, როგორც თვით თხზულებიან ბოლოშიწარმოა ნათქვამი; პირველში გალექსილია ძველისა და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორია, აგრეთვე საქრისტიანო კატეხიზმოს ნაწილი, ხოლო მეორეში აღწერილია აღმოსავლეთი საქართველოს, კერძოდ კახეთის, ზნე-ჩვეულებანი.⁵

წინასიტყვაობის შემდეგ, რომელშიაც ავტორი ვრცლად მსჯელობს ღვთისა და მის მიერ ყოველივე არსის შექმნის შესახებ და რომელშიაც ის შე-

¹) რის შემდეგ შერთო ანახანუმი, დოქაშილი იესე მეფისა და ასული ბეჟანიოთა-ბისშვილისა; ქართლის ცხოვრება II, 392.

²) წერა კითხვის ხელნაწერი № 1512. გვ. 27-28.

³) ქ. ბექეჯის ქართული ლიტერატურის ისტორია I, 87-88.

⁴) ქართლის ცხოვრება II, 489.

⁵) წერა-კითხვის საზოგ. ხელნაწერი № №: 106, 110, 342, 1103, 1382, 1547, 2676^a

ნიშნავს, რომ თხზულებას სწერდა „ცხენს მჯდომი“, იწყება თვით ბაასი. დღე ეუბნება ლამეს: შენ მუდამ ბნელობით ყოფილხარ, მე კი ღმერთმა გამაჩინა და ნათელად სახელმძღვანო, ჩემი ამხნაგია დიდი მნათობი, მზეო. მეც ღვთისაგან ვარ სახელმძღვანო, უპასუხებს ლამე, შენ თუ ერთი მნათობი მოგეცა, მე ექვსი მყავს: მთვარე, ოტარიდი, მუშთარი, ზუალი, ასპიროზი და მარინი, აგრეთვე ურიცხვი ვარსკლავნიო. მერე ისინი ცილობენ იმის შესახებ, თუ რომელი მნათობი უმნიშვნელოვანესია, მზე თუ მთვარე, და განაგრძობენ: „მოვეყნო, რაც ღვთისგან კეთილი მომხდარა დღით თუ ღამით.“ თვითუფლი მდფგანი სკდლილობს აღნიშნოს ის ფაქტები საღმრთო ისტორიიდან, რომელიც მომხდარა დღისით თუ ღამით. გაღექილია: ადამ და ევას გაჩეხა, კენის მიერ აბელის მოკლევა, წყლით რღენა, ისააკის შეწარვა, იაკობის კურთხევა, ისრაილთა ამბავი, იობის ამბავი, ელიას ზეცად ამალღება, ზაქარია და ღუმება, ხარება, მაცხოვრის შობა, წინადაცევა, მირქმა, ნათლისღება, ფერიცვალება, ლაზარეს აღდგინება, იერუსალიმს შესღვა, საიდუმლო სერობა, ენება უფლისა, ჯვარცმა, გარდამოხსნა და დაფღეა, წმიდა პასქა, გვერდის განხიღვა, განრღეულის განკურნება, შობითგან ბრმის განკურნება, ამალღება, სულისწმიდის მოსღვა, ღვთისმშობლის მიძინება. ამის შემდეგ დღე ლაპარაკობს შეიდი საიდუმლოს შესახებ, გადაგვიშლის თვალწინ ათ მცნებას, ცხრა ნეტარებას და შეიდივე მსოფლიო კრების ისტორიას; ამას თან დასძენს, რომ ღღისით სწარმოებს სამართალიო, და აგეიწერს, თუ როგორ ხდება სამართალი: ღამე ტრაბახიღს, რომ ადამიანი ღღისით იღღება, ღამე კი ისვენებსო, ამაზე დღე თაემომწონედ უპასუხებს, რომ ღღისით ადგილი აქვს ყოველგვარ მეჯღღისა და განცხრომის: ღბინი, ნადიმობა, ზმობა, სიმღერა; ბაღებში განცხრომა და სხვ. ღამე ყოყოზობით უპასუხებს, რომ იმ სიამოვნებას, განცხრომას და ბედნიერებას, რომელსაც ღამღაზობით აქვს ადგილი, შენ ვერც კი წარმოიდგენ, ეს არის მეშვიდე საიდუმლოქორწინება; აქ უქვე დეღალურადაა აღწერილი და გადმოცემული ყველა ის ჩვეუღბანი, რომელნიც დაკავშირებულია ქალღაგის ქორწინებით შეუღღღებასთან, ნიშნების მირთმევა ქალისათვის, სიძის მოპატიეება და ქალის მორთვა, ერთმანეთის დანახვა და მერე სიძის დაჯღღმა საცოღოსთან, ღბინი იმ ღამისა და ზმობა, სასიძოს შინ წასღვა და ქორწილისათვის სამზადისი, ქალის მომზადება ჯვარისწერისათვის, სიძის მოსღვა მაყრიონებით, ეკღესიაში წასღვა და გეირგვინთ კურთხევა, ეკღესიიდან მობრუნება, შეხვედრა მათი, სახღში შესღვა, ღბინის დაწეება, ზმობა ღბინის დროს, შაირობა და გაღობა, დეღოფღის პიორის ახღა, ზითვის წიგნის წაკითხვა, მეფის ადგომა და საწოღს შესღვა, დეღოფღის წასღვა საწოღს, მეფისაგან დეღოფღის ტანთგახღა, ქალის წაკეანა, ქორწილი მეფის სახღში, ქალთან დაწოღა, ქალის ორსუღობა და ძეობა. საპასუხოდ დღე ჩამოსთღლის იმ ზნეღბათა და ვართობას, რასაც ღღისით აქვს ადგილი: ყაბახის სროღა და ბურთაობა, აშფაშაგის სროღა, ნადირობა: ისრისა, კნავიღობის, ვეძახე, შავარდნისა და გაეზის, ქორის და მიძინოს, კურდღღის და თეეზის. ღამე უპასუხებს: ჩემი უპირატესობა იმაშია, რომ ღამით მიჯნორობა იფურჩქნება; მერე გადმოგეკემს საკმაოდ ვრცღად შინაარსს ეფეზისტყაონისას, ვისრამიანისას, იოსებ-ზიღბანიანისას, ლეიღა-მეჯნუნიანისას. დღე საპა-

სუხოდ მოგვითხრობს, რომ დღისით იქნების თამაში ყუმბრისა, ნარდისა, ქადრაკისა, განჯათისა და ბანქოსისა, აგრეთვე, თუ კაცი ავად გახდება, ექიმების მოსლვა და წამლობაცაო. ღამე უპასუხებს ადამიანის აეადგახდომის, სიკვდილის და დასაფლავების ამბისა და ტირილის ჩვეულებათა აღწერით; დღე უპასუხებს: ტირილი მიცვალებულს რას არგებს, მისი სულისათვის უნდა ვიზრუნოთო, და აგვიწერს მეორედმოსლვის ანბავს, რითაც თავდება თხზულება.

✓ ავტორი უპირატესობას მიანიჭ დღეს აძლევს, როგორც სინათლის ემბლემას:
 „მე ხათელი ვარ, შენ ბენელი, ეს ჩემად ქებად კმარია,“ ამბობს დღე.

ასეთია ზოგადად შინაარსი ამ საყურადღებო თხზულებისა, საყურადღებოსი თავისი რეალისტური ხასიათით; ეს პირველი ნაწარმოებია ჩვენს მწერლობაში, რომელშიაც ჩვენი ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულება იყოს აწერილი ისეთი ფოტოგრაფიული. სისწორით, როგორც აქ. მართალია, საქართველოს ზნეობანი არჩილ მეფემაც აღნუსხა, მაგრამ იმან მხოლოდ აღნუსხა, ჩამოთვალა, აქ კი დაწერილებითაა აღწერილი, რაში მდგომარეობს ესათვის „ზნეობა“, რა შინაარსისაა ის და როგორ სრულდება სინამდვილეში; ამ მხრივ ეს თხზულება ძვირფასს ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს და დაუფასებელია მეთვრამეტე საუკუნის ჩვენი შინაგანი ყოფა-ცხოვრების შესასწავლად.

თხზულება რომ თეიმურაზ მეფეს ეკუთვნის, ეს შესავალშიაც აღნიშნულია: „აწ დაიწყებს თეიმურაზ არ კახურად ტრაბახებსაო“, მაგრამ საკითხი იმის იმის შესახებ: თუ რომელ თეიმურაზს ეკუთვნის ის, პირველს თუ მეორეს? ერთი ნუსხის (წერა-კითხ № 1547) ზედწარწერაში ეკითხულობთ: „წიგნსა ამას უწოდებენ სარკეთქმულთა ანუ დიდ მეფე თეიმურაზისასა“; ალბად ამ სიტყვეებში მისცა საბუთი ექ. თაყაიშვილს კატეგორიულად განეცხადებია, რომ ცნობა თეიმურაზ მეორის ავტორობის შესახებ ამ შემთხვევაში явнио ошииичная, произведение принадлежит Теимуразу I Давидовичу- (Описание II, 300). თავისთავად ცხადია, ასეთი შეხედულება შემცდარია, თხზულება ეკუთვნის თეიმურაზ მეორეს; ეს შემდგვიდანა ჩანს: 1) მომეტებული ნაწილი ნუსხებისა პირდაპირ აღნიშნავს: „თქმული მეფის ირაკლის ძის მეფის თეიმურაზისაგან“, 2) თხზულებას წერა-კითხვის ნუსხებში №№ 1512, 1547, 3704 დართული აქვს 14 ტაეპოვანი ბოლოსიტყვაობა, რომელშიც ავტორი შემდეგს გადმოგვცემს: სეფიხან ყენმა ზაკით დამიბარა სპარსეთში. სადაც მე გავემზავრე საერო და სასულიერო პირთა თანხლებით; ისპანში რომ ჩაველი, შაჰმა მომთხოვა შეილები და კიდევაც გაწოგზავნა ჩაფარი მათ ჩამოაყვანად, ხოლო მე წამიყვანა უანდარს. გავიდა ხანი და შამათს ჩამოიყვანეს ჩემი შეილები, ირაკლი და ქეთევანი; უკანასკნელი შაჰმა ცოლად მისცა თავის ძმისწულს, ირაკლი კი თერთონ იახლა. ზედმეტია ლაპარაკი, რომ აქ იგულისხმება თეიმურაზ მეორე და არა პირველი.¹

როდისაა დაწერილი თხზულება? ამაზე თვით ნუსხები გვაძლევს გარკვეულ პასუხს: „დღისა და ღამის გაბაასება, თქმული მეფის ირაკლის ძის მეფის თეი-

1) Е. Такайшвили, Описание II, стр. 253 - 255.

2) ქართლის ცხოვრება. II, 477.

მურახისაგან, რომელი იქმნა ცხებულ შემდგომად წელიწადისა ცხრისა თქმისა ამისისა“. თეიმურაზი ცხებულ იქმნა მეფედ 1746 წლის 1 ოქტომბერს, მაშასადამე ეს თხზულება მას დაუწერია 1737 წელს; ამავე თარიღს იძლევა ზემო-
ღასახელებული ბოლოსიტყვაობა თხზულებისა:

ვიყავ ყანდაარს მკმუნვარე, არა გულითა ლხინობით,
ვთქვი ლექსი მცირე რაიმე სევდისა მოსათმინობით,
აქ დავასრულე, ვინც ნახოთ, ნუ იქნებითა წყინობით,
მაშინ ჯდა ქორონიკონი უნი კანი და ვინობით.

აქედან ჩანს, რომ თხზულება თეიმურაზს დაუსრულებია ყანდაარს, ქო-
რინიკონსა უკვ, ესე იგი 1738 წელს; ამ ვეებერთელა ნაწარმოების დაწერი-
სათვის ერთი წელიწადი მას უეპეელად მოუნდებოდა, ასე რომ დაწყებული ის
მას ექნებოდა მართლაც რომ 1737 წელს!

B ხილთა ქება. V

ეს თხზულება, რომელშიაც ლაპარაკია სხვადასხვა ხილთა თვისებების შესახებ, იწყება ასე:

მარწყვმა თქვა, მოვალ პირველად მე ვერა მისწრობს ხილია,
ფერად მსგავსი ვარ ლალისა, მერმედ საქმელად ტკბილია,
წინ რასა მისწრობს ტყემალი, მეავე არის და გრილია.
მისგან ჩივიან ყველანი, ეკამეთ, მოგიკეთა კბილია.

აქ ჩამოთვლილია შემდეგი ხილი: მარწყვი, ტყემალი, ბალი, ყოლი, კიტრი, ნესვი, თხილი, მაყვალი, საზამთრო, ატამი, ვაშლი, ბროწეული, ნიგოზი, ყურძენი, ქლიავი, სხალი, ჭერამი, ალიბუხარი, უნაბი, შინდი, ფშატი, ლეღვი, მალაჩინი, კომში, ხურმა, თურინჯი, ნარინჯი, ლიმონი, პანტა, კვინჩი, ფისტა, მწიფელი, კუნელი, დათვისთხილა, კრკო, ასილი, ნუში, პური და ლენო. სულ—38 ხილი. V
თეიმურაზი ამ შემთხვევაში არც იღვით, არც მისი განკითარებით, ორიგინალი არაა. ის დაშოკიდებულია წინააღობის ამგვარ თხზულებაზე. რომელიც ეკუთ-
ვნის გარსევან ჩოლოყაშვილს. გარსევანს რომ „ხილთა ქება“ დაუწერია, ამას არჩილ მეფეც ამოწმებს თავის ნაწარმოებში „ქელთა და ახალთა საქარ-
თველოს მელექსეთა“ შესახებ, სადაც ის ამოხბს:

ჩოლოყაშვილსა გარსევანს უთქვამს რამე რაებია,
კიტრი ხილად რაღას ვარგა, ვაშლი მოვა რაე ბია,

1) საყვრადღებთა რომ ამ თხზულების მიხედვით დაუწერია რუსეთში მე-14 საუკუნის პირ-
ველს მეოთხედში დიმიტრი ბაგრატიონს „ღამის ალერისს“ სახელით (წერა-კითხვის
ბელნაწერი № 155-1).

2) ეს თხზულება ჩვენამდე შენახულა ორი ხელნაწერით წერა-კითხვის საზოგადოებისა
№ 1103, გვ. 106—173, № 1511, გვ. 1055—1062

ესევე სჯობს, რაც მასშია, მისგან მონახსენებია,
გული კვდება ნარგისთათვის, თვალნი გაუშტერებია.¹

გარსევან ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“² იწყება ასე:

უყურეთ ხილთა ქცევასა, რისა ამბისა მთქმელია,
ფერშეენიერი, ძირ-წვრილი, ცოტა ხანსა მდგომელია,
უხუცესი და პირველი მარწყვი მიწას მდგომელია,
სხეას ხილსა ასე მოუსწრობს, ვით რომ შუბ განწვენელია.

აქ ჩამოთვლილია შემდეგი ხილი: მარწყვი, ტყემალი, ბალი, ყოლა, თხილ-
ქლიაფი, მყავალი, კიტრი, ნესვი, ატამი, სახამთრო, ვაშლი, ნიგოზი, ნუში, ბრო-
წეული, შინდი, სხალი, კომში, ზეთის ხილი, თურინჯი, ლეღვი, ხურმა, წაბლი,
სულ—23 ხილი. საერთო გარსევანსა და თეიმურაზს აქეთ: მარწყვი, ტყემალი,
ბალი, ყოლა, კიტრი, ნესვი, მყავალი, სახამთრო, ატამი, ვაშლი, ბროწეული, ნი-
გოზი, ქლიაფი, თხილი; მათ დახასიათებაში თეიმურაზი სიტყვა-სიტყვით ან
✓ კოტაოდენი ცვლილებით იმეორებს გარსევანს. შემდეგი ხილი აღნიშნული აქეთ
ორივეს, მაგრამ სულ სხვანაირად დახასიათებულნი: ნუში, შინდი, სხალი, კომში,
თურინჯი, ლეღვი, ხურმა. თეიმურაზს ზედმეტი აქვს: ქერამი, აღიბუხარი, უნა-
ბი, ფშატი, მალაჩინი, ნარინჯი, ლიმონი, პანტა, კეინჩხი, მწიფელი, კუნელი,
დათვის-თხილა, კრკო, ასკილი, პური და ღვინო. გარსევანს ზედმეტი აქვს: ზე-
თის ხილი და წაბლი.

¹) E. Такайшвили, Описание II, стр. 134. გარსევან ჩოლოყაშვილს ზ. კიკი-
ნაძე (ქართული მწერლობა XIII-XVI ს. გვ. 28-29) და ა. ხახანაშვილი (Очерки III, 35)
სთვლიან მე-16 საუკუნის, დიდის ალექსანდრე მეფის დროის, მწერლად; ამისი „ბილთა ქება“
1574 წელს გადაუწერია დიმიტრი ორბელიანსო აქ ცოტა გაუგებრობაა: დ ი მ ი ტ რ ი ო რ ბ ე-
ლი ა ნ ი არის არა მე-16 საუკუნის მოღვაწე. არამედ მე-15 საუკ. ნახევრის სახლთუბუცესი,
მანდატურთუბუცესი და ელიალსი. სიძე თეიმურაზისა. რომლის „ანბანო ქება“ მართლაც მო-
თავსებულა ხოლმე გარსევანის „ხილთა ქებასთან“ ერთად. [წ.-კითხ. № 1512. გვ. 503-510;
ამავე საუკუნის პირველ ნახევარში ცნობილი იყო მეორე დიმიტრი ორბელიანი, მამა ხაალ და
ყაფლან ორბელიანისა, რომელსაც 1714 წლის ახლო ხანებში ვრანის ბელმწიფემ უხბამომა უბო-
და (ქართ. ცხოვრ. II, 373), ეს ალბან არის ის სახლთ-უბუცესი დიმიტრი ორბელიანი, რომ-
მელიც ყოფილა მოწაფე საბა-სულხან ორბელიანისა (ა ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. პარიზის ნაციონა-
ლური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები. მოამბე, 1908, I, გვ. 7-8). ეს ცნობილი მე-
ლექსეა: მას გუთუნის „ანბანთ ქების“ გარდა ხარების, შობის. მირქმის, ჯვარკმის, აღდგომის,
ამაღლების, სულის წმიდის მოსლვის და ღვთისმშობლის მიძინების გალექსეა (წერ.-კითხ.
№ 1547, გვ. 91-104, № 3706, გვ. 104-112) და აგრეთვე „კოლთან მოწაფეობი აღერსი გაცრო-
სათის“ წერ.-კითხ. № 303, გვ. 47-53], სატრფიალო-ლირიკული ნაწარმოები; ასე რომ დი-
მიტრი ორბელიანი არ გამოდგება გარსევან ჩოლოყაშვილის დასათარიღებლად. გადაჭრით თქმა
იმისა, რომ გარსევანი მე-16 საუკ. მწერალია, ძნელია, თუგინდ რომელიმე ხელნაწერი მას
მართლაც ალექსანდრეს თანამედროვედაც სთვლიდეს. ყოველ შემთხვევაში, გარსევანი არჩილზე
ადრე მოღვაწეობდა, ასე რომ ის, შეიძლება, მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის მწერალი იყოს.
გარსევანს სხვა ნაწერები ჰქონია: ჯერ არჩილზე აღნიშნავს რაღაც „ნარგისთათვის“. როგორც
მის ნაწარმოებს. ზ. კიკინაძესაც უნახავს მისი ლექსი, სადაც ნათქვამი ყოფილა: „თვალ-
თაგან ცრემლის მღერულია მარადის გარსევანით, ზემოთ ნათქვამსა ამბებსა ვერ მოსთქვამს აწ
ენანო“ (იქვე, გვ. 29-30).

²) წერ. კითხ. ხელნ. № 1512, გვ. 510-516 № 6, გვ. 55-60. № 115, 1087, სიძველე-
თა მუხბუცის ხელნ. № 1242.

„ხილთა ქება“ აღორძინების პერიოდში პოპულარულ თემად გამხდარა? გარსევან ჩოლაყაშვილსა და თეიმურაზ მეორეს გარდა „ხილთა ქება ანბანზე თქმული“ დაუწერია მე-18 საუკუნის ისტორიკოსს პაპუნა ორბელიანსაც; მისი რედაქცია სულ სხვაა, გარსევანთან და თეიმურაზთან მას კავშირი არა აქვს რა, გარდა ზოგიერთი სახელებისა. მას აღუნიშნავს შემდეგი ხილი: კომში, კერამი, უნაბი, ნუში, ალუჩა, ბალი, ქლიაფი, ლეღვი, ატამი, ბროწეული, თუთა, წაბლი, ხურმა, გარგარი, ფისტა, ზეთისხილი, თხილი, ფშატი, მაყვალი, ყურძენი, ყოლი, შინდი, ტყემალი, ზღმარტლი, კუნელი, წიფელი, ლოღნოშო, ნესვი, საზამთრო, კიტრი, ნარინჯი, თურინჯი და სხვ. (სი ძვ. მუ ზ. ხელნ. № 1311). მეცხრამეტე საუკუნეში დავით რექტორს გაუგრძვია გარსევან ჩოლაყაშვილის „ხილთა ქება“ და დაუმატებია შემდეგი ხილი: ფშატი, უნაბი, ყურძენი.¹

C. სასახლის ქება

ამ პატარა ნაწარმოებში გადმოცემულია ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები თეიმურაზის ცხოვრებიდან და შექმნილია სამი წინაღობის მეფის სასახლე და ერთი თვით თეიმურაზისა.² იწყება ის ასე: „ქმნა ღმერთმან ცანი, ქვეყანა, შეამყო ზევით, ქვევითა“. პირველად აეტორი მოიგონებს ქვეყნისა და ადამიანის გაჩენას, უკანასკნელის დაცემას და მაცხოვრის მიერ გამოხსნას, ხოლო შემდეგ იწყებს პირდაპირ თავის საგანზე ლაპარაკს. მე ვერ ჩამოვთვლი ყველა იმ ლეთისწყალობას, რომელიც ჩემზე იყოფო, ამბობს ის, ორმოცდაოთხის წლისას მერწმუნა მეფობაო:

ღმერთმან მამცა ეს სიმაღლე ნადირშაჰსა მიზეზობით,
ჯერ კახეთის მეფედ გამხდის, მერმე ქართლში შემკეიდრობით.
კახეთშია ჩემს ზვილს დაესვამ, ერეკლესა მეფედ ხზობით,
ოცდა ოთხის წლისა იყო, პატრესდებდეს ბატონობით.

ჩემს დისწულს, მათის ძესა, ანტონის, კაცსა ლეთისასა,
ეარწმუნე პატრიარქობა, ოცდაოთხისა წლისასა,
ბრალთა სიმრავლით უღირსსა მადლს მომძენს კერთხევისასა,
მცხეთას მიიღო კურთხევა, ზეთს მცხებდა მეფობისასა.

ქართლში, მართალია, მტრებისაგან მოსვენებული არ ვიყავი, მაგრამ ღრინობასაც არ ვაკლდებოდი: აქ თეიმურაზი იგონებს და საკნაოდ დაწვრილებით აგვიწერს წინაღობის სამს სასახლეს: როსტომ მეფისას, ირაკლი პირველისას და ვახტანგ მეექვსისას, რომლის ბადალი ერანშიაც კი არ იყო რაო; კერძოდ როსტომის სასახლის შესახებ ის ამბობს:

როსტომ მეფისგან ნაგები საწოლი სახელიანი,
ნახატი სურათებითა, ყვავილი ფერადიანი,

¹) წერა-კითხვის ხელნაწერი № 1512, გვ. 516, № 6.

²) წერა-კითხვის ხელნ. № 1512, გვ. 26-31, № 2691, გვ. 75-79.

თვით როსტომ ფალავანი და დევნი ეხატნენ რქიანი.
შეეპო დიდად, დაედო სახელად როსტომიანი.¹

მოიგონებს რა ყველა აპას, ავტორი მწარე გრძნობით აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნად ყოველივე წარმავალია, წარბდა დიდება ამ სასახლეთაცაო, წარვიდა ლხინი, რომელიც ამ სასახლეებში განუტლიათ, წარვალს, დიდება ჩემი სასახლეთაცაო, რომელსაც ის აგრეთვე გვისურათხატებს.

√ D მშველის აღმზრდელი თხის გარდაცვალებაზე.

ერეკლე ბატონიშვილს თავის ბავშობისას სასახლეში აღუზრდია მშველი, რომელსაც აწოებდა თხა ბიგინა; ეს თხა მომკვდარა და ამის გამო თეიმურაზს ანნა ბატონიშვილის სახელით ერეკლესათვის დაუწერია გრძნობით აღსავესე ლექსი, რომელშიაც აუწერს მას ამ სამწუხარო შემთხვევას, ვილაც გოგიაურის ქალის როლს ამ შემთხვევაში და ანუგეშებს იმით, რომ საიქაოს შენი თხა კარგს მდგომარებაშიაო. თეიმურაზის ლექსისათვის ონოფრე ბოდბეს თავის მხრივ დაუმატებია ორი ტაეპი, რომელშიაც ის საყვედურს გამოსრქვამს ამ თხის მომვლელის, ალბად გოგიაურის, ქალისადმი, რომ ის მუდამ ფუსფუსებს და თავის საქმეს არ აკეთებსო.²

√ E ზმა განჯათისა, ქადრაკისა და ნარდისა.

ყუმრის, ნარდის, ქადრაკისა და განჯათის თამაშის შესახებ თეიმურაზი ჯაბარაკოზს ჯერ კიდევ „სარკე თქმულთა“-ში, აქ კი ჩვენ გვაქვს სამი სატრფიალო ლექსი, რომელშიაც პოეტი აღიარებს, რომ მას სწევას ტრფობის ალი იმისა, რომლის მსკავისი ცაცს არ უნახავს, თავში სწუხს, რომ სატრფო მას ჯეროვანი ყურადღებით არ ეპყრობა, მაგრამ ბოლოს დამშვიდდება, რადგანაც ეგო, ამბობს ის,

სისხლის რუ კარგად დამწყვიტა, აღარ მადინა თვალითა,
არ ქიშპად იყო ჩემზედა, იწოდა ჩემის ბრალითა-ო.

ზმობა ამ ლექსებისა გამოიხატება იმაში, რომ ორი სიტყვის ნაწილისაგან ვღებულობთ ერთს სიტყვას, რომელიც თამაშობის ტერმინს წარმოადგენს მაგალითად:

ამისგან ჯაფას ბერს ენახავ, ვინ მხესა დაედარების,—

გვაძღვეს სიტყვას განჯათა. დასახელებულს ლექსში ამ გზით ჩვენ გვაქვს მიღებული შემდეგი ტერმინები განჯათის თამაშისა: ალთაფი, ყიზილი, ბარათი, აღაღჩა, ხმალი, ჩანგი, თაჯი, ყუმაშინ, ყარაჯი, თიფი, ეარაყი, ვალი, ასნაფი, ხარჯი, თულფი, ოქმი.

მეორე ლექსი იწყება ასე: „ხმა ნარნარ დიად უბდების ბულბულსა კიკიკობანი“, სადაც ვღებულობთ სიტყვას ნარდი; აქ შემდეგი სანარლო ტერმინე-

¹) წერა-კითხვის ხელნაწ. № 1512, გვ. 30, № 2694. გვ. 78.

²) წერა-კითხვის ხელნაწერი № 1512, გვ. 174—1716, № 3704, გვ. 5—6, № 2675, >

ზია აღნიშნული: იაქე, სე, დუ, ჩარ, ფანჯი, შეში, კამათელი, კაცი, კარი, შე-
კარ, ქვიშარი.

მესამე ლექსი იწყება სიტყვებით „ნიჰად რაკირუკი მესმა კართა ზედა
კენქის ცემით“, რომელთაგან შემდგარა კადრაკი; აღნიშნულია შემდეგი ტერ-
მინები: მფეფ, ლაზიერი, კუ. მხედარი, ეტლი, პაიკი, რუზი, რუჟა, ქიში, შამათი,
ქოსი.¹

მეორე მხრით ზმობა შეიძლება იმაშიც მდგომარეობდეს, რომ სატრუოდ
სიმბოლურად იგულისხმებოდეს განჯათის, ჩარღის და კადრაკის თამაშობა,
პეოტის სურვილი სატრფოსთან ახლოს ყოფნისა და სატრფოს უყურად-
ღებობა ჰგულისხმობდეს თამაშობაში მოგების დაუქმყოფილებელ სურვილს,
ხოლო ბოლოს დამწეიდება პეოტისა სატრფოს მოახლოვებით — მოგებას.

F. ანბანთ ქება

თეიმურაზს შემდეგი ტიპის ანბანთ ქება აქვს ნახმარი: ა) ტაეაში სიტ-
ყები დალაგებულია ანბანის რიგზე, მაგალითად:

აღმეძრა ბაგე გულის დადებით, ეწყო ზედ ცესრეთ თქმულება;
იყნოსე კეთი-ლობა მონისა ნაცხებ ორ პირად ჟამ რის სხმულება,
ტრფილ უფრო ფეროვან კმნი ღირსი ყოვლად შენგან ჩანს ცმულები,
ძველად წყულულება, კერეტად სულობა ეამს ჯვარისაგან ჰაჰ ზები.

ბ) „ამოცანად თქმული“ ორი ანბანთ ქება, რომელთა დანახასიათებელ
თვისებას შეადგენა ის, რომ პირველი ტაეპის ოთხივე სტრიქონი იწყება ა-ნით,
მეორესი ბ-ანით, მესამესი ვ-ანით. და ასე ზ-მდე, მაშასადამე, თვითეული მათ-
განი შესდგება 36 ტაეპისაგან. პირველი ანბანთ ქება იწყება ასე: „არის რამ
უცხოთ საცნობელ გამოუთარგმანებელ ენითა“.² ამის თვითეულს ტაეაში მოცე-
მულია ამოცანის სახით ერთი რომელიმე ფაქტი ახალი ალთქმის ისტორიისა,
ხოლო მეორე ანბანთ ქების („აღეძრათ სიტყუა საცნობელი, არცა ძნიად გა-
მოჩნდებისა“) ტაეებში ფაქტები ძველი ალთქმის ისტორიისა. ამვეარი ან-
ბანთ ქებანი უწერია, როგორც ეციით. ეასტანგ შეექესესაყ.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს სამი ნაწარმოეი თეიმურაზისა, 16 მარკე-
ლოვანი ლექსით დაწერილი; ესენ ა: ა) შაირი კიდურწერილობით დაწერილი
პეტერბურლს 1761 წელს (ექტემბრის 12-ს; ბ) ანბანთ ქება ლექსად თქმული
1761 წელს დეკემბრის 10-ს; გ) ყოველთა მელექსეთა უმჯობესსა, დიდსა ფილო-
სოფიისა მკოდნესა. ბრძენს რუსთველსა ზედა ბაასი პეტერბურლს.³ ეს სამი ნა-

¹ წერა-კითხ. ხელნაწ. № 1512, გვ. 176-178, № 2676 ა, გვ. 145-147, № 3704. 35.
112-112.

² წერა-კითხის № № 142, 143, 2176 ბ.

³ იგივე ხელნაწერები.

⁴ წერა-კითხ. № 1512, გვ. 1262-1275; ეს უკანასკნელი დაბეჭდილია ივერიაში 1874
წ. № 7, გვ. 92-95.

წარმოები დაკავშირებულია ერთიმეორესთან იმით, რომ სამნივე დაწერილია პეტერბურს 1761 წელს და სამივეში შექმნილია ერთიდაიგივე მხეთუნახავი რუსის ქალი. პირველი ნაწარმოების სტრიქონთა დასაწყისი ასოები გვაძლევს აკროსტიხს: „ვითა ფერობს სიკეთესა შენსა, ეგრეთ საქებელ ხარ დიდად ევროპიასა, დასავით საყვარელო ჩემო“; მეორე ნაწარმოების ტაეპი დაწყობილია ანბანის რიგზე, შესამეს არც აკროსტიხი, არც ანბანის რიგი აქვს. ეს ნაწარმოებნი შეადგენენ ერთიმეორის გაგარძელებას, ასე რომ შინაარსი მათი ერთად შეიძლება გადმოცემული იქმნის. პოეტი მოუჯადოვებია ვილაც რუსის ქალს, რომელიც არის ორს მნათობს შესადარისი, კეკლუცი, ბრწყინვალე, ყოველ შემთხვევაში მისი ბადალი ქვეყანაზე არვიანაა, მსგავსი იმისა არ მოიძებნება ევროპაში; მან იცის ზედმიწევნით ფრანგული, ნემეცური და იტალიური ენები, მისი ქება არ ძალუძთ ბრძენთ, ფილოსოფოსებს და რიტორებს, ის არის უსაყვარლესი და უმშვენიერესი შვილი თავისი მშობლებისა; მამა მისი არის ტანად ლომი და პირად მზე, ხელმწიფესაგან დადგინებული სპასალარად, რომელიც ქუთაზედ ჰრევს პრუსიას და პრუსიის კოროლს. სილამაზესთან ერთად ეს რუსეთში დანერგილი და აღმოცენებული ქალი შემკულია ყოველგვარი სათნობით, ის, როგორც ქრისტიანი, ემსგავსება თავის მოსახელეს ბარბარას, მრავალი მოინდომებს და ნდობობს კიდევ მის ქმრობას, მაგრამ არის კი ვინმე ქვეყანაზე ასეთი ბედნიერების ღირსი? პოეტი დამწვარია ამ ქალის ეშხით, ფარჯა არ ძალმიძს შენი სიყვარულისა, შენი სიმშვენიერი და ეშხით მთერალი ვარ, გიხილე თუ არა, სურვილის ბადეში გავეხვიე, ეშხის ფეთებით მელევა სული და მეშინია, რომ სიყვარულის სურვილით არ გამიმრავლდეს ენებანიო; პოეტი გაგიჟებულია იმ აზრით, რომ ის მალე უნდა წავედეს და მოშორდეს მას:

ეგრეთა ეგონებ, გაყრამა მე თქვენმა გამახელოსა.

ღამაზთ თვალთ მოვეშორები, როს წაეალ საქართველოსა.

საყურადღებოა ამასთან ის, რომ პოეტი იმედწარწერულია, ის დარწმუნებულია, რომ ღირსი არაა ამ ქალისა, ამიტომ ის მზადაა, თუ როგორც სატრფო არა, ძმურად მაინც მოეხვიოს მას.—შენ ჩემთვის უსაყვარლეს ხარ დისაო, ეუბნება ის მას. ვინ არის ეს ქალი, რომელსაც ასე ვაუციკებია უკვე მოხუცებული და ხანში შესრული მგუე—პოეტი? ეს არის ვილაც პრუსიის შემქმნისრელის სპასლარის ქალი, ბარბარე ალექსანდრეს ასული. აგვიჩერს რა ამ ქალის მშვენიერებას, რომელმაც პოეტი ასე დაიმონა, ის მიმართავს რუსთველს: მე არ შემიძლია შევაკო მისი ციმციმ-ბრწყინვალეებანი, ეს ისეთი ფილოსოფოს-რიტორის და მელექსეს საქმეა, როგორიცა ხარ შენაო. მიკვირს, რად დაშვერ შენ ტყეილად, შეგიქია ისეთი პირები, რომელნიც არასდროს არ ყოცილან; არ ყოფილა ინდოეთს არც ნესტანდარეჯანი, არც ფარსადანი, არც ტარიელი; არ გავონილა არაბეთს როსტევეანი, არც აეთანდილი და არც თინათინი. ეს სულ ყველა მოგიპორავს შენ და თავი გაგიმწარებია მათ ქებაზე, უკეთესი არ იქნებოდა შენი ნიჭი სხვა რამეზე მოგებმარებია?

თქვენი ღრმად მეტყველებანი უცხო რამ საკვირველია,

თუმცა მართალზე თქმულიყო, რა ტყბილი საკითხველია,

ვეფხისტყაოსნის ლექსები სხვას ლექსთა გამკიცხველია, საქართველოსა კაცთათვის სატრფო და სასურველია.

შენი ნათქვამი საღმრთოდ თუ საეროდ მოიხმარების, სჯობდა მას ხელდა თქმულიყო, ვის მზე არ შეეღარების, ევროპიაში რომელსა ბნელი არ მიეკარების, ვინც რამე ნათლობს ნიადაგ, შუქი არ დაემალების.

ამაზე რუსთველი უპასუხებს: ვინ არეხილა ჩემზე, ვინაა ეს მელექსე, რომ ექვსასი წლის მკედარს მოსვენებას არ მადღევს, ან რა უნდა ჩემგან? მე იმ დროისა ვარ, როდესაც მთელი საქართველო ერთის ხელმწიფის, თაჰარ მეფის, იყო, ვიყავე მისგან პატივემული მეფის მდივნობით; ვიცილი ფილოსოფია, მას მოსწონდა ჩემი მდივნობა და მიბრძანა: რადგანაც ცოდნა გაქვს, ლექსები გამოსტკეო; მეც ეპოვე ამბავი და ლექსად ვსტკეო-ო. მე მისაყვედურებ, მელექსე, რომ მოკორილი ამბები სტკეირ, რად არ მოიგონებ პაპა შენს?

პაპა შენს, შენგან უკეთესს, ჰქონდა მას სიბრძნე გულისა, მასაცა უთქვამს შიირი მიჯნურთა დადაგულისა, ვინც წაიკითხავს ჩემს ნათქვამს, მიგდება უნდა ყურისა, ჩემმან ლექსებმან ერთს ეამსა პაპაცა გაგიგულისა.

ვინ არის ის, ევროპიაში სწორუპოვარი, ქალი, რომელსაც შენ აქებ? აუ, ის მართლა ასეთია, ჩემს მეტი ვერ იტყვის შესაფერს:

მე თუ მაგ დროსა მეცოცხლა, გავირჯებოდი მე დია, ვისაც შენ აქებ, მაგაზედ კარგს ლექსებს გამოოსტკეემდია, მას სიტყუითა შევამკობდი, შენ კარში გაგაგდებდია, რადგან შენს საქებრად დარჩა, მას არ ჰქონია ბელია.

საყურადღებოა, რომ ამ ვაბაასებაში, რომელშიაც გვესმის გამოძახილი აოჩილ მეფის ანალოგიური შრომისა, გატარებულია შეხედულება, რომელიც წინათ ფეშანგი ფაშვიბერტყაძეს გამოუთქვამს თავის შაჰანავაზიანში, —სახელდობრ: რუსთველმა თავი შეიწუხა არარსებულ პირთა ქებით და თანამედროვე, ცოცხალ პირთათვის კი არ მიუტკეეია ყურადღებოა.

აი ყველა ის, რაც ჩვენამდე შენახულა თეიმურაზ მეორის სახელით, თიქსარიანის გარდა, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.² მართა-

1) ახახანაშვილი ფიქრობდა, რომ პოეტი ამ ლამაზ ქალად ჰგულისხმობს თამარ დედოფალს (Очерки III, 153), რაც სიმართლეს არ შეეფერება.

2) ა. ახახანაშვილმა თეიმურაზის აქ ჩამოთვლილ თხზულებათაგან იცის მხოლოდ „რუსთველთან ვაბაასება“, სამაგიეროდ ის მას მიაწერს (Очерки III, 154-155): 1) ამოცანა — „სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა გებული“; მაგრამ ვიცი, რომ ეს ამოცანა გაუგებებია იაკობ შემოქმედელს არა თეიმურაზმა, არამედ იოსებ ტფილელმა; 2) ზაქარია ვაბააშვილზე ციობას უფერულს. მაგრამ ნუსხებში პირდაპირაა ნათქვამია, რომ ეს ციობა ეკუთვნის მღვდელს დავითს, ურია ყოფილს (წერა-კითხ, № 1511, გვ. 96-973); 3) სატირას, რომელშიაც ნათქვამია:

მთიულნი ცუნენა მოგარევენ, თუ თვალი დაგიხუჭია,
მიბრძანდი საციციანოს, მოგარაუენ ბატის კუქია.

ლია, თეიმურაზსაც ვერ დაუხწყევია თავი აღორძინების ხანის შაბლონისაგან, რომლის მოთხოვნილებით ყურადღებას პირველ ყოვლისა საღმრთოს აქცევდენ და ამბატომ მოვალედა სთელიდენ თავს ანბანთქებაში და ლექსად გადაკეთებულს ბიბლიის მოთხოვნებში ღმერთსა და საიქაოზე ეუიქრნათ; მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თეიმურაზი პირველი რეალისტი პწერალია ჩვენში, რომელსაც ყურადღება მიუქცევია ერის ცხოვრებისა და ზნეჩეულებისათვის და ფოტოგრაფიული სისწორით დაუსურათხატებია ისინი („სარკე თქმულთა“); ამ მხრივ აღორძინების ხანაში მას იშუკათად თუ შეედლება ვინმე. სტილი თეიმურაზისა ყოველთვის სწორი არაა (განსაკუთრებით თინსარიანში), ხოლო ლექსს აკლია პარმონია და ნამდვილი პოეტური აღმატრენა. გრძობათა სიღრმით და გარეგანი მოხდენილობით ყველასა სჯობს ის ორი ნაწარმოები, რომელშიაც პოეტი აქებს რუსის ქალს ბარბარე ალექსანდრეს ასულს.

5. მამუკა ბარათაშვილი.

მამუკა ბარათაშვილი იყო შვილი გამოჩენილის სარდლის თამაზასი და ამისშვილი ვახტანგ მეხუთის შაჰნავაზის პარველი ცოლის როდამისა. ის ბიძაშვილად ხედებოდა საბა-სულხან ორბელიანს და სიკაბუეში ვახტანგ მეექვსის რფარველოზის ქეემ იმყოფებოდა, რასაც არაერთხელ აღნიშნავს თვით მამუკა თავის ნაწერებში. ყველაფერი ეს საკმაო გარანტია იმისი, რომ ცნობისმოყუროე, ნიჰიერი მამუკა საუკეთესო განათლებას მიიღებდა, რაც კი იმდროს შესაძლებელი იყო ჩვენში. მამუკას ზედმეტი თუ ნათლის-სახელი ყოფილა მათე, ის ასე ხშირად უწოდებს თავისთავს, ასევე უწოდებდენ მას, სხვათა შორის, რუსებიც რუსეთში ყოფნისას; ამიტომ საეკვოდ მიკვაჩნია გ. ლეონიძის პიპოთეზა, ვითომც ის თომა, რომელსაც დავით გურამიშვილი მეღექსეობდას ეცილება და რომელიც 1754 წელს რუსეთიდან საქართველოში მოსულა ცხენების სასყიდლად (ქართლ. ეხოვრ. II, 453); იყო ჩვენი მამუკა ბარათაშვილი.¹ ეს

სამილახვარო ბიკები. მკერდსქელი, ზიგნია ფუკია.

ღოიანთ ბაათიანთა ზრმალზედ აცედეათ მუკია;

მაგრამ ეს სატირა, როგორც ნუსხებშია აღნიშნული (წერ.კით. № 1512, გვ. 367-8), ექსენის არა თეიმურაზს, არამედ გოჩას. 1) ეპიტაფიას თამარ მეუისას: „როს ნაქარმაგვეს მეფერი შეიღნიგ პურად დამეხხნეს“, რომელიც არსენ ივალთოელს ეკუთვნის (კ. ქეკელიძე წართლი ლიტერატურის ისტორია I. 289); 2) ვახტანგის ეპიტაფიას: „მე უნცირესმან ძმათაგან“, რომელიც ეკუთვნის არა თეიმურაზს, არამედ ვახტანგ მეფეს (წერ.კით. № 1512, გვ. 93); 3) საგვეთა თეიმურაზს ეკუთვნის ის ლექსი, რომელიც თითქოს ეთქვას მას ერთი გლეხის ქალისათვის აღდგომა დღეს გომბორზე შეხედრისას (მოგზაური 1901 წ. № 2, გვ. 183);

ა ქალო ვაშლი წითელი, ხელთ რომ გიკირავს კალათა,
შენმა წარბმა და წამწამმა მე გული მომიკალათა.

1) კაშნიკი მამუკა ბარათაშვილისა, გვ. 43, 47.

რომ ასე იყოს, ერთხელაც იქნებოდა, სადმე ამ სახელსაც აღნიშნავენ ჩვენი პოეტი. როდის დაიბადა მამუკა, არ ვიცით, მაგრამ, საფიქრებელია, არაუადრეს მეჩვიდმეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებისა; საქმე ისაა, რომ 1700 წლის ახლო წანებში თამაზა ორი ვაჟით, კაციათი და მამუკათი, და ორი ქალით ირაკლი ნახარაღიანმა ქირმანს წარგზავნა პატიმრად (ქართ. ცხოვ. II, 312). აქედან თამაზა თავისი შვილებით გაგზავნილ იქმნა ყანდაარს, სადაც 1701 წელს მოკლულ იქმნა ბრძოლაში (ქართ. ცხოვრ. II, 69); ამის შემდეგ, 1703 წელს, კაცია გიორგი მეფესთან ერთად ყანდაარის რევილიუციას ამშვიდებს (ქართ. ცხოვ. II, 70), მამუკა კი არ ჩანს. ალბად იმიტომ, რომ ჯერ ის ისე ახალგაზდაა, რომ ომი არ ეხერხება. 1703 წელს, როდესაც ყენმა ქართველები სამშობლოში დაითხოვა (ქართლ. ცხოვრ. II, 70), ალბად მამუკაც დაბრუნდა შინ და „პატრონის“, ვახტანგ მეექვსის, სასახლეში დაიკავა ის ადგილი, რომელმაც გარკვეული გზის მისცა მის შემდეგს ცხოვრებას. არ ვიცით არაფერი მისი ცხოვრებიდან 1722 წლამდე, როდესაც ის ტაბახმელას მიდამოებში მამადყულისხანს ებრძვის (ქართლ. ცხოვრ. II, 83); ყოველ შემთხვევაში ის მამუკა, რომელიც 1722 წელს რუსეთის იმპერატორს ვახტანგთან გამოუგზავნია დიპლომატიური მისიით (ქართლ. ცხოვრ. II, 82), არ არის ჩვენი მამუკა,¹ არამედ ის მამუკა, რომელიც ჯერ კიდევ 1701 წელს აახლა არჩილ მეფემ ვახტანგს რუსეთიდან წინადადებით-მოსკოვში გადმოსახლდით (ქართლ. ცხოვრ. II, 69). 1724 წელს, როდესაც ვახტანგ მეფე მრავალრიცხოვანი ამალით რუსეთისაკენ გაემგზავრა, მამუკაც თან გაჰყვა მას იმ თერთმეტ ბარათაშვილთან რიცხვში, რომელთაც პოემა ვახტანგიანი ახსენიებს; ამ დროს მისი თანაპნდებობა ყოფილა მეფის „ხმალთა ქერანი“ (წერა-კითხ. № 303, გვ. 19). როდესაც ვახტანგი აშთარხანიდან მოსკოვს გაემგზავრა, მისი ამალა აქ დარჩა; ამ ამალაში, მამუკას გაადა. იყო არაერთი და ორი მწერალი, როგორც, მაგალითად, საბა-სულხან ორბელიანი, კახთა მეფის მდივანი ონანა, დიმიტრი სააკაძე და სხვანი, რომელთაც ხელთა ჰქონდათ მდიდარი წიგნთსაცავი, საქართველოდან გადმოტანილი. მათ აქ სხვა საქმის უქონლობის გამო, ხელი მიუყვიათ ინტენსიური ლიტერატურული მუშაობისათვის; მამუკას 1725 წლის დეკემბრის 9 აქ დაუმთავრებია თავისი პირველი შრომა წამებულთ (წერა-კითხ. № 303, გვ. 1). 1728 წელს მამუკა ერთერთი წევრია იმ დიპლომატიური მისიისა, რომელსაც რუსეთის მთავრობა ჰგზავნის ვახტანგ მეფის მეთაურობით შაჰთამაზთან მოსალაპარაკებლად კასპიის ზღვის სანაპიროების შესახებ. 1730 წელს ვახტანგის ამალაში მყოფ მწერალთა ხომლს ემატება კიდევ ერთი ვარსკვლავი.—დავით გურამიშვილი, რომელსაც, როგორც შემდეგ დაივინახავთ, მტკიცე ლიტერატურული კავშირი დაუტკერია მამუკასთან. 1733 წელს მამუკა და დავითი მოჰყვებიან ვახტანგ მეფეს, რომელიც მდინარე ედილით კავკასიისაკენ გამოემგზავრა საქართველოს საქმეების მოსაგვარებლად. 1734 წელს ის სწერს „ბაქარ მეფის ქებას“, რაც იმისი მაჩვენებელია, რომ მისი სიმპატიები ამ დროს საბოლოოდ გადახრილა ბაქარისაკენ, რომელსაც ის თან გადაჰყოლია მოსკოვს, როდესაც ვახტანგი აშთარხანს დასახლდა. 1736 წლის ახლო წანებში მამუკა, ქართველ თაყადაზნაურობის დავალებით,

¹) როგორც გ. ლეონიძის ჰონია, იქვე, გვ. 24.

იმპერატრიცას წარუდგება პეტერბურღში და სთხოვს ლტოლვილი მეფე სამშობლოში დააბრუნოს შესაფერი პატივითა და გარანტიებით. რა მოუვიდა მას ბაქარის გარდაცვალებას შემდეგ, დანამდვილებით არ ვიცით; მისი თანამედროვე და მეგობარი პოეტის, დიმიტრი სავაკაძის, ნაწერებიდინ ვტყობილობთ, რომ მას შემდეგ ის ცხოვრობს პრესნაში და რომელღაც სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობას ლებულობს:

1) თავადი დიმიტრი უასილისძე სავაკაძე, ერთერთი იმ სააკაძეთაგანი, რომელნიც, ვახტანგის დინით. ვახტანგ მეფეს გადაჰყვენ რუსეთში, საქმოდ ცნობილი მწერალი ყოფილა მოსკოვის ქართველ კოლონიაში. კრებული მისი ლექსებისა ჩვენ გვაქვს წერ.-კით. ხელნაწერში № 303; ამ ლექსების საშუალებით რამდენადმე შესაძლებელია მისი ბიოგრაფიის გათვალისწინება. ის თანამოასაკეა მამუკა ბარათაშვილისა, ჯველობაში განთქმული მხედარი ყოფილა, რაღაც დანაძაულისათვის „დიღეში ხანგრძლივ“ მჯ.არა, რუსეთში მიემ. ეზულ ნაწილად პრესნაში ცხოვრობს ინტიმური განწყობილება აქვს ვახტანგის ძის, გიორგი ბატონიშვილის, ოჯახთან, დიმიტრი ბაგრატიონთან, დავით გურამაშვილთან, მამუკა გურამაშვილთან და მამუკა ბარათაშვილთან. სამოციან წლებში ის უკვე ღრმად მოხუცებულია და მამუკა ბარათაშვილთან ერთად საწინფლს სულიერ ტრადედიას განიცდის, როგორც ეს შემდეგი სიუჟეტიდან ჩანს:

სუე-ბედმან მუხანათმან სამყოფთაგან აღმოგვბოცა,
სიყრმით ჩვენი თვალთა ჩენთა ცრემლი აროს მოგეხბოცა,
სამყოფთაგან იაუარგეყო, სიხმარშიაც არ გველოცა,
ყოფვიზ ნაცულად ღმერთსა ჩვენსა ჩვენთვის მეთი რა მოეცა.

ჩვენ მოგვიღონა უფალმან პირველ მოსესგან თქმულები,
სამკვიდროსაგან განვესბა, სხეაგან გვქმნა დაკარ. ულები,
რუსეთს მოევიეთ. ყინეთა გულსა გვანჩა წყლულები,
აქაც შეეცდით და დავკარგეთ გული, ცნობა და სულები (№ 303, გვ. 132)

ჩანს, მოხუცებულობაში ეს ორი მწვავე ბედით შეერთებული მეგობარი უკიდურეს გატრეყებას და შევიროებას განიცდის. ეს ნათელია დიმიტრის შემდეგი სიტყვებიდან:

ველარ ვახლავარ, პატრონო, ელარც ესკამ თქვენთან სუპებსა,
ელარენ მიწდევს ცეხილს ლინოს, არც მიდგემ სირჩა რუყებსა,
კაპუსტასა ვკარფე, შეშას ვსპრი, ეჩახი ეპი-უეჟსა,
სიბერით დასუსტებულნი, ცრემლსა ვღერი ღაპა-ღუპებსა.

ელარც შეშა მაქეს, ზამთარმან წამომაცარა ბუქია,
გაჭირებაში სიბზნე ხამს, რუსთველსაც ასე უქია,
ეს სჯავლა მისთვის კარგია, ვინც უფრო ყმა ჩაუქა,
არ ჩემ რ მოხუცებულსა წა-სლეოდეს სიყმის შუქია.

ფერხთაც არ შემრჩა, რაღა ვქნა, თქვენი წყალობა ნალები,
დავხედავ. შოგნა არ ძალმის, ცრემლით მეცებთა თვალები,
ჩუღოც არა მაქვს სხამთროდ, გულსა მედებთა აღერი,
ნახეთ, სიფელმან რა მიყო, პრესნას მწუნობენ ქ ლები. (იქვე, გვ. 115)

მთავარი მორტივი დიმიტრის ნაწერებისა არის გოდება წუთისოფლის სიმუხთლისა და ეგვიპტის გამო, რომელმაც ის მოაშორა საყვარელს სამშობლოს და ცივის ჩრდილოეთში გადასვლა, და კენესა ადამიანთა, უფრო კი ქალთა, გაუტანლობისა და ცბიერების გამო; ეს გატრეყებულია „თ. ვადის დიმიტრი ვასილისძის თავგადასავალში“, რომელიც წარმოდგენილია 45 ბარათის, სხე დასავა პირთა მიმართ, განსაკუთრებით დიმიტრი ვიოგრისძის ბაგრატიონის, მამუკა გურამიშვილის, გიორგი ვაუტანისძის და სხვათა მიმართ № 303, გვ. 110-133). აქვს სატრეფილო ლექსიც, რომელშიც სატრეფო წარმოდგენია ორი ძვირფასი თვალის, ანთრაქისა და იაკინთუს, საით; ეს თვლები ვილკას წაურთმე, ია მისთვის და ამის გამო სულამოსკენილი სტირის და თავის ბედს სწყველის (№ 303, გვ. 56-61).

მამუკა გურამიშვილი მაგრა ღვას, ვითა ლოდია,
მეც გვერდთ ვახლავარ მებრძოლად, ჯერ არკინ დაგვიკოდია,
დალონებულ ვართ ორნივე. გულს დავეცემია, ოჰ, ღია,
არცა გეაქვს სასმელ-საქმელი და არცა ოქროს ზოდია (№ 303, გვ. 118).

აპიტომ, მართლაც, შესაძლებელია, ის, სხვა ქართველებთან ერთად, სამხედრო სამსახურში შესულიყოს და რუსეთის ოქებში მონაწილეობა მიეღოს. საეკელო უნდა იყოს გ. ლეონიძის მოსაზრება, ვითომე მამუკას მოსკოვში სახლთუხუცესის თანამდებობა ჰქონდა; დიმიტრი სააკაძის სიტყვები: „სახლთუხუცეს ვეზამ თავაზას, მიკვირს მამუკას ზრდილობა“ (ქაშნიკი, გვ. 41—42), მიმართული უნდა იყოს არა მამუკა ბარათაშვილის, არამედ მეორე პოეტის, მამუკა გურამიშვილისადმი, ვინაიდან დიმიტრი სააკაძე, რომელიც დიდად აფასებდა მამუკა ბარათაშვილის ნიქსა და განათლებას, არ იტყუა მის შესახებ: „მიკვირს მამუკას ზრდილობა, სიბრძნესა სჩემოვას და არ აქვს მას ბრძენთა მონაწილეობაო“ (№ 303, გვ. 129). მომკედარა მამუკა პრესაში, დაახლოებით საპროციან წლებში, როგორც გვაუქიქებინებს ამ დროს დაწერილი ლექსი დიმიტრი სააკაძისა:

ციციისთან ვახლდი მამუკას, ცოტად რაჲ ვავინარეთა,
წამობრძანდა და ვიახელ, მოველით პრესნას არეთა,
წარიქცა, მე თავს დავადეგ, ცრემლს მოვადენდი მწარეთა,
დავსწყევვეთ ვინც რომ მოვიდა პირველ რუსეთის მხარესა (№ 303, გვ. 131).

მამუკა ბარათაშვილი საყურადღებო პიროვნებაა ჩვენს მწერლობაში, იმასთან ერთად თუ მონაწილეობა მიუღია ჩვენი პოეზიის გამდიდრებაში, ერთგვარი საჩემდღვანელოც კი შეუდგინა პოეტიკისა, რომელისათვისაც ქაშნიკი დაურქმევია. ეს შრომა დაწერილია ვახტანგ მეფის ბრძანებით 1731 წელს მოსკოვში; იმაში ავტორს მოუყია განმარტება სხვადასხვაგვარი ლექსთწყობისა, შესაფერი ილუსტრაციით, როგორც ძველი მწერლობიდან, ისე თვით ავტორის პოეტური

1) თავადი მამუკა გურამიშვილი დაბადებული უნდა იყოს რუსეთში მე-18 საუკუნის ორმოცდამეორე წლების დამდეგს, ცხოვრობს ის, როგორც დიმიტრი სააკაძის ლექსებიდანა ჩანს, ხან ავტორბურღში ხან მოსკოვში, ვსესეიარტკაში. ხან პრესნაში, სადაც ის დიდი დროებით ართობს ნარდის თამაშით არაგვის ერისთავის ასულს როფამს, ოტია დივანბეგის ანდრონიკაშვილის ცოლის დას (№ 303, გვ. 117, 128, 129; ამავე დროს უკირაეს მას სახლთუხუცესის თანამდებობაც და ამით აიხსნება მისი სიახლოვე გავლენიან, დიდ-დიდ პირებთან. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა მოდის უმთავრესად მე-18 საუკუნის უკანასკნელ მეხუთედში; ამ დროს დაუწერია შას, მირიან ბატონიშვილას ბრძანებით, დავით გურამიშვილის მიბაძვით, ერთი ვრცელი ნაწარმოები, რომელიც იწყება ასე:

ეო, მეო, დავითს მივბაძეო,
გამიგანე, რას მოგიბოძაო, ყური მამიგდეო,
ყველას მოგწონდეთ შეგნებით ჩემი მხეთამხეო.

„მხეთამხედ“ გამოყვანილია დემტით და წარმოდგენილია მისი მზრუნველობა ადამიანისათვის (№ 303, გვ. 97—109) მის კალაშ ვეუთენის ავტორე „კაფლანის კაბის მაგიერო“, რომელიც შიკვას ბაუნაშვილის შოიანის ქებას ან ხუტბას (№ 303, გვ. 109—110), და მოკლე ეპისტოლე თავადის დიმიტრი ბაგრატიონისადმი (№ 303, გვ. 163—164).

შემოქმედებიდან. ეს პირველი ცდაა და საკმაოდ აშეღაენებს ავტორის დაკვირვების ნიჭს, ქართული ლექსის ბუნების შეგნებას და პოეზიის თეორიულ გაგებას, რომელიც, სამწუხაროდ, მაინცდამაინც ზალალი არ ყოფილა. მამუკას აზრით პოეზია უმთავრესად საღვთო, ეკლესიურ თემებს უნდა ეხებოდეს და საგალობელთა და იამბიკოთაჲ არ უნდა ერიდებოდეს, ეინაიდან ისინიც „ერთი რიგი ლექსობისა არი:“ პოეზიის მიზანი პრაქტიკულია; ეს უნდა ზნეობრივად სწრთენილდეს ადამიანს, ამიტომ პოეტს „მართებს ავი ამბავი არ ვალექსოს.“ ზნეობრივ გაწრთენასთან ერთად, რომებისა და ფალავნების ამბის თქმით, მან, პოეზიამ, უნდა კაცი გააგულონოს, ომი მოანდომოს და იარალის ხმარება ასწავლოს და ამით მეფისა და ქვეყნისათვის გამოსადეგი გახადოს.¹ საყურადღებოა, რომ ამ სქოლასტიურ დოქტრინას მამუკაც არ მისდევს თავის ლიტერატურულს მუშაობაში: საღვთო, საფალავანო და მორალური თემები არაა მთავარი თემები მისი ნაწარმოებებისა. საფალავანო ამბებიდან მას გაულექსია 1732 წელს ერთი თავი რუსულ დანიანისა, რომლისათვისაც ჯიმშედანი დაურქვევია და რომლის შესახებ უკვე გეჰონდა: ლაპარაკი რუსულ დანიანის შიშობილვისას (გვ. 274). საღვთო თემმახედაც მხოლოდ ერთი თხზულება დაუწერია მას, ეს არის ეგრეთწოდებული წამებულნი, რომელიც მას შეუთხზავს აშტარხანს 1725 წელს: ეს არის მართლმადიდებელი ეკლესიის სეინაქსარის ან კალენდარის ვალექსვა, რომელშიაც წარმოდგენილია ყოველდღიურ წმიდათა სახელები თვეთა რიცხვების რიგზე. იწყება ის სექტემბრიდან, როგორც მიღებულია საეკლესიო კალენდარში, შემდეგი ტაჲით:

- ა. ღირსსა სვიმიონს, კალისტეს და ერმოგინეს, ისოსა,
- ბ. იოვანეს და მამანტის, მათ წმიდათ, არ უღირსოსა,
- გ. ანთიმოს და ბეოქტისტე, შორით არ გარდამისოსა,
- დ. ბაბილასა და მოსესა ვეედრებ მტერი მისრისოსა (№ 303, გვ. 1—19).

ეს იმავე ხასიათისა და ტენიკის „ვალექსილი კალენდარია,“ როგორც მეტერთმეტე საუკუნეში ვადმოუკეთებია იოანე პეტრიწს ქრისტეჲორე მიტილენელის წრომიდან.²

უფრო მეტადაა წარმოდგენილი მამუკას ნაწერებში ლირიკული ხასიათის ლექსები; მათში არც ერთი არაა ისეთი, რომელშიაც განყენებული მორალური, მით უმეტეს ასკეტიკური, დებულებანი ისეთი სიმკვეთრით იყოს ვატარებული როგორც ამას ვხედავთ ჩვენ სხვების ნაწერებში, მაგალითად თეიმურაზის, არჩილის, ვახტანგის და დავით გურამიშვილისაში.

მთავარი მოტივები მამუკას ლირიკისა შემდეგია:

1. ქება და ზოტბა. ამ მხრივ, გარდა პატარა ოთხტაჲოვანი იამბიკოჲსა, რომელშიაც ათმარცვლოვანი ლექსით შექებულია ვახტანგ შეეჲქვე,³ საყურადღებოა „ქება მეფისა ბაქარისა,“ დაწერილი 63 ჩახრუხაული ტაჲით,

1) კაშნიკი პირველად აღ. ხანანაშვილმა გამოსცა, მოამბე 1900 წ. XII.

2) კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 305—307.

3) „ჩემი ხელმწიფე, ჩემ საქებარი, არის იგ ჩემთვის ვალნადებარი;“ (წერ. კითხ. № 303

1734 წელს.¹ ამ ოლაში „მეფეს ბაქარსა, სიტყვით შაქარსა, აქებს მამუკა ბარათაშვილი,“ სახელდობრ, მის ფიზიკურსა და სულიერ თვისებებს და ქრისტეს² მოსაგობას. ავტორი შენიშნავს, რომ ამ შემთხვევაში მე მივბადე „ბრძენთა მათ ორთა, თვით სცნობდეთ სწორთა“-ო, ესე იგი:

იაკობ მბაძეს და ჩახრუხაძეს ექოთ მეფენი მათ სიბრძნის მწებად,
არჩილ და თამარ, არა მათ ამარ, დავრჩი ბაქარის მე მონა მქებად.

აქ იგულისხმება იაკობ სამებელ-შემომქმედელი, რომელმაც აიღო „დავით აღმაშენებლისა და თამარის ქება“ (ეგრეთწოდებული აბდულმესიანი იოანე შაკთელისა) და ყველგან, სადაც დავითი ან თამარია ნახსენები, არჩილი ჩააწერა. მერე მამუკა ჩამოთელის სხვა მწერალთაც, როგორც, მაგალითად, „ძველთა მეფეთა, ძლიერთა, მხნეთა,“ რომელთაც დაგვიტოვეს მაჯამა (თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგი), „საბამ ქილილა, შოთამ ტარიას ტრფილაღბანი, მეფენან (ვახტანგ) ბრძენთა, სიტყვა-მსგავსენთა, სიბრძნე-ლალობად სახელღებანი,“² და ჩახრუხაული პათოსით მიმართავს ბაქარს:

მეფეე ძლიერო, მტერთა მთხიერო, შემამწიერო, ძალთა მციერო,
თანაზიერო, დასთაციერო, ლომებრ მშიერო, სჩან სახიერო,
ლაშე მთიერო, წყობად მზიერო, მავნე მტკიერო, სხვათ თვით სვეერო.
საზომიერო, პასაიერო, კარგსიტყვიერო, მაშუქიერო!

სარგებლობს რა სურათით: „მზემ სამხრით ჩრდილოს იწყუ ბადება,“ მამუკა აგვიწიერს პეტრე დიდის სახელგანთქმულობას და ძლიერებას, თვალს მიმოავლენს ბაქარის ოჯახს, რომელსაც „თვით თანა დეტი ჰყავს, ვითა სვეტი,“ ეს ხარებს მას, მათეს, ან მამუკას, მაგრამ ამავე დროს ცრემლები მოსდის, როდესაც მოიგონებს: „დაიორღვა თემი, სამკვიდრო ჩემი“-ო.

2. წუთიხფელის ხიმუხთლე და ვერაჯობა. ეს მოტივი გატარებულია სხვათა შორის, ფისტიკაქურში³; ხანაც კოეტი აზრობს:

-საწუთო ესე მუხთალი. ყოველთა მტერი, რასათვის აოის კაცი
იმისი მდომარე?
არა აქეს შეება წყეულსა, ილით- ჩენთვის ნიადაგ მზირად არს იგი
მჯდომარე.

არის ქეეული, მიწყეე უპირო.....“ (წ.-კითხ. № 303, გვ. 2).
რეულში მამუკა ამბობს:

სოფელია ყოელთა მწველად, რასთვის მიჩნდა იგი მშველად?
ნათქვამია სიტყვა ძველად, ვინ მიენდოს მისთა მკვლელად?
(იქვე, გვ. 32).

მოკლე შეწყობილში მამუკა უფრო ძლიერად წარმოსთქვამს:

წყევა მაქვს საკურველისა, მუხანათისა კრელისა,
საწუთოს წამთა მქნელისა, დიდების დამცემელისა

¹) წერა-კითხ. ხელნ. № 303, გვ. 19-30.

²) იხ. ვახტანგის „სიბრძნეთაგან ფილოსოფოსთა“ და „სიბრძნე მალაღობელი“.

ბევრი ჰყავს ჩემებრ მღურავი, ხამს ზღვათა მჯდომი მტურავი,
ვის მისგან დასაბურავი უნდა, სთმოს, მისცეს თურ ავი.

ვინ მისი მიმნდობარია, წამ ერთის მეგობარია,
მისცეს ლახვართა მწვედარია, ბოროტ გრძელ შვება მდარია.

წყეულ ხარ, ბევრი სჩივის, მაქებრად არვინ გივის,
პნათობ, ვით ცეცხლი თივისა, ცხელ და წამ მარამ ცივისა.
(იქვე, გვ. 34).

მოკლე ლექსში ასე აგვიწერს პოეტი წუთისოფლის ვერაგობას:

ვინ ენდო მტირედ სოფელსა,
პეიქმს ჩემებრივ მყოფელსა.
დავგმე და სჟლი უხარი.
მათ, ვინცა მისგან უხარი.
მიწყვი ვემღურით წყეულსა,
პაგრამ მოგვაგებს წყეულსა.
მამცემს რაც მიმიცემია,
მიმღოთ თან მიმიცემია.
სჯობს მისგან უეპკრელობა,
არავალი უეპკრელობა.

საწუთო ერთის წამისა,
განეშორენით წამისა.
ნურავის გინდათ ამება,
თვარ თქვენცა, ვით მე, ამება.
იქმნებით მოუსვენია,
ყოფლათვის მოუსვენია.
სხვადასხვაფერად სახენი,
მიწყვი ლახვარი სახენი.
ვის მისგან უნდა კეთილი,
მიხედვს სახმილი კეთილი.

(იქვე, გვ. 34—35)

„ტრუ და ცბიერი წუთისოფელი,“ ამბობს პოეტი გუსტაზრიდაეთის ხმაში,
„პირველ ახარებს, ბოლოს ამწამებს“ კაცს, ამიტომ „წყეული არს იგი და მი-
სი ქნატი“ (იქვე, გვ. 45—46).

3) თავისი ზედის უკულმართობა და ამით გამოწყეული მწარე სევდა.
„ვის მთავარი მიხეზია პოეტის უცხოეთში გადახვეწა, უსახლკარობა, უთვისტო-
მობა, სხვის ხელთ შემყურალობა და მრავალგვარი გაქირვება „ნუცა ვის მოგ-
ხედს ჩემებრივ“, ამბობს პოეტი, „გული მკვნეს-აღმომტირებდად“ (მ რ ჩ ო ბ ლ ე დ ი),

მწირობა სხვათა თემისა, უხმარ და უქმად გდებანი,
მუნითგან იცნათ ძლიერი ჩემი სახშილთა დებანი,
შეგეწყალგოდეს ყოველთა, მწირი მწირობდეს რებულად.
ძნელია, ვკადე, არ ეიცით, ვინა ხართ თავის ნებულად.
შაქარი მისთვის სამსალა, თაფლი არ კოლომანია,
გული აქვს დაუდგრომელად, ვით რა სწადს ვერას თქმანია.
ვითა ყრმა, წამად შვებული, წამ ურვა მოპოენებული,
გულს უყვებდეთ, აღხენდეთ, რა გერგოთ იგი ენებული.

(იქვე, გვ. 31).

შაირში პოეტი შემდეგი სიტყვებით მიმართავს თავის უბედობას
„ცე, სოფელო, შენთა მსგავსი ვითა გწაღდა დამემართა,
სიტრუღითა აღლესილი გულთა მკრა და დამემართა,

სჯობდა შენდა მიმედრიკა, სხვაგან სითმე დამეშართა,
მაგრამ მიხსნის შენგან კიდევ მარიამის და მე ბართა.

(იქვე გვ. 36).

პოეტის ცრემლები არაა ხელოვნური:

ჩემგან საწუთოს ჩივილი
სცანით, თუ მრუდად აღვილი,
მაქვან მრავალი ტკივილი,
გულკენესით აღმონთხივილი.

(მოკლე შეწყობილი ი. გვ. 34).

ურიგდება თავის უბედურ მდგომარეობას პოეტი თუ არა? ამაზე ის ასე
ვერბასუბებს რვეულში:

რადგან ვიყავ მისი მდომი, არა მმართვეს მისთვის ომი,
კმუნეა მომცეს თუ რაზომი, უნდა ვიყო მუდამ მთომი,
მაგრამ ჩემებრ კაცთა ტომი არ უქნია ჳირთა მწლომი,
ურაცხვი და განუზომი. ჩემთვის ბადა ნოსარზომი.

(იქვე გვ. 32)

2) უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია მამუკას ხატრფიალო-ხამიჯნუ-
რო ლექსები: საყურადღებოა, რომ, თუმცა ამგვარ თემას ის კატეგორიულად
გმობს თავის ქაშინიკში, მაგრამ ყველაზე ხარბად იმ დროის მწერალთა შო-
რის ის მიმართავს მას. ხატრფიალო ლექსებში ზოგიერთი წარმოადგენს ღვთაე-
პრივ ჳინს სილაშახისა და კეკლევობისას. მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით
ბაღდადთან გელნ ბეშდურანის ხმა:

ვისილე შენი შვენება, სახესა ეეტრფიალები,
აღვად აღზრდილი ლელწამი, წელილს ტანსა ეეტრფიალები.
შაენი შეილდურად მოხრილნი, წარბებსა ეეტრფიალები,
მქერეტთ გულსა დამასობელსა, წამწანთა ეეტრფიალები.
შავი ზღვა მყოურებელთა ნთქავს, თვალთა ეეტრფიალები,
სულისა ნავთსაყუდელსა, კილოსა ეეტრფიალები,
პროლის კალონი მტკიცენი, ღაწვებსა ეეტრფიალები,
ჩემის გულისა კუბოსა, შავს ხალსა ეეტრფიალები.
მუშეთა სამყოფი სოთურად, საყნოსელს ეეტრფიალები,
კოკობნი ვარდნი შეიხზულნი, ბაგეთა ეეტრფიალები.
მარგარიტნი არნ მიჯრილნი, თეთრ კბილთა ეეტრფიალები,
მათეს ჳკლავს ამოდ მოსმენა, ენატკბილს ეეტრფიალები.

ყოველი ორი სტრიქონის დასასრულს ამ ლექსში მიწერილია: „სულო“.

ასეთსავე მომაჯადოებელ შესხმას სილაშახისას შეიცავს რუსული ხმები
(წ. კობ. № 303, გვ. 40—43), რომელიც იწყება ასე:

წაილო გული, მყავს დაკარგული, ვისგან ვიძიო არავინ იცის,
თვალთა ჩინება თვისთვის ინება, დამსვა უნათლო, სიბნელე იცის.

1 წიგნ-კითხვის ხელნაწერი № 303 ფ. გვ. 39—40.

შეიძლება ნაწილი ამ ლექსისა შეიცავს კერძოდ ქართველი ქალის ქებას:

ვიწყო კადრებით, თუ შედარებით, ძალმიძს რა ვაქო ქართველი ქალი-
ბრძენთა ისპინეთ, ვინ დაითმინეთ. მათ გაგონებით სადებად აღი.

ვინ იხილვის, არ იფრთხილის.

სულთაგან იქმნა ცარბელა.

შუქით, ვითა მზე, ჰნათინ, ვითა მზე, ტანად ალვა და პირად

მთვარენი,

სხივთა მდენელნი, შუქთა მფენელნი, მზე მიდრეკილთა მოცამდირენი.

ვინცა ნახის, ვერ დასახის.

აჩრდილი მათი სხვათა მცვლელია.

მშვიდად მსხდომელნი, ლხინთა მდომელნი, სლვა საყვარელად

მოსახდომელნი.

ტკბილად მხმობელნი, გულგამპობელნი. მსენელთა არის ლხევართ

მწდომელნი.

ვერეინ დასთმოს შავთა მათ თმის.

ყურება ჰქლავს და ყურება აღხენს.

თვალნი მელანი, დაწვთა ელვანი, ციალებენ, ისერიან შავთა ისართა,

დაასეინ გულთა, მხნელ ალვა რგულთა. არსად იხილვის მითგან ისართა.

ვის ახიან, წანახიან.

მათგანვე ელიან მკურნალობასა.

კბილმარგალიტი, ვითა მაგნი ჟი, ბაგენი ჰზიდენ კაცთა გულმბსა,

დაასხინ ნარდი, ვით მრავალ ვარდი, მხნელ ძალსა ნახავთ

დაკარგულმბსა.

გულთა ყრასა, მიწა ყრასა,

ზოგი მიეცა სამარის კარსა.

მრავალგზის ხმობენ, შეხმობით ძნობენ, წინწილად ითქმას ანუ თუ

ქნარად.

არავინ იცის, წამსავე იცის, მსმენელმან გულმამ საკვდავად ქნარად,

ერთის ბავით, ცეცხლებრ მდავით.

მასშია სიტყვა გულთა ოროლად.

ბაშ დაჯერება, ვის გწადს ჰერება მათეც, ძნელია მათი ტყვეობა.

დაჰგმით ცხოვრება. ცეცხლთა სწორება, სრბა და ხელობა უნდა

მხნეობა.

წამ ამება, გრძლად წამება.

უმჯობესია მამაციისათვის.

ღერო მსუბუქია ჩერნი კოს ხმა ა (წერა-კითხ. № 303. გვ. 43—44):

შენი ნახვა გულსა ჩემსა ახარებს და ლხინსა სცემსა,

თვალთა მისცემს სინათლესა, მზისა სხივთა უნათლესსა,

ტრფივლო ლამაზო, ტრფივლო ბაია შენი.

ვკონებ და არსად არი ესე ლხინთა არსადარი,

გული იქმნა მოცამყედარი, ლახვართათვის მიცამწყედარი.

ტრფიალო ლამაზო...

თვალთა ცრემლსა. ვითა მილსა, ადენ და სწვავე. ვითა ცვილსა.

არა ჰკურნე დაკოდილსა სიყვარულსა, შენგან ზრდილსა,

ტრფიალო ლამაზო...

შენ ხარ კეკლუტ სინათლეო, რადა გშორაეს სიმართლეო,

ვით დამავდე ჩემო მზეო, განმინათლე სიბნელეო,

ტრფიალო ლამაზო...

რა ვიხილე. მასე წამსა კაეშანი გარეწავსა,

ასმენელთა განუხვამსა, ბკეთ დახშულთა განუხვამსა,

ტრფიალო ლამაზო....

შეტად ნარნარია პრიდი დრუჟოკის ხმაჲ:

ნათობ, ვითა ნათელი, მზისა გამომონათელი,

არა ვიცი რისა ვთქვა. შესწორებანი შენი.....

ნახავ, განიკურნება, შენი არის თუ ნება.

იხსნი სიკედილისაგან, რად არ შეგეწყალება.

ბაგე, სახე ვარდისა. სუნი მოგდის ვარდისა.

შენი მსგავსი შეენებით არვინ დაიბადვისა.

იწვინ შენნი ტრფიალნი, ლაწვინ მათთვის იალნი.

სახარული დაჰკარგეს, შეება შექნეს ტიალი.

ნერე აწერილია ის მწვავე გრძნობები. რომელთაც განიცდის ტრფიალი ასეთი სატრფიოს განშორებით.

უიშედო სევდითაა გამსჭვალული პოროდილა ჩეჩოტკას ხმაჲ

შენა ბულბულმან საყვარელი შეიდნი მართენი:

ავაოაშხე, ქალამხე, დარეჯანა, გულჯანა, ხანთერეჯანა. ხვარაშანა, მზექალა ჩენო.

ტრფიალი ვარ დაუცხრობლად მე ლამაზისა.

საყვარლისა ჩემისა, ღირსი ყოელთა თემისა, მონა მიწყე მე მისი, უსწოროდ იგი.

რა დაესახო, მისი მსგავსი ვერა ვნახე რა,

თვალეზისა, წარბისა. ლაწევისა, ბაგისა. კბილთა ჯრილთა, ენისა, ამოდ ამოსა.

მაკეირს, ვისგან საცოცსლე ნაქეს, რასთვის მაკედინებს,

მანკელულია გულისა, საწყლად დაკარგულისა, მიმღები სულისა, საყვარელისა.

გული ჩემი დაატყევა გამოუხსნელად,

მიწლის თვალთა ჩენასა, ოდენ ცრემლთა დინასა მაძლეეს, არა სმენასა ეს რა!

ენეჲ

უფრო მწვავე სევდას გადმოგვცემს პოლტკის ხმაა¹
 გულმან რა ქნას საბრალომა, ტყვედ მიეცა საწყალია,
 ისარს ისრვის წამწამთაგან, ხელთ უქირაეს სამალია:

საყვარლისა გონებამან დამადუმა, დამასულა,
 ნახვა მალავს და ნახვა მალხენს, ვის ეიგონებ ამას სულა:
 მოშორებდა სიკვდილს მიჰცემს, ნახვით სიბრძნე დაკარგულა,
 თვალი, წარბი, ლაწვი, ბაგე, შეენიერად დასახულა.
 სიკვდილი მაქვს სიხარულად, გულმან მტკიცოდ განიკულა.
 იგ ამაყი, გულთა მკლველი, ჩემთვის ტანჯად დანახულა.
 თუ ვეწივე საწადელსა, რა ჩემგამო განძრახილა,
 არა მგამა განშორებდა სულთა, ხორცთა ანაკესულა.
 გული, კუბოს დაკვდილი, რომელ სისხლით გაბასრულა.
 შვებულ იქმნა საუკუნოდ, დასამარხად მიწაყრულა.
 სურვილითამცა მკვდარი სახელოვნად დამარხულა.

მაშუკა ბარათაშვილმა პირველმა დაამსხვრია ტრადიციული ფორმები ქართული ვერსიფიკაციისა, რომელიც რუსთველური ლექსითა და ჩახრუხავულით იყო შებოქვილი, და მოგვცა ის მრავალფეროვანი საზომი ლექსთაწყობისა. რომელიც მერე ასე გამოიყენეს დავით გაურამიშვილმა და ბესიკმა. ამ მხრივ მან რევოლუცია მოახდინა ქართულს პოეზიაში და მოგვცა ის მიხწევანი, რომელთაც დაუმსახურებელად დავით გაურამიშვილს მიაწერენ. მან პირველმა შემოიტანა ლიტერატურაში ხალხური სიმღერების კლო, მაგალითად: „პატარა ქალო თინაო, რას დამიდგ წინაო“ (კაშნიკი, გვ. 11), და პირველმა უზამოიყენა რუსული ხალხური სიმღერები ქართული ვერსიფიკაციის გასამდიდრებელად: შემდეგ ამ მხრივ ის მისამაძი მაგალითი გახდა დავით გაურამიშვილისათვის.

მაშუკა ბარათაშვილის შემდეგ ქართულს პოეზიაში გზა გაიკაფა ცხოველ-ქოთელმა, ლალმა, ამაჟვეყნიურმა ტრუობის მოტივმა, რომელსაც არ პბოჭავს არც რუსთველური, თეორიულად მაინც. მორალი: არც ალორძინების ხანის ასეკტიზმი. მაშუკამ ქართული სატრფიალო პოეზია ზეციური სამყაროდან ამტკიცებდა ჩამოიყვანა და დაამკვიდრა:

1) წერა-კითხვა. № 305. გვ. 46-49

1) ვრთერთი ტრიბუნი წარმომადგენელი ასეთი სატრფიალო პოეზიისა მისი ლექსითა და პოეზიისა „ლენსი სანიჯურონი, რომელსა ეწოდების ენკი-ხონია“ და რომელსაც თავისი მოხუნენილობით და ბუნე:ოიებით „უტყვე-უქნია მარძინაი იესე“ (წერა-კითხვის ხელნაწ. № 151: გვ. 69), ცნობილი წიგნი იესე ოსე შვილი რომელმაც საყვარადღებო მემკარები დაგო-ტოვა (ს. კაკაბაძე. თავგადასავალი იესე ოსეშვილისა, ტფილისი 1913 წ.). თანხლებდა დაწვრილია ჩახრუხავული და რუსთველური საზომით და წარმოადგენს ღვთაებრივ მშენ:სწავლ სიკვდილისას, რომელსაც ჩვენ გვაქვს რუსთველის, თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვაჟბატვის პოეტური შედარებაი და ეპოეიები: როკორც მაგალითად: „შავ ს ვილღვა: მუჟორცნილი: ჟურისა“, „გიზრას ტასე ჰინდო ლაშქარი“, „თვალთა გიზრის ფერობა“, „გულმთავა წაწამებ: ხა“, „ხოლენი შენი კამანდურად“, „თვალთა ხანგო ლაშქარი“, „ვირდის თვით: ტურთა მარბათი“, „ინდათ ვარმა“ თს:ლხე, „კბილი წყობილ: მარგალ ტსა“ და სხე (წერა-კითხ. ხელნაწები № 118, 1087, 1511 და სხვ.) ეს ეპოეიტები განმეორებულა ციხოსორო ანტონიკაშვილის „საქუნერო ბადებუა“; თსხოლენა იმავე დროისა, რომლისა:ც „მიგზნობა ბადე“, ესე იგი „ხასტოეს მტფორანებე საუკუნის მხოვე ნახევრისა.

6. დამით გურამიშვილი.

დაწერილებითი ბიოგრაფიული ცნობები დავითის შესახებ არ მოგვეპოება. მისი ცხოვრებიდან ვიცით მხოლოდ ის, რასაც ვპოულობთ მის ნაწერთა კრებულში, რომელსაც დავითიანი ეწოდება.¹

დავითი, როგორც თვითონ ამბობს: იყო „ერთი თავადი, მოსახლე გორისუბნიდან“ (გვ. 56); მის მამას იოანე ზედაზნელისა და შიომღვიმის მონასტერში ჰქონია სასაფლაო და სახლები (გვ. 306), რაც იმის მაჩვენებელია, რომ ის წიგნდობილი კაცი ყოფილა. დაბადებულა დავითი 1705 წელს, ენაიდან 7282 წელს ქვეყნის გაჩენიდან, ესე იგი 1774 წელს ქრისტეს შებენი, ის 69 წლის იყო, როგორც ნათქვამია „კაცისა და საწუთროს ცილობაში“ (გვ. 162. 163). საკმარისი სწავლა-განათლება მას ვერ მიუღია, ამის მიზეზი იყო მაშინდელი მდგომარეობა ქართლკახეთისა; „ჩემსა ყრმობაშიო,“ ამბობს დავითი ქაცვი მწყემს ში.

სულ გარს მტრად გვადგა თურქ-ყიზილბაში;

მიღო იკლო სწავლამა,

ჩვენში ლელთ დავლამა

წიგნი წარსტყვენა (გვ. 269).

მიუხედავად ამისა, საქართველოში თუ რუსეთში, მას კარგად შეუწყაფელია საღმრთო წერილი და ქართული ლიტერატურა: ის რომ ქართველ მწერლებს იცნობდა, ეს შემდეგი მისი სიტყვებიდანა ჩანს:

შოთა მღერს. მეფე თემურაზ, არჩილ მოსძახის ძმურება.

მეფე ეასტანგ და იაკობ დაბლა ზიოს მიეტკებურება,

ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი, ონანა ბანს ემურება,

დვინევენ ყარან და მამუცა. მე მსურის მათი ყურება (გვ. 41)

იმ სამზინელ არე-დარევის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1721-4 წლებში, როდესაც ქართლ-კახეთი გადადიოდა ხან სპარსეთის, ხან ოსმალეთის ხელში, პოეტს, ვახტანგის რუსეთში გადასახლების შემდეგ, 1724 წელს თავი შეუქუარება ქსნის ხეობაში, ს. ლამისყანაში, ერთს შეძლებულს ოჯახში (გვ. 57). 1725 წელს ზაფხულზე. მკის დროს, როდესაც დავითი მოყვრის ყანაში

1) ესარგებლობთ პ. უმიკაშვილის გამოცემით.

2) აქ ჩამოთვლილ მწერალთაგან შოთა, ლეიშურაზი, არჩილი და ვასტანგი განსაკუთრებით არ თხოულობენ; იაკობი არის იაკობ სამებელ-შეშვიძელი. ავტორი დიდმოტრეპიკოსის ბეგთაბეგ არის ამირან დარეჯანიანის გამლექველი ბეგთაბეგ თანიაზვლი. ვახტანგისა, მდივანი გიორგი XI-ისა. ნოდარი არის ნოდარ ფარსადანისძე ციციშვილი, ანუ „გლეჯი“ ანუ „არამგურისისა; ონანა არის ყაზთა მეფის მდივანი ონანა ქობულაშვილი. გამლექველი დარამგული ოჯახისა; ოთარი არის ან არაგვის ერისთავი ოთარი, ან მდივანი ოთარი თუმანიშვილი; მამუცა არის ქაშნიკის ავტორი მამუცა ბარათაშვილი. ვახტანგის შესახებ ვერას ვიტყვი დაწამდელიდგით; ეს ის ყარან მდივანი მოჰ არაა, რომელსაც ვეც წელიწადლო ხანებში იხსენებს იესე კლდუაძე თავის ანუტრში. ესე კახაბაძე თავის დასახელებით იხსენებს. გვ. 231.

იყო მუშების მოლოდინში, მას თავს დასხვია 15 კაცისაგან შემდგარი ლექთა რაზმი, რომელსაც ის ტყვედ წაუყვანია. ლექებმა ის მიიყვანეს ოსოქოლას, აქ ჯერ ინსახურეს კარგახანს და მერე გაყიდვა დაუპირეს; როდესაც დაეითმა გაიგო ეს, გაიპარა. მაგრამ დაიპირეს და „დააპალურეს“ კარგად. დიდს ვაჭირეებასა და სულის ობლობას განიცდიდა აქ დაეითი, ბოლოს გადასწყვიტა, როგორც უნდა დაჯდომოდა, გააარულიყო; იმან იცოდა, რომ თერგზე, სოლალს; ამ დროს რუსის ჯარი იდგა და თან ქართველებიც ბლომად იყვნენ, ალბად ამიტომ მან გზა ჩრდილოეთისაკენ დაიპირა; ერთს ლანეს მიადგა შიშველს მთას. ასტყდა ქარი, წამოვიდა საშინელი სეტყვა, ასე რომ დაეითი უკანასკნელ წიშებს განიცდიდა, მაგრამ ამ დროს დაიღვრა და იქვე მახლობლად მან დაინახა გამოქვაბული, სადაც თავი შეაფარა და ამნაირად სიკვდილს გადაარჩა. მთელი თორმეტი დღე, ან, უკეთ რომ ვთქვათ, ღამე, იარა მან, ამ ხნის განმავლობაში იკვებებოდა „მოუწვეარი კვინჩხით და მკვებე კონახურით“, მუხლთ ქვეით ტანისამოსი სულ შეშოაცთა; მეთორმეტე დღეს მიადგა უქალო წყალს (ანდიის წყალი ან თერგის ერთი შტო). რომლის ვალმა ნაპირას კალოსა ლეწდენ. დავითს გაუხარდა. იქნება ესლა მოელის ბოლო ჩემს ტანჯვასაო, მით უეტეს. რომ ორი კაცი ნავით მისიკენ გამოემართა. სამწუხაროდ, ამათ დაინახეს თუ არა დავითის „უქორა“ თავი, შიშისგამო უკან გაბრუნდენ, დავითმა აქ გაათია ღამე და მეორე დღეს აღრე გაუდგა გზას; გზაზე მან იპოვა ორი კიტრი და საზამთროს ნაქერი, მაგრამ, სამწუხაროდ, კიტრები წყალში ჩაუტყვიდა და დაეკარგა, რააც დიდად შეაწუხა დამშეული პოეტი, სამაგიეროდ ღმერთმა ნალე ანუგეშა ის: დავითი მოულოდნელად მიადგა ერთს მწვენიერს ბაღს, ყურძნიანს, აჭმიანს და ვაშლიანს; იმწამსვე გადაძვრა შიგ და ცალიერი კუჭი აპოიესო. ამ დროს მოესმა ზარის რეკა, გამოჩნდენ ქალები და კაცები, დავითი თვალებს არ უჯერებდა, ყოველივე ეს მოჩვენებად მიიჩნდა, ამიტომ მათთან მისლვა ვერ გაბედა, მან აიესო უბე ხილით და გაქცევას აპირებდა, მაგრამ გულმა უთხრა: დაიცა, ამაღამ აქ დარჩი და ხვალ გაუდგე გზასაო. მართლაც. ის შეძერა მახლობელს ჩალის ზეინში და აპირებდა იქ ღამის გათევას. მაგრამ მას დაესია კოლოს ლაშქარი, რომელმაც კინალამ დაახჩო. გამწარებული, ის წამოხტა და გაექანა იქეთკენ. სადაც კალოსა ლეწდენ: მას შემოეხვიენენ გარწემო ქალები და კაცები, რომელნიც დარწმუნდენ, რომ ეს უცხო ადამიანი ქრისტიანია, ვინაიდან ის პირჯვარს იწერდა და ჰკოცნიდა ჯვრებს. რომელიც მათ ყვლზე ეკიდათ. ერთმა მათგანმა მეორეს უთხრა: „ღაი ხლება ლახარა! დავითი ამ სიტყვებით მიხვდა, რომ ის რუსებში იყო და დიდად გაუხარდა: ის წაიყვანეს სამღივნოში და აქ, „მოენის“ ან თარჯიმანის იანვარა ფხოველის საშუალებით, მისი ვინაობა გამოარკვიეს. აქედან დავითი წავიდა სოლალს, სოლალიდან აშთარხანს, აშთარხანიდან მოსკოვს, სადაც 1731 წელს ინახულა ვახტანგი და ნაქარი და შეუერთდა მათ ამაღას. მოსკოვნი დავითი გაეჯიბრა მოშაირე ჯავახიშვილს, დაამარცხა ის და ამით დაინსახურა ყურადღება ჩედისა, რომელმაც მას ჯაბადარბაშობა მისცა. როგორც ვიცით, ვახტანგს მისი პოლიტიკური მოლოდინი საბოლოოდ გაუყრუვდა მან ყოველგვარ მოქმედებაზე ხელი აიღო და აშთარხანს დასახლდა სამუდამოდ. მისი ამაღა, კერძოდ

დავითი, გადავიდა მოსკოვს, სადაც ბაქარის გარშემო შეიქმნა ინტენსიური ლიტერატურული ნუშაობა, რომელსაც სათავეში უდგენ გამოჩენილი მელექსენი და მწიგნობარნი; ამ ლიტერატურულს წრეში ყველაზე მეტი გავლენა დავითსზე მოუხდენია. მამუკა ბარათაშვილს, რომლის ქა. შ. ნ. ი. კ. სახელმძღვანელო წიგნად ვამხდარა მისთვის. ვასტანგის გარდაცვალების შემდეგ რუსეთში მყოფმა ქართველებმა წინადადება მიიღეს ან დაბრუნებულიყვენ სამშობლოში, ან მიეღოთ რუსეთის ქვეშევრდომობა: მათ უკანასკნელი ირჩიეს, ჩაეწერენ სამხედრო სამსახურში და შეადგინეს ცალკე „გუსარის პოლი“, რომელშიც დავითიც მოყვა. ამ პოლიკმა მონაწილეობა მიიღო რუსეთის სხვადასხვა სამხედრო მოქმედებაში: 1758 წელს დავითი ტყვედ ჩაუვარდა პრუსიელებს და მალდებურგის ციხეში იყო დამწყვდეული. თანამედროვეებმა ის ტყვეობიდან დაიხსნეს; ამის შემდეგ ის ცხოვრობს ერთხანს მოსკოვში, როგორც ესა ჩანს დიმიტრი სააკაძის სიტყვებიდან დიმიტრი ბაგრატიონისადმი:*) „დავით გახლავთ, ეგ შე-

*) დიმიტრი გიორგისძე ბაგრატიონი, როგორც მისი „ოქროს აღნაქსის“ წინასიტყვაობიდან (სიძველ. მუზეუმის № 1011, ფ. 3) და „ქართველთა მწერალთათჳს სიკრე უწყებებიდან“ (ძველი საქართველო, ტ. I, განკ. 3, გვ. 47-48) ჩანს, იყო შთამომავალი მეუღის იესესი: მამა მისი გიორგი იყო შილი ქაიხოსროსი († 1711), იესეს ძისა. დაბადებულია დიმიტრი მხეელისაგან, არაუკვიანეს 1740 წლისა, როგორც ესა ჩანს ბატონიშვილის ქეთევანისადმი 1820 წელს მიწერილი წერილებიდან (წერ.-კითხვ. № 303, გვ. 154-155), როდესაც ის „ოთხმოც წელს გარდახდომილი“ იყო „ორჯულობიანაივის გამოძიებულში“, ის მოსულა მოსკოვს; აქ ის ცხოვრობს მდილად მორთულ სრა-სასანლში, „გვერდს ახლავს“ მას პოეტები დიმიტრი სააკაძე, დავით და მამუკა გურამიშვილები, ურთიერთობა და მიწერ მოწერა (პროსით და ლექსით) აქეს მირიან, ფარნაოზ და ქეთევან ბატონიშვილებთან, გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონთან, იონა მროველთან, დოსითეოზ და ჰაფნუტი ძღვდეღმთავრებთან, დეკანოზ აპრონ ალექსისძე-მესხიშვილთან და სხვ. (წერ.-კითხვ ხელნ. № 303, გვ. 142, 153-162). მოსკოვის ქართველთა კოლონიაში მას ფრანკ-მასონობა სწავებდენ, როგორც ესა ჩანს დიმიტრი სააკაძის ერთი ლექსიდან, რომელიც მისთვის მიუწერია:

თქენი მოგვესმა, პატრონო, შექანილ ხართ ფარმაზონია,
ზოგთა თქვეს-არის მართალი, და ზოგთა არა ჰგონია,
ქრისტეს უარისმყოფლობა მე თქვენგან არა მგონია,
თუ მართალია, მოიქეც, სხვა მეტი არა ღონია.
(წერ.-კითხვ. № 303, გვ. 113).

1791 წელს, როგორც ბატონიშვილის მირიანის ლექსიდან ჩანს (ცვამს № 103, გვ. 141-142), დიმიტრი დანიშნულა (მერამდენჯერ?) ვილაც ციციის ქალზე. ზოგლსაგანაც მას შესძენია ორი ქალი: ელისაყი და ანასტასია, ვაჟი კი არა. მისი მგობრები ამოწმებენ, რომ დიმიტრი დიდად განათლებული ქაცი იყო. ამასთანავე პოეტური ნიჭითაც დაჯილდოვებული. მოსკოვში ის ხშირად „ბაასობს ლეთისმეტევების შკოლაში“ (ან 303, გვ. 113-116) და მონაწილეობას ღებულობს ეკლესიურ მწერლობაშიც. რაც საეჭვოდა ხდის მის ფრანკ-მასონობას. მას გადმოუთარგნენია 1786 წელს თავისი მამიდა ანნას ბრძანებით, რუსულადიდან მარაკანელის რაბინის საშუალებით ხელულება ოქროს აღნაქსვი. რომელიც ამტკიცებს, რომ იესო ქრისტე არის ქვეშეორი ღმერთი და არა

ვაქცევს, მესმის-იცის ჩანგთა მღერა“ (წერ.-კითხ. № 303, გვ. 113), ბოლოს კი მოლორსიაში თავის მამულში, სადაც მეურნეობას ჰკიდებს ხელს. როდის გარდაიქვალა პოეტი, არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ 1787 წელს სექტემბერში ის კიდევ ცოცხალი იყო: ამ წელს მას დაუწერია პატარა ლექსი მის მიერ მოგონებული სარწყავისა და წისქვილის მოსაბრუნებელი მანქანის მოხაზულობისათვის (გვ. 316) და ბატონიშვილის მირიანისათვის 200 მანეთი უთხოვინია სესხად მანქანის გეგმის განსახორციელებლად. შეიძლება პოეტი დასაფლავებული იყოს ანტუბის მონასტერში (ხარკოვის, ჩერნიგოვის და პოლტავის გუბერნიათა საზღვარზე), სადაც ქართველებს ჰქონდათ სალოცავი — ღვთისმშობლის ხატი.¹

ასეთია მოკლედ დაეთის ბიოგრაფია; სამშობლო მხარეს მოშორებული და შორეულს ჩრდილოეთში გარდახვეწილი, უცოლშვილო და უპატრონი, ის ხელს ჰკიდებს ლიტერატურულ მუშაობას და ამით ფიქრობს სულიერი წყლულების განკურნებას. თავის ნაწერთა კრებულს მან უწოდა დაეთიანი, რომლის შესახებ ის ამბობს:

ამად ამ წიგნსა სახელად უწოდე დაეთიანი.

დაეთო შევაწყევე, შევკონე, ვით ვარდნი და ვით იანი,

გულსა მოვსწყვიტე მუწუკ, მება ზედ ავი თიანი,

ზედ გულზედ ვიბი იგი ხე, კაციანი და ღვთიანი. (გვ. 299)

ჯერ არს მოლოდება სხვისა (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 434). დიმიტრის ორიგინალურ თხზულებათაგან საყურადღებოა საისტორიო პოემა „ქეთიან დედოფლის წამება“, რომელსაც თანამედროვენი დიმიტრიანს უწოდებდნენ; 1822 წელს ის წაუკითხავს ივან გრიგორიჩ მურატოვს, რომელიც სწერს დიმიტრის:

ვიკითხე თქვენი ნაშრომი მე წიგნი დიმიტრიანი,

საესე საღმრთო და საერო, ლექსები საქებიანი.

აღუყავებულსა წალკოტსა ჰგაეს ვარდი ან ზანბახნი, იანი.

ამაზე დიდად გემდურვი, მაკითხე აგრე გვიანი. (№ 303, გვ. 212)

ეს პოემა შეთხზულია (96 ტაეპისაგან შესდგება) თეიმურაზ მეფის ანალოგიური პოემის მიბაძვით და ორჯერაა გამოცემული: 1819 და 1876 წელს. უწერია დიმიტრის ლირიკული ლექსებიც, რომლებშიაც, წმიდა სატრფიალო მოტივების გარდა, ავტორი დაჰმღეროს თავის ახალგაზრდობას. სამშობლოს, ორს საყვარელ ქალს, და დასტირის უცხოობას და უკუაქობას. ასეთებია: 1) იერიქელი ვარდი ქნების (წერ.-კითხ. № 1512, გვ. 319-321), 2) ელისაბედიანი, რომელშიაც ახალდაბადებულ გლისაბედს ეალერსება (წერ.-კითხ. № 3723, გვ. 127-130), 3) ანასტასიას (მეორე ქალის) თვლადობა (გვ. 143-144), 4) ჩემს ქალს (გვ. 146-149), 5) შიირი სატრფიალო (გვ. 131-138), 6) აბანთქება: ახლად აღვამკობ ალვასა, ანაგებ ანაზეულსა“ (გვ. 145-146), 7) ქართული ანდაზები (სულ 126): მაგალითად, პირველი ანდაზა:

კაცი ბქობდა სხვის სავნოდა,

ღმერთი მასზედ იცინოდა. (გვ. 139-142)

8) „ღამის ალერსი“ (№ 3723), სადაც აღწერილია სხვადასხვა სასიანოვნო განცდანი ღამისა.

როდის გარდაიქვალა დიმიტრი, არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში 1822 წელს ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

¹ ბიოგრაფია მისი იხ. ივერიაში 1888 წ. I, II, III; А Х а х а н о в а. С и н р к и: III, 202—208, პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი, წინასიტყვაობა დაეთიანისა.

დავითი ან სპოეტი სთვლიდა შვილად და მასზე ამყარებდა თავის იმედებს.
„დაეჯექ და ლექსეა დავიწყე, ვთქვი თუ ვიშვილებ ამასო“
(გვ. 109).

შენიშნავს პოეტი და მერე განაგრძობს:

ამად ვიხობებ, შევკრიბე ცრუის საწუთროს უბედობა,
მე ძე არ დამრჩა ბედკრულსა, ეს არის ჩემი ბედობა (გვ. 301).

მე რაც ვმობე, შვილად ესჯერეარ, ეს თუ მზრდელმან გამიზარდა.

ვზრდი მომღერლად, მე თუ ჩემი სიმღერა არ გამიზარდა.

თუმცა ენა გასარეკლად, გული მისთვის გამიზარდა.

მაგრამ მეფეთ სამსახურით ეს საზრდელად გამიზარდა (გვ. 102).

ამ კრებულის შედგენა დავითის არ უნდა დაეწყოს მალდებურგის ტყვეობიდან. განთავისუფლებამდე, ესე იგი 1762 წელზე ადრე, ეინაიდან ამ ტყვეობას დასახელებს დავითი ანის პირველსავე ნაწილში (გვ. 106). „კაცისა და საწუთროსაგან ცილობა და ბჭობა“, რომელსაც ამ კრებულში შუა ადგილი უკავია; დაწერილია 1774 წელს (გვ. 162); უკანასკნელი ნაწილიც მისი დაწერილია იმავე 1774 წელს (გვ. 314). საფიქრებელია, რომ მთელი კრებული დავითს დაუწერია 1774-ის თუ მის მახლობელს წინაწლებში, ეინაიდან ანაზე ადრე. საჩხედრო მოქმედებათა გამო, მას ამისათვის არ ეცლებოდა, ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება მას მონაწილეობა არ მიეღოს 1764 წლის ექსპედიციის ჩელებების წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებდა უმთავრესად ქართველთა „უკანასკნის პოლკი“.¹⁾

ჩვენ უკვე განვიხილეთ ერთერთი ნაწარმოები დავითისა, საისტორიო პოეზია. რომელსაც ქირი ქართლისა ეუწოდეთ; ესლა მიმოვიხილავთ მის ლირიკულ ნაწარმოებს.

როგორც არჩილ მეფის ნაწერებში, დავითის შემოქმედებაშიც ერთი კატეგორია ლირიკულ ნაწარმოებებისა მორალური და დიდაქტური სულითაა გასაქველული; ამ ნაწარმოებთა საგანს შეადგენს უმთავრესად:

1) სწავლა და სიბრძნე, 2) ადამიანსა და საწუთროს შორის შეუთანხმებლობა და კონტრასტი, 3) სიყვარულის პრობლემა.

სწავლისა და სიბრძნის შესახებ პოეტი ლაპარაკობს უმთავრესად შემდეგ ნაწარმოებში: „ქართულთა მეგვარ-ტომობის იგავი“. „სწავლა მოსწავლეთა“. „სწავლის ძიება მაძებართაგან ახია“. ამბობს პოეტი, „სწავლასე უჩრი და მოცხევი თვალით არ დასანახია“, „უსწავლელი ვაეიკაცი სიბერის დროს გაწბილები“, ის მაშინ დაიწყებს ნანობასა და დედმამის გინებას. რატომ არ ვისწავლენ არ მასწავლესო, როდესაც ცხოვრების მუხრუქს იგრძნობს, მაგრამ გვიან იქნება, ყველაფერს თავისი დრო აქვს, თავის სინანული სჯობია პოლოს ეამს დასანებასა“. უწერთენელი, უსწავლელი შვილის ყოლას სჯობს უწერთენელი ძაღლის ყოლა, უკანასკნელი თავის პატრონს ან პურს მოსტაცებს, ან ხორცს. ან წყალს ამოუსვლევს, მეტს ვერას ჰკადრებს. უსწავლელი შვილი კი გვარსა და მათესავეებს თავსა. სკრის, ის მშობლებს განათაევებს და არ აძლევს ლხენას: უწერთენელი ძაღლი ყფეს მაინც, რითაც ნადირს აურთხობს და ქურდს აშინებს. ბრიყოსა და

¹⁾ Бутковъ, Материалы для исторіи Кавказа, I, 290, 244.

უსწავლელ კაცს ამდენი სარგებლობის მოტანაც არ შეუძლია. უსწავლელი კაცი.. რაგინდ კეჟიანი იყოს, უმწეოა, ვით სპილო უხორთუმო და ვეფხი უკლანუო. სხვა საქმეა ნასწავლი და ბრძენი:

ვსძებნე და ვერა ვპოე რა მჯობი ამ სწავლა-მცნებისა:
 ბრენსა აქვს თავისუფლება, სოფელში ყოფნა ნებისა;
 ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა:
 ბრძენი პურთათვის ჩემსავით მუხლთ არვის მოექნებისა.

სწავლისა და ცოდნის შეძენა ადვილი არაა, ის, ვინც მას იძენს, გერწარვისა სკამს. კვლავ ტკბილს. ვინაიდან „სწავლის ძირი მწარე არის, კენწე-როში გატკბილები“, ამიტომ, თუ ეს საქმე იქნება, ძალაც კი უნდა იხმარო აღამიანზე, რომ იმან სწავლას ხელი მოჰკიდოს და ამ მწარე საქმეს შევლდეს:

ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კივილი.
 მალ გამთელდების უწამლოდ მისი წყლულების ტკივილი,
 რა მოიზარდოს, მოყვინჩლდეს, მამლურებ შექნას ყივილი,
 უფრთხილდი, მისგან წყენითა არაზე შექნა ჩივილი.

აღამიანმა. შესაძლოა, ყველაფერი დაკარგოს ამ ქვეყნად, სწავლას კი ვერ დაარგავს, ის მუდამ, განუყრელად, სიკვდილამდე თანასდევს მას:

სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი,
 მას გეცილების ვერაეინ, არ არის გასაყოფელი,
 სხვა ყველას მანე უგია, თავისა გასაყოფელი,
 თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი.

ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომცა დაეტარების,
 აქვს უზილავი საუნჯე. ხელი არ მოეკარების,
 არც ცხადად ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების,
 კეჟა უხმარ არს ბრიყეთათვის, ჯეჟა ცოდნით მოიხმარების.

ეს აზრები ცოდნის, სწავლის და სიბრძნის შესახებ ნასესხებია არაჩილქმეფის თხზულებიდან „საქართველოს ზნეობანი“, სადაც ნათქვამია:

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერარა, არც ისე მოსანმარია,
 მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხამარია,
 სად წახვალთ, თან გამოგყვებათ, საძლადაც მგონ სანმარია,
 სხვა დაგრჩება და ის არა, გვერთ გახლავს ცათა კმარია.

უცოდნი კაცი სადა გინდ უხამხედ გამამაცლება,
 რომ მართებს ველარ ივარგებს, საქმესაც ბევრსა დასცდება,
 მუდამ ღინცილობს, მრავალჯერ ცუდ მუდი სიტყვა წასცდება.
 ცოტა ხანს თუმცა რამ იყოს, სიბრიყვით მალე წახდება.

სიბრძნე სჯობს, თორემ უთუოდ ზნეობა ყველა კაია.

პურადი ხარ, შენ სხეასა სთხოე, აბა რაღას იპურადებ,
 ქვეითი ხარ, ცხენი არ გყავს, რით იკადრებ ან ირადებ,
 დაბერდი და თვალს დაგაკლდა, მშვილდ-ისარსა რად არ დასდებ,
 სიბრძნე არის სამუდამო, სიკედილამდი ვერ გაავდებ.¹

განსაკუთრებით თვალსაჩინოა დავითის დამოკიდებულება არჩილზე იქ-
 სადაც ის ჩამოსთვლის თვისებებსა და ცოდნას, რომელიც საჭიროა სხეიდასხეა
 მდგომარეობის პირ.ათთვის, სახელდობრ: მიჯნურის, მწყემსის, ხელმწიფის, გლახა-
 კის, მუწაკის, მხედრის, ვაჭრის, ხუცესის, ოსტატის და ბრძენმსიტყველისათვის.
 თვისებანი და ზნეობანი სხეიდასხეა მდგომარეობის პირებისა, როგორც ვიცით,
 არჩილს საგანგებოდ აქვს აღნიშნული თავის თხზულებაში „საქართველოს ზნეო-
 ბანი“, მაგრამ ამავე თემას ის უხრუნდება მეორე თხზულებაში. რომელსაც
 ეწოდება „გაბაასება სოფლისა და კაცისა“; აქ, მეორე ნაწილში, წარმოგვნი-
 ლია დაწერილებით „წერთა სოფლისაგან კაცისა“, კერძოდ—„სწავლა“ ხელმწი-
 ფის, მღვდელთმოდერის, მხედრის, ვაჭრის, მუშაკის და საზოგადოდ ყოველი
 კაცისა, რომელშიაც ვათვალისწინებულია, ისე როგორც დავითის ნაშრომში,
 როგორც უნდა იყვნენ ჩამოთვლილი პირები. საინტერესოა, რომ ზოგიერთს
 შემთხვევაში პირდაპირი გამეორებაა არჩილის აზრებისა, მაგალითად, მეფის
 შესახებ დავითი ამბობს:

ხელმწიფე უნდა მართალი, ვით ბრძენთა დაუწერია,
 ბრძენი, უხვი და მოწყალე, მრისხეელი ზომიერია,
 სჯულ მტკიცედ, სწორეს სამართლით იყოს და ჰყვანდეს ერია,
 მწყსი იდეს, მწყემსობის ნიშანი—ხელთ სკიპტრა მას უქერია.

არჩილის შეხედულებით მეფე უნდა იყოს ქერიე-ობოლთა ხელის ამპყრობი.
 მართლის ყურის მიმკდები, სიტყვის ბრძნად წარმომთქმელი, თვითეულისათვის ჯე-
 როგანა წამლის მიმცემი; მეფეს უხვს

ამასთან სჯულის სიმტკიცე, სიფრთხილე სამართალისა,
 მკოდველთა ზომით შერისხეა, ჩვენება ბრულად თვალისა,
 ერთგულთ წყალობა, პატივი, ბევრგვარად დანათვალისა,
 სიბრძნე, გონება, კეუით ცოდნა საქმისა მომავალისა.²

მხედართა შესახებ დავით გურამიშვილი ამბობს:

მოლაშქრე უნდა ქაბუცი, თამამი, თავდაბლოვანი,
 მეპატრონეთა ერთგული; მორჩილ, სამართლოვანი,
 მხნე, აზნანაგთა მოყვარე, მამაცი, ძალგულოვანი,
 გულ-სრულად მებრძოლთ მებრძოლი, არ სუსტი, მაგარ მკლოენი.

არჩილი: თავად დიდებულთ მონათა, დიდთა თუ ანუ მცირეთა,
 პირველად სჯული, მეორედ ყველამ ეს დაიპირეთა,
 თავის პატრონსა დამონდით, კარგ გულად, ნუ ავპირეთა,
 სჯულის თაეთ, ეპისკოპოსთა, თავმდაბლად ემსახურეთა.³

¹) წერა-კითხვის ხელნაწერი № 1729, გვ. 138—139.

²) იქვე, გვ. 197.

³) იქვე, გვ. 194.

ვაკარს ასე ახასიათებენ:

- დავითი: ვაკარი უნდა სარუისა: სამთურალოს არას სმევდესა, ყომაობაზობას ერილოს, სიწმიდით თავსა სკევდესა, მეტად უზომოდ არამსა ალაღში არა რევდესა, სწორეს ადლსა და სასწორსა ხელში არ ამრუდებდესა.
- აბოილი: ვაკარნი ნუ ნამეტნავით მიიწყავთ, მისცემთ მცირეთა, ნუკა ადღგრძელობით ალებას, გასყიდვას შერებით მწირითა, დიდად მოირკვეამს ვინც ილებს და მისცემს სწორით უღლითა ჩვენგან სიცრუვით ნაშოენი წაგვეერთმის კვლავ სიცრუითა.¹

ჩამოთვლის რა ათივე მდგომარეობის თვისებასა და ზნეობას, დავითი შინიშნავს:

ათაუ ეგ იყო. მოგითხარ, სხვა არა მისგან კილია, რომელიც გინდა, ირჩიე. აიღე, ხელი ჰკილია.

ასევე იქცევა არჩილიც, მდგომარეობათა აღნუსხვის შემდეგ ისიც შეიშნავს:

კიდევ რა გითხრა ამისთვის უფრო დაფარვით, იგავით, ორში ერთია უმჯობეს და მეორეა იგავით, რომელიც სჯობდეს, დაიგეთ, და უარესი იგავით.²

აღამიანისა და ცხოვრების კონტრასტისა და შეუთანხმებლობის შესახებ ლაპარაკობს დავითი შემდეგ ნაწარმოებში: გოდება დავითისა, საწუთოს სოფლის გამო ჭირილი, სოფლისა და კაცის შილაპარაკება და ცილობა, „კაცისა და საწუთოსაგან ცილობა და ბეობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება“ და სხვ. ამ უკანასკნელში ებაასებიან ერთმანეთს კაცი და საწუთრო, ჯერ ლაპარაკობს კაცი, მერე საწუთრო, სულ მოყვანილია ათი პასუხი. მთავარი აზრები ამ გაბაასებისა შემდეგია:

- ა) ამქვეყნიური ცხოვრება არის ცრუ, უპირო, მუხთალი, ცუდი და წუთიერი. იმისი ბოლო არის შეუბრალებელი და ყოვლის გამასწორებელი სიკვდილი.
- ბ) სიკვდილი შემოვიდა სოფლად იმიტომ, რომ ჩვენმა პაპამ და ბებამ. ადამმა და ევამ, დაარღვიეს ღვთის მცნება, მათ სკამეს სამოთხის აკრძალული ვილი, ვამოძღენ ვაშლითა და მსხლით.
- გ) საწუთრო ღმერთმა კაცს ყმად მისცა, მაგრამ ის მას შეჰქნია მტრად და სისხლის შჩეფედ.
- დ) აიხსნება ეს შით, რომ კაცი ვერ ხელმწიფობს როგორც სამართალია: მისთვის ღმერთს მოუცია თვალი, რომ გასიჯნოს ავი და კარგი, მაგრამ ის ასე არ იქცევა.
- ამ შემთხვევაშიაც დავითი იმყოფება არჩილ შეფის გაგლენის ჰქემ. როგორც ვიცით, არჩილსაც დაუწერია ამგვარივე „გაბაასება კაცისა და სოფლისა,“ რომელიც უფრო ვრცელია, ვიდრე დავითის, მაგრამ იმავე აზრებსა და მოტივებს შეიცავს, როგორც დავითის გაბაასება. ანალიზი არჩილის შრომისა ჩვენ

1) წერა-კითხვის ხელნაწერი № 1729 გვ. 199
2) იქვე 32 პოქ.

უკვე გაეკეთეთ (გვ. 404—7), აქ მოკლედ აღენიშნავთ, რომ არჩილის აზრითაც საწუთრო (კრუ და მუხთალია, სიკვდილი, რომელიც ქვეყნად შემოსულა ღვთის ბრძანების დარღვევის გამო, რაც სამოთხის ხილის ქაშაში გამოიხატა, ხედრია ყველასი; მიუხედავად იმისა, რომ ღმერთს ეს ქვეყანა გაუჩენია ადამიანის სამსახურისათვის, ნამდვილი ბატონი საწუთროა, მონა კი ადამიანი, იმიტომ რომ უკანასკნელი ვერ იჩენს საჭირო გონიერობას, ნების თავისუფლებას და წინდახედულებას, რომ ზომით მოიხმაროს ყველაფერი და იცხოვროს ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი დანიშნულება. ერთი სიტყვით, დავითი ამ შემთხვევაში თითქმის პირდაპირ იმეორებს არჩილს.

სიყვარულის პრობლემა აღძრულია იმ იდილიაში, რომელსაც ქაცვია მწკვიმსი ეწოდება. აეტორის აზრით სქესობრივი მიზიდულება ქალ-ვაჟთა შორის ბუნებრივია: „ყოველს ხორციელსა ვერ ნახავ ტიელსა, არ ქვეანდეს ტოლიო“ (გვ 184); მაგრამ პოეტს არა სწამს თავისუფალი სიყვარული, ვინაიდან ის მას მიაჩნია ეშმაკის საქმედ, სულის წარმწყმედლად. აღზნებული გოგოს გრძნობას ბიჭი ასკეტური თავდაპერილობით უპასუხებს: ჯერ უნდა გავიფოთ, „ღვთიური არის თუ ეშმაკური“ ჩვენი გრძნობები;

„თუმცა მთნაეს, მსურის შენთან დაწოლა,
მაგრამ შიშითა გულში მაქვს ბრძოლა:
ვინც რომ დაგვინახავს,
დაგვემობს, დაგვეძახავს
უწესურს საქმეს (გვ. 183).

„უშჯულოებით შეყვარებულნი ტყეში დადიან შეპარებულნი, ხოლო სჯულიერად შეუღვლილნი არავის არ ერიდებიან, რადგანაც მათი ერთად ყოფნა კანონიერია“. მეორე შემთხვევაში გოგოს ასეთი მორალით ჰსურს გაანელოს აღტყინებული გრძნობა ახალგაზდა ბიჭისა:

ჯვარის დაუწერლად ეგე საქნელი
ნუ გჩანს ადვილად, ცოდვა არს ძნელი,
ღმერთს ეწყინება
საწოლთ შეგინება უშჯულოებით.

ჩვენ დაგვიძახებენ ბოზებს, სახელი გაგვიტყდება, ქვეყანა ატყდება ჩვენს საძრახავად, განსაკუთრებით, თუ დავვორსულდი და შეილი გვეყოლა.

სჯობს ქალი მოკედეს და დაიმარხოს,
ურთიგო საქმე არ დაიძრახოს:
ქალთ სახელგატება
არს თავთ მებღატება
მშობელთა თვისთა (გვ. 189).

ვინც უშიშრად, ურცხვად, გვირგვინთ უკურთხად ცოლქმრობას შერება, — პოეტის შეხედულებით; „ემსგავსება ქისტს და დიდოს, კერპთმსახერთ, სჯულთ-უწმიდოს,“ (გვ 219). პოეტი იმდენად უარყოფითად არის განწყობილი უკანონო, თავისუფალ სიყვარულისადმი, რომ, როდესაც ახალგაზრდა გოგო-ბიჭში

პუნებაშ მინც თავისი მძლავრი სიტყვა სთქვა და ისინი „უსჯულო საქმისათვის“ მოიყვანა ჯაგებში, პოეტმა მათ ეს არ ჩაადენია შემთხვევითი, უმნიშვნელო გარემოებათა მეოხებით, და დააწვინა ისინი ერთად მხოლოდ მაშინ, როდესაც მღვდელმა ჯვარი დასწერა არაჩვეულებრივს პირობებში. პოეტის შეხედულებით „კანონიერია“ ის სიყვარული, რომელიც აერთებს მხოლოდ „სჯულიერ“ ცოლქმარს; მნიშვნელობა არ აქვს იმას, არსებობს თუ არა მართლა მათ შორის სიყვარული, ეს არცაა აუცილებელი საჭირო, ოღონდ ჯვარისწერის წესი იყოს შესრულებული მათზე და ცოლი მორწმუნე, მეოჯახე, მუშაკი და გამრჯელი იყოს. კაცა უნდა ცდილობდეს იმას, რომ მისი ცოლი ისეთი იყოს, როგორც ეს წარმოდგენილია ისო ზირაქის მიერ; მისი არჩევის დროს ის არ უნდა ახვეს თვალის ვნებას ან სურვილს. „თვალის სიამოვნე არის ერთი წამი.“ „...თვალთ ნამუშავევი არს ნაეშმაკევი,“ „თვალი არს მცდენელი. კაცთა წამზდენელი, შემამენელი;“ ამას პოეტი ასაბუთებს ბიბლური მაგალითებით: „თვალის ნდომამ“ შეატყინა ადამ და ევა, გამოიწვია გოდლის აშენება და წყალთა აღდგენა. ცოლის არჩევისას ადამიანი უნდა უსმერდეს გონების ხმას და არა თვალისას; „თვალით“ არჩეული არცაა სასურველი: ლამაზ ქალს უნდა ერიდო, ვინაიდან ის ბოზია, ბევრს ჯაცს ატუნს. მისი „შავი თვალწარბი“ ქმრისათვის ცხოვრების გამმწარებელია, ვინაიდან ბევრი სცდილობს მის წარპარვას.

ლაშაზის ცოლის პატრონი კაცი
 არს ფიქრისგან შორს წარანტაცი.
 მისთვის შიშნეულობს
 და მისთვის სნეულობს,
 შინ არს თუ გარეთ. (გვ. 253).

ქალს ნუ უარყოფ თვალად ნასობით,
 თუ გწადს სიცოცხლე წელთა ასობით:
 ოღონდ ფხიზლად ვლიდეს,
 ქმარს არ სხეაზედა სცელიდეს.
 არ იყოს ანჩხლი. (გვ. 251).

ულამაზო ცოლი თავიდან აგაცილებს დაუღვევლ ზრუნვას:

შენ გეყოლების შავი დედალი
 შენს საქათმეში კვერცხის მღებელი:
 ამას იტყვის ქურდი,
 შავია და ცუდი,
 რად მოვიპარო?
 შენს კარმიდამოს შეიქს კაცანსა,
 მოგართმევს კვერცხით საესე ბაცანსა,
 გიჩეკს წიწილებსა,
 გიზრდის წერილ შვილებსა.
 სხეა რალა გინდა? (გვ. 254).

როგორც ვხედავთ, სიყვარულის საკითხში პოეტი განზოდის ნაწიელი ას-
ექტური მორალით და მიზი ოჯახური შეხედულება ბევრად არ განიჭრება რუ-
სული ДУМНОСТЬ-ის შეხედულებათაგან.

წმიდა ლირიკული ნაწარმოები უფრო მეტი აქვს ჩვენს პოეტს: ლირიკის
მისი უმთავრესად რელიგიურ-მისტიკური ხასიათისაა ის წარმოადგენს გულის
სიღრმეიდან ამოხეთქილ ლოცვას და აღზნებულ ჰიმნს, რომელშიაც შექებულია
სამება-ერთარსება და ღვთისმშობელი. ამ ლოცვებსა და ჰიმნებში მოკლებულია
კონკრეტულად მთელი ტრიოდოლოგიური მოძღვრება:

მზე და სიბივი და ნათელი ვით სამად გაღექსულია.
იგ სამივე ერთი მზე არის. არც ცალ-ვე გაქსაქსულია,
ეგრეთ მამა და ეგრეთ ძე და ეგრეთ წმინდა სულია,
ვისაც სამება არა სწამს. სჯულთაგან გადასულია (გვ. 76).

ღმერთი არს თვითხელმწიფე, თვით უფალი, თვით მჭირველი.
არაეინ ჰყავს მოზიარე, აქვს მპყრობლობა უცილველი,
ღვთისაგან ნიეთობს ყოვლი ნიეთი, ხილული და უმილაფი.
სუფიეს ყოვლი სულისაგან ძვირ უთქმელი, უცილველი.
მას აქებენ ანგელოზნი, ცა. ქვეყანა, ბნელ, ნათელნი,
ხლეა, ხმელეთი, ხე, ბალახნი, მთა, ბორცვი, ტყე, მღანარ-ველნი.
პირუტყვ-მხეცი, მფრინველ-თევზნი, ვეშაპ, ყოველ ქვემძრომელნი.
ცეცხლი, ქარი. წყალი. მიწა, კაცი ცხოვლად პირმეტყველნი;
მზე და მთვარე, ვარსკვლავები, ღრუბელ, ნისლი, ცის-სარტყელი,
ზამთარ, ზაფხულ, ყინვა, სიცხე, თოვლი, წვიმა, მწუჭრნებთ მრწყელი.
ელვა. ქუხილი, მებ-ტატანი, ხორშაკ, სეტყვა, ხილთ მბერტყელი.
„ყოვლი სული აქებდით უფალს“, იტყვის წინასწარმეტყველი:
(გვ. 24—25).

მათილაც, ეს ხომ ის ჰიმნია, რომელსაც ამღერებდა თავის ებანსა და წინწილ-
ზე ჯერ კიდევ დაეით წინასწარმეტყველი (ფსალმუნი 148):

ღმერთი ღორსია ასეთი ქებისა და დიდებისა კაცთაგან, ვინაიდან

ღმერთმან ქვეყნად რაც მოჰფინა, ყელა ჩვენთვის განაჩინა.
თვალ-მარგალიტ, ოქრო-ვერცხლი, სპილენძი თუ ქვა და რკინა.
კიაც ჩვენთვის აღუშაეა, კიკნაური აპარკინა.
ჩვენცა გეზართებს ღმერთს დაუთჰოთ სწავლა-გვემით რაც გვატყინა
(გვ. 25).

ამგვარივე ხასიათის და შინაარსის ჰიმნს წარმოადგენს „ვაქოთ. ეადიდოთ
ვინაო, ღმერთი მაღალთა შინაო“ (გვ. 146). თავის ლოცვებსა და ჰიმნებში და-
ვითი ან გალობასა სწირავს მამასა და ძეს გაჩენისა და მზრუნველობისათვის.
ჯერბოდ ძეს ჩვენთვის ვნებისა და ჯვარცმისათვის. ანა და სთხოვს მათ: „მიბოძე

საზრდო სულისა, მშინა მკანეო, კიდეც შენმოსე, სიცივით სულ ვკრკი ამ ლამეო“ (გვ. 82), „პური არა მატეს, მიბოძე, მშინა, მაქამეო“ (გვ. 69), „ჩვენ გ(ო)დეთ და შენ შეგვინდე, სულგრძელ მოწყალეო“ (გვ. 69). „ღმერთო, შემინდე აწ ჩემი ნაქნარი ცოდვა და ბრალი“ (გვ. 123)

უშუალო გრძნობით და ლმობიერებითაა გამსკვალული ჰიმნო-ღვთისმშობლი-სადნი კისტრინის ომის გამო (გვ. 111), სადაც პოეტი აქებს მას სხედასხეავა-რი ყვაილოანი სიტყვებით. და „ვედრება ღვთისმშობლისა, ოდეს კლდეს შეა-ფარა თავი დაფითია“ (გვ. 77—79); აქ ტაეპში პირველი სამი სტრიქონი წარ-მოადგენს შესხმას ღვთისმშობლისას, ხოლო უკანასკნელი ვედრებას: „მომეც ნა-უოფი კეთილა“, „შენ დამიფარე, დამიკეე“, „მიხსენ, ნუ დამწვევ სახმილით“, „შემმოსე მადლით შიშველი“, „განმადე მადლით მშვიერი“, „მასვი მე მადლით მწყურვალსა“, „მიგრძილე ცოდვით საწვაესა“, „მეწუხებულსა მხარე“, „გზა სი-მართლისა მასწავე“, „მოწყალებისა კარი გამიღე“, „შენ განმინათლე გონება“, „ტყვეობისაგან დამიხსენ“ და სხე.

რელიგიური გრძნობით აღტყინებული, ასეკტური მორალით გაქდნთილი დაფითი უარჰყოფს ქვეყანას, ხორცს, რომელსაც „მყრალ კურჰელს“ ეძახის (გვ. 84), ოცნებობს მხოლოდ სულსა და უზენაეს არსებასთან შეერთებაზე; აქაურ ცხოვრებას ის „მოცდუნებას“ ეძახის, ამიტომ ურჩევს სხეებს:

აწ გაურთხილდით, ვისაც ჰქუა გქონდესთ,
რომე არა წარსწყმდეთ,—სულითა სცხონდეთ,
ჩემსავეთ ნუ მოსცდებით (გვ. 151).

სულის ცხონებას, ღვთაებასთან შეერთებას, მისი აზრით, შეეწევა

მღვდლის წირვა-ლოცვა, საკმეელის კმევა,
მშვიერთა კმევა, შიშველთა კმევა,
უსამართლობით არვისი რთმევა (გვ. 304).

აწნაირად, რელიგიურ-მისტიკური მოტივი უმთავრესი მოტივია დაფით გუ-რანიშვილის პოეზიისა; იმას თავი უჩენია არა მარტო ლირიკაში, არამედ საის-ტორიო პოემებშიც, რაეღენადაც ასეთი პოემების საგნად ბიბლიური ეპიზოდე-ბის გაღეჰქვისათვის მიუძარათავს მას.¹ ეს მოტივი იმდენად მძლავრია მის შე-მოქმედებაში, რომ ის რუსული ხალხური და ეროვნული ლექსების კილოსა და საზომს იყენებს სარწმუნოებრივ-მორალური შინაარსის ლექსებისათვის და ამ უკანასკნელისათვის უარჰყოფს ქართულ ხალხურ მოტივებს, როდესაც ამბობს: „არანანინას, თარანანინას ესე სჯობია, ღვთის სამკობია, აღიღულია“ (გვ. 131).

მეორე მთავარი მოტივი დაფით გურამიშვილის ლირიკისა და პოეზიისა საზოგადოდ არის ხედა; ეს მოტივი გვეხმის ჩვენ ჯერ კიდევ ჩვეულებრივს

¹ გაღეჰქვისა მას: ადამ და ვვას შეცოდება, ნოეს კიდობნად შესლევა და წარღვნა, გოდ-ლია შენება და ენის შერეგნა, დაფით მეფის როკვა კიდობნის წინაშე მაცხოვრის განკაცებ, მო-ცოქელუბის წარწევა, იოდას გამცემლობა, გეთსიზანაში შეპყრობა, ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლე-ბა, ხარეა და მიცვალება ღვთისმშობლისა. ერთს ნაწარმოებში წარმოდგენილია ზოგადი მი-მოხილვა ღვთაებრივი იკონომიისა და ადამიანისათვის მზრუნველობისა. ამ აზრზე დაფითი ტი-პიური წარმომადგენელია თავის ეპოქის მწერლობისა, როდესაც პოეტები, ს:სულიერო და საერო, თავის ნაწარმოებთა სიუჟეტ-დ ლებულობდენ ხოლმე ბიბლიური ისტორიის ეპიზოდებს.

ელეგიებში. ამ შემთხვევაში საყურადღებოა „ტირბლი ლეთისმშობლისა“ (გვ. 18—20), „მოთქმა ხმითა თაებოლო ერთი“ (გვ. 21—23) და „ვაჰ, რა მაქვს დიდი მოწყენა“ (გვ. 135—138); ამ ელეგიებში მთელი სიღრმე-სიგრძე-სივანით გამოხატულია უნუგეშო გრძნობა დედისა (ლეთისმშობლის), რომელიც ხედავს შტერთაგან განგზირულს ერთადერთ შვილს (მაცხოვარს), გრძნობა, რომელიც დასტირის უდროოდ დაკარგულს ძვირფას არსებას და აღშფოთებულია ადამიანთა უმადურობით, რომელთაც თავისი კეთილისმყოფელიც კი ვერ შეიგნეს. მგორე ელეგიური მოტივი ჩვენ გვესმის ისეთს ნაწარმოებში, სადაც გამოხატულია მონანული ადამიანის გრძნობა, რომელსაც შეუგნია თავისი უღირსობა, ცოდვიანობა, რომელიც ამის გამო ძრწის სულისათვის და უნებლიედ ამოიწახებს:

ვამე, ვამე, სულო ცოდვილო,
ხორცით დაქრილ და დაკოდილო! (გვ. 116);

„ვამე ცოდვალსა და უბადრუქსა, მე ვინ მალირსებს ასეთს ნაზმანსა“ (გვ. 127)? ანკდის ჰანგზე მომღერალი პოეტი არაიშვიათად სასოწარკვეთილებამდე მიდის და ისეთი პესიმიზმით უყურებს ყველაფერს, რომ უნებლიედ წამოიძახებს: „რად ნშვა დედამა, შავმა ბედამა?“ (გვ. 156).

დავითის პესიმიზმი გამოწვეულია საზოგადოდ მისი სამშობლოს სავალალო მდგომარეობით და პირადი ცხოვრების უკუღმართობით; ამას თან ერთვის კიდევ შეგნება ამქვეყნიური ცხოვრების არარაობის, უსამართლობის, მუხანათობის და წუთიერობისა, რაზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი და რაც ასე მკვეთრად გამოუხატავს მას შემდეგ სიტყვებში:

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?
თუ ხარ სიმდიდრე, რა არს შიმშილი?
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?
იყავ ერთერთი, იწამე ღმერთი! (გვ. 155).

ფუ, შე ცრუო საწუთროვო, რად არ მძულდი, რად მიყვარდი?
შენ ყოფილხარ მწარე მსნაკეი, მე მგონე ტკბილი უნდი,
აქ საკვდავად რად მოგყვანდი, თუ მუნ ცოცხალს წამიყვანდი,
რატომ აგრე უწყალო ხარ, სასიკვდილოდ არ შეაწყალებდი? (გვ. 302).

• ფუ, შენ ცრუო საწუთროვო, ხარ არათერი!
ვარდს ყვავს შერთავე, ასკილს ბულბულს, არს რა საუერი? (გვ. 150).

ზართლაც, რა კარგი შეამთხვია მას საწუთრომ, რომ გულდამშვიდებით ელაპარაკნა და ეფიქრნა იმაზე:

ამად ვსტირ, ვარ ცრემლით სველი, საწუთროს კარგს არას ველი.
ცრუ არს წუთისაფელი, ანაზდისა მყოფელი,
მძობელი თუ მღობელი არის დაუნდობელი,
და მძაცველი (გვ. 140).

პოეტის ასახელებს კერძო მოტივებსაც მისი პესიმისტურად განწყობილებისას:

ზორგთ მძიმე ტვირთი შეიღია ცოდვისა, არ მსუბუქია.
გზაშეტომილი ვრონინებ, მზრობს ქარი და ბუქია,
მასხია ცივი ნაბადი, არა მაქვს თბილი ქურქია.

გულს ნიკოლს სევედის ლახვარი, აღმასის დანის სადარი.
დედ-მამა, ძმანი დაეკარგე, არ ეიცო დანი სად არი (გვ. 60).

|| დედმამისა და და-ძმათა დაკარგვაზე მეტად პოეტს ჰქლავს სამშობლოს დაკარგვა:

სახით სიტყვაშეწინიერო, სხიო მზეთამზის სახეო,
ვეძებე და შენი მსგავსი მე აქ ვერსადა. ვნახეო,
გვაჯები, ნუ გამწირავ. მოვეკდე - შენკერძ დამმარხეო,
ჯოჯობეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე სამოთხეო.

ვამე ჩემო საესავო, ტკბილო ცხოვრებისა წყარო,
გავეყარე შენს სახესა, ვა თუ ველარ შევეყარო:
აწ შენვე გთხოვ, შენ შემყარო, ვინც გარდასთიხნ ცა-სამყარო,
მასაც გვედრებ: ვინც გამყარა, მისი ჯავრიც ამამყარო (გვ. 58).

პოეტს აწუხებს ამასთანავე ის გარემოებაც, რომ ის ბერდება და გადადობა
უშეილოდ, უშემკვიდროდ:

მშეილდს მომიწივა მუხთალმა, ისარი გულში მამასო,
არ მომცა ძე, არცა ასული, არენ მიძანის მამასო.

ამაზედ არის ჩემი და ცრუის საწუთროს ჩხუბია,
სად კაცს არ ჰუნდა, წაიყვანს, ყელზედ საბელი უბია,
მისთვის ესტირ ცხელის ცრემლითა. სველი მაქვს კალთა-უბია,
მე მსურდა, ერთი არ მომცა, ვის არ სურს, მისცა ტყუბია.

სამ-ოთხ რიგად მუხანათმან გულს ლახვარი მამაღერა,
სულ მატირა ჩემი დღენი, არაოდეს არ მამღერა,
ვით ბოლოკი, მქნა აერეზი, ამაჩოყა. ამაღერა,
თესლაშრეტით გამანშო და უნაყოფოდ დამაბერა (გვ. 100-101).

საზოგადოდ დაჯიტი ასე ახასიათებს თავის სავეალლო ბედს, რომელიც შეიქნა
ერთერთი მიზეზი მისი პესიმისტურად განწყობილებისა:

მე ვარ ვითა აღდაქი, ბიცი და მლაშობი,
დედისაგანვე ცოდვისა შინა-ნაშობი,
უშრტო და უნაყოფო, ვით გალი განმზმარი,
უძეო, უასულო, არარად სანშარი.

საწუთროს სოფლიხაგან ბევრის გზით ენებული,
ნრაეაღს განსაცდელსა შინა შეყუანებული,

სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული,
დაპარგული ცოდვით, არ მადლით მოძებული (გვ. 312—313).

არის თუ არა დავით გურამიშვილის ლირიკაში სატრფიალო-სანიჯნურო მოტივები? დავითს აქვს რამდენიმე ისეთი ლექსი, რომელიც თითქოს ამ საკითხს დადებითადაა სჭრის: ასეთია: 1) ოდეს დატყვევებულმან საყვარლის სახე და პურათი ვეღარ ნახა (გვ. 58). 2) სიმღერა დავითისა ზუბოეკა (გვ. 140-142) და 3) სიმღერა: საყვარელმან სიტყვა ავი მიხზა, გულსაწვაი (გვ. 143). ნამდვილად კი არცერთს ამათში ქალისადმი ტრფობასა და მიჯნურობაზე ლაპარაკი არაა: სატრფოდ და მიჯნურად ყველა ამ ლექსებში, ისე როგორც ვახტანგ პეტის ნაწერებში. იგულისხმება 1) სამშობლო და 2) ღმერთი. კერძოდ ძე ღვთისა, შაშასადამე, ლექსები, თანახმად მამუკა ბარათაშვილის ქაშნიკის მოთხოვნილებსა. სიმბოლური ხასიათისაა. ამას თვით პოეტიც ადასტურებს:

შორს ახლიხარ საყვარელს, ახლოს განვმზადეო.
სახე მისი. სურათი, თვალწინ მოილანდეო,
მის წინ ასე სტიროდე, იქ მას შეებრალდეო!
თუ გწადს შენსა საყვარელს გულით შეუყვარდეო,
შენთვის ლახვრით დაქრილსა სისხლსა ცრემლით ბანდეო.

საყვარელი გიყვარდეს, სხვას ნურავის დახდეო.
მის გაყრასა ნუ იტყვი, რაგინდ თავს აწამდეო.
თორემ დიად გაიძულდეს. შენ რომ სხვასა ჰყვანდეო.

მკითხველს რომ არ ეგონოს, რომ აქ მართლაც საყვარელზეა ლაპარაკი, პოეტი შენიშნავს:

ახადე ბადეო, თვალთა მიეც ანდეო.
სკან ამ ლექსთა იგავი, თარგმნე, თუ გიყვარდეო!
ქართლის პურის ქერქშია შიგ თათუხი ჩადდეო.
ქერქი გაფრქვევენ, განავდე, შიგნით გულს კი სკამდეო“ (გვ. 66).

მეორე ადგილას, სადაც პოეტი მზესა და მზეთამზეს ეტრფის (გვ. 60—61), ის ჩქარობს უთხრას მკითხველს, რომ აქ ქალზე და სიყვარულზე არაა ლაპარაკი, ამისთანა აზრებით ჰეს წიგნი. წმიდად სახმარი, არავინ გამიჩირქოთო“ (გვ. 61): არა.—

ისმინე ლექსთა მკითხველო, სიტყვა აკიხსნა წინადა:
ძეს ღმერთს კაცებით მზედ ვსახავ. სახით მზეს თინათინადა
(გვ. 61)

მართლაც, დასახელებულ სამ ლექსთაგან პირველში (გვ. 56) პოეტი მიმართავს სამშობლოს, რომლის ფასს ის ვერსად ვერ კმოულობს და რომლის მახლობლად, თუ წიაღში არა, უნდა განისვენოს: მეორეში (გვ. 140—142) საყვარლად იგულისხმება მაცხოვარი, რომელიც პოეტს რუკვდავების წყალს და ცხოვრების პურს უბოძებს, რომელსაც „მისი (კაცის) სიყვარულისათვის სცემეს პელმეკრულსა“ და რომელიც პოეტს რეგულდება ცად, სადაც უნდა ისიც წაყ-

უკან იქმნეს (გვ. 142). ბესამეშიაც (გვ. 143--141) პოეტი ჰგულისხმობს ღმერთს. რომელმაც გააგდო თავისაგან დავითი, ცოდვებით აწყურებული, და ეუბნება: თუ გინდა მიყვარდე, იყავი წმიდა, დაიცევე ჩემი მცნება. არ გაჰყვარო, მუდამ ჩემთან იყავო: მაგრამ ამ მცნების შესრულება ჩემთვის ძნელი შეიქნა, ამბობს პოეტი, -- „მკვიდრს საყვარელს გავეყარე, წუთიერი შევიყვარეო“. საყვარლად რომ ძეს ღვთისას ჰგულისხმობს პოეტი, ეს ნემდევრიდანაცა ჩანს. „მომიკლეს მე საყვარელი, სიტყვა ძედ ღვთისად თხრობილიო“ (გვ. 135). მართლაც, ასკეტურად მოაზროვნე პოეტი, მონასტრული მორალის მქადაგებელი, საარშიყო მოტივებს ვერ მოჰკიდებდა ხელს: ის, ვინც ქალს იმდენად აფასებს, რამდენადაც უკანასკნელი მეოჯახება, ვისაც სილამაზე და მშვენიერება ეშნაჯის მახედ ზიანია. ვინც ქალგაყის ურთიერთობას იმდენად ითმენს, რამდენადაც ეს კანონიერი. სჯულიერი ცოლქმრობაა, სატრფიალო-სამიჯნურო ლექსებს არ დასწერდა. პოეტი ამბობს:

როცა დაეკაცი, ჰკეას მაშინ შაეცი,
 ლამაზს ქალს შეეხედი, მიჯნურად გავხედი,
 ამაზე წაეხედი, მცნებას გარდაეხედი,
 როგორც ვიგეზე, ეგრეთ ვიგეზე (გვ. 154).

როგორც ვხედავთ, მიჯნურობა, ეს ახალგაზრდობის საუკეთესო ყვავილი-პოეტს წახდომად. მცნების გარდახდომად მიუჩნევია, და, რასაკვირველია, ის მას დიდფრამბებს არ უძღვნიდა. თითქოს გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ქაცვია მწყემსი, რომელმაც სულწარმეტაც იდილიურ-რომანტიულ არეზე გადაშლილია მთელი თავისი რეალობით მძლავრი მოთხოვნილება ადამიანის სქესობრივი ბუნებისა და ქალ-ვაჯის ურთიერთისადმი ლტოლვილებისა. მაგრამ სწორედ ეს არის ის ნაწარმოები, რომელშიაც პოეტი, როგორც დავინახეთ. ბერული და ასკეტური უღმობელოებით ამხედრებულა ამ მოთხოვნილები-სა და ლტოლვილების წინააღმდეგ და ერთს შემთხვევაში კანონიერი ცოლქმრობის და სჯულიერი შეუღლების ფარგლებში ჩაუყენებია ის, ხოლო გეორგნი შეუღლებობრივ კავშირზედაც აღუბინებია ხელი „მცნების“ სწავლისა და ბიბლიური მოთხრობის შეთვისებისათვის. არც შეიძლებოდა სხვანაირად მოქცეულიყო პოეტი, რომელსაც დევიზად მამუკა ბარათაშვილის ქაშნიკიდან ამოღებული სიტყვები ჰქონდა: „კაცს ჰმართებს ავი ამბავი არ გალექსოს“, როგორც „მრავალთ დედაცაუ ტრუილებისათვის თაირის ზღაპრები გაულექსავთ მსმენთ საზიანოდ და მთქმელთ საურვიოდ. თუ ქალის არშიყობაზე გინდა წერა, ცოლქმრობის სიყვარულზე თქვი, ან კარგი იგავები, ან სწავლა, ან ომის და ფალანების ამბავი“.

შესაძლებელია, დავითის პოეზიის ასკეტურ-მისტიკური და პესნიისტური ჰანგები იმითაც აინსნებოდეს, რომ მისი ლიტერატურული მოღვაწეობა უმთავრესად იშლება მოხეტეებულობაში, როდესაც ის 69--70 წლის კაცია. ეს ჰანგები გამოძახილი ხომ არაა დღემოქმული, ცხოვრება-მოყიქებული სოლოზინის დევიზისა: „ამაოება ამარებათა, ყოველივე ამაოება“?

რა უნდა ითქვას საზოგადოდ გურამიშვილის პოეზიის შესახებ? არსებობს შეხედულება, თითქოს გურამიშვილი მეტეორივით გამოჩენილიყოს აღორძინების ხანის ლიტერატურის პირიზონტზე და მისი პოეზია სულ ახალ რამეს წარმოადგენდეს ჩვენს მაშინდელს მწერლობაში. ეს აზრი საესეებით მისაღები არაა. წასდიდი გადაკარბება ეტყობა. უუქველია, გურამიშვილი დიდი ნიჭითა და ხელოვნური ალლოთი ყოფილა დაჯილდოვებული, როგორც ეს ქაცვია მწყემსი დანაც ჩანს, მაგრამ მას ისეთს ეპოქაში და ისეთს პირობებში უჩღებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, რომ მისმა ნიჭმა და გემოვნებამ ის ვერ მოგვეცა. რის მოცემაც შეეძლო. რა მოგვეცა ახალი ზან? მისი ჩანგი უღერს მხოლოდდამხოლოდ საისტორიო, დიდაქტურ-მორალურ და რელიგიურ თემაზე, ისე როგორც მისი წინადროის მწერლებისა, უფრო კი არჩილ მეფისა: სატრფიალო—სამიჯნურო თემებს ისე გაურბის, როგორც არჩილი, და იმ ლექსებში, რომელთაც თითქოს ასეთი ხასიათი აქვს, პოეტი ეტრფის და „ეამიყება“ ღმერთსა და სამშობლოს, როგორც ვახტანგ მეფე; მაშასადამე, ახალი ამ მხრივ მას არა შეუმატებია რა ჩენი მწერლობისათვის. მართალია, ქაცვია მწყემსში მისმა ხელოვნურმა ნიჭმა უნებლიედ ამოგლიჯა ხალხის წიაღიდან მშვენიერი იდილია, მაგრამ შეგნებული ასკეტის უღმობელმა ხელმა ის განუვითარებლად მოაშთო და ჩაკლა. არც ერთი ახალი აზრი, არც ერთი ახალი მოტივი, არც ერთი ახალი გრძნობა, რომელთაც სხვების ნაწერებში არ ჰქონდეთ ადგილი. დავითს არ მოეპოვება, განსაკუთრებით ის განიცდის არჩილის გავლენას, რომელიც დიდაქტურ-მორალურ დარგში, როგორც დავინახეთ, მისი აზრების სიტყვა-სიტყვით გამოვრებამდეც კი მიდის. იქნება მოხდენილი პოეტური სურათები მაინც მოგვეცა მან? მისი ლირიკის საგანია უმთაერესად ცოდვილის. ღვთის მაძიებელის ამ ქვეყნად განშორებულის სულისა და სვინდისის მოძრაობა, ის, რასაც დანღირდენ საუკეთესო წარმომადგენელნი საეკლესიო ჰიმნოგრაფიისა: გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას ამ შემთხვევაში, რომ სურათების მოხდენილობით, ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზით და უშუალო ლირიკული გრძნობით ამ ჰიმნოგრაფებს დავითი ვერ შეედრება. ის მშვენიერი იდილია. რომელსაც ქაცვია მწყემსი ეწოდება და რომელშიც, როგორც ვთქვით, უნებლიედ იღუვა დავითის ხელოვნურმა ნიჭმა, სამწუხაროდ ბოლოსადამოლოს არაბუნებრივი გამოვიდა; მართლაც, იმ პირობებსა და მომენტებში, რომელშიც იმყოფებოდენ ვნებათა ღელვით შეპყრობილი გოგო-ბიჭი, ვანა შესაძლებელია ისეთი პოშილექტიკური რეზონიორობა, რომელიც გვესმის ერთს შემთხვევაში ბიჭის, მეორეში გოგოს პირიდან? ვანა ისეთს მშვენიერს და საინტერესო დასაწყისს, როგორიცაა გვაქვს პირველს ნაწილში, შეშენის ის ასკეტური ქადაგება და ბიბლიური მოთხრობები, რომელიც მეორე ნაწილში გვაქვს? და თვით პირველს ნაწილში რა საპირთა ის ადგილი, სადაც შეშის მკრელი ჯერ გამოცინცლავს გოგო-ბიჭს თასს, ღვინოს და კედელს, სცემს კიდევ და თან ბიჭის მამას შოატყვილებს იმის შესახებ, თუ როგორ ჩაუვარდა მას ხელში იმისი თასი. ღვინო და კედილი? მისი მიზანი იყო „პირთა შინა ძმას მოხმარებოდა“ (გვ. 223), ესე იგი შეექნა ისეთი პირობები, რომ გოგო-ბიჭის ჯერისწერა პოშნდარიყო, ეს კი მას შეეძლო გაეკეთებია უიმაღლილოდაც. ერთი სიტყვით, ბუნებრივმა ნიჭმა

და აღლომ. განუეითარებლობის გამომ და ასკეტური მორალის ზეგავლენით, გასაქანი ვერ პოვა და მშენიერს, ლამაზს და მოსდენილს თავს უხეში და ტლანქი ტანი მიიბა.

არც ფორმის მხრივ გვაძლევს ბევრს ახალს გურამიშვილის პოეზია; მისი ლექსთწყობა განიკიდის მსლაერს გავლენას მამუკა ბარათაშვილის ქაშნიკისას და ზოგიერთს შემთხვევაში უკანასკნელის მიხედვითაა ჩამოსხმული. გურამიშვილი ხმარობს 5, 6, 7, 11, 12, 14, 16 და 20 მარცვლოვან ლექსს, ამ მხრივ ის წინ ვერ წასულა მამუკა ბარათაშვილისაგან, რომელსაც ნახმარი აქვს 5, 7, 8, 9, 10, 11, 13, 14, 16, 20 მარცვლოვანი ლექსები. რიტმის სინახით, რითმის სიმდიდრით და ტრიოლეტური ახმაურებით გურამიშვილის ლექსი დაკავშირებულია ქაშნიკის ავტორის ლექსთან: დიდ რამედ ამ მხრივ თავისი ლექსი არც დაეითს მიაჩნდა, ის პირდაპირ ამბობს:

ოდეს მაშვრალს მოსწყურდების, მაშინ წყალი ღვინოდ ღირსა,

დრო მოვა, რომ გატკბილდების, ხილად სკამენ პანტის ჩირსა,

(გვ. 300).

რუსულ თუ მალოროსიულ ლექსთათაურებით წარწერა თავისი ლექსებისა დაეით გურამიშვილს იმავე მამუკა ბარათაშვილიდან გადმოუღია, უკანასკნელის ლექსების სათაურში ჩვენ ვკითხულობთ: „რუსული ხმები“, „ჩერნიკოს ამა“, „პოიდი დრუჯოკის ხმა“, „ნე სმუშაის ხმა“, „პოროდილა ჩეჩოტოჩკას ამა“, „პოლცკის ხმა“.

აქვს დაეითს აკროსტიხული ლექსებიც; მაგალითად, „ლოცვა, ოდეს დაეითს ტყეეობასა შინა მოზიდა და ღმერთს პური სთხოვა“, შეიცავს აკროსტიხად „მამო ჩვენოს“ (გვ. 68—69), ხოლო „სამების ვედრება“—დიდებისმეტყველებას—„რამეთუ შენი არს სუფევა“ (გვ. 70); იაპიკო „ძის ვედრება დაეითისაგან“ გვაძლევს კიდურწერილობას „დაეით გურამიშვილი“ (გვ. 71). აკროსტიხის შედგენაში ყველზე მეტად დაეითი არჩილ მეფის გავლენას განიცდის; არჩილის გავლენა იმაშაე ჩანს, რომ დაეითი სწერს ისეთს ლექსს, რომელშიაც წარმოდგენილია „ამოცანა“ (გვ. 148—9), ანუ „ამოცანა იგავი, ასახსნელად აღვილი“ (გვ. 151), აგრეთვე ანბანთქება შემდეგი ტიპისა: ტაეპში სიტყვები დალაგებულია ანბანის რიგზე. პირველი სიტყვა იწყება ა-ნით, მეორე ბ-ნით, მესამე გ-ნით და ასე ბოლომდე. ანა და პირველი იწყება გ-თი, უკანასკნელი ა-ნით (გვ. 152).

სტილის მხრივ დაეით გურამიშვილის ნაწერებში ყურადღებას იქცევს ხმაურება: ყე ნაწილაკისა. მაგალითად, მოგითხარე (გვ. 24), ანინი პრეტექსებისა: ნაეებოდა, შამადგომამ, შაგწყალდი, შაეეარო, შაეედი, ამამყარო, მამეშალა, და რითმის ზეგავლენით უკანონო ფორმებისა: ზედები (გვ. 20), მორჩნი ყვაეილთა ხეთები (14), შეეიქნა ცოდვის ზიერი (223). საკვირველია, რომ დაეითს ასკეტურმა განწყობილებამ და მორალისტურმა ტენდენციამაც კი არ დაუშალა შეეტანა თავის ნაწერებში ისეთი ეულგალური თქმანი, როგორცაა შემდეგი: ღვინის მსმელი და მორთულის დედოფლის გვერდით მოლიღინე მეფე „ასწევს ფეებესა, შეყოფს და გაყოფს, გულზე მიიკრავს ორისაე მჯიღით“ (გვ. 146), გინდა ქაცვია მწყემსის უაღრესად რეალისტური ადგილები.

1. ბესარიონ გაბაშვილი.

ბესარიონი, ან, როგორც უფრო ცნობილია ის. ბესიკი, ეკუთვნის გაბაშვილთა ან გაბათონელთა გვარს, რომელმაც მეთერამეტე საუკუნეში ლიტერატურულ ასპარეზზე რამდენიმე მოღვაწე მოგვცა: ასეთებია: ცნობილი პიტროპოლიტი ტიმოთე.¹ ზაქარია დეკანოზი, მისი შვილი იოსები. ან ოსე,² და ასული ზაზა გაბაშვილისა მამია. ბესარიონი იყო ერთერთი შვილი ზაქარია დეკანოზისა, თეიმურაზ მეორის და მისი ოჯახის მოძღვრისა. ზაქარია ცნობილია როგორც ნიკიერი და განათლებული კაცი, ღრმად მცოდნე ძველი წიგნობისა და ფილოსოფიისა, ამასთანავე თევგამოდებული დაძვეული მართლწადიდებლობისა: ის ერთერთი ინაციატორი იყო ანტონ კათოლიკოზის წინააღმდეგ ატენილი პროცესისა, რომელიც დამთავრდა, როგორც ვიცით, ანტონის დანაშაულით, ხოლო მისი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ზაქარიას იმერეთში გაქეუებით. ამის შემდეგ ზაქარია რუსეთისაკენ გამგზავრებულა, ალბად იქ მყოფ ბატონიშვილთა შორის ბედის საძებნელად; ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე მენახულა ერთი წერილი მისი ვახტანგ მეექვსის შვილის, გიორგისადმი, მიწერილი აშთარხანიდან ნოსკოეს. ეს წერილი უფრო ხოტბა ან ოდაა გიორგი ბატონიშვილისა, ოცმარცვლოვანი ჩახრუხაულით დაწერილი, რომელშიაც ის. სხვათა შორის, თავისთავებდაც ლაპარაკობს და გიორგის ყურადღებასა და დახმარებასა სთხოვს.³ ბესიკისა და ოსეს გარდა მას. როგორც ამ ხოტბიდანა ჩანს. სხვა შვილებიც ჰყოლია; ის სწერს გიორგის:

მე მტირალს ქართლი განომარეს, ყვედრება გმობაზედ დამაყარეს,
მყულლას წართემას (?) არ მიმეყარეს, შვილნიცა რეანი ერთგამ
წამგვარეს.

ზაქარიას ლიტერატურულ ტალანტს ჩვენ ვეცნობით, გარდა დასახელებული ოდისა, სხვა მისი თხზულებებიდანაც. როგორცაა: 1) პოემა სატირა „ქატონის ომი“, რომელშიაც აწერილია ანტონ კათოლიკოზის კათოლიკეთა ბადეში გახევეა, მისი გასამართლება და გაძევება; 2) ლექსი ეტლზე, რომელ არიან ხელდაქანი ბურჯნი⁴ და 3) ლექსი—სულთ სატრფონი, სამოწონონი, საზენონი⁵. ლიტერატურული ნიჭი და მიდრეკილება ზაქარიას თავის შვილებისათვისაც გა-

¹ ივ. კეკელიძე, ქართველი ლიტერატურის ისტორია, ტ. I. 371—381.

² ეს ოსე შემდეგ მღვდელი გამადარა, 1814 წელს კაროთოიერმან ოსელ დაბაგემან, ზაქარია მოძღვრის ძეგან. კახლარს ქალაქსა ნინო, მონასტერსა ცოცხელმუფელსა ჯუაროსასა დადსაწერა ერთი ბელანწერი (ანტონ კათოლიკოზის წყობილისი ტყუილობა და პროლოგი პეტრაჟის. არსენის და ანტონის), რომელიც ჩვენ ვნახეთ ერთ კვანძ კაცთან.

³ წერა-კითხვის ხელნაწერი № 303; გვ. 53—56.

⁴ წერა-კითხვის ხელნაწერი № 303; 1203; 1512; 3704; 3723; და სხვ. დ. ხუბინაშვილი, ქრისტოპოტი, II. 22—27. 1863 წ.

⁵ წერა-კითხ. № 303; 1512.

⁶ წერა-კითხვის ხელნაწერი № 1516; გვ. 98.

დაუცია; ამისი დამამტკიცებელია არა მარტო ბესიკი, არამედ იოსები ან ოსტრომლისაგან დარჩენილა „ანბანთქება, თქმული მეორის თეიმურაზ მეფის ასულის ელისაბედზე შაირად“.¹

ბიოგრაფიული ცნობები ბესიკის შესახებ იმდენად ღარიბია, რომ დანადვილებით და გადაქრით იმასაც ვერ ვიტყვიან, თუ როდის დაიბადა და გარდაიცვალა ის. ამ შეთხვევაში გამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ ეპიტაფია მისი, რომელიც მოჰყავს ზ. ჭიჭინაძეს: „საუფლავსა ამისა შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ იობიან-გაბაშვილი, რომელიც წარმოგზავნილი იყო იმერთა მეფისაგან დესპანად რუსეთის დიდებულების საიმპერატორო კარისადმი და მიიქცალა აქა, იასსა, წლისა მ, წელთა ჩლუა, იანვრის კდ“.² თუ ასეთი ეპიტაფია მართლაც არსებობს ან არსებობდა (სამწუხაროდ, ზ. ჭიჭინაძე არ აღნიშნავს, საიდან გაიგო ან გადმოსწერა მან ეს ეპიტაფია) და ის სისწორით არის გადმოღებული, ბესარიონ გაბაშვილი უნდა დაბადებულიყო 1751 წელს, ვინაიდან 1791 წელს, როდესაც ის გარდაცვლილა 40 წლის ყოფილა. მისი ნაწიის დეკანოზის ზაქარიას, გაელენიანობისა და პატივცემულობის გამო, ცნობისმოყვარეობითა და ნიკით უხეად დაჯილდოვებული ბესიკი პატარაობიდანვე მეფის ოჯახში იზრდებოდა ბატონიშვილებთან ერთად, რის მეოხებით ის ეზიარა სამეფო კარზე მიღებულს სწავლა-აღზრდასა და განათლებას და შეიქნა ზედმიწევნით მკოდნე, სხვათა შორის, სპარსული ენისა. მასა და სამეფო ოჯახის წევრთა შორის გაიბა ძაფი მტკიცე კავშირისა და მეგობრობისა. რომელიც არ გაწყვეტილა მას შემდეგაც, რაც დეკანოზი ზაქარია იმერეთს იქნა გაძევებული.³ მას აუასებდა და ყურადღებას აქცევდა მეფე ირაკლი, რომელიც, შესაძლოა, შესაფერ მონდობილობასაც აძლევდა მას,⁴ თუმცა, რასაკვირველია, სპარსეთში არ გაუგზავნია საქართველოს საქმეების გამო. როგორც ზ. ჭიჭინაძე გვამცნებს, ვინაიდან ირაკლის ნდობითა და პატივისცემით ბესიკს შეეძლო ესარგებლა მხოლოდ 1772 წლამდე, ამ დრომდის კი, ოცი წლის ბავშვს, პასუხისსაგებ დიპლომატიურ მისიას კუთიანი მეფე, რასაკვირველია, არ ჩააბარებდა.

მეფის სახელულობასთან სიახლოვემ საბედისწერო როლი ითამაშა ბესიკის ბედ-იღბალში; ამის შესახებ არსებულ ცნობებს ბესიკის საუკეთესო გამოცემე-მელი და ბიოგრაფი ს. გორგაძე ასე გადმოგვცემს: „1772 წელს დაქვრივდა თეიმურაზ მეფის ასული ანა ბატონიშვილი, რომელიც დიმიტრი ორბელიანზე იყო გათხოვილი. ახალგაზრდა ქვრივი თავის ძმის ირაკლი მეფის სასახლეში და-

¹) წერა-კითხვის ხელნაწერი №№ 1203, 1512, 1516, 1534, 1515.

²) ბესიკი, ლექსნი თქმულნი ბესარიონ გაბაშვილისაგან, გვ. 11, ტფილისი 1885 წ.

³) აი როგორ ახასიათებს ბესიკს ერთ წერილში მისი მეგობარი სულხან ორბელიანი (ქართლ. ცხოვრ. II, ვ. 18), ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე მეფესარგებელ საუკუნის მეორე ნახევრისა (და არა იგაე-არაკების მწერალი საბა-სულხან ორბელიანი): „ცუ მეგობარო, ტყილად წაუბარო და სახით მშვიდო, სიბრძნითა სრულო, ბუნებითაა მეცნიერებათა გონება-კეთილოვნო, ხოლო კეთილად სტრატეგიად აღკანმულებითის კებითა აღმატებულო, უმზინიერებად წარჩინებულო“ (ივერია 1902 წ. № 110).

⁴) ს. გორგაძე, ბესიკი, გვ. XI ტფილისი 1912 წ.

⁵) ბესიკი, ლექსნი თქმულნი ბესარიონ გაბაშვილისაგან, ვვ. 4.

ბინავდა. ბავშობიდან ზაქარია მოძღვრის შვილებთან შეზრდილი, იგი სულ აღვილად დაუახლოვდა ბესარიონ გაბაშვილს და მათ შორის გაიბა საიდუმლო გრძნობის ქსელი. რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონიშვილებამდის ნიუწყვია ხმას, ვითომც ბესიკს სხვა ქალი შეჰყვარებოდეს; ეს რომ ანა ბატონიშვილს შეუტყვია. პესიკი სასახლეში აღარ მიუღია. უკანასკნელი გრძნობით აღსავსე ლექსებში თავს იმართლებს, მოციქულებსაც კი აახლებს ანა ბატონიშვილს, მაგრამ ამოოდ!... ერთხელ დაბნული სამოთხის კარი მას აღარ გაუღეს. ამ რომანის ანბავმა ირაკლი მეფემდინაც მიაწია: განრისხებულმა მეფემ ქერივი და მონასტერში გაგზავნა, ხოლო ბესიკს სასტიკად აღუკრძალა ამიერიდან ამ საგანზე ხმას ამოღება: წინააღმდეგ შემთხვევაში შენც მამაშენივით გაგაძევებ ქართლ-დამაო, მაგრამ სიკვდილდე მისული ახალგაზრდა მგოსანი არა ცხრებოდა; ამბობენ: ერთხელ ბესიკმა სასახლისაკენ ჩაიარა და აივანზე ორი შავით მოსილი (სამოლოზნო ტანსაცმელი), ქალი დაინახა, რომელთაგან ერთი ანა ბატონიშვილი იყო. ამ შემთხვევის გამო მას გამოუთქვამს ახალი ლექსი „შავნი შაშვნი“. რომელიც მალე გავრცელებულა მთელს ქალაქში და მეფემდინსაც მიუწვია. განრისხებულ მეფეს უბრძანებია მსაჯულებისათვის: ჩენი ოჯახის მეურაცმყოფელი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, მეტეხის ციხიდან გადააგდეთო. მაგრამ სასახლის ერთ-ერთ წვერისაგან ბესიკს მეფის გადაწყვეტილება შეუტყვია და იმერეთში გაქცევით უშეელნია თავისი თავისათვის“.¹

მართლდება თუ არა ეს ამბავი ისტორიულად ანდა ბესიკის ლექსებით? ბესიკის ლექსებიდან ეტყობილობთ, რომ 1) მას მართლაც უყვარს ვაგიჟებით ვილაც კეკელი, რომელსაც მისთვის ლალატი დაუწამებია და ამისათვის თავიდან მოუცილებია; 2) ის მოშორებულია თავისიანებს, ტოლ-ამხანაგებს და სატრფოს, იმყოფება უცხო თემს უარიბად, რაც მას სიცოცხლეს უმწარებს. ისტორიულად ვიცით მხოლოდ ის, რომ სამოცდაათიან წლებიდან ბესიკი მართლაც იმერეთში ცხოვრობს მამასთან ერთად, იმერეთის მეფის კარზე, რომელიც 1779 წელს საიდუმლო მინდობილობით მას ჰგზავნის სპარსეთში, მერე კი, ოთხმოციან წლების გასულს, რუსეთში. მაგრამ ეს ყველაფერი კიდევ არ გვაძლევს საკმარისს საბუთს ზემოთყვანილი ამბის დასადასტურებლად. ამ ამბავში გაუგებრობას იწვევს შემდეგი გარემოება: 1) ბესიკი მართლაც სწერს სატრფიალო ლექსს ვინმე ანაზე,² მაგრამ ეს ანა არის არა ბატონიშვილი, არამედ დედოფალი; 2) რად უნდა გაეგზავნა ერეკლე მეფეს თავისი და ანა მონასტერში, თუ, როდესაც მან ეს ამბავი გაიგო, ანას ბესიკი უკვე აღარ უყვარდა, თავიდან მოცილებული და სასახლიდან დათხოვილი ჰყავდა? ანას მოლოზნობა ისტორიულადაც დამტკიცებული არაა და არც ლექსი „შავნი შაშვნი“ უნდა ჰგულისხმობდეს მოლოზნებს [მოლოზანი და არ მოწყვნით მომღერალნი, მღიმარანი?“. და ვინ იყო მეფის ოჯახში იმ დროს „ორნი ერთი ერთის მიმდევარნი, ტოლნი, შავით მოსილი მოლოზანი ქალი“?; პირიქით, ის უნდა წარმოადგენდეს სინბოლურ, აღ-

1) ბესიკი, გვ. X-XI.

2) იქვე, 35. 14-16

წერილობას და ქებას სატრფოას ორის („მჩობლად მხედნი“) შაეის, შაეის წამ-
წამებით. როგორც შავ-ხავედით, მოსილის თვალებისას. ისე, როგორც აღწერს
და შეადგობს ორს თვალს ლექსი „გიშრის ნაეი“.¹ რომელიც ვარიაციაა „შაენი
ნაშენი“-სა როგორც ფორმით, აზრით, ისე ეპოთეტებით (ორნი ტოლნი, ბზინ-
ვაჩობა, მჩობლი, მრსბოლი).

3) ბატონიშვილი ანა ვერ იქნებოდა საგანი ბესიკის აღზნებული ტრფო-
ბისა. ანა, მატინანეს ცნობით, არის „პირმშო ასული“ თეიმურაზისა,² ესე იგი
ტყროსა შვილი მისი; თეიმურაზმა ანას დედა თამარი, ვახტანგ მეექვსის ასუ-
ლი. შეიერთო 1711 წელს.³ მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, დაიბადა ანა არაუგ-
ვაანგს მეთვრამეტე საუკუნის მეორე ათეულისა. მართლაც, ირაკლი მეფე, ანაზე
უმცროსი შვილი თეიმურაზისა, დაიბადა 1718 წელს;⁴ ანა, თუ მეტი არა, ორი
წლით ადრე. ესე იგი 1716 წელს, ხომ მაინც დაიბადებოდა? მიათხოვეს ის
დინიტრი ორბელიანს. ნატიანეს თქმით, „ყამსა. ოდეს ფაშა ახალციხისა პატ-
რონობდა ქვეყანასა ქართლისასა“.⁵ ახალციხის ფაშები პატრონობდნენ ქართლს
იქნეს გარდაცვალებიდან. ესე იგი 1727 წლიდან 1731 წლამდე, როდესაც
ქართლი წაართვა მას თამაზხანმა.⁶ მაშასადამე, ანა გათხოვილა 1727—1731
წლებში, როდესაც ის 12—18 წლის იქნებოდა,⁷ რაც მისი დაბადების აღნიშ-
ნულ თარიღს არ ეწინააღმდეგება. დაქვრივდა ის 1772 წელს, როდესაც ის, ამ
ანგარიშით, იყო არა ნაკლებ 56 წლისა. ბესიკი ამ დროს იყო 20—21 წლის
ანაწვილი. წარმოუდგენელია და დაუწვებელი, რომ 20—21 წლის ბავს დაეწ-
ვოს გაგიყვებით არშიყობა 56 წლის ქვრივისათვის. ვთქვათ. ჩვენ არ ვიციით ნამ-
დვილად ბესიკის დაბადების წელიწადი და 1772 წელს ის ხნიერი კაცი იყო:
ამ შემთხვევაშიაც ანას ჩვენ ვერ მივიჩნევთ მისი ტრფობის საგნად, ვინაიდან
ის, ვისაც ბესიკი ეტრფის, არის. მისი ლექსების მიხედვით, ახალგაზრდა ქალი:
„კეველა—მარდი“ (გვ. 11), „ეარდი, ჯერეთ არ შლილი“ (გვ. 21), „ვის შვიდ-
ნივე არა ჰყავს სწორი“ (გვ. 196). ანა ბატონიშვილი არაა ის „ეარ-
დი—ია“. რომელიც აელერებდა ბესიკის გულის ჩანგს, ასე რომ ჩვენ არ ვიციით
დანამდვილებით. ვის ეტრფოდა მეფის ოჯახში“ ბესიკი და ვისი გულისათვის
იქნა ის გაძევებული სამშობლოდან: თუ ეს უკანასკნელი მართალია. ვამბობთ
ასე იმიტომ, რომ ცნობა, ვითომც ჩვენი პოეტი „მეფეს ირაკლისაგან ტუილი-

¹ იქვე გვ. 201—205.

² ქართლის ცხოვრება II, გვ. 371, 389.

³ იქვე, გვ. 77.

⁴ ვინაიდან გარდაიცვალა ის 18 წლის 1748 წელს, იქვე, გვ. 410.

⁵ აქედან ცხადია, სიმაართლეს მოკლებულია მ. იოსელიანის ცნობა, ვითომც ანა
1721 წელს დაიბადა (ცხოვრება მეფის გიორგი მეექვსისა, გვ. 13, გამოცემა ხ. ქიქინაძისათ).

⁶ იქვე, გვ. 371.

⁷ იქვე, გვ. 175.

⁸ იქვე, გვ. 88.

⁹ იქვე, გვ. 91.

¹⁰ შეიძლება ის იყო ერიერთი, ისტორიაში უცნობი. საული ან თეიმურაზის, ან ირაკ-
ლისა; მაგალითად, ა. ხახანაშვილი ამ ანას სთვლას ირაკლის ასულად (Очерки III, 221).

სით განდევნილ იქმნა იმერეთად,* ეკუთვნის დავით რექტორს და მის დროს, როდესაც მრავალი ლეგენდა დადიოდა ბესიკის შესახებ. შესაძლებელია, ირაკლის არაერთი მონაწილეობაც არ მიუღია ბესიკის გადასახლებაში და ეს გადასახლება სულ სხვა მიზეზით და სულიერი მოტივებით იყო გამოწვეული: წინააღმდეგ შემთხვევაში მეტად ძნელი გასაგები და ასახსნელი იქნებოდა ფსიქოლოგიურად ირაკლის „ქება“ და „დალოცვა“ (გვ. 59, 214) მის მიერ სასიკვდილოდ განწირულის და სამშობლოდან გაძევებული ბესიკის მხრივ.

ასე თუ ისე, სამოცდაათიან წლების გასულს ბესარიონს იმერეთში ეხვედრათ მის მამასთან ერთად, სოლომონ მეფის კარზე, სადაც, დიდებითა და პატივით მიღებული, ის დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა. 1779 წელს სოლომონი ჭკზაუნის მას სპარსეთს საიდუმლო მინდობილობით,¹ ხოლო სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ის, როგორც მდივანი დავით მეფისა, აწარმოებს რუსეთთან მიწერ-მოწერას; 1788--9 წლებში მას ჩვენ ვხვდებით ქალაქ კრემენჩუგს მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ელჩებთან ერთად, 1790 წელს მიეჭკზაუნება პეტერბურგს, აქედან გადმოდის ქ. იასაში. სადაც ამდროს იყოფებოდა ლენერალი პოტიომკინი, რომლის ხელში იყო მისდამი მინდობილი საქმის მსვლელობა. აქ, შიშვე ავადმყოფობის შემდეგ, ის გარდაიცვალა 1791 წლის 24 იანვარს და დასაფლავებულ იქმნა ადგილობრივ საკრებულო ტაძარში, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არც გარდაცვალების ადგილი და წელიწადი მისი ზედმიწევნით ცნობილი; მისი ძმა იოსები გადმოგვცემს, რომ ბესიკი კრემენჩუგში გარდაიცვალა და დაასაფლავეს,² ხოლო პ. იოსელიანის ცნობით ის 1793 წელს გარდაიცვალა.³

ასეთია მოკლედ მთავარი ეტაპები ბესარიონ გაბაშვილის ცხოვრებისა, როველთაც განსაზღვრეს და ჩამოაყალიბეს ხასიათი და მიმართულება მისი პოეზიისა. ბესიკი ერთი იმ ბედნიერ მწერალთაგანია, და მათი რიცხვი არც ისე დიდია წარსულში. რომელთა თხზულებებს, როგორც იქნა, დღის სინათლე ელირსა. მის ნაწარმოებთა კრებული, საკირო ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობებით, კომენტარებით და ლექსიკონით, გამოსცას გორგაძემ.⁴

ბესიკის ნაწერები შემდეგს მთავარ დარგებად შეგვიძლია დავყოთ: 1) სატრფიალო და სამიჯნურო ლექსები, 2) ელეგიები, 3) სატირები და 4) ოდე-

¹) ი. ზედნარწერა ლექსისა „ტრეპლთა ისარია“ (გვ. 25, შენიშვნა.)

²) Brosset, Histoire de la Géorgie II, liv. 2, p. 217.

³) ibid p. 398.

⁴) ცხოვრება მეფის გიორგი მეცამეტისი. გვ. 210, გამოცემა ხ. ჯიბინაძისა.

⁵) ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი), ტფილისი 1912 წ. მხოლოდ გამოცემულს ტექსტს შეეჯნა მეოთხე განმარტება (გვ. 191--222); და მოეთავსებია შიგ „სადავო ლექსები“; აქ სადავო არ უნდა იფას რა: იმ ლექსებს, რომელნიც მოთავსებულია 215--221 სურათზე, აღნიშნული აქვთ ბოლოში ავტორის სახელი ბესიკი და ყარაიბი (გვ. 216), ერთს კიდევ („მშენიერება ავღმწიფე“). გვ. 210) ზელნაწერში აქვს აღნიშნული ბესიკის სახელი (E. Такашвилиთა შიგნი II, 319). სხვებზე, მოუხედავად იმისა, რომ მათში იმ ზელნაწერში სხვა ავტორის მიეწერება, ანდა სულ ავტორის დაუსახსნელად და ქალაქილი, შინაარსით, ლექსწარმოებით და ფორმით უცილობლად ბესიკის ნაწარმოებად უნდა აღვიაროთ. იმ ავტორზე პისიკე „ბესარიონ გაბაშვილის“ (ბესიკის) ახლად აღმოჩენილი ლექსები და ბიოგრაფიები, ჩვენ დამტკიცებებ, წელიწადი მეორე, ან 1, 1924 წ. გვ. 26--33.

ბი. ყველაზე ნეტად ბესიკის პოეზიაში წარმოდგენილია სატრფიალო ლექსები. მისი ტრფობის საგანი იყო, როგორცა ვთქვით, სამეფო ოჯახის წევრი, ვილაცა ანა. მაგრამ არა მარტო ანა: ტყუილად კი არ დაუხმავს უკანასკნელს პოეტისათვის სიყვარულის კარება, როდესაც გაუგია, რომ მას სხვა ქალიც უყვარს: დავით რექტორი. მომსწრე მისი, თუ რომანის არა, ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი წლებისა. პირდაპირ ამბობს: როდესაც ბესიკი მოსტყუებდა სხვის შეყვარებით, პირველმა სატრფომ, ვარდმა-იამ. შეუტყო და თვისთან აღარ გაატარაო. ბესიკი არ უარყოფს ამას: ის აღტაცებულ სატრფიალო ლექსებსა სწერს, ანას გარდა. ვილაცა „ბანოენთა უტურფესს“¹ და მეფის ასულს მზე-ხათუნს.² უფრო ხშირად და მძლავრად მისი გულის სიმებს სკიმივდა და აქლერებდა, რასაც ვიწვევლია, ანა. ე-თი რიგი ანას მიერ გამოწვეული ლექსებისა შეიცავს მისი სიკე-კლუცე-სილამაზის აღტყინებულ აღწერასა და ქებას, მეორე რიგი — თავის გამართლებას მის წინაშე და ეაებას, რომ მან პოეტი, მისი მალმერთებელი, თავიდან შიშობრა და ახლოს აღარ იკარებს; მესამე კიდევ — გულამოსკენილი მოთქვაა სატრფოსაგან დაშორების გამო ავტორის ჯერ იმეოეთში, მერე უცხოეთში ყოფნისას.

ეს ლექსები, უფრო კი მეორე და მესამე რიგისა, მწვავე ელეგიური ტონითა დაწერილი, მაგრამ ეს ტონი განსაკუთრებით გვესმის იმ ლექსებში, რომელნიც ბესიკს დაუწერია ყარბობაში ან უცხოეთში, იმერეთსა და რუსეთში; სავარელ სამშობლოს და გულითად მეგობრებსა და ტოლამხანაგებს მოშორებულნი, სატრფოსაგან გადაკარგული და უგულბელსყოფილი, ის მწარედ, უნუგეშოდ სტირის, სწყველის. თავის თავს, თავის ბედს და ამ უკულმართ, მუნთალ საწუთროს, რომელმაც ასეთს აუტანელს მდგომარეობაში ჩააყენა ის. მისი სევდა პირდაპირ მელანქოლიურ პესიმიზმამდე აღის და პოეტს შემდეგს მწარე სიტყვებს წარმოათქმევინებს:

ენაპოვა სოფლისაგან ბედნიერება?

ენიცა სცნობს წყეულსა — დაეკრძალება.

უნუგეშოს მართებს მართლად ვაება,

სტიროდეს და რბოდეს ველად და ველად.³

ჯერ კიდევ პოეტის მამას, ზაქარია დეკონოზს, იცნობდენ როგორც გესლიანი, მებნარი ენისა და სატირული ნიჭის პატრონს; ამ ნიჭმა, რომელიც მან „კატის ომშიაც“ გადაგვიშალა, აუმხედრა მას ვილაც ურიაყოფილი დავით მღვდელი და გამოიწვია მისი მხრივ უსასტიკესი სატირა ზაქარიაზე,⁴ სატი-

¹) „აღვახვამ ქებად ბაგესა“, გვ. 17—20.

²) „გართ კარგის მგონე“ გვ. 198—9.

³) „მაპტუორცნა სოფელნა“, გვ. 27; ეს ლექსი დ. ჩუბინაშვილის კრესტომატიკაშიც არის (II, 125-6, 186; წ.), მაგრამ ორი უკანასკნელი სტრიქონის მაგიერ იქ ვითხულოთ:

მონა შეეჭრილვარ ანტუანეტისა,

იგი სჯეისთვის. ავდება და მე. სხვისთვისა.

ამის შემდეგ კიდევ არის ექვსი სტრიქონი, სადაც პოეტი სთხოვს ამხანაგებს დახმარებას და შევლას.

⁴) წერა-კითხვის ხელნაწერი № 1512, გვ. 964—979.

რელ ნიქს. რომელიც გამოიხატება ადამიანთა და ცხოვერების ღუბქირი მხარეების გაკიცხებასა და სასაცილოდ აგდებაში, მოკლებული არ ყოფილა ბესიკიც. თავისი სატირის გესლიანი ისარი ბესიკს მიუწართავს განსაკუთრებით მზექაბუჯ ორბელიანის წინააღმდეგ, რომელიც იყო „კაცი შესახედავად მსგავსი ეზოპესი და ძველთა ფილოსოფოსთა ზედმიწევნლი, ლეთისმეტყველებასა შინა გამოცდილი და პაექრობასა შინა მარჯვე, აგრეთვე ხუმარ-სიტყვაობასა შინაც მარჯვე და პასუხსა უცხოდ მიმგები; მესტიხობასა შინაც ქებული¹ და პასუხისა უცხოდ მიმგები და მსაჯულისა საქმეადაცა შინა გამოცდილი“². გარეგნობა მზექაბუჯის სრული კონტრასტი იყო მისი სულიერი თვისებებისა: ფიზიკურად ის ნამდვილი მახინჯი იყო, რაც თანამედროვეთა შორის დაცინენას იწვევდა. სხვათა შორის გესლიანი სატირა დაუწერია იმაზე ცნობილს აშულს საფათნოვასაც.³ აი ამ სიმახინჯეს გამოუწვევია ბესიკის პირველი სატირა (გვ. 183-4), ხოლო მეორე, „ანბანქებად“ დაწერილი (გვ. 184-8) — მზექაბუჯის არანაკლებ გესლიანსა და სალანძღავს საპასუხო სატირას, „ანბანქებადვე“ დაწერილს⁴.

რამდენადაც ეს სატირები პირადი ანგარიშითაა გამოწვეული, იმდენად საზოგადოებრივი ხასიათისაა სატირული პოემა „რძალ-დედამთილიანი“ (გვ. 91-132), რომელშიაც გაკიცხული და დაცინულია არანორმალური ურთიერთობა რძალსა და დედამთილს შორის, რომელიც საზღაპრო სიუჟეტადაც კი გამჭადარა ჩვენში. თუმცა ავტორს მხედველობაში ჰქონია თითქოს კონკრეტული ფაქტი, ის ამბობს: „დასრულდა ასე ამბავი, მართალი, არა კორია“ (გვ. 132), მაგრამ სქ ტიპური მოვლენაა წარმოდგენილი, რაც ამ ნაწარმოებს წარუვალს. პირადიულ ხასიათსა და მნიშვნელობას აძლევს.

ბედმა ბესიკს არგუნა ცხოვერება ისეთს ღირს შესანიშნავს ეპოქაში, როგორიც იყო ირაკლი მეორის მეფობა, და მეგობრობა და სიახლოვე ისეთს პირობებთან, რომელნიც ჰქმნიდენ ამ დიდ ეპოქას; ალტაცებულს გრძნობას, ამ ეპოქითა და პირებით გამოწვეულს, უნებლიედ ამოუხეტია ბესიკის გულიდან და მოუცია მთელი რიგი საყურადღებო ოდებისა. ასეთებია: „ასპინძის ომხედ“ (გვ. 52-68) და „რუხის ბრძოლა“ (გვ. 68-90), რომელშიაც აწერილი და შექმნილია ორი ღირსშესანიშნავი ისტორიული ბრძოლა ქართველებისა და მისი მთავარი გმირები. კერძოდ ბესიკის ოდების საგნად გამხდარან ირაკლი მეფე (ქება ირაკლი მეფისა“, გვ. 59-61) და განსაკუთრებით მისი სარდარი და სიძე დავით ორბელიანი, მთარგმნელი ყარაქანოვანისა (ამით აიხსნება, რომ ჰესიკი ერთს ადგილას მას უწოდებს „ყარაქან-დავის“, გვ. 160). დავითისათვის

¹ უთარგმნა მას ამ დარგში პერიერმენია არისტოტელისა სომხურიდან (კ. კაკე-ლიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 72).

² მას ეუფუნის ლექსი ბატონიშვილის ქეთევანის ძეობაზე (დ. ჩუბინაშვილის კრესტობატრა II, 87).

³ მზექაბუჯი იყო მდივანბეგი, ამირე უწყება, ქართველთა მწერალთათვის ძველი აქატრთელთ, ტ. I, გვ. 3; 83-44.

⁴ წერ-კითხ. ხელნ. № 5723, გვ. 54; E. Такайшვილი, Описание II, 222, ი. გრიზაშვილი, საფათნოვა, გვ. 51.

⁵ E. Такайшვილი, Описание II, 452-453.

ბესიკს უძღვნია სამი ოდა („მნათობთადმი“, „რაც მიიწერა სოფელმან“, „სრულთა მდინარე“), რომელშიაც ის აგვიწერს თავისი მეგობრის სიკვდილს. მაპაცობას და გმირობას. ხოტბის ან ოდის ხასიათი აქვს აგრეთვე იმ მოკლე ანბანთქებებსა (გვ. 171), და ზმას (გვ. 172), რომელიც ავტორს ნიუშღვნიანტონ მეორე კათოლიკოზისათვის.

ბესარიონი, როგორც პოეტი, თანამედროვეთაგანაც დაფასებული და მაჩნეული იყო, მას უწოდებდნენ „მელექსეთბაშს“ და რუსთველსაც კი აღარებდნენ ხოლმე (გვ. XXX-XXXI, ხოტბა ბესიკისა, შენიშვნა). მისი ბაიათები და მუხაბაზები, რომელთაც ის საუცხოვოდ ამღერებდა თარხე. პირიდან პირში გადადიოდა და აყრუებდა ქალაქის ბალებსა და ქუჩებს. ამ მხრივ ის წარმომადგენელია რამოდენადმე იმ აშუღური პოეზიისა, რომლის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ამიტომაც, რომ მისი მეხოტბე მას უწოდებს აშუღს: „აშუღსა მართებს ხმობანი, ბულბულთ ყეთანი ყელისა“, და ამბობს, რომ მისი ჰანგები და „ტურფანი ხმანი აშუღთ სახმარნი“-აო (იქვე). მისმა სატრფიალო ლექსებმა შემდეგში გამოძახილი ჰპოვეს განსაკუთრებით ალექსანდრე ქავკავაძის პოეზიაში.

საყურადღებოა ბესიკის პოეზია ფორმის მხრივაც. პირველად ყოვლისა ყურადღებას იპყრობს იმაში სალექსო ზომათა მრავალგვარობა; ბესიკი ხმარობს: 1) ოცმარცვლოვან ჩახრუხაულ ლექსს, რომელშიაც სტრიქონის პირველი ხუთი მარცვალი ერთმება იმავე სტრიქონის მეორე ხუთ მარცვალს, ხოლო დანარჩენი ათი მარცვალი შემდეგ სტრიქონთა ათ მარცვალს (გვ. 15): ანდა-სტრიქონების შინაგანი რითმები ტაეპში იძლევა შემდეგს კომბინაციას: 5-5, 7-7, 8-8 (გვ. 163). 2) ცხრაშექმარცვლოვანს, რომელშიაც თვითეული სტრიქონის პირველი ხუთი მარცვალი ერთმება იმავე სტრიქონის შემდეგს ოთხ მარცვალს, ხოლო ტაეპის ყველა სტრიქონებში მოცემულია რითმების კომბინაცია დანარჩენი 10-14 და 15-19 მარცვლებისა (გვ. 156). 3) თექვსშექმარცვლოვან რუსთველურს (გვ. 156 და სხვ.); 4) თუთხშექმარცვლოვანს, რომელშიაც ჰანდიხან შინაგან რითმათა შემდეგი კომბინაცია გვაქვს: 10-10, 5-5 (გვ. 166). 5) თოთხშექმარცვლოვანს, 6) თორმექმარცვლოვანს; ერთს შგნ-თხვეკაში (გვ. 181) ჩვენ გვკვდება ძველი ეკლესიური ურითმო 12 მარცვლოვანი იამბიკო. ამით გარდა მას აქვს აგრეთვე 11, 10, 8, 7 მარცვლოვანი ლექსები; წინადროის მელექსებთან შედარებით (მაშუკა ბარათაშვილი და დავით გურამიშვილი) მას ახლად შემოუღია 19 მარცვლოვანი ლექსი.

ამათივე საზომის ლექსისათვის ბესიკს მიუცია საჯანგებო, ტექნიკური არაბულ-სპარსული სახელწოდება, რომლის შემოღებაში პრიორიტეტი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საბათონოვას უნდა მიეწეროს; აი ეს სახელწოდებანი და მათი ახსნა-განმარტებანი, რომელნიც დავით რექტორს ეკუთვნის: 1) ბაიათი: რომელსა თურქნი უწოდებენ: 8 შაირად არის და 1 შაირი 4 ტაეპი არის. ხოლო ტაეპში 7 მარცვალი; 2) ყაფია, რომელსა ესრეთ თურქნი უწოდებენ. 4 შაირი არის, თითო შაირი 4 ტაეპი და თითო ტაეპი 11 მარცვალი. 3) მუსტაჰადი, resp. მუსტაჰაჰადი, თურქთა ხმად თქმული 5 შაირად, შაირი 5 ტაეპი, ტაეპი 14 მარცვალი; მუსტაჰადი არაბულია, კართულად-გრძელი რეა

ხმად განწყობილი. 4) თახმისი თურქთა ხმასა ზედა, ქართულს შაირებრ 16 მარცვლოვანია. ერთი შაირი 5 ტაეპია და ხუთხუთეული იქმნება. რომელ არს 15 ტაეპი; თახმისი არაბული ლექსია, რომელ არს 5 სტრიქონიანი. 5) მუხანბაზი, თურქთა ხმასა ზედა 5 შაირად, თითო შაირი 9 ტაეპია, თითო ტაეპი 10 მარცვლი; მუხანბაზი არაბული ლექსია, ქართულებრ ითქმის ხუთმარცვლოვანი. 6) თეჯლისი, 11 მარცვლოვანი.

ზოგიერთი ლექსი ბესიკს დაუწერია ეგრეთწოდებულის იამბიკოს სახით.—12 მარცვლოვანი ურიაჰოთი (გვ. 181) და 16 მარცვლოვანი ლარიბი რითმით (გვ. 170), რომელიც, შემოუთია ვინმე ფილიპეს¹ და გაუმეორებია შემდეგ არჩილ მეფეს. უხმარია მას აგრეთვე მეთურამეტე საუკუნეში შემოღებული ზმაც, მაგალითად — მირიანზე (გვ. 174), ანტონ მეორეზე (გვ. 172); განსაკუთრებით საყურადღებოა ზმები ნარღზე (გვ. 216) და ჭადრაკზე (გვ. 212); რომლებშიაც მას იძღვნად გაუმეორებია თეიმურაზ მეორის ამავე სახელის ზმები, რომ ზოგიერთა ხელნაწერები მათ თეიმურაზს მიაწერენ. ყველაზე მეტად ბესიკს გამოუყენებია თავის ლექსებში 16 მარცვლოვანი „ანბანთ ქებანი“.² რომლებშიაც: 1) ტაეპში ამოწურულია მთელი ანბანი, ა-გ, — პირველი სიტყვა იწყება ა-ნით, მეორე ბ-ნით და ასე ბოლომდე; ამგვარ ანბანთ ქებას ხმარობენ თეიმურაზ I, არჩილ მეფე, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი და სხვ. 2) პირველს ტაეპში ოთხი ასოა გამოყენებული: ა) პირველი სტრიქონის სიტყვები ყველა იწყება ა-ნით, მეორესი ბ-ნით, მესამესი გ-ნით და მეოთხესი დ-ნით (გვ. 185, 200). ეს ფორმა უხმარია ვახტანგ ყაფლანიშვილ-ორბელიანს ბესიკამდე; ბ) ტაეპში პირველი სტრიქონი იწყება ა-ნით, მეორე ბ-ნით, მესამე გ-ნით, და მეოთხე დ-ნით (გვ. 17); ეს ფორმაც მეტად ხშირია XVII—XVIII საუკუნეებში. 3) ლექსი შესდგება 18 სტრიქონისაგან, რომელთაგან თვითეულში გამოყენებულია ორი ასო, ერთით იწყება სტრიქონის პირველი 8 მარცვლი; მეორეთი მეორე 8 მარცვლი (გვ. 218); ამ შემთხვევაშიაც ბესიკი მის წინააღმდეგობის პოეტებს ჰბაძავს.³ 4) პირველს ტაეპში თვითეული სტრიქონი იწყება ა-ნით, მეო-

¹) კ. კეცელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 176. საეკლესიო იამბიკოს თავისებური საზომისა და რითმისას, წარმოადგენს ახლად აღმოჩენილი ოთხი ახალი საგალობელი ბესიკისა, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ მის ავტორს საფუძვლიანად სცოდნია ლუთისმეტრეულება და საეკლესიო ლიტერატურაც (ს. გორგაძე, ბესარიონ გაბაშვილის (ბესიკის) ახლად აღმოჩენილი ლექსები და ავტოგრაფები, უფროსი ჩვენის მეცნიერება წყ. ლიწადი მეორე, № I, გვ. 27-30).

²) თუმცა გვხვდება ჩვენ მის ნაწერებში 12 მარცვლოვანი ანბანთ ქებაც, რომელშიაც ტაეპი 5 სტრიქონისაგან შესდგება: ტაეპში პირველი სიტყვა იწყება ა-ნით, მეორე ბ-ნით, მესამე გ-ნით, და ასე ბოლომდის (გვ. 178). ამ შემთხვევაში ბესიკი ჰბაძავს თეიმურაზ მეორეს, დავით იმამყულბანს, ნიკოლოზ რუსთველს, ონოფრე ბოდბელს და სხვ. (E. Такайшвили, Описание II, 266).

³) E. Такайшвили, Описание II, стр. 257, ასოები ა, ბ, გ, დ, ე.

⁴) იქვე, გვ. 257. წერა-კითხ. № 370.1, გვ. 158.

⁵) იქვე, 257 წ-შ.

— ეწი ზ-ნით. მესანეში ზ-ნით და ასე ბოლომდე (გვ. 135). ეს ორიგინალური ანბანთ ქებაა. რომელსაც ეწოდება: „ან-ზე სით მოხვალ“? გეგმა ამგვარი ანბანთ ქებისა ასე აქვს გამოთქმული მაია გაბაშვილს თავისი ანბანთ ქების წინასიტყვაობაში:

აწ ესე მიწდა ანბანის გამოცანა ვთქვა ენითა.¹

ვის ეწონებ ანუ სით წავალ, სახელად რა გვიხმენითა,

მშვილდი რისა გვაქვს ან რისა იხმარენითა,

ნადირს რას მოჰქლავთ, რაში ჰკრავთ, ჰევეითად სდევთ თუ ცხენითა?²

ასეთი ანბანთქებანი უმთავრესად იმ მხრივ წარმოადგენენ ინტერესს, რომ ქაჩვენებენ, რამდენად შესწევდათ მათ ავტორებს გეოგრაფიის, ისტორია-მითოლოგიის, ზოოლოგიის და ბოტანიკის ცოდნა. ამგვარი ანბანთქებანი ბესალიონის გარდა სხვებსაც უწერიათ, მაგალითად, ჩვენამდე შენახულა:

1) „ანზე ვისი ყმა ხარ, ლექსად თქმული“ დიმიტრი ორბელიანის. თეიმურაზის სიძის, მიერ, რომელიც იწყება ასე:

ანის ქალაქით წამოველ ალავერდისკენ რებული.

არჩილის მოყმე ავთანდილ, ცეცხლი მისგან მაქვს ვსიბული,

ალღის მშვილდი ხელთა მაქვს, არყის ისარი წებული,

მოსფრინველს ალალს აფსკას ვკრავ, მაშინ ვიქნები ქებული.³

2) „გამოცანა ანბანზე“, მაია გაბაშვილის. ზაზას ასულის მიერ „სიკონისა ყმისა წარმოთქმული“, რომლის წინასიტყვაობა ზემოთ მოიყვანეთ; იწყება ასე:

ალმასხანის მოყმე ვარ, ანდრია მეწოდებისა,

ანდრით წაშოსული ვარ, ალევს მავალი ნებისა,

ალღის მშვილდი ხელთა მაქვს, ატმის ისარი ეწმისა,

ლალსა ვკარ. ასო მოვტეხე იგი უმაღვე ელებისა.⁴

ბესიკის ანბანთქება ამათი წაბაძვთა, როგორც დასაწყისიდანაც ჩანს:

ათინად სიბრძნის შემეკრები აზიად ვმზავრობ არესა,

ამირბარს ვეყმე ავთანდილ, ამო და ლომობიარესა,

ალღისა მშვილდი შემშვენდა ისრად არყისა მხმარესა.

არწივს აფსკასა შევაგენ, ჰაერს მოფრინეა მემარესა (გვ. 135—6).

ბესიკისათვის შემდეგ თავის მხრივ მიუბაძნია იოანე ბატობიშვილის ძეს გრიგოლს, რომელსაც დაუწერია: „ანბანთქება. ვისი ყმა ხარ, ან სად მიხვალ, ან მშვილდი რისა გაქვს, ან რას მოჰქლავ“: „ათინას ბრძნულად გაზრდილი ანგლიად ელიდი არესა“.⁵

¹) წერა-კითხ. ხელნ. № 1512, გვ. 505—510, № 1701, გვ. 107—171, E. Такайшвили, Описание II, стр. 254, 258.

²) წერა-კითხ. ხელნ. № 1582, გვ. 2—10; E. Такайшвили, Описание II, 242.

³) წერა-კითხ. ხელნ. № 3686, გვ. 114—129; E. Такайшвили, Описание II, стр. 173. ამგვარივე ანბანთქება დაწერია აგრეთვე ალექსანდრე ქავჭავაძეხანს (ი. მისი ლექსების კრებული, გამოცემა 1881 წლ. გვ. 40—57).

8. საქათნოვა.

საქათნოვა ტიპური წარმომადგენელია ეგრეთწოდებულის აშუღური პოეზიისა, რომელიც უნდა განვითარებულიყოს ჩვენში განსაკუთრებით მეთვრა-მეტე საუკუნეში. ამ ორიგინალური წარმოშობის პოეზიას ისეთი სპეციფიური დანიშნულება და თავისებური ხასიათი ჰქონდა,¹ რომ ლიტერატურის ისტორიკოსს შეუძლია გვერდიც აუაროს მას,² მაგრამ საქათნოვა იმდენად არა-ჩვეულებრივი პიროვნებაა, ისე დიდი იყო მისი მნიშვნელობა და გავლენა ქართულს ლიტერატურულსა და ინტელიგენტურს წრეებში, რომ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ორიოდ სიტყვა მასაც ვუძღვნათ.³

საქათნოვა იყო ტომით სომეხი, ტფილისში დაბადებული და აღზრდილი; ამათ აიხსნება, რომ საქართველოს ის სთელიდა თავის სამშობლოდ, ქართველ ბუნებს თავის მეუღედ და პატრონად, ხოლო ქართულ ენას მშობლიურ ენად, როგორც სომხურს: ის არამც თუ სთხზავდა და დამღეროდა ქართულს ლექსებს. სომხურ ლექსებსაც ქართული ასოებითა სწერდა და ქართული შენიშვნებით და ქორონიკონით ამკობდა ხოლმე. საქათნოვას მამა ყოფილა ქ. ალექსო დან ვამოსული სომეხი, რომელიც ტფილისში დამკვიდრებულა და ავლაბრელი სომხის ქალი შეერთავს; საქათნოვა არის ფსევდონიმი მისი, ნამდვილი სახელი კი ყოფილა, როგორც თვითონ ამბობს თავის ლექსში (გვ. 97, 121), არუთინა. ერთი სომხური ლექსის ქვეშ ასეთი წარწერა ყოფილა: „მე მილდისას შვილი არუთინა, ყმაწვილობიდან ოცდაათ წლამდე თავი დაუღე ყოველ სიმღერას და სურჯკარაპეტის ძალით ვისწავლე კიანური, ჩინგური და ამბურა, ეხლა კი ჰსურს სომხურადა ეთქო“. ამასთან საყურადღებოა, რომ მისი ლექსების დავითარში ან კრებულში ერთს თათრულ ლექსს 1742 წელი უზის თარიღად. ხოლო სომხურს 1752. აქედან ი. გრიშაშვილი ასკენის, რომ საქათნოვას ლექსების წერა დაუწყია, როდესაც ის 30 წლისა იყო, 1742 წელს, მაშასადამე. დაბადებულა 1712 წელსაო (გვ. 44—45). მაგრამ დავითარში ხომ არაა ნათქვამი, რომ ის თათრული ლექსი, რომელიც 1742 წლითაა დათარიღებული, პირველი ლექსია საქათნოვისი? პირიქით, თუ ის სომხური ლექსი, რომელსაც 1752 წელი უზის თარიღად, პირველი სომხური ლექსია მისი, როგორც ი. გრიშაშვილი ამბობს, საქათნოვა 1722 წელს უნდა დაბადებულიყოს, ვინაიდან ის ამბობს, რომ, როდესაც 30 წლის შევიქენი, „ეხლა მსურს სომხურადა ეთქო“. ერთი სიტყვით, მოყვანილი მინაწერები და თარიღები ვერ გვირკვევენ ჩვენ საქათნოვას დაბადების წელს; იმათგან მხოლოდ ვტყობილობთ, რომ 1742—1752

¹) ეს შევნიერადაა გარკვეული ჩვენი ახალგაზრდა და ნიქიერი პოეტის ი. გრიშაშვილისა მიერ, იხ. მისი „საქათნოვა“, ტფილისი 1918 წ.

²) ამით აიხსნება ის გარემოება, რომელიც აკვირებს ი. გრიშაშვილს (გვ. 61, შენიშ.), რომ ავტორი „მცირე უწყებისა ქართველთა მწერალთათვის“ საათნოვას არ იხსენიებს.

³) ესარგებლობთ ი. გრიშაშვილის დასაბუღებული მონოგრაფიით, რომლის შესახებ მ. შენიშვნა პროფ. ი. ყიფშიძისა („ხელოვნება“, 1921 წ. იანვარი № 3, გვ. 27.)

წლებში ის ცნობილი მელექსე ყოფილა; ერთი კი შეიძლება ითქვას, რომ უნდა დაბადებულიყოს ის არაუგვიანეს მეთვრამეტე საუკუნის პირველი მეოთხედისა.

პატარა არუთინა შშობლებს შევირდად მიუბარებიათ სათეიქროში. სადაც ის იმავე დროს წერა-კითხვასაც სწავლობდა თურმე. ბუნებითი ნიჭით უხედავ დაჯილდოვებულ ბავშვს ზღმიწვენით შეუთვისებია სამი ენა: სომხური, ქართული და სპარსული, და ოცდაათ წლამდე შეუსწავლია აშულობა, ესე იგი ქიანურზე, ჩონგურზე, ამბურაზე და სხვა ინსტრუმენტებზე სომხურ-ქართულ-სპარსული ბაიათების დაკვრა და დამღერება; ოცდაათი წლის რომ გამხდარა, საკლთარი ლექსებისა და ბაიათების თხზეაც დაუწყია და ჯერ დაბალ წრეებში მოუხვეჭია სახელი, მერე თანდათანობით შესულა არისტოკრატიულ სფეროებში. ბოლოს კი თვით მეფის სასახლეშიაც გაუქაფიან გზა, ასე რომ შექმნილა საქართველოს მეფის საზანდარი (გვ. 121), ესე იგი ნამდვილი კარის აზული, ალცილებელი პიროვნება, ლხინშიაც და ქირშიაც, მეფის ირაკლისა და მისი შვილებისათვის, განსაკუთრებით ბატონიშვილი გიორგისათვის: საათნოვას მნიშვნელობა და გავლენა არ ამოიწურებოდა მისი აზულობით, მას უფრო მეტსა და სერიოზულ ნდობას უცხადებდენ, ისე რომ ხშირად სხვადასხვა საპატიო მინდობილობით უცხოეთშიც ჰგზავნიდენ ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, იმ ლექსზე რომელშიაც ის, ბერად შედგომის შემდეგ, თავის წარსულ ცხოვრებას დასჯიარის, სხვათა შორის ამბობს, რომ ამიერიდან ის „ველარ წავა ხვანთქართან. ევენთანა“ (გვ. 107). 1758 წელს საათნოვას მოუკვდა მეუღლე მარმარა. რის შემდეგ მან „სხვისა მეუღლისა შერთვა არღაოდეს თავს იდეა“ და 1770 წელს ახპატის მონასტერში ბერად შედგა. ამ გარემოებას არ გაუწყვეტია მისი კავშირი ერეკლე მეფესთან. უკანასკნელი მას მუდამ მფარველობდა.

საათნოვას მოუსვენარი ბუნება ვერ შესცვალა და ვერ შებოკა მონასტრის კედლებმა; დროგამოშვებით ის მიატოვებდა ხოლმე მონასტერს და ტფილისში ჩამოიკრებოდა, სადაც თავის ყოფილ ამხანაგებთან ერთად აზულობის მრავალფეროვან ცხოვრებას უბრუნდებოდა. ამით ის დიდს უკმაყოფილებას იწვევდა არა მარტო სომხურს სამღვდელთაში, არამედ მეფის ოჯახშიაც; ყოველ შემთხვევაში ჩვენ სხვა მიზეზი ვერ მოგვიძებნია იმ უსიამოვნებისათვის. რომელსაც გამოუწვევია საათნოვას დათხოვა მეფის ოჯახიდან და რომელსაც ის უსევს ხაზს ბერად შედგომის შემდეგ დაწერილს ლექსში:

ნეტა არ გაგებდე, კარვალ გვემა,
 თუგინდ დამამტერიონ წაბო, გვერდები,
 ცოცხალი თავით ვერ ნოგშორდები (გვ. 123).

1795 წელს, როდესაც ჩვენი ღვდაქალაქი ემხადებოდა მძინვარე ალა-ნაშ-მად-ხანის შესახვედრად, საათნოვა ახპატიდან ჩამოვიდა ტფილისში და შვილები გაგზავნა მოზღოკს დასთან, თვითონ კი დაბინავდა ციხის ეკლესიაში (სურფგეურქის ტაძარში). როდესაც სპარსელები შემოვიდნენ ქალაქში, მათ იავარყვეს ეს ეკლესიაც: აწლაროს საათნოვა ეკლესიაში ლოცულობდა. სპარსე-

ლებმა შესძახეს მას: „გამოდი და გმე შენი რჯულიო!“ მსტოვანი აწელი გამო-
ვლდა ჯვრით ხელში კარის ბეჭეში და უპასუხა სპარსულად:

არ ეულალატებ ჩემსა იესოს,

არ დაეუტევებ ტაძარსა წმიდას.

ეს უკანასკნელი სიტყვები იყო საბათნოვასი. ის იქვე განგმირეს უღმობელმა
მკრებმა.¹

ასეთია მოკლედ ცხოვრება საბათნოვასი, რომელიც, როგორც ვთქვი, სი-
ბრძნადა ლექსებს და მღეროდა სომხურად, ქართულად და სპარსულად. სამწუ-
თაროდ. მისი ხელით 1765 წლამდე გადაწერილს დაეთარსა ან კრებულს თა-
ვის აკლია და ბოლოც; იმასი დღესდღეობით დარჩენილა. მხოლოდ სპარსული
ლექსები. სომხური ასოებით გადაწერილი, და სომხური, ქართული ასოებით
დაწერილი (ინახება სომეხ მწერალთა წიგნთსაცავში), ქართული კი, რომელიც,
საფიქრებელია. დავთარის თავში იყო, უკვლოდ დაკარგულა. ამიტომ მათი
აღდგენა ვეიხდება სხვადასხვა ხელნაწერების საშუალებით, რომელთაც, ექვს
გარეშეა, არც ყველა ლექსები შემოუნახავთ საბათნოვასი და არც ნამდვილი სახით.

ეს ლექსები, რიცხვით 29, გამოცემულა ჩვენი პოეტის ი. გრიშაშვი-
ლის მიერ: 28 ლექსი 1918 წელს. ხოლო ერთი — „სამოთხიდან გამოსული,“
ქრონალ კავკასიონში (№3-4, გვ. 128) 1924 წელს. ამით გარდა ჩვენ აღ-
მოვანინეთ კიდევ ერთი მუსტაზადი საბათნოვასი, რომელიც იკითხება ასე:

თვალად ლამაზო, დამანახე შენი პარი მე,
ნუ მკლავ შენის სურვილით, მუდამ ესტირი მე.
ძილად იწევ, ღამე მითივე, საროს ძირი მე,
რა დაგიშვე, რომ მიწყრები, ამას ეკვირი მე,
მომკალი, შენის ლამაზის ხელების ქირი მე,
მალაპარაკე, ბულბულის ენების ქირიმე.

აქ უნდა შემინახო, კარგი თუ ავი ვიყო,
შენთვის თუ რამე მეთქვას მე, სისხლის მზღველი ვიყო.
უცხოსა ალაგსა თუ გაგცე, პირშავი ვიყო,
თუ შენთან ერთი ბეწვი რამ დამნაშავი ვიყო,
მამკალი, შენის ლამაზის ხელების ქირიმე,
მალაპარაკე, ბულბულის ენების ქირიმე.

მართლად შენი ყელი სურა ყარყარა ყოფილა,
კაცს მალე გასცვეთს, წყალნაგდები ზარა ყოფილა,
განა ჩემი თავი შენთანა ზეარა ყოფილა,
ხან შემიყვარებ, ხან გამიშვებ, მა რა ყოფილა?

¹ კ. იოსელიანის ცნობით საბათნოვა ათიქოს 1881 წელს კარდ. აქილა (ცხოვ-
რება მუდის გოორგი მეცამეტისა, გვ. 330, გამოცემა ზ. კიკინაძის ა).

თუ მიჯნურს ერთწამს მოშორდე. ტანს შავად შევიღებ.
 რაც შენს თავს მოსასლეველია, კირს სულ მე წავიღებ.
 სულს აქეთ რაც მებადია. სულ შენს გზაზე გავიღებ,
 იცოდე, შენ ჩემზე სიკვდილამდისინ ხელს ვერ აიღებ.
 რომ კაცმა განამტყუენოს, თავს ძირს დავიღებ.¹

როგორც ზემოთაც ვთქვით. ერთი სომხური ლექსის ქვეშ საათნოვანს წერს: მე „ყმაწვილობიდან ოცდაათწლამდე თავი დაუღე ყოველ სიძლერას... ეხლა კი მსურს სომხურად ვთქოვ“. ამ მინაწერის მიხედვით ი. გრიშაშვილს ჰგონია, რომ ოცდაათ წლამდე ის სწერდა და მღეროდა მხოლოდ ქართულად (გვ. 45). მერე კი სომხურად და სპარსულად. ჩვენ გვგონია, რომ ეს სიტყვები არ შეიცავს იმ აზრს, ვითომც ქართულად საათნოვა სთხზავდა მხოლოდ პირველს პერიოდში თავისი ცხოვრებისა, ოცდაათ წლამდე; ყოველ შემთხვევაში ვიცით, რომ ორი ლექსი: „შე საწყალო ჩემო თავო“ და „სამართალი მიყავ.“ დაწერილია ბერად შედგომის. ესე იგი 1770 წლის. შემდეგ უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ერთსადაიმავე დროს ის ქართულადაც სთხზავდა. სომხურადაც; და სპარსულადაც.

შინაარსის მიხედვით საათნოვას 30 ქართული ლექსი, რომელიც დღეს-დღეობითაა ცნობილი, სამ კატეგორიად შეიძლება გაიყოს: ორი მათგანი („შე საწყალო ჩემო თავო“ და „სამართალი მიყავ“) ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. ოთხი („ზღვას ვით გააშრობს ვარსკლავის სხივი“, „ზოგზოგი კაცი“, „დამიჯერე“, „მეზობელზედ რა კაცი“) — დიდაქტურ-მორალურის, ხოლო დანარჩენი 24 — სატრფიალოა.

სატრფიალო ლექსებში ის დამღერის სიყვარულს და მის სინწყავებს. საყვარელს და მის მშვენებას და უღმობელობას. ეს ლექსები ამოგლეჯილია პისიკულიდან არა აშულის ოფიციალური დანიშნულებითა და მოთხოვნილებით, არამედ ნამდვილი განცდითა და გრძნობით: ხალხში დარჩენილა ცნობა. რომ საათნოვას უყვარდა ეინჰე ქურქის ცოლი, სახელად ტალითა, სარწმუნოებოდ კათოლიკე, რომელიც ნორაშნის უბანში ცხოვრობდაო (გვ. 43. შენ. 1).

საათნოვას ლექსებს თავისთავად დიდი ღირებულება არ აქვს: ზოგიერთი და აზრები ერთფეროვანია, პოეტური ფიგურები და შედარებანი მეტად მკრთალი. რითმა შესამჩნევად ღარიბი. პოეტი უფრო გრძნობს პოეტის სულს. ამიტომ ვალაპარაკოთ ამის შესახებ თვით გამომცემელი საათნოვას ლექსებისა ი. გრიშაშვილი: „ამ წიგნში მოთაყვებელი ლექსებით ვერ დაფასდება საათნოვას ნიჭი. პირიქით, მკითხველი ძალიან უგემურად იგრძნობს თავს... მაგრამ თუ მაინც ვბედავთ და ვბეჭდავთ საათნოვას დაბდაბუდა ლექსებს. მარტო იმიტომ. რომ მკითხველმაც იქონიოს ერთგვარი წარმოდგენა საათნოვას ქართულ ლექსებისადმი... მე კი, — რაღა მე, — შეიძლება მეც კი, როგორც მოშიარეს, ვერ დამაკმაყოფილოს აწ არსებულმა საათნოვას ლექსებმა! მაინც დალოცვილნი იმდენჯერ აქვს ნახმარი მზე, მთვარე, ვარდი და ბუღბუღი, რომ დღეის შემდეგ როგორ მიეჭარავ და კვლავ შევიყვარებ ამ საგნებს. შეიძლება საათნო-

1) წერა-კითხვის ხელნაწერი № 1513. გვ. 36-37.

ვა, როგორც პოეტი, არ იყოს მალალფარდოვანი, შეიძლება მისი მუხამბაზღ-
რი ყაიდის ლექსები ოთახში დამწყვედიულ მუშლივით ბზუოდეს ყურებში. ნაგ-
რამ, როგორც მგოსანს და მომღერალს, დღემდე ბადალი არა ჰყავს სა-
ქართველოში“ (გვ. 47). მიუხედავად ამისა, საათნოვას „დაბდაბულა“ პოეზია
გაელენას ახდენდა მის თანამედროვე პოეტს ბესიკზე; „თვით ბესიკი...
ამბობს ი. გრიშაშვილი, „გასულა ხალხში. უმღერია თავისი ლექსები და, რო-
გორც საათნოვა იყო მიღებული „ძველ საქრებულოში“, არა ნაკლებ ბესიკი
ყოფილა საყვარელი კაცი მაშინდელს ამქრის დღესასწაულებში, სამღეთოში.
ქორწილ-ქეიფებში და სხვა საღხინო შემთხვევებში. ხოლო სოლოლაკის, სეიდა-
ბადის და ორთაქალის ბალებს ხომ ფოთლების ნაცვლად ბესიკის სინღერები
ესხა სულ! ბესიკის ლექსები. „სპარსთა ზედა ხმათა სამღერელი“. აშულთა სა-
მარნიც ყოფილან“ (გვ. 48). საათნოვას გაელენას განიცდის შემდეგი დროის
პოეტი გრიგოლ ორბელიანი(), რომელიც თავისი ლექსების ეპიგრაფებად
ხშირად საათნოვას სიტყვებს ხმარობს (გვ. 54).

რაც შეეხება საათნოვას ლექსების ფორმას, მას მრავალი სხვადასხვა ჰან-
გები და ლექსთწყობა აქვს ნახარი: მუსტაზადი, თეჯლისი, თახმისი. ყაფია. სა-
ფიქრებელია, რო ჰანგებისა და საზომის სპარსულ-არაბულ სახელწოდებათა იწა-
რებაში, რომელსაც ადგილი აქვს ბესიკის ლექსებშიც, პრიორიტეტი საათნო-
ვას უნდა ეკუთვნოდეს. ერთი ლექსი საათნოვასი წარმოადგენს ანბანთ ქებას.
რომელშიაც სტრიქონები დალაგებულია ანბანის რიგზე, ანადა ერთს სტრიქონ-
ში ორი ასოა გამოყენებული: აი ეს ლექსი:

ან, ამისთანა ნაღველი. ბან, ბერს კაცსა დაემართოს,
გან, გულსა და ფილტვს დაუშრობს, კაცს რომ გულში ჩაემართოს
(გვ. 119).

ასეთი ანბანთ ქება წინათაც გვხვდება, მას ხმარობენ, მაგალითად
თეიმურაზ პირველი და ბესიკი.¹

□□

განყოფილება III.

დ რ ა მ ა

დრამატული დარგი ძველს ქართულს მწერლობაში მეტად სუსტადაა წარმოდგენილი: ჩანასახი მისი ჩნდება მხოლოდ მეტეზამეტე საუკუნის გასულს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დარგი მწერლობისა საყურადღებოსა და მნიშვნელოვანს ჰქვრს არას წარმოადგენს, ჩვენ მაინც საჭიროდ დაეინახეთ, ისტორიული მიმოიღივის მთლიანობისა და სისრულისათვის, იმაზედაც შეგზერებულებათ, მით უმეტეს, რომ ჩვენი წარსული კულტურის მკვლევარნი, რომელნიც ქართული თეატრისა და სათეატრო მწერლობის ისტორიას ეხებებიან, ამ ისტორიას, უმეტეს შემთხვევაში, ex alioquo, მეცხრამეტე საუკუნის ნახევრიდან იწყებენ.

სახიობანი ძველს საქართველოში.— მოშაითობა, ყაბახობა, ბურთაობა, ყვენობა და ბერკობა.— დასაწყისი ქართული თეატრი, მისი კავშირი რუსულ თეატრთან.— თეატრიკული წარმოდგენები.— გაბრიელ მარი და მისი მისტერიები.— დრამატული მწერლობა.— თსეფდოკლასიკიზმი ამ მწერლობაში.— წარმომადგენელი ძველი ქართული დრამატული მწერლობისა: გიორგი ავალიშვილი, ავათი ჩალოყაშვილი და ალექსანდრე ქავჭავაძე.— მათი პიესები. მნიშვნელობა ძველი ქართული დრამატული მწერლობისა.—

თეატრი, სცენა, რომელიც ხელს უწყობს დრამატული მწერლობის შექმნასა და განვითარებას, ძველმა საქართველომ არ იცოდა. ყოველ შემთხვევაში ცნობები მისი არსებობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. იმის მაგივრობას ჩვენში სწევდა სხვადასხვაგვარი საჯარო ხასიათის გასართობი და შესაქცევი, რომელთაგან ყველაზე ძველი და პოპულარული ყოფილა ეგრეთწოდებული მოშაითობა ან მუშაითობა. თამარ დედოფლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ თამარისა და დავით სოსლანის დაქორწინებისას „იყო ხმა მგოსანთა და მწუშაითთა სახეობათა“; „ხმა მგოსანთა და მოშაითთა იყო“ აგრეთვე მაშინაც. როდესაც მათ ეწვიენ წარგანშა აღსართანი და ათაბაგი ამირ-მირანი.¹ საყურადღებოა, რომ ასეთი შიშობა უცხოეთიდან შემოსულა ჩვენში: ზემოდასახელებული ისტორიკოსი გვამცნებს, რომ რუსულად დედოფალი, რომელიც განაგებდა თამარისა და დავითის ქორწილის ცერემონიალურ ნებარეს, „ხუარანისა და ერასის სულტანთა სძლობითა გამეცნიერებულნი, ბუნებრივითა საზიობითა და შეენებითა მოქმედებდაო“.² მუშაითობას პატარაობიდანვე ასწავლიდენ ბავშვს, როგორც ესა ჩანს ფრიდონის სიტყვებიდან ქაჯეთის ციხის აღების წინ თათბირზე:

ჩემსა სიმკროსა გამზღელნი სამუშაითოდ მზრდიდიან.
მასწავლეს მათნი საქმენი. მახტუნებდიან. მწერთიდიან;
ასრე გაეიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მაპკიდიან.
ვინცა მქერეტდიან ყმაწვილნი. იკიცა ინა ჯოიდიან.³

¹) ეს გასართობი და შესაქცევი ჩანათვლილი და დახასიათებლია არჩულ მეფის მახტუნებში „საქართველოს ხეობანი“ და თეატრალურ მკორისაში „საოცრებათა“.

²) ქართლის ცხოვრება მაზიმ დედოფლისა. გვ. 112. 113.

³) იქვე, გვ. 432.

⁴) ტაბი 1320 ი. აბულაძის განმარტება.

ამ მღვთაითობას ან ჯამბაზობას საკმაოდ ვრცლად აგვიწერს არჩილ მეფე თხზულებაში „საქართველოს ზნეობანი“, სადაც ის ამბობს:

ვერ ხედავთ ფრიდონისასა, მოშაითობას ჩემულობს,
საბელზედ ვაველა ზღტომასა, თამამად არ თუ მოზარობს,
ჭარიელსა და აეთანდილს ქაჯკეთს მისლვაზედ უანბობს,
ვინც იცის. მის დოოს იქმოდეს, ცოდნასა ნუ ვინ მცონარობს.

პინდიკა ენახე, ჩვენს წინა ოთხს აქლემს გარდახლტებოდა,
ხელდაუკრავად ჰაერში მათზედ გარდაბრუნდებოდა,
იქით ფერხს დადგის, მის მქვრეტელს თვალნი არ მოუხლტებოდა.
ორს ცხრას იქითაქ. ხელპერილს კაცს შიშვლის ხმლით შიგ ხლტენოდ.

წინდას შალხედ გაიბებნდა კაცთ ჰაერში დანაკირსა,
მახვილების ბორბალშია შიგ გახლტის და არა სჭირს რა,
ფერხებს ქედნედ დაიწყობდა, ხელით ვსქვრეტლით ნარონისა.
თამაშობდა უცნობსა. ამათ უფრო გასაკირსა.

თავთან დაისეის ხანჯარი, გულალმა წამოწვებოდა,
ანაზღად ახლტის, პირდაღმაც იქით თავს გარდევლებოდა,
მუნით გულდაღმაც დაეცის, იმის წერით თვის წვერს მყოფლობდა.
ზნახავთ და გამგონეთაგან მუნ მაშინ საკვირველობდა.

ხეს დაიკერდა კბილითა, ძლიე ექესმან კაცმან აიღის,
ძელს დაიდებდა გულზედა, იგ ოთხმან ხარმან მოიღის,
ქვეშ დაიშვებდა მახვილსა, ქვე ტანი აღარ დაიღის,
ხმელზედ თევზურად ცურედა, კელავ უცხო რამ შემოიღის.

ინატრეს ბევრმან ვაეებმან, ნეტავი ეს მასწავლაო,
მისი სიფიცხე. სიძალე, ასე თამამად წავლაო,
მაგრამ ის შავი არ დადგა, არავის არ ასწავლაო,
მან ეს თქვა: მწადიან სულ ხელმწიფების დაელაო.¹

მღვთაითობის წარმოდგენით შეუქცევია, სხვათა შორის, თეიმურაზ პირველს 1639 წლის აღდგომა დღეს თავისი სტუმარი, საქართველოში მოგზაური რუსი. არსენი სულხან ოგვი, რომელსაც აუწერია კიდევაც ეს წარმოდგენა.²

სხვა, საჯარო ხასიათის, გასართობთაგან არანაკლებ მიმზიდველი და პოპულარული ყოფილა ჩვენში ბურთთობა და ვერეთწოდებული ყაბახობა. რომელთაც ასე აგვიწერს თეიმურაზ მეორე თავის თხზულებაში „სარგჯე იქმელთა“:

¹ სანატორიო-საფორაკრავიო საზოგადოების ხელნ. № 2116, ფურ. 136.

² Б т док у р о в з. Арсений Сухановъ, стр. 141—142, примеч.

აქა ყაბახის სროლა და ბურთაობის ანბავი.

როდის იენების ქორწილი ან სხვა დღეობა კარგით,
ყაბახზე ოქროს ვაშლს შესმენ, ძვირფასის იყოს, ვარგით,
კარგა დაკაზმულს ცხენს ისდენ, ზედ არ ეკიდოს ბარკით,
კურტაკიანთა ვაჟთა თქვან: სროლაში მკლავო მარგით!

ცხენს ისხდენ, კარგსა დაკაზმულს, რახტით, უნაგირითაო.
მძიმეს ნაკერის ორთუქით, ბუშტით და ყუთაზითაო.
ვაჟკაცთა ეცეას კურტაკი ბრტყელისა ზორტებითაო,
დაღწყონ სროლა ყაბახსა მათ ცხენის ქენებითაო.

ასე უნდა მას დღეს კაცმან ამგზით სროლას ეცადოსა,
მკლავზე მშვილდი შემოიციას, წელს ყოდალი-გაირკოსა,
ცხენი შესძრას, პირველ მშვილდსა ხელით ფეშრი მან უყოსა,
მერმე ყოდალს ხელი მიჰყოს, კილოს მაგრად აზიდოსა.

უნდა მშვილდი დაზეული ცოტა ხანი გაატაროს,
ჩქარად მიდგეს ყაბახზედა, ცხენი აღარ დააზაროს.
ყაბახს მუხლი დააცილოს, მაშინ უნდა გარდებაროს,
ესროლოს, თუ ჩამოაგდოს, თავის გული გაახაროს.

ასე უთქვამსთ: მისლვა სჯობსო უფრო ჩამოგდებისაგან.
თუ ორიე სჭირს, ხომ ესი სჯობს. უფრო იქოს ბევრისაგან:
სანამდია არ ჩამოაგდონ, არ მოეშენენ სროლისაგან,
მას დღეს ღმერთი ვისაც მისცემს, მოხედეს მისის ხელისაგან.

ვინც ჩამოაგდებს ოქროს ვაშლს, ზიართმევს მეფეს წინადა.
ფიცხლავ ჩააცმევს ხალათსა თავითად ფერხამდინადა.
დაამხადებენ საბურთლად ვაჟკაცებს ჩოგანითადა,
ცხენს კაცსა შეადარებენ წილისა მოღებითადა.

ორათ გაჰყოფენ, თითოს მხარს თორმეტს იქმონენ კაცებსა,
მობურთალს კაცის თავზედა მას დღეს მისცემენ ფარჩებსა,
ზედ გარდაშლიან ფერადსა იქით და აქეთ მაყუებსა,
მათთვის სასმელად შარბათსა თულუხით დასდგმენ საესებსა.

მობურთლებს ბურთი შეუგდონ შუაზე მეიდანსაო,
იწყონ მოჭირვით ბურთობა, სცდლობენ გარდაბრასაო,
ხოკი სცემს შიგნით და ზოგი ნაპირს უბეწედეს გზასაო,
გამოღვარდეს გარს ბურთი, ეცადოს მოტაცნასაო.

მაინ გამოჩნდეს ვინც, იყოს მაყამდე ბურთის წამლები,
ეცაღოს დაბრუნებასა სხვა კაცი ხელის დამლები,

ხელუკლებთა შემოპკრას მალალი თავის საელები,
 რა დაუბრუნოს მას ბურთი, იქნების გულის საკლები.

ვინცა იცის კარგად ტაცნა ცხენის ყელს არ აცილოსა;
 ასე უნდა გარდებაროს, თავი აღარ აილოსა,
 ბურთი ჩოგნისა ცემითა მაყამდინა წაილოსა,
 ხელგარდაყოფით შემოკერა ზნეობაში ჩაიგდოსა.

გამოზრდეს სადავის ცოდნა ჯარსა და ბურთობაშია,
 ვინცა ამრიგად იბურთებს, იქების ამხანაგშია,
 რომელიც იქით და აქეთ გააძვრენს ბურთს მაყაშია,
 ჯობნა ეს არის: გახევენ ფარჩებსა ალებაშია.

აიღონ თითო-თითომან, ამხანაგს ვინც აჯობისო,
 ცხენს აქენებდენ, იძახდენ: მჯობივარ ამხანაგისო,
 ჩვენ შევიქნებით წითლისა ფარჩით შემხევე ჩოგნისა,
 ეს კი გათავდეს, სხვა რიგი ეთქვა ბურთის თამაშობისო.

ერთი არის სხვა ბურთობა, რადრებაგანს უძახიან,
 გადრთის ბურთის უფრო ესე ზნეობაში ჩააგდიან,
 ბევრს კი არა, სამს-ოთხს კარგსა მებურთალსა შეადრიან,
 ოთხისათვის სათამაშოდ ბურთი მიწას გააგდიან.

ის არის, ვინც რომ ცხენს მალეთ ბურთი აიღოს ჩოგნითა,
 უნდა შეიგდოს მან მალა ცხენისა თანაშობითა,
 რის ჩამოვიდეს, ხელუციხად მიუბდეს კაის ცოდნითა,
 რა ბურთი შეტეტს, შემოპკრას ხელრადათ მალა ტყორცნითა.

ბურთი შეიგდოს, ეცადოს მერმე ფეშრების ქნასადა,
 სანამ ჩამოეა, დაასწრებს ჩოგნისა შეგდებასადა,
 ჩოგნისა ქათალმალაყი კერამდინა დაასწრასადა;
 ის ჩაუვარდეს სამჯერა ზედიზედ თუცა კრავსადა.

ორი რადათა, მესამედ უნდა წინ ამოკერანო,
 უნდა დაასწრას, ამოკრას ჩიქილოვისა ქნანო,
 ესეები ქნას, შესძინოს ცე შეეეის ხმანიო,
 დასრულდა ეს. ხომ დრო არის აწ სხვის ზნეობის თქმანიო.¹

მუშაითობა, ყაბახობა და ბურთაობა უფრო საგონანსტიკო ხასიათის ვარ-
 ჯიშობას წარმოადგენდა, რომლითაც მთელი საზოგადოება ერთობოდა. თეატ-
 რალური დრამატიზმი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, უფრო მეტია ეგ-
 ჯეთწოდებულს ყუენობასა და ბერიკობაში, რომელთაც ნახევრად სასცე-

¹) წერა-თხოვის ნახვ. ხელნაწერი № 342. გვ. 106-109; ივერია 1885 წ. I. გვ. 92-97.

ნო მოქმედების ხასიათი აქვთ. ფორმა მათი და ხასიათი კარგადაა ცნობილი, როგორც ხალხში, ისე ლიტერატურაში,¹ ამიტომ მათს აღწერილობაზე აღარ შეეჩერდებით.

ქართული სცენისა და თეატრის ისტორია იწყება მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელი წლებიდან; ² ცნობები ამის შესახებ მომდინარეობს პირველი წარმოდგენების ერთერთი მონაწილესაგან, სახელდობრ—სარდალის იოანე ორბელიანის კარის მღვდლის იოსებისაგან, რომელსაც ქეშიშ-დარდიმანდს უხმობდენ.³ ქართულ სცენას საფუძველი ჩაეყარა რუსეთთან პოლიტიკურისა და კულტურული კავშირის განშტკივების შემდეგ ირაკლი მეფის დროს. ამ დროს რუსეთიდან დაბრუნებულა საქართველოში ვილაც მაიორი გაბრიელი, რომელსაც დაუწყია წარმოდენა ძველი აღთქმის ისტორიის სიუჟეტებისა; ამ წარმოდგენებზე შესასლველ ბილეთებს, ნ. ბერძენოვის ცნობით, ასეთი წარწერა ჰქონდა: „შაური ორი, გაბრიელ მაიორი“.⁴ გაბრიელ მაიორის წარმოდგენები, როგორც ჩანს, უახლოვდებოდა უურო ეგრეთწოდებულს საეკლესიო-სასულიერო დრამებს ან მისტერიებს, ეს პირველი ნაბიჯი იყო ნამდვილი სცენისაკენ გადადგმული, ესეც მალე გაჩნდა ჩვენში იმავე ირაკლის მხრუნველობით.

ირაკლი მეფე, როგორც ცნობილია, ახალგაზრდებს გზავნიდა რუსეთში სწავლა-განათლების შესაძენად, რათა მათი საშუალებით გადმოენერგა მერე საქართველოში რუსული კულტურა. ცნობილია, მაგალითად, ერთი ჯგუფი ასეთი ახალგაზრდებისა, რომელშიაც შედიოდნენ: დავით ბატონიშვილი, ერასტი თურ-

1) ამათ შესახებ იხ. კვალი 1893 წ. №12 5-6, 7, № 1894 წ. № 10, 20; იველი • 888 წ. № 10, 1889 წ. № 50, 1898 წ. № 33; А. Х а х а н о в з, Очерки I. 14—16, III, 162—3.

2) ხ. მთაწმინდელი, ქართული წარმოდგენები მეთვრამეტე საუკუნეში, დროება 879 წ. №12 236, 237.

3) წერ.-კითხ. ხელნ. № 2385, გვ. 167. ეს ქეშიშ-დარდიმანდი ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში ოსიხიადე სატრფიალო ლექსით, რომელნიც, მსგავსად ბეს-კისა და სანიანოვას ლექსებისა, სპარსულ-თურქულ-არაბული სახელებით არიან ზედწარწერილნი:

1. დიწუთა ხალ-ინდად ყრილსა,
შვილდთა ქამანდ შეყრილსა,
ყელსა ბროლ-მ-ნა თლილსა,
ორ მათებრ უცხო ზრდილსა,
ნუ მაგზნებლო, შენ გეტრფი თვალთ,
გიშრის ხალო, ვარ. სავ-ლალთ...
2. სეფდისა წალკოტს გასაქვრეტელად გაშლილა ვარდი,
მას სატრფოდ უვის მნათობი, გიჟულა მარდი...
3. აღვახუნე ბაგენი, შეეუშკო სახე,
ამ ცრუ სოფელმან არ მიგოს მახე...
4. იმედთა არეს დაამყარო,
დისკოდ ასხივთ საე მთვარეო.
ოდეს იყნოსო ნარგიზთ არეო,
ბაგისა ლაწუნო, ლალთა ნარეო...

(წერ.-კითხ. ხელნ. № 1512, გვ. 298—300; № 3723, გვ. 237—29, № 2385, გვ. 167.

4) А. Х а х а н о в з, Очерки IV, 50—51.

ქისტანიშვილი, გიორგი ავალიშვილი და იოანე ორბელიანი. რუსეთში ყოფნასას ესენი გაცნობიან, სხვათა შორის, თეატრს და, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, განუზრახავთ წარმოდგენების მართვა და პიესების დადგმა. მათ შიშატეზიანთ ირაკლისა და გიორგი მეფეთა, აგრეთვე ავალიშვილის, ქალები, ასე რომ საკირო ტრუპა დაუბრკოლებლივ შემდგარა, მოუძებნიათ შესაფერი ბინაც წარმოდგენებისათვის: სახლი მესხიშვილისა, ორბელიანისა და მელიქიშვილისა. თეატრის გასამართავად, რასაკვირველია, არ ეპარდა მარტო სახლის მოძებნა და ტრუპის შედგენა, საკირო იყო ამისათვის პიესები, რომელთა შესახებ ამავე პირებს მოუხდათ ზრუნვა: ანაირად საფუძველი ჩაეყარა დრამატიულ მწერლობასაც.

ამ მწერლობის მამათმთავრად უნდა ჩითვალოს თვით ინიციატორი ქართული თეატრისა, გიორგი ავალიშვილი. ეს საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა ჩვენს წარსულში, ვინაიდან გარსევან ჯავახიძესთან ერთად (გიორგი ცოლისძმა იყო გარსევანისა) მთავარი მომქმედი პირი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში.

დაიბადა გიორგი 1769 წელს და გარდაიცვალა მოსკოვში მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში, ყოველ შემთხვევაში 1832 წელს კიდევ ცოცხალი იყო. ის საკმაოდ განათლებული კაცი იყო, იცოდა ქართულს გარდა, რუსული, სომხური და თათრული ენები; უყვარდა ლიტერატურა, განსაკუთრებით რუსული, რომელსაც ის კარგად იცნობდა, ვინაიდან სწავლაც რუსეთში მიიღო და ცხოვრებითაც უმეტეს ნაწილად რუსეთში ცხოვრობდა. 1819-20 წლებში მან მიმოვიღო აღმოსავლეთის წმ. ადგილები და დაგვიტოვა მეტად საინტერესო აღწერილობა თავისი მოგზაურობისა, რომელსაც ეწოდება „მოგზაურობა თბილისით. იერუსალიმისადმი საბერძნეთსა ზედა და უკუნქცევა იერუსალიმიდან თბილისისადმივე, კპრის კალაქისა, მცირისა აზიისა და ანატოლიის ძლით“.¹ გიორგის, მისი მოღვაწეობით შექმნილი თეატრისათვის, დაუწერია პიესა „მეფე თეიმურაზი“, რომლის ხელნაწერი ჯერ-ჯერობით, სამწუხაროდ, არსადა ჩანს; შინაარსი მისი ზოგადად ასეთი ყოფილა: „თეიმურაზი საფლავიდან წამოდგება, ერთს კაცს დაიპყრს და ეტყვის: კაცო, შენ ბრმა მიღუაშვილი არა ხარ, ეს რაები ჩაგიცვამს? იქით კიდევ ხელს ჩააღებ სხვა მოქალაქეთ. რომელთაც ევროპაში უმოგზაურნიათ და იქაური ტანისამოსი აცვიათ. შემდეგ მეფე ამბობს: ჰაი გიდი საქართველოვ და საქართველოს ლატაკო ხალხო! მაგრამ კ. შვილო ირაკლი, შენი იმედი მაქვს, რომ ჩვენს საყვარელს ხალხს სიმართლით უპატრონებ და არ შეაკმევე მგლებს ბატონებივით“.²

თავისთავად ცხადია, რომ ახლად ჩასახული დრამატიული მწერლობა ორიგინალობას ისეთს ვერ გამოიჩინდა, რომ თვითონ დაეკმაყოფილებია თავისი საკიროება, მას ძალაუფლებურად უნდა მიემართა უცხო წყაროსათვის და იქიდან გადმოეტანა ჩვენში სხვისი პიესები. ასეც მოიქცენ პიონერები ქართული თეატრისა, კერძოდ გიორგი ავალიშვილი: მან მიჰმართა რუსულს დრამატიულ მწერლობას, სახელდობრ—მის მამათმთავარს ა. პ. სლუპაროკოვს, და გადმოთარ-

¹) წერ-კითხვის ხელნაწერი № 454; А. Цагарели, Сѣверная П., стр. XXI—XXVIII

²) დოგბა, 1879 წ. № 237

კნა სამი მისი კომედია: 1) რქის მატარებელი (Роговощель), 2) დედა რაყიფი ქალიცა (Мать, совмѣстница дочери) და 3) საჩხუბარი (Иль-чужа ссора) ¹ კომედიები ნათარგმნია მშვენიერი ქართულით, რომელიც ასე ეხერხებოდა გიორგის, თუმცა თარგმანში მრავლადაა მიმობნეული რუსიციზმები, როგორც მაგალითად: იეგირი, მანერა, ფიროგი, მალინოვკა, პრანიკები, მოდა, ვერსი, რუბლი, არხიფი, უქაზი, ვლიენში (въ глени), პოლეტიკა, კუჩერი, პოვალუსტა, აბილა, ტეატრის ლოჯა, ვიზიტი. ბილეთი, მუზიკის ახოტნიკი, დურაკი, პიეა, ხანა და სხვ. ეს სიტყვები აშიაზე ქართულადაცაა განმარტებული, მიწერილია აგრეთვე რუსული შესატყვისები ზოგიერთი ქართული სიტყვებისა, მაგალითად. იკრეკ—სკალიშ, სულთქმა—უნინიე, მწუხარება—ლრუსტი, ხრინწი [მაგ შენ ენაზე]—ციპუნ [ტბე ნა იაზიკე], შეაწყენ—უტრუევი, კლანჭებში—ვლაპი, განქარდა—მინოვალა, ეწვალე—სტრადი, უიმედო—ოტჩაიანაია, მსკვალი—როენა, სიდელო—ტეშჩა, ნუ როტავ—ნე კოლობროდ. საუცხოვო—დიკოეინკა, ქინება—ნრავ, მექერე—ვოროევი, და სხვ. ყველაზე ადრე ამ სამ პიესაში ნათარგმნია რქისმატარებელი, რომელიც ზ. მთაწმიდელის ² და ა. ხახანაშვილის ³ სიტყვით, 1791 წელს სამჯერ იქმნა წარმოდგენილი, დანარჩენი ორი კი 1792 წელს წარმოადგინესო. ეს მართალი არაა; საქმე ისაა, რომ, რქისმატარებელს შემდეგი შენიშვნა აქვს დართული: „ითარგმნა რუსულით ქართულსა ენასა ზედა თავადის გიორგი ავალოვისაგან ფებერვალსა აზ, ოცდაშვიდსა, წელსა ჩაშდ, ათას შვიდას ოთხმოცდა თოთხმეტსა. ქორნიკონსა შაჰ, ოთხას ოთხმოცდა ორსა, იეგორევესკის კრეპოსტში.“ თუ რქისმატარებელი 1794 წელს ითარგმნა, ორი დანარჩენი კიდევ მას შემდეგ, ცხადია მათ ვერ წარმოადგენდენ 1791 და 1792 წლებში.

ამავე გიორგი ავალიშვილს, ზ. მთაწმიდელისა და ა. ხახანაშვილის სიტყვით, ⁴ დაუწერია ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან ორმოქმედებიანი ორიგინალური კომედია „ძვირი და უხვი“ ⁵ შემდეგ უთარგმნია კიდევ ორმოქმედებიანი კომედია „უბნობა მკედართა“, რომელშიაც გამოხატულია, თუ როგორ იყო მაშინ გლეხი თავადისგან დევნილი და ტანჯულიო. გამოდის თითქოს „უბნობა მკედართა“ და „ძვირი და უხვი“ ორი სხვადასხვა ნაწარმოებია და უკანასკნელი ორიგინალური ქართული პიესაა; მაგრამ ეს ასე არაა. გიორგი ავალიშვილის სახელით უნობილია დილოგი-სატირა (და არა კომედია) „უბნობა მკედართა“, რომელიც ოთხი ნაწილისაგან შესდგება: პირველი ნაწილი არის „ძვირი და უხვი“, მეორე „უბნობა შალაღარისხისა და მდაბალხარისხისა“, მესამე—„უფალი და მონა“. პეოთხე—„ჯარა აქიში და ლექსის მთქმელი.“ ⁶ როგორც ვხედავთ, აქ ჩვენ ერთს ნაწარმოებთან გვაქვს საქმე და არა ორთან; თან ორიგინალობასაც არ აქვს ადგილი ამ შემთხვევაში, —თხზულება ნათარგმნია თავიდან ბოლომდე რუსული-

¹) ეს კომედიები მოთავსებულია წერა-კითხვის ხელნაწერში № 11.

²) დროება 1879 წ. № 232.

³) Очерки IV, 50

⁴) დროება 1879 წ. № 236, Очерки IV, 50.

⁵) წერა-კითხვის ხელნაწ. № 11, ფურ. 97—109.

დან, რასაც ამოწმებს შემდეგი რუსიციზმებიც: ლეი, ლეი, მასკარადი, პლუტი, პლუტობა, რუბლი, ფინიკიისკი, ლაქია, პოლეთიკა, ცერემონია და სხვ. თავისი პიესების წარმოდგენაზე გიორგი ავალიშვილი წარმოსთქვამდა აურამე შემდეგს, მის მიერ დაწერილ, ლექსს:

მე სახედველნი იგ ჩემნი დავაშერე წიგნთა წერითა,
ზოგთ ჩემით მოქმედებულსე, ზოგთზე სხვით გადმოწერთა,
მსმენელთ ვევედრებ, ნუ მკიცხვენ ამა ლექსისა მღერითა,
არ დაიშლიან, მაჩვენონ იგ, თუ ვმსახურე მე რითა.

თუ ხართ ვინმე მოსურნენი თეატრს სმენად ანუ ცნობად,
შეინატებთ განდიდებას, ბრძენთა აგებთ თქვენად მკობად,
ერიდებით უსამართლოდ ჩემებრ მწერთა ცუდად გმობად,
არ დაიშლით, ჰგაეს—არ რიდებთ თქვეთან გლახ გულთ
ლახეარ სობად.

მერწმუნენით, არ მას ვუბნობ, მქონდეს მეტი მისკენ ვრდობა,
მაგრამ მწადის განრინება კიცხვითა და ქვემო რჩობა,
ნუ იკადრებთ ვაცხადებით იქონიოთ ჩემზე წყრომა,
დაიშალეთ, თუ რომ სჯობდეს, მლიქვნელობა, ქვე-ქვე ძრომა.¹

ეს ლექსი საყურადღებოა, სხვათა შორის, როგორც მაჩვენებელი იმისა, თუ როგორ უყურებდა გიორგი ავალიშვილი თეატრისა და კომედიის დანიშნულებას: „მაგრამ მწადის განრინება კიცხვითა“, „დაიშალეთ, თუ რომ სჯობდეს, მლიქვნელობა, ქვე-ქვე ძრომა“. ის პრაქტიკულ. უტილიტარულ მიზნებს უსახავდა სცენას და სასცენო ნაწარმოებს. ამ შემთხვევაში ის მოგვაგონებს მის მიერ ნათარგმნი კომედიის ავტორს, სუმაროკოვს, რომელიც ამბობდა, რომ კომედიის მიზანია „Нравы и нравы, смѣшать и пользоваться прямой ея уставъ“.

პირველდაწყებითი ქართული დრამატიული მწერლობა მატარებელია იმ ფსევდოკლასიკური მიმართულებისა, რომელიც გამეფებული იყო მისი აღმოცენებისას რუსეთში. კორნელი, რასინი, ვოლტერი და სხვა ფსევდოკლასიკები, აი ვინ აძლევდა ტონს იმდროის რუსულ ლიტერატურას, კერძოდ დრამატიულს. მათი პიესები ითარგმნებოდა და იდგმებოდა სცენაზე, მათი სული და სტილი გადადიოდა ორიგინალურს რუსულ დრამატურგიაში. ამ მოვლენამ თავი იჩინა ქართულს დრამატიულს მწერლობაშიც, რომელიც გენეტიურად იყო დაკავშირებული რუსულთან: კორნელი, რასინი და ვოლტერი გამეფდნენ ქართულს დრამატურგიაში, ან რუსული მწერლობის მეშვეობით, ანდა პირდაპირ ორიგინალების თარგმნით.

პირველი მგალითი ამ მხრივ ქართულს მწერლობას მისცა მდივანბეგმა დავით ჯიმშერიძე ჩოლოყაშვილმა. ეს განათლებული და „დიდად

¹) დროება 1879 წ. № 237.

ნიჭებული სიტყვითა და მწერლობითა“¹. კაცი ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში იმითაც, რომ გაულექსია „საწინასწარმეტყველო წიგნი იობისა“, თავი 10—41,² და დაუწერია „ლექსნი რომელნიმე საქებელნი და რომელნიმე სალალბელნი.“³ დრამატიულს დარგში მას „მათის მეფობის დიდებულების, სრულიად საქართველოს მეფის ირაკლი მეორის შესაქცევლად“ გადმოუკეთებია ტრალედია რასინისა „ეფილენია“, „ეპოხასა მეფობისა მისისასა ნბ, წელსა შემდგომად მაცხოვრისა ჩუენისა. ჩღჟმ, თთჳსა მარტსა ზ,“ ესე იგი 1795 წელს ეს შრომა დაეითისა. გამოცემული და გარჩეულია პროფ. ა. ცაგარლის მიერ: ირკვევა, რომ დაეთს მთლიანად და უცვლელად კი არ გადმოუთარგმნია რასინის თხზულება, არამედ გადმოუკეთებია ის თავისებურად, ის მას შეუმოკლებია იმდენად, რომ ერთი მესამედილა დარჩენილა ორიგინალიდან, შეუცვლია რამდენადმე რიცხვი და სახელები მოქმედ პირთა, რასინის 5 მოქმედებისა და 37 გამოცხადების მაგიერ აქ ჩვენ გვაქვს 9 მოქმედება და 8 გამოცხადება. თავის მხრივ დაეთს შეუტანია პიესაში მთელი ეპიზოდები, ასეთია: მოთხრობა ულისესი მამის მიერ შვილის მსხვერპლად შეწირვის შესახებ, ქება ახილესისა მონოლოგები ალამენონისა და კლიტენმესტრისა.

დავით ჩოლოყაშვილს ეს ტრალედია გადმოუკეთებია ირაკლის „შესაქცევად,“ ეს კიდევ კოტა: ალამენონად მას თვით ირაკლი უგულისხმებია, რაც ულისეს შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „მათის მეფობის დიდებულებამ სათნო იჩინა მოსხენებული ძლევა ახილესისა და დიდის მადლობითა მიითვალავს, რომ არათუ პირველი იყო ესე მიმდინარეობასა შინა ამა ნბ წლისა მეფობისა რასინისა.“ მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ პიესის გადმოთარგმნა-გადმოკეთებისას დაეთს შხედველობაში ჰქონდა ალა-მაჰმადხანის მიერ ტფილისის აოხრება და ირაკლის ერისათვის თავგანწირულება ამ დროს, როგორც პროფ. ა. ცაგარელი ამბობს;⁴ პიესა დაწერილია 6 თვით ადრე, ვიდრე ეს აოხრება მოხდებოდა, ასე რომ დაეთს არ შეეძლო წინასწარ მოესწაეებია ეს სავალალო ფაქტი ჩენი ისტორიისა.

მიუღებელია აგრეთვე ა. ცაგარლის შემდეგი სიტყვები: переводъ сдѣланъ повидимому съ французскаго, и нѣтъ никакого основанія допускать, что онъ сдѣланъ съ русскаго.“⁵ ის ეეროპეიზმები, რომელნიც ცაგარელ-ს აცალუნისნავს,⁶ საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ პიესა გადმოკეთებულია არა ფრანგული დედნიდან, არამედ რუსული თარგმანიდან; ეს ცხადია

¹) პ. იოსელიანი, ცხოვრება მეუის გიორგი მეცამეტისა, გვ. 321, გამოცემა ბ. ჭიჭინაძისა.

²) დ. ჩუბინაშვილი, ქრისტობატი II, 71—75, გამ-ც. 1863 წ. წერა-კითხ. ხელნ. № 3723, გვ. 79—80. ა. ცაგარელს ჰქონია, რომ დაეთის მიერ თარგმნილი იობის წიგნი“ სხვა და „საწინასწარმეტყველო“ სხვა (Свѣдѣнiя III, გვ. XL).

³) А. Цагарели, Свѣдѣнiя III, 181.

⁴) Ibid, стр. 301—320, XXXIX—XLVII.

⁵) Ibid, стр. XLVI—XLVIII.

⁶) Ibid. стр. XL.

⁷) Ibid. стр. XXXIX

შემდეგი რუსიციზმებიდან: ვლაგირი (вн лагирь), სტოლი, ჩესტი, ჩესტს მის-
ცემს. ბარაბანი. ბარაბანი პოხოდას სცემს და სხვ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი ნუსხები ამ ტრადიციისა, გადამ-
წერთა უმეცრებით, მას მიაწერენ ხან სააკაძეს,¹ ხან ალექსანდრე ქავ-
კავაძეს.²

ირაკლის მეფობით გათავდა. შეიძლება ითქვას, ისტორია ძველი ქართუ-
ლი თეატრისა, ალა-მაჰმად ხანის შემოსევამ და ქვეყნის აოხრებამ, რომელსაც
მალე ირაკლის სიკვდილიც მოჰყვა. ბოლო მოუღო ქართულს თეატრსაც. მაგ-
რამ სათეატრო ლიტერატურის ზრდა-განვითარება ამას არ შეუფერაებია. ამას
ხელს უწყობდა. სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ, საქართველოში რუსეთის
დამკვიდრების შემდეგ, ტფილისში ხშირად იმართებოდა წარმოდგენები რუსულ
ენაზე რუსთათვის, განსაკუთრებით კოვალენსკის და ერმოლოვის დროს.³ გულ-
შემიტკივარ მამულიშვილთათვის, რომელნიც სამშობლოსთან ერთად მშობლიურ
თეატრის აღორძინებასაც მოელოდნენ, რუსული წარმოდგენები საკმაოდ ძლიე-
რი სტიმული იყო ეზრუნათ ქართული რეპერტუარის გამდიდრებისათვის. მართ-
ლაც, მ. ბროსე აღნიშნავს, თითქოს ცნობილს პეტრე ლარაძეს ლექსად ეთარ-
გმნოს ეოლტერის ტრადიციის აღათოკლე.⁴ მაგრამ ყველაზე მეტად ამ
მხრივ თავი გამოუჩენია მგოსანს ალექსანდრე გარსეენის ძე ქავკავა-
ძეს (1786-1846). მართალია, ალექსანდრეს დრამატული ნაწერები მეცხრამეტე
საუკუნის პირველს მესამედს ეკუთვნის, მაგრამ სულით, სტილით და მიმართუ-
ლებით ისინი ძველს მწერლობას უფრო ეკუთვნიან, ვიდრე ახალს, ამიტომ ნე-
ბას ვაძლევეთ ჩვენს თავს ადგილი დაუთმოთ მათაც ამ მიმოხილვაში.

ალექსანდრე ქავკავაძე დაიბადა და იზრდებოდა რუსეთში იმ დროს, რო-
დესაც აქ ვაბატონებული იყო ფსევდოკლასიკური მიმართობა და ლიტერა-
ტურულ შემოქმედებას ტონს აძლევდნენ კორნელი, რასინი და ეოლტერი; ამი-
ტომ საკვირველი არაა, რომ მან ხელი მოჰკიდა დასახლებულ მწერალთა პიე-
სების თარგმნას ქართულად, ზოგიერთს შემთხვევაში პირდაპირ ფრანგული
ენიდან, რომელიც მან ზედმიწევნით იცოდა, ზოგიერთში კი რუსული თარგ-
მანიდან. აი სია ალექსანდრეს მიერ ნათარგმნ პიესებისა:

1. ალზირა ანუ ამერიკელი, ტრადიციისა ეოლტერისა. გადმოთარგმნი-
ლია პროზით, ა. ხახანაშვილის აზრით, რუსული ენიდან. მისი მთლიანი
ნუსხა შენახულა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში,⁵ ხოლო დეფექტიანი
წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში (№ 1673).

2. ზაირა, ტრადიციისა ესეც პროზითა ნათარგმნი, საფიქ-
რებელია-ფრანგული დენიდან პირდაპირ (მისი დეფექტიანი ნუსხა ინახება
წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში № 1742).

1) Bronset, Recueil des Actes de l'Acad. de Sciences 1838, p. 108.

2) А. Чагарели, Сербунія III, 214. А. Жахановъ, Очерки IV, стр. 38

и др.

3) ა. ყიფიანი, ივერია 1885 წ. № 4-5, 33-120.

4) Recueil des Actes, 1838, p. 108.

5) ა. ხახანაშვილი, ქართული ხელნაწერები პარიზის ნაციონალური ბიბლიოთე-

კა. ივერია 1886 წ. № 156, მოახებე 1898 წ. 1, გვ. 2, 15.

3. ედიკი, ტრალედია კორნელისა, ნათარგმნია პროზით, რუსული ენიდან. როგორც ეს ჩანს შემდეგი რუსიკიზმებიდან: მონასტირი, მინუტა და სხვ. (წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის დეფეკტიანი ნუსხა № 1364).

4. სინნა. ტრალედია კორნელისა, რომელიც, როგორც ხელნაწერშია აღნიშნული, ალექსანდრეს უთარგმნია ფრანგული დედნიდან (წერა-კითხ. ხელნაწერში № 4910); ნათარგმნია 16 მარცვლოვანი ლექსით, რომლიდანაც მოკეყანთ ერთს ნიმუშს:

ძოლანაც ვფუცი რულკიავ და აწცა ვფიცავ ზეციით.

მე სინნა მიყვარს და ვეტრფი სურვითა მეტის-მეტითა;

მარა თუ მასაც მე ვუნდი, ჯერ არს ავეისტო წარწყმიდოს.

სისხლსა მისსა ესთხოვ ჩემ თასად, თუ არ, ვერარით მიყიდოს.

5. სიდი, ტრალედია კორნელისა. რომელიც აწყობილი იყო 1885 წელს ივერიაში დასაბეჭდად. თუმცა რალაცა მიზეზით არ დაბეჭდილა; ხელნაწერი მისი ჩვენ არ გვინახავს.

6. ესთერი, ტრალედია რასინისა (წერა-კითხვის საზოგ. ხელნაწ. № 2480); შენახულა არა მთლიანი პიესა, არამედ ცალ-ცალკე როლები, ამოწერილი ყველა მოქმედებიდან. აქ ჩვენ გვაქვს როლები არტაქსარის, ესთერის, მარდოხესი, ამანისი, ზოსარასი და ელისაბედის. პიესა ნათარგმნი ყოფილა 16 მარცვლოვანი ლექსით, რომლის ერთერთი ნიმუში ასეთია:

ესთერი სისხლი ძარღვთ შემეყინებია.

მარდოხე: ებრაელთ თესლის ერთობით აღმოფხურა უბრძანებია,
ჩვენ ყოვლნი სისხლის მწყურვალის ამანის ხელთა შთაცვივნულ.

მკულელნი რკინანი, ფოლადნი სასჯელად უკეე განმაზადულ.

სრულად ერი ეძლევის სამუსრად ბასრსა მახვილსა.

უღმრთოსა ამანს, ამანსა, ვულენს შინა შობილსა.

უქმნია ესე განზრახვა თვისითა შემძლებელობით.

და მეფეს დაუმტკიცნია გლახ საენოს მინდობელობით.

ესთერ კრემლი და ტირილი ამა ყმაწულთა მიანდენ.

შენ მხოლოდ უფი იმედად შენთა მათ ძმათა ბედშავთა,

გმართებს უსწრაფო შეწეენა, ნუ ჰკარგაე ეამთა ძვირფასთა.

7. პერაკლე, ტრალედია (წერა-კითხვის საზოგ. ხელნაწ. № 2480) კისაა, თარგმანიდან არა ჩანს. თარგმანი დაუსრულებელია, შენახულა მხოლოდ პირველი მოქმედება, ხუთგამოცხადებად. მოქმედება სწარმოებს კონსტანტინოპოლში, სიუჟეტი აღებულია ბიზანტიის ისტორიიდან. მარკიანე იმპერატორი მოკლა ფოკამ, რომელსაც, თავის საგვარეულოში მეფობის განსამტკიცებლად, სურს თავის ძეს მარტიანეს შერთოს ასული მარკიანესი პულქერია, უკანასკნელი კატეგორიულ უარს უცხადებს და აშინებს ფოკას, რომ კანონიე-

რი შემკვიდრე მარკიანესი. შვილი მისი ჰერაკლე, მოდის, რათა შური იძიოს და ტახტი დაიბრუნოსო. პიესა ნათარგმნი უნდა იყოს რუსულადან, რასაც გვაფაქრებინებს მისი რუსიციზმები, მაგალითად: უჟალაე, პოლექტიკა და სხვ. აქაიკ აშიაზე განმარტებულია უცხო სიტყვები და მიწერილია: „ალექსანდრე კავკავაძე“.

ამით ამოიწურება ისტორია ჩვენი ძველი თეატრისა და დრამატული მწერლობისა. ჩამოთვლილი ფსევდოკლასიკური პიესები, რომელთაც თავიანთ სამშობლოშიაც კი არ ჰქონიათ მტკიცე ნიადაგი, მით უფრო უნიადაგონი აღმოჩნდნენ ჩვენში: არავითარი კავშირა ქართულ ცხოვრებასა და სინამდვილესთან მათ არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ეს პიესები არ იყვნენ მოკლებულნი ერთგვარ მნიშვნელობასაც: ისინი აღვივებდნენ საზოგადოებაში სამშობლოსაღმოსიყვარულს, ადამიანობისა და მოვალეობის შეგნებას, პატიოსნებისა და კაცთმოყვარეობის გრძნობას და სხვა მაღალ იდეებს, აღვიძებდნენ შეგნებას სცენის საკიროებისა და მნიშვნელობისას და ნიადაგს უმზადებდნენ ეროვნულ დრამატურგიას და თეატრს, რომელიც ჩვენში ფეხს იღგამს შეცხრანეტე საოქონის ნახევრიდან.

Addenda et Corrigenenda.

მე გვერ. დაეით აღმაშენებელის ისტორიკოსი რომ შაჰნამეს იცნობდა. ეს შაჰნამეს მისი ისტორიის აგრეთვე შემდეგ ადგილიდან: „და საშუალო მათსა თვთ იგი უმსგავსო სპასპეტი და წინამძროლი, მიმსგავსებული ძუელისა ქაი-ხოსროს თვის მოთხრობილთა, წინაუძლოდა“ (ქართლის ცხოვრება კარიამ დედოფლისა, გვ. 302).

* *

მე გვერ. საყურადღებოა, რომ ლექსი „ქართული“ „სიტყვის“ მნიშვნელობით თვით პოემაშიაც არ გვხვდება; არის ერთადერთი მხოლოდ ტაეპა, სადაც ვკითხულობთ:

ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი,
მზესა ასრე ეუბნების, ვით გამზრდელსა ამო მზრდელი;
ქალმან მისცნა მარგალიტნი, სრულქმნა მისი საწადელი.
ღმერთმან ქმნას და გაუსრულდეს ღზინი ესე აწინდელი.
(აბულ. 648, კაკაბ. 671).

მაგრამ ეს ტაეპი უცილობელად ყალბია, შემდეგ ჩამატებული პოემაში: აი ამისი საბუთები: 1) პოემაში „სიტყვა“ ნახპარია, თუ მეტი არა. 84 ჯერ მაინც: არც ერთს შემთხვევაში ის „ქართულით“ შეცვლილთ არაა. რალა ზემო-ამოწერილს ტაეპში იხმარა პოეტმა „ქართული“ და სხვაგან არც ერთხელ? 2) შესაძლებელია ფრაზა „ყმა ტკბილი“, მაგრამ „ყმა ტკბილ-ქართული“ თავის აგებულობით უხერხულია, მით უმეტეს, რომ სხვა შემთხვევებში პოეტი ამბობს: „სიტყვა ტკბილი“ (379, 359, 1392), „სიტყვა ხშირი“ (98, 606), „სიტყვა ბრძენი“ (606, 1333), „სიტყვა ზმცრული“ (696), „სიტყვა მცთომელი“ (994), „სიტყვა მცდა-რი“ (1037). 3) დაპირისპირება „ვით გამზრდელსა ამო მზრდელი“ უპარო და გაუგებარია, ვინაიდან „გამზრდელი“ და „მზრდელი“ ერთი და იგივეა. 4) ზემო ტაეპებში (545-547) აწერილია ის საშინელი, მწვავე და მწარე გრძნობა და აზრები, რო-

1) აი ეს ტაეპები, ი. ა. იულიანის გამოცემით: 51, 77, 98, 112, 122, 191, 196, 202, 213, 235, 237, 243, 296, 297, 359, 370, 382, 410, 452, 459, 468, 471, 488, 500, 510, 517, 534, 535, 592, 606, 630, 659, 671, 679, 682, 693, 696, 712, 715, 752, 791, 822, (საშჯერ)-329; 830, 848, 860, 861, 871, 882, 916, 938, 992, 965, 991, 1034, 1057, 1068, 1158, 1174, 1276, 1291, 1312, 1319, 1320, 1335, 1331, 1340, 1367, 1374, 1392, 1394, 1405, 1406, 1407, 1435, 1444, 1453, 1480, 1492, 1497.

პელთაც იწვევს ავთანდილის გულში ტარიელისადმი მიცემული სიტყვა და რომელთაც აძლიერებს თანათინის წინადადება—დაქორწინების მაგიერ კვლავ ზორებოდა მას და წასულიყო მეგობრის დასახმარებლად; ამ ტავში კი ავთანდილი წარმოუგენილაა როგორც „ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული“, რომელსაც ქალმა შეესრულა „მისი საწადელი“ და ამით თითქოს შეუქმნა „ლხინი ესე აწინდელი“. კარგი ლხინი და საწადელის შესრულება. შენმა მზემ, ქორწილისა და შეერთების მაგიერ, უგზო-უკვლოვ გადაკარგვა ისე რომ სახლში მობრუნების იმედიც კი არ არის! ცხადია, „საწადელის შესრულებად“ ვერ ვიგულისხმებთ ვერც საყუთრიე „მარგალიტის მიცემას“, როგორც ვანსვენებული ა. სარაჯიშვილი ჰუიჭობდა (ივეფხისტყაოსანის ყალბი ადგილები“), ვერც სატრფოს ხევენა-კოცნას, და „აწინდელ ლხინად“ მის ჰერეტას, ვინაიდან ხევენა-კოცნას პოეტი ჰგმობს, ხოლო სიახლოვეს ამ შემთხვევაში ის არა ლხინად, არამედ ვაებადა სთვლის:

ყმამან ჰკადრა: სიახლითა შევრთე კირი. შეიდას მე რვა,
 ცუდი არის დამხრელისა გასათბობლად წყლისა ბერვა,
 ცუდი არის სიყვარული, ქვეით კოცნა, მზისა წვერვა:
 თუ გეახლო, ერთხელ ვა და, რა მოგშორდე, ათასჯერ ვა! (645).

5) ყველა ამასთან, ერთს ნუსხაში მე-19 საუკუნის დამდეგისა, რომელიც ნოქ. დიმიტრი ვაჩნაძეს ეკუთვნის, „ტკბილ-ქართული“ გადასწორებულია „ტკბილად ენა“-დ.

* * *

1871 წელს გვ. ვეფხისტყაოსნის 16 მარცელოვანი ლექსის შემოღება აღიწინადა ეკუთვნოდეს ამ პოემის ავტორს, ასეთი ლექსი უფრო ადრეც ყოფილა ენობილი. როდესაც ამას ვამბობთ, შედეგელობაში არ ვიღებთ არც არჩილ შეფის მოწმობას, რომ პრიორიტეტი ამ შემთხვევაში ჩაბრუნაძეს ეკუთვნისო, არც შეათე საუკუნეში ვინმე ფილიპეს მიერ შეთხზულ იამბიკოს: „ფესუთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ ქალწულო,“¹ რომელიც, მართალია, 16 მარცელოვანი საზომითაა დაწერილი, მაგრამ რითმის მხრივ ემბრიონალურ მდგომარეობას განიცდის. ჩვენთვის საყურადღებოა ერთი ტაქტი, რომელიც ლექსის ტენიკით. საზომით და დახვეწილი, მაჯამისებური, რათმიით არაფრით არ განირჩევა ვეფხისტყაოსნის ტაქტებისაგან:

ვეინ ნაქარნაგვეს მეფენი თორმეტნი პურად ჩამ სხნეს,
 თურქნი, სპარსნი და არაბნი სამზღვართა გარე გამესხნეს,
 თეზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს.
 აწე ამათსა მოქმედსა გულზედა ხელნი დამესხნეს.

¹) Н. Марри. Вступительный и заключительный строфы; тр. I, VI; პ. ინგოლოყვა. ძველი ქართული სასულიერო პოეზია. გვ. 10^ა დ; კ. კვეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია I, 176.

ეს ტაეპი, ცოტაოდენი ვარიაციით [„როს ნაქარმაგვეს მეფენი შეილნი ზე პურად დაქესხნეს], პირველად გამოსცა პოოჲ. დ. ჩუბინა შეილმა, როგორც ხალხური პოეზიის ნაშთი, მესხეთში გაგონილი (ქრისტომატია II. 212). პაგრაჲ ერთერთი ხელნაწერი მას სთელის თამარ მეფის ეპიტაფიად.¹ თუ ეს ტაეპი მართლა თამარის ეპიტაფიაა, არაფერს საყურადღებოს არ წარმოადგენს. ზენი საკითხისათვის; მაგრამ საქმე ისაა, რომ ის თამარის ეპიტაფიად ვერ ჩითვლება, ვინაიდან, ჯერ ერთი, აქ ლაპარაკია 12 მეფეთა გამასპინძლების შესახებ („შეილი“ ალბად მერვა გადაკეთებული, საქართველოს „შეიდ სამეფოთა“, მიხედვით თამარის დროს), რასაც ადგილი ჰქონდა არა თამარის, არამედ დავით აღმაშენებლის დროს, როგორც ამას ამოწმებს ხელმწიფის კარის გარეგება: „მაშინ ორნი ოსთა მეფენი. და კახთა მეფე, და ალენთა მეფე, წანართა ზეფე, სამნი ტაოელთა მეუენი და სოქებთ მეუე და ტრაქხონელა და შარკან-შაპენი, ესენი ჩაესხნეს ნაქარმაგვეს და თორჲეტნი დასხდეს“ (ა. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 12). მეორე, არაბნი საქართველოს საზღვართაგან განაზა არა თამარმა, არამედ დავით აღმაშენებელმა. ასე რომ ეს არის ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა და, რაც უფრო საყურადღებოა. შედგენილია ის არა თამარის დროს, ეფთხისტყაოსნის აღმოცენების ეპოქაში, არამედ თვით დავით აღმაშენებლის ეპოქაში, მისი თანამედროვეს, ცნობილის არსენ იყალთოელის, მიერ, ესე იგი—არაუგვიანეს მეთორმეტე საუკუნის პირველი მესამედისა,² როდესაც ეფთხისტყაოსნის ხსენებაც არ ყოფილა. მართლაც, ხელმწიფის კარის გარეგება, რომელიც წარმოადგენს მეთოხმეტე საუკუნეში შედგენილს რედაქციას ცერემონიალური დოკუმენტებისა,³ პირდაპირ ამბობს: „ამა არსენ იყალთოელი, ეგეთი ქაუი, მტყუანი როგორ ეგების? ამა შიარსა არა იგი იტყვს: ვეინ ნაქარმაგვეს მეფენი თორჲეტნი პურად ჩამესხნეს?“ (გვ. 12).

* *

156 გვ. შენიშვნა 4: გასამართლებელი საბუთი ჩვენ მიერ გასწორებულ ივორმისა „მკვერეტთა და სული,“ რომელიც ი. აბულაძეს „უცნაურად“ შეიარჩნია, იხილეთ აგრეთვე გიორგი მთაწმიდელის ანდერძის შემდეგს სიტყვებში: „ესე წმიდად ოთხთავი.... ბერძულთა სახარებათა და შეკვწამებია.“⁴

* *

228 გვ. იოსებ-ზილიხანიანი თეიმურაზს გადმოუთარგმნია 1629 წელს, ეს ჩანს მისიონერების წერილიდან, რომელიც მათ რომში მიუწერიათ აბ წიგლს: თეიმურაზი „საუკეთესო პოეტია, რადგან შეადგინა ისტორია იოსებისა“⁵.

* *

1) თ. კორღანიძე, ქრონიკები II, 56.

2) იმაზე მეტი არსებს არ უცოცხლია; ი. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 289.

3) ვ. თაყაიშვილი, ხელწიფის, გვ. VIII—IX, XVII—XVIII.

4) ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე II, 402—403.

5) მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 102.

272—273 გვერდი: რუსულადანიანი მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარზე უადრესი ნაწარმოები არაა, ის შედგენილია როსტომ მეფის (†1658) შემდეგ: ეს, სხვათა შორის, ჩანს აქ ნახმარი (მეოთხე ზღაპარში) ტერმინებიდანაც. როგორცაა: 1) მოლარეთუხუცესი: „კულავ წაიარეს და მოეგება მოლარეთუხუცესი თავის თაბუნითა და ეთაყვანა;“ 2) სოლბათიასაული: „ცოტა ალაგი წაიარეს, მოეგებნეს აგრეთვე ათასი სოლბათიასაული და ჯალაბნი მათნი;“ 3) ეშეკალაზი: „გამოეგზავნა დედოფალსა თავისი ხოჯა და ეშეკალაზი თავი სიძის მოსაკითხავად;“ 4) ყორჩიბაში: „მოახსენეს, ეს ყორჩიბაში არი! მისის კერძის კაცითაო. მოვიდა ყორჩიბაში და გარდახდა შორს და ეთაყვანა მეფესა.“ საქმე ისაა, რომ ეს ტერმინები, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, შემოულია ჩვენში როსტომ მეფეს: „ხოლო როსტომ ხელისუფალთა უწოდა: მსახურთუხუცესსა ყორჩიბაში,.... მეკურკლეთუხუცესსა მოლარეთუხუცესი,.... მანდატურთუხუცესსა ეშიყალასი, მანდატურსა სოჰბათიასაული“.¹

* *

*

446—447 გვ. არა გვაქვს პირდაპირი საბუთი იმისა, რომ მამუკა ბარათაშვილი რუსეთში მონაწილეობას ლეზულობდა სამხედრო მოქმედებაში: 447 გვერდზე ჩვენ მიერ შეცთომით მოყვანილი ლექსი დიმიტრი სააკაძისა ამას ვერ ამტკიცებს, ვინაიდან აქ ლაპარაკია არა მამუკა ბარათაშვილზე, არამედ მამუკა გურამიშვილზე („მამუკა გურამიშვილი მაგრა დგას, ვათალოდია“).

— 00 —

საკუთარ სახელთა საძიებელი

(პერსონალური, გეოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული).¹

- აბანუში 34.
აბაშეთი 46, 196.
აბბასი (პოეტი) 12.
აბდულა ბერი 286, 289.
აბდულაჰი თაჰირ 293, 294.
აბდულბეგ ბატონიშვილი 205.
აბდულმესია 25, 34, 36, 37, 38, 55,
139, 154, 156, 179, 449.
აბესალომ მეფე 44, 47, 49.
აბუბეკრი 14.
აბუთარი 49.
აბულასანი 47.
აბულაძე ი. 27, 31, 95, 99, 102, 103,
109, 112, 114, 118, 119, 172,
185, 255, 259, 260, 505.
აბულ-ისაყი 275—278.
აბულ-ლაზი-ჰუსეინ ბაჰადურ ხანი 306.
აბუმელიქი 290.
აბუსაიდ სულთანი 293.
აბუსფარი 312.
აბუ-ჯაფარ-მუჰამედ 233.
ადარბა 151.
ადერბეიჯანი 11, 12, 14, 225, 233.
ადრაბადგანი 123.
ავალიშვილი გიორგი 495, 497, 498.
ავალიშვილი დომენტი 358.
ავთანდილი 77—141.
ავნელთა სამეფო 288, 289.
ავლანისტანი 116.
აზღაბახთ მეფე 311, 312.
აზიზი 225, 288, 294.
ათასერთლაშქიანი 286, 291, 305.
ათეჯირიანი 312.
ათინა 93.
ათონი 93.
აიათი 423.
აინლიეთი 34.
აიში 236.
ალ-აინი 11.
ალეპო 483.
ალექსანდრე (არჩილის ძე) 298—300,
403.
ალექსანდრე (ბაქარის ძე) 298—300.
ალექსანდრე (თეიმურაზის ძე), 336,
385.
ალექსანდრე (იმერთა მეფე) 172, 335,
343, 364, 385, 397.
ალექსანდრე მაკედონელი 28, 29, 30,
71, 293, 294, 411.
ალექსანდრიანი 7, 28, 39 შენი
214—216, 404.
ალზირა 500.
ალი-დილამი 47, 48.
ალიქათურ მეფე 221.
ალმასი ჩინელი 239.
ალლუზიანი 197—205.
ალლუზონი 197—205.
ამბერდი 152.
ამბრი არაბი 44, 49.
ამიან დევი 281.

¹) შენიშენებში მოხსენებული სახელები საძიებელში შეტანილი არაა. შეტანს სწორად იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული სახელები და თხზულებათა სახელები.

ანლაზკარი 370, 371.
 ანინი (პოეტი) 254.
 ანისა-ნასრა 12.
 ანოან-ლაოჯანიანი 4, 13, 15, 17,
 23, 25, 27, 43, 41—63, 74,
 92, 94, 104, 108, 110, 126,
 127—134, 156, 192—195,
 205, 213, 249, 257, 364.
 ანოან დაოჯანისძე 34, 44—63.
 ანო-მორანი 14, 117, 491.
 ანო-მუსარიანი 27.
 ანის-ნასარიანი 320—322, 422, 423.
 ანოარი 198—205.
 ანანანტეკა 21, 255, 261, 298, 303,
 362, 363, 388, 389, 401, 409,
 415, 419, 420, 431, 441, 472,
 474, 473, 180, 481, 482, 487.
 ანგალალი 271.
 ანდალოპი 281, 282.
 ანდიბან მოგვი 160.
 ანდონიკაშვილი ქაიხოსრო 263.
 ანვარი სოჰილი 33, 304, 306, 307,
 310, 311.
 ანისა 152.
 ანსა ბატონიშვილი 474, 475, 476.
 ანტონ I კათოლიკოსი 25, 26, 433,
 434, 439, 473.
 ანტონ II კათოლიკოსი 451.
 ანოთუთეგმები 319, 323.
 არაბეთი-აოაბული 15, 49, 77, 112,
 116, 119, 228.
 არაზი 251.
 არაოატი 261.
 არდაველი 152.
 არდავუ 158.
 არდაშერ-ნანე 196.
 არდაშერ ბაბუე 293.
 არზანანიე დევი 45.
 არისტოტელი 293, 294, 318, 327.
 არსენი სუხანოვი 492.
 არსენ ივალთოვი 505.
 ართოანა 483, 484.

არჩილ მეფე 20, 24, 25, 145, 180,
 193, 195, 215, 216, 222, 227,
 245, 247, 249, 250, 278, 300,
 335, 337, 363, 364, 369, 372,
 385, 386, 401—421, 426, 436,
 437, 449, 455, 459, 461,
 432, 471, 481, 492, 504.
 არჩილიანი 95, 180, 227, 244, 258,
 317, 346, 358, 403, 421.
 ასათიანი ლუკა 283.
 ასმათი 80—141.
 ასპანნი 64.
 ავთუვიანიე 267.
 აფრა დევი 252.
 აფხაზეთი-აფხაზი 7, 72, 101, 107,
 200.
 აღათოკლე 500.
 აღსართანი 14, 491.
 აშთარხანი 250, 355, 357, 358, 370,
 371, 373, 407, 408, 417, 423,
 434, 445, 456.
 აშრაფი 236.
 ახი (ბარ.-გურიანში) 115.
 ახიკარ ბრძენი 327—329.
 ახპატელოვი მ. 287.
 ახტუბის მონასტერი 458.
 აჯამი 311, 312.
 აჯი (პოეტი) 390.
 ბაამანი—ბაჰამანი 174.
 ბაამიანი 197.
 ბაბა-ამირიანი 27.
 ბაბათაშვილი 360—361.
 ბაგრატი, მეფე იმერთა 335, 339, 340,
 342, 385, 401.
 ბაგრატი მუხრანბატონი 23, 25, 54,
 177, 178, 179.
 ბაგრატიონი დიმიტრი. 192, 437 შე-
 ნიშ. I, 457.
 ბაგრატიონნი 369, 378—380.
 ბაღიკ - უდინ მინუჩიკი ატაჯირი
 ატაბრიზი 390.

ბაზიკა 225.
 ბაინლურ ერისთავი 433.
 ბალავი 71.
 ბალხამი 51.
 ბალხეთი 45, 47, 50, 221, 257, 294.
 ბალხი-ბუხარ მეფე 268.
 ბალჰვარი 6, 71.
 ბანაროზ მეფე 268, 273.
 ბარათაშვილი თამაზ 444, 445.
 ბარათაშვილი ნამუკა-შათე 272, 274, 275, 300, 432, 444—454, 455, 469, 470, 472, 480, 506.
 ბარათაშვილი ქაიხოსრო 222.
 ბარათაშვილი ყაფლანი 401.
 ბარამან მანი 148.
 ბარამი 236—249, 251—259, 256—261, 268, 284.
 ბარამგულანდამიანი 213, 233, 236, 251—256, 259, 263, 422.
 ბარამგულიჯანიანი 24, 213, 255, 256—261.
 ბარამგური 32, 236—249, 293.
 ბარამგურიანი 32, 92, 115, 135, 136, 137, 232, 236—249.
 ბარამ ჭუბინი 232.
 ბარბარე ალექსანდრეს ასული 442, 444.
 ბარდავი 148.
 ბარზამი 257.
 ბასილ დიდი 5, 22, 326.
 ბასილ მაკედონელი 297.
 ბაქარ მეფე 298, 299, 300, 326, 365—368, 389, 372, 376, 403, 443, 449, 457.
 ბაქრაძე დიმიტრი 31, 73.
 ბაყათარ ოსი 59, 201—205.
 ბაყბაყ დევი 49, 62.
 ბალდადი 47, 49, 84, 148, 242, 264, 288, 289.
 ბახთიარი 233, 311, 312.
 ბახთიარ-ნამე 311—313, 422.
 ბახტურ მეფე 283—286.

ბებუთაშვილი მელიგზალ 311.
 ბედლეულმართი 270.
 ბედშავეი 270.
 ბეზალ მეფე 253.
 ბერაძე ი. 215.
 ბეჟანი 134, 179.
 ბეჟანიანი 179.
 ბესიკი, იხ. გაბაშვილი ბესარიონ.
 ბიჭანტია ს, 16.
 Blake R. 38.
 ბობქარი 14, 151, 152.
 ბოლოსტიკე 39, 151.
 ბოსტან ქალაქი 94.
 ბროლის სვეტი 421 შენიშ. 5. 430 შენიშ.
 ბროსე მარი 26, 100, 146, 268, 272, 333, 500.
 ბურნა-მელიქი 221—222.
 ბუსაით სულთანი 275.
 Rustau-i-Nayal 196.
 შაბაასება კაცისა და სოფლისა 404—407.
 გაბაასება მღვდლისა და ციებოსა 394 შენიშე.
 გაბაშვილი ბესარიონ—ბესიკი 454, 473—482, 487.
 გაბაშვილი ზაქარია 473, 475, 478.
 გაბაშვილი იოსებ—ოსე 473, 477.
 გაბაშვილი მათა 473, 482.
 გაბაშვილი ტიმოთე 93, 473.
 გაბრიელ შიორი 495.
 გახათხულ-შემოდგომიანი 392—394 401.
 გამრეკელი 98, 199—205.
 განჯა 117, 228, 263, 330.
 გარდანქეშანი 284.
 გელოვანი გაბრიელ 374.
 გივი (ჩუსტუდანიანისა) 268.
 გიორგი არაგვის ერისთავი 300.
 გიორგი ვახტანგის ძე 369, 473.
 გიორგი იმერთა მეფე 172.

გიორგი ლაშა 162
 გიორგი მთაწმიდელი 13, 505
 გიორგი მცირე 101, 107
 გიორგი რუსი 115
 გიორგი III, 114, 115, 117
 გიორგი XI, 195, 369
 გიორგი XII, 484, 495
 გიორგი უცესმონაზონი 16
 გობრონი წმ. 115
 გოდერძი (რუსულ.) 268
 გორგაძე ს. 27, 474, 477.
 გორგჯანიძე თარსადან 98, 182 —
 184, 235
 გორჯასანი — გვარჯასანი 136, 284
 გორჯასან ზაულელი 241
 გორჯასანი (რუსულ.) 268
 გოსტამ მეფე 268
 გოსტაზიანი 27
 გოშტასბი 174
 გოჩიანი 27
 გრემი 177
 გრენი ა. 52, 55
 გრიგოლ ბატონიშვილი 482
 გრიგოლ ნაზიანზელი 5, 161, 326
 გრიგოლ ხანძთელი 7, 22
 გრიშაშვილი ი. 316 შენიშ. 3, 483,
 485, 486, 487
 გულაზარ მეფე 279
 გულაზარი ქალი (მირიანი) 281
 გულანდაში 252—256, 262
 გულანშარო 86
 გულასპიანი 27
 გულბაპრ ნზეთუნაზავი 261—262
 გულდასტანი 262
 გული (ვისრამ.) 69
 გულისაშვილი ზ. 209
 გულისტაში 284
 გულიჯანი 256—261
 გურამიშვილი დავით 20, 21, 22, 378,
 444, 445, 454, 455—472, 480
 გურამიშვილი მამუკა 447, 506
 გურგანის ქეეჯანა 68
 გურგანის ხლეა 116
 გურგანი ფახრ — ულდინი (პოეტი) 64,
 70, 72

გურგენი (რუსულ.) 268
 გურზი 268
 ღადიანი: ვამიყ III, 273, 335, 402
 „ დავითი 333
 „ ლევან II, 172, 273, 333,
 335
 „ ლევან III, 339
 „ მანუჩარ 172
 „ შამადატლე 337
 დავარი 79, 81, 115
 დავით აღმაშენებელი 10, 11, 12 14,
 30, 37, 55, 154—164, 334,
 412, 449, 503
 დავით ბატონიშვილი 495
 დავით დიმიტრის ძე 107
 დავით თეიმურაზისძე 385
 დავით იმამყულიხანი 433
 დავით კახთა მეფე 306, 307, 311,
 384
 დავით ნარინი 227
 დავით რექტორი 317, 439, 478
 დავით საათაბაგოელი 34, 74
 დავით სომხითის მეფე 107
 დავით სოსლანი 107, 114, 115, 116,
 117, 119, 147, 154—164, 491
 დავით ტბელი 161
 დავით ურიაყოფილი 478
 დავით შავთელი 159
 დავით წინასწარმეტყველი 37, 159
 დავითიან - ბაგრატიონთა მატიანე
 178—381
 დავითიანი 20, 374, 376, 455, 458,
 459
 დავლათი 253
 დაკიკი (პოეტი) 190
 დალიფ ვეჯირი 289
 დარეჯანი არჩილის ასული 372, 373,
 403
 Daxirat ul-muluk 293
 დელამი 50, 268
 დემნა 115, 116

დიაგნოსი 105
 დიდმოურაეიანი 20, 358—365
 დილარამ-ჩანგი 237, 243
 დილარგეთი 25, 34, 35, 36
 დილარი 205—214
 დილარიანი 15, 34, 35, 36, 45, 46,
 55, 73, 191, 205—214, 291
 დიმიტრ ბ თავდადებული 107
 დეალეთი 402
 დეალიძე ბააკა 25
 დვინი 151, 152
 დიომედე გრამატიკოსი 5
 დიფნის ქალაქი 275
 დომენტი კათოლიკოზი 365—368,
 369, 373
 დულარდუხტი 86
 დურნოეო 6. 328
 დღისა და ღამის გაბაასება 434—437
 მევიპტე 1-18, 225, 242, 282, 378
 ედილი 445
 ედიპი 501
 ეესტატი მოწ. 269
 ეზდიჯირდი 237
 ეზინაქი 152
 ეზინკიელი 153
 ელენე დედოფალი 273, 274, 336,
 337
 ელისაბედ პეტრეს ასული 434
 ეპიტანე კეიპრელი 161
 ერანი, იხ. ირანი
 ესთერი 197, 501
 ესოპე 304, 305, 313, 314, 318
 ეფისო 264—266
 ეფრემ მცირე 6
 ექვთიმე ათონელი 5
 ეშყი-ხონია 454 შენიშ. 2
 ვარდან აიგიკელი 318
 ვარდ-ბულბულიანი 246, 260, 388,
 389—391, 401
 ვარშაყი 286—287

ვარშაყიანი 286—287
 ვაჩნაძე ბარძიმ 25, 186, 273
 ვახტანგ გორგასლანი 13, 33, 57—
 60, 334, 379
 ვახტანგ V შაჰნავაზი 247, 274, 333—
 348, 369, 401, 444
 ვახტანგ VI: 18, 24, 26, 33, 88,
 114, 195, 254, 255, 274, 306,
 307, 308, 309, 310, 311, 312,
 321, 322, 324, 325, 326, 366
 367, 368—374, 375, 376, 377,
 422—432, 434, 444, 445, 447,
 449, 455, 456, 469, 471, 476,
 481.
 ვახტანგეიანი 300, 368—374, 403, 445
 ვახუშტი ბატონიშვილი 172, 359, 369,
 402, 506.
 ვაჰში ქირმანელი 236
 ვეფხისტყაოსანი: 15, 17, 18, 21, 24,
 25, 26, 27, 32, 34, 38, 43, 44, 55,
 74, 77—141, 155, 156, 158, 173,
 191, 193, 195, 200, 213, 214,
 216, 217—220, 225, 226, 246.
 247, 248, 255, 256, 259, 260,
 261—263, 265, 246, 346, 347,
 364, 368, 417, 422, 432, 433,
 504, 505 .
 ვირო 65—69
 ვისო 34, 64—76, 120—126, 246
 ვისრამიანი 4, 15, 17, 27, 43, 64—
 76, 94, 104, 108, 110, 120—
 126, 141, 225, 246, 249—251,
 260, 263, 364, 404, 410, 420
 ვოლტერი 498, 500
 ზაალი (შაჰნამესი) 174
 ზაალი (რუსულან.) 268
 ზააქი 169, 170, 172, 173, 174
 ზააქიანი 171, 172, 173, 184, 185,
 186, 219, 273
 ზაეარ ფალავანი 221
 ზაეი ჩინელი 267

ზაირა 500
 ზალუმჯანი 279-280
 ზალუმჯანიანი 115, 279-280
 ზამან ხაყარელი 259
 ზარბაქათ მეფე 286
 ზარდო 65—69
 ზილიზა-ზილიზანი 224-228, 246
 ხირაქი ისო 105
 ხიჩი თალა მასალა 423
 ხშირონი 267
 ჯორა 282
 ზოსტერ ჩინელი 267
 ზოპაქი 169, 173, 188
 ზურაბ ერისთავი 228, 385, 386
 ზურღანი 264
 ზღვათა მეფე-სამეფო 47, 62, 63, 84, 116
 თაყუარზან 314
 თამაზხანი 476
 თამარ დედოფალი 14, 15, 23, 33, 34, 35, 45, 46, 98, 107, 108, 110, 114, 115, 116, 117, 119, 142, 145, 146, 147, 154-164, 334, 352, 379, 380, 412, 449, 491
 თამარი (დავით აღმაშ. ქალი) 14
 თამარი (ვახტანგ VI ქალი) 433, 434, 476
 თამარი (აფხაზეთის დედოფალი) 107
 თამარი (გიორგი მცირის ქალი) 101, 107
 თამარი (ირაკლი II ქალი) 284
 თამარიანი 17, 23, 32, 34, 35, 36, 76, 94, 97, 98, 100, 101, 110, 137, 141, 143-154
 თამურანი 169
 თანჯირიანი 27
 თანიაშვილი ბეგთაბეგ 194-195, 455
 თანიაშვილი სულხან 25, 182, 193, 194, 249
 თაყაიშვილი ექვთიმე 27, 16, 223, 245, 255, 269, 272, 307, 308, 316, 318, 365, 379, 420, 438, 505

თეიმურაზ მეფე I: 20, 23, 25, 172, 195, 220, 224, 225-228, 231, 244, 247, 249, 260, 261, 306, 330, 332, 334, 347, 348-358, 359, 384-401, 419, 420, 436, 449, 455, 492, 505
 თეიმურაზ მეფე II: 206, 335, 369, 401, 433-444, 473, 481
 თეიმურაზ ბატონიშვილი 93, 206
 თეიმურაზიანი-ცხოვრება თეიმურაზი-სა-შედარება რუსთაველისა და თეიმურაზისა: 20, 25, 145, 348, 358, 359, 363, 364, 401, 404, 416, 417
 თეოფილე ხუცესმონაზონი 161
 თერგი 251, 456
 თიმსარიანი 314, 318, 434, 443, 444
 თინათინი 77, 141
 თმოგვი 35, 101
 თომა მელექსე 444
 თუმანიანი ოვანეს 316, შენიშვ. 3
 თუმანიშვილი გივი 403, 421
 თუმანიშვილი ზაალ 231
 თურანი 284
 თურმანიძე ხოსრო 25, 175, 180, 184
 თურქი 49, 57, 109
 თურქისტანი 238
 თურქისტანიშვილი დაუთი 403, 421
 თურქისტანიშვილი ერასტი 324, 326, 495
 იაკობ სამებელი-შემოქმედელი 24, 25, 195, 362, 449, 455
 იაკობ-ლეს მეფე 293
 იალღუზიძე იოანე 204, 205
 იამანი-იემენი-იამანეთი 48, 49, 50, 148, 225, 242, 243, 267, 269, 281, 312
 იამანიძე ბარდი 44, 47, 48
 იასა (ქალაქი) 474, 477
 იბერიელნი 29
 იბნ-ხალიკანი 152

იბრეიმ ხელმწიფე 268
 იგნატიევი სემიონი 256
 იენგი ყალა 177, 179
 იერუსალიმი 38, 247, 281, 293, 408
 იესე მეფე 369, 372, 375
 ივერია 93
 ივლიანე განდგომილი 161
 იზაურის გამდელი 264
 იოსებო, შალრიბის მეფე 281, 282
 იოსებო, ბაქე (რუსულ.) 268, 270
 ილიადა 5
 იმერეთი 116, 335, 336, 387, 392,
 402, 473, 475, 477, 478
 ინგოროყვა პ. 56 შენიშ., 95, 96, 98,
 147, 148, 149, 151, 153, 159
 ინდო ჰაბუკი 47, 48
 ინდოეთი-ჰინდოეთი 47, 79--140, 148,
 238, 239, 279, 284, 314
 ინდოსტანი 275, 276
 იოანე ბატონიშვილი 196, 209, 234,
 379
 იოანე დიაკონი 37
 იოანე ოქროპირი 5, 326
 იოანე პეტრიწი 106, 448
 იოსებო (პატრიარქი ებრაელ.) 224—
 228, 291, 312, 378
 იოსებ-ზილიხანიანი 92, 95, 97, 115,
 224—228, 246, 260, 334, 378,
 388, 505
 იოსებ ტფილელი 20, 359, 360—365
 იოსებ სამეხელი 298
 იოსებ ჭეშიშ-დარდიმანდი 495
 იოსელიანი პლ. 26, 36, 73, 151, 351,
 354, 355, 360, 361, 477
 ირაკლი I, იხ. ნაზარალიხანი
 ირაკლი II: 18, 263, 284, 324, 433,
 440, 474, 475, 477, 479, 484,
 495, 499, 500
 ირანი-ირანული 15, 16, 148, 236,
 284, 285, 433

ირბახი ნიკიფორე 223
 ისკანდერ-ნამე 14
 ისშიაზანი 283
 ისპანი 306, 307, 310, 422, 433, 436
 ისუანდიერი 31, 283
 იტალია 148
 იტიტინე (რუსულ.) 268, 270
 იფიგენია 6, 449
 იაკეკაი 265
 იაკეკასი 29
 იაკეკასიელნი 196, 197
 იათოლიკოზ-ბაქარიანი 365—368,
 374
 იაკობე სარგის 27, 95, 101, 102,
 107, 108, 109, 118, 151, 154, 155,
 158, 179 შენიშ., 217
 იალისთენი 28
 იალნასობა 209
 იალმუხნი 198--205
 იარი ქალაქი 163
 იარიკაშვილი დავით 27, 89, 296
 იასპიის ზღვა 66, 445
 იასპიის ქარნი 29
 იატის ომი 473, 478
 იახეთი 95, 338, 340, 366, 367, 392,
 402, 433
 იედელაური 175, 176, 184
 იესარხანი-კირანი 197--215
 იოზმანი 132
 იონკორდანსი 302
 იონსტან ჯონე აფხაზთა მეფე 101, 107
 იონსტანტინე (მამადულის) კახთა მე-
 ფე 366, 367, 375, 433
 იონსტანტინე მეფე (მუხრან ბატონი)
 177, 178, 179
 იონსტანტინოპოლი-სტამბოლი 148,
 149, 285, 302, 319, 367, 366, 403
 იორნელი 498, 500, 501
 იოსტა, ბერძენთა მეფე 268

კოშორიძე ელენე 234
 კოშორიძე იოსებ 394 შენიშე.
 კოასნოვოდსკი 116
 კრეპენჩუკი 477

ლაზო ქალაქი 228
 ლამისყანა 455
 ლარაძე პეტრე პრ. 131, 205—214,
 291, 380, 500
 ლა ვონტენი 305 შენიშ. 4.
 ლევენ ბაქარისძე 299
 ლევან, ვანტანვის შამა 369
 ლევან თეიმურაზის ძე 330, 385
 ლეილა 228—232
 ლეილა-მეჯუნნიანი 14, 15, 32, 115,
 135, 228—232, 246, 260, 334,
 388
 ლეონ ბრძენი 297, 301
 ლეონიძე გ. 444, 447
 ლეონტი მროველი 4, 13, 23, 29,
 30, 33
 ლექსიკონი 301, 302, 309
 ლიშონა 155, 163
 ლომსიანიძე გაბრიელ 36 შენიშე.
 ლოპატინსკი ლ. 200, 202
 ლუარსაბი (ლოპარასპი) 174, 175
 ლუარსაბ მეფე 245, 358, 359

მათე, იხ. ბარათაშვილი მამუკა
 მამებელი (ბარ.-გურ.) 241, 242
 მამუკა, იმერეთის ბატონიშვილი 172,
 245
 მამუკა ბოქალუთუხუცესი 249
 მამუკა ელჩი 445
 მამუკა მღივანი 171, 172, 195, 219,
 220, 273
 მამული ხალიფა 292
 მამუნი ხალიფა 293
 შანანა (პოეტი ქალი) 395 შენიშენ.
 შანი მხატვარი 237 242
 შანიყაჯი 174, 179
 შანიქაჯელი 98, 99

მანუჩარი 174
 მანუჩარ ხვარაზმელი 196
 მანუჩარი (რუსულ.) 257, 259
 მანუჩარ ერანელი 285
 მარავე 66
 მარანა 177, 178
 მარგალიტიანი 27
 მარიამ დედოფალი 333, 335, 342
 მარმარა 484
 მარტი ნიკო: 8, 10, 12, 27, 32,
 36, 37, 52, 53, 55, 71, 88,
 89, 92, 95, 96, 99, 100, 101,
 103, 104, 105, 106, 109, 111,
 112, 113, 118, 137, 143, 146,
 147, 151, 154, 155, 156, 157,
 158, 159, 160, 258, 271, 272,
 308
 მალდებურგი 457, 459
 მაჩიტაძე ლ. 351
 მაწყინარი 241, 242
 მაჯამა 393, 395—398, 401, 416,
 417, 420, 428, 429, 430, 449
 მაჰმუდი 12, 30
 მაჰმუდ ხელმწიფე 293
 მელის წიგნი 318
 მელიქსურხავე 84
 მელიქ-შაჰ 293, 294
 მესია 37
 მესხეთი 19, 94, 95, 109
 მესხი მელექსე 219, 220
 მეუნარგია ი. 73
 მეფეთა სალარო 293
 მეფეთა ცხოვრება 4, 13, 56, 61
 მეფეთა წიგნი 12, 13, 30
 მეჭა 148
 მეწამული ზღვა 288
 მზკაბუქი 34, 45, 50, 51
 მთაწმიდელი ზ. 479
 მილადი 257
 მილერი ვსეე. 200, 203, 204
 მილტონ ხელმწიფე 282
 მირიან ბატონიშვილი 458, 481

აილი, ჩინელი სეფეწული 280—283
 ბირიანი (თხზულ.) 280—283, 236
 ბირ-ჰაყილ კეთარი 236
 ბოგნურთ ბადე 261—264
 პაბბად შაპი 64—75, 122
 ნონლოლები 11, 17, 98, 107, 110
 მონლოლია 201
 პოსე ამირა 289
 პოსე ზონელი 25, 34, 44, 45, 52, 55
 პოსკოვი 251, 274, 300, 321, 371,
 372, 402, 403, 423, 445, 447,
 456, 473
 მოკცევაჲ ქართლისაჲ 7, 29
 პაპავაჲ ფერ-ყვავილოვანი 207, 214,
 278, 380
 პეტკარი 70, 73
 შეზამფარი 188
 ნელლაზანზარი 82, 83
 მუსთარშიდ ხელმწიფე 294
 მულანი 66
 მუშთარი 281
 ნადირ შაპი 433, 439
 ნავაი 244
 ნაეზარი 174
 ნაზარ-ალი-ხანი (ირაკლი I) 272, 273,
 339, 385, 433, 445
 ნაზიმი 224, 225
 ნათანი 327, 328
 ნანუჯანი 188
 ნარგიზოვანი 421
 ნარგის ჯადოს ციხე 280
 ნარიმანი 257
 ნასიბი 282
 ნასრ-იბ-აჰმად 294
 ნასტურიძე 270
 ნებროთის წიგნი 13, 160
 ნემესიოს ემესელი 107
 ნეოპლატონიზმი 8, 9, 23, 99, 106,
 107
 ნესტანდარეჯანი (ვეფხისტყაოს.) 79—

ნესტანდარეჯანი, იმერთა დედოფა-
 თალი (თეიმურაზის ასული)
 335, 343, 385, 394, 398
 ნეკაძე პეტრე, მგალობელი 215. შე-
 ნიშე. 421
 ნიზამი განჯელი 14, 32, 135, 228, 230
 232, 234, 236, 244
 ნილოსი 226
 ნიქახტარი 281
 ნოდარ, გლახათა შუაჲ 268
 ნომიაეთაბი 280—285
 ნონ-კალმუხნი 198—205
 ნოსარ ნისრელი 44, 47, 48
 ნურადინ-ფრიდონი 82—88, 169
 ნუშრევანი 269, 292, 293, 294
 ოღისევისი 5
 ოღი ში 172
 ოთარი 195, 455
 ომან მდივანბეგი 263
 ომანი (რუსულ.) 268
 ომანინი, ერანის სეფეწული 279
 ომანინი, ინდოეთის მეფე 115, 220—
 224
 ომანინი, ინდოეთის სეფეწული 239,
 247
 ომანინიანი 175, 213, 218, 220—224,
 271
 ოპარუ-ლემის ხელმწიფე 293
 ონანა მდივანი, იხ. ქაბულაშვილი
 ონაფრე ბოღბელი 440
 ორბელიანი გრიგოლ 487
 ორბელიანი დავით 284, 479
 ორბელიანი დიმიტრი 438 შენიშ. 1,
 474, 476, 482
 ორბელიანი იოანე 495, 495
 ორბელიანი მამუკა 22
 ორბელიანი მზეკაბუე 479
 ორბელიანი ბაჰუნა 439
 ორბელიანი საბა-სულხან 272, 301—
 305, 308, 309, 310, 311, 331
 შენიშ., 422, 444, 445

ოსეთი-ოსები 197--205, 356, 402
 ოსინელი 161
 ოსმალეთი 19, 423, 455
 ოსნაოზი 34
 ოსოქალა 456
 ოუიშქეთი 172
 ოქსფორდი 38

პაატა ბატონიშვილი 298, 299 შენიშე.
 პალამიდი 162
 პანჩატან ტრა 304, 305
 პატკანოვი გ. 31
 პეტრე დიდი 371, 373, 375, 412
 პეტრეძეები 371, 373, 374, 416, 477
 პლატონი 106, 323, 327
 პრესნა 446, 447

შოლია გიორგი 339
 ყორღანია თ. 27, 397

რავუზ, ქაჯთა მეფის ქალი 252, 254
 რაქანჯუორი 280 282
 რაზი სულთან 293
 რამაზი 80
 რანინი 34, 64-75, 120-126, 246
 რასინი 498, 499, 500, 501
 რაქა 370, 384, 392, 402
 რეი 66, 67

რეთა საჩინოთა ასოთა გეამისათა 408
 რიკა 300

როდამი-როდენი (რუსულ.) 267, 268
 როდამი, ვახტანგ V კოლი, 401, 444
 როსტევეანი (ვეფხ. ტყ.) 77-141
 როსტევეანი (რუსულ.) 268
 როსტომ მეფე 181, 245, 247, 342,
 361, 439, 506

როსტომ ფაშა 337, 338, 343
 როსტომ ვახტანგის ძე 422 შენიშე.
 როსტომიანი 15, 134, 135, 168,
 174-184, 223, 216, 347, 364,
 439

როსტევეანი 225
 რუსეთი-რუსნი 148, 240, 241, 254,

274, 300, 369, 370, 374, 376,
 384, 402, 423, 433, 434, 442,
 444, 455, 495, 496

რუსთავი 93, 94, 95

რუსთველი, იბ. შოთა

რუსულან: დედოფალი (XIII ს.) 98,
 156, 270, 491

რუსულანი (რუსულან.) 267-275

რუსულანიანი 21, 27, 104, 213,
 267-275, 448, 506

რუქა 301

რუქნადინი 152

სააკაძე გიორგი 220, 358-365

სააკაძე დიმიტრი 203 შენიშე., 445,
 446 შენიშე., 447, 457, 458. 505

სააკაძე იორამ 361

სააკაძე სიაღუშ 360, 361

საამი (რუსულ.) 268

საამიანი 185, 186, 187, 273

საბა-სულხან, იბ. ორბელიანი

საბაშვილი სერაპიონ სოგრატიძე 176-
 177, 178, 179, 180. 334

საბერძნეთი 14, 148, 160, 241, 275

საენე გმირთა 27, 39

საგარსამიძე 44, 46, 47

საიღალი ბინ შიკაბ-უღინი 293

საინგილო 96

საისტანი 136, 285

სალმანი 153

სამანიდები 12

სამარკანდი 318

სამეგრელო 116 333

სამოთხის კარი 302

სამცხე 218, 245

სანჯარ სულთანი 293

საფათნოვა 479, 480, 483-487

სარაზან ტრანელი 279

სარაჯიშვილი ალ. 92, 217, 504

სარგის თმოგველი 25, 34, 35, 45,
 46, 73, 75, 98, 101, 102, 107,

172

სარგის მხარგძელი 35, 36
 სარიდონი 264—266
 სარიდონიანი 264—266
 სარკე თქმულთა 434—437, 444
 სასახლას ქება 439—440
 საფარიდები 12
 საფრანგეთი 174, 242, 302
 საქართველო 8, 14, 15, 17, 19, 104,
 110, 113, 115, 116, 148, 254,
 272, 302, 442
 საქართველოს ზნეობანი 407—408,
 492
 საყვი ხელმწიფე 293
 სახე-გვოსანი 39, 207, 208, 216
 სახისმეტყველი 6, 34, 318
 საპიპ-ყირან-ნამე 196
 საპიდ-თუგრულ-ბინ-არსლა 233
 საპიდ-მოპამედ-ურფი შირაზელი 236
 სედრაქი 257, 301
 სეიდ დეერიში 196
 სეილან საპიპ ყირანი 196—197
 სეილანიანი 196—197
 სეისტანი, იხ. საისტანი
 სელჩუკიანი 109, 116, 117, 233
 სერაპიონ, იხ. საბაშვილი
 სეფედალე დარისპანისძე 44, 50, 52
 სეფევიდები 18
 სენც ქა-ვსესვიატსკოე 402, 403, 413
 სეიბეონ I მეფე 172, 180, 181
 სეიბეონ II 273
 სიბრძნე ბალკუარისა 6
 სიბრძნე მალალობელი 324
 სიბრძნე სიტრუთია 301—305
 სიბრძნენი ფილოსოფოსთანი 323 327
 სიღი 501
 სინდბადი 305, 311, 314, 316
 შინა 501
 სიპილანდაბი 196
 სირინოზიანი 185, 188—191, 196,
 213, 286
 სისტანი 241, 246
 სიკუვა სანათლისგებო 414

სიფორი ქაჯთა მეფე 252
 სოგრაცი 77, 176
 სოკრაცი ფილოსოფოსი 323, 327
 სოლალი 456
 სოლომონ მეფე 71, 288, 289, 290,
 291, 327, 379
 სპანდიატი 31, 32, 175, 188
 სპანდიური 284
 სპარსეთი 11, 13, 14, 15, 19, 20
 109, 110, 112, 116, 121, 148
 163, 206, 243, 247, 267, 375,
 384, 475
 სპილენძის ქალაქიანი 288—291
 სტოკპოლმი 300
 სუბუქ-თაქინ მეფე 293
 სუმაროკოვი ა. 496, 498
 სუმბატ აქიმი 315, 316
 სუფიზი 9, 23
 სჯულისკანონი 149
 ტაკში ალა-ტინ 109
 ტარიელი 25, 79—141
 ტახირიდები 12
 ტბეთი 92
 ტესტამენტი 297—300
 ტლამაძე იესე 367
 ტომერანი 263
 ტოლოილ სულთანი 109, 116, 117
 ტოლოულბეგი 64, 123
 ტრაპიზონი 302
 ტუსი ქალაქი 12, 30
 ტუსიშვილი 267
 ტფილისი 11, 287, 334, 335, 366,
 367, 433, 476, 483
 შოშუთიანი 168, 184
 ულუ-დავითი 118
 უმიანი 188
 უორდროპი ო. 305
 ურმიის ზღვა 116
 ურუმის ქვეყანა 251, 268, 294
 უსაში 84

უსენი 84
 უსიბი 48, 63
 უსუფ-ყასიბიანი 27
 უშანგი 169
 უზინ-მარინი 269

 შავლენიშვილი (ავტორი ვახტანგია-
 ნისა) 373
 ვავლენიშვილი ჯაგლაგა 25
 ვაიკობი 356, 357, 402
 ვალაუზი 31, 33, 64, 70, 73, 305,
 314
 ვანი 236
 ვარემუზი 268
 ვარსადანი 79, 81
 ვარ ხოსროვი 312
 ვარჰად-შირინიანი 236, 255
 ვატანი 84, 85, 87, 120
 ვაფზორი, ჩინეთის მეფე 252, 253
 ვადავა როდამი 273
 ვაშიბერტყაძე ფეშანგი 20, 25, 176,
 278, 345, 346, 348, 443
 ვახტური, ჩინეთის მეფე 259
 ვერიები 280-283, 284, 286, 291
 ვერიდონი 169, 173
 ვეშანგი, იხ. ვაშიბერტყაძე
 ვიზიოლოგი, იხ. სახისმეტყველი
 ვილიპე 481, 504
 ვირანი (რუსულ.) 268
 ვირდოლუსი 12, 13, 15, 30, 70, 134,
 168-185, 224, 226
 ვირჰალ მეფე 275-276
 ვირჰალიანი 275-278, 280, 346
 ვონეზ შეფე 301
 ვრანგისტან კაბუეი 261-263
 ვრიდონი (რუსულ.) 267
 ვრიდონი (ვეფხისტყ.) იხ. ნურადინ-
 ვრიდონი
 ვრიდონი (მეფეთა სალაროსი) 293
 ვრიდონიანი 168, 169, 172, 173,
 184, 185, 187
 ვრეველი-კალისტენი 28, 29

ფურცელაძე ანტონი 386

 ძაიმურსი 169
 ქაიომარი 169
 ქაიყუბადი 174
 ქაიხოსრო მუხრანბატონი 222 - 223
 ქაიხოსროვი 174
 ქამალიანი 27
 ქართლი 116, 245, 247, 272, 273,
 274, 310, 372, 375, 376, 402,
 422, 433, 439, 476
 ქართლის ცხოვრება 98, 114, 353,
 379, 380, 421
 ქაცეია მწყემსი 455, 463, 470, 471,
 472
 ქაჯი-ქაჯეთი 47, 79, 86, 252, 253,
 261, 263
 ქება ბაქარ მეფისა 445, 449
 ქება დავით აღმაშენებელისა და თა-
 მარისა, 17, 23, 32, 94, 110,
 137, 139, 154 - 164
 ქეთევან დედოფალი 330 - 332, 350-
 384
 ქეთევანი, არჩილის ცოლი 402
 ქეთვონი-ქეთევანი (რუსულ.) 270
 ქეჟაოზი 174, 320
 ქეჟაოს (პოეტი) 321
 ქვარიანი სიმონ 115
 ქილილა და დამანა 33, 303, 304,
 305 - 311, 384, 422, 421
 ქირმანი 306, 311, 312, 445
 ქიშვარ მეფე 251
 ქობულაშვილი დავით 258
 ქობულაშვილი თამაზ 258
 ქობულაშვილი ოთარ 258
 ქობულაშვილი ონანა, მდივანი, 24,
 191, 195, 255, 258 - 251, 445,
 455
 ქობულაშვილი სვიმონ 258
 ქობულეთი 19
 ქრცხინვალ - ცხინვალ 45, 358
 ქუთაისი 335, 337

ქუჩუკოვი 424

ლაზნა 50

ლაზნევიდელნი 12

ლაზნაშიძე დავით 379

შაბოს მეფე 320

Qabus-name 321

ყაისი (ლეილ.-მეჯნ.) 228

ყაისი (რუსულ.) 268

ყაისრიანი 268, 271

ყამარდიანი 291.

ყამარი 63

ყანდაარი 436, 445

ყარამანი 283, 284, 291

ყარამანიანი 104, 283, 284, 286,
287, 479

ყარანი 195, 455

ყარაყარუმი 270

ყარამან, ურუმთა მეფე 268

ყაფის შთა 196, 197

ყაფლანიშვილი—ორბელიანი ვახტანგ
481

ყვიცარიძე პ. 215

ყიასდინ სულთანი 118

ყიზლარსლანი 117, 233

ყ-საჲ ჰამზა 23, 44

ყუბად ხელმწიფე 293

შაღბავარ 34

შაეთელი იოანე 25, 27, 34, 36, 38,
39, 158, 172, 449

შაეჩიტი (ცხენი) 276, 277

შალიკაშვილი დემეტრე 371

შამი 201, 268

შამი-ფარვანიანი 246, 387, 388, 391
—393 401

შამსა 253

შანიძე აკაკი 105, 233 შენიშ.

შანჭორი-შამჭორი 117, 152

შანშა 34

შანშე ერისთავი 370

შარიაროს 34

შაჰირ მეფე 320

შაჰაბაზ I; 175, 197, 222, 236, 245,
272, 330, 350, 384

შაჰაბაზი II: 355, 402, 312

შაჰთამაზი 375, 445

შაჰნავაზიანი 20, 176, 273, 333—
348, 443

შაჰნაზარ ხანი იხ. არჩილ მეფე

შაჰნამე 12, 13, 15, 17, 19, 24, 27,
30, 70, 134, 168—191; 224,
283, 503

შაჰრიერ-ნამე 111

შაჰრო 66, 69

შეღარება თეიმურაზისა და რუსთვე-
ლისა იხ. თეიმურაზიანი

შერმადინი 77

შეიდვეზირიანი 304, 316 შენიშ.

შირაზი 188

შირვანი 11, 12, 14, 147

შირვანშაჰი—შარვანშა 11, 116, 228

შირინი 34, 232—236

შოჲა ართავაჩოსძე 97, 98, 147

შოთა კუპრი 98, 100

შოთა რუსთველი: 25, 26, 93—141,
146, 147, 172, 177, 193, 195,
225, 243, 249, 275, 334, 348
—358, 384, 385, 407, 441,
442, 443, 455

შუშა ქალაქი 263

შუშტარი 182

ჩარ-დავრიშანი 285—286

ჩალათური 244

ჩაჩიკაშვილი კორნილიოს 278

ჩაჩიკაშვილი ნიკოლოზ 141, 284,
286

ჩაჩნები-ჩაჩნეთი 197—205

ჩახრუხაძე 25, 27, 32, 34, 35, 110
101, 138, 139, 141, 143—154,
163, 164, 411, 449, 504

ჩახრუხაძე გრიგოლ 149, 150

ჩელეკენის კუნძული 116

ჩერქეზნი-ჩერქეზეთი 197
 ჩინეთი 50, 148, 196, 232, 237, 239,
 243, 252, 256, 257, 259, 267,
 282, 293
 ჩოლოყაშვილი ანნა 433
 ჩოლოყაშვილი გარსევან 25, 437
 ჩოლოყაშვილი დავით 498, 499
 ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო 25, 175,
 222, 223, 271,
 ჩუბინაშვილი დავით 27, 36, 73, 114,
 115, 205, 217, 268, 272, 505
 ჩუბინ ბრძენი ქირშანელი 259, 260
 ჩხეიძე სეხნია 56 შენიშ., 374, 432
 ჩხერი 402
 ძაგარელი ალექსანდრე 27, 38, 303,
 304, 499
 ცარიცინი 371
 ციციშვილი ნანუჩა (მანუჩარ) 25,
 172, 219, 220
 ციციშვილი ნოდარ ფარსადანისძე
 25, 195, 232, 244, 245, 246,
 247.
 ციციშვილი ფარსადან 245
 ცქირიანი დათუნა 25
 ცხოვრება აბდულმესიასი 38
 ცხოვრება თეიმურაზისა, იხ. თეიმურა-
 ზიანი
 ძაგნაკორელი 34
 ძველთა და ახალთა საქართველოს
 მოღვესეთათვის 25
 წამება ქეთევან დედოფლისა 20, 38,
 330—332, 388
 წამებული 445, 448
 წერეთელი აკაკი 116
 წერეთელი ხურაბ 235
 წიგნი სამეცნიერო 326
 წყობილსიტყვაობა 25
 ჰაეკეაძე ალექსანდრე 480, 500,
 502

ჰეკეაძე გარსევანი 495
 ჰაშნიკი 309, 432, 447, 449, 454,
 457, 469, 472
 კიაბერი 98
 კირი ქართლისა 374—378, 459, 470
 კიკინაძე ზაქარია 27, 39, 44, 45,
 52, 55, 74, 146, 181, 186,
 219, 220, 223, 231, 298, 363
 393, 395, 396, 398, 474
 ხაზარან დევი 49
 ხაზარეთი-ხაზარნი 34, 45, 50, 51,
 148
 ხათი-ხუთის სამეფო 252
 ხაკანი 14
 ხარაბუ 290
 ხარღუმი 188
 ხატეთი ხატაელნი 80, 148, 240, 268
 ხახანაშვილი ალექსანდრე 27, 45, 52,
 53, 70, 71, 111, 113, 114, 119,
 169, 189, 190, 196, 200, 202,
 204, 214, 216, 265, 269, 271,
 272, 278, 290, 291, 327, 328,
 329, 479, 500
 ხაჯუ ქირმანელი 259, 260
 ხელაშვილი იონა 26, 205
 ხვარაზმელნი 109, 116, 117, 196
 ხვარაზმზა 80, 81, 108, 110, 114
 ხვარაზმზე 330
 ხვარასანი 67, 123, 163, 294
 ხვარაშან-ხორაშან 34, 50
 ხვარეშან დედოფალი (თეიმურაზ I
 ცოლი) 247
 ხვასრო ხაზართა მეფე 50, 51
 ხილთა ქება 437—439
 ხოდაი-ნამე 4 შენიშ., 30, 31
 ხოსრო ქრისტიანი 268, 269
 ხოსროვ აბულქასან ამირი 230, 233,
 236
 ხოსროვ დაჰლევი 244
 ხოსროვ ნუშირვანი 305
 ხოსროვ პარეიზი 232—236, 294, 295

ხოსროე შაჰი 280—282
 ხოსროე-შირინიანი 232—236
 ხოშტარია ა. 287
 ხრონოლოგრაფი 403
 ზუზისტანი 65, 121
 ზუთოსინელნი, იხ. ოსინელნი
 ზულტუა დესპანი 376

 ჯაამ-ეზირიანი 27
 ჯაანგირი 196
 ჯაბირი 240
 ჯაეახიშვილი ივანე პროფ. 62, 75
 ჯაეახიშვილი პოეტი 456
 ჯაეახიშვილი ქაიხოსრო 220, 222
 ჯაშალი 236
 ჯამი-აბასი 27
 ჯამი აბდურ-რაჰმან 224, 225, 230,
 236, 244
 ჯანაშვილი მოსე 27, 31, 52, 55, 96,
 97, 112, 116, 117, 118, 146,
 147, 200, 203
 ჯანგ-ნამე 196, 197
 ჯანგისტანის ზღვა 280
 ჯაფარიძე მამუკა 405
 ჯეონი 73, 108
 ჯვარის მონასტერი 38, 93, 96, 148, 149

ჯიმშელი 64, 156, 163, 169, 173,
 268, 274, 315
 ჯიმშელიანი 272, 274, 275, 448
 ჯიმშერ, ხაზართა მეფე 45, 46, 51
 ჯიმშერ-არმოკლა 45, 46; 51
 ჯინისტანი 196
 ჯონშერ, ჩინეთის მეფე 256, 257
 ჯორჯანელი თახტური 64

 შათამითაი 294
 შალაბი 312
 შამსა 228, 236
 Hatifi 230, 233
 შაჯაჯ ხელმწიფე 293, 294
 შერაკლე (ტრალედია) 501
 შერეთი 94, 95, 98
 შეროლოტე 200
 შინდონი-შინდური 196, 197
 შიტოპადეშა 305
 შომიროსი 5
 შუმაჟ-შუმაჟუნ 259
 შუსამ-ულ-მესიჰ 37
 შუსენ-ალი 33, 306
 შუსანგი მეფე 283, 293
 შჯაზ ხელმწიფე 312

შემჩნეული კორექტურული შეცდომები

პვ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
7.	ამვედრდა	ამვედრდა
21.	რკალი	რკალი
34.	სერვის	სარვის
73.	ბარავს	მარავს
154.	36—32	36—37
271.	კონსტანტინე	კონსტანტინე
404.	აღნიშნავს	აღნიშნავს
409.	ანბანთ ნება	ანბანთქეზე
411.	ჩახუხავული	ჩახუხავული
420.	საერთო	საერთო

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზ ე ს ა ვ ა ლ ი

პირობები ქართული საერო მწერლობის აღმოცენებისა. — დასაწყისი ქართული საერო მწერლობისა. — პერიოდები ძველი ქართული საერო მწერლობის ისტორიისა. — ფრაგმენტები ძველ ქართულ საერო და ეკლესიურ მწერლობათა შორის. — ძველი ქართული საერო მწერლობის შესწავლის საკმე. — ფრაგმენტარულ ხასიათი ძველი ქართული საერო მწერლობისა 83. 3—39.

ნ ა ნ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

კ ლ ა ს ი კ ა უ რ ი კ ა რ ი ო ლ ი ს ლ ი ბ რ ა ბ ა ტ უ რ ა

ბ ა ნ ე ო ო ჟ ი ლ ა ბ ა I — ე პ ო ს ი:

- ✓ 1. აპირან-დარეჯანიანი 44—63.
- ✓ 2. ეისრაშიანი 64—76.
- ✓ 3. ვეფხისტყაოსანი 77—141.

ბ ა ნ ე ო ო ჟ ი ლ ა ბ ა I — ო ლ ი რ ი კ ა:

- ✓ 1. თამარიანი 143—154.
- ✓ 2. ქება დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლისა 154—164.

ნ ა ნ ი ლ ი გ ე ო რ ა

ა ლ ო რ ა კ ი ნ ე ა ბ ი ს კ ა რ ი ო ლ ი ს ლ ი ბ რ ა ბ ა ტ უ რ ა

ბ ა ნ ე ო ო ჟ ი ლ ა ბ ა I — ე პ ო ს ი:

I. ს ა გ შ ი რ ო ე პ ო ს ი:

- ✓ 1. შამ-ნაპე ფირდოუსისა 168—184.
- A. ფრიდონიანი 168—171.
- B. ზაქიანი 172—174.
- C. როსტომიანი 174—184.
- ✓ 2. შამნამეს მიბაძვანი 185—191.
- A. საამიანი 185—186.
- B. ბაამიანი 187.
- C. სირინოზიანი 188—191.

3. ამირან-დარეჯანიანი (ვალექსილო)	192--195.
4. სეულანიანი	196--197.
✓ 5. ალლუზიანი	197--205.
✓ 6. დილაოიანი	205--214.
✓ 7. ალექსანდრიანი	214--216.
II. რომანტიული ეპოსი:	
✓ 1. ვეფხისტყაოსნის დამატებანი	217--220.
2. ომინიანი	220--224.
✓ 3. იოსებ-ზილიხანიანი	224--228.
✓ 4. ლეილა-მეჯნუნიანი	228--232.
✓ 5. ხოსრო-შირინიანი	232--236.
6. ბარამ-გურიანი	236--249.
7. ვისრამიანი (ვალექსილო)	249--351.
8. ბარამ-გულანდამიანი	251--256.
9. ბარამ-გულიჯანიანი	256--261.
10. მიჯნურთ ბაღე	261--264.
11. საბილაღიანი	264--266.
III. საზღაპრო ეპოსი:	
✓ 1. რუსუდანიანი	267--275.
2. ფიშაღიანი	275--278.
3. ხალვმ-ჯვანდანი	279--280.
4. მიწიანი	280--283.
✓ 5. ყურანანიანი	283--285.
6. ზირ-ღიერიშანი	285--286.
7. ვარშაყიანი	286--287.
✓ 8. სპილენძის ქალაქიანი	288--291.
9. ყამარდანი	291.
X IV. დიდაქტურ-მორალური ეპოსი:	
1. მეფეთა საღარო	292--297.
2. ტესტამენტი	297--300.
3. სიბრძნე სიცრუისა	301--305.
4. ქილილა და დამანა	305--311.
5. მახთიარ ნაშე	311--314.
6. ესოპეს იგაე-არაკები	313--314.
7. თიშაოიანი	314--318.
8. მეღის წიგნი	318--319.
9. ამოფთევები:	319--329.
A. ამირ-ნასარიანი	320--322.
B. სიბრძნენი ფილოსოფოსთანი	323--327.
C. სწავლანი ახიკარ ბრძნისანი	327--329.
V. ხაიხორიო ეპოსი:	
✓ 1. წამება ქეთევან დედოფლისა	330--332.

2

✓ 2. შაჰნავაზიანი	333—346.
✓ 3. თეიმურაზიანი	349—352.
✓ 4. დიდმოურავიანი	358—365.
5. კათალიკოზ-ბაქურაძე	365—368.
✓ 6. ვახტანგიანი	368—374.
✓ 7. ჭირი ქართლისა	374—378.
8. დიმიტრი-მანგლაძე-მარტოვი	378—381.

განმარჯვებულება II — ლიბია:

✓ 1. თეიმურაზ პირველი	384—401.
✓ 2. არჩილ მეფე	401—421.
3. ვახტანგ მეექვსე	422—432.
4. თეიმურაზ მეორე	433—444.
5. შამუკა ბარათაშვილი	444—454.
6. დავით გურამიშვილი	455—472.
7. ბესარიონ გაბაშვილი	473—482.
8. საათნოვა	483—487.

განმარჯვებულება III — ღრამა:

საზიობანი ძველს საქართველოში: მოწაითობა, ყაბაზობა, ბერობა, ცეცხლი და ბერობა. — დასაწყისი ქართული თეატრისა, მისი კვერთხი რუსულ თეატრთან. — თავდაპირველი წარმოდგენები. — გაბრიელ შაიოვი და მისი მისტერები. — დრამატული სწავლება. — ჭაბუკი კლასიციზმი ამ მწერლობაში. — წარმომადგენელი ძველი ქართული დრამატული მწერლობისა: გიორგი ავალიშვილი, დავით ჩოლოყაშვილი და ალექსანდრე ქავთავაძე. — მათი პიესების მიხედვით ძველი ქართული დრამატული მწერლობისა 501—502.

Addenda et corrigenda	503—506.
საკუთარ სახელთა საძიებელი	507—521.
შემწიჭული კირექტურული შეტომანი	522
სარჩევი	523—525.

იპავე ავტორის სხვა შრომები:

- 1905 წელი: 1. Къ вопросу о времени празднованія Рождества Христова въ древней церкви (Труды Киевской Духовной Академіи, 1905, № 1, стр. 10), Киевъ.
- " 2. ახალი საგლობელნი წმ. აბო ტფილისის („მწევენი“ 1905, № 13—14).
- 1906 წელი: 3. Литургическая справка объ автокефалии грузинской церкви (Духов. Вѣстникъ Грузинскаго Экзархата, 1906, № 9—10, стр. 3—9), Тифлисъ.
- 1908 წელი: 4. Литургическіе грузинскіе памятники въ отечественныхъ книгохранилищахъ и ихъ научное значеніе, Тифлисъ, стр. I—XXXI + I—515 + I—VIII.
- " 5. Къ вопросу о важности и своевременности изученія древне-грузинскій церковной, въ частности—литургической письменности (Труды Киевской Духов. Академіи, 1908, Ноябрь, 9 стр.) Киевъ.
- " 6. სამღვდელმთავრო კონკავი (ქართული ტექსტი, კ. ციხეძვესთაძე ვრთად). ტფილისი 25. 1—240.
- 1910 წელი: 7. Нѣсколько замѣчаній по поводу рецензіи С. Авадіани на нашу книгу „Литургич. грузин. памятники“ (Богословскій Вѣстникъ, 1910, Октябрь, стр. 353—356), Сергіевъ-Полодь.
- " 8. Симеонъ Метафрастъ по грузинскимъ источникамъ (Труды Киевской Духовн. Академіи, 1910, февраль, 20 стр.), Киевъ.
- " 9. Новооткрытій агиологическій памятникъ иконоборческой эпохи,— Житіе св. Романа Нового (Труды Киевской Духовн. Академіи, 1910, Іюнь, 38 стр.), Киевъ.
- 1911 წელი: 10. Эпизодъ изъ начальной исторіи египетскаго монашества, (Труды Киевской Духовн. Академіи, Февраль—Мартъ, 1911 г. 48 стр.), Киевъ.
- 1912 წელი: 11. Свѣдѣнія грузинскихъ источниковъ о препод. Максимѣ Исповѣдникѣ (Труды Киевской Духовной Академіи 1912, Сентябрь, Ноябрь, 77 стр.), Киевъ.
- " 12. Іерусалимскій Канонарь VII вѣка (грузинская версія), Тифлисъ, стр. I—VII + I—346.
- " 13. Древне-грузинскій Архиратиконъ (грузинскій текстъ съ излѣдованіемъ), Тифлисъ, стр. I—XXX + I—142.
- " 14. Іоаннъ Кемфилитъ, продолжатель Симеона Метафраста (Христіанскій Востокъ, т. I, вых. 3, 1912 г. стр. 325—347), Петербургъ.
- 1913 წელი: 15. Историко-агиографическіе отрывки (Христіанскій Востокъ, т. II, вых. 2, стр. 187—198, 1913 г.), Петербургъ.
- " 16. Житіе епископовъ Херсонскихъ въ грузинской Миневъ (აკადემ. ვ. ლატინჯვაძის ვრთად, Известія Археологической Комиссіи, вып. 49, стр. 75—88, 1913 г.) Петербургъ.
- 1914 წელი: 17. Житіе и подвиги Іоанна, Католикоса Урагійскаго (Христіанскій Востокъ, т. II, вых. 3, стр. 301—348, 1914 г.), Петербургъ.
- " 18. ატაბ კათალიკოსის საღობურლიკო პოლემიკებიდან, ტფილისი 1914 წ. 25. 1—14.

19. Къ вопросу объ иерусалимскомъ происхожденіи грузинской церкви (Совѣщанія Палестинскаго Общества. 1914 г.), Петербургъ, стр. 1—8.

1915 წელი: 20. Грузинская версия арабскаго Житія св. Іоанна Дамаскина (Христіанскій Востокъ, т. III, вып. 2, стр. 119—174, 1915 г.), Петербургъ.

21. Объ изданіи грузинскихъ агиографическихъ памятниковъ (1-ое приложеніе къ протоколу VII Историко-филологическаго отдѣленія Россійской Академіи Наукъ, 15 Апрѣля 1915 г., стр. 66—73.), Петербургъ.

22. Житіе Петра Нового, мученика Капелтолійскаго (Христіанскій Востокъ, т. IV, вып. 1, стр. 1—71, 1915 г.), Петербургъ.

1916 წელი: 23. Житіе Агафангела, католикаса Дамаскаго (Христіанскій Востокъ, т. IV, вып. 3, стр. 246—283, 1916 г.), Петроградъ.

24. ქართველი თუ სპეციე? ალ. რემიზოვი და სომხების სერუ-სარქისი (გაზეთი „საქართველო“ 1916 წ. № 124).

1917 წელი: 25. წესა, რომელი იქმნების ხელდასმასა ზედა ეპისკოპოსისა და კათოლიკონასასა (ქართული ტექსტი), ტფილისი გვ. 1—40.

26. დუჯდომელი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა (ქართული ტექსტი), ტფილისი გვ. 1—16.

1918 წელი: 27. Monumenta hagiographica Georgica, pars prima-KEIMENA, t. 1, pag. I—XLVIII + I—35; ტფილისი.

28. იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან (ეჟრანალი „პროპიეტ“ 1818 წ. № 1), ტფილისი.

1920 წელი: 29. ნაწყვეტი ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან, ცხოვრება ილარიონ ქართველისა (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, გვ. 39—67, 1920 წ.), ტფილისი.

30. თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე ზვირნელ მიტროპოლიტისა, გვ. I—LXXXIII + I—229. ტფილისი.

1922 წელი: 31. როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება? (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, № 2, გვ. 392—397, 1922 წ.) ტფილისი.

1923 წელი: 32. ლეონტი მროველის ლიტერატურული წარბეები (ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე № 3, გვ. 27—36, 1923 წ.) ტფილისი.

33. ესკატოლოგიური მოტივები ძველს ქართულს მწერლობასა და ცხოვრებაში (ჩვენს მეცნიერებაში, 1923 წ., გვ. 59—64, 1923 წ.) ტფილისი.

34. იოანე პეტრიწის მწერლობაში („ჩვენი მეცნიერება“ № 2—3, გვ. 102—103, 1923 წ.) ტფილისი.

35. ეახტანე (ქართული და მისი ისტორია („ჩვენი მეცნიერება“ № 4—5, გვ. 102—103, 1923 წ.) ტფილისი.

36. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, ძველი მწერლობა, გვ. 1—695, ტფილისი.